ფოს. ბ. ბოჭორიშვილი

K 41070
2

1832 წლის პო

დოც. გ. ბოგზალიშვილი

1832 წლის ფეთქეულება

K 41070/2

ხალხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტფილისი 1935 წ.

რედაქტორი—ლ. ციხისთავი
კორექტორი—გამომშვები—ა. კიკვიძე

მთავლიტის რწმუნებული A—745
შეკვეთა № 1428.
წარმოებას გადაეცა 1/V-1934.
ხელმოწ. დასაბეჭდად 25/VIII-1934
ტირაჟი—3000

გმც-ბა „ზ. ვ.“ ა. ფ. მიასნიკოვის სახ. წ. დ. სტამბა

წინასიტყვაობა.

1832 წლის შეთქმულების მასალები რამოდენიშე ამისთანა ტომს შეიცავს. ყველა მასალების თანამიმდევრობით გამოცემაა განზრახული, მაგრამ, რადგან ეს არც ისე სწრაფად მოსახერხებელია, ამიტომ ამ პირველ ტომს შემკრებელობითი ხასიათი აქვს იმ მიზნით, რომ მკითხველს ამთავითვე შეთქმულების მთელი სურათის გათვალისწინება შეეძლოს. ამის გულისთვის საჭირო გახდა მასალის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დარღვევა და ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელსაც ადგილი მხოლოდ შემდგომ ტომებში უნდა ჰქონოდა, აქ მოვათავსე, შეთქმულების პირველი საქმეებიდან კი საბუთების ნაწილი შემდგომი ტომისთვის განვკუთნე.

ქართულად დაწერილი ჩვენებები სრულიად უცვლელად არის გადმოწერილი, — სასვენი ნიშნების გაუსწორებლადაც კი. — ოღონდ ის იწვევს სინანულს, რომ ბეჭდვის ტექნიკური პირობების გამო, ვერ მოხერხდა იმ ბგერების გადმოცემა, რომლებიც ამ ჩვენებებისთვის ესოდენ დამახასიათებელია, ხოლო დღევანდელ ქართულ მწერლობაში აღარ იხმარება.

რუსულად დაწერილი ჩვენებები და სხვა საბუთები მე ვთარგმნე. ყველა საბუთი სრულად არის გადმოწერილი, არც ერთი მათგანი არ შემიმოკლებია, გარდა წიგნის უკანასკნელ ფურცლებზე მოთავსებულ ხელისუფლების ორგანოების შორის მიმოწერისა, სადაც ის ადგილებია გამოტოვებული, რომლებიც ერთი მეორის განმეორებას წარმოადგენს. საიდუმლო ანბანით დაწერილი წერილებიც მე ამოვიკითხე.

წიგნში მრავალი კომენტარიების შეტანას განგებ მოვერიდე: ეს წიგნს უსარგებლოდ დაამძიმებდა. მით უმეტეს, რომ ესა თუ ის გარემოება, რომელიც შეთქმულთა ამა თუ იმ ჩვენებაშია მოხსენებული და რომელიც შეიძლება ერთი შეხედვით მკითხველისთვის ნათელი არ იყოს, — ან წიგნის შესავალშია განხილული, ან, წინამავალ თუ არა, მომდევნო ჩვენებაში მაინც აუცილებლად არის ხოლმე განმარტებული. იგივე ითქმის პირთა დასახელებაზეც; ზოგჯერ მხოლოდ შეთქმულის სახელია მოხსენებული, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, მკითხველი ყოველთვის ადვილად მიხვდება ვისზეა ლაპარაკი.

შეთქმულთა გვარები საბუთების სათაურებში გავაქართულე, ტექსტში კი უცვლელად დავტოვე.

საისტორიო საბუთების გამოცემის ტრადიცია ჩვენში ძალიან

ღარიბია და არსებული გამოცდილების გამოყენებაც ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ამ მხრივ სათანადო მითითებები მომდევნო მასალის გამოცემის დროს იქნება გამოყენებული.

კითხვა-პასუხების ყველგან სათანადო სახით დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

შეთქმულების მასალების მეორე ტომი უკვე გამოსაცემად დამზადებულია, სადაც საბუთები იმავე წესსა და რიგზეა დალაგებული, როგორც წინანდებარე წიგნში. ამ მეორე ტომს შესავლის სახით დართული ექნება შეთქმულების მონაწილეთა ბიოგრაფიები, სადაც გამორკვეული იქნება მათი შეთქმულებაში მონაწილეობის ხასიათი და რა ბედიც ეწვია თითოეულ მათგანს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

გ. გოზალიშვილი

1935 წლის 10 თებერვალი.
ტფილისი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთში გადასახლებული საქართველოს სამეფო საგვარეულოს წევრნი და საქართველოდან რუსეთში განათლების მისაღებად წასული ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობა, შეუძლებელია იმ ლიბერალური იდეების გავლენის გარეშე დარჩენილიყვნენ, რომლებიც ამ დროს რუსეთში უკვე იყო დასავლეთ ევროპიდან გადმონერგილი. ამგვარი გავლენის შედეგია სწორედ 1832 წლის შეთქმულება და ამ მხრივ იგი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვლება. ამ ნაშრომში ეს მოვლენა ისტორიულ-პერსპექტული თვალსაზრისით განხილული არ არის. ამ შრომის მიზანია მოვლენის, როგორც ისტორიული ფაქტის, იმ სახით წარმოდგენა, რის საშუალებასაც საარქივო მასალები იძლევა. რასაც უნდა მოჰყვეს ამ ფაქტის ანალიზი, მისი სხვა ეტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს კი შემდგომი მიზანია.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოძრაობა განმეორება თუ არა, უეჭველი გამოძახილია მაინც საერთოდ იმ დროს ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეებისა, კერძოდ კი რუსეთში დეკაბრისტების მოძრაობის უახლოესი შედეგია.

რასაკვირველია, მასალების პირველი გადახედვით ეს არ ჩანს, მაგრამ მათი დაკვირვებული შესწავლა ამას ცხად ჰყოფს. მკვლევარს აუცილებლად მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ დაცული მასალების გამოყენება მხოლოდ მათი სათანადოდ კრიტიკულად შესწავლის შემდეგ შეიძლება. საქმე ის არის, რომ შეთქმულებმა დამალეს ლიბერალური მოძრაობისათვის დამახასიათებელი თვისებები და თავიანთი ნამდვილი მიზნები. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ყველა შეთქმული სათანადოდ არ იყო ჩახედებული საქმეში და მოძრაობის ღრმა მიზნები გათვალისწინებული და შეგნებული არ ჰქონდა, როგორც ეს ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. პირიქით, მონაწილეთა თვალსაჩინო ნაწილი ძალიან ნაკლებად იცნობს იმ იდეებს, რომლებსაც მოძრაობის მეთაურნი ისახავდენ.

ამათთვის მოძრაობის მიზანი ვიწროდ არის შემოფარგლული და ეს იყო გარკვეული პოლიტიკა უმრავლესობის მიმხრობის მიზნით. საჭირო იყო სათანადო განათლებისა და მომზადების უქონელი ხალხის ხელშესახები და მახლობელი მიზნებით დაინტერესება. ეს გარემოება ნათლად გამოსჭვივის ბრალდებულთა ჩვენებებიდან და მოძრაობის იდეების მომთხრობელ ზოგიერთ გადარჩენილ ცნობათაგან. ამის წყალობით ჩვენ მივიღეთ სურათი, რომლის ჩარჩოებიც, პირველი შეხედვით, უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე თვით სურათი. მაგრამ საკმარისია გულდასმით დაკვირვება, რომ მდგომარეობა პირუკუ შეიცვალოს, ე. ი. ბუნებრივი სახე მიიღოს. როგორც სურათის შესახებ ჩარჩოების მიხედვით მსჯელობა არ შეიძლება, არამედ საჭიროა დაკვირვებისა და ყურადღების ჩარჩოების შიგნით მინართვა, ისევე არ შეიძლება ამ მოვლენის მისი გარეგანი გამოხატულების, ე. ი. მის შესახებ დაცული მასალების ღრმად შესწავლის გარეშე, შეფასება. ამ თვალსაზრისით მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ აუარებელ ჩვენებებს, რომლებიც დიდ უმრავლეს შემთხვევაში საქმის ნამდვილი ვითარების დამალვას ისახავენ მიზნად, არამედ იმ საბუთებს, რომელთა მიხედვითაც შეთქმულების იდეოლოგიური მხარის გათვალისწინება არის შესაძლებელი. ასეთებია: საქართველოს მართველობის პროექტი, „აკტი გონიური", შეთქმულთა მიმოწერა [1]) და სხვა ამისთანები, რომლებიც იძლევიან მასალებს ამ მოვლენის ასახსნელად. დანარჩენი ყველაფერი მხოლოდ მასალაა იმ ისტორიული არეს შესასწავლად, რომელზედაც აღმოცენდა და მიმდინარეობდა შეთქმულება და მისი განვითარება. [2])

ლენინგრადის საისტორიო არქივში აღმოჩნდა დაცული 1832 წლის შეთქმულების საქმეზე წარმოებული გამოძიების საარქივო მასალა, რომელიც შესწავლის მიზნით საქართველოს ცენტრარქივს აქვს გადმოცემული. ამ მასალის აღწერილობა უკვე არის გამოქვეყნებული, [3]) ამიტომ აქ ამჟამად გავრცელება ზედმეტია, მაგრამ ვა-

---

[1]) სამწუხაროდ სწორედ ეს კერძო მიმოწერა და სხვა არა ოფიციალური მასალა, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო შეთქმულების ბუნების გამოამკარავება, ძალიან მცირეა გადარჩენილი; შეთქმულების შესახებ უშუალოდ მომთხრობელი საბუთები თავის დროზე იქნა მოსპობილი შეთქმულთა მიერ.

[2]) ტექსტში მითითებები შემდეგს ნიშნავს: ა) რომაული რიცხვები საგამომიებლო კომისიის მიერ წარმოებული საქმის რვეულის ნომერს აღნიშნავს, არაბული რიცხვი კი რვეულის გვერდს უჩვენებს. ბ) საქმის დიდი ნომრები № 168, 170 და სხვა ცენტრარქივის განსაკუთრებული საქმეების ფონდის საქმეთა ნომრებს აღნიშნავს.

[3]) იხ. „საქართველოს არქივი„ წ. II, ტფილისი 1927 წ.

სალის ხასიათის შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას: როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, თვითოეული ბრალდებული ცდილობს თავი დააღწიოს და თავის შეთქმულებაში მონაწილეობას უარყოფს, მაგრამ როდესაც მას ვერ ახერხებს, მაშინ დანაშაულს სხვას აბრალებს და თავის თავს სხვის ნიერ შეცდომაში შეყვანილ მსხვერპლად აცხადებს; აგრეთვე თვითოეული მათგანი არწმუნებს საგამომძიებლო კომისიას, რომ ის შეთქმულებაში მონაწილეობას მხოლოდ იმ მიზნით იღებდა, რათა ყველაფერი დაწვრილებით შეეტყო და მთავრობისათვის ეცნობებია, ხოლო ყველანი ერთად კი ცდილობენ რაც შეიძლება შეთქმულებას ზერელე ხასიათი მისცენ. ამასთანავე დიდად უწყობენ ხელს ერთი-მეორეს წაყენებული ბრალდების გაქარწყლებაში. ის პირნი, რომელნიც შეთქმულების მონაწილედ უკვე აშკარად იყვნენ ცნობილნი, ცდილობენ, თუ კი მოსახერხებელია, რომელიმე ბრალდებულის მიერ დასახელებული ესა თუ ის პირი პასუხისგებისაგან გაანთავისუფლონ, დამსახელებელის მიერ წაყენებული ბრალდების უარყოფით. ამით თავის თავსაც იცავდნენ, რადგან თუ ყველა ბრალდებები დადასტურდებოდა, მათთვისაც საქმე დამძიმდებოდა და პირიქით. ამ მხრივ საგამომძიებლო კომისიის მუშაობა ერთგვარი გულუბრყვილობის შთაბეჭდილებასა სტოვებს. მრავალი საკითხი, მრავალი ბრალდება კომისიის მიერ—გვერდ ახვეულია, რაც მთელ საქმეს თავისებურ ელფერსა და მიმართულებას აძლევს. იმით არის სწორედ ძვირფასი ლენინგრადიდან მიღებული ბრალდებულთა ჩვენებანი, რომ მრავალი საკითხი, რომელიც კომისიის მიერ ან მთლიანად გვერდ ახვეული იყო, ან და, აღნიშნული იყო როგორც დაუდასტურებელი რამ, ეხლა, ამ მასალის კრიტიკულად შესწავლის შემდეგ, ცხადი ხდება და თვით შეთქმულების ხასიათი ნათლად წარმოგვიდგება. ეხლა ითქვას, რომ არც რუსეთის ხელისუფლება იყო დაინტერესებული შეთქმულებისთვის სერიოზული ხასიათი ძიეცა და მისი ნამდვილი ბუნება გამოემჟღავნებინა, მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, ეს ამბავი ზოგიერთი დარდი-მანდი ქართველ თავადიშვილების ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის ფუქსავატურ ოცნებად გაესაღებინა. მთავრობამ განგებ მიჩქმალა ქართველთა შეთქმულების ამბავი, რათა ეგი საზოგადოებრივი აზრის მსჯელობას საგნად არ გამხდარიყო. ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული კავკასიის მთავარმართებელ **როზენისა** და სამხედრო მინისტრის **ჩერნიშოვის** შორის მიმოწერაში. **როზენი** წინააღმდეგია იმისი, რომ შეთქმულთა საქმე სენატმა გაარჩიოს, რადგან მას ეშინიან, რომ სენატი გაზეთში გამოაცხადებს (ტ. 29, გ. 110). ხელი-

სუფლების შეთქმულებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ადასტურებს აგრეთვე ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების **სიძველეთა** საცავში შენახული **ალექსანდრე ორბელიანის** მოგონებები, სადაც ის სწერს „იქამდისინ ოსტატნი არიან რუსეთის მთავრობა, რომ იძულებულ-ქმნილთა და შეწუხებულებს ყველას ათქმევინეს შეთქმულებს და სხვანიცა მრავალნი ალაპარაკეს, რომ რაც მოხდა ეს მამულის გამოხსნის შეთქმა არ არის სხვას მნიშვნელობას აძლევდნენ, რალაც სხვა მიზეზებს. ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის რომელიცა იმან უნდა იცოდეს და სხვამ არავინ რაისათვისაც სდებდა სხვა მიზეზებსა"-ო (ხელნ. ა. 165 ბ. 26). აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, **რომ** ბრალდებულნი ადვილად ახერხებენ თავის დაცვას, დანაშაულის გაქარწყლებას. ჩვენებები ისეთი ხელოვნებით არის დაწერილი, რომ მათში მოთხრობილზე იჭვის შეტანა ძნელია, თუ არ წერილობითი საბუთები, მრავალი აქტიური შეთქმულის მონაწილეობა ამ საქმეში კომისიის მიერ დაუდასტურებლად თუ არა. საეჭვოდ მაინც იქნებოდა მიჩნეული. მაგალითად **სოლომონ დოდაშვილი** უჩვენებს, რომ მას „აკტი გონიური" არ წაუკითხავს და არც იცის რაიმე მის შესახებ, მის ქალალდებში კი იქმნა იგი აღმოჩენილი (II, 330). **გიორგი დავითის-ძე ერისთავი** აცხადებს, რომ მან ლაშქრობაში წასვლის წინ შეთქმულების არსებობაზე არაფერი იცოდა და მაზედ არც ფიქრობდა, მაგრამ მერე მისი ცნობილი საიდუმლო ანბანით დაწერილი წერილი იქმნა აღმოჩენილი, სადაც შეთქმულების წევრთ ჩამოთვლის. **ფილადელფოს კიკნაძე** თვითონ აღიარებს... „იქ რომ ჩემი აკტი არ გამოჩენილიყო მე ვერ მომაგნებდენ"-ო (3696).

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ შეთქმულთ საიდუმლობის დაცვის საქმე კარგად ჰქონდათ მოწყობილი. „აკტი-გონიურის" თანახმად შეთქმულების წევრს მხოლოდ ის პირი უნდა სცნობოდა, ვინც მას საიდუმლოებას გაუმჟღავნებდა და შეთქმულების წევრად გახდიდა. სახელდობრ მე-IV-ხე მუხლში სწერია: „ყოველი წევრი უნდა ეძიებდეს შეძინებად წევრთა გონიერებით, არა ჯერ არს, რათა პირველმან მპოვნელმან წევრმან უთხრას მეორესა თვისგან მოპოებულსა წევრსა მომპოვნელი მისი წევრი, ხოლო ყოველთვის სათანადო არს, რათა წევრი ყოველი მპოვნელი წევრისა განუცხადებდეს პოვნილთა თვისთა წევრთა, მპოვნელსა თვისსა წევრსა" („საქართველოს არქივი" წ. II—გვ. 4). ხოლო მერვე მუხლში ვკითხულობთ „მტკიცედ უნდა იცოდეს ყოველმან წევრმან დაცვად საიდუნლოისა, რათა არავის განუცხადოს სხვასა, გარდა მისსა რომელსაცა მიიყვანს წევრად" (იქვე, 5). რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეთქმულების

მეთაურნიც მოკლებულნი იყვნენ წევრების ცნობას, პირიქით ესენი საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ და სცოდნოდათ თავიანთი საქმის მონაწილენი. „აკტი გონიურის“ მე-4-ხე მუხლში ნათქვამი, სწორედ ამას გულისხმობდა. **გიორგი დავითის-ძე ერისთავი** სხვათაშორის უჩვენებს: „საზოგადოებაში მე მიმიღეს დიდის სიხარულით და დაიწყეს უბნობა ამა საგანსა ზედა, და დამარწმუნეს, რომელ გახზრაჯკა ესე უწყიან **ღენერალ აფხაზოვმა, ჭავჭავაძემ, სავარსამიძემ** და **იაგორ გავრილიჩმა ჭილაევმა**. ნე უპასუხე კაცი მაშ არ შეიძლება ესენი მეც მიჩვენოთ მეთქი, ნაშინ მიპასუხეს, რომ იმათ იციან, რომ შენ იცი, მაგრამ იმათ კი ვერ გაჩვენებთ არ დაგენდობიან, რადგანაც ეშაწვილი ხარო. იფიქრე ამისთანა მძიმე საქმეზედ, თითონ ვერ იმოქმედებენო და ჩვენგნით ყოველსავე მოქმედებენო. აი პოლშაშიაც დიდნი კაცნი ყმაწვილებით მოქმედებდნენ“-ო (III-345). **ალ. ორბელიანი** თავის პირველ ჩვენებაში ამბობს:... „ესეც მითხრა **ოქროპირ ბატონიშვილმა** ინასაც გასწავლიო, რომ ნურას დროს ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკებიო, თუნდაც შენნი, ძმანი იყვნენო. ვისაც ელაპარაკო ეს აზრი ყველას ცალკ-ცალკეო“ (1—137). აი სწორედ ამ გარემოების შედეგი, რომ შეთქმულების ყველა წევრთ ერთი მეორე არ უნდა სცოდნოდათ, აშკარად მოჩანს გამოძიების დროს. მხოლოდ შეთქმულთა ერთი ჯგუფია, რომელნიც ერთი მეორეს იცნობენ, დანარჩენს ყველა არ იცნობს. რაც საგამომძიებლო კომისიას იმის საბუთად ჩაუთვლია, რომ ამა თუ იმ პირმა შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა. ამასთანავე, როგორც ქვემოდ იქნება გამორკვეული, შეთქმულთა ცალკ-ცალკე საზოგადოებანი არსებობდა, რომელნიც ურთიერთ შორის და საერთო ცენტრთან საზოგადოების, ანუ ჯგუფის მეთაურის საშუალებით იყვნენ დაკავშირებულნი. **ალ. ორბელიანი** თავის მოგონებაში ამბობს“... მართალია ბევრი კარგები ერევნენ ჩვენს სქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და სახელი **იასემ**[1]) იცოდა ინათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, უფრო მომეტებულისა, იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე“ [2]) (წერა-კითხვ. საზ. ხელნაწ. № 1669, გვ. 142). შეთქმულთა თავის დაცვას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მათი დაპატიმრება მოულოდნელად არ მომხდარა. საფიქრებელია, რომ ისინი ამ ამბავს სათანადოდ გაფრთხილებულნი შეხვდენ. **ალ. ორბელიანის** ჩვენებით დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, თურმე

---

[1]) **იასე ფალავანდიშვილზეა** ლაპარაკი.

[2]) შემდეგი წინადადება წაშლილია „...მაგრამ დიახ ფრთხილად და არც თავიანთ თავი გამოაჩინეს კომისიაში“.

ინან გაიგო, ბორჩალოს დისტანციაში გავრცელებულა ხმები მის და **ალექსანდრე ბატონიშვილის** შორის მიწერ-მოწერაზე, რამაც ის შეაშინა და მოსპო **ს. დოდაშვილის** მიერ დაწერილი პროკლამაცია, რომელიც მასთან ინახებოდა (III,392, II,206). პროკლამაციასთან ერთად ის ალბად სხვა წერილობითი საბუთსაც მოსპობდა, მით უმეტეს, რომ შეთქმულნი საერთოდ წერილობითი საბუთების შენახვას ერიდებოდნენ. **ანტონ აფხაზი** უჩვენებს, რომ როდესაც მის მიერ **დოდაშვილის** სახლში გამართულ ნადიმზე მას უთქვამს **ალექსანდრე ორბელიანისათვის**, რომ შეიძლება მათი ამბავი გამოცხადდეს და მაშინ ყველანი დაიღუპებიან, — **ელიზბარ ერისთავს** უპასუხნია:"... თუნდაც რომ გამოცხადდეს არაფერია, ჩვენ წერილობითი არაფერი გვაქვს და ისე ყველანი უარს ვიტყვით"-ო (II,193). **ფილადელფოს კიკნაძისთვის** მასთან ერთად დამწყვდეულ **ნათალიშვილს** უკითხავს „ეს ყმაწვილები რომ დაიჭირეს, ხომ შეიტყობდი, და თუ კიდევ გამოცხადება არ გინდოდა ის წიგნები რაღად გქონია"-ო.[1] ამაზედ **ფილადელფოსმა** თურმე უთხრა: „რომელნიაც გამოცხადებით არა ეწერა რა ამიტომ არ დავწვი რონ ეგ თუ არ ენახათ უფრო დიდ ეჭვს მოიტანდნენ და იჭვის გასაქარვებლად დავაგდე და არც მეგონა თუ მომაგნებდენ, იქ რომ ჩემი აკტი[2] არ გამოცხადებულიყო მე ვერ მონაგნებდენო" (**მესხიშვილის** ჩვენება 3696---98). ყველაზე უფრო ვრცელ ცნობას ამ საგანზე ალ. **ორბელიანი** იძლევა. ის თავის ნოგონებაში ამბობს:"... მინამ დაგვიჭერდნენ ერთი **თვის** წინად გული მიგრძნობდა ჩვენს დაჭერას, ამიტომ ჩემი საიდუმლო ქაღალდები და ის ჩემი დაწერილი ძველი ამბების ია ერთს ქილაში ჩავაწყე ზევიდან ერთი სალა სიპი ქვა პირზე დავადე: საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩვენმა **გრიგოლა დიაკვანმა** ორმო ბოვთხარეთ, ის ქილა შიგ ჩავდგით და მიწით ამოვამსე, ამ სიტყვით: **„გრიგოლა დიაკვანო,** შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩვენი ამბებიც იცი რაც ამბებში ვართ ჩვენ ყმაწვილი კაცები, ვინცობა არის, რა ვიცი იჭნება დაგვიჭირონ, ეს ქილა მაშინვე ამოიღე და რაც ამაში ქაღალდები იყოს, საჩქაროდ დასწვი. მაგრამ, გაუფრთხილდი დაწვის დროს არავინა გნახოს. იმ ქილაში ჩემი ნიწერილი წიგნის პასუხიც მქონდა ბიძაჩემის **ბატონიშვილს ალექსანდრესი.** ჩვენ რომ დაგვიჭირეს **გრიგოლა** დიაკვანსაც ის ჩემი თქმული აღესრულებინა"... 2-ს

---

[1]) ლაპარაკია **ფილადელფოსისათვის** ჩამორთმეულ სხვადასხვა პირებთან მიმოწერაზე.

[2]) იგულისხმება შეთქმულების წესდება, რომელსაც „აკტი გონიური" ეწოდებოდა.

მაისს 1868-სა წელსა. ქ. ტფილისს (წერა-კითხვის ხელნ. №1662, 3—4). შეთქმულნი უნდა გაეფრთხილებინა ავრეთვე 1832 წ. ზაფხულში ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის **ზავილეისკის** სამსახურიდან დათხოვნას და პასუხისგებისათვის პეტერბურგში გაწვევას, რომლის შეთქმულებაში მონაწილეობაც ქვევით იქნება გამორკვეული.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საფიქრებელია, რომ მთავარ შეთქმულთ, უკვე მოასწრეს მოლაპარაკება, რაც აშკარად ეტყობა მათ პირველ ჩვენებებს, განსაკუთრებით ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის (მაგ. ცნობილ პირთა შეთქმულებაში მონაწილეობა) შესახებ. ამას შემდეგი გვაფიქრებინებს. შეთქმულების თაობაზე სამხედრო მინისტრ **ჩერნიშოვისადმი** თავის პირველ მოხსენებაში **როზენი** წერს, რომ თუმცა **იასე ფალავანდიშვილის** 9 დეკემბრის დასმენას იჭვის თვალით შეხედა, მაგრამ მაინც, საქმის გამორკვევის მიზნით, მეორე დღეს, ე. ი. 10 დეკემბერს მან დაიბარა თავისთან **ანტონ აფხაზი,** რომელმაც, თუმცა **ისე ფალავანდიშვილის** მიერ მიწვდილ ცნობებთან შედარებით ცოტა განსხვავებული ცნობები მისცა, მაგრამ, გამოირკვა, რაღაც ბოროტ განზრახულებას ჰქონია ადგილი, ამის გამო ღამე 10-დან 11 დეკემბერს დააპატიმრებინა **აფხაზი** და ზოგიერთი შეთქმულნი (№ 168,2). მაშასადამე, დაკითხული **აფხაზი** თითქმის ერთი დღე დაუპატმრებელი იყო, ხოლო პეტერბურგში მყოფი შეთქმულების მონაწილენი ორი თვის შემდეგ იქნენ დაკითხულნი, ე. ი. როდესაც მათ შეთქმულების გაცემის ამბავი უკვე იცოდნენ და მაშასადამე ამ ხანში ადვილად შეეძლოთ მისი კვალი დაეფარათ. **სოლომონ რაზმაძე** თავრიზში იყო და მხოლოდ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დააპატიმრეს, ტფილისში კი ორი თვის შემდეგ ჩამოიყვანეს, მაგრამ ამანაც დაპატიმრებამდე შეთქმულების ამბავი დაწვრილებით იცოდა, როგორც მას **გრაფ სიმონიჩის როზენისადმი** ფრანგულ ენაზე მიწერილი წერილი მოწმობს (საქართველოს ცენტრარქივის ფონდი № 163,99). რომ ტფილისში მყოფ მთავარ შეთქმულთ მაინც უნდა მოესწროთ მოლაპარაკება, ამას შემდეგი გვაგულისხმებინებს. დეკემბრის 11-ს **დოდაშვილისთვის** სხვათა შორის შემდეგი უკითხავთ: „წუხელ (сего числа ночью) თქვენ მისულხართ **იასე ფალავანდიშვილთან** და გამოგიცხადებიათ მისთვის, რომ **აფხაზი** კორპუსის უფროსთან არის დაბარებული, და რომ თქვენ შიშობთ მან არ უღალატოს თქვენს საიდუმლოებას, ამასთანავე დაგიმატებიათ: „მაშინ ყველანი დავიღუპებით“-ო. **დოდაშვილი** ამ კითხვაზე შემდეგს უპასუხებს: **აფხაზის** დედამ დამიბარა, ღამე გამაღვიძეს და წავედი მასთან:

იმან ძალიან მთხოვა წავსულიყავ პოლიცმეისტერთან მისი შვილის ამბის გასაგებად. მე წავედი, მაგრამ მას (პოლიცმეისტერს) ეძინა. იქიდან მე დავბრუნდი **იასე ფალავანდიშვილთან,** რათა გმეგო იქ ხომ არ იყო **აფხაზი. მან** მიპასუხა აქ არ არისო, მე ვიფიქრე პოლიცმეისტერმა ხომ არ დაამწყვდია ის პოლიციაში, რადგან მისმა დედამ მითხრა პოლიციაში მომენახა იგი, მაგრამ ეს არა მჯეროდა და არც წავსულვარ. **ფალავანდიშვილმა** მიპასუხ, რომ **ეს** შეუძლებელია, ის ალბათ **ჭილაშვილთან** იქნებაო. მე აქედან **აფხაზის** დედასთან წავედი. მან კვლავ მთხოვა გუბერნატორთან წავსულიყავ მის შვილის ამბის შესატყობად. წავედი გუბერნატორის მდივანთან და ვკითხე: შეიძლება თუ არა გუბერნატორთან შესვლა, მან მიპასუხა, რომ ეს უხერხულია უმჯობესია პოლიცმეისტერი გავაღვიძოთო; მე გავემართე მისკენ, გავაღვიძე მისი ხალხი, მაგრამ თვითონ მისი გაღვიძება კი ვერ გავბედეთ. აქედგან დაბრუნებული, წავედი **ჭილაშვილთან,** მაგრამ იქაც ვერავინა ვნახე, ეძინათ. მერე მივედი **აფხაზის** დედასთან, რომელსაც ეძინა. სხვა საუბარი არც **ფალავანდიშვილთან** და არც სხვა ვისთანმე არ მქონია. მასწავლებელი **სოლომონ დოდაშვილი. (I 24) ზაქარია ჩოლაყაშვილის** ჩვენებიდან ირკვევა, რომ დაპატიმრების დღეს ის ყოფილა **სოლომონ დოდაშვილთან,** სადაც აგრეთვე **ელიზბარ ერისთავიც** მისულა. **ამ** დროს ამათ უკვე იცოდნენ **ანტონ აფხაზის** დაბარება კორპუსის უფროსთან. ამ ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ შეთქმულებისთვის დაფარული არა ყოფილა მათი გაცემის საქმე, თუმცა მათ ამაზე უფრო ადრეც იცოდნენ, რომ მათი შეთქმულება მთავრობას გაგებული ჰქონდა. ამას **დიმიტრი ყიფიანისა** და **ალექს. ორბელიანის** ჩვენებებიც ადასტურებენ „მე უთხარ ჯერ **ვახტანგ ორბელიანს** და მასწავლებელ **ავთანდილაშვილს,** მერე მასთან ერთად ყოფილ „სოვეტნიკ“ **ალექსანდრე ორბელიანსაც,** რომ მე გავიგე მამიჩემის პრაპორშჩიკ **ფეოდოროვისაგან**[1]), რომ მან იცის მთავრობას მიუღია ცნობა,თი თქოს არსებობდეს შეთქმა თავადებს შორის“-ო. ამბობს **დიმიტრი ყიფიანი (XxIV, 4806.). ა. ორბელიანი** კი უჩვენებს: ქევხა **შიხილ-ალიასას** რომ მკითხავს კომისია. მართალია მოვიდა მითხრა, თქვენგნით რაღაც წიგნი გამოჩნდა **ბატოიშვილთან** მიწერილიო მე დაუშალე ნულარსად იტყვი მეთქი“ (11,206) ხოლო როცა **ალ. ორბელიანს ელიზბარ ერისთავისთვის** უთქვამს, რომ მისი **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მიმოწერა და ბორჩალოს თათართა შეიარაღება გამოცხდდა

---

[1]) **დიმიტრი ყიფიანის** მამობილი.

ის, **ელიზბარი**, იმ საღამოს ყოფილა **დოდაშვილთან**, სადაც მისი ოქ-
ბით „ამის შესახებ **დოდაშვილისთვის** არც არაფერი უთქვამს და
არცარა ღონება ყოფილა მიღებული შეთქმულების გამოცხადების
შემთხვევისათვის“ (III—373). მაგრამ რასაკვირველია, მსჯელობა
იმაზე ექნებოდათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თუ შეთქმუ-
ლება გამომჟღავნდებოდა. ყველა შეთქმულნი ერთდროულად არც
ყოფილან დაპატიმრებულნი. დეკემბრის 11 მხოლოდ 13 კაცი შეი-
პყრეს, სახელდობრ: **ანტ. აფხაზი, ზაალ ავთანდილაშვილი, სოლ.
დოდაშვილი, დიმ. ყიფიანი, ლუარსაბ, ალექსანდრე ვახტანგის ძე
და ვახტანგ ორბელიანები, იასე ფალავანდიშვილი, ზაქ. ჩოლოყა-
შვილი, გიორგი რევაზის ძე, დიმიტრი, ელიზბარი** და **ბიძინა ერის-
თავები**; აგრეთვე შეპყრობილნი საპატიმროებში ჯგუფ-ჯგუფად
იყვნენ მოთავსებულნი და ხშირად (რასაკვირველია შემთხვევით) ამა
თუ იმ ცალკე საზოგადოების ანუ ჯგუფის წევრნი, როგორც მაგ.
მასწავლებლები **ზაალ ავთანდილაშვილი** და **დიმიტრი ყიფიანი; ამი-
ლახვრები: ბეჟან, ბარძიმ** და **თეიმურაზი** და სხვები. აღსანიშნავია
აგრეთვე, რომ პატიმარნიც არ იყვნენ მოკლებულნი ურთიერთობას.
ამის შესახებ საგამომძიებლო კომისიის საქმეებში მასალა მრავლად
არის. შენახულია თეთრი სქელი ქაღალდი, რომელზედაც ნახშირით
მსხვილი ასოებით სწერია: „**მამა ფილადელფოს** ხარ თუ არა?“,
სოლომონ დოდაშვილი ხარ თუ არა?“, შენი **იარალი** დაიბარეს“
(4335—37). ამას თურმე პატიმარი **ტალიაშვილი** თავის ოთახიდან
უჩვენებია.

1833 წ. ივლისის 17-ს **მამუკა ორბელიანს** კომისიისათვის წა-
რუდგენია ფეხის ალაგზე ნაპოვნი ორი წერილი. პირველი მათგანი
შემდეგს შეიცავს: „ქ. იახშიოლ! ქეიფ იახშიდურ? ბიჭო რა დაგვ-
მართა ამ ხაზებს ტყვილათ რათ უსვამ. მე ვოპროსნი პუნქტების
ბეტი არა მიმილია რა შენი და ხომ არა მოგიწერია რა იმის უკან?
გამიგონე სამნი ვინლანიც გაუშვიათ მე კი მგონია აი ვინა **გარა-
თოვი, კარაპეტა მღვდელი**[1]) და მგონია რომ **მელნიკოვიც**. შენ რა
იცი? ვოობრაზი კომისიაში ვინ ვის ეარშიყებოდა ყველა იციან
ვის ულაყბია ეს გლუპოსტი ჩორტ ზნაეტ იმისი თავი და ტანი.
პეტრებუხში ქართველები ვირებივით სულ დაჭერილნი არიან ცი-
ხეში კი არა სასახლეში სხედან. მაგას წაუკითხეს ობვინენიე? ჩემი..
არაფერი ამბავია. რაც იცოდე ყველა განაცხადე გულის წმინდითა

---

[1]) ვინ იგულისხმება, ვერ გამოვარკვიე.

რომელიც დაგიხსნის შენ ბაკინბარდებით დაკიდებისაგანა. — ადიო, ოპდეზირ დე ვურ ვუარ“ (4332).

მეორე პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე წვეტიანი იარაღით ამოკაწრულია: „ეს კედელზედ ხაზი რათ იყო?“ (იქვე).

მიწერ-მოწერა ჰქონიათ **დიმიტრი ერისთავსა, მამუკა ორბელიანსა** და **დიმიტრი ყიფიანს,** რომლებთანაც ერთად იყვნენ დაპატიმრებული **ზაქარია ჩოლაყაშვილი** და **ამილახვრები: თეიმურაზ, ბარძიმ** და **ივანე.**

დიმიტრი ერისთავი უჩვენებს: „დიმიტრი ყიფიანთან მიმოწერა დავიწყე, როგორც მახსოვს,—ივნისში შემდეგნაირად: რადგან **ყიფიანი** საჭიროების გამო ჩვენს ფანჯარასთან გაივლიდა ხოლმე, ეოთხელ დაუყვირე, რომ ფეხის ალაგში ენახა ფანჯრის ქვეშითა კუთხეში, რისთვისაც იქ დაუდე ბარათი, რომელშიაც ვაცნობებდი, რომ მომავალში როდესაც კედელზე (—) ნიშანს ნახავდა, მოეძებნა დასახელებულ კუთხეში ბარათი და როდესაც მას აიღებდა (+) ნიშანი გაეკეთებინა. საიდანაც მე დავასკვნიდი, რომ ბარათი მან მიიღო. ამგვარად მე მივწერე მას, რამდენადაც მახსოვს, ხუთჯერ და მისგანაც ხუთჯერ მივიღე. რომლებიც დავხიე.

მამუკა ორბელიანს მხოლოდ ერთხელ მივწერე და არ ვიცი მიიღო თუ არა. რადგან მისგან არაფერი მიმიღია. ამ საშუალებებზე ხმა მაღლა ვლაპარაკობდი ჩემს ოთახში, რაც მას უნდა გაეგონა, ისე როგორც **ყიფიანმა** გაიგონა და ამიტომ დავდე წერილი ხსენებულ ადგილზე“ (4333).

„ორი სამი კვირის წინედ კედელზე დაწერილი სიტყვები, რომლებიც მე წავშალე, შემდეგს შეიცავდა: „შენა თქვი, რომ ვითომც შენი ძმისაგან გაიგონე, რომ მე წეთქნულებას მიმალავდენ, რადგან ეშინოდათ, რომ გავცემდი. კედლის მეორე მხარეზედაც იყო რაღაც ნახშირით დაწერილი, მაგრამ არ ვიცი რა იყო, რადგან მე ის უკვე წაშლილი ვნახე“-ო (იქვე), განაგრძობს **დიმიტრი ერისთავი.**

ეს ამბავი დადასტურებულია აგრეთვე **ზ. ჩოლოყაშვილის** ჩვენებაში, მაგრამ ყველაზე ცხადად **თეიმურაზ ამილახვრის** ჩვენებიდან ჩანს“... ერთი თვის წინათ როცა მე, კაპიტანი **ჩოლაყოვი** და **დიმიტრი ყიფიანოვი** ერთად. ვიყავით ერთ ოთახში დაჭერილნი კაზარმაში ზემო ეტაჟაში, ერთხელ ფეხის ალაგს რომ ვიყავ ვნახე იქ კედელზედ დაწერილი იყო „ქილას ქვეშ“ და რადგანაც იქ ერთი ქილაც ეგდო, გადმოვწივე ის ქილა და ავიღე ბარათი ქართულად დაწერილი, რომელიც ამოვიტანე ოთახში და მივეცი **ყიფიანოვს, ყიფიანოვმა** რომ წაიკითხა მე და **ზაქარია ჩოლაყოვთან** მაშინვე იცნო, რომ **დიმიტრი**

ერისთავისაგან იყო ის ბარათი და პასუხიც დაწერა ჩემთან და ჩოლაყოვთან და თითონ წაიღო ფეხის ალაგას. ამის შემდეგ ძგონია ოთხჯერ მიიღო **ყიფიანოვმა** ბარათები ფეხის ადგილიდან და თითონაც პასუხებსა სწერდა და ისევ მიჰქონდა, რომელსაც თვალით ვხედავდით მე და **ჩოლოყაშვილი**" (4340).

სხვა შეთქმულთაც ჰქონდათ კავშირი.

მაკარი ჯამბაკურ ორბელიანი[1]) აჩვენებს: „მე ველაპარაკებოდი ფანჯრიდან **დიმიტრი ერისთავს**.... თუმცა მისგან არავითარი ბარათი არ მიმიღია... აგურით ამოშენებული კარიდან ველაპარაკებოდი **თეიმურაზ ამილახვარს, ბარძიმ ამილახვარს, ჩოლაყაშვილს, ყიფიანს** და **ივანე ამილახვარს** (4418).

ზემოხსენებული **თეიმურაზ ამილახვარი** უჩვენებს: „ამა კომისიას მოვახსენებ, რომ როცა მე ვიჯექი ზევით ეტაჟაში კაპიტან **ჩოლაყოვთან** და უჩიტელს **ყიფიანოვთან** ერთად მაშინ ყოველთვის **მამუკა ორბელიანი** მეორის ოთახიდან გველაპარაკებოდა ჩვენ ს

თქვენ?". რადგან პასუხი ვერ მიიღო, იგივე კითხვა უფრო ხმამაღლა გაიმეორა, რაზედაც იყო პასუხი: მე **მამუკა** ვარ, თქვენ ვინა ხართ? და სხვა. მერე ყოველთვის ლაპარაკობდნენ". (4430).

მაგრამ პატიმართა ურთიერთობა, როგორც ჩანს, მარტო ამ შენახული ცნობებით არ განისაზღვრებოდა. მაგ., ალ. **ორბელიანი** თავის მოგონებაში წერს: "მე თუ მართლა თავი არ დამესუსტებინა[1]) და ჩემს **ზოგიერთს ამხანაგებამდისინაც არ მიმწევდევინებინა** რომ იმათ ისე ეთქოთ ჩემზე"-ო და სხვა (ყოფ. წერა-კითხვის საზოგად. ხელთნ. № 1569, გვ. 142).

აი ყველა ის გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს შეთქმულთ თავიანთი საქმიანობიდან მრავალი რომ დაეფარათ, დანარჩენი კი უფერულად მოეჩვენებიათ. ეს გარემოებანი განსაზღვრავენ საგამომძიებლო კომისიის მასალების ხასიათს. ამ გარემოებათა გათვალისწინებლად დაცული მასალების განხილვას მრავალი გაუგებრობის წარმოშობა შეუძლიან, მათი გათვალისწინება კი ამ მასალებს ნათელსა ჰფენს და მათით სარგებლობას აადვილებს.

---

[1]) ე. ი. თავი არ დამსუსტებინაო.

შეთქმულებისათვის მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია

1832 წლის შეთქმულების მასალები ძლიერ ცოტაა გამოქვეყნებული, რაც გამოქვეყნებულია ის კი არ არის შეთქმულების ბუნებისა და ზოცულობის სრული გამომხატველი. აღსანიშნავია, მხოლოდ **Акты Кавказской Археографической комиссии**, т. VIII სადაც დაბეჭდილია შეთქმულების მოკლე ისტორია და სასამართლოს განაჩენი:[1]). გამოქვეყნებულ მასალაში შეთქმულების მთავარი მომენტები გაკვრით არის აღნიშნული, მაშინ როდესაც სწორედ ამ მომენტების სათანადოდ გარკვევას დიდი ნიშვნელობა აქვს თვით შეთქმულების რაობის გასაცნობად. საერთოდ, როგორც ვთქვით, შეთქმულება ტენდენციურად არის განმარტებულ-წარმოდგენილი, რაც სათანადო მასალების გამოძზეურებით შესაფერ გაშუქებას საჭიროებს.

საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში საქმე ასეა წარმოდგენილი: პატივმოყვარე და მეოცნებე ქართველ ბატონიშვილთ თანსდევთ საქართველოს სამეფო ტახტის დაბრუნების აზრი; ისინი რუსეთში ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს ამ მიზნით თავში სულელურ აზრებს უნერგავდენ და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდენ. მათ მოახერხეს კიდეც ზოგიერთი ახალგაზრდის შეცდენა და ბოროტებაზე დაიყოლიეს. ამ ბოროტგანზრახულების საქმეს საქართველოში საძირკველი ჩაუყარა შემთხვევით ჩამოსულმა ოქროპირ **ბატონიშვილმა** 1830 წელს.

ამ შეკუმშული ცნობების გაფართოება და მაშასადამე შეთქმულების სამზადისისა და ჩამოყალიბების მომენტების, მისი განვითარების, გაცილებით ვრცლად წარმოდგენა შეიძლება.

აჯანყების მოწყობის აზრი პეტერბურგში დაბადებულა და შეთქმულების პირველი ჩანასახიც იქვე ყოფილა მოცემული, როგორც ეს შეთქმულების საქმეებიდან ჩანს.

აი რანაირ ჩვენებას აძლევს **დიმიტრი ერისთავი**: „1825 წელს ზე ჩავედი პეტერბურგში, ვცხოვრობდი **ფარნაოზ ბატონიშვილთან**

---

[1]) იხ. აგრეთვე „საქართველოს არქივი“ წ.-II, ჩემი და პროფ. მ. **პოლიევკტოვის** წერილები.

და ხშირად ვხვდებოდი **დიმიტრი ბატონიშვილს**, რომელთანაც ხშირად იყვნენ ხოლმე თავადები **გიორგი** და **ელიზბარ ერისთავები**. ის (ე. ი. **დიმიტრი ბატ-შვილი**) გვიამბობდა ჩვენ ისტორიიდან ამბების თავისუფლებაზე, რითაც ჩვენ, ასე ვთქვათ, მოგვამზადა და მერე **დიმიტრი** და **ვახტანგ ორბელიანების** ჩამოსვლის შემდეგ, ჩაგვინერგა რა ჩვენ აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათიც ნომზადება. მასთან ხშირად თავს ვიყრიდით: **ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ელიზბარი, გიორგი** და **მე ერისთავები**. **დიმიტრი ბატონიშვილი** ყოველთვის იწყებდა საუბარს საქართველოზე, და ამბობდა, რომ ქართველები ველური და გაუნათლებელი ხალხია, უმეცარ არიან და სხვა. ამით უნდოდა შეურაცხეყო ჩვენი თავმოყვარეობა და თავის ვანზრახვას კიდეც მიაღწია, რადგან ვის არ უყვარს თავის სამშობლო და არ გამოიდებს მისთვის თავს. ნან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შებრუნებით და უკვე აშკარად დაგვიწყო საქართველოზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი. პირველ საშუალებად ის ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების შედგენას, და განათლებისა და ამ საზოგადოების გავრცელებას აღიარებდა. ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის წინ, ე. ი. 1832 წ., მან განმიცხადა საიდუმლო მიწერის საშუალება, რომლითაც შეიძლება საკუთარი აზრის გადაცემა ისე, რომ მიმღებმა ის წაიკითხოს როგორც უბრალო წერილი. ასეთი საიდუმლო მიმოწერა წარმოებდა ამოჭრილი საფოსტო ქაღალდის ნახევარი ფურცლის საშუალებით" (XX, 3861).

ელიზბარ ერისთავის ჩვენებით **დიმ. ბატონიშვილი** ამბობდა: „საჭიროა ერთი ჩვენი ბატონიშვილთაგანი დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში წავიდესო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვშვრებით, რადგან ფინანსო გამბედაობა და საშუალება არა გვაქვსო. საქართველოში გამომგზავრების წინ მითხრა **დიმ. ბატონიშვილმა**: შენ მიდიხარ საქართველოში, და მე უკვე მოვასწარი ჩამენერგა შენთვის და სხვებისათვის, რათა ეცადოთ საქართველოს განთავისუფლებას, ეგებ შენ აქ იპოვო ჩვენი აზრის მატარებელი ხალხი. ჩემი გამხნევების მიზნით **დიმ. ბატონიშვილი** ხშირად მეკამათებოდა საქართველოზე და შიმტკიცებდა, რომ რუსებს არა აქვთ უფლება საქართველო ჰქონდეთო, რომელიღაც მანიფესტის ძალით. მერე მეუბნებოდა, თქვენ ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთო, აგრეთვე ამბობდა, რომ ამ საგნის გამო ტფილისში კარგა ხანია საზოგადოება არსებობსო". (იქვე).

გიორგი ერისთავი ამბობს, რომ: „კვირა-უქმე დღეებში **დი-**

მიტრი ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ქართველები; აქ იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე,—შეუძლიან თუ არა **მას** იყოს დამოუკიდებელი, — ხალხის უფლებაზე, ბატონების **მიერ** გლეხთა შევიწროებაზე და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი. ამისთვის საუკეთესო საშუალებად **ბატონიშვილი** განათლებას აღიარებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას აპირებდა; აქებდა ფრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველთ **და** აძაგებდა რუსებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, რომელთაც ბოშებზე უარეს ხალხს უწოდებდა"-ო. (583).

ამ კრებებს თავისი შედეგი გამოუღია.

შეთქმულების მასალებში შენახულია სხვათა შორის (1,829) შემდეგი შინაარსის ქაღალდი:

„წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევკარით კანდრახტი, ასე რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის იყოს შეჩვენებული ღვთისაგან.

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ **თავიდი დიმიტრი ერისთავი**

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი **გიორგი ერისთავი.**

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი **ელიზბარ ერისთავი**".

1828-სა წელსა

მაისის 13 დღესა

პეტერბურხში.

ლიედეინში ჟანდსკის სახლში".

ქაღალდს გაყრილი აქვს **წითელ** თავიანი ოქროს ქინძისთავი, ოქროსივე ძეწკვით და ორი ბეჭდით არის დაბეჭდილი.

ეს არის შეთქმულების პირველი **ფორმალური** ჩამოყალიბება, თუმცა ძალიან ვიწრო წრეში.

რასაკვირველია, დაკითხვის დროს კანდრახტზე ხელის მომწერნი უჩვენებენ, რომ ეს მათ შინაურ საქმეებს შეეხება და იქ ნახმარი საეჭვო სიტყვა „საერო"ასო„თ" შეცდომით გამოტოვების ნიადაგზე წარმოდგა-რაც აზრს, მართლაც, საფუძვლიანად ცვლის, — უნდა „საერთო" ყოფილიყოვო (V, 848), მაგრამ ეს მხოლოდ თავის მართლების ჩვეულებრივი ცდაა. ამ ხანში შეთქმულების საკითხი უკვე მომწიფებული ყოფილა და პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლის სტადიაში შედის.

კარგა ხანია ან ნიადაგზე **საქართველოშიც ეხმაურებიან.** საქართველოს ცენტრალური განსაკუთრებული მნიშვნელო-

ბის საქმეთა ფონდის საქმე № 167, გვ. 66 დაცულია **სოლომონ დოდაშვილის, ფილადელფოს კიკნაძისადმი** პეტერბურგიდან[1]) ნიჟნი ნოვგოროდში გაგზავნილი წერილი, სადაც სხვათა შორის წერს:

„**თქვენო** ღირსებავ
მოწყალეო ხელმწიფევ.
მამაო **ფილადელფოს.**

ღირს ქმნილი მიღებად უპატივცემულესისა ავთრათისა თქვენი სა...

მე მსურდა შეერთება აზმნობისა ჩემისა უმეტეს თქვენდამი... ტფილისში მაღალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება 1827 უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა მინისტრთან განათლებისა უფროსს მასწავლებლად ფილოსოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ, უკეთუ ღმერთი ინებებს იქმნება მინისტრმან წარმგზავნოს ტფილისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წასვლა, ჩემს კერძოდ არა სასიამოვნოდ არს თქვენი აქ დაახლოება, **მე ვაზმნობდი სხვასა რაისამე და ოდეს მთავრობისათანა სრულ ვჰყოფ მაშინ ძალმიძს** ცნობად თქვენდა, რომელი აწცა გაქვს იგივე და მსურდა თქვენი **მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა, არა შესახებელად მისსა, სადაც მე მაწესებენ, არამედ სხვაი ზმნობა არს სარგებლად მამულისა“.**

წერილი დათარიღებულია 1826 წლის 20 დეკემბრით.

ამ წერილში იმდენად ნიშანდობლივ არის ლაპარაკი, რომ შეუძლებელია მისი სხვანაირად გაგება, თუ არა ისე, რომ პეტერბურგში მყოფ ქართველთა შორის შეთქმულების უჯრედი უკვე ჩასახულა, და რაც უფრო საინტერესოა-საქართველოში ამ გვარი ამბის მოლოდინში ყოფილან.

თვით **ბატონიშვილთ ოქროპირსა** და **დიმიტრის** შორის ყოფილა ამ ნიადაგზე ურთიერთობა. 1830 წ. პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსულ **ელიზბარ ერისთავისათვის** აქ გაცნობილ **ოქროპირს** უთქვამს, რომ მას მისი ამბავი **დიმიტრი ბატონიშვილისაგან** აქვს გაგონილი (2082).

ერთი სიტყვით 1826-27 წ. წ. მუშაობა უკვე საკმაოდ გაღრმავებულა. ამის შემდეგ როგორ მიდიოდა შეთქმულების გავრცელების საქმე, პირდაპირი ცნობები აღარ მოგვეპოვება და მხოლოდ ბრალდებულთა არეული და არა სწორი ჩვენების მიხედვით დაახ-

---

[1]) ს. დოდაშვილი პეტერბურგში 1824—27 წ. წ. იმყოფებოდა.

ლოვებით გათვალისწინება ხდება შესაძლებელი, თუ როგორ უნდა წარმოებულიყო შეთქმულების შემდეგი განვითარება.

თუ ბრალდებულთა: **ალ. ორბელიანისა, ს. დოდაშვილისა და ელიზბარ ერისთავის** ჩვენებებს დაუჯერებთ — 1829 წლამდე, ე. ი. **ოქროპირ ბატონიშვილის** საქართველოში ჩამოსვლამდე, აქ შეთქმულებაზე არა თუ არავინა ფიქრობდა სერიოზულად, არამედ ამისთანა აზრი ოვითეულს ცალ-ცალკეც არა ჰქონია და მხოლოდ **ოქროპირს** აუმოქმედებია თავისი ჩაგონებით და პირველი ორგანიზაციის **მოწყობით.** ამას ყველა ესენი დაჟინებით გაიძახიან, მაგრამ მათს ჩვენებაში დიდი ეჭვის შეტანა შეიძლება.

პირველ ყოვლისა ყველანი **ამას** ერთხმად **ამბობენ, რადგან** სურთ ამით ინიციატორის როლის სხვისთვის მიკუთვნებით ამისთანა ბრალდება თვითონ თავიდან აიცილონ, და უფრო მეტიც, რომ თავისი თავი **ოქროპირის** შთაგონებათა და შეცდენათა მსხვერპლად გაასაღონ. საყურადღებოა, რომ არა მარტო **ალ. ორბელიანი,** რომელსაც, ყოველ შემთხვევაში შეეძლო ეთქვა ეს, რადგან მისი ადრინდელი მოქმედების კვალი არა ჩანს, არამედ თვით **სოლ. დოდაშვილი, ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავებიც,** რომლებიც პეტერბურგშივე ამაზე ემზადებოდნენ, აცხადებენ რომ ისინი **ოქროპირმა** შეაცდინა და პატიებას ითხოვენ. სხვა რომ არა იყოს რა შეუძლებელია **ს. დოდაშვილს** „სხვაი ზმნობა სარგებლად შამულისა" მხოლოდ **ფილადელფოსისთვის** გაეზიარებია და თავისი განზრახვა ამით შემოეფარგლა. ხოლო **ელიზბარი,** რომ საქართველოში შეთქმულების მოსაწყობად ჩამოვიდა, ამაზე პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება.

დიმიტრი ერისთავი ტფილისში მყოფ თავის ძმას **ელიზბარს** პეტერბურგიდან წერილს წერს, სადაც პოლონეთის აჯანყების მიმდინარეობას გადმოსცემს და ბოლოს თხოვს საქართველოს ამბები წეატყობინოს:"... ახლა გთხოვ, რომ მანდაურობის ამბავი წვრილათ **მომწერო, რატომ არა მწერ ბევრი მეგობრები გყავს თუ არა და ან როგორ გგონია შენი საქმისა. შენი ფიცრების ხერხის საქმე როგორ მიგდის კარგათ თუ არა შენი მეგობრის ბიძა სად არის და რასა იქს რა დეემართა მაგასაცა თავისი საქმე რატომ ასე ცუდათ მოჰყავს ასწავლე როგორმე.**

ბიძაჩემი **გიორგი** კნიაზი მომიკითხე, აგრეთვე **ქეთევან** -და **მამუკა** დავით **ჯორჯაძეს** უთხარ. რომ უნდა სცხვენოდეს **რომ** წიგნს არ იწერება.

ლუარსაბმა დიმიტრიმ და **ალექსანდრემ** მოგიკითხეს. **სულ** გა-

გინებენ რა **ურიდი** იყოო **აქ** **რა** **იმედს** **გვაძლევდაო** **წავიდაო** **და** **არც** **კი** **ვახსოვართო** **და** **იქნება** **აღარც** **აგონდებაო**" **(XIII, 2354). 1)**

ამ წერილის შესახებ იმავე რვეულში შემდეგი განმარტება გვხვდება: „თაჭის ძმა **ელიზბარისადმი** მიწერილი წერილის გამო დაკითხულმა **დიმ. ერისთავმა** აღიარა, რომ მასში მოხსენებული მეგობრის **ბიძა** არის **დიმიტრი ბატონიშვილის** ბიძა **ალექსანდრე ბატონიშვილი** და რომ წერილში ეკითხება შეთქმულების შესახებ, რაც ვითომც მხოლოდ კანცელარისტ **სტეფანე დოდაშვილისგან** ჰქონია გაგებული" (იქვე, 2377).

დიმიტრი ერისთავის მიერ ამავე წერილის გამო მეორეჯერ მიცემულ განმარტებაში ვკითხულობთ: „ჩემი ძმა წერილებს **ფარნაოზ ბატონიშვილის** სახელზე მწერდა, რომელიც მიღებისთანავე მაძლევდა. 1831 წ. **ფარნაოზ ბატონიშვილი** ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და მის სახელზე მოსულ წერილებს იქ ვგზავნიდი. ერთხელ მოვიდა წერილი საქართველოდან, რომელსაც ჩემი ძმის ბეჭედი ჰქონდა დასმული, ვიფიქრე, რომ ამ წერილს ჩემი ძმა **ფარნაოზ ბატონიშვილის ასულს** **სალომესა** სწერდა, რომელშიც ფიგურალური გამოთქმებით აცნობებდა, რომ აქაური ამბები კარგად მიმდინარეობს და ვფიქრობთ, რომ **ალექსანდრე ბატონიშვილი** **მალე** **მოვა**, მე ეს წერილი ცარსკოე სელოში გავგზავნე" (XIII 2391).

ამის გამო თვით **ელიზბარი** უჩვენებს: „1831 წელს პეტერბურგში ჩემს ძმას **დიმიტრის** ორაზროვანი სიტყვებით ნიშნიერი შეთქმულების დაწყების შესახებ, შემდეგ იმისგან მივიღე წერილი, რომელშიაც ის მწერდა პოლონეთის ამბებს; იმავე წერილში ძმა მწერდა, რომ **დიმიტრი ბატონიშვილი** **და** **ალექსანდრე** **ჩოლაყაშვილი** ჩემს უკმაყოფილო არიან და ვითომც ჯავრობენ და ამბობდენ პეტერბურგში ყოფნის დროს მე მათ იმედს ვაძლევდი და ამის ნაცვლად შეთქმულების სასარგებლოდ არაფერს ვაკეთებ"ო (XIII, 2393).

მეორე ადგილას კი ამბობს: „1830 წელს თებერვლის პირველ რიცხვებში პეტერბურგიდან ჩემი გამგზავრების წინ, **დიმიტრი** ბატონიშვილმა დამიბარა და მითხრა. „შენ ბიდიხარ საქართველოში და გახსოვდეს სიტყვები-რაც მე თქვენ ყველას ჩაგაგონეთ—რომ საქართველოს განთავისუფლებას უნდა ეცადოთ"-ო. ამასთანავე მომ-

---

[1]) წერილი 1831 წლის 15 აპრილს არის დაწერილი

[2]) **წერილში** ჩამოთვლილი პირები შეთქმულების მონაწილენი არიან ამათგან **ლუარსაბი** და **დიმიტრი** ბატონიშვილები არიან, **ალექსანდრე ჩოლოყაშვილი** **ზაქარიას** ძმაა, **მამუკა ორბელიანია, ქეთევან** გამოურკვეველია.

ცა ფოსტის ქაღალდის ნახევარი ფურცელი, რომელიც ადგილ-ადგილ ამოჭრილი იყო, ხოლო მეორე ამისთანა თვითონ დაიტოვა და მითხრა ამ ქაღალდის საშუალებით შემდეგში შენ მე მაცნობებ, რასაც ამ საქმის შესახებ მოასწრებო" (VII, 1154).

იქვე განაგრძობს: „იმავე წელს მივწერე **დიმიტრი ბატონიშვილს**, რომ **ალექსანდრე ორბელიანი** გავიცანი და შეთქმულების მოწყობის საქმეს შეუდექით; წერილის ბოლოში **ალექსანდრე ორბელიანმა დიმიტრი** ბატონიშვილის მოკითხვა მიაწერა. ამ წერილის პასუხი არ მიმიღია და შემდეგ კიდევ ერთხელ მივწერე იმავე შინაარსისა" (იქვე, 1155).

ამ ამბავს **ალ. ორბელიანიც** ადასტურებს; მას უჩვენებია, რომ **„ელიზბარ ერისთავს** ჰქონდა მიწერ-მოწერა **დიმიტრი ბატონიშვილთან**, სახელდობრ 1831 წელს აცნობებდა, რომ საქართველოში წედგა საზოგადოება და იწვევდა მას საქართველოში, რომ ერთ წერილში მან თვითონ მოკითხვა მისწერა, მეორე წერილი კი **ელიზბარმა** ან მხოლოდ წაუკითხა" (VII, 1134).

ლუარსაბ ორბელიანი თავის ერთ ჩვენებაში ამბობს: "... ამასთანავე **ჩოლაყაშვილმა** თქვა, რომ მან შეთქმულების ამბავი პეტერბურგშივე იცოდა საქართველოდან მიღებული წერილების საშუალებითაო" (1,117). (**დიმიტრი ბატონიშვილი** ტფილისში მყოფ თავის დას **თამარს** ერთ წერილში წერს: „მოიწერე რას აკეთებთ... **ელიზბარ** და **ვახტანგ** და სხვები როგორ ატარებენ დროს" (213). სამხედრო სასამართლოს სენტენციაში **ელიზბარ** ცნობილია") ტფილისის ბოროტგანმგზრახველთა შეთქმულების დამაარსებლად" (**Основатель тифлисского злоумышленного заговора** (XXVIII, 745).

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ **ელიზბარ ერისთავი** ზემომოყვანილ **ერისთავთა** შორის პეტერბურგში დადებული ხელშეკრულების ხელის მომწერია.

საქართველოსა და რუსეთში მყოფ შეთქმულთა შორის მიმოწერა უკანასკნელ დრომდის არ შეწყვეტილა. ცენტრარქივის ძველ საბუთთა არქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში საქმე № 711 შენახულია **გრიგოლ ორბელიანის** ძმის **ზაქარიას გრიგოლისადმი** შემდეგი შინაარსის წერილი: **„გრიგოლ!** შე ეს ორი კვირაა რაც აქა ვარ ღვთის მოწყალებით კარგა მშვიდობით და ჩვენებიც სულ კარგათ არიან. შენ გახდამ! საქმეებისაგან ვერ ნოვიცალე... ვცდილობ, რომ ვალები გადავწყვიტო, ვგონებ, რომ შევიძლო კიდეც. სხვებრ საქმეში რომ არ ვიყო გართული აქა, ხეუჩნათ ვიქნებოდი. **ლუარსაბისას**, თუმცა შეიყრებიან ხოლმე, მაგრამ ხში-

რად კი არა, **მანანას**[1]) აქ ველარ ვხედავთ, აქა გული აღარ უდგება—

Все у **Мельникова**, не знаю для какой цели. Ея фофорит теперь **Дмитрий Эристов.** Приезжай сюда и привези разные нужные вещи, если у тебя денег нет займы; мы здесь заплотим. Ноябрь 16-го дня. (გვ. 52).

წერილი 1832 წელს უნდა იყოს დაწერილი, რადგან **დიმიტრი ერისთავი**, რომელიც აქ იხსენება, პეტერბურგიდან ამ წელს ჩამოვიდა. ვფიქრობთ შემცდარი არ ვიქნებით, თუ ამ წერილის შინაარსში შეთქმულების საქმის ინფორმაციას დავინახავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გრიგოლისადმი** დავალება, რომ „საჭირო ნივთები ჩამოიტანოს“.

როგორც რუსეთიდან მომავალ ისე რუსეთში მიმავალ ქართველებს ევალებოდათ ადგილებზე მყოფ ქართველ შეთქმულებთან ამ საქმის გამო ურთიერთობა ჰქონოდათ. მაგ. **გრიგოლ ორბელიანზე**ელ. **ერისთავი** და **ალ. ორბელიანი** ამბობენ, რომ ის თანახმა იყო შეთქმულების თაობაზე ურთიერთობა ჰქონოდა **ოქროპირ** და **დიმიტრი ბატონიშვილებთან.**

ელიზბარი“... 1831 წლის ივნისს **გრიგოლ ორბელიანი** ჯარის კაცებთან ერთად პეტერბურგში გაეგზავნა, მე მას სიტყვიერად დავაბარე **დიმიტრი ბატონიშვილისათვის** ჩვენს განზრახვაზე ყველაფერი ეამბნა. წერილიც მინდოდა გადამეცა, მაგრამ მან უარი თქვა, რადგან პეტერბურგში გვიან ჩავიდოდა, ხოლო სიტყვიერად ყველაფრის გადაცემა აღმითქვა“ (XI. 1917).

ალექსანდრე:... შემდეგ ამისა რუსეთს მოემზადა წასასვლელად **გრიგოლი**, და ჩვენ უთხარით, ახლა რომ მიხვალ მოსკოვს, და პეტერბურლს, **ოქროპირ ბატონიშვილთან** და **დიმიტრი ბატონიშვილთან** იქონიე შეერთება და ლაპარაკი ამ ჩვენს განზრახვასა ზედა რომელიც აღგვითქვა აგრე აღვასრულებო“ (იქვე, 1918).

თვით **სოლ. დოდაშვილმა** და **ალ. ორბელიანმა** კი შეთქმულების ჩამოყალიბება **ოქროპირს** შემდეგი წერილით აცნობეს:

„თქვენო უგანათლებულესობავ საქართველოს შეფის ძე ოქროპირ

უმოწყალესო ხელმწიფევ!

მდაბლად თავის დაკვრას და ხელზედ კოცნას მოგახსენებ, თქვენს უძვირფასეს სინრთელეს ვისურვებ ყოვლითა სულითა ჩემითა და

---

[1]) 1 **ორბელიანი მანანაც** სხვა ქალებთან ერთად მონაწილეობას იღებდა.

მრავალს წელს სიცოცხლეს; ბატონიშვილო! არ ვიცი რომელი დრო იქმნება, განგრძელდება ეს დრო, თუ ახლო არის, რომელსაც ყოველი გონება ჰზრახავს, მოძრაობასა შინა და მოქმედებასა არს..... როდის გიხილავთ მამულსა შინა. თუმცა აქამომდე გახლდი მდუმარე და არ ვაცხადებდი წინაშე უგანათლებულესობისა თქვენისა სიყვარულსა თქვენსა, გარნა ამის გამო ნუ ჰგონებთ, რომელ თქვენც დავიწყებული ჰბრძანდებოდეთ ჩემგან. მე ყოველთვის მახსოვხართ, და მაქვს გულსა შინა დამარხული **წინადადებანი თქვენნი** ყოვლისა დროსა შინა სწავლათა გარდაცემისასა.

ამ წიგნის მოწმეთმევი გახლავსთ მღვდლის შვილი,[1]) ამის მამა **ბატონისშვილს ალექსანდრეს** ახლავს. ეს გიახლებათ პეტერბურგს **ფარნაოზ ბატონიშვილთან,** და ინებეთ უბრძანოთ თქვენს მოსამსახურეთ, უჩვენონ გზა წარსვლისა.

უკეთუ ინებებს თქვენი უგანათლებულესობა და მაბედნიერებს ამბითა, ჩემთვის იქმნება დიდი სიხარული.

თქვენის უგანათლებულესობის მოწყალის ხელმწიფისა
მარადის მსურველი სიმრთელისა.
უმორჩილესი მოსამსახურე და მონა **სოლომონ დოდაევი**"-
სექტენბრის 18-სა
1833-სა
ტფილისი.

თქვენო უგანათლებულესო
ოქროპირ ბატონიშვილო

მოწყალეო ხელმწიფევ.

ღმერთსა ვთხოვ თქვენს მშვიდობას ისე ვითარცა თქვენ გსურთ, უკეთუ ჩემს ამბავს მოიხსნებთ ამა წიგნისა მომტანი მოგახსენებთ ჩემს ვითარებას, მე და **სოლომონ ივანიჩი**[2]) დიდათ მეგობრები გახლავართ ასე როგორც თქვენ იცნობთ. დიახ კარგად გახლავართ სულ... ღვთით იმედი მაქვს ჩქარა გნახოთ. თქვენი მონა მარადის.

თქვენი მამიდაშვილი **ალექსანდრე ორბელიანოვი**". (რვ. XXVI, 5272).

ოქროპირი ტფილისიდან სისტემატურად იღებდა ცნობებს შეთქმულების მიმდინარეობაზე. ის **დიმიტრი ერისთავს** ეუბნება: „შენ მიდიხარ საქართველოში, მე იქ უკვე ველაპარაკე **სოლომონ დოდ**ა-

---

[1]) ლაპარაკია **ტალიაშვილზე**.
[2]) **დოდაშვილი**

შვილს, შენს ძმას **ელიზბარს და ალ. ორბელიანს**, რათა საქართველოს განსათავისუფლებლად ახალგაზრდების საზოგადოება შეადგინონ, გთხოვ შენც ბიიღო მასში მონაწილეობაო". (645-6). ამასთანავე უთხოვნია ცნობების მიწოდება შეთქმულების მდგომარეობაზე. იმავე წელს მოსკოვში გავლილ **დიმიტრი ორბელიანს ოქროპირი** შეთქმულების წევრებად ზემოჩამოთვლილთა გარდა **ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გიორგი ერისთავსაც** უსახელებს (4996. 5002, 5005).

შეთქმულების დაწყების ამბავს თავის მოგონებაში ალ. **ორბელიანი** ასე გადმოგვცემს[1]: „რუსეთიდგან მოსული ყმაწვილი კაცები და მე, ამ საქმისთვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: (პირველი მე მკითხეს)[2]) როგორ დავიწყოთო—ეი ჩემი პასუხი: ეს საქმე ჩვენის მეტმა სხვამ არავინ უნდა შეიტყოს, ამისთვის რომ მინამ გარემოება თავის თავად არ მოიტანს საქმეს, არას გზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ეხლანდელს ქართველებში... ამასობაში პოლშა აიშალა, ზედ დატანებით კიდევ რუსეთიდგან მოვიდა[3])... და შეუდეგით საქმეს დიდის გულმოდგინებით ისე რომ მშობლის მამულის მეტის სიყვარულით, ავად ვსაქმობდით თუ კარგად ველარა გავიგეთ რა, ისე რომ ეს ჩემი თავი ალარ მოვასვენე იმ საქმეში, და ისინიც კი ჩემი ამხანაგნი, დიდი მცდელნი იყვნენ ამ საქმის ნამეტნავად **თავადი ელიზბარ შანშეს ძე ქსნისა ერისთვის შვილი**, რომელიცა ყველას ჩვენზედ უპირველესი მცდელი ის შეიქმნა" და სხ. (ყოფ. წერაკითხვის საზ-ის ხელთნაწ. №1659).

თუ მოვიგონებთ, რომ პეტერბურგში **დიმიტრი ბატონიშვილი** ყველა საქართველოში მომავალს საზოგადოების შედგენასა და გავრცელებას ავალებდა, ძნელი დასაშვები არ იქნება, რომ ს. **დოდაშვილს** უკვე ასეთი საზოგადოება ჰყავდა **ელიზბარის** ჩამოსვლამდის. ყოველ შემთხვევაში **ფილადელფოსს** თავის მხრივ უკვე ჰყოლია ხალხი შეძენილი და ურთიერთ შორის მიწერ-მოწერაც გაუმართავთ. მაგ. **დავით ერისთავი ფილადელფოსს** ერთს წერილში წერს „**შენი წერილი მებოძა, რომელიც ავანტყოფი მწოლიარე ალმადგინა სარეცელით. შე ულმერთოვ პატარა ადრე მოგეწერა, რა მადლი გინდოდა...**

გარდა ამისა ცხენს ნუ იყიდიო, ადრევე მოგახსენე. **ორ** გინდა

---

[1]) მოგონება დაწერილია ცოლთან საუბრის სახით.

[2]) ეს სიტყვები თვით ავტორს მოუქცევია ფრჩხილებში.

[3]) ამ სიტყვის შემდეგ თავისუფალი ადგილია დატოვებული, ალბად რომელიმე შეთქმულის გვარი უნდა დაეწერა, მაგრამ რაღაც მოსაზრების გამო ალარ დაუწერია



ერისთავთა შორის პეტერბურგში დადებული
ხელშეკრულება

ცხენის ყიდვა მეთქი. და არ დამიჯერე და ახლა ამას მოგახსენებ. ჩემი ცოდვა გქონდეს თუ როდესაც ცხენი დაგჭირდეს აქედგან დამიბარო (?). რა დაგემართა აგრე უნდა ერთობა... თუ დიდი დამაბრკოლებელი საქმე არა გქონდეს ცხენებს მოგართმევ და ამოიდ და მნახე დიდი საქმე მაქვს შენთან. ალარ გახსოვს რა ერთი დრო არის განვლილი რაც შენთან ლაპარაკი არა მქონია.

მოგილოცამ ურაითუბანს[1]) ყოფნა და სხვას ალაგებშიაც, მძიმედ იყავ რა გინდა ჩემგან.

შენი დავით ერისთავი

ოკდონბრის 8-სა.

არ მეგონა ქალაჩუნა ჰყოფილხარ აკი ანბობდი რომ რასაც შენ შეტდვი იმას ვიქო, აკი გითხარ შიშია ახალი ანბანვი რაც იცოდე მაცნობე (VII, 128).

ასეთი მდგომარეობაა 1829 წლის შემოდგომამდე. ამ დროისთვის საქართველოში ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილი, მას თან მოჰყვება ელიზბარ ერისთავი 1830 წ., და შეთქმულებას უკვე მტკიცე ორგანიზაციის საფუძველი ეყრება.

ვისგან შედგებოდა ეს პირველი ორგანიზაცია შეთქმულნი პირდაპირ არ ასახელებენ. გარდა **ალ. ორბელიანისა.** ის ამბობს, **რომ ოქროპირ ბატონიშვილი:**

„მოჰყვა ესრეთ, აქ ბევრნი კარგნი პატიოსანნი კაცნი არაან, რომ იმათ ენდოთ, და კარგს რჩევასაც მოქცემენო, **პირველი** დიახ ჭკვიანი კაცი არის **ჭავჭავაძეო**[2]) და განათლებული, და ჩვენის გულისთვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთშიაო ამისი ნდობა შეიძლებაო. და კარგს განკარგულებას მოახდენსო, და **ფცხო** ზაგოვორს გააკეთებსო. მეორე აქ კიდევ **ელიზბარ ერისთავი** არისო, ისიც კარგი ჭკვიანი ყმაწვილი კაცი არისო, მესამე კიდე **სოლომონ დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი ისიც იყაბულებსო,** აი ესენი ბევრ კაცს იშოვნიანო, და მასუკან, წყნარ-წყნარ მოხდება ჩვენი საქმეო.. ესეც მითხრა **თამარ ბატონიშვილისა** დიახ ჭკვიანი დედაკაცი არისო, მე მგონია ისიც აყაბულებსო“ („რვ. 1. 137 გვ.):

ეს ამბავი 1830 წელს ეკუთვნის. ამ დროს **ელიზბარი** საქართველოშია ჩამოსული. **ალ. ორბელიანის** ეს ცნობა უნდა შეეხებოდეს შეთქმულების აზრის მატარებელ სხვადასხვა პირთა და, შეიძ-

---

[1]) სოფელია კახეთში.

[2]) **ალ. ჭავჭავაძეზეა** ლაპარაკი.

ლება, ჯგუფთა ერთ მთლიან ორგანიზაციაში შედუღება - შეკავშირებას.

ელ. ერისთავი უჩვენებს, რომ მას ტფილისში შეთქმულთა ორგანიზაციის შემქმნელმა **ოქროპირ ბატონიშვილმა** შემდეგი ინსტრუქცია მისცა: „განსაკუთრებით ახალგაზრდებში უნდა ეძიოთ შეთქმულებისათვის გამოსადეგი ხალხი, პირველად ნაცნობობით უნდა დაიწყოთ, მერე დაუმეგობრდეთ, გაიგოთ შეძლებისდაგვარად მისი თვისება, შეუძლიან თუ არა საიდუმლოების დაცვა და ბოლოს ისიც გაიგოთ დაწვრილებით, თუ როგორი აზრისაა მთავრობაზე, ხოლო შემდეგ გაუმჟღავნოთ შეთქმულება ძალიან ფრთხილად, აუცილებლად მარტოს". ამასთანავე **ოქროპირი** არწმუნებდა **ელიზბარს**, რომ ეცდება საქართველოში დაბრუნდეს და მაშინ თვითონ იმოქმედებს როგორც საჭიროა. იქამდე კი აუცილებელია ახალგაზრდების გაცნობა და მათთვის შეთქმულების ფრთხილად გამჟღავნება (2082).

რასაკვირველია, აქ ყველაფრის დამნაშავედ **ოქროპირი** განეგებარის გამოყვანილი ეს საქმე ადგილობრივ მზადდებოდა და **ოქროპირ ბატონიშვილი** მხოლოდ საბაბი გახდა, შესაკრებ პუნქტად გადაიქცა. მისი სახით, როგორც ვთქვით, შეთქმულთა გაერთიანება მოხდა, თორემ ყველა საქართველოში ჩამოსულ ქართველს ამგვარი იდეა თან ჩამოჰქონდა ხოლო **ელიზბარ ერისთავს** კი საგანგებოდ ჰქონდა დავალებული მეთქმულების ორგანიზაციის მოწყობა და **ოქროპირ ბატონიშვილი** ხელის შემწყობი იყო და არავითარ შემთხვევაში ამის მთავარი მიზეზი იგი არა ყოფილა, როგორც თვით **ელიზბარიც** კი უჩვენებს, რომ იგი **ოქროპირმა** ჩაითრია ამ საქმეში. ან ყოველ შემთხვევაში განგებ იყო მოწყობილი შეთქმულებისათვის საძირკვლის ჩამყრელთა **ოქროპირ ბატონიშვილის** მეთაურობით საქართველოში თავის მოყრა.

საბოლოოდ დასკვნა ასეთი შეიძლება: **1829 წლის შემოდგომისათვის შეთქმულების მოწყობის ყოველგვარი წინასწარი სამზადისი თავდება და მთლიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბება მზადდება, რასაც ამ საქმისთვის რუსეთიდან ჩამოსული ოქროპირ ბატონიშვილი (1829 წ.) და ელიზბარ ერისთავი (1830 წ.) აგვირგვინებენ 1830 წლის დასაწყისში.**

კარგა ხანია ამ ნიადაგზე საქართველოშიც ეხმაურებიან.

საქართველოს ცენტრარქივის განსაკუთრებული მნიშვნელო-

შეთქმულთა ორგანიზაციის შემადგენლობა, წარჩინებულ ქართველთა და უცხოელთა მონაწილეობა

როგორც ვთქვით **ალ. ორბელიანი** არ ასახელებს პირველი ორ-**განიზაციის** წევრთ, მაგრამ მასალებიდან შემდეგში ირკვევა, რომ ტფილისის ორგანიზაციის აქტიურ წევრად და ხელმძღვანელად საბნი იყვნენ: 1 თვითონ **ალ. ორბელიანი,** რომელიც მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობდა. შეთქმულებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი მას არ აცდებოდა, ის მუშაობის ცენტრია, ყველა შეთქმულთ ან უშუალოდ, ან რომელიმე მთავარი შეთქმულის საშუალებით მასთან აქვთ აუცილებელი ურთიერთობა. ის მუდმივ ტფილისში იმყოფება. შეთქმულებასთან დაკავშირებული არც ერთი გარემოება, არც ერთი საკითხი, რომელიც კი შეთქმულების დაკითხულ წევრთა მიერ იყო დასახელებული, ან ამა თუ იმ სახით წამოიჭრა კომისიაში, **ალ. ორბელიანის** გარეშე არ არის განხილული, რადგან უიმისოდ შეთქმულთა ძიერ აოც ერთი საკითხი არა ყოფილა გადაწყვეტილი. თვით **ელიზბარ ერისთავი,** როდესაც ტფილისიდან მიდიოდა სადმე შეთქმულების გასავრცელებლად, თავის მოქმედების შესახებ ინფორმაციას ტფილისში მყოფ შეთქმულებს **ალ. ორბელიანის** საშუალებით აწვდიდა. აი რასა წერს **ალ. ორბელიანი სოლდოდაშვილს** უთარიღო წერილში: „...„ელიზბარის წიგნი მოგვივიდა. ხვალ საღამოზე გიახლებით და მოგახსენებთ“ (II, 226).

შენახულია აგრთვე მისი ერთი წერილის ნაგლეჯი: „ბიძინავ[1]) დიახ კარგი ამბები ვიცი, და როცა გნახავ მაშინ გეტყვი ხომ შეიტყე რაც არის თუგინდა **შალვასაც**[2]) უთხარ.—თქვენი ძმა **ალექსანდრე ორბელიანი** 1831 წ. ივლისის 13. ტფილისი“ (295).

უფრო საინტერესოა მისივე ამავე **ბიძინა ერისთავისადმი** მეორე წერილი:

„უსაყვარლესო ძმაო **ბიძინავ**.

---

[1]) და [2]) **ერისთავები** არიან.

შენი შეუძლებლობა შევიტყე დიდათ შავწუხდი მაგრამ ძალიან სუსტი ხარ, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას, ვიცი აქაურ ამბავს მოიხსენებ წუხელის ჩირაღდანი იყო ვარშავიდ აღებისათვის, მაგრამ ვარშავა კი ომით არ აუღიათ, იმათი ჯარი გასულა, და ქალაქი ისე დაუნებებიათ, და შემდეგ ვნახოთ კიდევ რა იქნება ნგონია ჯერ კიდევ ვერ გადაწყდეს ღმერთმა უკეთ იცის. ეს იკმარე დიახ საჩქაროთ ვწერ.

შენი ალექსანდრე ორბელიანი.

კე სექტემბერს ჩყლა (1831) წელსა ტფილისში" (297).

ალ. ორბელიანი შეთქმულთ საჭირო შემთხვევაში ტფილისშ ც წვევდა ხოლმე.

თეიმურაზ ამილახვარი უჩვენებს: „იქმნება ერთს თვეებდის ჩემა ძმამ მომიტანა წიგნი **ალექსანდრემ** მომცაო, იქ მწერს როდესაც ეს წიგნი მოგვიდეს დაუყოვნებლად შენ ჩამოდი და თან ჩამოიყვანე შენი სახლის კაცი **ბარძიმ ამილახვაროვი**, დიდი საჭირო საქმე მაქვსო. ეს იყო დაწერილი თითონ **ალექსანდრესაგან** მისივე ხელმოწერილი და ბოლოსაც ეწერა **იასე ფალავანდოვი**" (1.121).

ჩვენება მიცემულია 1832 წლის დეკემბრის 17-ს. მაშასადამე, ერთი თვის წინად ესენი **ალექსანდრეს** დაუბარებია, ალბად აჯანყების 20 ნოემბრისათვის დანიშვნასთან დაკავშირებით დირექტივების მისაცემად. **გიორგი დავითისძე ერისთავის** ჩვენებით მას დაღესტანში ლაშქრობის წინ **ფილადელფოსისათვის** მიუწერია: „რაც დავჭირდეს **ალექსანდრე ორბელიანს** მისწერო" (III, 381) იმავე ჩვენებაში ამბობს:" ანბანი*) თავად სოვეტნიკ **ალექსანდრე ორბელიანისთვის** არ ამიხსნია. მაგრამ ლაშქრობაში წასვლისას, ამა წლის ვაზაფხულზე, მას უთხარი, რომ მე მივწერე **ფილადელფოს** ბერს, რათა საჭიროების დროს მიმოწერა იქონიოს თავად სოვეტნიკ **ალექსანდრე ორბელიანთან**". (იქვე, 381).

2. სოლომონ დოდაშვილი, რომელიც ალ. ორბელიანთან ერთად უმეტეს შემთხვევაში ტფილისში იმყოფება და შეთქმულების ყველა საკითხებს უმთავრესად ეს ორნი სწყვეტენ. **დოდაშვილის** მთავარ მოვალეობას შეადგენს საპროპაგანდო ნაწილი ლიტერატურული გზით. **ალ. ორბელიანი** იმპერატორ **ნიკოლოზ პირველისადმი შეწყალების** თხოვნაში სხვათა შორის წერს:" უფლის **სოლომონ დოდაევის** საქმენი განმაკვირებდნენ, ესრეთ, რომ **დოდაევი** იყო გლეხი კაცი, და ახლა მთავრობის მიერ, აჰყვავებული იქნა, და ამა

*) ფილადელფოსის მიერ შედგენილი საიდუმლო ანაბნი იგულისხმება.

ბოროტს განზრახვასა ზედა ვითარ ფიცხლად იქნებოდა. რომელიც განმაშტერებდენ მისნი ესრეთნი საქმენი“-ო (XXV 5050).

3. **ელიზბარ ერისთავი,** რომელიც ამ სამეულის წევრია და უმთავრესად ტფილისის გარედ მყოფ წევრებთან და ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხებს აწყობს, ქმნის ადგილებზე შეთქმულების წევრთა კავშირს. უკანასკნელ დროს ესეც მუდმივ ტფილისში იმყოფება. თავის მოგონებაში **ალ. ორბელიანი** წერს: „ჩემი ამხანაგნი დიდი მცდელნი იყვნენ ამ საქმისა, ნამეტნავად თავადი **ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთვისშვილი** რომელიც ყველას ჩვენზედ უპირველესი მცდელი ის შეიქნა“-ო (ყოფ. წერა - კითხვ. საზოგ. ხელთ ნაწ. №1659). შეთქმულების განხორციელების გზაზე შედგომის ჩანს იგი საერთო უფროსად და ხელმძღვანელად იქნა არჩეული (II, 191).

ალ. ორბელიანი კომისიის კითხვაზე უპასუხებს: „როგორც მე მახსოვს, არ ვიცი სად იყო, რომ ჩვენმა საზოგადოებამ პირველად დამდვეს ვალად, რომ შენ იყავ ჩვენი ნაჩალნიკი.—მე დიახ პატივისცემით დავითხოვე იმათი წინადადება შემდეგ **იასეს**[1]) სთხოვეს იმანაც დაითხოვა, და მასუკან მგონია, როგორც მახსომს, **ელიზბარ ერისთავმა** იკისრა, მე ვიქნები თქვენი კომანდირიო-ამაზე მეტი არ მახსომს რომ სხვა ყოფილიყოს ვინმე. და ჩვენი ზაგოვორის თავი **ელიზბარი** იყო, ამისთვის რომ, დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი“. (VI. 1068).

რომ შეთქმულების მოწყობ - გამავრცელებელი სამეული ბართლაც დასახელებული სამი პირისაგან შედგებოდა, ამას **ვახტანგ ორბელიანი** ადასტურებს. ის ამბობს: „ჩემი ძმა **ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი** და **დოდაშვილი** ხშირად ჩაიკეტებოდნენ ხოლმე ოთახში და იქიდან დიდხანს არ გამოდიოდნენ“-ო. შემდეგ უმატებს „ჩემი ძმა **ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი** და **დოდაშვილი** ცდილობდნენ შეთქმულების გავრცელებასა“-ო (1,131). **ლუარსაბ ორბელიანი** უჩვენებს: „მე ხშირად დავიარებოდი ჩემს დისწულ **მელნიკოვის**[2]) ცოლთან ხშირად ვკითხულობდი **ელიზბარს,** მაგრამ ყოველთვის მიპასუხებდნენ, რომ ის **ალ. ორბელიანთან** არის, ყოველ დღე და ღამე ორი სამი საათი იქ, **ალექსანდრე ორბელიანთან** იყო ხოლმე **ელიზბარ ერისთავი“** (1,117).

რასაკვირველია არც ამ სამის მუშაობით განისაზღვრებოდა შეთქმულთა მუშაობა და არც დასახელებულთა შრომით შემოიფარგ-

---

[1]) **ფალავანდიშვილი**

[2]) **ანდრია მელნიკოვი,** ტფილისის პოლიცმეისტერი, შეთქმულების მონაწილე.

ლებოდა ამ პირთა საქმიანობა. შეთქმულთა ერთი ნაწილი უახლოეს მონაწილეობას იღებდა შეთქმულების მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავება - გადაწყვეტაში, ხოლო მიმდინარე საქმეებს დასახელებული სამეული განაგებდა. **ს. დოდაშვილის** ჩვენებით, როდესაც **ელიზბარი** ტფილისში არ იყო ხოლმე, საქმეები შეჩერებული იყო. დიდ მონაწილეობას იღებს აგრეთვე **იასე ფალავანდიშვილი** გარკვეული დროიდან, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანში, ის თითქმის შეთქმულთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შტაბის აუცილებელი წევრია.

ყორლანაშვილის ჩვენებიდან ვტყობილობთ, რომ **ი. ფალავანდიშვილთან:** „დადიოდნენ მრავალი კაცი დღისითაც და ღამითაც მაგრამ იმის კამპანია ყოველღამე იყვნენ **ალექსანდრე** და იმის ძმა **ვახტანგ თეკლე ბატონიშვილის** შვილები და **ელიზბარ** და თავის ძმა **დიმიტრი ერისთვიშვილები,** და ღვარდიის აფიცერი **გიორგი ერისთვიშვილი, დოდაევი, სტეფან მოურავიშვილი ავთანდილოვი, ზაქარია ჩოლოყაშვილი** ყოველთვის ესენი ღამით შეიყრებოდნენ და შავიდოდნენ ცალკე ოთახში კარს მიკეტდნენ და თავისთვის ლაპარაკი ჰქონდათ და არ ვიცი თავიანთვის რა დაწყობილობა ჰქონდათ“ (III, 382).

უნდა აღინიშნოს, რომ შეთქმულთა მოქმედება მარტო ტფილისით არ შემოიფარგლებოდა. მათ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთში და სპარსეთში მყოფ ქართველ და მათი აზრის დანარჩენ მოზიარეებთან. ჰქონდათ აგრეთვე მიწერ-მოწერა საქართველოში მყოფ შეთქმულების თვალსაჩინო წევრებთან, როგორც მაგალითად, **ფილადელფოს კიკნაძესთან,** ისევე როგორც ამ უკანასკნელს ჰქონდა ასეთივე გამართული სხვა წევრებთან. თელავის მაზრა **ფილადელფოსთან** მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა.

ი. მაგ.. რასა სწერს **დავით ერისთავი ფილადელფოსს:** „თურმე საქმეზედ მიწერ-მოწერა გაქვსთ და მე კი არას მატყობინებთ, უეჭველად სარწმუნო უნდა ბრძანდებოდეთ“.. და სხვა (ცენტრ. არქივის განსაკუთრ. მნიშვნ. საქმ. ფონდის საქმე № 170, გვ. 374). დაწერილია 1830 წლის მაისის 27-ს. როგორც ამ საქმეში დაცული მიმოწერიდან ჩანს კახეთის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით თელავის მაზრა, **ფილადელფოსთან** მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა შეთქმულების გამო, ხოლო შემდეგში (1832 წ.) **გიორგი დავითის ძე ერისთავი** და **ფილადელფოსი,** ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანის საშუალებითი ურთიერთშორის გაცხოველებულ მიმოწერას აჩაღებენ.

ამნაირად 1830 წლისათვის უკვე არსებობს შეთქმულების

ცენტრი ტფილისში **ალ. ორბელიანის, ს. დოდაშვილისა** და **ელ. ერისთავის** შემადგენლობით. ხოლო ადგილებზე არიან სათანადო ორგანიზატორები, როგორც მაგ., შუამთაში **ფილ. კიკნაძე**, რომელიც ამავე დროს ცენტრთან მჭიდრო კავშირშია. **გ. დავითის ძე ერისთავი** სხვათა შორის უჩვენებს, რომ **ფილადელფოსმა** „აკტი გონიერი"-ს გადაცემის დროს უთხრა მას: „იცის **ჭავჭავაძემ**... და სხვა და.... **დაებადა აზრი კახეთში სხვა საზოგადოების არსებობაზე"** (2024, 3490). მაგრამ ამას უფრო ცხადად ქვემომოყვანილი გვიჩვენებს. საპყრობილეში მასთან ერთად დამწყვდეულ მღვდელ **მესხიშვილისა** და **ნათალიშვილისათვის ფილადელფოსს** უთქვამს:

„ოდეს იყო საქართველოსა... **მეფის ძე ოქროპირ** გამომიცხადა მე ჰაზრი საქართველოსა შინა მეფობის აღდგენისა, რომელ უკეთუ საქართველოსა შინა მოხდების რაიმე აღრეულობა ანუ წინააღმდეგობა, მაშინ ხელმწიფე როსიისა დაუტევებს საქართველოსა, და თუ ამ საგანზედ ეცდები შენ როგორმე ხალხის შეგონებას და აღდგება საქართველოსა შინა მეფობა, მაშინ რომელს ეპარხიაზედაც გსურს მღვდელ მთავრად გაკურთხებო და სასწავლებელს მოგანდობო; ამაზედ გვქონდა ლაპარაკი მე უთხარ **ოქროპირსაო** ეგ ჰაზრი სხვათ ვინც იციან თუ არ გამომიცხადებ მე გაგცემ, მაშინ **ოქროპირმა** მითხრაო ეს საქმე იციან **შაჰზადასთან**[1]) **რომ** ლევრი(?) არი იმან, ეგრეთვე აქ **რომ** ფრანცუცია[2]) რომელ ქართულსაც სწავლობს იმან **და** ერთი ეგრეთვე წვერნაღები მოხუცი კაცი დადიოდა იმანაც იცის **და** **პიარფირი** ბერმაო და სხვამ არავინ იცისო, შემდგომად როდესაც წავიდა **ოქროპირ** და მე კახეთში წავედი, რამდენსამე ხანს უკან ვიყავ თელავს და მიველ თავადს **აბელ ჩოლაყაევთან,** რომელიც იდგა **ივანე ღვდლის** სახლში, იმ დროს **აბელ** დადიოდა გარეთ ბალკონზედ შეწუხებული და ოხრამდა, მე ვკითხე რა მიზეზი, მან მითხრა: „ამდენს ტანჯვასა და მწუხარებაში ვართ და ყველრებაში **რომ** სათქმელი რამე გვინდოდეს სიმართლე ხმას ვერ ამოვიღებთ და **როგორ** არ შევწუხდეო". მერე მე უთხარ მაგის საშუალებას უნდა ეცადნეთ. **და** შეიძლება განთავისუფლება **და** უთხარ **აბელსაო** **როგორც** შესაძლებელი **იყო** ეს საქმე, მიერიდგან **იყო** **აბელი** იმ თადარიგში, **რომ** ფშავ-ხევსურეთის ხალხი უნდა მოებირნა **როგორმე** **და** **ივანე ერისთავი**

---

[1]) **შაჰზადას** ვინაობა ვერ გამოვარკვიე ვინმე ლეკი უნდა იყოს და კითხვის ქვეშ დასმული სიტყვაც უნდა იკითხებოდეს „ლეკი".

[2]) საფრანგეთის საკონსულოს მდივანი **ლეტელიე** იგულისხმება.

რომ ჭარში მიდიოდა მაშინ იმ ხეობებში დაბრკოლება თუ რაღაც მომხდარა, ისიც **აბელის** დარიგება იყოვო, რომ მეზობლები არიან იმ მხარის ხალხი და ნუ მოვიმდურებთო (ვითომც **აბელს** ეთქვას და ასე შეეგონებინოს ხევსურებისათვის) და თოფის წამლისათვისაც ფული გაუგზავნა **აბელმა** მთაშიო. ამავე აზრზე მყვანდა ჩემი ნათლიმამა **ნოდარ ჯორჯაძე** გამზადებული თავის სამოურაო ხალხის დიდებით, რომ ისინი დაღესტანსაც აურევდენო, და კვალად ამ აზრზე ლაპარაკი გამოუცხადე ღანერალ მაიორს ჭავჭავაძეს და უთხარ ზემოხსენებული თადარიგები. **მაშინ ჭავჭავაძემ მითხრა სხვანიც არიან თადარიგში და სახელები კი არ მითხრაო.** გარდა ამათსა სხვებსაც ალეგორიულად რამდენსამე უთხარო, როგორც **რევაზ მაყაევს,** აგრეთვე სხვათა თავადაზნაურთა და გლეხთაცა, რომ სირცხვილია თოფ-იარაღი არ გაქვთ რიგზედ დაწყობილი ამდენი მტერიანობა არი როგორი ყმაწვილი კაცნი ხართ და ამგვარად რამდენთამე ჰქონდათ თადარი. **გიო, ეგრეთვე ხიზიყში იმედი მქონდა, რომ კაცნი მყვანდნენ იმისთანანი, რომელნიც შესძლებდნენ გალმა ლეკებისა და გამოღმა ხალხის არევას** და კახელი გლეხკაცობისა ადვილი იყო ყველგან ამითი, რომ ეთქვა სალდათს ითხოვენ მაშინვე აირეოდნენო, აგრეთვე **დავით ერისთავს** უთხარი იმავე აზრის წასამართებლად არაგვზე წადიო და იქაურს ხალხს კარგად ეჩვენე, რომ ისინიც მზად იყვნენ და ის **დავითიც** იმ თადარიგში იყოვო. ერთ დროს **ჩოლოყაანთსა** ვიყავით წირვაში მიწვეული არხიმანდრიტები, თავადები და სამღვდელოებანი, იქ თავადებმა სადილის უწინ მომიტაცეს და ხელხელ დავყვანდიო, მერმე როცა მოვბრუნდით იქ სადაც სადილი იყო მომზადებული მე უთხარ თავადებს აგრე მომატებით ჩემს პატივისცემას ნუ აგრძნობინებთ ხალხში ამიგდეთ, რადგან არხიმანდრიტები ჩემზე უფროსნი არიან, შურს აიღებენ და ვაი თუ სხვა რიგად იფიქრონ რამე და საშიშიაო, ხოლო როდესაც პატარა **გიორგი ერისთავი**[1]) ვნახე ჩოლაყაანთ სახლში და მითხრაო ჩვენ რამდენიმე ვართ და გვსურს მამულისათვის სასარგებლო რამ და გვაქვს ამაზე შეკრებილობაო, ეს აზრი რომ გავიგონე რომ ჩემ აზრსა გვანდა მაშინ აღუთქვი აკტის მიცემა და იმგვარად ალეგორიით ვილაპარაკეთ, რომ ისიც მიხვდა **და** მეც ერთმანეთის აზრსა, ამოიარა მონასტერში **გიორგიმ** და მივეცი **აკტი** და თუმცა იქ ეწერა კანონი თუ როგორ ერთს მეორისათვის **გამოეცხადებინა,** მაგრამ **როგორც მე მქონდა კახეთში დაწყობილი** რომ ჩემს მეტმა და იმის მეტმა არავინ იცოდენ ვისაც მე ვეუბნებო-

---

[1]) **გ. დავითიხ ძე ერისთავი**—დრამატურგი.

დი, ესე იგი იმათ ერთმანეთისა არ იცოდნენ, თუ სახელდობრ რომელმა იცოდა ეს საქმე და რომელმა არა". (3696—98).

რომ შეთქმულთა სხვადასხვა ჯგუფები ნამდვილად არსებობდა ამას **იასე ფალავანდიშვილიც** ჰმოწმობს: „სოვეტნიკმა[1]) მითხრა, რომ ეხლა ორი საზოგადოება იქნება, ერთი გენერალ მაიორ **ჭავჭავაძესი, ლუარსაბ ორბელიანითურთ**, ხოლო მეორე **გენერალ მაიორ თავად მუხრანსკისა**"-ო. (3346).

ამგვარად ტფილისის ცენტრი აერთიანებდა შეთქმულთა სხვადასხვა ჯგუფებს და საზოგადოებებს, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო მოწყობილი.

შეთქმულთა ჯგუფებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბების შემდეგ იწყება გეგმიანი მუშაობა განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. პირველ ყოვლისა **ალ. ჭავჭავაძე** იძლევა წინადადებას **ალექსანდრე ბატონიშვილთან** კავშირის გაბმის შესახებ. ეს საქმე **ალ. ორბელიანს** ევალება, რომელიც მეორე **ალექსანდრე (გიორგის ძე) ორბელიანის** დახმარებით სპარსეთში **ალ. ბატონიშვილთან** თათარს ჰგზავნის და ატყობინებს რა ქართველ შეთქმულთა განზრახვას, მოუწოდებს მას, რათა აჯანყების დაწყებისთანავე კახეთში შევიდეს. **ხოლ. დოდაშვილი, ელ. ერისთავისა და ალ. ორბელიანის** მიერ გამხნევებული, იწყებს საპროპაგანდო მიზნით ქართულ ჟურნალის გამოცემას. იწერება ლექსები და თხზულებები საქართველოს მდგომარეობაზე, თავისუფლებაზე და თავდაცვის საჭიროებაზე.

ჰქმნიან რა შეთქმულნი შინაურობაში მტკიცე კავშირს, ურთიერთობას აბავენ ზოგიერთ უცხოელებთან და ლიბერალურად განწყობილ საქართველოში მყოფ რუს მოხელეებთან, მაგრამ ამაზე ქვევით. ჯერ შეთქმულთა მუშაობის მეთოდები გავარკვიოთ. როგორც უკვე ნათქვამი იყო, შეთქმულთ კარგად ჰქონდათ მოწყობილი საიდუმლოების დაცვის საქმე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **ფილადელფოს კიკნაძის** მიერ მოგონილი საიდუმლო ანბანი, — თუმცა ძალიან მარტივი, — რომლითაც ის აწარმოებდა შეთქმულებთან მიმოწერას და რომლითაც **გიორგი ერისთავის** მიერ **ფილადელფოსისადმი** მიწერილი ორი მნიშვნელოვანი წერილია დაწერილი.

ფილადელფოსს საიდუმლო ანბანი სცოდნიათ აგრეთვე მასწავლებელს **დიმიტრი ყიფიანს (III, 375)** და **დავით ერისთავს** (XV 2900). საიდუმლო აზრების ერთი-მეორისათვის გასაზიარებლად შეთქმულთ ქონდათ აგრეთვე პირობითი გამოთქმები. შეთქმულების

---

[1]) ე. ი. ალ. ორბელიანმა.

საქმეებში დაცულია **დიმიტრი ერისთავის** ქალალდებში ნაპოვნი პატარა ბარათი (XIII, 2544), რომელიც **ოქროპირ ბატონიშვილისაგან** ჰქონდა მიღებული. ბარათი შეიცავს ამა თუ იმ ერის ან პირის გამოცვლილ სახელს საიდუმლო მიზნებისათვის, მაგალითად Розен [1]) — ვარდი А. Царович[2]) — ბულბულზ, Мухран[3]) — ყვავი, французы — ბუმბულიანი, ნარჩიტა, Пруcаки — სასტიკნი, Австрийцы — ფილოსოფოსნი Русские — მხეცნი — Р(=Русский) Царь — ლომი. Англичане — ლოთნი, Ан (=Аглийский) Король ბახუსი, Турция—მაჰმადი, Армяне — ოჰაოზნელი (შეჩვენებულნი). **დიმიტრი ერისთავის** ჩვენებით: „შეთქმულების შესახებ“ ყველა გამოთქმები ფიგურალური იყო, ისე რომ უცხო ადამიანს მისი გაგება არ შეეძლო“ (XXI, 4139).

საიდუმლოების დაცვის მიზნითვე შეთქმულნი ერთი მეორეს „მეგობრებსა“ და „ეროდებს“ უწოდებდენ, როგორც ეს **დიმიტრი ერისთავის ელიზბარისადმი** წერილიდან ჩანს:“... რატომ არა მწერ ბევრი **მეგობრები** გყავს თუ არა და ან როგორ გგონია შენი საქმისა... **ლუარსაბმა, დიმიტრიმ, და ალექსანდრემ** მოგიკითხეს სულ გაგინებენ რა **ეროდი** იყო“.. (XIII 2354). შეთქმულნი „ეროდებად“ იწოდებიან აგრეთვე **დიმიტრი ბატონიშვილის** თავის და **თამარისადმი** წერილებში (5277—5303).

მაგრამ ყველაზე უფრო შემდეგია საინტერესო: **ელ. ერისთავისთვის** საქართველოში წამოსვლის წინ **დიმიტრი ბატონიშვილს** ფოსტის ქალალდის ნახევარი გადაუცია, რომელიც ალაგ-ალაგ ამოჭრილი ყოფილა და რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საკუთარი აზრის გადაცემა ისე, რომ მიმღებს ის წაეკითხა სხვისთვის სულ სხვა რაირად, ხოლო თვითონ კი ასეთი ფურცლის საშუალებით ისე გაეგო. როგორც საჭირო იყო „1830 წელს, პეტერბურგიდან გამომგზავრების წინა დღეს, რადგან **დიმიტრი ბატონიშვილს** ვიცნობდი, ამიტომ მომცა მან საფოსტო ქალალდის ნახევარი, რომელიც ალაგ-ალაგ ამოჭრილი იყო და მითხრა ამ ქალალდის საშუალებით შემეტყობინებინა მისთვის, რაც საქართველოში მოხდებოდა“-ო ამბობს **ელიზბარ ერისთავი** (III, 371).

1832 წლის დასაწყისში პეტერბურგიდანვე გამომგზავრებული **დიმიტრი ერისთავისთვისაც** საიდუმლო მიმოწერისვე საწარმოებ-

---

[1]) კავკასიის კორპუსის უფროსი.

[2]) **ალ. ბატონიშვილი.**

[3]) **მუხრან ბატონი**



ფილადელფოს კიკნაძის მოგონილი ანბანი.

ლად **დიმიტრი ბატონიშვილს** ამოჭრილი ქაღალდი გადაუცია (1296). ამისთანა ნიმუში თებერვლის 21-ს მოსკოვში გამოვლის დროს **მას ოქროპირ ბატონიშვილისთვის** დაუტოვებია, რომლისაგან სამაგიეროდ ზემოდმოყვანილი პირობითი გამოთქმები მიუღია.

ხსენებული ამოჭრილი ფურცლის ნიმუში მიუცია **ელ. ერისთავს** საგამომძიებლო კომისიისათვის, რომელიც საქმეებშია დაცული, მაგრამ ნამდვილად ასეთი იყო იგი თუ არა ძნელი სათქმელია; არც იმის გამორკვევაა შესაძლებელი, თუ ამ ფურცლით რა ნაირად სარგებლობდენ, ან საიდუმლო რაში მდგომარეობდა. ამ ნაირად დაწერილი საბუთი არ არის გადარჩენილი, თუ შემდეგს არ მივიღებთ მხედველობაში—ცენტრარქივს განსაკუთრებულ საქმეთა ფონდის № 170 საქმეში გვ. 448 შენახულია ერთი წერილი, რომლის აზრიც 1926 წ. საქმეზე მუშაობის დროს ვერ აღმოვიკითხე და იგი აღნიშნული მქონდა როგორც გაურკვეველი შინაარსის წერილი. ხსენებული ამოჭრილი ფურცლის აღმოჩენისთანავე, ვცადე მისი საშუალებით ამ წერილის წაკითხვა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: ფურცელი მას არ მიუდგა. საგულისხმოა, რომ როგორც **დიმიტრი ერისთავის** ჩვენებიდან ჩანს **დიმიტრი ბატონიშვილს** მისთვის საქართველოში გამომგზავრბეის წინ უთქვამს, რომ მის **(დიმ. ბატ.) მიერ ელიზბარის თვის** გადაცემული ამოჭრილი ქაღალდის ნიმუში, რომელიც მას ჰქონდა საიდუმლო მიმოწერის საწარმოებლად, დაუკარგავს და **დიმ. ერისთავისათვის** ახალი, სხვანაირი ამოჭრილივე ფურცელი გადაუცია იმავე მიზნისათვის (1296, 2543, 645, 646). ასე, რომ საქმეში ამჟამად დაცული ფურცელი არ ვიცით რომელი ბათგანის ნიმუშია და ზემოხსენებული წერილიც შეიძლება სწორედ მეორის, **რომლის** ნიმუშიც შენახული არ არის, საშუალებით წაიკითხებოდეს; ან ეგებ ეს სულ სხვა ნიმუშითაც იყოს დაწერილი, სწორედ იმით, **რომლ**ითაც საქართველოში ყველა შეთქმულნი, ან და, შეიძლება, შეთქმულთა რომელიმე ჯგუფი აწარმოებდა მიმოწერას.

აი ეს საიდუმლო წერილიც:

გიხაროდენ მამანო.

სულო ჩემო დღეს. იყო ერთმა ნეთზედ მეგობარმა მყოფი მითხრა სწორე იგი არის წყეული შენ.

გამოუცვლიათ ცა. ხარ. და ცვლიათ და შეც ვიცი და ეგ ეკლესია არავინ იცის ქრისტე იქ იყო ფორესთვის.

მიუბარებიათ თუ არა მაცნობე სწორეთა, შენით ასე.

არის და არა სხვით მერწმუნე გარწმუნებ.

(ცენტრ. განს. მნიშვნ. საქმეთა ფ. № 170 გვ. 448).

ამ წერილის შინაარსი შეთქმულების საქმეს უშუალოდ არ უნდა ეხებოდეს, მაგრამ როგორც საიდუმლო მიმოწერის ნიმუში, საინტერესოა. წერილის წაკითხვა ძალიან ძნელია, მაგრამ აზრის მიხვედრა სხვა ცნობების მოშველიებით შესაძლებელია. სხვათა შორის საქმეებში (1, 892) იხსენიებიან **იერომონახი ქრისტეფორე** და **არქიმანდრიტი სოფრონიოსი**. ამ უკანასკნელთან **ფილ. კიკნაძეს** უკმაყოფილება ჰქონდა. წერილის შინაარსი ამ ორი პირის საქმეს უნდა ეხებოდეს. ამასვე ადასტურებს ტფილისიდან **ფილადელფოსისადმი** მიწერილი ერთი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ **სოფრონიოსს ფილადელფოსი** ეგზარხოსთან დაუბეზღებია და წერილის ავტორი ატყობინებს, რომ მათმა წრემ შესძლო დაბეზღების გაბათილება, მოსალოდნელია **სოფრონიოსის** გადაყენება და მონასტრის **ქრისტეფორესთვის** ჩაბარება. აქ სხვათა შორის ვკითხულობთ:.... „ამბობენ, რომ ეგ მონასტერი მიბარდეს თავისუფლად შენს საყვარელს **ქრისტეფორეს**, მე კი ცნობა კარგი არა მაქვს, და ამას იქით შენით მოხდება და **სოფრონ** დაითხოვენ. ერთი ცდილობს წინააღმდეგს უკეთუ ის ცდა არ დააბრკოლებს... მაშინ მშვიდობით იქნებით"[1]. (VII, 1236).

გ. დ-ძე ერისთავის ერთ ჩვენებაში ვკითხულობთ: „ჩემი თელავში ყოფნის დროს **თ. დავით ერისთავმა მისწერა ფილადელფოსს** წერილი, რომელიც შეიცავდა მისი ბიძის არქიმანდრიტ **სოფრონიოსის** შესახებ, რომ ვითომც ის გადაყენებულია მისი თხოვნით, ხოლო იგუმენად ბერი **ჩოლაყაშვილი** დაუყენებიათ, ამაში პირველი არ გამართლდა, რომ **სოფრონიოსი** გამოცვლილია, იგუმენობა კი **ჩოლაყაშვილმა** მიიღო"-ო (V, 827).

ამ ცნობების შემდეგ წერილი ასე შეიძლება წავიკითხოთ:

„გიხაროდენ მამანო.

სულო ჩემო. დღეს ერთმა მეგობარმა[1]) მითხრა: ის წყეული გამოუცვლიათ, — და მეც ვიცი, — ეგ ეკლესია **ქრისტეფორესათვის** მიუბარებიათ. მაცნობე სწორეთა ასე არის თუ სხვით. მერწმუნე, გარწმუნებ".

საფიქრებელია, რომ ეს სწორეთ ის წერილია, რომელიც **გ. ერისთავის** მოწმობით **დავით ერისთავს ფილადელფოსისათვის** მიუწერია და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ხელთ გვაქვს შეთქმულთა ერთი ჯგუფის შორის საიდუმლო მიმოწერის საინტერესო ნიმუში.

სიფრთხილისა და საიდუმლოების დაცვის მხრით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „აკტი გონიური"-თ გათვალისწინებული საიდუმ-

---

[1]) ეს სიტყვა შეთქმულების წევრს უნდა აღნიშნავდეს.

ლოს დაცვის ხერხი და გაცემის შემთხვევაში შეთქმულების ყველა წევრთა აღმოჩენის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებელი საშუალება. გარდა ამისა შეთქმულთა კრებები ნადიმის სახით იმართებოდა ხოლმე. შეწოღებული იყო მორიგეობით მასპინძლობა, ჯერჯერით იკრიბებოდნენ ხან ერთსა და ხან მეორე შეთქმულთან და ნადიმის დროს შეთქმულების მიმდინარე საკითხებს იხილავდენ.

შეთქმულთ სიფრთხილეს ავალებდა აგრეთვე დეკაბრისტების მაგალითი რუსეთში და სწორედ ამ სიფრთხილის წყალობით იყო, რომ ისინი შედარებით ადვილად გადარჩნენ, მოახერხეს რა მთავროებისათვის შეთქმულება ზერელე და უსაფუძვლო ეცნებათ მოეჩვენებინათ.

ეხლა გამოვარკვიოთ ვინ იღებდა შეთქმულებაში მონწაილეობას, გამოიძიების პროცესში დაკითხულთაგან დასახელებულია როგორც შეთქმულების მონაწილე 145 კაცი. საგამომძიებლო კომისიის მიერს ეს პირნი დანაშაულის მიხედვით გაყოფილი არიან ათ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ისინი ეკუთვნიან „რომლებმაც თავისი შთაგონებით ბოროტგანზრახულობას დასაბამი მისცეს“, ე. ი. **ოქროპირ** და **დიმიტრი ბატონიშვილები.**

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან: „შეთქმულების წამქეზებელნი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვისა და თვით აჯანყებისათვის“ („... Которые были зачинщиками заговора и возбуждали к оному или даже к самому бунту“) ე. ი. ოთხი კაცი: **ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ვახ. ძე ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი და სოლომონ დოდაშვილი.**

მესამე ჯგუფს ეკუთვნიან: „ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“. სულ 8 ადამიანი: **თამარ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ლუარსაბ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი (რევაზის ძე), მოლა ზამანი, ალექსანდრე ბატონიშვილი და მოლა მაჰმადა.**

მეოთხე ჯგუფს ის პირნი ეკუთვნიან, რომელნიც „განზრახულის თანახმა იყვნენ, მაგრამ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ, ან იღებდენ მონაწილეობას შეთქმულებაში მისი არსებობის ერთ ერთ წელში, აჯანყების მოწყობის განზრახვა კი მხოლოდ ნაწილობრივ იცოდენ“. აქ სულ 12 კაცია ჩამოთვლილი, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ და აჯანყების განხორციელების აზრი მათთვის უცნობი იყო; განსაკუთრებით **ფილადელფოს კიკნაძეზე** ამის თქმა როგორ შეიძლება!

მეხუთე ჯგუფში ისინი არიან: „ვინც განზრახულს ეთანხმებოდნენ და სხვა არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ“ სულ 6 კაცი.

მეექვსე ჯგუფს ეკუთვნიან: „ვინც იცოდნენ შეთქმულების ამბავი, და-რომლებზედაც დიდი იჭვის მიტანა შეიძლება, რომ მას კიდეც ეთანხმებოდნენ“ სულ 7 კაცი.

მეშვიდე ჯგუფს — „ვინც იცოდა შეთქმულება, მაგრამ არ ეთანხმებოდა“ სულ 17 კაცი.

მერვე ჯგუფს: „ვიზედაც შეიძლება იჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ.“ 11 კაცი.

ამ ჯგუფში ჩამოთვლით სხვებს რომ თავი დავანებოთ, ტფილისის ყოფილი გუბერნატორის **ზავილეისკისა** და საფრანგეთის საკონსულოს მდივნის **ლეტელიეს** მონაწილეობა, როგორც ქვევით იქნება დასაბუთებული, ეჭვს გარეშეა.

მე-9 ჯგუფს — „ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა მონაწილეობაში, ამ ბოროტგანზრახული საუბრის მოსმენაში“ — 31 კაცი.

დასასრულ მეათე ჯგუფს — „ის პირნი, რომლებზედაც არავითარი ეჭვის მიტანა არ შეიძლება“ სულ 47 კაცი.

ამ უკანასკნელი ორმოცდა შვიდი კაციდან მხოლოდ ერთად ერთი იტორიკოსი **მ. ბროსეს** დასახელება იწვევდა ეჭვს, რადგან ეს იყო დამყარებული იმ ჩვენებაზე, რომ **თეიმურაზ ბატონიშვილს** მიმოწერა აქვს პარიჟში მყოფ ქართული ენის მცოდნე ვინმე ფრანგთან. მაგრამ ახლად აღმოჩენილი მასალები ადასტურებენ, რომ **ბროსეს** ქართველთა შეთქმულებაში ერთგვარი მონაწილეობა მართლაც უნდა ჰქონოდა. კავკასიის მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარიის №359 საქმეში, რომელსაც სათაურად აქვს: „პარიზიდან ა/კ. გამომგზავრებული სომხური ენის პროფესორის **ლევანიანის** და ვინმე **ბროსეს** სომხეთში და საქართველოში სამეცნიერო მგზავრობის აღკრძალვის შესახებ“, დაცულია გრაფ **ნესელროდესა** და **ბარონ როზენის** შორის საინტერესო მიმოწერა.

ნესელროდე სწერს **როზენს**: „პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, სომხური ენის პროფესორს **ლევალიანს** [1]) და ვინმე **ბროსეს** განზრახული ჰქონიათ საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით სომხეთსა და საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში აღრეულობის თესლის მიმობნევა და ჯაშუშური მოღვაწეობა.

ბ. ბროსემ რამოდენიმე წლის წინად დაიწყო მიმოწერა ს. პე-

---

[1]) საქმის სათაურზე ლ ე ვ ა ნ ი ა ნ ი სწერია.

ტერბურგში ცხოვრებ **თეიმურაზ ბატონიშვილთან**..... ის ურთიერთობაშია აგრეთვე იმერეთის უკანასკნელი მეფის **სოლომონის** ძმისწულებთან **ვახტანგ** და **ტარიელთან**, რომელნიც კონსტანტინეპოლიდან პარიჟში ჩავიდნენ თავშესაფარის საძებნელად, თავის სამშობლოში 1820 წ. აჯანყების მოხდენის ცდის შემდეგ.

ბ. ბროსე თავის სიტყვებში არა ჰბალავს, რომ მისი იმერელ თავადებთან ურთიერთობა მისი პოლიტიკის გარეშე არ დგას (.... в речах своих дает заметить, что связи его с Имеретинскими князьями не чужди его политики). ის მათ ქართულ ენაზე აცნობებდა რუსეთისათვის არახელსაყრელ ცნობებს იმათ სამშობლოში აღრეულობის დროს, და ამასთანავე, როგორც ამბობენ, აიმედებდა მათ, რომ დაუბრუნდებოდათ სამემკვიდრეო მამული საფრანგეთის მთავრობის გავლენით, და ამით როგორც ჩანს ისინი გააჩერა პარიზში"... და სხვა.

ნესელროდე თხოვს **როზენს** არ დაუშვას ხსენებული პირები ამიერ-კავკასიაში. როგორც ვხედავთ **ბროსეს** შეთქმულებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ნიადაგს მოკლებული არ არის.

თუ როგორ ადვილად ანთავისუფლებდა კომისია ამა თუ იმ პირს პასუხისგებისა და მაზედ ეჭვის მიტანისაგან, ამას შემდეგი ცხად ჰყოფს.

ავიღოთ უკანასკნელი ჯგუფის პირველივე პირი **ალავერდა თათარი**. მის შესახებ სწერია: „სოვეტნიკი **ორბელიანი** აჩვენებს, ვითომც პორუჩიკმა **ალ. ორბელიანმა** უთხრა მას, რომ მან იშოვა თათარი, რომელიც შეიძლება **ალექს. ბატონიშვილთან** გაიგზავნოს. სოვეტნიკი **ორბელიანი** წავიდა **პორ. ალ. ორბელიანის** სახლში, სადაც, როგორც ახსოვს, იყვნენ **ელიზბარი** და **გიორგი ერისთავები**, აგრეთვე შავწვერიანი **თათარი**, რომელსაც **ალავერდას** ეძახდნენ. **პორ. ალ. ორბელიანი** მოელაპარაკა რა თათარს ცალკე, გამოაცხადა, რომ ის სპარსეთში უბილეთოდ წასვლაზე უარს ამბობსო, რის გამო იგი აღარც გავგზავნეთო. **ელ. ერისთავი** ამ გარემოებას ადასტურებს, **გიორგი** კი ამბობს, რომ არ ახსოვს, ხოლო პორუჩიკი **ალ. ორბელიანი** წერილობითი და სიტყვიერ ჩვენებებში ამტკიცებს, რომ მას **ალ. ბატონიშვილთან** თათარი **ისმაილას** ბეტი არავინ გაუგზავნია; ამის გამო კომისიამ ვერ შესძლო ვერც ამ პირისა და ვერც მისი შეთქმულებაში მონაწილეობის გამორკვევა". (საქმე №167,59).

იმავე ჯგუფის მეორე პირზე **ბეჟან ამილახვარზე** სწერია: „**ი. ფალავანდიშვილის** მიერ დაწერილ აჯანყების პირველი ღამის განკარგულებაში **ბეჟან ამილახვარი** დანიშნული იყო სხვებთან ერთად არსენალში, ხაზინაში და ორდონანს ჰაუზში 50 კაცით. **ი. ფალა**

ვანდიშვილი განმარტავს, რომ მან ბეჟან **ამილახვარი** შეიტანა პირველი ღამის განკარგულებაში მხოლოდ სოვეტნიკ **ორბელიანის** სიტყვით. სოვეტნიკმა უარჰყო ეს ჩვენება, განმარტა რა, რომ მას არასოდეს არ უთქვამს **ფალავანდიშვილისათვის** აჯანყ. პირვ. ღამის განკარგ. **ბ. ამილახვარის** შეტანა და მან არც კი იცის **ბ. ამილახვარმა** შეთქმულების საქმე იცოდა თუ არა, ამიტომ კონისიამ მისი (ე. ი. **ბ. ამილახვარის**) დაკითხვა უსაფუძვლოდ სცნო".

მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილზე შემდეგია მოთხრობილი: „ი. **ფალავანდიშვილმა** აჩვენა, რომ **ალ. ორბელიანმა** უთხრა მას, ვითომც **ჯავახიშვილმა** შეთქმულების საქმე 1831 წლიდან იცოდა. ამის შესახებ **ალ. ორბელიანმა** აჩვენა (1704), რომ **მიხ. ჯავახიშვილს** შეთქმულება განუცხადა მგონია **ელ. ერისთავმაო**, და ვითომც ერთხელ თვით **ჯავახიშვილმა** უთხრა მას **ორბელიანს**: „მე თქვენი ამხანაგი ვარ და თქვენთან ერთად სისხლს დავანთხევო, ბიძა ჩემი **ქაიხოსრო ჯავახიშვილიც** მზად არის ამ საქმისათვისაო". ეს ბრალდება **ორბელიანმა** შემდეგში უარჰყო (4128), აღიარა რა იგი შემცდარად და განაცხადა, რომ მხოლოდ ერთხელ საუბრის დროს **ელ. ერისთავმა** ჰკითხა **ჯავახიშვილს**: „შეუძლიან თუ არა საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლებაო", რაზედაც **ჯავახიშვილმა** არაფერი არ უპასუხა. **ელ. ერისთავი** ამბობს, რომ მას ეს ამბავი არ ახსოვს, ხოლო **მ. ჯავახიშვილი** სრულებით უარჰყოფს (4130). **ელ. ერისთავი** ამტკიცებდა, რომ 1) ვითომც ის, **ელიზბარი, ლუარსაბ ორბელიანის** სახლში **ალ. გიორგის ძე ორბელიანის** თანადასწრებით, ელაპარაკა **მ. ჯავახიშვილს** შეთქმულებაზე და ეს უკანასკნელი დათანხმდა შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებაზე. განაცხადა, რომ იმედი აქვს აგრეთვე **ქაიხოსრო ჯავახიშვილის** მიბრობისა, 2) ვითომც მან, **ელიზბარმა**, სანადიროდან დაბრუნებულმა, **მამუკა ორბელიანის** თანხმობით, ინახულა მის სახლში **მიხ. ჯავახიშვილი**, რომელმაც ჰკითხა **ელიზბარს** ცალკე **მამუკამ** იცის თუ არაო. ხოლო როცა **ელზბარმა** უპასუხა იცისო, **მიხეილმა** თავის მხრივ უთხრა, რომ თანახმაა აგრეთვე მისი ბიძა **ქაიხოსრო**, რომელიც იქვე იყო სადილზე. (1916).

ალ. ორბელიანმა ელიზბარის მიერ ნაჩვენები პირველი გარემოება არ დაადასტურა (4118), ხოლო თვითონ **ელიზბარმა მიხ. ჯავახიშვილთან** პირისპირ წაყენების დროს (4312), თუმცა ჯერ ვაიმეორა მთელი თავისი ნათქვამი, მაგრამ მერე, როდესაც **ჯავახიშვილმა** სრულებით უარჰყო იგი, — **ერისთავმაც** განაცხადა, რომ შეიძლება ის შეცდა და ნაჩვენები გარემოება სწორედ არ ახსოვს". არის კიდევ ამავე საგანზე **ალ. ორბელიანის** შედარებით უმნიშვნელო ჩვე-

ელიზბარ ერისთავი
(კომუნალური მუზეუმი)

ნება და ყველა ამის მიხედვით საგამომძიებლო კომისია ადგენს: „რადგან საბუთები ცოტაა და ერთი მეორის საწინააღმდეგო, კომისიამ არ ცნო საჭიროდ **მიხ. ჯავახიშვილზე** შემდგომი განძიება“-ო.

აქ, როგორც დავინახეთ, გამოირკვა არა მარტო საგამომძიებლო კომისიის ერთგვარი გულუბრყვილობა, თუ ლმობიერება, არამედ თვით შეთქმულთა მეცადინეობაც, რომ თუ კი ვინმე ახერხებს დანაშაულის გადათქმას, მას ხელს უწყობენ ამაში, როგორც მაგ. **ელ. ერისთავი ჯავახიშვილის** მიმართ მოიქცა. მაგრამ შეთქმულნი განსაკუთრებით ერიდებოდნენ წარჩინებული, რუსეთის სამსახურში მყოფი, დიდი თანამდებობის პირთა შეთქმულებაში მონაწილეობის გამომჟღავნებას, ყოველივე საშუალებით ცდილობდნენ მის დაფარვას და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ხსენებული კატეგორიის პირთა მონაწილეობის დადასტურება შეთქმულების ყველა მონაწილის ხვედრს დაამძიმებდა. ამის გამო საქმეებში დაცულია უამრავი მასალა ამგვარ პირთა შეთქმულების საქმესთან დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა სამი პირის მონაწილეობის დადგენა, რაც საგამომძიებლო კომისიის მიერ ნახევრად მაინც საეჭვოდ არის გამოცხადებული და რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვით შეთქმულების რაობის ცხად საყოფელად. ეს პირნი არიან: **ალექსანდრე ჭავჭავაძე**, ტფილისის გუბერნატორი **პეტრე ზავილეისკი** და ტფილისში საფრანგეთის საკონსულოს მდივანი **ლეტელიე**.

დავიწყოთ **ალ. ჭავჭავაძით.**

როგორც საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან ჩანს ამ დროს ყველაზე უფრო დიდი ფიგურა საქართველოში **ალ. ჭავჭავაძე** ყოფილა, ამიტომ მის მონაწილეობას შეთქმულებაში ყველანი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. **ელ. ერისთავის** მოწმობით „არც ერთ შეთქშულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება გენერალ **ჭავჭავაძის** გარეშე‘ („Все, которые знали никто не хотел учавствовать без генерала Чавчавадзе“ VII, 1156).

შეთქმულთ კარგად ჰქონდათ **ალ. ჭავჭავაძის** შეთქმულებაში მონაწილეობის როგორც მორალური, ისე რეალური მნიშვნელობა შეგნებული, მაგრამ ისიც კარგად ესმოდათ, თუ რამდენად გაართულებდა მათს საქმეს მისი მონაწილეობის დადასტურება, რის გამოც ყოველმხრივ ცდილობენ მის ბრალდებისაგან განთავისუფლებას და თვით **ალ. ჭავჭავაძეც** მედგრად იცავს თავს, რადგან მან დაპატიმრებამდე იცოდა შეთქმულთა აზრი თავის შესახებ უკვე დაკითხულ **დიმიტრი** და **გიორგი დავითის ძე ერისთავთაგან.** ამისდა მიუხედავად მაინც შეთქმულთ წამოცდათ მის მონაწილეობაზე ზოგი რამ,

თუმცა ყოველივე ამგვარ ცნობას ისე ურევენ, რომ სინამდვილის გამორკვევა მართლა ძნელია. შეთქმულნი იმასაც კი ცდილობენ დაამტკიცონ, ვითომც **ალ. ჭავჭავაძემ** შეთქმულების ამბავი უკანასკნელ **დღემდე** არ იცოდა და როდესაც მას აცნობეს, სასტიკი პროტესტი განაცხადა მან და ურჩია ამ განზრახვაზე ხელის აღება, რამაც ვითომც მართლაც აიძულა შეთქმულნი უარი ეთქვათ თავის განზრახვის სისრულეში მოყვანაზე. **ალ. ჭავჭავაძის** შეთქმულებაში მონაწილეობაზე საგამომძიებლო კომისიის მოხსენების მიხედვით სრულიად გადაჭრით დადებითი პასუხის მიცემა შეიძლება, და უკვე შემდეგი დროის ცნობებიც მოგვეპოვება.

ალ. ორბელიანი თავის 1860 წელში დაწერილ მოგონებაში, სადაც ლაპარაკობს 1832 წლის შეთქმულების შესახებ, სხვათა შორის წერს: „რომელიც ამ შეთქმულებაშიაც გარეული იყო, ზევით, რომ ვთქვით, გენერალი თავადი **ალექსანდრე ჭავჭავაძე**“-ო (წერა კითხვ. საზ. ხელთნ. №1656-ბ. გვ. 26). ამისდა მიუხედავად ინტერესს მოკლებული არ არის ბრალდებულთა ჩვენებები **ალ. ჭავჭავაძის** შესახებ, საიდანაც მათდა უნებურად მისი მონაწილეობის ზოგიერთი მომენტები თვალსაჩინოდ ჩანს, ხოლო ამას კი თვით შეთქმულების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ალ. ორბელიანის ჩვენებიდან: „... **ლუარსაბ ორბელიანმა** თქო **ალექსანდრე ჭავჭავაძემა** თქოვო, რომ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** კაცი გაგზავნეთო, რომ კახეთს გამოვიდესო, — და ერთ საღამოს ჟამზე **ჭავჭავაძემ** მითხრა **ლუარსაბისას** ცალკე რომ დავიდოდი კარებს წინ, ამ დროს **ჭავჭავაძე** გამოვიდა შინადგან და მითხრა, **ალექსანდრე** რაც **ლუარსაბმა** გითხრათ ის აღასრულეთო“ (VI 1067). ამას მეორე ადგილზეც იმეორებს. მას თავის კამერაში კომისიის წევრი **ვოლხოვსკი** დაუბარებია და გამოუცხადებია, რომ: „თავის ჩვენებაში გამორჩა, რომ **ალ. ჭავჭავაძემ** უთხრა მას, რათა მან განზრახულობის თაობაზე ყველაფერი ის შეასრულოს, რასაც მას **ლუარსაბი** ეტყვის“ (II,166).

ელ. ერისთავის ჩვენებიდან „... 1831 წელს გამოუცხადე ჩვენი განზრახვა ნაიორს თავად **ლუარსაბ ორბელიანს** და მან მითხრა, რომ ის ამის შესახებ მოელაპარაკება **ჭავჭავაძეს**. რამოდენიმე დღის შემდეგ მე და **ალექსანდრე ორბელიანი** მივედით **ლ. ორბელიანთან** და ვკითხეთ **ჭავჭავაძეზე**, მან ჩვენ გვითხრა ამ სიტყვებით: „**ჭავჭავაძე** თანახმაა და ბრძანა **ალექსანდრე ბატონიშვილთან** კაცის გაგზავნა, რათა ის კახეთს გამოვიდეს, დანარჩენები თვითონ იცის რასაც გააკეთებს“ (VII, 1156). ამავე ამბავს **ალ. ორბელიანი** ასე გადმოგვცემს:

„... წავედით **ლუარსაბთან**, დავსხედით მაშინვე უთხრა **ელიზბარმა ლუარსაბს**, მე რომ გითხარი **ჭავჭავაძეს** არ უთხაროთ,—იმან თქო. უთხარიო და ასე თქოვო რომ **ალექსამდრე ბატონიშვილთან** კაცი გაგზავნეთო, ის კახეთში გამოვიდესო“ (V, 142).

მეორე ადგილას იგივე **ელიზბარ ერისთავი** ამბობს: „მე ვიცი, რომ მიმდინარე წელს **ალექსანდრე ჭავჭავაძეს** ელაპარაკნენ **ლუარსაბ ორბელიანი** და კაპიტანი **ჩოლაყაშვილი**“ (II, 280). ყველაზე უფრო საყურადღებოა მისი შემდეგი ჩვენება: „...ნოემბრის[1]) ბოლო რიცხვებში ჩამოვიდა [2]) **ალ. ჭავჭავაძე**, რომელთანაც მე დავიარებოდი თითქმის ყოველ დღე, ორჯერ დღეში, რადგან ახლო ნათესავები ვართ“ (I, 114). ეს ცნობა ადასტურებს, რომ დეკემბრისათვის დანიშნული აჯანყების საბოლოოდ მომზადებისა და თვით აჯანყებაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად **ალ. ჭავჭავაძე** ტფილისში ჩამოსულა და შეთქმულების მეთაურ **ელიზბარ ერისთავთან** ერთად, ეტყობა აჯანყების გეგმას ამუშავებდა. საყურადღებოა, რომ როგორც **ელიზბარის** ჩვენებებიდან დავინახეთ, შეთქმულების დასაწყისში ის **ალ. ჭავჭავაძეს** უშუალოდ არც კი ელაპარაკება, ეხლა კი დღეში ორჯერ დადის მასთან: „რადგან ახლო ნათესავები ვართო“. როგორც ის ირწმუნება. ჩვენთვის ცხადია, რომ მისი ხშირი სიარული ახლო ნათესაობის შედეგი კი არ იყო, არამედ აჯანყების საკითხები მუშავდებოდა და ეს იყო ხშირი მიმოსვლის მიზეზი.

ი. ფალავანდიშვილის ჩვენებიდან: „შარშან[3]) **ალ. ორბელიანი** მარწმუნებდა მიმეღო მონაწილეობა მათს შეთქმულებაში და მითხრა, რომ ყველა წარჩინებული თავადები ამ საქმეში მონაწილეობენ და რადგანაც **ალ. ჭავჭავაძე** პირველთაგანია და გუბერნატორ **ზავილეისკისთან** აქვს კავშირი, ამიტომ იმანაც უნდა იცოდეს შეთქმულების საქმე, რადგან ხალხს განგებ ავიწროებენ“ (II, 238).

გ. დ-ძე ერისთავის ჩვენების თანახმად **ლუარსაბ ორბელიანს ალექსანდრე ჭავჭავაძესთვის** შეთქმულების არსებობა **მანანა ორბელიანს** ქართლში გაცილების დროს (1831 წ. გაზაფხულზე) გაუმჟღავნებია (1861).

ზაქარია ჩოლაყაშვილი ამბობს: „თ. **ალ. ჭავჭავაძემ** მიმიწვია **ელიზბარის** საშუალებით ნაშუადღევის 5 საათზე. ბაღთან რო მივედი იქ დამხვდა **ლუარსაბ ორბელიანი**. ნახევარი საათის შემდეგ **თ. ჭავჭავაძემ** შემიწვია ცალეკ ოთახში, სადაც **ლუარსაბიც** შემოგვყვა.

---

1) იგულისხმება 1832 წ.

2) კახეთიდან ტფილისში ჩამოსვლაზეა ლაპარაკი.

3) 1831 წ.

„თავადო **ზაქარია დიმიტრის ძევ,** მითხარით რას ფიქრობთ ჩვენს საქმეზე“ მითხრა მან **თ. ჭავჭავაძემ** და შევნიშნე, რომ აღელვებული იყო. ნე ვფიქრობ მეთქი უთხარი მას განგებ (притворно), რომ თქვენმა ბრწყინვალებამ რაკი ამისთანა საქმეზე მიმიღო, ალბად ბევრი რამ უკვე მოიფიქრა მეთქი. მე გეტყვით თავადო, რომ თქვენს ერთს სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი ხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან თქვენ გემორჩილონ მეთქი“ (1, 40). ამით **ჩოლაყაშვილმა** თავისდა უნებურად გასცა **ჭავჭავაძეც** და თავისი თავიც. **ჭავჭავაძეს** მისთვის უკითხავს რას ფიქრობ **„ჩვენს საქმეზეო“,** მაშ შეთქმულების საქმე სხვებთან ერთად მისთვისაც დიდი ხნის საერთო საქმე იყო. **ჩოლაყაშვილმა** თავისი ნათქვამის სერიოზულობის წართნევის მიზნით (ის მოელოდა, რომ ეს კომისიაში უკვე იცოდნენ), გაიმეორა იგი, რითაც ძვირფასი მასალა დაგვიტოვა.

გიორგი რევ-ძე ერისთავი უჩვენებს: „ტფილისში მე ვინახულე **ალ. ჭავჭავაძე,** როდესაც ის ოჯახით აქ ჩამოვიდა; მე და **ელიზბარს** ნასთან გვქონდა საუბარი კავკასიის კორპუსისა და მთელი არმიის ძალების შესახებ. ნე ვამბობდი, რომ მგონია კავკასიის კორპუსი 30.000 ჯარის კაცისაგან უნდა შესდგებოდეს, რომელთაც თოფქვეშ დგომა შეუძლიათ მეთქი; **თ. ჭავჭავაძე** ამტკიცებდა, რომ 60.000 და უფრო მეტისაგანაც შესდგებაო“ (IV, 636). ეს ცნობაც, რა თქმა უნდა, ბევრი რამის მთქმელია.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას, აძლევდნენ შეთქმულნი **ალ. ჭავჭავაძის** შეთქმულებაში მონაწილეობას, იქიდან ჩანს, რომ, როგორც ვთქვით, ყველანი იმეორებენ იმას, რომ ვითომც საკმარისი იყო **ალ. ჭავჭავაძეს** უარი ეთქვა უკვე განხორციელების გზაზე შემდგარ აჯანყებაში მონაწილეობაზე, რომ მათ ერთბაშად ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. **ალ. ჭავჭავაძის** მიერ ამგვარი უარის თქმას შეთქმულნი სხვადასხვა ვარიანტებით იმეორებენ და **მამაცაშვილი** ასეთ უკიდურესობამდეც კი მიდის. ის ამბობს, თითქოს მისთვის **ალ. ორბელიანს** ეთქვას, რომ **ალექს. ჭავჭავაძესთან** კაცი გაგზავნეს, მაგრამ მან „უარი თქვაო, რომ ის რუსებისათვის სიკვდილს ამჯობინებს“ („что он лучше умрет за Русских“ III, 407).

ალ. ჭავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობაზე კიდევ ბევრი ცნობების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ უკვე ნათქვამის მიხედვითაც, და განსაკუთრებით თუ მოვიგონებთ **ფილ. კიკნაძის** აღიარებას კახეთის ორგანიზაციის შესახებ, სადაც აგრეთვე **ალ. ჭავჭავაძე**

შეთქმულების წევრად არის დასახელებული, — შეცდომა არ იქნება. დავასკვნათ, რომ იგი აუცილებლად იღებდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ მხოლოდ შეთქმულთა მეტად განსაზღვრულ წრესთან ჰქონდა ურთიერთობა, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო, განსაკუთრებით უფროსი და წარჩინებული ხალხისათვის, რასაც **ალ. ორბელიანის** ნათქვამიც ადასტურებს, რომ: „**ზავილეისკის** სურდა ამ მიზნისათვის (ე. ი. აჯანყებისათვის) მისი საშუალებით მოქმედება, ისევე როგორც **ალ. ჭავჭავაძე ლუარსაბ ორბელიანის** საშუალებით მოქმედებოდა"-ო (1, 1166). პატიმარ შეთქმულთათვის წარდგენილ კითხვათა შორის („Вопросные пункты") მე-14-ე კითხვა შეიცავდა:

„იცნობთა თქვენ ლენერალ ნაიორს თავადს **ჭავჭავაძეს?** დიდი ხანია რაც იცნობთ? რა იცით იმის მონაწილეობისა ამ განზრახვაში? შეგხვედრიათა თქვენ მასთან ლაპარაკი შეთქმულების ბარობაზედ, პირდაპირ გილაპარაკნიათ, თუ მხოლოდ შეგიტყვიათ იმისი მონაწილეობა სხვებისაგან და სახელდობრ ვისგან".

როგორც შეთქმულების მასალებიდან ჩანს ყოფ. ტფილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივანს **ლეტელიეს** ქართველთა შეთქმულებაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონია. ის დაკითხული არა ყოფილა, რადგან შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე სამშობლოში წავიდა. **ლეტელიეს** შეთქმულებაში მონაწილეობა შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით შემდეგ-ნაირად წარმოგვიდგება.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენებიდან: „...ფრანგ **ლეტელიეს** შესახებ ვიცი, რომ კამპანიის შემდეგ ჩემი პეტერბურგაში დაბრუნებამდე,[1]) იყო იგი ერთხელ **ფარნაოზ ბატონიშვილთან** და აგრეთვე **თეიმურაზთან.** მე პეტერბურგში ჩამოსულმა ვნახე იგი პირველად **ფარნაოზ ბატონიშვილთან** რომელმაც მე წარმადგინა როთავის დასნული, მაგრამ, ამგვარი ლაპარაკი არ ყოფილა. რადგან ისიც ცოლით იყო და **ბატონიშვილის** მთელი ოჯახის წევრებიც იქ იმყოფებოდნენ. ბატონმა **ლეტელიემ,** გაიგო რა რომ მე საქართველოში მივდივარ, მთხოვა ორი თუ სამი წერილის წამოღება **თ. ალ. ჭავჭავაძესთან,** რომლებიც მე დანიშნულებისამებრ ჩავაბარე. გამომგზავრების წინ, **ლეტელიესთან** წასვლას რომ ვაპირებდი წერი-

---

[1]) ლაპარაკია პოლონეთში ლაშქრობაზე.

[2]) ე. ი. საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

ლების წამოსაღებად, **დიმიტრი ორბელიანმა** მთხოვა **ლეტელიე** მისთვის გამეცნობებინა. **ლეტელიესთან** რომ მივედით იქ დაგვხვდა ვიღაც პოლონელი მოხელე (ლიტვიდან იყო როგორც თვითონ ამბობდა), რომელიც პეტერბურგში, რომელიღაც დეპარტამენტში მსახურობდა და იცნობდა განსვენებულ **დავით ბატონიშვილს,** 40 წელს გადაცილებული იყო, ტანად დაბალი, ჭაღარა თმა და შავგვრემანი სახე ჰქონდა, რუსულად კარგად ლაპარაკობდა, ფრანგული გამოთქმა არ უვარგოდა. მახსოვს ჩამოვარდა რაღაც საუბარი—მერე **ლეტელიემ** დაიწყო, რომ საქართველო ასე გაუნათლებელი არასოდეს არ ყოფილა როგორც ეხლა, მთავრობა არ ცდილობს მის განათლებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია, რადგან დაჩაგრულია. როგორც მახსოვს თქვა აგრეთვე, რომ აბა გადახედეთ ფრანგები როგორ ცდილობენ გაუმჯობესებას, ალჟირის ყველა კუთხეში მოწყობილია უნივერსიტეტები, სასწავლებლები და ყველაფერი, რაც კი საჭიროა, მის გასანათლებლადო. ბოლოს აღწერა საქართველო შავ ფერადებში—სწროედ არ მახსოვს როგორ ლაპარაკობდა, კიცხავდა რუსეთის მთავრობას... პოლონელიც აქებდა ქართველებსა და ბატონ **ლეტელეის** მოსაზრებებს ეთანხმებოდა. აი ყველაფერი ის, რაც მახსოვს ფრანგ **ლეტელიეზე".** (1556).

ძველ საგანზე **დიმიტრი ორბელიანი** უჩვენებს: „როდესაც **გიორგი ერისთავი** შვებულებაში მიემგზავრებოდა, წამოსვლის წინა დღეს ვიყავით კონსულის მდივან ფრანგ **ლეტელიესთან,** სადაც მე იგი პირველად გამაცნო **გიორგიმ.** მასთან იყო ერთი **პოლონელთაგანი** — არ ვიცი არც სახელი და არც გვარი. ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო **პოლონელთან.** დიდხანს გველაპარაკა **ლეტელიე** მე ქართულად, **გიორგი ერისთავს** კი ფრანგულად და საქართველოს შესახებ გვითხრა, რომ მთავრობა მას უსამართლოდ ეპყრობა, არ ცდილობს არაფრით მის განათლებას და ერთი სიტყვით სურს მისი დაქვეითება, რის გამოც საქართველო უნდა ეცადოს თავი გაინთავისუფლოს და ფრანგები კეთილი ხალხია და უშველიან ფულითა და ყოველგვარი საშუალებითა"-ო (IV, 613).

გიორგი ერისთავი მეორე ადგილას უჩვენებს: „1832 წელს მაისში **ბ. ლეტელიე ფარნაოზ ბატონიშვილთან** მხოლოდ ერთხელ იყო" (IV, 584).

ზემოხსენებულ წერილებთან დაკავშირებით **ალ. ჭავჭავაძე** უჩვენებს: „ფრანგი **ლეტელიე** გავიცანი 1829 წ. ტფილისში, მისი შეიარაღებულებაში მონაწილეობის შესახებ არაფერი არ ვიცი. მე მას ძა-

ლიან იშვიათად ვნახულობდი. 1830 და 1831 წლებში ის რამდენჯერმე იყო ჩემთან, მაჩვენებდა თავის ქართულ დიალექტზე თარგმანებს"-ო. (VIII. 1372).

დიმიტრი ბატონიშვილი უარს ამბობს **ლეტელიეს** ცნობაზე, თუმცა ამ უკანასკნელს მისი ნახვის სურვილი ჰქონია (3886). მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ შეთქმულების თითქმის მთავარ მეთაურს ამისთანა საინტერესო თანამგრძნობელთან ურთიერთობა არა ჰქონოდა.

ზანსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისის ყოფილ გუბერნატორის **პეტრე ზავილეისკის** შეთქმულებაში მონაწილეობის გამორკვევას, რომელიც ტომით პოლონელი იყო. მის მონაწილეობასთან ბუნებრივად იბადება საკითხი პოლონეთის აჯანყებასთან ქართველ შეთქმულთა კავშირის შესახებ. თუმცა როგორც **ალ. ორბელიანი** აცხადებს, **ზავილეისკიმ** მას საქართველოში აჯანყების მოსახდენად მზადება პოლონეთის აჯანყების დროს დაავალა, მაგრამ როგორც თვით შეთქმულების ისტორია ამ დროიდან კი არა, არამედ გაცილებით ადრე იწყება, ამიტომ **ზავილეისკისა** და **ალ. ორბელინის** ურთიერთობაც ამ დროისთვის კარგა ხნის საგულისხმებელია. როგორც **ალ. ჭავჭავაძისა** და **ლეტელიეს**, ისე **ზავილეისკის** შესახებ აუარებელი ცნობებია შენახული საგამომძიებლო კომისიის საქმეებში. რასაკვირველია, შეთქმულთა დიდი უმრავლესობა პირდაპირ არ იყო **ზავილეისკისთან** — როგორც აგრეთვე სხვა წარჩინებულ პირებთან-დაკავშირებული, ამიტომ მათი ნათქვამი პირდაპირ ცნობად არ ჩაითვლება, მაგრამ ამით ამ ნათქვამის მნიშვნელობა სრულებითაც არა მცირდება, რადგან, როგორც ვიცით, თვით შეთქმულების უბრალო წევრნიც კი უშუალოდ არ ყოფილან ყველა ურთიერთშორის დაკავშირებულნი. თუმცა **ზავილეისკიზე** მასთან უშუალო კავშირის მქონე შეთქმულთა პირდაპირი ცნობებიც საკმაოდ მოგვეპოვება. როგორც ჩვეულებრივ, **ალ. ორბელიანი**, აქაც პირველ რიგში გვევლინება. ის უჩვენებს:

„კომისიასა შინა

წარსრულს 1831-სა წ. ოდესცა მოვიდა ანბავი პოლშამ იბუნტა და რამოდენიმე ხანი გავიდა, გაზაფხული იწყებოდა, მაშინ, ერთს ღამეს, მეთერთმეტე საათი იქნებოდა შინადგა(ნ), კარზე გამოველ, საჭიროებისათვის, თულუფით და ოდესცა კიბიდგან ძირს ჩამოველ, ერთი ხმა მამესმა რუსულად, კნიაზი **სოვეტნიკ ორბელიანოვი** შინ არისო, მე უთხარ ვინა ხარ მეთქი,—მითხრა ღუბერნატორის კაცი ვარო — რა გინდა მე ვარ მეთქი — ღუბერნატორმა და-

გიბარაო — საჩქაროთ ჩავიცვი და წავედი ოდესცა მივედი თავის სამწერლოს სტოლს წინ იჯდა მითხრა, დაჯექიო, რომელიც მის სიახლოვეს დაუჯ[illegible]—ლაპარაკი დავიწყეთ,—და ლაპარაკსა შორის მითხრა სა[illegible]ლო **ალექსანდრეო**, აქაც უნდა ეცადო რომ ბუნტი მოხდესო, [illegible]ე პირველად გამიკვირდა და შემდეგ რადგანაც რომ მწყალობდა, დავიჯერე, მიუგე კარგი მეთქი, ვეცდები უთუოდ მეთქი და ავდექ წამოსასვლელად, მითხრა წადიო და ვინც შენიანი თავადები ანუ მოქალაქეები იყვნენო ყველანი მოითვისეო და შემოიერთეო, მე ამის გამგონეს ვიფიქრე, ამას უთუოდ ჩემგნითა სურს, მოქმდება მეთქი, და წამოსვლის დროს მითხრა, მინამ აღარ დაგიბარო, ნუღარ მოხვალო — შემდეგ აღარც დაუბარებივარ და აღარც მივსულვარ.

პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

15 თებერვალს 1833 წ. (VIII, 1429).

მეორე ადგილას ამ ჩვენებას აფართოვებს და ამბობს:

„კომისიასა შინა.

პირველი ამას წინათ რომ მოვახსენე კომისიასა, მე და **ზავილეიცკის** შეერთება. მე რომ დამიბარა, და რაც მითხრა,—კვალად დაუმატებ ამასთან, ოდესცა ჩემი დეიდაშვილი **გიორგი**[1]) მოვიდა პეტერბურღიდან, და მოსკოვში გამოევლო, მაშინ **ზავილეიცკი** ენახა და ლაპარაკსა შორის ეთქო, მე მიკვირს რომ ქართველებს **ალ. ჭავჭავაძე** არ უყვართო, ასე ჰგონიათ, რომ რუსის სამსახურში არის და იმისთვის არ უყვარდეს თავის მშობლის მამულიო, მე შენ გარწმუნებ კნიაზო რომ დიდი ერთგული და მოსიყვარულე არის თავის მშობლის მამულისაო, ეს გარემოება მე **გიორგიმ** მითხრა და ესეც თქო რომ ხედავ **ზავილეიცკიმ** რა მითხრაო, რომელიც საგრძნობლად დამრჩა ამისი სიტყვაო, ოდესცა ჩემი დეიდაშვილი **გ. ერისთავი** მოვიდა ესეცა თქო, რომ **ოქროპირ ბატოიშვილს** და **ზავილეიცკის** დიდი ერთობა აქვთო, ასე რომ გაუწყვეტლად, **ზავილეიცკი ოქროპირ ბატოიშვილთან** არისო... მესამე—პოლიაკების ბუნტის დროს, როგორც მახსომს ზაფხულს, შუა ქალაქსა, მოხდა კრივი **ზავილეიცკის** ბრძანებითა... მრავალი თავადები იქ იყვნენ **ლუარსაბ** და **დიმიტრი ორბელიანნი** და სხვა მრავალნი. მაშინ მოვიდა პოლიცმეისტერი და დააშლევინა, მაშინ არ ვიცი ვინ ჩავიდა და **ზავილეიცკის** განუცხადა კრივის დაშლა, მაშინვე კიდევ ებრძანებინა პოლიცმესტრისათვის, რომ ნება მიეცეს კრივისაო, მაშინ პოლიცმესტერი ჩავიდა როგორც

---

[1]) ლაპარაკია **გ. რევაზის-ძე ერისთავზე**.

მახსოვს **ზავილეიცკისთან**, და რაოდენსამე ხანს უკან ისევ ამოვიდა ამ სიტყვით გარეთ უბანს გამართეთო, მთელი ქალაქი გარეთ უბანს გავიდა, მთავარმართებლის წინ და ესრეთ საშინელი კრივი მოხდა, რომ ჩემი სიყმაწვილიდან აქამომდე მე იმისთანა საშინელი კრივი არ მინახავს, ესრეთ გაჭირვეულდენ მოკრივენი რომ ბევრნი ტიტველნი კრიობდნენ, ამ დროს **ალ. ჭავჭავაძემ** ჩანოიარა, და მცირე ხანს დადგა, და ყურება დაიწყო შემდეგ წავიდა — ამჟამად ჩემი ბიძაშვილი **თ. ალ. ორბელიანი** ჩემთან იდგა და მითხრა **ალექსანდრეს** ხედავ **ჭავჭავაძემ** თავისი თავი დაგვანახაო, მასკვან მითხრა ბოდი ხანჯლები გამოვატანინოთ, და ამ საღამოს ვინ დაინახამსო, ბარე ეხლავ ვეცადნეთო, — მეც თანახმა შევიქენ,—მაგრამ სუსტი პარტია გვყავდა შემდეგ ბევრი ვიცინეთ და ვსთქვით ეს ჩვენი საქმე სწორეთ ნასხარაობა არის და დავჩუმდით. ოდესცა კრივი დაიშალა მაშინ მე, **ელიზბარ ერისთავი**, კიდე არ ვიცი ვინ იყვნენ ჩვენთან. ჩვენი ამხანაგნი, და ვთქვით მოდით **ლუარსაბთან** წავიდეთ, სარჩევლად რომ ხვალ საღამოს ჟამზე დიდი კრივი იქნება, და ბარემ რითაც ღონით იყოს, ხვალ ვეცადნეთო ბუნტისას, რომ ამისთანა დროს ვერ ვიპოვნით — ოდესცა **ლუარსაბთან** მივედით ვნახეთ რომ ქვეშაგებში იწვა, და დროშკიდან გადმოვარდნილიყო, და ცხვირი გაეტეხა, და ამის გამო ველარაფერი უთხარით რა და დავჩუმდით, ამის მეორე დღეს საღამოზე, ეს ერთი დუნდგო მთელი ქალაქისა ხალხი შეიყარა საკრიოდ, კიდევ იმ ადგილს, რომ ჩემს დღეში არ მინახავს, იმდენი ხალხი კრივში, მაგრამ პოლიცმეისტერმა სულ დააშლევინა, და აღარა მომხდარა კრივი იმ საღამოზე[1]) **მეოთხე:** — ყოველთვის ჩვენს საზოგადოებას, ფიქრი ჰქონდათ ხოლმე რომ **ზავილეიცკის** უთუოთ ბუნტი სურს აქაო, და ბევრჯერ კიდეც ვილაპარაკებდით ხოლმე რომ **ჭავჭავაძეს** და **ზავილეიცკის** რაღაც რამ აზრი უნდა ჰქონდეთ ამაზეო

მეხუთე — ზავილეიცკის ახლო მცნობი, პირველი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** იყო მეორე თავადი **რამან ჭავჭავაძე**, ამაზე მეტი ქართველთაგანი არ ვიცი რომ ახლო მცნობი ყოფილიყოს ვინმე **ზავილეიცკისა**.

პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანი;** 15-სა **თებერვალს** 1833 **წელსა**" (VIII 1433—1434). ზემოდ მოყვანილ პირველი ჩვენ-

---

[1]) საქმე ის არის, რომ კრივი უმაღლესი მთავრობის მიერ აკრძალული იყო და **ზავილეიცკისაგან** პოლონეთის აჯანყების დროს მისი აღდგენა შეფასებული იყო შემდეგში როგორც კანონის დარღვევა და კრივის ნებართვით შეთქმულებისათვის აჯანყების დაწყების გაადვილების ცდა, რაც როგორც **ალექსანდრეს** სიტყვებიდან ჩანს, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

ბის მიცემის ნეორე დღეს ალ. **ორბელიანს** განუცხადებია (171,-1074), რომ რადგან **ზავილეისკის** მიმართ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოეპოვება და ის კი ბრალდებაზე უარს იტყვის, ამიტომ საჭიროა მის **(ორბელიანის)** მიერ ნაჩვენები ბრალდების შემდგომი კვლევა—ძიება შეჩერებულ იქმნას. შემდეგში მას ეს ბრალდება რამდენჯერმე კვლავ განუმეორებია და განუვითარებია (1074, 1431. 2240), მაგრამ 1833 წლის აგვისტოს 16-ს. სწორედ იმის წინა დღეს, როდესაც ის **ზავილეისკისთან** პირისპირ წაყენებას მოელოდა, განუცხადებია (4930, 4970), რომ **ზაველეისკიზე** მან ყველაფერი მტრობითა თქვა, შურის საძიებლად იმ შეურაცყოფისათვის, რომელიც მან **ორბელიანის** დედას **თეკლა ბატონიშვილს** მიაყენა 1831 წელს მის სახლში საგუშაგოს მოწყობის განზრახვით [1]). **ალ. ორბელიანი** ამ შემთხვევაში ცრუობს, რადგან მას არა თუ არავითარი მტრობა არა ჰქონია **ზავილეისკისადმი,** არამედ ეს უკანასკნელი მათი ოჯახის კეთილ მოსურნედ თვლებოდა. როგორც **დიმიტრი ორბელიანი (ალექსანდრეს** ძმა) უჩვენებს. (614, 625), 1832 წელს პეტერბურგში ჩასულ **ზავილეისკის** მისთვის მიუტანია **ალექსანდრეს** წერილი, რომელშიაც იგი თურმე ურჩევდა მას **ზაველეისკის** გაცნობას როგორც მათი ოჯახის კეთილ მოსურნე კაცის. იმავე წელს **დიმიტრი ორბელიანი** მოსკოვში შეხვდა **ზაველეისკის,** რომელმაც უთხრა მას, რომ მისი ძმა **ალექსანდრე** ამისი მეგობარია. თვით **ალექსანდრე ორბელიანი** თავის ერთ ჩვენებაში ამბობს:... „ჩემი მარშლობის ჟამს დიახ ხშირად დავდიოდი ხოლმე **ზავილეიცკისთან** და როცა სოვეტნიკად ამომირჩიეს 1830 წელსა საზოგადოებამ, მაშინ მე აგრე რიგად არ დავდიოდი ხოლმე, და როცა მაშინ დამიბარა არც გასაკვირველად მივიღე, ამისთვის რომ დიდათ უყვარდი, და მწყალობდა, და შემდეგ ჩემი ნაჩალნიკი იყო, მე **ზაველეიცკისთან** საღამოს ჟამზე და ღამე მივდიოდი ბევრჯერ, და მის შემდეგ აღარ ვყოფილვარ **ზაველეისკისთან** ოდესაც მითხრა ექ აღრეულობისა“-ო (XII 2234). ნეორე ადგილას ამბობს, რომ პოლონეთის აჯანყების დროს საქართველოს გუბერნატორმა, რომელიც მას განსაკუთრებით კარგად ეპყრობოდა, მიიწვია იგი თავისთან ღამის 11 საათზე და დაავალა აქაც აღრეულობის მოხდენა, რის შემდეგაც **ზაველეისკს** სურდა ამ მიზნისათვის მისი საშუალებით მოქმედება, ისევე, როგორც **ალექსანდრე**

---

[1]) **როგორც ირკვევა ზაველეისკის** ეს განგებ ჩაუდენია, რათა ქართველები **გაეღიზიანებია** ბატონიშვილის **უხეშად** შეურაცყოფით და მთავრობის წინააღმდეგ **აემხედრებინა.**

ჭავჭავაძე, ლუარსაბ ორბელიანის საშუალებით მოქმედებდა (II—166).

გიორგი რევაზის ძე ერისთავი უჩვენებს „...მაგონდება აგრეთვე **ალექსანდრე ორბელიანი** და **ელიზბარ ერისთავი ამბობდენ,** რომ **ბ. ზაველეისკის** საქართველოსთვის კეთილი სწადიან და ხალხს განგებ ავიწროვებს, რითაც საქართველოში აჯანყება სურს გამოიწვიოსო... ამის გარდა გაგონილი მაქვს იმათგან აგრეთვე, რომ იგი დიდი მეგობარია **ალექსანდრე ჭავჭავაძესი** და **ოქროპირ ბატონიშვილისაო,** რომელთანაც ჩემი მოსკოვში გამოვლის დროს იყო **ბ. ზაველეისკი,** და აგრეთვე ვნახე ერთხელ მასთან მისული **ოქროპირ ბატონიშვილი** რომელიც **ზაველეისკის** სახლში არ დახვედრის გამო უკანვე გამობრუნდა, მოსკოვში გამოვლისას მე „ტრაქტირ"-ში გავჩერდი, სადაც **ბ. ზაველეისკის,** რომელიც ამავე „ტრაქტირ"-ში ცხოვრობდა, გაეგო რა ჩემი ხალხის საშუალებით, რომ მე, საქართველოში მოვემგზავრებოდი, მთხოვა წამომეღო ამანათი **პოლკოვნიკ ბირიულოვთან. აქ** მახსოვს იგი ამ სიტყვებს მელაპარაკებოდა, რომ **ჭავჭავაძეს** არ შეუძლიან საჭირო ნაცნობობის დამყარება არავისთან ქართველ თავადიშვილთა და აზნაურთაგან. ისინი ფიქრობენ, რომ რაკი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** რუსის სამსახურშია, მას არ უყვარს თავის სამშობლო, მაგრამ, ბე ვიცი, რომ მას იგი ძალიან უყვარს და მისთვის სიკეთეც სურსო. ეხლა ვეჭვობ, რომ მას **ალ. ჭავჭავაძესთან** რაღაც ურთიერთობა ჰქონდა. აგრეთვე მახსოვს, რომ **ზაველეისკი** აქებდა თავის თავს იმით, რომ მან წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება ტფილისში კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რითაც ცხად ჰყო თავისი ქართველებისადმი სიყვარული" (IX—1503).

დიმიტრი ორბელიანი ამბობს: „მოსკოვში მე ვიყავი **ზავილეისკისთან,** ის აქებდა საქართველოსა და თავადიშვილებს, განსაკუთრებით კი **ჭავჭავაძეს,** რომ ის მისი მეგობარია და პატრიოტია. იმან თვითონ გამომგზავნა კაცი, რომ მენახა იგი; მან განაცხადა, რომ სურს ჩემთან ნაცნობობა, რადგან, როგორც ამბობდა, ჩემი ძმა **ალექსანდრე** მისი მეგობარია. საქართველოზე მეტი არაფერი უთქვამს, რადგან იქ უცხო პირი იყო"-ო (IV, 614).

აქ საინტერესოა, რომ სამსახურიდან დათხოვნილმა და პეტერბურგში პასუხსაგებად გაწვეულმა **ზაველეისკიმ** მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ინახულა: **ოქროპირ ბატონიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, გიორგი ერისთავი.** ამასთანავე ნახა ისინი ისეთ პირობებში, რომ მათთან ზემოხსენებული საუბრის გამართვა შეიძლებოდა. ეს

გარემოება ეჭვს იწვევს: **ზავილეისკი** მოსკოვში განგებ ხომ არ გაჩერდა **ოქროპირ ბატონიშვილის** სანახავად, როგორც ამას ყველა იქით ან აქეთ მომავალნი შეთქმულნი შვრებოდნენ და **სწორედ** ხსენებულ პირთაც იქ შეხვდა, რომელნიც აგრეთვე **ოქროპირ ბატონიშვილის** სანახავად იყვნენ აქ გაჩერებულნი, საქართველოში მომავალნი.

გიორგი დ-ძე ერისთავის ერთ ჩვენებაში ვკითხულობთ: „ყოფილ გუბერნატორ **ზავილეისკის ვერ** ვიცნობდი (პირადათ), ვიცნობდი მხოლოთ როგორც გუბერნატორს და მისი შეთქმის შესახებ იმის მეტი არა ვიცი რა, რომ **ზავილეისკის** როგორც პოლონელს სურს აქაც არეულობის მოხდენაო, და ამიტომ ხალხს ავიწროებს და **ჭავჭავაძის** მეგობარიაო, მეუბნეობდენ **ალექსანდრე** და **ელისბარი**“ (VI, 1091).

საინტერესოა აგრეთვე, რომ **ზავილეისკიმ** იცის **ალ. ჭავჭავაძის** გულის ნადები იმდენად კარგად იცნობს მას, როგორც ამას სხვა ბრალდებულთა ჩვენებებიც ადასტურებენ, და არც თვით **ალექსანდრე ჭავჭავაძე** უარყოფს ამას. ის უჩვენებს: ყოფილ გუბერნატორს **ზავილეისკის** ძალიან კარგად ვიცნობ. პირველად ვნახე იგი კარანტინში, აბანოების კარის იქით. გრაფ **პასკევიჩის** ქებამ მაფიქრებინა მისი ახლო გაცნობა და ბოლოს მასში ვპოვე რა თვისებანი საკადრისი კეთილ შობილ და კეთილ გონიერ ადამიანისა, მას საბოლოოდ დაუმეგობრდი. მისი გრძნობისა და მთავრობისადმი ერთგულობით გამსჭვალული აზრების მატარებელ ადამიანზე, როგორ ვიფიქრებდი, რომ რომელიმე ბოროტ განზრახულების მონაწილე იქნებოდა. ამის შესახებ არავისგან არასოდეს არ გამიგონია, თორემ მასთან მაშინვე ყოველივე კავშირს გავწყვეტდი“-ო (VIII—1372).

ალ. ორბელიანს, იასე ფალავანდიშვილისთვის უთქვამს, რომ **ზავილეისკი** შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს არა მხოლოდ როგორც პოლონელი, არამედ როგორც **ალექსანდრე ჭავჭავაძის** მეგობარიო“-ო (239,470).

მაგრამ **ზავილეისკი** მარტო **ალექსანდრე ჭავჭავაძესთან** არ ყოფილა მეგობრად. **ალ. ორბელიანსა** და მის ურთიერთობაზე ზევით იყო ლაპარაკი, ხოლო როგორც **გიორგი ერისთავი** და **დიმიტრი ორბელიანის** ზემოდმოყვანილი ჩვენებიდან ჩანს, ის **ოქროპირ ბატონიშვილთანაც** დაახლოვებული ყოფილა, რასაც **თადია ჩოლაყაშვილის** ჩვენებაც მოწმობს. ის უჩვენებს:“... ჩყლბ სა (1832) წელსა ნოემბრის იბ-სა რიცხვსა, რომელიც გახლდი **ალექსანდრე ორბელიანთან** და იქ იყვნენ **ელისბარ გიორგი** და **ბიძინა ერისთავები**, ესეც

ახსენეს და თქვეს **ელიზბარმა და გიორგიმ**, რომ მყოფი საქართველოს გუბერნატორი **ზავილევსკი** არის მახლობელი თანამშრომელი მეგობარი **ოქროპირ ბატონიშვილისა** და მათაც აქვთ მიწერ-მოწერა ფრანციაში და ანგლიაში საიდამაც ელოდენ შემწეობას, ვითარცა ამავე თვის რვასა განმიცხადებია". (III, 528).

ყოფ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმში დაცულია **დიმიტრი ყიფიანის** ხელნაწერი, რომელსაც სათაურად აქვს: „1832 წლის ქართველთა შეთქმულობის ანუ „ყაზარმობის" შესახებ", სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ შემდეგს:"... არც ის ვიცი და არცა რა გამეგება რა, რა მიზეზით იყვნენ საქმეში გარეული ეს სამი რუსის ჩინოვნიკები: **პაუშენკო, მელნიკოვი და ზავილევსკი.** მაგრამ ვალად ვრაცხ ჩემ თავს ამათზედ ისა ვთქვა, რაც მქონდა გაგებული. მაშინდელ საზოგადოებაში ამათი რეპუტაცია იყო სრულიად დაუძრახავი. **პაუშენკოს** უცქერდენ როგორც ნიჭიერ და სამაგალითო ჩინოვნიკს...

ზავილეისკიზედ ამბობდენ, რომ დიდათ დამეგობრებული იყო ორს გამოცდილს ქართველთან: ერთი ამისი მეგობართაგანი **თ. ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე**... და უმაღლეს საქართველოს მმართველობის პროკურორი სტატსკი სოვეტნიკი **იაგორ გაბრიელის ძე ჭილაევი**" (იხ. ხელნ. №1540).

ბრალდებულთადმი მე-15-ე კითხვა იყო:

„იცნობთა თქვენ გუბერნატორად ყოფილს **ზავილევსკის? სად** და როდის გაიცანით. და რა იცით იმის მონაწილეობისა ამ განზრახვაში ანუ იმაზედ რა გაგიგონიათ და სახელდობ ვისგან?

ამგვარად, **ზავილეისკის** შეთქმულებაში მონაწილეობა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა აღნიშნული ცნობების შემდეგ: «Комиссия признала справедливым не подвергать вопросам следующих лиц:

4) Действительного статского советника **Завилейского** потому, что, на счет его, по непредъявлению до сего времени ни до статочных прямых показаний, ниже самих улик, **последовали особые высочайшие повеления**» სასამართლოს სენტენციაში კი სწერია: и остатвн. Действ. Статского Советника Петра **Завилейского** оставить под секретным наблюдением» (XXIX, 46)

რასაკვირველია კომისიის დასკვნა ზევიდან იყო ნაკარნახევი, როგორც ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვები მოწმობენ და საქმის ნამდვილი ვითარებით არ ყოფილა გამოწვეული.

საგამომძიებლო კომისიის დასკვნების თანახმად საქართველოს გარეშე ძალებთან ურთიერთობას შეთქმულთა მიერ, გარდა სპარსეთში ლტოლვილ **ალ. ბატონიშვილისა**, ადგილი არა ჰქონია, ბავ-

რამ საქმეში დაცული, თვით ამავე კომისიის მიერ მოგროვილ, მასალის განხილვა ამ საგანზე სხვანაირი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე რამოდენიმეჯერ იყო აღნიშნული. აქ კვლავ ხაზგასმული უნდა იქნას, რომ შეთქმულთ ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული რასაც მოასწავებდა მათი გარეშე ძალებთან ურთიერთობის გამოაშკარავება. კომისიის დასკვნით მხოლოდ პოლონეთის აჯანყების ყრუ გამოძახილი ეტყობა ქართულ შეთქმულებას და ისიც არა უშუალოდ, ყოველივე შინაგანი, ან ორგანიზაციული კავშირის გარეშე; მისი რწმენით პოლონეთის აჯანყების მხოლოდ ფაქტსა ჰქონდა მნიშვნელობა და გავლენა ქართველთა შეთქმულების წარმოშობა-განვითარებაზე.

შეთქმულთა გარეშე ძალებთან კავშირზე ლაპარაკის დროს პირველ რიგში **ალექსანდრე ბატონიშვილთან** ურთიერთობა უნდა იყოს მოხსენებული. როგორც ვიცით, შეთქმულების ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, შეთქმულთა მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი **ალ. ბატონიშვილთან ურთიერთობის გაბმაში გამოიხატა.** ამის შესახებ **ალ. ორბელიანი** უჩვენებს:

„კომისიასა შინა.

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. **პირველი** წიგნი **ბატონიშვილს ალექსანდრესთან** რომ მივსწერე მას წიგნსა შინა იყო ხსენებული ესრეთ, რომ ჩვენი საზოგადოება სთხოვს მას, კახეთსა, შინა გამოსვლას, ვინაიდგან საზოგადო მსურველნი არიან მის მეფობას და საქართველოს განთავისუფლებისას რუსთაგან, და როდესაც იგი **ბატონიშვილი** კახეთსა განოვიდოდა, მაშინ ჩვენის საზოგადოს აზრით მოხდებოდა ვითომც აღრეულობა. — და ამ წიგნის პასუხი მის **ბატონიშვილისაგან** მივიღე, ესრეთ, რომ მე მაშინ ენიშვილს არ ვენდობიო, ვინაიდან ჩემს პირისპირ მომკვდარაო; [1]) მაგრამ ნაინც კიდევ გენდობიო, მე მოვხუცდი და აღარ შემიძლიანო, და ახლა თქვენმა საზოგადოობამ იცის როგორც შოიქცევითო, —მეორე წიგნი მივიღე მის, **ბატონიშვილისაგან** ესრეთ, ადრევე თქვენი საზოგადოების მაგიერად საკუთრივ, შენგნით მივიღე წიგნიო, რომელთაც გსურთ საქართველოს განთავისუფლება, და მპირდებოდით მეფობასაო, მაგრამ თქვენგნით მე ვეღარა შევიტყერაო, და აღარა მაცნობეთრაო, — მე ამისი პასუხი მივწერე—ახლა, სრულებით მშვიდობიანობა არის მეთქი, და აღარავინ აღარას ფიქრობს, ვინაიდგან პოლიაკები დაითურგნენ, **მესამე** მის **ალექსანდრე ბატო-**

---

[1]) **ალ. ორბელიანის** მამა **ვახტანგი** რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო.

იშვილის კაცი **მაჰმადა**, რომ იყო ჩემთან, და მითხრა შემდეგნი: ეგვიპტის ფაშისაგან, ორი კაცი მოვიდა **ალექსანდრე ბატოიშვილთანაო**, წიგნი ჰქონდათო, — შემდეგ რაოდენსამე დღეს უკან, აზნაური **გარსევან**, გვარი კი მე აღარ მაგონდება მისი,[1]) ის აზნაური და მე გამოგვზანეს **ყაზი მოლასთან**[2]) წიგნებითაო, და გარემოება კი აღარ მახსომს თქო მან **მაჰმადამ** თუ არა, მის წიგნებისა, და **ყაზი მოლადგანაც** წიგნები წავიღეთო, სთხოვდენ **ალ. ბატოიშვილს**, რომ დაღისტანში გაქოსულიყოვო, — მე კი აღარ მახსომს წიგნიღა მივსწერე **ბატოიშვილს** თუ არა და სიტყვით დავაბარე მას **მაჰმადას** ესრეთ, საზოგადოს მაგიერად — **რომ სოლომან რაზმაძე** მოჰყვება რუსეთის პოსლანიკს თავრიზს, და მას **ბატოიშვილს** გაეგზავნა მოვდელი, **მას რაზმაძესთან**, და მას **რაზმაძესთან** ექონია შეერთება, განუცხადებდა ყოველს ჩვენს გარემოებასა, და ესეც, **რომ მას ბატოიშვილს** უნდა ექონია შეერთება ინგლისელების პოსლანიკებთან რომელნიც თავრიზს არიან.

წელსა 1833—სა სეკდენბრის 6-სა დღესა პოდპორიჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**" (XXIV, 5248).

მოლა ზამანა, რომელიც პირველად **ალ. ბატონიშვილთან** იყო გაგზავნილი, ერთ ჩვენებაში ამბობს: „მიმდინარე წლის (ე. ი. 1832 წ.) შემოდგომაზე, როცა რთვლებისთვის ვემზადებოდით. **ბალა მაჰმადა** მოვიდა ჩემთან და მიამბო, რომ ის, ორი ამხანაგით, **რომლებიც ალ. ბატონიშვილთან** მსახურობენ—ქართველ **გარსევანთან** და ერთ ნესტორიანელთან ერთად, იყო, გაგზავნილი **ყაზი მოლასთან**, რომელთანაც მივიდნენ სომხეთის ოლქისა და განჯის გავლით;—**მან** ისინი კარგად მიიღო და დაასაჩუქრა, მიიღეს ბისგან წერილი **და** ორი მათგანი უკანვე გაემგზავრნენ ჭარის ოლქით, ხოლო ნესტორიანელი მოკვდა მთებში, შულავრის მახლობლად. **გარსევანი** ბამბაკში წავიდა, სადაც **ბალა მაჰმადას** დაბრუნებას უცდის. ჩვენ წავედით **ალექსანდრესთან (ორბელიანთან)**, რომელიც ავადმყოფი დაგვიხვდა, მაგრამ ეს იყო უკანასკნელ ავადმყოფობაზე ადრე, ამის გამო, რომ ფეხში ლურსმანი შეესო; თავად **ალექსანდრეს** არ ეჯერებოდა, **რომ ბალა მაჰმადა ბატონიშვილის** მიერ იყო გამოგზავნილი, მაგრამ ამის დასამოწმებლად **ბალა მაჰმადამ** ჰკითხა **ალექსანდრეს** მოვიდა თუ არა მასთან **ალ. ბატონიშვილის** მიერ გამოგზავნილი ნესტორიანელი. ამის შემდეგ **ალექსანდრემ** დაიჯერა და ცალკე დიდხანს ესაუბრა მას, ბოლოს, როგორც **მაჰმადამ** მითხრა (ალე-

---

[1]) **ჩოკაშვილი** იყო

[2]) აჯანყებულ დაღესტნელთა ბელადი.

ქსანდრეს) გადაეცა მისთვის-წერილი და ოცი მანეთი თეთრი“ (11—268).

ალ. ორბელიანი ნესტორიანელის ნახვას უარყოფს „ორ წიგნზე მეტი ნე არ მომსვლია და არც ვიცი ნესტორიანნი რა ხალხი არიან, იქნება **მოლა ზამანას** უთხრა **ალექსანდრე ბატონიშვილის** კაცმა, რომ ვითომც ნესტორიანნი ჩემთან მოსულიყვნენ თორემ ჩემთან ნესტორიანი სულ არ მოსულან“ (XIV, 2592).

შეთქმულთა ერთი ჯგუფი **ალ. ბატონიშვილის** პირისპირ საბანახავად იერუსალიმში წასვლას აპირებდა. **ალ. ორბელიანი** უჩვენებს: „1831 წელსა, განზრახვა გვქონდა, წინადადებითა **თამარ ბატონიშვილისათა,-მე** ჩემი ცოლშვილით, **ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავთ,** და ჩემ ძმას **ვახტანგ,** რათა უნდა წავსულიყავით, იერუსალიმის სახელზე ხელმწიფე იმპერატორის ნებითა და ოსმალოს სამზღვარში, რომ უნდა შევსულიყავით, — მაშინ ჩვენთაგანი ერთი რომელიმე **ალექსანდრე ბატონიშვილთან** უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოიყვანდა, და შემდეგ სწორეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით“ (VIII, 1441), **ვახტანგ ორბელიანის** ჩვენებით მის ძმას **ალექსანდრეს** მიუწერია **ალ. ბატონიშვილისთვის** წერილი **ინგლისელებთან** ურთიერთობის შესახებ“ (III, 446).

ალ. ორბელიანს ერთს თავის ჩვენებაში უთქვამს, რომ **ალ. ბატონიშვილისათვის** მიწერილი პირველი წერილი მის მიერ არაჩვეულებრივი ხელით, არამედ სხვანაირი მსხვილი ასოებით იყო დაწერილი, რომლის მსგავსადაც კომისიაში დაუწერია ორი სიტყვა. ეს ხელი თურმე ძალიან მიემსგავსა **თეკლა ბატონიშვილის** ხელს (იხ. **როზენის** მოხსენება, საქმე № 163, გვ. 68). ხოლო **ლუარსაბ ორბელიანის** ჩვენებით **ალექსანდრეს** მისთვის უთქვამს, რომ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მიწერ - მოწერა აქვს აგრეთვე მის დედას **თეკლა ბატონიშვილსაც** (1,118).

ალ. ორბელიანს — თავის მოგონებაში **თეკლა ბატონიშვილი** შეთქმულების ყველა ამბების მცოდნედ გამოჰყავს. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ **ალ. ბატონიშვილისადმი** პირველ წერილს **თეკლას** ხელით დაწერილად ვივარაუდებთ.

შეთქმულთა მიერ გათვალისწინებული საქართველოს მართველობის პროექტის მიხედვით **ალ. ბატონიშვილი** სახელმწიფო სამმართველოს ზედაპალატის თავმჯდომარედ იყო ნაგულისხმევი.

(...«За правительственных мест то было верхнее и нижнее. Верхнем заседали 1-ое лицо и сам царь, которого пологали **Александра Царевича**»... 1, 78).

ელიზბარ ერისთავი მოხუცებულობაში.
(მწერალთა მუზეუმი)

როზენი სამხედრო მინისტრ **ჩერნიშოვს** მოახსენებს, რომ: „საერთოდ ნას, **ბატონიშვილს** თვლიდენ ისეთ პირად, რომელსაც შეუძლიან ყველაზე მეტად გამოიწვიოს მღელვარება და განაგოს საქართველო, ქართველების მეხსიერებაში შერჩენილი მისი გავლენის წყალობითა"-ო (საქმ. № 166, გვ. 144).

რასაკვირველია, **ალ. ბატონიშვილთან** ურთიერთობა თვით სპარსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობას გულისხმობს, რადგან, როგორც ვიცით, **ალექსანდრე** სპარსეთის ხელისუფლების სურვილითა და ხელის შეწყობით მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ.

შეთქმულთ ოსმალეთთანაც ჰქონიათ, ყოველ შემთხვევაში უცდიათ, ურთიერთობის დაჭერა შეთქმულების თაობაზე. ამ მიზნით ტფილისში მყოფ ოსმალეთის ელჩს დაახლოვებიან და თავისი განზრახვა მისთვის გაუნდვიათ.

ლ. ორბელიანის ჩვენებით მისთვის **ალ. ორბელიანს** 1831 წელს უთქვამს, რომ: „ის დაიარება აქ ოსმალეთის ელჩთან და აქვს ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი" (IX, 1513). თვითონ **ალ. ორბელიანი** ელჩთან ურთიერთობის შესახებ ამბობს:... წარსულს 1831-სა წელსა ზაფხულს—ერთ საღამო ჟამზე გარეთ უბნისაკენ სასეირნოდ ვიყავით და შემდეგ **სოლომონ დოდაევის** სანახავად მივედით, როდესაც მის სახლსა შინა შეველ იქ ოსმალოს პოსლანიკი დამხვდა. მცირეს ხანს უკან **თ. ელიზბარ ერისთავი** და ჩემი ძმა **ვახტანგ** ესენიც შოვიდნენ **დოდაევის** სანახავად, რომელიც ამ ჩვენსა განზრახვასა ზედა არამც თუ გველაპარაკოს რაიმე,—არამედ მაშინ არც კი ვფიქრობდით ესრეთსა, ხოლო ამის მეტს, რომ ჩაის ვსომდით, შურაბას ვჭამდით და მე ქართულს სიმღერებს ფორტეპიანოზე უკრავდი"-ო. (XXIII, 4514).

ამავე ამბავს **ს. დოდაშვილი** ასე გადმოგვცემს: „ოსმალეთის ელჩი 1831 წლის დასასრულს ჩემი ბინის მახლობლად გენერალ **კომაროვსკის** ცოლის სახლში ცხოვრობდა. გავიცანი რა იგი, მასთან ხშირად დავიარებოდი, ერთ საღამოს ჩაიზე მოვიწვიე: რადგან თავისი თარჯიმანის პირით მთხოვა, რომ სურდა მოესმინა ფორტეპიანოზე და მის ტონთან თავისი ბალალაიკა შეეთანხმებინა, ამიტომ მე მოვიწვიე სოვეტნიკი **ალექსანდრე ორბელიანი**, რომელიც ფორტეპიანოზე აზიურ სიმღერებს კარგად უკრავს და მისი ძმა **ვახტანგი**, რომელიც რუსულ სიმღერებს უკრავს, და ელჩის მოსალხენად პატარა კონცერტი შევადგინე; ფორტეპიანოზე და ბალალაიკაზე უკრავდით და ვმღეროდით ევროპიულ და აზიურ სიმღერებს; ამავე დროს იყო აგრეთვე **ელიზბარ ერისთავი**. მთავრობის წინააღმდეგ

განზრახვის შესახებ ოსმალეთის ელჩთან არც იმღამეს და არც სხვა დროს არავითარი ლაპარაკი არა მქონია; მე და მის შორის ბაასი ჩვეულებრივ შეეხებოდა თავად **ვარშავსკის** გამარჯვებებს, ელჩის მასთან ნაცნობობას, და იგი ელჩი ყოველთვის რუსებს უპირატესობას აძლევდა; მთავრობის საწინააღმდეგო მას ჩემგან არაფერი გაუგია, პირიქით მხოლოდ ქება მოუსმენია". (XXIII, 4518).

მაშასადამე, **ს. დოდაშვილს** განუზრახავს ოსმალეთის ელჩის მიწვევა და რომ დრო უფრო კარგად გაეტარებინათ, სათანადო კრებულიც დაუპატიჟნია. **ალ. ორბელიანი** კი ამბობს, რომ ის საღამოს **დოდაშვილთან** სრულიად შემთხვევით მივიდა სეირნობის შემდეგ, ისევე, როგორც **ვახტანგი** და **ელიზბარიც** შემთხვევით მივიდნენ. ამ ორი ჩვენების დაპირისპირებიდან ნამდვილ ვითარების ამოკითხვა და ოსმალეთის ელჩთან შეთქმულების მეთაურთა შეხვედრის მიზნების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის.

ელ. ერისთავის თქმით ისე გამოდის, რომ ის და **ალ. ორბელიანი** ერთად მისულან იმ საღამოს **დოდაშვილთან**: „1831 წლის ზაფხულში მე და სოვეტნიკი **ალ. ორბელიანი** ვიყავით მასწავლებელ **დოდაშვილთან**, სადაც ვიღაც ოსმალის მოხელე დაგვიხვდა, და ამ მოხელესთან მე თარჯიმანის საშუალებით ვლაპარაკობდი; მაგრამ ჩვენი საუბარი არაფერს გასაკიცხს არ შეიცავდა და ამის შემდეგ მე იგი აღარსად მინახავს".-ო. (XXIII, 4520).

ვახტანგ ორბელიანი კი სულ უარყოფს იქ ყოფნას: „ჩვენებაო, რომ მე ვიყავ ნასწავლ. **დოდაშვილთან**, როდესაც მასთან ოსმალეთის ელჩი იყო—ტყუილია — მე მხოლოდ გავიგონე **დოდაშვილისაგან**, 1831 წ. რომ ოსმალეთის ელჩი ერთ საღამოს მასთან იყო"-ო ამბობს იგი (XXIII, 4522).

საქმეებში ამის მეტი ცნობები ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ შენახული არ არის.

როგორც **ალ. ორბელიანის ბიძინა ერისთავისადმი** ზემოდმოყვანილი წერილიდან (რომელშიაც ვარშავის აღებას ატყობინებს), აგრეთვე შეთქმულთა ყველა ჩვენებებიდან და განსაკუთრებით კი **ზავილეისკის** შეთქმულებაში მონაწილეობის ფაქტიდან ჩანს — შეთქმულნი დიდათ ადევნებდენ თვალყურს პოლონეთის აჯანყებას და მისი მიმდინარეობა აქაურს შეთქმულებაზე სათანადო გავლენას ახდენდა. შეთქმულნი ყოველთვის კითხულობდენ გაზეთებს და პოლონეთის ამბებს ანალიზს უკეთებდენ. **ალ. ორბელიანი** უჩვენებს, რომ 1831 წ. ქართლში თავის მამასთან გამგზავრებული **ლუარსაბ ორბელიანის** რძალი **მანანა** (რომელიც შეთქმულებაში გარეული იყო

ალ. **ორბელიანის** ცოლთან ერთად) გაუცილებიათ **ალ. ჭავჭავაძეს, ელიზბარ და გიორგი ერისთავებს, ალ. და ლუარს. ორბელიანებს,** და „მერე გზაზე ჩვენ ვილაპარაკეთ პოლონეთზე და რაღაც ამ შეთქმულებაზე, მაგრამ მას შემდეგ დიდი ხნის განვლის გამო აღარ მახსოვს, ვისგან რა ითქვა"-ო (XI, 1743). ხოლო პოლონეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ ტფილისში გადმოსახლებულ პოლონელებთან კი უშუალო ურთიერთობა ჰქონიათ და ისინი აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მომზადებულიც ყოლიათ.

ლუარსაბ ორბელიანი უჩვენებს:„... 1832 წელს **ელიზბარი** მეუბნეოდა და შარწმუნებდა, რომ აქ არიან 500-დე პოლონელი, რომლებიც ჩვენს მხარეზე იქნებიანო; მერე **ი. ფალავანდიშვილმა** თქვა, რომ ის იცნობს აქ ერთ პოლონელს. — არ მახსოვს ორი თუ სამი დღის შემდეგ მოვიდა ერთი პოლონელი ჩემ სახლში და ჩემს კაცსა ჰკითხა: „სად არის თავადი, მინდა ვნახოო". როგორც კი მოსამსახურემ ეს მაცნობა, უბრძანე მისთვის უარი ეთქვა. შემდეგ იგივე პოლონელი მოვიდა მეოთხე დღეს და კვლავ არ მივიღე. მესამე დღეს კი მოვიდა და უთხრა ჩემს მოსამსახურეს, რომ ის **იასე ფალავანდიშვილის** მიერ არის გამოგზავნილი, მაშინ კი გულით უთხარი მსახურს, რომ მან უარი უთხრას პოლონელს, რომ მე მას არ მივიღებ; ამ დროს მან გადასცა მსახურს წიგნაკი ჩემთვის გადმოსაცემად, და როდესაც მან ის მომიტანა, მე დავხედე რა, რომ ის გერმანულად იყო დაწერილი, დაუბრუნე და მის ნიღებაზედ უარი ვთქვი"-ო (X, 17434).

ელ. ერისთავი ამბობს: „1832 წელს პოლონელი ჯარის კაცები ტფილისში დადიოდენ და მოწყალებას თხოულობდენ. და მე მომიხდა ერთხელ ორ მათგანს თითო აბაზი მივეცი. მე ვკითხე მათ, რომელი „პოლკიდან" არიან და აქ რად არიან. იმათ დამისახელეს „პოლკი", სადაც მსახურობდნენ, მაგრამ მე აღარ მახსოვს, და მითხრეს „სამშობლოს გულისათვის ბატონო"-ო. კითხვაზე, თუ რა წოდების არიან, მიპასუხეს „გლეხები ვართო" (XII, 2156).[1])

ვახტანგ ორბელიანი აღიარებს, რომ პეტერბურგში **დიმიტრი ბატონიშვილი,** ჰკიცხავდა რა ქართველებს, რომ ისინი რუსებს ნე-

---

[1]) Солдаты поляки в 1832 году, ходили по городу Тифлису и просили мылостини, и мне случилось однажды дать двум солдатам по абазу денег. Я у них спросил из какого полка и зачем здесь? Они назвали полк где служили; но я не помню; и сказали мне, за очизну пане"—а на вопрос из кокого звания? Они сказали из мужиков".

ბას აძლევენ თავის დაჩაგვრისა, მათ პოლონელებზე მიუთითებდა ჯერ ისევ 1828—1829 წ. 1831 წელს კი შეთქმულნი პოლონეთის აჯანყების წარმატებას უცდიდენ (ტ. 28. 519—520), ხოლო **ელიზბარ ერისთავი** ჰმოწმობს, რომ 1831 წელს **მამაცაშვილთან** სადილზე პოლონელთა ზოქმედების შესახებ მსჯელობა ჰქონიათ (1768, 4750)

იასე ფალავანდიშვილის ერთ ჩვენებაში ვკითხულობთ:"... **პაუშენკო ალექსანდრეს**) სახლში გვიამბობდა პოლონელებზე, ვითომც ფრანგები ძლიერ ნანობენ, რომ მათ არ უშველეს, და ამიტომ პარიზში პარლამენტი რამდენიმე ხანს დახურული იყო"-ო. (**Паушенко** при мне в доме **Александра** разсказывал о Поляках, будто французы многие сожалеют, что не помогли им, и за то был парламент на несколько времени закрыт в Париже. (XVII, 3212).

ი. **ფალავანდიშვილისავე** ჩვენებით, როდესაც მას უთქვამს **დიმიტრი ერისთავისათვის**, რომ შეთქმულნი ზარბაზნებს ვერ ზოიხმარებენ, რადგან ქართველთაგან არტილერიის საქმე არავინ იცის და ასე მალეც ვერავინ ისწავლისო, **დიმიტრის** უპასუხნია „პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენის მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი. — მე უთხარი სად იშოვნით პოლიაკებს ჯარისას— **ელიზბარ ერისთავმა** მითხრა მე ყოველდღე დავდივარ ჩემ სიძე **მელნიკოვთან**. ამის მაღაზიების ქვეშ სახლისაში უჭირავთ შვეიცერელების პოდანთ ვაჭრებს და იმათთან მიდიან პოლიაკები ზოგი სათხოვრათ და ზოგი ისე, და მე განზრახ დაუწყებ ხოლმე ლაპარაკსა. და ყოველთვის თითო აბაზი მაქვს გადადებული მათთვის და ამით ბევრს ვიშოვნით. და კიდეც ვანუგეშებ ვეუბნები ჩვენც თქვენსავითა ვართ და ისინი ამბობენ ზა ოტჩიზნუ" (VI, 962).

ალ. ორბელიანის ჩვენების თანახმად **ზაქარია ჩოლაყაშვილი** შეთქმულთ თურმე ხშირად ეუბნებოდა: „რისა გეშინიანთო, ავსტრიის იმპერატორს ერთმა ჩინოვნიკმა თავში ქვა მიარტყაო თავისუფლებისათვისაო, და ეს ხომ ჩვენი საკუთარი მამული არისო.—კიდევ იტყოდა ვარშავაში როდესაც ბუნტი მოხდაო, მაშინვე პოლიაკებმა ხუთის კაცის ძეგლები ამართესო, **რილეევისაო**, და ოთხთ იმის ამხანაგთ იტყოდა იმათი გვარი კი ალარ მახსომს ვისას იტყოდა, და იმ ძეგლებს პატივსა სცემდნენ პოლიაკებიო. ესეც უთქვამს პოლიაკების დედაკაცები იყვნენ პოლკოვოის კამანდირებიო, და ჩვენ ხომ კაცნი ვართო" (VI, 1036).

ანტონ აფხაზი უჩვენებს, რომ პეტერბურგიდან ჩამოსული **ზაქარია ჩოლაყაშვილი** უამბობდა მას დეკაბრისტების მოძრაობაზე

---

[1]) ალ. ორბელიანი

და სხვათა შორის შემდეგი უთქვამს: „**პესტელი** ურჩევდა, **რათა** პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები უსათუოდ **დაუბრუნდეს** მათ მფლობელთ, ხოლო ძირითადი გუბერნიები, რომლებიც მოსკოვის ახლო არიან, რუსეთს დარჩესო“ (II-193,)

ანტონ აფხაზისავე ჩვენებით: „**ალექსანდრე**[1]) ამბობდა, რომ ჩვენ ჯერ წარსულს 1831 წელში გვქონდა შეთქმულება და განკარგულებაც[2]) მოხდენილი იყო, თუ ჩვენგანი ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო, მხოლოდ ველოდებოდით აიღებდნენ თუ არა რუსები ვარშავას. და როგორც კი მოვიდა ამბავი ვარშავის აღების შესახებ, ჩვენი განზრახვაც ჩაიშალაო“ (187).[2])

გიორგი დავითის ძე ერისთავი ამბობს: „ის[3]) ყოველ საღამოს დაიარებოდა **ალექსანდრე ორბელიანთან** და მოჰქონდა ამბები, რომ პოლონეთში ესა და ეს ხდება, საფრანგეთში ეს და ესაო“ (IX 1616).

როგორც ვთქვით შეთქმულნი არც ევროპიდან დახმარების იმედს იყვნენ მოკლებულნი.

ი. ფალავანდიშვილი მოგვითხრობს: „.... ეუბნებოდნენ მასწავლებელ **ყიფიანს**, რათა წასულიყო მის ბრწყინვალება **ოქროპირ ბატონიშვილთან** და ეთქვა მისთვის, რომ ის დაუყოვნებლივ პარიზში ჩასულიყო თავისი განზრახვის შესასრულებლად“ (VI, 957).

სოლომონ რაზმაძე კი ამბობს:“ ფიქრობდნენ, რომ თუ ყველა თავად-აზნაური თანახმა იქნებიან მიიღონ მონაწილეობა **და** მათთან ერთად თანახმა იქნებიან ყველა ქართველები და სომხები და თუ ინგლისი ან საფრანგეთი დაეხმარებოდათ, მაშინ, ეგონათ, რომ გაიმარჯვებდნენ“-ო (VII, 1196).

გ. დ-ძე ერისთავის ჩვენების თანახმად **ელ. ერისთავს** უთქვამს მისთვის, რომ ჩვენ მფარველად „ძალგვიძს მოვიყვანოთ ფრანცუზნიო“ (345).

ალ. ორბელიანის ჩვენებიდან: „**ზაქარია ჩოლაყოვმა** მითხრა **ალექსანდრეო**, ეხლა მოსკოვში რომ ვიყაო, **ოქროპირ ბატიშვილთან ლაპარაკი** მქონდაო, რომელიც ემზადება ფრანციაში წარსასვლელად, იქიდან ჯარს მოიყვანს შავი ზღვითაო ფრანცუსებისასო, და მაშინ ადვილად განთავისუფლდებითო. — ესეც ბევრჯერ უთქომ ჩემთვის ჩემი ძმა **ალექსანდრეც** აპირებს ფრანციაში წასვლასაო

---

[1]) **ალ. ორბელიანი.**

[2]) ამისთანა განკარგულება მართლაც ყოფილა.

[3]) **პაუშკინკოზეა ლაპარაკი.**

საქართველოს თავისუფლებისათვისაო, და დიდი თავისუფლების მოყვარე არის ჩემი ძმა **ალექსანდრეო**" (VI, 1036).

ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა იმის გამორკვევა, არსებობდა თუ არა რამე ურთიერთობა ამ შეთქმულებასა და რუსეთის დეკაბრისტების მოძრაობის შორის. შეთქმულების საბუთებში ამ საკითხის შესახებ არავითარი პირდაპირი ჩვენება შენახული არ არის და მაშასადამე ორგანიზაციული კავშირის არსებობაზე ლაპარაკი ძნელია, მით უმეტეს, რომ დეკაბრისტების მოძრაობა რუსეთში ამ დროისთვის რეაქციის მიერ უკვე დათრგუნვილი იყო, მაგრამ რამოდენიმე გადარჩენილი ცნობის მიხედვით იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ქართველთა შეთქმულება რუსი დეკაბრისტების იდეურ გავლენას მოკლებული არ უნდა ყოფილიყო. ამ საკითხის გაღრმავება შეიძლება შეთქმულთა თხზულებების შესწავლის ნიადაგზე, ამჟამად კი შეიძლება შემდეგ ცნობებზე მიუთითოთ:

1. **სოლომონ დოდაშვილის** ქაღალდებში იპოვეს ცნობილი დეკაბრისტი **რილეევის** საპყრობილედან სიკვდილის წინ ცოლისადმი მიწერილი წერილის პირი, რომლის გამო შეკითხვაზეც **ს. დოდაშვილი** უპასუხებს კომისიას": Письмо **Рилеева** я переписал в С. Петербурге у студента **Крупского** в 828 году» (XI 1393)

2. **გრიგოლ ორბელიანს** უთარგმნია **რილეევის** ლექსი (XXI, 4154).

3. ამავე იდეურ ზეგავლენის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ჯორჯაძის მიერ ნაჩვენები შემდეგი": «**Царевич Димитрий** весьма часто рассказывал посещавшим его о вольности, об'ясняя права Франции, свободную жизнь жителей ея, ограниченную власть короля и какой имеет голос каждый гражданин Франции во время избирания королей и, наконец, представил мятежи в оной происходившие.

Иногда разсуждали о состоянии правления вольных городов: Франкфурта на Майне и Кракова, украшал рассказами счастливую жизнь граждан оных городов» (XII, 2168).

ამ საგანზე ერთი პირდაპირი ცნობაც მოგვეპოვება, რომელიც ზევითაც იყო მოყვანილი და აქაც შეიძლება გავიმეოროთ. **სახელმობრ ანტონ აფხაზი** თავის ჩვენებაში ამბობს:„... სადილის წინ გერმანელთა ახალშენში წაველ გასასეირნებლად და გზაზედ შევედი მასთან,[1]) ის სახლში დამხვდა, გამარჯობათ და მსვამს თავის გვერდით, სხვადასხვა საუბრის შემდეგ, გაწაგრძობს ღვარდიის კაპიტანი **თ. ჩოლაყაშვილი** დიახ კინაღამ რუსეთი დაირღვა (лопнуло) ამბობს ის. თუ მეამბოხენი დეკემბრის 14 არსენალთან მივიდოდნენ

[1]) ლაპარაკია **ზ. ჩოლოყაშვილზე.**

და არა სენატთან, უეჭველად გაიმარჯვებდნენ, მაშინ ბრბო მოჰკიდებდა იარაღს ხელს და ვაი დატრიალდებოდა; შემდეგ ხსნის მეამბოხეთა გეგმას, თუ ვინ როგორ აზრს აყენებდა; ამბობს **თ. ჩოლოყაშვილი პესტელი** ურჩევდა, რომ აუცილებლად პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები მათ მფლობელთ უნდა დაუბრუნდეთ, ხოლო ძირითადი გუბერნიები, რომლებიც მოსკოვთან ახლო არიან, რუსეთს უნდა დარჩესო, რადგან საქართველოსგან რუსეთი ღარიბდება და მისი სიმდიდრე საზღვრებზე გააქვთ. იგივე **თ. ჩოლოყაშვილი** განაგრძობს პოლონელებმა ძეგლები აუშენეს იმ პირთა და ზეიმით იდღესასწაულეს მათი ხსოვნა, ვინც 14 დეკემბრის გამო დასჯილ იქნენ"-ო (II, 193).

როგორც ვხედავთ **ჩოლოყაშვილი** დეკაბრისტების საქმესთან დაახლოებული ყოფილა[1]) — მაგრამ საქართველოს და ქართველობის გარეშე ძალებთან ურთიერთობა ნათქვამით არ ამოიწურება. ქართველთა შეთქმულებაში უეჭველია მონაწილეობას იღებდა ლიბერალურად განწყობილი რუსული საზოგადოების ნაწილი, რომელთაგან მხოლოდ მცირედნი, ისიც საქართველოში მყოფთაგან, გამოცხადდნენ და დანარჩენნი დაფარულად დარჩნენ. მათ რიცხვს უნდა ეკუთვნოდენ ტიტულიარნი სოვეტნიკი, დუშეთის ისპრავნიკი **პაუშენკო** და ტფილისის პოლიცმეისტერი **ანდრია მელნიკოვი**. პირველი მათგანი სხვა მთავარ შეთქმულებთან ერთად გასამართლებული და დასჯილიც იყო. ამის შესახებ საქმეებში შემდეგი ცნობებია დაცული

გ. დ-ძე ერისთავის ჩვენებიდან: „როდესაც მე **ელიზბარმა** გამომიცხადა და „სოვეტნიკ" **ალ. ორბელიანთან** მიმიყვანა იმათ მე მითხრეს, რომ **პაუშენკომაც** იცის ჩვენი შეთქმულება და მე შემეშინდა და უთხარი, ვაი თუ იმან გაგვცეს მეთქი, **ალექსანდრემ** მითხრა, რომ იმას შენი ეშინიან, ახალგაზრდა ხარო; თუმცა **პაუშენკო** პირველად **ალექსანდრე ორბელიანთან** რომ დადიოდა მე მერიდებოდა, მაგრამ დაინახა რა, რომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი, მაშინ კვლავ გულახდილად დამიწყო ლაპარაკი, გვარიგებდა და გვაგვზნებდა, რომ თქვენ არც დღე და არც ღამე არ უნდა გაჩერდეთო; ის ყოველ საღამოს დაიარებოდა **ალ. ორბელიანთან** და მოქონდა ამბები, რომ პოლონეთში ესა და ეს ხდება, საფრანგეთში ესა და ესა"-ო (IX, 1616).

მეორე ადგილას უჩვენებს: „ისპრავნიკი" **პაუშენკო** დაიარე-

---

1) იხ. აგრეთვე **ალ. ორბელიანის** ჩვენება (VI, 1036)

ბოდა **ალ. ორბელიანთან** სახლში, სადაც ვიყავით ხოლმე მე, „სოვეტნიკი“ — **ორბელიანი** და **ელიზბარ ერისთავი,** — და იქ ის ვვაძლევდა რჩევა — დარიგებას და აღგვაგზნებდა, როგორც ადრეეეც ვაჩვენე“-ო (XVIII, 3316).

ალ. ორბელიანის ჩვენებიდან:“... დუშეთის ისპრავნიკის **პაუშენკოს** გარემოება, ესენი არიან და იმ **პაუშენკოს** რჩევა ესენი უთქომს ჩემთვის რაც მახსომს და მაგონდება, ე. ი. უნდა საზოგადო გაამრავლოთ და შემდეგ როდესაც ყოველმა იყაბულოს, მასკვან, ყველგან ისე დაწყობილი უნდა იყოს საქმეო, რომ ეოთ სათს უნდა მოხდეს აღრეულობა, და ყოველს პოლკებს, ერთ სათში უნდა დაესხათო იმ პოლკებში ქართველი ოფიცრებიც უნდა მოზიდული გვყვანდეთო, რომ იმ აფიცრებმა უნდა დაუწყონ ლაპარაკი სალდათებსაო, რომ მიიზიდონო, სალდათი ადვილად მოიზიდებაო, და მოსტყუვდებაო, შემდეგ პოლკებს, რომ მოისყიდითო მასკვან, თქვენ იქნებით იმათი ბრძანებელიო, და როგორც გინდათ ისე მოიხმარებთო, და სადაც შემოსასვლელი ადგილები აქვთ, რუსეთიდგან ჯარსაო, იქ დაყენებთო, ამ მოსყიდულს ჯარსაო, და ველარაოდეს ვერ შემოგივლენ რუსეთიდგან ჯარებიო, ამისთვის რომ მაგარი ადგილები აქვს საქართველოსაო, ამაში ქართველებმაც ჯარები გააწყეთო, და მაშინ სულ აღარას დროს აღარ შეიძლება რუსეთის აქ შემოსვლაო, კიდევ ესაო, რომ დიდრონს კაცებსა შორის ხმა დაჰყარეთ რომ ვითომც ამათ რუსეთში გადარეკვას უპირებენო. და ამას რომ გაიგონებენ, მაშინვე თითონ ისინი შეუდგებიან, და ბუნტს მოახდენენო... მე და ამ **პაუშენკოს** დიახ ხშირად გვილაპარაკნია ერთად —მაგრამ ეს კი არ მახსოვს რომ ვითარ გავიცან ამ ჩვენს განზრახვასა ზედა, რომელიც თავადი **ელიზბარ ერისთოვი** მე გავაცან **პაუშენკოს,** და ფმასთანაც ბევრჯელ ულაპარაკნია.

სხვანი კიდევ იცნობდნენ **პაუშენკოს** ამ ჩვენ განზრახვასა ზედა, ჩემი ძმა **ვახტანგ, გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ივანე მიხეილის ძე ერისთოვი** და მგონია კარნეტი **გიორგი ერისთოვიც** იცნობდა, ამ ჩვენსა აზრსა ზედა, შემდეგ მოსვლისა **გიორგისა**“, (IX, 1646).

პაუშენკო თავის განმარტებაში ყველა მაზედ მოთხრობილს ადასტურებს, თუმცა, რასაკვირველია, ცდილობს საქმის ვითარებას სულ სხვანაირი მიმართულება მისცეს.

მოუსმინოთ თვითონ მას:

„საგამომძიებლო კომისიას ტიტულიარნი სოვეტნიკის **დიმიტრი პაუშენკოს** განმარტება.

თ. **ალექსანდრე ორბელიანის** ჩვენების გამო უპატივცემულე—

სად განვმარტავ, რომ მე არავითარ ეგრეთწოდებული შეთქმულების შესახებ არაფერი ვიცოდი. ნაგრამ მე მინახავს იგი **ორბელიანი** ბაშინდელი საქართველოს მართებლობით უკმაყოფილო; ეს იყო 1830 და 1831 წლებში. რათა გამეგო მისგან ყველაფერი, ხომ არ იმალებოდა აქ რაიმე ბოროტმოქმედება, ხანდახან ვმართავდი ხოლმე მასთან სხვადასხვა მსჯელობასა და ბაასს განზრახ, ხოლო ამ დროს გავიგონე მისგან, რომ რუსეთში არის ვინმე **დიმიტრი ბატონიშვილი** კაცი ჰკვიანი; ეს ბატონიშვილი მგონია წავა ლონდონში იმპერატორის ნებართვით და მგონია ამ ბატონიშვილს განზრახვა აქვს თხოვოს ლონდონის მეფის სასახლეს შუამავლობა, რათა მას საქართველოში ცხოვრების უფლება მიეცეს. ამგვარად ხშირად ლაპარაკობდა **თ. ალექსანდრე ორბელიანი,** მაგრამ რადგან მისი სიტყვები მგონიაობაზე იყო აღმოცენებული, ამიტომ კეთილგონიერება მიკარნახებდა არავითარი სერიოზული ხასიათი მათთვის არ მიმეცა. რაც შეეხება იმ ხმებს, ვითომც მე ურჩევდი გაევრცელებინათ ხმები აქაურ წარჩინებულ ხალხთა რუსეთში გადასახლების შესახებ, ეს ხმები თვითონ მან გადმომცა მე და არა თუ ჩემგან იყოს ნათქვამი; და მე ჩემი მხრივ მაშინათვე განუცხადე მათ იჭვი, რომ მთავრობა ამას არ ჩაიდენს მეთქი; მაინც თქვა მან, რომ წავა და შეაშინებს **მუხრან ბატონს უფროსს,** მაგრამ მისთვის არც ამის ჩადენა მირჩევია, ისე ხუმრობით ვიზამ ამასო მიპასუხა **თ. ალექსანდრე ორბელიანმა.** შემდეგში მე გავიგონე მისგან რომ **უფროსი მუხრანბატონი ბაგრატიონი** ძლიერ განრისხდაო.

სხვადასხვა პოლკებში მოსამსახურე ქართველი ოფიცრების შესახებ მსჯელობის ირგვლივ ასეთი ლაპარაკი იყო, როგორც მე მახსოვს, რომ ისინი ძალიან ცოტანი არიან სამსახურშიო, რომ საჭიროა, რათა თავადაზნაურობამ ბლომად გაგზავნონ თავიანთი შვილები სამხედრო სამსახურში, რადგან მათი საშუალებით შეუძლიან ქართველებში რუსთა ზნეჩვეულებებს გავრცელება, ამის საშუალებით კი ეს ორივე ხალხი ეხლანდელზე უფრო მჭიდროდ დაკავშირდებოდენ და მაშასადამე რუსი ჯარის კაცები უფრო მეტად შეიყვარებდენ ამ მხარეს.—მაშინდელი, ე. ი. 1830 და 1831 წ. წ. პოლონეთისა და საფრანგეთის ამბების შესახებ **ალექსანდრე ორბელიანი** ჩვენ მუდმივ გვიამბობდა, ისე ცნობის მოყვარეობისათვის, ჰკრებდა რა ამბებს გაზეთებიდან, რომლებიც გუბერნატორ **ზავილეისკისგან** მოჰქონდა და შემდეგში კი საკუთარ სახელზე მიღებული გაზეთებიდან; მაგრამ მომხდარა, რომ მეც ზოგჯერ მასთან მივსულვარ გაზეთებითურთ წასაკითხავად, არა ვთვლიდი რა ასეთს

საქციელს არავითარი წესრიგის საწინააღმდეგოდ. ამასთანავე ვიმეორებ, რომ არავითარი შეთქმულების შესახებ მე არაფერი არ ვიცოდი, და რაც კი თ. **ალექსანდრე ორბელიანს** ჩემს შესახებ ამ საქმესთან დაკავშირებით დაუწერია, ყველაფერი ტყუილია.

სხვა ამის თანაგანმზრახველთა ჩემ შესახებ ჩვენებებზე ისევე განვმარტავ, რომ ისინი მე ცილსა მწამებენ, რადგან თუ კი ოდესმე ჩემსა და მათ შორის ყოფილა რაიმე საუბარი, ეს ჩემი მხრივ გულწრფელი არასოდეს არ იყო, როგორც ეხლაც მაგონდება, იმიტომ, რომ ეს პირები ყველანი ჩიოდნენ ზოგი—რომ მათი საქმე მალე არა თავდება, ზოგნი რომ მათ უდანაშაულოდ და სასამართლოს გარეშე მამულები ჩამოართვეს; მაშასადამე, ამათთან შეფარდებით ვლაპარაკობდით ჩვენ მხოლოდ იმას, რის თქმაც შეიძლებოდა, რაც იმათ შეიძლებოდა ისე გაეგოთ, რომ შეთქმულების მონაწილე ვიყავ, მაშინ, როდესაც ჩემი მიზანი იყო მათგან გამეგო რაიმე და რაც საჭირო იქნებოდა ის ზექნა, მაგრამ ვერა გავიგე რა დანამდვილებით და ვხედავდი რა რომ შეთქმულება[1]). ამიტომ არც შეიძლებოდა მთავრობისათვის მეცნობებინა, რადგან კანონის თანახმად მხოლოდ იმის შესახებ შეიძლება აცნობო მთავრობას, რასაც ხედავ, იცი და ნამდვილად ამჩნევ, მე კი არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არ მქონდა, უსაბუთოდ რომ მეცნობებინა კი მე თვითონ უნდა მეგო კანონის წინაშე პასუხი.

ამა კომისიაში მე გამომეცხადა, რომ 1831 წ. მე მთავრობის უკმაყოფილო ვიყავ, მეგრამ თუ ამას ტფილისის პოლიცმეისტერი ამბობს, მას შეუძლიან ტყუილად დაწეროს ეხლა, რადგან მე თვითონ ცოტა მის საზარალოს ვწერდი იმ 190 ათასის თაობაზე, რომელიც თითქოს ტფილისელი მოქალაქის **ხანქალამოვისათვის** ჩამოერთმია. მაგრამ ჩემი საქციელი ნათლად ჩანს 1831 წ. უწყებებიდან, რომლებშიც პოლიცმეისტერი მეც მიხსენიებს, თუ როგორ ვიქცეოდი მე ტფილისში ყოფნის დროს. ეს უწყებები ან გუბერნატორთან უნდა იყოს ან აღმასრულებელი ექსპედიციის საქმეებში.

ამა კომისიაში გამომეცხადა აგრეთვე, რომ მე ეს ყველაფერი წარსული წლის დეკემბრიდან ვიცი. მაგრამ თუ დუშეთიდან ვინმე დამაბეზღა, ალბად ვინმე მოხელეთაგანმა სასურსათო ზედამხველისა და გარნიზონის კაპიტანის ჩათვლით, რადგან მათში დავტოვე ჩემ წინააღმდეგ უკმაყოფილება და მტრობა სხვადასხვა შემთხვევათა

---

[1]) რამოდენიმე სიტყვა არ იკითხება.

გამო, რომელთა შესახებაც ჩემ მიერ თავის დროზე მოხსენდა მთავ-
რობას.

ამა კომისიაში გამომეცხადა აგრეთვე, რომ ბრალდებულთ ჩემ შესახებ არაფერი უჩვენებიათ თიფქმის წარსული თვის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებამდე, რამდენჯერაც არ უკითხავთ მათთვის ჩემს შესახებ. აქედან ცხადია, რომ ბრალდება განგებ არის თავზე მოხვეული და უკვე საპყრობილეში ჯდომის დროს არის მოგონილი, თუ ასე არა. ისინი თავიდანვე აჩვენებდნენ ჩემზე, თუ კი მათი თანაგანმზრახველი ვიყავი და თუ კი ასეთად მე ჩემს თავს მათ წინაშე ვაცხადებდი. ამასთანავე შეთქმულების წევრად ყოფნა იმას ნიშნავს, რომ უნდა მცოდნოდა საშუალებანი, ხერხები და გეგმები შეთქმულებისა, მე კი არაფერი ამგვარი არ ვიცოდი, რაშიაც მოწმად თვით ლმერთს მოუწოდებ, რომელმაც ერთმა უწყოდა, რომ მაშინდელი ჩემი ფიქრები ჩემი მოვალეობის შესახებ სუფთა და დაუძრახავი იყო.

ამა კომისიაში გამომეცხადა მე კიდევ, რომ ზოგიერთ ბრალდებულთ ჩემზე უჩვენებიათ, რომ მათ არ იციან ვიცოდი თუ არა მე 1832 წ. შეთქმულების ამბავი. ამგვარად თვით ეს მათ მიერ ნაჩვენები საკუთარ ადასტურებს, რომ მე უდანაშაულოდ ვიტანჯები, რამეთუ მე თუ მათი თანაგანმზრახველი ვყოფილიყავ, მაშინ ეს შეთქმულებაც უნდა მცოდნოდა, ხოლო თითონ კი აჩვენებენ, რომ მათ არ იციან მე ვიცოდი იგი თუ არა. მაგრამ ეგებ ამაზე ბითხრათ, რომ შეიძლება ერთი შეთქმულება იცოდეს კაცმა და მეორე კი არაო. ამაზე უპასუხებ, რომ თუ მე ვყოფილიყავ იმის მონაწილე, რაშიაც მე ბრალსა მდებენ, და რომ მე მცოდნოდა 1831 წ. შეთქმულება, მაშინ 1832 წლისაც მეცოდინებოდა, რადგან მათ მიერ ჩემთვის ამის გამოცხადება პირველი შეთქმულების უეჭველი და აუცილებელი შედეგი იქნებოდა; მაგრამ როგორც 1831 წ. შეთქმულების შესახებ არაფერი ვიცოდი, არ შეიძლება არც 1832 წლის შეთქმულების მცოდნოდა რამე და წინააღმდეგ, ე. ი. არ ვიცოდი რა ეს უკანასკნელი, არც შეიძლება, რომ ამისთანა პირველიც მცოდნოდა და ეს მართლა ასეც იყო.

თუმცა 1832 წლის შესახებ აი რას გავბედავ კომისიას ვაცნობო. **მაშინ როდესაც უკმაყოფილების სული სუფევდა არა მარტო ქართველებს, არამედ ჩვენი რუსი მოხელეების შორისაც** და ეს უკმაყოფილება უმთავრესად გუბერნატორ **ზავილეისკის** ეხებოდა და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ მრავალი უდანაშაულოდ იქნა პასუხისგებაში მიცემული, სხვები გამოუძიებლად თანამდებობიდან იყვნენ დათხოვნილნი. ამით შეურაცხყოფილი ხალხი, ხშირად, რასაკვირველია, თავის მდგომარეობის გასაქარვებლად, რას არ იტყოდნენ.

ცოტად თუ ბევრად ასეთ მდგომარეობაში მიხდებოდა მე ზოგჯერ ბევრ ქართველთან შეხვედრა და მათ რიცხვში ჩემ ბრალმდებლებთან **თავად ალექსანდრე ორბელიანთან, თავად ელიზბარ ერისთავთან და გიორგი დავითის ძე ერისთავთან,** რომელთაგან პირველი ორი ჩიოდნენ მათი საჩივრის საქმის გაუთავებლობას, მეორე კი ბამულის სასამართლოს გარეშე ჩამორთმევას. მაგრამ ჩემი ზედმიწევნით დაკვირვების დროს ვხედავდი, რომ ისინი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერაფერში ვერა ვხედავდი და ვერ ვამჩნევდ[1], რითაც დავრწმუნებულიყავ, რომ რამე შეთქმულება მაშინ მართლაც არსებობდა. რასაკვირველია შეიძლება იგი იყო მათ, იმ გვარ განწყობილებაში მყოფთა, აზრში? ეს მე არ ვიცი.

განვმარტე რა ყველაფერი ეს, ჩემს ბედს უპატივცემულესად კომისიის ხელთ გადავცემ.

ტიტულიარნი სოვეტნიკი **პაუშენკო**.

მარტის 6-სა დღესა 1833-სა წელსა (რვ. X, 1799—1802).

იგივე **პაუშენკო** მეორე ადგილას ვრცელსავე ჩვენებაში ამბობს: **тоже при одном свидании с ним между разговором сказал так: «Ах как безответно солдаты Русские повинуются! Неужели подкупить их нельзя». На сие я ему отвечал, что они так верны, что ни что их не подкупит...**

Еще также в одно время тоже между разговором обратился он ко мне с таким вопросом: «Как полагаете, грузины отделеют Русских». На сие я ему отвечал: в каком разе отделеют ли? Тогда когда Грузия не была бы принадлежащею на пример России, возразил он, и имела бы свои регулярные войска. — Противу сего мною было ему сказано также между разговором, что против Русских никто не устоит» (XI № 1943).

ამ ნათქვამით ის უნებლიეთ ადასტურებს **ალ. ორბელიანის** ჩვენებას.

ალ. ორბელიანი კომისიის კითხვაზე უპასუხებს: „მე ვგონებ როგორც ეხლა მაგონდება, რომ მე, გამოუცხადე განზრახვა ესე ჩვენი **პაუშენკოს** წარსულს 1831-სა წელსა, და ის კი ალარ მახსოვს რომ როგორ გამოუცხადე“-ო (XVII, 3220).

ვახტანგ ორბელიანი კი ამბობს: „მე თვითონ არ მილაპარაკნია **პაუშენკოსთან** ჩვენს განზრახვაზე, მაგრამ გამიგონია ჩემი ძმა **ალექსანდრე** და **ელიზბარ ერისთავი** როგორ ბაასობდენ მასთან ამ საგნის თაობაზე“-ო (XVII, 3224)

ალ. ორბელიანის მოგონებაში ვკითხულობთ: „ერთმა მცოდნე

---

[1]) ალ. ორბელიანი იგულისხმება.

ჩინოვნიკმა პ[1]) მითხრა წინათ, თუ ეს ჩვენი საქმე გამოცხადდა და დაგვიჭირეს მე მხოლოდ თქვენზე დიდ ნაკლულევანებას ვიტყვი, იციან მე და თქვენ კარგი მეგობრები ვართ, ამის გამო მე აღარ ვა-ვტყდები და თქვენთვისაც სასარგებლო იქნება, ისეც იყო, თავის თავსაც არგო და ჩვენც. ისიც დაიჭირეს... იმან ფორმა და კანონი კარგა იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო" (წ. კ. ს. ხელნ. №1569, ფ. 139).

როდესაც სასამართლოში საქმე ირჩეოდა ალ. და მისი ძმა **ვახტანგ ორბელიანები** და **პაუშენკო** ერთ ოთახში ყოფილან დამწყვდეული (იქვე, 143).

ანდრია მელნიკოვზე შემდეგი ვიცით:

ლუარსაბ ორბელიანი უჩვენებს: „მაქვს პატივი განუმარტო კომისიას. 1831 წ. „კოლეჟსკი სოვეტნიკმა" **მელნიკოვმა** იცოდა ჩვენი შეთქმულება და განზრახვანი, თავის მხრივ იწონებდა და გვაძლევდა რჩევებს, მაგრამ დაწვრილებით არ მახსოვს. 1832 წელს კი, როდესაც ჩვენ ჩვენი განზრახვა უკუ ვაგდეთ, მაშინ, როგორც მე, ისე **ელიზბარ ერისთავს,** გვირჩევდა ჩუმად ვყოფილიყავით და ამაზედ არსად არაფერი გველაპარაკნა, გვეუბნებოდა რა, რომ თუ ამას შეიტყობენ, სასტიკად დაგვსჯიანო" (X, 1693).

ალ. **ორბელიანი** უჩვენებს: „ექსპედიციიდან[2]) გამოვედი და შინისაკენ მივდიოდი, მაშინ **მელნიკოვის** სახლის ფანჯარა ღია იყო **ელიზბარ ერისთავმა გადმომძახა** აქ ამოდიო რომელიც ავედი, ოდეს შეველ **გიორგი ერისთავი** იქ დამხვდა, **დიმიტრი, ელიზბარის** ძმაც იქ იყო, და სტოლზე რაღაც რვეული იდო, მითხრეს აქ მოდიო რა წაგიკითხოთო, ის კი აღარ მახსომს რომელმა წამიკითხა" და სხვა (III, 392). აქ ლაპერაკია ნისვის „აკტი გონიური"-ს წაკითხვაზე, რომელიც მას მერე სახლში წაუღია. **მელნიკოვის** სახლში თუ ამისთანა საქმეები წესაძლებელი იყო, ეს იმის მაჩვენებელია, რომ **მელნიკოვმა** მართლაც იცოდა შთქმულების ამბავი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენებიდან: **„მელნიკოვის ცოლ მელანიასთან** მქონდა ლაპარაკი ამ განზრახვაზე და ამან ეს უფრო ადრეც იცოდა"ო. (X, 1675).

ელ. ერისთავს, რომელიც **მელნიკოვთან** ცხოვრობდა, 1832 წელს შეთქმულნი დაუპატიჟნია[3]), სადაც საქართველოსა და თჯ-

---

[1]) **პაუშენკო.**

[2]) იგულისხმება—„Экспедиция суда и расправы".

[3]) ალბად მორიგი წვეულების გამო, როგორც ეს მიღებული ჰქონდათ შეთქმულთ.

ვისუფლებაზე ულაპარაკნიათ (იხ. ალ. **ორბელიანის** ჩვენება, V, 848).

ა. **მელნიკოვი** საგამომძიებლო კომისიის მიერ დამნაშავეთა მე-7 ჯგუფშია მოქცეული, რაც იმას ნიშნავს, რომ მან შეთქმულების ამბავი იცოდა, მაგრამ აჯანყების მოხდენაზე თანხმობა არ მიუცია, რასაც კომისია **ელ. ერისთავის** ჩვენებიდან დაასკვნის. (1688, 1729, 3628), სადაც იგი ამბობს, რომ **მელნიკოვი** აჯანყების მოხდენას არ ეთანხმებოდა და იმათაც ურჩევდა შეთქმულებისათვის თავი დაენებებიათ. მაგრამ ამას იგი ჯერ ერთი იმიტომ ამბობს, რომ შეთქმულების სიდიადე დაემცირებინა და მეორე თავის სიძე დაეფარა[1]). შეთქმულთა მთელი რიგი უჩვენებს, რომ **მელნიკოვისთვის** შეთქმულება დაფარული არ ყოფილა. თუმცა **მელნიკოვი** ყველა ამ ბრალდებებს უარჰყოფს (1721, 3000, 3156), მართალია ძალიან უბადრუკი მოტივებით, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ **მელნიკოვმა** აჯანყების სამზადისი კიდეც იცოდა და მას კიდევაც ეთანხმებოდა. სხვა რომ არა იყოს რა მას რუსსა, როგორც თვითონ აცხადებს, რომ: „მას არ შეეძლო თავის თანამემამულე რუსების წინააღმდეგ, და ბოროტ და გაიძვერა ქართველების, მისი საშინელი მტრების—ანჯანაგად ყოფილიყო“—შეთქმულების ამბავი არ უნდა დაემალა, და თუ კი მან ეს საიდუმლო ორი წლის განმავლობაში შეინახა, მაშასადამე თვითონაც ამ საქმის მოზიარე ყოფილა.

სააუდიტორიო დეპარტამენტმა (სასამართლომ) **მელნიკოვის** შესახებ დაადგინა: **ანდრია მელნიკოვი** დარჩეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ (29 ტ. 44).

პაუშენკოსა და მელნიკოვზეც იმგვარადვე წერს **დიმიტრი ყიფიანი**, როგორც **ზავილეისკიზე**.

„...არ ის, ეს ეს ... გამეგება რა რა ... იყვნენ ... ქმეში გარეული ეს სამი რუსის ჩინოვნიკები: **პაუშენკო, მელნიკოვი** და **ზავილეისკი**. მაგრამ ვალად ვრაცხ ჩემს თავს ამათზედ ისა ვთქვა, რაც მქონდა გაგებული. მაშინდელ საზოგადოებაში ამათი რეპუტაცია იყო სრულიად დაუძრახავი. **პაუშენკოს** უცქერდენ როგორც ნიჭიერ და სამაგალითო პატიოსან ჩინოვნიკს.

მელნიკოვზედ ამბობდენ, როგორც მრისხანე და პატიოსან პოლიცმეისტერზედ, რომელიც ეხლაც კი აღსოვთ თბილისში მოხუცებულებს და რომ ისე მოქცეულიყო, როგორც იქცეოდნენ სხვა ტიტულიარნი სოვეტნიკები, გამდიდრება ადვილად შეეძლო, მაგრამ სამსახურიდამ რომ გამოვიდა - ღარიბად დარჩა“-ო] (ხელნ. № 1540 გვ 2.)

---

[1]) **მელნიკოვის** ცოლი **ელიზბარის** და იყო.

მესამე რუსსაც სცოდნია შეთქმულების ამბავი.

დიმიტრი ყიფიანი უჩვენებს: „მე ჯერ **ვახტანგ ორბელიანსა** და მასწავლებელ **ავთანდილაშვილს**, შემდეგ კი მათთან ერთად ყოფილ „სოვეტნიკს“ **ალექსანდრე ორბელიანსაც** უთხარი, რომ, ვითომც მე გავიგონე მამაჩემ პრაპორშჩიკ **ფიოდოროვისაგან**[1]), რომ მან იცის, რომ მთავრობას მიუღია ცნობა ვითომც ტფილისში თავადებს შორის შეთქმულება არსებობდესო. ეს მე განგებ გამოვიგონე, სახელდობრ იმისთვის, რომ ამით მაინც შეთქმულებისთვისა და მის შესახებ მსაჯულობისათვის ბოლო მომეღო“ (XXIV, 4806).

თვით საქართველოს შიგნით შეთქმულების გავრცელება მხოლოდ ქართლ - კახეთით არ ამოიწურებოდა და იმერეთსაც წვდებოდა.

იმერეთთან ურთიერთობა შედარებით მკრთალად არის მასალებში წარმოდგენილი, თუმცა საფიქრებელია, რომ იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, რასაც ჩვენ აქ ვტყობილობთ. როგორც სხვა ბევრი რამის დაფარვა ნოახერხეს შეთქმულთ, უეჭველია, რომ აქაც ბევრი რამ დამალეს. გადარჩენილი ცნობები შემდეგს გადმოგვცემს: იმერელ აზნაურს **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს** დაავალეს იმერეთში აჯანყების იდეის გავრცელება, მაგრამ **ლორთქიფანიძის** მოღვაწეობა ვითომც, მხოლოდ რამოდენიმე აზნაურისათვის ამ აზრის გაზიარებაში გამოიხატა.

ამ საკითხის დაწვრილებით განხილვაც შეთქმულების საქმეების მიხედვით შეასძლებელი ხდება.

ალ. ორბელიანის ჩვენებიდან: „კითხვასა ზედა კომისიისა მოხსენება,—**პირველი** წარსულს, 1831-სა წელსა, ოდესაც თავადმა **გიორგი დავითის ძემა ერისთოვმა** გამაცნო თავის სახლსა შინა იმერელი აზნაური **თეიმურაზ ლორთქიფანიძე**, და მოწყალობა რომ მთხოვა საწყალი და ღარიბი ვარო, და გთხოვო წყალობა რამ მაჩუქოვო: რომელიც თავადმა **გიორგი დავითის ძემ ერისთოვმაც** ერთი შინელი მაჩუქაო, და მე დიაღაც შებრალებისა გამო, ორი თუ სამი ოქრო ვაჩუქე და ამ **ლორთქიფანიძეს, ელიზბარ, გიორგი დავითის-ძე ერისთოვნი** და მე პირად ვეუბნებოდით ხოლმე, ეხლა იმერეთს რომ წახვალ, უთუოთ ეცდები შენ ხალხის მორბილებასა, ვისაც მისი გული ენდობა. მან **ლორთქიფანიძემ** მითხრა, რომ წერილით მომეცი დარიგება როგორ მოვიქცეო. ამის მეორეს დღეს, სადილს უკან ელიზბარი მოვიდა ჩემთან, და მითხრა, შენ რომ ის სხვა ხელის წერა იციო, იმ ხელით დაწერეო, მასკვან მე უთხარ, რომ აჩვე-

[1]) დ. ყიფიანის აღმზრდელი-მამობილი.

ნოს ვისმე შეთქი, არავის არ აჩვენებსო, მასკვან მითხრა ადეგ კარგი დაწერე ნუ გეზარება, მე ბეტყვიო: რომელიც ავდეგ და დამაწერინა, არ ვიცი **რვა** პუნკტი იყო თუ **ცხრა**, ესე იგი **პირველი** ღვინოში გაფრთხილდეს უბრალოს ლაპარაკს, **მეორე** ვისაც ენდობოდეს, იმას უთხრას ესე ჩვენი განზრახვა და შემდეგნი კი აღარ მახსომს რა იყო, და ან რა დარიგება იყო, რომელიც **გიორგი ერისთავმაც** ნახა და მოიწონა ის დარიგება დიახ კარგიაო, და ჩვენ სამთავ როგორც მახსომს ერთად მივეცით ის დარიგების წერილი **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს**... ერთს საღამო ჟამზე მოვიდა **ეს თეიმურაზ ლორთქიფანიძე** ჩემთან, და ერთი ყმაწვილი კაცი იმერელის თავადიშვილი მოიყვანა ჩემთან, და მითხრა, ეს არის გურიის დიდი კაცის შვილი **ზურაბ ერისთავი** და თქვენ გასაცნობად მოვიყვანეო რომელიც **ზურაბ ერისთავმაც** მთხოვა, რომ მახლობლად გაშეცნა, — მე დიახ პატივი ვეცი დიდი კაცისშვილობისა გამო, და ჩემთან ჩაი დალია, შემდეგ ჩაისა წავიდა ჩემგნით, და წასვლის დროს მთხოვა, რომ დიახ ახლო მეგობარი ვყოფილიყავ იმისი, და წიგნი მიმეწერა-რომელიც შემდეგ რაოდენისამე თვისა წიგნიც მივწერე, ეს კი არ მახსომს იმისი წიგნი მომივიდა პირველად თუ მე მივწერე, ორივ მოკითხვის წიგნი იყო, იმ ჩემ მიწერილ წიგნში იყო მოკითხვა **თეიმურაზ ლორთქიფანიძისა**, და ესეც რომ რად დამივიწყა მეთქი,—იმ **თეიმურაზ-ლორთქიფანიძემ** კიდევ ერთი არ ვიცი-თავადიშვილი იყო თუ აზნაურიშვილი, ბრმა იყო ცალთვალი, ისიც გამაცნო. არც **გიორგი ჩიჩოვაძეს** ვიცნობ, არც **ნიკო ჩიჩოვაძეს**, არც **ბესო ლორთქიფანიძეს**, და არც აზნაურს **ზალიკო ჩახუნაშვილსა**, მაგრამ ეს გვარი კი როგორლაც მახსომს,—**გრიგოლ წერეთელს** ვიცნობ. მაგრამ თვინიერ ხელმწიფის ერთგულების მეტი სხვა არა რა შემიტყვია რა იმისი. ჩვენი საზოგადო არას დროს შემწედ არ რაცხდნენ იმერეთს-ოდესცა **თეიმურაზ ლორთქიფანიძე** წავიდა იმერეთში; მის შემდეგ მე იმისი აღარა ვიცი რა. იმ **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს** ნამდვილად ახლო მცნობნი, **ელიზბარ** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვნი, ზაქარია ციციანოვი**, და ჩემი ძმა **ვახტანგ**, ესენი არიან, და რომელთაც ვგონებ რომ იცნობდნენ, **სოლომან დოდაევი, ზალ ავთანდილოვი** და **იოსებ მამაცოვი**" (IX, 1645—46).

ელიზბარ ერისთავი:„... **1831 წ. თ: გიორგი ერისთავმა** „სოვეტნიკ" **ალ. ორბელიანის** სახლში მაჩვენა იმერელი **ლორთქიფანიძე**, და მითხრა, რომ **ლორთქიფანიძემ** უთხრა, მას, რომ იგი იმერეთის თავადიშვილებს ყველას ახლოს იცნობს და აღუთქვა, რომ შეიტყობს იმერლების აზრსა და დამოკიდებულებას (расположение)

ალექსანდრე ორბელიანი
(მწერალთა მუზეუმი)

მთავრობასთან. მას გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვა და მან აღგვითქვა, რომ ყველაფერს დაწვრილებით გვაცნობებდა. იმის შემდეგ **ალ. ორბელიანმა** მითხრა, რომ მან **ლორთქიფანიძეს** ფული და შინელი აჩუქა და მისცა მას წერილობითი ინსტრუქცია, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

როგორც **ალექსანდრემ** მიამბო ინსტრუქცია იმაში მდგომარეობდა, რომ არავისთვის ჩვენი სახელი არ უნდა ეთქვა, გარდა იმისა, რომ საქართველოში არის განზრახვა და რომ მასში ყველა თავადები მონაწილეობას იღებენ, არ უნდა ელაპარაკნა იმაზე ვისიმე თანადასწრებით, არამედ განმარტოებით მხოლოდ ერთ პირთან. და უნდა გაეგო რა აზრისა არიან იმერლები მთავრობის წესახებ და ჩვენთვის ყველაფერი დაწვრილებით უნდა ეცნობებინა. მაგრამ **ლორთქიფანიძე** წავიდა და მისგან არავითარი ცნობა არ ძიგვილია. თუმცა ჩვენ არა ვფიქრობდით და არც იმედი გვქონდა, რომ იმერეთი ჩვენს განზრახვაში მონაწილეობას მიიღებდა (X, 1767).

ნიკო ჩიჯავაძე, ბესო ლორთქიფანიძე და **ზალიკო ჩახუნაშვილი** სრულებით უარს ამბობენ, რომ მათ არავისგან არაფერი შეთქმულების თაობაზე არ იცოდნენ (XII 2191—2196).

ამერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე აჩვენებს:

„გენერალ **ერმოლოვის** დროს იყო იმერეთში აჯანყება, რომელშიაც თუმცა მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ შემდეგში უდანაშაულოდ დამწამეს რა ცხენის მოპარვისა და საზღვარ გარეთ გაქცევის ცილი, სამი წელიწადი ქუთაისის ციხეში ვიყავ დაპატიმრებული. ბოლოს იმერეთის მართველ გენერალ-მაიორმა **თ. გორჩაკოვმა,** დარწმუნდა რა ჩემს უდანაშაულობაში, გამანთავისუფლა. მაგრამ რადგან გამომიცხადეს, რომ რუსეთში გადასახლებას მიპირებენ, იძულებული შევიქენ ახალციხეს გავქცეულიყავ **ბაგრატ ბატონიშვილის შვილისშვილ ივანესთან,** რომელიც ამდროს იქ ყოფ ლტოლვილი **დავით მეფის უკანონო შვილიშვილ თ. ვახტანგითურთ.** ახალციხის რუსის ჯარის მიერ აღების შემდეგ, ჩვენ აზრუმში გავიქეცით, იქიდან ტრაპიზონში და შემდეგ კონსტანტინოპოლში, სადაც ვიმყოფებოდით რუსეთსა და ოსმალეთის შორის ზავის შეკვრამდის.

ამის შემდეგ მე შევაგულიანე იგი ახალგაზრდა თავადი **ივანე ბაგრატიონი,** რომ სამშობლოში დაბრუნებულიყავით, — და ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ **კონსტანტინეპოლში** ჩამოსულ **რუსეთის** ელჩს, რომლის მეცადინეობითაც ჩვენ ოდესაში გრაფ **ვორონცოვ-**

თან გაგვგზავნეს. ოდესაში თვეზე მეტი დავრჩით. შემდეგ კი, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა რედუტ-კალეს გზით ტფილისში თავად **ვარშავსკისთან გრაფ პასკევიჩ ერივანსკისთან** გაგვგზავნეს. აქ დავრჩით რვა თვე; **თ. ივანემ** მეფის მოწყალებით მიიღო უფლება თავის სამფლობელოზე იმერეთში და ჩვენ გავემგზავრეთ იმერეთისაკენ ორი კვირის შემდეგ, როდესაც მისი ბრწყინვალება გენერალ-ფელდმარშალი აქედან რუსეთში წავიდა.

ტფილისში ყოფნის დროს ხშირად დავიარებოდი სხვადასხვა დაწესებულებებში ნაცნობი იმერლების საქმეების გამო და იქ გავიცანი **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი,** რომელიც მთხოვა მივსულიყავი ხოლმე მასთან სახლში, რადგან ის დედის მხრით **ბაგრატიონთა** შთამომავალია, მე კი ამ საგვარეულოს ერთგული ვარ და თან ვახლდი ლტოლვილს ზემოდ დასახელებულს **თ. ივანე ბაგრატიონს.** ასეთი ნაცნობობით მოსყიდული მე ხშირად დავიარებოდი **ალექსანდრე ორბელიანთან,** და მან პირველმა განმიცხადა მე შეთქმულება, შემდეგ კი **გიორგი დავითის ძე ერისთავმა,** რომელიც **ალექსანდრე ორბელიანთან** ვავიცანი, და რომელთანაც შემდეგში სახლში არა იშვიათად დავიარებოდი. ეს ორნი ერთად და ცალკ-ცალკე მეუბნებოდენ, რომ ქართველ თავად-აზნაურთ ერთსულოვნად სურთ აქ აჯანყება მოახდინონ და განთავისუფლდენ რუსებისაგან, რომელნიც მათ უაღრესად ავიწროებენ, ართმევენ მათ მამულებს, ანგრევენ დუქნებს (ломают лавки) და ანადგურებენ ქალაქებს. ამასთანავე ისინი ლაპარაკობდენ აგრეთვე ამ განზრახვის აღსრულების გეგმაზე; იგი ამაში მდგომარეობდა, რომ თვითოეულ პუნქტზე ქალაქში როგორც არის: არსენალი, მეტეხის ციხე და სხვა, დანიშნული იყვნენ საგანგებო რაზმები მათ მიერ ამორჩეული ხალხის მეთაურობით. ჩაიგდებდნენ რა ისინი ამ მნიშვნელოვნა პუნქტებსა და არტილერიას ხელში, ალბად ფიქრობდნენ (наверное надеялись) ყველა აქ მყოფი რუსების ოთხი დღე ღამის განმავლობაში ამოხოცვას. **თ. ალექსანდრე ორბელიანმა და გიორგი ერისთავმა** განმიცხადეს რა მე ეს და აგრეთვე ის, რომ მათ სურთ ამ განზრახვის შესახებ აცნობონ იმერლებს, მე მავალებდენ წამელო წერილები და ვცდილიყავ იმერელი თავად-აზნაურები აჯანყების მოხდენაზე დამეყოლიებინა. მე უარს ვეუბნებოდი იმერეთში წერილების წაღებაზე, ამიტომ ჩემი გამგზავრების დროს მათ მთხოვეს სიტყვიერად გამეცხადებია შეთქმულება თავადებ **ნიკო** და **გიო-**

რგი ჩიჯავაძეებისათვის, ბესო ლორთქიფანიძესთვის და სხვა წარ-ჩინებულ პირთათვის და დამერწმუნებინა ისინი, რათა ქართველი თავადაზნაურობისათვის მიებაძათ. — ისინი ამბობდნენ აგრეთვე, რომ პოდპოლკოვნიკ **თ. გრიგოლ წერეთელსა** და სხვა იმისთანებს თვითონ გადმოიბირებენ. იმერეთში ჩასვლისას ამ დავალების შესახებ მე არავისთვის რა გამომიცხადებია, გარდა **გიორგი ჩიჯავაძისა და ბესო ლორთქიფანიძისა,** რომელთაც ორივემ სიხარულით მიიღეს ეს ცნობა და თქვეს: „ღმერთმა ინებოს, რომ ეს მოხდეს, ჩვენ მათ არ ჩამოვრჩებით და საერთო ძალით ვიმოქმედებთ"-ო. უკანასკნელს ამათგანს ეს უფრო იმიტომ უხაროდა, რომ მის სიძე **ვახტანგს**[1]), (რომლის შესახებაც ზევით ითქვა), მიეცემოდა სეშუალება თავის ოჯახს დაბრუნებოდა.

ჩემ შემდეგ ტფილისიდან იმერეთში ჩამოვიდა ჩემი მეზობელი **ნიკო ჩიჯავაძის** აზნაური **ზალიკო ჩახუნაშვილი,** რომელიც აქ ორ კვირა სდარჩა. ერთელ მე ვიყავი **ნიკო ჩიჯავაძის სახლში,** სადაც მოხსენებული **ზალიკოც** მოვიდა, იქ იყო აგრეთვე **თ. ბესო ლორთქიფანიძე** და ეს სამივე, დამტოვეს რა მე მისავალს ოთახში (სადაც იმყოფებოდა **თ. ნიკო ჩიჯავაძის მეუღლე**), გავიდნენ მეორეში, იქ **ზალიკომ** დაუწყო მათ თხრობა ავკანყების მოხდენისა და რუსების გაწყვეტის მიზნით საქართველოში არსებულ შეთქმულებაზე, დაუმატა რა ამასთანავე, რომ საქართველოში **შას, ზალიკოს,** დაავალეს აცნობოს ეს იმერელ თავადებსა და აზნაურებს, რათა ისინი მოქმედებისთვის მზად იყვნენ. მოხსენებული თავადები აცხადებდნენ თავიანთ მზად ყოფნას და ამბობდნენ, რომ თუ ღმერთი ინებებს და ეს მოხდება, ისინი თავს გასწირავენ. ეს საუბარი მე თხელ კედელთან მჯდომს ნათლად მესმოდა და **თვით ბესო ლორთქიფანიძემ** იქიდან გამოსულმა ყველაფერი მიამბო, რადგან ადრე მე მასთან განცხადებული მქონდა.

ამის შემდეგ მე აღარა გამიგონიარა, აქ რა ხდებოდა; აღარავითარი ურთიერთობა შეთქმულებთან არა მქონია და **ალექსანდრე ორბელიანისთვის** არ მიცნობებია ზემოდასახელებული თავადების თანხმობა. **ალექსანდრე ორბელიანი** კი შარშან გურული თავადის **ზურაბ ერისთავის** წერილში სალამს მითვლიდა და მწერდა რატომ ტფილისში არ მოვდივარ და რატომ არ მინდა მისი ნახვა.

შეთქმულთა კრებაზე ტფილისში არსად არა ვყოფილვარ გარდა იმისა, რომ ვიყავ ხოლმე **ალექსანდრე ორბელიანთან** და **გიორგი ერისთავთან.** მე იქ ბევრებს ვხედავდი, მაგრამ მათი არც

---

[1]) **დავით** მეფის უკანონო შვილისშვილი.

სახელი და არც გვარი არ ვიცი და ამ ორის პირის გარდა არავის შეთქმულებაზე არ ულაპარაკნია. ამ კრებების დროს კი რას ლაპარაკობდნენ მე არაფერი შემიძლიან ვთქვა, რადგან ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ და მე მათი არაფერი მესმოდა.

იმერეთში გამგზავრების დროს მაჩუქეს **ალექსანდრე ორბელიანმა** სამი ჩერვონეცი, ხოლო **გიორგი ერისთავმა** შინელი ნაბდის ნაცვლად, რომელიც მე მას სამგზავროდ ვთხოვე.

თავადებმა **ნიკო ჩიჯავაძემ** და **ბესო ლორთქიფანიძემ** ჩემი აქეთ გამომგზავრების წინ გამაფრთხილეს, რათა ისინი არ გავცე და მათზე ცუდი არაფერი ვთქვა.

ტფილისში დავიარებოდი აგრეთვე **იასე ფალავანდიშვილთანაც**, მაგრამ მას ჩემთვის საეჭვო არაფერი უთქვამს.

კომისიის დავალებით ესე ჩვენება **ლორთქიფანიძის** სიტყვებიდან გადმოვიღე **პოლკოვნიკმა სუმბათაშვილმა**".

„26" თებერვალს 1833 წ.

ქ. ტფილისის (IX, 1637—39).

ლევან ერისთავის ჩვენებიდან (III, 302)... ამასთანავე **ალექსანდრემ (ალ. ორბელ).** მკითხა რომ იმერეთში ხომ ნათესავები გყავს და იქაც ხომ მოხდება ბუნტიო, მე ვუპასუხე, რომ უწინაც იბუნტეს იმერლებმა და ეხლაც იქნება მეთქი მოახდინონ ბუნტი — დასასრულ მოვახსენებ ამა კომისიასა, რომელ მე არც იმერეთში და არც ქართლში არავისთვის ამ ბოროტ ჰაზრზედ არც მითქვამს რა, არც დამიპატიჟნია და არც არა მიმიწერია".

როგორ და რა საშუალებით განიზრახავდენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას.

ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი შეთქმულებაში ის არის, თუ რა საშუალებით განიზრახავდნენ შეთქმულნი აჯანყების სისრულეში მოყვანას. რამდენადაც საინტერესოა ეს საკითხი, იმდენად მცირე ცნობებია მის შესახებ შენახული და ეს სრულიად ბუნებრივიც არის, რადგან, როგორც უკვე რამდენჯერმე იყო აღნიშნული, შეთქმულთ მოახერხეს შეთქმულების მთავარი მომენტების დაფარვა, რითაც მას სერიოზული ხასიათი დაუკარგეს და ზერელე, რეალური შინაარსის უქონელ, ოცნებად გაასაღეს. თუ კი არის რამე ცნობა შეთქმულების საქმეში დაცული, იმასაც შეთქმულნი ცდილობენ, როგორმე გააქარწყლონ და მისი მნიშვნელობა, არარაობამდე დაიყვანონ. საფიქრებელია, რომ კერძოდ ამ საკითხის გადასაწყვეტად საფრანგეთის, პოლონეთის და კიდევ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს არქივებში ნაგულისხმევი მასალის შესწავლამ უნდა მოგვცეს საჭირო ცნობები, ვინაიდან შეუძლებელია, **ლეტელიეს**, **ზვილეისკის** და **ალექსანდრე ბატონიშვილს** პირველს ორს თავიანთი მთავრობებისთვის, ან იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთაგანაც ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება ჰქონდათ დავალებული, ხოლო მესამეს სპარსეთის მთავრობისათვის არ ეცნობებინა, თუ რისი იმედი ჰქონდათ ქართველ მეთქმულთ, რა ძალა იყო მათ განკარგულებაში, რომლითაც ისინი აჯანყების მოხდენას ფიქრობდნენ.

საგამომძიებლო კომისიის მიერ ნაწარმოებ საქმეებში დაცული მასალა ამ მხრივ მრავალ საინტერესო ამბავს გვატყობინებს.

როგორც ამ მასალიდან ჩანს შეთქმულების წევრნი ვალდებულნი იყვნენ თავიანთი გლეხობისაგან შეედგინათ პატარ-პატარა რაზმები, იმ რაოდენობით, რასაც შეთქმულთა საბჭო ამა თუ იმ პირს გადაუწყვეტ და, და აჯანყების დროს აემოქმედებინათ საჭიროების მიხედვით. რასაკვირველია ზოგი ამით არა კმაყოფილდებოდა და ნზად იყო, მთელი თავისი ქონება და, რაც კი რამ გაჩ-

ხდა, ყოველგვარი შესაძლებლობანი ამ საქმისათვის შეეწირა. ყველაზე მეტი თავგანწირვა, როგორც ყოველთვის, და როგორც მოძრაობის მეთაურთ. აქაც **ელიზბარ ერისთავსა, ალ. ორბელიანსა** და **სოლომონ დოდაშვილს** გამოუჩენიათ.

„...ჩვენი საზოგადონი ისრეთ ვაწყობდით, და ესრეთ გვინდოდა, რომ ყველას, გაგვეწერა, და ქალაქში ჩამოგვეყვანა, ვინც რაოდენს, კაცს შეიძლებდა,—გავიწერეთ კიდეც, **ლუარსაბ**[1]) ასი კაცი უნდა ჩამოეყვანა **ელიზბარ ერისთოვს**, ორმოცი, მე ოცი, **გიორგი დავითის ძეს ერისთოვს**—ოცი **ელიზბარ ერისთოვმა** მითხრა, **მამუკაც** ასს[2]) კაცს მოამზადებსო, **ბიძინა ერისთოვი** თანახმა არ შეიქნა, და არც შემიძლიან რომ მე ჩამოვიყვანო ვინმეო,—თუ ქალაქში მოხდება ბუნტიო, მაშინ არამც ოცსა ანუ ორმოცსაო, ათასსაც ვიშოვნი რომ ჩამოვიდე, იმითი ერთათაო“... (IX, 1483) ეს ამბავი 1831 წელს შეეხება, როგორც ამავე ჩვენებაში თვითონ **ალ. ორბელიანი** აცხადებს. (იქვე 1483).

ლუარსაბ ორბელიანი ამბობს: „ერთხელ ჩემთან მოსულმა **ელიზბარ ერისთავმა**, არ მახსოვს 1831 თუ 1832 წელში, მითხრა, რომ განაწილების თანახმად მე ჩემ წილად ასი კაცის გამოყვანა შემხვდა“-ო (XVII, 3128).

ალ. ორბელიანი შეკითხვაზე უპასუხებს: „მე ესრეთ მახსომს, რომ, თავადმა **ელიზბარ ერისთოვმა** მითხრა, რომ ბიძა ჩემს **ლუარსაბ ორბელიანოვს** მოეწონაო, და ას კაცს ის გამოიყვანსო“ (XVII, 3264).

ზაქარია ჩოლაყაშვილისათვის, როდესაც ის შეთქმულთ არწმუნებდა, რომ რუსების დამარცხება ძნელია, რაკი შტაბში შეიკრიბებიანო, მათ უპასუხნიათ: „... ვინ მისცემს მათ შეკრების საშუალებას. როგორც კი აქ რამე მოხდება, რადგან ყველა თავადიშვილები აქ შეიკრიბებიან ამ შემთხვევის გამო, ყველას ეყოლება თან ხალხი, ესენი მაშინათვე გაჰგზავნიან ყველა თავის სოფელში და შეუთვლიან პაროლს, რომელიც იქნება რუსების წყვეტა და მაშინ გარწმუნებთ, რომ არც ერთი რუსი აღარ დარჩება“-ო (1, 38).

იასე ფალავანდიშვილი უჩვენებს: „... თავადი **ელიზბარ ერისთავი** ამბობს, რომ მთელ უძრავ ქონებასა და გლეხობას დავაგირავებ приказ общественного призрения-ში და იქიდან მიღებულ ფულს

---

[1]) ლ. ორბელიანი.

[2]) მ. ორბელიანი

ძოვიხმარებ სხვადასხვა საჭიროებისათვისაო. თუ კომისიას სურს შეუძლიან მოახდინოს ცნობა, რომ მან თავისი ქონება და გლეხები უკვე დააგირავა"-ო.

იმავე **ფალავანდიშვილის** ჩვენებით **ელიზბარს** უთქვამს: „...სხვა და სხვა სოფლებიდან ველოდები ჩემი გლეხებისაგან თორმეტ მამასახლისს, რომელნიც მიიღებენ განკარგულებას, თუ აჯანყების დროს როგორ უნდა მოიქცნენ"-ო (VI, 1016). აქვე **ალექსანდრე ორბელიანს** დაუმტკიცებია, რომ: „მას ამ შემთხვევისათვის მზადა ჰყავს რამოდენიმე ასეული თათართა ცხენოსანი" (იქვე).

ამ ცნობას **გიორგი რევაზის ძე ერისთავიც** ადასტურებს. 1832 წ. დეკემბრის 5-ს **ალ. ორბელიანს** მისთვის უთქვამს: „რომ მასთან მოვიდა **მოლა ზამანა,** რომელსაც ხალხის მოყვანა სურდა, მოვიდნენ აგრეთვე თათრები, რომელთაც მზად ჰყავთ რამოდენიმე ასეული კაცი, მან შისცა მათ ფული და უკანვე გაისტუმრა"—(1, 80).

თვით **მოლა ზამანი** უჩვენებს, რომ: „კორპუსის უფროსის დაბრუნებამდე რამოდენიმე დღით წინ **ალექსანდრე ორბელიანმა მოლა ზამანას** თანადასწრებით დაავალა სოფელ ჰასან-ხაჯალის ქევხას **შიხილ-ალიას** რაც შეიძლება ბევრი ხალხის მომზადება და რომ რამოდენიმე კაცი მოვიდეს მასთან ტფილისში ბრძანების მისაღებად. (ამათ ეტყოდა ხალხი ფეხით თუ ცხენით, ან რა იარაღით უნდა გამოცხადებულიყო) სამი დღის შემდეგ **მოლა ზამანა** ოთხი ამხანაგით **(შიხილ ალია, ყურბან ყამჩი-ოღლი, ყურბან სადუ-ოღლი** ანუ **ალავერდი-ოღლი** და **ჰაჯია ჰუსეინ-ოღლი)** მისულან ტფილისში **ალექსანდრე ორბელიანის** სახლში, რომელთაც ვითომც გამოუცხადეს, რომ ის საქმე, რომელიც მათ სურდათ, ჩაიშალაო" (1, 89).

არც **ალექსანდრე ორბელიანი უარჰყოფს ამ ამბავს.** ის ერთ ადგილას ამბობს: „მართალია, **მოლა ზამანას** უთხარ ჯაცების შოვნა, რომელიც მანაც აღმითქვა"-ო (206) მეორე ადგილს კი აცხადებს: „ამასთანავე უცხადებ კომისიას, რომ მე ვეუბნებოდი ჩემ თანამოაზრეთ რომ შემიძლიან რამოდენიმე კაცის მომზადება და რომ ოთხი **ასეთი** კაცი იყვნენ ჩემთან ტფილისში **მოლა ზამანასთან** ერთად მაგრამ ეს ვთქვი უმიზნოდ, ლაპარაკის დროს, მოუფიქრებლად"-ო (1, 150).

ლუარსაბ ორბელიანს თავის მოურავ **ავთანდილაშვილისათვის** ნაბრძანები ჰქონია, რათა მისი გლეხები მზად ყოფილიყვნენ იმ შემთხვევისათვის, თუ რამე მოხდებოდა (1589, 2953).

იოსებ მამაცაშვილი უჩვენებს, რომ ერთ კრებაზე, როდესაც თურმე „...**ალექსანდრე ორბელიანმა** ჰკითხა **ჩოლაყაშვილს. ზაქარიავ** შეიძლება თუ არა სამი ათასით სასწაულის მოხდენაო, **ელიზბარმა უპასუხა**, რომ მთელ ქართლელებს ის უდგება თხვდებად, კახელებს **კი დოდაშვილი**" (III, 405).

მისივე ჩვენებით: „**ალექსანდრე** ამბობდა, რომ ის ტფილისში 2000 კაცამდე იშოვის" (111, 406).

გიორგი რევაზის ძე ერისთავი აცხადებს: „**დოდაშვილმა** სთქვა, რომ ის პასუხს აგებს მთელ სიღნაღის მაზრაზე"-ო (1, 76).

იასე ფალავანდიშვილს სიტყვიერად უჩვენებია რომ: „ნოემბრის 16 რიცხვებში **ჩოლაყაშვილთან** იყო მასწავლებელი **დოდაშვილი**,—შემდეგ **ელიზბარ ერისთავი** და თითონ **ი. ფალავანდიშვილი** მივიდნენ და **დოდაშვილს** წინადადება მისცეს კახეთში წასულიყო. რათა იგი (კახეთი) 20 ნოემბრისათვის ასაჯანყებლად მოემზადებინა. **დოდაშვილი** დათანხმდა ეს შეესრულებინა; ხოლო **ელიზბარს** უნდოდა დაუყოვნებლივ ქართლში წასულიყო"-ო (II, 232).

იასე ფალავანდიშვილი განაგრძობს: „**დოდაშვილი** აგრეთვე ყველას წინაშე ლაპარაკობდა, რომ ამა წლის ზაფხულში კახეთში ყოფნის დროს, ის უამბობდა გლეხებს, თუ რუსებმა როგორ უსამართლოდ ჩაიგდეს ხელში საქართველო, ავიწროებენ ხალხს და უნდათ ჯარის კაცების მოკრება, რაზედაც ვითომც უპასუხნიათ, რომ ისინი მზად არიან პირველნი დაიხოცნენ,. თუ კი ტფილისში დაიწყებენ".

შემდეგ: „**დოდაშვილი** ხშირადვე ლაპარაკობდა, რომ მას დიდი გავლენა აქვს სიღნაღის მაზრის გლეხობაზე და როდესაც იქ ოლქის უფროსად **ზაპოროშჩენკო** დაინიშნა, მან სთხოვა **ფალავანდიშვილს** ის მისთვის გაეცნობებინა, რათა ხალხს დაენახა, რომ ოლქის უფროსი მისი მეგობარია და მისთვისაც პატივი ეცათ" (იქვე).

ს. დოდაშვილი ზემოხსენებულ ჩვენებათა წინააღმდეგ ამბობს, რომ: „კახეთში წასვლაზე უარი ვთქვი, გლეხებთან საუბრის ამბავი შეთქმულ თავადებს შეიძლება უთხარ, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათთვის მესიამოვნებინა. თუ არა გჯერათ, აბა იკითხეთ კახეთში თუ მითქვამს ვისთვისმე რამე აჯანყების მოხდენაზეო" (234) თვით **იასე ფალავანდიშვილიც** არ ჩამორჩენია სხვებს ამ მხრივ.

ელიზბარ ერისთავი მოუთხრობს:

„ერთ საღამოს მე და კორნეტი **გიორგი ერისთავი** შევედით **იასე ფალავანდიშვილთან**, რომელმაც გვითხრა, რომ მისი ბრძანებით **ზალიკო** ტფილისში ხალხს ამზადებს, ჩვენ არ დაუჯერეთ და იმან თავისი სიტყვების დასამტკიცებლად **ზალიკოს** ოთახში მოუწოდა და უთხრა, აი თავადებს არა სჯერათ, რომ შენ უკვე ხალხს, აგროვებო-

ზალიკომ კი გვითხრა „დაიჯერეთ, მე უკვე ასამდე კაცი ადგილობრივ მცხოვრებნი მოვამზადე“-ო (IV, 515).

ალ. ორბელიანი ამბობს:

„ერთს დროს **ისაე ფალავანდიშვილთან ვიყავ,** და ლაპარაკში მითხრა, ვითომც **ზალიკო ყორღანოვისათვის** ეთქოს რომ ქალაქის **ზო**გიერთ ხალხთ გამოუცხადოს, და დაემზადნენ, ბუნტისათვის, და ხმაც დაყაროს ვითომც სალდათსა ჰკრეფენ,—რომელიც ხალხიც მზად არიან ბუნტისათვისა“-ო (III. 328).

როგორც ირკვევა შეთქმულთ ჯარშიაც უწარმოებიათ **პროპა**გახდა, **როგორც** მას **პაუშენკო** ურჩევდა და ტფილისში მყოფი სამოსწავლო ბათალიონი მოსყიდულიც ჰყოლიათ.

ამაზე შემდეგი ცნობები მოგვეპოვება.

ალ. ორბელიანის ჩვენება:

„წარსულს 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, ერთს დილაზე მოვიდა ჩემთან, **ელიზბარ ერისთოვი,** და მითხრა,—წუხელის ერთი კარგი რამ ვიფიქრეო,—მე უთხარ რა მეთქი,—ამ უჩებნი ბატალიონში ოთხი ქართველნი ოფიცრები არიანო ერთი **დავით ჯორჯაძე,** მეორე **დავით ნათალიშვილი,** მესამე **ჯიბრაილ წერეთელი,** და მეოთხე კი აღარ მახსომს ვინ იყო,—აი ამ ოფიცრების ძალით ჩვენ შეგვიძლიან რომ უჩებნი ბატალიონი მოვისყიდოთო. ის **დავით ჯორ**ჯაძე ხომ ჩვენი არისო, და რასაც ვეტყვი, ჩემს სიტყვას ვერ გადავაო,—**ნათალიშვილი** შენი **მამიდაშვილი** არისო, და **წერეთელი** კიდევ შენი სიძე არისო,—ესენი შენ იშოვნეო,—და ამ რიგათ მოვახერხოთო.—სამოცი ქართველი კაცი ვიშოვნოთო, სალდათურათ ჩავაცოთო, და იმ ოფიცრებს ავატანოთ, შუა ღამისასო, ყაზარმებშიო, და რაც თოფები არის სალდათებისა სულ კარში გამოზიდონო,—და დილაზე შევიდეთ ჯარითაო, და იმ სალდათებს პრაკლამაციას ველაპარაკოთ რომ მოვისყიდოთ ის ბატალიონიო,—და მასკვან ბატალიონის ძალით ვიმოქმედოთო, მე დავფიქრდი იმაზე, და მასკვან მითხრა, რაღას ფიქრობ, უთუოთ ასე უნდა აღვასრულოთო.—მე უთხარ აგრე იყოს მეთქი, და ვეცდები, რომ უთხრა, ამ ჩემ ნათესავ ოფიცრებსა მეთქი,—და მასკვან მითხრა, ეხლა დავიბარებ **დავით ჯორჯაძესაო,** როცა წავიდა ჩემგნით, და ორს დღეს უკან, მოვიდა ჩემთან **ელიზბარ,** და მითხრა წუხელის ჩემთან **იყო დავით ჯორჯაძეო,** და უთხარი, რომელმაც აღმითქვა, უთუოთ აღვასრულებო მასუკან მე უთხარ,—რა ვქნა ძმავ მეთქი ვერ გამიბედნია, და არ ვიცი როგორ უთხრა მეთქი.—მასკვან მითხრა

ღმერთს გეფიცები უთუოთ უთხარ თორემ სადაც შემხვდება უთოთ მე ვეტყვიო,—მასკვან მე უთხარ, თუ ღმერთი გიყვარს დაჩუმდი მეთქი, რა გინდა მე ვეტყვი მეთქი.—ამაში გავიდა ათი (დღე) თუ ორი კვირა, ყოველდღე მინდოდა, რომ მეთქო, მაგრამ ვერ გამებედნა, ამაში **ელიზბარ** ძალას მატანდა, და უთხარ, რომ აღარ იქნა ერთს დღეს, სადილს უკან ცოტა მომეტებული ღვინო დავლიე, და დაუძახე, **დავით** შენთან ერთი საიდუმლო მაქვს მეთქი, მაშინ ჩემ სახლში იდგა.—მითხრა რა გინდა მითხარიო, ჯერ დავაფიცე, რომ არავისათვის არ ეთქო, შემდეგ ყოველი ჩვენი განზრახვა უამბე და შემდეგ უჩებნი ბატალიონის მოსყიდვა.—ამ სიტყვაზე დიდად შეკრთა, და მითხრა,—ოჰ, ეგ რა მითხარიო, თუ შენ ჩემი ძმა არ იყოვო, ღმერთსა ვფიცავ, რომ ეხლავე გავიჭრებოდი, და მთავრობას ვაცნობებდიო,—მასკვან უთხარ,—რას ამბობ ძმაო მეთქი, მთელი ქართლი, და კახეთი, ემზადებიან, და შენ მარტო რა გახდები მეთქი, ამ სიტყვაზე დაფიქრდა, და სწორე არა მითხრა,—შემდეგ გავიდა ამაში ერთი კვირა, ყოველ დღეს ველაპარაკებოდი და კიდევ სწორე ვერარა შევიტყე. შემდეგ ერთ დღეს ჩემთან იყვნენ, **ელიზბარ** და **გიორგი დავითისძე ერისთოვნი**, ჩემი ძმა **ვახტანგ**, ამ დროს, ჩემი მამიდაშვილი **დავით**, შემოვიდა ჩვენთან,—და ახლა აქ უთხარ ამათთან და მასკვან ამათ დაუწყეს ლაპარაკი.—ნახა რომ ესენიც მონაწილენი იყვნენ, და მაშინ აღმოთქვა, რომ უთოთ ეცდება შემდეგ ამის, რამოდენიმე დღე გავიდა, და **დავით ნათალოვმა** მითხრა, ეს საქმე ხომ კისრად ამაღებინეთო, მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, მოდი დაუხსენით, ამისთანა განზრახვასო.—მასკვან მე უთხარ, მარტო მე და შენ ხომ არა ვართ მეთქი, დიახ ბევრი მონაწილე გვირევია მეთქი, მასკვან მითხრა თქვენ იცითო", (II, 1158).

ანტონ აფხაზის ჩვენებიდან: „**ალექსანდრე ორბელიანი** ამბობდა, რომ სამოსწავლო ბატალიონის ყველა ოფიცრები მოსყიდული იყვნენ და ჩემმა ნათესავმა **ნათალიშვილმაც, რომელიც** ამ დროს ამ ბატალიონში იყო, ეს იცოდაო" (II, 187).

შეთქმულთა ფართე სამზადისის შესახებ მოუთხრობს აგრეთვე ცენტრარქივის ფონდის საქმე № 163-ში დაცული პოლკოვნიკ **ცებრიკოვის** რაპორტი, რომელშიაც **როზენს** მოახსენებს, რომ მის ჯარის კაცს **ვასილიევს** შეუტყვია მთელი საქართველოს სოფლების **განზრახვა** აჯანყების **მოსაწყობად**, იმ **მიზნით**, რომ რუსის ჯარის ნაწილი გაეწყვიტათ, ნაწილი კი საქართველოდან გაეძევებინათ)

Командиру одельного Кавказского Корпуса Господину Генералу от Инфантерии Генерал-Адютанту и Кавалеру Барону Розену

Командира Кавказской Гренадерской Артиллерийской бригады полковнаки **Цебрикова.**

Рапорт.

Вверенной мне бригады Бомбардир **Васильев** возвратясь с мельницы из селения Хашмы об'явил мне, что слышал от нижних чинов Грузинского Грендерского полка о заговоре грузин, что все грузинския деревни намерены были взбунтоваться с таким предположением, чтобы русские войска частично истребить и частично изгнать из Грузии; но селения Сартичалы на сие согласие не из'явили что по сему случаю в Тифлисе арестованы многие грузинские князья.

Сведения сии чрезвычайные, достоверность коих мне не известна, приняв строгую воинскую осторожностюь я об'язанностью поставил Вашему Высокопревосходительству немедля о сем иметь честь почтенейшее донести...».

Полковник **Цебриков** (ტ. 1, № 163,ვგ. 22).

თუ მივიღებთ მხედველობაში **სოლომონ დოდაშვილისა** და **ელიზბარ ერისთავის** განცხადებას, რომ იმათ ძალუძთ მთელი კახეთისა და ქართლის ამოქმედება, აგრეთვე თუ მოვიგონებთ **ფილადელფოსის** ნათქვამს კახეთისა და ქიზიყის აჯანყებისათვის მზადყოფნის შესახებ, მაშინ **ცებრიკოვის** რაპორტში აღნიშნული ამბის ჭეშმარიტების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა ძლიერდება.

ამას გარდა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტფილისში მყოფი პოლონელები 500-მდე კაცი მომზადებული იყვნენ აჯანყების დროს ქართველების მხარეზე გადასასვლელად.

შეთქმულთ ზარბაზნების შოვნის იმედიც ჰქონიათ.

ი. ფალავანდიშვილი უჩვენებს, რომ როდესაც **დიმიტრი ერისთავის** მიერ შედგენილ მოქმედების პროექტის კითხვის დროს, მას უკითხავს თუ იქ ნავარაუდევ ზარბაზნებს საიდან იშოვნიან, **დიმიტრი ერისთავს** უპასუხნია: „მე დღეს დილით ვიყავ არსენალში პრძანება მქონდა არ მახსოვს მე თოფები მივიბარე თუ სხვა რაღაც და იქ სულ წვრილათ გავსინჯე (უნდერ ოფიცერი ჩვენი იყო) სად რა მზადება არის და მითხრა ორნი (?) არტელერიის საქმე ვიცით და ჩვენ ზოგიერთ ვასწავლით სროლასო“ (VI, 962).

შეთქმულთ აჯანყების დროისათვის დროშაც მოუმარაგებიათ.

დიმიტრი ორბელიანი უჩვენებს:„... შესაკრებ ადგილად თათრის მოედანი იყო დანიშნული, სადაც უნდა ყოფილიყო აღმართული დროშა ერთი მხრიდან ღვთისმშობლისა და მეორე მხრიდან წმ. ნი-

ნოს გამოხატულებით და მეორე დროშაც ორივე, თუ მარჯო ერთი მხრიდან, წმ. გიორგის გამოხატულებით. დროშის შესახებ აზრი ჩემმა ძმამ **ალექსანდრემ** შეიტანა, უნდოდათ დაეხატვინებინათ, არ ვიცი შეასრულეს თუ არა“-ო (IV. 620).

თვით **ალექსანდრე ორბელიანი** თავის მოგონებაში წერს: „ჩემი **კატინაც**[1]) ერია ჩვენს საქმეში სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელსაცა ჩემს **კატინას** ვალად დასდეს რევოლუციის ბაირახი შეეკერა ამ ჩემს **კატინას**“-ო (წ.კ.ს.მ. ხელწ. № 1569, გვ. 133).

ლუარსაბ ორბელიანის საკუთარი განცხადებიდან კი ჩანს, რომ: ბას შეთქმულთათვის შეუთავაზნია დროშა, რომელიც მათი საგვარეულოს სარდლების ხვედრი ყოფილა (1, 118).

როგორც ზევით უკვე იყო მოხსენებული, შეთქმულთ პაროლიც ჰქონიათ. **ზაქარია ჩოლაყაშვილი** თავის პირველ ჩვენებაში, სხვათა შორის, წერს: „....მე მათ ვეუბნებოდი და ვარწმუნებდი, რომ არაფრით არ შეიძლება რუსეთის დამარცხება, რადგან იმათ დანიშნული აქვთ შესაკრები ადგილები და პირველი თოფის გასროლისთანავე ისინი ყველანი შტაბში შეიყრებიან და მაშინ მათი დამარცხება არავის ძალუძს. როგორა? გაიკვირა ყველამ, ერთ პოლკს ვერ დავამარცხებთ? ანდა ჯერ ერთი ვინ მისცემს მათ შეკრების საშუალებას, როგორც კი აქ რამე მოხდება, რადგან ყველა თავადიშვილები აქ შეიკრიბებიან ამ შემთხვევის გამო, ყველას ეყოლებათ ხალხი. ესენი მაშინვე გაჰგზავნიან ყველა თავის სოფელში და შეუთვლიან პაროლს, რომელიც იქნება რუსეთის წყვიტა და მაშინ გარწმუნებთ, რომ არც ერთი რუსი აღარ დარჩება“-ო (IV, 38).

ამ საგანზე საგამომძიებლო კომისია ჩოლაყაშვილს კვლავ საგანგებოდ შეჰკითხებია, რომელსაც ასეთი პასუხი გაუცია: „ამ კითხვაზე მაქვს პატივი გიპასუხოთ, რომ პაროლი „რუსების წყვეტა“. ალექსანდრე ორბელიანის მიერ იყო ნათქვამი და ეს ყველა იქ მყოფთ უნდა გაეგონათო“ («...честь имею ответствовать, что пароль сей (რუსების წყვეტა) смерть русским был сказан советником князем **Орбелиани**, XIII, 2409).

ალ. ორბელიანი და **ზ. ჩოლაყაშვილი** პირისპირ წაუყენებიათ. **ალექსანდრე უარჰყოფს**; უარჰყოფენ აგრეთვე დაკითხული **ელიზბარი, დიმიტრი** და **გიორგი ერისთავები** და **ვახტანგ ორბელიანი**, მაგრამ **ჩოლაყაშვილის** ჩვენება კომისიას მაინც სინამდვილედ მიუჩნევია

---

[1]) მისი ცოლია.

შეთქმულთ განზრახული ჰქონიათ აგრეთვე ორდენის შემოღება, **აჯანყების წარმატებით დასრულების შემდგომ.**

იასე ფალავანდიშვილს უჩვენებია: „სოვეტნიკი[1]) ამბობს, **რომ** „უცილებლად საჭიროა დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის ნინოს საპატიო ორდენის დაარსება“-ო (VIII, 1335).

იგივე, **ეარი** მეორე ადგილას უჩვენებს: „**ალექსანდრე ორბელიანი** მეუბნებოდა, რომ: „მე უკვე გამოვიგონე ჩვენთვის განმასხვავებელი ნიშანი ჯვარი დავით აღმაშენებელისა და ჯვარი წმ. ნინოსი ქართველთა განმანათლებელისაო (II, 200).

ამას **ლუარსაბ ორბელიანიც** ადასტურებს: „**ალექსანდრე ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი, ელიზბარ ერისთავი** და **კაპიტანი ჩოლაყაშვილი** მოვიდნენ ჩემთან სახლში და ამათგან **ფალავანდიშვილმა** შემოიტანა წინადადება მოქმედების დასრულების შემდეგ დაგვეარსებინა ორდენი (ნიშანი) **დავით** მეფისა და წმ. ნინოსი, რაც ყველამ მოვიწონეთო (“ I, 118) წერს იგი.

როდის და როგორ ფიქრობდნენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას.

როგორც **ანტონ აფხაზი** აცხადებს, **ალ. ორბელიანი** თურმე არწმუნებდა მას, რომ მათ ჯერ კიდევ 1831 წელს ჰქონდათ აჯანყების გეგმა შედგენილი, მაშინვე იყვნენ სამოსწავლო ბატალიონის ოფიცრები მოსყიდული და სხვა. აჯანყება ასე უნდა დაეწყოთ: „ღამე უნდა მოგვეკლა სამოქალაქო გუბერნატორი, მერე მთავარმართებელი. შემდეგ ხელში უნდა ჩაგვეგდო ექსტრა-ორდინარული თანხა და ბოლოს ციხეზე უნდა წავსულიყავით, რომ იქ შეპყრობილნი გაგვენთავისუფლებინა“-ო, უთქვამს **ალ. ორბელიანს ანტონ აფხაზისათვის.** (II, 187).

ამ საგანზე თვით **ალექსანდრე ორბელიანის** ვრცელი ჩვენება მოგვეპოვება.

„კომისიასა შინა“.

1831-სა წელსა, ოდესცა ბუნტი იყო პოლშაში, იმ დროს **თამარ ბატიშვილმა**[2]) და **ელიზბარ ერისთავმა,**—მე, რომ მითხრეს, საქართველოს განთავისუფლება გვსურსო, და მეც მათი მონაწილე რომ შევიქენ. — იმის მეორეს დღეს, საღამო ჟამზე ჩემთან მოვიდა, თავადი **ელიზბარ ერისთავი,** და მითხრა, მოდი **თამარ ბატიშვილთან** წავიდეთ სალაპარაკოთაო. — წავედით, მე, **ელიზბარ,** და ჩვენ

---

[1]) **ალ. ორბელიანი**

[2]) **იულონ ბატონიშვილის ასული.**

ძმა **ვახტანგიც**, თან გამოგვყვა. — ოდესცა მივედით **თამარ ბატოიშვილთან**, მის დივანს წინ დავსხედით. — მაშინ უთხარით **ბატოიშვილოვო**, აბა როგორ შაიძლება რომ საქართველო განთავისუფლდესო, და ანუ რომლის გარემოებითაო. — მასკვან **თამარ ბატოიშვილმა** თქო, — ამისთანა დროს ქართველები ველარ იპოვნიანო.— ამისათვის რომ, რაც ჯარები ჰყავს რუსებსაო, სულ პოლშაში არის წასულიო, და აქ რომ აღრეულობა მოხდეს, ველარ იშოვნიან, ჯარს, რომ გამოგზავნონო. — აქ აღრეულობა ამ რიგად უნდა მოხდესო, **პირველი**, თუ რომ შაიძლოთ და ერთ-ერთი პოლკი რომ მოისყიდოთ, დიახ კარგი იქნებაო, ის პოლკი მოსყიდული რომ გეყოლებათ, პირდაპირ აქ ქალაქში ჩამოვაო, და რაც ხაზინა არის, სულ ხელთ დაიჭერთო. და მაშინ ადვილად იქნება ყოველი საქმეო. — ლრუზინსკის პოლკს ამბობდა, თუ იმას მოისყიდით, უფრო ახლო არისო, და საჩქაროთ აქ ჩამოვაო. რადგანაც პოლკის მოსყიდვა ძნელი არისო და არც შეიძლებაო, მაშინ სხვა უნდა მოვიგონოთ რაშეო. — **მეორე**. რაც თავადები ხართ, და ამ საქმეში ურევიხართ, ვინაც რა შეგიძლიანთ, ყველამ გაიწეროს, და რომელმაც რაერთი კაცი შეიძლოს, აქ ქალაქში უნდა ჩამოაპარონ, და თვითონ თავადებიც აქ უნდა იყვნენო, ეგქბა **ორი ათასი** კაცი მოახერხოთო, მაშინ ისინი უნდა გაიყოს ზოგი არსენალზე უნდა მივიდნენ, ზოგი ციხეზედ. ამ ორს ადგილებს რომ დიჭერთო, მაშინ განთიადის დროს, უნდა ზარების რეკა მოახდინონ, და ამაში ძახილი თავისუფლებისა,—ბაშინვე კაცნი მზათ უნდა გყვანდეთო, რომ სოფლებში გაგზავნოთო, და შეუთვალოთ, **ალექსანდრე ბატოიშვილი** ჯარებით ქალაქში შემოვიდა, და ყველასა გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთო, ამაში კაცნი უნდა გყვანდეთ, რომ ლეკებში გაგზავნოთ, და ჯარი მოიწვიონ **ალექსანდრე** ბატონიშვილის სახელზედაო,—და ადრითგანვე, იმერეთში თავადიშვილები უნდა გყვანდეთ გაგზავნილი, რომელთაც ნათესავები ჰყვანან, იმერეთშიო, რომ იქაც აღრეულობა მოახდინონო, სახლნოებშიც, კაცნი უნდა გაგზავნოთ, თავადები რომ ისინიც აბუნტდნენო, — და ასე რიგათ უნდა მოახერხოთ, რომ პოლკები ერთი მეორესთან ველარ მივიდესო, თორემ, რაკი ერთად შეიყრებიან ველარც მოუცდითო, და მალეც წაგახდენენო, პირველი ის უნდა იყოს რომ პოლკებს, თავს დაესხათო, — და ამისი მცდელნი უნდა ეყოთ რომ, სადაც ზარბაზნები აქვთ, თქვენ წართოთო, რომ ისაც სალდათი, უზარბაზნოთ დარჩებაო, მაშინ აღარა შეუძლიანთ რაო, — ამაში ოუნდა ჯარები რომ გამოგზავნონ, რუსეთიდგანაო, მაშინ, სანი ადგილი აქვთ შემოსასვლელიო **პირველი** არაგვის ხეობაო, ის მარტოკა,

ქვით და კლდით ესრეთ გამაგრდებაო, რომ ჯარებიც აღარ ჰოგინ-დებათ, რომ იქ დააყენოთო. და იქიდგან ვერას დროს ვერ შემოგივ-ლენო.—**მეორე** შავი ზღვა არისო, იქაც რომ ათი ზარბაზანი და **ექვსი ათასი** კაცი რომ დააყენოთო, ვერაოდეს ვერ გამოგივლენ ჯა-რებიო, **მესამე** კასპის ზღვა დარჩაო, იქ დიდროვანი ხომალდები ვერ მუშაობსო, და მგონია, სულ იქიდგან ჯარი, არ მოვიდესო, და თუნ-და მოვიდეს, წვრილი სუდნებით მოვლენო, და ბევრი რომ გამოგ-ზავნონ, **ორი** პოლკი ძლივ წამოვა, აქედგანაო, და ვერას დროს ორი პოლკი ვერ გამოგივათ, **ოთხი ათასი** კაცი რომ იქა გყვანდეთ, კმა-რაო, და რამდენიმე ზარბაზანიო. — და ეს სამი ადგილები რომ დაიჭიროთ, შემდეგ ნურაოდეს ფიქრი ნულარ გექნებათ, რომ იქ რუ-სებიო შემოვიდნენ, მაგრამ უთოთ რეგული [1]) უნდა გამართოთ, ოდესცა აღრეულობა მოხდეს აქაო. — ამაში ყიზილბაშში, და ოს-მალში, კაცნი უნდა გაგზავნილნი გყვანდნენ, რომ ოღონდაც ხაზი-ნით შეგვეწიენით თქო, და ერევანს და ახალციხეს თქვენ დაგანებებთ თქო, და ისინიც უთოთ შეგეწევიან, ამებს რომ დაჰპირდებით, — კიდევ ფრანციაში ერთ-ერთი დიდი კაცი ვინმე გაგზავნეთ, რომ ეს აღრეულობა გამოუცხადოსო, და შემწეობა სთხოვოს საქართველოს მაგიერათაო, ესეც სთხოვოს, რომ რამოდენიმე ჭკვიანი კაცნი გამო-გზავნონ, აქ საქართველოში, რადგანაც აქ დიახ ცოტა ჭკვიანნი კაც-ნი გვყვანანო, ისინი იქიდგან რომ მოვლენ მაშინ, ის ფრანციცები, დიახ კარგათ დაწყობენ, საქართველოში რიგსაო“.. (IX, 1481-1482).

ეგივე **ალექსანდრე ორბელიანი** თავის მოგონებაში წერს: „ეს შეთქმა ასე უნდა მრმხდარიყო, რომ მთელი კავკაზია შავი ზღვიდ-გან მოკიდებული კასპის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბა-რის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგ-ვეხდინა“-ო (წ. კ. ს. ხელნ. № 1656/ბ.).

1832 წლის შეთქმულების განხორციელების ცდის შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

მოქმედება პირველად ტფილისში უნდა დაწყებულიყო. თავდა-პირველად აჯანყების დაწყება 20 ნოემბერს იყო განზრახული, რაც თავად-აზნაურთა ტფილისში არჩევნებისთვის თავის მოყრასთან იყო შეფარდებული და ზოგიერთ სხვა ხელსაყრელ პირობებთან დაკავში-რებული, როგორც ეს თვით ბრალდებულთა ჩვენებებიდან ჩანს.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით აჯანყების ნოემბრის 20-ს დანიშვნას **ზაქარია ჩოლაყაშვილი** შემდეგი მოტივებით თურმე ასა-

[1]) რეგულიარული ჯარი.

ბუთებდა:... 1) კორპუსის უფროსი წასულია [1]), 2) კავკასიონის მთებით ჯარის გადმოსვლა არ შეუძლიან. 3) ზამთარში ჯარის ზღვით გადმოყვანაც შეუძლებელია, ამ ზამთარში კი ყველაფერს მოვათავებთო (VIII, 1333). ამ მოტივებში თავადაზნაურთა ყრილობა არ არის მოხსენებული, მაგრამ რომ ამ ამბავს შეთქმულნი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აჯანყების დაწყების დღის დანიშვნა იცვლებოდა თავადაზნაურთა კრების დღის შეცვლასთან ერთად.

პირველად ეს კრება 20 ნოემბერს იყო დანიშნული, შემდეგ დეკემბრის 6-სთვის, ბოლოს კი დეკემბრის 20-ისთვის იყო გადადებული, და აჯანყების დღეც სწორედ ამის და მიხედვით იცვლებოდა.

ზემოხსენებულსავე ჩვენებაში **იასე ფალავანდიშვილი** ამბობს, რომ როდესაც მას **ჩოლაყაშვილისთვის** პირველი ღამის განკარგულება წაუკითხავს, **ჩოლაყაშვილს** „უკეთესად მიუჩნევია საქმის დეკემბრის 6-ს დაწყება“, ცხადია კრებასთან შეფარდებით. სხვათა შორის, ამ დროს **ს. დოდაშვილს** დაუმატებია: „იმ დროს[2]) მე თავისუფალი ვიქნები. სიღნაღის მაზრაში წავალ და იქ ხალხში ვავაკრცელებ ჩვენი შეთქმულების ამბავსა“-ო (VIII, 1336). **ელ. ერისთავის** ჩვენებაში ვკითხულობთ: „1832 წლის დამლევს დანიშნულ თავადაზნაურთა არჩევნებს ჩვენს განზრახვაზე ის გავლენა ჰქონდა, რომ რადგან ამ გვარი კრება სამ წელიწადში ერთხელ ხდება, გვინდოდა იგი გამოგვეყენებინა“ (XV, 2786).

ალ. ორბელიანი უჩვენებს. „...მაქვს პატივი მოხსენებად: მე არაოდეს არ მითქომს **იასე ფალავანდოვისათვის**, ხოლო მე **იასე ფალავანდოვმა** ნითხრა, შემდეგნი, — **თ. ზაქარია ჩოლაყოვი** მოვიდა ჩემთან, და მითხრაო, ეხლა დიაღ კარგი დრო გვაქვს აღსრულებისაო: **პირველი** ზამთარი არის და შეგვიძლიან სამზადისი მოვასწროთო, — **მეორე**, — საზოგადოობა ჩამოვა კეთილშობილთ აღრჩევისთვისაო, და ასე ერთიანათ ჩვენ შეყრილს საზოგადოს ვეღარ ვნახამთო, ამაზე უკეთეს დროს ჩვენ ვეღარ ვიპოვნითო“. (XVIII, 3450).

შემუშავებული იყო აჯანყების დაწყების და შემდეგი ვანგარიშების გეგმა, რომელსაც შეთქმულნი „პირველი ღამის განკარგულებას“ უწოდებდნენ.

---

[1]) კავკასიის კორპუსის უფროსი ბარონი **როზენი** საქართველოში მყოფ მთავარი რუსის ძალებით გალაშქრებული იყო დაღესტანში აჯანყებული ლეკების წინააღმდეგ, საიდანაც ხმები მოდიოდა რუსების სასტიკი დამარცხებისა და მთელი კორპუსის განადგურების შესახებ.

[2]) ე. ი. 6 **დეკემბერს**.



ალექსანდრე ჭავჭავაძე
და გრიბოედოვი
(მწერალთა მუზეუმი)

დიმიტრი ერისთავი უჩვენებს, რომ: „პირველი ლამის განკარგულება მე დავწერე **იასე ფალავანდიშვილის** სახლში, სადაც იყვნენ, მგონია თავადები: **ალექსანდრე ორბელიანი**, კორნეტი **გიორგი** და **ელიზბარ ერისთავები** და თვითონ **იასე ფალავანდიშვილი**" (XI, 1887).

იგივე **დიმიტრი** უჩვენებს, რომ მას პირველი ლამის განკარგულების დაწერამდე, თავისი ამხანაგების აზრის თანახმად, შეუდგენია შემდეგი სია, თუ ვინ სად იყო განწესებული აჯანყების მოსახდენად: ციხეზე უნდა წასულიყო თავადი **დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი** 40 კაცით. ყაზარმებზე დანიშნული იყვნენ **ზაქარია ჩოლაყაშვილი** და **გიორგი რევაზის ძე ერისთავი** 200 კაცით.

არსენალში დანიშნული ვიყავით მე და **ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი**, აგრეთვე საველე - სასურსათო კომიტეის წინააღმდეგ 40 კაცით.

ნავთლუღში დანიშნული იყო **ბიძინა ერისთავი** 10 კაცით (XIV, 2628).

თვით პირველი ლამის განკარგულება **იასე ფალავანდიშვილის** ჩვენებით შემდეგს შეიცავდა:

1. ციხეზე დაინიშნოს გუსარი[1]) და **ლევან ერისთავები** 40 კაცით.

2. ყაზარმებში კაპიტანი **ჩოლაყაშვილი**, გვარდიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი ორბელიანი** ორი ზარბაზნითა და 200 კაცით.

3. არსენალზე.

4. საპროვიანტო კომისიაზე

5. ხაზინაზე

6. ორდონანს-ჰაუსზე — არტილერიის პრაპორშჩიკი **ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეჟან ამილახვარი**, პორუჩიკი **გიორგი თუმანიშვილი** და **ივანე ერისთავი** 50 კაცით.

7. ნავთლუღის კომისიაზე **ბიძინა ერისთავი, იასე ერისთავი, თეიმურაზ ამილახვარი** 20 კაცით.

8. პურის მაღაზიაში ორ-ორი სანდო კაცი უნდა ყოფილიყო დაყენებული.

9. შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები **ლუარსაბ ორბელიანი**, მარშალი **დიმიტრი** და **მამუკა, ორბელიანები**. თავადი **ელიზბარ ერისთავი**; აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ად-

---

[1] **გორგი რევაზის ძე ერისთავი**

გილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ უნდა შეყრილიყვნენ პოლონელები თავადაზნაურნიცა და დაბალი წოდებისანიც და ისე ემოქმედათ, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავდნენ.

აქ აღნიშნულ პირთ ევალებოდათ: 1) შეეკრიბათ ქალაქში ხალხი.

2) ეკლესიებში აეტეხათ ზარის რეკა.

3) მათ უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე სომხების ფეთხაინის ეკლესიიდან ღვთისმშობლისავე ხატი, რომლებიც ხელში მღვდლებსა და ბერებს უნდა სჭეროდათ და ეძახნათ საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთო.

ზემოაღნიშნულ პირებსვე ევალებოდათ: 1) რათა ქალაქში არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარიყო; 2) თუ თავადები, აზნაურნი, მოქალაქენი, ან მდაბიო ხალხი გაგვიწევდნენ წინააღმდეგობას, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იქნებოდა იგი, მამრობითი სქესისა ყველა უნდა დაეხოცათ, ხოლო თუ მათში მდედრობითი სქესისა მოხვდებოდა ვინმე, ის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა შეეპყრათ და მათ კუთვნილ ქონებაზე დროებით ყადაღა დაედვათ, შემდეგში კი ხაზინის სასარგებლოდ გადაეცათ; 3) უნდა ჰყოლოდათ ჯაშუშები სანდო ადამიანები ჯამაგირით და აღეთქვათ, რომ უხვად დააჯილდოვებდნენ, მათ, თუ ისინი მოლალატეებს აღმოაჩენენ, 4) ზემოდასახელებული „პოსტების" უფროსებს, თუ მათ დასჭირდებოდათ ხალხი დასახმარებლად, ან რაიმე დაბრკოლებას შეხვდებოდნენ, დაუყოვნებლივ შესაკრებ ადგილზე უნდა ეცნობებინათ, საიდანაც სათანადო დახმარებას მიიღებდნენ, თვითეულს „პოსტის" უფროსს უნდა ჰყოლოდა ორი მცველი თავისი სანდო ხალხისაგან გამორჩეული.

5) ციხეზე და ჰაუპტვახტზე მორიგედ ჩვენი კაცები უნდა ყოფილიყვნენ, 6) წინადღით უნდა წერილობითა და სიტყვიერად ყველგან მდაბიო ხალხში გავევრცელებინათ ხმები, რომ რუსები ქართველების ჯარის კაცებად წაყვანას ლამობენ, მაგრამ თავადები არ ეთანხმებიან, ამიტომ სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე იმაზე დათანხმდებიანო, და მაშინ მდაბიო ხალხში არეულობა მოხდებოდა.

7) ამის წინა დღეს ქართველი თავადაზნაურობის სახელით უნდა გამართულიყო წვეულება, სადაც უნდა მოწვეული ყოფილიყვნენ: კორპუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუსი მოხელენი. აქვე უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მოწვეული

ჩვენი თანაგანმზრახველთაგან ყველაზე უფრო გაბედულნი, როგორც თავადები ისე აზნაურნი, ისინი ჩაცმული იქნებოდნენ ეროვნულ ტანისამოსში და თან უნდა ჰქონოდათ ხმალი და ჯიბეში ორ-ორი გატენილი დამბაჩა. წვეულება **ლუარსაბ ორბელიანის** სახლში უნდა მომხდარიყო, რადგან იგი ფართეა და მოედანზე დგას, 8) როგორც კი ღამის 1-ს საათზე შესაკრები ადგილიდან რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, მაშინათვე უნდა დაეწყოთ ხოცვა და იქიდან არც ერთი რუსი არ გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, ისიც რუსებთან ერთად უნდა მოეკლათ.

თავადი იასე ფალავანდიშვილ"ი (1, 10-12).

პირველი ღამის განკარგულებას უნდა დაემატოს **ალ. ორბელიანის** შემდეგი ჩვენება:. „ჩვენ გვსურდა, ესრეთ ოდესცა აქ აღრეულობა მომხდარიყო მაშინ **თამარ ბატოიშვილი** უნდა გამოგვეყვანა, და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, **თამარ,** რომელიც ყველანი ამას უნდა შორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ, ამაში, უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე, სამი კაცი უნდა ასულიყვნენ, და აქიდან ეყვირნათ თავისუფლება, და სიხარული ყოველსა ერსა ზედა, ამ დროს, უნდა კაცი გაგვეგზავნა და მთელი საქართველოს ხალხნი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ, თავადნი, აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი, და როდისაც ჩამოსულიყვნენ. მაშინ უნდა ვცდილიყავით, რომ როგორც იყოს პოლკები გავაწყოთ რეგულისა, და რიგი დაედოთ, და მაშინ დაინიშნონ ნაჩალნიკები და მხედველობას ქვეშ გვყვანდნენ ნაჩალნიკები. მხედართმთავრათ პირველად, ღენერალ - მაიორი თავადი **ივანე აფხაზოვი,** ჯერ მკვდარი არ იყო, მას უკან **ალექსანდრე ჭავჭავაძე,** მესამედ **ვასილი ბებუთოვი,** მეოთხედ ღენერალ ლეიტენანტი **გიორგი ერისთავი** და ღენერალ-მაიორი **სავარსამიძე,**—სასამართლო პრეზიდენტად. პირველი **მუხრან ბატონი** უნდა ყოფილიყო, და ამისი თანაშეშწენი **გიორგი ჭილაევი** და ღუბენატორი თავადი **ფალავანდოვი,** უნდა ყოფილიყვნენ, და აქედგან ყოველი, სამხედრო განკარგულებანი უნდა მომხდარიყო. შემდეგ კაცნი უნდა გაგვეგზავნა **ალექსანდრე ბატოიშვილი** უნდა მოგვეყვანა, — ბოდბელიც ჩამოგვეყვანა ამ ჟამათ და ქალაქს გარედ, ბოდბელი შემოსილი და ყოველი საქართველოს, ბერნი და ღვდლები შემოსილნი უნდა გაჰგებებოდნენ, კარანტინთან და ამაში მთელი საქართველოს, ხალხი, იქიდგან უნდა წამოგვეყვანა, და წინ რამდენიმე კაცი უნდა გამოსულიყვნენ და

ეძახნათ თავისუფლება, ექიდგან პირდაპირ, სიონში, უნდა შეგვეყვანა, პარაკლისი იქ გადაეხადათ. და ამის შემდეგ რაოდენისამე დღისა, ნომხდარიყო, განკარგულება". (VII 1441).

აჯანყების წარმატებით დასრულების შემდეგ შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ შემდეგნაირი წესწყობილების შემოღება.

გიორგი ერისთავის მიერ (როგორც ის აცხადებს, **ელიზბარ ერისთავის** კარნახით) შედგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს მართველობა ამგვარად იყო გათვალისწინებული: „2 სამთავრობო (სამართველო) ადგილი იყო ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ პირველი პირი თვით მეფე, რომელსაც **ალექსანდრე ბატონიშვილს** გულისხმობდენ, მე-2-ე სამხედრო მინისტრი **ჭავჭავაძე**, მე-3-ე იუსტიციის მინისტრი თ. **მუხრანბატონი**, მე-4-ე ფინანსთა მინისტრი თავადი **ფალავანდიშვილი**, 1) მე-5-ე შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი **ჭილაშვილი**, 6-ე საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალი თ. **ბებუთაშვილი**. ქვედა სამართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდ განეხილათ" **ვ. ერისთავის ჩვენებე**, (1, 78-79, 2-ა Два правителных место было верхнее и нижное. Верхнем заседали первое лицо и сам Царь, которого полагали **Александра Царевича**, 2-е военный министр **Чавчавадзе**, 3-е министр юстиции **К. Мухранский**, 4-ое министр финансов — **К. Палавандов**, 5-е министр внутренних дел и просвещения **Чилаев**. 6. Министр — иностранных дел Генер. **К. Бебутов**. в нижнем провлении должны были заседать депутаты из каждого уезда, которые должны были заниматься тяжебными делами.

ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს: „...1832 წელს **დოდაშვილისაგან** გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც ტფილისიდან **ოქროპირ ბატონიშვილს** ვაცილებდი. იმან მითხრა დიახ, ბატონო ქართველებო ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა ვვარიაო ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდა"-ო.

(«В 1832 году я слыхал от **Додаева** сии слова: когда я провожал окропира царевича из Тифлиса, то он мне сказал: да Господа Грузинцы, постарайтесь об освобождении Грузии. Впрочем я желаю свободу Грузии — не для того чтобы кто нибудь из рода Багратионных воцарился в оной но чтобы из Грузии сделалася род республики» (IX, 1567).

ზაალ ავთანდლაშვილი მოწმობს: „ჯანყის მეორე დღეს უნდოდათ შეექმნათ სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს

1) იახეს ძმა ნიკო.

მართველობა სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაებარებინათ, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია"-ო. (VI, 1122).

ასე მიდიოდა საქმე, როდესაც დეკემბრის 9-ს ნაშუადღევის 5 საათზე ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმა და შეთქმულების თვალსაჩინო წევრი **იასე ფალავანდიშვილი** გამოცხადდა კავკასიის კორპუსის უფროსის მოადგილე გენერალ **ვოლხოვსკისთან** და მას ქართველთა შეთქმულების არსებობა აცნობა. (ცენტრ. არქივის ფონდის № 163 საქმე, გვ. 3).

აქ იბადება ფრიად საინტერესო კითხვა, თუ რა გარემოებამ **გამოიწვია ფალავანდიშვილის** მიერ შეთქმულების გაცემა. თუმცა გამცემი ამბობს, რომ შეთქმულებაში იმთავიდანვე, იმ მიზნით იღებდა მონაწილეობას, რათა ყველაფერი დაწვრილებით შეეტყო და ვერე მეავრობისათვის ეცნობებინა, მაგრამ ამას ვერ დაუჯერებთ, რადგან ყველანი თუ არა, შეთქმულთა დიდი უმრავლესობა მაინც, ამის მსგავსადმე აცხადებს; მით უმეტეს, რომ **ი. ფალავანდიშვილმა** დაბეზღების პირველ დღეს **ვოლხოვსკის** მეტად უმნიშვნელო ცნობები გადასცა სახელდობრ მხოლოდ **ანტონ აფხაზის** სახლში გამართული ნადინის ამბავი აცნობა.

შესაძლებელია სხვა რომელიმე ღრმა მიზეზები არსებობდეს, რომელნიც ჯერჯერობით ჩვენთვის გამოურკვეველია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ქვემომოყვანილ ცნობას ჰქონდა გაცემაზე გავლენა **სოლ. დოდაშვილი უჩვენებს:**

„... მე გავიგონე [1]) თავად **იასე ფალავანდიშვილის** სახლში **ალ. ორბელიანმა** სთქვა: „ბორჩალოს დისტანციაში დაუჭერიათ თათარი, რომელიც ჩემ მიერ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** იყო გაგზავნილი, თუ ეს მართალია, დავიღუპეო" (II, 162).

ამის გამო შეკითხვაზე **ალ. ორბელიანი** უპასუხებს: „... რადგანაც ჩვენ ამხანაგთა შორის დამალული არა რაი არა გვქონდა რა, ამისათვის მე **იასე ფალავანდიშვილს დოდაევთან** უთხარ ესრეთ — **შიხილ-ალია** მოვიდა, დამითხრა მეთქი, რომ **ალია-ალა-ეიბ** ოღლიმ მითხრა, რომ შენ ბატონს **ალექსანდრეს, მოლა ზამანა** გაუგზავნია **ალექსანდრე ბატონიშვილთანა"**-ო (XXV, 5140).

ამას მეორე ჩვენებაშიც ადასტურებს: ქევხა **შიხილ-ალიასას** რომ მკითხავს კომისია მართალია მოვიდა მითხრა თქვენგნით რაღაც წიგნი გამოჩნდა ბატონიშვილთან მიწერილიო,—მე დაუშალე ნულარსად ნულარ იტყვი მეთქი. (II, 206).

---

[1]) დეკემბრის დასაწყისში.

ზაქარია ჩოლაყაშვილი ამბობს: „... მოვიდა ჩემთან **ალექსანდრე ორბელიანი** და დაბეჯითებით მთხოვა მასთან წავსულიყავ. მისვლისთანავე მითხრა, რომ მასთან მოვიდნენ თათარი **მოლა ზამანი** და ერთი კიდევ სხვა, და რომ ერთ ამ თათართაგანმა მას წასჩურჩულა, ვითომც ბორჩალოს დისტანციის ვიღაც თათარს ეთქვა მისთვის, რომ თ. **ალექსანდრე ორბელიანს** შარშან **ალექსანდრე ბატონიშვილისათვის** წერილი მიუწერია და მართალია თუ არა, რომ **ალექსანდრე** თათრებს აიარაღებსო. მე მაშინათვე დავიბარე ის თათარი და სასტიკად აუკრძალე, რომ ამისთანა რამის ლაპარაკი აღარ გაბედოს. მიამბო ყველაფერი ეს **ალექსანდრემ** და მთხოვა ამ შემთხვევის გამო რჩევა მიმეცა მისთვის. და რადგანაც აქ სხვადასხვა სტუმრებმა მრავლათ მოიყარეს თავი, ამიტომ **იასე ფალავანდიშვილთან** გამიწვია; **ფალავანდიშვილთან** მისვლისთანავე **ალექსანდრემ** იმას უთხრა, რომ მასთან მოვიდა ბორჩალოს დისტანციის თათარი და რომ ჭეშმეტი დადის იმის შესახებ, რომ ის თათრებს აიარაღებს, და გვთხოვა ჩვენ რჩევა“ (I, 42).

ვახტანგ ორბელიანი: „ამა თვის პირველ რიცხვებში ჩემ ძმა **ალექსანდრესთან** მოდის ჩვენი სოფლის ქემხა თუ მამასახლისი და ეუბნება მას, რომ დისტანციაში ლაპარაკობენ, რომ მას **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მიწერ-მოწერა აქვს; ჩემი ძმა გაუჯავრდა და უთხრა, რომ ამისთანა რამ აღარ გაიმეოროს“ (1,133).[1])

სხვათაშორის **ალ. ორბელიანი** თავის მოგონებაში დიდი სამდურავით იხსენიებს **იასე ფალავანდიშვილის** ძმას **ნიკოლოზს**, იმ დროინდელ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს. და ორჯერ გარკვევით ამბობს, რომ იმან **დაგვლუპაო**. მაწინდელი საგუბერნიო არქივის საგანგებოდ გადასინჯვის დროს ამის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა... მაგრამ ერთი რამ არის საფიქრებელი. **იასე ფალავანდიშვილი** ერთ თავის ჩვენებაში ამბობს, რომ 8 დეკემბერს **ალ. ჭავჭავაძე** ყოფილა მის ძმასთან და ცალკე ოთახში ჩაკეტილთ ორი საათის განმავლობაში ულაპარაკნიათ (XXVI, 5140). შესაძლებელია **ალ. ჭავჭავაძემ** შეთქმულთა დავალებით გუბერნატორ **ფალავანდიშვილს** დღე-დღეზე სისრულეში მოსაყვანი აჯანყების ამბავი გაანდო მისი მიმხრობის მიზნით, რამაც სწორედ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო; ზემომოყვანილ ამბების გამო ისედაც შეშინებული **იასე** ადვილად აიძულა ძმამ, რათა მოღალატის როლში გამოსულიყო.

---

[1]) როგორც ცნობების შემოწმებიდან ირკვევა, ეს ამბავი სწორედ დეკემბრის 9-მომხდარა

დამატება № 1.

შეთქმულთა თხზულებები, მოგონებანი და მიმოწერა.

სოლომონ დოდაშვილის ლექსი

მაისის თვესა იქმნას ძახება
გამოხატული ქართველთ უფლება
აღვიპყრათ ხელსა კი მახვილი.
მივცეთა მტერთა შიში ძრიელი
შეშოვიკრიბოთ გულით მხურველნი
ვეცეთ ვეძგერნეთ გაგულებულნი
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი
ჩვენ მამულისა მაოხრებელნი
ქართველნო ხართ სადმე თუ არა
არვინ არ იცის მოიგეთ გონება (X, 1834).

ფილადელფოს კიკნაძის ქალალდებში ნაპოვნი ლექსი, მიხ საკუთარ თხზულებას უნდა წარმოადგენდეს. [1])

ვინ ხარ, რომელს სიცოცხლის ჩემის გასაღები ხელთ გიპყრია
ჩემო ხემწიფევ როდის გნახო გვირგვინ **სკიპტრიან**
სახნილის ალთა ნაბერწყალნი გულიდამ მკრთიან
ერთიც შენამდე ვერ მოსწვდების ჰაერათ ჰქრიან
მე იმით ვიწვი და იმედი შენგანვე მცვრიან
სად განისვენებ ეგ ჰაერი ნეტა სით ჰქრიან
მუნ დავადგრე ყნოსათა მშვები ვიყო ფიქრიან
სული ჩემი გრძნობს სიყვარულსა აღტაცებულსა
ხმას ნუვინ გამცემთ ფიქრთა შინა გაოცებულსა
ვზივარ მდუმარე მას ვიგონებ გამხეცებულსა
ხმას ნუ ვინ გამცემთ ფიქრთა შიგან გაოცებულსა (VII, 1256)

ს. დოდაშვილის ქალალდებში ნაპოვნი პროკლამაცია.

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან ხოლო აწ ხედავთ დაბნობასა და არარაობასა მამუ-

[1]) ეს ლექსი ნიჟნი ნოვგოროდში უნდა იყოს დაწერილი, სადაც **ფილადელფოსი** იყო გადასახლებული. სატრფიალო საგანს საქართველო უნდა წარმოადგენდეს, ამიტომაც სიტყვა „სკიპტრიან“ დიდი შავი ასოებით დაუწერია.

ლისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოველისა კაცისასა. რაისათვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ვცოცხალვართ (X, 1833).

გრიგოლ ორბელინის მიერ თარგმნილი და გადაკეთებული ლექსი ამ ლექსის შესახებ გიორგი დავითის ძე ერისთავი უჩვენებს, რომ გრ. ორბელიანმა გადასცა მას თავის მიერ თარგმნილი „Исповѣдь Наливайки" გადასათვალიერებლად და სთხოვა რომელიმე მსგავსი სათაური მოეძებნა მისთვის, ამასაც ეწოდებია თარგმანისთვის „**გივი ამილახვრის აღსარება**" (XV, 2824).

აღსარება.

ჰე სულიერო მამაო. ნუ შეტყვი: „**ამით შეჰსცოდავ**"
ესეთსა შენსა მოძღვრებას მხოლოდ უბრალოდ დაჰკარგავ,
რამგვამა იყოს საშინელ, სატანჯველ ჩემთვის ეს ცოდვა;
თუ კი მით თავისუფლება ნამულსა უკმოექცევა!
ეს საიდუმლო, რაიც ვსთქვი, ოღონდ აღესრულოსა!
ცოდვანი თათარნ, ურიათ მზათ ვარ მივიღო ჩემს სულსა!
და მისთვის ნულარ ეცდები ზეციურ რისხვით მაშინო.
ან საუკუნოდ ტანჯვითა ჩემ შორის ნანვა აჩინო!
ჯოჯოხეთი მტანჯს, მაშინ მე, ვჰხედავ ტყვედქმნილსა მაბულსა!
როს ვნახო თავისუფლებით, ვხვდე მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო;
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზეა დამერთო!
ესრეთ სარცხვინო შიშითა, ვინ იყო მაშინ **ძლეული!**
ვის არ ერჩივნა ტყვეობას სიკვდილი მამაცეული
ქედ მოდრეკილი ულლის ქვეშ, სიმწარით დღეთ თვისთ, ვინ სწყევდა?
მთოვარით განისვენებდენ და მზე ნათელსა მოჰფენდა?
მაშინა აქვნდათ ივერთა, რა სიყვარული კავშირად.
აღვსილი მათი სიამით ცხოვრება ჰრბიოდა ნათლად.
აწ გესლოვანთა მუხთლურებრ ჩვენ შორის ჰსთესეს მტერობა:
კავშირი შეჰსწყდა და მასთან ივერთა კეთილდღეობა!
შიში, სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი,
არიან მარად, მონების ნაყოფნნი ესე საძაგნი!
ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეთს,
რომ ჩვენზე მტერნი აღმდგარან, და ჩვენკი ვებრძვით ურთიერთს.
ლეკი ოსმალო და სპარსი, ვით მგელნი განუძღომელნი,

უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ღებილსა
ჰსჯულსა უძლურად შექმნილსა, ჭსთვლემს მცხეთას გამოუფხი-
ზლად,
ერი ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად—1).
ძის ჟამით ბატონსა სისხლისა, ვარ დასანთხევად მოსურნე.
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს ჭმუნვილ, მრისხანე.
ძისი სახელი კიცხვითა მარადის იხსნებოდეს,
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჭგრძნობდეს;
და ვინცა მისსა ტყვეობას გულ-სიგრილითა ჭხედავდეს.
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვის სიცოცხლესვე ჭზოგავდეს.
მტერსა ხანჯალზედ აღგებულს, ვინცა სიამით არ ჭსჭვრეტდეს.
და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არა უტკბობდეს.
ოა სასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამ სოფლად მოსული
და საბარემდის კვნესითვე უღელს ქვეშ დამწარებული!
სჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქნას დაარსებული
მხვედრი ესრეთი ვაგლახი არის ვისთვისც განმზადებული!
ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჭშთომოდეს
რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს.
ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად ჭსჯულზედ მჯდომი ვანჯალი (?) კანონთა აღასრულებდეს.
ნე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის;
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თანმდევნის:
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავს შორის გინა ვჯდე,
გინა საყდარსა შესული გულმხურვალებით ვილოცდე!
ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა,
ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.
ვუწყი მე მართლად, რომ ჯერ-არს სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა, პირველად წინა აღუდგეს!
მარა მოძღვარი! მითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს?
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდნიეს?
წარვწყმდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;
და მისთვის ესრეთს ჩემს სიკვდილს ადრევ სიამით2) ვაკურთხებ".
ტფილისი. XXI, 4052.

---

1) შემდეგი სამი სტრიქონი კარაბდაშის გადასმით არის წაშლილი „მის ჟამით მათდა ჩემს გულსა შურისძიება ითესა. მიხარის, ოდეს ფიქრში წარმომი-დგების მტერთ კვ ესა; ვარ მათის ხისლის მარად ჟამსა დასანთხეველად მოსურნე"
2) და მისთვის ჩემს ბედს მამაო სიხარულითა."

სოლომონ რაზმაძის ლექსი.

არაკი.

დათვი და ცხვარი.

ერთს უდაბურსა ახლოსა ტკვრისა
სად გულს აამებს წკანწკარი წყლისა
იდგა მოხუცი-საბრალო ცხვარი,
თავის ცოლითა
და შვილებითა.
ჰქონდა ადგილ შემოღობილი,
სად დაენერგა მცირე ხე ხილი,
და ბაგის შუა-მას ედგა ქოხი.
არა რა ჰქონდა, პინა და ჯოხი
და კუთხეშია ეყუდა ბარი.
მაგრამ საწყალსა-მოხუცებულსა,
ტურა და მგელი
ვერაგი მგელი,
არ ასვენებდნენ არც ერთსა წამსა.
ამ სოფელშია ძლიერი სთრგუნავს მარად საწყალსა.
მის ახლოს იდგა დათვი ძლიერი,
და ეპყრა დიდი ველი ტყიერი,
მას მორჩილებდა მის ტყის ნადირი,
და განთქმულ იყო ვით შახნაზირი.
ცხვარმა შესჩივლა ნადირთ მეფესა
და მოახსენა გულმტკივნეულად,
შენი სინათლე აშვენებს მზესა,
მოწყალებითა გევხარ ზევესსა,
არა ყოფილხარ არსად ძლეულად
აბჯარსა ხმარობ ათასდევულად
აწ გეაჯები ცრემლთა მფრქვეველი
შენს ახლოსა მაქვს მეც მცირე ხვრელი.
რომლის გამოთხრით ვიტკინე ხელი;
არ მასვენებენ ტურა და მგელი,
და ავაზაკი ქვეშქვეშა მელი,
მათგან მედების შე ცეცხლი მწველი

მიშველე რამე დიდი გაქვს ძალი,
ლამის დავიქცე მე შესაბრალი,
შენ დაიფარე ჩემი ცოლშვილი.
რა მოისმინა პირად მზიანმა,
თავყოდალამა 1) მცირე ჭკვინამა,
გასივებულმა ბრჭყალებიანმა 2)
ცხვარის ჩივილი
გლოვა ტირილი
დაღუნა თავი, შეუდგა ფიქრსა.
ასე აგონა საწყალსა ცხვარსა,
რომ დიდათ ილმო მისი ურვაი...
(ეაიცა მელავ მიგცემს რისხვასა,
(ათვი გადგიხდის ჩემს აკლებასა
(და მოგეცემა სოფლის მდურვაი).
(ნწრაფლ აიხედა აიღო თავი,
(�აბრიალა საშინლად თვალნი,
სისხლმოდენილნი და შეუმკრთალნი,
ცხვ^ი^ტა[1]) ყურები გაიძრა მკლევი.
მოჰყვა მთქნარებას და გაიზმორა
და წვერი ხელით ჩამოისწორა.
შერე შეჰყვირა გაჯავრებულმა,
როგორც ტვირთელმა წავკისის ვირმა;
„მე ცოცხალი ვარ როგორ თუ მოხდეს უსამართლობა,
ამას არ დავთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღვთობა
მიექცა ცხვარსა პანტა ნაჭამი
უბრძანა სიტყვა გულის საამი
აწ წარვედ შინა ნუღარას ლამი,
მე დაუბნელო წუწკის შვილებსა დღეი მზიანი.
აღარ ვაცოცხლო შენის გულისთვის არც ერთი წამი.
ოდეს ესე მოისმინა
სიხარულით გაიცინა.
ადგა წავიდა მხიარულათა იმედიანი.
ერთს დილას იჯდა მყუდრო ადგილსა საწყალი ცხვარი,
ნახა რომ მოდის ნადირთა ჯარი,
მათ წინ მოუძღვის მრისხი აფთარი.
მოვიდნეს მასთან და მოესალმნეს,

---

[1]) [2]) და [3]) თვით ორიგინალშია ხაზგასმული.

სიტყვა მცბიერნი მას მოახსენეს:
„ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვავლინა,
შენის სამზღვრისა დასაცველთა,
აწ შენნი მტერნი ჩვენგან მოისრნეს;
მათთა სიცილთა ვაქცევთ ხველათა“.
ეს რა ესმა ცხვარს მყის მოილხინა,
და სიხარულით ამოიქშინა,
სწრაფლ გაულო კარი
შეიწვია ჯარი,
და უმასპინძლა მიართვა მწვარი,
ამისა შემდგომ გავიდა ხანი,
გარდაიცვალა საწყალი ცხვარი.
მისთვის ტიროდეს მთაი და ბარი.
რა ესმა აფთარს მყის ნახა ხანი (?).
თავის ჯარისა „აწვე წარვედით
ცხვარის ცოლშვილსა შემოერტყენით“...
—„რა ანბავია, რას გვემართლებით...
რა დავაშავეთ, რატომ გვიწყრებით...“
ამას იძახდენ... ვინ გაიგონებს?
შენ ნუ მომიკვდე... მოხვიეს ხელი,
და გადაკარგეს ერთობ ყოველი,
ერთს ჭაობიანს ადგილსა მყრალსა
დათვს მოახსენეს მას შეუბრალსა
„რათ გვართმევ საწყალთ ჩვენსა მამულსა
ეს არის შენის შეწევნის ალთქმა?“
„როგორ მიბედავთ? ჩუმად ეგდენით“
შესძახა დათვმა გაბრაზებულმა.
„მაგ წყალობისაც არა ხართ ღირსნი.
გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე
მოგეფინებათ ჩემის სახის მზე
ათასში ერთხელ სხვა რაღა გინდათ?
რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ
რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ
და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ“...

„ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ
ტურა-მგლისაგან და შველა გთხოვეთ,
რადგან ბრძანდებით მეფე ძლიერი“
უთხრეს ბატკნებმა „ახლა მშიერი
უთხრეს ბატკნებმა.—„ახლა მშიერი
უნდა ვეყარნეთ, რა შევიმატეთ
თქვენის შველითა. მგელნი განსდევნეთ
ჩვენის მამულით, ჩვენ კი დაგვთრგუნეთ
ერთიანათა და დაგვატყვევეთ.
რაც მათ გადარჩათ სულ თქვენ მიგვიღეთ“.
როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტეანულად
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად.
არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა
არამედ სნეულთ და დავრდომილთა (XI, 1911).

გიორგი დავითის ძის ერისთავის წერილი ფილადელფოსისადმი.

„მამაო ფილადელფოს!

განმშორდით ამაონო და ქენჯვნანო გულისანო, დამიტევეთ მცირედსა დროსა, ბნებს წერაი უსტარისა, გარნა ვისთან მსურს მე იგი? ნუ უკვე მსუბუქ განმსჯელობაო გონებისა ჩემისაო. ძალგისთ სუსტისა კალმითა გამოხატო აზრი გულისა ჩემისა. რაოდენ ბედნიერ ხართ ტრიქონნო ჩემისა წერილისანო! უწყითა? ვინ წარგიკითხავს თქვენ. — ახ! უკუთუ ძალგედვათ მოთხოვაი მისგან პასუხისა, გარნა არა თქვენ არა ღირს ხართ პასუხსა, — ...რასა ვიტყვი მე! რასა ზედა ვიჩვნელობ, აჰა, ესე არსა წერილი მისი, ნამდვილ მისი არს... ვაი ესე არა, არს ჩემთან. არა! აქ ვპოვებ სახელსა ჩემსა! მას არა დაუვიწყებივარ მე. — ჰოი, რაოდენსა ჰაზრსა შეიცავენ ესე ორნი ტრიქონნი მისნი, ყოველთა ასოთა შინა ბრწყინავენ, რაცალა ნიჭიერებანი ზეცისანი, ყოველთა ჰაზრთა შინა მიმდინარეობს წყარო მეცნიერებისა, — გიხაროდენ ივერიაო! არამედ ვხედავ ზენ შორის, რომელ მცირედ მცირედ გეხდების საბურველი იგი, რომელცია დროებისაგან მოფარებულიყო შენზედან! უკეთუ გამრავლდებიან დამწერელნი ესეთნი, მაშინ ნამდვილად, გამობრწყინდების შენზედან მზე და ნათელ გყოფს შენ, ნაშინ ნამდვილად ყოველი სოფელი მოაქცევს შენზედან მხედველობასა. — მამაო! მსურის მრავალი რაიმე წერაი შენთანა, გარნა სხვა და სხვანი ჰაზრნი მომიცვენ მე, და იძულებულ ვარ განვაგდო კალამი ხელისაგან. — მშვიდობით! და ნუ დაუტე-

ვებთ მას, რომელსაც წერილი თქვენი ულირს უძვირფასეს ყოველ-ბედნიერებისა.

გიორგი ერისთოვი ქსნისა". (VII, 1238).

პარასკევს.

ბატონიშვილი დავითის ძე ერისთავის ფილოდელფოსისადმი საიდუმლო ანბანით მიწერილი წერილი.

„მამაო ფილადელფოს

ვგონებ მიწყრებიო, და ჰფიქრობთ ის რა პლუტი ჩავიგდე ხელ-შიო, ერთხელ წიგნი არ მომწერაო? მამაო! მიზეზი ჩემის მდუმარებისა ის იყო, რომ კარგი მგზავრი ვერავინ ვიშოვე და ფოჩტით არ მოგწერე ამისთვის რომ როცა პახოდობა შეიქმნება ხოლმე ყოველთვის წიგნსა ხსნიან, აგრეთვე თქვენცა გთხოვთ ფოსტით აღარ მომწეროთ.

მომილოცავს **ალექსანდრეს** [1]) აქტის ჩლენობა **თავისი ძმითურთ**, აგრეთვე ჩემის ბიძაშვილისა **შანშეს** შვილისა[2]), ამათ ბევრი პარტია პყავთ და ცდილობენ მათს მოყვანას. ჩემს წილათ ესენი ვიშოვნე და უნდა ვიშოვნო: **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანნი. ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავნი.** ამ ოთხთ უკვე იციან.

ამ ერთს კვირაზედ თავს დაგიკვრენ შემდგომნი.

თევადი **დავით ჯორჯაძე, სოლომონ დოდაევი.**

იოსებ მამაცაშვილი ეს არის განათლებული აზნაურიშვილი, რუსულისა და ქართულის მცოდნე, ამას თითქმის არავინა **სჯობს** სუდა ი რასპრავის პერევოდჩიკი.

დიმიტრი ყიფიანოვი ყმაწვილი კაცი რუსულისა და ქართულის კარგათ მცოდნე, სკოლაში უჩიტელი, და პერევოდჩიკი დეპუტატ **სობრანიაში.**

სოლომონ რაზმაზე ეს ეხლა გადმოვიდა რუსეთიდან ბატონიშვილებთან იყო. — კარგი და განათლებული კაცი. — ესენი ყოველ დღე ერთათა ვართ და ადვილად შეიძლება ამათი მოქცევა. — მამაო, მწერთ **პოპეიკა** [3]) გაიცან ჩემთვის საჭირო არისო. იმას თუმცა ვიცნობ, მგრამ ახლო ვერ ვიცნობ. **ალექსანდრე** კარგათ იცნობს და სულ ერთია თუნდა მე მიცვნია. ოღონდ შენ ჩამოდი თორემ სულ **ყველა** ადვილია. ხომ ვიცი ჩამოხვალთ არქიერის სანახავათ, ძალიან კარგი კაცია კარგათ გაზდილი და განათლებული ამას აქვს ხარისხი. დო-

---

[1]) ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები
[2]) ელიზბაო ერისთავი
[3]) პოლონელი ექიმის ჯვარია.



გ. ერისთავის ფილადელფიისადმი საიდუმლო ანბანით მიწერილი წერილის დასაწყისი

ტორ ფილოსოფიისა. ჩამოდი სულ ყველაფერს კარგათ მოვახერხებთ. შენზედ ცუდი აზრები მანდავ მოგახსენე ჰქონდათ მაგრამ მე და **დოდაევმა** ყველას გაუქარვეთ. ყველასა სურს შენი ხილვა. მე პა-ხოდში ვაპირებდი ჩვენის საზოგადოობის აზრით, რადგანაც ბევრნი თავადნი მიდიოდნენ ისინი მეშოვნა ჩლენათ. მაგრამ ისეთები მი-დიან პური სჭამაც არ იციან—მე გუბერნატორთან ვაპირებ შესვლას. კიდეც მიმიღო. ჯერ კი არ ვიცი რა ხელობაში ვიქნები.

შენი **გიორგი**. (IV, 697). 15-ს ივნისს.

მისივე საიდუმლო ანბანით დაწერილი.

„მამაო **ფილადელფოს** !

თქვენ როგორც გინდათ მიიღეთ ჩემი წერილები. მე ყოველსა ჭეშმარიტებით ვამბობ.

ჰოი მამაო ზეციერო, გმადლობ შენ რომელსა მომეც გრძნობა და განრჩეულ მყავ პირუტყვთაგან. — უფალო გმადლობ! რომელ-მან მომეც სურვილი სწავლისა და მეცადინეობისა.—გმადლობ შენ კეთილ განგებაო, რომელმაც შემაკავშირე კეთილთა გვამთა, და მო-მეც მოძღვრად ფილადელფოს!

გიორგი ერისთოვი (იქვე, 1241).

ფილადელფოსის გიორგი ერისთავისადმი წერილი.

„კნიაზო **გიორგი ერისთოვ**

წერილი შენი მივიღე და რა ვჰქნა.

საჭირო არსღა დასარწმუნებლად თქვენდა რომელ, ვითომც მე ჭეშმარიტებით ვიტყოდე. გული ჩემი არა ითხოვს რათა ვეძიებდე ამას შინა განმართლებასა, მხოლოდ რომელ მიანიჭოს მას მაღალმან მზეანან ნიჭნი განცხადებად თქვენდა ლიტონად. მოხედე შენ ჰოი-უნეტარესო ქმნილებაო ვინ ხარ შენ ვინ მე და ვინ არს რომელიცა გარდამოსთხევს ჩვენთანა უწმინდესსა კავშირსა ორთა მოკვდავთა მათ შორის. აღარა ჯერ არს მოუბნარობა, ჩვენ თვინიერ ქაღალდისა და მელნისა ძალ გვიცს შემეცნებად სულიერთა მიმოქცევათა.

მოვედ ძმაო. აღვიდეთ ჩვენ ზთასა ზედა ელეონისსა უმსხვერპ-ლოდ ხორცნი ჩვენნი ყოვლად დასაწველად უსაუკუნესსა სამადლობ-ლად სამღთოისა ნიჭისა მისისა, რათა სულთა ჩვენთა თვისუფლად იწყონ მარადის ერთაღრე ფოფინებად ველთა ზედა ელისესათა, და მაშინ მონამან ყოველივე გრქვა შენ. ხოლო აწ ვერ ძალ მიცს გამო-ხმობად — თუმცა მე დაბალ ვარ გარნა თავისუფლებით მოსრულ-

ხარ შენ ჩემდა სჩანს რომელ გვისწავიეს ჩვენ კმაყოფა ლიტონ ბუ-
ნებრივთ ნივთთაგან რომელსაცა ჰბერვენ იეფობით უმანკონი მხია-
რულებანი ლტოლვილნი მოოქროვილთა პალატთაგან.

ცხოველ იყავ და ცხოველ მყავ მე, რათა ტერმოზირის ზურ-
ნაკთა შინა შთავბერო მე გალობა უნეტარესისა ბედისა ჩემისა და
ვმადლობდე... რომელისაცა სახელი მაშინებს თქმას.

ცხოველ იქმენ უკუნისამდე
მონა და სულიერი მლოცველი
შენი ფილადელფოს" (VII, 1254).

დავით ერისთავის წერილი ფილადელფოსისადმი.

„მამაო".

თქმული თქვენ მიერ 1 არავითარსა ნანდაურსა და 2 მეორე
დაფუძნებული მანდაურთა მართველად 1 არასფერში არ იქნება არც
მანდა და არც სხვაგან.

თქვენ მიერი ბრძანებული სრულად მოგართვით—გარნა თუნგი
ვერ ვიშოვნე და ვაკეთებინებ. შენმა ნაწერმა გამაცოცხლა მეცა
და ჩემი სტუმარიც **გიორგი ერისთოვიც. რაფახლმა** თქვენის შრო-
მილის ბოძებისათვის მადლობა განგიცხადათ და იხარა დიდის სია-
მოვნით. ამას გარდა, მე და **გიორგი** ამაღამ **რევაზ მაყაშვილთან**
ვართ დაპატიჟებული და იქ მობრძანდი თუ შეიძლებოდეს.

მოგართვით.

ქ. ხუთი ადლი მიტკალი ქ. ტოტი (?) ქ. საბელავშარა ქ. სამი
ადლი ჩითი ქ. სანთელი.

ქრისტეფორეს საბლი და ავშარა. მისგან გამოტანებული საბ-
მანეთი მისაცემი არ მიმიცია სომხისთვის ამისთვის რომ შინ არ იყო
შოვა და მივსცემ და ბარათსაც გამოუგზავნი.

შენი **დავით ერისთოვი.**

ბამაო. ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ.

გიორგი ერისთავი (VII, 1244).

**დიმიტრი ბატონიშვილის თამარ ბატონიშვილისადმი პეტერბურგი-
დან ტფილისში მიწერილი წერილები.**

Любезная сестрица! 1831. 1-го декабря.

Мы недавно получили письмо Зу-Зу, кажется он писал и к ма-
тери, он здоров и говорит такой же как прежде.

Что вы делаете, как проводите время? веселы или нет? Что не
пишите мне ничего? **Элизбару** [1])мое почтение. Ваш брат **Димитрий.**
(5274).

---

[1]) ელიზბარ ერისთავი გარკვეული მოსაზრებით არის ნახსენები.



გიორგი ერისთავი
(მწერალთა მუზეუმი)

2. «Любезная сестрица.

Я получил ваше выговорное письмо; вы меня напрасно в том обвиняете о чем я не думал вам писать. Это верно брат хотел шутить с вами и вы ошиблись.

Если случится из'яви... от меня почтение **Вахтангу** [1]) и **Элизбару** [2]) и проч.

3. «Любезная сестрица.

Последнее ваше письмо сделало мне большое удовольствие; я люблю юг а вы пишите ко мне как можно больше; прошу **вас не оставляйте меня без разных подробностей и прочее.**

Каково здоровье **Элизбара,** что делает **Вахтанг и Мухранский Иван: Елизбару** скажите что **Евреинова** вышла замуж, потом бежала с другим, оставила и этого и уехала... в Париж.

ваш покорнейший брат **Димитрий».**

1832

января 26 (XXVI, 5277).

4. «Любезная сестрица.

Податель сего письма, знакомый вам человек, **Соломон Иванович Размадзе** идет с **Графом Симоничем** в Персию; он просил меня рекомендовать его вам и просит убедительно, чтобы вы, с вашей стороны, рекомендовали его милостивой благосклонности Графини и самого Графа **Симонича;** он это заслуживает своими добрыми качествами.

Что еще писать — не знаю. Я слава Богу, здоров и гораздо веселее... **Димитрий Эристов** сегодня выехал из Петербурга а граф **Симонич** едет послезавтра. ваш покорнейший брат **Димитрий».**

1832.

Февраля 1-го дня.

5. „უსაყვარლესო დაო თამარ.

მოგილოცამ მარხვას[3]). შენი წიგნი მოგვივიდა 28 იანვრის დაწერილი 17 თებერვალს. ჩვენს ამბავს მოიხსენებთ, ღვთით ყველანი მშვიდობით გახლავართ მადლობა ღმერთსა რომ თქვენც მშვიდო-

---

[1]) ვახტანგ ორბელიანი.

[2]) ელ. ერისთავი.

[3]) წერილი ლუარსაბის მიერ არის მიწერილი და შე-5 გვერდზე დიმიტრი ბატონიშვილის წერილს შეიცავს.

ბით ბრძანდებით მთავარმათებელისას დავიარებიო აგრე ჯობს რომ ხშირად იარო და კარგათ გაიცნო. ღრაფი წამოვიდა ეს ორი კვირა იქნება ახლა მანდ იქნება ვგონებ თუ ცუდი გზები არ შეხვდა. ბალე მოაშურებდა წამოსვლას მათს უგანათლებულესობას ჩემს საკუთარი ხელის კოცნას მოვახსენებ.

გიორგი აპირებს დღეს წამოსვლას არ ვიცი მართალია თუ არარა ქნას ამას კაცი არ უნდა დაემდუროს დილის ექვს საათზე დგება პირველს სათამდინ სულ ვიზიტშია ვერ მოიცლის წიგნის მოწერას. **პრასკოვია პეტროვნა** არ უნდა დემდუროს ამის მიზეზით—თქვენი მამიდაშვილი **იოვანე** გიახლათ ხვალ **ლუარსაბს** შემოველით ექვს მარტს **დიმიტრის ოვანეკი** ძალადმა (?) ჯერ კი არ აპირებს წასვლას ცოტა აქ საქმე მაქვსო [1]) **კაკატო** მოგიკითხეთ **მეთემ** და **დილარამ** და **იაგორამ** ხელს გაკოცათ. ყველამ სიყვარულით მოკითხვა გიბრძანეს.

გთხოვთ რომ მოგწეროთ მართლა გორს აშენებინებთ სახლებს ასე გავიგონე კარგი იქნება თუ კაი ალაგია.

შენი ძმა ლუარსაბ.

1832 წ. თებერვლის 23. თქვენმა მამიდაშვილმა **იოვანემ** ხელს კოცნა მოგახსენათ (XXVI, 5281).

ამ წერილის მეოთხე გვერდზე **დიმიტრი ბატონიშვილს** მიუწერია:

«Любезная сестрица.

Сегодня приехал капитан **Челокаев Луарсаб** совершивший поход и выдержавший холеру ничего - ничего - ничего. Его брат **Иван** дуже с недели здесь. Татарин также скоро будет и все наши здоровы. **Каихосро** имеет несколько сотен крестов и медалей... что еще писать вы все можете угадать.

1832. Февраля 23.

ваш покорнейший брат **Димитрий**».

6. «Любезная сестрица.

Брат очень обижается что вы насмехаетесь над его Грузинскими стихами. Мы читали журнал **Соломона Додаева**; что делать первый опыт, далее будет лучше я надеюсь. Сейчас входит **Татарин** —**Димитрий Орбелианов** такой же урод или еще больше как и прежде.

ваш покорнейший брат **Димитрий**» (5282).

7. Любезная сестрица.

Поздравляю вас с имянинами: кажется это письмо получите

---

[1]) უკანასკნელი სამი სიტყვა გინსხვავებული მსხვილი ასოებით არის დაწერილი.

вы в тот самый день или около того дня по крайней мере мы с братом так старались сделать —

Если **Димитрий Еристов** приехал и побывал у вас, то скажите ему что я ожидаю от него письма.

ваш покорнейший брат **Димитрий.**

1832

Апреля 5-го дня (XXVI, 5284).

8. «Мы слишали, что **Соломон** [1]) представляет там франта и Бон-тона, и не можем довольно не смеяться зная его способы, фигуру и рожу, **пожалуйста напишите какие штуки он там делает?**

Елибзару, вахтангу Димитрию мое почтение **и всем прочим уродам** [2]).

ваш покорнейший брат Димитрий».

1832

Апреля 19-го дня (XXVI, 5286).

9. «Я очень благодарен **Вахтангу** что он собирается писать ко мне и по французски, скажите ему, что это пахнет школою ქართულათ მომწეროს მე ბადლობელი ვიქნები. **Элизбар** რასა . იქს ბალვანი გაინარდა თუ არა. Я слышал, что балы в Тифлисе вошли в моду, бываете ли на них.

Ваш покорнейший брат **Димитрий.**

1832

Мая 10-го. (XXV (5288).

10. «Любезная сестрица.

Я бы желал знать где вы будете проводить нынешнее лето в деревне или Тифлисе. А мы полагаем жить или в Царском селе или на Каменном; до сих пор дни у нас были холодны. Прошу засвизанимается **хозяйством — урод... не хочет ли жениться.** [3]).
детельствовать мое почтение **Вахтангу** и проч. **Элизбар,** говорят,

Ваш сулели брат **Димитрий.**

1832 мая 31-го дня» (XXVI, 5290).

11. «Любезная сестрица.

Я получл письмо **Соломона** [1]) оно также смешно как и он

---

[1]) და [2]) დოდაშვილი.
[2]) და [3]) ხელთნაწერშია ხაზგასმული

сам; пожалуйста не говорите ему об этом — он предобрый человек он поэт, певец и проч.

Я слышал, что Элизбар очень сокрушается от разных неудовольствий домашних; скажите ему что он дурак, как можно из таких пустяков убивать себя, все будет хорошо. Пишите что нибудь, мне же приятно—даже и вздорь! ваш покорнейший брат **Димитрий»** (XXVI, 5292).

Июня 14 1832.

12. «Любезная сестрица.

Из вашего последнего письма я не мог хорошенько понять какое письмо хотел писать **Иван Мухранский почему все были недовольны это загадка: сделайте милость напишите что такое это было** [1]).

Я слава Богу здоров, лето у нас самое холодное живем в городе. Как вы проводите время, чем занимаетесь я бы **желал знать обо всем.**

Ваш покорнейший брат **Димитрий.**

1832

Июля 26-го дня» (XXVI, 5294).

13. «Любезная сестрица.

Давно вы не писали ничего **ко мне особенно: что делают наши уроды, т. е. Элизбар, Вахтанг, Иван и проч. разыграли или нет комедию, за которую Вахтанг так горячится, что у них нового чем занимаются? Я все собираюсь к** ним писать — но ленюсь.

Напишу однакожь.

ваш покорнейший брат Димитрий.

1832 Августа 30-го дня (XXVI, 5296).

14. «Любезная сестрица.

Татарин [2]) поехал: с ним мы послали наши посылочки, о которых я писал. Я боюсь, чтоб он не продал их или принес бы своей невесте в подарок. Мое почтение князь **Ивану Мухранскому,** если случится вам увидеть его, и прочим,—ваш покорнейший брат **Димитрий.**

1832-го года

Сентября 4-го». (XXVI, 5298).

---

[1]) უკანასკნელი ორი სიტყვა განსაკუთრებული მსხვილი ასოებით არის დაწერილი

[2]) დიმიტრი ორბელიანი

15. «Любезная сестрица.

Давно я не получал от вас ни строчки, что это значит. Я очень обижаюсь что вы все пишете к брату а меня в грош не ставите დიდი სულელი და პატარა სულელი. Каково проводите время? **Всем уродам мое почтение т. е. моим приятелям. Скоро ли женится татарин пожалуйста напишите я что то слышал.**

ваш покорнейши брат **Димитрий.**

6-го декабря 1832». (XXVI, 5300)

16. «Любезная сестрица.

Я очень благодарю **Вахтанга** что он не забывает меня; я сам искренно его люблю и желаю ему счастья и успехов; слышал что он хочет продолжать заниматься французским языком — хорошо сделает.

О чем еще писать я здоров и весел.

Простите до свидания т. е. до следующего письма.

ваш покорнейший брат **Димитрий.**

1832

Апреля 29-го дня». (XXVI, 5302)

ს. დოდაშვილის რაპორტი და ხელწერილი.

«Исправляющему должность Директора училищ Кавказской области и Тифлисского благородного училища Г. Титулярному Советнику **Ярославскому.**

Учителя оного же училища **Соломона Додаева.**

Рапорт.

Во исполнение предписания Вашего благородия честь имею представить подписку, что я не состоял и не буду состоять ни в каких тайных обществах.

Учитель Грузинской Словесности и Географии **Соломон Додаев.**

Июля 30 дня 1827 г. Тифлис.

«1827 года Августа 28 дня [1]), я нижеподписавшийся даю сию подписку в том, что я к Массонским ложам или к другим тайным обществам никогда не принадлежал и впредь принадлежать не буду, в чем и подписуюсь. Учитель Грузинской словесности и Географии **Соломон Додаев».**

აკტი გონიური.

„ჰოი სრულიად საჭიროო, ყოვლად საუკუნეო დასაბამო და დასასრულო, დაუსაბამოდ და დაუსრულებლად მოძრავო არსებასა შინა არსთასა, მიზეზო მიზეზთაო, და მოქმედო.

ხელთა შენთა ქმნეს დასაბამსა კაცი უფალო, ყოვლად დაუსრულებელ სივრცედმდე განრთხმულთა მკლავთა შენთა წყვდიადსა შინა და უფსკრულსა ნივთებათასა ყოვლით კერძოით გამოიძიონ, წინააღმდეგნი ესე სხეულისა ჩვენისა ნივთიერებანი და ერთადრე შემომკრებელთა მათთა, ძლიერთა მოქმედთა ხელთა საშუალ შთაბეჭდ მას კავშირი სიმტკიცისა, რომლისა გარდა აწცა ნივთიერებანი იგი იბნევიან ყოვლად მიუწვდომელობასა შინა ნივთებათასა, ვიდრემდის კვალად ძლიერი ხმა შენი არ შემოკრებს მათ მეორისა განცხოველებისადმი.

შენ მოქმედო შემკრებელობისაო. და კავშირო სამღთოისა ძლიერებისაო, შემოკრიბე განბნეულებ ჩვენი, მოავლინე სიყვარული შენი, ვითარცა საღმთო კავშირი მრავალ განუკვეთელთა შორის ერთ-სულობით შეერთებად, და ერთ პირ დიდებად სამ პირებითისა ღვთაებისა შენისა. კანონიერ ჰყავ მადლითი შვილებაი ჩვენი შენდამი, წინამძღვანველ სამღთოი სული შენი წმინდა ჩვენთანა, ალსა შინა და შემძლებელობასა დაცვისადმი სჯულთა გონიურისა ამის აკტისათა:

სჯულნი გონიურისა აკტისანი:

1.

ღმერთი სიყვარული არს, და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მისთანა ჰგიეს, და იგი ღვთისათანა (იოანე, თავი 4, 16).

ამისთვის პირველად სათანადო არს, რათა ყოვლისა სულითა, და ყოვლისა გულითა გვრწამდეს. რომელ წევრთა შორის გონიურისა ამის აკტისათა, პირველი წევრი, და ავტორი ღმერთი იესო ქრისტე

არს მოქმედი ძალთა მცველი, და სათანადო მყოფი, ძლიერად გამოხატვად ეზრ.სა შინა რომელ თითოეულთა წევრთა, რაოდენ სიყვარულ თვისთა წევრთა, ეგოდენ თვით ღმერთი თანა სდევს ყოველთა ყოველგან, ვითარცა სხეულსა შინა ჩვენსა სული ჩვენი, რომლისათვისაცა სათანადო არს მტკიცე სიყვარული და პატივის ცემა რელიგიისა. რწმუნებად ჭეშმარიტებისა მისისა, და რაოდენ შესაძლო არს დაცვად სამლთოსა სჯულისა, და მცნებისა მისისა, ვითარცა უბედნიერესისა საშუალობისა; არა ხედვად და არცა განკითხვად, რომელთამე უგუნურთა სამღვდელოთა, არამედ თვით ჩვენ შორის გარე შეცვად რომელ ყოველი წმინდისა ეკლესიისა, და სჯულნი მისნი არიან უწმინდესნი. კვალნი ნეტარებისადმი კაცობრიობისა.

2.

ყოველნი ხელმწიფებანი ღვთისა მიერ განწესებულ არიან, და რომელი ადგებოდეს ხელმწიფებასა - ღვთისა ბრძანებასა ადგების, (რომაელთა, თავი 13, მუხლი 10); რომლისათვისა სათანადო არს რწმუნებად მტკიცედ რომელ ხელმწიფენი და მეფენი ქვეყანასა ზედა არიან საკუთრითა ნებითა საღმრთოითა დადგინებულნი სახედ და მაგალითად, ცათა შინა მყოფისა მეუფებისა ღვთისა, და რათა რომლისა ქვეშე ვიყვნეთ, გვაქვნდეს სიყვარული, შიში და მორჩილება სრული ვითარცა უმარჯვესისა ბედნიერებისათვის ჩვენისა, არა განმსჯელთა მას შინა არარაისა თვინიერ ოდენ მაშინ, რათა არ იყოს წინააღმდეგ სამლთოისა რელიგიისა, მტკიცედ უნდა გვწამდეს რომელ წევრსა შინა ამის გონიერისა აკტისა აქვს მას უპირველესი ადგილი. და ესახვიდეთ მას წევრად ჩვენისა აკტისა.

3.

ჯერ არს რათა მეგობარმან მეგობრისათვის სული თვისი დაიდვას (იოანე, 15, 13) თითოეული წევრი შეკრულ არს სამისა თავშეწირულებისა, სრულის სიყვარულით, და სრულის შეძლებით, ღვთისადმი. ხელმწიფისა, და მეგობრისა ეს იგი წევრისა თვისისა, რათა ყოველთვის მზა იყოს მისთვის თავდადებულად.

4.

ყოველი წევრი უნდა ეძიებდეს შეძინებად წევრთა გონიერებით, არა ჯერ არს რათა პირველნან წევრმან უთხრას მეორესა თვისგან მოპოებულსა წევრსა მომპოვნელი ნისი წევრი, ხოლო ყოველთვის სათანადო არს რათა წევრი მპოვნელი წევრისა ყოველი გა-

ნუცხადებდეს პოვნილთა თვისგან წევრთა, მპოვნელსა თვისსა წევრსა.

5.

წევრთა შორის ყოველივე თანამდებ არიან უსამღთოესისა სიყვარულისა ქონებად შეწევნად ურთი ერთისა ვითარცა თავისა თვისისა, სარჩლად სიტყვათა შინა, ძიებად ურთიერთისა ბედნიერებისა, და ყოვლისა მის რაიცა მოითხოების სამღთოისა სიყვარულისაგან.

6.

უკეთუ რომელიმე მტერთა ჩვენთაგანი აღმოჩნდეს სხვით გზით რომელ, იგი რომელისამე წევრისაგან შექმნილა წევრად ამის აკტისა, ჯერ არს რათა დაიხსნას იგი მტერობა და ვუყვნეთ ვითარცა წევრისადმი.

7.

არა ჯერ არს ანგარებად წევრთა შორის არა თხოვად რაისამე ნივთისა, თვინიერ დიდისა საჭიროებისა, ხოლო უკეთუ საჭირო არს მისდა ანუ ძალგვიცს ჩვენ რათა შევეწეოდეთ წევრსა, დაუბრკოლებლად.

8.

მტკიცედ უნდა იცოდეს ყოველმან წევრმან დაცვად საიდუმლოისა, რათა არავის განუცხადოს სხვასა, გარდა მისსა, რომელსაცა მიიყვანს წევრად.

9.

ყოველმან მპოვნელმან წევრმან უნდა იხმაროს სიმკაცრე, რათა პოვნილნი მისგან წევრნი იქცეოდენ კეთილად სჯულსა ქვეშე აკტისასა, უნდა აქვნდეს სიფრთხილე არა შემოეპაროსთ კაცი ვნებული, ზნემოშლილი, დადედლებული და დახლილი, არამედ ოდენ მგრძნობელი სულისა მგრძნობელსა მეტისა კეთილბედნიერებისასა და კეთილშობილურთა სწავლულთა, ანუ ბუნებით განათლებულთა, არა ჯერ არს განცხადება ლიტონთა და მდაბიოთა გვამთადმი ყოველმან წევრმან უნდა უწყოდეს მოთმინებაი წყენათა, რათა არა განაცხადოს სხვაგან საიდუმლო რწმუნებული წევრთაგან.

10.

ჯერ არს, რათა ფიცი, და ხელმოწერილი აკტის სჯულები პოვნილისა წევრისა აქვნდეს მპოვნელსა, და არა აქვნდეს მპოვნელისა პოვნილსა:

11.

უკეთუ წევრთა შორის გარდახდეს რომელიმე სჯულთა და უარყოს, ანუ ვერ იქცეოდეს მას შინა, რათა განუცხადებდეს მპოვ-

ნელი მისი მპოვნელსა თვისსა ვიდრე უპირველეს აკტისადმდე შორის წერილით და ახლის სიტყვით.

ნიშანი არს რომლითაცა ანიშნებს წევრი წევრსა, მარჯვენის ხელის ნეკით მოიფხანს შუბლსა, უკეთუ შემხედველი წევრი არს მივალს და ამბორს უყოფს ვითარცა ძმასა და წევრსა.

სჯული გონიერისა აკტისა არს საღმთო და საბედნიერო ცხოვრებისა კაცთასა, უკეთუნცა არა წაბღალულ იყო წერილი იგი ბუნებითი, საცთურითა სოფლის მთავრისათა, მაშინ ჩვენ ბუნებითად ვაქნებოდითმცა აკტსა ქვეშე გონიერთა ყოველნი კაცნი, და გვეყვარებოდაცა ყოველი კაცობრიობა ესრეთ ვითარცა თავი ჩვენი, გარნა ვინაითგან ესრეთ განიყო ნათესავი კაცთა ქვეყანასა ზედა რომელ ყოველნივე ოდენ არიან მოყვარე თავთა თვისთა, და არა სხვათა, და ოუნცალა საჭიროებისა ძლით იყოლიებენ მცნობსა და მეგობარსა, გარნა არა მტკიცე არს, და არცა არს კავშირი მათ შორის, მხოლოდ ოდენ საჭიროება, და ბუნება, მიიზიდავთ მათ თქმად ურთიერთისადმი მეგობრად, რომელიცა თავისუფლად მალ გარდაიქცევიან ოდესმე მტერობად, გარნა ნაშინცა არა შესაძლო არს ყოფა კაცისა ქვეყანასა ზედა თვინიერ კეთილის მყოფელისა, და ეგრეთვე არა შესაძლო არს რათა ყოველნი კაცნი იყვნენ ჩვენდა კეთილის მყოფელ, მაშა სადაც სათანადო არს განრჩევად კეთილის მყოფელნი ჩვენი საზოგადოისა ერისაგან რათა განმსჭვალულ იყოს მათ შორის კავშირი, და პატიოსნება; ვინაითგან ცხოვრებამან სოფელსა შინა დაამტკიცა რომელ არ ძალგვიცს ცხოვრებად უკეთუ არა სიყვარულითა, და შეწევნითა ურთიერთისათა, მაშა ჯერ არს რათა აქვნდეს კანონნი:

ყოველთა ერთა შორის ძველთა, და ახალთა საცა არიან ერნი, რომელთაც უწყიან კავშირი დადებად კეთილის მყოფელობისა, რომელთამე ერთა უწყიან კავშირად სიყვარულისა რომელ აიღებენ დაუგრეხელსა ნამჯასა ყანისასა, და ვასწყვეტენ მეტყველნი: გასწყდეს ესრეთ წელი და გული მისი, რომელმან ჩვენ შორის უღალატოსო ერთმანეთსა ვიდრე სიკვდილამდე, და ამით კავშირითა იქმნებოდიან განუწყვეტელ კეთილის მოქმედ, ხოლო ერთა ძველისა ატტიკისათა უწყოდიან რომელ დასწვავდენ ფჩხილთა და თმათა ვისთამე და მსმელნი ნაცრისა მისასანი წყლითა იქმნებოდიან თავშეწირულ ვიდრე სიკვდილამდე მისთვის, რომლისაცა იგი იმნებოდა ფრჩხილნი და თმანი, ამისთვის ჩვენ დამამტკიცებელთა ამისთა რომელ ესევითარი აკტი წარმოებს თვით ბუნებისაგან, გარნა არა მოყვანებულ არს კანონსა შინა, ჯერ არს რათა აქვნდეს მას კანონნი, და მსარგებ-

ლებელთა მას შინა დაუმტკიცოთ თავთა ჩვენთა, ახალი აღყვავებული, სიყვარული სამღთო და ნეტარება:

ფიცი წევრთა.

თაყვანის ვცემ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, და ვფუცავ სახელსა მისსა წინაშე ცისა ქვეყანისა. წინაშე გონებისა ჩემისა, წინაშე ძალთა რაოდენი რა არს ცათა შინა, და რაოდენი რა არს ქვეყანასა ზედა, და რაოდენი რა არის ყოლრმეთა შინა. და ვფიცავ ცხოველს მყოფელსა ჯვარსა, და სახარებასა და სარწმუნოებასა ჩემსა რაოდენსაცა რას აღიარებს სარწმუნოება ჩემი, ვფუცავ რომელ ვიქმნები ყოვლის გულითა, სულითა, ყოვლის შეძლებით დამცველ საიდუმლოსა აკტისა სჯულთასა ვიდრე სიკვდილადმდე აღვასრულებ და ვეგები მას შინა, ხოლო უკეთუ არა დავიცვა იგი სრულის ჩემის შეძლებით, და ვეცრუო რომელსამე წევრსა, მაშინ წყეულიმცა ვარ სახელითა ყოვლად ძლიერითა ღვთისათა და შეჩვენებულმცა. უკეთუ განვაცხადო სხვისა ვისთანმე გარდა ეკლესიისაგან. და სისხლისავან იესო ქრისტესსა რომელსაც ვეზიარებით ნან ყოს შურის გება ჩემზე და, და აღასპოს სახელი ჩემი ქვეყანით შვილითი შვილადმდე ამინ, ამას ზედა თაყვანის ვცემ წმინდასა ჯვარსა ანუ ხატსა, და მრწამს, აქა ამბორი.

ძიებისათვის წევრისა: [1]).

მაძიებელი წევრისა თანამდებ არს რათა ეძიებდეს გვიან, და გამოცდილებით, რომელი არა სუჩქარდეს, ვიდრედმდის არა მოიყვანს სიყვარულისადმი, და არა გამოაცხადოს ხარაკტირი მისი, ღირს არსა იგი მიღებად ამისა ანუ არა, ანუ შეიძლებსა იგი ტვირთვად მტკიცედ დიდსულობითსა ამას სჯულსა აკტისასა, ოდეს დაამტკიცებს რომელ ღირს არს, მაშინ მცირედ მცირედ იწყებს აღლესვად სულისა მისისა და შეგონებად დიდსა სარგებლობასა. თუ რაოდენ სარგებლოვან არს ცხოვრებასა ამას შინა ყოლაი მრავალთა ერთ სულთა მეგობარობა, და ესრედ მცირედ აღძრავს მას სურვილისადმი, და შეიყვანს მას შინა იჭვნეულებასა, ესრეთ რომელ ყოველთვის ფიქრობდეს ამისთვის, და ოდეს უმაღლესის აღსავალით მსურველი ითხოვს განცხადებასა, მაშინ მპოვნელი მხოლოებისა, მძიმეს და კრძალულის მოძრაობით მოსთხოვს მას პირველად სიტყვისა ფიცსა, რათა მან იტვირთოს იგი მამაკაცებრ, და იპყრას საიდუმლოდ— შემდგომ განუცხადებს ყოველსა სჯულსა გონიერისა აკტისასა ზეპირად და წინა დაუდებს ძალსა ფიცისასა, და ოდეს ყოველითურთ

---

[1]) „აკტი გონიურის“ ეს ნაწილი „საქართველოს არქივი“-ს II წიგნში გამოქვეყნებულ ვარიანტში არ არის; ლენინგრადიდან მიღებულ ვარიანტში არის იგი შენახული.

განამზადებს მას ბილებად, მაშინ დახშვენ სამხოლოსა სახლსა და წარსდგებიან წინაშე ხატისა ორნივე ერთად მპოვნელი და პოვნილი თაყვანის ცემენ ორნივე ღმერთსა მეტანიით, და მპოვნელი პოვნილსა წარუკითხავს ფიცსა და ათქმევინებს, ანუ წარიკითხავს თვით პოვნილი, ხოლო როდეს დაასრულებს ფიცსა ამბორს უყოფს ხატსა, და შემდგომ ამბორს უყოფენ ურთიერთსა და ესრეთ შექმნილ იქმნების წევრად გონიურისა ამის აკტისა, მაშინ გადაიწერს ყოველსა სჯულებსა აკტისასა თვითეულ და ექმნების, და გარდააწერინებს ეგრეთვე ვისცა შემდგომ პოებს იგი სხვასა თვითცა" (IV, 563).

1801 წლის მანიფესტის შენიშვნები, დაწერილი დიმიტრი ერისთავის პირ.

«Копия.

Божею милостью Мы **Александр** 1 Импер. и Самодержец всероссийский и пр. и пр. пр.

Об'являем всем обивателям царства Грузинского кому о том ведать надлежит, на статьи [1]).

Покровительство и Верховная власть Российской империи под Царством Грузинского всегда полагало на Монархов Российских и долг защиты.

примечание [2]), разсмотрим теперь:

Покровительство справедливо; но предлагателя ворховной власти по ныне неизвестно и кажется что вздор ибо, или Царь или народ должен быть предлагателями престола; но ежели от Царя где письменное подаиство, и от чего манифест не об'являет; а ежели от народа как намекает манифест, кто был или лучше сказать, кто учавствовал в депутации кроме 6 или 8 человек которые так сказать отдавали Грузии от себя: доказатель: бунт в Кахетии и решимость Карталинцев следовать за своими Царевичами в Персию и при том то которые стретили русских, хотели Царем **Цар. Давида** что могут подтвердить очевидцы; но после видя невозможность своих намерений...

В 1767 году против сильного вподения к вам **Аги-Магомет-Хана**, в Бозе почивающаяся Великая Государиня Императрица **Екатерина Алексеевна** послала часть воиск своих [3])...

Покорение вышеупомянутых стран тоже не справедливо, ибо во всех государствах есть разбойники и воры и жители сих стран (только не должны думать вообще) на [4]) безпокоили и безпокойство

---

[1]) ეს ორი სიტყვა კარანდაშით სწერია; ხელნაწერის მართლწერაა დაცული.

[2]) ესეც კარანდაშით სწერია.

[3]) ნოყვანილია მანიფესტის სიტყვები შემდეგით გათავებული «...Мы вступя на всероссийский престол обязали Царство Грузинское присоединенное к России, о чем и Манифест в 18 дней Генваря 1801 года издан уже был во всенародное известие».

[4]) უნდა იყოს нас.

сие не было чувствительное, наши Цари просили помощи не для горцев, но для защиты от Пер. [1]), Азии и Тур. [2]). Но говоря о покорении сих стран, против кого они возстали? Против вас же гораздо после. Пример Черкесы и Маглодовлетцы, последние до вас платили дань Эрис. [3]), но возненавидя вас отложились.—

Разделение Грузии на разные партии не доказательство ли что они хотели Царя? правда, просили помощи, но вашему защиту, разве это защита что сделали с нашими Царевичами к чему такая запутанность когда мы все единодушны.. кто именно просил присоединить к России и как смели надеть корону Грузии которая находилась только под покровом Росии, это доказывает похищение.

კვლავ მოუვანილია მანიფესტის სიტყვები გათავებული.—«Не для приращения».

«Мне жаль только что Европа столь образованная позволила сим варварам похитить юную Грузию и воспитать по варварски и слышать столь глупые запутанные и без оснований довод, — представьте себе на каждому шагу врут. напр.: говорить что «разныя части народа Грузии. равно драгоценные нам... обнаружило. Это справедливо ибо русские как пришли в Грузию она только что открывала глаза, и немудрено было таких людей подкупить что известно еще живут по ныне из числа тех; они после увидели свою ошибку и справедливо страшились партии Царевичей вот те про которых и пред которыми разсыпается глупостью своею сочинитель.

Я не стану распространятся то что он говорит про Царя **Ираклия,** но скажу только что Грузия благоден. при любящем природою всеми; но спрашиваю благоденствует ли теперь Грузия как обещались? Нет, вот теперь то стоит оно перед бездной; еще путь больше толко и погибло на веки; вопр. от кого? перечесть всех причин не к чему: Грузию взяла Рос. под свой железный скипетр еще юную которой можно было дать наилучшее, напротив они сделали Грузию сылкою всех развратных людей, завели школу где учили разврату всем возможным; убивали способности всех молодых людей, начали

---

[1]) Персии, [2]) Турции [3]) Эристовым.

[1]) ეს ორი სიტყვა კარანდაშით სწერია: ბელნაწერის მართლწერაა დაცული.

одного подкупать для убиения другого, вот в каком положении находится и до ныне Грузия. — «не для... Царства Грузинского». Вот опять вздор, ежели нет приращения, то при междуусобий Царевичей могли назначить одного Царем кого хотел сам **Царь Георгий** и все партии примирились бы; но все напротив. Россия хотела издавна Грузию, о чем неоднократно просил у царей, когда они просили помощи, доказательством может служить еще вдовствующая царица, одно обстоятельство разсказываемое и 18(?) при жизни еще **Вел. Царя Ира.** [1]) известно что отец его ездил в России для испрашивания помощи **Царь Алек. Михо:** [2]) (IV, 716—771). [3]).

დიმიტრი ერისთავის ჩვენება მანიფესტის შენიშვნების გამო

«На вопрос сделанной в Комиссии отвечаю что: Замечания на Манифесть 1801 года об учреждении Российского правления в Грузии, найденные в моих бумагах, составленное мною в С. Петербурге, и не были мною никому сообщаемы.

Артиллерии Прапорщик Князь **Димитрий Эристов** (IV, 725).
1833 года.
Генваря 21 дня».

---

[1]) Великого царя ираклия.
[1]) Цар **Алексей Михайлович**.
[3]) ამის შემდეგ „ერთი ფურცელი აკლია. მერე ისევ მანიფესტის სიტყვებია ბოლომდის მოყვანილი.

სამხედრო სასამართლოს სენტენციიდან ამოწანაწერი:

«... А потому Приговорила: из подсудимых подпоручика **Князя Элизбара Эристова, Подпоручика Князя Александра Орбелианова, учителя Додаева, Прапорщика Князя Дмитрия Эристова, Князя Вахтанга Орбелианова, Майора Князя Луарсаба Орбелианова, Поручика Князя Александра Орбелианова** и капитана **Князя Челокаева,** после жалованной дворянству грамоты 1785 года апреля 21-го 6 статьи, статутов орденов Святого Владимира 1782 сентября 22-го дня пункта 21-го и ордена Святыя Анны 829 года апреля 14-го пункта 353 **лишить дворянского достойнства и чинов и некоторых из них орденов** и как их, так и подсудимых **Соломона Размадзе** и татарина **Замана,** после воинского устава 19 и 124 артикулов с толкованиями на оные, 136 артикула и Наказа Императрицы Екатерины Великия 465 и 478 пунктов **Яко оскорбителей Величества четвертованы быть** и на основании Высочайше дорованного Дворянству грамоты 1785 года апреля 21-го статьи 23 и указа 1802 маия 6 дня И **отбирани имения в казну, Титулярного Советника Паушенку,** по силе воинских процессов 2 части 5 главы 9-го и 10 пунктов оставить **в сильном подозрении.** Штабс ротмистра Князя **Мамуку Орбелианова** и подпоручика Князя **Ивана Эристова,** после тех же процессов 2 части 5 главы 9 и 10 пунктов **оставить в сильном подозрении;** но не приводя сего заключения в исполнение, представить в месте с делом Его Высокопревосходительству Господину Корпусному Командиру; подсудимые же содержатся под арестом по особому распоряжению Начальства. В прочем **Соломон Размадзе** и **Татарин Заман,** на основании воинского устава 50 главы 10 пункта, подлежат закованию в железа. Чтож касается до притязания подпоручика Князя **Алексан-**

დიმიტრი ყიფიანი ახალგაზრდობაში
(მწერალთა მუზეუმი)

дра Орбелианова, Штабс ротмистр Орбелианова и **Титулярного советника Паушенки,** что будто бы при следствии делались им притеснения, как предмет сей не был предложен суждению, то комиссия разсмотрение онаго представляет Высшему начальству. Причем Комиссия представляет наблагоуважение Начальства, что следственные выписки приняты к делу в том убеждении, что при следствий подсудимыми были подписаны, при проверке оказались верными и наконец для выиграния времени к скорейшему окончанию дела; судная же выписка предложена к слушанию Подсудимому **Паушенке** не скрепленного по пунктам Аудитором по ошибке, происшедшей от поспешного окончания дела, но без всякого намерения, а законы поднесены были по окончании в списках о всех подсудимых. Заключена в Г. Тифлисе Февраля 10 дня 1834 г.

Ассесоры: Гвардии Капитан **Всеволожский.**

Маиор **Розаиулов.**

Подполковник **Казасси.**

Подполковник **Гурский.**

Подполковник **Юферов.**

Подполковник **Беренс.**

Презус Генерал Маиор **Ахлестышев.**

Аудитор 10-го Класса Кузмин». (XXVIII, 754).

ალექსანდრე ორბელიანის მოგონებიდან.

ერთ-ერთი საუბრის დროს ცოლი ეუბნება **ალექსანდრეს:** „გეტყვი ეხლანდელს ყმაწვილს კაცებს რომ განგიზრახავთ და შეთქმა გაქვთ, რუსები აქედან გარეკოთ, და ეს ამბავი ხალხში რომ მოგიფენიათ, იცით ერთ ერთი მაინც არ გაგცემთ. მცირეს თავის სარგებლობისათვის?

— სწორეთ გეტყვი **კატინა:** ეს ჩვენი გაძრახვა ასე რიგათ დაიწყო, ზეუძლებელია არ გამოცხადდეს..

— ბაბ რატომ ქენით და ამისთანა ძნელი საქმე დაიწყეთ?..

— რუსეთიდგან მოსული ყმაწვილი კაცები და მე ამ საქმისათვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: როგორ დავიწყოთო.— ი ჩემი პასუხი: ეს საქმე ჩვენის მეტმა სხვამ არავინ არ უნდა შეიტყოს, ამისათვის რომ მინამ გარემოება თავის თავათ არ მოიტანს საქმეს, არას გზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეხლანდელს ქართველებში. მაშ ისევ სჯობია მხოლოდ ჩვენ ვიცოდეთ და გარემოებას მოუცადოთ, ვინ იცის იქნება ღმერთმა მოიტანოს რამე

გარემოება მეთქი. ამაში ზოგიერთნიც დამყვნენ, მაგრამ სხვებმა ეს ჩემი რჩევა ქალაჩუნობაში ჩამომართვეს, ამის გამო [1]) იმათ უკუ ვეღარ უდექ და შეუდექით საქმეს დიდის გულმოდგინებით, ისე რომ მშობლის ნამუსის მეტის სიყვარულით, ავად ვსაქმობდით თუ კარგად; ვეღარა გავიგეთ რა, ისე რომ მე ჩემი თავი ვღარ მოვასვენე იმ საქმეში და ისინიც კი ჩემი ამხანაგნი, დიდი მცდელნი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნავად **თ. ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთვიშვილი,** რომელიც ყველას ჩვენზედ უპირველესი მცედლი ის შეიქნა.

ამ სიტყვასთან პატარა ხანს უკან გარეთ მოაჯირზე რაღაც ჩხარუნის ხმა მოვიდა, ნინამ ის ხმა მიწყდებოდა, სადაც ჩვენი შვილები იწვნენ იმ ოთახში სანთელი გაჰქრა, ამასთან ჩვენს ოთახში ერთი მოახლე შემოვარდა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

— „ბატონებო, სალდათები მოვიდნენ და ფანჯრიდგან გვიყურებენ". ჩემ **კატინამ** ხმა არ ამოიღო. მე საჩქაროდ წამოვდექ, სინათლის ანთება ეთხარ, და **კატინაც** თან ამყვა ამ სიტყვით.

— „ვაი ჩემს თავსა, იქნებ შეუტყვიათ და ჩემი სიზმარი აცხადდეს".

— **კატინო!** სწორეთ გეტყვი. ამის შემდეგ დიდს უბედურებაში ჩავარდები. თუ ღვთის მადლობით მოითმენ, ღმერთი კიდევ მოგვხედავს, და თუ მოთმინებით არ იქნები, იმედი ნუღარ გაქვს ჩემი ნახვა კიდევ გეღირსოს, ამისათვის რომ უბედურების მომთმენს ღმერთი წყალობს და მოუთმენელზე ხელაღებულია".

ღვთის მშობლის წინ დაიჩოქა და გულმხურვალეს ცრემლით დაიძახა:

— „ამის მადლს ვევედრები მე სუსტს დედაკაცსა შენი უბედურება მამათმენინოს, მაგრამ მე რომ შენ უბედურებაში მეგულებოდე როგორ უნდა მოვითმინო".

— **კატინო!** მაგისთვის შენ ნუ სწუხარ, მე ვიცი ჩემ თავს როგორ გამოვიხსნი უბედურობიდან, ოღონდ შენ მოთმინებით და დიდ სულოვანად იყავ". მინამ ჩემი **კატინა** მეტყოდა რასმე, ჩემი დეიდაშვილი **თ. გიორგი რევაზის ძე ერისთოვი,** ჩვენთან შემოვიდა და გან-

---

[1]) სიტყვიდან „ამის გამო" ეს დაწერილია წაშლილ სტრიქონებზე, რომლებიც შემედგს შეიცავენ: ამაში გავიდა კვირები, გავიდა თვეები და ამაობაში პოლშა აიშალა. ზედ დატანებით კიდევ რუსეთიდან მოვიდა-არ იქნა ვერას გზით ვერ დავითანახმევი მე ისინი და მეც ამხანაგი ვეღარ უკუვდექ და შეუდექით საქმეს გულისმოდგინებით -მაგრამ ეს კი უნდა ვთქო რომ ამაობაში ორი კარგი გარემოება შეგვემთხვა, ერთი პოლშის გადადგომა რუსეთიდან-რომ თუ ჩქარა არ დაეთურგნა რუსეთს პოლშა ჩვენი საქართველოც გადაუდგებოდა და მეორე დაღისტანში ყაზი მოლას გამოსვლა"-შემდეგ 11 სტრიქონი ისეა წაშლილი, რომ ამოკითხვა შეუძლებელია.

სვენებულის გულით და მყარის სიტყვით მითხრა:

—„**ალექსანდრე.** კომენდანტი და პოლიცმეისტერი ჩვენს ოთახში შამოვიდნენ, სადაც მე და შენი ძმა **ვახტანგ** ვდგევართ და ორთავ გვითხრეს: ბარონ **როზინმა** დაგიბარათო. ეტყობა რომ ჩვენი შეთქმა გამოცხადებულა. ახლა რა ვქნათ".

— ამის მეტი ჩვენ ველარა გამოგვიხსნისრა, რომ რაც უნდა გვტანჯონ არ გავტყდეთ". **გიორგის** სიტყვის თქმა აღარ დასცალდა, **ვახტანგ** შემოვიდა, პოლიცმეისტერი თან შემოჰყვა, მოვიდა და მითხრა.

— „ბარონ **როზინმა** საჭირო საქმეზე დაგიბარათ, მაგრამ რაც ქაღალდები გაქვთ ისიც უნდა თან წავიღოთ". ამასუკან ჩემს **კატინას** მოუბრუნდა და გულღრძოს ცბიერის ღიმილით უთხრა (რადგან ჩემმა **კატინამ** რუსული არ იცოდა, ჩემმა ძმამ უთარგმნა და პასუხი ამისაგანვე უთხრა) „თქვენ ამაზე ნუ შეწუხდებით, ამ ორს საათზე თქვენი ქმარი აქვე მოგივათო". ჩემმა **კატინამ** მედიდური სახით უპასუხა, რომელიცა დაუვიწყებელ არს ესე — „პოლიცმეისტარო". რასაც მეუბნებით თქვენი სიტყვა მართალი არ არის, მაგრამ მე კი სწორეთ გეტყვით სადაც ამ ჩემს ქმარს დასომთ საპყრობილეში, მეც ამასთან რომ შემიყვანოთ, და განუშორებლად ამასთან ჭამაყოლოთ, უფრო მადლობელი ვიქნები". ჩემი **კატინაც** ერია ჩვენს საქმეში, სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელთაცა ჩემს **კატინას** ვალათ დასდეს, რევალუციის ბაირახი შეეკერა. ამ ჩემს **კატინას** სიტყვაზე პოლიცმეისტერმა ხმა არ ამოიღო, ჩემ დეიდაშვილ **გიორგის** და ჩემს ძმას **ვახტანგს** თვალებში ცრემლი მოერიათ, მე ნემამხედეს, რომ გულხელ დაკრეფილი მე და ჩემი **კატინა** ერთმანეთს შევცქეროდით, მაგრამ მე ეს მაშინვე მოვიშორე და ტანისამოსი მოვითხოვე ჩასაცმელად. ამ დროს **გიორგი** და **ვახტანგ** თავის ოთახში გავიდნენ, პოლიცმეისტერი იმათ თან გაჰყვა და ჩემი საკუთარი ქაღალდებიც თან წაიღო. მე რომ ტანისამოსი ჩავიცვი, შემდეგ ჩემს **კატინას** გამოვესალმე, მისახვედრია როგორც. ბოლოს კიდევ ეს სიტყვა მოვაგონე.

—„კარგად გახსომდეს **კატინო** რომელს უბედურსაც მოთმინება ექნება, ღმერთი გამოიხსნის" ამ სიტყვაზე ჩემმა **კატინამ** სულთქმა ამოუშო უსიტყო. მეც შეწუხებული გამოველ აქედან ბატონიშვილს დედა ჩემთან შეველ.

იმან ყველა იცოდა ჩვენი ამბავი, მხოლოდ ჩემგნით და ჩვენმა ამხანაგებმა კი არ იცოდენ იმის არაფერი.

— როდესაც ყველა განუცხადე, იმან მითხრა.

— „მაგ საქმის ამბავი, ჩემი ხომ არავინ იცისრა, რომ მე ვიცი ეგ საქმე“.

— მე არავისთვის არა მითქომს რა „მე მოვახსენე“.

— „რადგან არავინ არა იცის რა, უთუოდ ეგ აგრე უნდა ყოფილიყო, აი ამიტომ რომ მე ეხლა საჭირო ვარ თქვენთვის ყველასათვის. ამას თავი დავანებოთ, ეხლა ეს გაიგონე“.

თავის შესაფერის გულით მოჰყვა ასე.

„ნაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანანურად ნულარ მიგაჩნდებათ თავი. შენი ცოლშვილებისთვის შენ ნულარას ინაღვლი, მე იმათი მომვლელი და პატრონი ვიქნები, ოღონდ რაც უბედურება მოგადგესთ მოთმინებით მიიღეთ. კარგი წადი ღვთისათვის მიმიბარებიხართ ერთობ თქვენა“.

ვახტანგის და **გიორგის** ოთახში იყვნენ პოლიცმეისტერი და კამენდატი. მე რომ იმათთან შევედი კამენდანტმა **გიორგი** წაიყვანა, რადგან სამხედროს სამსახურში იყო, მე და ჩემი ძმა **ვახტანგ** პოლიცმეისტერმა გამოგვიყვანა. მე ერთს ჩასტნის პრისტავს გამატანა, ჩემი ძმა მეორე პრისტავს და ორივ ცალკ-ცალკე წაგვიყვანეს მეტეხის ხიდისაკენ. მეტეხის ხიდს რომ გავცილდით, მე მეტეხის საპყრობილის ციხისაკენ შევბრუნდი, მაგრამ პრისტავმა ავლაბრისაკენ ამატარა. წამიყვანა და აფიცრების კაზარმაში შემიყვანა, საიდგანაც ყარაულის ოფიცერი გამოვიდა, მაღლა ატაჟაში ამიყვანა, ერთს გამარტოებულ ოთახში დამსვეს და შიგ ჩასავლი დააყენეს თოფიარაღით.

მცირეს ხანს უკან ყური დაუგდე, დიდი ფეხის ხმიანობის წასვლის წამოსვლის ხმა იყო გარეთ კარიდორში და კარების ჯახაჯუხი, მივხვდი: ჩემს ამხანაგებსაც ჩემსავით სხავენ საპყრობილეში მეთქი. მასუკან დავფიქრდი. — ნეტავი შემატყობინა ვინ გაგვცეს და მეთქი“. ვინც იყო შემდეგში გამოჩნდება.

როდესაც კარგათ გათენდა, რუსის კალატოზი შემოვიდა — ფანჯრებზე სქელი გაჯი წაუსო და ოთახი ასე დაბნელა, რომ მზის ნუქი ძლივს დაინახებოდა. მე იმ დღეს არა მკითხოს რა, სადილობის დროსა სტოროჟი შემოვიდა, სადილი შენომიტანა და ამის მეორე დღეს დილაზე ყარაულის ოფიცარმა და ხუთმა შტიკიანმა ქვემოთ ატაჟაში ჩამიყვანეს და ერთს დიდ სახლში შემგზავნეს.

იმ სახლში იყვნენ ორი ღენერალი, ერთი პოლკოვნიკი და სამი-ოთხი ოფიცერი, ამათგანმა პირველმა ღენერალმა **ბაიკოვმა** სკამზე დამსო და ზრდილობიანის კითხვით მითხრა.

— „კნიაზო, თქვენ რამთენსამე საქართველოს თავადებსა შეთქ-

ბა გქონიათ წინააღმდეგ რუსეთის მთავრობისა; ახლა თქვენი საქმე წვრილად ვიცით, ამისათვის თქვენცა გკითხამთ, თქვენც ადიაროთ გულის წმინდით და არა დაჰფაროთ რა".

იმის კითხვაზე მე დამბეზღებლის, საბეზღარი ქაღალდი მოვითხოვე. მეორე ღენერალმა შტაბნაჩალნიკმა **ვოლხოვსკიმ** ერთი დასტა დაწერილი ქაღალდი გადმოიღო და წინ დამიდო.

რა წამს დავხედე, მაშინვე ვიცან რომ ჩვენი ამხანაგის **თ. იასე იოსების ძის ფალავანდოვის** ხელი იყო. თუმცა მოვინდომე თვით მე წაკითხვა, მაგრამ არ დამანება და თვითონ დაიწყო კითხვა, რომელმაც მგონია სამ საათამდინ იკითხა, იმ საბეზღარის წიგნით მივხედი ყოველი ჩვენი საქმე, დღიურ ზაპისკებად ეკეთებინა მე აღარ დავაცალე კითხვა, რომ ბოლომდისინ ჩასულიყო და დამბეზღებელი მოვითხოვე. ვინც დაგვაბეზღა აქ შემოიყვანეთ, რომ პირში წამამიდგეს მეთქი. არც დამბეზღებელი შემოიყვანეს და არც მისი სახელი გაინაცხადეს.

თ. იასე ფალავანდოვის ჩამომავლობის ამბავი. იმათი პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვარათ **ყორჩიშვილნი** ერქოთ. ახლანდელს დროში იმისი უფროსი ძმა **ნიკოლოზ** თავის ეშმაკურის და გაიძვერის ხასიათით, ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა, და გვარათ **მიქაიჩი** დაირქო, მასუკან თავადად იწოდა და გვარათ **ფალავანდოვი** შეიქმნა, მეორე საქართველოს სამოქალაქოს ღუბერნატორობა მისცეს რუსებმა. შემდეგ პირველის ოჯახის თავადიშვილის ქალი შეირთო ცოლად, დასასრულს თავის ძმას **იასეს** საქართველოს ამთენი **თავადები** გააუბედურებინა და ბოლოს თავის მფარველი მთავარმართებელი ბარონ **როზინი** داابეზღა ხელმწიფესთან, მაშინ, როდესაც რომ საქართველოში მოვიდა.

რვა დღემდისინ, ყოველს დღეს ავად მეკიდებოდნენ გავტეხილიყავ მაგრამ ვერას გზით ვერ გამტეხეს, მეგონა ვერავის ვერ გასტეხენ მეთქი. იმისთვის რომ ადრითვე პატიოსანი პირობა დაგვედო ჩვენ ამხანაგებს: „თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთო". ამასთან ბევრი თქმულობა იყო გაუტეხელობაზე. მხოლოდ **იასეს ფალავანდოვის** საბეზღრობაზე ვერას გზივ ვერ გამტეხდნენ მაგრამ როდესაც ჩვენ ერთად დაგვიჭირეს იმ დღეს ვისთვისაც კი ეკითხათ, მაშინვე გატეხილიყვნენ, იმათი, ჩვენებაც თვითეულად მაჩვენეს მესამე ღამის თერთმეტ საათზე მთავარ მართებელს ღენერალ ბარონ **როზინთანაც** წამიყვანეს ბნელის კარეტით, შტაბნაჩალნიკმა ღენერალმა, **პოლკოვნიკმა ტრიტილევიჩმა** და ერთმა ოფიცერმა, რამოდენიმე ცხენიანი ყაზახების შემოხვევით, მაგრამ ვერც იმათმა ქა-

ლდატანებამ გამტეხა და ისევ ისე მიმიყვანეს უკმაყოფილოს სიტ-
ყვებითა ჩემ ბნელს ოთახში, სადაც ვიყავ უსინათლო ბნელს ოთა-
ხში, მხოლოდ პურსაწყალზედ რვას დღესა. ამ დღის საღამოს ჟა-
მზე პირველი ღენერალი **ბაიკოვი** ჩემთან შემოვიდა და გულმტკი-
ვნეულის სიტყვით მითხრა.

— „დღეს თვითონ თქვენ ნახეთ, თქვენი ამხანაგების ჩვენება
რომ აღარავინ აღარ დარჩა გაუტეხელი. გარდა ამისა, ყველანი ამას
ამბობენ ამ წეთქმის თავი და დამწყობი თქვენ იყოთ. აბა რასა იქმ-
რომლის თქვენის ამხანაგის ჩვენებას უარსა ჰყოფთ. ნამეტნავათ
თქვენის ძმისას და ახლო ნათესავებისას“.

— ღენერალო რასაც მიბრძანებთ მართალია, რომ თითქმის
ყველანი მე მაბეზღებენ, მაგრამ მე არა ვიცირა“.

— „კიდევ მე არა ვიცირა დამიჯერეთ, აღიარეთ, თორემ
ღმერთს ვფიცავ მოხუცებულს დედა თქვენს დააპყრობილენ (?) და
თქვენს ცოლშვილებსაც, აბა ღრმათ დაფიქრდით, ჩვენ ხომ ყველა
ვიცით, და ერთი თქვენი უარი რას წეგმატებს თქვენ? უფრო მაგითი
თქვენს ქვეყანას ევნება, მე ამას გარწმუნებ თქვენ. ბარონ **როზინს**
უნდა,—რომ თქვენც გულის წმინდით აღიაროთ და ამის გამო ხელ-
მწიფის განრისხებული გული ლმობიერად შესცვალოს თქვენს ქვე-
ყანაზე. ძალიან კეთილი კაცია ბარონ **როზინი**“.

მცირეს მოფიქრების შემდეგ პასუხად მიუგე.

ღენერალო, მაგის პასუხს მე ეხლა ვერას მოგცემთ ამისთვის
რომ მე ეხლა შეუძლოთა ვარ შფოთიანის გონებითა და თუ თქვენი
ნება იქნება პატარა ხანს უკან აქ ჩემთან ამოდით. და სრულს პასუხს
მაშინ მიიღებთ, ოღონდ ეხლა დამეხსენით პატარა ხან.

— „კარგი იქნება .კიდევ მოვიცდით“.

იმის გასვლის შემდეგ ფიქრში ჩავარდი. შეჩვენებული იუდა.
იასე ფალავანდოვი გუშინ რომ მომადგა კომისიაში და ღენერლები
დაარწმუნა ყოვლის ამ საქმის მიზეზი მე ვიყო, ამისათვის ეტყობათ
ჩემგნით იმედი აქვსთ, რომ მე ბევრს რასმეს გამოუცხადებდე, მაგ-
რამ ესეც არის, რომ ჩემგნით დაწვრილებით გამოცხადება კომისიი,
სათვის რაღა საჭიროა, მაშინ როდესაც რომ **იასე ფალავანდოვს**
დაწვრილებით გამოუცხადებია და ყველა კარგათ იციან. რა ვიცი
იქნება მართლა ჩემის გატეხით ჩემს ქვეყანას ერგება რამე, მეტი
ღონე აღარა მაქვს, გავტყდები და მეც ყველას ვიტყვი. მაგრამ სჯო-
ბია რომ თავი დავისუსტო, ეს უფრო გამოგვიხსნის. იტყვიან: სულე-
ლები ყოფილანო და ბოლოს იქნებ იმით ვარგო რამე ჩვენს ქვეყანას.
ერთმა მცოდნე ჩინოვნიკმა პ.... მითხრა წინათ, იმან ფორმა და კანო-
ნი კარგად იცოდა როგორც უნდა მოქცეულიყო: თუ ეს ჩვენი საქმე

გამოცხადდა და დაგვიჭირეს—მე მხოლოდ თქვენზე დიდ ნაკლულებას ვიტყვი, იციან მე და თქვენ კარგი მეგობრები ვართ, იმის გამო ნე აღარ გავტყდები და თქვენთვისაც სასარგებლო იქნება. ესეც იყო თავის თავსაც არგო და ჩვენც. ისიც დაიჭირეს. მე იმისი ეს მახსოვდა| და მე იმის კვალსა მივყევ. მართლაც რომ სასარგებლო იყო ჩვენთვის ესა, ამისათვის რომ ჩვენს ყმაწვილს სულელობას მიაჩემა მთავრობამ ჩვენი ესე საქმე.

იასე ფალავანდოვის საბეზღარი დასტა ქალალდი შემდეგ ველარავინ ველარ ნახა კომისიაში. რადგან დამბეზღებელი ის იყო, ყოვლის ცდით **იასეს** ჰფარავდნენ დამბეზღებლად და სხვას უცოდველსა აბრალებდნენ, რადგან იმის ძმა ღუბერნატორი იყო, იმისთვის რუსეთის მთავრობა ცდილობდა რომ **იასეზე** ეჭვი არავის არ ჰქონოდა დაბეზღებისა და ამისთვის სხვას უცოდველს აბრალებდნენ, ახლა კი ვიტყვი: ხალხს თურმე ჩემზე ალაპარაკებდნენ. მაგრამ შემდეგ ყველა გამოცხადდა რომ ღუბერნატორმა **ნიკოლოზ ფალავანდოვმა** დაგვღუპა ყველანი".

ყოველი კომისიის ანბავი თუ დაწვრილებით აღიწეროს, მგონია რამდენსამე ტომამდე გაკეთდეს, ამისთვის სჯობია შევამოკლო, რომ მოწყენილად არ ეჩვენოს მკითხველებსა.

იმის შემდგომ მეც დავწერე რაც ვიცოდი, ნამეტნავად **იასე ფალავანდოვს** მივყავ ხელი, რას დავზოგამდი იმ იუღას და დიდ დამნაშავედ ამოვაჩინე. თუმცა კომისიის ჩლენები ყოვლის ღონით ცდილობდენ იმის გამართლებას გამოხსნასა, მაგრამ იპრიანა ლმერთმა პეტერბურღიდგან ღენერალი **ჩევკინი** მოვიდა კომისიის პრედსედატელად და იმან ძირიანათ ამოიღო **იასე,** ამისათვის რომ **იასე** დიდი დამნაშავე იყო, ასე გაუჭირე **იასეს,** რომ კომისიაში მანადგა და, აღიარა: მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავ თქვენში, რაც თქვენში განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაც ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი სულ ცბიერება იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წერილით შემეტყო. შე ვიტყვი და წვრილათაც მომიხსენებია[1])-ო.

ხედამთ, ჯერ პირველად **იასე ფალავანდოვი** შპიონათ და დამბეზღებლად რომ არა ჩნდებოდა? პირველი კომისიის ჩლენებიც რომ ჰფარავდნენ. მაგრამ ისე გაუჭირე მეტი თავის გამოსახსნელი ველარა

---

[1]) წინად წერებულა: მეც მერვის დღის დილაზე გავტყდი და ქალალდზე აღვიარე, მაგრამ თვით წოდებული. **თ. იასე ფალავანდოვი** მოვსპე, **და** როგორც ჩვენში იტყვიან გავალაფიანე." მართლაც **ალ. ორბელიანის** პირველი ჩვენება 18 დეკემბრის თარიღით არის დაწერილი.

იპოვნა რა და შპიონათ იძახა თავის თავი კომისიაში. მაგრამ ვერც ამითი გამოიხსნა თავი და ლიფლანდიაში უსუდოდ გაგზავნეს.

კომისიაში ბევრმა საქმემ გაიარა ბოლოს ვაებით დაასრულეს ჩვენი საქმე მგონია 14-ს თვეზე დასრულდა გამოძიება და სუდიც.

თუ ბართლა თავი არ დამესუსტებინა და ჩემს ზოგიერთს ამხანაგებამდინაც არ მიმეხწევინებინა რომ იმათაც ისე ეთქვათ ჩემზე, მაშინ მთავრობა ჩვენს საქმეს ისე სუბუქათ აღარ მიიღებდა და საუკუნოთ დავიღუპებოდით ყველანი, მაგრამ ამ ჩვენი შეთქმის თავპირველებთაგანი მე რომ სუსტად დამინახეს, ამისათვის ყველანი იძახდნენ რუსნი თუ ქართველები „სულელებსა და ყმაწვილებს ჰოუხდენიათ შეთქმა და იმათგან რა შეთქმა უნდა ყოფილიყო". მართალია ბევრი კარგებიც ერევნენ ჩვენს საქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და სახელი **იასემ** იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, უფრო მომეტებულებისა, იმათი არა გამოჩნდარა, ისე დაფარულად დარჩა, იმათი საქმე [1])... (ყ. წ. კ. საზ: ხელ. № 1659-ა. გვ. 126—142).

ალ. ორბელიანისავე მეორე მოგონებიდან:

„ამაში [2]) გავიდა ათი წელიწადი მეტი, ბოლოს ოთმინებიდგან გამოვიდნენ ქართველებიც, ზედატანებით ნასწავლი ყმაწვილი კაცებიც მოვიდნენ პეტერბურღიდგან და საერთოს შეთქმას შეუდგენ ქართველები, 1830-სა წელსა: ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკაზია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად შთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა, რომელიც ამ შეთქმაშიაც გარეული იყო ზევით რომ ვთქვი" გენერალი **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე**. არა მარტო ეს გენერალი, არამედ სრულიად საქუართველოს დიდი კაცნი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებთაცა, ხნიანი დედაკაცნი და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ანარადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან, ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურათ ჩავიცომთ ד ჩვენს უკანასკნელს სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელათო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა, ბაირახებს კერვაც

---

[1]) წინად წერებულა: „. . . ერევენ ამ ჩვენს საქმეში, მაგრამ დიან ფრთხილად და არც თავიანთი თავი გამოაჩინეს კომისიაში; შემდეგ მხოლოდ სუსტებს და ყმაწვილებს დააბრალეს ეს შეთქმა და ამის გამო ღმერთმა გამოგვიხსნა საშინელის სასჯელისაგან

[2]) ხელთნაწერი № 16561 ბ სათაურით: „რაც რუსები მოსულან საქართველოში იქიდგან აქამდისინ ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა".

დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს, მაგრამ ამ წმინდას და პატიოსანს საქმიდგან, ერთი გამცემელი გავიდა, და რუსებს აცნობა ყოველი ჩვენი საქმე და განზრახვა: ესე იგი **იასე ფალავანდოვმა** რაშიაც ბევრი კაცი და დედაკაცი გაებნენ; იმათგანი ერთი პატივცემული გვარი საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული **თეკლა**, ამ დროს კი ქვრივი, გაგზავნეს თავის ორის შვილით ქ. კალუგაში და ამის მესამე უფროსი შვილი ქ. ორენბურგში. ნეორე პატივცემული გვარი ბატონიშვილის **იულონის ქალი თამარი** გაგზავნეს რუსეთში და სხუანი პირველი მოთავენი მიფანტ-მოფანტეს რუსეთშივე; გენერალი **ჭავჭავაძეც** იმათში".

---

9. 1832 წ. შეთქმულება.

დამატება 2.

საგამომძიებლო კომისიის საქმეები: შეთქმულთა დაკითხვა-ჩვენებები და საგამომძიებლო კომისიის მიმოწერა მართებლობასა და სახელმწიფო დაწესებულებებთან.

ბარონ როზენის მიმართვა გენერალ ბაიკოვისადმი (1,1)

საიდუმლოდ.

„საქართველოს სანაპირო ბათალიონთა უფროსს ბატონ. გენერალ მიორს კავალერს **ბაიკოვ 1-ლს.**

წარმოუდგენ რა ამასთანავე თქვენს აღმატებულებას სამსახურიდ გარეშე მყოფ კოლეჯსკი რეგისტრატორის თავად **ფალავანდოვის** ჩვენებას ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყების განზრახვის შესახებ; მოგიწერთ მიღებისთანავე ამისა შეუდგეთ ამ საქმის უსასტიკეს და დაწვრილებით საიდუმლოდ გამოძიებას ჩემს გამგებლობაში მყოფი კორპუსის უფროსის გენერალ მაიორ **ვოლხოვსკისა** და კავკასიის მესანგრეთა ბათალიონის კომანდირ პოლკოვნიკ **ტრიტელევიჩთან** ერთად, რომელთაც მე უკვე სიტყვიერად უბრძანე გამოცხადდენ ამ საქმეზე თქვენს აღმატებულებასთან; თქვენ მიერ მიღებული ყველა ცნობები და ჩვენებები წარმომიდგინეთ მე ყოველდღიურად, ხოლო დასრულების შემდეგ მთელი გამოძიება წარმოადგინეთ ჩემთან თქვენი ამ საქმის გამო საერთო აზრის თანდართვით.

გენერალ - ადიუტანტი **გ. როზენი.**"

№ 76 11 დეკემბერი 1832 წ. ტფილისი.

იასე ფალავანდიშვილის დასმენა (1,3-12)[1])

„გასულ 1831 წელს აგვისტოში ჩემთან მოსულმა თავად **თეიმურაზ ამილახვაროვმა** მითხრა: მე მინდა შენ გაგანდო დიდი საიდუმლოება და ვიმედოვნებ შენ მას გულში საიდუმლოდვე შეი-

1) მიღებულია 11 დეკემბერს 1833 წ. შეცდომაა, 1832 უნდა იყოს.

ნახავ: ჩვენ გვქონდა განზრახვა გაგვეყვანა რუსები საქართველოდან; დასრულებისთანავე ამისა ის გავიდა ჩემგან და მე მეშინათვე ვაცნობე თავად **ალექსანდრე ორბელიანოვს**, რომ მან მე ეს განმიცხადა. ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ ჩემთან თ. **ალ. ორბელიანოვი, თეიმურაზ ამილახვაროვი** და ტფილისის გამნაზიის მასწავლებელი[1]) და ამათაც იგივე ბლაპარაკეს, რაც **ამილახვაროვმა**. მე კი უთხარი მათ, რომ თქვენ იცით იმპერატორი ყოვლად ძლიერია:, როგორ შეგვიძლიან ჩვენ ასეთი დიდი საქმის გადაწყვეტა და ვინ არიან ჩვენი თანაგანმზრახველნი. **თ. ალექსანდრე ორბელიანმა** თქვა: „აქ მონაწილეობენ პირველი ხალხი, რომელთაც ხმა აქვთ; ესენი არიან: **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი, თ. მამუკა ორბელიანოვი, თ. ასლან ორბელიანოვი, ალექსანდრე ორბელიანოვი**; გორის მაზრიდან: **შალვა და ბიძინა ერისთავები. თ. ლევან ერისთავი**, თ-ები **ამილახვარები, მაჩაბლები** ზოგიერთი **თარხნიშვილები** და თავადები **ჯავახიშვილები**; თელავის მაზრიდან **თ. ივანე ჯორჯაძე** და მისი **შვილი ნათალოვი, თ. თადია ჩოლაყაევი**; სიღნაღის მაზრიდან: **თ. აბელ ანდრონიკაშვილი**, შვილებით, **ნინია ანდრონიკოვი** და კიდევ ვვარაუდობთ აგრეთვე **ივანე ანდრონიკოვს**. ჩვენ უნდა გავავრცელოთ ხმა - ამბობდენ ისინი, რომ რუსები ჩვენგან ჯარის კაცებს თბოულობენ და მაშინ უბრალო ხალხიც აჯანყდებაო.

თ. ალ. ორბელიანოვმა თქვა-მე მაქვს ურთიერთობა ბიძა ჩემ **ალექსანდრესთან**. ჩემი სოფლის მცხოვრებ თათარ **მოლა ზამანას** საშუალებით, როგორც კი აქ აჯანყება მოხდება, ის დაუყოვნებლივ კახეთში გაჩნდებაო. იმავე **ორბელიანმა** თქვა: მე უკვე გავგზავნე იმერეთში თურქეთიდან დაბრუნებული იმერელი აზნაური **თეიმურაზ ლორთქიფანიძე** და ვაჩუქე მას რამდენიმე ჩერვონეცი, რათა მან უამბოს თავის მეგობრებს, რომ საქართველოში ჯარს ვგროვებენ (берут солдат) და მან აღმითქვა ამ დავალების შესრულება.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა, მოვიდა ცნობა, რომ ვარშავა აღებულია ამის გამგონენ, ჩვენ ამაზე ფიქრს თავი დავანებეთ (услишавшисне перестали о сиеми думать). მე ვფიქრობდი, რომ ის უკვე ჩაიშალა, ე. ი. ჩვენი განზრახვა. მიმდინარე წლის აგვისტოში მე ვიყავი მიწვეული სადილზე ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელ **დოდაევთან**. სადილ შემდეგ მოვიდნენ აგრეთვე: **თ. ალ. ორბელიანი**, ბიძა ძმა **ვახტანგი**, ლეიბგუსარი პრაპორშჩიკი **თ. გ. ერისთავი, ელიზბარ ერისთავი**, სამსახურიდან გამოსული პრაპორშჩიკი **თ. ან-**

---

[1]) იგულისძმება ს. დოდაშვილი.
[2]) **ალექსანდრე ბატონიშვილი** იგულისხმება.

ტონ **აფხაზოვი,** მათ მითხრეს მე, რომ ისინი ერთად აპირებენ გასეირნებას კოლონიაში და ითხოვეს მეც, რაზედაც დავეთანხმე. იქიდან რომ დავბრუნდით, ყველანი მიგვიწვია ჩაიზე **თ. ელიზბარ ერისთავმა,** რომლის სახლშიც **ალ. ორბელიანმა** მელაპარაკა-ნუთუ ძენ დაგავიწყდა წარსული ჩვენი განზრახვა. მე უპასუხე მას: მე ერთს არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მან მითხრა-ყველა ის პირნი მზად არიან, ნუ გერიდება ამ გუსარი **ერისთავისა,** მან ჯერ ისევ პეტერბურგში იცოდა, ჩვენ უნდა ვეცადოთ როგორმე ჩავითრიოთ **აფხაზოვიო.** მეოთხე დღეს **აფხაზოვმა** დაგვპატიჟა ვახშმად და რადგან დედა ავადა ჰყავდა, უბრძანა ვახშამი მოემზადებიათ მასწ. **დოდაევის** სახლში. ვახშამზე **ალ. ორბელიანოვმა** ჯერ მოითხოვა ფიცი, რომ არავინ გაგვცემს და მერე უთხრა **აფხაზოვს:** ეხლა დროა შენც გამოგიცხადოთ, რომ ჩვენ განზრახვა გვაქვს გავწმინდოთ საქართველო! რუსებისაგან და გვსურს თავისუფლება. ამის გამგონე **აფხაზოვს** ძლიერ შეეშინდა და მხოლოდ ინის თქმა მოახერხა, რომ გვთხოვა ჩუმად ვყოფილიყავით და ამის შესახებ არავისთვის არაფერი არ გვეთქვა. ვახშმის შემდეგ ჩვენ უარვყავით **აფხაზოვი** როგორც მხდალი და აღარაფერი გვითქვამს მისთვის ამ საქმის თაობაზე.

მეორე დღეს ჩემთან შეიკრიბნენ ვახშმად გარდა **აბხაზოვისა- ალ. ორბელ.** მისი ძმა **ვახტანგი, გიორგი ერისთავი** გუსარი, ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლები **ყიფიანოვი** და **ავთანდილოვი, თ. ელიზბარ ერისთავი, მისი** ძმა არტილერიის პრაპორშჩიკი **ერისთავი** და მითხრეს, რომ ყველა ამათთან გულახდილად შეიძლება ლაპარაკიო, რადგან მათ ჯერ კიდევ შარშან იცოდნენ, ამიტომაც მოჰყვნენ ჩემთან ლაპარაკს ამ საქმეზე, მაგრამ დრო არ დაუნიშნავთ როდის დაიწყებენ, ოღონდ უნდა ცდილიყვნენ ბევრნი გადმოებირათ.

ოქტომბრის 26 რიცხვს დილით მოვიდა ჩემთან **თ. ელ. ერისთავი** მითხრა, მომილოცავს: „ყველა ჩვენი განზრახვა ველაპარაკე გვარდიის კაპიტანს **ზაქარია ჩოლოყაევს,** რომელმაც ძლიერ მოიწონა და მთხოვა შენი გაცნობა, რის გამოც დღეს სადილშემდეგ მე და **ალექსან.** [1]) წავალთ მასთან და შენც დაგიძახებთ“ ო. სადილ შემდეგ მოვიდა ჩემ წასაყვანად თავადი **ელ. ერისთავი** და წავედით კაპიტან **ჩოლოყაევთან,** მაგრამ მასთან უცხო ხალხი დაგვხვდა, რის გამო ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეთ. მე და **ალექსანდრე** წამოვედით, იქ დავტოვეთ **ელ. ერისთავი** და მასწ. **დოდაევი,** რომელთაც უთხარით,

---

[1]) ორბელიანი.

რომ როგორც კი სტუმრები დაიშლებიან, ისინიც კაპიტან **ჩოლაყაევთან** ერთად მოვიდნენ, ტრაქტირში. ერთი საათის შემდეგ ისინი იქ მართლაც მოვიდნენ, მაგრამ აქვე შემოვიდა ვილაც რუსი მოხელე და ვერც აქ მოვახერხეთ ვერაფრის თქმა. იქიდან წავედით **ბეზირგანოვის** საყავეში (кофейный дом); იქ ვივახშმეთ და გულახდილად ვილაპარაკეთ კაპ. **ჩოლაყაევთან**, ვახშამ შემდეგ კაპ. **ჩოლაყაევმა** გვითხრა, რომ ის თანახმაა და თავის აზრსაც გვეტყვის.

მეორე დღეს საღამოს ყველანი შეიკრიბნენ **ლუარსაბ ორბელიანთან, გარდა ალ. ორბელიანისა**, რომელიც შეუძლოდ იყო. მე ცალკე გავიხმე **ლუარსაბ ორბელიანი**, რომელიც თუმცა ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ შარშან იღებდა მონაწილეობას (მე კი ამ საქმეზე მსთან საუბარი არ მქონია) და უამბე ყველაფერი: რაც ჩვენ ვილაპარაკეთ. მან მიპასუხა: თანახმა ვარ, მაგრამ გთხოვთ ამ საქმეზე ჩემთან, გარდა **ალ. ორბელიანოვისა** კაპიტან **ჩოლაყაევისა, გიორგი ერისთავისა, ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავებისა**, ურთიერთობა ნურავის ექნებაო. ის ამბობდა: 1-ლ ნოემბერს მე არ ვეთანხმები, რადგან მაშინ აქ არავინ იქნება. გადაეცი მათ, რომ სჯობია ეს მაშინ მოხდეს, როდესაც ყველანი აქ იქნებიან – ერთი თვე დიდი განსხვავება არ არის. **ლუარსაბის** ნათქვამი ყველაფერი უამბე მათ და ჩვენ ყველანი ამას დავეთანხმეთ[1]).

ნოემბრის 20-ს მივედი **ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში, სადაც დამხვდენ **კაპ. ჩოლაყაევი, ელ. ერისთოვი, ალ. ორბელიანი** და **გ. ერისთავი. ლუარსაბ ორბელიანოვმა** გვითხრა, რომ: მე ველაპარაკე **თ. ჭავჭავაძეს**, მაგრამ ნან არ გაიზიარა, იმიტომ, რომ მან ეს ადრევე იცოდაო. (... но он неодобрил, потому, что он на период знал). მე მას იმიტომ გამოუცხადე, რათა მას მერე ჩემთვის საყჩედური არ ეთქვა: რატომ შე ბას ამის შესახებ არ ვაცნობეო.

ამის შემდეგ **ლ. ორბელიანოვმა** გვთხოვა: მალე აქ შეიკრიბებიან თავადაზნაურნი, ვისაც ახლო ნაცნობობა გაქვთ, გაუმჟღავნეთო. კაპ. **ჩოლაყაევმა** უთხრა **ლ. ორბელიანოვს**: ნუ თუ ჩვენ იმდენი არ შეგვიძლიან, რაც **ყაზი მოლას** შეუძლიან. აქ ჩვენ ვთქვით, რომ აუცილებლად უნდა გამოვიწვიოთ **ალექსანდრე ბატონიშვილი**, ის უფრო მეტად იმოქმედებს ხალხისათვის. **ალ. ორბელიანმა** განაცხადა: დიდი ხანია მიწერ - მოწერა მაქვს **ალექსანდრე ბატონიშვილთან** ჩემი **მოლა ზამანას** საშუალებითაო.

ნოემბრის 23-ს ჩემთან იყო მასწ. **დოდაევი** და მითხრა, რომ გუშინ ის და კაპ. **ჩოლაყაევი** იყვნენ მარწალ **დიმიტრი ორბელიანთან** და იგი დაითანხმეს.

---

1) ლაპარაკია აჯანყების დღის დანიშვნაზე.

ნოემბრის 24-ს **ალ. ორბელიანოვმა** გამომიგზავნა ბარათი თავისი ბიჭის ხელით, თავისთან მთხოვდა. როდესაც მე მასთან მივედი, ის გამხიარულებული დამხვდა, მან მითხრა: განა შენ არ გაგიგია, რომ უკვე დავითანხმეთ მარშალი **ორბელიანოვი**, რომელმაც აღგვითქვა პირველივე შემთხვევისათვის 2000 კაცის გამოყვანა.—იქ იყვნენ: **ელ. ერისთოვი. კაპ. ჩოლაყოვი, გ. ერისთავი**, აქვე თქვა **ალ. ორბელიანმა**, რომ შარშან ამ საგანზე ელაპარაკა ის დრაგუნთა პოლკის პროპორშჩიკ **შერვაშიძეს**, რომელმაც უთხრა მას, რომ ოღონდ ეს აღსრულდეს და ის თავის მხრივ გამოიყვანს თავისი სამფლობელოებიდან 2000 კაცს.

ნოემბრის 25-ს იყო ჩემთან **დოდაევი**, მითხრა, რომ **ელიზბარი** და **გიორგი** მოელაპარაკნენ წინამძღვარ **ტარასის** და მე კი ველაპარაკე ამ ჩვენს განრახვაზე მღვდ. **ეფრემ ალექსიევსაო.**

ნოემბრის 26-ს მათ მიკარნახეს პირველი ღამის განკარგულება. როგორ უნდა დაგვეწყო, მე ის გადავწერე თეთრად და მათ მთხოვეს ხმამაღლა წაკითხვა, მე იგი წავიკითხე შემდეგ გუსარმა **გ. ერისთოვმა** ამოიღო ჯიბიდან პროექტი და წაიკითხა, სადაც ნათქვამი იყო: როგორც კი მეორე დღეს შეიკრიბება ხალხი, მაშინ უნდა წაკითხულ იქნას იგი და ხალხს გამოეცხადოს დამშვიდების მიზნით, რომ დაარსებული იქნება ზედა და ქვედა სამმართველოები. ზედა სამართველოში იქნებიან: თავმჯდომარე თითონ მეფე, სამხედრო მინისტრი **თ. ჭავჭავაძე**, ფინანსთა მინისტრი **თ. ფალავანდოვი**[1]), შინაგანი მინისტრი **თ. მუხრანსკი**, სახალხო განათლების მინისტრი **ჭილაევი**, ქვედა სამართველოში იქნებიან: თვითოეული მაზრიდან თითო დეპუტატი. სასულიერო მართველობა კი გადაეცემა საქართველოს მიტროპოლიტს. მაზრებში კი შემოღებული იქნება სამდივნოები, რომლებშიაც თითო წარმომადგენელი ეყოლება თავადებს, აზნაურებს, საერო ხალხსა და სამღვდელოებას„ („...Как только на другой день соберется народ, тогда им читать оный и спокоить всех, что за сим будет открыта верхния и нижния правления. В верхнем правлении будут председатель: сам царь, военный министр князь **Чавчавадзе**, министр финансов к. **Палавандов**, внутренний министр к. **Мухранский**, министр народного просвещения **Чилаев**; в нижнем правлении будут сидеть Депутаты из каждого уезда по одному, Духовное же правление будет предоставлену Митрополиту Грузинскому. В уездах же будут Диваны, каждом оном будут присутствовать по одному Князью, Дворянину, Гражданину и из Духовных одному же священику»).

---

1) იასეს ძმა.

2) რაოდგან **ი. ფალავანდიშვილის** ნაწერი, მისი რუსული სტილის სისუსტის გამო ხშირად ძნელი გასაგებია, ამიტომ იძულებული ვართ ზოგჯერ მისი ორიგინალი მოვიტანოთ ხოლმე.

ალ. ორბელიანმა გვითხრა საღამოს შეკრებილიყავით **ლ. ორბელიანოვთან,** რათა მისთვისაც წაგვეკითხა ეს ნაწერი. საღამოს შეეკრიბეთ: **ალ. ორბელიანოვი, კაპ. ჩოლაყაევი, ელიზბარ და გიორგი ერისთოვები,** წავიკითხეთ და მან მოიწონა. აქ **ალ. ორბელიანმა** თქვა რუსეთი ეხლა კრიტიკულ მდგომარეობაშია როგორც ფულის ისე ჯარის მხრივ, იმათ არ შეუძლიათ მოიწვიონ არც ოსმალეთი და არც სპარსეთი, რადგან ეგვიპტის ფაშა სულთანის წინააღმდეგ მოდის და მისი შვილი **იბრეჰიმ** ფაშა უკვე არზრუმშია. ხოლო სპარსელები ომის შემდეგ ისე დალატაკდნენ, რომ სულს ძლივს ითქვამენო.

ნოემბრის 26-ს დილით ჩემთან იყო **გ. ერისთავი,** მითხრა, რომ ამ საათში **ელ. ერისთოვი** წავიდა **ლუარსაბთან** და ჩემი ძმა **შალვაც** თან წაიყვანა. მანვე მითხრა, რომ მან განუცხადა თავის ბიძაშვილს **ლევან ერისთავს,** რომელსაც უპასუხნია, რომ ის მზად არის თავისი გლეხებით.

ნოემბრის 27-სკი იყო ჩემთან **ალ. ორბელიანოვი,** მითხრა, თომც **ბიძინა ერისთავს** უნდა გამოუცხადოს მხოლოდ **თ. მუხრანსკის** და არა მის ძმებს, რომელთა დათანხმების იმედიც არა აქვსო.

ნოემბრის 26-ს დილით იყო ჩემთან **ალ ორბელიანოვი,** მითხრა, რომ თუ **მუხრანსკი** არ დათანხმდეს, ჩვენ მაინც აუცილებლად უნდა მოვახდინოთ ეს, იმიტომ, რომ უკვე მეორე წელიწადია ამაზე ვლაპარაკობთ და ყოველთვის უნდა გვეშინოდეს გამომჟღავნებისა და მაშინ სულერთია ისე მოგვეკიდებიან როგორც ამ საქმის უკვე აღმასრულებელთ.

ნოემბრის 29-ს ჩემთან იყო **გ. ერისთოვი.** და მითხრა, რომ **თავადები ლევან** და **ივანე ერისთავები** იყვნენ აქ და წავიდნენ ქართლში და ისინი იქაც იშოვიან ბევრ ერთგულ თავადს და მათთან ერთან ჩამოვლენ აქ კენჭის ყრის დროსაო[1].

დეკემბრის 1-ლს იყო ჩემთან **ელ. ერისთოვი,** მითხრა, რომ „ეხლა მე, **ლუარსაბი,** კაპიტ. **ჩოლაყაევი** წავალთ **თ. ჭავჭავაძესთან** და თუ დათანხმდა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთო“.

ალ. ორბელიანოვი მოვიდა ჩემთან; იმ დროს ჩემთან იყო **თეიმურაზ ამილახვაროვის** ძმა პოდპორუჩიკი **ბეჟან ამილახვაროვი. ალექსანდრემ** მითხრა, სწორედ მისი ძმა აქ არის, წერილის მოვწერო და იქვე დაჯდა და დაწერა; მიაწერა თავისი გვარი, დამოწმებისათვის მეც მთხოვა მომეწერა; მივაწერე მეც ჩემი გვარი, დავბეჭდე

[1]) იგულისხმება თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევა, რაც იმ ხანებში იყო დანიშნული.

და გადავეცი **თეიშ. ამილახვაროვის** ძმას **ბეჟანს**, რომელსაც იგი აუცილებლად სასწრაფოდ უნდა ჩაებარებია დანიშნულებისანებრ.

დეკემბრის 2-ს იყო ჩემთან **ალ. ორბელიანი** ამბობდა, რომ **ჩემი მოლა ზამანა** მოვიდა და მითხრა, რომ **ეგვიპტის ფაშის შვილი** ქ. ყარსს უახლოვდება და უსათუოდ ახალციხეშიაც მოვალ. **ალექსანდრემვე** მითხრა, რომ როდესაც პეტერბურგიდან მოვიდა **გრაფ სიმონიჩთან** ერთად აზნაური **სოლომონ რაზმაძე**, მე მას ყველაფერში გამოუტყდი, ის ეხლა სპარსეთშია და ცდილობს **ალექსანდრე ბატონიშვილთან** ნიმოწერა გამართოსო. და თითქოს მან მისგანვე უკვე გაიგო, რომ ინგლისელებს განზრახვა აქვთ რუსეთს ომი გამოუცხადონ.

დეკემბრის 3-ს საღამოს ჟამზე იყვნენ ჩემთან **კაპ. ჩოლაყაევი.**, **ბიძინა** და **გ. ერისთოვი** და **ალ. ორბელიანოვი. ბიძინა** ამბობდა, რომ **ალექსანდრე ჭავჭავაძემ** დიდი ხანია იცოდა, ის არ დათანხმდება, ჩვენ ყველანი უნდა ვეცადნეთ, ცოცხალი დრო მოახლოვდა. **კაპ. ჩოლაყაევი** ამბობდა: **ჭავჭავაძემ** თქვა, რომ თუმცა შეიძლება რუსების საქართველოდან გაყვანა, მაგრამ ძნელი იქნება შემდგომში ვათთან ბრძოლაო, რუსები მოისყიდიან ჩვენ აზნაურებს და ისინი მისცემენ (მათ) ჩვენ სოფლებს[1] და ისინივე ჩვენ წინააღმდეგ წამოვლენო. (Русские подкупят наших дворян и они отдадут наше имение и они же противу и нас и пойдут).

დეკემბრის 5-ს ჩემთან იყვნენ **ალ. ორბელიანოვი.**, **კაპიტანი ჩოლაყაევი.** და **გ. ერისთოვი. ალექსანდრემ** თქვა, რომ **მოლა ზამანამ** მოიყვანა ჩემთან ოთხი დეპუტატი, რომლებმაც ალმითქვეს იმდროისათვის 200 კაცის გამოგზავნაო, მანვე გვითხრა, რომ ორ-ორი ჩერვონეცი აჩუქა მათ, **მოლა ზამანა** კი მას 600 მან. ვერცხლად ულირს. ამის შემდეგ **გ. ერისთოვმა** თქვა, რომ ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვიმოქნედოთ, თორემ თუ გამომეყლავნდა, მაშინ ჩვენ ყველას შეგვყრიან და ციმბირისკენ გაგვამგზავრებენო. აქ თქვა **ჩოლაყაევმა**: თუ მე დამიჭირეს, ვიტყვი, რომ ჩვენი განზრახვა პეტერბურგშიაც იციან, რადგან როდესაც **ოქროპირ ბატონიშვილი** აქ იყო, მაშინ დაიწყეს ამაზედ ფიქრი. **ოქროპირი** იყო აქ 1829 ან 1830 წელს.

---

[1]) ე. ი. რუსები აზნაურებს სასყიდლად ჩვენს სოფლებს მისცემენო

ვახტანგ ორბელიანი
(მწერალთა მუზეუმი)

პირველი ღამის განკარგულება:

1. ციხეზე დაინიშნოს გუსარი[1]) და **ლევან ერისთოვები** 40 კაცით.

2. ყაზარმებში კაპიტანი **ჩოლაყაევი**, გვარდიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი ორბელიანი** ორი ზარბაზნითა და 200 კაცით.

3. არსენალზე

4. საპროვიანტო კომისიაზე

5. ხაზინაზე

6. ორდონანს ჰაუსზე

არტილერის პრაპორშჩიკი **ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეჟან ამილახვარი**, პორუჩიკი **გიორგი თუმანიშვილი** და **ივანე ერისთავი** 50 კაცით.

7. ნავთლუღის კომისიაზე **ბიძინა ერისთავი, იასე ერისთავი, თეიმურაზ ამილახვარი** 20 კაცით.

8. პურის მაღაზიაში ორ-ორი სანდო კაცი უნდა ყოფილიყო დაყენებული.

9. შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები: **ლუარსაბ ორბელიანოვი, მარშალი დიმიტრი** და **მამუკა ორბელიანები ალექსანდრე ორბელიანი, ასლან ორბელიანი** ტა სხვა **ორბელიანები; თავადი ელიზბარ ერისთოვი**; აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ უნდა შეყრილიყვნენ პოლონელები თავადაზნაურნიცა და დაბალი წოდებისანიც და ისე ემოქმედათ, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავდნენ.

აქ აღნიშნულ პირთ ევალებოდათ: 1) შეეკრიბათ ქალაქში ხალხი.

2) ეკლესიებში აეტეხათ ზარების რეკა.

3) მათვე უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე სომხების ფეთხაინის ეკლესიიდან ღვთის მშობლისავე ტი, რომლებიც უნდა ხელში მღვდლებსა და ბერებს სჭეროდათ და ეძახნათ საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთ.

ზემოაღნიშნულ პირებსვე ევალებოდათ: 1) რათა ქალაქში არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარიყო; 2) თუ თავადები, აზნაურნი, მოქალაქენი, ან მდაბიო ხალხი გაგვიწევდა წინააღმდე-

---

1) **გიორგი რევაზისძე ერისთავი**

გობას, ინის და მიუხედავად თუ ვინ იქნებოდა იგი, მამრობითი სქესისა ყველა უნდა დაეხოცათ, ხოლო თუ მათში დედრობითი სქესისა მოხვდებოდა ვინმე, ის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა შეეპყრათ და მათ კუთვნილ ქონებაზე დროებითი ყადაღა დაედვათ, შემდეგში კი ხაზინის სასარგებლოდ გადაეცათ; 3) უნდა ჰყოლოდათ ჯაშუშები სანდო ადამიანები ჯამაგირით და აღეთქვათ, რომ უხვად დააჯილდოვებდნენ მათ, თუ ისინი მოღალატეებს აღმოაჩენენ; 4) ზემოდასახელებული „პოსტების" უფროსებსე თუ მათ დასჭირდებოდათ ხალხი დასახმარებლად ან რაიმე დაბრკოლებას შეხვდებოდნენ, დაუყოვნებლივ შესაკრებ ადგილზე უნდა ეცნობებინათ, საიდანაც სათანადო დახმარებას მიიღებდნენ, თვითეულ „პოსტის" უფროსს უნდა ჰყოლოდა ორი მცველი თავისი სანდო ხალხისაგან გამორჩეული.

5) ციხეზე და ჰაუპტვახტში მორიგედ ჩვენი კაცები უნდა ყოფილიყვნენ.

6) წინა დღით უნდა წერილობითა და სიტყვიერად ყველგან მდაბიო ხალხში გაევრცელებინათ ხმები, რომ რუსები ქართველების ჯარის კაცებად წაყვანას ლამობენ, მაგრამ თავადები არ ეთანხმებიან, ამიტომ სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე ამაზე დეთანხმდებიანო, და მაშინ მდაბიო ხალხში აღრეულობა მოხდებოდა.

7) ამის წინა დღეს ქართველი თავადაზნაურობის სახელით უნდა გამართულიყო წვეულება, სადაც უნდა მოწვეული ყოფილიყვნენ კორპუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუსი მოხელენი. აქვე უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მოწვეული ჩვენი თანაგანმზრახველთაგან ყველაზე უფრო გაბედულნი, როგორც თავადები ისე აზნაურნი; ისინი ჩაცმული იქნებოდნენ ეროვნულ ტანისამოსში და თან უნდა ჰქონოდათ ხმალი და ჯიბეში ორ-ორი გატენილი დამბაჩა. წვეულება **ლუარსაბ ორბელიანის** სახლში უნდა მოხდარიყო, რადგან იგი ფართეა და მოედანზე დგას; 8) როგორც კი ლამის 1-ლ საათზე, შესაკრები ადგილიდან რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, მაშინათვე უნდა დაეწყოთ ხოცვა და იქიდან არც ერთ რუსი არ უნდა გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, ისიც რუსებთან ერთად უნდა მოეკლათ.

თავადი **იასე ფალავანდოვი.**

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,13).

„1832 წლის დეკემბრის 11 კორპუსის უფროსის ბატონ გენერალ ადიუტანტ **ბარდნ როზენ** 1-ლის ამა დეკემბრის

11-ის № 76 მოწერილობის თანახმად შეიკრიბნენ დილის 8 საათზე ადგილობრივ მცხოვრებთა შორის აღმოჩენილი აჯანყების განზრახვის გამოსაძიებლად გენერალ - მაიორები: საქართველოს სანაპირო ბატალიონთა უფროსი **ბაიკოვი 1-ლი**, ამავე კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი **ვოლხოვსკი** და მესანგრეთა ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი**. კომისიის სხდომა გაგრძელდა ნაშუადღევის 6 საათამდის. წაკითხულ იქნა რა **თ. ი. ფალავანდოვის** დაბეზღება და თანახმად კორპუსის უფროსის ბრძანებისა 10 დეკემბერის ღამით, ღენერალ მაიორ **ბაიკოვისა** და **ვოლხოვსკის** მიერ სამსახურიდან გამოსული პოდპორუჩ. **თ. ანტონ აფხაზისათვის** ჩამორთმეული ჩვენება - დაკითხულ იქნა ტფილისის გიმნაზიის მასწავლ. **დოდაევი**, რაც ეცნობა მის აღმატებულებას.

გენერალ-მაიორი **ბაიკოვ პირველი.**

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი.**

ანტონ აფხაზის პასუხი კომისიის კითხვებზე.)1,15)[1])

კითხვები:

1. ამა წლის აგვისტოს თვეში იყავით თუ არა თქვენ ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელ **დოდაევთან**, სადილ შემდეგ და ვინ იყო კიდევ იქ იმ დროს. დაასახელეთ ხარისხი და გვარები მათი, და ამის შემდეგ თქვენ დათანხმდით წასულიყავით ახალშენში და იქიდან კი **ელიზბარ ერისთავთან** ჩაიზე.

2. ოთხი დღის შემდეგ თქვენ დაპატიჟეთ ვახშმად ყველა ისინი, ვინც მასწავლებელთან იყვნენ. **ე. ი. თ. ალ. ორბელიანოვი**, მისი ძმა **ვახტანგი**, ლეიბგვარდიის გუსართა პოლკის **პროპორშჩ. გ. ერისთოვი**, **თ. ი. ფალავანდოვი**, მაგრამ თქვენი ავადმყოფობის გამო ვახშმის მომზადება **დოდაევის** სახლში მოგიხდათ.

პასუხი.

1. მე სადილის შემდეგ არა ვყოფილვარ მასწავლებელ **დოდაევთან**, არამედ მას კაცი გამოეგზავნა ჩემთან, რომ მე მივსულიყავ, იქ რომ მივედი დამხვდენ **თ. ალ. ორბელიანოვი** ძმით **ვახტანგით**, **პროპორშჩ. გრიგოლ[2]) ერისთოვი**, **ელ. ერისთოვი** და **თ. ი. ფალავანდოვი**, ბოლოს მითხრეს ეტლით გასასეირნებლად წავიდეთო შემდეგ შევიდენ ისინი **ელ. ერისთოვთან** ჩაიზე, მეორე დღესაც ვიყავით მიწვეული ჩაიზე **თ. ი. ფალავანდოვთან**, მაგრამ მე არ წავსულვარ.

---

[1]) **მიღებულია 1832 წ. 11 დეკემბერს.**

[2]) **გრიგოლი შეცდომით სწერია, გიორგი უნდა იყოს.**

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება[1]) (1—17—25)[2])

„თ. **აბხაზოვმა** მართალია მოიწვია ჩემ სახლში ყველა ეს პირნი[3]. ყველა ესენი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსათვის, მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებია შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა- და დავხმარებოდით გიმნაზიის ლარიბ-მოსწავლეებს. წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები და სხვა თხზულებები **მოწაფე-მაჩაბელოვისა** და ვთხოვე იმ თავადებს, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებია, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა. ისინი ყველანი დამეთანხმნენ, ამის შემდეგ იყო სხვა საუბარი, რომ დაწესებულებებში იშვიათად წყვეტენ საქმეს და დიდი დაგვიანებით. **თ. ალ. ორბელიანოვი** განაგრძობდა: რასაც ჩვენ აქ ვიტყვით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ის ეკითხებოდა **თ. აფხაზს,** როგორ გამოგვენახა საშუალება: აქ ყველამ თქვეს-ერთი საშუალებაა, განათლება, რამოდენიმე ხნის შემდეგ ყველა ადგილებს ქართველები დაიჭერენ, საქმეს უკეთ შეიგნებენ და იქნება ნეტარებაო, **თ. ლ. ორბელიანოვმა.** უთხრა **თ. აფხაზოვს:** რუსები რომ არ იყვნენ უკეთესი იქნებოდაო. **თ. აფხაზოვმა** უპასუხა: როგორ შეიძლება, რომ ისინი არ იყვნენო. ილაპარაკეს შევიწროებაზე, ამაზე მე უთხარი, რომ თავად-აზნაურობას ჰყავს წინამძღოლები, მათ აქვთ უფლება აცნობონ ან ხელმწიფე იმპერატორს ან უზენაეს მართველობას; მათ მიპასუხეს: წინამძღოლები გაუნათლებელი არიან, ამიტომ უნდა განათლება მივცეთ შვილებს, რომლებიც შემდეგში გამოადგებიან თავის თავსაც და სამშობლოსაცაო. ბოლოს, როდესაც ყველანი წავიდნენ, **თ. აფხაზოვმა** მკითხა: რა უნდა იმას. მე უპასუხე: სრულიად არაფერი მესმის მეთქი. მეტი არაფერი ვიცი, რადგან მე ხშირად გავდიოდი სოლომე ცოლთან, რომელიც ავად იყო, აგრეთვე განკარგულებას ვაძლევდი მზარეულებს, ხან ვკითხულობდი წიგნს.

მეორე დღეს შევედი **თ. ი. ფალავანდოვთან,** ისინი ამ დროს ჩაის სვამდენ, მაგრამ **ყიფიანოვი** და **ავთანდილოვი** იქ არ მინახავს, არც მახსოვს რა საუბარი ჰქონდათ იმათ იქ, მე მხოლოდ ვკითხე

---

[1]) მიღებულია 11 დეკემბერს 1832 წ.

[2]) კომისიამ მთავარ ბრალდებულებს წარუდგინა კითხვები, რომლებიც შეიცავდნენ ი. ფალავანდიშვილის დაბეზღებიდან ამოკრებილ ფაქტებს, ბრალდებული ვაღიარებული იყო დაეწერა ამ ფაქტის ირგვლივ განმარტება.-ადგილის ეკონომიის მიზნით კითხვებს ვტოვებთ და მხოლოდ პასუხებს ვაქვეყნებთ.

[3]) იხ. ი. ფალავანდ. ჩვენებაში.

თ. ალ. ორბელიანოვს ვიყიდო თუ არა ზონარგაყრილი წიგნი მეთქი, იმედი გაქვთ თუ არა ფულის შეგროვებისა მეთქი. მან მიპასუხა: მოიცადეთ, თავადებს უნდათ სთხოვონ ექსარხოსს, რომ მან იკისროს თავმჯდომარეობა და სხვა წევრებიც უნდათ აირჩიონ; მაშინ მეტი ხელის მომწერლების შოვა შეიძლებაო. ამის შემდეგ მე სახლში წავედი. სხვა არავითარი განზრახვა მე არც გამიგონია და არცა მცოდნია.

კაპიტან **თ. ჩოლაყაევი** გავიცანი პეტერბურგში **ბაგრატ ბატონიშვილთან**, რომლის ბავშვების მასწავლებელიც ნე ვიყავი. იქ[1]) მე მასთან ხშირად დავდიოდი და ისიც ჩემთან აგრეთვე.[2]) აქ კი მე მასთან ერთხელ ვიყავი **თ. აფხაზოვთან** ერთად, რომელიც მას გავაცანი; მერე კიდევ ვიყავი ერთხელ და იქ ვნახე თავადები: **ალ. ორბელიანოვ, ი. ფალავანდოვი და ელ. ერისთოვი**, მაგრამ რა განზრახვით იყვნენ არ ვიცი და არც ვიცოდი, რომ ისინი იქ იქნებოდნენ იმ დროს; აქედან მე წავედი სახლში, მაგრამ **ელ. ერისთოვმა** მთხოვა მივსულიყავ ტრაქტირში, სადაც **ფალავანდოვს** უნდა გაიცნოს **თ. ჩოლაყ.** და სახლიდან, თუმცა დავბრუნდი ტრაქტირში, მაგრამ ისევ სახლში წავედით, მათ დაჟინებით მთხოვეს მათთან ერთად მევახშმა, მე შევპირდი, რომ დავბრუნდებოდი, ნახევარი საათის შემდეგ დავბრუნდი და იქიდან **თ. ფალავანდოვის** მიწვევით წავედით საყავეში, სადაც ვივახშმეთ და ვბაასობდით ყველა თავის საქმეზე, სამსახურზე, **ალ. ორბელიანოვი და ფალავანდოვი** ეკითხებოდნენ **(ჩოლაყაევს)** იმ ამბების შესახებ, რომლებიც პეტერბურგში დატრიალდა[3]), პოლონელებზე ლაშქრობისა და სხვათა შესახებ, შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, რომ ტფილისში არ არსებობს კარგი საზოგადოება; რომელსაც შეუძლიან კარგი საქმეების ხელმძღვანელობა. ჩვენ გვინდოდა შეგვედგინა იგი და რამე კეთილი მოგვექმედნა, ხოლო **ჩოლაყაევმა** მიპასუხა: ძალიან კარგი, მაგრამ რანაირი—იკითხა მან. საუბარი ბოლომდის არც მომისმენია, ხან აივანზე გავიდოდი ხოლმე, ხან კი არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. მაშინ მათი განზრახვებისა არაფერი მესმოდა და რას ნიშნავდა მათი საუბარი არ ვიცოდი. (..... а **Челокаев** отвечал очень хорошо, но какие спрашивал он, тот какими словами и что сказал я не помню, потому что не всего их разговора слушал, выходил иногда на балкон, а иногда не обращал никакого внимания, тогда их намерений не понимал и к чему те разговоры клонились не знал).

---

[1]) ე. ი. პეტერბურგში
[2]) ი. ტფილისში.
[3]) იგულისხმება 1825 წლ. ამბები

თ. ი. ფალავანდოვი შეიძლება ვნახე მეორე ან მესამე დღეს და უთხარი, რომ მე და **თ. ჩოლაყაევი** ვიყავით სადილად **თ. დიმიტრი ორბელიანოვთან,** მაგრამ მე მასთან არასოდეს ამ საზოგადოების შესახებ არავითარი ლაპარაკი არა მქონია, თუმცა ნამდვილად იმ რიცხვში და ადრეც და შემდეგაც ერთად გვისადილია.

მთავარი ჩემი განზრახვა და ერთად ერთი წიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ შემეკრიბა თავადები და მეთხოვა შემოწირულება სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოების გასამრავლებლად, **მაგრამ** ბოლოს დავინახე რა რომ მათი საუბარი ან საგანს ასცდა, — თავი დავანებე. ამის შესახებ მე ველაპარაკე ჩემს უფროსს დირექტორს ბატონ **ევარესტ გრუბერს.** მე და **მღვ. ეფრემ ალექსეევი** ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ჩვენი თავადები არ გრძნობენ რუსეთის მთავრობის კეთილ განწყობილებას, რომ ისინი ჩივიან რაღაც სხვა ხე, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან, რომ ერთმანეთს შორის დავა აქვთ გამართული და სხვა. ამის შესახებ ველაპარაკე აგრეთვე **ი. ფალავანდოვს,** რომ მეც მხოლოდ ჩემ ოჯახზე ვიფიქრებ, — რაც მე მწადდა ვერ გამიგეს, ამიტომ არ მინდა არავისთან არავითარი საქმის დაჭერა. თავად **ერისთავების** შესახებ, — ვითომც მათ ელაპარაკნათ რამე მოძღვარ **ტარასისთან,** მე არაფერი არ ვიცი.

იმ კრებაზე [1]) მე არა ვყოფილვარ, არც მინახავს და არც გაგიგონია, არავითარი პროექტის შესახებ მე არაფერი არ ვიცი.

აფხაზის დედამ დამიბარა, ღამე გამაღვიძეს და წაველი მასთან: იმან ძალიან მთხოვა წავსულიყავ პოლიცმეისტერთან მისი შვილის ამბის გასაგებად. მე წავედი, მაგრამ მას (პოლიცმეისტერს) ეძინა. იქიდგან მე დავბრუნდი **იასე ფალავანდიშვილთან,** რათა გამეგო იქ ხომ არ იყო **აფხაზი,** მან მიპასუხა აქ არ არისო, მე ვიფიქრე პოლიცმეისტერმა ხომ არ დაანწყვდია ის პოლიციაში მეთქი, რადგან მისმა დედამ მითხრა პოლიციაში მომენახა იგი, მაგრამ ეს არა მჯეროდა და არც წავსულვარ. **ფალავანდიშვილმა** მიპასუხა, რომ ეს შეუძლებელია, ის ალბად **ჭილაშვილთან** იქნებაო. მე აქედან **აფხაზის** დედასთან წავედი. მან კვლავ მთხოვა გუბერნატორთან წავსულიყავ მისი შვილის ამბის წესატყობად. წავედი გუბერნატორის მდივანთან და ვკითხე: შეიძლება თუ არა გუბერნატორთან შესვლა, მან მიპასუხა, რომ ეს უხერხულია და უმჯობესია პოლიცმეისტერი გავაღვიძოთო; მე გავემართე მისკენ, გავაღვიძე მისი ხალხი, მაგრამ თვითონ მისი გაღვიძება კი ვერ გავბედეთ. აქედგან დაბრუნებული

---

[1]) იგულისხმება 26 ნოემბრის კრება, სადაც პარველი ტამის განკარგულება იქნა შემუშავებული.

წავედი **ჭილაშვილთან**, მაგრამ იქაც ვერავინა ვნახე, ეძინათ. მერე მივედი **აფხაზის** დედასთან, რომელსაც ეძინა. სხვა საუბარი არც **ფალავანდიშვილთან** და არც სხვა ვისთანმე არა მქონია. [1])

მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი**"

ლუარსაბ ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე.[2]) **(I, 27-31).**

„მართალია, რომ 27 ოქტომბერს **თ. ელ. ერისთოვმა** განმიცხა და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი თავიანთი განზრახვა, რომლის გაზიარებაზეც მე რამოდენიმეჯერ უარი ვთქვი, და თუ როდის და რატომ დავეთანხმე, ამას ეხლავე განვმარტავ.

მეორე დღეს, როდესაც შეკრიბნენ კაპ. **თ. ჩოლაყაევი, თ.ი. ფალავანდოვი** და **ელ. ერისთოვი,** რომელთაგან **ფალავანდოვმა** გამიწვია მე ცალკე და ამავე განზრახვაზე დამიწყო ლაპარაკი და მოითხოვდა ჩემგან თანხმობას,—მაშინ მე, დავინახე რა მათი გაცხარება და უკან დაუხევლობა, — განვაცხადე გარეგნულად თანხმობა იმ მიზნით, რომ ეს მაშინვე მეცნობებია **გენერალ-მაიორ ჭავჭავაძესათვის**, რომელსაც მე უთხარი, რომ არსებობს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ განზრახვა და ვთხოვე დაეშალა მათთვის ეს ცუდი განზრახვა. **თ. ჭავჭავაძემ** აღმითქვა ამის შესრულება. მე კი, დავინახე რა, რომ ეს თავადები თავის განზრახვაზე ხელს არ იღებენ და ნიშნავენ 20 ნოემბერს მის სისრულეში მოსაყვანად, **ურჩიე** დაეცადათ ვიდრე შეიყრებოდნენ თავადაზნაურნი, რადგან ვფიქრობდი ჩემი ნათესავების საშუალებით მოვახერხებდი, რომ მათ ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. ამასობაში, რათა მათთვის ხელი აგვეღებინა ამ განზრახვაზე, სამი დღის შემდეგ მე და კაპ. **ჩოლაყაევი** წავედით გენერალ-მაიორ **ჭავჭავაძესთან**, რომელმაც ელაპარაკა **ჩოლაყაევს** მათი განზრახვის შესრულების შეუძლებლობაზე, უმტკიცებდა მას რუსეთის ძლიერებას, მაგრამ **ჭავჭავაძეს** არ უთქვამს, რომ მან ეს საქმე შარშანვე იცოდა. ამის შემდეგ **ჩოლაყაევი** გაჩუმდა და გამოვიდა მისგან, ზემოხსენებული საუბრის დროს მე ვთხოვე ამ საგნის თაობაზე ჩემთან ელაპარაკნა მხოლოდ კაპ. **ჩოლაყაევს** და **თ. ერისთოვს**, იმ იმედით, რომ ამათ მალე გადავთქმევინებდი თავის განზრახვას...

პირველი ღამის განკარგულება და მართველობის პროექტი სწორეთ ისეთი იყო, როგორც მე წარმომიდგინეს გენ.—მაირ **ბაიკოვმა** და **ვოლხოვსკიმ,** იმ გამონაკლისით, რომ წვეულების ადგილად, სადაც უნდა მოეკლათ კორპუსის უფროსი და ყველა სამ-

---

[1]) თანახმად შეთქმულთა დებულებისა **დოდაშვილი** ყველაფერზე ტარს ამბობს.
[2]) მიღებულია 12 დეკემბერს, 1832 წ.

ხედრო და სამოქალაქო მოხელენი. დანიშნული იყო არა ჩემი სახლი არამედ **კორხმაზ მელიქოვის** ქარვასლაში. კრება, რომელზედაც წაიკითხეს განკარგულება და მართველობის პროექტი, შესდგა არა ნოემბრის 26-ს, არამედ კორპუსის უფროსის დაბრუნების რამოდენიმე დღით ადრე. როდესაც გუბერნატორი ქართლში, იყო თუ გუმბრში და ვიდრე მე და კაპ. **ჩოლაყაევი** ვიქნებოდით **ჭავჭავაძესთან;** რადგან ვხედავდი, რომ ისინი ხელს არ იღებდნენ თავიანთ განზრახვის სისრულეში მოყვანაზე, მე განგებ წავედი **ჭავჭავაძესთან,** რომ მას მაინც გაეჩერებია ისინი და როდესაც **ჭავჭავაძემ** მათი წამოწყება არ გაიზიარა, ამის შემდეგ ისინი თუმცა განაგრძობდენ ჩემთან სიარულს, ამ საქმეზე აღარ ულაპარაკნიათ რა, არამედ ამბობდნენ, რომ მათ თავის განზრახვაზე სრულებით ხელი აიღეს. **ჭავჭავაძემ** კი განკარგულებისა და პროექტის შესახებ არაფერი არ იცოდა.

მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი**".

ზაქარია ჩოლაყაშვილის პირველი ჩვენება (I, 35-42[1]).

„ჩემი ტფილისში ჩამოსვლისთანავე მოვიდა ჩემთან **თ. ანტონ აფხაზოვი,** რომელმაც განმიცხადა, რომ ის არის ძმა გარდაცვლილი გენერალ **აფხაზოვისა** და მოხარულია ჩემი გაცნობისა. მე უთხარი, რომ ძლიერ მებრალება მისი ძმა, ის იყო დიდებული ადამიანი და ერთგული მოსამსახურე... დიახ, დიახ:... მომაძახა **თ. ანტონმა:**—ის დიდი პატრიოტიც იყო, ძლიერ უყვარდა სამშობლო და რომ კიდევ უცოცხლა ალბად მოასწრებდა საქართველოსათვის რისიმე გაკეთებას. თავადო, მითხრა **აფხაზოვმა,** რას გვირჩევ, როგორ მოვიქცეთ, ჩვენ ძლიერ შევიწროებულ მდგომარეობაში ვართო, და გაჩუმდა. მე, უნდა გამოვტყდე, გამაკვირვა ამ კითხვამ. მე უპასუხე: ყველაფერი მითხარით მეთქი... მაშ ასე იცოდეთ, თავადო,—მიპასუხა მან, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლიან ამდენი ჩაგვრის ატანა მთავრობისაგან. მე მივხვდი რაშიც იყო საქმე და უთხარი: ჩემო მეგობარო, კმარა დამალვა, თქვენ უკმაყოფილო ხართ რუსების—ხომ ასეა? და რაღაცა განგიზრახავთ, მაგრამ დაიღუპებით; ნუ თუ არ გიჯობთ რუსებთან მშვიდობიანი ცხოვრება, ჩემი აზრით ჩვენ უნდა უმადლოდეთ ზენაარს, რომ რუსები არ სტოვებენ ჩვენს მიწაწყალს. შენ იცი, ჩემო მეგობარო, რომ თურქები, სპარსელები, ლუკეები თვალის დახამხამებაზე გაგვანიავებენ და მაშინ რას იზამთ.—ასეა, სწორედ ასეა, ჩემო მეგობარო, თქვენ სამართლიანად სჯით—გამომეთხოვა და წავიდა. რის შემდეგაც მე აღარ მინახავს.

გამოვეცხადე რა უფროსებს, ჩამოუარე სანახავად ყველა ჩემს

[1]) მიღებულია 13 დეკემბერს, 1832 წ.

დეიდა-ბატონიშვილებს და **თ. დიმიტრი ორბელიანს,** ყველამ სიამოვნებით მიმიღო. ბოლოს დამიწყეს პატიჟი და ვიყავი **თეკლა ბატონიშვილთან,** რომლის შვილი **ალ. ორბელიანოვი** დიდი ალერსით მომეპყრო, ჩემთან სანახავადაც მოვიდა და მთხოვა დავმეგობრებოდი. ერთ-ერთი შეხვედრისას **ალ. ორბელიანოვმა** მითხრა: საყვარელო ძმაო **ზაქარია,** რას მირჩევ, მე შენ ერთი რამე უნდა გაგიმჟღავნო და დარწმუნებული ვარ რომ შენ პატიოსანი კაცი ხარ და არავის არ ეტყვი; მომეცი სიტყვა, დაიფიცე, რაც კი წმინდაა, რომ არ გამცემ, მე შენ უნდა გაგიმჟღავნო საიდუმლო, საიდუმლო რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ყველას ბედნიერება... ე. ი. ქართველებისა.

მე ძლიერ გამაკვირვა ასეთმა სიტყვებმა და უთხარი, რომ მზად ვარ მისთვის ყველაფერი გავაკეთო და რადგანაც ის მე მენდობა და თავის საიდუმლოს მიმხელს — მე მზად ვარ სიამოვნებით მოგისმინო იგი.—ასე ჩემო საყვარელო ძმაო, იცოდე, რომ ჩვენ გვინდა რუსებს თავი დავახწიოთ". — „რას ამბობთ ხომ არ გაგიჟდით" — „არა არ გავგიჟებულვართ, მომისმინე: ჩვენ ყველაფერი მომზადებული გვაქვს". — „რა გაქვთ მომზადებული" — ყველაფერი, ორი წელიწადია, რაც გადავწყვიტეთ, რომ გავნთავისუფლდეთ ისეთი საძულველი მტრისაგან, როგორც არიან რუსები და საერთო აჯანყებისთვის დროც კია დანიშნული, თუ შენ თანახმა ხარ, გაგაცნობ ყველა იმათ, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ რათაც უნდა დაუჯდეთ მოახდინონ აჯანყება. მაშ წავიდეთ ტრაქტირში, ვითამაშოთ ბილიარდი, ზოგიერთი ამ ხალხთაგან იქ იქნებიან. „ძალიან კარგი". უპასუხე მე და გავემგზავრეთ **თ. კორხმაზ მელიქოვის** სახლისკენ. რამოდენიმე ხელის თამაშის შემდეგ მოვიდნენ: **თ. ი. ფალავანდოვი, თ. დიმიტრი ერისთოვი,** მაჰწ. **დოდაევი** და **ელ. ერისთოვ**ი და გამეცვნენ რა მე, დამიწყეს ლაპარაკი, ხოლო რადგან გარეშე არავინ იყო, ამიტომ უშიშრად ლაპარაკობდნენ: „დიდად პატივცემულო თავადო **ზაქარია,** დაგვეთანხმე, შენც ხომ ჩვენი ძმა ქართველი ხარ, თუ არ დაგვთანხმდები, — დაიფიცე რომ არ გაგვცემ, ჩვენ ხომ ყველა შენი ნათესავები ვართ, უკიდურეს შემთხვევაში გვირჩიე მაინც როგორ მოვიქცეთ, ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს". ამ დროს შემოვიდა ვილაც მოხელე და მოითხოვა ვახშამი. **თ. ფალავანდოვმა** დაცინვითა თქვა: „ეს ბატონები ყველგან ხელს გვიშლიან", და თათბირისთვის ამოირჩია მეორე ტრაქტირი ავლაბარში, ციხის მახლობლად, ნავთლუღის გზაზე, ხელმარჯვნივ და იქ წავედით.

იქ **თ. ელ. ერისთავმა** დაიწყო ლაპარაკი ამ სიტყვებით: **„თ. ზაქარია დიმიტრის ძევ**—მომმართა ბე; თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჩვენ

ამას ჩვენთავად გეუბნებით, არა მეგობარო, ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ — უნდა იცოდე ჩვენი საშუალებით ვინ გთხოვს შენ, რომ ამ წმინდა საქმეში დაგვეთანხმო—ესენი არიან: პირველ ყოვლისა ბიძა ჩემი **თ. ერისთოვი,** გენერალ-ლეიტენანტი, ერთი სიტყვით, ყველა **ერისთავები, მაჩაბელოვები, თარხანოვები, თეკლა ბატონიშვილი, თამარ ბატონიშვილი, მამუკა ორბელიანოვი, ლუარ. ორბელიანოვი,** ალეთში **ანდრონიკაანი, თადია ჩოლაყაევი** და მრავალი სხვა თავადაზნაურნი; გწამდეს ჩვენ შენ არ მოგატყუებთ". და ყველა ამ ბატონებმა დაადასტურეს, რომ **ელიზბარი** მართალს ამბობდ. თ. **ჭავჭავაძე?"** ვიკითხე მე აქ ყველამ გაიცინეს და თქვეს: „ის ყველაზე პირველია, ეს ყველაფერი მისი აზრები და სურვილებია, თუ ჩვენი არა გჯერა, მოდი ხვალ საღამოს მასთან, იქ უფრო მეტს გაიგებო". ჩვენ ვიკამეთ და დავიშალენით.

სახლში რომ დავბრუნდი ძალიან ცუდ განწყობილებაზე ვიყავი და უკვე გადავწყვიტე ყველაფერი გუბერნატორისთვის გამემჟღავნებინა, მაგრამ ისევ დავეთანხმე ჩემს თავს, ცოტახანს კიდევ მომეცადნა, რათა საფუძვლიანად გამეგო როგორ და რაში იყო საქმე და შემდგომ დაწვრილებით მეცნობებია მთავრობისათვის. მეორე დღეს, დილის ათ საათზე მოვიდნენ ჩემთან **ელ. ერისთოვი** და **სოლ. დოდაევი.** მე იმათ უთხარი: „აბა ბატონებო, ეს რა ჰქენით და ვისი იმედი გქონდათ". მათ მიპასუხეს, რომ სჯობია მე ცოტა ხანს დავიცადო და არ შევშინდე. საღამოს წავედი **თ. ალ. ორბელიანოვთან** და რადგან ადრე მივედი, მასთან დამხვდნენ **თეკლა ბატონიშვილი** და **ალექსანდრეს** მეუღლე.

თ. ალექსანდრემ ყურში მიჩურჩულა — რადგან აქ მათი მსახური **დიაკვანი** იყო, — რომ ჯერ ადრეა და ორი საათის შემდეგ აქ შეიყრებიან ზოგიერთი პირები, რომლებსაც მთხოვა გავცნობოდი. მსახური **დიაკვანი** რომ გავიდა **ბატონიშვილმა** ინება ჩვენთვის ეთქვა, რომ ჩვენ მსახურებთან ფრთხილად იყავით, იმათ რუსულად ყველაფერი ესმითო; მაშ ასე იყავით ფრთხილადო და, გამოგვეთხოვა რა, შევიდა მეორე ოთახში.

ბატონიშვილის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ძლიერ გამაკვირვა და განმიმტკიცა ის აზრი, რომ ისიც მონაწილეა, ან უკიდურეს შემთხვევაში, იცის ყველაფერი ის, რაც მე გავიგონე.

ბოლოს შეიკრიბნენ თავადები: **ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთოვები, სოლ. დოდაევი, ავთანდილოვი, ყიფიანოვი** და **მამაცოვი,** და ამავე დროს ჩამოვიდა სოფლიდან **თ. ერისთოვი,** გუსართა ოფი-

ცერი [1]). **ალექსანდრემ**, როგორც მასპინძელმა, წარმომიდგინა ყველა ისინი — მეც მივესალმე მათ. გუსარს კი უთხარი: „კარგია ძმაო, აი, როგორ აწყობ შენ შინაურ საქმეებს, რას ეტყვი დედაშენს, რომელიც მოუთმენლად გელის, ეჰ, ძმაო, მებრალები". აქ **ალექსანდრემ** თქვა: „რა დედა კმარა სიჩუმე. გვითხარი, **ზაქარია**, შეიძლება თუ არა სამი ათასით სასწაულის მოხდენა, ჩვენ პირველი შემთხვევისთვის მზად გვყავს უკვე სამი ათასი კაციო". „რის სამი ათასი" — გააწყვეტინა სიტყვა **დოდევმა** — მარტო მე ვაგებ პასუხს მთელ სიღნაღის მაზრაზე, საკმარისია ერთი სიტყვა და მთელი კახეთი ჩვენს მხარეზეაო.

ეჰ. ბატონებო სისულელისთვის მიგიყვიათ ხელი, არა ჰფიქრობთ ვისთან გექნებათ საქმე, ნება მიბოძეთ გკითხოთ **თ. ალექსანდრე**, რამდენი პოლკი იქნება. აქ პოლკები ძალიან ცოტაა—მიპასუხა **ალექსანდრემ** — და ისინიც ყველა სრული არ არის, — რადგან თელი ჯარი ბარონ **როზენთან** ერთად წასულია ლეკთა სამფლობელოებში, კავკასიის იქით, ხოლო აქ დარჩენილი ნაწილები ისეა დაქსაქსული, რომ როგორც კი ტფილისში ერთი თოფი გავარდება, ყველას ქათმებივით ამოხოცავენ. ამ მხრივ ნუ გეფიქრება ძმაო **ზაქარიავ**. თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ აქაურ ხალხს, იმათი შიშით თავადებს ველარ გაგვივლია, სულ იმას გვაყვედრიან, რომ ჩვენ ისინი რუსებს გადავეცით, მხოლოდ ერთ რამეს გაიგონებ ყველგან ნეტავი გამოჩნდებოდეს ვინმე, რომ ისინი რუსების ხელიდან დაიხსნას, ამავე დროს შემოვიდა **თ. დიმიტრი ორბელიანოვი, ლეიბ-გრენადერი**, ძმა **ალექსანდრესი**, რომელიც იმ ხანად დაბრუნდა რუსეთიდან. ჩვენ ყური დაუგდეთ **სოლომონსა** [2]) და **ავთანდილოვის** ჩურჩულით ლაპარაკს. **თ. ალექსანდრემ** წარმოგვიდგინა რა ძმა, გვითხრა, რომ იგი არ არის საშიში, რომ ის მას თავდება უდგება, როგორც საკუთარ თავს, რის წემდეგაც მე უმტკიცებდი მათ და ვარწმუნებდი, რომ რუსების დამარცხება არა გზით არ შეიძლება მეთქი, რომ მათ დანიშნული აქვთ ადგილები და პირველივე თოფის გასროლისთანავე შეიყრებიან შტაბში და ნათი ძლევა არავის შეუძლიან. „როგორ გაიკვირვა ყველამ,—ერთ პოლკს ვერ დავამარცხებთ, და ჯერ ეროი ვინ დაცდის მათ შეყრას—როგორც კი აქ რამე მოხდება—რადგან ყველა თავადები ამ შემთხვევის გამო აქ გამოვლენ—ყველა მათგანს თან ეყოლება კაცები — ესენი მაშინათვე გაგზავნიან თავ თავიანთ სოფლებში და შეუთვლიან **პაროლს**, რომელიც **იქნება რუსების წყვეტა**,

---

[1]) **გიოზგი რევაზის ძე ერისთავი**
[2]) **დოდაშვილი.**

და მაშინ ჩვენ ყველანი გარწმუნებთ, რომ არც ერთი რუსი არ დარჩება. ამაზედ ნუ გეფიქრებათ, თქვენ ოღონდ დათანხმდით მონაწილეობა მიიღოთ, თორემ ყველაფერი კარგად იქნებაო.

სხვების წასვლის შემდეგ ჩვენ დავრჩით, ე.ი. მე, **ალექსანდრე, დიმიტრი** და **ვახტანგ ორბელიანები** და **თ. გ. ერისთოვი**, რომელიც მათთან იყო ჩამომხტარი. მე უთხარი **ალექსანდრეს**: „ჩემო ძმაო, ამ ხალხით ვინდა რუსები დაამარხცო, მოგილოცავთ", აქ **თ. დიმიტრი** ლეიბ-გრენადერმა თქვა, რომ ეს დიდი სისულელეა, „როგორ არ გრცხვენიან ძმაო **ალექსანდრე**, რომ ამ თანაგანმზრახველებთან საქმე დაიჭირეთ, განა ეს წენ გიხდება ახ, ღმერთო ჩემო, რანაირი მოუფიქრებლობაა, მადლობელი ვარ ძმაო წენი, — შენ ჩვენ ყველანი დაგღვუპე, რათა, რა დაგიშავეთ". „დიახ" დაუმატა **ერისთავმა**, „ჩვენ ყველა დავიღუპეთ". ბოლოს მე ვანუგეშე ისინი და უთხარი: „დიახ, **ალექსანდრემ** არ იფიქრა, რომ ის ოჯახის პატრონია, დაავიწყდა ვალი სამსახურის წინაშე (ის ხომ მრჩეველია), ფიცი — და ვის გადაეკიდა, — მაგრამ ეს კიდევ გამოსწორდება, თუ ყველაფერს თავს მიანებებს და დაივიწყებს თავის გეგმებს, მე კი ჩემი მხრივ გარწმუნებთ, თუმცა ამას ყველაფერს მთავრობა შეიტყობს, მაგრამ ჩვენ გვაპატიებენ და ჩვენ ამით მთავრობას კიდეც ვაამებთ და საქმე ამით გათავდება", ამ ფიქრით გავწიე სახლისაკენ, და უნდა გამოვტყდე, უაღრესად ვიყავი შეწუხებული ამ გარემოებით. დიდხანს ვფიქრობდი, თუ ვისთან ვიყავი, რა ვნახე და მცხვენოდა, რომ მათ მოვატყუილებინე ჩემი თავი, რისთვის...

სხვათა შორის მე ჯერ არ ვყოფილიყავ **ლუარსაბ ორბელიანოვთან**, რომელიც ჩემი ბიძაშვილია, და გავიგე, რომ ძლიერ მემდურებოდა, ბოლოს გადავწყვიტე მასთან წასვლა. მე იქ ძლიერ კარგად მიმიღეს და კიდევაც მოისურვეს, რომ ბინად მათთან ვყოფილიყავ, მაგრამ მე ბოდიში იმით მოვიხადე, რომ კახეთში მალე წავალ მეთქი.

ორი დღის შემდეგ **თ. ელ. ერისთოვი** მოვიდა ჩემთან, მითხრა, რომ ყველანი მე მიცდიან **ი. ფალავანდოვთან** და მთხოვა წავსულიყავი იქ. მე აქ ისევ შეკვდი ზემოხსენებულ პირთ, რომელთაც მკითხეს გადავწყვიტე თუ არა მონაწილეობა მივიღო მათთან ერთად. მე გამოუცხადე, რომ მხოლოდ მაშინ დავთანხმდები, როცა **ამ საქმეზე** მომელაპარაკებიან თავადები: **მუხრანსკი, ლუარსაბ** და **მამუკა ორბელიანები, თ. ერისთოვები** და გენერალი **ჭავჭავაძე**.

„ახ". — წამოიძახა **ი. ფალავანდოვმა**. — „ეს **მუხრანსკი** მხოლოდ ხელს გვიშლის, ნეტავი მოხერხდებოდეს მისი საითმე **დალეგ-**

ვა, არ ვიცი—უნდა მოვწამლოთ ძაინც იგი". „როგორ იზავ ამას" მეთქი, უთხარი მე. „აი ეს არის საქმე" სიცილით დაურთეს სხვებმა. „რა ფიქრი უნდა მაგას, მე მას დავპატიჟებ სადმე, და რაღა შორს მივდივართ—**ასლან ორბელიანოვთან**—და ვეცდები იქ მოვწამლო იგი. კიდევ სხვებიც მინდა მას მივაყოლო, მაგრამ თქმას ვერ ვბედავ". აქ ყველანი შეეხვეწნენ მას: „შენი ჭირიმე, თქვი, აქ ხომ ყველა ჩვენები არიან, **თ. ზაქარია**, რასაკვირველია არ გაგვცემს";— „მაშ იცოდეთ, რომ ჩემი ძმა ძალიან გვიშლის ხელს". აქ კი ყველანი გაჩუმდნენ, ბოლოს გადაწყვიტეს შემახვედრონ **ლუარსაბს**, და უნდა გამოვტყდე, რომ მინდოდა გამეგო, ნუ თუ ეს ვაჟბატონები უფროსების დაუხმარებლად აპირებდენ რამეს. ამიტომ ვთხოვე **ელიზბარს**, მოეხერხებინა ჩემი შეხვედრა **ლუარსაბთან**. ორი დღის შემდეგ მიგვიწვიეს **ლ. ორბელიანთან**. შუადღის 4 საათზე **თ.ლ. ორ ბელიანმა** მთხოვა როგორც ძმას, რომ მასთან სრულიად მინაურულად ვიყო და მითხრა: „ჩემო ძმაო, **ზაქარიავ. რასაც თ. ელიზბარი** გეუბნება ეს ახალი ამბავი როდია, ჯერ კიდევ შარშან ვიცოდი მე ეს ყველაფერი და ვცდილობდი მომეფიქრებია, თუ როგორ უფრო ადვილი იქნებოდა ამ საქმის სისრულეში მოყვანა და გარწმუნებ, რომ საკმარისია შევჯდე ცხენზე—და ყველა რუსეთის ქეშევრდომნი—თვით ის პოლონელებიც კი, რომლებიც აქ იმყოფებიან—ისინიც კი ჩვენს მხარეზე იბრძოლებენ, მე ვგულისხმობ ყველა რუსეთის ქვეშევრდომებს: თათრებს, ქართველებს, სომხებს და ყველა აქ, ამიერ—კავკასიაში მოსახლე ხალხებს. საკმარისია მხოლოდ ეს ისე ყოფილიყო მოფიქრებული, რომ დანიშნულ დღეს არ შევცდეთ,—მე მოვიფიქრე დავიცადოთ იქამდის, ვიდრე აქ შეიყრებიან თავადაზნაურნი არჩევნებზე—მაშინ გაიგებ შენ რაც ყოფილა შენი **ლუარსაბი**". „ერთი მითხარი თავადო, თქვენ როგორ ფიქრობთ დათანხმდება თუ არა თქვენი სიძე **ჭავჭავაძე**". ვკითხე მე. „არ დათანხმდება და—ის აქვე ახლოს სცხოვრობს—მას პირველს წაშოვაგებთ ხანჯალზე... ანდა რას წარმოადგენს იგი, არაფერს. როცა თავადები შეიყრებიან, შენ მაშინ ყველაფერს გაიგებ. იქამდის კი მე მოველაპარაკები **ალექსანდრე ჭავჭავაძეს**, და თითონვე მელაპარაკება ის ამ საქმეზე, მან დიდი ხანია ეს იცის, მაშ ასე, თავადო, ნუ გეფიქრებათ, იყავით მასთან გულახდილი". ბოლოს გენერალ მაიორ **ალ. ჭავჭავაძემ** მიმიწვია თავისთან **თ. ელიზბარის** საშუალებით, ნაშუადღევის 5 საათისათვის მივედი თუ არა მასთან — იქ დამხვდა **ლუარსაბ ორბელიანი**, ნახევარი საათის შემდეგ **თ. ჭავჭავაძემ** შემიწვია მეორე ოთახში, სადაც **ლუარსაბიც შემოგყვა**". თა-

ვადო **ზაქარიავ** დიმიტრის ძეე, მითხარით რას ფიქრობთ ჩვენ საქმეზე"—მითხრა **ჭავჭავაძემ** და შევნიშნე, რომ ის ძალიან ღელავდა. „მე ვფიქრობ—უპასუხე მე მას თვალთმაქცურად—რომ რაკი თქვენმა ბრწყინვალებამ მე ამ დიად საქმეზე მიმიღო, ალბად ბევრი რამ გექნებათ მოფიქრებული. მე გეტყვით თავადო, რომ ერთ თქვენ სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველა მხოლოდ თქვენს ბრძანებას ღა ელის და ყველანი უკვე მზად არიან გემორჩილონ". ის უფრო მეტად აღელდა და თქვა: „ყველა კარგია... მაგრამ რით... ჩვენ დავიღუპებით... სპარსელები, თურქები, ლეკები გაცილებით უარესი არიან რუსებზე. მე უკვე ვიფიქრე და გადავწყვიტე ყველას ვთხოვო, რომ ამაზე ნულარ იფიქრებენ. მართალია რუსებისაგან შეიძლება განვთავისუფლდეთ მაგრამ სპარსელები დაუყოვნებლივ წალეკავენ საქართველოს, იმათ ეხლა 200 ათასი ჯარი ჰყავთ—ჩვენ მთლად დავიღუპებით. მაშ ასე ჩემო ბატონო, ურჩიეთ ყველას. ვინც თქვენ გარწმუნებენ, **ლუარსაბ,** რომ. ეს საქმე ჩუმად და წყნარად გაათავონ. ღმერთმა დაიფაროს რამე გამოაშკარავდეს, ჩემი მხრით კი გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე არასოდეს აღარაფრის გაკეთება არ შემიძლიან და თქვენ გირჩევთ გაათავოთ. რას ვიზამთ... არასგზით არ შეგვიძლიან რუსებისგან განთავისუფლება... მაშ ვიყოთ კეთილი და ვემსახუროთ მართლმადიდებელ მეფეს, **ლუარსაბ, შენ შეგიძლიან ყველანი** გააფრთხილო და დაარწმუნო თორემ ღმერთს ვფიცავ, დავიღუპებით". მე გამოვეთხოვე და წავედი **ლ. ორბელიანთან,** სადაც იყო აგრეთვე **ელიზბარ ერისთოვი.**

„ჩემო **ელიზბარ** ყველაფერი გათავდა, **ჭავჭავაძე არა თანხმდება** და შენ აიღე შენს თავზე შრომა უთხარი ყველას, რომ კრინტი აღარ დაძრან".

მე გამოვეთხოვე **ლუარსაბსაც** და იმის შემდეგ მასთან აღარ ვყოფილვარ. მეორე დღეს მოვიდნენ ჩემთან თავადები: **ალ. ორბელიანი** და **ბიძინა ერისთოვი.** მე იმათ გამოუცხადე. რაც **თ. ჭავჭავაძემ** ილაპარაკა და უთხარი: „აი ჩემო ბატონებო, ხომ ხედავთ რიგიანი ხალხი არ თანხმდება, რადგან ეს შეუძლებელი საქმეა" მეთქი. **ალ. ორბელიანმა** თქვა: „**ჭავჭავაძე** უსვინდისოა, წარსულ წელს მე დამავალეს მიმეწერა **ალექსანდრე ბატონიშვილისთვის** და ეხლა კი უარს ამბობს, მაგრამ რა გაეწყობა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ"-ო და ამის შემდეგ მთელი კვირის განმავლობაში არსად გავსულვარ.

ბოლოს დავიბარე **ს. დოდაევი** და ვთხოვე ეცნობებია ეს საქმე გათავდა თუ არა, იმან გამომიცხადა, რომ ამაეზ უკვე აღარავინ ფიქ-

რობს. მცირე სიჩუმის შემდეგ მე უთხარი მას: „უპატივცემულისო, **სოლომონ ივანეს ძევ**, მითხარით გულახლით როგორ დაგებადათ ეს აზრი თავში ამ დიდ საქმეში გარეულიყავ, შენ ხომ ოჯახის პატრონი ხარ, შვილი გყავს, ნუთუ ღმერთისა არ გეშინიან". „ეხ, თავადო, ყველაფერი ეს მე შთამაგონა ბიძა თქვენმა **ოქროპირ ბატონიშვილმა**, რომელიც მე ზფარველობას მიწევდა და რომელიც ამ საქმეში გარეულია" მიპასუხა **დოდაშვილმა** და მთხოვა როცა **ალექსანდრეს**[1] ვნახავდი, მეთხოვნა, რათა აღარ ეფიქრა იმაზე, რაც იყო წინად.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან **ალ. ორბელიანი** და დაჟინებით მთხოვა მასთან წავსულიყავ. მასთან რომ მივედი მითხრა, რომ მოვიდა თათარი **მოლა ზამანი** და კიდევ სხვა თათარი და რომ ერთ ამ თათართაგანმა მას ყურში უთხრა, ვითომც ვიღაც პორჩალელ თათარს უთქვას მისთვის, რომ **ალექსანდრემ** შარშან წერილი მისწერა **ალ. ბატონიშვილს** და რომ **ალექსანდრე** თათრებს აიარალებსო. მე მაშინვე მოვიხმე ის თათარი და სასტიკად ვუკრძალე ამ გვარი რამის გამეორებაო. მიამბო ყველაფერი ეს **ალექსანდრემ** და მთხოვა მერჩია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ეადგან სტუმრებმა მრავალად მოიყარეს თავი, ამიტომ გამიწვია **ი. ფალავანდოვთან**, რომელთან მისვლისთანავე **ალექსანდრემ** უამბო მასაც ყველაფერი და მთხოვა კვლავ რჩევა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მე ვთხოვე **ალექსანდრეს** გულწრფელად ეთქვა, თუ როგორ, რა მისწერა და ვისი დარიგებით. „ჩემო ძმაო **ზაქარიავ** უნდა გამოგიტყდე რომ შარშან მე და **თამარ ბატონივილი** ვაპირებდით ვითომდა იერუსალიმში წასვლის საბაბით **ალექსანდრე ბატონიშვილის** ნახვას, მაგრამ შემდეგ გადვიფიქრეთ და **ლუარსაბმა, მამუკამ ჭავჭავაძემ** და ყველა სხვებმა მაიძულეს მიმეწერა მისთვის წერილი, **რომელიც** გავატანე **მოლა ზამანას** და ერთ სხვა თათარს, და აი მე ვფიქრობ, რომ ამ მეორე თათარმა ეს ვიღაცას უამბო, რომელსაც შეუძლიან ყველაფერი მთავრობას აცნობოს და მაშინ მე დავიღუპებიო... აი ხომ ხედავთ რა მდგომარეობაა ისევ მე უნდა გადავწყვიტო **რამე**, თორემ უბრალოდ შემიპყრობენ და მაშინ მშვიდობით. აქ იყო აგრეთვე **თ. გუსარი ერისთავი.** ამის შემდეგ ისევ **ალ. ორბელიანის** სახლში დავბრუნდით და ხანმოკლე საუბრის შემდეგ რომელიც ამ საქმეს არ შეეხებოდა, **ალექსანდრემ...**[1] ლიტრა, რომელშიაც არ ვიცი რა ქაღალდები ქონდა და ცეცხლში შეყარა. მე ვკითხე მაგას რბთ შვრები მეთქი. „ეს პროკლამაციებია, რომლებიც შარშან დავ-

---

[1]) სწერია..., **вынул из пол....**, ამის შემდეგ ერთი სიტყვა, რომელიც ლიტრის ადგილმდებარეობას უჩვენებს, ვერ იკითხება.

წერეთ, დეე დაიწვას, სულ ერთია ჩვენ ისინი აღარ გვჭირდება“-ო. მე გამოვეთხოვე და სახლში წავედი. მეორე დღეს დავიბარე ჩემთან **დოდაევი,** რომელიც მაშინვე მოვიდა. მე ვთხოვე მას ეშოვა ჩემთვის ფული, რომ გადამეხადა სახლის ქირა. მან ჩაიზე თავისთან მიმიწვია და აღმითქვა, რამოდენიმე ფულის მოცემაც. **დოდაევთან** რომ მივედი, იქ დამხვდა გუბერნატორის მდივანი და ერთი საათის შემდეგ **ელ. ერისთავიც** მოვიდა. ჩაის შემდეგ მოხელე წავიდა. მე ვკითხე **ელიზბარს** ყველაფერი გაათავეს თუ არა. „ყველაფერი, ყველაფერი — მიპასუხა მან — გარწმუნებთ, რომ მე ამის შემდეგ არასოდეს აღარაფერს არ გავაკეთებ და მხოლოდ მეურნეობას მოვკიდებ ხელს“-ო. გამოთხოვებისას მთხოვა **ლუარსაბთან** წავსულიყავ, მაგრამ მე უარი უთხარი.

ის იყო მაგიდასთან ვსხდებოდით და მდივანი ისევ დაბრუნდა. ვახშმის შემდეგ ფული მივიღე და სახლში დავბრუნდი. აქ დავიწყე ფიქრი, რომ მადლობა ღმერთს ყველაფერი გათავდა, თუმცა მე ვთხოულობდი საქართველოში გადმოყვანას, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, ხვალვე წავალ და რაც კი ვიცი, განუცხადებ ზტაბის უფროსს, თანაც საგზაო ხარჯს ვთხოვ და ისევ პეტერბურგისაკენ გავემგზავრები... ღმერთმა დამიფაროს ასეთ ნათესავებთან ცხოვრება, მეთქი. დილით ადგომა ვერც კი მოვასწარი, რომ უკვე დამპატიმრეს.

კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევი“.

ზაალ ავთანდილაშვილის პირველი ჩვენება (I, 43-58).[1])

„1832 წ. დეკემბრის 13-სა დღესა, მე ამის ქვემორე ხელის მომწერი ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი **ზაალ სტეფანეს ძე ავთანდილოვი** საგამომძიებლო კომისიის წინაშე ჩემი ნებით აღიარებისნიადაგზე ვაცხადებ, რომ რადგან **თ. ვახტანგ ორბელიანს** ვიცნობდი, ამიტომ ზოგჯერ დავიარებოდი ხოლმე მასთან დროს გასატარებლად, სადაც ჩვენ ერთად ხშირად ვკითხულობდით ხოლმე მის მიერ ს. პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებაც მსჯელობას ვმართავდით ხოლმე; ის ხშირად ჩიოდა ხოლმე, რომ ისეთი ქალაქის შემდეგ, როგორიც არის პეტერბურგი, სადაც ადამიანს ადვილად შეუძლიან ყოველგვარი კმაყოფილება მიიღოს, ის ტფილისში მოწყენილობას გრძნობს და ამიტომ სურს ვაიჩინოს ახალგაზრდა ნაცნობები, რომლებთანაც შეიძლება ტკბილად

[1]) მიღებულია კომისიაში 1832 წ. 13 დეკემბერს.

გრიგოლ ორბელიანი
(მწერალთა მუზეუმი)

დროს გატარება **თ. ვახტანგ ორბელიანი**, ჩემთან შეხვედრისას, ხშირად ნპატიჟობდა ხოლმე სასეირნოდ თავის ბაღში ან ქალაქ გარეთ და მეც უარს არ ვეუბნებოდი ყოველთვის. ამნაირად დღითი—დღე უფრო მიახლოვდებოდა იგი და მეგობრობაც უფრო მჭიდრო ხასიათს იღებდა; მან მთხოვა უფრო ხშირად მევლო მასთან, ბოლოს, მგონია 1831 წლის უკანასკნელ მესამედში, — თვე და რიცხვი არ მახსოვს, — **თ. ვახტანგ ორბელიანმა** მითხრა: მე მჯერა, რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ, ამიტომ მინდა შენთან გულწრფელი ვიყო, იცი თუ არ ჩემო კარგო, რომ არიან ისეთი ხალხი, რომელთაც სწყურიათ ჩვენი სამშობლოსთვის თავისუფლება. ამგვარი შეხვედრით გაკვირვებულმა ვკითხე, თუ ვინ ბრძანდებიან ისინი, რომლებიც ასე განუსჯელად ფიქრობენ ანაზე, ამასთანავე არც გირჩევ შენ მაგ გვარ საქმეებში ჩარევასმეთქი. მან მიპასუხა: „ნუ გეფიქრება, მრავალ წარჩინებულ ჭკვიან ადამიანებს აქვთ ამისთანა განზრახვა, გთხოვ არავის არ უთხრა ეს"—და მაშინათვე სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი, და მალე კიდეც დავშორდი მას. აი ჩემი იმ თავადებთან ნაცნობობის დასაწყისი, რომლებიც **თეკლა ბატონიშვილის** სახლში დაიარებოდნენ. როდესაც ამ წლის დასაწყისში თავად **ვახტანგ ორბელიანმა** გვთხოვა მე და მასწავლებელ **ყიფიანოვს** აგვეღო როლები მის მიერ რუსულიდან ქართულად გადათარგმნილი კომედია „Знакомый незнакомец"-იდან, მაშინ ჩვენ ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რომლებიც შეწყდა იმის გამო, რომ არ აღმოჩნდა თანხა მის დასადგმელად. გაზაფხულის დამლევს თუ ზაფხულის დასაწყისს (მიმდინარე წლისა), თვე და რიცხვი არ მახსოვს, **თ. ელიზბარ ერისთავმა** დამპატიჟა სადილად, სადაც იყვნენ თავადები: **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი,** [1]) რომელიც ეხლა უკვე პრაპორშჩიკია). მასწავლებლები: **დოდაევი** და **ყიფიანოვი, სოლომონ რაზმაძე** და არტელერიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი ერისთავი**, რომელიც იქ გამაცნო **ელიზბარმა**, მე უკან მომყვა „სუდა ი რასპრავის ექსპედიცია"-ში მომუშავე თარჯიმანი **იოსებ მამაცოვი**, გაშალეს სადილი, რომლის დროსაც გარეშე საგნების გარდა ილაპარაკეს სასწავლებლების სიმცირის შესახებ საქართველოში და რომ ქართველი ახალგაზრდობის წარმატებით და სწრაფად განათლებისათვის მთავრობამ ტფილისში უნდა დააარსოს უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსები და სხვა სასწავლებლები. აქ აგრეთვე აღიარებულ იქნა სიყვარული თანამემამულე ქართველი ბატონიშვილებისადმი, რომლებიც პეტერბურგში იმყოფებიან და რომ ზოგიერთ მათგანს განათლების, ჭკუისა

[1]) გ. დავითის შე ერისთავი.

და ცოდნის მიხედვით ადვილად შეუძლიანთ დაიჭირონ მინისტრის თანამდებობა უცხო სახელმწიფოებში („...Здесь также одобрили любовь к отечественникам грузинских царевичей в Петербурге находящихся и даже образование некоторых из них, как будто бы по уму и знанию легче способны занять должности министров в иностранных государствах"). ზაფხულში **ალ. ორბელიანი** ოჯახით მოვიდა თავის ბაღში. როგორც **ალ. ორბელიანი**, აგრეთვე **დიმიტრი** და **ელიზბარ ერისთოვები** მეფერებოდნენ, მარწმუნებდნენ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან და კიდეც მემდურებოდნენ, რომ მათთან იშვიათად დავდივარ. ხოლო ზოგჯერ მელაპარაკებოდნენ იმ შევიწროებაზე, რომელსაც ქართველები განიცდიდნენ რუსი მთავრობისაგან, ჰკიცხავდენ **გიორგი მეფეს**, რომელმაც საქართველო გადასცა რუსეთს; იმისდა მიუხედევად, რო მე ყოველთვის ვცდილობდი გავქცეოდი მათ ამგვარ ლაპარაკს და უმტკიცებდი წინააღმდეგს — ისინი ყოველთვის ცდილობდნენ გავემტყუნებინე. ერთ კვირა დღეს თ. **ელ. ერისთავმა** მნახა **ვახტანგ ორბელიანთან** და ორივე სადილზე დაგვპატიჟა. მე და **ვახტანგი** მივედით მასთან პირველ საათზე. მან მაშინათვე მოიტანა სადილი და ჩვენ სამმა და მისმა ძმამ **დიმიტრიმ** ერთად ვისადილეთ. სადილის დროს **ელიზბარმა**, რომელიც ძლიერ გატაცებულია პოლიტიკით, დაიწყო მასზე მსჯელობა, აგრეთვე ჩიოდა, რომ **თ. ერისთოვებმა** დიდი ზიანი განიცადეს ყოფილი მთავარ გამგისაგან (бывш. главного начальника), რომელსაც თითქმის სურდა ველიდგანვე **ერისთავების** კუთვნილი ოსები ხაზინისათვის გადაეცა. სადილის შემდეგ იქ მოვიდნენ გუსარი კორნეტი **გიორგი ერისთოვი** და **ალ. ორბელიანმა** პირველმა მოჰკიდა ხელი **თ. ვახტანგ ორბელიანს** და **დიმიტრი ერისთავს** და უთხრა გავიაროთო, მე კი **ელიზბარს** მასპინძლობისთვის მადლობა მოვახსენე და დაუყოვნებლივ გამოვედი, მაგრამ **ელიზბარმა** დაჟინებით მთხოვა ჩაიზე მივსულიყავი. სალამოს მოვიდა ჩემთან მასწავლებელი **ყიფიანოვი**, რომელსაც გამოუცხადე, რომ **ელიზბარმა** ჩაიზე დამპატიჟა და მივეცი წინადადება ისიც ჩემთან ერთად წამოსულიყო, რაზედაც ის დამეთანხმა. მე და **ყიფიანოვი** მივედით **ელიზბართან**, სადაც **გიორგი ერისთავს** შემოხვეოდენ თავადები: **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანოვები** და ორივე ძმანი **ერისთავები** [1]), მას ხელში ეჭირა ფანქარი და ქაღალდი და უამბობდა ვარშავის აღებას, აღნიშნავდა რა შეუჩერებლივ ორივე ქაღალდზე ორივე არმიის ჯარების განწყობას: რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა **თ. ი. ფალავანდოვი**, რომელიც ჩვენ საერთოდ **მოგვესალ-**

---

[1]) ელიზბარი და დიმიტრი

ბა და დაიწყო ლაპარაკი უფრო თ. **ალ. ორბელიანსა** და **ელ. ერისთავთან**, არა ხმა მაღლა, ხანდისხან მიმართავდა ხოლმე აგრეთვე ნაცნობებს: მე და **ყიფიანოვი** კი, რადგან არ ვიცნობდით **ფალავანდოვს**, გავშორდით და ცალკე ვლაპარაკობდით სხვებთან ერთად. **თ. ი. ფალავანდოვი** ცოტა ხნის შემდეგ **ალ. ორბელიანთან** ერთად წავიდა, თუმცა მათ **ელიზბარმა** ბევრი სთხოვა, მაგრამ არ დარჩენ. მიმავალმა **ფალავანდოვმა** თქვა: „ბატ-ბო გთხოვთ ხვალ ყველანი ჩემთან მობრძანდეთ ვახშამზე". ჩვენ დავრჩით ვახშმათ **ელიზბართან**, რომელიც ვახშმის დროსაც განსაკუთრებული კმაყოფილებით გვიამბობდა პოლონეთის ომზე და უწოდებდა მას სამშობლოსათვის კეთილშობილ აჯანყებას. მან აქ, სხვათა შორის, თქვა: „ბატონებო, წარმოიდგინეთ **დიმიტრი ბატონიშვილმა** მოინდომა სამსახურში შესვლა და შევიდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში და რა მოხდა — იგი მეთოთხმეტე კლასით მიიღეს. როგორია ეს სამეფო სისხლისათვის? ის ამით შეურაცყოფილი დარჩა და მაშინათვე მიატოვა სამსახური". მეორე დღეს გიმნაზიაში მე და **ყიფიანოვმა** მოვილაპარაკეთ არ წავსულიყავით **ფალავანდოვთან** ვახშმად, რადგან ჩვენ მას არ ვიცნობდით და სამსახურის გამოც, მაშინ იყო გიმნაზიაში საჯარო აქტი, ვერ მოვახერხეთ წასვლა და ჩვენ იმ ღამეს იქ არ ვყოფილვართ. და ბოლოს, მგონია ეს იყო ამა წლის ოქტომბრის 15-ს,—ე. ი. ტფილისის გამნაზიაში მომხდარი საჯარო აქტის მეორე დღეს, საღამოთ გვიან დავბრუნდი სახლში აბანოდან, დამხვდა **ელ. ერისთავის** ბარათი და **ვახტანგ ორბელიანოვის** ბიჭი, რომელსაც ეს ბარათი ჩემთან მოეტანა. ბარათში **ელიზბარი** მწერდა, რომ თუ მას მე ოდნავ პატივს ვცემ და ვაფასებ. ბეგობრობას და ის მიყვარს, დაუყოვნებლივ მივიდე იქ, სადაც ის არის, მაგრამ მეშინოდა გაციებისა და ბიჭს დავაბარე, რომ არ შემიძლიან წასვლა, გავიხადე და ლოგინში ჩავწექი, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა ის ბიჭი და **ალ. ორბელიანის** სახელითა მთხოვა წავსულიყავ. რადგან არ მომეშვნენ, ამიტომ იძულებული გავხდი ჩამეცვა და წავსულიყავ **თეკლა ბატონიშვილის** სახლში. კიბეებზე შევდგი თუ არა ფეხი, შემეგება **ალ. ორბელიანის** კაცი და მითხრა, რომ თავადი სახლში არ არის და რომ მისი ბატონის დავალებით მთხოვა გავყოლოდი მას, რომელმაც მიმიყვანა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის სახლთან, დამტოვა ეზოში, თითონ კი ქვემო სართულის შიგნით ოთახებში შევიდა, რამოდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და მითხრა: „მობრძანდით თავადი აქ არის"-ო. შევედი და ოთახში დამხვდნენ: ი. **ფალავანდოვი**, ორივე

ძმა **ორბელიანოვები**, ე. ი. **ალექანდრე** და **ვახტანგი**, კორნეტი **გიორგი**, არტილერიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი** და **ელიზბარ ერისთავები**, აგრეთვე მასწავლებელი **ყიფიანოვი**. მივესალმე ყველას. დამსვეს და **ფალავანდოვმა** უბრძანა ჩემთვის ჩაის მოტანა, რის გათავების შემდეგაც თ. ი. **ფალავანდოვმა** დაითხოვა რა ოთახიდან ბიჭი, თითონ მიკეტა კარები და დაჯდა, მაშინ **ელ. ერისთავი** გვარწმუნებდა ყველას, რომ აქ ყველა მეგობრები ვართ და ამიტომ გულახდით ლაპარაკი შეიძლებაო. პირველმა თითონ დაიწყო კიცხვა აქაური დაწესებულებებისა და ამტკიცებდა, რომ ვითომ მთავრობა ყველაფერს ართმევს: გლეხებსა და მიწებს და რომ საზოგადოებაში არ მოიპოვება არც ერთი პატრიოტი, რომელმაც უნდა მოაგონოს რუსეთის მთავრობას, რომ საქართველო დაპყრობილი არ არის და ის თავისი ნებით შევიდა რუსეთის სამეფოს მფარველობაში. მივხვდით მე და **ყიფიანოვი**, რასაც ნიშნავდა **ელ. ერისთავის** წინასიტყვაობა და გაგვეცინა, ხოლო **ელიზბარმა** იმ წამსვე დაგვიყვირა: „რა გაცინებთ, აქ სასაცილო არაფერია, ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა სიცილისათვის, არამედ დიდი საქმის გადასაწყვეტად, რომელზედაც დამოკიდებულია ბედი ჩვენი სამშობლოსი, და ყოველი ქართველისა. მასხრობა სხვა დროს შეიძლება“-ო. ბოლოს სთქვა, რომ მე თქვენ დიდი საიდუმლოება უნდა განგიცხადოთო. ყველა ჩვენგანი, ვისაც კი უყვარს საქართველო და უნდა დაუბრუნოს მას ძველი დიდება, დღეიდან იმის ზრუნვას უნდა შეუდგეს, რომ როგორმე გაანთავისუფლოს იგი რუსეთისაგან. ამ დროს მე ვკითხე: „ჩემო **ელიზბარ**, ეგრე მსუბუქად რათა მსჯელობ ასეთ დიდ საქმეზე, აბა ერთი მითხარი ვისი იმედი გაქვთ და რა საშუალება მოგეპოვებათ ამისათვის“ მან ჰიპასუხა, რომ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა არც ისე ძნელია, როგორც შენა გგონიაო, მით უმეტეს, რომ საქართველოში მცირე ჯარია, რუსეთი, პოლონეთის ომის შემდეგ და ხოლერის გამო, გაჭირვებულ მდგომარეობაშია და არ შეუძლიან ჯარის გამოყვანა საქართველოში რომ რამე მოხდესო, და გარდა მაგისა ჩვენ არ გვჭირია დიდი თადარიგები, როგორც ეს პოლონეთსა ჰქონდა, თვით ბუნების მიერ არის საქართველო გამაგრებული, საჭიროა მხოლოდ გადავღობოთ საქართველოს სამხედრო გზა და მაშინ ჩიტიც ველარ გადმოფრინდება კავკასიის მთებზეო. შემდეგ სიტყვა ჩამოართვეს **ალ. ორბელიანმა, დიმ. ერისთავმა** და **ი. ფალავანდოვმა**...[1]) არტილე-

---

[1]) ერთი სიტყვა არ იკითხება.

რიის, ხაზინისა და მარაგის ხელში ჩაგდება ადვილიაო. ამასთანავე **ფალავანდოვი** ირწმუნებოდა, რომ ის პირველი შემთხვევისათვის გამოიყვანს მხოლოდ ტფილისის ხელოსნებს. ის ისე დაახლოებულია მათთან, რომ არავინ უარს არ ეტყვის. მე მინდოდა ჩამეშალა მათი გეგმები და უთხარი: „ქალაქში მყოფი რუსები საკმარისია იმისათვის, რომ ქართველები დაამარცხონ, ხოლო თუ ისინი ვერ ჩაიგდებენ ხელში აღნიშნულ იარაღებს, და სანოვაგეს, მაშინ რითი ნებავთ იმოქმედონ". **ელიზბარმა,** რომელიც განუსაზღვრელი სიყვარულის გამო ენთუზიაზმით იყო აღსავსე, არა თუ არ მიაქცია ყურადღება ჩემ სიტყვებს, არამედ გაჯავრებით, ბრძანების მსგავსი კილოთი, მითხრა: „თუ შეიძლება ნუ მიშლი, შენ მე მთლად მამასხარავებ მათქმევინე ბოლომდის; რა დაგემართა, ყოველთვის წინააღმდეგს ამბობ. როგორ თუ რით ვიმოქმედოთ. რა კითხვაა ეს: ჯერ ჩემ გლეხებს გავაკეთებინებ თოფის წამალს ჩემი ხელმძღვანელობითაო". დავრწმუნდი, რა რომ ძნელი იყო მათი სწორ გზაზე გამოყვანა, უცხო სახლში მოსალოდნელი უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით, გადავწყვიტე არა თუ საწინააღმდეგო მეთქვა რამე, არამედ სრულებით გავჩუმებულიყავ.

თ. გ. ერისთავი: „ტყუილად ჯავროობ **ელიზბარ,** ასეთი დიდი საქმის შესახებ მსჯელობის დროს დაბრკოლებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული". ამავე დროს დაიყვირა **ვახტანგ ორბელიანმა:** „რას გავს ეს, მხოლოდ **ელიზბარი** ლაპარაკობს და სხვას არავის აძლევს ნებას ნახევარი სიტყვა გამოთქვას. მომისმინეთ, ეგებ მე უკეთესი რჩევა მოგცეთო, მაგრამ **ელიზბარ** და **დიმ. ერისთავებმა** არ დააცადეს ლაპარაკი და უთხრეს: „შენ ძმაო, ჯერ პატარა ბიჭი ხარ, ამ საგანზე მსჯელობა რა შენი საქმეაო". შემდეგ განაგრძო **ელიზბარმა:** „**თ. მუხრანსკი** ამაში ბევრს ხელს გვიშლის". **ფალავანდოვი:** „ტყუილად სწუხარ, **მუხრანსკის** მოშორება ადვილია, მე მინდა მას ზოგიერთი სხვებიც გავაყოლო თან, მაგრამ ვერ გამიბედნია თქმაო" და **ელიზბარს** რაღაც უთხრა ყურში.

ელიზბარი: „როგორ შეიძლება, ის ჩვენთვის საჭიროა, განათლებული კაცია". როდესაც ყველამ მოითხოვეს, რომ **ფალავანდოვმა** თქვას ვისი გამგზავრება უნდა **მუხრანსკისთან** ერთად, მაშინ მან უპასუხა: ჩემი ძმა **ნიკოლოზიო". დიმიტრი:** „მოვკლათ **მუხრანსკი** და"...[1]) **ალექსანდრე, გიორგი** და **ვახტანგი:** „არა, ის რომ მოჰკლათ

---

[1]) ერთი სიტყვა არ იკითხება. ალბად ნიკოლოზ ფალავანდიშვილს გულისხმობდა.

საზოგადოება რას იტყვის, საერთო უკმაყოფილებას გამოიწვევს, შენ არ იცი **ელიზბარ,** როგორ აფასებენ მას თავადები, აზნაურები და განსაკუთრებით კი სომხები. უკანასკნელნი არც ერთ ჭართველს ისე არა სცემენ პატივს, როგორც **მუხრანსკების** გვარს. არა მისი მოკვლა არ შეიძლება". **ფალავანდოვი:** „ციხეში მაინც გავგზავნოთ". **დიმიტრი ერისთავი (ალექსანდრეს, გიორგის და ვახტანგს)** მე გამოვიცან მიზეზი, რატომ არ გინდათ მისი სიკვდილი... იგი ბატონიშვილი **(თეკლა)** გაჯავრდება, **მუხრანსკი** ხომ თქვენი ბიძაა. **ელიზბარ:** „(სიცილით) ნათესაობა რა შუაშია. ის ამ შემთხვევაში სრულად გარეშე საგანია. მამის მოკვლაც შეიძლება უთანხმოების დროს, არა თუ ნათესავებისა" და ღიმილით, რომელიც აღსავსე იყო რაღაც შურისძიების გრძნობით, ყვიროდა, ის აუცილებლად უნდა მოვკლათო. **ფალავანდოვი:** „რათა ხალხს მოვაჩვენოთ, რომ **მუხრანსკი** ჩვეულებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, — შეიძლება იგი მოვწამლოთო. ამ დროს **დიმიტრი ერისთავმა** შეაწყვეტინა ლაპარაკი და მიმართა თავის ძმას: „ამაზე ლაპარაკი მერეც შეიძლება, ეხლა ეს მითხარი რამდენი მომხრე გყავს".—**ელიზბარი:** „რად გინდა ეს, სულერთია რამდენიც უნდა იყოს". **დიმიტრი:**—„მინდა ვიცოდე". **ელიზბარ:** „კარგი ეხლავე გიამბობ, დასწერე" მისცეს **დიმიტრის** ქაღალდი და მელანი. **ალექსანდრე და გიორგი:**—„ახ. რასა შვრებით მაგის დაწერა როგორ შეიძლება". „**დიმიტრი:**—„**არა** უშავს რა ჩვენ მას ეხლავე მოვსპობთ". **ელიზბარი:** „ჩაგვწერე ჩვენ ყველანი". „**დოდაევი** და **მამაცოვი, ჩოლაყაევი** და **ერისთავის** ორივე ძმები". „არა —უპასუხა უკანასკნელმა, ტყუილად ნუ ჩასწერთ ჩემს ძმებს, მე იმათ არ გაუზიარებ". **ელიზბარი** ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე მიმართა **ალექსანდრეს:** „მითხარი შენი ჭირიმე, იქნება კიდევ გახსოვს ვინმე, რა თქმა უნდა ამაზედ უარს არავინ არ იტყვის, მაგრამ ეხლა არავინ მაგონდებაო", **ალექსანდრე:** „ჩასწერე **თ. აბხაზოვი,** ის ხომ პირველი პატრიოტია, რას იტყვი **ელიზბარ,** ხომ დათანხმდება"... **ელიზბარ:** „ის შეიძლება ჩავწეროთ... და კიდევ ვინ მაზრებიდან... ნუ თუ ნათესავებს ვერ მოვიმხრობთ". **ალექსანდრე:**—მაგის ცოდნა ძნელია, ვისთვისაც არ გამოგვიცხადებია, იმის იმედი არ შეიძლება ვიქონიოთ". მათ უნდოდათ განეგრძოთ, მაგრამ იქ შემოვიდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მდივანი ბატონი **ლიზოვსკი,** რის გამოც ლაპარაკი სხვა რამეზე დაიწყეს და ის ქაღალდიც მოსპეს. **ბ. ლიზოვსკი** ჯერ **ალ. ორბელიანოვს** ესაუბრებოდა, შემდეგ მოგვიბრუნდა მე და **ყიფიანოვს** და დაგვიწყო ლაპარაკი ტფილისის გიმნაზიაში შემდგარ აქტის შესახებ და სხვადა-

სხვა საგნებზე. ამ საუბარში თუმცა **ფალავანდოვი, ელიზბარ** და **ალ. ორბელიანი** იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ხშირად გვტოვებდნენ და სხვა ოთახში გადიოდნენ. მალე ვახშამიც მოიტანეს, რომლის შემდეგ ჩვენ დავიშალნენით.

მეორე დღეს მე უამბე **ყიფიანოვს** როგორ შემიტყუილეს **ფალავანდოვთან.** მან მითხლა, რომ დაიჯერებ მეც ეგრე შემთხვევით მოვხვდი იქაო. ჩვენ დავიწყეთ სინანული მათ გაცნობაზე და ვწყევლიდით იმ წუთს, როდესაც **ორბელიანოვები** გავიცანით, ვარჩევდით საშუალებას, თუ როგორ დაგვეხწია თავი ამ საზიანო განზრახვიდან. ამის გარდა ისიც ვთქვით, რომ **ფალავანდოვი** ერთხელ გაქცეული იყო და მასთან ნაცნობობა სახიფათოა. მთავრობა მას ცუდათ შეხედავს, მე ხშირად უმარტავდი მას ამ საქმის ცუდ მხარეებს და ვეუბნებოდი, რომ თუ კი ეს საქართველოს განმანთავისუფლებელნი ეხლავე ასე ბრძანებლობის კილოთი გელაპარაკებიან, რა იქნება მაშინ, მათ რომ გაიმარჯვონ. მაშინ **ყიფიანოვი** მიპასუხებდა ხოლმე: „ჩემო ძმაო, მე სრულიად გეთანხმები, რომ ჩვენ ეგენი მოგვსპობენ.... მარტო **თავ. აბაშიძეები** შესჭამენ **ყიფიანების** საგვარეულოს, რომელთანაც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდენ, ეხლა, მადლობა ღმერთს, ვიღაცას შეგიძლიან მიმართო დახმარებისათვის და მაშინ, ხომ იცი არაკი: **ძლიერებთან ყოველთვის სუსტია დამნაშავე.** მე სიცილით უპასუხე: „კმარა ძმაო“... აზნაურები უწინდებურად დაიწყებენ თავადების სამსახურსაო“. რადგან მათგან თავის დაღწევა ძნელი იყო და ვიცოდით რა რომ ამ თავადებს ყოველთვის შეეძლოთ ჩვენი ზიანი, რათა დაგვემშვიდებია ისინი,—მე და **ყიფიანმა** **მოვილაპარაკეთ,** მათთან შეხვედრის დროს მიგველო მონაწილეობა საერთო საუბარში მხოლოდ გარეგნულად და არ გაგვეწია არავითარი წინააღმდეგობა მათი სურვილებისათვის. ამ დროს ჩემთან მოვიდა მასწავლებელი **დოდაევი,** რომელსაც უამბეთ ყველაფერი, რაც **ფალავანდოვთან** მოხდა. და როდესაც შევჩივლეთ, რომ მათი მოუფიქრებლობა ჩვენ დაგვღუპავს, **დოდაევმა** გვიპასუხა, რომ მან ეს დიდი ხანია იცის, მათ რამოდენიმეჯერ შეხვედრია **ფალავანდოვთან, აფხაზოვთან** და **ჩოლაყაევთან,** მაგრამ აქ საწიში არაფერია, რადგან მათი განზრახვა არ შესრულდება, თუმცა ისინი იკრიბებიან ხოლმე, მაგრამ მათი ბჭობა არაფერ საფუძვლიანს არ შეიცავსო.

ამის შემდეგ მე აღარ ვყოფილვარ არც **აფხაზოვთან,** არც **ჩოლაყაევთან** და თვითონ **ელიზბარი** ადრევე მეუბნებოდა, რომ არ გეწყინოს შენ და **ყიფიანოვი** ყოველთვის ვერ იქნებით ჩვენთან, მხოლოდ ნამდვილი წევრები შეიძლება იყვნენ საბჭოშიო: ე. ი. **ალ. ორ-**

ბელიანი და ძმა მისი **დიმიტრი**, **იასე ფალავანდოვი**, **დოდაევი** და სხვები, რომლებიც იქნებიან არჩეულნი.

ერთ უქმე დღეს სადილის შემდეგ მე და **ყიფიანოვს ქუჩაში** შეგვხვდა **ელ. ერისთავი** და ალბად იმიტომ რომ ჩვენ უფრო მეტად მივეზიდეთ, გვითხრა: „უნდა გახაროთ, მე ველაპარაკე გვარდიის **კაპიტანს ჩოლაყაევსა** და გენერალ-მაიორ **ლუარსაბ ორბელიანს** ჩვენს განზრახვაზე და ისინი დათანხმდნენ. ამის გარდა მე იმედი მაქვს აგრეთვე ჩემი სიძის **ალექსანდრე ჭავჭავაძესი**, რომელთანაც მე უკვე მქონდა ლაპარაკი, მაგრამ კიდევ საჭიროა მასთან მოლაპარაკება. ეხლა ჩვენი საქმე უკეთ იქნება, რაკი ასეთი ხალხი გვყავს, სხვებიც შეიძლება შევიძინოთ“ო.

ამის შემდეგ, როდესაც მე და **ყიფიანოვს** გვიხდებოდა **ვახტანგ ორბელიანის** ნახვა, მასთან უფრო მოურიდებლად ვლაპარაკობდით და ვეუბნებოდით ხოლმე, რომ შეუძლებელია მათი განზრახვის შესრულება და ვარწმუნებდით, რომ თუნდა იგი კიდეც შესრულდეს, მაინც უსარგებლო იქნებოდა, რადგან ნამდვილი საქართველო შესდგება ხუთი პატარა მაზრიდგან, დანარჩენი პროვინციები კი შეძენილია რუსების მიერ და მდგომარეობის ოდნავი ცვლილებების დროს გარს შემორტყმული ხალხები, როგორც არიან: სპარსელები, თურქები და მთიელებიც კი, არა თუ წაგვართმევენ თავის წიწა-წყალს, არამედ თვით საქართველოს დაპყრობას მოინდომებენ და მთლად გაგვწყვეტენ. ამის შემდეგ ნუ თუ საქართველოსათვის უმჯობესი არ არის განათლებული სახელმწიფოს მფაოველობის ქვეშ ყოფნა, ვიდრე გაუნათლებელი ბარბაროსებისა და ქრისტიანების მტრების მონობა, რომლებიც შეეცდებიან ჩვენი ოჯახური სიმშვიდეც კი დაარღვიონ, რაც უკვე დამტკიცებულია ქართული მართველობის დროს.

თ. ვახტანგ ორბელიანი — მე თქვენ გეთანხმებით სავსებით და თვითონაც კი დარწმუნებული ვარ, რომ არ შესრულდება ჩვენი **განზრახვა**, მაგრამ რა ვქნა, გამოგიტყდებით, რომ **ელიზბარისა** მეშინიან, წცირე წინააღმდეგობაც რომ გაუწიო, ყველგან გამაშავებს და შემარცხვენს, ამიტომ იძულებული ვარ ბრმად დავემორჩილო მას იქამდის, ვიდრე თავისი ნებით აიღებდეს ხელს თავის განზრახვაზე, არაფრით არ შეიძლება მისი დარწმუნება, რომ სცდება, როდესაც ასე მსუბუქად ფიქრობს ასეთ დიდ საქმეზე. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არა ჭეშმარიტი სიტყვარული აიძულებს **ელიზბარს** ასე მოიქცეს, არამედ სურვილი მისი, რომ ისტორიაში მოჰყვეს

როგორც ცნობილი პიროვნება, ის პატივმოყვარეა უსაზღვროდ, თვით ჩემი ძმა **ალექსანდრე** ნანობს, რომ **ელიზბარს** მიემხრო"-ო.

მგონია ნოემბრის დამდეგს **ვახტანგი** მოვიდა **ყიფიანოვთან** სახლში, რომელთანაც ერთად მე გერმანულს ვმეცადინეობდი, და გვთხოვა გაკვეთილის შემდეგ მასთან მივსულიყავით და დაუმატა, რომ მისი ძმა **დიმიტრი** ჩამოვიდა პეტერბურგიდან, რომელსაც გაგვაცნობს; გამოგვეთხოვა და წავიდა. გერმანული გაკვეთილის შემდეგ მე და **ყიფიანოვი** მივედით **ვახტანგთან.** იქ იყვნენ თავადები: გვარდიის კაპიტანი **ზაქარია ჩოლაყაევი, ელიზბარ, დიმიტრი** და **კორნეტი**[1]) **ერისთავები, ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანები,** მასწავლებელი **დოდაევი** და თარჯიმანი **იოსებ მამაცოვი.** იქ **რომ** მივედით **დიმ. ერისთავმა** და **მამაცაშვილმა** მითხრეს, რომ ორჯერ იყვნენ ჩემთან, მაგრამ სახლში არ დავხვდი—მე ბოდიში მოვიხადე, **რომ ყიფიანოვთან** ვიყავი მეთქი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენთან შემოვიდა პეტერბურგიდან მოსული გვარდიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი ორბელიანოვი,** რომელიც მე და **ყოფიანოვს ვახტანგმა** მაშინათვე გაგვაცნო. აქ მათ ილაპარაკეს თანხების შოვაზე თავიანთი განზრახვის საჩქაროდ სისრულეში მოსაყვანად. **ბ. მამაცოვმა** უთხრა მათ, რომ მათი ფიქრი ნაადრევია, შეეცადა ხელი აეღებინა ამ აზრზე, მაგრამ დაინახა რა, რომ მას ყურს არავინ უგდებს, გაჩუმდა. **ელიზბარი** აჯანყების დღესაც კი ნიშნავდა და მოითხოვდა, რომ უსათუოდ ნოემბრის 20-ს მომხდარიყო, მაგრამ როცა სხვებმა უთხრეს, რომ მოხერხებული შემთხვევის გარეშე ეს შეუძლებელია, მაშინ **ელიზბარმა** იყვირა-არა არ ღირს გადადება, ეხლა ყველაზე უკეთესი დრო არის, ვიდრე ბარონი[2]) აქ არ არის დიდი წარმატებით შეიძლება ვიმოქმედოთ, შემდეგში მოჰყვება რუსეთის ომი საფრანგეთთან, მაშინ რუსებს საკუთარი საზღვრების დაცვა დასჭირდებათ და ჩვენთან გამკლავებას ველარ მოახერხებენ"-ო. ამასთანავე დაუმატა: „მე მთელ ქართლს უდგები თავდებად, **სოლომონ ივანეს** ძე[3]) კი, კახეთსა"-ო „დიახ, დიახ, უპასუხა **დოდაევმა**", საკმარისია ერთი სიტყვა და მთელი კახეთი აქ გაჩნდებაო". **ალექსანდრე** კი ამბობდა, რომ მას ტფილისში 2000 კაცის გამოყვანა შეუძლია. ამასთანავე მან მოაგონა **ელიზბარს** რომელიღაც მოლა, რომლის სახელიც არ მახსოვს და რომელსაც ვითომც დიდი კავშირი აქვს (ბორჩალოს) დისტანციის მცხოვრებლებთან და შეუძლიან ბევრი ხალხის

---

[1]) **გიორგი რევაზიხ-ძე**
[2]) **როზენი.**
[3]) **დოდოშვილი.**

გამოყვანა. **თ. ზაქარია ჩოლაყაევი** მართალია იღებდა მონაწილეობას საუბარში და ქაღალდზე ფანქრით აღნიშნავდა საქართველოში ჯარის სამყოფელ ადგილებს, ნარტავდა რა იმ სარგებლობას ანუ ზიანს, რომელიც შეიძლებოდა მოყოლოდა აჯანყებას, ამბობდა, რომ ის იყო პოლონეთზე ლაშქრობაში (რისთვისაც პოლკოვნიკად არის წარდგენილი), ყველაფერს კარგად დააკვირდა, რომ პოლონეთმა, რომელიც დიდი მომზადებული იყო, ვერ შესძლო ჩამოსცილებოდა რუსეთს და ნით უმეტეს ჩვენთვის არის ძნელი ამაზე ფიქრიო. მან თქვა აგრეთვე: „ბატონებო, მე მზად ვარ თქვენთან ერთად მოვკვდე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ წავაგებთ; უნდა დავიცადოთო". მაგრამ **ელიზბარი** ცდილობდა უარეყო ყველა დაბრკოლება და ირწმუნებიდა, რომ საკმარისია მხოლოდ დავიწყოთ, მერე ვაცნობებთ **ალექსანდრე ბატონიშვილს,** რომელიც მაშინათვე შეკრებს ქურთებს და მოვლენ ჩვენს დასახმარებლად" „მართალია, მართალი" გააწყვეტინა **ალ. ორბელიანმა.** „მე იმას რამოდენიმეჯერ მივწერე. ის უარს არ იტყვის, დიდი ხანია მას ეს სწადიან" შემდეგ გავგზავნით ხალხს მაზრებში, რომ იმათაც ჩვენ მოგვბაძონ-ო. აქვე ილაპარაკეს, რომ: რათა ხალხი აამხედრონ მთავრობის წინააღმდეგ, ამისთვის საჭიროა პირველი შემთხვევისათვის პროკლამაციის შედგენა, იმ შინაარსით, რომ ვითომც რუსის მთავრობას სურს შეკრიბოს საქართველოში ჯარის კაცები და შემოიღოს მილიცია... (...«что будто русское правительство желает набрать из Грузии рекрут и учредить милицию). **ალექსანდრემ** და **ელიზბარმა** უჩვენეს ჩვენზე: „აი **დოდაევმა, მამაცოვმა, ყიფიანოვმა** და **ავთანდილოვმა** გამოიჩინონ მთელი თავისი ცოდნა პროკლამაციაში, რომელიც უნდა გაეგზავნოს საქართველოს მოსახლეობას". ამის გარდა ფიქრობდნენ ღამე დასცემოდნენ რუსებს, განეიარაღებიათ ჯარი, ჩაგედოთ ხელში ხაზინა, არსენალი და მაღაზია,[1]) მეორე დღეს უნდა დაეარსებიათ საბჭო და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ საქართველოს მართველობა ჩაებარებიათ იმ ცნობილ თავადებისათვის, რომლებსაც საზოგადოება ამის ღირსად იცნობდა.

ელიზბარი: „ნუ თუ ამის შემდეგაც არ შემოგვიერთდებიან.... გარწმუნებთ, რომ პირველ მოწინააღმდეგეს, რომელიც კი შემომეყრება, გულში ხანჯალს გაუყრი". ბოლოს რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ **ალექსანდრემ თქვა:** „გარწმუნებ **ელიზბარ,** რომ ოცისთვის ვერ მოვასწრებთ; უნდა დაუცადოთ თავადებს, რომლებიც

---

[1]) საპრიკვიანტო საწყობი,

უთუოდ შეიკრიბებიან არჩევნებზე, მართალია მე კახელებს ბევრს ვიცნობ, მაგრამ სხვებთანაც უნდა გავაბათ ნაცნობობა, შევიძლიოთ მათი მეგობრობა და მერე ვიფიქროთ ამაზე“-ო **ელიზბარი**: „ხომ იცი ჩვენს თანამემამულეებზე როგორ მოქმედობს პურ-მარილი, ისინი უნდა დავპატიჟოთ ხოლმე, მაგრამ ამას გთხოვთ ნუ გადავდებთ; მეშინიან ზოგიერთს მამულისადმი სიყვარული არ დაეკარგოს“.

მალე ვავახშმეთ და დავიშალენით. ვახშამზე **დოდაევმა** უთხრა მათ: „თუ თქვენ არ შეასრულებთ თქვენს განზრახვას, მე ერთს შემიძლიან ყველაფერი ეს მოვახდინო და მაშინ სირცხვილი თქვენ თავადებსაო“. მე, **ყიფიანოვი და მამაცოვი** ერთად გამოვედით **ორბელიანთაგან.** ცოტა ხანს გავჩერდით ქუჩაზე და **მამაცოვმა** თქვა: ეგენი გაგიჟებულან, ჩვენ რუსებს როგორ გაუმკლავდებით, პოლონეთი ცოცხალი მაგალითი გვაქვს. დეე მათ რაც უნდა იფიქრონ და მე კი არა ვარ თანახმა“-ო. მაშინ ჩვენ უპასუხეთ მას: „ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობთ ამაზე მაგრამ შენთვის თქმას ვერა ვბედავდით. ჩვენ ყველას თითო თავი გვაქვს და ვინ შესწირავს თავს ამ ფუქსავატ განზრახვას; ჩვენ დაღუპვა არა გვსურს“: რამოდენიმე დღის შემდეგ გვითხრა მე და **ყიფიანოვს დოდაევმა**, რომ **ელიზბარი** ჩვენით უკმაყოფილოა, მხდალებს გვიწოდებს და ამბობს, რომ ჩვენ არავითარ იმედს არ ვიძლევით იმისთვის, რომ მათ ამ განზრახვაში რამე დახმარებას გაუწევთ და კიდევაც ნანობს, რომ ჩვენ ეს საიდუმლო გაგვიმჟღავნა. შემდეგ ხანებში მე შევნიშნე დიდი ცვლილება **ელიზბარის** ლაპარაკში, რომელიც სინანულს ძლიერ წააგავდა. მან მე გადაჭრით გამომიცხადა, რომ მისი ჰაერის კოშკები მთლად დაიმსხვრა, ამბობდა, რომ **თ. ჭავჭავაძემ** იხსნა იგი ამ შეცდომისაგან ყველა მოსალოდნელ წინააღმდეგობათა აღწერით. ამბობდა, რომ ის თვითონ ახლა სავსებით გრძნობს თავის შეცდომებს, იმდენად საფუძვლიანი უარყოფა მოისმინა **ჭავჭავაჭისაგან**, რომ იგი იძულებული იყო დათანხმებულიყო, და უწინაც გამოგონია **ელიზბრისა** და **დიმიტრისაგან**, რომ მათ განზრახვას დასაბამი მისცეს ბატონიშვილებმა **დიმიტრიმ** და **ოქროპირმა**, რომლებთანაც ისინი მიწერ-მოწერას აწარმოებენ; ამასთანავე ისეთი საიდუმლოება აქვთ, რომ თუნდაც ვინმე ხელში ჩაიგდოს მათი წერილები, მათი მთავარი შინაარსი მისთვის გაუგებარი დარჩება. გარდა ამისა **ალექსანდრე ელიზბარი** და **დოდაევი** მეუბნებოდნენ, რომ **ოქროპირ ბატონიშვილის** ტფილისში ყოფნის დროს ისინი მასთან ხშირად დაიარებოდნენ.

საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე მაქვს პატივი განვაცხადო,

რომ თ. **ალექსანდრე ორბელიანმა**, მგონია ამა წლის გაზაფხულზე, საუბრის დროს თქვა, ვითომც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა სტატსკი სოვეტნიკმა **ზავილეისკიმ** უთხრა მას, რომ ქართველები აქამდის არა გრძნობენ შევიწროებას, რომელსაც ისინი მთავრობისაგან განიცდიანო.

მასწავლებელი **ავთანდილოვი**".

სოლომონ დოდაშვილის განცხადება (1,71).

„კომისიის წინაშე ვაცხადებ შემდეგს: მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები ერთგული ქვეშევრდომი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა, ყოველთვის ვცდილობდი ხელი შემეწყო მთავრობის მიზნებისთვის. განკარგულებათა, შესახებ, რომლებიც მე გამომეცხადა[1]), არაფერი არ გამიგონია, არც წამიკითხავს და არც მინახავს. ჩემი განზრახვა, რომ შემეგროვებია ფული და შემეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა. გამოუცხადე ბიბლიოთეკარ **კოტოვს**, აგრეთვე გიმნაზიის დირექტორს **გრუბერს**, ვფიცავ ღმერთსა და ყველა წმინდანებს, რომ მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები სულითა და გულით ერთგული რუსეთის ტახტისა, არასოდეს არ მიმოქმედნია მთავრობის წინააღმდეგ, თუ ვინმე მაბეზღებს, ალბად თვითონ ყოფილა წინააღმდეგი აზრისა. ვმსახურობდი კეთილ სინდისიერად და კეთილშობილად, შემიბრალეთ მეც და ჩემი ცოლშვილიც, მომეცით საშუალება განვაგრძო სამსახური და კეთილ ინებეთ დამიჯეროთ.

1832 წლის დეკემბრის 13 დღეს.

გიმნაზიის მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი**.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის პირველი ჩვენება. (1,75-80)[2]).

„მე ჩამოვედი აქ[3]) ოთხი თვით შვებულებაში ჯანმრთელობის გამოსწორების მიზნით; ამასთანავე მსურდა შემეკრიბეგინა ერთი მეორესთან ჩემი ძმები, არ მახსოვს აგვისტოს თვის რომელ რიცხვში შევიარე მასწავლ. **დოდაევთან**, რომელთანაც იყო აგრეთვე ი. **ფალავანდოვი** და შემდეგ მოვიდა თ. **აბხაზოვი ანტონი**, მის შემდეგ მოვიდნენ აგრეთვე თავადები: **ალ. ორბელიანოვი**, მისი ძმა **ვახტანგ ორბელიანოვი** და **ელ. ერისთოვი**; აქედან წავედით კოლონიაში[4]), იქიდან კი ჩაიზე **ელ. ერისთოვთან**, სადაც არ მახსოვს რაღაზედაც ვილაპარაკეთ. ამის შემდეგ მესამე თუ მეოთხე დღეს მიგვიწვია სადილზე **ანტ. აფხაზოვმა დოდაევის** სახლში. აქ პირველად ელაპა-

[1]) ლაპარაკია პირველი ღამის განკარგულებაზე.

[2]) მიღებულია კომისიაში დეკემბრის 14-ს 1832 წ.

[3]) რუსეთიდან—პეტერბურგიდან იყო ჩამოსული.

[4]) იგულისხმება გერმანელების ახალშენი.

რაკა **ელიზბარი** გადატრიალების შესახებ **აბხაზოვს**, რომელიც პირველად არ ეთანხმებოდა და ეუბნებოდა, რომ არაფერი არ გამოვა, რომ ეს სისულელეა, მაგრამ მერე, რამდენადაც მახსოვს, ეძებდა საშუალებას, თუ დაგვიჭერდენ, როგორ უნდა გვეხსნა თავი. ამ დროს იქ იყვნენ: **თ. ი. ფალავანდოვი, ალექსანდრე და მისი ძმა ვასტანგ ორბელიანები, ი. აბხაზოვი, თ. ელიზბარ ერისთოვი, დოდაევი** და მე. მგონია **ალ. ორბელიანმა** მოითხოვა ფიცი, რომ არავისთვის არ გველაპარაკნა ამ საქმეზე. ამის შემდეგ არ მახსოვს როდის ვივახშმეთ. **ი. ფალავანდოვთან**, სადაც იყვნენ: **ელიზბარი და დიმიტრი ერისთავები, ალექსანდრე** და ძმა მისი **ვახტანგი ორბელიანები**, მასწავლებელი **ყიფიანოვი** და **ავთანდილოვი** და ჩინოვნიკი **მამაცოვი**,—აქაც იმაზე იყო ლაპარაკი, რაც ზევით მოვიხსენიე; ამასთანავე იყო ნათქვამი, რომ ყველა იქ დამსწრესთან შეიძლებოდა გულახდილად ლაპარაკი, რომ მათ ეს შარშანვე იცოდნენ; მაგრამ როდის უნდა ყოილიყო სისრულეში მოყვანილი-დრო, არ ყოფილა დანიშნული. ჩემი სოფელში ყოფნის დროს გავიგე, რომ რაღაც შეკრება ყოფილა **ბეზირგანოვის** საყავეში. სოფლიდან რომ ჩამოვედი **ალ. ორბელიანთან** ვნახე მისი ძმები **ვახტანგ** და **დიმიტრი** (ეს უკანასკნელი რუსეთიდან ჩამოსული) **თ. ელიზბარი** და მისი ძმა **დიმიტრი ერისთოვები**, კაპიტ. **ზაქარია ჩოლოყაევი**, მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი, ავთანდილაშვილი, ყიფიანოვი** და ჩინოვნიკი **მამაცოვი**. კაპიტ. **ჩოლაყაევმა** მომაგონა ჩემი საქმეები და დედა, რომელიც მოუთმენლად მელის. არ მახსოვს ამ დროს **ალექსანდრე ორბელიანის** ნათქვამი, მაგრამ მახსოვს, რომ **დოდაევმა** თქვა, რომ ის თავდებად უდგება მთელ სიღნაღის მაზრას. **თ. ჩოლაყაევმა** იკითხა რამდენია ჯარი აქ. არ მახსოვს ვინ უპასუხა, რომ ჯარი აქ ძალიან ცოტა არისო. მე მგონია იმათ ნამდვილად არ იცოდნენ ჯარის რაოდენობა, ფიქრობდნენ მხოლოდ, რომ ნაწილი ჯარისა დალისტანში იმყოფებოდა. თქვეს აგრეთვე, რომ ხალხი ჩვენით უკმაყოფილოა, საშველს არ გვაძლევენ და რომ ისინი პირველივე შემთხვევისთანავე მზად არიან ამხედრდენ რუსების წინააღმდეგ. ამ დროს შემოვიდა **თ. დიმიტრი ორბელიანი**, რომელიც ჩემ აქ არ ყოფნის დროს გასცნობოდა ამ კრებულს. **თ. ჩოლაყაევი** ამბობდა, რომ ძალიან ძნელია რუსის ჯართან ბრძოლა, ჯარის ერთ ფსეულ კაცების მთელი საქართველო ვერ გაუმაგრდებაო, რაზედაც მე ყოველთვის ვეთანხმებოდი. ზოგიერთები კი უპასუხებდნენ, რომ მათ არ უნდა მივცეთ შეკრების საშუალებაო, და ტფილისში, რომ ერთი თოფი გავარდეს, მთელი საქართველო ფეხზე დადგებაო.

ამის შემდეგ სხვები წავიდნენ და დავრჩით: **თ. ალექსანდრე** და **ვახტანგ** და **დიმიტრი ორბელიანოვები, თ. ჩოლაყაშვილი** და მე. **აქ ჩოლაყაშვილმა** თქვა, რომ არაფერი არ ვამოვა ამათ ვის გადავეყარეთო, მე და **დიმიტრიმ** კი ვთქვით, რომ უსათუოდ დავიღუპებით თუ ამ საქმეზე ხელი არ ავიღეთო. და ხშირად უთქვამს სამივე ძმა **ორბელიანოვებისათვის თ. ჩოლაყაშვილს,** რომ საშინელ სისულელეს მოვკიდეთ ხელი, რომელიც არაფერს არ ჰგავს და არავითარი აზრი არ აქვსო.

ამის შემდეგ არ ვიცი ვისთან შევიკრიბენით და ვიღამაც თქვა, რომ: „ამ საქმის ასე გაკეთება არ შეიძლება თუ არ გამოუცხადეთ **თ. მუხრანსკის, თ. ერისთავს, ჭავჭავაძეს, სავარსამიძეს** და სხვა წარჩინებულ პირებსაო", რაზედაც მე თანხმა გავხდი, რომ უიმითოდ საქმე არ გაკეთდებოდა. აქ **ი. ფალავანდოვმა,** არ მახსოვს კიდევ ვიღაცამ, თქვეს რომ **თ. მუხრანსკი** და მისი ძმა სამოქალაქო გუბერნატორი **ფ. ფალავანდოვი,** თანახმა არ შეიქნებიანო, ამიტომ მათთვის არაფრის წინასწარ თქმა არ შეიძლება, შემდეგში კი ისინი ყველანი უნდა ამოვხოცოთო, რაზედაც მე, **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანები** არ დავეთანხმეთ; ამაზე დავიშალენით. ამ კრებაზე იყვნენ: **თ. ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავები, ალექსანდრე** და **ვახტანგი ორბელიანები, ყიფიანოვი, ავთანდილოვი** და მე; არ მახსოვს იყვნენ თუ არა იქ: **დოდაევი, ჩოლაყაშვილი** და **მამაცოვი.** ეს იყო **ი. ფალვანდოვის სახლში.** სხვათა შორის ერთხელ ჩემთან მოვიდნენ **ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავები** და წამიყვანეს **ტარასი ბერთან,** რომელსაც **ელიზბარმა** გამოუცხადა ჩვენი ეს განზრახვა და რჩევა სთხოვა, მან უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არ არის, რომ ეს სისულელეა, რომ საჭიროა ჰკითხოს უფროს ხალხს და უიმათოდ ნურაფერს გავაკეთებთ. ჩემი სოფელში ყოფნის ხანს არვიცი აქ რა ხდებოდა, იქიდან რომ დავბრუნდი შევიარე **ი. ფალავანდოვთან,** რომელმაც მითხრა, რომ საქმე დაიწყება ნოემბრის 15 და 20 შუა, იმ მიზეზის გამო—როგორც მახსოვს, რომ ჯარი დაღესტანში იმყოფებოდა. მეორე დღეს მიველ **ჩოლაყაშვილთან** და ერთად გადავწყვიტეთ, რომ უსათუოდ უნდა ბოლო მოუღოთ ამ საქმეს და მასზედ საბოლოოდ ავიღოთ ხელი. საღამოთი **ჩოლაყაშვილი** მოვიდა **ალ. ორბელიანთან,** სადაც იყო აგრეთვე **ვახტანგი ორბელიანი.** იქვე მოვიდა **დიმიტრი ერისთავი,** რომელმაც თქვა: „ბატონებო, თუ გათავება გინდათ, გაათავეთ ეს საქმე და მეტს ნულარ ვიფიქრებთ მაგაზე-ო", ჩვენ უპასუხეთ, რომ უნდა გავათავოთ და ის წავიდა.

შემდეგ **იასე ფალავანდოვი** ელაპარაკა თავის განზრახვაზე **თ. ლუარსაბ ორბელიანს** და მითხრა, რომ **ის (ლუარ. ორბელიანი)** მოელაპარაკება **ალ. ჭავჭავაძეს**, მაგრამ **ლუარსაბს** ურთიერთობა ექნება მხოლოდ **თ. ჩოლაყაშვილთან, ერისთავთან** და თვით **ფალავანდოვთან**. სხვათა შორის მე მათ უთხარი, რომ ჩემი რჩევაა მათ ამ საქმეს თავი დაანებონ, რადგან ჩვენ თითონ არაფერს წარმოვადგენთ და ის ხალხი კი, რომელსაც ხმა აქვთ, არ დათანხმდებიან მეთქი, რომ მე მოსული კაცი ვარ, არავის ვიცნობ და მე არ შეძიძლიან მათ რამე დახმარება გაუწიო. მაგრამ თუ იმედი გაქვთ, რომ უფროსებს დაიყოლიებთ, მაშინ ნუღარ აყოვნებთ და სწრაფად იმოქმედეთ მეთქი. შემდეგ **ლუარსაბ ორბელიანმა** თქვა, რომ მას ჰქონდა საუბარი გენერალ **ჭავჭავაძესთან** და მას სურს **ჩოლაყაევთან** მოლაპარაკებაო. მგონია 24 ნოემბერს, არ მახსოვს სად იყო, **ელიზბარმა** თქვა, რომ აზრად აქვს დასწეროს თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს მართველობა. მეორე დღეს როგორც მახსოვს მოვიდა ჩემთან **ელიზბარ ერისთავი** და მითხრა: „ჩემო მეგობარო, მე გიკარნახებ და შენ დაწერე"-ო. **თ. ერისთავმა** მიკარნახა და მე დავწერე შემდგომი (Написал сие предложение) ვფიქრობდი რა, რომ ყველა წარჩინებული ხალხი თანახმა იქნებოდნენ:

„2 სამთავრობო (სამართველო) ადგილი იყო ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ პირველი პირი თვით მეფე, რომელსაც **ალექსანდრე ბატონიშვილს** გულისხმობდნენ, 2-ე სამხედრო მინისტრი **ჭავჭავაძე**, 3-ე იუსტიციის მინისტრი **თ. მუხრან ბატონი**, 4-ე ფინანსთა მინისტრი **თ. ფალავანდიშვილი**, 5-ე შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი **ჭილაშვილი**, 6-ე საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალი **თ. ბუბუთაშვილი**. ქვედა სამართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდა განეხილათ".

ეს რომ გავათავე **ელიზბარმა** მითხრა შეინახეო და მეორე დღეს სალამოს მითხრა, სია არ დაგავიწყდესო, რომ **ლუარსაბ ორბელიანს** ვაჩვენოთო, რაც კიდეევაც შევასრულეთ. **თ. ლუარსაბ და ალექსანდრე ორბელიანოვების, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების. ი. ფალავანდოვის, ჩოლაყაშვილის** და ჩემი თანდასწრებით წაკითხულ იქნა **იასეს** მიერ პირველი ღამის განკარგულება, რომელიც არ ვიცი ვისგან და როდის იყო შეთხზულ-დაწერილი; სწორედ ისეთი, როგორც მე კომისიაში წამიკითხეს. ამ კრებაზე არ მახსოვს ვიღაცამ თქვა **ალექსანდრე ბატონიშვილი** უნდა გამოვიწვიოთო და ეს მისი გამოწვევა **ალ. ორბელიანს** მიენდო, მე-3 თუ 4 დღეს

თ. ალ. ჭავჭავაძემ დაიბარა თ. ლ. ორბელიანი, თ. ჩოლაყაშვილი, ელ. ერისთავი რომელთაც თურმე უთხრა (როგორც მათ გადმომცეს), რომ ეს სისულელეა, თუმცა ჩვენ მოვახერხებთ რუსების გარეკვას, მაგრამ ნათ მაგიერ სხვები შემოგვესევიან, ამას თქვენ მხედველობიდან უშვებთო, მე ეს შარშანაც ვიცოდი, მაგრამ არასოდეს ამაზე თანახმა არ შევიქმნებიო და იმედია თქვენც ხელს აიღებთო. ამ ამბის წინ ცელაპარაკე ლევან ერისთავს, რომ აი ამათ ამისა და ამის გაკეთება სურთ მეთქი, ე. ი. განზრახვა გამოუცხადე. ის შეეყოყმანდა და მითხრა, რომ ჩვენ წარჩინებულ პირთა დახმარების გარეშე ვერაფერს გავაკეთებთო. მაგრამ თუ კი ისინი თანხმა შეიქნებიან მაშინ მე მყავს იმერეთში ნათესავები და ისინი ყველანი დამეხმარებიანო. სხვათა შორის ის და ივანე მიხეილის ძე ერისთავი ამ ამბის გაგებისთანავე ოჯახის საქმეების გამო, გაემგზავრენ სოფელში. ჩემ ძმა ბიძინას უნდა გამოეცხადებინა ეს საქმე მუხრანსკისათვის, მაგრამ არ გამოუცხადებია, რადგან ელოდა, რომ ჭავჭავაძე გამოუცხადებსო. სხვათა შორის გაიგეს თუ არა ალ. ჭავჭავაძის ნათქვანი, ყველა ამბობდა, რომ ამაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთო.

დეკემბრის 3-ს თ. ალ. ორბეიანი, ჩოლაყაშვილი, ჩემი ძმა ბიძინა და მე მივედით თ. ფალავანდოვთან. ჩემ ძმამ და ფალავანდოვმა მგონია აგრე თქვეს, რომ მათ იცოდენ, რომ ალ. ჭავჭავაძე არ დათანხმდებოდა და სთხოვეს ფალავანდოვს, რომ გაეგო ლ. ორბელიანის აზრი.

დეკემბრის 5-ს თ. ალ. ორბელიანი, თ. ჩოლაყაშვილი და მე ვიყავით თ. ფალავანდოვთან, სადაც ალ. ორბელიანმა თქვა, რომ ალ. ჭავჭავაძეს პასუხზე ადრე იყო მასთან მოლა ზამანი და აცნობა, რომ მოვიდნენ თათრები, რომელთაც მზად ჰყავთ რამდენიმე ასეული ადამიანი; რომ მან (ალექსანდრემ) მათ მისცა ფული და გაისტუმრა, ისე რომ მათთვის არაფერი არ უთქვამს; ყოველ შემთხვევაში მე ასე მახსოვს,—მას ჩემთვის არაფერი უთქვამს.

ყველა ამის შემდეგ, მგონია დეკემბრის 6-ს, შენხვდა ანტონ აფხაზოვი და მკითხა როგორ არის საქმეო... „ხომ მართალია რომ სისულელეს მოჰკიდეთ ხელი-“ ო. მე უპასუხე, რომ ეს მართლაც სისულელე იყო და რომ მე მაზედ ფიქრს დავანებე თავი.

ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი და კავალერი ერისთავი“. დეკემბრის 14. 1832 წ.

„ამასთანავე ვაცხადებ აგრეთვე, რომ არ მახსოვს სად, მგონია ი. ფალავანდოვთან, თქვა ალ. ორბელიანმა ვითომც ოსმალეთიდან ვილაც თათარს მიეწეროს ყაზახში თუ ბორჩალოში ვილაც ეიბ-ოლ-

ზაალ ავთანდილაშვილი

ლისთვის (როგორც მახსოვს თათარ მოხელისთვის), რომ მას **ალ. ორ-ბელიანოვს მოლა ზამანი** გაუგზავნია **ალ. ბატონიშვილთან**.

ლ. გ. გუსართა პოლკის **კორნეტი კ. ერისთოვი**". 14).

„მაგონდება აგრეთვე, რომ ჩემი პეტერბურგში ყოფნის დროს გამიგონია ბატონიშვილების ნატვრა დაბრუნებულიყვნენ საქართველოში მთავრობის ნებართვით, მომისმენია მსჯელობა, რომ საქართველოს არასოდეს არ შეუძლიან იყოს დამოუკიდებელი სხვა და სხვა მიზეზთა გამო. ამასთანავე **ელ. ერისთოვს** უთქვამს ჩემთვის, რომ მას აქვს მიმოწერა **დიმ. ბატონიშვილთან** რაღაც ამოჭრილი ქაღალდით, რომელიც არ უჩვენებია. როდესაც კაპ. **თ. ჩოლაყაევმა** გვი საყვედურა, რომ ჩვენ პეტერბურგში მას ვერიდებოდით, მე უპასუხე, რომ ის თვითონ არასოდეს არ იწყებდა ამაზე ლაპარაკს და ამიტომ ჩვენც დაწვრილებით საუბარს ვერიდებოდით.

ლ.გ. გუსარათ პოლკ კორნეტი **კ. ერისთავი**[1]).

1832 წ. დეკემბრის 20.

გ. რ. ძე ერისთავის მეორე ჩვენება (1,85-87).[2])

„მე რომ ჩამოვედი, არ მახსოვს სად, ბაგრამ ვგონებ **ალ. ორბელიანოვის** სახლში, გამომიცხადეს **ალ. ორბელიანოვმა ელ. ერისთავმა** რომ მათ წარსულ წლებში ჰქონდათ ეს განზრახვა, მაგრამ ხელი აიღეს მასზე ვარშავის აღების გამო[3]). ერთ-ერთ ჩვენს კრებაზე, სახელდობრ როცა ილაპარაკეს ზოგიერთ პირების მოკვლაზე, ჩამოთვალეს აგრეთვე ის პირნი, რომლებთანაც ეს განზრახვა ნალაპარაკევი ჰქონდათ: გენერალი **თ. ჭავჭავაძე, ლ. ორბელიანოვი, ასლან ორბელიანოვი, მამუკა, სოვეტნიკი ალექსანდრე, ყოფ. პორუტჩიკი ალექსანდრე, ქართული გრენადერთა პოლკის გრიგოლ, ორბელიანოვები: თ. შალვა და ბიძინა ერისთოვები; თ. თეიმურაზ და ბეჟან ამილახვაროვები, თ. ივანე და სიმონ მაჩაბელოვები, თ. ესტატე თარხანოვი** (არ მახსოვს **თარხანოვებიდან** კიდევ ვინ იყო), **ლ. ორ-ბელიანოვის** დისწული **თ. ჯავახოვი, რუსიშვილი, თ. ჯორჯაძე, თადია ჩოლაყაევი, თ. აბელ ანდრონიკოვი** თავისი **შვილებით, ნინია ანდრონიკოვი** და **პოლკოვნიკი ივანე ანდრონიკოვი. ამათაგან** მე პირადად ვიცნობდი მხოლოდ **თ. ლუარსაბ** და **სოვეტნიკ ორბელიანთ, ბიძინა ერისთოვს,** რომელიც აგრეთვე ამბობდა, **რომ ამ საქმის** დაწყებით ჩვენ დავიღუპეთ, **თადია ჩოლაყაევს,** რომელიც აგრეთვე გვიჩრევდა ხელი აგველო.

---

[1]) წაკითხულია 1832 წ. დეკემბრის 29-ს.

[2]) მიღებულია დეკემბრის 15-ს,

[3]) რიგორც ვიცით შეთქმულნი თავის **მოქმედებას** დიდად **უკავშირებდნენ პოლონეთის** აჯანყებას.

საქართველოში ჩამოსვლამდე მე პირადად არაფერი გამიგონია შეთქმულების თაობაზე. მაგრამ მოსკოვში რომ გამოვიარე **ოქროპირ ბატონიშვილმა,** როგორც მახსოვს, მითხრა რომ ის ძალიან წუხს ქართველებზე, რომ ისინი ასე დაჩაგრული არიან, და რომ ტფილისში ყოფნის დროს მან ურჩია ქართველებს, რათა მათ გაიუმჯობესონ თავისი მდგომარეობა მეტი განათლების შეძენით.

მახსოვს აგრეთვე **დოდაევმა** სადღაც თქვა, რომ მარშალი **დიმიტრი ორბელიანოვი** თითქმის თანახმაა. ამის გარდა **თ. ჩოლაყაევი** ამბობდა, რომ თუ ჩვენ დაგვიჭირეს, მე ვიტყვი, რომ ეს საქმე **ოქროპირ ბატონიშვილის** ტფილისში ყოფნის დროს დაიწყო.

ზოგიერთების გატაცების შემხვედრე, მეც გამიტაცა ამ განზრახვამ, მაგრამ იმ მიზნით, რომ მეკითხა ყველა დიდი ხალხისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ნე არასოდეს თანახმა არ შევიქნებოდი. მაგრამ მაინც ვხედავდი, რომ ეს სისულელე და ქიმერა იყო. ვთვლი ჩემს თავს სასჯელის ღირსად, მაგრამ ჩემს ბედს გადავცემ ყოვლად მოწყალე ჩვენი მონარქის ხელთ და ვიმოდევნებ, რომ ის მომცემს დროსა და შემთხვევას ჩამოვირეცხო ეს ლაქა რომელიც ჩემთვის მეტად მძიმეა.

ლ.გ. გუსართა პოლკის კორნეტი კავალერი **თ. ერისთოვი.**

დეკემბრის 15

1832 წ.

„მაგონდება კიდევ: კომპანიიდან[1]) რომ დავბრუნდი პეტერბურგში, **ფარნაოზ ბატონიშვილის** სახლში ქართველთა შორის გავიგონე (არ მახსოვს ვისგან), რომ ტფილისში იყო შეთქმულება, რაც მე არა მჯეროდა და ვკითხე **დიმიტრი ბატონიშვილს** მართალია თუარა მეთქი. მან მიპასუხა, რომ არც იმას სჯერა. თქვა თუ არა როდისმე **ელიზბარ ერისთოვმა** ამის შესახებ, **დიმიტრი,** და **სოვეტნიკ ორბელიანოვების** და სხვათა დასწრებით,—არ მახსოვს, მაგრამ მე უთხარი **ელიზბარს,** როდესაც, რომ პეტერბურგში დადიოდა ხმა შეთქმულების შესახებ,—მაწინ მან მიპასუხა, რომ ეს მართალიაო.

თ. ალ. ორბელიანოვმა ერთხელ მითხრა, რომ ყოფ. სამოქალაქო გუბერნატორს **ზავილეისკის** საქართველოსათვის სიკეთე სურდა და თვითონ **ზავილეისკიმ,** რომელიც მე რომ მოსკოვში გამოვიარე მაისში, ჩამომხდარი იყო იმ ტრაქტირში, სადაც მე ვიყავი—მეუბნებოდა, რომ გენერალ-მაიორ **თ. ჭავჭავაძეს** ვერ მოუხერხე-

[1]) იგულისხმება პოლონელების ლაშქრობა.

ბია საქართველოში ახლო ნაცნობების გაჩენა; იმათ ჰგონიათ, რომ რაკი **ჭავჭავაძე** რუსეთის სამსახურშია, თავისი სამშობლო აღარ ეყვარებაო; მაგრამ მას საქართველოსათვის გულწრფელად სურს ბედნიერებაო".

ბ. ბ. გუს. პოლკ. კორნ: **თ: ერისთოვი**"
24 დეკემბერი 1832 წ.

ბორჩალოს დისტანციის სოფელ ჰასან-ჰაჯალის მცხოვრებ მოლა ზამანას ჩვენება (1,8ᲩᲐ-90).

„ამა 15 დეკემბერს, 1832 წ. ბორჩალოს დისტანციის სოფ. ჰასან-ჰაჯალის მცხოვრებ, **თ. ალ. ორბელიანოვის** კუთვნილი, ფათრების **მოლა ზამანა** იქნა დაკითხული საგამოძიებლო კომისიაში და აჩვენა შემდეგი:

როდესაც შარშან ფელდამრშალი **თ. პასკევიჩი** რუსეთში წავიდა, მაშინ სოვეტნიკ **თ. ალ. ორბელიანოვმა** გაგზავნა იგი **მოლა ზამანა** ჩილდირის სანჯაკში, სოფ. ზაგარისტოვში, სადაც უნდა მოეყვანა **ქოსა მუსტაფა,** რომელიც წინად ცხოვრობდა სოფ. ზოგირეთში და ეკუთვნოდა **თ. ალ. ორბელიანოვს** და რომელიც, გაიქცა იქიდან ჩილდირში რამდენიმე მეგობარ ოჯახთან ერთად. ამ წასვლის მიზანი იყო დაბრუნება მათ მიერ წაღებული ზოგიერთი ნივთისა და პურის ანგარიშების გასწორება. **მოლა ზამანამ** და **ქოსა მუსტაფამ პ. ალ. ორბელიანოვი** ნახეს ქალაქ გარეთ ბაღში, ხის ქვეშ. მან ისინი კარგად მიიღო, ჩაით გაუნასპინძლდა და უთხრა **ქოსა მუსტაფას,** რომ მან უნდა წაუღოს **ალექსანდრე ბატონიშვილს** წერილი, რომელსაც **მოლა ზამანა** გადასცემს, **მუსტაფამ** აღუთქვა ამის შესრულება.

რამოდენიმე დღის შემდეგ **თ. ალექსანდრემ** გადასცა **მოლა ზამანას ალექსანდრე ბატონიშვილთან** გასაგზავნი წერილი და ურჩია გაეგზავნა იგი ფრიად საიდუმლოდ. **მოლა ზამანამ** წერილი ჩააბარა **ქოსა მუსტაფას,** რომელიც სოფ. ჰასან-ჰაჯალუს ქვეხა **შიხილ-ალიასთან** ერთად სოფ. ხაზარეთიდან გაემგზავრა ბატონიშვილთან; მათ ორივემ მიიღეს **მოლა ზამანისაგან** ხუთ-ხუთი მანეთი; **მოლა ზამანას** კი ფული მიღებული ჰქონდა **თ. ალექსანდრესაგან.**

ქოსა მუსტაფა დაბრუნდა ერთი თვის შემდეგ; მან ნახა ბატონიშვილი სალმასტში, გადასცა ამას წერილი, დარჩა მასთან რამოდენიმე დღეს და იქიდან მოუტანა წერილი **ალ. ორბელიანს,** რომელმაც მას ჩოხა და ფული აჩუქა. ბატონიშვილიდან დაბრუ-

ნებული **ქოსა მუსტაფა** მივიდა სოფ. ყასალარში, რომელიც **დიმიტრი ორბელიანოვს** ეკუთვნის, იქიდან ქალაქში ჩავიდა, ხოლო **ალ. ორბელიანოვის** ნახვის შემდეგ დაბრუნდა სახლში სოფ. ჰასან-ჰაჯალზე განვლით, სადაც ღამე გაატარა **ყურბან ალავერდი ოღლისთან,** რომელმაც იცოდა რა დავალებაც ჰქონდა **მუსტაფას** ბატონიშვილთან. სამი დღით გვიან დაბრუნდა სპარსეთიდან აგრეთვე **შიხილ-ალია,** მივიდა სოფ. ასან-ჰაჯალში, აცნობა **მოლა ზამანას, რომ** წერილი **ბატონიშვილს** გადაეცა, და შემდეგ გაეშგზავრა ტფილისს, სადაც იგი **ალექსანდრემ** კარგად მიიღო და რომლისგანაც, როგორც ფიქრობს **მოლა ზამანი,** ფულადი საჩუქარი უნდა მიეღო **შიხილ-ალიას.** ამის შემდეგ **მოლა ზამანას** უხდებოდა ხოლმე ტფილისში ჩამოსვლა, ნაგრამ **თ. ალექსანდრეს** მისთვის აღარა უთქვამს რა ბატონიშვილზე.

მიმდინარე წელს ბ. კორპუსის კომანდირის დაღესტნიდან დაბრუნების რამოდენიმე დღის შემდეგ, **ალ. ორბელიანოვმა** მოლა **ზამანას** თანადასწრებით დაავალა სოფ. ჰასან-ჰაჯალის ქევხას **შიხილ-ალიას** მოეზადებია რაც შეიძლებოდა ბლომად ხალხი და რომ რამოდენიმე კაცით მოსულიყო მასთან გასაგებად, თუ ეს ხალხი ფეხსონი უნდა ყოფილიყო თუ ცხენოსანი, ან რა იარაღით უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი. სამი დღის შემდეგ **მოლა ზამანი** თავისი ოთხი ამხანაგით (ქევხა **შიხილ-ალია,** თათარი **ყურბან-ქამჩი-ოღლი, ყურბან სადი-ოღლი,** ანუ **ალავერდი ოღლი** და ჰაჯია **ჰუსეინ-ოღლი)** მოვიდნენ ტფილისში საღამო ჟამზე **ალ. ორბელიანოვის** სახლში, რომელიც იმჟამად არ დახვდათ; მისი დაბრუნებისთანავე წარუდგნენ მას, რომელმაც მათ უპასუხა: ის საქმე, რომელიც მათ სადდათ ჩაიფუშა. აქვე **თ. ალ. ალექსანდრემ** მისცა **ყურბანი ლავრდე-ოღლის** ახალოხი და ვერცხლის მანეთიანი ჩექმების საყიდლად, **ქამჩა-ოღლის** აჩუქა ორი თალარი ფეტვი, **შიხილ-ალიას** ჩოხა, ორი მანეთი ფული და ორი თალარი ფეტვი და **ჰაჯია ჰუსეინ-ოღლის** ერთი მანეთი ქუდის საყიდლად.

გენერალ-მაიორი — **ბაიკოვი 1-ლი.**

გენერალ-მაიორი — **ვოლხოვსკი.**

პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი.**

საგამომძიებლო კომისიის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი (1,91)[1]

„საგამომძიებლო კომისიის სხდომა გრძელდებოდა დილის 8 საათიდან შუადღის 3 საათამდის და საღამოს 5-9 საათ. შემოვიდა პრაპორჩიკი **ბიძინა ერისთოვის** წერილობითი ჩვენება, რომელიც გადათარგმნისთანავე წაკითხულ იქნა. აგრეთვე მასწავლ. **დოდაევის** წერილობითივე ჩვენება, საიდანაც ჩანს მისი მონაწილეობა ამ საზოგადოებაში; ამასთანავე შთაგონების შემდეგ სთხოვა მას ყველაფერი დაწვრილებით გამოაცხადოს, რისთვისაც მიეცა ორი დღე მოფიქრებისათვის. შემდეგ კომისიაში გამოძახებულ იქნა სამსახურის გარეშე მყოფი არტილერიის პოდპორუჩიკი **ელიზბარ ერისთოვი,** რომელმაც შთაგონების (по увещание его) აღიარა თავისი მონაწილეობა ამ შეთქმულებაში და ითხოვა მისცემოდა მას ნება თავის ოთახში დაეწერა ყველაფერი დაწვრილებით. აგრეთვე იყო გამოძახილი **თ. ალ. ორბელიანოვი,** რომელმაც უარჰყო რა ყველაფერი (отрекаясь во всем), წერილობით უპასუხა წარდგენილი კითხვების პირველ პუნქტზე ნაშუადღევის 5 საათზე. ამ **ორბელიანოვმა** ითხოვა გენერალ მაიორ **ვოლხოვოსკის** მისვლა მის ოთახში, სადაც მას გამოუტყდა ყველაფერში, აღიარა თავისი თავი დამნაშავედ და ითხოვა ნებართვა, რათა თავის ოთახში ყველაფერი დაწვრილებით დაწეროს ამ საქმის ირგვლივ, რაზედაც კომისიამ თანხმობა მისცა. შემდეგ ერთი მეორეზე იყვნენ გამოძახებული პაჟი **თ. ვახტანგ ორბელიანოვი** და პრაპორჩიკი **თ. დიმიტრი ერისთოვი,** რომელთაც შთაგონების შემდეგ აღიარეს თავისი მონაწილეობა, ითხოვეს ნებართვა, რომ თავთავიანთ ოთახებში ყველაფერი დაწვრილებით დაწერონ, რაც მათ ამ საქმის თაობაზე იციან. შემდეგ გამოძახებული იქნა დღეს ჩამოყვანილი გორის მაზრის **თ. თეიმურაზ ამილახვაროვი,** რომელმაც, შთაგონებისა და **ი. ფალავანდოვის** პირისპირ წაყენების შემდეგ, აღიარა ამ საქმეში მონაწილეობა წარსულ 1831 წელში და ითხოვა ნებართვა, წერილობით წარმოადგინოს თავისი ჩვენება, რადგან თვითონ კარგი წერა არ იცის ამიტომ.

---

[1]) ოქმს შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: 16 დეკემბერს თვით საგამომძიებლო კომისიის კანცელიარიის მოხელეებმაც კი არ იცოდნენ, რომ გამცემი **ი. ფალავანდოვი** იყო და კომისიამ დიდი სიფრთხილის გამო დამალა ეს ამ ჟურნალშიც; ხოლო ნება დართო **ი. ფალავანდოვს,** რომ მან დაუწეროს ჩვენება **თეიმურაზ ამილახვაროვსა** რადგან **ფალავანდოვი** იმედოვნებს, რომ ესთან მჭიდრო მეგობრობის გამო შესძლებს ათქმევინოს მას ყველაფერი, რაც ამ საქმის ირგვლის 1831 წ. კეთდებოდა.

გენერალ მაიორი ბეიკოვი

სთხოვა **ი. ფალაჭანდოვს** რომ მისი ნათქვამი მან დაწეროს, რაც კომისიამ ბ. კორპუსის კომანდირისათვის ცნობილი მიზეზის გამო შეასრულა.

ყველა ზემოხსენებული ეცნობა ბ. კორპუსის კომანდირს
გენერალ-მაიორი **ბაიკოვი 1-ლი**
გენერალ - მაიორი **ვოლხოვსკი**
პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი**"

ბიძინა ერისთავის ჩვენება (1-93-95).[1]

„მე ქვემორე ხსენებული პრაპურშჩიკი თავადი **ბიძინა ერისთოვი** გამოსაძიებელისა კომისიის პრისუტსტვიაში კეთილ მნებელობითა ჩემითა აღვიარებ რომელიც ბუნტი დაიწყეს ქალაქში ვითამც უნდა მომხდარიყო შარშან მე არაფერი არ ვიცოდი რა და სოფელში ვიყავ ჩამოველ ჩემს საქმეზე და **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა** მნახა მოვიკითხეთ ერთმანეთი ორის სამის დღის შემდეგ მითხრა ასე გვწადიაო და შენ რას აპირებო მე უთხარ მართალს ან ბობ მეთქი იმან მითხრა მართალს გეუბნებიო და საქმეც დაგვიწყვიაო **ბატონიშვილთანაც**[2]) კაცი გაგვიგზავნიაო მე უთხარ თანახმა არა ვარ მეთქი და არც არავის ვენდობი მეთქი ამისთვის რომ რუსების ბრალია ჩვენ არ შეგვიძლიან მეთქი. გაეგათავეთ ეს ლაპარაკი სამ ოთხს დღის შემდეგ **ელიზბარ** მოვიდა **ალექსანდრეს** სახლში და იმანაც ნითხრა ასე ვქნათო რომელიც ზევით დამიწერია მე უთხარ მე თანახმა არა ვარ მეთქი. **ელიზბარმა** მითხრა შენ ხომ არა ხარ საჭირო და არც არას კითხამთ ოღონდ ჩვენი ამხანაგი იყოო რომ არ გაგვცეო. შემაცდინეს და უთხარ არ გაგცემთ ბეთქი ეს საქმე ასე დარჩა აქამდის წარსულის თვის ოთხს ჩამოველ ჩემს საკუთარს საქმეზე ტფილის თუ რამე აწყობენ და არაფერი არა ვიცი რა კიდევ მითხრა **ალექსანდრემ** რას აპირებო შარშან რომ გვინდოდაო მე უთხარ ვერავის ვენდობი მეთქი კიდევ, ეთქვა **ელიზბარისთვის ბიძინა** ასე ამბობსო ვერავის ვენდობიო მოვიდა **ელიზბარ ალექსანდრეს** სახლში მითხრა რას აპირებო იმასაც ისე უთხარ არ შეიძლიან მეთქი იმან მითხრა სულ ყველანი მზათ არიანო **მუხრან ბატონის მეტიო** მე უთხარ **ლუარსაბის** [3]) მეტს არავის ვენდობი მეთქი **ელიზბარმა** მითხრა წავიდეთ **ლუარსაბთანა** მეთქი წავედით წამიყვანა **ლუარსაბთან** დღისა მეათე საათი იყო ისევ

---

[1]) მიღებულია 16 დეკემბერს, 1832 წ.
[2]) **ალექსანდრე** იგულისხმება.
[3]) **ლუარსაბ ორბელიანი**

იწვა **ლუარსაბ** შევიდა **ელიზბარ** და უთხრა ადგა ჩაიცვა ტანთ და გამოვიდა იმავე ოთახში შემიყვანა რომელშიაც იწვა **ელიზბარმა** მითხრა აი **ლუარსაბი** მე უთხარ დიახ ვენდობი მეთქი **ლუარსაბმაც** მითხრა ესე მენდე როგორც შენს თავსაო **ელიზბარმა** თქვა ყველანი ჩვენი მხარენი არიანო **მუხრან ბატონის** გარდაო **მუხრან ბატონი** გაგვცემსო მე უთხარ ნე ვეტყვი მეთქი და მგონია არ გაგვცეს მეთქი **ლუარსაბმა** მითხრა ოღონდ ერთი მაჩვენეთო **მუხრან ბატონი** სალაპარაკოთაო **და** ჩვენ ვიცით წამოვედით გზაზე ვკითხე **ელიზ-ბარს** ვინ არიან ჩვენი პირი ვისა აქვს მეთქი **ელიზბარმა** მითხრა სულ ერთიანათ ჩვენი პირი აქვთო **თარხნშვილები** არიან თუ არა მეთქი იმან მითხრა რასაკვირველია რომ არიანო. **იასე** არის ინათთან მოლაპარაკე და ყაბულიც გამხდარანო **ალექსანდრეს ჭავჭავაძეს** ველითო ეს რომ მითხრა დავფიქრდი სანამ **ალექსანდრე** არ ჩამოვა მეთქი მანამდის **მუხრან ბატონსაც** არ ვეტყვი ნეთქი ეს ჩემი ფიქრი **ელიზბარისთვის** არ მითქვამს წამოვედით და არც მითქვამს **მუხრან ბატონისათვის** მეორეს დღეს მკითხა **ელიზბარმა** არ უთხარო. მე უთხარ არ მითქვამს მეთქი რატომაო ამისთვის რომ **ალექსანდრე** ჩამოვიდეს და მასუკან ვეტყვი მეთქი კარგი იქნებაო რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა **ჭავჭავაძე** და **ლუარსაბს** ეთქვა ასე გვწადიან და შენ გელიან ხალხიო და შენ რას იტყვიო **ჭავჭავაძეს** ეთქვა დიდი ხანია მეც მიძევს ეგ ფიქრიო მაგრამ ჩვენი ხალხი უპირონი არიანო დამაცადეთ ვიფიქრებო და პასუხს გეტყვითო ეს **ალექსან-დრე ჭავჭავაძეს** ნალაპარაკევი **ელიზბარმა** გვიამბო სამ დღეს უკან მისულიყო კაპიტანი **ჩოლაყაევი ჭავჭავაძესთან** და ეთქვა და **ჭავ-ჭავაძეს** ატკაზი ექნა აღარც **ლუარსაბს** ექნა ეს ამბავი. სოვეტნიკ **ალექსანდრე ორბელიანოვმა** მე მითხრა არ უქნია **ჭავჭავაძეს**. მე უთხარ ემაგისთვის არ ვერეოდი თქვენში მეთქი რაღას ვიქმოდი წავე დით მე და **ალექსანდრე ორბელიანოვი ზაქარიასთან** და ასე გვითხრა არქნაო ავდექით და წამოვედით. ერთ საღამოს მოვედ **ალექსანდრეს-თან** ვნახე **ზაქარია** იქ არის და **ტულიევი (?) ალექსანდრემა** მით-ხრა **ზაქარია** გაიყვანე გარეთ ცოტას ხანს დრო გაატარეთო ეგების ეს **ტულიევი** წავიდეს აქედამ რომ **ზაქარია** აქ არის ამღამ ვახშ-მათაო **ზაქარიას** უთხარი ავდექით და გარეთ გამოვედით მეიდანზე იქ ვიარეთ ცოტა ხანს მას უკან მითხრა მოდი **ფალავანდოვ იასეს-თან** ჩავიდეთო მე უთხარ არ ვიცნობ მეთქი არაფერი არისო ჩავე-დით **იასე** ნინ იყო და **დავით ორბელიანიც** იქ იყო ცოტას ხანს და-ვსხედით **ორბელიანოვი** გამოვიდა და ჩვენ სამნი დავრჩით. ილაპა-რაკეს **ჭავჭავაძეზე** ცუდი კაცი არისო **იასემ** გვითხრა ეს არის რა-

პორტი მოუვიდა ჩემ ძმასაო ყარში **მისიერთ ფაშიშვილის**[1]) ბარგში მოვიდაო და ამაზე უკეთესი დრო სად გვექნებაო მე უთხარ თანახმა კი არავინ არის მეთქი და ვის შეუძლიან ეს საქმე მეთქი ამათ თქვეს **იასემ** და **ზაქარიამ ჭავჭავაძე** რომ არ იყოს განა არ შეგვიძლიანო მაგრამ **ლუარსაბიც** აღარ არის თანახმაო **იასემ ალექსანდრე** დაიბარა ჩამოვიდა იმანაც შეიტყვო ეს ამბავი **გიორგიც** ჩამოვიდა ცოტა ხანს ვისხედით ჩაი დაგვალევინა და წამოვედით ვახშმათ **ალექსანდრესთან** დავრჩით ვახშამი ვჭამეთ და თავთავის სადგომებს წავედით. მეორე დღეს მითხრა **ალექსანდრემ** ბატონიშვილთან კაცი **ლუარსაბისა** და მაგათის სიტყვით გავგზავნეო და ახლა რას შვრებიანო რა ვქნა მეთქი და არ ვიცი ბატონიშვილიდამ რა პასუხი მოუვიდათ მართლა გაგზავნეს კაცი თუ ხალხს ატყუებდნენ არ ვიცი ამის მეტი არა ვიცირა დრო არ იყო დანიშნული ამ საქმის ნოხდენისა, მაგრამ არ მახსომს ვისგან შევიტყე რომ ამ დეკემბრის ოცში მოხდეს **ალექსანდრე ორბელიანოვმა** მითხრა და **ელიზბარმა ერისთოვმა** რომ ეს საქმე ბევრმა იცის საქართველოში და სახელდობრ **ალექსანდრემ** მითხრა რომ იციან პრაპურშჩიკი **ზაქარია ციციანოვ** თ. **ლუარსაბ თარხანოვმა** პრაპურშჩიკი **თ. თეიმურაზ ამილახვაროვ მიხეილ ჯავახოვმა პრაპურშჩიკმა** მე მითხრა ეს საქმე რომ **მაჩაბელიანათაც** იციან ეს რაც დამიწერია თავადების შარშანდელ ამბავის, განკარგულება თუ პირველ ღამის არეულობისათვის რა უნდა მომხდარიყო მე არ ვიცი ასევე ესეც არ ვიცი თუ რა წესდებულება საქართველოს მართველობისათვის უნდა დადებულიყო. მე არ ვიცი ჩემა ძმამ **შალვამ** ეს საქმე იცის თუ ირა.

პრაპურშჩიკი **თ. ბიძინა ერისთოვი.**

დეკემბრის ივ. ჩყლბ. წელ.

ამასთანავე ამასაც გამოვაცხადებ რომ **ალექსანდრე ორბელიანოვის** წიგნი მომივიდა შარშან ჩემ სოფელში ყოფნაში რომ **გეორგი ერისთოვს დავითის ძეს ელიზბარ ერისთოვს მამუკა ორბელიანოვს ზაქარია ციციანოვს** და **ლუარსაბ თარხანოვს** აცნობეო რომ ჩამოვიდნენო ეს წიგნი წარსულის წლის აგვისტოში ვაჩვენე **ელიზბარ ერისთოვს** ქართლში სოფელს არბოს წმინდის გიორგის დღეობას სადაც ვიყავ სალოცავათ და იქ იყვნენ სხვათა თავადთა შორის **მამუკა ორბელიანოვი ელიზბარ ერისთოვი სვიმონ მაჩაბელოვი ზაქარია ციციანოვი გიორგი ერისთოვი დავითის ძე** და **თეიმურაზ ამილახვაროვი** და რომელთაც ქონდათ ლაპარაკი არეუ-

---

[1]) ე. ი. მისრეთის ფაშის შვილი.

ლობისათვის მაგრამ მე კი არ მახსოვს თუ სახელდობრ რაზე ამბობ-
დენ. პრაპურშჩიკი თ. ბიძინა ერისთოვი.

დეკენბრის ჩყლბ. წელსა.

ამასთანავე მოვახსენებ ამასაც რომ წრეულ უთხარ თავადს ლევან ერისთოვს ჩვენის განთავისუფლებისათვის რუსებისაგან და ისიც თანხმა გახდა შარშანაც. იცოდა ეს ჩვენი განზრახულება და ნიოხრა რას მიმალამდიო ამას გარდა ივანეს ელიზბარის ძეს ერისთოვს წინ თვის სახლში თანახმა არ გახდა. ერთხელ თავად ვახტანგის ძეს ალექსანდრე ორბელიანოვთან ვიყავით მე ჩემი ძმა გიორგი ზაქარია ჩოლაყაევი და თადია ჩოლაყაევი და იქ ლაპარაკში თადიამ თქვა მე თანახმა არ ვიქნებიო მინამ მუხრან ბატონი, ჭავჭავაძე ალექსანდრე,, დიმიტრი[1]) თამაზის შვილი და ლუარსაბ„) სარდლის შვილი თანახმა არ გახდებიან და ყოველი თავათ ერთხელ დავიღუპეო.

პრაპურშჩიკი თ. ბიძინა ერისთოვი".

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (1,101,106)[2]).

„მაქვს პატივი გამოუცხადო კომისიას დაწვრილებით შემდეგი: თავდაპირველად თავადებმა: ალ. ორბელიანმა, გვარდიის პრაპორჩიკმა გიორგი ერისთოვმა და ელიზბარ ერისთოვმა შემოგვითვალეს მე და თ. აფხაზოვს ერთად წავსულიყავით სადმე გასასეირნებლად; ჩვენ გავედით მოედანზე, სადაც იყო აგრეთვე თ. ი. ფალავანდოვი და იქიდან ჩვენ ყველანი და ალ. ორბელიანის ძმა.[4]) წევედით აბრეშუმის ქარხანაში, იქიდან რომ დავბრუნდით, წავედით ორთაჭალის ბაღებში, საიდანაც ჩაიზე მივედით თ. ელ. ერისთოვთან, შემდეგ კი დავიშალენით. მეორე დღეს თ. ანტონ აფხაზმა გვთხოვა ყველას ვახშმად, მაგრამ რადგან მისი დედა ავად იყო, ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ აქ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგველო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა ,ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი ნოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია; ვიმსჯელეთ აგრეთვე იმ შევიწროებაზე, რომელსაც ადამიანი განიცდის სახელმწიფო დაწესებულებებში; შემდეგ თ. ალ. ორბელიანმა მოითხოვა მეგობრობა და თანხმობა და რომ ის, რაც ჩვენ შორის ითქმება, ჩვენ შორისვე უნდა დარჩესო.

---

[1]) და 2 ორბელიანები
[3]. მიღებულია 16 დეკემბერს, 1832 წ.
[4]) ვახტანგ ორბელიანი

ყველამ უპასუხეთ, რომ რასაკვირველია ეს ასე იქნებოდა. მან დაიწყო: „ჩვენ გვსურს, რომ რუსები აღარ იყვნენ აქ, ძლიერ აწუხებენ საქართველოს, გამოიგონე რამე საშუალება“—უთხრა **აფხაზოვს.** ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. რომ ჩვენ ქართველებს არასოდეს არ შეგვიძლიან ცხოვრება რუსების გარეშეო. ბოლოს ვილაპარაკეთ აგრეთვე გუბერნიის წინამძღოლზე, რომ ის გაუნათლებელი კაცია და ქართველი თავადების საქმე არ ესმის. უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი ყველანი მთვრალები იყვნენ; მე ხან გავდიოდი მეორე ოთახში ცოლთან, ხან კი წიგნს ვკითხულობდი. ისინი ყველანი წავიდნენ და მხოლოდ **თ. ეფხაზოვი** დარჩა რომელიც მეკითხებოდა, თუ რას ფიქრობს **თ. ალ. ორბელიანი.** მე უპასუხე, რომ არ ვიცი მეთქი და ისიც წავიდა სახლში. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ შევედი **თ. ი. ფალავანდოვთან** საღამო ჟამზე, სადაც დამხვდნენ ყველა ხსენებული პირნი, რომლებიც ჩაის სვამდნენ; არ ვიცი რაზე ჰქონდათ საუბარი. მე წავედი **თ. ალ. ორბელიანთან** და ვკითხე შეადგინეთ თუ არა საზოგადოება, აგროვებთ თუ არა თანხას, ვიყიდო ზონარგაყრილი წიგნაკი თუ არა მეთქი. მან მიპასუხა, მოითმინეთ თავადებს ვთხოვ, რომ ექსარხოსსა სთხოვონ იკისროს თავმჯდომარეობა. როგორც სომხებსა ჰყავთ, და მაშინ ყველა შემოსწირავსო. მე მაშინათვე გამოვეთხოვე და დავბრუნდი სახლში. მე მართლა ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდებს კეთილი სურთ და მეგონა, რომ იმათგან რამე კარგი გამოვიდოდა; ზოგი მათგანი ამბობდა, რომ სამშობლოს სასარგებლოდ ას მანეთს დავდებო, ზოგი ორასს ამბობდა და ასე ყველანი. მე ეს მოვახსენე ჩემს უფროსს ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა დირექტორს **გრუპერს,** რომელმაც მოიწონა, უთხარი აგრეთვე ბიბლიოთეკარს **კოტოვს,** რომელსაც აღუთქვი, რომ მიღებული თანხიდან მისგან შევიძენდი ბიბლიოთეკას; ის ძლიერ კმაყოფილი დარჩა და მთხოვა ეცდილიყავ ამ საქმეზე.

ამასობაში ჩამოვიდა (რუსეთიდამ) გვარდიის კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყაევი;** პირველად მე წავედი მასთან სანახავად როგორც პეტერბურგიდან ნაცნობთან. შემდეგ **თ. აფხაზოვმა** მთხოვა გამეცნობებია იგი მისთვის და მე და ის წავედით. **აფხაზოვმა** გაცნობისთანავე დაიწყო თავის ძმაზე ლაპარაკი, რომ ის დიდი პატრიოტი იყო, რომ მას საქართველოსთვის სიკეთე სურდა და სთხოვა **ჩოლაყაევს** რჩევა თუ როგორ მოვქცეულიყავით. მან უპასუხა, **რომ** ყავით წყნარად, რუსები გიცავენ მტრებისაგან, თქვენში ყველა-

ფერი კარგად არისო და სხვა. იქიდან რომ დავბრუნდით **თ. აფხაზოვმა** მკითხა, თუ რას ვფიქრობ მე, ხომ ჭკუიანი კაცია **ჩოლაყაევი**-მე უპასუხე, რომ ჭეშმარიტად ჭკუიანი არის ბეთქი. ამის შემდეგ ერთ სღამოს შევიარე **ფ. ჩოლაყაევთან**; რამოდენიმე წუთის შემდეგ აქ მოვიდნენ ერთი მღვდელი, **გ. ფოცხვეროვი** და ერთი პრაპორშჩიკი და მერე **თ. ალ. ორბელიანი, თ. ელ. ერისთავი** და **თ. ი. ფალავანდოვი.** ჩაი დავლიეთ და გამოვედი სახლში წასასვლელად, მაგრამ **ელ. ერისთავმა** ნითხრა, რომ **თ. ი. ფალავანდოვი** გთხოვთ ვახშამზე, სადაც იქნება აგრეთვე **თ. ჩოლაყაევიო.** მე უთხარი ძალიან კარგი მეთქი. გზაზე ისინი წამომეწივნენ და შეძიყვანეს **თ. შელიქოვის** ტრაქტირში, იქიდან მე სახლში წავედი, მაგრამ დაბეჯითებით მთხოვეს დავბრუნებულიყავ. მე ნახევარი საათის შემდეგ აქვე დავბურნდი და წავედი საყავეში (в кофейный дом), სადაც ვივახშმეთ; ვახშამზე ეკითხებოდნენ **თ. ჩოლაყაევს** მისი სამსახურისა და ლაშქრობის შესახებ[1]) და ბოლოს ჰკითხეს რჩევა, თუ როგორ მოვქცეულიყავით, რომ ჩვენ გვსურს ვიყოთ რუსებისაგან დამოუკიდებელი. მე წინადაც გამიგონია ამგვარი საუბარი **თ. ალ. ორბელიანისაგან, ი. ფალავანდოვისა და ელ. ერისთავისაგან,** მაგრამ მე ამას მათ სულმოკლეობას მივაწერდი, რამდენ რამეს იტყვის ადამიანი უსაფუძვლოდ და ამას უყურებდი როგორც ზერელე ამბავს. **თ. ჩოლაყაევმა** უპასუხა მოვიფიქრებო, თან ცდილობდა თავიდან აეცილებინა ისინი. ამის შემდეგ როდისღაც საღამოს ჟამს **თ. ალ. ორბელიანმა** დამიბარა და მეც წავედი მასთან, სადაც დამხვდნენ **თ. ჩოლაყაევი** და ბევრნი სხვები. **აქ ალ. ორბელიანის** ძმამ **ვახტანგმა** დაიყვირა „აი ერთს **ბ. დოდაევს** მთელი კახეთის გამოყვანა შეუძლიაო". მეც უპასუხე: „თუ გინდა კაცს გავგზავნი და ხვალ მთელი კახეთი აქ იქნება". მე ეს ვსთქვი სრულიად უაზროდ, ხუმრობით, თვითონვე მეცინებოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ისინი იმდენად სულელები არიან, რომ ამას დაიჯერებდენ, რა დიდი კაცია **დოდაევი,** რომ მას ფიქრად მოუვიდეს ძლევამოსილი დიდი რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა. განა მე ისე სულელი ვარ, რომ არ ვგრძნობ საკუთარ კეთილდღეობას დიდი მონარქის მფარველობის ქვეშ, რა თქმა უნდა მე სულელი ვარ, როცა შევერიე სულელებში და ვისმენდი მათგან სისულელეს, რასაკვირველია მე სასჯელის ღირსი ვარ, რომ ვისმენდი და ჩუმად ვიყავი, მაგრამ ჩუმად ვიყავი იმიტომ, რომ ვფიქრობდი ახალგაზრდები არიან, ილაპარაკებენ და გაჩუმდებიან ბეთქი. მოიღეთ მოწყალება, გამოიკვლიეთ მიფქვამს თუ არა რაიმე

[1]) პოლანეთში ლაშქრობა იგულისხმება

ამის შესახებ თუნდაც ერთ კახელთან, ან თუ დამიწერია რამე, არა სოდეს მე ამის შესახებ არაფერი არც მიფიქრია და არც მიბოქმედნია და ეს ისევე მართალია, როგორც ღმერთია წმინდა. ჩემი თანადასწრებით იქ ამის მეტი ლაპარაკი არა ყოფილა და, მგონია იმიტომ, რომ უცხო პირები შემოვიდნენ. მღვდელ **ეფრემ ალექსეევს** უთხარი, რომ თავადები სულელები არიან, არ აფასებენ რუსების სიკეთეს, რომ ისინი ჩივიან რუსებზე და თვითონ კი არ შეუძლიანთ ცხოვრება; იმანაც თქვა, რომ საჩივარი მასაც გაუგონია.

ამის შემდეგ ერთხელ **თ. ი. ფალავანდოვმა** მთხოვა დამეწერა რამე რუსების წინააღმდეგ აი **გორდეევი** და სხვები ხომ წერენ ქართველებზედო, მაგრამ განა მე მას გაუგონებდი. აგრეთვე მთხოვა მან მეთქვა **დიმიტრი ორბელიანოვისთვის**, რომ რუსები მას მალე საქართველოდან გადაასახლებენ და რომ ამასთანავე გამეგო მისი აზრი რუსების შესახებ. მაგრამ განა მე ან მას და ან სხვა ვისმე დაუჯერებდი. არასოდეს მე დღემდის არც **დიმ. ორბელიანოვისათვის**, არც მისი ძმისათვის და არც სხვა ვინმესთვის არც ერთი სიტყვა არ მითქვამს კანონიერი ხელისუფლებისა და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. კიდევ მითხრა **ი. ფალავანდოვმა** თანადასწრებით **თ. ჩოლოყაევისა** და **ელ. ერისთოვისა**, რატომ არ მივდივარ კახეთში მე ამაზე უპასუხე ხომ არ გაგიჟდი მეთქი. ის გაჯავრდა და მითხრა: „ვფიცავ ღმერთსა და ყველა წმინდას, რომ თუ შენ აქ განაგრძობ დაცინვას, ხვალ ან ზეგ მთავრობა გაგვიგებს და შენ პირველი დამნაშავე იქნები, ჩვენ ვიცით, რომ შენ **ოქროპირ ბატონიშვილთან** ნაცნობობით პირველმა დაიწყე ეს საქმე“-ო. მე ამაზე უპასუხე: „რუსები ნე კარგად მიცნობენ და გაიგებენ მეთქი. **ელ. ერისთოვმაც** მისაყვედურა რას დაგვცინიო და ორთავე გაბრაზებულები წავიდნენ. შემდეგში **ზაქ. ჩოლაყაევმა** მითხრა, რომ იმათ შენი მოკვლა უნდათო. მე უპასუხე: დეე მომკლან მეთქი და ვთხოვე მათთვის ყური არ ეგდო. რაც შეეხება განკარგულებასა და ბრების დანიშვნას, მე მონაწილეობა არ მიმიღია, არც მინახავს იგი და არც არა გამიგონია. საერთოდ მე ყოველთვის განზე ვიყავი, არასოდეს არ მიფიქრია, არც რამე დამიწერია კანონიერის წინააღმდეგ, ამ საქმეს ეყურებდი სრულიად უყურადღებოდ და ვთვლიდი მას ფუქსავატად. დეკემბრის 10-ს ჩემთან იყვნენ **თ. ჩოლაყაევი** და გუბერნიის სეკრეტარი **ლიხოვსკი**, შემოვიდა **ელ. ერისთოვიც**, რომელსაც **ჩოლაყაევმა** ჰკითხა: გაათავეთ ის საქმე თუ არა“-ო. მან უპასუხა „გავათავეთო“. „მადლობა ღმერთსა“ ჩაილაპარაკა **ჩოლაყაევმა**. **ერისთოვი** წავიდა და **ჩოლაყაევმა** და **ლიხოვსკიმ** ჩემთან ივახშმეს. პირველმა

შესესხა 43 მან. ვერცხლით და წავიდნენ. მე დავიძინე, მაგრამ მალე ბრახუნმა გამომაღვიძა, გავაღე კარი და შემოვიდნენ **თ. აფხაზის** ბიჭი და გოგო. მითხრეს, რომ **აფხაზოვის** დედა გიბარებსო. მე ჩავეცვი და წავედი მასთან. მან დამიწყო თხოვა, რომ წავსულიყავ პოლიცმეისტერთან, რომელმაც მისი შვილი წაიყვანა ბარონთან[1]) და აღარ დაბრუნდა. შიშობდა კლდეში ხომ არსად ჩავარდა ან პოლიცმეისტერმა ხომ არ დააპატრმა. ეგების ვინმე დააბეზღა, ბევრი მტრები ჰყავსო. მე მაშინვე წავედი პოლიცმეისტერთან, მაგრამ ვერავინ გავაღვიძე. დავბრუნდი და ვაცნობე **აფხაზოვის** დედას, მაგრამ ის შემეხვეწა გუბერნატორთან წავსულიყავ, წავედი და ვნახე სეკრეტარი **ლიხოვსკი,** რომელნაც თქვა, რომ აქ ვისიმე გაღვიძება უხერხულია, ისევ პოლიცმეისტერთან სჯობიაო. იქიდან მე წავედი **თ. ი. ფალავანდოვთან,** რომ გამეგო. იქ ხომ არ იყო, მაგრამ იქაც არ დამხვდა. ვკითხე **იასეს** ხომ არ დიჭერდნენ მეთქი, მან მიპასუხა ყოვლად შეუძლებელიაო. ვნახეთ აგრეთვე **ჭილაევთან**[2]) მაგრამ არც იქ იყო დავბრუნდი სახლში და დავიძინე. ამ ჩემს მისვლა-მოსვლაზე შეგიძლიათ შეეკითხოთ **აფხაზოვის** კაცს, რომელიც ფანრით თან დამდევდა. მე ჩემი აზრით დარწმუნებული ვიყავი, რომ თუნდაც ხელისუფლებას გაეგო ზოგიერთი თავადების ეს სისულელე არ მიაქცევდა არავითარ ყურადღებას და მხოლოდ მეთვალყურეობას გააძლიერებდა, თავადები საუკუნეთა განმავლობაში ვერაფერს ვერ მოახერხებდნენ დე ეს ისე ჩაივლიდა. დიდი ხანია ვიცით მაგალითი, როცა თრთოდენ და ეხლაც ფრთიან ოტომანთა იმპერია და სპარსეთი, თავი რომ დავანებოთ რუს მებრძოლთა სხვა საგმირო საქმეებს. განა შეუძლიან საქართველომ როდისმე რამე რუსეთის საწინააღმდეგო ფიქროს, როდესაც მეფე არაფერს ზოგავს იმისთვის, რომ ის უკეთ დაიცვას? მე არ ვიცი ვინ არის, რომ ვერა გრძნობს სიუხვესა და მაღალ მოწყალეობას მონარქი **ნიკოლოზ** 1-სა.

მას შემდეგ რაც მე **თ. ი. ფალავანდოვმა** და **ელ. ერისთოვმა** ნაგინა **ჩოლაყაევის** თანადასწრებით უთხარი, რომ ხომ არ გაგიჟდით, როგორ შეიძლება კახეთში წავიდე მეთქი, **თ. ვახტანგ ორბელიანმა** და პრაპორშჩ. **გიორგი ერისთოვმა** მკითხეს, მე ხომ აღუთქვი და რატომ არ მივდივარ კახეთში. მე უპასუხე: „გიჟები ხომ არა ხართ, როგორ შეიძლება, რომ მე ეგ საქმე ჩავიდინო, მე რომელი მართველი ვარ კახეთისა, რომ ხალხი გამოვიყვანო“ მეთქი. „ეხლა როგორც

---

[1]) **ბ. როზენი**

[2]) **იაგორ ჭილაშვილი,** **რომელიც** **შეთქმულთ** **განათლების** **მინისტრად** **უნდოდათ.**

გინდა ისე იფიქრე და **ელ. ერისთოვი** და **ი. ფალავანდოვი** ფიცულობენ, რომ მოგკლავენ"-ო მითხრეს მათ. მე უპასუხე: „დეე მომკლან" მეთქი და თანაც დაუმატე, სისულელეზე ხელი აეღოთ.

ეს ყველაფერი, რასაც მე ვგრძნობდი და რაც გამიგონია, მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ განიხილავთ რა ჩემს საქციელს, მომეცით საშუალება განვარგძო სამსახური მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, გავამართლო ჩემი თავი ბეჯითი სამსახურით და განვწმინდო ჩემი შეცდომისაგან შვიდი წლის უმწიკლო სამსახურიმე უკვე დასჯილი ვარ: მთავრობის ცუდი აზრი ჩემზე ძლიერ საგრძნობია ჩემთვის და ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ. თუ მთავრობა მომიტევებს ამ დანაშაულს, რომელშიც ჩემდა უნებლიეთ გავეხვიე, მაშინ გამიცნობს, რომ მე ვარ ერთი ბეჯითი თავდადებული ადამიანი საზოგადო სარგებლობისთვის, რომ მე ყოველთვის ვიყავი და არც შემიძლია არ ვიყო სულითა და გულით ერთგული ქვეშევრდომი დიდი ხელმწიფის **ნიკოლოზ პავლეს ძისა**-არ მიფიქრია და არც არა მიგრძვნია მის წმინდა ნების საწინააღმდეგო.

გიმნაზიის მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი**".

15 დეკემბერი 1832 წ.

ელიზბარ ერისთავის პირველი ჩვენება[1]) **(1,111-118).**

„კავკასიის გრენადერთა არტილერიის მესამე მსუბუქ როტაში სამსახურის დროს, წარსული 1831 წ. ივნისში (რიცხვი არ მახსოვს) ჩამოვედი ჯელალ-ოღლიდან ტფილისში სხვა და სხვა სახელმწიფო ნივთების მისაღებად. რადგან **თ. ალ. ორბელიანოვს** ვიცნობდი, ამიტომ ხშირად დავიარებოდი მასთან არა რაიმე მოსაზრებათა გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩემზე ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ საღამოს ჟამს მე და **ალ. ორბელიანოვმა** გავიარეთ ერევნის მოედანზე (ეს იყო ივნისში, რიცხვი არ მახსოვს), იმ საღამოს ჩვენ ვლაპარაკობდით პოლონელებზე და ბოლოს **ალექსანდრემ** მითხრა, რომ ჩვენც უნდა მათთვის მიგვეცემა. ეს აზრი მე სასაცილოდ მომეჩვენა, ამასთანავე ბევრი სხვები შემოგვეყარნენ, გვიანაც იყო და დავიშალენით, ისე, რომ საუბარი არ დაგვიმთავრებია, ამ საღამოს შემდეგ მე **ალ. ორბელიანოვი** აღარ მინახავს, რადგან გართული ვიყავი სახელმწიფო ნივთების როტაში გაგზავნითა და ამასთანავე განსვენებული მამაჩემისაგან მივიღე წერილი, რომლითაც თავის ავადმყოფობას მატყობინებდა და მთხოვდა მენახა იგი.

---

[1]) თვით ელიზბარის მიერ ჩვენებას ასეთი სათაური აქვს გაკეთებული: **чисто сердечное признание отставного подпоручика князя Елизбара Эристова.**

დავალების შესრულების შემდეგ ვითხოვე და კიდეც მივიღე შვებულება როტის უფროსის პოდპოლკ. **სანკოვსკისაგან.**

ტფილისიდან წასვლისას ისე ვეჩქარებოდი, რომ **ალ. ორბელიანოვს** არ გამოვეთხოვე ისე წავედი. გორიდან პირდაპირ როტაში მივედი შვებულების გასვლისა და მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ. ამის შემდეგ ოჯახური საქმეების გამო დავტოვე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სამსახური და მუდმივ ვცხოვრობდი გორში; თუმცა ჩამოვდიოდი ხოლმე ტფილისში სხვა და სხვა საშინაო საქმეების გამო და ვნახულობდი **ალ. ორბელიანოვს,** მაგრამ მას ჩენთვის აღარაფერი უთქვამს. მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩამოვედი ტფილისში ქონების გასაყოფად ჩემ ორ ბიძასთან. ერთ საღამოს შევიარე **სოლ. დოდაევთან** და იქ ვნახე **ი. ფალავანდოვი, თ. ანტონ აფხაზოვი** და **თ. ალ. ორბელიანოვი.** გამაცნეს **ი. ფალავანდოვი** და **ანტონ აფხაზოვი,** რომელთაც უწინ არ ვიცნობდი. ვილაპარაკეთ რაღაც უმნიშვნელო რამეებზე, კაი ერთი საათის განმავლობაში და დავიშალენით; ამასთანავე მივიღეთ **ანტ. აფხაზოვისაგან** მიწვევა ხვალ ვახშამზე **დოდაევის** სახლში. მეორე დღეს თავი მოვიყარეთ დანიშნულ დროს და ვახშამდის არაფერი არ გვილაპარაკნია. ვახშმად ვიყავით: **თ. ანტონ აფხაზოვი, თ. ალ. ორბელიანოვი, ი. ფალავანდოვი, გიორგი ერისთოვი, სოლომონ დოდაევი** და მე. როცა ღვინომ გაგვიცხელა თავი, მაშინ ყველამ დავიწყეთ პოლიტიკაზე მსჯელობა, ყველანი ვყვიროდით, არ ვაცდიდით ერთი მეორეს ლაპარაკს; ბოლოს **ალ. ორბელიანოვმა** მოიხადა ქუდი და დაიყვირა ამ სიტყვებით: „ეხლა საქმეზე ვილაპარაკოთ-ო. მაშინ ყველანი გაჩუმდნენ. მან წარმოსთქვა იმათი სადღეგრძელო, ვისაც საქართველო უყვარს და ჩვენ ყველამ დავლიეთ. **ალ. ორბელიანოვმა** მოითხოვა ჩვენგან ფიცი, რომ არ გავცემთ იმას, რაც აქ ითქმება. მე უპასუხე, რომ ვინც პატიოსან სიტყვას გასტეხს, ის ფიცსაც დაარღვევს, ამიტომ ფიცი საჭირო არ არის მეთქი, თუნცა ჩვენ მაინც ვიფიცავთ (მართალია არა ხატზე) რომ ერთი მეორეს არ გავცემთ მეთქი.

ალექსანდრემ განაგრძო: დროა გავთავისუფლდეთ ამ შავი(?) სულებისაგან (от черныльных душ)“-ო. **თ. აფხაზოვმა** ჰკითხა **რომელი** შავი(?) სულებისაგანო“ (от каких черныльных душ?) და ჩვენ ყველამ ერთხმად უპასუხეთ „რუსებისაგან“. **ანტონ აფხაზოვმა** დაიწყო ჩვენი შთაგონება, მაგრამ ჩვენ ამას არ უსმენდით, ვყვიროდით, ვსვამდით და ავდექით მაგიდიდან. ყველანი მთვრალები ვიყა-

ვით, თავი დავიწყებული გვქონდა და ათი წუთის შემდეგ კიდეც დავიშალენით.

ამის შემდეგ მე აღარავინ მინახავს და წავედი მცხეთაში დღეობაზე ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში. იქიდან რომ დავბრუნდი, შევიყარენით **ი. ფალავანდოვთან** და იმან ვახშამი გაგვიმართა. იქ ვიყავით: **ი. ფალავანდოვი**, მე, **ალ. ორბელიანოვი** და ჩემი ძმა ატრელერიის პროპორჩიკი **დიმიტრი ერისთოვი** (რომელიც იმ საღამოს მე მივიყვანე **ი. ფალავანდოვთან** და მან ამ საღამოდის არაფერი იცოდა, არც შემდეგ ყოფილა ჩვენთან და მონაწილეობა მიუღია, ისე ჩვენ იმას ჩვენად ვთვლიდით.) **გიორგი ერისთოვი, დიმიტრი ყიფიანოვი, ზაალ ავთანდლოვი** (ეს ორი უკანასკნელი ვინ მოიყვანა არ ვიცი.)

შევიყარენით თუ არა, უცბად შემოვიდა სამოქალაქო გუბერანტორის (სეკრეტარი) მდივანი, დავიწყეთ საერთო საუბარი და კაი ორი საათი ვსაუბრობდით ამინდზე, მცხეთის დღეობაზე. მალე მოიტანეს ვახშამი და ყველამ ვივახშმეთ, აგრეთვე მდივანმაც ჩვენთან, მერე ადგა მდივანი და წავიდა. დავიწყეთ ლაპარაკი, რასაკვირველია, რას ვილაპარაკებდით კახურის შემდეგ, ყველაფერი ეს სისულელე იყო, არ ვიცი ვინ რას ლაპარაკობდა: ერთი ამბობდა, რომ ყველა ქართველები, რომლებიც მხარს **არ** დაგვიჭერენ უნდა დავხოცოთო, მეორენი გაიძახოდნენ, რომ წარჩინებულ პირთაგან არავინ რა იცის ამის შესახებაო და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ უნდა გავაფართოვოთ პარტია და რომ აუცილებლად უნდა უთხრათ მაიორსაო[1]). რამოდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა რუსეთიდან გვარდიის კაპიტანი **ზაქარია ჩოლაყაშვი**, მე გავიცანი იგი და დავიარებოდი მასთან. ბოლო ხანებში **ზაქარია ჩოლაყაევმა** მითხრა, რომ **თ. ანტონ აფხაზოვმა** მას ყველაფერი გამოუცხადა და რჩევას სთხოვდა, ნაგრამ რა რჩევა მისცა ჩემთვის არ უთქვამს.

მე აგრეთვე ვყოფილვარ მასთან ცალკე და მიამბნია რა (ჩვენი ამბავი) მიკითხავს მისთვის რჩევა; მან მკითხა რა საშუალებები გაგაჩინათო, მე ამაზე ვერაფერი უპასუხე, რადგანაც რაფერი გაგვაჩნდა და მაწინათვე წამოვედი მისგან.

თ. ი. ფალავანდოვმა დაგვპატიჟა აგრეთვე ვახშმად საყავე სახლში (кофейный дом) მეტეხის ციხის მახლობლად, აქ არ ყოფილან. **არც ყიფიანოვი**, არც **ავთანდილოვი** და არც **გიორგი ერისთოვი**, იყვნენ: **ანტონ აფხაზოვი, ალ. ორბელიანოვი. ზაალ ჩოლაყაევი,**

---

[1]) **ალექსანდრე ჭავჭავაძე იგულისხმება.**

ბარონი როზენი
(მწერალთა მუზეუმი)

ალ. ორბელიანი და მე. იქ ვილაპარაკეთ საქართველოზე, მის სილარიბეზე, თვადების ურთიერთ შორის გაუთავებელ შუღლსა და დავაზე და ამით გათავდა ჩვენი საუბარი და დავიშალენით ისე, თითქოს დიდი რამ გაგვეკეთებინოს; ამ რიგად წყალსა ვნაყავდით.

რამოდენიმე დღის შემდეგ შევხვდი **თ. ი. ფალავანდოვს** და მითხრა, რომ მას ინახულა სხვები და გადაწყვიტეს ნოემბრის 20-ს დაიწყონ ამბოხი, მეკითხება მე თანახმა ვარ თუ არა. მეც სრულიად განუსჯელად და მოუფიქრებლად უპასუხე, რაკი გადასწყვიტეთ დე ასე იყოს მეთქი; ამ რიგად დასახული რიცხვი ახლოვდებოდა და ჩვენ კი ისევ წინანდებურად რვა კაცი ვიყავით. ერთ საღამოს შევიყარენით **თ. ლუარსარბ ორბელიანოვთან: თ. ფალავანდოვი, ზაქარია ჩოლაყაევი, გიორგი ერისთოვი,** მე. **თ. ორბელიანოვმა** იმ საღამოს არაფერი იცოდა. **ი. ფალავანდოვი** გავიდა **ლუარსაბთან** ერთად ცალკე ოთახში და ესაუბრა მას, საუბრის შემდეგ ჩვენ დავიშალენით და **ი. ფალავანდოვმა** გვითხრა, რომ **ლ. ორბელიანოვი** თანახმაა, თუ კი ყველა თავადები თანახმა იქნებიანო. ამის შემდეგ ჩვენ აღარსად შეკრებილვართ.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში ჩამოვიდა ბატონი გენერალ მაიორი **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე,** რომელთანაც ნე დავიარებოდი თითქმის დღეში ორჯერ, რადგან ახლო ნათესავია ჩემი. არ ვიცი ვინ დაწერა, მაგრამ მე მაჩვენა **ი. ფალავანდოვმა ალ. ორბელიანოვის** სახლში პროექტი ანუ პირველი ღამის განკარგულება. ზეპირად არ მხსოვს რა ეწერა ამ ფურცელში. მე მინდოდა წინააღმდეგობა გამეწია ამ სისულელეებისათვის, მაგრამ ამ დროს შემოვიდა **თ. დავით მუხრანსკი,** რომელმაც საუბარში ხელი შემიშალა, რამოდენიმე წუთის შემდეგ წავიდა იქიდან.

ერთ საღამოს **ალ. ორბელიანოვი, ი. ფალავანდოვი** და **გ. ერისთოვი** მივედით **ლ. ორბელიანოვთან;** დავსხედით და **ი. ფალავანდოვმა** ამოიღო თავისი ნაწარმოები პირველი ღამის განკარგულება წაუკითხა იგი **ლუარსაბს** და მან დაგვიწყო დარიგება და მოთაგონება, რომ ეს სისულელე და ფუქსავატი ამბავია. მაინც აღგვითქვა, რომ ის მოელაპარაკებოდა **ალ. ჭავჭავაძეს** და რჩევას ჰკითხავდა. აქვე იქნა წაკითხული ჩვენი მართველობის პროექტი.

მეორე დღეს მივედი **ალ. ორბელიანოვთან,** მან მითხრა, რომ რადგან პირველი ღამის განკარგულება უკვე დაწერილია, ამიტომ მე მანდობს დავწერო მომავალი მართველობის შესახებ; მე მიუგე, რომ ეს საჭირო არ არის მეთქი და მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ იგი გაიხმეს მეორე ოთახში და მეც გავედი სხვა ოთახში, სადაც

გ. ერისთოვის[1]) მეტი არავინ იყო. მე მას უთხარი **ალექსანდრეს** დავ-ლება, მან აიღო პატარა ქაღალდი, საწერკალამი და დიწყო წერა, თან მე მეკითხებოდა აქაური წარჩინებული პირების ღირსების შესახებ, ის სწერდა, და როგორც მახსოვს რვა თუ ცხრა სტრიქონი დასწერა. როცა წავიკითხეთ ეს ჩვენი ნაწარმოები, ორივემ გულიანათ გავიცინეთ; ამ ქაღალდს **გ. ერისთოვი** ინახავდა. ხუთი დღის შემდეგი მომაგონდა ეს ქაღალდი და ვთხოვე დაეხია იგი, რომ არავის ენახა.

ლ. ორბელიანოვმა როგორც აღგვითქვა, რომ მოელაპარაკებოდა **თ. ალ. ჭავჭავაძეს**, კიდეც მოელაპარაკა მას და მე მითხრა, რომ **ალ. ჭავჭავაძეს** სურს **ზაქარია ჩოლაყაევთან** მოლაპარაკება.

დეკემბრის 4-ს ნშუადღევის 10 საათზე **თ. ლ. ორბელიანოვის** სახლიდან წავედით **თ. ალ. ჭავჭავაძესთან ლუარსაბი, ზაქარაი ჩოლაყაევი** და მე. ისინი შევიდნენ ცალკე ოთახში და მე დავრჩი სახადილოში. ნახევარი საათი იბაასეს და გამოვიდნენ. ჩვენ სამივე ერთად წავედით იქიდან და ისევ **ლუარსაბისას** მივედით, სადაც მათ გამომიცხადეს, რომ **თ. ალ. ჭავჭავაძემ** დაარწმუნა ისინი, რომ ეს სისულელეა. — თუმცა ყოველი ჩვენგანი ადრევეც იყო ამაში დარწმუნებული...

მეორე დღეს მივედი **ალ. ორბელიანოვთან** და უამბე ყველაფერი, რაც მოხდა, ამასთანავე ვთხოვე, მას რომ ეს საქმე ამაზე გათავებულიყო, მან ეს აღმითქვა.

აგრეთვე შევიარე **თ. ი. ფალავანდოვთან** და უთხარი, რომ **ალ. ჭავჭავაძემ** ჩვენ თვალი აგვხილა და დაგვარწმუნა ყველაფერში, რომ ეს ხოლოდ ახალგაზრდობის სისულელეა და მე მასაც ვთხოვე დაეხია ის ქაღალდი, რომელიც ზევით მოვიხსენიე, და მან აღმითქვა, რომ უსათუოდ მოსპობდა მას.

ავთანდილოვი და **ყიფიანოვი**, რომლებიც დიდი ხანი არ მენახა, ვნახე **ალექსანდრესთან**. იმათაც უამბე ყველაფერი და ვთხოვე წყნარად ყოფილიყვნენ და აღარასოდეს აღარ ეფიქრათ წარსულ შეცდომებზე.

ანტონ აფხაზოვი დეკემბრის 10-ს, შაბათ დილით შემხვდა ქუჩაში ბისი სახლის მახლობლად, გამაჩერა და მთხოვა მეამბნა ყველაფერი როგორც იყო. მე მას უთხარი, რომ ყველაფერი მშვიდობინად გათავდა და მადლობა ღმერთს ჭკუაზე მოვედით. ისიც ჩვენზე არა ნაკლებ იყო გახარებული ამ ამბავზე. რომ ბოლოს მაინც შოვიკრიბეთ ჭკუა.

---

[1]) **გიორგი რევაზის ძე**

ამნაირად გამოვაცხადე რა ყველაფერი, რაც მე ვიცი და რასაც ვაკეთებდით, ვთვლი ჩემს თავს დამნაშავედ და სასტიკი სასჯელის ღირსად მაგრამ იმედი მაქვს ყოვლად მოწყალე მონარქსა, რომ ის მიჰხედავს ადამიანს, რომელიც სულითა და გულით ინანიებს თავის დანაშაულს. არა, სიტყვები არ მყოფნის ჩემი მონანიების გამოსათქმელად.

პრაპორშჩიკი **თ. ელიზბარ ერისთოვი.**

1832 წ.

დეკემბრის 17. ქ. ტფილისი.

„საგამომძიებლო კომისიის მიერ დეკემბრის 27-ს მოცემულ კითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო: სოვეტნიკ **ალ. ორბელიანოვს** შარშან ველაპარაკებოდი კრივზე და ჩვენ გვიკვირდა, რომ მისი ნება მისცეს, და ამ შემთხვევაზე ვკითხე დაიარება თუ არა. კვირა-უქმე დღეებში. მაშინდელ სამოქალაქო გუბერნატორ **ზავილეისკისთან,** რაზედაც მან მიპასუხა, რომ აღარ დადის, თუმცა უწინ დაიარებოდა მასთან. კრივის უფლება ალბად გუბერნატორ **ზავილეისკიმ** დართო რომელიც გენერალ **პანკარტევის** აქ არ ყოფნის გამო სამოქალაქო ნაწილის უფროსობას ასრულებდა. მაგრამ **ალ. ორბელიანოვს** ჩემთვის არ უთქვამს, რომ **ზავილეისკიმ** იცის ჩვენი განზრახვაო.

პრაპორშჩიკი **ელიზბარ ერისთოვი".**

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (1,117.-118).[1])

„ჩემთვის წარმოდგენილ შეკითხვათა გარდა, მომხსენდა რაზოგიერთი გარემოება ამ საქმის ირგვლივ, საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო კომისიის წინაშე შემდეგი: ასე დაიწყო—მე ხშირად დავიარებოდი ჩემს დისწულ **მელნიკოვის ცოლთან** [2]), ხშირად ვკითხულობდი **ელიზბარს** და მე მიპასუხებდნენ, რომ ის **ალ. ორბელიანოვთან** არისო, ყოველ დღე და ღამე 2 ან სამი საათი **ალ. ორბელიანოვთან** იყო ხოლმე **ელიზბარ ერისთოვი,** რას აკეთებდა იქ მე არ ვიცი, ამის შემდეგ **ელ. ერისთოვმა,** როგორც პირველი შეკითხვის დროს ვაჩვენე, პირველმა გამონიცხადა შეთქმულბეის თაობაზე და როდესაც მე ვკითხე სხვა ვინ არის მონაწილე მეთქი, მან დამისახელა: **თ. ი. ფალავანდოვი, თ.გ. ერისთოვი, თ. ალ. ორბელიანოვი, თ. ბ. ერისთოვი** და ამათ გარდა კიდევ მრავალი სხვებიო. მაგრამ ვინ არიან ისინი მას არ დაუსახელებია. ამის შემდეგ **თ. ელ. ერისთოვი, თ. ალ. ორბელიანოვი, თ. ი. ფალავანდოვი** და **ზაქარია ჩოლაყაევი** მოვიდ-

---

[1]) მიღებულია 17 დეკემბერს 1832 წ.

[2]) **პოლიცმეისტერ ანდრია მელნიკოვის ცოლი, ელიზბარ ერისთავის და.**

ნენ ჩემთან და მითხრეს, რომ ეს საზოგადოება, ე. ი. საქართველოდან რუსების გაძევების საზოგადოება, დიდი ხანია არსებობს და ჯერ კიდევ შარშანვე არსებობდაო. **ზაქარია ჩოლაყაევმა** კი განაცხადა, რომ ამ საზოგადოების არსებობა მან ს. პეტერბურგშივე იცოდა საქართველოდან მიღებული წერილების საშუალებით, მაგრამ ვისგან იყო ეს წერილები ნაწერილი, მას არ უთქვამს, ოღონდ ეს კი დაუმატა, რომ **ფარნაოზ ბატონიშვილმა** განგებ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, იმ მიზნით, რომ მიღებული ფულებით საფრანგეთში წავიდეს და იქ იმოქმედოსო.

ბ. ელ. ერისთოვი და სხვები ერთხელ ლაპარაკობდნენ, რომ ამისათვის საჭიროა დროშა გავაკეთოთო. ნე, იმ მიზნით, რომ დროშომეგო და ამით შემესუსტებია მათი მოქმედება, უთხარი, რომ დროშა მე მაქვს, რომელიც ნართლაც ამჟამადაც ჩემს ოჯახში ინახება და რომელიც ჩემი წინაპრებისაგან მაქვს დამკვიდრებული, რადგან ისინი საქართველოს მეფეთა სარდლები იყვნენ; ჩემმა მეუღლემაც იცის ან დროშის შესანახი ადგილი.

ალ. ორბელიანოვი, ელ. ერისთოვი, ი. ფალავანდოვი და კაპიტანი **ჩოლაყაევი** მოვიდნენ ჩემთან სახლში და იმათგან **ი. ფალავანდოვმა** შემოიტანა წინადადება ამ მოქმედების დასრულების შემდეგ დაგვეარსებია დავით მეფისა და წმ. ნინოს ორდენი, რაც ყველამ მოიწონა. ხოლო **ალ. ორბელიანოვმა** განაცხადა, რომ დედა მისს **თეკლასაც** აქვს მიმოწერა **ალ. ბატონიშვილთანაო.**

მაიორი **თ. ლ. ორბელიანოვი**".

მომაგონდა აგრეთვე, რომ წარსულ 1831 წ. დეკემბერში, თუ ამა წლის იანვარში **თ. ელ. ერისთოვმა** გამომიცხადა ! ქართველოდან რუსების განდევნის განზრახვა, რაც მე რამოდენიმე დღის შემდეგ **თ. გენერალ - მაიორ ალ. ჭავჭავაძეს** ვაცნობე, ნაგრამ მან იგი არ გაიზიარა.

მაიორი **თ. ლ. ორბელიანოვი**".

დაუმატებ აგრეთვე, რომ **ელ. ერისთოვის** ნათქვამი იმის შესახებ, რომ პეტერბურგში შეთქმულების ამბავი იცოდნენ ტფილისიდან მიღბული წერილების საშუალებით, დაადასტურეს აგრეთვე იქ მყოფთ **ალ. ორბელიანოვმა და კორნეტ გ. ერისთოვმა;** იქვე იყო **კაპ. ზაქ. ჩოლაყაევიც.**

მაიორი **ო. ლ. ორბელიანოვი**".

„დაწვრილებითი და ჰეშმარიტი მოხსენება არტილერიის პრაპორშჩიკ **თ. დიმიტრი ერისთოვისა:**[1]).

ს. პეტერბურგიდან რომ ჩამოვედი ტფილისში 1833 წ. აპრილის 14-ს, სამი დღის განმავლობაში ვინახულე ყველა ჩემი ნათესავები, მეოთხე დღეს კი წავედი ჩემს „როტა"-ში, რომელიც ჯელალოღლის ციხეში იდგა. რადგან მე ტფილისში ავადმყოფობის გამო ჩამოვედი, ანიტომ დიდხანს არ შემეძლო მკურნალობის გარეშე დარჩენა, რის გამოც „როტის" ექიმის მოწმობის წარდგენით ვთხოვე შვებულება ბატ. პოლკოვნიკ **სანკოვსკის**, რომელიც მაშინ ბრიგადის უფროსი იყო; მან ნება დამრთო და მე ტფილისში ჩამოვედი.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი, როგორც ახლო ნათესავი და სიყრმის მეგობარი, ხშირად დაიარებოდა ჩემთან; მოდიოდა ხოლმე აგრეთვე გინმაზიის მასწავლებელი **ბატ. დოდაევი,** რომელსაც აგრეთვე სიყრმიდგან ვიცნობდი, რომელთანაც ვიგონებდით ხოლმე ჩვენს წარსულს და ვიცინოდით მის მიერ გამოცემულ ჟურნალზე: გაკიცანი აგრეთვე **ალ. ორბელიანოვი.**

ამათ მე სხვადასხვა კერძო საუბრებით ასე ვთქვათ მომოწმადეს და ერთ დროს, არ მახსოვს ვინ და ვინ იყვნენ, ჩამომართვეს ფიცი და გამომიცხადეს, რომ მათ სურთ თავისუფლება; მაგრამ შე ამ საიდუმლოს გამოცხადებამ შემაშინა და თუმცა ჯერ მთლად ნორჩენილი არ ვიყავ, მაინც გადავწყვიტე „როტა"-ში წასვლა, რათა თავი მომერიდებინა. ჩემს იქ არ ყოფნის დროს ტფილისში რა ხდებოდა არ გამიგია რამოდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ სექტემბერში, მიმავლინეს ტფილისში ჯამაგირის მისაღებად; ტფილისში ვერიდებოდი მათ შეხვედრას და არც იმათ შეუწუხებივარ; როგორც შემდეგ გავიგე ისინი თურმე იკრიბებოდნენ ხოლმე ხან **ი. ფალავანდოვთან,** ხან **დოდაევთან.**

ჯამაგირის მიღებისთანავე გავემგზავრე „როტა"-ში, სადაც დამხვდა ჩემი ერევანში მივლინების ამბავი, რადგან იქ დგას ჩვენი „როტის" დივიზიონი. მე არ შემეძლო წინააღმდეგობა გამეწია ჩემი უფროსისათვის, მაგრამ რადგან ვიცოდი ჩემი გამოუცდელობის ამბავი, არ მინდოდა იქ წასვლა სხვა წამსვლელი კი არავინ იყო-მე ერთად ერთი ვიყავი როტაში, იმ აფეცრის გამოცვლა კი აუცილებელი იყო. სამსახურის საქმეების გამო ბატ. **სანკოვსკის** ტფილისში წასვლა მოუხდა და მეც ვთხოვე ტფილისშივე წასვლის უფლება. რომ მოვმზადებულიყავ ახალ ადგილზე გასამგზავრებლად. ტფილისში ერთ საღამოს მეც წამიყვანეს **ფალავანდოვთან,** რომელსაც მე არ ვიცნობდი, გავიცანი იგი და მალე დავიშალენით, ვილაპარაკეთ გა-

[1]) მიღებულ 17 დეკემბერს, 1832 წელს.

ოლეზე საქმეებზე. მეორე დღეს კვლავ შეიკრიბენ: ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის **თ. გ. ერისთოვი, კაპ. თ. ჩოლოყაევი** და **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანოვები,** გიმნაზიის მასწ. **ს. დოდაეკი** თვით **ი. ფალავანდოვი,** სადაც ლაპარაკი იყო მთავრობისა და დაწესებულებების უსამართლოებათა შესახებ საქართველოს მიმართ, ე. ი. რომ უსამართლოდ გვართმევენ მამულებს, თავადებს ცუდად ეპყრობიან, რომ ქართველებს არ აძლევენ ასპარეზს და სხვა... და აქ მეც ჩემი ახალგაზრდობისა და აღვიარებ აგრეთვე სისულელის გამო-მათ მივემხრე. ანის შემდეგ გამაცნეს გიმნაზიის მასწავლებელი **პავთანდილოვი** და **ყიფიანოვი.** რამოდენიმეჯერ შეიკრიბნენ ზემოხსენებული პირნი, ლაპარაკობდნენ ხოლმე ზემოხსენებულზე და სურდათ თავისუფლება. ერთხელ სიტყვა ჩამოაგდეს მაიორ **ლ. ორბელიანოვზე,** როგორც საქართველოს პირველი საგვარეულოს შვილზე; არ მახსოვს ვილამაც თქვა, რომ მან იცისო, **კაპიტ. ჩოლაყაევს** უნდოდა ამაში დარწმუნებულიყო და მეორე დღესთვის დანიშნა მოლაპარაკება, მივიდნენ მასთან **თ. ფალავანდოვი, კაპ. ზაქარია ჩოლაყაევი თ. გ. ერისთოვი, ელ. ერისთოვი** და **ალ. ორბელიანოვი,** მე ის დროს შევედი, როცა **ლ. ორბელიანოვი** მათ ეუბნებოდა: „ბატონებო, თქვენ იცით, რომ მე თქვენზე არა ნაკლებ ვარ შეურაცხყოფილი, მაგრამ თქვენი განზრახვა განუხორციელებელია... თუმცა მოიფიქრეთ, მეც მოვიფიქრებ"-ო და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ფეხის ხმამ აიძულა გაჩუმებულიყო, მე მაშინათვე გამოვედი და წამოვედი, აღარც დავბრუნებულვარ იქ; ეს არის პირველი და უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მე ამ საქმის თაობაზე **ლ. ორბელიანოვისაგან** მომისმენია, რამოდენიმე ხნის შემდეგ სხვებიც გამოვიდნენ. ერთ საღამოს ჩემი ძმა **ელიზბარი, ვახტანგ ორბელიანოვი,** და **ფალავანდოვი** იყვნენ კაპ. **ჩოლაყაევთან,** არ ვიცი რისთვის, მაგრამ ჩემმა ძმამ მითხრა, რომ ჩვენ შემცდარი ვართო. როგორ თუ შემცდარი მეთქი ვკითხე მე. მან მიპასუხა, რომ გონს ეხლა მოვედი, თუ რა გვწადიან და რასა ვწვრებითო, ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს ჩვენმა მტრებმა გაიგონ მთლად დავიღუპებითო. და გადაწყვიტა რომ ამ საქმეზე ხელი უნდა ავიღოთ. მეც ამაზე სიამოვნებით დავეთანხმე.

მეორე დღეს საღამოთი **ალ. ორბელიანთან** ვიყავით: **ზაქარია ჩოლაყაევი** და **გ. ერისთოვი, ელ. ერისთოვი, ვახტანგ ორბელიანოვი** და მე. მე და ჩემმა ძმამ ხატზე დავიფიცეთ, რომ ამიერიდან ზემოხსენებულზე არა თუ აღარ ვილაპარაკებთ, აღარც კი ვიფიქრებდით და წამოვედით. იმ დროიდან, ე. ი. ნოემბრის უკანასკნელ რიც-

ხვების შემდეგ, ხეძოხსეხებულ თავადთაგან ერთი სიტყვაც ალარავის დაუძრავს თავისუფლებაზე.

ეხლა ჩემი ბედი მიმინდვია ყოვლად მოწყალე მონარქისათვის, დე იყოს ნება მისი მომნანიებელ დამნაშავეზე.

კავკას. გრენადურთა არტილერ. ბრიგადის 3-ე მსუბუქი „როტის“ პრაპორჩიკი **თ. დიმიტრი ერისთოვი**“.

დეკემბრის 17
1832

„მომაგონდა კიდევ ზოგიერთი გარემოება. პეტერბურგში რომ ვიყავი **ფარნაოზ ბატონიშვილთან** საუბრის დროს გამიგონია, რომ მათ სურდათ საქართველოში ყოფნა არა როგორც მეფეს, არამედ როგორც კერძო პირს, რომ აქუარი ჰაერით ესუნთქვა. ერთხელ **გ. ერისთოვის** გაბრაზების მიზნით **დიმიტრი ბატონიშვილმა** მასაც და ყველა ქართველებსაც ბოშები (ციგნები) უწოდა „რისთვისაო“ ეკითხა **გ. ერისთოვმა**. „იმიტომ რომ გაუნათლებელი ხართ, ველური, და გაიძვერა, თქვენ სხვანაირად არ შეიძლება იწოდებოდეთ თუ არა ბოშებად“-ო უპასუხა მან. საქართველოში რომ ჩამოვედი ჩემმა ძმა **ელიზბარმა** მითხრა რაღაც ჩარჩოს ზესახებ, რომლის საშუალებითაც რასაც გინდა დასწერ და სხვა მას ვერ მიხვდებაო, მაგრამ არ კი უჩვენებია, რადგან როგორც თვითონ ამბობდა ის დაკარგული ჰქონდა. ვისთანა ჰქონდა მიმოწერა ამ ჩაორჩოს საშუალებით მე არ ვიცი, მისთვის არ მიკითხავს. ერთხელ **ალ. ორბელიანოვს** უთხარი როგორ გაანდეთ ასეთი საქმე კაპ. **ზაქ. ჩოლაყაევს**, რომლის ხასიათის გაგებაც ასეთ მოკლე ხანში არ შეგეძლოთ და რომელსაც პეტერბურგში თითქმის სძულდა ქართველობა და გაგვირბოდა მეთქი. მაგრამ მან მიპასუხა: რას ამბობ, ის ყველა ჩვენგანზე უფრო გულმოდგინედ ეკიდება ამ საქმესო. ხოლო როდესაც ჩემი თანადასწრებით **ზაქ. ჩოლაყაევმა** უსაყვედურა **გიორგი და ელიზბარ ერისთოვებს და დიმიტრი ორბელიანოვს**, რომ ისინი პეტერბურგში მას ერიდებოდნენ და აქ კი ასე გულახდილად მიენდვნენ, მათ უპასუხეს: „მართალია, ჩვენ შენი გვეშინოდაო.

არტილ. **პრაპორშჩ. თ. დ. ერისთოვი.**

დეკემბრის 20.
1832 წ.

„მომაგონდა აგრეთვე, რომ პეტერბურგში ყოფნის დროს 1831 წ. როგორც მახსოვს გაზაფხულზე, ერთხელ მოვიდა ჩემთან **ბატ. დოდავი**, რომელიც სენატში მსახურობს და გამიცხადა, რომ ქართველებს ჯანყი სდომებიათ, მაგრამ არ უთქვამს ჩემთვის

არც მიზეზი და არც დაუსახელებია თუ ვისგან გოგო ეს ამბავი. ამის შემდეგ დოდაევი აღარ მინახამ“ არტილ. პრაპორშჩ. თ. დიმიტრი ერისთავი. 26 დეკემბერ 1832 წ.

თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება (1,125-126).[1])

წარსულსა წელსა დროსა პოლშის აღრევისასა, არ მახსოვს რომელს თვეში მე გამოვიარე სოვეტნიკ **ალექსანდრე ორბელიანოვის** სახლის წინ. და დამხვდა სოვეტნიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი** ხელი დამიჭირა და მითხრა ერთი საიდუმლო რამ უნდა გითხრაო. პოლშელებს რამდენიმე ქალაქი წაურომევიათ რუსებისათვის და ასე შეიწროებაში არის რომ აღარ შეუძლიანთ რა. და ახლა გვაქვს ჩვენ კარგი დრო რომ ამათის ხელიდამ გავნთავისუფლდეთ და ადვილადაც შეგვიძლიან ამანვე მითხრა ეს ჩვენი დაწყობა იციან მრავალთა და სხვათა რიცხვთა შორის მითხრა **მამუკა ორბელიანოვისა** და **ლუარსაბ ორბელიანოვისა**. და ღენერალმა ჭავჭავაძემაც იცისო; ესეც მითხრა ამაზედ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მაქვს მიწერ მოწერა. ამ აზრზედ მელაპარაკებოდნენ ოსტავ. პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი** და აზნაური **იოსებ მამაცოვი**

სოვეტნიკმა **ორბელიანოვმა ალექსანდრემ** მთხოვა **იასე ფალავანდოვი** განაცნიო მე მიველ და **იასე ფალავანდოვს** უთხარ და მას უკან სოვეტ. **ალექსანდრე ორბელიანოვი** და უჩიტელი **დოდაევი** მოვიდნენ **იასე ფალავანდოვთან** და დაიწყეს ლაპარაკი გარნა მე არ მახსოვს რას ელაპარაკებოდნენ. სოვეტ. **ალექსანდრე ორბელიანოვმ** მითხრა ვინც სანდო ნათესავთა ანუ მეგობართგანი მყვანდეს ვინმე უთხარ იმასაც ეს ჩვენი დაწყობილობა. და მე უთხარ **ბარძიმ ამილახვაროვს** ყოველივე ჩემთან ნათქვამი სოვეტ. **ალექსანდრე ორბელიანოვისა** და **ბარძიმმა ამილახვაროვმა** მითხრა დიდათ კარგი დაწყობილობა არისო და ამასაც მეუბნებოდა მე აგრეთვე ვეტდვი ჩემთ ვისაც ჩემი გული ენდობა და ხალხში ჩქარად ჰქონდა ლაპარკი რომ პოლშელთ წაართვეს ამდენი სოფელი და ამდენი ჯარი დაუხოცეს რუსთაო.

აღარ განვლო დიდმა ხანმა ხმა გამოვიდა რომ ვარშავა იიღეს და შემდეგ ამ ხმისა მე აღარავისთან მქონია ამაზედ ლაპარაკი და კიდეც მეგონა რომ სულ დავიწყებას მიეცაო.

იქმნება ერთს თვემდის ჩემა ძმამ მომიტანა წიგნი **ალექსანდრემ მომცაო** იქ მწერს **ოდესაც** ეს წიგნი მოგვიდეს დაუყოვნებლივ ზენ ჩამოდი და თან ჩამოიყვანე შენი სახლის კაცი **ბარძიმ ამი-**

---

[1]) მიღებულია 17 დეკემბერს 1832 წ.

ლახვაროვი, დიდი საჭრო საქმე მაქვსო. ეს იყო დაწერილი თბილისიდან ალექსანდრესაგან ამისვე ხელმოწერილი და ბოლოსაც ეწერა **იასე ფალავანდოვი**. ეს წიგნი წაუკითხე **ბარძიმ ამილახვაროვს** და მითხრა არა მცალიან რომ წავიდე. მე მაშინვე დავხიე ის წიგნი და არც წამოველ და არც ვიცოდი რა აზრზედ იყო მოწერილი.

პრაპორშჩიკი თ. თეიმურაზ **ამილახვაროვი**".

დეკემბრის იზ

ჩყლბ წელსა.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (1,131-134)[1])

„პოლონეთის აღრეულობის დროს მე შევნიშნე, რომ ჩემი ძმა **ალექსანდრე, ელ. ერისთავი** და **დოდაევი** ხშირად ჩაიკეტებოდნენ ხოლმე ცალკე ოთხაში და იქიდან დიდ ხანს არ გამოდიოდნენ; მე ვთხოვე ჩემ ძმასა და **ელიზბარსაც** ეთქვათ ჩემთვის თუ რაზედ საუბრობენ ხოლმე ისინი. მათ მე გამიმჟღავნეს, რომ მზათ აქვთ შეთქმულება. მე ეს სულ მოკლე ხანში გაუზიარე **ავთანდილოვს**. ჩემი ძმა **ალექსანდრე**, „**ელ. ერისთოვი** და **დოდაევი** ცდილობდენ გაევრცელებინათ საზოგადოება. მე შევნიშნე, რომ ჩემთან და **ავთანდილოვთან** ისინი მთლად გულწრფელი არ იყვნენ რადგან მათ კრებებს ჩვენ იშვიათად ვესწრებოდით. ვარშავის აღების შემდეგ მათ ყოველგვარი იმედი დაეკარგათ, მაგრამ გასულ ზაფხულამდის მაინც ცდილობდნენ საზოგადოების გამრავლებას.

ხედავდენ რა რომ ზაველეისკი, ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი, ხალხს ავიწროებს და იწვევს მათში უკმაყოფილებას, იქვე ჰქონდათ, რომ მასაც აქვს შეთქმულება.

ამა წლის შემოდგომაზე **დოდაევთან** იყვნენ ვახშმად: **ანტ. აფხაზოვი, ელ. ერისთოვი, ფალავანდოვი**, ჩემი ძმა ალექსანდრე, **გ. ერისთოვი** და მე, სადაც გამოეცხადა **ანტ. აფხაზოვს**, რომ ისიც უნდა შეთქმულების მონაწილე გახდეს, მაგრამ მან ითხოვა დრო ამ საქმეზე უკეთ მოსაფიქრებლად. რამოდენიმე დღის შემდეგ ვიყავით **ფალავანდოვთან**, სადაც **აფხაზოვმა** განაცხადა, რომ ის უარს ამბობს მონაწილეობაზე და ჩვენც გვთხოვს ამ საქმეზე ხელი ავიღოთ. რამოდენიმე დღის შემდეგ **იასე ფალავანდოვთან** შეეიკრიბენით; **ჩოლაყაევი, ელ. ერისთოვი** თავის ძმა **დიმიტრიითურთ, გ. ერისთოვი**, ჩემი ძმა **ალექსანდრე, დოდაევი, ყაფიანოვი, ავთანდილოვი, მამაცოვი** და მე. აქ გადწყვიეტეს გამოეცხადებიათ **თ. ჭავჭავაძესთვის**. ზოგიერთებმა იკითხეს **ჭავჭავაძე** თუნდაც დათანხმდეს რა ნაირად უნდა მოხდეს ჯანყიო. **ფალავანდოვმა**, ჩემნა ძმამ **ალექსანდრემ** და

[1]) მიღებულია 18 დეკემბერს 1832 წ.

ელ. **ერისთოვმა** უპასუხეს, რომ **ჭავჭავაძეს** და **ლ. ორბელიანოვს** შეუძლიანთ შეაიარაღონ რამოდენიმე ასეული თვისი გლეხებიო, რომ თვითეულს ჩვენგანს შეუძლია რამოდენიმე კაცის გამოყვანა და რომ ამ რაოდენობის საშუალებით შეიძლება უფროსების ამოხრცვა „ბალზე“ ციხეში, არსენალში, ყაზარმებში და ნავთლუღშიო, რის შემდეგაც **ფალავანდოვმა** გვაჩვენა განრიგება, თუ ვის რა ადგილზე თავდასხმა შეეძლო. შეიკრიბნენ რამოდენიმეჯერ ჩვენთანაც, ლაპრკობდნენ სულ ერთსა და იმავე საგანზე; **დედა ჩემმა** შენიშნა, რომ ჩვენ ოთახში ვიკეტებოდით ხოლმე და მითხრა და წყრომითა მკითხა რას ნიშნავს ჩვენი ასეთი ოთახში ჩაკეტა, რომ იქ არავის უნდებო. მე ის დავარწმუნე, რომ თავადაზნაურთა არჩევნებზე ველაპარაკობდით მეთქი. ისინი რამოდენიმეჯერ იყვნენ აგრეთვე **ლ. ორბელიანოვთან**, მაგრამ მე იქ არც ერთხელ არა ვყოფილვარ.

ჩემი ძმა **დიმიტრი** თუმცა ორჯერ იყო ჩვენთან, მაგრამ ის არა თუ თანახმა არ იყო, პირიქით ყოველ ღონეს ხმაროობდა, რომ როგორმე დაეშალა ჩვენი საზოგადოება.

მე რამოდენიმეჯერ გამოუტყვდი **ავთანდილოვსა** და **ყიფიანოვს**, რომ ეს უდიდესი სისულელეა, ისინიც მეთანხმებოდენ. ჩვენ ვმსჯელობდით ხოლმე, რომ უნჯობესი იქნება დავაარსოთ ერთი კარგი პანსიონი, შევაგროვოთ შემოწირულება გიმნაზიისათვის, დავარსოთ ბიბლიოთეკაც და სხვა; ვამბობდით რომ ქართველები რუსების მადლიერი უნდა იყვნენო; რომ ისინი ჩვენ გვაგრძნობინებენ განათლების სიკეთეს და გვიცავენ ლეკების თარეშისა და შეზობლების მხრივ შევიწროვებისაგან.

ბოლოს **ჩოლაყაევი** წოდის და ეუბნება ჩემ ძმა **ალექსანდრეს**, რომ აუცილებლად ყველაფერზედ ხელი უნდა ავიღოთო და ჩემი ძმაც ამაზე დაეთანხმა. მაგრამ **ელ. ერისთოვმა**, მისმა ძმამ **დიმიტრიმ** და **ფალავანდოვმა** მოიტანეს ამბავი რომ **ალ. ორბელიანოვი** ელაპარაკა **ჭავჭავაძეს** და **ჭავჭავაძე**. ნაწილობრივ თანახმაა.

ჩემი ძმა **ალექსანდრესაგან** გავიგე, რომ მას აქვს მიმოწერა **ალ. ბატონიშვილთან მოლა ზამანის** საშუალებით და რომ **ზამანას** გზაში თავს დაესხნენ ავაზაკები, რომლებიც მან დაამარცხაო.

მაგრამ როცა **ჩოლაყაევმა** განაცხადა, რომ ის ესაუბრა **ჭავჭავაძეს** და რომ **ჭავჭავაძე** არავითარ შემთხვევაში არა თანხდებოდა, მაშინ ყველაფერი მივატოვეთ და ამაზე სრულებითაც აღარავინ ფიქრობდა. ჩემმა ძმა **ალექსანდრემ** დაიწყო ლაპარაკი თავად-აზნაურთა არჩევნებზე. **ელიზბარმა** თავის მანულზე, მის ძმა **დიმიტრის** უნდოდა დარჩენილიყო გენერალ **ეუკოვსკისთან; გ. ერისთოვს** კი შტა

ბში უნდოდა დარჩენა; **ჩოლაყაევმა** დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ დროა პეტერბურგში დაბრუნდეს. მე ვეკითხებოდი შეიძლებოდა თუ არა მეც მასთან ერთად წავსულიყავ, შევსულიყავ ჯარში და თუ ომი გამოცხადდებოდა, წავსულიყავ ლაშქრობაში.

ამ თვის პირველ რიცხვებში ჩემ ძმა **ალექსანდრესთან** მოდის ჩვენი სოფლის ქევხა თუ მამასახლისი და ეუბნება მას, რომ დისტანციაში[1]) ლაპარაკობენ, რომ მას **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მიმოწერა აქვს; ჩემი ძმა გაუჯავრდა მას და აუკრძალა აღარსად გაემეორებია ეს ამბავი.

ჩემი ძმა **ალექსანდრესაგანვე** გავიგე, რომ თითქმის იმავე დროს მასთან ნოვიდა აგრეთვე **მოლა ზამანა** ოთხი ამხანაგითურთ, რომლებიც მოლა **ზამანის** მიერ მოწოდებული იყვნენ შეიარაღებისათვის სხვებთან ერთად.

აღვიარებ რა ყველაფერს, რომ მე ჩათრეული ვიყავი ჩემი ახალგაზრდობით, ვითხოვ მისი იმპერატორებით უდიდებულესობის ყოვლად ნოწყალეობას, მით უმეტეს, რომ ბოლოს ჩვენ ვიგრძენით ჩვენი შეცდომა და დავადექით ჭეშმარიტ გზას.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი.

მომაგონდა აგრეთვე, გაგონილი მქონდა, რომ **ოქროპირ ბატონიშვილი** საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას სუსტი ჯანმრთელობის გამოო. **ელიზ- ერისთოვის,** ჩემი ძმა **ალექსანდრეს** და **დოდაევის** საუბრებიდან ჯერ კიდევ პოლონეთის აჯანყების დროს მიმხვდარი ვიყავი, რომ ისინი ამ საგანზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ ნამდვილი მათი განზრახვა არ ვიცი, და არც ის ვიცი ვინა ჰყავდათ ხელმძღვანელი.

ვახტანგ ორბელიანოვი.

საგამომძიებლო კომისიის ანა დეკემბრის ოცდა შვიდს შეკითხვაზე, მაქვს პატივი უპასუხო, რომ ბევრს ჰქონდა იქვი ყოფილ საბოქალაქო გუბერნატორ **ზავილეისკიზე,** რომ მას აქვს განზრახვა მოაწყოს შეთქმულებაო და ამას იქიდგან დაასკვნიდნენ, რომ იგი ხალხს ავიწროვებს და მათში უკმაყოფილებას აძლიერებსო.

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო, რომ მე ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი მქონდა ჯერ კიდევ პოლონეთის აჯანყების დროს: ჩემ ძმა **ალექსანდრესთან, ელიზბარ ერისთოვთან, დოდაევთან, ავთანდილოვთან, გიორგი დავითის ძე ერისთოვთან და მამაცოვთან;** მიმდინარე წელს კი ყველა დასახელებულებთან და მაგათ გარდა **ყიფიანოვთან,** ლეიბ გუსართა პოლკის კორნეტ

ერისთოვთან, არტილერიის პრაპორშჩიკ დიმიტრი ერისთოვთან, არტილერიის პრაპორშჩიკ დიმიტრი ერისთოვთან, იასე ფალავანდოვთან და ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის კაპიტან ზაქარია ჩოლაყაევთან.[1]).

ვახტანგ ორბელიანოვი.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ჩვენება (1,135-150).[2]

კომისიასა შინა

როდესაც ოქროპირ ბატონიშვილი მოვიდა ამ ქალაქში და ცხოვრობდა რაოდენსამე თვესა, იმის ყოფნის დროსა, ერთს კვირა დილას მიველი მის სანახავად ნათესაობისა გამო, და არც იმის მეტად ზენახა, როდესაც შეველ-დამიძახა, აქ უთუოდ ჩემი მამიდაშვილი ალექსანდრე უნდა იყოვოდიახ მე გახლავარ მეთქი,-რა წამს ეს გაიოგნა, მაშინვე მოვიდა, გადამეხვია, და აქეთ იქით დამკოცნა, მასკვან დივანზე დამსო, და თვითონაც გვერდით დამიჯდა-მკითხა დედის ჩემის ამბავი როგორ მშვიდობით არისო. მე მადლობა მიუგე. - მასკვან როგორც განწესება არის პირველის ნახვისა, ისეთი ლაპარაკი დავიწყეევით, ერთ საათს უკან ისევ წამოვედი-კარამდისინ მიმყვა, გამოსალმების დროს მიფხრა გთხოვ ხვალ საღამოზე მერვე საათზე ჩემთან მოხვიდეთო, მე პირობა მივეცი უთუოდ გიახლებით მეთქი, მეორეს დღეს იმ ვადაზე მივედი, დავსხედით და მოვყეევით სხვადასხვა ლაპარაკს, რამოდენსამე მინუტს უკან მკითხა აქაური სამართალი როგორი არისო, მე მიუგე დიახ კარგი არის ბაგრამ ცოტა გვიან იცის საქმის გადაწყვეტა მეთქი, ერთი ჩემი საქმეც წარმოებს, 1803-ს წლიდან ჩვენ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა, რომ ჯერ ვერ გადაწყვეტილა და ჩემს ხვედრს წილს არ მაძლევენ ჩემნი სახლი კაცნი მეთქი, განცვიფრდა, მითხრა, საკურველი საქმე არისო. მე ვგონებ ერთი მაგტოლა დრო კიდევ გაივლის, რომ არ გადაწყდესო, მე მიუგე რა ვქნა ღმერთს ვფიცავ ამთენი, არზის მწერლის ფულის მიცემის ღონე აღარა მაქვს მეთქი, და ამთენის სასამართლოს სიარულით, ბევრჯელ მშიერი დავრჩები და მეტი დაქანცვით დაღალული მოვალ და მეძინება მეთქი, მითხრა ნუ სწუხარ ღმერთი მოგხედამსო-მე მიუგე, ახლა ხელმწიფესთან ვიჩივლებ უთუოთ მეთქი, და ღვთით ის რომ გასჩხრეკს, დიახ მართლმსაჯული ხელმწიფე არის, და მალე გადასწყვეტს ჩემს საქმეს, რომელიც დიახ სწრაფად მამეცემა ჩემი წილი მეთქი, გაიღიმა და აღარა

---

[1]) ე. ი. ბორჩალოს დისტანციაში.

[2]) მიღებულია 18 დეკემბერს 1832 წელს.

თქორა, მასკვან მოჰყვა ჩვენი წინაპართა ცხოვრებას, როგორი მამაცნი ყოფილან და ან რაოდენნი მტერნი გაუბნევიათ, და ან როგორი მამულის სიყვარული ჰქონიათ. მე ვუსმენდი იმის ლაპარაკს, შენდეგ მოვახსენე განა ჩვენ კი არა ვრთ მამაცნი მეთქი, მითხრა-თქვენ მამაცობისა კი არა ვიცირაო, მე მიუგე ღმერთს ვფიცავ როდესაც იმერეთში ბუნტი იყო და წედისის ზავალებზე მივედით მეთქი, პირველი მე ზავალში გადავარდი, რომ ჩემ სურტუკში ოთხი ტყვია იყო გავარდნილი, და მასკვან ხმალს ხელი მოვისვი და იმერლებმა რომ დამი ნახეს ასე მამაცათა, სულ გაიქცნენ მეთქი, და მასკვან სალდათები ამოვიდნენ მთიხრეს კნიაზო შენ სწორეთ ლომი ჰყოფილხარო, მე მიუგე იმ სალდათებს მაშ როგორი გინდათ ხელმწიფის სამსახური მეთქი. მითხრეს დიახ მართალს ამბობო, მალადეც, მალადეცო, ამას იქით ჩვენ თქვენთან სისხლს დავღვრითო. კნიაზ **გარჩაკოვმა** ესრეთ მხნეთ რომ მხედავდა დიდათ წყალობა დამიწყო მეთქი, აი **ბატონიშვილო**, თუ ქართველნი მამაცნი არ არიან მეთქი; კიდევ **ერმოლოვთან** 1822-სა წელსა ყაბართოში რომ იყო ჩვენი ჯარი, როგორ მამაცათ აღმოვჩნდი, რომ დედაჩემისათვის ეთქო მადლობა თქვენ დიახ კარგი ვაშკაცი შვილი გყოლიათო, და დიახ კარგი ოფიცარიო, და როდისაც სამსახურიდგან გამოველ, მაშინ დიდათ ეწყინა **ერმოლოვსა** ასე რომ ბევრი საქმეშიაც მტრობდა მეთქი. მითხრა **ოქროპირ ბატონიშვილმა** ეგ არ არის ვაშკაცობაო, მე მიუგე ბატონო მეტი ვაშკაცობა რაღა გინდა მეთქი, ამ სიტყვაზე აღარა თქო რა, მასკვან ჩამოაგდო მამულის ერთგულობაზე ლაპარაკი, ნოჰყვა ბერძულს ისტორიას, და ასეთს ამბებს ნოჰყვა, რომ სულ გამაგიჟა, ვანბობდი ნეტავ მეც იმათში ვყოფილიყავ მეთქი, განა ეხლა არ შეგიძლიან იმისთანა ამბავებიო, მე მიუგე სადაც დავსწრებივარ ვაჟკაცათ ვყოფილვარ და იმაზე მეტი სხვა არა ვიცი რა მეთქი, მასკვან მითხრა შაშინ იქნები ვაჟკაციო, თუ ამ რუსებს შაუტევო და გაიცინა, მე მიუგე მთელი ევროპია ნივიდა რუსეთზედა 1812-სა წელსა რომ სულ ქვის სროლით მიჰყვნენ პარიჟამდისინა, და **ნაპოლიონიც** დაიჭირეს მეთქი, კიდე აღარა თქო რა, და დაჩუმდა-მასკვან მოჰყვა, რაოდენსამე მინუტს უკან ლაპარაკს, კიდევ მამულის ერთგულებაზე რომელიც მე ვისმენდი, მასკვან რომ დაასრულა ავდეგ გამოვეთხოვე, და წამოველ შინა, კიდევ კარებამდის გამომაცილა, გამოსალმების დროს მითხრა მე დიახ შემიყვარდიო, და გთხოვ ხშირათ მოვხიდეო, დავიდოდი მე კვირაში ერთხელ დიახ ტკბილად შემიყვარა, სულ ყოველთვის აქაურს მამულის ამბავს ლაპარაკობდა, ერთხელ კიდევ ჩამოაგდო რუსებზე ლაპარაკი, და ან საქართველო რაგვარად მი-

ილო იმპერატორობა თვის მფარველობის ქვეშ,—თქო თქვენ ქარ-
თველები ვერა გრძნობთ თქვენსა მამულსაო-მე მიუგე ღმერთს ვფი-
ცავ დიახ ერთგული ვარ საქართველოსი მეთქი, მითხრა ეგ არ არის
ერთგულობაო, მიუგე მაშ რა ვქნა მეთქი, მითხრა ღვთის ფიცი მო-
მეცეო და პატიოსანი სიტყვაო დავიფიცე და მასკვან პატიოსანი
სიტყვა გამომართო, მითხრა ეცადე, რომ რუსები გადარეკოთო, მე
მიუგე საწყალნი ცოდონი არიან მეთქი, მითხრა კარგი მაგ ხუმრო-
ბაზე ხელი აიღეო, მე მიუგე ღმერთი გადღეგრძელებს როგორ შე-
იძლება მეთქი, და ან ურუსოთ რა ხელი გვეყრება, მეთქი, და მე
ვერ შემიძლიან, რომ რუსებზე ვიფიქრო რამე მეთქი, მასკვან კიდევ
მოჰყვა რა არის საქართველო და ან რუსებს რათ უნდა ეჭიროთ, და
ან როგორი სიმაგრეები აქვს, და ასე დაიწყო ლაპარაკი, რომ არ
შამიძლიან ენით წარმოთქმა, მასკვან კიდევ მიუგე რომ პაპაჩემიც
თქვენის ბიძის წინ მოკვდა ომში რომ ზედაც არ შამოგვხედეთ, და
ყოველთვის ჩემის ოჯახის დაქცევაში ყოფილხართ მეთქი, ახლა
ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი იმპერატორი იმის მიერ არის ჩვენი
ოჯახი გაბედნიერებული მეთქი, და მამა ჩემიც იმათ სამსახურს ქვეშ
მოკვდა 1812-სა წელსა და **ალ. ბატონიშვილს** თოფს ესროდა
მეთქი, ეხლა თქვენ რომ იშოვნოთ საქართველო, ხომ ისევ დააქ-
ცევი ჩემს სახლსა მეთქი, ნითხრა კარგია ბევრს ნუ ლაპარაკობო,
ეს უნდა იცოდეთ რომ 1200-ი წელიწადი თქვენნი მემკვიდრენი
ვყოფილვართო, ახლა უბრალოთ და უსამართლოთ წაგვართვა ხე-
ლმწიფებაო, მამა ჩემმა **გიორგი მეფემ** მფარველობა სთხოვაო, ნა-
ცვლად ამისა სულ წაგვართო და ჩვენ გედაგვრეკეს რუსეთშიო. ღმე-
რთი მოიგონეთ, სთქვან ხალხმაო, და მაღალს ღმერთს შეეხედეთო
ეს სამართალი არისო, მოჰყვა ესრეთს ამბავს რომ გულის მდუღა-
რედ ვტიროდი და არ ვიცოდი რა მექნა შენი ჭირიმე მეთქი აბა რა-
ლა ეშველება წარსულს ამბავს მეთქი, მასკვან მითხრა როგორც და-
გარიგო ისე მოიქეცეო, და ადვილი არისო, მოჰყვა ესრეთ, აქ ბევრ-
ნი კარგნი პატიოსანნი კაცნი არიან რომ იმათ ენდოთ და კარგს რჩე-
ვასაც მოქცემენო—**პირველი** დიახ ჭკვიანი კაცი არის **ჭავჭავაძეო** და
განათლებული, და ჩვენი გულისათვისაც ადრე დატოვებული იყო
რუსეთშიო, იმისი ნდობა შეიძლებაო, და კარგს განკარგულებას მოა-
ხდენსო, და უცხო ზაგოვორს გაკეთებსო, **მეორე** აქ კიდევ **ელიზბარ
ერისთოვი** არისო ისიც კარგი ჭკვიანი კაცი არის **მესამე** კიდ **სო-
ლომონ დოდაევი** ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო მე ვიცი
ისიც იყაბულებსო, აი ესენი ბევრს კაცს იშოვნიანო და მასკვან
წყნარ - წყნარ მოხდება ჩვენი **საქმეო** — ესრეთ გამიადვი-

ლა და ბევრს რაღაებსაც დამპირდა რომ კისერზე ამა-
ღებინა, მიუგე კარგი შეინჭიმე[1]) ვეცდები თუ რომ შაიძლება, და
ან კიდევ ჩემ ფიქრში ზემოვა მეთქი .ესეც მითხრა **თამარ ბატოიშვი-
ლისა** დიახ ჭკვიანი დედაკაცი არისო, მე მგონია ისიც იყაბულებსო.
წანოველ ვიფიქრე დიახ ბევრი ხანი მაგრამ ვერაოდეს გულმა ვერ
მითხრა რუსებზე წინააღმდეგობა მცირედი მაინც რაიმე, მე დაუ-
ტევე ჩემ ფიქრში სულ ერთიანათ, მაგრამ როცა ნივიდოდი **ოქრო-
პირ ბატოიშვილთან** ვატყუებდი ვცდილობ მეთქი, ხან რას ვეუბნე-
ბოდი, და ხან რასა ესეც მითხრა **ოქროპირ ბატოიშვილმა,** ამასაც გა-
სწავლის რომ ნურასდროს ორს კაცს ერთათ ნუ დაელაპარაკებიო.
თუნდა შენნი ძმანი იყვნენო, ვისაც ელაპარაკო ეს აზრი ყველას
ცალ - ცალკეო, ვიყავ ესრეთს ფიქრს მოცული და არ იქნა არ და-
ვამტკიცე რუსეთის ხელმწიფეზე წინააღმდეგობა, **ერთს** დროს სა-
ღამო ჟამზე მივდიოდი სიონის ქუჩაში ვნახოთ **იასე ფალავანდოვი**
დამხვდა მითხრა სირცხვილი არ არის შენთვის **ერთად შევიზარდენი-
თო** და ჩემთან არ დადიხარო, ამ სიტყვაზე დამიჭირა ხელი და ამ-
ყვანა ჩაიზე თავის ოთახში, ჩაი დავლიეთ ვილაპარაკეთ ხან დარზე
ხან მამულზე ხან წყალზე, და ხან ბაღში შექცევაზე შემდეგ გამო-
ვეთხოვე წამოველ შინა, მთხოვა, გთხოვ ხშირად მობრძანდებოდეთ
ჩემთანაო, მე ჩვენი სიყმაწვილის თამაშობა რომ მოძაგონდებოდა,
დიახ მიამა ესრეთი თხოვა, დავიწყე სიარული, შემდეგ როცა დავ-
სხდებოდით ეს **იასე ფალავანდოვი** სულ რუსებს ლანძღავდა, ერთხელ
უთხარ შენ კი ემართლები რუსებსა სხვაზე რომ დანაშაული ჰქონ-
დეთ, შენს ოჯახზე კი ბევრი სიკეთე მიუძღვით მეთქი, მითხრა რომ
ჩემს წონა ბრილიანტში რომ ჩამსონ არ მიყვარანო, და არც ერთგუ-
ლი ვარ ამათიო, რომელიც მე დამინახვებია საქართველოსთვის ერ-
თგულება და ორჯერ გავქცეულვარ, თქვენ კი ვერ გრძნობთ ჩემს
ანთენს შრომასაო, მე უთხარ დიახ კარგათ გიქნია რომ გაქცეულ-
ხარ, და რუსების წინააღმდეგობა არავის არ მოუხდება მეთქი-მით-
ხრა რას ლაყბობ ღმერთს ვფიცავ შენა ხარ ამათი ერთგულიო, მე
მიუგე ღმერთსაც ვფიცავ და ხატსაც მეთქი რომ დიახ ერთგული ვარ
ამათი მეთქი, მითხრა სირცხვილი არ არის შენთვისაო მე ერთი უბ-
რალო ღვდლის შვილი ვარო, და ასე ვგრძნობ ჩემს მამულსაო, და
შენ კი აგეთი უგრძნობი ხარო, მე გამიკვირდა, ვიფიქრე თუ ეს ეს-
რეთსა გრძნობს მაშ მე რაც უნდა დამემართოს მეთქი ნინდოდა
ოქროპირ ბატოიშვილის საქმე მეთქო მაგრამ დიდათ დაფიცებული
ვიყავ რომ იმისი ამბავი არავისთვის არ მეთქო თვინიერ ჩემის ფიქ-

---

[1]) ასე წერს.

რებისათვის, მასკვან უთხარ აბა მირჩიე რა ვქნა მეთქი, მითხრა დავაწყოთ საქმეო რომ რუსები გავიყვანოთო, მოჰყვა ესრეთ, ამ რუსებს რაკი გავიყვანთ ველარას დროს ველარ შამოგვივლენო, მე უთხარ რას ამბობს ღმერთს ვფიცავ მილიონი ჯარი ჰყავთ, **ასი ათასი** კაცი რომ გამოგზავნონ სულ ქოქით ამოგვაგდებენ მეთქი, მითხრა აბა მაქთენი შენ გოგრაში არ შამოდის როგორ დავიცვამთ ჩვენს მამულსო. მე უთხარ აბა როგორ იქნება მეთქი, აი ასეო მითხრა, აქ სამი ადგილი არის შესაკვრელიო, **ერთი** შავი ზღვაო, **მეორე** არაგვის მთაო, და **მესამე** დერბენტის ზღვაო, ესენი რომ შაიკვრის ველარ შამოგვივლენო, ასე ჩემკრა ასეთის ლაპარაკით რომ ვთქვი რაც უნდა დამემართოს, თუ ეს ამასა გრძნობს მეც ჯანი წამივიდეს მეთქი, უთხარ აბა რა ვქნათ მეთქი, მითხრა ხომ იყაბულეო, დიახ ვიყაბულე მეთქი, კარგია პატარა დამაცადე ვიფიქრებო, ლეო, დიახ ვიყაბულე მეთქი. კარგია პატარა დამაცადე ვიფიქრებო, წამოველ ჩემს სახლში და მეორეს დღეს ღამე მერვეს 1 საათზე **ოქროპირ ბატიშვილთან** მივედი, გამოუცხადე მე და **იასეს** ამბავი, დიდათ იამა, და კიდევ შემევედრა, რომ გთხოვ ჩემს ამბავს ნურავის ნუ განუცხადებო, მე კიდევ შევფიცე, რომ ღმერთს გეფიცები არავის არ ვეტყვი მეთქი. ამ დროებაში კიდეც წავიდა რუსეთს **ოქროპირ**, მე კუკიამდისინ გავაცილე, გამოსალმების დროს ცალკე გამიყვანა, მითხრა ახლა შენ იცი და შენმა კაცობამაო, გადამეხვია აქეთ იქით დამკოცნა და განვიყარენით. მე მოველ ჩემს სახლში, ახლა რაკი ის წავიდა სულ დავივიწყე და აღარც მაგონდებოდა, კიდევ **იასე ფალავანდოვთან** მივედი სანახავათ, მომეგება კარზე, და მითხრა სირცხვილი არ არის, რომ ასე დამივიწყეო რომ აღარ გაიარე ჩემთანაო, და შენი პირობაც დაგავიწყდაო. მე უთხარ რა ვქნა შეუძლოთ ვიყავი მეთქი, და არც მოცლა მაქვს ამთენი ჩემი საქმითა მეთქი. მითხრა დაბძანდიო, დავსხედით, მითხრა იმ დღეს რომ გითხარ აი ასე სჯობია შენ წადიო აქ **თეიმურაზ ამილახვაროვი** არის, შენიც კარგი მეგობარი არის და ჩემიც ნათესავიო. იმას უთხარ ნუ გეშინიან არ გაგვცემსო, რა წამს რომ ეტყვი მაშინვე ჩემთან მოვა და რჩევას მკითხავსო, ჩემს სახელზე ნუ ეტყვიო რომ ვითომც ჰე არა ვიცი რაო, ამისთვისაო რომ ჯერ შენგნით რომ გაიგებს არ დაიჯერებსო, ახლა მე რომ ვეტყვიო უთუოდ გაებმისო, და ველარსად ველარ წაგვივაო, და ჩვენი დასტისა შეიქნებაო, წამოველ ერთხელ მოედანზე დავიჭირე უთხარ, შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ მეთქი, ერთს რასმე გეტყვი, შემამფიცე რომ არავის არ უთხრა მეთქი, შამამფიცა ღმერთს ვფიცამ რომ არა ადაჭიანს არა. უთხრა რა შენი



მთავარმართველების პირველი სასახლე
(კომუნალური მუზეუმი)

ნიტყვაო, მასკვან უთხარ მე ახლა ყიზილბაშში მინდა წავიდე და იქიდან ჯარები მოვიყვანო, რომ ეს რუსები გაიყვანონ მეთქი. მითხრა, ოხ, **ალექსანდრე** ნეტავი მაგ დღეს მომასწროო, და ჩემი სიცოცხლე შუაზე გაჰყოვო, მაშ კარგი ხომ იყაბულებ მეთქი, დიახ ვიყაბულებო, გავიყარენით, მესამე დღეს შემხვდა **თეიმურაზ** კიდევ გამიყენა ცალკე და სიხარულით მახარა. ერთს რასმე გახარებო, მგონია სიხარულით ფეხზე აღარ დადგებიო, მე უთხარ თუ ღმერთი გწამს მითხარ მეთქი, მითხრა ხომ კარგათ იცი რომ **იანე ფალავანდოვი** ამათი ერთგული არ არისო მე იმას გაუტყდი მე და შენი აზრიო, რომელიც დიდათ იამაო, და მთხოვა რომ **ალექსანდრე** ჩემთან მოიყვანოვო, მე უთხარ აბა როდის წამოვალ მეთქი-მითხრა იმას ვეტყვი როცა ის მეტყვის მაშინ წავიდეთო კარგი მეთქი—და განმშორდა, განვიდა დღე ათი, რომ ველარა შემატყობინა რა ამ ათს დღეში **ანდრეი იაკოვლევის მელნიკოვიხ** სანახავად მივედი ღამე მერვე საათი იქნებოდა, **ანდრეი იაკოვლევიჩი** შინ არ დამხვდა, იმის ცოლი **მელანია** და იმ **მელანიას** ძმა **ელიზბარ ერისთავი** შინ იყვნენ, დავსხედით და ვლაპარაკობდით, მასკვან **ელიზბარმა** მითხრა **ალექსანდრე** მე შენთან ერთი საქმე მაქვსო, მე უთხარ, გთხოვ მიბრძანო მეთქი, მითხრა წამოდი წავიდეთო, გამოვედით ორნივ კარზე, წამიყვანა ვარეთ უბანს, შტაბის პლოსჩადზე, მითხრა შე დაწყევლილო შენც ხომ ჩემი აზრის პატრონი ხარო, მე უთხარ არ ვიცი რა უნდა იყოს მაგისთანა რომ მე და შენ ერთი აზრი გვქონდეს მეთქი. მითხრა კარგია ყვარს ნუ ლაყბობო ეს რუსები უნდა გადავრეკოთო, მე უთხარ **ელიზბარ** ძნელია რას გაგიჟებულხარ მეთქი, კიდევ მითხრა თუ ღმერთი გწამს ბევრს ნუღარ ლაპარაკობო, შენ პაჟიოსანი სისხლი არა გქონია, კიდევ ამ ერთის სიტყვით დავები, უთხარ აბა როგორ იქნება მეთქი. მოჰყვა მე შამიძლიან რომ შევადგინოვო,—მე უთხარ აბა როგორ მეთქი, მითხრა ბევრს კაცს ვიშოვნიო. მაგრამ შენ კი ყიზილბაშში უნდა წახვიდეო,—მე უთხარ ჯერ ხალხმა იყაბულოს, და მასკვან თუ სჯობს წავალ მეთქი, ამ სიტყვაზე გავიყარენით. გაყრის დროს მითხრა ხვალ ერთს კარგს კაცს გაგაცნობო, მე უთხარ თქვენი ნება არის მეთქი,—მეორეს დღეს საღამოზე **სოლომონ დოდაევი** მოიყვანა ჩემთან, **ელიზბარმა** მითხრა გთხოვთ ამ პატიოსან კაცს იცნობდეთ-მე მიუბრუნდი **დოდაევს** და უთხარ გთხოვთ მიცნობდეთ მეთქი, **სოლომონმა** გაიცინა და თქო, ახლა მე ვიცი რასაცა ვიქო, ვთხოვე დასხდომა, დავსხედით და მოჰყვა **ელიზბარ,** რომ ჩვენ მამულში უცხო თესლნი რად უნდა იყვნენო, და ან ჩვენ მემკვიდრენი ბაგრატიონნი რად წაგვართვესო. თუმცა წაგვართვეს, და თავის მფარ-

ველად მიიღო საქართველო, მაშ ხელმწიფე თავის მანიფესტს რატო
არ აღასრულებს 1801-სასაო, მასკვან **სოლომონ** წამოხლტა და თქო.—
ეს რუსები ულმერთონი და შეუწყალებელნი არიანო, რას გვემართ-
ლებიან, რომ ჩვენ ასე დაჩაგრული ვყევართო, მასკვან მიუბრუნდი
და უთხარი **სოლომონ** **ივანიჩო** ესხომ შენ უწინ არ იყავრა მეთქი.
ეხლა ჩინოვნიკი ხარ, და შკოლის ოსტატი სხვა რა გინდა მეთქი მი-
თხრა ესეც ბაგრატიონთ წყალობა არისო. და **ბაგრატმა** თავის შეძ-
ლებით გამზარდა პეტერბურგშიო, რომელიც ეხლაც ჩემ ძმაწ კი-
დევ **ბაგრატ** ზრდისო. და იმის მოწყალებით იზრდებაო, აბა რუსე-
ბისაგან სხვა რა მეყვედრებაო, მე აღარა ვთქვი რა, მასკვან **ელიზბარმა**
თქო, სოლომონ ივანიჩო ახლა უნდა ვეცადნეთო, **სოლომონ ივანიჩმა**
თქო [illegible] სულ მე ვიშოვნიო და ქიზიყშიც ბევრს კაცს
ვიშოვნიო, ელიზბარმა თქო მე შევძლებ რომ **ლუარსაბ ორბელია-**
ნოვი ვიშოვნოო ამისთვის ის ჩემი ბიძა არისო, და დიდათ მენდობაო.
მე მითხრეს შენ ვილას იშოვნიო, მე უთხარ რა ვქნა ვერავის ვერ
ვეტყვი მეთქი, მაშ კარგიო **ელიზბარმა** მე ბევრს ხალხს ვიშოვნიო,
ამ დროს გავიდნენ, მეორეს დღეს დილაზე სასამართლოში მივიდ-
დი ვნახე რომ **თეიმურაზ ამილახვაროვი** მეიდანზე დამხვდა მითხრა
ამლამ **იასესთან** უნდა წავიდეო. მე უთხარ დიახ ბატონი ხარ მეთქი
იმ სალამოზე ჩემთან მოვიდა, წავედით, მივედით დიახ სიამოვნებით
ბიგვიღო, დავსხედით, და ჯერ მკითხა **იასემ**[2]) გაზეთები ხომ არ წა-
გიკითხამთო, მე უთხარ არა მეთქი მასკვან **თეიმურაზმა** თქო, **ალექ-**
სანდრე შენ ხომ ჩემი ახლო მცნობი ხარო, და ეს **იასე** ჩემი ნათესავი
სული და გული არისო. რატო არას იტყვითო, კიდევ **იასე** წამოდგა
და თქო ღმერთსა ვფიცავ არასდროს არ მიყვარან ეს რუსებიო, და
რა ვქნა, მასკვან **თეიმურაზ ამილახვაროვმა** თქო ღმერთსა ვფიცავ
მეც დიდათ მძულანო, და არც ერთგული ვარო, ჩემი ერთი საქმე არის
სასამართლოშიო, ერთი დღის მიწაზედაო, ღმერთს ვფიცავ ჯერ ასი
თუმანი მეჯი ხარჯი მაქვსო და არა ღირს თხუთმეტ თუმნათაო, არ
ეგნა ვერას დროს ვერ გამოვიტანე, სულ ნაწლეგებში გაწყვეტილი
ვარო, მასკვან მე ვთქვი ღმერთსა ვფიცავ ამ რუსებზე უკეთესი კა-
ცნი არ უნდა რომ ესენი არიან მეთქი რომ სასამართლოში ამთენი
კაცის თრევა არ იცოდნენ მეთქი, მასკვან **იასემ** თქო ამათ მყვარე-
ბლის მამას ასე უყავო, მასკვან **თეიმურაზმაც** ის დაუმტკიცა და
თქო ამინო, მასკვან **თეიმურაზმა** თქო კარგი აბა როგორ მოვახდი-
ნოთო რომ ჩვენი საწადელი აღსრულდესო, მე ვთქვი კი-

---

[1]) 2. ი. ფალავანდიშვილი.

დევ ღმერთს ვფიცავ დავეხსნათ მეთქი თუნდა რუსებმა ჩვენზე ხელი აიღონ მეორეს დღეს შაშინვე მთის ხალხი და მეზობლები წაგვახდენენ მეთქი, მასკვან **იასემ** თქო, შენ დიახ აგრე იტყვიო, და გავჩუმდით, მასკვან ვიღაც მოქალაქეები შემოვიდნენ, და შინ წამოველ, იასე კიბემდისიმ მომყვა და მთხოვა გთხოვ ხვალ ჩემთან მობრძანდეთ მარტოკა საღამო ჟამზედაო, მე პირობა მივეცი, მეორე დღეს საღამოზე მივედი, კიდევ დიახ პატივით მიმიღო, დავსხედით, დ მო:ყვა, რუსებზე სამდურავს და ლანძღვას, და ამბობდა ამ ქართველებისთანა პადლეცნი ხალხნი ჩემ თვალს არ უნახამსო, მასკვან უთხარ **იასე** თუ აგრე გულით მოგიწადინებია მეთქი რატო შენ ძმას არ ეტყვი მეთქი, მითხრა ღმერთს ვფიცავ თუ ქართველნი მოინდომებენ რასმეო, ეს ჩემი ძმა ქართველების პირველი მინისტრი იქნებაო, და ბევრს საქმეებს დაგიწყობსთო. ღმრთს ვფიცავ და იესოს ამ სიტყვითა და ამ ლაპარაკითა ასე გავები რომ ნამდვილად კისერზე ავიღე, მე უთხარ რა ვქნა მეთქი ასეთს რიგათ ლაპარაკობ რომ კისერზე აწალებინე მეთქი, კარგი ვეცდები თუ რამ შამიძლიან მეთქი, გამოვეთხოვე და წამოველ შინისაკენ. ამ დროებში პოლშის ამბავიც მოვიდა, რომ იბუნტესო, მე ეს ამბავი პირველად **იასემ** მითხრა, და ესეც თან დაყოლა ეხლა მაინც გახილეთ თვალები ქართველებმაო, აგერა პოლიაკებმა რა ქნესო, აქ ჩემთან ერთი ფრანციცი დადისო **იასემა** თქო ის ფრანციცი მოხუცებული კაცი არისო, რომელიც **ნაპოლეონის** ჯარში უმსახურნია პოლკოვნიკათაო, და პოლკი ჰბარებია, ის ფრანციცი გამოგდებული არის, როდისაც **ნაპოლიონი** დაიჭირესო, და აქ ქალაქში ცხოვრობსო, იმას ერთი ბეჭედი აქვსო **ნაპოლიონი** ჰხატია ზედა, ის ფრანციცი მე დიახ ახლო მიცნობსო, და ასე მითხრაო, ზდეს ნადუბნაო ბუნტუო, **იასემ** თქო ხვალ ფრანციცი რას ამბობსო, და ჩვენ კი ვერ გვიგრძვნიაო, ამ ლაპარაკით გავიყარენით, მეორეს დღეს **სოლომან დოდაევი** მოვიდა ჩემთან, და იმანაც პოლშის ბუნტი მითხრა, შემდეგ **ელიზბარ** მოვიდა იმანაც თქო, და ესეც თან დაატანა ახლა უთუოთ ლუარსაბს ვეტყვიო, და წავიდა, მეორე დღეს კიდევ **დოდაევი** მოვიდა ჩემთან, მითხრა, აბა რა ვქნათო, მე უთხარ ეს რა ღმერთი გაგწყრომია მეთქი, ის **იასე ფალავანდოვი** უფრო უარესია შენ ზედა მეთქი—მითხრა შენიჭიმე წავიდეთ იმასთან სანახავათო, მე უთხარ ეხლა დრო არა მაქვს მეთქი,— და წავიდა შინ უკმაყოფილო ჩემგნით, მეორე დღეს შაფათი იყო, და ჩემი ჩვეულებრივსამებრ, ხალამო ლოცვა რომ დარეკეს სიონში წავედი თაყვანის საცემლათ და სანთლის დასანთებათ სიონიდგან რომ გამოველ, **სოლომან დოდაევი** დამხვდა კარებში, მი-

თხრა მანდ რას აკეთებდიო, მე უთხარ შეთქმული მაქვს ყოველ შაფათს სანთელი უნდა დაუნთო მეთქი, მითხრა რათაო, ჩემის ძმის **დიმიტრის** მშვიდობისთვისა მეთქი, მასკვან მითხრა, მოდი ერთი **იასესთან** ავიდეთო, მე უთხარ ავიდეთ მეთქი, ავედით, დავსხედით, მოჰყვნენ ლაპარაკს, და რუსების ლანძღვას, მასკვან **დოდაევმა** თქო ახლა ჩვენიც დრო არისო. ეს სიტყვა **იასემაც** დაუმტკიცა რაოდენიმე ხანს უკან გამოვეთხოვე **იასეს,** და წამოველ შინა, **დოდაევი** უკან მამეწია, მითხრა პატარა როგორ ვერ ვერ შოიცადეო, ოჰ, შენ რა ტრუსი რამა ხარო, მე კიდე უთხარ თუ ღმერთი გწამს დავდგეთ ჩვენს ქერქში თქვენ უთუოთ სულს აუტანიხართ მეთქი, მასკვან მოიბუნდა და მითხრა კნიაზო **ალექსანდრეო,** ღმერთს ვფიცავ შენ რომ არა ყაბულობ, და ვინიცობა არის თუ შაგვიტყეს, და დაგვიჭირესო,—პირველად შენ პირში მიგვცემო, და ყველასაც ასე ვეტყვი რომ შენზე თქოს ყოველი დანაშაულიო, მე უთხარ შენ რომ მაგასა იქ მეთქი, ნაშინ ღმერთს რას პასუხს გასცემ, და ან მეორედ შოვლას რას იტყვი მეთქი, და ხომ საუკუნოდ უნდა შენი სული იტანჯებოდეს მეთქი, გაიცინა და მითხრა ოღონდაც მე თავი გავიმართლო თორემ სულ ოჯახით რომ დაიღუპოვო მაქთენს არას ვინაღვლიო, მასკვან უთხარ, ალბად ხელმწიფე დიდია, და იმის მთავრობა მეთქი თორემ შენი ცარიელი ლაპარაკით ვინ რას გაიგებს მეთქი, ამ სიტყვით განმშორდა და მეც შინ აველ, ამის შემდეგ განვლო რაოდენმა დღემა მოვიდა ელიზბარ, და მითხრა აი რამთენი კაცნი ვიშოვნეო, მე უთხარ აბა ვინ არიან მეთქი, მითხრა ჯერ **გიორგი ერისთოვისა დავითის ძისა,** მასკვან **ზაქარია ციციანოვისა, მასკვნ ალექსანდრე ორბელიანოვისა გიორგის ძისა,** მასკვან **ლუარსაბ თარხანოვისა,** მასკვან **იოსებ მამაცოვისა,** შემდეგ **გრიგოლ ორბელიანოვისა,** და **დასასრულ ლუარსაბ ორბელიანოვისა,** და ესეც მითხრა შენ ყველას გაჩვენებო, ასეთი შეპყრობილი ვიყავ, რომ არ ვიცოდი რა უნდა მექნა, ხმა ვერ გავეცი, მეორეს დღეს **გიორგი ერისთოვი** მოიყვანა და გამაცნო, მესამეს დღეს **გრიგოლ ორბელიანოვი** შოიყვანა **ელიზბარმა და გიორგი ერისთოვი,** ეს სამნი მოვიდნენ ჩემთან, საღამოზე, და დავსხედით, **გრიგოლმა** თქო **ალექსანდრე** ეს ყმაწვილები რაღებსაც მეუბნებიან რუსების აქედგან გაყვანისაო მაგრამ ძნელი არისო, **ელიზბარმა** უთხრა თუ ღმერთი გწამს კარგი გრიგოლ ბევრს ნუ ლაპარაკობო, კიდევ **გრიგოლმა** უარი უთხრა, მასკვან მე ამათ დასამშვიდებლად უთხარ მე ერთს რასმე კარგს გირჩევ მეთქი, თქვენგანი ვინმე მივიდეს **ალექსანდრე ჭავჭავაძესთან** და რჩევა ჰკითხოს, მე გარწმუნებთ მეთქი რომ ის დიახ რიგიან რჩევას მოგცემთ, და თუ

შაიძლება ყველას წვრილად გვიამბობს მეთქი, და თუ არ შაიძლება, სულ დავიწყებასა მიეცით რომ სულ აღარა იფიქროთ მეთქი, დიახ ამ სიტყვაზე შეთანხმდენ, **გრიგოლმა** თქო მე ვეტყვიო მაგრამ **გრიგოლმა სულ** არა უთხრარა **ჭავჭავაძეს** და ისე წავიდა პეტერბურგს. გრიგოლი.

შემდეგ ამისა **ელიზბარმა** მოიყვანა ჩემთან **ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი, იოსებ მამაცოვი,** თითონ **ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვი,** მთხოვეს გთხოვ თქვენ ბაღში გავისეირნოთო, მე მოვახსენე მათ თქვენი ნება იყოს მეთქი, და წავედით, ზაფხული იყო შევექეცით ბაღში, ვიარეთ, ვისეირნეთ და წამოვედით ისევე, მათ ერთიანათ მთხოვეს გთხოვ ხვალ სადილად ამ ბაღში დაგვპატიჟოო, მე იმთენთ (?) პატიოსნად მოვახსენე მობრძანება, მეორეს დღეს სადილათ ჩემთან იყვნენ ბაღში ჩემი სახლი კაცი **ალექსანდრე ორბელიანოვიც**[1]) იქ იყო, და სადილის უკან მოჰყვა **ელიზბარი** ამ რიგათ, ყველამ უნდა ვიცოდეთ რომ ჩვენი მეტკვიდრენი 1000-ის წლისანა მეფენი გადაგვიკარგეს, და ეს უცხო თესლნი ნაცვლად იმათს დაგვიპატრონეს, რომელიც უკანასკნელ ლუკნას გვართმევენო, და რაც მამულები და ყმა გვყავს გვართმევსო ჩვენი მზრუნველი თვისნიერ ღვთისა კაცთაგანს ვერავის ვერა ვხედავთო, მასკვან ყველამ თქვეს არ ვიცი, ღმერთს ვფიცავთ რა ვქნათო, ასე შეწუხებულნი იყვნენ ყველანი, ღმერთს ვფიცავ რომ ცრემლით ევსებოდათ თვალები, და ასე თქვეს ყველამ ერთ თანახმად ნეტავი ხელმწიფემ ერთიანად წაგვართოს ყმა და მამულიო რომ წართმეული არისო, თუ არა ერთი იასაული მოდისო, ჩვენ გლეხკაცთ ჩვენთან სცემს, და მასკვან მოგვირბრუნდება ჩვენც ბევრს გვაგინებსო რომ ხმას ვერ ვაცემთ ხოლმეო, და რასაც უნდა ჩვენს სოფელში იმას იმექმედებენო, და მასკვან კარგის ქეიფით წავაო, შემდეგ როგორც ქართველური ხუმრობა არის ისე მოჰყვნენ სიცილს, ხან ერთმანეთი ვლანძღევით, და ნასკვან დავიშალენით თვისს სახლსა შინა წავედით, შემდეგ ამისა ერთს დროსა ვიყავ **თამარ ბატიშვილთან** და ლაპრკსა შორის თქო ნეტავ იერსულაიმში იყოს ვინმე წამსვლელი ღმერთს ვფიცავ წავყებოდიო, მე უთხარ იქნება ვინმე გამოჩნდეს მეთქი, ამ სიტყვის შემდეგ მიველ შინა, და მეორეს დღეს **იასე ფალავანდოვთან** ჩავედი უთხარ ეს **თამარ ბატიშვილი** ცარიელი ლოცვის, და ღმერთთან ვედრების მეტი არა არის რა, მითხრა როგორაო ასე რომ იერუსალიმს სურს წასვლა მეთქი თუ მგზავრს იშოვნის მეთქი მით-

---

[1]) **ალ. გიორგის ძე ორბელიანზე ლაპარაკი.**

ხრა ნეტავი წამოვიდეს თორემ მე თან გავყვებიო, მასკვან მე უთხარ
მგონია შორს არის მეთქი, მითხრა დიახ შორს არისო. მეშდეგ მკი-
თხა კიდევ ვერ იგრძენით ქართველებმაო, მასკვან უთხარ იასე უყუ-
როთ ამ პოლშელებსა მეთქი თუ იმათ შეიძლეს თავის თავის გატანა
მეთქი მაშინ ჩვენც ვეცადნეთ ჩვენს საქმესა, და თუ არა და თუ
ღმერთი გწამს სულ ნულარას ვიფიქრებთ მეთქი, ერთი საშინელი
ამოიოხრა, და ალარა თქო რა, მეც დავჩუმდი, და შემდეგ წამოველ
შინა, რამდენსამე დღეს უკან **ელიზბარ** ერთს საღამოზე მოვიდა ჩე-
მთან, და მითხრა, წავიდეთ **ლუარსაბის** სანახავათო, მე უთხარ აგრე
იყოს მეთქი, წავედით ლუარსაბთან დავსხედით, მაშინვე უთხრა
ელიზბარმა, ლუარსაბ მე რომ გითხარი **ჭავჭავაძეს** არ უთხარო, იმან
თქო უთხარიო, და ასე თქოვო რომ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** კა-
ცი გაგზვნეო, ის კახეთში გამოვიდესო, მე ვკითხე **ლუარსაბ** რა სა-
ჭირო არის იმისი კახეთში გამოსვლა მეთქი, მითხრა იმანა თქოვო ის
გამოვიდეს, და მასკვან მე ვიციო, ამაზე ალარ ვთქვი რა, და ერთს
საათს უკან შინ წამოველ, მეორეს დღეს ელიზბარ მოვიდა ჩემთან
დილაზე, მითხრა რალას უყურებთ ერთი კაცი იშოვნეთ ვინმეო,
რომ გავგზავნოთო, მე უთხარ ხომ კარგათ იცი სულ ოცი კომლი თა-
თარი მყავს, და ისიც სულ საწყალი ხალხნი არიან მეთქი, ბიძა შენს
ლუარსაბს უთხარ რომ **ასი** კომლი კაცი ჰყავს მეთქი, და იმან გაგზა-
ვნოს მეთქი, ან სიტყვაზე წავიდა ჩემგნით, მეორეს დღეს **ლუარსაბ-
თან** გავედი საღამო ჟამზე, და ჩვენი გაყრის საქმე მინდოდა მამელა-
პარაკებინა, ამ დროს **ელიზბარ მოვიდა,** კიდევ იმაზე ჩამოაგდო ამ-
ბავი, მასკვან **ლუარსაბმა** უთხრა **ელიზბარ** რა დაინიჟეო **ალექსან-
დრე ჭავჭავაძემ** თქოვო რომ კაცი გაგზავნეთ **ალექსანდრე ბატო-
შვილთან.** მაშინ მე ოქროპირ ბატონიშვილის სიტყვა მომაგონდა
ალ. **ჭავჭავაძე** ჭკვიანი კაცი არისო, მე ვგონებ და ისე მახსომს რომ ამ
ლუარსაბის სიტყვაში **ალექსანდრე ორბელიანოვი და გიორგი** და
ვითის ძე ერისთოვი იქ იყვნენ. მე გავეყარე ველარც ჩემი საქმე რამ
უთხარ, და წამოველ შინა, მეორეს დღეს კიდევ **ელიზბარ** მოიჭრა
ჩემთან მითხრა რა ღმერთი გაგიწყრათ ერთს კაცს როგორ ვერ
იშვნეო, მე უთხარ რას ამბობ ვინ წავა მეთქი, მასკვან მითხრა შენ
რომ გხედავ სულ დროს გასატარებლად თანხებს გვაძლევო დამი-
წყო ლანძღვა, და ისე გაიქცა,—მასკვან **იასესთან** ჩავედი უთხარ **იასე**
მეთქი ეს რა დაგმართვიათ რომ ასე გაგიჟებულხართ მეთქი, მითხრა
რა არისო, მე **ელიზბარის** ამბავი სულ უთხარ, მამიბოუნდა და მით-
ხრა ახლა არ უნდა გრცხვენოდესო, ის ყმაწვილი კაცი ისე ცდილო-
ბდესო, და შენ კი აგრე უნდა გეძინოსო, მე უთხარ რა ვქნა მე კაცი

არავინა მყავს მეთქი რომ გავგზავნო მეთქი, და თუნდა გავგზავნო ღმერთს ვფიცავ იმ წამს ჩემს კაცს იქ მოჰკლავს მეთქი, ეს ყველამ რკით მეთქი რომ მამა ჩემი იმას თოფს ესროდა, და ამათის გულისთვი თავი მოიკლა მეთქი მე როდიღა მენდობა, და ახლა მოსისხლე არის ის ჩემი მეთქი, მითხრა ფუ შენს კაცობასო, ღმერთს ვფიცავ ნუ გეშინიან გაგზავნეთო, მე უთხარ **ლუარსაბ** უფრო იშოვნის კაცსა იმან გაგზავნოს მეთქი, კიდევ ლანძღვა დამიწყო, შემდეგ წამოელ შინ, მეორეს დღეს დილაზე კიდევ მოიჭრა **ელიზბარ**, მითხრა ღმერთმა შეგარცხვინოსო, კარგი კაცი შენ და **ლუარსაბ** ხართო, მე უთხარ რა ვქნა **ელიზბარ** მეთქი, მითხრა ერთი კაცი ვერ გიშოვნიათ რომ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** გაგზავნოთო. მე უთხარ არ შაიძლება ნუ აგიხირებია მეთქი, აგრე **ჭავჭავაძისას** ამბობდიო, ხომ შაიტყე რა უთქომსო.

მე უთხარ რა ვქნათ ძმაო მეთქი იმ **ჭავჭავაძემ** გაგზავნოს უფრო დიდი კაცი, არ არის მეთქი, მითხრა ხომ ხედავ ტრუსი[1]) არისო, მე აღარაფ უთხარ რა.

ამის მეორე საღამოს **იასე ფალავანდოვი** მოვიდა ჩემთან. დავსხედით მოჰყვა, სირცხვილი არის შენთვისაო რომ ერთი კაცი ვერ გიშოვნიათო რომ გაგზავნოო, მე ამაზე სულ ხმა აღარ გავეცი, მასკვან მითხრა რა საძაგელი კაცი ხარო, მე უთხარ რა ვქნა ძმაო **იასე** არ შეიძლება რომ მე ბატოიშვილს ვენდო მეთქი, კიდევ აღარა ვთქვი რა, და ერთს საათს უკან წავიდა შინა, რაოდენსამე დღეს უკან მამივიდა კაცი რომ **იბრეიმ მამად-ოღლი** გაიქცაო მთიდგანაო, მე დიდათ შავწუხდი, ის იბრაიმ ყარა მამადაშვილი მთავრობის ბრძანებით გადმოასახლე ოსმალოდგან ექვს თუ შვიდის კომლით, და ის **იბრეიმ ყარა მამადაშვილი** გადმოსახლებისა დროსა ჩინოვნიკს **ეიბ ოღლის ალი აღას** უნდა **დიმიტრი ორბელიანოვისათვის** დაესახლებინა, მე ეს შავიტყე, და აღარ დავანებე, მასკვან იმ **ალი აღამ** შური იძია ჩემზე, ამთენი ელაპარაკა იმ **იბრეიმას** რომ ისევე უკან გაიქცა, მე ამის შამტყობს როდისაც გაიქცა, მაშინ ჩემი სოფლის **მოლა ზამანა** დავიბარე. და უთხარ, შენ ხომ მოლა ხარ მეთქი და **იბრეიმს** კარგად იცნობ მეთქი, ეხლა შენ წადი ჩემაგიერათ სთხოვე რომ რაც ჩემი იმაზე დანახარჯი არის სულ მომცეს მეთქი, მითხრა ბატონი ხარო, მაგრამ გზაზე[2]) არიანო ერთი თოფი მათხოვეთ რამეო; მე ერთი პატარა თოფი მქონდა ავდექ და ის ვათხოვე,

---

[1]) მშიშარა.

[2]) ერთი სიტყვა არ იკითხება.

მასკვან ისე უეცრად წამამცდა, და უთხარ, მოლა **ზამან** მეთქი ერთ კაცს ვერ იშოვნი რომ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** გავგზავნო მეთქი მკითხა რად გინდარ, კახეთში გამოვიდეს მეთქი მითხრა არსად არის იმისთანა კაცი, სხვა აღარა უთხარ რა ამის მეტი რომ **იბრეიმ ყარა მაჰმად ოღლის უთხარ** რომ ჩემი ძმაზე დანახარჯი რაც არის სულ უნაკლულოვანოთ გამომიგზავნოს მეთქი და ესეც უთხარ რომ ღმერთი არ შეგარჩენს თქო, ამ ჩემ ღალატობასა თქო, ამ სიტყვაზე წავიდა, ამის შემდეგ ერთ საღამოზე მოვიდნენ ჩემთან, **ელიზბარ ერისთოვი, გიორგი ერისთოვი დავითის ძე და სოლომონ დოდაევი** ჩემი ძმა **ვახტანგიც** იქ იყო, მოჰყვა **დოდაევი** რუსების წინააღმდეგობასა, და **ელიზბარიც** იმის სიტყვას ამტკიცებდა-მე დიდათ უარს ვიყავ, და ვანბობდი თუ ღმერთი გწამს დადექით, ამისთანა ღვთის მოსავს ხალხზე ნურას იფიქრებთ მეთქი, ხომ კარგათ იცით ვითარ ძლიერი მებრძოლნი არიან მეთქი, თქვენ გამოუცდელი ხართ, და ამათთან არსად არა ყოფილხართ და მე ჭიპი ამათში მომეჭრა მეთქი, 1827-ში სპარსეთის კამპანიაში კნიაზ ვარშავსკიმ, ღრაფ **პასკევიჩ კრევანსკიმ** ერთი ბატალიონი ღრუზინსკის ჯარი გაგზავნა ურდობათსა. და მეც იქ ვიყავ მეთქი ღმერთს გეფიცებით როდისაც ურდობათიდან წამოვედით მეორეს დღეს ოთხი ათასი სარვაზი, და ხუთი ათასი იმავთ კავალერია მოგვეწია მეთქი, და დილიდან საღამომდისინ რმი გვქონდა. იმ ყიზილბაშებს ზარბაზანიც ჰქონდათ, და ჩვენ უზარბაზნოთ ვიბრძოდით მეთქი, ღმერთს ვფიცავ სულ შტიკით გავტეხეთ იმათი კალონები, და ისე გზა გავხსენით მეთქი, აბა ამის მნახავს მე მაგათზე ვიფიქრებ რასმე მეთქი, მეორე საკურველი საქმე გიანბოთ მეთქი **ერმოლოვი** რომ ყაბართოში იყო მაშინ ერთს ხეობას შავედით, მეწინავე სტრელოკში მე ვიყავ, ოცდა ხუთის კაცითა მეთქი, ამ დროს ჩერქეზები დაგვიხვდნენ მეთქი, მე და ერთი სალდათი უეცრად ავცლით ჩემს სტრელოკებსა მეთქი, იმ დროს უეცრად 11-ტი ჩერქეზი შემოგვეხვია მე და იმ სალდათსა, ღმერთს გეფიცებით, რომ ერთი ხმლით შემოვიკალ, და ორი. შტიკით იმ სალდათმა მეთქი, და ისე მშვიდობით გამოვედით მეთქი, აბა მე ესენი მინახავს სალდათებისა და ამისთვის ღმერთმა დამიფაროს რუსების წინააღმდეგობა მეთქი, ესენი რომ გაიგონეს ძალიან შეეშინდათ, ამ სიტყვის დასრულებასთან შინ წავიდნენ ისინი, ერთს დღეს დილაზე **მელნიკოვის** ცოლის **მელანიას** სანახავათ მივედი რადგანაც ჩემი შვილის მომნთლავი არის **მელანია** იქ არ იყო, ამ დროს **ელიზბარ** და **ივანე მაჩაბელი** ისხდნენ. რაღაცას ლაპარაკობდნენ, მე რომ შავედი ვაჩუმდნენ, მა-

სკვან დამიწვიეს, და დავჯექ, **ელიზბარმა** უთხრა **ივანე** ერთს რა-
სმე გეტყვიო. თუ ღმერთი გწამს, რაც გითხრა დამიჯერეო მასკვან,
მოჰყვა, და უთხრა, ეს მამულიც ხომ შენც წაგართვესო, მოდი
ვეცადნეთ რუსები გადავრეკოთო, ივანემ დიდათ შორს დაუჭირა,
და სულ უარი თქო. რაოდენსამე მინუტს უკან ვავიდა, და მე და
ელიზბარ დავრჩით, უთხარ **ელიზბარ** აბა ნახე ამ კაცმაც უარი თქო
მეთქი, ღმერთს გეფიცები არა კაცი თანახმა არ შეიქნება მეთქი,
ერთხელ საღამოზე **იასე ფალავანდოვი** ამოვიდა ჩემთან, და დავ-
სხედით, მოჰყვა ლაპარაკს, წუხელის **სოლომან დოდაშვილი** ჩემ-
თან იყოვო, ასე თქო **სოლომანმაო**, ღმერთო ეს **ალექსანდრე** რა-
ბედნაია გალავა არისო რომ იმის ტვინში თავის მამულის სიყვა-
რული არ ყრისო, მასკვან თითონ **იასემ** მითხრა, ოჰ უნდა გრცხვე-
ნოდესო, თუ ის ერთი უბრალო კაცი არისო, და ასე უყვარს თავის
მამულიო, მაშ შენ რა ღმერთი გაგიწყრაო. მე უთხარ ვფიცავ
თქვენ ასე ატეხილხართ რომ თქვენ სამნი კაცნი დაგვღუპავთ ბე-
ვრს კაცსა მეთქი, ამ სიტყვაზე სულ შემამწყრა, და წავიდა შინა.
ერთხელ საღამო ჟამზე **ზაალ ავთანდილოვი** მოვიდა ჩემ ძმა **ვა-
ხტანგთან** რადგანაც მეგობრები იყვნენ, და მეც ამის გამოისათ
კარგად ვიცნობდი, და **ვახტანგ** ჩემი ძმა შინ არ იყო, მე და ის და-
ვსხედით, და სხვა და სხვა ამბაები ვილაპარაკეთ, მასკვან უთხარ
ზალ ჭკვიანი ყმაწვილი კაცი ხარ და შენ გაზდას სწორეთ თქვი
რუსებმა რომ ჩვენზე ხელი აიღონ, ჩვენ შაგვიძლიან რომ ჩვენი
თავი დაგიფაროთ მეთქი, მითხრა, ღმერთმა ნუ ინებოსო, რომ
ჩვენზე ხელი აიღონო ნეორეს დღეს სულ ერთიანაო წავხდებითო
ამის შემდეგ რამთენიმე დღის უკან, **იბრეიმ ყარა მამადასშვილთან**
გაგზავნილი **მოლა ზამანა** ჩამოვიდა, და ასე მეგონა, ჩემს დანახა-
ოჯს მამიტანდა მეთქი, მოვიდა მითხრა, ერწამ ცალკე ოთახში გა-
მობძანდიო, ცალკე ოთახში გავედით, მე მეგონა **იბრეიმას** ფული
გამოუგზავნია, და ამას მაძლევს მეთქი, უბიდგან ერთი წიგნი
ამოიღო, და ეწერა, არც არავისთან სახელი ეწერა, და არცარა
ხელმოწერილი იყო თუ ვისგნ იყო მოწერილი, ეწერა ესრეთ, მე
ხომ მამიშენი შვილს არ ვენდობიო, და არც არა შენაო, ეხლა ეს
თათარი მოვიდა ჩემთანაო, მითხრა კახეთში გასვლაო მე, დიდი ხა-
ნია თქვენი მოსატყუარი კბილი მოვიცვალეო, და იმედი მაქვს არც
ხელში ჩაგივარდეო, მაგრამ წუხელის ერთი სიზმარი ვნახეო რომ
თვარე დაბნელდაო, ამის ძალით შენ შაიტყობ რა მოგივაო, მე
გამიკვირდა ვკითხე ამ წიგნსა ვინა მწერს მეთქი, მითხრა **ალექსან-
დრე ბატოიშვილიო** ამ სიტყვაზე ასეთი შამოვკარ - თავში ღმერთს

ვფიცავ რომ იქვე წაიქცა, და ზედ ერთი წიხლი დავარტყი, მასკვან წვერი დაუჭირე და ისე წამოვაყენე ზეზე, უთხარ ვინ გაგზავნა მეთქი, მითხრა ქურთებში სასიარულოდ ვიყავიო, და იქიდან ახლო იყო იმის სოფელი ღა ჩავედით სანახავათარ, თქვენი ამბავი უთხარიო, ჯერ სამი დღე დღე დამატუსაღაო, მასკვან ერთი წიგნი გაშალაო; მითხრა საიდგანაც მოსულხარ ისევ იმ გზაზე წადიო, მასკვან მე კარგი პანლური ამოვკარ და გავაგდე, ესეც უთხარ მე შენ **იბრეიმასთან** გაგზავნე შენ იმის პასუხს მამიტანდი მეთქი, **იბრეიმამ** ასე თქოო ცალი ფული რომ უნდოდეს თვალზე ვერ შეკრამსო, როდესაც მე კახეთში გამოსაძიებლად გამგზავნეს სილნაღის ნაჩალნიკისა, და მოვრჩი გამოძიება, მაშინ მე ჩემ სიძეს **აბელ ანდრონიკოვთან** მივედი სანახავათ, ორი დღე აღარ გამამიშო, ერთს საღამოზე მოაჯირზე ვიდექით მე და ისა, ვთქვი ჩემს გულში მოდი ერთი ამას ვკითხავ, რას იტყვის მეთქი, უთხარ **აბელ** ნიმბაშო მეთქი, ამ რუსებისას რას იტყვი მეთქი, მითხრა ამასაო რომ ეს ჩვენი საქართველო ღვთის მშობლის ხვედრი წილი არისო, ამ რუსებმა იმ ღვთის მშობელს გამოართვესო ახლა იმ ღვთის მშობელმა იცის და ამ რუსებმაო, მე ამის მეტს არას ვიტყვიო, ამ სიტყვაზე დიახ ბევრი ვიცინეთ, და მასკვან შევედით, იმის ცოლშვილში დავსხედით, და ლაპარაკით შევექცეოდით, მეორეს დღეს გამოვეთხოვე, და ქალაქისაკენ წამოველ, როდესაც ჩამოველ ქალაქს კიდევ მამიხდა **დოდაევი** არ იქნა არაფრით ვერ გავიცალე, აგრეთვე **ელიზბარ, იასე** დიახ იშვიათათ დადიოდა ჩემთან, მაგრამ როცა მოვიდოდა ასეთს მოწამლულს სიტყვას იტყოდა რომ სულ გულღვიძლს მომწყვეტდა ხოლმე, და შემომწყრალი წავიდოდა ჩემგნით. ერთხელ საღამო ჟამზე კიდევ მოვიდა ჩემთან **სოლომან დოდაევი**, პატარა ხანს უკან **იასე ფალავანდოვიც** შემოვიდა, დასხდნენ, და ლაპარაკი დაიწყეს, მე ბევრს მაყვედრებდნენ რომ, რატო თავგამოდებული არა ვარ რუსებსა ზედა რატო არ მოვინდომებ, რუსების გადარეკვას—მე უთხარ აბა ერთი თქვენ გონებაში წარმოიდგინეთ შაიძლება თუ არა მეთქი, მითხრეს ადვილათაო. მასკვან მაგალითათ ვკითხე სწორეთ გადავრეკოთ, უამათოთ შაგვიძლიან რომ ჩვენი მამული დავიფაროთ მეთქი. მითხრეს ჩვენ კისერზე ავიღებთო რომ დავიფაროთო. მასკვან სახანოებისა ვკითხე ესენი ხომ ჩვენი მონანი არ იქნებიან ბეთქი, მითხრეს რა საჭირო არის ის სახანოები ჩვენთვისაო, მაშ კარგი სულ საქართველო რამთენი კომლი კაცი იქნება მეთქი, ვიანგარიშეთ და ორმოცი ათასი კომლი კაცი ვერ დავაყენეთ. — მასკვან ვკითხე მთის ხალხი, და ეს სახანო-

ები რამთენი კომლი კაცი იქნება მეთქი. ვიანგარიშეთ და სამასი ათასი კომლი კაცი დავაყენეთ. მასკვან უთხარ ეს ჩვენი ქართველი. კაცი რამთენი მასროლი შეიძლება გამოვიდეს მეთქი, ვიანგარიშეთ, და კიდევ ბევრი დავაყენეთ ათი ათასი კაცი გამოვა ზოგი ცულიანი, ზოგი კეტიანი და ამის ნახევარი ძლივ თოფიანი დავაყენეთ. რომელიც ხუთხუთი სროლა არ ექნებათ. მასკვან ვკითხე აბა ის იფიქრეთ, ერთი ოცდა ათი ათასი ლეკი რომ ჩვენზე წამოვიდეს რა უნდა ვქნათ, სხვებს აღარას ვიტყვი მეთქი. მასკვან მითხრეს მაშ **მეფე ირაკლი** როგორ იფარავდა თავის მამულსაო, მე უთხარ ამ რიგათა რომ სომხითი, და ქართლი, სულ ლეკებმა აიკლეს, და გაოხრეს მეთქი, და თუ რუსები იმ დროში არ გადმოსულიყვნენ, სულზე მოესწრენ თორემ კახეთიც გაოხრდებოდა მეთქი, და თუ რუსები იმ დროში არ გადმოსულიყვნენ, სულზე მოესწრენ თორემ კახეთიც გაოხრდებოდა მეთქი. ამ სიტყვაზე დაფიქრდნენ, და აღარა თქვეს რა, შემდეგ უთხარ მათ **იასეს** და **სოლომანს** ერთხელ მე და **დედაჩემი ბატოიშვილი** ვისხედით ორნი მეთქი, და ისე ლა.. ბარაკში უცბად მოვახსენე რომ რუსებმა ჩვენზე ხელი რომ აიღონ, რა უნდა ვქნათ მეთქი, — მასკვან დედაჩემმა მიბძანა, ღმერთმა ნუ ინებოსო, და ნურა საქართველოს კაცს ეგ ნუ აფიქრებინოსო. შვილო **ალექსადრეო** შენ ჩვენი ძველი დრო გინახამსო, და მე დამსწრე ვარო, ღმერთს ვფიცავ რომ ამ რიყიდგანაო ლეკებს ჩაფაული მიჰქონდათო, და ყოველთვის ჩვენ აკლებას მოველოდითო, რაც ჩემი თვალით ვნახეო რომ **ალა მამად ხანმა** სულ აიკლო მთელი საქართველო აი ეს განწირულება მინახამს საქართველოისაო. ეხლა ღვთისადმი მადლობა გვმართებს ყოველს საქართველოსას რომ რუსეთის იმპერატორი განძლიერდესო. როგორც არის ორი კიდევ მაგტოლითაო, აი ჩემო ძმებო **იასე,** და **სოლომონ** მეთქი ღმერთს ვფიცავ და ივსოსა რომ საუკუნოთ საქართველო სულ უბედური იქნება, ვინც მაგას ფიქრობს მეთქი, მეორეც ეს ასე

ალმდეგობა არავის არ მოუხდება მეთქი. ერთი საშინელი ამოიოხრა, და თქო, ღმერთს ვფიცავ აქ ჩემთან ოთხი თავადიშვილები იყვნენ სადილათაო, როცა ზარბაზნები დაცალეს იკითხეს, რა ამბავიაო მასკვან მე უთხარიო, ვარშავა აუღიათო. შამამფიცა **იასემ,** რომ იმ თავადიშვილებმა იტირესო და ისე წავიდნენ. მასკვან მე უთხარი კარგი დაწყნარდით და დამშვიდდით მეთქი.

მასკვან იმისაგან რომ წამოველ და შინ ამოველ, ვნახე რომ **სოლომან დოდაევი და ელიზბარ ამოვიდნენ.** მივეგებე და მიულოცე ახლა დადგებით მეთქი, მასკვან იმათ დაიფიცეს რომ, თავის დღეში რუსებზე აღარა იფიქრონ რა, ესეც ცეშდომილებით მოგვივიდაო. და შემდეგ ამისა აღარავისგან გამიგონია რა[1]). ამ ზაფხულს ღუბერნატორს დავებარებინეთ ჩვენ ერთობრივ **ორბელიანოვნი,** რომ მოვრიგებულიყვით ერთმნეთის სადაოში და ჯერ ღუბერნატრრი არ გამოსულიყო კარზე. ამ დროს **იასე** ამოვიდა მითხრა რისთვის მოსულხარო, მე უთხარ ისე ამბავი, მითხრა,—რას გაუგიჟებიხარო შენ უთოთ ასე გგონია რომ ჩემი ძმა ღუბერნატორი არისო, და ეხლავე შენი წილი ჩაგბარდებაო. მე უთხარ ღვთით ახლა იმედი მაქვს მეთქი, მითხრა გთხოვ ამაღამ ჩაიზე ჩემთან მოხვიდეო. მე უარი უთხარ საქმის გამოისათ, და გავშორდი ამ ხანებში, ჩემი დედიდაშვილი **გიორგი2)** მოვიდა რუსეთიდან. **ელიზბარ ერისთოვიც** ჩამოვიდა სოფლიდგან, და **დიმიტრი** ამისი ძმა ხომ ადრე მოვიდა რუსეთიდგან, და ამ დროს კი აქ არ იყო. ერთხელ კიდევ **იასემ** თავის ძმის ღუბერნატორის სახლში მთხოვა, გთხოვ ჩემთან მოხვიდოდე ხოლმეო. მე უთხარ რომ რა გინდა რომ მოვიდე მეთქი. მითხრა **ელიზბარ ერისთოვი, სოლომონ დოდაევი** და **ანტონ აფხაზოვი** ხშირათ ჩემთან დადიანო, და მთხოვა რომ შენი დედიდაშვილი **გიორგიც** მოიყვანეო, მე უთხარ აგრე იყოს მეთქი. **გიორგი** და მე ერთს საღამოზე ჩავედით. ვნახეთ რომ **სოლომან დოდაევი** აქ იყო, და **ანტონ აფხაზოვი,** და **ელიზბარ ერისთოვი, გიორგი** შავიყვანე და გავაცანი. დავსხედით პატარა ხანს უკან **დავით ორბელიანოვი** შამოვიდა, **ანტონ აფხაზს** და იმ **დავითს** სპორი მოუხდათ, შემდეგ ადგა და წავიდა ჩვენც პატარა ხანს უკან წამოვედით, **იასემ** გვთხოვა ხშირათ სიარული, ჩვენ დავდიოდით ერთს

---

[1]) თუ როგორ მოხერხებულად ცრუობს **ალ. ორბელიანი,** მარტო იქიდანაც კი ჩანს, რომ შენახულია მისი **ბიძინა ერისთავისადმი** წერილი, სადაც მას ვარშავის აღებაზ ატყობინებს და თან ანუგეშებს, რომ ნუ გაიტეხ გულს, საქმე ამით აო გათავდებაო . . .

[2]) **გიორგი რევაზის ძე ერისთავი.**

საღამოს **ანტონ აფხაზმა** დაგვპატიჟა **სოლომან დოდაშვილის** სახლში, წავედით იმასთან ვახშმათ. სტოლზე რომ დავსხედით, ბოჰყვნენ მამულის ერთგულებაზე ლაპარაკს, და როცა მე ხმას ამოვიღებდი ზოგნი დამცინოდნენ, და ზოგნი დაჩუმებას მეუბნებოდნენ. ჩემი ძმა **ვახტანგიც** აქ იყო, და დაჩუმებული იყურებოდა. თითქმის შუაღამიდგან ორი საათი შესრულდა რომ ვისხედით. მე ადგომა მოვინდომე, და **იასემ** ხელი წამავლო მითხრა არას გზით არ გაგიშვებ, აქ გათენებამდისინ უნდა დავსხდეთო. მე მაინც კარზე გამოველ პატარას ხანს საჭიროებისათვის. როცა შავედი ვნახე რომ **ელიზბარ** და **იასე** რუსებზე ლაპარაკობდნენ, და მათ წინააღმდეგობისას.—მაშინ **ანტონ** უბტკიცებდა რომ არას დროს არ შაიძლებოდა და ნურც არავის ფიქრი გვექნება. შემდეგ ამისა წამოვდექით და გავიყარენით. ამ ხანებში ღვარდიის კაპიტანი **ზაქარია ჩოლაყოვი** მოვიდა, ერთს კვირას უკან **ელიზბარ** და **დოდაევი** მოვიდნენ ჩემთან მითხრეს ამ **ზაქარიას** რა რიგათ სძულებია რუსებიო. მე უთხარ დიახ ავათ უქნია მეთქი, რა უჭირს ხვალ არა ზეგ პოლკოვნიკი იქნება მეთქი, შენ აგრე თქვიო, და ის კაცი რაებს ლაპარაკობსო.—ეს ლაპარაკი სულ წავიდა. რაოდენსა დღეს ვთქვი ის **ზაქარია ჩოლაყოვი** ჩემი ახლო ნათესავი არის და ვთქვი წავალ პატივსა ვცემ მეთქი, მივედი დიახ სიხარულით მიმიღო, და ახლო გაცნობა მთხოვა, დავსხედით, პატარა ხანს უკან, **დიმიტრი თუშ** რომ ეძახიან, სიონის კანდელაკი და პრაპორშჩიკი **იოსელიანი** ესენი შემოვიდნენ, მასკვან **დოდაევი** შამოვიდა, პატარა ხანს უკან კიდევ **ელიზბარ ერისთოვი** შამოვიდა, დავსხედით და რაღაებსაც ვლაპარაკობდით, შემდეგ ერთი საათისა მე ავდეგ და წამოველ, **ელიზბარი** და **დოდაევიც** წმოვიდნენ. **ზაქარიამ** მთხოვა, გთხოვთ ხშირად მობრძანდებოდეთო. აგრეთვე მე ვთხოვე. მეორე დღეს მასკვან **ზაქარია** მოვიდა ჩემთან, მე დიახ სიყვარულით. მივიღე, ამის შემდეგ ორ დღეს უკან საღამო ჟამზე ახლა მე გავედი სანახავად, როცა დავსხედით ერთს საათს უკან **ელიზბარ ერისთოვი,** ამისი ძმა **დიმიტრი**, და მგონია **დოდაევიც** ესენი გამოვიდნენ, დავსხედით და სუბრობა დავიწყეთ. ამ ლაპარაკში ვიღამაც თქო მოდი **მელიქოვის** ტრაქტირში წავიდეთო, ყველამ დავასკვენით წასვლა და წავედით, როცა შავედით მე და **ზაქარიამ** ბილიერი ვითამაშეთ რაოდენიმე პარტი. პატარა ხანს უკან **იასემ** მთხოვა ჩაის დალევა, დავლიეთ მასკვან ვახშამთა გვთხოვა, ჩვენ ვეთანხმეთ. **იასემ** მითხრა მე პატარა ხანს შინ მივირბენო, და რაოდენსამე ხანს უკან ბიჭი გამომიგზავნეთ, ამრიგათაო, რომ ალექსანდრემ ერწან აქ მობრ-

ძანდიო და საჩქაროთ მოვალო ნახევარი საათის უკან გაუგზავნე კაცი და ვთხოვე მობრძანდი მეთქი, რომელიც მოვიდა, გვითხრა კარგს ადგილს წაგიყვანთ ვახშმათო, წავედით და ციხეს გვერთ რომ ყავა ხანა არის იქ შაგვიყვანა, დავსხედით პატარა ხანს უკან ვახშამი მოატანინებინა—ვახშამზე მოჰყვა **იასე** რუსების წინაალმდეგობას, მასკვან **ზაქარიამ** დაიწყო ლაპარაკი ასეთ რიგათ მოჰყვა ლაპარაკს რომ ვინც იქ ვისხედით სულ გაგვაკვირვა, მასკვან თქვა **ალექსანდრე ბატლიშვილი** კახეთს რომ გამოვიდესო საქართველოც აიშლებაო, ყველამ დაუმტკიცეს. მასკვან მე მითხრეს შენ უნდა წახვიდეო, მე უარი უთხარი, და არც შაიძლება ჩემგნით ეს საქმე მეთქი. მასკვან ერთ თანახმად მითხრეს რომ შენ სულ ტრუსი ყოფილხარო, მაშ აქ ჩვენში რათ ერევიო, მე უთხარ რა არის მეთქი, ღმერთის ფიცი და პატიოსანი სიტყვა მივეცი რომ არ გაგცემთ მეთქი. მე ჩონგურს უკრამდი და სიმღერას ვამბობდი, და მე დამცინოდნენ ტრუოსბაზე. ამაში კიდეც ავდექით და წამოვედით. მე გზაზე სულ მელაპარაკებოდნენ შენ უნდა წახვიდეო. მაგრამ მე სულ უარს ვეუბნებოდი. რაოდენსამე დღის უკან ვახშმათ **იასემა** გვთხოვა და ჩემი დედიდაშვილი **გიორგიც** იქ იყო, ჩემი ძმა **ვახტანგ, ზაალ ავთანდილოვი** და **დიმიტრი ყიფიანოვი,** დავსხედით ვახშმათ. ვახშამთ უკან, მოჰყვნენ კიდევ რუსებზე ლაპარაკს უნამეტნავესი **იასე** მჩხვლეტელი **ელიზბარისა.** შემდეგ **ელიზბარმა** და იმისმა ძმამ **დიმიტრიმა** თქო რომ **მუხრან ბატონი** უნდა **მოვკლათო.** ჩემი დედიდაშვილი სპორს უწევდა ასეთი ჩხუბი მოუვიდათ რომ ერთი სათი მეტი იჩხუბეს. მე ვიფიქრე ამათ უბრალო ჩხუბი არა მოუხდეთ რა მეთქი, და ამათ დასამშვიდებლათ, მასკვან მე უთხარ, **ელიზბარ** და **დიმიტრი,** მე უფრო კაი სიტყვას გეტყვით მეთქი, აბა ერთი ეს მიბძანეთ, რით უნდა მოვკლათ მეთქი, იფიქრეს და მასკვან ყველამ სიცილი დაიწყეს. და მასკვან **იასე** მომიბრუნდა და მითხრა, შენი საქმე ყოველი მასხრობა არის, აი მოვწამლოთო. მე უთხარ ლაყბობ მეთქი, ღმერთმა ჩემ ფიქრს ეგ აფიქრებინოს მეთქი. **იასემ** თავი დამიქნია, და ერთი საცოდავათ ამოიოხრა. თქო ნეტავი შენთან საქმე არა დამეჭირა რაო. ამაზე დავიშალენით. შემდეგ მე ფეხი ამტკივდა ლურსმანზე დარჭობით და ჩემთან ხშირათ დადიოდენ **ზაქარია ჩოლაყოვი** და ყმაწვილები. ერთ დროში თქვეს, ოც ნოემბერს უნდა მოხდეს ბუნტიო. მე უთხარ თუ ღმერთი გწამს მაგისთანა პრაკაზებს დაეხსენით მეთქი. ამაზე ჩხუბი დაიწყეს. **დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვებმა,** და დიდათ მეჩხუბებოდნენ ჩემი ძმა **დიმიტრიც** იქ იყო, მასკვან ჩემა ძმა **დიმიტრი**

უთხრა, მე თუ ასე ცოდნიყო მაგისთანა მასხარა ზაგოვორჩიკები იყავითო, სულ ეხლა თქვენში აღარ გავივლდიო. ამ სიტყვაზე გავათავეთ ლაპარაკი. მაგრამ **ასევ** თქო წუხელის **ლუარსაბთან** ეიყავიო ასე შევაშინე, რომ ვითომც იმას ციმბირში ჰკარგავენო, და თქოვო,—ერთს ხალამოს ათას კაცს მეტს ჩამოვიყვანო, მასკვან მე უთხარ **ზაქარიავ** თუ **ალექსანდრე ჭავჭავაძეს** არა ნახამ, მე ვერავის ვერას დაუჯერებ მეთქი.— მასკვან **ლუარსაბს** წაეყვანა **ჭავჭავაძესთან ზაქარია** და **ელიზბარ**. ელაპარაკნათ ალ: **ჭავჭავაძეს** ეთქო ასეთი უარი რომ, სულ ფიქრშიაც ნუ მოგვივეთო: ამაზე სულ დავჩუმდით და აღარა. ვთქვით რა.

Распоряжение на первую ночь действия читано мне было **князем Евсеем Палавандовым**, а проект управления Грузии **князем Елизбаром Еристовым**. Подпоручик и советник князь **Орбелианов**.

К сему об'являю комиссии, что говорил сообщникам моим, что могу приготовить несколько людей, и что четыре таких человека приехали в Тифлис с **Молой Заманом**, но сие мною было сказано без цели, не обдумавши, между разговора, а **Мола Заман** говорил мне, что при поездке его и товарища его коса **Мустафой** к царевичу Александру пашали на них шесть курильщиев, от коих они оборонились, и **Заман Мола** показывал мне переломанную при сем саблю свою. Подпоручик князь **Александр Орбелианов**».

ალ: ორბელიანის გენერალ ვოლხოვსკისადმი წერილი (1.152):

„თქვენო აღმატებულებავ.

ვლადიმერ დიმიტრევიჩ.

მოწყალეო ხელმწიფევ.

ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის ამა კომისიასა შინა, რომელიც ჩემი ანხანაგნი შეპყრობილნი გახლავან ამა ბოროტს განზრახვასა ზედა. მე ერთის სიტყვით მოგახსენებ, რასაც ის ჩემნი ამხანაგნი იტყვის ჩემსა ზედა მე ყოველი მიყაბულებია. და შორს გამოძიებასა შინა ნულარ შეუდგებით:

დავშთები უპატივცემულესად თქვენითა. მოწყალეო ხელმწიფევ.

თქვენი უმორჩილესი მონა თ. **ალექსანდრე ორბელიანოვი**. „18“ დეკემბერს 1832 წ:“.

„ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (11, 166-167).

„ამა დეკემბრის 19-ს **ალ. ორბელიანოვმა** საგამოძიებლო კომისიიდან გამიწვია თავის ოთახში და განმიცხადა შემდეგი:

1) რომ სამსახურის საოგებლობისათვის, იგი ითხოვს, რათა

ნის მიერ ნთქვამი კორპუსის უფროსის მეტმა არავინ შეიტყოს და რომ აღიარებს რა ყველა იმას, რასაც მისი ამხანაგები იმაზე უჩვენებენ, ითხოვს, რათა მისი წერილობითი ჩვენება, რომელიც საგამომძებლო კომისიაშია მოსპობილ იქნას და ის თვითონ კი გაანთავისუფლონ იმ მიზნით, რომ ახალ - ახალი გარემოებანი გამოამჟღავნოს, რისთვისაც ის უნდა გაიგზავნოს **ალექსანდრე ბატონიშვილთან** ან და პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებთან.

2) მან თავის ჩვენებაში გამოტოვა რომ **ალ. ჭავჭავაძემ** უთხრა მას, რათა შეთქმულების საქმეების გამო მან შეასრულოს ყველფერი ის, რასაც მას **ლ. ორბელიანოვი** ეტყვის.

3) პოლონელთა აჯანყების შემდეგ ყოფ. საქართველოს სამოქალ. გუბერნ. რომელიც მას განსაკუთრებით კარგად ეპყრობოდა დაიბარა იგი თავისთან ღამის 11 საათზე და მისცა წინადადება დეწყოთ აქაც აღრეულობა; რის შედეგაც **ზავილეისკის** უნდოდა ამ მიზნით მისი საშუალებით ემოქმედნა, ისე როგორც **ჭავჭავაძე ლ. ორბელიანოვის** საშუალებით მოქმედებდა.

4) **ალ. ბატონიშვილმა** ნამდვილად მოსწერა მას **მოლა ზამანის** საშუალებით, რომ თუმცა **ალექს. ორბელიანოვის** მამა მის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ იგი მაინც ენდობა ამას; მეორე ჯერ **ალ. ბატონიშვილისაგან** მოუვიდა მას თათარ **მაჰმადას** ხელით წერილი, რომელშიაც ბატონიშვილი იეწერებოდა, **რომ** ის უკვე მოხუცი, რომ მათ აღუთქვეს მოქმედება და არაფერს **კი** არ აკეთებენ. **მოლა ზამანამ** უნდა იცოდეს იმ კაცის ვინაობა.

5) **მოლა ზამანამ** მოიყვანა ჩემთან ეს კაცი **მაჰმადა,** რომელიც **ალექს. ბატონიშვილის** მიერ თავად **გარესევანთან**[1]) ერთად, (ეს უკანასკნელი მას გზაში ჩამორჩა) გაგზავნილი იყო **ყაზი მოლასთან.** ამ კაცმა თქვა, რომ **ბატონიშვილთან** ორი კაცი გამოგზავნა აგრეთვე **ეგვიპტის ფაშამაო.**

6) წარსულ წელს კახეთში რომ იყო მივლინებული, **ალ. ორბელიანოვი** საქართველოს განთავისუფლებაზე ელაპარაკა **ივანე ანდრონიკოვს,** აგრეთვე უთხრა მას, რომ ახალგაზრდები, რაღაც საქმეს აპირებენო, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა, **რომ ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვს,** ახლანდელ სამოქალაქო გუბერნატორს **ნიკოლოზ ფალავანდოვსა** და **ვასილ ბებუთოვს** უნდა რაღაც განსაკუთრებული განზრახვა ჰქონდეთ საქართველოზეო".

გენერალ - მაიორი **ვოლხოვსკი.**

---

[1]) **გვარად ჯორაშვილია.**

თათრის მოედანი. გაგარინის მე-40-იანი წლების გრავიურიდან
(კომუნალური მუზეუმი)

„ყველაფერი ზემოთქმული მე ნამდვილად უთხარი გენერალ-მაიორ **ვოლხოვსკის**, რასაც კომისიის წინაშეც ვადასტურებ.

პოდპორუჩიკი **თ. ალ. ორბელიანოვი**".

დაუმატებ აგრეთვე, რომ ამა წლის ზაფხულში **დიმიტრი ერისთოვმა**, პეტერბურგიდან ახალი ჩამოსული რომ იყო, როგორც მახსოვს **ელიზბარის** თანადასწრებით, **მელნიკოვის** სახლში მიამბო, რომ მასწ. **დოდაევის** ძმამ, რომელიც სენატის 5-ე დეპარტამენტში კანცელარისტად მსახურობს, უთხრა მას, რომ საქართველოში არის შეთქმულება და რომ მისი მეთაური მე ვარ. ამაზე მე გაჯავრებულმა მიუგე, რომ მე საქართველოში არაფერს წარმოვადგენ, რომ მე აქ ყველაზე უკანასკნელი ვარ.

პოდპორ. **თ. ალ. ორბელიანოვი.**

დაუმატებ აგრეთვე, რომ **მოლა ზამანის** მიერ მოყვანილმა **მაჰმადამ** თქვა, რომ ის ბრუნდება **ყაზი მოლასაგნ**, რომელთანაც და აგრეთვე დაღესტნის სხვა პირველ მამასახლისებთან მიიტანა **ალ. ბატონიშვილის** წერილები და რომელთაგანაც მოაქვს პასუხი როგორც ბატონიშვლთან, ისე **ეგვიპტის ფაშასთან**".

პოდპორ. **თ. ალ. ორბელიანოვი**".

საგამომძიებლო კომისიის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი (11,170)

„საგამომ. კომისიის სხდომები გრძელდებოდა დილის 8-3 საათ. და 7-11 საათამდის.

მასწავლ. **დოდაევმა** კვლავ წარმოადგინა რამოდენიმე წერილობითი განმარტება საქართველოდან რუსების გაძევების განზრახვის შესახებ. ამის შემდეგ **გ. ერისთოვი, დიმიტრი** და **ელიზბარ ერისთოვები** ჯერჯერით იყვნენ დაკითხული **ზაქ. ჩოლაყაევის** მიერ ტფილისში ერთერთ მათ კრებაზე ნათქვამის შესახებ, რომ ისინი მას პეტერბურგში ერიდებოდნენ და აქ კი ასე გულახდილი არიან. მათ კი უპასუხეს რომ პეტერბურგში მისი მართლა ეშინოდათ. **გიორგი** და **დიმიტრი ერისთოვებმა** ეს დაადასტურეს, ხოლო **ელიზბარ ერისთოვმა** გადაჰფიცა, რომ ეს შემთხვევა და **ჩოლაყაევის** მიერ აღნიშნული ნათქვამი მას სრულებით არ ახსოვს, მაგრამ როდესაც მას პირისპირ წარუდგა **ჩოლაყაევი** და ამხილა იგი, მაშინ გამოტყდა, რომ **ჩოლაყაევმა** მართლ თქვა ზემომოყვანილი სიტყვები და მაშინ მან (**ელიზბარ.**) მის წინაშე ბოდიშიც მოიხადა, საღამოს დაკითხულ იქმნა ბორჩალოს დისტანციის სოფელ ჰასან-ჰაჯალის ქევხა (მამასახლისი) **შიხილ-ალია** და პირველად აჩვენა, რომ ის მოვიდა **ალ. ორბელიანოვთან** სამი ამხანაგითურთ, რომლებიც **მოხსენებული** არიან **მოლა - ზამანას** ჩვენებაში, მაგრამ მოვიდნენ

საკუთარ საქმეებზე და ამისათვის არავითარი ბრძანება **მოლა ზამანის** საშუალებით მას არ მიუღია, **მოლა ზამანის** პირისპირ წაყენებისა და მის მიერ მხილების შემდეგ, **შიხილ-ალიამ** აღიარა, რომ მან მისი საშუალებით მიიღო ბრძანება სამი ამხანაგითურთ ტფილისში ჩამოსულიყო. შემდეგ არა ტყდებოდა იმაში, თუ რა დაავალა მათ **ალ. ორბელიანოვმა,** მერე კი აღიარა, რომ **ალ. ორბელიანოვმა** უბრძანა მათ მზად ყოფილიყვნენ ტფილისში გამოსაცხადებლად, როდესაც კი ის მათ შეუთვლიდა...

ამავე დროს **ალ. ორბელიანოვმა** ითხოვა კომისიაში გამოცხადების უფლება, სადაც განაცხადა, რომ თუმცა მან თავისი ხელმოწერით დაადასტურა მის მიერ დეკემბრის 19-ს გენერალ **ვოლხოვსკისთვის** ნათქვამი სიტყვები რომ: **ივანე ანდრონიკოვმა** უთხრა მას, რომ საქართველოს შესახებ განსაკუთრებული განზრახვა აქვთ გენერლებს: **ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვის, ვასილ ბებუთოვს** და სამოქალაქო გუბერნატორს **ნიკოლოზ ფალავანდოვს** და რომ ამ საქმეებში თვით **ალ. ორბელიანოვს** ხელმძღვანელობდა ყოფ. სამოქ. გუბერნ. **ზავილეისკი**—მაგრამ რადგან მას ამის დამტკიცების საშუალება არა აქვს, ხოლო **ანდრონიკოვი** და **ზავილეისკი** ალბად ამაზე უარს ჰყოფენ ამიტომ ითხოვა ამ გარემოების კვლევა-ძიების შეწყვეტა...

გენერალ - მაიორი **ბაიკოვ** 1-ლი

გენერალ - მაიორი **ვოლხოვსკი**

პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი.**

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (11, 172-175).

„ჩემს ყველა ჩვენებებს მაქვს პატივი დაუმატო შემდეგი:

მიმდინარე წლის დეკემბერში **ანტონ აფხაზოვის** მიერ მოწყობილ ვახშამზე მართლაც **ალ. ორბელიანოვმა** მოითხოვა ფიცი, რომ ყველა საიდუმლოდ შეინახავდა იმას, რასაც ის იქ გამოაცხადებდა. **გ. ერისთოვმა** მიუგო, რომ პატიოსანი სიტყვაც საკმარისიაო და ჩვენც ყველანი მას დავეთანხმეთ. **ალ. ორბელიანოვმა** აიღო ჭიქა, წამოდგა და მოითხოვა, რომ ყველას სავსე ჭიქით უნდა დალიოს: გაუმარჯოს იმათ ვისაც საქართველო უყვართ, გაუმარჯოს სამშობლოს პატრიოტებსო და ყველამ გამოსცალა ჭიქა. ამის შემდეგ რა ილაპარაკა **ალ. ორბელიანოვმა** და რა ბჭობაც ქონდათ საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლების თაობაზე, ყველაფერი ეს მე რაც კი მახსოვს, ჩემს ჩვენებებში ვთქვი. როდესაც

---

[1]) მიღებულია 20 დეკემბერს 1832 წ.

ანტონ აფხაზოვი გაკვირვებას გამოთქვამდა, იასე ფალავანდოვი ჯავრობდა, რომ ასე ერთბაშად რად გამოუცხადეთო.

შემდეგ ერთხელ დიაღ უთხარი ელ. ერისთოვს რომ ერისთოვებს როგორ არ გრცხვენიანთ იმაზე ფიქრის, რომ რუსები აქედან გააძევოთ, ან რაზე უჩივით მაგათ, როდესაც ყველაფრის მიზეზი თქვენა ხართ, თავდების სურვილით მოვიდნენ ეგენი აქ და ეხლა აღარ გნებავთ მეთქი. მან მიპასუხა: ჩვენ მოვიყვანეთ ეგენი და ჩვენვე მოვახერხებთ რომ ეგენი აქ აღარ იყვნენ. მგონია ჩოლაყაევიც მაშინ იქ დაესწრო.

მღვდელ ეფრემ ალექსიევს უთხარი, რომ თუ ვინმე თავადთაგანი მასთან მოიჩივლებდა, მას ერჩია, რომ მათ რუსების წინააღმდეგ არაფერი ეფიქრათ, მეც ვინც შემხვდება დაუწლი მეთქი. მაგრამ მე არ მიჯერებდენ. თუმცა ქართველებმა როგორც უნდა იფიქრონ რამე რუსების წინააღმდეგ? ამაზე ვლაპარაკობდით.

მგონია ყველაფერი ვთქვი რის გახსენებაც შევძელი. უმბდაბლესად გთხოვთ მომაგონოთ თუ არა მე დამავიწყდა: არაფერს არ დავფარავ. ღმერთმა დამიფაროს რომ მე რამე დავფარო... აი კიდევ.

რა განკარგულება ჰქონდათ მათ დეკემბერში მე არ ვიცი, რადგან მე ნოემბერშივე ხელი ავიღე; მას შემდეგ, რაც ზაქ. ჩოლაყაევთან ილაპარაკეს მე კახეთში წავედი.

ვასულ წელს, როდესაც ალ. ორბელიანოვმა და[1] ელ. ერისთოვმა პირველად მითხრეს, რომ მათ რუსების წინააღმდეგ განზრახვა აქვთ, მაშინ დანამდვილებით არ მახსოვს რა სიტყვებით უპასუხე, მაგრამ მგონია უთხარი, რომ მე მიყვარს და პატივს ვცემ ბაგრატიონებს და ყოველი ქართველი მეტად მიყვარს ვიდრე რუსი მეთქი. მაშინ ალ. ორბელიანოვი მიუბრუნდა ელ. ერისთოვს და უთხრა: „ნერწმუნე, ოომ ყოველი ქართველი ამას იტყვისო.

ამის შემდეგ ალ. ორბელიანომა მითხრა, რომ ჩემს აიხანაგებს ეშინიანთ, რომ შენ არ გაგვცეო. მე მიუგე, რომ რაკი პატიოსანი სიტყვა მოგეცით, რასაკვირველია არ გაგცემთ მეთქი. მან მითხრა მჯერაო.

გიმნაზიის მასწ. სოლომონ დოდაევი".

ამას კიდევ დაუმატებ შემდეგს.

როდესაც ოქროპირ ბატონიშვილი თეთრად მიდიოდა, მე მასთან ერთად ვიჯექი ერთ ეტლში მცხეთამდის. მან გარდა იმისა,

---

[1]) წაკითხულია 23 დეკემბერს 1832 წ.

რომ მთხოვა დამევალებინა იქაური მღვდლებისათვის, რომ მისთვის ელოცნათ, მითხრა აგრეთვე: შენ ჩვენ არ დაგვივიწყო, რუსეთშიაც ერთი მონაზონი ღმერთს ჩვენთვის ევედრება, ეგების ღმერთმა უსმინოს და ჩვენ საქართველოში დავბრუნდეთო. ჩემდა სამწუხაროდ მე მათგან ძლიერ ხელშეწყობილი და დავალებული ვიყავი, ამიტომ ვერაფერი ვერ უპასუხე. მე რომ 1827 წელს ივნისში მოსკოვში ვიყავი იმათ საკუთარ სახლში მოვისმინე **ოქროპირ ბატონიშვილის** კოჭლი დისაგან დარიგება, რათა ჩემი მოწაფეებსათვის შთამეგონებინა, რომ მათ არ უნდა დაჰვიწყებოდათ ქართველი ბატონიშვილები. მე აღვიარებ გულწრფელად, ვფიცავ ღმერთს, რომ დღემდე არც ერთი მოწაფისათვის არა მითქვამს რა და არც ერთ მღვდელს არა გაუგონია რა ჩემგან ბატონიშვილებზე; როდესაც **ალ. ორბელიანოვმა** გულახდილათ დამიწყო ლაპარაკი, მაშინ მეც უთხარი და იმანაც მითხრა, რომ ეს ჩვენთან **ოქროპირ ბატონიშვილს** ჰქონდა ნათქვამი. პეტერბურგში ყოფნის დროს კი არც ერთი ბატონიშვილისაგან არაფერი გამიგონია და არც ერთ მათგანთან არაფერი მიმოწერა არა მქონია, გარდა ჩვეულებრივი წერილებისა.

მცხეთამდის გზაში **ოქროპირ ბატონიშვილი** მიამბობდა საბერძნეთისა და საქართველოს ისტორიას. მან თქვა, რომ ვიღაც წინასწარმეტყველმა (სახელი **არ** მახსოვს) თქვაო, რომ საბერძნეთი ამდენსა და ამდენს წელს სხვის ბატონობის ქვეშ იქნება და შემდეგ განთავისუფლდებაო; აგრეთვე საქართველოზედაც თქვა ამდენსა და ამდენს წელს უცხო მართველობის ქვეშ იქნება და მერე განთავისუფლდებაო. ეს გარემოება პირველად ეხლა გამახსენდა. მაგრამ რამდენი წელი თქვა არ მახსოვს. ამიტომაო იმედი მაქვს საქართველოში დაბრუნებისაო, არ დამივიწყოო.

გამიგონია, მაგრამ არ ვიცი მართლა ჰქონდა თუ არა მიმოწერა **ალ. ორბელიანოვს** ლტოლვილ **ბატონიშვილ ალექსანდრესთან,** არასოდეს არავითარი წერილი მე არ მინახავს,

როდესაც მე და **ალ. ორბელიანოვი ოქროპირ ბატონიშვილთან** ვბაასობდით, მაშინ ელ. **ერისთოვმა** თქვა, რომ მე ვიცი არა მხოლოდ **ოქროპირ** არამედ სხვა ბატონიშვილებისაგანაც და დაასახლა **ფარნაოზ ბატონიშვილი** და აგრეთვე განაცხადა, რომ ის მასთან მიმოწერაშია.

---

[1]) **სალომე.**

[2]) **იგულისხმება შეთქმულების არსებობა.**

ალ. ორბელიანოვმა და **ი. ფალავანდოვმა** დამავალეს მოვლა-პარაკებოდი ამ საქმეზე თავად - აზნაურთა წინამძღოლს **დიმიტრი ორბელინოვს**, მაგრამ მე მისთვის არაფერი მითქვამს.

გიმნაზიის მასწავლ. **სოლომონ დოდაევი.**

23 დეკემბერი
1832 წ.

ანტონ აფხაზის ჩვენება (11, 186-195)[1].

„სადილის შემდეგ (არ მახსოვს რა დღე იყო) მივედი **სოლომონ დოდაევთან**, სადაც დამხვდა თავადი **ი. ფალავნდოვი** რომელსაც იქ ესადილნა. ცოტა ხნის შემდეგ იქ შეიკრიბნენ შემდეგი პირები: **ალ. ორბელიანოვი** თავისი უმცროსი ძმა **ვახტანგი**თურთ, მოვიდნენ აგრეთვე **ერისთოვები ელიზბარი** და **გიორგი**. საუბრის შემდეგ წავედით სასეირნოდ გერმანელთა ახალშენში, იქიდან ორთაჭალის ბაღში წავედით, აქედან კი **ელიზბართან** მივედით ჩაიზე. **ელიზბარის** სახლში დაგვხდნენ მისი ორივე ძმა და მოხუცი **ბირთველ თუმანოვი**. აქ უფრო ახალგაზრდული ხუმრობა იყო და არავითარ სერიოზულ რამეზე ლაპარაკი არ ყოფილა, როგორც მახსოვს.

2

რამოდენიმე ხნის შემდეგ ყველანი მიგვიწვია. **ალ. ორბელიანოვმა** ვახშმად თავის ბაღში, სადაც ყველა ზემოხსენებულნი იყვნენ, გარდა **ბირთველ თუმანოვისა**. ვახშმის წინ **ალ. ორბელიანოვი** და **ერისთოვი** იძლევიან კითხვას: როდის არის ადამიანი ბედნიერი. მე მიუგე: მაშინ, როდესაც ის ასრულებს თავის მოვალეობას მეთქი. კიდევაო. იკითხეს მათ როდესაც ის აღფრთოვანებულია სამშობლოსა და მეფისადმი სიყვარულითა მეთქი. **ალ. ორბელიანოვი** და **ელიზბარ ერისთოვი** მეუბნებიან, რომ ძალიან შორს ვიჭერ და ვერ მივხვდარვარ. მე უპასუხე, რომ ამ კითხვის მხოლოდ ამ აზრით გაგება შეიძლება და არა სხვა ნაირად. მაშინ **ალ. ორბელინოვმა** დამიწყო: „გამიგონე ანტონ, ჩვენ ყველა აქ მყოფთ ვ. ი. ჩემს ძმას **ვახტანგს, ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვებს, ფალავანდოვსა** და **დოდაევს** გვსურს განგიცხადოთ შენ დიდი საქმე, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით და იმედი გვაქვს, რომ არავის ეტყვი. ჩვენ გვსურს თავისუფლება და რუსებისაგან თავის დაღწევა". **ფალავანდოვმა** ფეხის კვრით ანიშნა, მას რომ შეეწყვიტა ამაზე საუბარი და წავიდა მე მათ მიუგე ალბად არ გესმით მისი ნამდვილი მნიშვნელობა, რასაც ლაპარაკობთ მეთქი და ვთხოვე მოესპოთ ამ საგანზე საუბარი. ამასთანავე, რომ აზრი შემეცვლევინა დაუწყე

დაშინება იმით, რომ ეს სახელმწიფოებრივი დანაშაული მეთქი. აგრეთვე ველაპარაკე, რომ საქართველო ვერაფერს ისარგებლებს იმით, რომ რუსებმა ის დატოვონ მეთქი, მაშინ ხომ საქართველო გადაიქცევა სათამაშოდ სპარსელ - ოსმალებისა და ლეკებისათვის რომელთაც თავისი სარწმუნოების გამო ჩვენი ცოცხლად გადაყლაპვა სურთ ნეთქი. თუნდაც რომ მიატოვონ რუსებმა საქართველო, რითი გინდათ მისი საზღვრების დაცვა, რომელსაც არ გააჩნია არც ფიზიკური მცველი და არც ბუნებრივი საფარი, მაშინ როდესაც რუსეთის მთავრობა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ივერიელნი ერთად მართლ მადიდებელ სარწმუნოებას აღვიარებთ, იღებს ამოდენე მსხვერპლს, რუსები აქ იხოცებიან, ამოდენა ფულს ხარჯავენ და ყველა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება არავინ დაარღვიოს მეთქი... და ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ვემდურეთ მათ მადლობის მაგიერ მეთქი. **ალექსანდრემა** და **ელიზბარმა** მიპასუხეს, რომ სადაც თავისუფლება არ არის, იქ უკვე სიცოცხლე არ არისო; ასევე მიპასუხეს ყველა დანარჩენებმა. **ალექსანდრემ** განაგრძო: გამიგონე ძმაო, ჩვენ ჯერ კიდევ შარშან, 1831 წელსა, გვქონდა შეთქმულება და განკარგულებაც იყო მოხდენილი, თუ რომელ ჩვენგანს როგორ უნდა ემოქმედნა, მაგრამ უცდიდით ამბავს აიღებდნენ რუსები ვარშავას თუ ვერა და რადგანაც მოვიდა ქალაქის აღების ცნობა, ამიტომ ჩვენი საქმეც ჩაიშალაო. **ალ. ორბელიანოვმა** თქვა აგრეთვე რომ სამოსწავლო ბათალიონის ყველ ოფიცრები მოსყიდული იყვნენ და მათ შორის ჩემი ნათესავი პორუჩიკი **ნათალოვიც,** რომელიც იმავე ბათალიონში მსახურობდა, ამ საქმის მცოდნე იყოო. შემდეგ განაგრძობს **ალექსანდრე,** რომ ჩვენი მოქმედების გეგმა ასეთი იყო: უნდა მოგვეკლა სამოქალაქო გუბერნატორი, შემდეგ მთავარმართებელი; მეორე ხელში უნდა ჩაგვეგდო ექსტრა - ორდინარული თანხა და შეგვეტია ციხეზე, რომ გამოგვეშვა იქ მყოფი პატიმარნიო.

3

რამოდენიმე დღის შემდეგ **იასე ფალავანდოვმა** მიგვიწვია ყველანი ჩაიზე 7 საათვისათვის, სადაც უსათუოდ ყველანი უნდა მოვსულიყავით. მე მივედი 9 საათზე. იქ დამხვდნენ: მასპინძელი, **ალ. ორბელიანოვი** თავის ძმა **ვახტანგითურთ, ერისთოვები გიორგი, ელიზბარი** და მისი ძმა **დიმიტრი** აგრეთვე მასწავლ. **დოდაევი.** მე არ ვიცი ჩემს მისვლამდის რა ილაპარაკეს. ისევ **ალ. ორბელიანოვი** და **ელიზბარ ერისთოვი** იწყებენ, რომ უნდა მოვილაპარა-

კოთ ჩვენს საქმეზეო. ყველანი ეთანხმებიან და **ალ. ორბელიანოვი** ამბობს უნდა შევადგინოთ ისეთივე განკარგულება, როგორც შარ-შან გვქონდაო და **ელიზბართან** ერთად მეკითხება თუ მე რას ვიტყვი ამაზე. მე ყველას წინაშე უპასუხე, რომ ვიტყვი იმას, რაც არა ერთხელ მითქვამს გულწრფელობით მეთქი, ე. ი. რომ ლარიბი საქართველოს სიკეთე მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის კეთილდღეობასთან და რომ ამის წინააღმდეგ ფიქრი თვით საქართველოს წინაშე დანაშაულია მეთქი. რა გვინდა მეტი. ლეკები, რომლებიც აოხრებდენ ჩვენს ქვეყანას, მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდა, წვავდა მთელ სოფლებს, ეხლა დამორჩილებული არიან და მათი შემოსავლით ჩვენი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას ღებულობს მეთქი. **ელიზბარ ერისთოვს** ეწყინა, აიღო ქუდი და წასვლა დააპირა, მაგრამ თავისმა ძმამ უთხრა რომ ტყუილად ცხარობ ეს კაცი მართალს ამბობსო. **ელ. ერისთოვმა** დაიფიცა, რომ არც ერთ ჩვენგანს ხმას აღარ ვაგვცემს და წავიდა. შემდეგ ისევ **ალექსანდრემ** დაიწყო, რომ აუცილებლად რამე უნდა დავწეროთო. ამგვარი საქმის დამწყებ ხალხს შეეძლო ჩემთვის უბედურება შეემთხვია. ამიტომ შიშისაგან რა სიცრუეს აღარ მივმართე. მათ მღელვარების დასამშვიდებლად. მე მათ უთხარი, რომ ჯერ სტატისტიკური ცნობები უნდა შევაგროვოთ და მოვძებნოთ მათში რა არის ჩვენთვის სასარგებლო და მერე დავწეროთ მეთქი. რა თქმა უნდა არაფრის დაწერას არა ვფიქრობდი. ამაზე დავიშალენით.

მესამე დღეს **ელიზბარ ერისთოვი** შემხვდა საქართველოს მართველობის პირდაპირ მოედანზე და უთხარი, რაზედ გამიწყერი გუშინწინ მეთქი, მან მიპასუხა, რომ რა უფლება მაქვს რომ თქვენ გაგიწყრეთ, მაგრამ მე ის მეწყინა, რომ აქამდე დაბრმავებული ვიყავ იმ ზომამდე, რომ რუსეთის მფარველობის ბედნიერებას საქართველოსათვის ვერა ვგრძნობდიო. ეხლა თქვენმა ნათქვამმა თვალი ამიხილაო.

4.

რადგან შემოიღეს მორიგეობით მასპინძლობა, ამიტომ ჩემი რიგიც მოვიდე და დავპატიჟე ყველა ისინი, ე. ი. **ალ. ორბელიანოვი** თავის ძმა **ვახტანგითურთ, ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვები, ფალავანდოვი დოდაევის** ბინაზე. დავსხედით თუ არა **ალ. ორბელიანოვი** წამოდგა და მითხოვა ყველასაგან ფიცი რომ ჩვენ ვიქნებით საუკუნო მეგობრები და არავის არ ვეტყვით ჩვენს საიდუმლოებას, აიღო ჭიქა, გაავსო ღვინით და დაიძახა გაუმარ-

ჯოს საქართველოსაო. და ჩვენც ყველამ დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო. **ალექსანდრე ორბელიანოვი** განაგრძობს, რომ მე ვიყავი საქმეების გამო აღმასრულებელი ექსპედიციიდან სიღნაღის რაიონში მივლინებულიო, რაც აქ ვნახე, იმისი აღწერა ძნელიაო. გლეხები მოდიოდნენ ჩემთან და მემუდარებოდნენ რომ მიხსენით ამ უბედური მდგომარეობისაგანაო, რომ მათ ეზიზღებათ რუსული მართველობაო. მანვე თქვა, რომ ჩვენი მემამულეები ღატაკდებიან დღითი-დღე. საჭიროა შეეგროვოთ ფული, რათა მემამულეების მიწები სომხებს არ ჩაუგდოთ ხელშიო, აგრეთვე უნდა გავამრავლოთ წიგნები ქართულ ენაზეო. თქვა აგრეთვე, რომ როდესაც რუსები აღარ იქნებიან, მაშინ ქართველების დასამშვიდებლად უნდა სპარსეთიდან გამოვიწვიოთ **ალექსანდრე ბატონიშვილი** და სპარსელები დაგვეხმარებიანო.

ალ. ორბელიანოვის ამგვარი მსჯელობის დროს ათასი ფიქრი ღელავდა ჩემს თავში. **ნიკოლოზ 1-ლის** სურათი ეკიდა კედელზე. მინდოდა წამომვხტარიყავ უავგუსტეს მონარქს ფეხთ დავგებოდი და მეთხოვა შეწყნარება ამ გზა აბნეულთათვის, მაგრამ მეშინოდა. არაფერი აეტეხათ ჩემთვის. ხალხი, რომელიც ამგვარ საქმეს კიდებს ხელს, ყველაფერს ჩაიდენს. საუკუნო ჯავრად ჩამყვება, რომ გაუშვი ასეთი შემთხვევა და ჩემი შინაგანი განწყობილებისათვის, რომ დამეჯერებინა, ხომ საუკუნოთ მოუპოვებდი სახელს ჩემს გვარსა და ჩემ ძმებთან ერთად გამოვაჩენდი ხელმწიფის ერთგულობას... არაფერს, ქვეყნის არავითარ ძალას არ შეეძლო **ალ. ორბელიანის გასწორება**. მაზე არ მოქმედებდა არც ცოცხლად აღწერა იმისი, რომ ასეთი საქმე სრულიად სისულელეა, არც იმის თქმა, რომ ამ საქმის მომქმედი საქართველოს მტერი თითონ არის. მე უთხარი, რომ საქართველო ღარიბი და უძლურია, რომ მას არ შეუძლიან დამოუკიდებლად არსებობა მეთქი. და ურჩიე სხვა რამეზე დაეწყო ლაპარაკი, თორემ თუ გამომჟღავნდა ვერაფერი ვერ გვიშველის მეთქი.

ელიზბარ ერისთოვმა წარმოსთქვა, რომ თუნდაც გამომჟღავნდეს არაფერია, რადგან ჩვენ წერილობითი არაფერი გვაქვს და ისე კი ყველანი გადავფიცავთო.

ალ. ორბელიანოვმა შემნიშნა, რომ რუსულად ნუ ვლაპარაკობ და თან მთხოვა განუმარტო მას თუ რას ნიშნავს **დამოუკიდებლობა**. მე ვეუბნები: დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ შეგეძლოს საკუთარი ძალით არსებობა, სხვის დაუხმარებლად, მაგალ. საქართველოს ისე არ შეუძლიან რუსეთის დაუხმარებლად

არსებობა, ისე როგორც შენ არ შეგიძლია იარსებო უჭმელმა მეთქვა. მერე თქვა **ალ. ორბელიანოვმა**: ჩვენი წრიდან უნდა ავირჩიოთ ერთი. ერთი უფროსადო და მე მითხრა, რომ მე უნდა ვიყვე ეს. მე უარი განვაცხადე ამგვარ პატივზე, შემდეგ **ფალავანდოვს** უთხრეს, იმანაც უარი თქვა. **ელიზბარ ერისთოვი** გაწყრა: რა დაგემართათ, თუ უნდა მე ვიქნებიო, ისევ **ალ. ორბელიანოვი** ამბობს, რომ უსათუოთ რამე უნდა დავწეროთო. მე უპასუხე რომ სისულელის წერა არა ღირს მეთქი. ის განაგრძობს, რომ თუნდა არ შესრულდეს, მაინც უნდა დავწეროთ და ჩვენ შორის დარჩესო. ყველამ აღუთქვით რომ დავწეროთ და დავიშალენით. მე. **დოდაევმა** გამომაცილა, რომელსაც უთხარი, ღარიბი კაცი ხარ, შენს ჯამაგირზე დამოკიდებული, რათ აძლევ ნებას შენს ოჯახში ასეთი სისულელე ილაპარაკონ მეთქი. მან მიპასუხა: გიჟი თავისუფალიაო.

ამ ხანებში ჩამოვიდა რუსეთიდან გვარდიის კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყაევი.** ბევრნი დადიოდნენ მასთან ე. ი. **დოდაევი** და სხვები. **დოდაევმა** მთხოვა გავცნობოდი **ჩოლაყაევს.** ჩავსხედით ეტლში და წავედით მასთან სადილის შემდეგ, 5 საათზე. **დოდაევმა** მას გააცნო ჩემი თავი როგორც განსვენ. გენერალ **აფხაზოვის** ძმა. მე ვკითხე მისი უნცროსი ძმის ჯანმრთელობა. მან მიპასუხა, რომ ის კარგად არის და დიდი მეტაფიზიკოსია, რომ ის მას ხშირად ეუბნება, თუ ვის და რისთვის ემსახურებიო. მან მითხრა, ის იცნობდა ჩემს უფროს ძმას, რომელიც ლეკებთან ბრძოლაში დაილუპა და გამოს თქვამს მწუხარებას, რომ ძლიერ კარგი ძმები დავკარგე. თუ მე ჩემი ძმის პატრიოტობაზე ვთქვი რამე, არა იმ აზრითა და მნიშვნელობით, რომ **ჩოლაყაევს** აქედან მთელი ისტორია გამოჰყავს... ბაგრამ მე მთელი ჩემი არსებით მძაგს ტყუილი და ამიტომ ტახტის წინაშე გულწრფელი აღიარებით ვეძიებ გადარჩენას. ამის შემდეგ **ჩოლაყაევმა** ამოიღო პატარა ყუთიდან რამოდენიმე წერილი და გადასცა **დოდაევს,** რომ მას დანიშნულებისამებრ დაერიგებინა ისინი. უნდა ეკითხოს **ჩოლაყაევსა** და **დოდაევს** ვისგან იყო ეს წერილები და ვისთან იყო მიწერილი.

6.

ყარაბაღიდან რომ დავბრუნდი, სადაც ორი თვე ვიმოგზაურე, შევედი **ი. ფალავანდოვთან,** რომელმაც სინანულის კილოთი მითხრა, რომ ჩვენი თანამემამულეები არ ეშვებიან თავის განზრახვას და პირიქით დღითი დღე უფრო ძლიერდება მათი პარტიაო. ის განაგრძობს, რომ ღამე მისულმა მასთან **ჩოლაყაევმა** გააღვიძა

იგი და უთხრა: რა დროს ცილია, მოქმედების დრო დადგაო, რომ უკვე გენერალ **მაიორ ლ. ორბელიანოვის** სახლში მსჯელობენ ამ საქმეზე, სადაც განუყრელად მონაწილეობას იღებს თვით **ჩოლაყაევი, ლუარსაბის** უახლოესი ნათესავები **ელიზბარი** და **დიმიტრი ერისთოვები,** რომ **ლევან ერისთოვი** გაუგზავნიათ ქართლში ამ ამბის გასავრცელებლად. **ზაქარია ჩოლაყაევი** არწმუნებს ყველას, რომ საქმეს უნდა შეუდგეთ თავად-აზნაურთა ყრილობის დროსაო, რადგან მაშინ მთელი ქართლ-კახეთი აქ იქნებაო და მაიორები **დიმიტრი** და **ლუარსაბი,** რომლებიც საუკუნო მტრები იყვნენ, ეხლა შერიგდნენ ამ შენთხვევის გამოო. **ელიზბარი** იყო მარშალ **მუხრანსკისთან** და **მუხრანსკი** მას სავსებით დაეთანხმაო.

მე უთხარი **ფალავანდოვს,** რომ თუ აქამდის შეიძლებოდა ეს სისულელედ ჩაგვეთვალა, ეხლა უკვე სერიოზულ სახეს ღებულობს და რატომ არ გამოუცხადებ შენ ძმას მეთქი.

ხელმწიფე ინდენად მოწყალეა ჩვენდამი, რომ უკვე ქართველი გუბერნატორი გვყავს მეთქი, უსათუოდ უთხარი შენ ძმას და მე დამიმოწმე მეთქი. რა ვიცოდი, თუ **იასე ფალავანდოვი,** რომელიც ჩემთან ასე ნანობდა, თავის ძმას კი დაუმალავდა, მის მტრად გახდებოდა. ვისთვის უნდა ეთქვა ეს საქმე, თუ არა საკუთარი ძმისათვის, გუბერნიის ბატონ - პატრონისათვის, თუ გაცემა არ უნდოდა, გაეფრთხილებია მაინც მთავრობა. მე სასტიკად შევცდი, როცა მას ვენდე.

სხვათა შორის მე და **ფალავანდოვი** ხშირად ვიცინოდით **ჩოლაყაევზე,** რომ რუსეთის მთავრობისაგან ჯამაგირის გარდა 1000 მან. ვერცხლს იღებს, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის გუნდის უფროსია, დღეს თუ ხვალ პოლკოვნიკი გახდება და ეგეც კი ამ ქართველებში გაერიაო.

ჩოლაყაევმა დოდაევის მეუღლის პირით მთხოვა მიმეცა მისთვის ორი ოთახი, მაგრამ მე უარი უპასუხე. ის და **დოდაევი** მოვიდნენ ჩემთან, მაგრამ მე თავი მოვიმძინარე და არ მივიღე.

გარდა ამისა **ალ. ორბელიანოვი** ამბობდა, ნუ თუ ჩვენ **ყაზი მოლას** ოდენა არ შეგვიძლიან, საქართველოში მილიონზე მეტი ვართ, და ნუ-თუ თავის მოვლას ვერ შევძლებთო, თუმცა ქართველ ბატონიშვილთა ჩამომავალნი ჰმალავდნენ თავის გეგმებსა და მიზნებს, რითაც ხალხს ატყუილებდენ, მაგრამ ალ. **ორბელიანმა** თქვა, რომ **ალ. ბატონიშვილთან** მიმოწერის საშუალებით დაიწყო ეს საქმე შარშან და მათი გეგმის მიხედვით მოქმედებდა.

პოდპორუჩიკი **ანტონ აფხაზოვი**".

21 დეკემბერი 1832 წელი.

მოლა ზამანას და შიხილ-ალიას ჩვენებები, მაი პირისპირ წაყენება საგამომძიებლო კომისიაში (II, 196-198)[1]).

„სოფ. ჰასან-ჰასალის მამასახლისმა **შიხილ-ალიამ**, რომელიც დაბარებული იყო საგამომძიებლო კომისიაში, განმარტა, რომ გუშინ უეცარი შეკითხვით შეძრწუნებულმა ვერ გაიხსენა სინამდვილე და ეხლა, სურს რა ყველაფრის ჭეშმარიტად გამოცხადება, აჩვენებს: **მოლა ზამანას არ** გადაუცია მისთვის ბრძანება ტფილისში გამოცხადების შესახებ, არანედ უთხრა მხოლოდ, რომ **ალ. ორბელიანთ**ვითონ მას **მოლა ზამანას** იბარებს ოთხი ამხანაგით, თვით **შიხილ ალია** კი ადრევე ემზადებოდა აქ ჩამოსასვლელად-უნდა ჩამოეტანა გადასახადის ნაშთი 6 ნან. და 50 კაპ. ვერცხლი. მისმა ამხანაგმა **ჰაჯია საფარ ალი-ოღლიმ** ჩამოიტანა საჩუქარი ცოლის შერთვის გამო, **ყურბან სად-ოღლი**, ანუ **ალავერდი-ოღლი** მასთან იყო როგორც ნათესავი მისი, ხოლო მესამე ამხანაგი **ყურბან-ყამჩი-ოღლი** ჩამოსული იყო პურის სათხოვნელად. ტფილისში ჩამოსულნი ისინი ჩამოხტნენ **ალ. ორბელიანოვის** სამზარეულოში. **შიხილ ალიამ** ფული გადასცა ქართველს **სომანს(?)**, რომელმაც ის ბატონიშვილს[2]) შიუტანა, თვითონ **შიხილ-ალია** კი მივიდა **ალ. ორბელიანოვთან** და გამოუცხადა, რომ **ეიბ-ოღლის** გაუგონია, ვითომ **ალექსანდრეს** ჰქონდეს ურთიერთობა **ალექსანდრე ბატონიშვილთან. თ. ალექსანდრემ** უპასუხა, რომ **ეიბ-ოღლი** ტყუილს ამბობს, რათა ცილი დასწამოს მას, რადგან მათ მიწის გამო ერთმანეთში დავა აქვთ. მეორე დილას ისინი ყველანი ერთად წავიდნენ ბატონიშვილისთვის ხალიჩის მისართმევად **ჰაჯია-საფარ ალიოღლის ცოლის** შერთვის გამო, მაგრამ მან იგი არ მიიღო, რადგან ძველი იყო. ამიტომ ისინი მივიდნენ **ალექსანდრესთან** სათხოვნელად, რომ მას დაეჯერებინა თავისი დედა იმ ხალიჩის მიღებაზე. **ალექსანდრემ** უპასუხა მათ, რომ ეს მისი დედის საქმეა, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ და იყიდეს ახალი ხალიჩა 4 მან. 50 კაპ., რომელიც ძველთან ერთად გადასცეს **სომანს**[1]) ბატონიშვილისათვის მისატანათ და თვითონ კი არ შესულან მასთან. შემდეგ მივიდნენ **ალექსანდრესთან** და უთხრეს, რომ მისმა დედამ აიღო ძველი და ახალი ხალიჩაც. ამის შემდეგ **შიხილ-ალიამ** და **ყამჩი-ოღლიმ** სთხოვეს ალექსანდრეს ფეტვი და მან უთხრა გამოერთმიათ ორ-ორი თაღარი

---

[1]) წაკითხულია 21 დეკემბერს 1832 წელს.

[2]) იგულისხმება **თეკლა ბატონიშვილი.**

[3]) სოლომონ (?)

სოფ. ხაზარეთის მამასახლისისათვის. **შიხილ-ალიას** ბატონიშვილმა აჩუქა ორი ვერცხლის მანეთი, მანვე მიიღო ზაფხულში **ალ. ორბელიანისაგან** ჩოხა **მისი** ქევხად დანიშვნის გამო, რისთვისაც მან **ალ. ორბელიანოვს** ხალიჩა უთავაზა. **ალექსანდრემ** გაზაფხულზე **ყურბან-სად-ოღლის** აჩუქა აგრეთვე ჩოხა, რადგანაც მან დააბრუნა **შიხილ-ალია** გაქცეული რომ იყო ყაზახის დისტანციის სოფ. ალ. ყაინახში, რომელსაც განაგებს **ეიბ-ალა-ბეიქირ-ალა-ოღლი.** ისინი რომ ტფილისში ჩამოვიდნენ, იმავე საღამოს მოვიდა აგრეთვე **მოლა ზამანა,** რომელიც შევიდა **ალექსანდრესთან;** ისევე მალე გამოვიდა, შეჯდა ცხენზე და წავიდა ქარვასლაში თავის ანხანაგებთან. **შიხილ-ალიამა** ჰკითხა მას: შენ ხომ ტფილისში გუშინ იყავი და აგრე მალე რისთვის ჩამოხვედიო. **მოლა-ზამანამ** უპასუხა, რომ **ალექსანდრესთან** საქმე მქონდაო.

შიხილ-ალია რომ დაბრუნდა თავის სოფელში **ჰაჯია-ჰუსეინ-ოღლის** მაბა **ჰუსეინ საფარ ალი-ოღლიმ** კითხა მას, თუ **მოლა ზამანი** ასე სასწრაფოდ რისთვის იყო ტფილისში საბი ამხანაგით, ამასთანავე უთხრა, რომ **შიხილალიას** წასვლისთანავე **მოლა-ზამანაც** გაემგზავრა ტფილისში და თან წაიყვანა სოფელ ყარაპარლის მცხოვრები **მაჩი-ყარაპაროღლი** და სოფ. გულეირის მცხოვრ. **ყაზიმ-ფიდალ-ოღლი. ქოსა მუსტაფა** ორი წელიწადია რაც გაქცეულია. **შიხილ-ალიამ** ის უკანასკნელად ნახა სოფელ ჰასან-ჰაჯალუში 1830-31 წლის ზამთარში **იბრაიმ ყარა-ახმედ ოღლისთან** ერთად. 1831 წლის გაზაფხულზე **შიხილ-ალია** გაიქცა ყაზახის დისტანციაში და ის ორნი კი გადავიდნენ ჩალდირში, რის შემდეგაც მას ისინი აღარ უნახავს.

მოლა ზამანამ დაადასტურა თავისი პირველი ჩვენებები და ამასთანავე დაურთო, რომ **შიხილ-ალია,** რომელიც **ქოსა-მუსტაფასთან** ერთად ბატონიშვილთან უნდა წასულიყო, არის არა სოფელ ჰასან-ჰაჯალუს, არამედ ჩალდირის მცხოვრები, არ იცის იყო იგი ბატონიშვილთან თუ არა...

ალექსანდრე ორბელიანოვის შიხილ-ალიასთან საუბარს **მოლა ზამანი** აგრეთვე ისე ხსნის, რომ **ალექსანდრემ** უთხრა ქევხას, რომ მას ერთი საქმისათვის ხალხი სჭირდება და როდესაც მოითხოვს ქევხამ უნდა მოიყვანოს ისინი მასთან. **შიხილ-ალიამ** ჰკითხა მას **მოლა ზამანის** თანდასწრებით: ცხენოსანნი უნდა იყვნენ ის ხალხი, თუ ფეხით, ან რა იარაღით უნდა იყვნენ შეიარაღებულნი. **ალექსანდრე ორბელიანოვმა უპასუხა,** რომ ამის განკარგულებას მერე მისცემს.

გენერალ მაიორ ბაიკოვი 1-ლი
გენერალ მაიორ ვოლხოვსკი
პოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (11,200)[1])

„შარშან ერთხელ ბაზარში მივდიოდი, შემხვდნენ **თ. თეიმურაზ ამილახვარი** და **ალ. ორბელიანოვი.** მთხოვეს დამეპატიჟნა ისინი ჩაიზე. შევედი თუ არა ჩემს ოთახში, **ალ. ორბელიანოვმა** მითხრა, რომ არავინ შემეშვა იქ, მერე დაიწყო, რომ მან უკვე იცის, რომ მათი განზრახვა მე გაგებული მაქვს, მე მიუგე, რომ ამ საქმის შესრულება გაგვიძნელდება მეთქი. მან მითხრა, განა არ გახსოვს გრაფმა რომ მილიციის შეკრება მოინდომა, მაშინ უბრალო ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ჯარის კაცებსა ჰკრებენო და მე და კაპიტან ისპრავნიკმა ძლივს დავაწყნარეთ, მაშინ მე საერობო პოლიციის თავმჯდომარე ვიყავი[2]).

ეხლა კი თუ ჩვენ თვითონ ვეტყვით გლეხებს, რომ ჯარის კაცებსა ჰკრებენო, რასაკვირველია მაშინვე აჯანყდებიანო.

ჯერ შარშანვე მითხრა **ალ. ორბელიანოვმა,** რომ ეს ჩვენი წამოწყება მან გაუზიარა **პაუშენკოს,** რომელიც ეხლა დუშეთის კაპიტან-ისპრავნიკად არის.

ელ. ერისთოვმა მითხრა, რომ ეს ჩვენი განზრახვა იციან **ლუარსაბის** [3]) რძალმა **მანანამ** და ჩემმა დამ კოლეჟისკი სოვეტნიკის **ბელნიკოვის** ცოლმაო.

ალ. ორბელიანოვმა მითხრა, რომ მე ჩვენთვის უკვე გამოვიგონე ნიშანი დავით მეფის ჯვარი და წმ. ნინოს ჯვარიო. **ალ. ორბელიანოვმა** მითხრა, რომ მან ეს ჩვენი განზრახვა გამოუცხადა ერევნის კარაბინერთა რაზმის შტაბსკაპიტანს **ონიკოვს,** მაგრამ აღარ მახსოვს ის დათანხმებოდა თუ არა.

მგონია **ალ. ორბელიანოვს** უთქვამს აგრეთვე თავის **ივანე დალაქისთვის** როდის გავთავისუფლდებით რუსებისაგან, მაგრამ მას უპასუხნია: თქვენ სულ ეგრე გაიძახით და დასასრული კი არა ჩანსო. მახსოვს აგრეთვე **ალ. ორბელიანოვმა** მითხრა, რომ არ ვიცი იცოდაო, თუ იცისო ეს ჩვენი საქმე, ქართულ გრენადერთა რაზმის პორუჩიკმა **გრიგოლ ორბელიანოვმაო,** რომელიც ეხლა რუსეთში იმყოფება.

თ. იასე ფალავანდოვი".

---

[1]) მიღებულია 21 დეკემბერს 1832 წ.
[2]) იგულისხმება 1829 წლ. არეულობა,
[3]) **ლუარსაბ ორბელიანი.**

ალ. ორბელიანის მოხსენება კომისიას (II,202).

„კომისიასა შინა

პოდპორუჩიკის თ. ალექსანდრე ვახტანგის ძისა ორბელიანისაგან. მოხსენება.

იმ სიყმაწვილით ესრეთ მიყვარდა რუსნი, რომ თხუთმეტის წლისა შევედი სამსახურსა კარაბინერის პოლკში, და თვით იმ პოლკმა იცის ვითარ ვმსახურებდი, და ანუ სალდათებთან ვითარ არ დავიშურებდი სისხლსა, ყოველს საქმესა, სადაც დავსწრებივარ, და ანუ ვითარ კეთილად, და ერთგულად ვიმსახურებოდი, 1 ვიმსახურე, 1817-ა ვიდრე 1823-ა ანუ 1824-მდე წლამდე. შემდეგ მიაღწია დედა ჩემმა მოხუცებულებას, და საჭიროდ აღუჩნდი ჩემი სახლის გარემოებასა, მაშინ როდესაც რომ ჩემნი ძმებნი იყვნენ დიახ მცირეწლოვანნი, და მე ამ ჩემის სახლის გარემოებისათვის გამოველ სამსახურიდან, ნეტავი მაშინვე იქ მოვმკვდარიყავ, ნეტარ რა კარგი იქნებოდა, და იმ პოლკშივე დაეფლათ ჩემი გვამი რომ ამისთანა უბედურება არ ენახა ჩემს თვალებს, მაგრამ ვინც უბედური იქნება, და მაზედ დაბადებული, ის უბედურება არ მოეშვება. რომ თავისკენ არ მიიზიდოს, და არ მოსპოს ის კაცი ამ სოფლიდგან. შემდეგ მოკლედ ვთქვი. ჩემი უბედურების გარემოება, ოდესცა **ოქროპირ ბაიტოიშვილი** მოვიდა აქა, და წარსულ დღესაც მოვახსენე კომისიას ამის გარემოება როგორც შემაცდინა, სხვათა შორის ბევრს მელაპარაკებოდა და ამას მეტყოდა აი მთის ხალხმა კი იცის ნათესაობაო, რომ ერთმანეთის ნათესაობის შვიდსა და რვას თაობის სისხლსა ეძებენ ერთმანეთშიო, და ერთმანეთის გულისათვის იბოცეზიანო, შენ ხომ ჩემი მამიდაშვილი ხარო, და შენ რატომ ვერა გრძნობ ნათესაობის სიყვარული რა არისო, აი იმ მთის ხალხს მაინც მიხედეო და ის მაგალითად მაინც ქონდესო, ღმერთსა ვფიცავ ესრედ შემჭვალა და შემკრა ამგვარის ლაპარაკით, რომ ველარა ვთქვი რა, ამ ამბავისა დროსა სხვათაც დამიჭირეს იმათ რომელნიც ადრეთგანვე მოვახსენე კომისიას და შემიპყრეს ვითარცა უბედური კაცი, რავქნა ველარ დავეხწიე ნათესაობის სიყვარულს, და გამაბა, ამა უბედურებასა შიგა, და ახლა ყოვლად მოწყალეს ხელმწიფე იმპერატორის წინ მომაქვს ჩემი თავი დანაშაულად ესრედ რომ მე აღარავარ ღირსი ამდენის ჩემის ლაპარაკისა, მაგრამ ვიცი მრავალი მოწყალე, და ცოდვათ მიმტევებელია, და დავემხობი მის წინაშე, და ვიქნები მისი ფეხთა ბეტვერი, უკეთუ რაიცა ენების მის იმპერა-

ტორებითის დიდებულებას იგი გადამახდევინოს მე უბედურსა რომლისაც ვიქნები ღირსი.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.**"

21-სა დეკემბერსა 1832-სა.

ალ. ორბელიანის ჩვენება (II, 206)

„ქევხა **შიხილ-ალიასას** რომ მკითხავს კომისია მართალია მოვიდა მითხრა, თქვენგნით რაღაც წიგნი გამოჩნდა **ბატოიშვილთან** მიწერილიო, მე დაუშალე ნუღარსად ნუღარ იტყვი მეთქი. პრაკლამაციას რომ მკითხავს კომისია **სოლომან ლოდაევისაგან** იყო დაწერილი და არა სხვას ვისგანმე. და იმან მომცა, ერთს საღამოს ჟამზე იმასთან ვიყავ გაზაფხულზე ესეც მითხრა რომ აქ ვერ შევინახამ შენ შინ წაიღეო, და იქ შენ გქონდესო. მე ქილაში ჩავაწყე და საკუჭნაოში შევინახე, რომ არავინ არ იცოდა. მეორე მართალია **მოლა ზამანას** უთხარ კაცების შოვნა, რომელიც მანაც აღმითქვა. **ალექსანდრე ბატოიშვილთან** პირველადვე წიგნი არ მიმიწერია. მასკვან იმის კაცი რომ მამივიდა, და იმის წიგნი მამიტანა, და ასე მოეწერა, შენი კაცი რომ მამივიდაო იმის კიდევ რატომ არ შემატყობინეო, ეს დიახ მცირე წერილი მოეწერა, და ეგ პასუხი მივწერე, რომ, დიახ დამშვიდდა ხალხი აღარაფერს ფიქრშია მეთქი. **თამას ყულისას** რომ მკითხავთ მართალია დავიბარე მაგრამ, სხვა არაფრის განზრახვა არა მქონია რა, მინდოდა **იბრაიმ-ყარა-აჰმადას-ოღლის** საქმე მეთქო რომ, ეგება იმას მაინც გამოერთმია ჩემი მაზედ დანახარჯი, და ჩემს ამხანაგებს კი უთხარ რომ **თამას ყულა** დავიბარე რომელიც აზრი გაქვთ იმისთვისა მეთქი. მე ამის მეტს არას ვიტყვი ღმერთთან იყოს ჩემის პასუხის გებაში და მეორედ მოსვლის დღეს პასუხი მიგოს ვინც ამ საქმეში გამაბა. რომელიც საუკუნოთ მე ხელმწიფისთვის სისხლსა ვღვრიდი, და მამაჩემიც მსხვერპლად იყო მის იმპერატ. დიდებულობისათვის შეწირული. ჭეშმრიტად რაც ტანჯვა, და მწუხარება მივიღე, დიახ ღირსი ვარ სატანჯველისა. მაგრამ ნამეტნავად ცოდვილთ მოწყალეა ჩვენი დიდი ხელმწიფე იმპერატორი, მე ყოველს ცისმარეს ნიმუტს ცრემლს ვაფრქვევ და ვტირი უკეთუ რათ შევცდი, მაგრამ რაოდენ ჭკვიანნი გვამნი შემცდარან ბევრ საქმეზე, და ხელმწიფე იმპერატორი შემნდობი ყოფილა, ღმერთს ვფიცავ ეხლა ჩემი გული რომ იცოდეთ და ჩემი სინდისი ვითარ ვიტანჯები და შესაბრალი-ნი კაცი (?) ვიცი შევცდი მე ხომ თავს არ ვმართლულობ მაგრამ

ნუგეშად ჩემი ორი საგანი არის **პირველი** ისა რომ ჩვენი ბოროტი განძრახვა, დიახ სუსტი რამ იყო რომ მთავრობის საზიანო ერთი ფულისაც არა იყორა, და ვლაპარაკობდით ვითარცა გიჟნი, და არა ვგრძნობდით რასაც ვიქმოდით, ხომ ეს ფიქრიც არ უნდა ყოფილიყო, ჩვენშია მაგრამ შემცდარნი ვიყავით სხვისა წორის, იგინი არა ჩნდნენ, და ჩვენ მსხვერპლად შეგვიწირეს და ვაი ჩვენ უბედურნი ამისაგამო. მეორე ამ შეცდომილებასთან შენდობა ხომ ძნელია მაგრამ ნუგეშად ესა მაქვს რომ ჩვენი დიდი იმპერატორი მოწყალე არს, და აქაურის ეხლანდელი მთავრობისაგან იფინება საქართველო კეთილის საქმით. ღმერთს ვფიცავ არ ვიცი ვითარ გამოვთქო ჩემი გულმხურვალება. თუ კიდევ რაიმე დამავიწყდა შემდეგ მოგონებისა მოვახსენებ ამა კომისიას.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

21-სა დეკემბერსა 1832-სა.

ქოსა მუსტაფას ჩვენება (II,290—1291)[1]

„**ქოსა მუსტაფამ**, რომელიც დაბარებული იყო საგამომძიებლო კომისიაში მისთვის წარდგენილ კითხვებზე შემდეგი აჩვენა:

1-ლი. 1831 წ. სააღდგომოდ ჩამოვიდა იგი ტფილისში, რომ სხვებთან ერთად მიერთმია ძღვენი თავის ბატონ **ალ. ორბელიანოვისათვის**, რომელმაც ამასთანავე მისცა მას წინადადება წაეღო სალმასტში წერილი **ალ. ბატონიშვილთან**, მაგრამ მან ამაზე უარი უთხრა, რომ ის ვერა ჰბედავს ორი სახელმწიფოს საქმეში ჩარევას. მან ეს სთქვა იმიტომ, რომ იცოდა ბატონიშვილი გადახვეწილი რომ იყო და რუსებსა მტრობდა; მას აგრეთვე ახსოვდა, რომ თათარი **გეხ-ალია**, სოფ. გიაურ-არხის მცხოვრები, ამ ათიოდე წლის წინად გადასახლებული იყო ციმბირში **ალექსანდრე ბატონიშვილისაგან** წერილის მოტანისთვის.

2-ე. ამავე წელს იალაღზე გასვლის შემდეგ, **ქოსა მუსტაფა** სხვებთან ერთად ჩალდირის სანჯაყში გადაიხვეწა, როცა იქ მკა დაიწყი, უნდა ვიფიქროთ აგვისტოს დამლევს, იქ მასთან მოვიდა **მოლა-ზამანი** და ისინი ორივენი, როგორც ეს უწინაც აჩვენა **ქოსა მუსტაფამ**, გაემგზავრენ სალმაზში. რადგანაც **ქოსა მუსტაფას** ბილეთი არა ჰქონდა, ამიტომ ერევნიდან უკან გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ მოახერხა გაჰყოლოდა მეურმეებს, რომლებიც სპარსეთში ბრუნდებოდნენ. არაქსზე ისინი მეურმეებთან ერთად გადავი-

---

[1]) 30 დეკემბერი 1832 წ.

კლასიკური გიმნაზია
(კომუნალური მუზეუმი)



ძველი ტფილისი სეიდ-აბადის მხრიდან
ენგელმანის გრავიურიდან 1820—30 წლ.
(კომუნალური მუზეუმი)

დნენ, რომელნიც ცარიელნი ბრუნდებოდნენ და გუშაგებს კი ყველანი მეურმეები ეგონათ. არაქსის იქით მგზავრობის დროს **ქოსა მუსტაფამ** უთხრა **მოლა ზამანს,** რომ მას ურჩევია მასთან არა მგზავრობდეს, რადგან იგი ამას როგორც ყმას ისე ეპყრობა. ამის გამო **მოლა ზამანამ** დაუწყო მას გინება და ხმალიც იძრო, უნდოდა დაერტყა მისთვის, მაგრამ მეურმეებმა არ გაუშვეს.

მექის ქვეყანაზე გავლის დროს **მოლა ზამანი** ცხენიდან ჩამოვარდა და ხმალი გაუტყდა, შემდეგ კი ამბობდა, რომ ეს ქურთებთან ბრძოლაში გამიტყდაო. **მოლა ზამანას** თანა ჰქონდა მოკლე თოფი ოქროს ზარნიშიანი, რომელიც ამ მგზავრობის წინ **ალ. ორბელიანოვისაგან** მიიღო. ეს ამბავი მან უთხრა **ქოსა მუსტაფას** არაქსს რომ გასცილდნენ. სახლში რომ ბრუნდებოდნენ **მოლა ზამანამ** უთხრა **ქოსა მუსტაფას** წაჰყოლოდა **ალ. ორბელიანოვთან,** რომლისგანაც მიიღებდა საჩუქარს იმისთვის, რომ მან **მოლა ზამანს** უამბნანაგა და ჯაფა გასწია გზაში. არაქსზე გადმოიყვანა ისინი სოფლის ყარა-ხოჯას მცხოვრებმა, რისთვისაც მას მისცეს ორი აბაზი და გამოვიდნენ დიდ გზაზე, რომელიც ფონიდან მოჩანდა.

ამის შემდეგ გამოძახებულ იქნა კომისიაში **მოლა-ზამანი ქოსა მუსტაფასთან** პირის პირ წასაყენებლად. პირველი ამტყუნებდა მეორეს, რომ ის თავისით კი არ ჩამოსულა საალდგომოდ **ალ. ორბელიანოვთან,** არამედ **ყურბან-ალავერდი-ოღლისთან** ერთად, რომელმაც **ალ. ორბელიანოვის** ბარათი მოუტანა მას, რომ **თ. ალექსანდრეს** წინადადებას, რომ იგი წასულიყო **ბატონიშვილთან,** ის დაეთანხმა, მაგრამ მისთვის უცნობი მიზეზის გამო აღარ იქმნა გაგზავნილი. შემდეგ **თ. ალექსანდრე** ელაპარაკა ამ საქმეზე **ყურბანას.** ყველაფერს ამას **ქოსა მუსტაფა** ჯერ ჰმალავდა, მაგრამ მერე გამოტყდა, რომ **ალექსანდრემ** მართლაც დაიბარა იგი **ყურბან-ალავერდი-ოღლის** საშუალებით. ისინი ორივე ერთად ჩამოვიდნენ **ალექსანდრესთან, ქოსა მუსტაფა** შინ შეიწვიეს, **ყურბანი** კი გარეთ დარჩა. **ალექსანდრემ** უთხრა **ქოსა მუსტაფას,** რომ მას წაეღო წერილი **ალექსანდრე ბატონიშვილთან,** მაგრამ მან უარი უპასუხა. საღამოთი **ალექსანდრემ** უხმო თავისთან **ყურბანს** და ამ უკანასკნელმა უთხრა **ქოსა მუსატაფას,** რომ **ალექსანდრე** მას აძლევს ცხენს, რათა **ქოსა მუსტაფასთან** ერთად გაეგმგზავროს ბატონიშვილთან.

შემდეგ **მოლა-ზამანამ** ამხილა **ქოსა-მუსტაფა,** რომ ის მოვიდა ამასთან იალაღზე **იბრეიმ-ყარა-მაჰმედ-ოღლის** ძმის ქორწილი რომ იყო, და გამოუცხადა მას რომ **ალექსანდრემ** მისცა მას წერილი **ალექ-**

სანდრე ბატონიშვილთან წასაღებად, რომელიც ორივემ უნდა წაიღონ მასთან, რომ ამაზე **ქოსა მუსტაფამ** თანხმობა განაცხადა და დაუნიშნა **ზამანას** შეხვედრა სოფ. გინძაში. **მოლა ზამანა** მართლაც მოვიდა იქ და ორივე ქორწილთან ერთად წავიდნენ ჩილდირში სადაც **მოლა ზამანამ** წერილი გადასცა **ქოსა მუსტაფას** ამ უკანასკნელის თხოვნის თანახმად. **მოლა ზამანას** ერევნიდან უკან გამობრუნება უნდოდა, რადგან ქურთი ავაზაკებისა ეშინოდა. მაგრამ **ქოსა მუსტაფამ** მოახერხა მეურმეებთან მგზავრობა და განაგრძეს გზა. არაქსზე გასვლის დროს **ქოსა მუსტაფამ** სიფრთხილის გულისთვის წერილი თოფში ჩადვა. შემდეგ ისინი რიღაცის გამო წაიჩხუბნენ, **მუსტაფამ** თოფი დაუმიზნა **მოლა ზამანს,** ამან კი ხმალი იძრო, მაგრამ ჩხუბს სხვა არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ხოსროვში რომ მივიდნენ, გამოუცხადეს **ბატონიშვილის მსახურს** ქართველს **სიმონას,** რომ ვითომც ისინი ჩალდირის **მაგი-ბეგისგან** არიან გამოგზავნილი, მათ უბრძანეს მოეცადათ, რადგან **ბატონიშვილი** სადილობდა. სადილის შემდეგ შეიყვანეს ისინი **ბატონიშვილთან,** რომელმაც გამოართვა მათ წერილი და შიგნით ოთახებში შევიდა. მეორე დილით ბატონიშვილმა იხმო ისინი და დაუწყო გამოკითხვა საქართველოსა და რუსეთის სხვა სამფლობელოთა მდგომარეობაზე. მესამე დღეს კვლავ დაუძახეს მათ და მიიღეს ორ-ორი თუმანი, **ბატონიშვილმა გადასცა** ქოსა **მუსტაფას** წერილი **ალ. ორბელიანოვისთვის.** შემდეგ **მოლა ზამანამ** მოიჩივლა, რომ მას ხმალი გაუტყდა, **ბატონიშვილმა** ჯერ სამაგიერო ხმალი აძლია, მაგრამ რადგან იგი უვარგისი აღმოჩნდა, ამიტომ კიდევ ორი თუმანი აჩუქა. გზაზე, უკან რომ ბრუნდებოდნენ, სოფ. ყამარლისთან **ქოსა მუსტაფას** ცხენი დაუდგა, **მოლა ზამანამ** მას გამოართვა წერილი და მიუტანა **თ. ალექსანდრეს.**

ქოსა მუსტაფამ ამაზე უპასუხა, რომ **მოლა ზამანამ** მას იალაღზე მხოლოდ უთხრა **ალექსანდრეს** მიერ მიცემული დავალების თობაზე, რომ გამოერთმია **იბრეჰიმ - მაჰმედ - ოღლისთვის** და კიდევ სხვებისთვის, მისგან გაწეული ხარჯები, რომელიც მოუვიდა ზემოაღნიშნულთა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთში ლტოლვის შემდეგ დაბრუნებაზე და სოფ. ხაზარეთში დასახლებაზე. **ბატონიშვილთან** წასვლაზე კი მას არაფერი უთქვამს და **ის** გამოუცხადა მას მხოლოდ არაქსზე გასვლის შემდეგ. **ქოსა მუსტაფა** სხვა არაფერში არ გამოტეხილა. ამასთანავე კომისია შეეკითხა მას, თუ როგორ მოხდა, რომ წერილი თოფში იდვა და მან კი

მოლა ზამანას სროლა დაუპირა; **მოლა ზამანამ** ამაზე უპასუხა, რომ არაქსზე გასვლის შემდეგ თოფი დაშალეს, მოაძრეს ბურღი და წერილი გმოიღეს; იქ მყოფი მეურნეები უყურებდენ თოფის დაშლას: მაგრამ წერილის გამოღება კი არ დაუნახავთ. **ქოსა მუსტაფამ** ამ გარემოებას და **მოლა ზამანას** მიერ მასზედ ნათქვამს ყველა ბრალდებას მტკნარი სიცრუე, თვით **მოლა ზამანის** კი სიცრუის ეშმაკი, უწოდა.

შემდეგ გამოწვეულ იქნა კომისიაში სოვეტნიკი **თ. ორბელიანოვი ქოსა მუსტაფასთვის** პირისპირ წასაყენებლად. ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ გასულ 1831 წ. ნამდვილად იგი გამოიწვია **ალ. ორბელიანოვმა იბრეჰიმ-ყარა-მაჰმედ-ოღლის** საშუალებით და მისი თანადასწრებით წინადადება მისცა წაეღო წერილი **ალექსანდრე ბატონიშვილთან,** მაგრამ იგი არ დათანხმდა ამაზე.

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი 1-ლი**".

ლექსანდრე ორბელიანის ჩვენება (II,298)

„კომისიასა შინა

იბრეიმ-ყარა-აჰმად-ოღლის უთხარ რომ ერთი კაცი იშოვნე **ბატოიშვილ ალექსანდრესთან** გავგზავნო მეთქი. იმან **ქოსა მუსტაფა** მოიყვანა რომ ეს წავაო. იმ დროს კი აღარ მოხდა **ქოსა მუსტაფას** გაგზავნა, და როცა **იბრეიმ-ყარა-აჰხმად-ოღლი** გაიქცა, მაშინ **მოლა ზამანას** უთხარ რომ **იბრეიმ-ყარა-აჰხმად-ოღლისთან** წადი და ჩემი დანახარჯი გამოართვი მეთქი. და ლაპარაკში უთხარ **ბატოიშვილ ალექსანდრესთან** ვერ წახვალ მეთქი იმან მითხრა რატომაო. მე უთხარ მაშ **ქოსა მუსტაფაც** გამოგყვება და ერთად წადით მეთქი, დამპირდა წასვლა. წიგნი დაუწერე ესრეთ. გთხოვთ **ბატოიშვილო** კახეთს გამობრძანდეთ მეთქი, რომელიც ჩვენს საზოგადოებასა სურს მეთქი. და **მოლა ზამანამ** წიგნი რომ მამიტანა იმისი გარემოება ამას წინათ მომიხსენებია. და **ყურბანა-ალავერდი-ოღლისა** ასე მახსოვს რომ უთხარ რომ **ქოსა მუსტაფა** და შენ ერთად წადით **ბატოიშვილთან** მეთქი, პირველს **ქოსა მუსტაფას** ჩემთან ერთად ყოფნაში, და მგონია რომ ცხენიც დავპირდი **ყურბანას.** როდესაც **მოლა ზამანას** წიგნი გავატანე არავის არ წაუკითხამ მხოლოდ ეს კი რომ შემდეგ ყველას უთხარ ჩემ ამხანაგობას. **ლუარსაბ ორბელიანოვს, ელიზბარ ერისთოვს, იასე ფალავანდოვს და ხოლომან დოდაევს** და სხვებსაც.

თ. ალექსანდრე ორბელიანოვი"

როცა ეს წიგნი დავწერე ესეც უთხარ **მოლა ზამანას** რომ

პირითაც მოახსენე რომ კახეთში გამობრძანდეს. მეთქი. 30-ს დეკემბერს 1832-სა.“

მისივე ჩვენება (II,308-309).

„კომისიასა შინა

როდესაც **მოლა ზამანას** ვისტუმრებდი **იბრეიმ-ყარა-ჰხმადოღლისთან** და მაშინ უთხარ **ბატოიშვილთან** წასვლა და დამპირდა. მაშინ მე **ელიზბარ ერისთოვს** კაცი გაუგზავნე ჩემთან გადმოსულიყო. როცა მოვიდა ჩემთან, უთხარ **ელიზბარ** აი რომ მაწუხებდი. კაცი ვიშოვნე გასაგზავნი **ბატოიშვილთან** მეთქი. იმან მითხრა მაშ წიგნი უნდა მისწეროო. მე უთხარ იქნება გზაზე დაიჭირონ და წიგნი იცნან ხელში მეთქი. იმან მითხრა სხვა ხელათ უნდა დაწეროვო. შემდეგ აქ გვერდზე რომ სწერია[1]) ამის ხელზე დავწერე კახეთს გამოსვლისა, რომელიც დიდად მოიწონა, მე ასე მახსოვს რომ დილა იყო ცოტა წვიმაც მოდიოდა, და ერთ კარ დაკეტილში დავწერეთ ეს რაც კომისიას მოვახსენე.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**“.

31 დეკემბერს 1832-სა.

ამასთან დაუმატებ. **იასე ფალავანდოვმა** გაჯავრებით გვითხრა, და გვაყვედრა სირცხვილი არ არის თქვენთვისაო რომ, მე ორასი კაცი ზზადა მყავსო, და თქვენ სულ არაფერიო მაშინ არ მახსოვს **ელიზბარმა** თუ **დიმიტრი ერისთოვმა** თქო, მეც ვეცდები რომ ოცდა ათი ანუ ორმოცი მე ვიშოვნოვო. მაშინ მე დიდათ შამრცხვა, და უთხარ რა ვქნა ძმებო მეთქი მე დიახ, ცოტა ყმა მყავს მეთქი და კომლზე თითო კაცს დავიბარებ მეთქი, ამაში გავიყარენიო ამ დროებში **მოლა ზამანა** ჩამოვიდა რაღაც საქმისთვის, და მე უთხარ **მოლა ზამან** შაგიძლიან რომ კარგი და მარჯვე კაცები იშოვნო მეთქი მითხრა რათ გინდაო-მე უთხარ საჭირო არის მეთქი დამპირდა ბატონი ხარო. შემდეგ რაოდენისა დღისამე ჩამოვიდა—მითხრა ოთხი კაცი ჩამოვიყვანეო. მე უთხარ საჭირო აღარ არის მეთქი, მაშ ფული რამ უბოძეთო რომ მშივრები არიანო, მე ამოვიღე და კი აღარ მახსოვს სამი თუ ოთხი მინანთული მივეცი და წავიდა ჩემგნივ. ის კაცები კი თვალით არ მინახამ არ ვიცი ტყუოდა თუ მართალს ამბობდა. ის კი აღარ მახსომს იმ კაცების სახელები მითხრა **მოლა ზამანამ** თუ არა. და ქევხა **შიხილ-ალიასოვის** ამ ზემოხსენებულისთანა ჩაბარება სულ არა მითქომსრა.

თ. ალექსანდრე ორბელიანოვი“.

31-სა დეკემბერს 1832-სა.

---

[1])ტეხილი ხაზებით სწერია: „მოწყალეო ხელმწიფევ“.

ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენება (III, 316).[1])

1832-Года - დეკემბრის 31-дня რომელიც მკითხა კომისიამ დაწყობისა და შეცდომა ჩვენის თავის უბედურებისა განუცხადებ თქვენს მაღალ ალმატებულებას ჩვენს უმეცრებას-1831 Года თიბათვის გასულს ანუ რამთენსამე ამავე თვის რიცხვში ვიყავ მე აბანოში და წამოვედი შინათკენ და დამხვდა შუა ბაზარში ალარ ბახსოვს ან **გიორგი ერისთავი** და ან **ზაქარია ციციანოვი,** და მითხრეს **ცარევნას[2])** ბახში ვართ დაპატიჟებულნიო **ალექსანდრე ორბელიანოვმა** დაგვპატიჟაო მე უთხარი როგორ წამოვიდე მე არა ვარ დაპატიჟებული არ მომეშვნენ და წამიყვანეს მივედით:

ქ **ალექსანდრე ვახტანგის ძე.**
ქ **ვახტანგ ორბელიანოვი**
ქ **ელიზბარ ერისთავი**
ქ **ლუარსაბ თარხანოვი**
ქ **იოსებ მამაცოვი**
ქ **გიორგი ერისთავი**
ქ **ზაქარია ციციანოვი**

დავსხედით სადილათ და შეეექეცით სადილი რომ ავიღეთ საღამოს ჟამს წავედით ზევით კაკალ ქვეშ იქ **ალექსანდრე ორბელიანოვმა** და **ელიზბარ ერისთვისშვილმა** გამოგვიცხადეს ჩვენ შეუდგეთ წინაალმდეგ საქმესაო რომელიც საქართველოსათვის იქნება დიდი შვებაო, შემდგომ თქვეს რას გვემართლებოდაო **ღრაფ ერევანცკი პასაკევიჩიო** ასე რომაო თელმა ქალაქისა და საქართველოს გლეხთა იბუნტესო და ჩვენი თავადნი და კეთილშობილნი იტანჯებიან სისხლის სამართალშიაო და დასახაო ბუნტოვშიკათო ხემწიფის წინაშეო, მაშასადამეო ჩვენ ამას უნდა ვეცადნეთო რომ მოვიმხროთ მოქალაქენი ეგრეთვე მთის და ბარის ხალხნიო, მაშინ მე და ლუარსაბ **თარხნისშვილმა** მიუგეთ პასუხად ამათი მონახრობა არ არის საჭიროთაო თუ რომ ეს ოთხი ჩინებულნი ოჯახნი არ იქნებიან შემწეთაო ჩვენ ვერაფერი ვერა გავხდებითრაო, და მაშასადამე ჩვენ თავს უბედურებაში მივცემთო, **მუხრან ბატონიო, ლუარსაბ ორბელიანოვი, გიორგი ერისთავიო** და **კნიაზ ჩავჩავაძეო** მაშინ პასუხად მოგვიგეს **ალექსანდრე ორბელიანოვმა** და **ელიზბარ ერისთვისშვილმა** როცა რომ ამ საქმეს შევადგენთო მაშინ შეიძლება რომ ეს ოთხი ოჯახი მივიმხროოო და თუ არ მოგვემხრობიანო მაშინ შეიძლება რომ ისინი ხულ გავწყვიტოთო და რა კი-

---

[1]) მიღებულია 1 იანვარს 1832 წ.
[2]) **თეკლა ბატონიშვილი.**

ამისთანა ძალას მოვიხმარებთო მაშინ რასაკვირველია თანახმანი გახდებიანო ჩვენთან და ეს ლაპარაკი გვქონდა და დაღამდა თავთავიანთ სახლებში წავედით. რამდენსანე დღეს შემდეგ შევიყარენით **ალექსანდრე ორბელიანოვის** სახლში და კაცს ვეძებდით გასაგზავნათ რომ წიგნი უნდა გაგვეგზავნა **ალექსანდრე ბატონისშვილთან** და არავინ არ აღმოჩნდა და იყო ხოლმე ჩემს დროს მცირე ხანს ლაპარაკი და **ალექსანდრე ორბელიანოვი** არ გვაძლევდა ხოლმე მე მილაპარაკნია **მუხრან ბატონთანაო** ოღონდ თქვენ ნუ გამაცხადებთ სადმეო რომ მე მაქვს იმასთან ლაპარაკიო რომელიც მოუხსენებიათ **იასე ფალავანდოვს** და **თეიმურაზ ამილახვაროვს** მითამც ეს საქმე იმათთვის მეთქვას თუ ამათ გარდა აღმოჩნდება ვინმე, რომ ეს განზრახვა გამომეცხადებინოს ვისთანმე, მაშინ ნება აქვსთ მთავრობას ჩემის დასჯისა კანონისამებრ, რომელიც წამომიდგენ პირის პირ **იასე ფალავანდოვი** და **თეიმურაზ ამილახვაროვი** ეს საქმე იმათთვის მეთქვას არაოდეს ისიც არ მახსოვს პოლაკების საქმე ამათ დაიწყეს თუ მე მაგრამ შე კი არ მახსომ რომ პოლაკებზედ დამეწყოს ლაპარაკი ამიტომ რომ ნე იმათი მხედრობის ამბავი არავიცოდირა და თუ ვინმე მისაბუთებს რასმეს მაშინ თან შემცდარი ვიქნები და ამასაც განუცხადებ თქვენს კომისიას რომ როდესაც პახოდიდან მოვედით და ჩვენ იმისთანა მოწყალე მამა ვცანით მთავარმართებლათა და ვიყავით მადრიელნი და იმათ დიდებაში ამისთვის უფთხოდი ახლო აღარ მიმიყენეს და აღარც არა ვიცირა იმათი საქმისა როგორ მიმდინარეობდა და თუ ჩემს შემდგომ მოქმედეს რამე ინის არა ვიცირა რომელზედაც ხელს ვაწერ პარუტჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანი.**

იმ კაცის გაგზავნის ლაპარაკში იყვნენ **ელიზბარ ერისთავი, გიორგი ერისთავი დავითის ძე ალექსანდრე ვახტანგის ძე, ვახტანგ.**

პარუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანი**"

1832 Года. დეკემბრის 31 დღესა.

ლევან ერისთავის ჩვენება (III, 320[1])

„1832 წელსა იანვრის 1-ლსა დღესა მე ქვემორე ხსენებული და ხელის მომწერელი მოვახსენებ ამა გამოსაძიებელსა კომისიას: შარშან 1831-სა წელსა ზამთარში როდესაც მე და **ბიძინა ერისთოვი** მოვდიოდით დუშეთიდამ ჩვენს სოფელში, მაშინ გზაზედ ორნი ქვეითად მოვდიოდით და ცხენები ჩვენი უკან მოჰყვანდათ ბიჭებს,

---

[2]) მიღებულია 1 იანვრის 1833 წ.

ბიძინამ დამიწყო რომ შენთან ერთი სიტყვა მაქვსო საიდუმლოდ, მე უპასუხე რომ თუ აგრე საიდუმლო არის მეთქი, ნუ მეტყვი, იმანვე მითხრა უნდა გითხრაო და დამიწყო რომ ბუნტს ვაპირებთო მე უპასუხე რომ ეგ გიჟური ჭკვა არის და როგორ იქნება ხელმწიფის ღალატი, იმან მითხრა, რომ ბუნტი მოხდებაო, მე უპასუხე რომ თქვენი ნება არის და მე არ ვიცი. შემდგომ რამდენსამე დღისა ვიყავ გორის უეზდის არბოს სოფელში წმინდა გიორგის ეკლესიის დღეობას მითხრა **ბიძინამ**, რომ იმ განძრახულებაზე ეხლა როგორა ხარო, მე ვუპასუხე თქვენი ნება არის და თქვენ როგორც იცოდეთ.

შემდეგ ამისა ჩაველ ტფილისსა რათა ბრიჩკა მეშოვნა და ჩამომეყვანა ავადმყოფი დედა ჩემი ქალაქს, სადაც წემომეყარა **ბიძინა** და მითხრა რომ **ალექსანდრე ვახტანგიჩთან**[1]) წავიღეთო, მე თანახმა გავხდი და მივედით იმის სახლში ჯერ **გიორგისთან**, რომელმანცა ჯერ შამიყვანა **ალექსანდრესთან** და იქ **ალექსანდრემ** მითხრა, რომ ბუნტს ვაპირებთო, მე უთხარ რომ თქვენი ნება არის და თანახმა შევიქენ. მასუკან წაველ მე ჩემს სოფელს ახალგორს დუშეთის უეზდში და ჩამოვიყვანე ტფილისსა დადაჩემი, მე ქართლში კი არც ვყოფილვარ და არავისთვისაც ამ განზრახულებაზედ არა მითქვამს რა და არც ვისმეს უთქვამს ჩემთვის რომ წადიო იქა. ამასთანავე **ალექსანდრემ** მკითხა რომ იმერეთში ხომ ნათესავები გყავს და იქაც ხომ მოხდება ბუნტიო, მე ვუპასუხე რომ უწინაც იბუნტეს იმერლებმა და ეხლაც იქნება მეთქი მოახდინონ ბუნტი. დასასრულს მოვახსენებ ამა კომისიასა, რომელ მე არც იმერეთში და არც ქართლში არავისთვის ამ ბოროტ ჰაზრზედ არც მითქვამს, რა, არც დამიპატიჟენია და არცა რა მიმიწერია.

პრაპორშჩიკი **თ. ლევან ერისთოვი**".

ალ. ორბელიანის ჩვენება (III, 326)[2])

„კომისიასა შინა.

წარსულს 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, ერთს დილაზე, ფეათე საათზე მოვიდა ჩემთან, ჩემი ბიძაშვილი **ალექსანდრე ორბელიანოვი** იმ დროს მე ეზოში ვიდექი, მითხრა **ალექსანდრე** კაცი ვიშოვნე გასაგზავნი **ბატოიშვილთანაო**), მე უთხარ სად არის მე-

---

[1]) მიღებულია 11 იანვარს 1833 წ.
[2]) ალ. ორბელიანი
[3]) მიღებულია 2 იანვარს 1833 წ.

ბქი—მითხრა ერთი კაცი გაგზავნე აბანოების კარზე იკითხოს **ისმეილ** ვისი შვილობა კი დამავიწყდა. მე გაუგზავნე.—მოვიდა შავ წვერა იყო თუ შეღებული ჰქონდა ის კი აღარ მახსოვს ელამიც იყო, ოთახში ავიყვანეთ, **ელიზბარ ერისთოვიც** იქ იყო, მაშინ **ალექსანდრემ** დაუწყო ლაპარაკი **ბატოიშვილთან** წასვლისა, იმან უარი გვითხრა. შემდეგ ამისა რაოდენსამე დღეს უკან ჩემთან მოვიდა **ალექსანდრე** და მითხრა სხვა კაცი ვიშოვნეთ. უთხარ სად არის მეთქი, მითხრა აქ წამოდიო, წამიყვანა თავის სახლის ეზოში, ისე მახსოვს რომ **ელიზბარ**, და **გიორგი ერისთოვნი** იქ იყვნენ, მაშინ ერთი თათარი იყო იქა შავწვერა მგონია **ალავერდის** უძახდნენ, მაშინ **ალექსანდრემ** დაუწყო ლაპარაკი **ბატოიშვილთან** წასვლისა, იმან უარი გვითხრა უბილეთოთ არ მიდისო, თავრიზამდის ბილეთი ამართმევინეთო, და იქიდგან ისე წავალო, ამის გაგზავნაც აღარ მოხდა და **მოლა ზამანასი** ხომ ადრე მომიხსენებია კომისიისათვის.

ერთს დროს **იასე ფალავანდოვთან** ვიყავ, და ლაპარაკში მითხრა, ვითომც **ზალიკა ყორღანოვისათვის** ეთქოს რომ ქალაქის ზოგიერთ ხალხს გამოუცხადოს, და დაემზადნენ, ბუნტისათვის და, ხმაც დაყაროს ვითომ სალდათსა ჰკრეფენ, რომელიც ხალხიც ეზად არიან ბუნტისათვისაო.

ამასთან დაუმატებ კომისიას რომ მოახსენე. ჩემთან ბაღში სადილათ იყვნენ **ალექსანდრე ორბელიანოვი, ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვი, იოსებ მამაცოვი** და ჩემი ძმა **ვახტანგ** იქ იყო, როგორც მახსომს სადილზე არ გვითქონს ამ ჩვენ განზრახვაზე, სადილის შემდეგ კაკალს ქვეშ დავსხედით, ყველამ ვილაპარაკეთ და გაყრის დროს **ლუარსაბ თარხანოვმა** და **ზაქარია ციციანოვმა**, გამიყვანეს მითხრეს **ალექსანდრე** თუ ღმერთი გწამსო, ეგ **ელიზბარ** დიდათ ცხორობსო, და როგორც იყოს დაამშვიდეო, შემდეგ ეც უთხარი, რა ვქნა ღმერთსა ვფიცავ მეც დიდათ ვწუხავარ, და ვერა გამიგონებია რა, არ ვიცი რა ვქნა მეთქი.

პოდპორუჩიკი **თ. ალ. ორბელიანოვი**"

სოლომონ დოდაშვილს პასუხი (III, 330)[1]

„საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო: **იერომონახი ფილადელფოსი**[2]) გავიცანი ხირსის წმინდა სტე-

---

[1]) მიღებულია 2 იანვარს 1833 წ.
[2]) კიკნაძე.

ფანეს მონასტერში[1]) არქიმანდრიტ **ნიკიფორესთან.** მისგან შემოილია ორი-სამი წერილი, მაგრამ მათში საწინააღმდეგო (противное) არაფერი ყოფილა, მისი **ბატონიშვილი მიხეილისადმი** წერილი[2]) კი არ ვიცი როდის და რა გზით იყო ჩემთან გამოგზავნილი.

ფილადელფოსის მიერ შეთხზული საიდუმლო მეგობრობის აქტი არ წამიკითხავს და არც ვისმე მოუცია იგი ჩემთვის, არც ფიცი დამიდვია ამის საიდუმლოდ შენახვაზე.

მასწავლებელი **დოდაევი**"

2 იანვარი, 1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (III, 344).[3])

„კომისიასა შინა

ვრაცხ რა თავსა ჩემსა დანნაშავედ წინაშე ხელმწიფისა ჩემისა, რომელ შთავარდი მე ამა უბედურებასა შინა ყმაწვილობითა ჩემითა და შემაცდენელთა ჩემთან ბოროტ ჰაზროვანთაგან, არა ძალმიძს დავფარო რაიცაღა უწყი. პირველი შემაცდენელი ჩემი იყო **ელიზბარ,** ესრეთ, რომელ ოდეს გარდმოვიდა რა რუსეთით გავიცან იგი ყოვლად, უბედურად თავისა ჩემისა, რადგანაც იყო ბიძაშვილი ჩემი; რომელიცა მხედვიდა მე რაოდენსამე თვესა, და უწყოდა მეტყველებითა თვისითა დაბნელება გონებისა ჩემისა. ყოველთვის მეცადინეობდა გამოცდასა ჩემსა თუ ვითარ ვიყავ მე მიდრეკილ მართებლობისადმი; ნელიად იწყო მეცადინეობა რათა შემეძულებინა მართებლობა, წარმომიდგენდა სხვადასხვა მაგალითთა აქაურთა მართებლობათა ზედა, ჟამსა მას ოდესცა აღგვიკრძალეს ფლობა საკუთართა ყმათა ჩვენთა ოსთა, მაშინ უმეტეს მეტყოდა მე, გიყვარდეს რუსნი, მოწყალებითა მათითა ძალე დაშთები მშიერი. ყოველსა დღესა განმიმეორებდა მე ესრეთათვე სიტყვათა, რომლითაცა შემიყვანდა მე ფიქრსა შინა. დღესა ერთსა მიველ მასთან, რომელიცა იყო ღრმად ფიქრითა მოცული, მე ვკითხე მას მიზეზი და მან არა განმიცხადა მე, და მიპასუხა ესრეთითა სიტყვითა, შენ არა ხარ ღირსი ცოდნათ ფიქრთა ჩემთა, ხოლო მე სიყმაწვილითა ჩემითა არა დავსცხერ თხოვად რათა განმიცხადოს მე, მალიად შემკრა მე ფიცითა, დახშო კარი დამსვა და მითხრა: ძმაო. როდემდის ვიქნებით დამბრმალი (?) და ვერა ვხედავთ რაოდენსა

---

[1]) ხირსის მონასტერი კახეთში.

[2]) ეს წერილი დოდაშვილის ქაღალდებში იპოვეს, მისი შინაარსი შეთქმულებას არ ეხება

[3]) მიღებულია 3 იანვარს 1833 წ

უბედურებასა შინა მოწევნილ ვართ ჩვენ რუსთაგან, ვითა გვაიწროებენ ჩვენცა და ყოველისა მიზეზითა მეცადინეობენ ჩვენსა დამდაბლებასა? ამას ზედა უპასუხე რაი არს მიზეზი, მაშინ აღმოიოხრა და მითხრა, ოხ, ძმაო, უკეთუ იწყოდე სიყვარული მამულისა მაშინ თვით იგრძნობდი ყოველსავე რასაცა ვგრძნობ მე, დრო არის დაინახო ვითარსა სასტიკსა უღელსა ქვეშე ვიმყოფებით ჩვენ, ესრეთითა თქმითა შემიყვანა მე ფიქრსა შინა და ვსთხოვდი გამიცხადოს თუ რაი სურს თქმად, მაშინ კიდევ განმამეორებინა ფიცი და მითხრა: უწყია ძმაო! რომელ პოლშასა შინა არს ბუნტი და ჩვენ არარასა ვგრძნობთ რაისთვის არა მივხედავთ მათ არა უაღრესსა დაღუპილებასა ვიმყოფებით ჩვენ? მაშინ უპასუხე რა გსურს თქმად ნუ უკვე განიზრახავ რასამე? მაცადე მიპასუხა ჩვენ გვაქვს საზოგადოობა და გვსურის მოვახდინოთ აქაცა ბუნტი, მაშინ მომიცვა მე შიშმან და უპასუხე რის ძალით?. მან მიპასუხა შენ იქნება გეგონოს რომ ჩემის ძალით, არა ამას შინა არიან ყველანი თანახმა. მაშინ მე უპასუხე მეც მაცადე თქმად, სწორედ დავსდვათ ჩვენ, რომელ გავნთავისულდეთ, ძალგვიძსა დაცვად თავისა ჩვენისა? შენ უწყი რომელ ყოველსა მხარესა არიან მტერნი მამულისა ჩვენისანი, შენ არა გსმენიეს ჟამსა მეფეთა ჩვენთასა, რომელ ვითარსა განწირულებასა შინა ვყვანდით ჩვენ სპარსთა და ოსმალთაგან, ვის ძალუძს ესრეთ კეთილ დაცვად და დაფარვად ვითა რუსთა, უკეთუ ძალგიძს დამანახო მე და მარწმუნო მას ზედან მაშინ ყოველსავე გეთანხმები. მან მიპასუხა ძმაო! მაშინ იყვნენ სხვა დროები სხვა ხალხი გაუნათლებელი, არაოდეს არა იქმონენ ყიზილბაშნი და ოსმალნი, რომელნიც ასე განათლდნენ ჩვენსა შეიწროებასა, და ვიქმნებით უმეტესსა პატივსა შინა და უკეთუ იგინი ვერ ძალიდვებენ, მაშინ ჩვენ ძალგვიძს მოვიწიოთ ფრანცუცნი, მაშინ მე გავიცინე და უთხარ, ძალიან შორს წაბძანდი მეთქი. ფრანცუზთ სიიდან გადმოიყვანოთ მეთქი, მაშინ მომიტანა კარტა და მიჩვენა **ალჟირი**[1] და მითხრა აქა სდგას ასი ათასი ფრანცუზი, და მაჩვენა გზები, რომელიცა მე არა უწყოდი სრულიად გეოგრაფია, ორთვეზედ იმერეთზედ გადმოვაო, მერე მე უპასუხე იმერეთი ვით გადმოუშვებს მეთქი. მან მიპასუხა ოხ, რა ყმაწვილი და გიჟი ხარო. იმერეთი სიხარულით მიიღებენ[2]) ესრეთითა უბნობითა მიჩვენებდა ყოველსა ამაოდ შემძლებელსა გზებსა, რომელსა ზედაცა მსუბუქი გონება

---

[1]) დედანში ხაზგასმულია.

[2]) ასეა ხელთნაწერში.

ჩემი მალიად დაერწმუნა და დამპირდა რომელ-იგი მიჩვენებს თვისსა საზოგადოობასა, მეორესა დღესა წამიყვანა სახლსა სოვეტნიკის **ორბელიანოვისასა,** სადაცა დამხვდა იგი თვისი ძმის **ვახტანგითურთ,** მაშინ მიმიღეს მე დიდის სიხარულით და დაიწყეს უბნობა ამა საგანსაევე ზედა. და დამარწმუნეს რომელ განზრახვა ესე უწყიიან ღენერალ **აფხაზოვმა, ჭავჭავაძემ, სავარსამიძემ** და **იაგორ გავრილოვმა ჭილაევმა.** მე უპასუხე კარგი მაშ არ შეიძლება მეც ვიჩვენოთ ისინი მეთქი, მაშინ მიპასუხეს რომ იმათ იციან რომ შენ იციო. მარამ იმათ კი ვერ გაჩვენებთ არ დაგენდობიან რადგანაც ყმაწვილი ხარო იფიქრე ამისთანა მძიმე საქმეზე, თითონ ვერ იმოქმედებენ და ჩვენით ყოველსავე მოქმედებენო. აი პოლშაშიაც დიდნი კაცნი ყმაწვილებით მოქმედებდენ დამარწმუნეს საშინელის ფიცით შემდგომად ყოველს თითქმის დღეს გვქონდა შეყრილობა და უბნობა მათ მოაქვნდათ ყოველს დღეს, რომ ჩვენმა უფროსებმა ასე ბრძანეს და ასეო. დღესა ერთსა წამიყვანეს სადილად ბაღში, **ელიზბარ** და **ელექსანდრემ**[1]) სადაც დამხვდნენ **დიმიტრი ერისთოვი, ვახტანგ ორბელიანი, დოდაევი** და **ავთანდილოვი.** დავსხედით სადილად და შემდგომად სადილისა დაიწყეს უბნობა ამა საგანსა ზედა, და მითხრეს ჩვენმა უფროსმა ღენერლებმა გვიბრძანეს რომ **ცარევიჩ ალექსანდრესთან** კაცი კიდევ გავგზავნოთო, მე უპასუხე კვლავ გაგიზავნიათ მეთქი. **ალექსანდრემ** მითხრა ორჯერაც მივწერეო და პასუხიც მოგვიგიდაო. მე მოვსთხოვე წიგნი მაჩვენეთ მეთქი, იმან სიცილით მითხრა, ოხ, რა ყმაწვილი ხარო, წიგნს რათ შევინახავდითო, დავხიეთო, მაშინ მოიყვანეს ერთი შავწვერა თათარი **მულა** არისო და ეს წავაო, მე უთხარ რაც გინდა ქენით, მარა არ ვიცი რა კმაყოფილებას მიიღებთ **ალექსანდრე ბატონიშვილისაგან** მეთქი. მაშინ **ელისბარ** მე შემომიტივა შენ რას დასდევ ჩვენ ვიცითო. თქვენ იცით და რაც გინდათ ის ქენით მეთქი. შემდგომად დავიშალენით და მათ რამოდენსამე დღეს უკან მითხრეს გავგზავნეთ წიგნიო, მე არა უპასუხე რა. იმ დროსა შინა მე მაქვნდა ცნობა **ყიფიანთან** სადაცა მე და **ავთანდილოვი** ფრანციცულს და ნემენცურს ენას ვსწავლობდით **ყიფიანის** სახლში და ისიც სწავლობდა და ყოველთვის ერთადვიყენით, შემდგომად **ავთანდილოვმა** მითხრა რატომ **ყიფიანს** არ ვეტყვითო, მე უთხარ რად გინდა რა საჭირო არის მეთქი, იმან მითხრა რატომ რა გენაღვლება იმანაც იცოდესო, მეორეს დღეს მიველ **ყიფიანთან** სასწავლებლად და სიცილით მითხრა

---

[1]) **ორბელიანი**

ავთანდილოვმა უთხარიო; მაშინ მოვიდა **ყიფიანი** და მითხრა როგორ მიმალამდითო. მე გავიცინე და აღარა უთხარ რა, შემდგომ მე წაველ სოფელში სოფლიდან წაველ არბოს[1]) დღესასწაულში სადაც დამხვდა მე **ელიზბარი** და მითხრა **ბიძინა** მოვიდა ქალაქიდამაო და **ალექსანდრე ორბელიანს** დავუბარებივართ საჭაროდ უნდა წავიდეთო. მე უთხარ **ბიძინამაც** განა იცის მეთქი მაშინ მითხრა რა ღმერთი გაგიწყრა რით ვერ შეიტყვე ქვეყანამ იცისო **ბიძინა** თუმცა ვნახე მარამ ერთმანეთს ვერ ვენდობოდით მისთვის რომ ჩემსა და ინას შორის განხეთქილება იყო მამულზე და არც მე ვეუბნებოდი და არც არას ის; მე **ელიზბარს** უთხარ აქედან ვერ წამოვალ მეთქი, შინ საქმე მაქ და მალე მეც ორ დღეზედ წამოვალ მეთქი მოვატყუე რადგანაც მეშინოდა ამ ბოროტის განზრახვისა. წამოვედი შინ და დავშთი ორი თუ სამი კვირა არ მახსოვს კარგად, შემდგომად ჩამოველ ქალაქს სახლებს ვაშენებდი, მოველ აქა და დამხვდენ დიდად მოწყენილნი **ალექსანდრე ორბელიანი** და **ელიზბარ,** მითხრეს არ გებრალებით ვარშავა აუღიათო, მე სიცილით უთხარი მე კი არ ვიცოდი მეთქი რომ ასე მოხდებოდა მეთქი, კის შეუძლიან რუსეთის ძლიერების წინააღმდეგობა, მერე **ვახტანგ** მოვიდა და მითხრა სიცილით ჩვენ უფლებს მოუცდათ თავისი განზრახვაო! მე უპასუხე მე კი არ ვიცოდი მეთქი. შემდგომად მალიად დააყენეს თავის განზრახვა. ერთ დღეს **ელიზბარ** ჩემთან იყო მოუყევ ამა საგანზე ლაპარაკსა და უთხარ ძმაო! ჩემთან რა დამალვა გმართებს ჰსწორეთ მითხარ მართლა **აფხაზოვმა** იცოდა მეთქი ან **ჭავჭავაძემ სავარსამიძემ** და **ჭილაევმა** მეთქი, მერე სიცილით იმან მიპასუხა რას გაგიჟებულხარ გატყუებდით რომ უფრო მაგრა ყოფილიყავ ჩვენთანაო, ხალხის მობირებისათვის ვამბობდით, რომ ბევრი განმძრახი გვეშოვნაო თორე ვინ დაგვიჯრებდა თუ ისე არ გვექმნაო, შემდგომად დავარწმუნე რა რომელ გიჟური საქმე იყო რომელზედა ყოველთვის ეჭვი მქონდა და ვხედავდი შეუძლებლობასა და ყმაწვილურსა განზრახვასა მალიად დავივიწყე, რომლისა დასარწმუნებლად მსახურებს, ესე რომელ ოდესცა მაშინ კორპუსის კომანდერმან განიზრახა პახოდი პირისპირ ჩაჩანთა და ლეკთა ვეცადე რათა მეჩვენებინა სამსახური ხელმწიფისათვის ჩემისა და წავსულიყავ მუნ და მიმეღო მოწყალება მისი, ამ ჩემს განზრახვას ვფარავდი **ელიზბარს ალექსანდრესაგან** რათა არ დაეშალათ მათ ესე კეთილი განზრახვა, და სურვილი ჩემი, წაველ იდუმალ მათსა, სადა ვაჩვენე ერთგულებითი სამსახური, რომლისა მოწამე და მხი-

---

[1]) ‹არ›ბილის სოფელი

ლველი იყო ბარონი ვლადიმერ გრიგოლიჩი[1]) და რომელმანც ნო-
ხედა კეთილ მიდრეკილებათა ერთგულებითსა სამსახურსა ჩემსა,
და შემდგომად ჩაჩნის ექსპედიციისა წარმადგინა თითქმის სამაგა-
ლითოდ, რომელიც მივიღე მალიად პრაპორჩიკობა კავალერიასა
შინა.... ხოლო ჟამსა ჩემის პახოდის ყოფნისასა არა ძალმიცს ცნო-
ბა თუ რასა მოქმედებდენ იგინი, მოველ აქა, სადა დამხვდა **ელიზ-
ბარ** და ნითხრა შემდგომად შენსა კიდევ გვქონდა წეყრა ერთათო
ლუბერნატორის ძმა **იასესთან,** იმასაც უთხარით და დიდის სიხარუ-
ლით მიიღო ეს ჰაზრიო. მერე მე უპასუხე კიდევ არ აიღეთ ხელი
მაგ გიჟურ განზრახვაზედა მეთქი. მან მიპასუხა იქნება ჩინის მი-
ღებით ჰაზრი გამოგეცვალაო, მე უთხარ კარგია დასჩუმდი მეთქი,
თქვენის თავიდან გამოიღეთ ეგ აზრი ბეთქი, მე მალე წამოველ და
ვცან მეორე დღესა დაჭერა მათი, რასაკვირველია მომიცვა მე ში-
შმა, თუმცა მსუროდა რომე აღმეარებინა პირითა ჩემითა წინაშე
კორპუსის კომანდირისათა, გარნა ბოროტმან ჰაზრმან და ყმაწვი-
ლურის უგუნურმან გონებამან ჩემგან დამაყენა მე თავი ჩემი მი-
ვანდე ბედსა ჩემსა, ვგონებდი იქმნება დამფარონ მეთქი, გარნა ვაი
ვერაი დაიფარა გამგებისა გამო ესეოდენ ბოროტი ქცევა ჩემი. და
აწ ვხედავ რა თავსა ჩემსა ყოველსა შინა დამნაშავედ, ვითალა ძა-
ლმიძს დავფარო და არ აღვიარო ყოველი ბოროტმოქმედება ჩემი
წინაშე მსაჯულთა ხელმწიფისა ჩემისათა! მე ვარ ღირსი სასტიკისა
სასჯელისა, და მე თვით თავსა ჩემსა განვამზადებდი სასიკვდი-
ლოთა სასჯელითა, უკეთუ უბედურსა თავსა ჩემსა არ დაევიწყები-
ნა ბოროტი ჰაზრი ჩემი, და თუმცა ამით უმეტეს ვარ დამნაშავე,
რომელ არ განვაცხადე იგი მიზეზი ნათესაობისა და უმეტეს მეგო-
ბრობისა და მაყენებდენ მე უბედურსა მაზედან და უკეთუ ვინმე
უწყიან ფასი მეგობრისა, მაშინ ნამდვილ არავით მომთხოვენ მე
მას. ხოლო ძალი მღვთისა განმამხნევებს მე, რომელ ცრემლითა ჩე-
მითა და მოხუცებულისა დედისა ჩემისა რომელსაცა თვისისა ძისა
ბოროტის ქცევის სმენა შეიყვანს უუბედურეს ჩემსა) და ვგონებ
მოაკლებსაცა ხმა ესე უძვირფასესსა ჩემოვის სიცოცხლესა, ცრემ-
ლითა მისთა ვიმედეულ ვარ ქმნას ყოვლად უმაღლეს შუამდგომელ
წინაშე ცხებულისა თვისისა თანართა მიიღოს მან მოწყალება ნას
ზედან რომელიც თვით პირითა აღიარებს შეცოდებასა თვისსა ნუ
მომსპობს იგი ჟამსა ჭაბუკობისას ჩემისასა, სადაცა ძალმიცს რაო-
დენიცა შევაწუხე გვამი იმპერატორისა ჩემისა ესეოდენვე ვაჩვენო

---

[1]) **როზენი.**

სამსახური, რომელიცა ვცან მე მოკლესა ჟამსა მოწყალებიანისა მისისა პატივისა ფასი. დამსდვას მე მოწყალებითა თვისითა მრავალრიცხველთა მოწყალებათა მაგალითებთა შორის, მიხედოს საღმრთოთა თვალითა თვისითა მშობლისა ჩემისა სამსახურსა ზედა, რომელიცა საფლავით მტანჯავს მე თვისით მრისხანებითა ჩემსა შეცთომასა ზედა ესე კმა არს ჩემთვის საუკუნოდ სასჯელად.

მე კვალად ვიმედეულობ რომელ შემოქმედი რომელიც მრავალგზის შეუნდობს შეცდომილთა და ნოიყვანს კვალადვე თვისსა ნებასა ზედა, ეგრეთვე მიხედავს კვალად უმოწყალესი ხელმწიფეცა ჩემი წემისრულებს მე, ვინაიდგან არს ქვეყნიური ღმერთი, მომიყვანს მე თვისსა ნებასა ზედა, რაოდენიცა წვეთნი სისხლისანი იქცევიან ძარღვთა შინ ჩენთა, ეგეოდენვე იყვნენ შუამდგომელ წინაშე მისსა, რომელნიც იქნებიან მარადის მზად დასაღვრელად წინაშე მისსა ერთგულებასა მისა ზედა.

პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი**".

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (III, 376-377)

„თავადი **გიორგი დავითის ძე ერისთოვი**, რომ დაბრუნდა კახეთიდან, სადაც მან გააცილა თბილისში გარდაცვლილი **თ. ჩოლაყაევი** აპრილში 1831 წ. მე და მასწავლებელ **ყიფიანოვს** წაგვიკითხა სერის ფერ ქალალდზე ქართულად დაწერილი რაღაცა რვეული **აკტად** წოდებული, რომელიც მას მიეღო ქართველ ბერ **კიკნაძისაგან**, იგი გაეცნო მას ვიღაც თავადის სახლში და შემდეგ კი თითონაც ყოფილიყო **კიკნაძესთან** მიწვეული. აღნიშნულ აკტში, რამდენადაც მახსოვს, მოთხრობილი იყო წესები მეგობრების მოპოვების შესახებ, რომლებიც ვალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ ფიცის დადებით, რომ ისინი ერთი მეორეს მიმართ დაიცავენ რაღაც ფარულ მეგობრობას და მას არავის განუცხადებენ გარეშეს, თუ არა ასეთივე ფიცით შეკრულს მათთან. თუ რა მიზანს ისახავდა ეს მეგობრობა, იმ აკტში განმარტებული არა ყოფილა, რადგანაც აკტი ერაფერს გარკვეულს არ შეიცავდა, ამიტომ ჩვენ ვთხოვეთ **გიორგი** ერისთოვს განემარტა ჩვენთვის მისი დედააზრი, რაზედაც მან გვიპასუხა: თუ თქვენ თანახმა ხართ მომცეთ ფიცი იმ წესის მიხედვით, რომელიც ამ აკტს ბოლოში დართული აქვს, მხოლოდ მაშინ შევასრულებ თქვენს სურვილს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ნამდვილ მიზანს არავის ვეტყვი, რომელიც მხოლოდ მე

[1]) მიღებულია 3 იანვარს 1833 წ.

ერთმა ვიცი, და მოითხოვა ჩვენგან ფიცი, მაგრამ ჩვენ ამაზე გადაჭრით უარი უთხარით. ამის შემდეგ მას ჩვენთვის ეს აკტი აღარ გაუხსენებია, თუმცა **ელიზბარ ერისთოვის** სახლში **კიკნაძეს** კარგად ახასიათებდა და ჩვენი თხოვნის და მიუხედავად, სიფრთხილის გულისათვის მან ჩვენ ის არ დაგვიტოვა...."

მასწავლებელი **ავთანდილოვი**".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (III, 380_382)

„კომისიას

შარშან აქ გარდაიცვალა ბიძაჩემი კაპიტანი **ჩოლაყაევი**, მაშინ მე გავაცილე მისი გვამი კახეთში, სადაც დავრჩი მამიდაჩემთან. ექვსი დღის შემდეგ მიცვალებულის წირვა იყო, სადაც მოწვეული იყვნენ ყველა თავადაზნაურნი კახეთისა და აგრეთვე სამღვდელოება. შუა მთის ბერების შორის იყო ერთი **ფილადელფოს კიკნაძე**, რომელსაც აქებდენ როგორც ქართული ენის კარგად მცოდნეს. მე ძალიან ვცდილობდი გამეცნო იგი, მით უმეტეს რომ ბავშვობიდანვე სურვილი მქონდა კარგად შემესწავლა ქართული. ხსენებული ბერი იქ სამ დღეს დარჩა და ჩემთან ერთად იყო ერთ ოთახში და სხვადასხვა რამეებზე მელაპარაკებოდა, მე მალე შევნიშნე, რომ მან მართლაც კარგად იცოდა ქართული ენა და ვცდილობდი, დავახლოვებოდი მას. მესამე დღეს ის წავიდა. ორი კვირის შემდეგ დანიშნული იყო კვლავ მიცვალებულის წირვა და მოწვეული იყვნენ თავად - აზნაურნი და სამღვდელოება, სადაც ისიც მოვიდა და ხუთი თუ ექვსი დღე დარჩა, ვილაპარაკეთ სხვადასხვა რამეებზე და სხვათა შორის აღმითქვა, რომ თუ როგორმე ტფილისში გამოუშვებდნენ, იქ ჩემთან დარჩებოდა და მეტაფიზიკას შემასწავლიდა და ასე გაგრძელდა ჩვენი ბაასი.

ის ჩიოდა, რომ ჩვენში განათლებას არ ეტანებიანო, მე მიუგე ჩვენ შორის იმდენი შუღლია, რომ განათლებისათვის ვერ ვიცლით მეთქი. მაშინ მან მიპასუხა, ნუ თუ არ შეიძლება ისეთი საშუალებების გამოძებნა, რომ ეს უაზრო შუღლი მოვსპოთო, მე უთხარი ვიდრე მთელი ახალგაზრდობა განათლებას არ მიიღებს და არ დამყარდება მათ შორის სიყვარული, იქამდის არავითარი საშუალებებით არ შეიძლება ამის მოსპობა მეთქი. მაშინ მან ამოიოხრა და თქვა, მე რომ გიმნაზიაში ვიყო მასწავლებლად, მრავალ სიკეთეს ჩაუნერგავდი ახალგაზრდა მოსწავლეებს... ნეტავი თუ შეიძლება ვიშოვო ეს ადგილიო. მე უთხარი მართალია მე ამის გაკეთება არ შემიძლიან, მაგრამ, თუ ქალაქში ჩამოხვალ, მე ბევრი ნა-

ცნობები მყავს და ვეცდებით ეგების მოხერხდეს მეთქი. დავიწყეთ ისევ ბაასი, მან მითხრა ბევრი თხზულებები მაქვსო და სხვათა შორის თქვა, რომ ერთნაირი ანბანი შევადგინე, რომლის წერაც ძალიან ადვილია და ჩვენს ხუცურს მიაგავსო, რომელიც მან მე დამიწერა, ეხლა ყველა ასოები კარგად აღარ მახსოვს, ანბანი ასეთი იყო[1]).

ამის შემდეგ მითხრა, რომ ერთი საშუალება მოვიგონეო, მე შევთხზავ ერთ რამეს, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგიძლიანთ მოიძიოთ მეგობრები და მოიპოვოთ მეგობრული სიყვარულიო; შემდეგ ის წავიდა. ორმოცი დღის შემდეგ ისეთივე წირვა და წესი იყო, ისიც კვლავ მოვიდა და სთქვა, რომ მან ის უკვე შეთხზა და როდესაც მე ტფილისში გავემგზავრები, თუ შევივლი მასთან, გადმოგცემს მოხსენებულ თხზულებას. მე კახეთში დავრჩი გაზაფხულამდის და მერე გავემგზავრე ტფილისს **აბელ ჩოლაყაევთან** ერთად. შევიარეთ მონასტერში[2]), **ჩოლაყაშვილის** ძმა იყო ბერად იმ მონასტერში; მე **კიკნაძესთან** შევედი, **ჩოლაყაევი** კი თავის ძმასთან. მაშინ **კიკნაძემ** წამიკითხა ხესნებული თხზულება[3]), რომელიც მე ძლიერ მომეწონა, თუმცა იგი საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავდა, მაგრამ მოქმედება კი საიდუმლოებით იყო მოცული. მე ვკითხე რა საჭიროა საიდუმლოდ მოქმედება ასეთი კეთილი საქმისათვის მეთქი. მან ამაზედ მიპასუხა, რომ მართალია აქ ისეთი არაფერია, რომ მისი მოქმედება დაგიმალოთ ვინმემ, მაგრამ მაინც უმჯობესია საიუდმლოდ იმოქმედოთ, რადგან ამ საშუალებით შეგიძლიანთ შეადგინოთ საზოგადოება და კავშირი ისე, რომ თუ ვინმე უღირსი ადამიანი აღმოჩნდება და არ შეასრულებს აქ აღნიშნულ წესებს, ამ საზოგადოებას შეეძლოს მისი დასჯა მის უცოდინრადო; ეხლა თქვენ გეჩქარებათ, ნულარ დაიგვიანებთ, თქვენთან ბევრი ლაპარაკი არ შეიძლებაო, მხოლოდ ეს წაუკითხეთ თქვენს მეგობრებს და ვისაც წაუკითხოთ მე მომწერეთ და ისიც შემატყობინეთ ისინი რას იტყვიანო. მერე შევედით **ჩოლაყაევ**, ბერთან ვისაუბზეთ და მე და **აბელ ჩოლაყაევი** ისევ გზას გაუდექით. აქ რომ ჩამოვედით პირველად წაუკითხე **ყიფიანოვს და ავთანდილოვს**, შემდეგ კი ყველა ჩემს ამხანაგებს. **დოდაევმა** მთხოვა ის და მას გადავეცი. ამის შემდეგ მე მოვწერე **ფილადელფოსს**, რომ ამა და ამ პირი წაუკითხე

---

[1]) მოყვანილია საიდუმლო ანბანი.

[2]) შუა მთის მონასტერი (კახეთში) იგულისხმება.

3) „აკტი გონიურ"-ზეა ლაპარაკი.

სამხედრო შტაბი 1830 წლ.
(კომუნალური მუზეუმი)

და ძლიერ მოიწონეს მეთქი, მივწერე აგრეთვე, რომ მე ლაშქრობაში მივდივარ და თუ რამე დაგჭირდეს **ალექსანდრე ორბელიანოვს** მისწერე მეთქი. წავედი ლაშქრობაში და აღარ ვიცი რა ეოხდა მის შემდეგ.

პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი.**

ზემოაღნიშნული აკტი წაუკითხე: **ყიფიანოვს, ავთანდილოვს, სოვეტნიკ ორბელიანოვს, ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებს, დოდაევსა და მამაცოვს.** აკტი დასასრულ შეიცავდა ფიცს იმის შესახებ, რომ არავისთვის გამოეცხადებინათ და შეესრულებინათ ყველაფერი, რასაც აკტი მოითხოვდა, აღნიშნულმა პირებმა მოიწონეს აკტის შინაარსი, მაგრამ ამბობდნენ, რომ მისი შესრულება არავის არ შეუძლიანო. **მამაცოვისაგან** გამიგონია, რომ ზემოდ მოხსენებული ანბანი შედგენილია კათოლიკოს **ანტონ პირველის** მიერ, რომელსაც უნდოდა იგი საერთო სახმარებლად შემოეღო.

პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი**".

4 იანვარი 1833 წ.

ანბანი **სოვ. ალ. ორბელიანოვისათვის** არ ამიხსნია, მაგრამ იმ გაზაფხულზე ლაშქრობაში წასვლის დროს უთხარი მას, რომ მე მივწერე **ფილადელფოს ბერს** საჭირო შემთხვევაში შენ მოგწეროს მეთქი **ფილადელფოს ბერს** მე ხშირად ვწერდი და მისგანაც ვიღებდი პასუხს; ზოგიერთი ჩემი წერილი ამ ანბანით იყო დაწერილი, ის კი ყოველთვის ამ ანბანით მწერდა; ჩვენი წერილები უმთავრესად მის ტფილისში გადმოსვლას შეეხებოდა.

აკტი ჯერ შეიცავდა ღვთისადმი მიმართვას, რომ მას შთაგონებინა კავშირის დაარსება, მერე მოთხრობილი იყო წევრთა მოპოების წესები, მერე მოსდევდა დარიგება, რომელიც უნდა შეესრულებინა წევრებს, დასკვნა კი წარმოადგენდა ფიცს, რომ არავის განუცხადებდნენ კავშირის არსებობას, არ გასცემდნენ წევრებს და შეასრულებდნენ იქ მოთხრობილ წესებს. ნამდვილი მიზანი ამ აკტისა **ფილადელფოს ბერს** ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ მითხრა, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც გამრავლდება წევრთა რაოდენობა, მაშინ განმიცხადებს თავის აზრსაცა და მიზეზსაც. წევრად უნდა მოპოვებული ყოფილიყო უბიწო ხალხი, კარგი ხასიათებისა და ვისიც ნდობა შეიძლებოდა, წევრებს უნდა დაეცვათ ურთიერთ შორის თანხმობა, სიყვარული და მეგობრობა, გაეწიათ ერთი მეორისათვის ყოველგვარი დახმარება.

პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი**"

4 იანვარი 1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (III, 384-385)

„კომისიას!

არ შეგიძლიან დავმალო აგრეთვე, რომ როდესაც მე **ელიზბარმა** თავისი ბოროტგანზრახულება გამომიცხადა სულ შიშსა და ფიქრებში ვიყავი. მცირეწლოვანობიდანვე მეგობრული ურთიერთობა მქონდა **იოსებ მამაცოვთან.** ერთხელ ეტლით არ მახსოვს სად მივდიოდი, მე ძალიან ჩაფიქრებული ვიყავი ამ აზრების გამო, მაშინ მან მკითხა, რაზედ ჩაფიქრებულხარო. მე უპასუხე, ძმაო, ერთი სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი და რჩევა მომეცი მეთქი, მან მითხრა სთქვიო. მაშინ მე გამოუცხადე ყველა განზრახვები. ის ისეთმა შიშმა მოიცვა, რომ ვერც კი მიპასუხა რამე. მაშინ მე ვკითხე, რა დაგემართა რატომ არაფერს ამბობ მეთქი. მან მითხრა, ნუ თუ შენ რაც სთქვი მართალიაო. მაშინ მე დაუფიცე, რომ მართალს ვამბობ მეთქი. მან მიპასუხა, რომ მიკვირს ამ სისულელეს როგორ ჰყოლიხარ, ეს ხუმრობა არ არის, გაფრთხილდი არაფერში შეგაცდინონო. ახ, მე რისთვის მითხარიო, განაგრძო მან, მე ვიცი, რომ ამას გაიგებენ, თქვენ თავს დაღუპავთ და შენის შიზეზით მეც უნდა უბედურებაში ჩავვარდეო. მე უთხარი, შენ რაზედ უნდა გეშინოდეს მეთქი. მან მიპასუხა, იმაზეო, რომ მეცოდინება ეს განზრახვა და არ კი შემიძლიან რომ გაგცეთო. მეორე დღეს **ა. ორბელიანოვს** თავის ბაღში სადილი ჰქონდა და მათ მთხოვეს **მამაცოვიც** მინეყვანა იქ, ჩემი დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ის დამთანხმდა. მათ მთხოვეს აგრეთვე მიმეწვია **ზაქარია ციციანოვი,** რომელმაც ჯერ მაშინ არაფერი იცოდა, **ციციანოვთან** ცხოვრობდა **ლუარსაბ თარხანოვი,** და რადგან მან არაფერი იცოდა, ამიტომ მითხრა თუ მე მპატიჟობთ, **ლუარსაბ თარხანოვსაც** თან წამოვიყვანო; წავედით ბაღში. იქ იყვნენ **ერისთოვები ელიზბარი** და **დიმიტრი,** სოვეტნიკი **ალექსანდრე**[1]) და მეორე **ალექსანდრე**[2]) აგრეთვე **ვახტანგ. ორბელიანოვები, დოდაევი, ყიფიანოვი** და **ავთანდილოვი,** სადილის შემდეგ დავიწყეთ ლაპარაკი და მათ გამოუცხადეს ჩვენი განზრახვა **ციციანოვსა** და **თარხანოვს. თარხანოვმა** ბევრი ილაპარაკა და ამტკიცებდა ამის შეუძლებლობას, მაგრამ **ელიზბარი.** და **ალ.** წინააღმდეგს უპასუხებდნენ და ცხარე ბაასის შემდეგ **თარხანოვი** წამოდგა და უთხრა, რომ თქვენ ვერაფერს ვერ გააკეთებთ და არც არაფრის გამკეთებელი ხართო. ისინი ამაოდ ეფიცებოდნენ, რომ მრავალი

---

[1]) **ალექსანდრე ვახტანგის ძე.** [2]). **ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანები.**

წარჩინებული პირია ამ საქმეში გარეულიო, იმან მაინც არ დაუჯერა და წავიდა. ამის შემდეგ მათ სთხოვეს **ციციანოვს,** ღვთის გულისათვის უთხარი იმ სულელს არსად არ იყბედოსო. მერე წავედით იქიდან სამნი მე, **მამაცოვი** და **ციციანოვი** და დავიწყეთ ბაასი. **მამაცოვმა** თქვა ეს ხალხი გაგიჟებულაო, თითქოს **ელიზბარი** რუსეთში იყო, განათლება მიიღო და ეხლა სურს საქართველოც გაანათლოსო. ამაზე სიცილი დავიწყეთ და მერე დავიშალენით. ამის შემდეგ **ციციანოვი** სოფელში წავიდა, **თარხანოვიც** აგრეთვე, რომელიც მერე სრულებით აღარც მინახავს. მე ხშირად ვხვდებოდი **მამაცოვს** და ის ყოველთვის მირჩევდა თავი ამერიდებინა მათი საუბრისათვის.

მაგრამ **ბიძინას**[1]) რომ უჩვენებია ჩვენს საუბარს **არბოში**[2]) **მამუკა ორბელიანოვი** და **სიმონ მაჩაბელი** დაესწრენო, ტყუილია, რადგან ჩვენ რომ არბოში ჩავედით, მაშინ იქ აუარებელი თავად აზნაურნი იყვნენ, იმ საღამოს დიდი ვახშამი გვქონდა[3]) რომელზედაც ვიყავით მე, **მამუკა ორბელიანოვი, სიმონ მაჩაბელი, თეიმურაზ ამილახვაროვი** და მისი ძმა **ბეჟანი, ალექსანდრე ამილახვაროვი, ლევან ერისთოვი** და მრავალი სხვა ქართველი თავად-აზნაურნი, რომელთაც მე ვერ ვიცნობ. ყველამ ერთად ვივახშმეთ. აქ არა ყოფილან არც **ბიძინა** და არც **ელიზბარი, ბიძინა** თავის ოჯახთან იყო, **ელიზბარი** თავის მამასთან, რომელიც აგრეთვე ოჯახით იყო მოსული. მთელი ღამე ნადიმის მეტი ჩვენ არაფერი გვიკეთებია და გათენებამდის ვსეირნობდით და ვმხიარულობდით. დილით ყველამ თავი მოვიყარეთ **ელიზბართან** მისი მამის სანახავად. სადილად კი ყველანი **სიმონ მაჩაბელმა** გაგვიწვია, მასთან ვისადილეთ: მე, **მამუკა ორბელიანოვმა, ლევან ერისთოვმა** და ბევრმა სხვამ, სულ ორმოც კაცამდის. იქვე იყვნენ სადილზე გორის მართველობის რუსი მოხელენი, იყო აგრეთვე ოსეთის ბოქაული, რუსი ესეც. **ბიძინას** კი ცალკე ქონდა სადილი, რადგან ოჯახით იყო; იმასთან იყვნენ: **ალექსანდრე სუმბათოვი** თავისი ცოლით, **თეიმურაზ ამილახვაროვი** და ორი-სამი სხვები, რომლებიც არ მახსოვს ვინ იყვნენ. საღამოზე ხალხი დაიშალა და ჩვენ იქ არავითარი საუბარი არა გვქონია, იმის გარდა, რომ როგორც პირველ ჩვენებაში ვაჩვენე, სოვეტნიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი** გვიბარებდა[4]). ამის შემდეგ

---

[1]) **ბიძინა ერისთავ**ი

[2])ქართლის სოფელი.

[3] ლაპარაკია არბოს დღეობაზე, რომელიც შეთქმულებმა გამოიყენეს შეთქმულების გასავრცელებლად; **გიორგი დავითის**ძესა და **ბიძინა ერისთავებს** ქონდათ ეს დავალებული.

[4]) იგულისხმება **ბიძინასადმი** წერილი.

მამუკა თავის სოფელ მეჯვრისხევში წამოვიდა, სადაც ზუთი დღე დარჩა, აქ ჩემთან ჩხუბი მოუვიდა და ტფილისში წავიდა. ამის მერე ორჯერ მეტად აღარ ვყოფილვარ მის სახლში და ისიც ბიძა ჩემმა ღენერალ-ლეიტენანტმა[1]) დანიბარა, რომელიც ერთხელ სახლში არ დამხვდა, მეორედ კი ენახე მომაკვდავი ავადმყოფი, რომელიც მოგესალმა და სხვა არაფერი უთქვამს რა. მეტი აღარაფერი მახსოვს.

პრაპორშჩიკი თავადი **გიორგი ერისთოვი**".

1833 წლის, ივნისის 3.

ბირთველი თუმანიშვილის ჩვენება. (III, 418-21).

„თქვენო ნაღალ აღმატებულებავ

ბარონ გრიგოლ ვლადიმერიჩ[2])

თავადნი ერისთვიანი იყრებოდნენ ესე იგი ღერანალ ლეიტენატი თავადი **გიორგი ერისთოვი,** მაიორი **თორნიკე ერისთოვი** და განსვენებულის პოლკოვნიკის **თ. შანშე[3]) ერისთოვის** ძენი და რადგან ორნი მედიატორნი ტფილისად იყვნენ ესე იგი განსვენებული თავადი **კიკოლა არღუთინცკი** და **დავით ბარათოვი** და იყვნენ სამსახურში მე ქვემო ხელის მომწერელიც ტფილისად მომიყვანეს მათ წორის და ეს ზემოხსენებული თავადნი ძალითა **მეფის ვახტანგის** სჯულისათა უნდა გაგვეყარა და ამათი საქმე გარდაგვეწყვიტა ოდეს ამა თავადთ დაასრულეს თავს თავისი საჩივარი და პასუხი მას ჟამს განსვენებული თავადი **არღუთინცკი** მძიმედ ავადშეიქმნა და დაგვრჩა გარდაუწყვეტელი თავად ერისთვიანთ გაყრა და ამ ჟამად მე აღმიჩნდა საქმე ესე იგი ქალის გათხოვებისა და რუსეთითაც მოვიდა ჩინოვნიკი თავადი **გიორგი რევაზის ძე ქსნის ერისთოვი** და ამ **გიორგის** ხშირად მისვლა-მოსვლა ქონდა თავადს **ელიზბარ შანშეს ძესთან** როგორათაც ამას აგრეთვე **ალექსანდრესა** და **ვახტანგს** ორთავ ძმათ **ორბელიანოვთ** და აგრეთვე **ელიზბარსაც** მათთან ხან გარეთ უბანს ბაღში და მათს სადგომს და მათს ჟამს ვერას მიხვდი მათ რადგანაც რუსულად ლაპარაკობდნენ შემდგომად **ბიძინა რევაზის** ძეც ჩამოვიდა ქსნიდან და მაშინ უფრო მოუმატეს ერთად ყოფნა. და სიარული. ეს თავადი **ბიძინა** მალმალ წავიდოდა ქსანზედ და ისევ მალი მალ ჩამოვიდოდა ტფილისად და ამათთან მოვიდოდა **იასე თავადი ფალავანდოვი** და აგრეთვე თავადი **ანტონ აფხაზიშვილი რომლისა** ცნობა არცკი მქონდა ორჯელ და სამჯერ **დოდაევიც** იყო მათთან ნოსული და ერთხელ **ყიფიანიც**

---

[1]) **გიორგი ერისთავი**

[2]) ბარონ **როზენისადმია** მიმართული.

[3]) **ელიზბარის** მამა

ჩვენს სადგომს მაგრამ მაშინ ვერა ვცან რა ერთ ჟამადაც მოვიდნენ მხიარულად **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანოვნი ბიძინა** და **გიორგი ერისთოვნი ელიზბარ** და **დიმიტრი ქსნის ერისთოვნი** ხმა მაღლა რუსულად ლაპარაკი დაიწყეს მე ცოტა რასმე მივხვდი ბაშინ უპასუხე მე მათ თავადთ მე რათ მიმალავთ რაისთვის ქართულად არ შემატყობინებთ მე უფრო დამწვარი არა ვარ **პასკევიჩმა** ჩემი შვილი დაიჭირა წელიწადი ნავაბახტში დაჭერილი ჰყავდა სამართალში მისცა სასამართლომ გაამართლა კამენდანტმაც ხელი მოაწერა ვოენის ღუბერნატორს წარუდგინეს ვოენის ღუბერნატორმაც ხელი მოაწერა თანახმად კომისიისა ჩემი შვილი პყრობილობიდან განთავისუფლეს ის გარდაწყვეტილობა პასკევიჩს წარუდგინეს და ერთის ბერძენის ლანგარის მეოხებით რაზედაც გაამართლა კომისიამ და შესმენილი იყო ის სულებით დანაშაულად დაუწერა **პასკევიჩმა** ხელმწიფეს წარუდგინა თავისი განაჩენი ხელმწიფეს დაამტკიცებინა თერთმეტი თვე ციხეში უნდა მჯდარიყო მეორედ დაიჭირეს ციხეში იმის ელდაზედ ცოლი მომიკვდა და ღმერთმა ადღეგრძელოს ეს ახალი მთავარმართებელი რომ მოვიდა ამან კაანთავისუფლა აბა ჩემისთანა გულდამწვარი ვინა ხართ რომ მე არ მატყობინებთ ამისთანავებს ველაპარაკები აგების სწორე შემეტყო რამე და თქვენის მაღალ აღმატებულებისათვის მომეხესენებინა და მესიამოვნებინა რომ ჩემი შვილისათვის იმის დიდებულების წინაშე შუამდგომლობა გეხმარათ და ისევ სამსახურში მიგეღოთ მას ჟამს **ვახტანგ ორბელიანოვმა** მითხრა ჩვენ რუსებს გაწყვეტას უპირებთო აბა შენ რას იტყვიო მე რა უნდა ვთქვა თუ შეგიძლიათ დიახ კარგი იქნება ნეტამც არ დავსნეულებულიყავ და მუხლები მომდევდეს მეც წინ გაგიძღვებოდით მაგრამ მუხლები არა მაქვს რა ვქნა მეთქი მას უკან **გიორგი ერისთოვმა** მითხრა წენ რაში გვეჭირები ბებერო კაცოო მაშ ჩვენ რისთვის მოვედით რუსეთიდამაო შემდგომ **ელიზბარმა** თქვა ამ საქმეს რომ შევასრულებთ მაშინვე საჩქაროთ პეტრებუხს მივა ეს ანბავი **შანშაშვილი იარალი** შევა **ბატონიშვილს ფარნაოზთან** და ახარებს ბატონისშვილო ერთი კარგი ანბავი შევიტყეო თუ სამახარობლოს მომცემ მოგახსენებო ბაშინ ბატონიშვილი უბრძანებს მამის ჩემის მზემ თუ კარგს ანბავს შეტყვი სამახარობლოს მოგცემო მაშინ მოახსენებს საქართველოში რაც რუსი ყოფილა სულ გაუწყვეტიათო ბატონიშვილი გარდაიქცევა ფეხების ქნევას დაიწყებს და ბევრს იცინებსო ამისთანები ბევრი ილაპარაკეს და გამოვიდნენ ისინი რომ წავიდნენ ქართველს არავის ვენდობოდი რადგანაც ადრევე ცნობა და მეგობრობა მქო-

ნდა შტაფ დოხტურის ნიკიფორ ივანიჩის **იავლენცკის** სახლში მიველ ეს ანბავი მეთქვა ნიკიფორ ივანიჩისათვის რადგანაც მე რუსული არ ვიცოდი იმას თქვენის ალმატებულებისათვის მოეხსენებინა ჩემის სახელით იმ ჟამად ნიკიფორ ივანიჩი შინ არ დამხვდა ინის ქალი იდგა იმას კითხვა დაუწყე ნიკიფორ ივანიჩი სად არის მეთქი და იმ ქალმან მიპასუხა ლერანალთან წავიდაო გამოვბრუნდი და დავფიქრდი ამ რუსებში და ამასთანავე დიდ კაცთან მოხსენება ამისთანის მძიმე საქმისა ადვილი არ არის ვინიცობაა არის რომ არ გატყდნენ მოწამე ხომ არა მყავს თუ ეს საქმე კარგათ არ შევიტყე და ისე არ მოვახსენე მე სამართლში მივეცემი და დავიტანჯები შემდეგ მეც იმათს ლაპარაკს და რაც იმათ იამებოდა იმას ვლაპარაკობდი და ვკითხავდი ამ საქმეს რომ აპირობთ ამას თეთრი და ხაზინა უნდა ჯარი ჩვენ არა გვყავს ხაზინა ჩვენი არა გვაქვს და აბა როგორ უნდა შევებათ ამ საქმესა. ხუთი ათასი თუმანი თეთრი გვაქვს ერთ ალაგასა სამასი კაცი აქ ტფილისში გვყავს მზად რასაც ლამეს იმ საქმის აღსრულებაში შევალთ კოდიდამ კუმისიდამ მარტყოფიდამ ნრრიოდამ ცხეთიდამ ძეგვიდამ ნაქულბაქევიდამ დიღმიდამ ჯარებს მოვიყვანთ ეგ კარგი მაგრამ ქალაქის ლოთიფოთები რას გვარგებენ იმ დროს თავს ვინ მოუყრის და მოაგროებს ამისთანის საქმეში ამათთანა კაცი უნდა მაშ მოქალაქენი. რათ გამოვლენ და შეაკვდებიანო და ესენი კი რასაც დროს გვინდა მზად არიანო შემდეგ უთხარ დიღმელები თქვენს ბრძანებას როდის შეისმენენ **მუხრან ბატონმა** იცის ეს ანბავი მეთქი გითქვამთ იმისათვის შეთქი **გიორგი ერისთოვმა** წამოიძახა პირველნი ისინი არიანო იმ ჟამად გავჩუმდი ამაზე მეტი აღარა უთხარ რა მეორე შეყრაზედ ვკითხე ეს საქმე ასე ვთქვათ ტფილისში რაც გვინდა აღვასრულოთ. ქართლსა და კახეთში ჯარები რომ დგას იმათსას როგორღა ბრძანებთ ეს მიპასუხეს აქა თელავს სიღნაღს გორს და დუშეთს ერთად მოხდებაო და ერთად უნდა მოვახდინოთო როდის იქნება ეს საქმე უნდა მეც ვიცოდე ან გითქვამთ ვისთვისმე სულ მზათ არიან ზოგს მე ვიცნობ და ზოგი ამ საქმეში არის კი და მე არ ვიცი ის ვინ არისო ამისთვის რომ ვინიცობაა არის რომ შეგვატყონ ეს საქმე და დაიჭირონ რომელიმე მე არ მიცნობდეს რომ არ გამცემსო ყოველთვის დღე გმოშვებით ვკითხავ ამაებს რომ არ მიმიხვდნენ შემდგომ ვკითხე **გიორგი ერისთოვს** როდის იქნება ეს საქმე ჯერ ხალხი ახლა მოდისო კენჭის ყრა რომ შესრულდება მაშინ ერთს დავდებთ პაემანს ამ თვის ამდენსაო და იმ დღეს ყველგან მოხდებაო ამის პლანს ვინა სდებს და **ალექსანდრე ჭავჭავაძეო** თითონ გვითხრა

პლანს ზე გავაკეთებო ვიდრემდის **ჭავჭავაძე** ჩამოვიდოდა კახეთი-
დამ ყოველთვის ანბობდნენ **ალექსანდრემ** დაიგვიანაო და როდეს
ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩამოვიდა თუმცა უწინარეს ამისა დავიდო-
დნენ **ლუარსაბთან თუმანიშვილს გიორგისთან** იასე **ფალავანდოვ-
თან** და ყმაწვილებს ვკითხავდი ძრიელ გვიან მოდიოდენ ღამე აქა-
მდის სად იყავით ესე იგი **ელიზბარ** და **დიმიტრი ლუარსაბთან** ვი-
ყავით სხვანი ვინ იყვნენ ღუბერნატორი იყო **ბიძინა** იყო
გიორგი იყო **პავლე თუმანიშვილი** იყო ზოგჯერ იტყოდნენ
გიორგი თუმანიშვილისას ვიყავით რომელნი იყვნენ მე ვკი-
თხავდი **ლოარსაბ** იყო **ვახტანგ** იყო **ორბელიანი გიორგი** იყო
ერისთოვი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო ამაებს მიპასუხებდნენ ხან-
დახან **ზაქარია ჩოლაყოვთან** მივიდოდნე **ელიზბარ** და **გიორგი ერი-
სთოვი** და **ვახტანგ ორბელიანოვი** რომელნიც თითონ მეტყოდენ ხო-
ლმე ესე ვკითხე ეს ქართლსა და კახეთში რომ მოხდება იმერეთშიაც
მაშინ მოხდება თუ შემდგომ მისა მეთქი აქ რომ მოვრჩებით მეორე
დღეს იმერეთში გავგზავნით კაცთა რომ იქაც ბუნტი მოახდინონო
ესეცა ვკითხე თქვენ რომ კაცი არა გყავსთ იმ დროს აბა რასა იქმთ
მეთქი ჩვენც ქსნიდამ დავიბარებთ კაცსაო მერე მე უთხარ თქვენ
ბევრს კაცს ნუ დაიბარებთ ათ ათი თორმტ თორმეტი კაცნი დაიბა-
რეთ გეყოფათ აქ ჯარი ბევრი შეიყრებიან რა საჭირო არის სამი
დღის წინ ჩამოიყვანეთ სახლებში დავბალოთ და მოსახმარად ეს
გეყოფათ მეთქი ეს ამისთვის ურჩივე და სხვასაც ვაპირებდი თეთ-
რიც მინდოდა დამეტყუვნა რომ თქვენთვის მაღალ აღმატებულე-
ბისათვის დასარწმუნებლად წარმომედგინა მაგრამ თვით თქვენმა
მაღალ აღმატებულებამ უწინარეს ცნა და მეც და შვილიცა ჩემი
ისევ უბედურათ დავრჩით ამასაც მოვახსენებ თქვენს მაღალ აღმა-
ტებულებას როგორც ამ ყმაწვილებს თავადი **ერისთოვთაგან** გამიგო-
ნია ეგ საქმის დამწყობ და დამრიგებელი არის მეფის ძე **ფარნაოზ**
და ამის დაწყობითა და დარიგებით ეს ბოროტი საქმე ჰქმნეს ტი-
ტულიარნი სოვეტნიკი თ. **ბირთველ თუმანოვი**"

იანვრის დ-ს დღეს

ჩყლგ-წელს.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (III, 446-447)[1]).

„ძაგონდება, რომ 1831 წელს ჩვენთან ერთად რამოდენიმეჯერ
იყვნენ ბაღში: **ზაქარია ციციანოვი** და პორუჩ. თ. **ალექსანდრე ორ-**

---

[1]) მიღებულია კომისიაში 1833 წ. იანვრის 7.

ბელიანოვი. მაგრამ მათ ჩემი იქ ყოფნის დროს არაფერი უთქვამთ; თავდაპირველად არც კი ვიცოდი მათ იცოდნენ თუ არა ეს საქმე. ვე მერე გავიგე, რომ ისინიც გარეული იყვნენ; მაგრამ ვაინც ჭათ ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

ვე ვიცოდი ჩემი ძმისგან, რომ მას ჯერ კიდევ 1831 წელს ჰქონდა მიმოწერა **ალექსანდრე ბატონიშვილთან,** მან კიდეც მაჩვენა **ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერილი** თავისი წერილი და მისგან მიღებული პასუხიც. ჩემი ძმა, როგორც მახსოვს, ურჩევდა ბატონიშვილს, რომ მას ელაპარაკნა ინგლისელებთან, რომლებიც თავრიზში იმყოფებიან, მაგრამ არ მახსოვს რა პასუხი მიიღო მაგან.

მაგონდება აგრეთვე, რომ 1832 წ. გაზაფხულზე, საღამოჟამს ჩვენს ბაღში იყვნენ: ჩემი ძმა **ალექსანდრე, ელ. ერისთავი** და **ავთანდილოვი,** მგონია. იყვნენ აგრეთვე **მამაცოვი** და **ყოფიანოვი,** მაგრამ ნამდვილად არ მახსოვს. ჩვენ იქ შევხვდით **მოლა ზამანას** და მის ერთ ამხანაგს. ჩემი ძმა დიდხანს ესაუბრა მათ. ბოლოს მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ კაცი, რომელიც **ზამანას** ახლდა, **ალექს. ბატონიშვილის** მიერ გაგზავნილი ყოფილა **ყაზიმოლასთან.** რომ ეს გაგზავნილი ეხლა ბრუნდება ბატონიშვილთან და მიაქვს ცნობა რომ **ყაზი-მოლა** ჰპირდება დახმარებას, თუ კი ბატონიშვილი მასთან მივალ. მე ეჭვი შემეპარა, რომ ამ შემთხვევაში ჩემი ძმა მოტყუებული ყოფ **ზამანას** მიერ და მისი ამხანაგი არ ყოფილა **ყაზი-მოლასთან** გაგზავნილი კაცი, მათ უნდოდათ მხოლოდ ჩემი ძმისაგან საჩუქარი მიეღოთ. ჩემს ძმას უნდოდა კიდევ ერთი წერილის გაგზავნა ბატონიშვილთან, მაგრამ არ ვიცი ამ გამოგზავნილი კაცის საშუალებით თუ **მოლა ზამანას საშუალებით;** ის კი მახსოვს, აძებნინოს რუსულ ტანისამოსიანი კაცი (**რაზმაძეზე** სწერდა) რომელიც რუსეთის საელჩოში მსახურობს და რომელიც უამბობს შეთქმულების შესახებ ყველაფერს დაწვრილებით.

1831 წ. **გ. დ.-ძე ერისთოვმა** მაჩვენა კახეთიდან მოტანილი აკტი, რომელიც წეიცავდა ფიცს მეგობრობის გაუტეხელობაზე ეს აკტი მას მიღებული ჰქონდა ბერ **კიკნაძისაგან,** რომელიც მონასტერში ცხოვრობს კახეთში. **გ. ერისთოვმა** აკტი წამიკითხა, მაგრამ ბოლომდის არ წაუკითხავს, ამიტომ დანამდვილებით არ ვიცი არც შინაარსი და არც ფიცი, რომელსაც ის შეიცავდა.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (III, 468[1])

„სლედსტვენნის კომისიასა შინა.

წარსრულსა წელსა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა დაიწყო მე აქ აღრევაზედ ლაპარაკი და სხვათა ორთა რომელთაც აქ არაფერის თანახმა არა ქონდათ რა და არც არავინ იცნობდენ ძათ და როგორც მახსოვს ეხლა ისინი იყვნენ რაღაზედაც შეწუხებულნი: ერთი თეიმურაზ ამილახვაროვი და მეორე პორუჩიკი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი გარდა სოვეტნიკის ალექსანდრე ორბელიანოვისა; თუმცა იმან მითხრა ამ საქმეში არიან მოწადინებულნი ღენერალ - მაიორი ჭავჭავაძე და რადგანაც არის ამის მეგობარი ღუბერნატორი ზავილეისკისაც მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი და მამუკ ორბელიანოვი, იმ დროს მე ამას არ დაუჯერე და რადგანაც არის ჩემი მომნათლავი ჭავჭავაძე იმისგან მე გაძრახ ეცდილობდი რომ შემეტყო რამ ვითარცა მახლობელსა მაგრამ ვერა რა შევიტყეევი ამისგან საგანზედ შემდგომ გამოცვლისა ზავილევსკისა ორს კვირას ჩემს ოთახში იდგა ალექსანდრე ჭავჭავაძე ბევრჯერ მარტოდ ერთად დავშთომილვართ მაგრამ არაფრისთანა მისგან წინაალმდეგ მართებლობაზედა არა ულაპარაკნია რა და ეხლა უმეტესად დავამტკიცე რომ სოვეტნიკი ორბელიანოვი მელაპარაკებოდა მე მხოლოდ გამოსაცდელად ჩემსა და რადგანაც იციან უფროსთა კაცთა მეც უფრო ვეთანხმები. ლუარსაბ და მამუკა ორბელიანოვი მე მერიდებოდნენ და არც ჰქონდათ ჩემთან ცნობა და არც ჩემ სახლში სიარული ჩემთან. ეშინოდათ ჩემი გაცემისა როგორც ახლა ვხედავ და შემდეგ ვარშავის აღებისა არავის გაუხსენებია ჩემთან და მაშინ რომ არ გამოუცხადე მმართებლობას. მე მივიღე მხოლოდ სოვეტნიკის ორბელიანოვისაგან ლაპარაკი ჩემს გამოსაცდელად და რადგანაც ვალი მრავალი ჰქონდა იმის მიზეზითაც მეგონა და მის მონაწილე ვყოფილიყავ არა ვსთხოვდი ჩემ განწესებას ისპოლნიტელის ექსპედიციას.

ახლა რომ სოვენტიკმა ორბელიანოვმა დაიწყო ჩემთან ამ წარსულის წელიწადის საქმე ვითარცა გამომიცხადებია ჩემს ჩვენებაში დავინახე რომ არ არის ტყუილი და ჰსწორედ აპირებს და ცდილობს რომ მოიპოვოს ვინმე მე მაშინ მახლობლად გაუმეგობრდი და გაძრახ ველაპარაკებოდი მის სასიამოვნოს ამბავს რომ ჩემთან აღარა ღაეფარა რა, და თუ არ მეჩვენებინა მე ჩემი თავი მაგათთვის მაშინ მე არას შეეტყობდი დაწვრილებით და კიდეც გინმიშორებდნენ თავიდგან—მაგრამ მე გაძრახ კიდეც ვპატიჟობდი სოვეტნიკს ორბელიანოვს თავის ძმებით კაპიტანს ჩოლაყაევს და

[1]) მიღებულია 8 იანვარს, 1832 წ.

ელიზბარ ერისთოვს ხან ვასშამზედ და ხან ჩაიზედ რადგანაც ყველა ამათ საქმის გარემოება უწყოდნენ რომ არა დაეფარათ რა თავიანთი სიდუმლო ჩემთან და არც არას მიფარავდნენ. რასაც მელაპარაკებოდნენ როდესაც წავიდოდნენ მაშინათვე დავჯდებოდი რას თვეში და ან რომელს რიცხვში რას მელაპარაკებოდნენ ან ადრე ოა ჰქონდათ დაწყობილება ამას ვნიშნავდი რომ არ დამავიწყდეს და ვაცნობო ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ სადაც ჯერ იყოს და ამ ჟამში მთავარ მართებელი იყო პახოდში და აქ ვერავის ვენდობოდი. თუმცა აქ იყო ლრაჟდანსკი ღუბერნატორი და დავიზიონის კომანდირი. პირველს ამიტომ არ გამოუცხადე რომ ამ ჩემს ჩვენებაში ურევია იმისთანა გვამნი რომ არის იმათი დიდი გულითადი მეგობარი და იმათგანისა იყო სიმამრი და ვშიშობდი რომ არ მივეცი პასუხისმგებლობაში ვითარცა არა ერთ გზის ვარ მისგან უბედურად დაშთენილი. და თუ მათგანს შეეტყო ვისმე ჩემგან გაცემა უეჭველად მომკლავდა ვინმე მათგანი და მეორეს იმიტომ არ გამოუცხადე უფროსიერთა დაიარებოდა პახოტად და ხან ავად იყო და იმ დროს ესე იგი ოკდონბრის თვეში დღე დღეზედ მოელოდნენ აქ ტფილისში მთავარ მმართებელსა და ამის მოსვლას მოუცადე. და მთავარ მმართებლის მოსვლამდის რასაც შეიტყობდი მათგან ვნიშნავდი ასე რომ ბევრჯელ ვერ მომისწვრია ქალალდი ჩემის ოთახის. კედელზედ მინიშავს რომ არ დამავიწყდეს. როდესაც მობრძანდა კორპუსის კომანდირი მგ ეადმოვიდე ქართულად ჯერ და მას უკან როგორც იყო ვჰსთარგმე რუსულადმე არა ერთხელ შემეტყო მახლობლობა მთავარმმართებლისადმი და სიმართლისა არა დაფარვა კორპუსის შტაბის ნაჩალნიკის თანმდებობის აღმასრულებელისა ღენერალი მაიორის კავალერის **ვალხოვსკის** მიველ და მიუტანე **თ. ს.** დეკემბერსა დაწვრილებით დაწერილი ვითარცა ზემორე მომიხსენებია ბოროტგანზრახულებაი ზოგთა აქაურ გვართა მიერ და მივართვი და ვსთხოვე მიართვას კორპუსის კომანდირსა და ესეცა რადგანაც არის ძმა ჩემი დიდის ადგილის მქონე და ეცდება ყოვლის შეძლებით ამ საქმის გამო რომ მე ვიქმნა დასჯილ უმეტესად ამიტომ რომ გამოვაცხადე სიმამრი მისი. იყოს ამ საქმეში ჩემი სიმართლით მომხმარებელ.

მე მოიმედე მართლმსაჯულებისა ამა კომისიასა რომ არა დაუტევებს ერთგულებასა ჩემსა ხელმწიფე იმპერატორისადმი და ვსთხოვ იმასაცა ადრინდელი გასვლა ჩემი გრანიცისა მოითხოოს ამა კომისიამან და უქაზიც უმართებელის სენატისა ჩემი განთავისუფლებისა ისპოლნიტელნის ექსპედიციიდამ, სადაცა ცხადად სჩანს

ჩემის ძმის ჩემთვის უბედურებაი. თუ რა მიზეზმა შემაბთხვია მე. შემთხვევასა შინა სძლევს ჩემს უბედურს მდგომარეობას ძმა ჩემი, მე მაგისგან ესრეთ ვიყავ შევიწრებული არა ერთხელ მოვინდომე თაკის ჩემისა სიკვდილი რადგანაც მისგან მქონდა სამართალი გარდა მაგის კეთლმდგომთ გვართა მიერ და უკეთუ ჩემის ძმის ჩემთან დახშულ და ამისთანა შეწუხება ჩემის ძმისა უწყის ტფილისმა კეთილი ცხოვრება ჰსცოდნოდათ ამ ბოროტგანმძრახველთ კაცთ ვერას დროს ვერ გამიბედავდნენ ამისთანას მართებლობის წინააღნდეგ საქმესა ამიტომ რომ ჩემი ძმა არის დიდი ადგილში და მე დაუყოვნებლივ უნდა მეთქვა მისთვის ვითარცა ძმასა და რადგანაც ისინიც ხედავდნენ ჩემის ძმისაგან ჩემს ცხადად უსამართლოდ მოქცევასა ამის მიზეზით მიბედავდნენ (ამ კაცს თავი სასიკვდილოთ გადაუდვია თავის ძმისგან რასაკვირველია გვეთანხმებაო).

აწ მე აქ შეპყრობილი სასტიკად ყოველთვის ჰსცდილობს ჩემი ძმა ვითარცა თითონ ეგრეც სხვათაგანაც ილაპარაკონ: რაიმე ჩემზედ ბოროტი დ თუ რაიმე შემთხვევია ისიც ამისგან და შემიძლიან რაცა ადგილი არს დავამტკიცო ცხადად მაგისგან ჩემი უსამართლოდ მოქცევა და მაგის ბოროტ ნრქმედებანი. მე ვსთხოვ ამა კომისიასს შემდგომად გამოძიებისა ამის არა დავშთე საქართველოსა შინა ანუ საცა დავწთე აქ ვიყო ყარაულით. მაგათ მრავალჯერ უთქვამთ უკეთუ ვინმე გაგვცემს ანდერძათ დაუდებთ ჩვენ შვილებს თუ ჩვენ არ მოვესწარით იმათ მოკლან ის განცემი. და ამის გარდა მრავალთ მათ შინ მსახურთა იცოდნენ ეს აზრი და ესეც მე ვერიე მათთან, ჩემთან შეპყრობილთ სუყველას აქვს ნუგეში თავის სახლისაგან და არა თუ მე მქონდეს ჩემი სახლისაგან რადგანაც ჩემი ძმა არის უფროსი სახლში არა მყავს მე მამა და დედა არამეი უშლის ჩემს მონთესავეთაცა და შეგობართა რომ გამომიგზავნონ რაიმე ანუ წიგნი ამ შემთხვევაში დროს [illegible]ერებისათვის და თუ ვინმე მათგანმა გაბედა აღარ შეუძლ[illegible] დინახონ ჩემის ძმის სახე და რასაკვირველია ყველა მოერიდება განრისხებასა უფალის საქართველოს ღუბერნატორისასა და არა ერთმა ჩემმა უბედურებამ გამომაცდევინა მე ეს. და თუ სახელმწიფო არ მქონოდა ამ შეპყრობილებაში საზრდო უნდა მომკვდარიყავ ბოიერი. და ვთხოვ ამა კომისიასა ჩემი ეს მოხსენება იყოს სხვას ჩემს მოხსენებასთან შეერთებული[1]).

---

[1]) ჩვენება ხელმოუწერავია.

ბარძიმ ამილახვარის ჩვენება (VI, 522).

„კომისასა შინა.

წარსულს 1831-სა წელსა აგვისტოს თვეში მოვიდა ჩვენს სოფელში პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი** და დადგა **თეიმურაზ ამილახვაროვთან,** იმ დღესვე საღამოზედ ვსთხოვე მას ჩაიზედ და მაშინ გამოჰყვა მას ხსენებული **თეიმურაზ;** როდესაც დავლიეთ ჩაი სახლში, მაშინ **თეიმურაზმა** დაიწყო ლაპარაკი, რომ პოლშაში ბუნტიაო და რუსის ჯარი მისულა და რომ აქვსთ ერთმანეთთანაო. მერე **გიორგიმ** სთქვა რომ ღმერთმა ნუ ქნას აქაც მოხდეს ბუნტიო, ქვეყანა აირევაო, მას უკან მე უთხარ იმათ, რომ მამაძაღლი პოლიაკები რას უზმენ ხელმწიფესა, როდესაც ამან სძლია და დაამარცხა ხონთქარი და ყაენი, კარგია ნურას ლაპარაკობთ, თქვენ გიჟები ხომ არა ხართ. შემდგომ ამისა მე შეველ შინ სახლში და როდესაც გამოველ მე, მაშინ კიდეც წავიდნენ თავიანთ სადგომში.

რადგან თავადმა **ბარძიმ ამილახვაროვმა** წერა არ იცოდა, იმის თხოვნით ხელს ვაწერ პოლკოვნიკი **სუმბათოვი.**

ბარძიმ ამილახვარის ჩვენება (IV, 522).

„ათას რვას ოცდა თორმეტსა არ მახსოვს რომელს თვესა და რიცხვში შეველი **ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვთან** მართალია ახლა მომაგონდა, და მითხრა **ალექსანდრემ ბატონიშვილის ალექსანდრეს** წიგნი მომივიდაო რადგანაც მე იმის ხელწერილს ვერ ვცნობდი და არც მენახა ჩემ დღეში ამოიღო და მიჩვენა ერთი პატარა ლურჯ ქაღალდზე დაწერილი ბარათი და წავიკითხე და მეასე მახსოვს ჩემის ხსომით რომ ასე ეწერა საქართველოს ველარ ვენდობიო ნე მეგონა ჩემს ფიქრში რომ იქნება გაკეთებული იყოს და ის ბარათი ისევ **ალექსანდრეს** მივეც დავსხედით და ვხუმრობდით ამ ხუმრობაში **თადია ჩოლაყაევი** შემოვიდა და ამოიღო ალექსანდრემ ის ბარათი და უჩვენა **თადია ჩოლაყაევი** ამ ხელწერილს იცნოფო **თადიამ** თქვა ვერ ვიცნოფო რადგანაც ვერ ვიცნობდი **ბატონიშვილის** წიგნსა ამისათვის უთხარ **თადიას** ბატონიშვილის წიგნი მოსვლია ამას და ის არის მეთქი და შენ უფრო იცნობ ამის ხელსა მაშინ წაიკითხა **თადიამ** და რომ წაიკითხა ესე თქვა ამისთანა ბარათებისა არა ვიცირა იქნებ აქ იყოს გაკეთებული და ის ბარათი ისევ **ალექსანდრეს ვახტანგის ძეს** მისცა ავდექით გამოვედით და ჩვენ-ჩვენს საქმეზე წავედით და მის მეტი არა მახსოვს რა და ერთი თათარიც მაჩვენა **ალექსანდრემ** რომ ეს იყო ბატონიშვილთანაო და არ ვიცი მართლა იყო ის თათარი თუ არა მე თათრული არ ვიცოდი და იმან ქართული და ესეც ასე, მახსოვს.

რომელიც უჩვენებიათ ამ კომისიისათვის როდესაც ვყოფილ-ვართ **ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანოვის** სახლში ბევრჯელ ვყოფილვართ **ჩოლაყაევი** მე **გიორგი** ჩემი ძმა და **ელიზბარ ერისთოვი** და მაშინ ვითომც **ელიზბარს ერისთოვს** და **გიორგი** ჩემს ძმას ელაპარაკნოთ, რომ **ოქროპირს ბატონიშვილს** და **ზავილეიციკის** მიწერ-მოწერა ქონდეთო ანგლიაში და ფრანციაში მე არც გამიგონია და არც ვიცი და თუ ილაპარაკეს სადმე არავიცირა შკითხავს ძე კომისია ათას რვას ოცდა თერთმეტში არ მახსოვს რომელს რიცხვში და მგონია დეკემბრის თვეში იყო და მე არ მახსოვს შინიდამ ქართლში მივდიოდი თუ ქართლიდამ შინ მივდიოდი მართალია ჭალას რომ მოვედი დამილამდა და შევედი ჩემს ბიძაშვლთან **ტასიასთან** რომელიც ყავს **ბარძიმის შვილს გივს**[1]) და მაშინ. იქ იყვნენ **ლევან** ჩემი ბიძაშვილი **დავით ჯორჯაძე** და **რაფიელიშვილი დავითი ერისთოვი** რომელსაც ცოლშვილი იქა ყავს თავის მოყვარეში. და ამ საგანზე არ მახსოვს რომ ჩვენ გველაპარაკნოს. რამე ავდექ მეორე დღეს და წამოვედი ამ საქმემ ასე განვლო.

პრაპორშჩიკი **თ. ბიძინა ერისთოვი**".

ანვრის იბ. ჩყლგ.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (IV, 549-551).

„კომისია იგინა:

1. წარსრულს 1832-ს წელს ივნისში მიგვიწოდეს რა ჩვენ ახმეტაში კნიაზ **ჩოლაყაევთა** ძმანი მონასტრისანი სხვათა თანა საძღვდელოთა აღსასრულებლად სამლოდისა ლიტურგიისა და მოსახსენებლად სულისა გარდაცვალებულისა ძმისა მათისა **გრიგოლისა**, მუნ ვიხილე მე სხვათა შორის მიწოდებულთ თავადთა **კნიაზი გიორგი ერისთოვი დავითის ძე**, რომელისაცა არა მქონდეს მე უწინარესი ცნობა არცა სმენით და არცა ხილვით, მან იწყო ჩემთან პატივსაცემითა მახლობელ ქცევა განაგრძელებდა ჩემთან საუბარს ფილოსოფიურთა და ღვთის მეტყველურთა ნივთთათვის, მე ვიხილე მის შორის სული ვითარცა მოხალისე ყოვლისა სწავლისა, და აქვნდა კეთილყურადღება, შევნიშნე რა მის შორის ვითარცა კეთილი ზნეობა მეცა განუგრძელე მას კეთილი დარიგება რაიცა საჭირო იყო ყმაწვილისა კაცისა ამ დროში, გარნა უპირველესი საგანი ჩემგან იმისის დარიგებისა იყო სიყვარული ღვთისა ერთგულება როსიულისა მთავრობისა, სიუყვარული კაცთა და წმინდათ დაცვა

---

[1]) ამოლახვარი.

თავისა თვისისა. შემდგომ ორისა ღამისა, და ერთისა დღისა წამოველ შინ და გამომყვა თან, და გზასა ზედა შემოიღო ლაპარაკი, და ვანსჯა სიყვარულისათვის სამღთოისა და მეგობრობისათვის, და განგრძელებასა შინა ამის საუბრისასა განმიცხადა რომ ჩვენს რავდენთამე გვამთა გვაქვსო ერთსული სიუყვარული, ყოველთვის ვცდილობთ რომ ყოველდღე შევიმატოთო კეთილი მეგობარი, და გვინდაო რომ გვქონდესო იმისთანა რაიმე კავშირი რომლითაც ჩვენ სიუკვდილამდე არ შეგვეძლოსო ერთმანეთის მოწორება, გარნა გვამნი იგი არა მითხრა, მოვაწიეთ რა სოფელს ქისტაურს რომელიც არის გზაზე, მიგვიწოდეს კნიაზ **ერისთოვთა**, და მუნ იყვ არხიმანდრიტი **სოფრონიოს,** იმის მიზეზით იმ ღამესაც იქ დავრჩით. იმ ღამეს კვალად განმიცხადა მე რომელ ჩვენ გვსურსო რომელ შეავადგინოთ ამისთანა საზოგადოება რომ ჩვენში ყველანი მხოლოდ ცდილობდნენო განათლებისათვის სწავლისათვის თავის დაცვისა, თვის კეთილ ზნეობასა ზედა, და სიყვარულისათვის ღვთისა და სხვა არასა, გარნა არა გვაქვსო რაიმე საფუძველი ანუ კანონი რომორ უნდა ვიყვენეთო, მან განალვიძა ჩემს შორის აზრი რომ მე აღუთქვი მას შეთხზვად ამისთანას აკტისა, მეორეს დილაზე მე წამოველ მონასტერში, და იგი დაშთა მუნ, მაშინვე მართლის გულით კიდეც უთხარ არხიმანდრიტს რომ ამათ ქონიათ ამისთანა საზოგადოება, რომელიც მხოლოდ არიან მცდელნი განათლებისათვის, და კეთილისა საქმისა, და მანაც მოიწონა.

2 შემდგომ აღთქმისამებრ ჩემისა კნიაზ **გიორგი ერისთოვთან** ვიწყე ფიქრვად, ვითარმე იყო საჭიროდ დადებად წესნი დაცვისათვის კეთილზნეობისა, დაცვისათვის სარწმუნოებისა და დაცვისათვის ხელმწიფის ერთგულებისა, დაუწერე მე იგი კანონები, რათცა არს სიტყვა ღვთისა, რაიცა—თვის ეყვის აღსრულებასა სამღთოისა სჯულისასა და ვუწოდე მას აკტი რათა ამით სახელითა უმეტეს ეხალისნთ წმინდათ ქცევა ყოფა, მას შინა შეცულ იყო ესენი პირველად რათა ყოველი თითოეული ყოფილიყო ყოველთვის პირდაუფერებელად შემწე სარწმუნოებისა რასაცა ასწავებს ჩვენი ბერძენთ ეკლესია, და ყოველივე სწამებოდათ მტკიცედ, შემდეგ რათა ყოფილიყვნენ ყველანი მტკიცედ მრწმუნებულნი რომელ ხემწიფენი ღვთისა მიერ განწესებულ არიან, და ყოფილიყვნენ დავიდრე სიუკდილადმდე ყოვლის ერთგულებით აღმასრულებელნი ყოვლისა ბაძნებისანი რასაცა უბრძანებდა მათ მთავრობა, და რათგანაც კანონი აკტისა იყო ძიება ურთიერთისა ბედნიერებისა ამის გამო უნდა სწამებოდათ მათ, რომელ ყოვლად უპირველესი წევრი

იმის აკტისა არს თვით ხემწიფე ვინათგან იგი ყოვლად უმაღლესად ეძიებს ბედნიერებასა და ყოველასა კეთილსა საზოგადოებისაჲსა, მესამედ რათა ყოფილიყვნენ წმინდისა და უბიწოისა სიყვარულითა ურთიერთისა ერთგულად მყვარებულნი, რათა თითოეულს ქონოდა თავი თავისი არა თავისა თვისისათვის არამედ ღვთისათვის და სარწმუნოებისა მეორედ მორჩილებისათვის ერთმთავრისა, და მესამედ წემწეობისათვის ურთიერთისა, და რათგან ყოველთვის საჭირო არს ყოველთა კაცთა დამტკიცება კეთილზნეობასა ზედა, ამისათვის დავდე მუნ რამდენიმე მუხლნი, სხვანი, რომლისაცა საშუალებითა მეგულებოდა მე დაპყრობად იგინი კეთილისა ქცევასა ღვთის და ხემწიფის სიუყვარულისა ზედა, უკეთუ ვინმე გარდახდებოდა, და იქმოდა უწესოსა რასმე იდუმალ რათა მოსულიყო ჩემ ცნობადმდე, ხოლო მაშინ რათა გამემართა მე იგი რომელისამე სულიერისა დარიგებითა ანუ სხვათა საშუალებითა: მას შინა შეცულიყო რომელ ნიშნავს აკტი კეთილ მოქმედებით განსხვავებელსა საზოგადრებასა:

3. ვუწოდე მა მას საიდუმლო ამისათვის რათა მას ქონოდა უმეტესი განმაღვიძებელი ძალი უკე თუ არა საიდუმლო გამოცხადებულისა არავინ არ ისურვებდა, რათა უმეტესად ხსოვებოდათ მათ რომელ იგინი არიან იმისთანანი ოდეს ეხილვათ ვინმე სხვა ზნემოშლილნი და ცუდად ბქცევი კაცი არა მიებაძა არამედ ყოველთვის გულში ქონოდათ მათ საიდუმლოდ რომელ იგინი არიან უმეტეს შეკრულნი და დაფიცებულნი ამით საიდუმლოებითა და აკტითა ყოვლისა კეთილისა საქმისა მოქმედებად, და კვალად რათა დაცულ იყვნენ იგინი რომელთამე ბოროტთა კაცთაგანთა უნებელად.

4 შემდგომ სამის კვირისა ამოირა მონასტერში **გიორგი ერისთოვმა** და მომთხოვა მე იგი თხუზულბეა, რომელიცა მივეცი მას. არ დაუგვიანია უმეტეს სამისა მინუტისა, და არც წაუკითხავს იქ მაგრამ დავარიგე დიდის ვედრებით, რათა ყოველი მოქმედება მათი ყოფილიყო თანახმა სამღთოისა მცნებისა და საამოვნო მთავრობისა, გარდა იმისა, ჩემ მიერ არცა სიტყვით და არცა წერილით არავისათვის მიმიცია არც შემიტყობინებია ვისთვის მე სხვისთვის და არც მიხილავს შემდგომ **გორგი ერისთოვი.**

5 რუსეთში მივსწერე უწინარეს სამის წლისა ორი წიგნი **ცარევიჩს მიხეილს** ერთი რომ ფეხის მოტეხა მისი გავიგონე და ვიკითხე ვითარება და სხვა არა რა მეორეში მივსწერე რათა დაეხატვინებინა მოსკოვში კარგი მხატვრისათვის ერთი ფერისცვალების

ხატი და შეეჭედინებინა ვერცხლით და რაც დაიხარჯებოდა მოეწერა ჩემთან რომ მიმერთმევინა და სხვა არარა. მესამე წიგნი მივსწერე ნიჟეგოროდის კნიაზ **იაგორ ალექსანდრევიჩს** სამძიმარი შვილის სიკვდილისა, მეოთხე წიგნი მივსწერე კიდენ **ნინო დედოფალს დადიანისას** ვარონეჟს რომ მე მსურდა რავდენსამე ხანს რუსეთის მონასტერში ყოფნა უმეტესისა რუსულის ენის სწავლისათვის და ესთხოვე რომ ეთხოვა ჩემი თავი ექზარხოსისათვის ესე მირჩია მე **როსტომ იოსელიანმა** და იმას მივეც არ ვიცი გაგზავნა თუ არა, საქართველოში არ მიყვარს მიწერ-მოწერა არავისთანა, და თუმცა მინიწერავს ვისთვისმე ლიტონი ბარათი საჭიროსა საქმისათვის შესაძლო არს გარდა ყოველივე არ მახსოვს თუ რომელი სად.

6 გიორგი დავითიჩს ერისთოვს მოეწერა ერთხელ ჩემთან, და მას შინა ეწერა **ალექსანდრე ორბელიანოვის** შეერთება თავის აკეტში, და მეც მივსწერე პასუხი რომ არ აჩქარებულიყო ცოტანი ყოფილიყვნენ და კეთილნი, კიდენ ეწერა ჯარში მივდივარო და მეც ურჩიე კარგი საქმე არის მეთქი, ოდესაც მოვიდა ჯარიდამ მას არ მოუწერია მე მივწერე და მიულოცე მშვიდობით მოსვლა და ვაბარჯვება, და მგონია რომ მოეწერა ივივე ადრინდელ წიგნში ესე რომ ფოჩტით წიგნს ნუ გამომიგზავნიო რომელიც კიდეც გამიკვირდა.

7 ქართულის წერის ანბანი შევადგინე ისევ 1820—ს წელში, ესრეთ რომელ უჩიტელი ჩემი მასწავლებელი ჩემდა ღრამატიკისა, ყოველთვის იტყოდა ხოლმე რომ ქართული მხედრული ასო არისო ძნელი საწერი, და ცუდი აქვსო ნაკვეთი, ჩვენ შაგირდობაში ვაკეთებდითო და კიდეც მიჩვენა შავი, მაგრამ ვერ მივეცით გულს მოდგინეობაო. ესე ყოველთვის მახსოვდა, ზემ, გომ გავშინჯე ბერძნული ლათინური და რუსული, რომ ყოველს ასოს მხედრულს და ეკლესიურს აქვსთ ერთმანეთის მსგავსება და არის ერთი მეორიდამ გადაღებული მიმსგავსებისამებრ მათისა მეცა შევადგინე ეკლესიურის და მხედრულის ასოსაგან, რომელიც იწერების ადვილად და აქვს ნაკთვნი მსგავსი რუსულისა და ლათინურისა, და ეს არ მომიგონია მე საიდუმლოსა რისათვის მე არამედ ვიცოდი მე უმეტეს ათისა წლისა, რომელიც ამგვარი ნაწერი ქადაგების ტექსტებით დარჩა კიდეც ნიჟეღოროდსკის ღუბერნსკის უპრავლენიაში სხვათა ქალალდთა თანა, ესე შევადგინე მე უმეტეს განათლებისათვის ქართულისა, და რათგანაც საქართველოში არავინ არის ბევრი მსურველი ქართულის ენის წარმატებისა მეც დავიწყებული შქონდა, მაგრამ მახსოვს რომ მივეცი კიდეც ერთ სკოლის შაგირდს

ვგონებ **ივანე აფხაზოვის** უმცროს შვილს ისევ 1823-ს წელში. არ ვიცი ისწავლა ვინმემ თუ არა, შემდგომ აღარ მომგონებია. რომ მესწავლებინა ან მიმეცა ვისთვისმე, მხოლოდ რომ პირველსავე ნახვაში პირველს ღამეს მანამ მე **გიორგი ერისთოვი** განმიცხადებდა მეგობრობას ჩამოაგდო ლაპარაკი ქართულის წერაზე, ვაშინ მამაგონდა და უჩვენე ის წერა დიდათ მოეწონა და მთხოვა ანაბანა დაუწერე და მეორეს დღეს თავადებთან ვსწერდით და ხედავდნენ ესეენიც, შემდგომ ამ წარსულის წლის ნოემბრის თვეში ვიყავ ალავერდის სობოროში იქაც რაღაცაზე მომაგონდა და ვაჩვენე არხიმანდრიტს **სოფრონს** და ბოლოს **დიონოსის** თუ წაიკითხავთ მეთქი დავწერე ორი სამი ლექსი და ერთის ნახვით წაიკითხეს კიდეც რადგანაც ძალიან მსგავსი არის ხუცურისა.

სადუმლოსა რისათვის მე არ მომიგონია და არც არავისთვის საიდუმლო რაიმე მიმიწერია, გარდა **გიორგის** სახალისოთ ის ორი წიგნი კი ამ ასოთი მივსწერე, და ისიც ამ ასოთი მწერდა; და ამ ასოთი არცარავისაგან მომსვლია გარდა **გიორგისა** წერილი რაიმე.

8 წინააღმდეგობისათვის პირის პირ რუსეთის მმართებლობისა, და გაყრისათვის რუსთასა საქართველოსაგან რომელსაცა კაშისია ესე მკითხავს მე სრულებით არარაი მსმენიეს არცა წარმომიდგომიეს გულის ხმის ყოფასა შინა არაოდეს, და მხოლოდ განსაკუთრებულ მექმნა მე ესე ვითარი გაგონება და სატირლად ესე კეთარი ჰაზრი უკეთუ ყოფილი ამა საქართველოისა შინა. რომელიცა აქამამდე არა ძალ მედვა გულის ხმის ყოფად, გარდა აწ რასაცა **შევნიშნავ** მე ამ ბოროტის ფიქრის გამოცხადებისა გამო რომელსამე ვამსაზედა, ალვიარებ:

იყო ერთი ეროშონახი სახელად **პორფირი** იგი იყო დიდს ხანს ნამსახური პეტერბუხს ცარევიჩებთან შემდეგ განწესდა ტფილისის ფერიცვალების მონასტერში, რომელიცა დროსა ხოლერისისა გარდაიცვალა ხოლერით, ჩვენ ორთავე კელია გვქონდა ერთად და ვსცხოვრობდით ერთმანეთთან შეთვისებით, იგი ხშირად მეტყოდა ხოლმე რომ შემდგომ მცირედისა ხანისა რუსნი აღარ იქნებიან საქართველოში, მე ამ სიტყვებს არც კი შევრაცხდი ღირსად გაგონებისა, შემდგომ ოდეს მე ვკითხე შენ როგორ იცი მეთქი იმან მომიგო მე ვიცი უთრთოთაო, მე ვეტყოდი ღმერთმან ნუ ჰყოს მეთქი და იგი წინააღმიდგებოდა გარნა ჩვენი საუბარი ისევ დასცხრებოდა ხუმარ სიტყვაობით:

შემდგომ მთხოვა მე იმან შეთხზვად რაიმე დაცემისათვის საქართველოისა მე ფული ბევრი მაქვს და დავაბეჭდინებო, მაიძულა

ბევრჯელ და შევთხზე დაცემისათვის საქართველოისა ალლიღორიებ პოემა ტრაღედიური, არა თუ აწინდელისათვის მდგომარეობისა არამედ დროისათვის ოდეს **მურვან ყრუმან** სპარსეთისამან სრულებით მოაოხრა იგი, ხოლო აწინდელისათვის მდგომარეობის იყო მადლობა როსიულისა მფარველობისა, და ყვედრება ქართველთ საზოგადოებისა რომელ მათ არ უწყიან გრძნობა ამისი, არამედ მხოლოდ ეძიებენ გემოთ მოყვარებასა, ესე იყო ორმოცი მუხლი, და ოდეს მივეც მას შავი და წარიკითხა გადმომიგდო და მითხრა მოშალეო ქება როსიისა მთავრობისაო, მე იგი არ მოვშალე და დაშთა შავი ესევ ჩემთან რომელიც ურევია უთოთ იმ ქაღალდებში რომელიც ახლა ჩემის სენაკიდამ აკრიფეს, შემდგომ მითხრა კიდევ არ დამიტევა შესთხზეო ერთი რამე წიგნი სიყვარულისათვის მამულისა, და გამოცხადეო რომ როგორი უბედურება არის სხვა მფლობელობაში ყოფაო, და მე ვიცი კაცი რომელიც ჯილდოდ ფულს მოგცემსო, ნართლა ვიწყე თხზვა არა თუ იმის აზრისაებრ, არამედ დავამტკიცე აქსიომებრ რომ სიყვარული მამულის არს სიყვარული და ერთგულება ხემწიფისა და უნდა ცნობილ იყოს ყოველთვინ, რომელ რაოდენ მცირედ მამული შეერთდების დიდსა სახელმწიფოსა ეგეოდენ ბედნიერ არს მცირე იგი მამული რამე თუ არა სარგებლობს დიდი მცირისაგან ეგოდენ რაოდენ სარგებლობს მცირეი დიდისაგან, ოდეს ნახა ესე დამიხია ზოგი და ზოგი დაშთა ისევ, და იგიც ვგონებ არის იმავე ქაღალდებში. კვალად ერთხელ ვახლდით **ოქროპირ ცარევიჩს** აქ, ტფილისში მე და ის **პორფირი** სადილათ მხოლოდ სამნი ვისხედით სტოლზე, მიბრძანა ცარევიჩმა რას დაფიქრებულხარო, თუ ხარისხი გინდაო ილოცე რომ ბაგრატიონი მეფედ იჯდესო, და მაშინვე არხიერად გაკურთხებთო, მე გავიცინე და ბოვახსენე, ვერ მოგატყუებ რომ ჩემს ლოცვას მაგოდენი ძალი ქონდეს რომ თქვენ მეფედ დაგსვათ მეთქი, არც ვითხოვ მაგას ღვთისაგან, და არც იქნება მეთქი. მხოლოდ დასრულდა ხუმრობაზე:

ხოლო დასასრულ ყოვლისა ამისა აღვიარებ მე წმინდითა სინიდისიტა წინაშე ცისა და ქვეყანისა, გადავშლი გულსა ჩემსა, წინაშე უსაბღოოებისადმი დიდისა ხელმწიფისა და წინაშე უსაყვარელეესისა ამის მთავრობისა, რათამცა იხილონ მათ ყოველი შინაგანი გულისა ჩემისა ვითარცა უწყის ღმერთმან, რომელ მე არაოდეს არცა საქმით, არცა სიტყვით და არცა ფიქრის მოგონებით, არაოდეს მოსრულ არს გულსა ჩემსა წინააღმდეგი რაიმე მთავრობისა და არცა შემძლებელ ვიყავ დარწმუნებად უკეთუ ესე შესაძ-

ლებელ იყო ვისგანმე მოგონებად კვალად საქართველოსა შინა, არამედ მე ყოველთვისაც ვიყავ მქადაგებელ და დამრიგებელ ყოვლისა კაცისა, რათა ყოველთა ქონოდათ სიყვარული კეთილ მოქმედებისა ამის მთავრობისა. და თუ ცალა გლახაკისაებრ ხარისხისა ჩემისა სხვითა ვერა რაითა შემძლებელ ვიყავ განმოჩინება შნაგანისა აღნთებულისა სიყვარულისა ჩემისა რუსთადმი, გარნა ვიხილავ რა ოდესმე თვით უკანისკნელსა ერთსა სალდათსა დამბალი გული ჩემი აწარმოებს სიყვარულისა ცრემლითა რომელ მე გლახაკი დაფარულ ვარ მოწამებრივთა სისხლთა მათთა ქვეშე ბედნიერად.

ზემო აღნიშნულთა ამათ აღვიარებ ჭეშმარიტებით ყოველთავე თვინიერ პირმოთნეობისა, არა ვითარცა კაცდანი, არამედ ვითარცა თვით მაღლისა ღვთისადმი უკეთუ რაიმე მოქმედება ჩემი ჩემის ნებით ანუ ფიქრით, ანუ შეტყობით ქმნილ იყოს წინაამღდეგად მთავრობისა, არა ვრაცხ თავსა ჩემსა ღირსად მოტევებისა, ხოლო უკეთუ მიუხვედრელობითა ჩემითა ზემოაღწერილთა ამათ შინა მოიპოებდეს რიმე წინააღმდეგი კანონისა, ამაზე შეუვედრები მოწყალებასა ღვთებრ დიდ სულისა სიყვარულისა ერთ მფავრისასა, რომლისაცა სახელისა მოგონება ესოდენ აბრწყინვებს გულსა ჩემსა ვითარცა სახელი თვით ქრისტეს ჩემისა იესოსი:

ყოვლად გლახაკი **იერომონახი ფილადელფოს**“...

1833-ს

იანვრის 12

ალ. ორბელიანის ჩვენება (IV, 559):

„კომისიასა შინა.

კომისიის კითხვასა ზედა მოხსენება. ეხლახანს ავათ რომ ვიყავ ფეხის ტკივილითა, ერთ სალამო ჟამზე ჩემთან იყვნენ **ბიძინა ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვი, თადია ჩოლაყაევიც** ჩემთან იყო, იმ ჟამად დაიწყეს ლაპარაკი განთავისუფლებისა და მაშინ **თადია ჩოლაყაევი** უმტკიცებდა ყოველთ და ამბობდა, არას დროს არ შეიძლებაო ჩვენი განთავისუფლებაო, და ვერც დავიცამთ ჩვენს ჭამულსაო, ბე მახსომს, 1812-სა წელსა რუსნი როგორი მებრძოლნი არიანო, და ღმერთმა ნუ ინებოს მე მაგისთანა ფიქრი რომ ვიფიქროო, ამის მეტი არამახსოვსრა, ამისათვის რომ ფეხი დიდათ მტკიოდა, და სიცხე ძლიერა მქონდა, და არც ის მახსოვს ვინ დაიწყო ლაპარაკი პირველად და ამა ავადმყოფობისა გამო მე არ მახსომს **რომ ზავილეიციკიზე** ან **ოქროპირ ბატოიშვილზე** ლაპარაკი იყო თუ არა. მეორე კომისია რომ მკითხავს, ვითამც ჩემთან **თადია ჩოლა-**

ყოვისათვის შარშან **ალექსანდრე ბატოიშვილის წიგნი** ეჩვენებინა **ბიძინა ერისთოვს და ბიძინა** ჩემზე ამბობს მას წიგნის ჩვენებისას მე ესე გარემობეა სრულებით არ მახსომს და არც ვიცი, და არც რა იმას ვგონებ რომ შარშან ეს აზრი სცოდნიყვეს **თადია ჩოლაყაევს.** როდესაც **ბატოიშვილს ალექსანდრეს** წიგნი რომ მოგვივიდა ლურჯ მცირეს ქალალდზედ იყო დაწერილი, და როდესაც წავიკითხე, მაშინვე წმინდათ დავხიე პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე** „12-ს" ინვარს. 1833-სა წელსა.

ალ. ორბელიანის ჩვენება (IV, 585).

„კომისიასა შინა.

ერთხელ ყოფილი ღუბერნტორად **ზავილეცკი** მოვიდა ის პოლნიტელის ექსპედიციაში, და **მეფე ვახტანგის** კანონი მოითხრა, და სოვეტნიკებს გვითხრა თუმცა აქ უწინ მეფობა ყოფილაო, შაგრამ ამ კანონის ძალით, სჩანს, რომ თავისუფლება ყოფილა აქ საქართველოშიო, მე მგონია სტაცკის სოვეტნიკის **ლავრილენკოს** დროს იყო ესე გარემოება, და სტაცკის სოვეტნიკი **რეზნიკოვიც** ამ ჟამად იქ იყო, ეს კი აღარ მახსომს გაზაფხული იყო თუ ზაფხული. იქნებოდა მეთერთეტე საათი, და საუცხოვო დღე იყო მეორე, მრავალჯერ გამიგონია **თ-ის იასე ფალავანდოვისაგან,** როდესაც **ზავილეცკი** უმცროსი ძნა ამასთან იდგა, ვითომც იმ **ზავილეიცკის** ძმას ეთქო **იასესთვის** რომ ჩემს ძმას **პეტრ დემინოვიჩსაო** პლანი ჰქონდაო, ოდესცა აქ აღრეულობა მოხდეს სიმაგრეები სადა და სად მოხდეს ქართველთათვისაო, ეს საქმე ვგონებ, ჩემს ამხანაგებსაც გაეგონოს როდისმე. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.**" 1833 წ. 13 იანვარს.

თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება (IV, 595).

„თუმცა **ალექსანდრემ ორბელიანოვმან** მითხრა რაც აზრი ქონდათ დაწყობილობისა, ის მივიჩნიე მე ხუმრობით და არა მართლად, იმას არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის მე ცოლშვილით აქ არ დავდგებიო. რადგანაც ეს ასრე არის შაწუხებული იყო მე იმის ლაპარაკი არათ მივიღე, და რადგანაც ჭეშმარიტი ვერა ვნახერა იმის ლაპარაკში იმიტომ ვერ მოვახსენე მართებლობასა და რით დმემტკიცებინა, და იმ დროს როდესაც **იასესთან** ავედით მაშინ **იასეს** დაუჭირა ხელი და პატარა ოთახში შაიყვანა და მე გამიშვა ზალაში და რას შევიტყობდი და არ დამისწრო ლაპარაკში; და ეა-

მტკიცებლად ამისა არ გავგაზნილი პახოდში ჩემს ძმას. რომელმა-ცა სისხლი დანთხია ხელმწიფის ერთგულობისათვის, და მეორეც ჩემი ძმა ახალციხის აღებაში შესწირა თავი ერთგულობისათვის და მესამე ძმა ჩემი იყო სამხედროს სამსახურში და ისიც არი დაჭ-რილი და მეც მიმსახურნია სპერსეთის ომებში და მიმიღია ხელმ-წიფის მოწყალება: ჩინი და ამის მიმხედველი რათ ვიქნებოდი ორ-გული და ან სად მექმნებოდა ადგილი: და ან რათ დაიხოცებოდნენ ერთგულობისათვის თავის ხელმწიფისათვის თუ ერთგულნი არ ვყოფილიყავით ჩემი ძმები და მოველოდით ყოველთვის ხელმწი-ფის მოწყალებასა ჩვენის ერთგულობისათვის; და ჩემთვის მიზეზი არა მოუციარა მართებლობასა და რომ მე იმითი ვყოფილიყავ წინა-ალმდეგი: და ვისაც უთხარ ამისთვის ეგების იმათაც დაემტკიცები-ნათ—**ალექსანდრემ** ჩვენც გვითხრაო ეგების მაშინ სწორე შამეტყო რომელიცა ჩემთვის ეთქვა პოლშის აღრეულობისა დროს და მა-შინ გამომეცხადებინა მთავარმართებელთან და თუ ჩემთან ნდობა ქონდათ ამ ზაფხულ სამი თვე ვიყავ ქალაქში რატომ ვერაფინ გა-მიბედა მაგრამ ჩემი ეშინოდათ გაგვცემსო და რას მეტყოდნენ და მაშინ **ალექსანდრემაც** ამისთვის გამიბედა. მარტოკა შემამხვდა და მითხრა ამ მიზეზით მითხრა მარტო თუ გამცემსო რით დამიმ-ტკიცებსო მარტოკანი ვართო და ჩვენი დაწერილობა არ იცისო მა-გრამ რაკი **ალექსანდრემ** მითხრა ყოველთვის ვცდილობდი რომ სწორე შემეტყო მაგრამ ყველანი მიმალავდნენ თუმცა ზოგიერთი თავადთაგანთა ქონდათ ლაპარაკი ჩემთან ყველას პოლშას აღრეუ-ლობაზე ძალიან ყავთო შეწუხებულნი რუსეთი ამაზედ მეტს არას იტყოდნენ და თავიანთ დაწყობილობას მიმალავდნენ: და მე ვერას ვხედავდი აღშფოთებისასა რომ მაშინვე გამამეცხადებინა სადაც ჯერ იყო და მისთვის ვხედავ თავსა ჩემსა მართლიად და გავბედავ მოვახსენო კამისიას მიხედვისამებრ სიმართლისა ჩემისა ქმნას ჯე-როვანი განკარგულებაი ამა კამისიას ვთხოვ უწინდელსა ჩემს კი-თხვებთან შეერთდეს ესეცა: თ. პრაპორშჩიკი **თეიმურაზ ამილახვა-როვი**").

ლევან ერისთავის ჩვენება (IV.599-600).[1])

„შარშან წინ საშობაოთ ზამთარში **ბიძინა** და მე ვიყავით დუ-შეთს და მე ჩემ საქმეზე ვიყავ და იქიდან რომ წამოვედით მე და **ბიძინას** ერთი გზა გვქონდა და ერთად წამოვედით გზაზე ცხენები-

[1]) მიღებულია კომისიაში იანვრის 14-ს 1833 წ.

დან ჩამოვხტით და ბიჭებს ცხენები ეჭირათ და ჩვენ ეთრად მოვ-
დიოდით და მაშინ მითხრა **ბიძინამ** მე არაფერი არ ვიცოდი ერთი
საიდუმლო სიტყვა მაქვსო მე უთხარი რა არის მეთქი იმან მითხრა
ძალიან საიდუმლო არისო მე უთხარ თუ მაგისთანა არის ნუ მეტყვი
მეთქი იმან მითხრა ჩვენ ბუნტს ვეპირებითო და **ალექსანდრე ბა-
ტონიშვილთან** წიგნი არის გაგზავნილიო ამ საქმეზედაო და ის კი
არ მიკითხავს ვინ გაგზავნა და არც იმან მითხრა მე უთხარ გიჟური
ჭკუა არის მეთქი მე რა შემიძლიან მეთქი იმან მითხრა ჩვენ სხვა-
ნაირათ დავიჭერთ საქმესაო მე უთხარ მე არ ვიცი თქვენი ნება
არის მეთქი მე ჩემს სახლში წაველ და ის თავის სახლში დარჩა
მასკვან გავიდა ბევრი დრო და მე და ჩემი სიძე **ჯორჯაძე დავით**
ზაფხულში მივდიოდით გერისთობას ჭალას მივედით **ბარძიმ ამი-
ლახვარისას** ჩაის ვსვამდით ბალკონზე **და გიორგი დავითის ძე ერის-
თოვი** ამოვიდა ჩვენთან და ჩაი დალია თავადიშვილებს ელაპარა-
კებოდა მერე ჩემთან მოვდა და მითხრა ბუნტს ვეპირებითო მე
უთხარ ბიჭო ჩვენ რა შეგვიძლიან მეთქი როგორ იქნება მეთქი იმან
მითხრა მარტო ჩვენ ხომ არ ვიქნებითო პოლშაც ეჩხუბებაო მე
უთხარ თქვენი ნება არის მეთქი თქვენ რაც გინდა ქენით მე არ ვი-
ცი მეთქი გაბრუნდა და წავიდა და თავადიშვილებს დაუწყო ლაპა-
რაკი ის კი არ ვიცი რას ელაპარაკებოდა არ მახსოვს სახელდობრივ
რომელნიც იყვნენ დ რაც მე მახსოვს ესენი იყვნენ ერთი თითონ
გიორგი იყო **დავითის ძე ერისთოვი** ერთი **თეიმურაზ ამელახვაროვი**
ერთი **დავით ჯორჯაძე** ერთი **გივი ამილხავაროვი** მას
უკან გერისთობას[1]) წავედით და ჩემთვის აღარავის არ უთქვამს.
შარშან გერისთობას **ბიძინამ** მითხრა **ლევან** იმ საქმისას რას ვაპი-
რებთო მე უთხარ ის საქმე არ შეიძლება მეთქი რაც გინდათ ქენით
მეთქი გავიდა ხანი და სამი თვე იქნება ქალაქში ჩამოველ ბრიჩკა
დავიჭირე დედა ავათ მყავდა მინდოდა ჩამომეყვანა **ბიძინა** შემო-
მეყარ ასასამართლოებს ზემოდამ და მითხრა წამოდი **ალექსანდრე**
ვნახოთო წავედით **გიორგისთან ბიძინას** ძმასთან შევედით და **გიო-
რგიმ**[2]) მითხრა **ალექსანდრეს**[3]) ვნახოთო შევედით და ვნახეთ **ალე-
ქსანდრეს** მითხრა ჩვენ ბუნტს ვაპირებთო მე უთხარი მე რა მოგახ-
სენოთ მეთქი მასკვან მკითხა იმერეთში ნათესავები გყავსო მე
უთხარ მყავს მეთქი იქნება იმერეთმა იბუნტოსო და უთხარ არ ვი-
ცი იბუნტებენ თუ არა მეთქი დაათავა ლაპარაკი და გამოველ მე-

---

[1]) დღეობაა არბოში.
[2]) ერისთავი.
[3]) ორბელიანი.

სამეს დღეს შინ წაკელ და ავათმყოფი დედა ჩამოვიყვანე ალარაკის მასკვან ჩემთვის ალარა უთქვამს რა როდესაც მე ბრიჭკა ბიმჭონდა შინ და **ალექსანდრემ ორბელიანოვმა** მითხრა ის საქმე მაშინ ჩემი ძიე **გივი ამილახვაროვი** ჩამოვიდა აქ თავის საქმეზე და მე უთხარ **ალექსანდრემ** და **ბიძინამ** კიდევ განიმეორეს ის საქმე მეთქი და მითხრეს ნეთქი არ ვიცი რას გადამკიდებიან მეთქი იმან დამიშალა რა შენი საქმე არის მაგ საქმეში გახვევაო მე უთხარ მართალია მეუბნებიან მაგრამ ღმერთმა დამიფაროს ამ საქმეში გარევა მეთქი და ამ გივმა **ამილახვაროვმა** ამით იცოდა ეს საქმე რომ როდესაც **გიორგი დავითის ძე ერისთოვმა** დამიწყო **ბარძიმის** სახლში ლაპარაკი მაშინ ისიც ჩემთან ახლოს იდგა ამ წარსულს ზაფხულში ბორის უეზდში ვიყავ და დუშეთის უეზდში მოსულიყო ბძანება და ჯარი მოეთხოვნათ და გამოვიდა ისპრავნიკის ბძანება უნდა წამოხვიდეთ წაველ დუშეთის უეზდში და **ბიძინა და ელიზბარ** და დივანბეგი **ზურაბ კობიევი** და მე წამოვედით ჯარით ფოშტამდი და იქ ისპრავნიკი ბძანდებოდა და ჯარი ჩავიყვანეთ იქ ისპრავნიკმა უთხრა **ელიზბარს** და **ბიძინას** რომელსაც ვნებავთ ჯარს ვჰყვეთო იმათ უარი უთხრეს და მერმე მიბრძანა ნე უთხარ მე ხელმწიფის სამსახურზედ უარი არ შეწიძლიან მეთქი დიახ წავალ მეთქი მაშინ ჯარი ჩამაბარა და წამოვყევ ჯარს და წამოველ როდესაც ნოვდიოდი **ბიძინა** შინ მიდიოდა და მე უთხარ მშვიდობით ნეთქი იმანაც მითხრა მშვიდობითაო მაგრამ სანამდინ შენ მოხვალ მანამდი ჩვენ აქ მოვახდენთ ჩხუბსაო მე უთხარ მშვიდობით მე მივდივარ ხელმწიფის მსახურებად ჯარში და თქვენ რაც გინდა ქენით მეთქი წამოვიყვანე ჯარი და ქალაქში ჩამოვიყვანე და საათ მიბრძანებ წავიდეთ მეთქი იმან ნიბრძანა მადლობა და ისევ დამითხოვა შინ ჩემის უცოდინარობით ყმაწვილობით და მოუცლელობით ვერ მოვიფიქრე რომ გამომეცხადებინა მთავრობისათვის იმათი ადრინდელი ნალაპარაკევი. პრაპორჩიკი თავადი **ლევან ერისთოვი**".

ზაქარია ციციშვილის ჩვენება (IV, 603).

ჩყლა წელსა თიბათვის თვეში არ მახსოვს რომელ დღეს შუადღის დროს მოვიდა ჩემთან **გიორგი ერისთოვი** და მითხოვა დღეს ბადილათ სოვეტნიკმა **ალექსანდრემ ორბელიანოვმა** დაგპატიჟაო მე პასუხათ მივეცი წუხელის **ლუარსაბ თარხანოვი** ჩამოვიდა ჩემთან დგას მეთქი იმას ვერ გაუშვებ მითხრა ეგეც თან წამოიყვანეო სთხოვა **გიორგი დავითის ძემ ერისთოვმა ლუარსაბს** და წამომყვა წავედით ერთად მივედით ბაღში **ალექსანდრე ორბელიანოვი თა-**

ვის უნცროსი ძმით **ელიზბარ ერისთოვი, ალექსანდრე ორბელიანოვი** თავის უნცროსი ძმით **ელიზბარ ერისთოვი, ალექსანდრე ორბელიანოვი იოსებ მაშაცოვი გიორგი ერისთოვი** მე და **ლუარსაბ თარხანოვი** დავსხედით სადილი ვჭამეთ სადილს უკან კაკალს ქვეშ დავსხედით **ელიზბარ ერისთოვმა** მოყვა რუსები რომ ასე გვაწუხებენ რატომ არას ვიზრუნვებთო ყმას გვართმევენ და მამულსაო ერთი პირი შევკრათო რამეო მერე სოკენტნიკმა **ალექსანდრემ ორბელიანმა** სთქო მე კაცს ვიშოვნიო **ალექსანდრე ბატონიშვილთან** გავგზავნიო შემწეობას მოგვცემსო ამ თქმის შემდეგ ადგა **ლარსაბ თარხანოვი** მითხრა წავიდეთო წამოვედით რომ პატარა ადგილი გამოვიარეთ **თარხანოვმა** დაუძახა **ალექსანდრე გიორგის ძეს ორბელიანოვს** უთხრა თუ ღმერთი გწამს ურჩიეო **ელიზბარ ერისთოვსაო** აღარ ილაპარაკოს მაგვარიო სწორეთ დასაბმელს ვიყენ გაწსო ჩამოვედით მერე მითხრა მე ხომ ღმერთმა დამიფაროსო მაგათთან აღარ გავიარო და შენც გაფიცებ ყოვლად შემძლებელ ღმერთსა რომ შენც აღარ მიხვიდეო ის დღე არის რომ მე იმათთან აღარ გამივლია და აღარც რაიმე ვიცი იმათი მე მართებდა რომ ნაშინვე მაღალ მთავრობასთან გამომეცხადებინა მაგრამ შევსცდი რომ ვერ გმოვაცხადე იმათი ლაპარაკი და იმ ბაღს შემდეგ თუ მე იმათთან ლაპარაკი იმ საგანზედ მქონდა რამე აწერილი ან ერთად ყოფნა და ლაპარაკი მაშინ ვიქნები მღვთისაც და ხელმწიფის ორგული.

პრაპორშჩიკი **თ. ზაქარია ციციანოვი**".

იანვრის 14 დღესა

წყლგ წელსა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი განმარტება (V, 627-630)

1833 წლის იანვრის 15 გამომეცხადა მე საგამომძიებლო კომისიის მიერ ზოგიერთ იმ პირების ჩვენებები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შეთქმულებაში საქართველოდან რუსების გაძევების რომ ისახავდა მიზნად, და ამ ჩვენებებში აღნიშნულია რომ თითქოს მეც ვიღებდი ამ შეთქმულებაში მონაწილეობას; ამის შესახებ მაქვს პატივი განვმარტო:

1-ლი. გვარდიის კაპიტან **თ. ჩოლაყაევთან** საუბარი მაიორ **ო. ლუარსაბ ორბელიანოვის** თანადასწრებით შემდეგში მდგომარეობდა: აღნიშნული **თ. ჩოლაყაევი** ჩემი ცოლის ბიძაშვილია, რომელიც მას დიდი ხანია არ ენახა, ჩვენი კახეთიდან დაბრუნების შემდეგ ის აქ დაგვხვდა. მე არ შემეძლო არ გავკვირვებულიყავ, რომ მან გაუშვა ორი კვირა და არ ინახულა თავისი და, მით უმეტეს მი-

ნდოდა მისი ნახვა, რომ მქონდა მასთან სადავო საქმე პირადად კახეთში მთების გამო, რის შესახებაც მინდოდა მას შინაურულად მოვრიგებოდი. ამასთანავე მესმოდა **თ. ლ. ორბელიანოვისაგან**, რომ **თ. ჩოლაყაევს** ჩემი ნახვა უნდოდა. ბოლოს მოვიდნენ ისინი ჩემთან საღამოს 7 საათზე, როდესაც ჩვენთან რამოდენიმე კაცი იყო სტუმარი. **თ. ელ. ერისთოვიც** იყო იმ საღამოს ჩემთან, მაგრამ არ მახსოვს, ამ თავადების მოსვლას დაესწრო თუ არა, **თ. ჩოლაყაევსა** და **თ. ლ. ორბელიანოვს** ვეხოვე შევსულიყავით ცალკე ოთახში და **ლუარსაბს** ხუმრობით უთხარი ყოფილიყო ჩვენი შუამავალი. მე მას უთხარი ჩემი წინადადება სადავო მთების შესახებ, რაზედაც ის დამეთანხმა. მერე ჩვენი საუბარი შეეხო იმ ბოროტმოქმედებებს, რომლებიც მაზრებში ხდება; მე მას უმტკიცებდი, რომ ეს მთავრობას უნდა ეცნობოს მეთქი, რომ ამ საგანზე ბევრი სხვაც მყავს მომზადებული, რათა გუბერნიის წინამძღოლის საშუალებით ვაცნობოთ მთავარმართებელს ყველა ის გადასახადები, რომლებიც ხალხს მძიმე ტვირთად აწვება, ვეუბნებოდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოველოდეთ დიდ უსიამოვნებას, რადგან, როგორც მე ვიცი, კახეთში ხალხი ძლიერ არის შეშფოთებული გადასახადებითა და მოდარაჯეთა შენახვით, რის გამოც ვალებში იხრჩობიან, რომ ღმერთმა დაიფაროს კიდევ აჯანყებამდე რომ მიდგეს საქმე, რაც ძალიან საშიშია, რომ რუსეთს, რომელსაც, დღემდე ჩვენგან სრულებით არავითარი სარგებლობა არა აქვს არ მოვბეზრდეთ და არ მიგვატოვოს მეთქი, საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობა ყველასათვის ცხადია, რუსეთის დახმარების გარეშე, მისი მეზობლები მას აღგვიდნენ პირისაგან მიწისა. ამაზე **თ. ჩოლაყაევმა** მიპასუხა, რომ თუ კი უწინ არსებობდა საქართველო, ეხლა რატო ველარ შესძლებს თავის დაჭერასაო, უწინ უფრო მეტად იყო განათლებული, ვიდრე ეხლაო? მე უპასუხე ამ უკანასკნელ სიტყვებზე, რომ ჩვენი მეზობლების ძალები ეხლა ის აღარ არის, რაც წინად იყო და თვით საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა რომ ავიღოთ, ვერც კი უწოდებ მას არსებობას. ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ გამოვედით ოქიდან, განუმეორე რა ჩემი თხოვნა წინანდელ საქმეზე. ამის შემდეგ მე **თ. ჩოლაყაევი** აღარ მინახავს. მთელი ჩვენი საუბარი გაგრძელდა არა უმეტეს 5 ან 7 წუთისა. ამაზე უწინ კი ის იყო ჩვენთან ერთხელ სანახავად როგორც ეხლა მაგონდება.

2. ყოფ. სოვეტნიკ **თ. ალ. ორბელიანოვს** სრულებით არაფერი უთქვამს ჩემთვის არასოდეს არც საქართველოს მდგომარეობაზე, არც არავითარ საერთო საქმეზე და მისი ჩვენება, რომ თითქოს მე

18 [1]) გოზალიშვილი 1832 წ. შეთქმულება.

უთხარი მას, რათა მან შეასრულოს ხოლმე **ლუკრსაბის** ბრძანება, ყოვლად უსაფუძვლოა.

3. **თ. ალ. ორბელიანოვს** არასოდეს **ალექსანდრე ბატონიშვილის** შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს და არც არასოდეს მთავრობის საწინააღმდეგო განზრახვები გაუმხელია ჩემთვის.

4. **ოქროპირ ბატონიშვილი** რომ ტფილისში იყო, მე ერთხელ ვიყავი მასთან, მაგრამ არავითარი ურთიერთობა კი არა ნქონია, რაც შეეხება მის მითითებას, რომ მე მათთვის წამებული ვარ, მას შეეძლო დაჰყრდნობოდა ჩემს ახალგაზრდობის სისულელეს, რადგან თექვსმეტი წლისა ვიყავი მაშინ და ბევრი მკიცხავდნენ, რომ ძე არა ვარ ერთგული აქაური სამეფო სახლისა, რომლისაგანაც ჩვენი გვარი დიდად დავალებულია. ასეთ შთაგონებათაგან მოხიბლულმა გადავწყვიტე გავყოლოდი **ფარნავაზ ბატონიშვილს სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან;** საბედნიეროდ გზაში დამიჭირეს და რუსეთში გამგზავნეს, განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა შემიწყალა და მამა ჩემის დამსახურებათა საპატივსაცემოდ მიმცეს პირდაპირ კამერ-პაჟად პაჟთა კორპუსში, იქიდან გამომიშვეს გვარდიის პოდპორუჩიკად და იმ დროიდან მოკიდებული ამ წუთამდის სამსახურე და ყოფაქცევა ჩემი, როგორც პატიოსანი ადამიანისა, ყოველთვის დამყარებული იყო რუსეთის ტახტისა და იმპერატორისთვის შეურყევლად თავდადებული ადამიანის სახელმწიფო მოვალეობაზე; ამ აღნიშნული გარემოების გარდა, არც ერთ ქართველ ბატონიშვილს ან სხვა ვისმე, სხვა არავითარი მიზეზი არ ჰქონდა მე რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილად წარმოვედგინე, იმ მთავრობისა, რომლის ერთგული ვარ არა მხოლოდ იმ წოდებითა და დიდებით, რომელიც მქონდა ბედნიერება დამემსახურებინა, არამედ ყველა ეს სიკეთე, რომ მომაკლდეს, მაშინაც მისი ერთგული დავრჩები, რადგან ფიცი ამას მავალებს.

5. **თ. ლ. ორბელიანოვი** ჯერ ისევ 1831 წელს მელაპარაკებოდა განცვიფრებით იმ შეეიწროებაზე, რომელსაც აქაური მემამულენი განიცდიან, როგორც მაგ. **თ. ერისთოვთათვის** მამულების ნაწილის ჩემორთმევა, **თ. ორბელიანოვების** ასეთივე ნაწილის სადავოდ გახდომა, რაზედაც ნე უპასუხე, რომ ბოროტმოქმედება ყველგან ხდება და რომ ის უნდა აღიკვეთოს მთავრობის საშუალებით. ამის მეტი მთავრობის შესახებ მას ჩემთვის არაფერი უთქვამს.

6. რაც შეეხება იერომონახ **ფილადელფოს კიკნაძეს,** თუმცა ნე მასთან ნაცნობობა მქონდა, მაგრამ მისგან არა თუ რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი გამიგონია, არამედ მისი სიტყვე-

ბიდან მე ვასკვნიდი, რომ ის რუსების დიდი მალმერთებელი იყო. მან მომიტანა სოფელში 1832 წლის გაზეთულზე რამოდენიმე რვეული, რომლებიც მე არ წამიკითხავს, იგი მათ ასტრონომიულ თარგმნებს უწოდებდა; ჩემგან წაიღო მან რამოდენიმე ლექსი ვადასაწერად. საიდუმლო მეგობრობის შესახებ აკტი კი-არ წამიკითხავს და ეხლა პირველად მესმის იგი; არც მისი სხვა თხზულებები წამიკითხავს და არც ვიცი მოხსენებულის გარდა. ის ერთხელ უწინაც იყო ჩემთან სრულიად უსაქმოდ.

7. დაპატიმრებულთაგან მე არავისთან არ მილაპარაკნია: პრაპორშჩ. **თ. დიმიტრი ორბელიანოვი** ამა იანვრის 13-ს იყო ჩემთან თავისი ცოლით და თქვა, რომ მთავარმართებელი ეკითხებოდა ‘ას რამოდენიმეჯერ, რომ უთხრას მას, თუ რამე იცის ზემოაღნიშნულ განზრახულებაზე, მაგრამ მას უთქვამს, რომ არაფერი იცის. ამის გარდა მე მისგან ამ საქმეზე არასოდეს არაფერი გამიგონია.

8. პრაპ. **გიორგი დავითის ძე ერისთოვი** უკმაყოფილო მიამბობდა, რომ თითქოს მისი ბიძა **თ. გიორგი იასეს ძე ერისთოვი** ეკითხებოდა მთავარ მართებელს, მას ხომ არ გაუცია დაპატიმრებულნიო და რომ ამის გამო გენერალმა მოსთხოვა მას ეთქვა ყველაფერი, რაც ამ საქმეზე იცოდა, და რომ მან ფიცით დაარწმუნა გენერალი, რომ არაფერი იცის. ანის მეტი მას ჩემთვის არაფერი უთქვამს დაპატიმრებულ თავადებზე, თუ როგორ გაბედეს მათ მთავრობის წინააღმდეგ ფიქრი.

გენერალ - მაიორი **თ. ჭავჭავაძე**".

თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება (IV, 639[1]).

„როდესაც **გიორგი ერისთვიშვილი დავითის** ძე მოვიდა ჩვენს სოფელში ჭალასა სამკლის დრო იყო, როდესაც პოლშა იყო აღრეულობაშია. და დაგვპატიჟა ჩაიზედ **ივანე ნიკოლოზის ძემ ამილახვაროვმან,** მე გახლდი ჩემის ძმით რომელიც ‘ასა უკანასკნელს პერიოდში ხელმწიფის ერთგულებისათვის დასთხოვა სისხლი **გიორგი ერისთოვი** და ჩემ სახლს კაცი **ბარძიმ ამილახვაროვი** და მისი შვილი **გივი** და სხვა კაცი არავინ მახსოვს მგონია არც არავინ იყო. ჩვენ მოვყეკით ჩვენ ‘ბამულიანი ‘ოსავალ‘ ‘ ‘

არ მახსოვს სახელი იმ ქალაქებისა. როგორც მე მახსვამს იმ ჩაის დალევის დროს ამის მეტი სხვა ლაპარაკი არა ყოფილა რა. მე ადრინდელს ჩემს კითხვაში გამოვაცხადებდი რომელიც ყველა ჭეშმარიტებით მიჩვენებია თუ რამ წინაალმდეგ გამეგონოს რამ მართებლობისა არ დავფარავდი ამასაც.

როგორათაც ახლა მამაგონდა შგონია ამ ჩაის დალევის შემდგომ იყო ქალაქს **ივანე ნიკოლოზის ძე ამილახვაროვი** და ახალი მოსული ქალაქიდგან მე დავდიოდი ჩვენს სოფელში ჭალაში ჩემს საკუთარს საქმეზედ. იმ დროს შემხვდა **ივანე ამილახვაროვი** და მითხრა ასე **არ** იცი რა ამბავია მე განკვირვებით უთხარ რა უნდა ვიცოდე მეთქი: იმან მითხრა მე **ხარაჯოვის** სახლში ვიდექ და იქ **დაიარებოდა ივან კარლიჩ დეპნერთან** მარშალი **დიმიტრი ორბელიანოვი** და იმან მითხრა პოლშას ძალიან შეუწუხებია რუსეთიო და აქაც ვაწყობთ საქმეს რომ აქაც მოვახდინოთ რამეო: მე ვკითხე მარტოკა გითხრა თუ ვისთანმე იმან მითხრა მარტო მელაპარაკა: და ეს **დიმიტრის ორბელიანოვის** ლაპარაკი **ბარძიმ ამილახვართოვთანაც** ილაპარაკა და რადგანაც ამ ლაპარაკში მოწამეთ უცხო კაცი არავინ დაგვესწრა და არც დავიჯერე ამისი ლაპარაკი და მის მიზეზით დავიდუმე.

მაქვს პატივი მოვახსენო ამა კამისიასა სიმართლით რომ რაც მიჩვენებია უწინდელს ჩვენებაში და ამაშიაც გარდა ამისა მე აღარა უწყი რამ და არცარა დამიფარავს. და უკეთუ ჩემზედ სთქვან ვინმე რაძე გარდა ჩემის ჩვენების მაშინ იბრძანოს ამა კამისიისაგან მან პირდაპირ მიპასუხოს მე: და რადგანაც ჩემში არა ვგრძნობ მაქს იმედი გავიმართლო თავი ჩემი.

თ. პრაპორშჩიკი **თეიმურაზ ამილახვაროვი**".

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (IV, 671)

„ცნობაი მათის ბრწყინვალებისა, ღენერალის **ალექსანდრე ჭავჭავაძისა** მაქვს დიდი ხნით ამა შემთხვეულებისა გამო, რომ ვიყავ და ვმსახურობდი ქისიყს ხირსის მონასტრის არხიმანდრიტს **ნიკიფორესთან, ალექსანდრე ჭავჭავაძე** არის სიძე არხიმანდრიტის **ნიკიფორესი**, ამისათვის შემთხვეულებისამებრ მოვიდოდა იგი მასთან, და მნახავდნენ მეცა იქ და მიბრძანებდა მოწყალებისა სიტყვასა, შემდგომ ყოველთვის მაქვნდა პატივცემული ცნობა, გარნა წერილობითი საუბარი არა მქონიეს ადრე მასთან, მხოლოდ რომ 1819-ს წელსა აღმოვსწერე წმინდათა ცხოვრებიდამ ცხოვრება წმინდისა, ქალწულ მოწამისა მარინასი. და მივართვი ქიზიყიდამ დედასა მის-

სა **მარიამს.** რომლისათვისაცა ებძანებინა წერილობითი მადლობა. გარდა ამისა არა მქონიეს მასთან სხვა მიწერ-მოწერა; წარსულს 1832-ს წელსა ვიყავ მასთან შემთხვეულებისა ამისთვის, რომელ ვთხოულობდი სამონასტროდ პურს, გარნა ენიაზი არ იყო შინ და არც მინახავს. 1832 წელს გაზაფხულზე ვიახელ მას კვალადაცა სათხოვნელად სამონასტროდ ღვინისა, მაშინ შინ ბრძანდებოდა ვახლდი ერთს ღამეს, მაშინ იმის სახლიდამ წამოვიღე გასასინჯად ძველი ქართული გლობუსი და სხვა მათემათიკის იარაღები, შემდგომ მეც მქონდა ერთი ძველი წიგნი ქართული, მათემათიკური მრიცხველობა, რომელიც მეც არ ვიცოდი რა იყო ის გადავსწერე და მივართვი მეცა სანახავად, და მასთან ვსთხოვე მცირედი კარგი ღვინო, ღვინოც ებოძებინა და პასუხიც მიეწერა მადლობა წიგნისა, შემდგომ წარსულს აგვისტოში ვიახელ, ერთს ღამეს ვახლდი, და წამოველ დილაზე ამის მეტი მცნობელობა ანუ მიწერ მოწერა მასთან არა რაი მქონიეს არცა სხვა რაიმე საუბარი.

ტარასი მღვდელ მონაზონისა, არა მქონიეს ცნობა რომ მოეწერა ერთხელ წიგნი შუამთის მონასტრის იერომონახ **ქრისტეფორესთან,** და მას შინა მოვეკითხნე მეცა, გარნა სიტყვით მაიძულა მე ერთმა არქიმანდრიტის **სოფრონის** მსახურმა დიაჩოქმა **ზაქარიამ** რომ **ტარასიმ** გთხოვაო ერთი წიგნი მომწეროსო. და შემდგომ მე მივსწერო, მივსწერე ერთი წიგნი, რა იმას შინა ეწერა არ მახსოვს რასაკვირველია რაც შვენის პირველს გაცნობას, ისე იქნებოდა ის ბარათი დაწერილი, პასუხი არ მიმიღიეს და დავუტევე სრულებით.

ეფრემ ალექსიევთან მოვსწერე ერთხელ, ათი რუბლი ვერცხლისა მემართა მისი და დაუბრუნე მადლობით, სხვა არარა, და ვსთხოვე წიგნი **სამოელ არაბინ იუდიანისა** ოქროს ანაქვსად წოდებული, მაგრამ წამოსვლის დროს კაცს ვერ ენახა, არ მიმიღიეს არა რაი პასუხი იმისაგან.

შესრულება.

სხვებრ ყოვლად უმდაბლესად გამოვაცხადე ამას კომისიასა შინა. და გამოვაცხადებ ეხლაც, რომელ უსაკუთრესი შესანიშვნელი მიწერა არა მქონიეს მე არავისთან გარნა საჭიროს შემთხვევაში როდენი ვისთვის რაი მიმიწერია არ შესაძლო არს ყოველნი მოგონებად, იგი შესაძლო არს მოპოებად მრავალი, გარნა შესახებელ სხვისა საქმისა, ანუ რაისამე მეტისა, სრულებით არა შესაძლებელ არს. ორმოცდა ერთის წლისა ვარ შობითგან, არა მყავს არცა შშობელნი არცა ნათესავნი, სულ ვცხოვრობ საქართველოში შიკიან მე ყოველთა სამღვდელოთა მონაზონთა ყოველთა საქართვე-

ლოისათა პატივცემულთა თავადთა აზნაურთა, და მრავალთა გლეხთაც მრთელს ქისიყს კახეთს და სხვაგან, ხოლო მიზეზი მცნობელობის ჩემისა სხვა არა რაი არს, მხოლოდ რომელ ვიცოდი მე, დატკბობად იგინი სულიერითა მოთხრობითა, რაიცა წამიკითხავს საღრმოთოთა წიგნთა შინა, რასაკვირველია ოდესმე მივსწერდი კიდეც საკუთარს საქმეზე ჩვეულებრივ ბარათს, ეგრეთვე მივიღებდი და მრავალთაგან, გარნა არც მახსოვს, და არც დამინიშნავს ოდესმე, თუ ვისთვის რაი და ოდეს მიმიწერეს გარნა ვიცი მტკიცედ რომელ წინა ალმდეგი რაიმე მე კანონისა, ანუ წესისა არა სადა რაიმე დამიწერიეს, და ფიქრათაც არ მომსვლია, მტკიცედ და თამამად ვიყავ. ამას ზედა გაფრთხილებული და ვეგები.

იერომონახი **ფილადელფოს**".

1833-ს. იანვრის 17.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება (IV, 677-679).

„დამატება გენერალ - მაიორ თ. **ჭავჭავაძის** გუშინ იანვრის 18-ს 1833 წ. მიცემულ განმარტებებზე.

საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობაში, რამდენადაც მეტად უკვირდებოდი საქმეს, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდი, ჩემი სახლში მყოფნი ყველანი იმ აზრზე იყვნენ მომზადებული, რომ ყოველ შემთხვევაში რუსებთან განუყრელი უნდა ვიყოთ. 1826 წელს საქართველოში სპარსელების შემოსევის დროს, როდესაც მე კავკასიის ხაზზე მარჯვენა ფრთას ვუფროსობდი, ყველა ჩემი შინაურები იმყოფებოდნენ კახეთში თელავის მაზრის ჩემს სოფელ წინანდალში. სპარსელთა შემოსევა კახეთს უფრო ნაკლებ ემუქრებოდა ვიდრე საქართველოს სხვა ადგილებს, სათარეშოდ უფრო ღიას, რადგან ცნობილია, რომ საუკეთესო ცხენოსანსაც კი არ შეუძლიან ტყეებში მოქმედება, ხოლო სპარსელებს კი ტყისა უსაზღვროდ ეშინიანთ. მაშინ ტფილისში უფრო მეტი საშიშროება იყო, მით უმეტეს, რომ არც მხედრობა იყო თავმოყრილი. სპარსელთა შემოჭრის პირველივე ცნობის მიღებისთანავე ჩემი ოჯახი მთებზე გადმოვლით საცოდავ მდგომარეობაში სასწრაფოდ ტფილისში ჩამოვიდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ყველაფერი მიეტოვებინათ და რუსებს გაჰყოლოდნენ რუსეთში, რადგან მაშინ პირველ ხანებში, შემჩნეული იყო, როგორც ამბობენ, რომ განზრახვა იყო ტფილისი და თვით საქართველოც მიტოვებული ყოფილიყო. აი სხვათა შორის კიდევ ერთი საბუთი რუსებისადმი არა კეთილგანწყობილებისა და მათი საქართველოდან ვაძევების სურვილისა.

ამ უკანასკნელ ზაფხულს, როდესაც მისი მაღალადმატებულება კორპუსის უფროსი ბარონი **როზენი 1-ლი** დაღისტანში **ყაზი მოლას** წინააღმდეგ იმყოფებოდა, ამიერ კავკასიის მხარე მოიფინა ამ ექსპედიციისათვის საზიანო ხმებით. მაშინ ივლისის დამლევს მე მომიხდა ტფილისში ჩამოსვლა სასამართლოში სადაო საქმების გამო, ცოტა ხნით და გავჩერდი გუბერნატორის სახლში; ჩემი ჩამოსვლის მესამე დღეს მოვიდნენ ჩემთან დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **ბარონ როზენ მე-4ე**. გენერალ-ლეიტნანტი **თ. ერისთოვი** და გუბერნატორი განცხადებით. რომ კახეთს ემუქრება ყოველი მხრიდან ლეკების დაცემა, რომელთაც ჭარისა და ბელექნის ოლქები უკვე დაუპერიათო.

გენ. ლეიტ. როზენმა რჩევა მთხოვა. ჩემის აზრის გაბოცხადების შემდეგ, მან მომცა წინადადება მიმეღო კახეთში ჯარის უფროსობა, რაზედაც მე უარი ვთქვი მრავალ მიზეზთა გამო, მაგრამ როდესაც მან წარმომიდგინა ამის აუცილებლობა კრიტიკულ ვარემოებათა გამო, მე დავეთანხმე. საზოგადო სარგებლიანობისათვის მიმეღო უფროსობა, რაც არ შეეფერებოდა ჩემს წოდებას, და დანიშვნის მიღებისთანავე გავეშურე ჩემთვის მიჩენილ ადგილზე, მივატოვე რა საკუთარი საქმეები, რის გამოც არა მცირედი ზარალი განვიცადე სწორედ იმ დროს, როცა მე ტფილისში არ ვიყავი.

აღნიშნულმა **როზენმა** შემომთავაზა ცხენოსანი თათართა და სხვათა რაზმები, რამდენიც მინდოდა, მაგრამ მე ამაზე უარი ვთქვი, რათა არ შემეწუხებინა ხალხი მათთვის ასე საჭირო დროს. კახეთში ჩასვლისთანავე ვნახე საშინელი განგაში და ხალხი შეიარაღებული მთავრობის გამოძახებით, თვით თელავის მაზრის შორეული სოფლებიდანაც კი იყო მილიცია დაყენებული კახეთის საზღვრებზე. ხუთი თუ ექვსი დღის განმავლობაში ყველაფერი დაწყნარებული იქნა, ადგილიდან დაძრული სოფლები თავთავის სახლებშივე დაბრუნდნენ; ბცხოვრებთა რამოდენიმე ათასიანი ბრბო, რომელთა რიცხვშიაც ვაჭრებიც იყვნენ, მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, დაშლილ იქნა და დატოვებულ იქმნა მხოლოდ ჩვეულებრივი სანაპირო საგუშაგოს გარდა 500 კაცი ქართველები ქვეითი და ცხენოსანი და ქართული გრენადერთა რაზმის ორი არა სრული ასეული ოთხი ზარბაზნით. ეს რაზმი დავაყენე ყველა მხრით ხელსაყრელ პუნქტში ჩემი აზრით ყველა მიმართულებით მოქმედებისათვის. ამ რაზმით გავათავისუფლე ბლოკადისაგან ბელექნის სიმაგრე. მისი მზვერავი მთიელები ქედს იქით ვადავყარე. დავაბრუნე კოტეხის ხეობიდან **ჰამზატ-ბეგის** მიერ წაყვა-

ნილი ბელექნელები რიცხვით რამოდენიმე ასი ოჯახი და დავამ-
კვიდრე თავიანთ ადგილებზე. აი მოქმედება ადამიანისა, რომელ-
საც ამოძრავებს აღრეულობის სული და მსხვერპლად მიაქვს საა-
მშობლოს სიკეთე, პატიოსნება და სხვა ყველაფერი, რაც კი წმი-
ნდაა ამ ქვეყნად!

ამბობენ, რომ ჩემთვის 31 წლიდან გამოეცხადებინოთ იგი
ჯოჯოხეთური განზრახვა, ისედაც კი რომ ვყოფილიყავ **მთავარი**[1])
მოამბოხეთა შორის. ყველას მოეხსენება, რომ მე იმ დროიდან
ხან ტფილისში ვიმყოფებოდი, ხან კი სოფელში. როგორ მოხდა,
რომ **პატივცემული მეთაური** (როგორც მიცხადებს კომისია), რომ-
ლის ბრძანებითაც მოქმედებდა ყოფ. სოვეტნიკი **თ. ალ. ორბელია-**
ნოვი, მიატოვა იმანაც და სხვა მის თანაგანმზრახველებმა ორი წლის
განმავლობაში, ისე რომ **არაფერი მოუხსენებიათ დიპლომატიური**
ურთიერთობათა წარმატების შესახებ და, მათი აზრით, ხალხის საა-
მშობლოსთვის კეთილგანწყობის შესახებ? რა მიზეზმა შეაჩერა
თ. ალ. ორბელიანოვი, მოეხსენებინა ჩემთვის გაქცეულ **ალექსანდრე**
ბატონიშვილთან ხანგრძლივი მიმოწერის შესახებ, რასაც ეხლა მა-
ცნობებენ ბ. ბ. კომისიის წევრნი (**ალექსანდრე ბატონიშვილს** მე
უწოდებ გაქცეულს იმ უფლებით, რომ ის გაიქცა ჯერ კიდევ, მისი
მამის განსვენებული **ერეკლე მეფის** სიცოცხლეშივე, შემდეგ კი მი-
სი ძმის **გიორგის** მეფობაში, რომლის წინააღმდეგაც შემოიჭრა საა-
ქართველოში 20 ათასი დაღესტნელით 1800 წელსა და წააგო ბრძო-
ლა ნიახურასთან, ტფილისიდან 50 ვერსის მოშორებით, ჩვენი მხე-
დრობის ორი ბათალიონის საშუალებით, რომელთაც გენერალ-მა-
იორი **ლაზარევი** მეთაურობდა. მთელმა საქართველომ იცის, რომ
ალექსანდრე ბატონიშვილმა დაიმსახურა რისხვა საქართველოს ორი
უკანასკნელი მეფისა, მამისა და ძმისა და მისდა საუბედუროდ რი-
სხვა სამართლიანი). მე, რომელმაც ასე კარგად ვიცი საქართვე-
ლოს ყველა გარემოებანი, როგორ გამიძნელდებოდა მეშოვა
თ. ალ. ორბელიანოვზე უკეთესი აგენტი, რომელიც თავგანწირული
ასრულებდა **ჩემ მიერ მითითებულ პირთა ბრძანებებსაც** კი და თი-
თონ კი არაფერს მაცნობებდა **იმ კეთილსასიამოვნო იმედზე, რო-**
მელიც უნდა მიმეღო მისი კეთილგონიერ მოქმედებათა შუამავ-
ლობით გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილის ძლიერი დახმარე-
ბიდან. თუნდაც ჩემი ასეთი საქმიანობის გამო მაინც, მე არ მქო-
ნოდა სასჯელის მოლოდინი, მარტო იმის გამო, რომ ასეთ
შნიშვნელოვან საქმეებზე გამოვიყენე **თ. ალ. ორბელიანოვი,** მე. რა-

[1]) დედანშია ხაზგასმული ესეც და შემდეგ-ც.

საკვირველია, ყოველგვარი სასჯელის ღირსი ვიქნებოდი, სასაცილო გარმოება! რომ ჩემს თავზე ნივლენილი ასეთი მოულოდნელობის გამო ნაღველი არა ჰკლავდეს ჩემში მხიარულების ყოველგვარ ნიშანს. გენერალ მაიორი თ. **ჭავჭავაძე**".

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (IV. 683).

„მე სოვეტნიკ **ალ. ორბელიანოვისათვის** არასოდეს არ მითქვამს ტიტულიარნი სოვეტნიკი **ზავილეისკის** სიტყვები, რომ თითქოს მის ძმას დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს **ზავილეისკის** შეედგინოს გეგმა, სად უნდა აგებულიყო სიმაგრეები, თუ საქართველოში აჯანყება მოხდებოდა. მაგრამ რადგანაც სოვეტნიკი **ორბელიანოვი** ყველას თანადასწრებით ხშირად ლაპარაკობდა, რომ როგორც გენერალ-მაიორ **თ. ჭავჭავაძემა** და იმ ყოფ. სამოქალაქო გუბერნატორმაც იცოდა და სურდა საქართველოს აჯანყებაო, მაგრამ ვერ მოასწროო, მე მის სასიამოვნოდ და იმისთვის, რომ მათი უფრო მეტი ნდობა დამემსახურებინა, დავადასტურე **ხოვ. ორბელიანოვის** სიტყვები. ასეთნაირად **სოვ. ორბელიანოვი** ხშირად მიუთითებდა ხოლმე ჩემზე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ **ზავილეისკიზე** ლაპარაკის დროს და ამბობდა, რომ მისი ძმა ჩემთან ცხოვრობს და ვითომც მას შემთან ყველაფერი ნაამბობი აქვს.

თავ. **იასე ფალავანდოვი**"

1833 წლის იანვრის 20-სა დღესა.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (IV, 685-868).

„კომისიასა შინა

კითხვა 1-შენ შესთხზე ესე აკტი?

2 ვინ იყო შემწე შენ არ შეგეძლო ინის მოგონება?

3 რომლის დასასრულისათვის შესთხზე?

4 რომლის საჭიროებისათვის?

5 ყოველი საიდუმლო საზოგადოება არ იცოდია რომელ აღკრძალულ იყო უკაზითა?

1 შევსთხზე მე, მხოლოდ და არავინ არს მას შინა მონაწილე არცა ქართველთაგანი, და არცა რუსი.

2 არავინ არა მყავს მას შინა შემწე, და ეგრეთვე არავინ არ იცოდა, გარნა პირველისამებრ მოხსენებისა ამას კომისიასა შინა, ოდეს **გიორგი ერისთოვმან** განმიცხადა მე რომელ, ამათ რავდენთამე გვამთა აქვსთ შეერთებული სიყვარული, სურსთ კვალად მოპოებად მარადის კეთილთა, და განათლებულთა კაცთა მეგობრად,

და სურსთ მარადის კეთილმოქალაქობითი ცხოვრება განსხვავებული სხვათაგან საზოგადოებათა, მაშინ გამოიხატა ჩემ შორის მიცემად მათდა აკტისა, ხოლო გამოხატულებისა ამის შემწე იყო შორის ჩემსა ხსოვა აზრისა მის, რომელსაც მომითხრობდა მე რუსეთს ყოფაში **ციციანოვი ევსტათი** ესრეთ; **იყო რუსეთში დაფარული სეკტი, იპოეს ქალალდი რომელშიაც იყო რამდენიმე პუნკტი, ბოროტნი განზრახულებანი** სარწმუნოებაზე, **სახელმწიფოზე, და საზოგადოებაზე. ამისთვის მრავალნი სასტიკად დასაჯეს, და მრავალნი დაშთენენო**[1]) მოგონებისათვის ამის აკტისა მამსახურა ეს: იმან აზრმან, ვუტეო, ვინაითგან ყოფილა რაიმე ბოროტი დაფარული საზოგადოება, შევთხზო მეცა წინააღმდეგი მისი და შევსთხზე კეთილად, დამტკიცება სამისა ნივთისა, სიყვარულისა ღვთისა, მორჩილებისა ხემწიფისა, და სიყვარულისა ურთიერთისა, ბათცა აქვნდათო ფიცი ბოროტისათვის დასასრულისა ეგრეთვე მეცა დავსდევ ფიცი კეთილისათვის დასასრულისა, წინააღმდეგი ჩემის აკტისა იყო რათა მათ არა ცოდნოდათ ყოველთავე ერთმანეთი, მართალია, რათა არა დაბადებულიყო სიმრავლისა შორის ესე ვითარისა რაიმე წინააღმდეგი, და უკეთუ ერთი ვინმე გასული წევრთაგანი ყოფილიყო და სცოდნოდა მას ყოველი და ვერ გამოეცხადებინა, არ იყო მათდა საჭირო რათა ყოველთა სცოდნოდათ ერთმანეთი, არამედ თითოეული უნდა ყოფილიყო მტკიცედ კეთილსა მოძრაობასა შინა, ზემოხსენებულთა სამთა მათ ნივთთათვის, რომელ არს სიყვარული ღვთისა რწმენება სარწმუნოებისა მორჩილება ერთგული ხემწიფისა, სიყვარული და შეწევნა ურთიერთისა, სასტიკად აღკრძალულ იყო რათა არა განცხადებულ იყო სხვათა გვამთა თანა, გარდა მისა ვინცა იქმნებოდა წევრი. ამისთვის რომელ გამოცხადებისა გამო სულ საყოველ ეროდ არა აღსპობილიყო ესე აკტი, და არ შექმნილიყო უპატიო, ჩემდამი სათანადო იყო მხოლოდ ყოველივე უწყებად, გარნა არ უწყებულ ვარ მე არავისსა გარდა **ალექსანდრე ორბელიანისა,** მე ვგონებდი რომელ სრულებით დატევებულ იქმნა, ეგრეთვე სათანადო იყო რათა წევრთა შორის რაიცა შეხვდებოდა რაიმე უწესოება რათა ეცნობებინათ ჩემთვის, გარნა მე სრულებით არღა რაი მკითხეს, და არა რაი ვიცოდი ამ დრომდე ვიდრემდის ამა კომისიასა შინა არა უწყებულ ვიქმენ, მე არ ვიცოდი რაიმე წარმოება მათისა საქმისა, არცა გვამნი იგი, არც სხვაი რაიმე, კანონითა მისვე აკტისა აღკრძალულ იყო რომ არა

---

[1]) თვით დედანშია ხაზგასმული.

სცოდნოდათ მათ პირველი ავტორი, ამისთვის რომ უკეთუ მათ ეცოდინებოდათ რომელ მე ვარ ესე ვითარი გლახაკი ბერი, მაშინ რომელნიმე მაღალნი გვამნი შეაფურთხებდნენ, და გადააგდებდნენ, და არცა რასმე დარიგებასა, ანუ განმართვასა მიიღებდნენ იგინი ჩემგან შემდგომისათვის გარდახდომილებისა:

რომლის აღსასრულისათვის?

3 დასასრულისა ამისთვის რომელ, ვიცით ყოველთა, უკეთიერისა არა რაისა შესაძლებელ არს მოპოებად კაცისაგან ვითარცა, სიყვრულისა ესრეთ დაამტკიცებს თვით საღმთო წერილი (კათოლიკე იოანე) და თვით გამოცდილებაც ჩვენი ასწავებს, სადაცა არს სიყვარული მუნ აღსპობილ არს ყოველი ბოროტი, სიყვარულსა შორის მოიპოების ყოველი ნეტარება კაცისა, სულიერიცა, და ხორციელიცა. ჭკუა კაცისა არს ამპარტავან, სურს მარადის მოქმედებად რაისამე უკეთიერისა, მეჩვენა მეცა კეთილად, რათა ახლითა ამით საშუალობითა, დამაფუძნებელსა კაცთა შორის სიყვარულისა, მქონდა გულსა შინა ჩემსა კმაყოფილება.

რომლის საჭიროებისათვის?

4 შემცდარი ჩემი გრძნობა მომხედველ აწინდელისა ამის დროისა რომელთამე ახალგაზრდათა ჭაბუკთა ზედა, ვერ ათანხმებდა რაისამე უკეთიერისა, მეჩვენა მეცა კეთილად, რაოა ახლითა თხრობისამებრ ძველთა კაცთასა, ანუ თვით ისტორიისა მიერ. მეგულვებოდა მე რომელ, ამით სახალისოთა სჯულითა აკტისათა, მიეღოთ მათ რომელთამე ხელთმძღვანელობაი კეთილზნეობისადმი, ვითარცა ყრმანი ახალსა შინა სამოსელსა ვლენან მხიარულითა ნაბიჯთა ოდესცა მათდა გამოცხადებულ იქმნებოდა მხოლოდ ავტორი გიბრძანებსთ ცხოვრებად ესრეთ, მე უნდა ვყოფილიყავ იმათი ოავი მაგრამ იმათ არ უნდა ვცოდნოდი მე.

5 აღკრძალულება უქაზისაებრი არ ვიცოდი მე, უკეთუმცა მცოდნოდა მე რომელ მოქმედება ესე არის წინააღმდეგი კანონისა მაშასადამე არ ვიქმოდიმცა, 1826 წელს წამიყვანეს მუჟიკთ იზვოშიკებმა ნიჟეგოროდს მიბარებისამებრ მაღალ ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტის **იონასა,** დღისით ვიდოდით, ღამით სადაცა დადგებოდენ ვიწექ ურემში, ვინ გამომიცხადებდა გზაზე. როდესაც მიველ კათოლიკოსთან, მომცეს ერთი მცირე კელია ვიჯექ შინ უცნობი ყოველთა კაცთა, შემდგომ ვიყავ სხვადასხვა უბედურებაში, შემდგომ წამოველ საქართველოში გზაზე კიდენ ვინ გამომიცხადებდა მოველ აქ არსად არავის რა უთქომს, მხოლოდ რომ მოვკარ ყური აქ საქართველოში რომ ხელი მოგვაწერინესო მასონი ნუღარ.

იქნებითო, მასონობისა სრულებით არა შქონია გაგონება და არც ვიცი რას ნიშნავს მასონი, ამისთვის არც ყური მიმიგდია, ეს უქაზი არც სადმე გამომცხადებია, არც სადმე წამიკითხავს არ შემთხვევია აძისი შეტყობა, და არც ხელი მომიწერია, და არც ვიცოდი აქამოშდე, თუმცა ღა ამას შინა ვშთები მე დამნაშავე რომ ყოფილა აკრძალული უქაზით ამისთანა საქმე, გარნა სინიდისსა ჩემსა ნუგეშს სცემს სიტყვა ყოვლისა სოფლის მოძღვრისა პავლესი მწერალი კორინთელადმი **„ცოდვა იყო სოფლიხა შინა გარნა ცოდვად არა შერაცხილ იყო თვინიერ სჯულისა, ხოლო ოდეს გამოუცხადა მათ ღმერთმან სჯული, ცოდვა შეირაცხა ცოდვაზე“.**[1]) წმინდითა სინიდისითა, და საშუალობითა ყოვლისა მპყრობელისა და შემოქმედისა ღვთისა აღვიარებ რომელ, შემთხზავსა შინა მის აკტისასა არარაი მაქვნდა მე გულსა შინა ჩემსა, არცა წინააღმდეგი მოავრობისა, არც წინააღმდეგი სჯულისა, არცა ხემწიფობისა, არცა თვით უკანასკნელ ერთისა კაცისა, მხოლოდ კეთილმოქმედებისა კიდე, და საღმთოის მცნების განძლიერებისა შორის ერისა, და თუმცაღა მისგან შემოსულ არს რაიმე წინააღმდეგი რაიმე მთავრობისა, ვითარცა კომისია ესე მიცხადებს მე, ამისთვის შორის ათასთა მაგალითთა, ერთსა ოდენ გავბედავ მოხსენებად, მოსემან დაუწერა ებრაელთა სჯული ბიბლიური, ანუ ძველი აღთქმა, სჯული ბიბლიური იყო მხოლოდ წინა განმზადება იესო ქრისტეს შეწყნარებისა, და მიღებისა მისისა მაცხოვრად, გარნა ურიათა მათ ბიბლიისა სჯულისა ხმარებითა ისეო ქრისტე მოკლეს ჯვარსა ზედა, მე არავგონებ რომელ ღმერთი სჯიდეს აწ მოსეს მიცემისათვის მათდა ბიბლიურის სჯულისა, ეგრეთვე ყოვლად უმდაბლესად ვსთხოვ ამას კომისიასა, გამომრიცხოთ მე იმ შემთხვეულებისაგან, უკეთუ აკტი ესე მოხმარებულ არს ცუდად ვისგანმე, და რაიცა მას შინა აღწერილ არს, განმსინჯველთა მისთა არ ინებოთ ძალად განმარტებაი მისი წინააღმდეგ, და თუმცა რაიმე მოიპოოთ საიჭველი რაიმე მის შინა, მომცემთ მე იგი კითხვითა, რისათვის არს ესე აღწერილ, ანუ რასა ნიშნავს აზრი ესე, სხვებრ გული ჩემი არა რაიმესა გრძნობს მთავრობისათვის როსიულისა, ანუ საზოგადოთ რუსთადმი გარდა სიყვარულისა, მიყვარან მე იგინი მიყვარან, და მიყვარან ვიდრემდის სული ჩემი ჩემთანა არს არა რაიმე მიზეზი შემძლებელ არს მოხოცად მისსა გულისაგან ჩემისა ხოლო შემდგომ ძვალთა ჩემთა სწამონ საფლავსა შინა, ხოლო სულმან საუკუნოსა, ჩემდა არს თქმად

---

[1]) თვით დედანშია ხაზგასმული.

სიმართლით, ხოლო დარწმუნებად სხვისადმი არა ჩემდა არს.

ხოლო წერილი იგი რომელიცა მიჩვენეთ მე საიჭველიაო ის მე დავსწერე ამ შემთხვევებისა გამო რომ არხიმანდრიტს **სოფრონს** მოეწერა ჩემთან ნომერით არხიერს მივსწერე და დაგაბეზღეო, მე ეს მოვიჩივლე ვითარცა ჩემს ძმებთან ისე სხვა მცნობთან, დარწმუნებისთვის მათისა რათამცა მე გამეჯავრებინა ხალხი არხიმანდრიტსე დავსწერე ვითომ აქედამ მცნობი ვინმე მწერდა, და უჩვენე იერომანახს **ქრისტეფორეს,** და ბერს **გიორგის** და სხვათაც ზოგთა მგონია, აი როგორ მიუწერია არხიმანდრიტს ჩემი მეთქი ქალაქიდამ ჩამოვიდა მეთქი, მე მინდოდა ქალაქს წამოსვლა ისიც დავსწერე თუ წამოხვალ ბევრნი ვართ შეგეწევით, და იმის მოწერილს საქმეს აღმოვხოცთ, და თუ არა და რა ვქნათ მეთქი ვითომც აქედამ მწერდენ, ამის მეტი ინაში არა ეწერა[1]).

იერომონახი **ფილადელფოს**".

1833 იანვრის 19.

საჭირო არს ესეცა თქმადა

აკტში ზეპირთქმულ იყო, უკეთუ სადამე შეკრებულებაში, ანუ თუ მეგობრულ საზოგადოებაში სადმე წინააღმდეგი სიტყვა თქმულიყო, ანუ სარწმუნოებაზე, ანუ ხენწიფეზე, და ანუ ძვირი ეძრახათ ვისთვისმე ჩლენისა, პირდაუფერებლად უნდა წინა აღდგომოდა ბოროტის მეტყველსა, და თუ საჭირო იქნებოდა შეწევნაი სხვისაცა ჩლენისა, მაშინ მარცხენას ხელის ნეკით უნდა მოეფხანა შუბლი, თუ იქ ვინმე იყო ჩლენი მყის შეიტყობდა რომე იგი არს ჩლენ, მიესარჩლებოდა სიტყვათა შინა და დაადუმებდენ ბოროტის მეტყველსა ხოლო თვით არაოდეს არ იტყოდენ ბოროტსა სამთა ამათ ნივთთა ზედა ვითარცა დაფიცებულნი".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 693-694).

„როდესაც **ელიზბარი** და სხვები დააპატიმრეს, ნაშინ არ ვიცი ხალხმა საიდამღაც ჩემზე აიღო ეჭვი, რამოდენიმე დღის შემდეგ ბიძა ჩემმა გენერალ ლეიტენანტმა **თ. ერისთოვმა** დამიბარა თავისთან და მითხრა: შვილო, მითხარი ღვთის გულისთვის, ყველა შენზე ლაპარაკობს, რომ შენ დააბეზღე და ძლიერ კმაყოფილი ვიქნები, თუ ეს მართალიაო, რადგან თუ ჩემი ძმისწული რამეშია გარეული, ჩემმავე ძმისწულმა გამოამჟღავნაო; მე ამაზე უპასუხე ბიძა ჩემო, ძლიერ მაკვირვებს, რომ ჩენზე ასეთი ცუდი აზრისა ხართ, ვინ გითხრათ თქვენ ეს მეთქი; ეს ასე გულგრილად არ უნდა მიგეღოთ

[1]) **გ. ერისთავის** წერილზეა ლაპარაკი

მეთქი; ის გაჩუმდა და ამით გათავდა ჩვენი საუბარი. მე იქიდგან **ჭავჭავაძესთან** წავედი. რამოდენიმე საათის შემდეგ **თ. ერისთოვიც** იქ მოვიდა და იმან და **ჭავჭავაძემ** დიდხანს ილაპარაკეს ცალკე, მერე მოვიდა ჩემთან ბიძა ჩემი და ჩაფიქრებული სახით მითხრა: მოდი მართალი მითხრა შენ დააბეზღე თუ არაო, ღმერთს ვფიცავ მე ძლიერ მოხარული ვიქნები, თუ შენ დააბეზღეო; იცი მე ეს რისთვის მინდაო, მე გორიდან იმისთვის ჩამოვედი, რომ ჩვენ მამულებზე ვეცადო რამეს, ეხლა კი რაღა შემიძლიან, იმათ მე დამღუპესო, და თუ კი შენ გაეცი, ეს ჩემს გასამართლებლად გამომადგებაო. მე შევფიცე და დავარწმუნე იგი, რომ მე არ გამიცია. ამის შემდეგ ის წავიდა და მე კი იქვე დავრჩი.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მე სიცილით ვთქვი, რომ ვილაცას დაურწმუნებია ბიძა ჩემი, რომ მე გავეცი მეთქი; ყველას სიცილი აუტყდა. მეორე დღეს სადილად კორპუსის უფროსთან ვიყავი და სადილ შემდეგ სხვა ოთახში დამიძახა და მეკითხებოდა **ელიზბარსა** და სხვა **ერისთოვებზე,** მე მოვახსენე, **ელიზბარი** და მისი ძმა **დიმიტრი** ჩემი ბიძაშვილები არიან, სხვები კი შორეული ნათესავებად ვეგულებიან მეთქი. მაშინ კორპუსის უფროსი შეეცადა ეთქმევინებინა ჩემთვის თუ რამე ვიცოდი მათზე, მაგრამ ვერ გამოვიჩინე იმდენი სიმხნე, რომ გამეცა, ჩემდა საუბედუროდ მეგონა ეს, რომ გამცემენ მეთქი და არ მინდოდა დამეღუპნა ჩემი ნათესავები. რამოდენიმე დღის შემდეგ ვიყავი საღამოზე კორპუსის უფროსთან, როდესაც ცალკე ოთახში შემიწვია და ყოველნაირად ცდილობდა გამოვეტეხე, მე ვყოყმანობდი და ვერ გავბედე განოვტეხილიყავ; სხვათა შორის მოვახსენე, რომ ხალხს ჩემზე აქვს ეჭვი, ვითომც გამცემი მე ვიყო მეთქი, კორპუსის უფროსმა მიპასუხა, შე მდუხრეს, რომ ხალხს ეჭვი შენზე აქვს და სწორედ ამიტომ მინდა რომ გამოტყდე, რადგან თუ შენ არაფერი იცოდი მაშინ რატომ მოაქვს ხალხს შენზე ეჭვი, იმიტომ მეთქი, რომ მე მათი ახლო ამხანაგი ვიყავ და ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით მეთქი.

ამის შემდეგ, იქიდგან რომ გამოვედი ვფიქრობდი ვინ ეტყოდა გენერალსა მეთქი, რომ ხალხს ჩემზე აქვს ეჭვი, სწორედ ამ დროს შემოვიდა იქ ბიძა ჩემი **თ. ერისთოვი** და მაშინათვე მივხვდი ალბად ეს ეტყოდა მეთქი. ის ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა და ჩურჩულით მკითხა ხომ არაფერი გამიგია დაპატიმრებულებზე. მე უპასუხე, იმის მეტი მე არაფერი გამიგია, რომ თქვენ გეთქვამთ გენერალისთვის, რომ ხალხს ჩემზე აქვს ეჭვი მეთქი. მან თქვა ეს მართალი არ არის, მე მხოლოდ ის უთხარი გენერალს, რომ თუ

მართლა ჩემმა ძმისწულმა გასცა, მე ამის მოხარული ვიქნები მეთქი. მე გავიცინე და უთხარი, ბიძა ჩემო, რა მოუთმენარი ხართ, რამდენიმე დღეში ყველაფერი გამოაშკარავდება და მაშინ დაინახავთ ჩემს სიმართლეს, ეხლა კი რა საბუთით უთხარით გენერალს, რომ გამცემი მე ვარ. ამის შემდეგ ხომ ათასი ეჭვი უნდა ჰქონდეს გენერალს ჩემზე, მოიღეთ მოწყალება და ჩემზე ნულარაფერს იტყვით, თორემ, როგორც ბოგეხსენებათ, ხალხი სხვანაირად გადაკეთებს და ამით მე დამღუპავთ მეთქი. ამის შემდეგ ეს უამბე **ივანე მუხრანსკის.**

მეორე დღეს საღამოზე, მივედი გენერ. **ჭავჭავაძესთან,** სადაც ივანე **მუხრანსკი** და ბევრი სხვა მოხელეები დამხვდენ. **ჭავჭავაძე,** მე და **მუხრანსკის** არჩევნებზე[1]) გვეკითხებოდა; **მუხრანსკიმ** სიცილით უთხრა საკვირველი საქმე უყო დღეს **თ. ერისთოვმა** თავის ძმისწულს **თ. შალვა ერისთოვს** შავი კენჭი ჩაუგდოო; მეც სწორედ ეგრე მითხრესო, უპასუხა **ჭავჭავაძემ.** დღეს **ერისთოვი** ვნახე **თ. ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში და ვკითხე თუ რად ჩაუგდო **შალვას** შავი კენჭი, მან მიპასუხაო, რომ ტყუილია ეგ მისთვის შავი კენჭი არ ჩამიგდია, მაგრამ ის სხვის ღირსი არც იყოო. ჩვენ ყველამ სიცილი დავიწყეთ და **თ. მუხრანსკიმ** ჩემზე უთხრა, რომ მან მე უფრო უარესი საქმე მიყო. ყველამ მკითხეს თუ რა, და მე უამბე, როგორ უთხრა მან კორპუსის უფროსს, რომ მე ვარ ბამცემი. ყველამ სიცილი დაიწყეს. **ჭავჭავაძემ** თავი გაიქნია და თქვა რა დაემართა იმ კაცს, სულ მთლად გამოიცვალაო.

რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ მივედი **ჭავჭავაძესთან** და მან **ბ**ითხრა რას ამბობენ დაპატიმრებულებზეო; მე უპასუხე არავინ რას ამბობს, მხოლოდ გავიგე, ვითომც **ბიძინა ერისთოვს** მოუწერია თავის ცოლისთვის **გიორგი,** მისი ძმა და ის ერთად ყოფილან მეთქი. მეც ეგრე გავიგეო, თქვა **ჭავჭავაძემ,** რომ ზოგ-ზოგნი ერთად ყოფილანო. მე ვთქვი ალბად დაკითხვა დასრულდა, რომ ერთი მეორესთან ყოფნის ნება მისცეს მეთქი, მან მიპასუხა შესაძლებელიაო. ამის შემდეგ **ჭავჭავაძესთან** მე არვითარი საუბარი ალარც მქონია და ალარც არა მახსოვს რა.

პრაპ. **თ. გიორგი ერისთოვი".**

---

[1]) თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნები. ამ არჩევნებთან იყო შეთანხმებული აჯანყების დაწყების დრო.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 713)

„კომისიას.“.

1831 წელს ერთ საღამოს ვიყავი სოვეტნიკ **ალექსანდრე ორ-ბელიანოვთან,** რომელიც ამბობდა, რომ საჭიროა იმერეთშიაც გვყავდეს ვინმეო და არ ვიცი ეს როგორ მოვახერხოთო, აქ იმერელი თავადები ბევრნი არიან, მაგრამ მე არც ერთს არ ვიცნობო. მე უთხარი, რომ მე ვიცნობ ამ ცოტა ხნის წინად ოსმალეთიდან დაბრუნებულ იმერელ ბატონიშვილს მეთქი. მაშინ სოვ. **ალექსანდრე ორბელიანოვმა** მთხოვა ის ბატონიშვილი გამაცანიო. მე უთხარი მისი მხლებელი ერთი იმერელი, თავადია თუ აზნაური არ ვიცი, **თეიმურაზი**[1]) ჩემთან ხშირად დაიარება მეთქი, მოიყვანე ის ჩემთან როდისმეო, მთხოვა **ალექსანდრემ.** ამის შემდეგ რამოდენიმე დღე რომ გავიდა, მივიყვანე იგი და გავაცანი **ალექსანდრეს თეიმურაზი,** რომელსაც მალე გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვა და მან აღგვითქვა, რომ იშოვის იმერეთში დიდი გვარების ბევრ თავადებს.

ამის შემდეგ ერთხელ საღამოს მივედი **სოვ. ალ. ორბელიანოვთან,** იქ დამხვდა ზემოხსენებული იმერელი და ერთი ახალგაზრდა **გურული** თავადი. იქ დავიწყეთ ლაპარაკი სხვადასხვა საგნებზე. ამ საუბრების შემდეგ **ალექსანდრე** გვიამბობდა, თუ როგორ გვავიწროვებს მთავრობა. მაგრამ ჩვენი მიზნები გურული თავადისთვის არ გაუმჟღავნებია. **თეიმურაზი** ამბობდა იმერეთი მე მომანდეთ, მე ყველაფერს გავაკეთებო. ერთხელ ქალაქიდან სახლში ვბრუნდებოდი და **თეიმურაზი** შემხვდა, მე იგი სადილად მოვიწვიე და უთხარი, რომ სადილზე იქნებოდნენ ჩემთან აგრეთვე **ალ. ორბელიანოვი და დოდაევი.** სადილის შემდეგ **თეიმურაზმა** თქვა, მალე იმერეთში მივდივარო. მაშინ **თ. ალ. ორბელიანოვმა** მისცა მას დარიგება და იგი წავიდა, დაგვპირდა, რომ სამი-ოთხი თვის შემდეგ ჩამოვიდოდა, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ მისგან არავითარი ცნობა აღარ მიგვიღია.

პრაპ. **თ. გიორგი ერისთოვი“.**

25 იანვარი, 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (V, 775-776)

„კომისიასა შინა!

როდესაც მე, და **თ. ბიძინა ერისთოვმა,** უთხარით ლაპარაკსა შინა, შტაბს კაპიტანს **სოლომან ონიკოვს,** თავადის **ალექსანდრე**

---

[1]) **თეიმურაზ ლორთქიფანიძეზეა** ლაპარაკი-

შელიქოვის სახლში, ამა სიტყვით შესაძლებელი არის რომ საქართველო განთავისუფლდეს თუ არა. მაშინ შტაბს კაპიტანმა **ონიკოვმა** გვითხრა აოას დროს არ შაიძლებაო, და არც საფიქრებელი არისო, გახსოვთ ვითარ დათრგუნეს, ყიზილბაშ, ოსმალო, და მთის ხალხნიო, რომელიც მის სიტყვაზედ ჩვენც დავემოწმენით, და ამა სიტყვასა ზედა დასრულდა ჩვენი ლაპარაკი. **მეორე** ამასთან დაუმატებ **თ. იასე ფალავანდოვს** რომ დაეწერა პირველი განკარგულება, და ერთს ღამეს საღამოზე ჩემთან იყვნენ სანახავად ჩემნი ამხანაგები, მაშინ **იასე** და **ელიზბარ ერისთოვი** ჩემთან დასხდენ ახლო, და **იასე ფალავანდოვმა** მითხრა, **ალექსანდრეკ,** პირველ ღამის განკარგულება არ წაგიკითხამსო, მე უთხარ რა განკარგულება არის მეთქი. მაშინ დიდის ჩხუბით მითხრა შენც ჩვენი ამხანაგი ხარ რატო არ იციო-მე უთხარ, და შევფიცე, ღმერთსა ვფიცავ პირველი გაგონება არის მეთქი. კიდევ მითხრა სირცხვილი არის შენთვის უნდა იცოდეო. მე კიდევ არ ცოდნა უთხარ.. ამ ლაპარაკში **ზაქარია ჩოლაყოვი** იქ იყო, და დავინახე იჯდა ცალკე, **დიმიტრი,** და **გიორგი ერისთოვნიც** იქ იყვნენ, მაშინ **იასე ფალავანდოვმა** მითხრა ერთი კვირა იქნება რაც დაწერილი მაქვს, და შენ არ იციო-უთოთ გაჩვენებო. მე უთხარ კარგი იქნება მეთქი.

შემდეგ ამისა. ოთხს დღეს უკან, სადილის უკან მოვიდა **ელიზბარ** ჩემ დედიადაშვილს **გიორგი ერისთავთან,** და მე ჩემის ოთახიდგან გამიყვანეს თავისთან. მაშინ დავსხედით, და ლაპარაკი დავიწყეთ, ლაპარაკთა შორის ერთს თაბახზე, რაღაც დაწერილი წაიკითხეს, იქ ეწერა, დანიშვნა მინისტრთა, მასკვან მე მითხრეს როგორი არისო. მე ამ შემთხვევაში არა რა მითქომს შემდეგ **ელიზბარმა** თქო **იასე ფალავანდოვი** დავიბაროთ ამოვიდესო, რომელიც ესრეთ ავასრულეთ. ოდესცა **იასე** ამოვიდა, და დაჯდა მასკვან მითხრა **იასემ.** აბა **ალექსანდრეკ** განკარგულება როგორ მოგეწონებაო, ამოიღო და წაიკითხა, რომელიც კამისიასა შინა არის ნამდვილი იგი, მაშინ მე უთხარ მე ვერას ვიტყვი ამისთვის რომ **ლუარსაბ ორბელიანოვს უნდა ვაჩვენოთ** მეთქი. მაშინ დროშკაში ჩავსხედით, და წავედით. ოდესცა მივედით **ლუარსაბმა** ოთახში შეგვიწვია, და მაშინვე, იასემ, ის განკარგულება ამოიღო, და წაიკითხა. მაშინ ის განკარგულება ზოგთ მოიწონეს, და ზოგთ დაიწუნეს, ის კი აღარ მასხომს ვინ დაიწუნა, და ან ვინ მოიწონა, რომელიც მეც სრულებით არ მოვიწონე, და სულ უარ ვყავ, მერეთ **ლუარსაბ ორბელიანოვმა** უარჰყო ის განკარგულება, და თქო-მგონია ის ყველას სჯობდეს ხელმწიფე იმპერატორთან დეპუტატები

გავგზავნოთ, და 1801-ს წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვოთო. მომიბრუნდა, და მითხრა, **ალექსანდრეო** მოდი შენ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** წადიო, ის გრანიცაზე მოიყვანე, და ჩვენ აქ ვეცდებითო. მე ამისი სრულებით უარი უთხარ და ის ჩვენი კამპანია ამაზედ დასრულდა, და გავიყარენით. ამ დროსა ბევრნი ჩვენნი ამხანაგები იქ იყვნენ და სწორედ კი აღარ მახსომს ვინ და ვინ იყვნენ. შემდეგ როდისაც აიშალნენ, რამთენმა თქო რომ **ჭავჭავაძესთან ლუარსაბისა** წასვლისა სარჩევლად. **მესამე.** 1831-სა წელსა ზაფხულს ერთს დღეს სადილათ მიმიწვია **დავითის ძემ გიორგი ერისთოვმა,** რომელსაც პატივი ვეცი და წავედი... ოდეს მივედი იქ დამხვდა **ელიზბარ ერისთოვი,** თვით სახლის პატრონი, მგონია **ზაქარია ციციანოვიც** იქ იყო, და სწორედ კი არ მახსომს იქ იყო თუ არა. იქ ერთი იმერლის თავადიშვილი იყო და **გიორგიმ** გამაცნო ეს **თეიმურაზ ლორთქიფანიძე** არისო. ოდესცა სადილად დავსხედით, მოჰყვნენ ჩვენ აზრის ლაპარაკს, მასკვან **გიორგი ერისთოვმა** მითხრა, ამ **თეიმურაზისაგან** ნუ იშიშვიო, რომელიც მასკვან საერთოდ დავიწყეთ ლაპარაკი, შემდეგ სადილისა გავიყვარენით. მეორეს დღეს დილაზე თვით იგი **ლორთქიფანიძე** ჩემთან მოვიდა, და ცრემლით მთხოვა, საწყალი თავადიშვილი ვარო, და გთხოვ ფული მაჩუქოთო. მე შამეცოდა, და ორი, თუ სამი ოქრო ვაჩუქე. შემდეგ კიდევ ამისა ოდესცა შეგვხვდებოდა ის **ლორთქიფანიძე,** მე **გიორგის,** და **ელიზბარს ერისთოვი** ვეტყუდით ხოლმე **თეიმურაზ** ახლა რომ წახვალ იმერეთში ეცადე ჩვენს აზრზედაო. ის **ლორთქიფანიძე** დიახ ხუმარა კაცი იყო და ამ ჩვენ ლაპარაკზე იცინოდა ხოლმე. და სწორედ არას გვეუბნებოდა. შენდეგ რაოდენისამე დღისა წავიდა იმერეთს, და მასკვან აღარა ვიცოდა იმისა, პოდპორუჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ამასთან დაუმატებ, 1832-სა წელსა მხოლოდ სარჩეველად გვინდოდა. ღენერალ მაიორი თავადი **ალექსანდრე ჭავჭავაძე,** და 1831-სა წელსა, როგორც მახსომს ერთს დროს ლაპარაკში თქო თ. **ელიზბარ ერისთოვმა** რომ **ჭავჭავაძე** ჩვენი ნაჩალნიკი იქნებაო. და ჩვენ ყველას უთოოდ ისე გვეგონა რომ 1831-სა წელსა ნაჩალნიკი ის უნდა ყოფილიყო ჩვენი.

პოდპორუჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

23 იანვარს 1833-სა წელსა.

მღვდელ ეფრემ ალექსიშვილის ჩვენება (V, 779-784).

„1833-სა წელსა იანვრის 18-სა დღესა, კითხვასა ზედა გამომძიებელის კომმისიისასა ცნობისათვის ჩემგან ლაპარაკისა ვითომც

ტფილისსა შინა ყოფილისა განდევნისათვის რუსებისა საქართველოდგან და ამაზედ მკითხავს ეს კომმისია ქვემორე აღნიშნულთა რვათა პუნქტთა ამათ:

1) ლაპარაკი **დოდაევთან,** რამდენჯერ ერთმანეთთან ჰყოფილხართ და როდის ბოლოს დროს ერთმანერთი გინახამთ?

2) რომელნი კნიაზები მოვიდნენ შენთან საჩივლელად მწართებლობაზედ?

3) როგორ დიდი ხანია იცნობ იერომონახ **ტარასის,** რამდენჯერ ერთმანეთთან ჰყოფილხერთ, რისთვის გილაპარაკნიათ და რაი მიგეწერიათ ერთმანეთთან.

4) ეგრეთვე თვით იგივე **ფილოდელფოსთან?**

5) ეგრეთ თვით იგივე მაიორს **დიმიტრი** და **მამუკა ორბელიანოვებთან?**

6) ეგრეთ თვით იგივე სოვეტნიკად ყოფილს **ალექსანდრე ორბელიანოვთან?**

7) ვითარი ნასტავლენია მიგიციათ **მამაცოვისათვის?**

8) ლაპარაკი **ოქროპირ ცარევიჩთან** და რემდენჯერ გინახამთ იგი?

ამათ კითხვათა ზედა მაქვს პატივი უმდაბლესად პასუხს უგო ამა კომმისიასა. პირველის პუნკტისათვის: უფალს **დოდაევს** განუცხადებია ამას კომმისიასა შინა, ვითომც ჩემთვის ეთქვას როდისმე ერთხელ ამის საგანსა ზედა რაიმე და ვითომც მეთქვას მეც გავიგონე **დავით თარხანოვისა** და **ლევან ერისთოვისაგან** მაგგვარი ლაპარაკი და მთავრობაზედ სამდურავი ბალოტიროვკის დროსა მაგრამ როგორ შეიძლება ეს საქმე, და განა ჩვენ წეგვიძლიან ცხოვრება თვინიერ რუსთა და ან თქმის ნიშნადაც დაუწერია ოდესცა წიგნს ქალი და მანას ვკითხულობდითო მაშინ უთხარიო. ეს საქმე არც მსმენია არც მისგან და არც სხვისგან და არცა მცოდნია. მაშინ ხომ საჭიროდ არ შევრაცხდი ჩემსა და **ოდაევის** ერთმანეთის ნახვის დროებს რომ დასახელებით დამესწავლა და ანუ ლაპარაკს და რადგან აწ მკითხავს კომმისია როგორც ახლა მახსოვს ჩემი და ბისი ერთმანეთის ნახვა და ლაპარაკი უმდაბლესად მოვახსენებ:

პირველად წარსულის 1832 წლის ვჰგონებ სეკდემბერში მოსულიყო უფალი **დოდაევი** ჩემთან მაშინ როდესაც მე არ ვიყავ შინ და დაეგდო ქართული პროპისები და ეთქვა ტფილისის ლიმნაზიის მოწაფეთა **დავით მაჩაბლოვისა** და ჩემის შვილის **ალექსისათვის,** უთხარით მოძღვარსა დირექტორმა სთხოვა ეს დედნები გარდაწეროს კარგს ხელზედ, უნდა დავაბეჭდინოთ ლიმნაზიის მო-

წაფეთათვის, მე მოველ რა შინ მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ესე ამბავი. **მეორედ** მოვიდა უფალი **დოდაევი** ჩემთან და შემდგომ მოკითხვისა დავსხედით რა უთხარ: **„სოლომან ივანიჩ** ვჰგონებ ქართული ხელისათვის საწერად უფრო ლამაზი და უფრო მსგავსი რუსულის ხელის იყოს საეკლესიო წერა, და თუ არ დაიშლით დავწერ. მაგრამ ჩემზე უკეთესს ხელით დასწერს **ტარასი** და თუ გნებავს იმას დააწერინეთ". შემდეგ ამ ლაპარაკისა ამოიღო ერთი ქაღალდი რომელზედაც იყო ეს კითხვარები დაწერილი: წმინდის დავითის დღეობას ესე იგი მთაწმინდობას როდის დღესასწაულობენ ანუ რამდენჯერ წელიწადში. მართლად დედაკაცები თავს დაიმუნჯებენ იქ ასვლის დროს. ამასთანავე სხვადასხვა პუნქტებად კითხვები დაწერილი **მეფე ირაკლი** როგორ ცხოვრობდა, სპარსეთის შახმა როგორ წაახდინა ქალაქი, რომელს დღეს შემოვიდა, მეფეს მაშინ რამდენი ჯარი ჰყვანდა. ამ გვარები რამდენიმე პუნკტი იყო, რომელიც სწორედ არ მახსოვს და ეს ქაღალდი მაჩვენა რა მითხრა „დირექტორსა სურს ამისი შეტყობა და გთხოვათ ამაების პასუხები მოაწეროთო". მაშინ რადგან დრო არა მქონდა უპასუხე „აღვასრულებ მაგ თხოვას როცა დრო მექნება". მითხრა მან „მაშ ჩემთან მობრძანდით როცა დრო იყოს, თქვენ მითხარით და მე დავსწერ რუსულად. „მეც აღუთქვი მას აღსრულება ამისი. **მესამედ** კნიაზ **ანტონი აფხაზოვთან** მიველ ერთს დროს იგი შინ არ იყო და იქიდგან გამობრუნებულმან ამოვიარე და რადგან იმ გზაზედ არის **დოდაევის** კვარტირა ჩემს სახლს ახლო მაშინ აველ სადაც ვნახე უფალი სახლის პატრონი, კნიაზი **აფხაზოვი,** პისმოვოდიტელი ღიმნაზიის **ბეჟანბეგოვი** და ერთი რუსის ჩინოვნიკი რომელსაც ვერ ვიცნობ მსხდომარენი სტოლთან და ქაღალდის მოთამაშენი მეც დავჯექ, და გაათავეს რა ქაღალდის თამაშობა **ბეჟანბეგოვი** და იგი ჩინოვნიკი წავიდნენ, **აფხაზოვმა** მითხრა რატომ ჩემთან არსად მოხველო, მე უპასუხე „ეხლაც თქვენსა ვიყავ და არ იყავით და აქ გიახელ". მან მითხრა მაშ წავიდეთ შინაო, **დოდაევმა** უთხრა მე მაგასთან საქმე მაქვს სად მიგყავსო, მან უპასუხა ეს კაცი ჩემთან მოსულა უნდა წავიდეთ და თუ საქმე გაქვს რამე შენც იქ წამოდი და იქ ისაქმეთო, მაშინ წავედით **აფხაზოვთან** სადაც ამოიღო **დოდაევმა** ზემოხსენებული ქაღალდი კითხვაები გავშინჯეთ და რამდენსამე პუნკტს პასუხი დააწერეს თვით **დოდაევმა** და ვჰგონებ **აფხაზოვმაც** ვახშამიც იქა ვჭამეთ და ვახშამს უკან **აფხაზოვმა** თუ იმისმა დედამ თავისი რძლის ღენერლის ცოლის ამბავი ვგონებ მითხრეს, **დოდაევი** კი აღარ იყო იქა, და მე ამის მეტი არა მსმენია

რა. **მეოთხედ** მიველ უფალს **დოდაევთან** მაშინ ამოიღო ის ხსენებული კითხვაები მე ვეუბნებოდი რაც ვიცოდი **და** იგი სწერდა და შემდეგ საქმის დასრულებისა წამოველ და არა გამიგონია რა. **მეხუთედ** მოწერილობა იყო სინოდის კანტორიდგან ჩვენს კომიტეტში ცნობისათვის **როსტომ მეფის** სარწმუნოების აღსარებისა და უნდა სწორედ შეგვეტყო და გვეცნობებინა კანტორისათვის მახმედიანობაში მოკვდა თუ ქრისტიანობაში, თუმცა ჩვენს წერილებში ჩანდა მაგრამ ისე ვერ გარკვევით, ამისთვის გვინდოდა სწორი ცნობა შიგვეღო და ერთ გზის ანჩის ხატის სობოროს **დეკანოზმა დიმიტრიმ** და მე ვკითხეთ მღვდელს **ეგნატი იოსელიანს,** რადგან არის იგი მოხუცებული და სწავლული კაცი გვეგულებოდა რომ სწორედ სცოდნოდა; ეგრეთვე ამავე ჭზარისათვის მიველ თავადს ჰოდპოლკოვნიკს **დავით თარხანოვთან,** რადგან არის იგიცა მოხუცებული და განოცდილი კაცი იმასაც ვჰკითხე, რომელმაც იგივე სთქვა სწორედ არ ვიცი პირველ კი თათარი ყოფილა და შემდგომში არ ვიცი სწორედაო, კიდეც უთახრ ვჰგონებ თქვენი კომისია ითხოვს კანტორიდან ამის ცნობას და არ ვიცი რათ უნდა მეთქი, მან მიპასუხა ეგ შენი საქმე ერ არის თქვენ პასუხი დროზედ გაგზავნეთო, მაშინ ამისი მთქმელი სხვას რას იტყოდა ჩემთან; იმ დროს იქ იყო იმავე **თარხანოვის** ძმა **დიმიტრი, ნიკოლოზ ელიოზოვი** და ვჰგონებ **ივან ევსევიჩი გარსევანოვიცა,** ჩემთან არც არა უთქვამს შესახები მაგგვარად, სახელმწიფოსა ანუ მთავრობის ჰაზრი და არცა რა გამიგონია და არც იმის მეტად მე ის სალაპარაკოდ მინახავს და ამავე გუჯრების საქმეზედ ვიყავ სინოდის კანტორაში და გამოველ რა ბალკონზედ ვნახე **უფალი დოდაევი** მოდის ქუჩაში, მოვიდა კანტორის კიბესთან (რომელიც დგას ქუჩაში მახლობლად სამოქალაქოს პოლიციისა) და მითხრა რას აკეთებო, მე უპასუხე, გუჯრების საქმეზედ ვარ, მეც მაქვს მაგაზედ სათხოვარიო მან მითხრა, სიღნაღის უეზდის სოფლების ბოდბის ხევისა და ბოდბის ხალხი დაობენ ერთმანეთზე მიწაზედ ქგების გამოჩნდეს, ეხლა ჩივილს აპირობენ და იქნება უჩივლელად გაშველდნენო, მე უთხარ ეხლა სხვა საქმე გვაქვს **როსტომ მეფის** საქმეზედ გუჯრებსა ვჩხრეკთ და მაშინ უთხარ ჩემი **დავით თარხანოვთან** ყოფნა და ლაპარაკი როგორც ზემოთ დავწერე ეხლა რადგან ის საშურია და კომისია ითხოვს უნდა ვიპოვნოთ და პასუხი გავგზავნოთ მეთქი და რასაც საბუთს შენ ამბობ ბოდბელების თაობაზედ შემდგომნი თუ გამოჩნდება სადმე ისიც თავის რიგზე იქნება მეთქი, ამის **მეტი** არა გვითქვამს რა ქუჩაში

რას გავაგრძელებდით ლაპარაკსა. **მეექვსედ.** მიველ ერთს საღამოზედ **დოდაევთან,** რომელმაც მიმიღო იმ ოთახში, სადაც სცხოვრებს ერთბაშად ხიზნითურთ და იყვნენ იქ: ცოლი მისი პატარა ძმა მისი და ვჰგონებ სხვაცა ვინმე და ეგრეთვე მოსამსახურენი, მოიტანეს ჩაი და ფუნჯი ამასობაში შემოიტანა ლაპარაკი ქართულს პოეზიაზედ და მკითხა ქართულ პოეზიას ვაკეთებ და სტიხების გვარი რამდენია ანუ როგორიაო მე უთხარ „ქილილა და მანა ხომ გაქვს მოიტანე იქ გიჩვენებ იმაში იპოების თთქმის ყველა გვარი და გარდა ამისა სხვა გვარი თუ არის რამე წყობილ სიტყვაობაში ნახე და იქიდამ სცნობ". მოიტანა ქილილა და მანა წავიკითხედ რამდენიმე ფურცელი და სხვა და სხვა გვარი სტიხები, ამასობაში მე უთხარ „თქვენ გაქვსთ ვჰგონებ იერომანახის **ონასაგან** გაკეთებული ლექსიკონი გთხოვთ მაჩვენოთ". მაშინ დოდაევის ცოლმა სთქვა, იმას ვერ იპოვნის შორს არისო, და იმის ძებნაში სხვა წიგნები მოიტანა მან უფალმა **დოდაევმა,** და მაჩვენა რომელთა შიგა იყო ფარგლით მოხაზული რაღაცა ნაკვეთები და შიგ ასოები სხდა ზოგი შავი, მეორე კიდევ ლეომეტრიულს ნაკვეთებს გვანდა, და მესამე იმ გვარივე ძველებური რაღაც სამისნო იყო და სახის მეტყველება ანუ ფიზიანომია, კიდეც უთხარ: "უწინ ამისთანებით ატყუებდნენ უგუნურს ხალხსა". და ამაზედ, მანაც იხუმრა თუ არ ვიცი ცოლმა შეიძლება ახლაც ვისარგებლოთ ამითო. და ამასთანავე ჩემი ტეტრადები ჰქონდა **მეფის ირაკლის** ისტორიისა და ისიც მომიტანა რომელსა ერთი ტეტრადი ეხლაც აკლია. ამაში განგრძელდა დრო კიდეც ვაპირობდი წამოსვლას და ვახშამი მოიტანეს ვჭამეთ რა ვახშამი მე წაველ და ის სწორედ არ მახსოვს თვით გამომაცილა თუ ბიჭმა მაღალს კიბესა სანთლით, იმ ცოლთან და ხალხში თუ მითხრა რაიმე ისინიც გაიგონებდნენ და ვახშამს უკან გამოცილების დროს თუ თქვა რამე მე დიდხანს არ დამდგარვარ და ბიჭიც ის იყო და არც აგრეთი მთვრალი ვიქმნებოდი რომ არ დამხსომებოდა. თუმცა კაცნი ცოდვის ქვემდებარენი ვართ, მაგრამ მე კი არ მახსოვს რომ დამთვრალიყავ როდისმე რომელ ცნობა დამკარგოდეს და მაშინაც არა მგონია აგრე მთვრალი ვიქნებოდი სხვა დროს მე არც ღამე და არც სალაპარაკოდ იმასთან არ ვყოფილვარ. **მეშვიდედ** უფლის **დოდაევის** სიდედრი ქრმის შერთვას აპირებდა და თქვით ქალი მისი ცოლი **დოდაევისა** და ეგ **დოდაევი** ნებას არ აძლევდენ ამაზედ **დოდაევის** სიდედრი **ანნა** ხშირად შოდიოდა ჩემთან მაწუხებდა და მეხვეწებოდა ნება დამრთონ ჩემა ქალმა და სიძემაო; ამისად მიველ ორჯელ მაგის ცოლთან რომ ეგ შინ არ

იყო, და ერთხელ დილით წირვის წინ როდესაც მწირველიც ვიყავ მიველ კიდევ ნების დასართავად სიდედრის მისი გათხოვებისათვის, სადაც ბალკონზე გამოვიდა უფალი **დოდაევი**, რომელმაც ნება დამრთო ჯვარი დასწერეთო. და მყისვე გამოვბრუნდი არ გვილაპარაკნია ვჰგონებ ორს მინუტსა თუმცა შემიწვია მაგრამ მე უთხარ მწირველი ვარ წირვაზედ უნდა წავიდე". და კიდეც წამოველ. მასუკან სრულიად აღარ მინახავს. ხოლო ჩემი პირველი ნახვა **დოდაევისა** სიდედრის საქმემდისინ უნდა იყოს სეკდემბერში და იმის შემდგომ ოკდომბერში ნოემბრის დამდეგამდე, ხოლო უკანასკნელი სიდედრის თაობაზედ ნახვა ნოემბრის რვიდგან თორმეტამდე. **მერვედ**. უფალმა **დოდაევმა** თავის მოსაწონებლად იცის მოგონებები და სხვის სახელით თქმა როგორც 1831-სა წელში მოინდომა ქართული ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდა მაშინ მითხრა დირეკტორმა და ღენერალმა **ჭავჭავაძემ** გთხოვეს ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვას ვაპირებთ შენც მოაწერე და შეიძლება სხვათაც მოაწერინოთო, მე კიდეც მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და ვჰგონებ სხვაც უშოვე ხელის მომწერი მაგრამ არ აღსრულდა ფულიც ტყუილად დაიკარგა, იმ დროს ვჰკითხე **ჭავჭავაძესთან** დადიხარ მან მითხრა დღე და ღამე რაც მოცლილი დრო მაქვს სულ იმასთან ვატარებო, მასუკან შევიტყე არცერთის თხოვნა არ ყოფილიყო თვით მოეგონა არც **ჭავჭავაძისა** და არც დირექტორისა. აგრეთვე ზემოთ მეორეს პუნკტში დავითის ეკლესიისა ანუ მთაწმინდის და სხვა კითხვაები რომ დავწერე არც ის და არც პროპისები ვჰგონებ დირექტორის არც კი შეუტყვია და არც გამოუგზავნია და იმან დირექტორის სახელზედ მომიტანა და თუ საჭიროება მოითხოვს სხვებსაც ამ გვარებს მაგისგან ქმნულებს დაუბტკიცებ რომ სხვის ნაქმარისათვის თავის სახელი დაექმოს და ნაპროტივ თავისი სხვისა, ამ გვარებით მოიგონებს რაღაებსაც და ატყუებს თავის ამხანაგებს თუ სხვათა, როგორც ახლა წინაშე თქვენსაც სწერს სხვადასხვა რიგად ხან ოკდომბერს ამბობს, ხან ნოემბერსა, აგრეთვე სხვები საიდგან რა რიგად დაუწნავს საიდგან დაუწებებია **დავით თარხანოვის** საქმე სად, როგორ და რისთვის უთხარ მაგან სად მოუხსენებია და თავის ჰაზრთან შეუერთებია, როდის მე **დავით თარხანოვთან** ვიყავ, როდის ბალოტიოოვკა იყო, **ლევან ერისთოვი** სად მინახავს ან სად იყო ანუ სხვა ვინმე **ერისთოვთანი**, **რ**ოდის რა ულაპარაკნიათ ჩემთან. **ლევან ერისთოვი** შობის მეორეს დღეს დეკემბრის 26-მდინ სულ არ მინახამს, მაშინაც დღესასწაულის მისალოცავად აველ **ლევანის** დედასთან, რადგან ჩვენი ეკლე-

სიის სახლებში დგანან ეხლა, და ასვლის დროს ვნახე **ლევან** გარეთს სახლში ლოგინში მჯდომარე, კიდეც გაუხუმრე დღესასწაულია, წირვა გამოვიდა, და ლოგინიდგან ახლა სდგები, იმან მიპასუხა წუხელის ძალიან გვიან მოველ და იმის მიზეზით მომივიდაო და ცოტა უქეიფოთაც ვარო, იმასთან არც კი დავმჯდარვარ ხელით მიჩვენა მიბრძანდი დედა ჩემთანაო და შველ შიგნით ოთახში, მე იქიდგან მანამ გამოვიდოდი კიდეც გასულიყო, იმისმა წვრილმა ძმებმა მითხრეს ბილოტიროვკაში წავიდა ზასედატელებს არჩევნო. მე გაკვირვებული ვარ იმის **დოდაევის** საქმეს რას ამბობ იგი, უეჭველად ამ შურით რომ ერთხელ მე მაგის შეთხუზულს ღრამატიქას ქართულსა კრიტიკა დაუწერე, და ახლაც უთუოდ ჰფიქრობს მაგის ადგილას სასწავლებელში მე შემიყვანენ, როგორც წარსულს წელშივე დირეკტორმა **გრუბერმა** კიდეც მითხრა შენ კიდევ საჭიროხარ უჩილიშჩეშიო, და წიხაზედ კიდევ **დავით ბარათოვთან** ვიყავ სადილათ და იქ შემოვიდა ინცპეკტორის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელსა ვერცკი ვიცნობდი და ლაპარაკთა შორის გამიცნო რომ იქ სასწავლებელში ნამყოფი ვიყავ, მითხრა, **დოდაევი** ხომ დაჭერილია და თუ არ განთავისუფლდება ისევ შენ **უნდა** შროშა გასწიო და უჩიტლად შემოხვიდეო, მე იმასაც უარი უთხარ და არც მინდა, მე კმაყოფილი ვარ რაც ღმერთსა და ხელმწიფეს ჩემთვის მოწყალება მოუცია მე ამის ღირსადაც არა ეხადი ჩემს თავსა არამედ თუ მეტი მოვინდომო რამე. თორემ თუ ამ გვარი ჰაზრებით არ შეუწმასნია და მართლა ეთქვა რამე ჩემთვისა ამდენს ხანში მანამ იმათ დაიჭერდენ, როგორც ის **დოდაევი** ამბობს ექვსი კვირა მაინც გავიდოდა იმ თქმიდგან დაჭერამდინ, ერთხელ როგორ აღარ ვეტყოდი როდესაც ასე მახლობლად არის მაგის კვარტირა რომელ ვჰგონებ 30 საჟენი ძლივს იქნება ჩემის სახლიდან, ან თვით მაგ **დოდაევსა** და ანუ სხვათა როგორ არ ვეტყოდი რომელნიც ჩემნი მცნობნი არიან თითქმის ყოველნი **ჩოლაყაევს** გარდა, რომელ რას ჩადიხართ. როგორია ჰბედავთ ამისთანა საშიშარს საქმესა, ან თქვენი თავი და ან ქვეყანა არ დაღუპოთ, რითი ჰბედავთ ამისთანა საქმეს, როდესაც ახლო დროში წინ მედვა ეს საქმე რომ თვით რუსეთის ღენერალმა რა უყვეს სპარსეთსა და ოსმალთა და ეგრეთვე სხვათა და ვიცი ესეცა რომელ ვჰგონებ მთელმა ევროპამაც ვერა ავნოს რა რუსეთსა, და ამათგანთა თვითონ რომელნიც დაჭერილნი არიან დღეს, ვჰგონებ ორასი კაცისა მარტო გამოკვება ვერ შეიძლონ უვალოდ; და ამაების მცნობი მე როგორ არას უორჩევდი ანუ კეთილსა და ანუ ბოროტსა მაინც. აბა თუ ერთი მათგანი იტ-

ყვის ვინმე რომ ვჰყოფილიყო ვისთანმე და ანუ იმათ, და ანუ მე მეთქვას ამა აზრზედ რამე... არის ესე მოგონილი ჩემზედ შეწამება. შეწმასნილი და დაწებებული ჰაზრითა თვისითა უფლის **დოდაევის** მიერ ჩემთვის ამა საგანზედა არცარა უთქვამს არცა რა გამიგონია და არცა რა მახსოვს, ეგრეთვე არცა რა მე მითქვამს, როგორც იმბ-სთვის ისე სხვისთვის და არცა რა მცოდნია.

მეორეს პუნკტის კითხვის პასუხი: მე რა ჩინებული გვამი ვარ რის დიდის საქმის შემძლებელი ვარ, რომელ ჩემთან თავადები საჩივლელად მოსულიყვნენ მმართებლობაზედ და რას კმაყოფილებას მიიღებდნენ ჩემთან საჩივრითა, არცა ვინ მოჩივარი მოსულა ჩემთან არც მინახამს ვინმე მაგ ჰაზრზედა.

მესამე პუნკტის კითხვის პასუხი: მე ვიცნობ მღვდელ მონაზონს **ტარასის** სიყრმითვე, ხოლო 1817 წლამდე გვქონდა ხშირად ერთად ყოფნა და ლაპარაკი არ მახსოვს მაშინდელი რაზედ გვილაპარაკნია 1817-სა წელსა წავიდა რუსეთს 1830 წლამდის იქ იყო, ერთგზის 1818 ანუ 1819 წელში მივწერე წერილი როგორც თანასწორისა თანასწორთან შესაფერია ხუმრობა, და იმასაც ამ გვარივე პასუხი მოეწერა, და მეორედ ვჰგონებ 1825 ანუ 1826 კატეხიზის წიგნები დაებეჭდა და მოეწერა ჩემთან ეგების სასწავლებელში რამდენიმე აყიდვინოვო, სასწავლებელში დიდათ საჭიროც იყო ის წიგნები და რამდენიმე იყიდეს მოწაფეთა, მაშინ ვჰგონებ მეც წიგნი მივწერე **ტარასისადმი,** გარდა ამისსა მასთან მიწერმოწერა არა მქონია რა, და აქ რომ მოვიდა რუსეთიდან ყოფილა რამდენჯერმე ჩემთან და მე უფრო ბევრჯელ იმასთან, და უკანასკნელ ვჰგონებ ნოემბერში მე და მღვდელი **სვიმონ გურგენიძე** მირქმის ეკლესიის ადგილის სანახავად ვიყავით და ეკლესიიდან დავბრუნდით რა **სვიმონ მღვ-დელმა** ბითხრა **ტარასისთან** შევიდეთო, მაშინ შევედით, სადილა-თაც იქ დავრჩი. სადაცა იყო **სვიმონ მღვდელი** იგი, მღვდელ მო-ნაზონი გაიოზ და სადილის დასრულების დროს შემოვიდნენ სხვა ბერებიც და როგორც არც სადილზე ანუ სადილის წინ ანუ სადი-ლის უკან, ეგრეთვე არც ერთს დროს არცას ერთს ადგილს **არა** ყოფილარა ჩვენში ლაპარაკი, რომელ ყოფილიყოს რამე შესახები ანუ მთავრობისა, ანუ ქვეყნისა და ანუ სხვა ესე ვითარი. მხოლოდ ჩვენში ყოფილა სასულიერო წერილების კითხვა და ეგრეთვე ლა-პარაკიცა სასულიერო, ანუ ხუმრობა ეგრეთვე ანუ გალობა, ეკლე-სიაში არხიმანდრიტის დამარხვაზე, ნათლის ღების, და იქნება ამის-თანა შემთხვევაში მენახოს კიდევ მას აქეთ.

მეოთხე პუნკტის პასუხი: იერომანახს **ფილადელფოსთან** მა-

ქვს ცნობა არა სიყმითი და არცა ეგრეთ მახლობელი, ჩემს სახლ-
შიც ყოფილა ვჰგონებ 1829 წელსა და ამასვე დროს მეც ომის სე-
ნაკში როდესაც იდგა აქ ფერისცვალების მონასტერში იქნება სხვა
დროსაც როდისმე ვყოფილვიყოთ ერთმანეთთან არ მახსოვს და აქავ
ტფილისში ყოფაში ისესხა მან ჩემგან ერთი თუმანი თეთრი და
1830-სა წელსა წავიდა რა შუამთის მონასტერში იქიდგან გამოე-
გზავნა და წიგნიც მოეწერა ამავე ჰაზრზედა მე მგონია თეთრის
მომტანს ბარათი კი მივეცი და წიგნი არც კი მიმიწერია. იმის შემ-
დგომ 1830 შივე ანუ 1831 წელში ვნახე ბაზარში რაღასაც ჰყიდუ-
ლობდა და ვჰკითხე ახლა ბინა სამუდამოდ სად დაჰსდევ მან მით-
ხრა შუამთის მონასტერშიო, მასუკან აღარ მინახამს, და ისევ იმ
წინანდელს წლებში რამდენჯერმე **დოსითეოს** არქიერთანაც ვნახე,
და როდესაც გვინახავს ერთმანეთი სხვა არა რაიმე ლაპარაკი არ
ყოფილა რა თვინიერ **სწავლებისა** სამღრთოსა ანუ საეროისა და
შესბამის სასულიერო გვამთ ხუმრობისა.

მეხუთე პუნკტის პასუხი: მაიორს **დიმიტრი** და **მამუკა** ორ-
ბელიანოვებთან იქნება წინა წლებში როდისმე ვჰყოფილიყო და-
სახელებით **არა** მახსოვს ამ წელიწადში ანუ ახალს დროში სულ
არა ვყოფილვარ და არც ისინი ჩემთან, ბევრჯელ ტფილისის უპრა-
ვაში საქმეზედ მინახამს **დიმიტრი** რადგან იყო ის მარშალი და მე
დეპუტატი, ეგრეთვე სხვაგან იქნება სტუმრად ვჰყოფილვართ სად-
მე და არა რაიმე ლაპარაკი არა გვქონია რა რომ შესანიშნელი და
დასახსოვებელი ყოფილიყო. ერთ გზის 1831-ს წელში ტფილისის
ღიმნაზიის რუსის უჩიტელს ვჰგონებ **დემენტიევს**, ადრინდელის გა-
ზეთიდგან თუ ჟურნალიდგან გამოეწერინებინა შეგირდებისთვის
ერთის დედაკაცის არზა, რომელიც მიუცია ღვთისადმი გაწსვენე-
ბულს **ალექსანდრე იმპერატორისადმი**, რადგან არზა იგი იყო კა-
რგი თხუზულება და სახმარი რიტორებრივი ამის გამო: ის არზის
კოპიო **მოიტანა** ტფილისის გიმნაზიის მოწაფემ ანუ შეგირდმა ჩე-
მთან მცხვრებმა **დავით მაჩაბელოვმან**. ერთხელ ნახა იგი არზის შა-
ვი ბორჩალოს დისტანციის პრისტავმა **ემელიანოვმა** და ბევრიც
იცინა, იმას ეთქვა **დიმიტრი ორბელიანოვისათვის** და **ამან დიმი-
ტრიმ** მთხოვა, ის არზის კოპიო გარდმოვაწერინე და მივეცი, სხვა
არა რაიმე ლაპარაკი და არცა რა მისვლა მოსვლა რამ მქონია.

მეექვსე პუნკტის პასუხი: **ალექსანდრე** სოვეტნიკად ყოფილს
ორბელიანოვთან ვჰყოფილვარ მე მაისში ანუ ივნისში მაშინ რო-
დესაც აპირებდა ჯვრის დაწერას ახალი გაქრისტიანებული **ნიკო-
ლოოს ნალეკარი** რადგან იმან შეირთო **ალექსანდრეს** ყმის ქალი,

და თვით ის **ნიკოლოზსცა** იმასთან არი იმის გამო, იქნება ამაზედ ადრეც ვჰყოფილვარ როდისმე და მეკი არ მახსოვს. დასახელებით და იმ **ალექსანდრეს** სიმამრის სახლში **დავით ბარათოვისას** მინახამს რამდენჯერმე, მაგრამ არც ერთს დროს არა რაიმე საწინააღმდეგო და შესახები მთავრობისა რამ ლაპარაკი არა გამიგონიარა. ერთხელ ერთი წიგნი **ბულღარინის** თხზულებაც მათხოვა მაშინ როდესაც **ნალეკარის** თაობაზედ მიველ. ვჰგონებ ერთხელ აგვისტოში ვნახე მაშინ როდესაც მე ის **ალექსანდრე** **დავით ბარათოვი** და **პაპა ლორის მელიქოვი** გაგვზავნა მოციქულად **დავით მუხრანბატონმა** ან**ტონი აფხაზოვთან წერეთლის** ქალის თაობაზედ.

მეშვიდეს პუნკტის პასუხი: **მამაცოვი** არის ჩემი სულიერი შვილი და როგორც აღსარების წესია აღსარებაში დარიგება მიმიცია, როგორც გვასწავებენ წმინდანი მამანი, სხვადასხვა მქადაგებელნი და მოძღვარნი; ეგრეთვე სამოქალაქო სჯული და ზნეობითი სწავლა პირველად უნდა გქონდეს სიყვარული და ერთგულება მღვთისა და ქრისტიანებრის მართლმადიდებელთ სარწმუნოებისა. მეორედ სიყვარული და ერთგულება ხელმწიფისა და მამულისა და შემდეგ მორიდება ყოველთა ცოდვათა და თავისა თვისისა კეთილად ქცევა, გარდა ამისა მე იმისთვის დარიგება არა მიმიცია რა, ერთხელ იმასთან ვიყავ წარსრულს 1832 წლის ვჰგონებ აგვისტოს და მთხოვა ეგების მაარიგო ჩემი მოყვარე **ივანე** **წინამძღვაროვი** და იმისი დაი ერთმანერთან უთანხმობა აქვსთო, მეც აღუთქვი ვნახამ და ველაპარაკები **ივანეს**. იმ დროს სოფელში იყო იქ **ივანე** არ მინახამს და ვჰგონებ ერთხელ ბარათიც მოეწერა ჩემთან **მამაცოვს** ამავე საქმის გამოისათ, სხვა არა რაიმე არა გამიგონიარა და არცა რაშე მითქვამს.

მერვე პუნკტის პასუხი: **ოქროპირ** **მეფის** **ძე** ორჯელ მოვიდა პირველ **დოსითეოს** არხიეპისკოპოსთან და იქ ვნახე, ორჯელ მე გამგზავნა იმასთან მოსაკითხავად და ჰგონებ ორჯელ მე მიველ, ერთხელ **იოანე** **ექიმი** **კარაევი** **და** **სტეფანე** **ლორის** **მელიქოვი** იყვნენ და **კარევი** ელაპარაკებოდა იმ ამბავს **მეფის** **გიორგის** დროს, რუსეთის მხედრობას რომ გაუმარჯვნიათ ნიახურაზედ; ერთხელ ვჰგონებ **ეგნატე** **მღვდელი** **იოსელიანი** იყო იქა და ელაპარაკებოდა თავის სიყმაწვილის ამბავსა, ერთხელაც ბერი ვინმე მახსოვს იყო ვჰგონებ **პორფირი**, რომელიც რუსეთში ნამყოფი იყო და ის აღარ მახსოვს სხვაც კიდევ იყო ვინმე თუ არა და ლაპარაკობდნენ რუსეთის შენობაების ამბავსა და **ირაკლი** **მეფის** **ძეს** სასახლე და ეკლესია რომ აუშენებია ამ გვარებს მე თუ მკითხავდა სასწა-

ვლებლის ამბავსა სხვა დასახსომებელი და შესანიშვნელი ამბავი არა ყოფილა რა იმისთანა რომ დამესწავლა, ერთხელაც კიდევ **დოხითეოს** არქიერთან ჩამოვიდა ბაღში და წყლის მაშინის ამბავზედ ლაპარაკობდნენ.

ეს ზემორე ხსენებულის რვა პუნკტისათვის პასუხი უმდაბლესად მომიხსნებია ამის კომმისიისათვის რომელ არავისგან რა გამიგონია და არცა მახსოვს რამე შესახები იმპერიისა ან მთავრობისა და ანუ აღრეულობისა და ესე ვითარისა საქმისა რაიმე.

ერთგზის ვჰგონებ ოკდონბრის დამდეგს მოეწერა **ტარასის** ზაპისკა წასვლისათვის მცხეთას საგურამოში მის ნათლიმამასთან მეც იქნება იმაზა პასუხი მივწერე და აღუთქვი წასვლა მაგრამ კი არ წავსულვართ. მღვდელი **ეფრემ ალექსევი**".

მღვდელი ალექსიშვილის წერილი ტარასი ბერისადმი (V, 795).

„დიდად პატიოსანო მამაო ტარასი.

ჩვენის პირობის დასამტკიცებლად ორნი ჩლენნი თქვენთან სამოგზაუროდ (?) გთხოვენ დღეს სადილათ აქ გამობძანდეთ და ეგ წვეროსანიც თან წამოიყვანოთ.

თქვენთან პირობის დემდები ხუცეს სამონაზონი **ეფრემ**".

ეფრემ ალექსიშვილის ჩვენება (V, 799).

„შესახებელად გამოცხადებულისა ჩემდა კომმისისა მიერ ბარათისა გამოცხადებულისა, რომელიც მიწერილ არს ჩემგან იერომანახ **ტარასისთან**, მაქვს პატივი მოვახსენო: როგორც პირველს კიოხვაში დავწერე ბევრჯელ იქნებოდა ჩვენში სულიერი შექცევა და ერთანერთან ვიტყოდი რასმე ამ გვარსა რასამე ანუ ხუმრობასა. მსგავსადვე ვ:გონებ 1831 ანუ დაწყებასა 1832 იერომანახი **ტარასი** და დავით გარესჯის უდაბნოს ბერი იერომანახი **თეოფანე** მეტყოდენ: ბევრად შესდეგ განვჰშორდეთ სოფელსაო წავიდეთ ანუ უდაბნოში ანუ იერუსალიმსაო, მეც ვეტყოდი აღვასრულებ თქვენს თხოვნას, ამაზედ კიდეც გვიხუმრებდა მღვდელ მონაზონი **გიოს**. გამიწყრეს თქვენი განშორების მადლიო. ამ ჟამებში ჩემთან იყო დავით გარესჯის **უდაბნოს** ბერი **თეოფანე** და ჩვენ ორთავ ვსთხოვეთ სადილათ **ტარასის** და **გაიოს** ბერი თან გამოიყვანეთ რომელსაც დიდი წვერი აქვს ჩვენ ორნი ჩლენნი[1]) გთხოვთო. და ამაზედ მივწერე ზაპისკა და გამოვიდნენ კიდეც სადილათა.

მღვდელი **ეფრემ ალექსევი**".

იანვრის 23-სა დღეს

1833 წელსა

---

[1]) ეს განმარტება ნატყუარია. „ჩლენნი" უნდა „აკტიგონიური" წევრებს ნიშნავდეს.

ფოლადელფოს კიკნაძის ჩვენება (V, 803-804).

„კონისიასა შინა
ყოველი წესი და შედგომილება აკტისა,
ცელი აკტისა არის განმართვა კეთილ ზნეობისა:
არ შეიძლება მუნ აღწერად მრთელი ზნეობითი სწავლა, და სჯელის კანონი გარნა შეცულ იყო სულ მოკლესა მას სიტყვასა შინა, სიყვარული ღვთისა, და რწმუნებამ ტკიცედ რელიგიისა, მორჩილება სრული ხემწიფისა, წმინდა და უბიწო სიყვარული ურთიერთისა, სიყვარულსა ღვთისა, და რწმუნებასა სარწმუნოებისასა, არა შეუდგების ბოროტ სიტყვაობა ღმრთისა ზედა არცა ეკლესიასა, და არცა სამღვდელოთა ზედა, მორჩილებასა და სიყვარულსა ხელმწიფისა, არა შეუდგების ორგულება, მაჩვენებლობა და ზარმაცობა, სიყვარულსა კაცთასა არა შეუდგების, ბოროტის ყოფა, ვნება, და დაკლება ვისიმე, აჰა ყოველი ზნეობა კეთილი.

იგი ჯერ არს ყოფად საიდუმლოდ, და უპირველესი საჭიროება მისი არს საიდუმლოება: ამისთვის რომელ ბუნება კაცისა მეტად ხალისით უძიებს საიდუმლოსა, მეორედ არა რომლითამე არა განსხვავდების იგი, საზოგადოსა ეკლესიურის საიდუმლოსა აკტისათა, ბოვლენ მას მოქმედებასა ზედა, რასაც ასწავებს ეკლესია საცხადოთ: აღკრძალულ არს სასტიკად რათა არავინ არ განაცხადოს ესე საიდუმლო სხვასა თანა გარდა მისა ვისაცა მოიყვანს ჩლენად: ამისთვის რომ, უკეთუ არა ყოფილიყო აღკრძალულ, უკეთუ ყოველთავე შეეტყოთ, მაშინ შეიქმნებოდა უპატიო და შეურაცხი, არაფრით არ განსხვავდებოდა, იქმნებოდა ისიც ერთი რომელიმე ქადაგების მსგავსი რომელსაც ყურს არავინ არ მიუგდებდა.

აღკრძალულ იყო რომ არ სცოდნოდათ მათ ერთმანეთიცა: მისთვის რომ უკეთუ ყოველთა ეცოდინებოდათ ერთმანეთი, არ შემოსულიყო სიმრავლისა შორის ესე ვითარისა რაიმე ჰაზრი წინააღმდეგი, მაგალითისაებრ გოდლის მაშენებელთასა, და უკეთუ გასულიყო ვინმე ერთი წვრთაგან არ შესძლებოდა გამოცხადება ყოველთავე გვამთა და არ აღსპობილიყო აკტი.

აღკრძალულ იყო რომ არ სცოდნოდათ არცა პირველი ავტორი: ამისთვის რომ უკეთუ ეცოდინებოდათ, რომ მე ვარ ესე ვითარი გლახაკი ბერი, მაშინ არ ექნებოდა მას პატივი, და არც მიიღებდენ ხალისით, და არც შემდგომსა უწყებასა რასამე დამიჯერებდენ.

სათანადო იყო რომ მე მცოდნოდა იგი ყოველნი იმისთვის რომ უკეთუ ერთი ვინმე მოკვდებოდა შორის ჩლენთა, მაშინ მიუცილებლად ანიყოფოდა ორად, ამისათვის რომ უკეთუ არ ვაუწყებდი მე მკვდრისა მისგან პოვნილსა ჩლენსა არ ეცოდინებოდა მას ვისადმი უნდა ეუწყებინა რაიმე საქმეი.

სათანადო იყო რომ ყოველს მპოვნელს ქონოდა მღვიძარე ხედვა მათზე, რომელთაცა მოიპოვებოდა წევრად, ამისთვის რომ არა ექმნათ რა ბოროტი, და უკეთუ არ დაუჯერებდენ, და იქმოდა ვინმე რასამე უშესაბამისა ზნეობისასა, რათა ეუწყებინა თავის მპოვნელისათვის შორს წერილით, და ახლოს სიტყვით, და უნდა მოწევნილიყო ვიდრე ჩემამდე. მისთვის რომ მე რომელიმე საშუალობით განმემართა იგი რათგან ვაუწყებდი ყოველთა შეურაცყოფასა მისსა ვიდრემდის არ მოიქცეოდა, მას არ ეცოდინებოდა მიზეზი არცა ესე წესი მხოლოდ ნახავდა რომ აღარავინ უჩვენა სიყვარულიანი გული და არავინ არ მიიღო იგი, მაშინ იფიქრებდა რომელ არს ჩემდა რაიმე სამღრთო ძალი მტანჯველი ბოროტებისათვის ჩემისა.

აღკრძალულ იყო რომ არ შემოეყვანათ ცუდი მოქცევი, და ზნე მაშლილი კაცი, ეგრეთვე უგუნური ვერ შემძლებელი საიდუმლოს დაცვისა: ამისთვის რომ ყოველი ასო დამპალი, ავნებს მრთელსაცა მახლობელსა მის ასოსა, და რათგან უდიდესი საჭიროება ამის აკტისა ესე იყო რომ არ უნდა სცოდნოდა სხვას, ამისთვის შარახუნებული კაცი არ უნდა გაერიათ, რათგან განცხადებითა, და თქმითა სხვაგან ამის მოქმედებისათა ყოველივე ძალი აკტისა დასცხრებოდა.

წესი ესე თხოულობდა სიმტკიცესა და სიმრთელესა კაცისასა ყოველთვის რომ არ გამოცვლილ იყო, და რაც კანონებრია ყოველთვის ისე მოქცეულიყო, ამისთვის რომ უკეთუ ერთს ადგილს ერთის კაცისაგან აღირეოდა წესი, მაშინ სულ მოიშლებოდაცა ეთარცა მილი წყლისა გატეხილი ერთსა ადგილსა ვერღა აწარმოებს წყალსა უშორეს, ამისთვის საჭირო იქმნა სასტიკი ფიცი სადაცა გამოცხადებით ჩვენებულ არს, არაოდეს არა განაცხადოს მან საიდუმლო ესე არავისთან, და მოიქცეს მებრ აკტის სჯულებისა.

ამის დაწყობილებისამებრ სჩანს რომელ ნე ვიქმნებოდი თავი, მაგრამ ამითი მე არარაი მექნებოდა პატივი, სარგებლობაი ამის მოქმედებისაგან, არარაი გამოხატულა ჩემში, მხოლო მიმცემს მათდა შემდგომ სხვა და სხვათა კეთილთა დარიგებათა მექმნებოდა გულში კმაყოფილება, უკეთუ ვინ უწყის შეკრებებოდა ჩლენი

ორასამდე, მაშინ შეიძლებოდა ვაუწყებდი მათ რომ ყოველი ჩლენი თანიმდებ არს მიცემად სამისა ანუ მეტისა რუბლისა თეთრისა, ესე ყოველათვის ადვილი იქმნებოდა. თუმცა არ ეცოდინებოდათ მათ თუ სად მივიდოდა ფული იგი, მაგრამ მოიწეოდა ჩემზე, მაშინ ფულითა ამით მეგულვებოდა დაბეჭდვა სულთგან მანათლესა წიგნებისა წმინდათა მამათასა, რათგან ქართულს ენაზე ძვირი არის წიგნი მივსცემდი უფასოდ ყოველთა ამით სარგებელ ექმნებოდა სულსა ჩემსა, და სხვათა, გარდა ამისა არა მაქვნდა მე გულში რაიმე ამით წარმოებად შევსცდი მე ამით რომელ არ ვიცოდი და ვერ გულის ხმა ვყავ უკეთუ წინააღმდგომი იყო უქაზისა ამგვარი თამაშობა ხალხში, შევსცთი ამით რომ იგი მივეც ყმაწვილსა კაცსა გამოუცდელსა ჯერეთ სოფლისასა, მოვტყუვდი ჩვენებულისაგან მის მიერ კეთილ ზნეობითის ქცევისა, მე ვიყავ შორს მოქმედება ნათელარა შემიტყვია რა, მე მეგონა კიდეც დასცხრა მეთქი.

მას შნა არა მოიპოების არა რაიმე საიქველი ჰაზრი, მაგრამ ვინათგან მიბძანეთ მე რომელთამე ლექსთათვის, თანამდებ ვარ პასუხის გებად.

1. რათა ყოვლის მორჩილებით დაემორჩილენ ხემწიფესა და ბრძანებისა მისსა, არა რაისა განმსჯელნი მას შინა, თვინიერ ოდენ მაშინ, რათა არა იყო წინააღმდეგ რელიღიისა, თქმასა ამისა რომ არა რაისა სჯიდენ ბრძანებას შინა კეთილარსა ანუ არა, ანუ რომლის საჭიროებისათვის მხოლოდ რომ უნდა აღესრულებინათ იგი ბრძნება. შეუდგებოდა ესესა, რასაკვირველია რომ საჭირო იყო დაწერად არ ყოფილიყო წინააღმდეგ რელიღიისა, ეს ნიშნავდა უპირველესაა შეკრელებასა რელიღიისადმი შემდგომ ხემწიფისადმი არა თუ იჭვნეულება რაიმე შემოდის ამით აწინდელსა ხელმწიფესა ზედა, რომელ ჰეშმარიტი მამა ქრისტიანეთა, და სიმტკიცე ეკლესიისა არ ინებებს აწინდელი გვრწამს ყოველთა, გარნა აკტი არ კანეყოფის სჯულსა ეკლესიურსა, და იქ ესრეთ იქადაგების, მაგალითებრ, ოდესმე მოციქულსა პავლეს მქადაგებელსა სიტყვისა ღვთისასა რომაელთადმი წინადაუდევს რომელთამე, რომელ, ქადაგება ეგე არა არს ნება კეისრისა, მაშინ მიუგო „მორჩილება ჯერ არს დეთისა უფროს ვიდრე კაცთა“ (საქმე მოციქულთა), რომელ არს ბრძანებს ღმერთი ზეცით, ბრძანებს მეფე ქვეყნით, უკეთუ ბრძანება შეფისა წინაალმდგომ არს ბრძანებისა ღვთისა, დიდი აქვს ძალი ბრძანებასა ღვთისასა.

2. თქმულ იყო, დამორჩილება ესე რომლისა ხელსა ქვეშე ვიყვნეთ, ამისთვის რომ ვართ ჩვენ ახლა ხელსა ქვეშე რუსეთის იმპერატორისა, სახელი მოხსენებად არა საჭირო იყო ამისთვის რომ იმპერატორნი როსიისანი არა ყოველნი იქმნებიან ერთისა სახელისა, რასაკვირველია თქმა ესე ამტკიცებს უეჭველსა შეერთებულებასა რუსთადმი.

3. რათა ყოველი წევრი შეეწეოდეს ერთმანეთსა, ყოვლის სრულის თავის შეწირვით, კეთილისა დასასრულისათვის, რასაკვირველია კმარა განმარტებად კეთლისა დასასრულისათვის, არა თუ მაშინ უკეთუ იყოს რაიმე განზრახვა ცუდი და წინააღმდეგ აკტისა.

4. სათანადო არს გაფრთხილებად წევრისა, რათა არა განაცხადოს საიდუმლო იგი, რომელიცა განუცხადონ მას მიზეზთა სიყვრულისათა, ესე არს თვით პირდაპირი სიტყვა (საქმითი ფილოსოფია 4 ნაწილი პოლიტიკა ბაუმეისტრ.) ამისთვის რომ რასაკვირველია, ოდეს გვიყვარს ერთმანეთი გავხსნით ჩვენ გულთა ჩვენთა მეგობართადმი, გარნა არა ითხოვს კეთილშობილება განცხადებასა მისსა, არცა მაშინ, უკეთუ შეიქმნეს მტერიცა.

5 ფიცში წერილ-არს რათა არა განაცხადოს საიდუმლო აკტისა, ამისთვის რომ უკეთუ განცხადდებოდა, აღარც შეიძლებოდა არსება აკტისა ვინაიდგან თვით საკუთარი მყოფობა აკტისა დამოკიდულ არს საიდუმლოებასა ზედა და ამით ოდენ ლექსითა, და გვარითა მყოფობს აკტი. თორემ სხვა არა რაი განყოფილება აქვს ყოვლისა სიცხადით ღვთისა მიერ მოცემულის კანონისა.

ყოველი ესე მოქმედება ჩემი წარმოებულ იქმნა მხოლოდ შურითა სამლთოითა გარნა ვითარცა კაცი ხორციელი, ვერ შემძლებელ ვიქმენ ცნობად წინასწარისა თვით ყოვლად საჭიროი არსება ყოვლად საუკუნე არს მხილველი გულთა ჩემთა, ოჰ ინებოს ღმერთმან რათა თქვენცა ხედვიდეთ ესრეთ გულსა ჩემსა ვითარცა ხედავს ღმერთი, რა ვქნა თავსა ჩემსა შევვედრებ ღმერთსა მთავრობასა, და სიმართლესა: ყოვლად გლახაკი იერომონახი ფილადელფოს. 1833.

მოქმედება ჩემი იყო კეთილისა განსაზღვრებისამებრ, ხოლო უკეთუ ვისმე მოუხმარებიეს იგი ცუდად, მე არა რაიმე მაქვს მასშინა მიზეზი, რაოდენი მილიონი ერნი არიან ქვეყანის ამის სიმრგვლესა ზედა, რომელნია ხმარებითა სახარებითა, და სამოციქულოს სიტყვითა იქმნენ მწვავლებელ, და გმობენ ღმერთსა გარნა წმინდათა მახარებელთა არა აღუწერიათ მათ იგი ბოროტად და არცა რაიმე აქვსთ მას შინა ბრალი. იერომონახი ფილადელფოს".

ბიძინა ერისთავის ჩვენება (V, 813).

„რომელსაც მკითხამს კამისია შტაბს კაპიტნის **სოლომან ონიკოვისას** პასუხს უგებ რომ მართალია ჩემთან იყვნენ სადილათ **ალექსანდრე ორბელიანოვი ვახტანგის ძე** და **სოლომონ ონიკოვი** სახლში სადაც ნე ვიდექ და სადილის შემდეგ საღამომდის იქ დარჩენ და საღამოზე ვკითხეთ **სოლომონ ონიკოვს** შეიძლება რომ მოხდეს აღრევა თუ არა როგორ გონია იმან გვითხრა არ შეიძლებაო და არც არის კარგიო და ეს კი არ მახსოვს მე უთხარ პირველათ თუ **ალექსანდრე ორბელიანოვმა ვახტანგის ძემ**. მე ამის მეტი არა მახსოვს რა რომ გველაპარაკნოს რამე.

პრაპორშჩიკი **თავ. ბიძინა ერისთავი**".

ჩყლგ. წელსა

იანვრის კგ.

ივანე მაჩაბლის ჩვენება (V. 823).

„ვამომეძიებელს კომმისიასა შინა.

შარშან წინ 1831 წელსა ზაფხულში ვიმყოფებოდი ტფილისს ჩემ საჭირო საქმეზედ და ერთხელ მივდიოდი ბაზრისაკენ, შემომეყარნენ სასამართლოსთან მეფის ასულის **თეკლას** დუქნებს წინ **თავადი ელიზბარ ერისთოვი** და პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ვახტანგიჩი ორბელიანოვი**. ჯერ მამიკითხეს და მას უკან მითხრეს, რომ ჩვენ ვაპირებთ არეულობის მოხდენასა და შენ რას იტყვიო მე რა ვუპასუხე რომ ჩვენ როგორ შეგვიძლიან ეგ საქმე, მაშინ იმათგანი **ელიზბარ** ჩავიდა გუბერნატორის კანცელარიაში და **ორბელიანოვი** სასამართლოში, მე მეგონა მცდიდნენ ისინი ანუ ხუმრობით მითხრეს, მე ჩავედ ჩემს საქმეზედ მესაათესთან და ამის შემდეგ ამ საგანზედ არც იმასთან. და არც სხვასთან არაფერი ლაპარაკი არა მქონია. იანვრის კდ-სა დღესა 1831-სა წელსა.

თავადი **იოანე მაჩაბელოვი**".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება ((V, 827-828).

კომისიას!

როცა მე კახეთში ვიყავი ბიმოწერა მქონდა **ფილადელფოს ბერთან, წერილებს ვიღებდი ხოლმე თ. დავით ერისთავის**, ზოგჯერ კი **ჩოლაყაანთ**, კაცების ხელით, რომლებიც დაიარებოდნენ **ბერ ჩოლაყაევთან**. ჩემი პირველი წერილის დასკვნა იყო ივერიელთადმი მიმართვა. ამისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ხშირად გვქონდა საუბარი და მე ვეუბნებოდი, რომ ეხლანდელი შოწაფეები თანდათან იჩენენ დიდ ნიჭს და ზოგიერთებმა ლექსის წერაც კი დაიწყეს მეთქი და ამასთანავე როცა მან გამომიცხადა სუ-

რვილი ტფილისში მასწავლებლობისა, მაშინ მე ამ წერილში მოვაგონებდი, რომ თუ გამრავლდებოდნენ ისეთი მასწავლებლები, როგორც ის არის, ქართველები მეტად განათლდებოდნენ. ბოლოს კი ნათქვამი იყო, ვეჭობ ეს დრო მოვა თუ არა მეთქი. ეს იმას გულისხმობდა იქნებოდა თუ არა იგი მასწავლებლად. ამაზე მივიღე ფილადელფოსისაგან პასუხი, რომელშიაც ის ღმერთს მიმართავდა, რომ ის ჩვენ შორის კავშირსა და სიყვარულსა სთესავსო, როდესაც ძე თელავში ვიყავი თ. დავით ერისთოვმა მისწერა ფილადელფოსს. რომლითაც ატყობინებდა თავის ბიძა სოფრონ არქიმანდრიტზე, რომ ვითომც ის მისი ოხოვნით გადაყენებულია და წინამძღვრად დანიშნულია ბერი ჩოლაყაევი, რომელთაგან პირველი არ აღმოჩნდა მართალი, რომ სოფრონი არ იყო გამოცვლილი. ჩოლაყაევმა ბერმა კი წინამძღვრობა მიიღო. ამ წერილის ბოლოს მე მივწერე: მაშაო, ადიდე ძე შენი და სხვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მე მითხრეს ფილადელფოსი აქებს და ადიდებს შენს ნიჭსაო და მე ახალგაზრდობით მოვაგონე, მას რომ კიდევ შემაქოს და მეც მას ვაქებ. ტფილისში, რომ ჩამოვედი ფილადელფოსის წერილი მივიღე, რომლითაც ის მწერდა პოპოეიკა[1]) (იხ. გვ. 339) გაიცანიო. მე ტფილისში ჩამოვალ და იქ უნდა ვეცადო ექიმის მოწმობა ვიშოვნო და ავადმყოფად გამოვაცხადო თავიო, ეს იმისათვის, რომ ჩემთან დარჩენილიყო ჩემ მასწავლებლად; ეს წერილი თ. დავით ერისთოვის კაცის ხელით მივიღე.

მე მივწერე წერილი, რომ ლაშქრობაში მივდივარ; ჩვენს საზოგადოებაზე რომ ვწერდი ეს ის არის, რომელ წევრებსაც წაუკითხე აკტი იმათზე ვწერდი, და არა ის რომ ჩვენ გვქონდა შეთქმულება, რაშიაც ჩემს გასამართლებლად ჩემივე ამ წერილის დასასრული გამოდგება. სადაც მე ვწერდი ბევრი თავადები მოდიან და ჩვენი საზოგადოება კი მე მგზავნის, რომ წევრები შევიძინო მეთქი და იქვე აღვნიშნავდი, რომ ისეთი ხალხი მოდის, რომელთაც ამის შეგნება არა აქვთ მეთქი.

ჩემს პირველს ჩვენებაში დამავიწყდა დამეწერა, რომ აკტი წაკითხული აქვთ თ. დავით ჯორჯაძესა და სოლომონ რაზმაძეს და რომ მათაც იცოდნენ ჩვენი განზრახვა. კიდევ დამავიწყდა ჩემს პირველ ჩვენებებში, რომ ერთხელ ალ. ორბელიანოვის ბაღში ვიყავი, სადაც ის და მისი ძმა ვახტანგი იყვნენ; იქ იყო აგრეთვე დ. დიმიტრი მალალოვი, რომელსაც გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვები, მან გაიზიარა და განაცხადა, რომ ის მზად არის.

1831 წ. მე ვიყავი სოფ. ჭალაში. თეიმურაზ ამილახვაროვთან, ერთ საღამოს ივანე ამილახვაროვთან დამპატიჟეს ჩაიზე. იქ იყო

ბარძიმ და ყველა სხვა ახალგაზრდა ამილახვრები, სადაც ჩამოვა-
რდა საუბარი პოლონეთზე; მან მე მკითხა შეუძლიან თუ არა პო-
ლონელებს განთავისუფლდნენ. მე უპასუხე, რომ სხვა სახელმწიფო-
ების დაუხმარებლად ვერ განთავისუფლდებიან, მაგრამ ვგონებ სა-
ფრანგეთი უნდა ეხმარებოდეს მეთქი. ბოლოს ბარძიმმა თქვა ჩვენ
როდისღა განთავისუფლდებითო. მე უპასუხე რომ ეს ჩვენზეა და-
მოკიდებული მეთქი. მაშინ ბარძიმმა გაიცინა და უთხრა ივანე ამილა-
ხვაროვს, აბა ივანე, გააშაგრე შენი ციხეო. ივანემ გაიცინა და მერე
დავიშალენით.

პრაპორჩ. თ. გიორგი ერისთოვი".

24 იანვარი 1833 წ.

მე მივწერე ფილადელფოს ბერს ქართულად ნურაფერს მაშ-
წერდა, რადგან ხშირად მწერდა ხსენებულ აკტზე და ვიფიქრე საე-
ჭვოდ არავის მოეჩვენოს მეთქი.

პრაპორჩ. თ. გიორგი ერისთოვი".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (V, 840).

„წელსა 1832-სა ოდესცა თ. თადიან ჩოლაყოვი იდგა ცოლ-
შვილით ნათლუხს, მაშინ, მე ჩემი დედიდაშვილები, ბიძინა და
გიორგი ერისთოვნი თადიასთან ვიყავით სადილად ნათლუხს, სა-
დაც თ. დიმიტრი მაღალოვიც იქ იყო. სადილს უკან, მე, გიორგი ბიძი
ნა და დიმიტრი წავედით ბაღში სასეირნოთ, ოდესცა ბაღითგან დავ-
ბრუნდით, მაშინ ჩვენ ერთიანათ დავიწყეთ ლაპარაკი თავისუფ-
ლებაზე საქართველოსი, დიმიტრი მაღალოვთან, და იმ დიმიტრიმ
მაშინ იმ ჩვენ ლაპარაკზე სრულებით ხმა არ ამოიღო და ამის მეტი
არ მახსომს რომ ჩვენ იმასთან შერთება გვქონიყოს რამე. და ეს
დიმიტრი მაღალოვი ხშირად დადიოდა ჩვენთან როდესაც ჩვენ ბა-
ღში ვიდექით. ბიძინა და გიორგი ერისთოვნი ჩემგნით ცალკე იდგ-
ნენ ბაღში, და არ ვიცი იმათ გამოუცხადეს ესე ჩვენი აზრი დიმი-
ტრი მაღალოვს თუ არა.

პოდპორუჩიკი. თ. ალექსანდრე ორბელიანოვი".

25-სა იანვარს, 1833-სა წელსა

რომელიც გიორგი ერისთოვმა დავითის ძემ, წამამიდგა პი-
რში, და მითხრა, რომ ვითომც ჩვენ ბაღში მსჯდარვართ კაკალ ქვეშ
და დიმიტრი მაღალოვიც იქ ყოფილა, და ჩვენ დიმიტრი მაღალო-
ვისათვის გამოგვიცხადებია, ესე ჩვენი აზრი, მე ესე გარეშოება
სრულებით არ მახსომს.

პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

25-ს იანვარს, 1833-სა წელსა.

კითხვასა ზედა ამა კომისიისა მაქვს პატივი გამოუცხადო, რომელ მედიკს **პოპეიკასთან** თავის დღეში ახლოს ცნობა არა მაქვს რა, თვინიერ, სალამის ნეტისა, და როცა გზაზე შევხდომივართ, თავი დაგვიკრამ ერთმანეთისათვის, და ჩემთან თავის დღეში არა ყოფილა, და არც მე იმასთან და ამა ჩვენი განზრახვის ლაპარაკი სრულებით იმასთან არა მქონიარა.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

25-ს იანვარს, 1833 წ.

ბიძინა ერისთავის ჩვენება (V, 850).

„კითხვასა ზედა ამა კამისიისა ნაქვს პატივი მოვახსენო **რომელ** თუმცა თავადი **დიმიტრი მაღალოვი** მინახავს მე ნათლულში **თადია ჩოლაყოვთან** და ესევე **ალექსანდრე ვახტანგიჩის** ბალში ათას რვაას თორმეტში მაგრამ შესახებელად საქართველოს განთავისუფლებისა მე სულ არ ნახსოვს რომ ამ საგანზედ რომ მელაპარაკნოს და ან გამომეცხადებინოს და არ ვიცი რომ იმან იცის თუ არა ეს.

პრაპურშჩიკი **თ. ბიძინა ერისთოვი**".

ჩყლგ წელსა
იანვრის. კე

ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება (V, 870—876).

„კომისიისთვის ჩემ მიერ მიცემულ განმარტებათა გაგრძელება. იანვრის 19-ს 1833 წელს.

კომისიამ ისე ზერელედ მომითხრო ჩემ ბრალდებათა გარეგმოებანი, რომ ერთბაშად ვერ მოვიგონე და მხოლოდ ნაწილნაწილ მაგონდება მისი ნათქვამიდან. მაგალითად: კომისია ბრალს მდებს, ვითომც ყოფილი აქაური სამოქალაქო გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ზაველეისკი**, თურმე არ უშვებდა იქით და აქეთ მომავალ არც ერთ ქართველს, რომ მოსკოვში არ გაეჩერებინა და ჩემთან დაახლოვება არ ერჩივნა. უცნაური შენიშვნაა! რომელსაც შეუძლიან ჩემზე კეთილი შეხედულების განმტკიცება, ვიდრე მე რამე იქვის ქვეშ მაგდებდეს.

ზაველეისკი გავიცანი **თ. ვარშავსკის** რჩევით 1829 წ. ტფილისში, მისი ბრწყინვალება აღმიწერდა მე მის თვისებებს ხელსაყრელ ფერებში, ამბობდა რა ამასთანავე წყრომით, რომ ქართველები მას ვერ ითმენენო, არ შეუძლიანთ მისი ღირსებათა დაფასებაო. მე და **ზაველეისკი** მალე დავახლოვდით ჩვენი აზრების

ბგავსებათა გამო. მისი სულის კეთილშობილება, მისი კეთილი აზრები, მისი დაუდეგარი საქმიანობა მასზე დაკისრებულ მრავალ-რთულ მოვალეობათა ირგვლივ, მისი ყველასადმი გაბედული სა-მართლიანობა, განურჩევლად პირთა, განსაკუთრებით კი მისთვის ახალ საქმეთა მისგან სწრაფი მიხვედრა და ათვისება—უსაზ-ღვროდ მომწონდა მე და ყოველი წუთით აძლიერებდა ჩემს მის-დამი სიყვარულსა და ნდობას. იმას საქართველოს შესახებ ძლიერ; სწორი შეგნება ჰქონდა. სამოქალაქო მოხელეების, რომლებიც მას-თან ერთად ჩამოვიდნენ, რჩეული ყოფაქცევა, მისი არჩევნის ხა-რისხზე მიუთითებდა.

მისმა ხანმოკლე მართველობამ თ. **ვარშავსკის** ხელმძღვანე-ლობით, მოუტანა ხალხს საგრძნობი შემსუბუქება, განსაკუთრებით **სამგზავრო** ვალდებულებათა საქმეში, რომელიც მათ ყველაზე **მძიმე** ტვირთს წარმოადგენდა, გარდა მონაპირე სადარაჯოების შენახვისა, რაც მხოლოდ კახეთს ედვა ვალად. სასამართლოს ნელი წარმოება, რაც მის მოსვლამდის ხალხის უკმაყოფილების მთა-ვარ საბაბს წარმოადგენდა, მის დროს უფრო ენერგიულ სახეს ღე-ბულობს; მაგრამ ასეთი ცვლილებები არავისგან ყოფილა შემჩნე-ული თავ. **ვარშავსკისა** და მცირეოდენ კეთილმოაზროვნე ხალხთა გარდა.

ებრძოდა რა ბოროტმოქმედებებს, განსაკუთრებით კი უსა-ქმურობას, **ზაველეისკიმ** მრავალი მტერი შეიძინა. გარდა ამისა **თ. ერისთოვები** მას მიაწერდნენ ოსეთში თავის მამულების დაკა-რგვას, ჩემი ცოლის ძმა მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი** მაგას თვლიდა თავის დაბეზღებლად **თ. ვარშავსკისთან** 1829 წელს, და **მასთან** სულიერად მუდამ შეურიგებელი იყო, ისე როგორც სხვა **იმ დროს** ბრალდებული თავადები. გუბერნიის წინამძღოლი გენ. **მაიორი თ. ბაგრატიონი,** რომელიც, როგორც თავისი თანამდებო-ბით, ისე მემამულის წოდებით, ვალდებული იყო ხელი შეეწყო მის კეთილ წამოწყებათათვის,—მისდამი ზიზღით იყო შეპყრობილი, ან იმიტომ რომ ზემოაღნიშნული წესები არ ეთანხმებოდნენ ამის წესებს, ანდა არ ესმოდა ისინი; თ. **ბაგრატიონი** გუბერნატორის შესახებ ჩაძახილ ხმებს იმეორებდა. თუმცა გუბერნიის წინამძღო-ლისათვის ჩემი **ზაველეისკისთან** მეგობრობაც საკმარისი იყო იმის-თვის, რომ იგი არა ჰყვარებოდა, რადგან 1830 წელს არჩევნების **დროს** მე ამის საბაბი მივეცი ანიშნულ **თ. ბაგრატიონს,** რათა მე **შეეძაგებოდი** რადგან მე მას შავი კენჭი ჩაუგდე და მთელი თავად-აზნაურთა კრების წინაშე ხმა მაღლა ვთქვი, რომ მისი გამოუცდე-

ლობის გამო იგი არ არის ღირსი გუბერნიის წინამძღოლის ადგილისა მეთქი.

ზაველეისკი არა ჰმალავდა ჩემთან აქაური მხარის შესახებ ზოგიერთ თავის პროექტებს. ჩვენი ორივეს აზრი იყო ქართველთა და რუსთა ერთი მეორესთან მჭიდროდ დაახლოვების საშუალებები გამოგვეძებნა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნდა ნათესაური კავშირების გამრავლება და დამსახურებულ რუს მოხელეთათვის საქართველოში მიწების დარიგება. თუმცა მასზე არა ნაკლებ ვიცოდი აქაური შემოსავლის სიმცირე. ძაგრამ ამჟამად მათ გადიდებაზე მე ამას არ ვეთანხმებოდი, არა საკუთარი მეურნეობის ვარაუდით, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ამიერ კავკასიის მხარე შესძლებს თავის დროზე გადაჭარბებით დაუბრუნოს სახელმწიფოს მასზე გაწეული ხარჯები. მთავარია კავშირის განმტკიცება ლმობიერი ღონისძიებების საშუალებით, ხალხის ნდობის მოპოვებით.

ამგვარი იყო ნე და ზაველეისკის მსჯელობა, როცა კი ერთად ვიყავით. მიცნობდა რა როგორც საკუთარ თავს—მას არ ეპატიებოდა, რომ არ გაეცნობებინა ჩემი თავი ყველა საქართველოში ჩამოსულთათვის, ვისაც კი იგი ნახავდა. თუმცა იმათ გასაკვირვებლად, ვინც მეცა და ზაველეისკისაც კარგად გვცნობდა, იმაზე უკეთესს ვერაფერს მოიგონებდნენ, რომ მისთვის ბრალი დაედვათ სიხარბეში და ჩემთვის კი იმპერატორის ღალატში; ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, როგორც ერთი, ისე მეორე მოხდა! კიდევ მაგონდება ბ. ბ. კომისიის წევრები შეუბნებოდნენ რომ ყველა დაპატიმრებულნი მე თავიანთ მონაწილედ მასახელებენ. უნდა ვიცოდეთ რანაირი ურთიერთობა ჰქონდათ მათ ჩემთან შეთქმულების თაობაზე: სიტყვიერი, ვისიმე თანდასწრებით, ანუ თუ წერილობითი. ორ უკანასკნელ შემთხვევაში დასაბუთება უნდა იყოს აშკარა. ხოლო თუ ისინი ამაზე უარს ამბობენ და მაინც ჰყოფნით უპატიოსნება თქვან, რომ ჩემთან სიტყვიერად უმსჯელიათ, მაშინ დაასახელონ სად და როდის სახელდობრ. ვისმე უნდა ენახა ისინი ჩემთან განმარტოებულად ნალაპარაკევი, რადგან როდესაც თ. ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი თ. ჩოლაყაევი ჩემთან იყვნენ ცალკე ოთახში, იქ მომწმეები ბევრნი იყვნენ. განა ბუნებრივია, რომ მე მქონოდა შეერთება კახეთიდან ქართლსა და ტფილისში ასზე მეტ ადამიანთან სულ ცალცალკე და ამოდენა ხალხს არ შეუძლია დაასახელოს ამ ურთიერთობის ადგილი, დრო და ვინმე, რომელსაც შეენიშნოს მათი ჩემთან საიდუმლო შეერთება?

თ. ლუარსაბ ორბელიანოვისა და კაპ. თ. ჩოლაყაევის შესახებ მე უარვყავი მათი ჩემთან საუბრის შინაარსი (უკეთ ჩემი ძათთან საუბრისა, რადგან **თ. ორბელიანოვს** თითქმის ხმა არ ამოუღია, **თ. ჩოლაყაევი** კი მეთანხმებოდა რა ჩვენი მთების შესახებ დავის შინაურულად მორიგებაზე, საერთოდ მეფურნეობის საქმეებზე სრულიად თავდაჭერილ შენიშვნებს გამოთქვამდა); მაგრამ ყველა დანარჩენს უარვყოფ, უარვყოფ მათს ყოველგვარ საიდუმლო შეხვედრას ჩემთან. ეხლა, რას უნდა მიეწეროს მათი ასეთი ყალბი, ბოროტი ჩვენება, თუ არა მათს ჩემდამი ბოროტ განზრახვას, სწორედ იმიტომ, **რომ ოქროპირ ბატონიშვილის** რწმენის წინააღმდეგ, მათ ჩემში ჰპოვეს მათთვის სრული საწინააღმდეგო აზრები იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მათ **თ. ლ. ორბელიანოვმა მოუტანა**, რომელიც როგორც ეტყობა, ჩემი სახელით მოქმედებდა ჩემს დაუკითხავად, თვითნებურად.

დაპატიმრებულთაგან ძალიან ბევრნი არიან ჩემი ნათესავები, მაგრამ ყველანი ცოლის მხრივ, მაშასადამე მისი ძმის **თ. ლუარსაბ ორბელიანოვის** მხრივ და არც ერთი პირდაპირი ნათესავი არ არის. მთელი ჩემი ნათესაობა, როგორც მამის ისე დედის მხრივ, აგრეთვე ყველა ჩემი მოგვარეები, კახეთში არიან. ამ უკანასკნელთაგან სამი დაეცა ბრძოლის ველზე სპარსეთსა და ოსმალეთთან ომიანობის განმავლობაში. არ არის მათში არც ერთი, რომელიც მთავრობის მიერ არ იყოს დაწინაურებული ან ქონებით ან სამსახურით.

აქ ყველამ იცის, რომ მე პირველი მემამულეთაგანი ვარ საქართველოში. ჩემი სახლი და მამული კახეთშია, სადაც მუდმივად ვცხოვრობ. მე ყოველი მხრით უფრო მეტი გავლენა მაქვს იქ, ვიდრე ქართლში, სადაც ჩემდა სამარცხვინოდ არც კი ვყოფილვარ; როგორ შემეძლო ასეთი დიდი საქმე უცხო ადგილას დამეწყო და ჩამებარებინა იგი მემამულეებისათვის, რომლებსაც ასე ნაკლებად ვცნობ და გვერდი ამეხვია ჩემს მეზობელსა და ახლო მონათესავე მემამულეებისათვის, რომლებთანაც ვიზიარებ ხალხის ყველა გასაჭირს. კახელები უფრო მეტად არიან შეწუხებული გადასახადებისაგან ვიდრე ქართლელები (თვით ქართლელებისა და გუბერნიის წინამძღოლის უკეთმართობისა და გადასახადთა არა თანაბრად განაწილების გამო) და ადვილად აჯანყდებოდნენ. ისინი, როგორც ქართლელებზე გაცილებით უკეთესი მეომრები, ამასთანავე უფრო მაგარ ადგილებში ცხოვრობდენ ვიდრე ქართლელები და დაღესტნის მეზობლად მყოფნი ამ საქმისათვის უფრო მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენენ. ეს ისინი უკეთ მიცნობენ ვიდრე ქართლე-

ლები. მათ არ შეუძლიანთ უფრო მეტი ნდობა არა ჰქონდეთ ჩემთან, რადგან ჩვენი სარგებლიანობა შეერთებულია. ძათ კარგად იციან, რომ 1831 წ. მე ვეწინააღმდეგებოდი ინტრიგებს. სახელდობრ, როცა ამ მხარეს გენერალი **პანკრატიევი** განაგებდა; რადგან გადასახადთა გუბერნიაში განაწილების დროს იმ გადასახადთა ნაწილი, რომლებიც ქართლს აწვა, კახეთზე გადაიტანეს, ისე რომ დაუტოვეს ყველა ისინიც, რომლებიც კახელებს ძლიერ ავიწროვებდა. რომ კახელების ასეთ საგრძნობ შევიწროვებას ან მაშინ, ან შემდეგში იქაურ ხალხში აჯანყება გამოეწვია, ვის მიაწერდნენ არეულობის მიზეზს? როგორც ეტყობა ალბად მე. რაიაკვირველია, მაშინ უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ იმას, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი თავიდან ამეცილებინა ხალხის უკმაყოფილება, თუ კი ეხლა აგრე ადვილად მიმიჩნიეს ქართველების დანაშაულში მონაწილედ. გასაოცარია, რომ ესოდენ აშკარა საბუთები მთავრობის ყურადღების გარეშე რჩებიან. ჩემი ურთიერთობა ნათესავებთან და მეზობლებთან, როცა კახეთში ვცხოვრობდი, ყველგან და ყოველთვის მთავრობის სასარგებლო იყო, რადგან იმაში საზოგადოსიკეთეს ვხედავდი.

მე ვაიმედებდი ყველას, რომ მთავრობა უსათუოდ მიაქცევს ყურადღებას ჩვენს საქმეებს და რომ ყველაფერი გამოსწორდება როგორც კი ჩვენ მთავრობას აუხსნით ჩვენს ვითარებას. არ არის კახეთში მემამულე, არც ნათესავი ჩემი და არც გარეშე, რომ ამ აზრით არ მელაპარაკნა ჩასთან. განსაკუთრებით კი ბ.ბ. მაზრის წინამძღოლებს თავადებს **ევგენი ქვაბულოვსა** და **ივანე აფხაზოვს,** შემდეგ კი ეხლანდელ თელავის მაზრის წინამძღოლს **თ. ერისთოვს,** ყოველ შეხვედრაზე ვთხოვდი, რომ შეედგინა დაწვრილებითი ნუსხა იმ სიმძიმეთა, რომელსაც მხოლოდ კახეთი განიცდიდა, რათა წარგვედგინა ჩვენ-ვარმართველობისათვის, ურომლისოდაც გათანაბრების მოთხოვნა ძნელი იქნებოდა. აგრეთვე ვთხოვე მას შეედგინა მეორე ნუსხა დამხმარე მოთხოვნილებებზე, რომლებითაც ხალხი შეწუხებული იყო და ხაზინაც ვერაფერს სარგებლობდა, იმ მიზნით, რომ ვეთხოვნა უკანონო გადასახადის მოსპობა.

გუბერნიის საერთო საქმეებზე ველაპარაკე **გენერალ ლეიტენანტ თ. ერისთოვს.** მე და იმან გავგზავნეთ გორის ბაზრის წინამძღოლი **თ. დიასამიძე** გუბერნიის წინამძღოლთან, რომ დაენიშნა ტრაქტაციისთვის დრო ზემოხსენებულ საქმეებზე, რის შესახებაც მე მას წინადვე ვთხოვე **თ. ლუარსაბ** ორბელიანოვის საშუალებით,

მაგრამ არც პირველ და არც უკანასკნელ შემთხვევაში მისგან პასუხი არ მიმიღია.

გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე".

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (V. 880).

„საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო, რომ შარშან გაზაფხულზე ელიზბარ ერისთოვთან სადილად ვიყავით: სოლომონ რაზმაძე, მამაცოვი, ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარის ძმა დიმიტრი, პრაპორშჩიკი ჯორჯაძე; მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი, ავთანდილოვი, და მე, მაგრამ რა შემთხვევის გამო გამართა სადილი არ მახსოვს. სადილზე ვილაპარაკეთ საქართველოს განთავისუფლებაზე, მაგრამ სახელდობრ რა ვთქვით არ მახსოვს. სხვათა შორის თავისუფლების სადღეგრძელო დაველიეთ. სადილ შემდეგ, რომ არავის შევემჩნიეთ, ცალკე წავედით ბაღში, სადაც განვაგრძეთ საუბარი ინავე საგანზე. სხვათა შორის ვილაცამ გამოთქვა აზრი, რომ გაგვეგზავნა ერთი ვინმე ოქროპირ ბატონიშვილთან, რომ მისთვის დაწერილებით ყველაფერი ეამბნა ჩვენს განზრახვაზე; როგორც მახსოვს ყიფიანოვი თანხმდებოდა შეესრულებინა ელჩის როლი, რის შემდეგაც დავიშალენით.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

1833 წლის 27 იანვარი.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (V, 892—893)[1].

„კომისიასა შინა

ეირომონახ ფილადელფოსისგან გამოცხადება ბარათთათვის.

I წერილი იგი გიორგისა[2]) მივიღე ესე ვითარსა დროსა, სადილს უკან სენაკსა შინა ჩემსა იყვნენ მოწოდებულნი ძმანი, ვსჭამდით ხილსა და ვმხიარულობდით შესაბამის მოუბნარობით, მაშინ არ ვიცი რაზე მოაგონდა იერომონახს ქრისტეფორეს. და მითხრა, ჰო შენი წიგნი მაქვს ერთი, მგონია გიორგისა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მომცა, ვნახე გახსნილი იყო, ვუთხარ ვინ გახსნა მეთქი, მითხრა დიდი ხანია შინ გდიაო, ჩემს რძლებს გაეხსნაო მაგრამ ვერა გაეგოთ რა, ახლა გამომატანესო, მე მივიღე წიგნი, მოვყე კითხვას, ნაგრამ ყოფისათვის სტუმართა წავიკითხე მხოლოდ იქა აქა საჩქაროდ რათა არ მიეღოთ მათ დაბრკოლება და მივაგდე სტოლზე საჩვენებლად მათდა ვითომც არასფერი მეთქი, მე მინდოდა წაკითხვა

[1]) მიღებულია კომისიაში იანვრის 28-ს.

[2]) გიორგი დავითისძე ერისთავი იგულისხმება.

მისი გამხოლოებულსა დროს, გარნა განგრძელებისა შინა საუ-
ბრისასა, მოვიდა არხიმანდრიტი **სოფრონ**, ჩვენ მივეგებენით მას,
შემდგომ ერთის საათისა მოინდომა წასვლა თელავს, და ძითხრა
შეც თან გაყოლა, შეველ სენაკში ვიწყე საჩქაროდ მომზადება,
ავიღე ის წიგნი, თუმცა წავიკითხე მაგრამ დიდის სიჩქარით ვერ
წავიღე თან რომ სიცხისათვის არ მეცვა ახალუხი, და არა მქონდა
ჯიბე დავუტევე ისევ სენაკში, ოდეს მოველ ველარ ვნახე, იქ
სენაკში იყო პატარა ყმაწვილი არხიმანდრიტის ძმისწული შაგირ-
დათ, ვკითხე მას და მონიგო არ ვიცი, მაგრამ მე დავამტკიცე
რომ უთუოდ ის აიღებდა, და შიშით ვერ აჩენს მეთქი, ალარ ვა-
იძულე ვიცოდი ვერავინ ვერ წაიკითხავდა და უტევე მოუძებნე-
ლად უშორეს, შემდგომ ალარც მინახავს არ წამიკითხავს, სახელ-
დობრ არ მახსოვდა **ალექსანდრეს** მეტი, თუნცა იქვით როგორმე
მახსოვდა რომ იყვენ სხვანიც მაგრამ არც იმათი სახელი მახსოვდა
არც რავოდენობა, ამის ბნელის ხსოვისათვის ვერ გავბედე გამოც-
ხადება, ჩემზე ცუდი აზრი კათოლიკოსთან **ევსტათი ციციანოვის**
დაბეზღებისათვის სხვაზე არაფერზე რომ წერია ამოვშალეთო.

2 **პოპეიკა**, მწამლობდა მე 1824 წელში სიღნაღს სნეულებასა
ბუასილისასა და მარგო შემდგომ იქიდამ ამდრომდე სნეულება
ესე მცირედ მცხარედ იზრდება ჩემში, და ახლა ძალიან და მინ-
დოდა ჩამოვსულიყავ ქალაქს და ეწამლა ვსთხოვე **რომ** კარგად
გაეცნა **რომ** მეგობარი უფრო ერთგულად მიწამლებს მეთქი; ამი-
სათვის ვსთხოვდი გაცნობას.

3 **ნოწერილი გიორგის** წიგნი გიხაროდენ ივერიაო, **რომ**
მცირედ მცირედ გეხდებისი საბურველი, საბურველი არის უგუნუ-
რება და უსწავლელობა, ახლა რადგანაც შემოსვლითა განათლე-
ბულის ერისათა, შემოდის საქართველოში სწავლა იხდების საბუ-
რველი ამით სიტყვით მაქებს ვითომ, სხვა არ ვიცი ამისი აზრი.

4. **გიორგი ერისთოვი** **დავით ერისთოვთან** **რათ** **იყო** **არ** **ვიცი**,
მხოლოდ **იყო** **სტუმრად**, **დავით** **ერისთოვი** **კი** **მიცნობს** **და** **იქცევა**
ჩემთან **მეგობრულად** **და** **ქრისტიანულის** **წესისამებრ** **პატივისცემით**,
და **მწერს** **პოლიტიკურად**, **ვითომ** **ყოველივე** **იმისი** **ნივთი** **ისე** **ყო-**
ფილიყო **ჩემთვისაც** **ვითარცა** **ჩემი**, **მაყვედრებს** **რათ** **მიფრთხილ-**
დები **აგრე** **უნდა** **ერთობაო** **სხვებრ** **არ** **ვიცი** **სხვის** **აზრი**.

5. **გიორგი** **რომ** **მწერს** **ღმერთო** **გმადლობ** **რომ** **მასწავლებე-**
ლი **კეთილისა** **მომეო**, **ყოველი** **ჩემი** **მოუბნარობა** **იმასთან** **სხვა** **არა**
იყორა, **მხოლოდ** **სხვა** **და** **სხვა** **მძლეველობითის** **წაგალითებით** **ვა-**
რიგებდი **რომ** **ყოფილიყო** **მოყვარეობით** **სიწმინდით** **და** **პატიოსნე-**

ბით ვგონებ თავსა შორის თვისსა მმადლობელი მწერდეს ამისათვის. სხვებრ არ ვიცი სხვის გუნების აზრი.

6 **დავით** მწერს არ ვიცოდი თუ შენ მოშიშო იყაო აკი გეუბნებოდი, რომ საშიში არისო, **დავით** შეტყოდა ხოლმე არხიმანდრიტი არ არის კეთილი კაცი ბოროტის მყოფელი არისო გაუფრთხილდი თორემ არ დაგინდობსო საშიში არისო, როცა რო შეიტყო რომ ვითომ მე არხიმანდრიტს დავებეზღებინე ექსარხოსთან მანიშნებს რომ აკი გეუბნებოდი, რომ საშიში კაცი არისო, შვილი მებარაიმისი, არხიმნდრიტის შიშით ველარ დავაყენე გაუგზავნე და ის იმისთვის მოუწერია რათ შეშინდი არ მეგონა თუ მოშიშო იყავო.

7 **იოსელიანი როსტომ** იყო ქისტაურს, კნიაზ **ივანე ერისთოვთან** ჩვენ შეგვემთხვა ერთ ღამეს ერთად ყოფა იმავე სახლში, სხვათა შორის ჩამოვარდა სიტყვა და უთხარ მე ბსურის რუსეთის მონასტერში ყოფნა მინდა მეთქი, და არ დამითხოვენ მეთქი, იმან მითხრა დედოფალი **დადიანის** ცოლი არის ვორონიეში მე იმას ვახლდიო და მივსწეროთ წიგნი რომ დაგიბაროსო, დამეწერინა ხიგხი და მივეც, დამპირდა მონასტერშიაც ამოვივლი ქალაქს რომ წავალო და იქაც მოვილაპარაკოთო, არ ამოიარა დაგვიანდა ბე თელავს საქმე მქონდა ზოგი ჩემი, და ზოგი სამონასტროთ, წაველ თელავს და ვიფიქრე ვინ იცის რომ ამოიაროს ბოდიში მოვიხადე შინ ვერ დავხვდებოდი, და ვსთხოვე რომ ის ჩვენი ჰაზრი, და წიგნის გაგზავნა არ დავიწყდებოდა, იმას იქით იმ აზრზე ვარ მეთქი, და ჩემი სახსოვარი ის არის მეთქი.

8 **გიორგის** რომ მივსწერე ცხოველ იყავ და ცხოველ მყავ, რათა ტერმოზირისა ზურნაკთა შინა შთავბერო მე გალობანი მარციალოსისანი და ვმადლობდე რომლისა სახელი მეშინის, თქმად, ესე არის თელონიკიური თხზვა რუსულად მგონია კომპლიმენტი. ცხოველ იყავიო არის, იცოცხლე კეთილითა მოქმედებითა, ცხოველმყავ, განმაცოცხლე შენის წერილითა, და შენის მშვიდობაია ამბითა, ტერმოზირ არის მეტალოლიური ითაკის მთასა შინა მოხუცის კაცის მსგავსად პატივცემული ღმერთა სამხიარულოთა საკრავთა. **მარციალოს** იყო გონება მახვილი სტიხის სიმღერის მთქმელი, ვითომ მე დღესასწაულობასა შინა **გიორგის** მშვიდობის შეტყობისას, აღვირჩევდი საკრავთა ტერმოზირისთა და გალობათა მარციალოსისთა მხიარულებისათვის სულისა ჩემისა, და ვმადლობდი ღმერთსა რომლისა სახელისა ხსენება არა ყოველთვის ჯერ არს ცუდთა ზედა საქმეთა და მცირეთა.

9. წიგნი მამუკა **ორბელიანთან,** მამუკა **ორბელიანი** იყო მონასტერში შემოვიდა ჩემს სენაკშიაც ნახა იქ სტოლზე ვსწერდი შესაქცევად რეჩს ვითომ ექსარხოსის მოსვლას ამბობდენ ამ საგანზე, მთხოვა ნან იგი მე თვით მივართმევ ექსარხოსსაო, და კიდეც რეკამანდის გიზამო, რომ კარგათ შეგნიშნოსო, მე ის არ გამოუგზავნე, მოვსწერე უკეთუ გნებავს სიტყვითაც შეგიძლიანთ რომ მოახსენოთ რომ კეთილად მიცნას მეთქი, როცა ვნახავ ეანდ მოვილაპარაკებ ყველაფერსა მეთქი, მაქვნდა განზრახვა რომ ჩამოვსულიყავ ნემეწია ისიც სხვაც შემძლებელი კაცი, და ექსარხოსთან გაირიგებინათ რამე სამსახურის ადგილი ჩემთვის.

10. ლექსი ესე როდის გნახო გვირგვინ სკიპტრიან. ვკითხულობდი ისტორიასა თელემაკისასა ძისა უდისეისა, ოდეს იგი დარღვევისა შემდგომ ტროადისა **უდისეი მეფე** აღარა მობრუნდა შინა, რომლისათვისაც ძიებად მამისა თვისისა **უდისეისა** წავიდა შვილი მისი თელენაკ ყოვლისა ქვეყნის შორისა, ერთითა ოდენ ოსტატითა და ვეზირითა თვისითა **მანტრითა,** შემდგომ მრავალთა მოვზაურობათა მისთა, მეხომალდემან თრაკიელმან ნიყიდა **მანტრ** სხვასა მეხომალდესა ხოლო **თელემაკ** იპყრა თვისად ნოსაბსახურად **თელემაკ** იყო შვილი მეფისა ნიჭებული ყოვლითა და სიბრძნითა, თუმცა დაითმენდა იგი სიგლახაკით სლვასა **მანტრ** ზრდიდა მას საშეფოდ, ასწავიდა ყოველთ მეფობის თანანადებთა, დიდის ხნითგან განშორებულმან **მანტრ თელემაკისგან** არა მცოდნემან თუ საღ არს **თელემაკ** მაძიებელმან მინდორსა ზედა მსყიდველისა თვისისა ცხოვართა — მან ოგალობა, ესრეთ, ვინათგან იყო მოხუცებული ეძიებდა სიკვდილსა მაგრამ არ სურდა სიკვდილი ვიდრემდის არ იხილვიდა **თელემაკს** მშვიდობით მისულსა მამულსა თვისსა მოადგილად ანუ მემკვიდრედ მამისა თვისისა, მოწყინებასა შინა მიშინჯავს კალამი და დამიწერია ლექსად.

თამარ ტრიფონ ციფრით, ეს არის ერთი წიგნი ვნახე რუსული ეწერა უკეთუ ვისმე უნდა შეიტყოს რომელს პლანეტზე არის დაბადებული, უნდა დაწეროს სახელი დედისა და თვისი, თითოეული ასო უნდა დანიშნოს იქ ჩვენებულის ციფრით შემდგომ შეაერთოს სულ ჯამი ჯამიდამ გამორიცხოს 28, სულ ბოლოს რაც რიცხვი დარჩება თვითეული სხვაობა რიცხვისა აღნიშნავს თითო პლანეტთა. და ის მიცდია, იქ არის დიაკონი **ტრიფონ** ვკითხე დედას რა ქვიან **თამარ** ქვიანო. და ესრეთ გამოვცადე: **იერომონახი ფილადელფოს 1833“.**

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (1, 924-925).

„კომისიასა შინა.

იერომონახის **ფილადელფოსის** ძიერ, ობიასნენიე,

უკანასკნელსა კითხვასა ზედა ამის კომისიისაგან, შეთხზვისათვის ორმოც მუხლოვანთა გოდებათა იერემიასათვის. რომელსა შინა მოიპოებიან, რომელნიმე ნუხლი ალლიღორიულთა გამოხატულებათა. შესახებლად როსსიულისა მმართებლობისადმი:

ლმობიერებათა გულისათა ვიდრე ცრემლადმდე შევუდგები. სიტყვასა წინასწარ მეტყველისა დავითისსა „**ცოდვა ჩემი არა დავფარო. აუარო უფალსა** ბრალი ჩემი, და მომიტეოს ყოველი ულთოება გულისა ჩემისა“ (ფსალმუნი). ცნობილ-არს რომელ განათლება რუსეთისა აღიმატების დღეს ყოველთა ერთა ძველთა და ახალთასა, განშვენებული ზომიერებითა, და სიბრძნითა, და არარაი იქნების მათდა განკვირვებად: ბუნებითი ელიანთე(?) მიწისა აწარმოებს ოდესმე უნებლიეთსა მიდრეკილებასა გულისასა კაცისასა, ამით ოდენ მიწანიკური ძალითა იპყრობდა მიწა ესე წარმოებასა. შინა ათასამეტთა საუკუნეთასა ეკლესიასა ქრისტესა შეუძველად. და ათასთა მგელთა შორის ათსა ოდენ ცხოვარსა, საქართველოში არა სრულებით წაშლილ არს ჯერეთ იგივე მამულობითი ხასიათი, ერნი ცოცხლად არიან ისევ პირველისა დროისანი, მე მათ შორის ვცხოვრებ, განმაღვიძა მე დაუცხრომელთა საუბართაგან 1828-სა წელსა თანამოყვარემან ჩემმან მოხუცებულმან მღვდელ-მონაზონმან **ჰორფირი** შეთხზვად რაისამე ესე ვითარისა ცვლილებათათვის საქართველოსათა, აღვიარებ რომელ. მხოლოდ ერთისა ოდენ კმაკოფილებისათვის მის ხსენებულისა გვამისა, მოვიცადე მას ზედა ორსა დღესა, გარდა იმისა არა რაამლისამე კაცისათვის. არც წამიკითხებია არც მიჩვენებია არც სიტყვით მითქვამს არც გადამიწერია თეთრად შემდგომ მისა აღარც მე წამიკითხავს ეგდო უხმარებასა შინა ვითარცა თვით სჩანს დახეული და გასვრილი ქაღალდი თანასწორ მისა ვითარცა არა მყოფი: გვარი თხუზულებისა მის ითხოვდა აღწერად ყოველთა შესაბრალებელთა შემთხვევათა ძველთა, და ახალთა. მათ შორის მომეცა შეცთომა რომელ მცირედი რაიმე გაკვრით მოხსენებულ იყო ყოფისათვის რუსთასა. არა უშესაბამოდ არცა გინებით ვითარცა თვით ამტკიცებს დასასრულსა შინა. მადლობა ამის მთავრობისა, და მადლობა ღვთისა, რომ მოწყალებითა რუსთათა კვალად არს ჟამი მოხედვისა, და ჟამი სუფევისა ჩვენისა და ვცხოვრებთ ისევ ქრისტიანობასა, შინა, ძლეული ვნე-

ბათაგან შევსცთი ამას შინა, და მხოლოდ ოდენ გრძნობაი ჩემი ამას ზედა იპყრობს თავის შორის მტანჯველობითსა სინიდისსა.

მეორე უკვე სიყვარულისათვის მამულისა ნაწერი თუმცალა იგი მხოლოდ არს მომზადება და შემოკრება ნივთთა, თვინიერ სისტემისა, თვინიერ დაწყობილებისა, მაგრამ მას შინა უსაკუთრესი საგანი ჩემი იყო სრული განლვიძება სიყვარულისადმი რუსთასა ჩვენება ბედნირებისა შეერთებისა გამო საქართველოისა როსიისადმი, და მეგულვებოდაც რათა ოდეს მეორედ გამოვწურავდი მას და მოვიყვანდი კანონსა შინა სისტემატიკებრსა წარდგინებად მთავრობისადმი, და არარაი სხვა უშესაბამო, თუმცა უმეცრული იყო ყოველი ესე განსჯა ჩემი გარნა გული სურვიელ იყო გამოჩინებად შინაგანისა მადლობისა თვისისა ამის დროისადმი:

გარდა ამისა, ჰოი! ჭეშმარიტნო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო მართლმორწმუნისა როსიისანო, დიდსულნო ემართებელნო, სულმოკლებაი ჩემი გამაბედვინებს და სასოებითა სიძართლისა ჩემისათა, მოვუწოდებ ყოვლად უმაღლესს და მიზეზსა ყოველთა არსთასა, და ვფიცავ შემოქმედსა ცისა და ქვეყნისასა დაუსაბამოსა მაწარმოესა ყოველთა საუკუნეთა საუკუნეთასა, ყოვლისა, მპყრობელსა, ვფიცავ განხორციელებასა ძისა ღვთისა იესო ქრისტესა, წმიველსა, რომელიც აწცა ჩემთანა არს, და ხედავს შინაგანი გულისა ჩემისასა, ერთ არსებასა სამებასა, მამასა და ძესა, და წმინდასა სულსა, ვფიცავ განხორციელებასა ძმისა ღვთისა იესო ქრისტესა, წმიდათა ყოფილთა ქრისტესითგან აქამომდე და აწმყოფთა, და ყოველთა სამღვდელო წესთა, და უკანასკნელ თვით თავსა ჩემსა ვფიცავ, ვითარცა ხატი და მსგავსება ღვთისა: ამას ზედა რომელ:

1 პირველად მხოლოდ ამ ერთისა დასასრულისათვის შოვიგონე და შევთხზე აკტი რომ შემსვლელნი ქვეშე მისსა და მიმღებნი ფიცისანი ყოფილიყვნენ უმეტეს კეთილთა ცხოვრებითა ღვთის სიყვარულითა და შიშითა, ხემწიფის ერთგულებითა, და-მორჩილებითა და დასასრულ სიყვარულითა ურთიერთისათა. რათამცა საზოგადოება ესე ყოფილიყო განსხვავებული სხვათაგან კეთილთა ზნეობითა, არა ეთქვათ რა, და არა ემოქმედათ რა, არც სამღთოთა ნივთთა ზედა, არცა მთავრობასა და ხემწიფობასა ზედა, (რათგანაც ხშირად შემემთხვეოდა ხოლმე ტანჯვა რომელთამე ბოროტ მოუბნარობისაგან) და მინდოდა ესარგებლათ მათ ურთიერთისა კეთილითა სიყვარულითა, და სხვა არა რაი:

2 მეორედ, მას შინა აღწერილი ერთგული დამორჩილება ხემწიფისა რომლისა ხელსა ქვეშე ვიყვნეთ, ეს მიეწერების როსიის

იმპერატორსა, და არა სხვასა ვისმეს.

მესამედ, მე არა მცოდნიეს თუ აღკრძალულ იყო უქაზითა ამგვარი საიდუმლო საზოგადოება, არც გამეგონა, არც წამეკითხა, და ვერც მონეფიქრა.

4 მეოთხედ, აკტი ესე ჩემგან არც არავის მიუღია სხვას გარდა **გიორგი ერისთოვისა** არც არავისთვის გარდამიწერია არცარავისთვის მიმიცია.

5 მეხუთედ, არა რაიმე ბოროტი დაწყობილება და მოქმედება ამათ კაცთა რომელნიც აქ დაჭერილნი არიან მე არა რაი მცოდნია არც გუნებაში განმვლებია, ჩემის განუსჯელობით არა თუ მეგონა წინა აღმდგომი მთავრობისა, მეგონა თუ გამოცხადდა კიდეც მომიწონებენ მეთქი ცდასა ამას კეთილის ცხოვრებისა მათისასა მეთქი.

6 მეექვსედ შეთხზული ჩემგან გოდება იერემიასი, არ შემითხზავს არცა წინააღმდეგობისათვის მთავრობისა, არცა განსაღვიძებლად ცუდთა გრძნობათა ვისთანმე მხოლოდ ძლეულმან სხვისაგან დავსწერე ლიტონად, არავისთვის არ მიმიცია წასაკითხად გარდა იერომონახის **პორფირისა**, არც გადამიწერია ვისთვის მე, არც გულში მქონდა მიცემა ვისთვისმე ანუ დატევება შემდგომ სიკვდილისა არც ვინმე იცოდა, მხოლოდ ეგდო ამ ხუთს წელში უხმარად ვითარცა ცუდი დახეული ქაღალდი.

7 მეშვიდედ, წინააღმდეგი რაიმე შესაძლებელი მთავრობისა არავისთვის არ მიმიწერია, არცა მიმიღია ვისგანმე, არცა თუ მითვქამს ოდესმე სიტყვითაც პირისპირ ამისსა, ყოველთვის მაქვნდა შესანიშვნელი ქადაგება, და დამტკიცება, ყოველთა კაცთადმი, ბადლობისათვის როსიელისა მთავრობისა, რომ არ ძალგვიცს ჩვენ გამოთქმად კეთილმოქმედებასა როსიისასა ჩვენ ზედა, ამისთანა კეთილი და ბედნიერი დრო საქართველოს არ ქონია მეთქი, და ესე ვითარი, ვერ მოვითმენდი ხოლმე რასამე ცუდსა სიტყვასა როსიელსა ზედა მთავრობასა, მაქვნდა ერთგული სულ, სიყვარული და გრძნობა, და ვეგები, გარდა ამისსა არა მაქვს არა რაიმე სიტყვა თქმად, არა ვუწყი ცოდვა ვქმენა ანუ არა, ხოლოდ შევავედრებ თავსა ჩემსა ღმერთსა, და უდიდებულესსა ხემწიფესა: ყოველად ვლახაკი მონა ღვთისა იერომონახი ფილადელფოს. 1833[1])

რამდენსაც მე კეთილგანზრახვით ვარიგებდი მაშინ **გიორგი ერისთოვს**, სიყვარულსა ღვთისასა და განათლების სურვილსა, მთა-

---

[1]) თვე და რიცხვი არ უწერია.

ერობის მორჩილებასა, და ერთგულებასა, ყოვლთვის მომიგებდა. კარგი მამაო, ვგრძნობ, მე სულ კარგად ვგრძნობ, ვგრძნობ მხოლოდ შენ დასწერე აკტი; აი ახლა შევიტყე როგორც ის გრძნობდა. მე თუმცა აქამომდე არ ძალმედვა გაშინჯვა, არც გონებაში გაშვლებია, თუ საიჭველი რამ იქნება მეთქი, გარნა აწ ცხადად ვხედავ რომ ყოველივე ჩემი მოქმედება შემოიტანს დიდს იჭვს, როგორ შემეძლო ამისი მოფიქრება, თუ ამისთანას უგუნურს უსჯულობას ვინმე გაბედავდა კეთილ მოქმეთდა ზედა, თავის სულზე, თავის მაცხოვარზე, თავის მფარველსა და ბედნიერებაზე. ამასი რა ეთქვა ვისმე ვერ დავიჯერებდი, ახლა რადგან გამოცხადდა ამისთანა უსჯულობა, მე ვხედავ რომ გარემოება ჩემი აჩვენებს ჩემზედაც დიდს იჭვს, პირველად ასო გაკეთებული, მეორედ გოდება იერემიასი, მესამედ ახლა ეს აკტი, ამას გარდა მაგ ბოროტ განმზრახთაც ზოგიერთის ცნობა, თუმცა ვხედავ რომ ესენი ფრიად ძლიერი ნიშნები არიან, სწორად მივყავარ მე სრულს დანაშაულში, მაგრამ ვფიცავ ყოვლად უსაყვარელესს ყოვლადგე ღვთის ჯურთხეულის უდიდებულესს ხელმწიფეს, რომ წინააღმდეგობისა და ბოროტმოქმედებისათვის არც ერთი არ მიქნია, მხოლოდ ჭეშმარიტის და გაცხარებულის გულით, ღვთისა და ხემწიფის სიყვარულით მომივიდა ბევრჯერ მესმოდა გმობა ღვთისა, გმობა საყვარელისა რუსეთის მთავრობისა ახლანდელთ გარყვნილთ იმისთანა კაცთაგან, და მინდოდა ეს აღარ ყოფილიყო, აკი იქავ დავწერე რომ პირველი ჩლენი ხემწიფე უნდა იცოდეთ მეთქი, მორჩილნი უნდა იყვნეთ, და ერთგულნი ხემწიფისანი მეთქი, აგრე უნდოდა ერთგულება თავის ჩლენისა და ხემწიფისა? იმათ არც აკტი მიუღიათ, არც ისე მოქცეულან, არც არავის მგონია ხელი მოუწერია ჯრც იმაზე დამდგარან; აკტიც უარუყოფიათ და ღმერთიც. პირველადვე ყოფილან ბოროტგანზრახვაში, პირველადვე ჰქონიათ შემცთარი გონება, ვერა რომლითამე ლონისძიებით ველარ მობრუნებულან თავის შეცდომილებისაგან, და მეც თან ჩამიტანეს, იმათთვის ამ ბოროტის ფიქრის მიზეზი მე არა მიმიციარა; ვერ ვიცნობდი ვერავის, მარტო **გორგი ერისთოვი** ერთხელ ვნახე და გავიცან მას უკან ალარ მინახავს, **დოდაშვილს** ვიცნობდი, და არა ძალიან შინაურად, ალექსანდრე[1]) მხოლოდ დანახვით და სახელის გაგონებით ვიცოდი, სხვებს სულ ვერ ვიცნობ. მე შორს ვიყავი არ ვიცოდი რას მოქმედებდენ, მეოთხე წელიწადია ქალაქს ალარ ვყოფილვარ, უკეთუ

[1]) ალ. ორბელიანი.

სინიდისი ჩემი მიმიშვებდა ნეტარი მეც ბაგათი ამხანაგი ვყოფილიყავი, მცოდნოდა ეს მაგათი უსჯულოება, ასე არ ვიქნებოდი დამწვარი შინაგანითა, და ტანჯული, ნეტარი ვერიო რაშიმე, რომ გამომეცხადებინა ცხარის სინანულით, ეგები შემიწყალებდა დიდებული ხელმწიფე, და მთავრობა; ახლა ჩემისთანა უბედური არავინ არის, ჩემის საქმეებით დიდი იჭვი ჩანს როგორც ახლა მეცა ვგრძნობ, და ჩემს გულში ერთგულების და გარდამატებულის სიყვარულის მეტი არა ყოფილა რა. არის მოგონება თერთმეტი წელიწადი ნეტი იქნება სხვა არაფერი მიზეზი არა მქონდარა, რუსული ბურძნული, და ლათინური, ხუცური და მხედრული იყო არეული ერთმანეთში, მეც ქართული ხუცური ასო და მხედრული აურიე ერთმანეთში, და მივამსგავსე იმათ, პირველად პირველის კათოლიკოსის **ანტონის** დროსაც ეკეთებინათ ოსტატმა მიჩვენა, იმაზე ვიგონე უკეთესი წერისათვის, რა ვიცოდი თუ აგრე ბოროტებისათვის იხმარებდნენ, იერემიას გოდების შეთხზვაზე დანაშაული მაქვს, მაგრამ არა ადამის ტომს არა ხორციელს კაცს არავის წაუკითხავს და არც გაუგონია არც არავინ იცოდა ეგდო ამ ხუთ წელში ისე ვითარცა არა მყოფი, რა ვქნა ახლა სხვა განმართლება აღარა შემიძლიანრა, როგორც ჩემს გულში სიყვარული ყოფილი ისევ იმ სასოებით დავარდები ბიწასა ზედა, და შევსტირებ ღვთივ კურთხეულს ხემწიფე იმპერატორსა, მამაო ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და იყავნ ნება თქვენი.

ყოვლად გლახაკი ბერი **ფილადელფოს**".

ბიძინა ერისთავის ჩვენება (VI, 944).

„რომელსაც მკითხამს კამისია ვაცნობებ მას რომელ მართალია თავადს **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვითან** მინახამს თავადი **ივანე მიხეილის ძე ერისთოვი** მაგრამ არ მახსომს რომ აშ საგანზე მელაპარაკნოს რამე ივანე მიხეილის ძესგან და თუ მამაგონებს ვინმე რასმე რომ ამ საგანზე გველაპარაკნოს რამე მაშინ ეშმარიტებით აღვიარებ რომ არას დავმალავ. თავადი **ბიძინა ერისთოვი**".

ჩყლგ. წელსა.
თებერვლისა.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (VI, 962-65).

„დასამატებლად ჩემის ჩვენებისა მაქვს პატივი მოვახსენო ამა კომშისიას. მხოლოდ იყო ლაპარაკი როგორც მოხდეს აქ

დაპატიჟება. არ მახსოვს რომელსა რიცხვში მოვიდნენ ჩემთან ელიზბარ და ამის ძმა არტელერიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი ერისთოვნი** დავიწყეთ ლაპარაკი არ მახსოვს რომელს საგანზედ. შემდეგ ამ ლაპარაკისა ამოიღო უბიდან პრაპორშჩიკმა **დიმიტრი ერისთოვმა** ქაღალდი. და წაიკითხა ვინ უნდა იყვნენ იმ ღამეს დანიშნულნი თავადნი და რაოდენი კაცი უნდა ჰყვანდეს-ციხეში, არსენალში, კაზარმაში, მთავარმათებლის ნაობახტში, ხაზინაში და ნავთლუღის ხაზინაში და ან როგორ გამოიტანონ ხიდთან ზარბაზნები და ორი ზარბაზნით უნდა წავიდეს კაპიტანი **ჩოლოყაევი** კაზარმასთან. მე ჯერ არ შეესრულებინა ვკითხე როგორ გამოიტანთ ზარბაზანს. ამან მითხრა მე ღღეს დილით ვიყავ არსენალში ბრძანება მქონდა არ მახსოვს მე თოფები მივიბარე თუ სხვა რაღაც და იქ სულ წვრილად გავსინჯე. უნდერ ოფიცერი ჩვენი იყო სად რა არის. და მითხრა ორნი არტელერიის საქმე ვიცით და ჩვენ ზოგიერთ ვასწავლით სროლას. მე უთხარ ისე მალე რად ასწავლის ჩვენი კაცი. მითხრა პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენის მხრივ გაზდილნი და მცოდნენი ამისნი. მე უთხარ სად იშოვნით პოლიაკებს ჯარისას. **ელიზბარ ერისთოვმა** მითხრა. მე ყოველდღე დავდივარ ჩემს სიძე მელნიკოვთან. იმის მალაზიები ქვეშ სახლისაში უჭირავთ შვეცრელების პოდანთ ვაჭრებს და ამათთან მოდიან პოლიაკები ზოგი სათხოვრათ და ზოგი ესე. და ბე გაძრახ დაუწყებ ხოლმე ლაპარაკსა და ყოველთვის თითო აბაზი მაქვს გადადებული მათთვის და ამით ბევრს ვიშოვნით. და კიდეც ვანუგეშებ ვეუბნები ჩვენც თქვენსავით ვართ, და ისინი ზამბობენ ზა ოტჩიზნუ. და იქ სწერს კიდევ **დიმიტრი ერისთოვი** სად მოსდეს შესაკრებელი ადგილი და სად უნდა **ბხმაროს** ზარბაზანი. როდისაც წაიკითხა ის ქაღალდი ეს მაშინვე ვსთხოვ მიმეც და მაგას ცარგ ხელით გადავწერ. ბუბეში ჩაიდვა და **ელიზბარმა** მითხრა: აქ როგორ დაგიგდო აქ ბევრნი მოდიან შენთან უეცრად რომ ჩაუვარდესთ დავიღუპებით. ჩვენ მხოლოდ შენს გასაგონებლად დავწერეთ თორემ ამას ეხლავე დავხევ. ეს რომ ჩაიგდონ ამით გაგვტეხენ და წიგნი რომ არა ჩაიგდონ რა კი იმით კი არ შეუძლიანთ ჩვენი გატეხა. **ელიზბარ ერისთოვმა** მითხრა: ამაღამ **ალექსანდრე ორბელიანოვთან** ვიქნებით და ბიჭს გამოგიგზავნი და იქ მოდიო და იქაც ამაზედ რომ ვიფიქროთ და იქაც წავიკითხოთ. ესენი რომ წავიდნენ მაშინვე ჩემს შავში დავნიშნე ბატაც მომგვარდა იმიტომ. იმ ღამეს გაგზავნა ჩემთან **ალექსანდრე ორბელიანოვს** და **ელიზბარ ერისთოვს** ბიჭი. მიველ **ალექსანდრე** იწვა, ფეხი სტკიოდა. იქ იყვნენ

ელიზბარ ერისთოვი, გიორგი ერისთოვი ღვარდიის კაპიტანი **ჩოლაყაევი და ვახტანგ ორბელიანოვი.** მე **ალექსანდრესთან** დავჯექ ჩემთან დაჯდა **ელიზბარ ერისთოვი.** და სამნი ცალკე ლაპარაკობდნენ რუსეთის საქმეს. ვერას მივხვდი. მე უთხარ **ელიზბარს** სად არის შენი ძმა, იმან მითხრა ჩემი დისწული ძალიან არის შეწუხებული და ის იქ არის თავის დასთანო. მეც არ მოვდიოდი,, მაგრამ პირობა რომ მოგეც იმიტომ მოველო. **ალექსანდრე ორბელიანოვმა** სთქვა ჩვენ სულ ვლაპარაკობთ და არა გამოდის რა ერთი რამ დავწეროთ რამ იმ ლამის დაწყობისა. მე ფეხი მტკივა რომ არ შეშიძლიან ფეხი დავადგა ადგილს აქ ბევრნი მნახავნი მოდიან ჩემთან და თუ აქ დავწერეთ მეშინიან რომ არავინ მიგვიხვდეს. მე მითხრა შენი ძმა სარევიზიოთ არის თქვენსა ხალხი არავინ მოვა ხვალ დილით ჩემს ორ ძმას და **გიორგი ერისთოვს** შენთან გამოვგზავნი და **ელიზბარს** უთხრა შენ და შენი ძმაც მიდით კარები შეიკეტეთ დილიდამ საღამომდის დასხედით დაწერეთ და მე აქ მაჩვენეთ. მე ვეთანხმე მოვიდნენ ბეთქი, მეორეს დღეს დილით მოვიდნენ ჩემთან, **გიორგი ერისთოვი.** ღვარდიის პრაპორშჩიკი **დიმიტრი** და **ვახტანგ ორბელიანოვნი ვახტანგს** ეცვა ოსურათ. იმათ უთხარ სად არიან **ელიზბარ** და **დიმიტრი** იმათ მითხრეს დისწული მოკვდომიათ წუხელი და ამიტომ ვერ მოვლენო მე უთხარ აბა რას დავწერთ იმათ მითხრეს **უელიზბაროთ** ვერას დავწერთ ჩვენ შენ დაიწყე და ჩვენ გავშინჯავთ მე იმათ უთხარ თქვენ აქ ისხედით თუ მოვა ვინმე ჩემთან თქვენ მიიღეთ და მე საკუთარ ოთახში დავწერ. მე გამოველ და ჩუმად შკატულკიდან გამოვიღე ჩემი შავი რაც გამეგონა და იქ მქონდა დაწერილი წაკითხული **დიმიტრი ერისთოვისა.** იქიდამ ამოვწერე შემდგომად რამდენიმე ხანისა შეველ მათთან და უთხარ მოვრჩი და წაუკითხე ეგონათ ჩემგან შეთხზული და მითხრა **გიორგი ერისთოვმა** შენ რა იცი სამხედროს დაწყობა რომ ასე დაგინიშნავსო და არ მახსოვს იმათში ერთმა სთქვა იქ ცოტა არისო და კაცების დანიშვნა მომატება უნდა, სხვათაც თქვეს და **ვახტანგმა დოდაევი, ავთანდილოვი** და **ყიფიანოვიც** ვისთანმე დაინიშნოს. სადილი ჭამეს ჩემთან იმ სადილზე იყო ჩემი ძმის სეკრეტარი და კანცელარიის დეჟურნი ქართველი და სადილზედ ვერას გაბედავდნენ ლაპარაკისას. შემდგომად სადილისა წავიდნენ. როდესაც დამარხეს დისწული **ერისთოვისა,** არ ვიცი იმ თუ მეორეს დღეს შემდეგ დამარხვისა **ალექსანდრეს** სახლიდამ მომიტანა **ალექსანდრეს** პატარა ბიჭმა ზაპისკა **ელიზბარ ერისთოვისა** აქ ამოდი და შენ რომ დაგიწერია რასპორიაჟენიე ისიც ამოიტანე

როგორც ჩემს ჩვენებაში მიჩვენებია. პატარა ოთახში შემიყვანეს აქ იყო **ალექსანდრე ელიზბარი** და **გიორგი ერისთოვი**. მითხრეს წაიკითხე წავიკითხე და **ელიზბარმა** გაიცინა რომ მოაგონდა თავის ძმისა თუ თავისგან სიტყვები და ადგილები. **ელიზბარმა** ჰსთქვა ნათლულის კომისიაშიაც ჩემ ძმა **იასეც** დანიშნეო და **გიორგი ერისთავმაც** იქ ხაზინას გაფთხილება უნდა ჩემი ძმა **ბიძინაც** დანიშნეო. **ლევან ერისთოვიც** დაუნიშნეო. მას უკან **ალექსანდრემ** უთხრა **გიორგი ერისთოვს** ახლა შენი პროექტი დაწერილი წაიკითხე **გიორგიმ** წაიკითხა როგორც მიჩვენებია ჩემს ჩვენებაში. მე ვსთხოვე **გიორგი ერისთოვს** მომეც და მაგასა და ჩემსას ერთათ გადავწერ და შენს ქალალდს უკანვე მოგცემ მითხრა ეს თეთრად არის გადაწერილი ამას არ უნდა გადაწერაო (მინდოდა რომ ორიგინალათ წარმედგინა) მას უკან სთქვა **ალექსანდრე ორბელიანოვმა** ეგეგბის შეავაგულიანოთ მაიორი **ლუარსაბ ორბელიანოვი** რომ იმის სახლში მოხდეს ბალი ამიტომ რომ მოხერხებული ადგილი არის და დიდი მოედანი და ჰსთხოვა **ელიზბარს ლუარსაბს** შეადეგო. **ალექსანდრემ** სთქვა მე **მუხრანის ბატონსა** ვსთხოვდი რომ კეთილშობილები სახლს გთხოვენ მთავარ მართებელს ბალს უკეთებენო. მაგრამ უხერხო სახლი, არისო. მე უთხარ თუ გინდათ ტრახტირში უფრო რომ მოვიგო მათი ჩემზედ დარწმუნება და ეგების ქალალდი რამ ჩავიგდო ხელში როგორც **ალექსანდრე** მელაპარაკებოდა ამ საგანზედ მიწერ-მოწერა არის და მზადება.

შემდგომად დღესასწაულისა ხელმწიფე იმპერატორისა შემოვიდნენ ჩემთან **ჩოლაყაევი, ბიძინა გიორგი** და **ალექსანდრე**[1]. 3-ს დეკემბერს სამშაბათს დაპატიჟებულნი ყოფილიყვნენ ბალში კორპუსის კომანდირთან **ჩოლაყაევი, ორბელიანოვი** და კარნეტი **გიორგი ერისთოვი** არ მახსოვს ბალის შემდგომად მეორე დღეს თუ მესამეს მოვიდნენ ჩემთან ღამე **ბიძინა ერისთოვი** და **ზაქარია ჩოლაყაევი** ამათ მთხოეს დაიბარე **ალექსანდრე ორბელიანოვი** და **გიორგი ერისთოვი**. მოვიდნენ **ბიძინას** გაცნობა პირველი იყო ჩემი არც ამ საქმეზედ და არც სხვა ლაპარაკი და ცნობა ერთმანეთის არა გვქონია რა. მე უთხარ **ბიძინას** კნიაზო რატომ ჩემთან არ მობრძანდებოდით აქამდისინ. **ბიძინამ** მითხრა როდესაც ახლა დამარწმუნეს რომ ერთგული ხარ ბაგრატიონებისა და არც გაგვცემ მეშინოდა ახლა კი დაშინებული ვარ. ჩამოაგდეს ბოლოს ლაპარაკი. ვგონებ **ჩოლაყაევმა** და **ალექსანდრე ორბელიანოვმა** სთქვა ჩვენ თითონ ვაგინებთ ჩვენ რუსებს და იმას წარმოვიყენებ როდის უნდა მოხდეს ესეოი შეკრებილება ჩვენი აზრისო. მაშინ გაიცინონ ჩვეს-

1) **ბიძინა** და **გიორგი ერისთავები, ალექსანდრე ორბელიანი.**

ზედ **ზაქარია ჩოლაყაევმა** თქვა ქართველები რომ შემოვიდნენ ბაღში თავიანთის ხორცის ფერი რომ აკერიათ მუნდირათ რუსები დასცინოდნენ და ვეუბნებოდი ქართველებს რა სიცოცხლე არის თქვენი. აქ ლანძღვა დაიწყო **ალექსანდრე ორბელიანოვმა ჭავჭავაძესი** და თქვა „თქვენ გეგონათ **მუხრანბატონი** არ გვეთანხმებაო და მაგან კი აქამდისინ გვატყუაო და ჩვენ ვცდებოდით. მაშინ **ალექსანდრემ** ჰსთქვა აი მე ვიყავი მუხრან ბატონთან და ყოველივე გაუტყდი და იმისგან დიდი იმედი არის და კიდეც ეთანხმება უფრო ხმაცა აქვს. ესეც თქვა **ბიძინამ** საჭირო არ არის **ჭავჭავაძე** ხალხში ხმის დაყრის მეტი არა უნდა რა რომ სალდათს ჰკრეფენო[1]). ამას უკან **ჩოლაყაევმა** სთქვა ჩვენ რომ მივედით **ალექსანდრე ჭავჭავაძესთან** როგორც მიჩვენებია მე ჩემს პოკაზანიეში. ესეც უთხარ მე ჩვენ ხომ არ დავაგდებთ ამ საქმეს და შენთან უეცრათ ღამე მოგიხდებით და ისე ხალხში გამოგიყვანთ. ამან ესე უარი მითხრა მრავალი უსამართლოდ მოუკლავთო და მეც მომკალითო. **ჩოლაყაევმა** მითხრა მე რუსულათ და ისინი სამნი ქართულათ ლაპარაკობდნენ (**მუხრან ბატონი** და **ლუარსაბ** როგორც ალაპარაკონ ერთმნეთთან). ჩვენ შევიყრებით ორასამდის თავადი და აზნაურნი თუ აქ ჩვენ საქმე მოვახერხეთ ხომ კარგი და თუ არა ამდენი თავადნი წავიდეთ **ყეენთან** ან ახლა რომ მოდის **ეგვიპტის ფაშასთან** და იმას უთხრათ ამთენი კაცი მოვსულვართ და გვსურს თქვენი მფარველობის ქვეშ ყოფნა და ისინი ეცდებიან ჩვენს შეწევნას. მე უთხარ **ჩოლაყაევს** მე და შენ კარგი უცოლშვილონი ვართ და ვისაც ცოლშვილი ჰყავს იმათი ძნელი არის. იმან მითხრა განა ვერ გაძღნენ ამთენის ცოლებთან ყოფნით და როდესაც აქ ვერ დავამარცხებთ შეშინდებიან და წამოვლენო.

მე უმორჩილესად ვთხოვ ამა კომისიასა რაც მე მეჩვენებინოს და არ ჩნდებოდეს. მებრძანოს დავამტკიცო. 1-დ მე არ შემეძლო სულ წვრილათ და კრასნორეჩათ მეწერა 2-დ მე რომ მოუტანე ჩემი ჩვენება ნაჩალნიკ შტაბისას მხოლოდ მივეც სვედენიეთ **რომ** იძით დაეწყო საქმე გამოძიებისა და 3-დ ზოგჯელ ჩემთან და სხვაგან ულაპარაკნიათ **ელიზბარ, დიმიტრი** და **გიორგი ერისთოვთ აბხაზოვს** მაღალფრაზაზედ რუსულად ჩემთან და მე ვიტყვი ჭეშმარიტად მე არ მომცეს სწავლა მშობელთა და არც მესმოდა მათი ზოგიერთი ლაპარაკი და არ დამიწერია ჩემს ადრინდელ ჩვენება-

---

[1]) ამასა და მომდევნო სტოიქონის შორის ჩამატრულია: **„მუხრან ბატონს** ეთქვა **ლუარსაბთან შემყარეო“.**

ში. გავბედავ ამა კომისიას მოვახსენო უკეთუ ღირს ვიქნები მე ამა კომისიისაგან ჩემდა ზოგიერთს საქმეზედ დარწმუნებად რაც ჩემთან არ ულაპარაკნიათ და აზრით ვიცი. ვინც არ არიან აქ დაჭერილნი და როგორი აზრი ჰქონიათ მართებლობაზედ და უცხო გვართან დამოკიდებულება აქვთ. მე ჩემის უბედურებით და ამისთანა მომცა მიზეზიცა საკუთარმა ჩემმა სახლმა რომ რუსნიცა და ქართველნიც არა უწყიდნენ ჩემი მწუხარება და ჰქონდათ სხვა რიგათ ჩემზედ აზრი. და ბევრნი გაბედვით ჩემთან ლაპარაკობდნენ ვითარცა დიდათ რუსების არა მყვარებელს. და მე არ მაქვნდა გზა გამართლებისა თავისა ჩემისა. **ფალავანდოვი.** ჩყიგ-სა წელსა გ-სა თებერვალსა.

ლუარსაბ თარხნიშვილის ჩვენება (VI, 1024-1025).

„ვაძლევ ამა წერილსა კამისიასა შინა მე ქვემო ხელისა მომწერილი თავადი **ლუარსაბ თარხანოვი,** რომ მე ჩამოველ ჩემი სახლიდამ გორის უეზდის ახალქალაქიდამ ტფილის ჩყლა. წელსა გასულს მაისში საკუთარის ჩემის ბაზრის საქმისათვის, და დავდექ **ზაქარია ციციანოვის** ფათერში, რომელშიაც დავყავ ექვსი დღე და მეექვსე დღეს შემდგომად შუადღისა ბაზრიდამ წამოველ შინ პურის საჭმელად. ველოდე **ზაქარიას.** ის ოდეს მოვიდა დაგვიანებით მაშინ მითხრა **ზაქარიამ** რომ ის დაუპატიჟნია **ალექსანდრე ორბელიანოვს ვახტანგის ძესა** და მითხრა **ზაქარიამ** რათა წავიდე მათთან და სადილი იქ მივიღოთ მეორგზის და სამგზის უარი ვყავ რადგან არა მაქვს მე ცნობა სრულიად მეგობრული მას **ალექსანდესიანა** და კვალად იძულებით წამიყვანა. მივედით ერთად ბაღში და მისულმან ენახე მუნმსხდომარენი ბაღში კაკალ ქვეშ დავსხედით სადილზედ ვსჭამეთ სადილი და დალიეს დიდად ბევრი ღვინო ავსდექით შემდგომად სადილისა და სთქვა ალექსანდრე ვახტანგის ძე **ორბელიანმა** დავსხდეთ პატარა ხანს ვილაპარაკოთო მივიდნენ მეორეს ჩრდილში სხვას კაკალთან დასხდნენ და მე მოვინდომე წამოსვლა რადგან ყოვლად უაზრო ვიყავ იმათი უკეთუ აქვნდათ რაიმე ბოროტგანზრახულება და დამსვა თხოვნით იმ ხსენებულმან **ალექსანდრემ,** და დასხდნენ რომელნიც იყვნენ მუნ.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი
ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი,
მამაცოვი იოსებ
ელიზბარ შანშესშვილი)..

---

[1]) ელიზბარ ერისთავი

და ორიც რუსულად ჩაცმულნი ყმაწვილნი და მე თვით

დაიწყო ლაპარაკი **ალექსანდრემ** ამ სახეთ რომ უკეთუ დაუ-ჯერებდენ მას საქართველოს ხალხი რუსეთის მხედრობას გარეკს. იგი **ორბელიანი ვახტანგის ძე** მე იმისი გამგონი ვიდექ ზეზე და დაუშალე მას უთხარ შენ მთვრალი ხარ და ნუ შესცდი გამოვბრუნდი თუმცა მოინდომა კვალად დაჯდომა ჩემი და არ დავსდექ **ზაქარია ციციანოვსაც** დაუძახე და გამოვეცალე წამოვედით. **ელიზბარიც** ლაპარაკობდა შაგრამ რადგან მრშორებით იყო ჩემზედ და **ალექსანდრე** ახლო ეს უფრო გავიგონე ცხადად რომ ის გარეკს რუსებს გამოვეცალე მე წაველ ჩემს ბინაზედ. და **ზაქარია** და **მამაცოვი** წავიდნენ ქალაქშია.)

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (VI, 1034-1036).

„1831-სა წელსა, ოდესცა სიღნაღის უეზდს ვიყავ მთავრობისაგან გაგზავნილი, რომლისამე საქმის გამოსაძიებლად და გამოძიების დასრულების დროს მივედი სანახავად სოფელს ქოდალოს ნათესაობისა, და მეგობრობისა გამო პოლკოვნიკს თ. **ივანე ანდრონიკოვთან,** და სადილად არ გამომიშო, მას დროს მე და პოლკოვნიკი **ივანე ანდრონიკოვი** დავდიოდით, მის სახლის წინ სასეირნოდ და ლაპარაკსა ზორის, მე უთხარ საქართველოს თავისუფლება და ზოგიერთნი ყმაწვილნი კაცნი ანაზედ რაღაებსაც ფიქრობენ შეთქიმაშინ პოლკოვნიკმა **ანდრონიკოვმა** მითხრა ღმერთმა ნურა ქართველს ადამიანს ნუ აფიქრებინოსო მაგისთანა ფიქრიო. მაგრამ მე მგონია მაგ აზრზე რაღაც ფიქრი რამ უნდა ჰქონდეთო, ღენერალ მაიორ თავად **ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვს ვასილ ბუბუთოვს,** და დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკს **თ. ნიკოლაი ფალავანდოვს,** და დიდნი მეგობრებიც არიან ერთმანეთისაო, ამ სიტყვით დასრულდა ჩვენი ლაპარაკი, და სადილს უკან წამოველ ჩემს გზაზე. მეორე 1832-სა წელსა, ზაფხულს, როდესცა აქ იყო თვით იგი **თ. ივანე ანდრონიკოვი,** და **სოლომონ დოდაევთან** იდგა **ახვერდოვის** სახლებში, მაშინ მე დიახ ხშირად დავდიოდი მასთან, და ლაპარაკს შორის, მე, და **დოდაევი** ბევრჯელ ვეტყოდით **თ. ივანეს** საქართველოს თავისუფლებისას, ხოლო **ივანე** გვლანძღავდა, და გვაგინებდა, ასე გვეტყოდა ხოლმე რას გაუგიჟებიხართ, და რას გადაურევიხართო, არ გახსომთ, რომ 1812-სა წელსა მთელი ევროპია რუსეთზე მოვიდაო, და ვითარ დათრგუნა რუსეთმა ევრო-

[1]) ხელმოუწერავია

პაო, აბა მაგარი ფიქრი ნურავის ნუ გექნებათო, ამ ლაპარაკში ბევრჯელ **სოლომან რაზმაძეც** მახსოვს რომ აქ ყოფილიყოს, და ჩვენ ლაპარაკშიაც მონაწილე იყო ხოლმე. მესამე 1831-სა წელსა ზაფხულს ერთს საღამოს ჟამზე მოვიდნენ ჩემთან, **თ. ელიზბარ** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვი, თ. ზაქარია ციციანოვი, იოსებ მა-მაცოვი** და თავადი **ლუარსაბ თარხანოვი** არ ვიცი რომელმა ნოიყვანა, **ზაქარიამ, გიორგიმ,** თუ **ელიზბარმა,** შემდეგ ჩემ ბაღში გავედით სასეირნოდ, როდესაც ვისეირნეთ და სწორედ კი არ მახსომს, აქ ქვქონია რაიმე ლაპარაკი თუ არა ამ ჩვენის განზრახვისა, და ესეც სწორეთ არ მახსომს **თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი** აქ ბაღში იყო იმ საღამო ჟამზე თუ არა,—მაშინ მე მთხოვეს ერთობით, რომ ბაღში დაგვპატიჟეო, რომელიც მე ვთხოვე ხვალ მობრძანდით მეთქი, და ამით გავიყარენით, მეორეს დღეს ჩემთან იყვნენ ბაღში სადილად, სადილზე როგორც მახსოვს არაფრისთანა ლაპარაკი არა გვქონია რა, მხოლოდ თვის წუხარებას ლაპარაკობდნენ, რომელიც ამას წინად მოვახსენე კომისიას. შემდეგ სადილისა კაკალ ქვეშ დავსხედით, და ყველანი ერთპირად მოვყევით ლაპარაკს, საქართველოს თავისუფლებისას, როგორა, და ან რომლის მიზეზით არ მახსოვს ხოლო ყველანი ამას ვამბობდით, თუ დიდროვანი კაცნი მონაწილეობას არ მიიღებენო, ჩვენ არაფრისთანა არა შაგვიძლიან რაო, მაშინ **ელიზბარ ერისთოვი** წინააღმდეგ ამისად, ძლიერ ფიცხობდა, და ამბობდა, ჩვენ მოვემზადნეთ, და ისინიც ზზად იქნებიანო, ამ ლაპარაკში გავატარეთ ის დრო, და როდესაც დავიშალენით მაშინ მე ცალკე გამიყენეს, თ-თა **ზაქარია ციციანოვმა,** და **ლუარსაბ თარხანოვმა** და მითხრეს **ალექსანდრე,** ეს **ელიზბარ** დიდათ ფიცხობსო და თუ ღმერთი გწამს როგორც იყოს დაამშვიდეო. მასკვან მე უთხარ რა ვქნა ძმებო მეთქი მეც დიდათ ვწუხარ, მაგრამ რა ვქნა ვერა გამიგონებია მეთქი, აშითი გაიყარა ჩვენი კამპანია, და შემდეგ ამისა, მე, **ლუარსაბ** აღარ მინახამ, და არც არა შემდეგ შეერთება რამ ნქონია, ვგონებ **რომ გიორგის** და **ელიზბარს ერისთოვთ** ადრეც ჰქონიყოთ მას **ლუარსაბთან** შეერთება. მესამე 1831-სა წელსა, შემოდგომის პირზე არბოობას წიგნი შივწერე, ჩემ დედიდაშვილს **თ. ბიძანა ერისთოვს** ამასა ზედა რომელ, **თეიმურაზ ამილახვაროვს, ზაქარია ციციანოვს, ელიზბარ** და **გიორგი ერისთოვთ,** უთხარ რომ შენ და ისინი ერთათ ჩამოდით მეთქი, როგორც მახსომს და შაგოწდება მიზეზი ესე იყო მიწერისა. ამ ქალაქში ხმა დავარდა რომ ოსმალო და სპარსელები ჯარებით ორნივ რუსებზე და საქართველოზე მოდიანო, ჩემი განძრახვა ესე

იყო რომ, მე მათთვის მერჩია რუსებს მოვხმარებოდით ყოვლის ჩვენის ღონისძიებითა და მაჰმადიანნი არ შამოგვეშო საქართველოში, შემდეგ ამ წიგნისა აღარც ისინი ჩამოვიდნენ, და ის ხმაც ტყუილი გამოდგა. იმ ბიძინას წიგნშიაც, ბოლოს ეწერა, ვგონებრომ **მამუკასაც** უთხარით მეთქი, ამ აზრით, რომ თავიანთ პარტიაში გაერიათ. მეოთხე. ესე ქვემორე აღწერილი გარემოება აღარ მახსომს რომელსამე პოკაზანიეში მიჩვენებია თუ არა, და ამისათვის კვალად მოვახსენებ კამისიას. მე რომ ავად ვიყავ **ზაქარია ჩოლაყოვი, ელიზბარ** და ამისა ძმა **დიმიტრი ერისთოვი** ჩემთან იყვნენ, მაშინ როდესაც ეს ორნი ძმანი მეჩხუბებოდნენ, არას დროს არ შეიძლება რომ ეხლა ბუნტი არ მოვახდინოთო, მე ამაზედა უარს ვყოფდი დიდის ჩხუბით, არასდროს არ შაიძლება მეთქი. ჩემა ძმამ **დიმიტრიმ**, და **დიმიტრი ერისთოვი** ნადუელში რომ გადიოდნენ, და შემდეგ დაიშალნენ, მაშინ ჩემთან დარჩა **ზაქარია ჩოლაყოვი**, ჩემი დედიდაშვილი **გიორგი ერისთოვი**, და ჩემი ძმა **ვახტანგ** ჩემი ძმა **დიმიტრი** ვგონებ იქ არ იყო. მაშინ **ზაქარია ჩოლაყოვმა** მითხრა **ალექსანდრეო** ეხლა მოსკოვში ვიყაო, **ოქროპირ ბატიშვილთან** ლაპარაკი მქონდაო, რომელიც ემზადება ფრანციაში წასასვლელად, იქიდგან ჯარს მოიყვანს შავი ზღვითაო ფრანციცებისასაო, და მაშინ ადვილათ განთავისუფლდებითო. ესეც ბევრჯელ უთქომ ჩემთვის ჩემი ძმა **ალექსანდრეც** აპირებს ფრანციაში წასვლასო საქართველოს თავისუფლებისათვისაო, და დიდი თავისუფლების მოყვარე არის ჩემი ძმა **ალექსანდრეო** და რუსები დიდათ ეჯავრებაო. ესეც ბევრჯელ უთქომს რისა გეშინიათო, ავსტრიის იმპერატორს ერთმა ჩინოვნიკმა თავში ქვა მიარტყაო თავისუფლებისათვისაო, და ეს ხომ ჩვენი საკუთარი მამული არისო. კვალად იტყოდა ვარშავაში როდისაც ბუნტი მოხდაო, მაშინვე პოლიაკებმა ხუთის კაცის ძეგლები ამართესო, **რილეევისაო** და იმისი ოთხთ ამხანაგთ იტყოდა იმათი გვარი კი აღარ მახსომს ვისას იტყოდა, და იმ ძეგლებს პატივსა სცემდნენ პოლიაკებიო. ესეც უთქომს პოლიაკების დედაკაცები პოლკოვოის კომანდირებიაო და ჩვენ ხომ კაცნი ვართო. ესე აღწერილი გარემოება ვგონებ რომელსამე ჩემ ამხანაგთაგან გაეგონოთ **ზაქარია ჩოლაყოვისაგან**. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**.

ამასთან დაუმატებ ამ ზაგოვორის წინა დღეებში თავადმა **იასე ფალავანდოვმა** გვირჩია ჩვენ საზოგადოებას რომ, ჩემს ანგარიშზე ვიქირავებო ერთს სახლსაო, იმისთანა მივარდნილს ადგილას, და დავნიშნოთ დღეები რომ იქ შავიყარნეთო, და ჩვენი სა-

ზოგადოების რომელიმე დადგეს იქაო, რომ აზრი ვერ მოიტანონო, რომელიც **სოლომან დოდაევსაც** ურჩევდა **იასე,** რომ ერთ სახლს გიშოვნიო იმისთანა საიდუმლოსაო, და დადექიო, რომ ჩვენ შევიყრებოდეთ ხოლმეო, დანიშნულს დროზედაო. პოდპორუჩიკი **ნ. ალექსანდრე ორბელიანოვი".**

„5"-ს თებერვალს 1833-სა წელსა.

ლუარსაბ თარხან მოურავის ჩვენება (VI, 1043-1044).

„გამოძიებასა კომისიასა შინა მოხსენება.

აღარ მახსოვს მე რომელსა წელსა მე ჩამოველ ტფილისში ჩყლბ. ანუ ჩყლა წელსა. გასულს მაისსა შინა, საჭიროებისათვის სახლისა ჩემისა სასყიდლად ფარჩისა და რადგან იყო, **ზაქარია ციციანოვის** დედა ჩემის ცოლისა მონათესავე, ამისათვის იმის ფათერში დავდექ და ერთს დღეს, რაოდენსა რიცხვსა თვისასა იყო არ ძალმიძს ცნობად გამოველ ბაზრიდამ სადილისათვის. ველოდე **ზაქარიას ციციანოვს** რომელიც დაგვიანებით მოვიდა ვაყვედრე მე დაგვიანებისათვის და მან მითხრა მე რომ არის იგი დაპატიჟებული სადილათ **ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვთან** და მთხოვა მეცა რათა წარვიდეთ ერთად. მე ორგზის და სამგზის უარი ვყავ რადგან არა მაქვს მე მას **ალექსანდრე ვახტანგის ძესთან** არავითარი მეგობრობითი ცნობა კვალად მთხოვა მანვე **ზაქარიამ** რადგან **არის** ზაფხული და დავრჩებიცა მარტო ამისთვის წავყევი მას და ვისადილეთ მუნ ბაღში. რომელმანცა მე ყოვლად უაზრო ყოვლისა მათისა ბოროტგანზრახულებისა უცოდნო, იძულებულ მყო, და წამიყვანა მის **ალექსანდრეს** ბაღში. მისრულმან ვნახე არა თუ მხოლოდ სახლისა პატრონი, არამედ ამ რიცხვის გვამნი შეკრებილნი მას **ალექსანდრე ვახტანგის** ძესთან მხსდომარენი კაკალ ქვეშ ბაღში.

ა **ალექსანდრე** სახლის პატრონი

ბ **ელიზბარ ერისთოვი** რომლისა ცნობა არა მქონია

გ **ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი**

დ **გიორგი ერისთოვი დავითის ძე**

ე **იოსებ მამაცოვი**

ზ ორნი შტატურად ჩაცმულნი ყმაწვილი გვამნი რომელთაც ვერ ვიცნობ კინ იყვნენ იგინი ორნი.

ზაქარია ციციანოვი და მე ერთად მისულნი დავსხედით მოიღეს ადგილი მწვანე ადგილსა კაკალ ქვეშ ჩრდილში ვსჭამეთ პური და დაიწყეს სმა ძლიერად ღვინისა, თუმცა მოინდომა მან მასპინ-

ძელმა **ალექსანდრემ** რომ მეც დამალევინოს მომატებული ღვინო-გარნა არა ვეთანხმე, რადგან არ ძალმიძს ბევრის დალევა სნეულებისა ჩემისა გამო სუფრის აღებისა შემდგომ ავსდექ და მოვემზადე წამოსასვლელად. გარნა შემაყენა მან სახლის პატრონმან **ალექსანდრემ** რათა დავსხდეთ ჩრდილსა ქვეშე და გავატაროთო დრო და ლაპარაკი შევექცეთო და ყოვლად უფიქრებელი მათის ბოროტის განზრახულებისა დავსჯექ მათთანა ცალს მუხლსა ზედან. პირველად მათ შორის მთქმული იყო მასპინძელი **ალექსანდრე**. ესრეთ რომელ თუ ეთანხმებიან მას საქართველოს მცხოვრებნი საზოგადოებანი, მაშინ მოიცემს იგი სხვასა ძალსაცა და განსდევნის რუსეთის მხედრობასა საქართველოდამ და იმ სახედვე **ელიზბარ ერისთოვი** ყვიროდა. მაღლად და აგინებდა მთავრობასა და ყოველნი მუნ მყოფნი ყვიროდნენ ღვინისაგან დახრჩობილნი გონებითა ღრიალებდნენ აღრეულებითა და იმედოვნებდა თავიანთ ბოროტგახზრახულებისა აღსრულებასა. ხოლო მე მხილველი და მსმენელი ამისი დავეცი შიშსა ქვეშე დიდსა, და ვგმობდი მე ჩემის ფიქრითა **ზაქარია ციციანოვსა**, რად მომიყვანა მე ამისთანა ბოროტ ადგილასა: ამისა შემდგომ ავდექ წამოსასვლელად, თუმცა ნებავდა მას **ალექსანდრეს** სახლის პატრონს მუნ დაყოვნება ჩემი-გარნა განვეშორე და წამოველ და უთხარ **ზაქარია ციციანოვსაცა** რათა დაუტეოს და წამოვიდეს, ადგა იგიცა და წამოვიდა, ხოლო მან **ელიზბარ** უწინ ჩვენსა ინება წასვლა სხვით გზით წარვიდა და არა უწყისად. და გზაზედ ნომავალმან ვკითხე **ზაქარია ციციანოვსა ელიზბარისათვის** თუ ვინ არის იგი. მე ცნობა არა მაქვს და მითხრა მან **ზაქარიამ** რომ იგი არის **შანშესშვილი ელიზბარ ერისთოვი** მოსული რუსეთით. მე უთხარ **ზაქარია ციციანოვსა**, რათა არღარა მიეკაროს მათ ამიერიდგან დაუტეოს იგინი და მომავლთა ბაღში უთხარ მე **ალექსანდრე გიორგის ძეს ორბელიანსაცა** რომელიცა აწ შომაგონდა ფიქრით რადგან არის და ყოფილა ნათესავი შენი **ელიზბარ** შენ დაუშალე მას ის ცუდი და ბოროტი ლაპარაკი თორე ის თავის თავსაც მოჰკლავს და თქვენც დაგხოცავთ და წამოვედით მე და **ზაქარია** და გზაზედ ბაღშივე მოგვეწია **მამაცოვი** გამოვედით ბაღიდამ გარეთ და წაველ ჩემს ბინაზედ და **ზაქარია** წავიდა **მამაცოვით** ტფილისში.

იმა სადილისა მეორესა დღესა სადილათ უკვე დავებარებინე მას **ალექსანდრესა** დიდის თხოვნითა რათა მივიდე და ვნახო ვითამაც აქვს ერთი სათქმელი სიტყვა და არ წაველ. და აწ მომაგონდა მე რომ მერმე თვით **ზაქარია ციციანოვმა** მითხრა, რომ გთხო-

ვსო დიდად ვედრებით რომ ერთ მინუტს მნახოსო. და მე მიმავალი ბაზარში დამინახა სახლიდამ და პირდაპირ მთხოვა რათა ერთ მინუტს ავიდე და ველ იყო მხოლოდ მარტო სახლში და ეს მითხრა გუშინ ბაღში სადილთ უკან ჩემგან სიმთვრალით რაღაცა ვთქვი და გეწყინა და მთხოვა რომ არ დავინახსოვნო იგი. და ამასთანავე მთხოვა რათა დაუშალო მე **ელიზბარ ერისთოვს** რომ დაუტეოს ცუდი და გიჟური ლაპარაკი რომელსაც არა ვეთანხმე მე ნახვაზედ **ელიზბარისა**. რადგანა არა მქონდა არასფრით მას **ელიზბართან** მახლობლობა და ცნობა შეგობრული და არც მინახავს მას დღეს აქეთ, იგი **ელიზბარ** და აღარცა ვინ სხვანი ზემოხსენებულნი. მე იმ სადილის მეორეს დღეს წაველ ჩემს სახლში სოფელსა. და ვცხოვრებ მუნ და ეს ზემოაღწერილი სიტყვანი ასე მახსოვს და ასე ვნახე **ზაქარიასაგან** იძულებითი მიყვანითა. მათთან რომელთანაც **ზაქარიას** გარდა არც ერთისა არა მქონია არც მეგობრობა არც სიარული და არც ვახშამი არცა ჩაი და არცა სადილი არავისთანა არ მიჭამიეს პური იმ ერთის დღის სადილის მეტი ვფიცავ სახელსა უფლისა ჩვენისა ისეო ქრისტესა რომ ის იმათი ლაპარაკი თუ ფხიზელს ყოფილიყვნენ და უმთვრალოდ ელაპარაკნათ, მაშინ მე ფიცისამებრ გამოვაცხადებდი მთავრობასთან. მაგრამ მე ვფიქრობდი იმათს ლაპარაკს შეცთომილებისაგან ღვინისა—ესეც მომაგონდა როდესაც ადგა **ელიზბარ** ერთი ესეც თქვა რუსების საქმე კარგად ვიცი რადგან მე იქ გავიზარდე როგორც უნდა მოვახერხებ იმათ საქმესაო. ესენი გავიგონე და თუ იქ მყოფნი დამალვენ ამასა, ამისათვის რომ უთუოდ ისინი ყოფილან ადრევე შეკრულნი და რადგან გრძლად არ ყოფილა ჩემი ყოფნა მათთანა ამის მეტი აღარა მახსოვსრა სხვა ლაპარაკი და ჩემი ამ მწუხარებაში მიმცემი **ზაქარია ციციანოვი** არის თორე ისინი ვერც ერთი მიცნობენ ვერაფერის მეგობრობითა. სადილით მომატყუა **ზაქარიამ** და მიმიყვანა იმ მაშენიკებთანა, ორმოცდა ჩვიდმეტის წლის კაცი ვარ და წინაშე ღვთისა რაც გავიგონე სიმართლით მომიხსენებია.

თავადი **ლუარსაბ თარხან მოურავი**

თებერვლის 3 დღესა

ჩყლგ- წელსა.

ალექსანდრე ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე (VI 1065-1068).

„კომისიასა წინა
კითხვისა ვოპროსნის პუნკტსა ზედა უმორჩილესი ჩვენება.

1.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორ-ბელიანოვი.**

2

ოცდა ათის წლისა ვიმყოფები

3.

ცოლშვილიანი ვარ ღუბერსკის სეკრატრის თავადის **დავით ბარათოვის** ქალი მყავ **ეკატერინა,** ორი შვილი მყავ პირველი ქალია მეორეს წელიწადში დგას, და მეორე ვაჟია, იქნება შვიდის თვისა.

4.

მამული ჩემი მამაპაპისა არის სომხითს აოხრებული და მამა პაპის ათი კომლი გლეხი კაცი დავაყენე 1825-სა წელსა, ჩემის ცოლის ნასოფლარს მზითევზე, კაზრეთს, და შემოსავალი, რომ იმგრ-გვლივ ვიანგარიშო თეთრფულად, იმ სოფლიდგან **ოცდა ხუთ** თუ-მანს, და ან ოცდა ათის თუმნისას ძლივ გვემსახურებიან. და ჩემი მამა პაპის მამულში ხვნენ, სოფლელნი დმანისელები, და იქიდგან ყოველწლივ ღალას გვაძლევენ, ქერსა და პურსა ხან **ას ორ-მოც კოდს** და ხან ამაზე ნაკლებს. აოხრებულის სოფლებიდგანაც, ჩვენის ოჯახის წილად ძლივ **თხუთმეტი** თუმანი თე[1]): ფუ[2]): შემო-გვივა. კიდევ ჩვენი მამა პაპის ყმები დაფანტულნი არიან კახეთში სხვა და სხვა სოფლებში, თოთხმეტი კომლი კაცი იქნება, დიახ ღა-რიბი არიან, და ყოველწლივ ოთხს თუმანს თე: ფუ ძლივს გვემსა-ხურებიან. დუშეთის უეზდში, დგანან ჩვენი ყმანი ორი კომლი კაცი, წელიწადში იქნება ორი ძღვენი ჩამოგვიტანონ ამაზედ მეტი სამსახური არ იციან იმათ ჩვენი. გორის უეზდს დგას სოფელს მეჯრუხევს ერთი კომლი კაცი, იმის სახლიდგან გოგო გვყავს გა-მორთმეული, და ამის გამო სხვას არას გვემსახურება. ვერანა სო-ფელი ნაოხარი გვაქვს კიდევ ტფილისის უეზდს, ვერის ხევზე სა-ხელად წყლუეთი, იქიდგანაც გვექნება, **ოთხის** თუმნის თე: ფუ: შე-მოსავალი. სხვა მამა პაპისებული არა გვყარა. დედა ჩემის მზი-თევი აქს თავის დედის **დარეჯან** დედოფლისაგან მიცემული ბაღი

---

[1]) თეთრი.
[2]) ფული

ამ ქალაქს, გარეთუბანს კლდეს ქვეშ, ყოველწლივ ასი თუმანი თე: ფუ: რომ მოგვცეს, იმ ბაღის შემოსავალმა დიდი საქმე იქნება, ყოველ წლივ იმ ბახ ხარჯათ **ოცდახუთი** თუმანი თე: ფუ მეტი მოუნდება ხოლმე. ბორჩალოს დისტანციაში არის სოფელი არანხოჯალო კვალად მზითევი ყამერანიის აღწერით თვრამეტი კომლი კაცი იქნება, იმრგვლივ იმ სოფელმა თეთრად რომ ვიანგარიშო, **ორმოცდა ათს თუმანს** ძლივ გვემსახურებიან. ამ ტფილისის ქალაქში გვყავს მამა პაპისეული ყმები ათ კომლამდის, და ანუ მეტი სწორედ კი აღარ მახსომს, ამათი სამსახური ეს არი რომ ყოველწლივ, აღდგომას და შობას ოითოს ძღვენს მოგვიტანენ ხოლმე. ამაზედ მეტი აღარსად ყმა გვყავს, და აღარსად მამული გვაქვს.

5.

მე აღვზრდილვარ, დედის ჩემის მოსურნეობით, აქაურს შკოლასა შინა.

6.

ბრძანებითა დედის ჩემისათა, შევსულვარ სამსახურსა შინა ვოენისასა, 1817-სა წელსა, მყოფის 7-ს კარაბინერის პოლკში. პატოტებში ვყოფილვარ, 1820-სა წელსა, ბუნტსა იმერეთისასა, კოშანდის ქვეშ, ღენერალ-მაიორის **ველიამინოვისასა**. კვალად 1822-სა წელსა გამოველ სამსახურიდგან, ჩემი სახლის გარემოებისათვის, და დავცოლშვილიანდი კიდეც, 1826 წელსა, სპარსელები რომ მოდიოდნენ, მაშინ ღენერალ - მაიორის **დავიდოვის** კომანდის ქვეშ ვიყავი, აბარანზე **ასან ხანის** ომში. 1827 წელსა ოდესცა ღენერალ ფელდ მარშალი კნიაზ ვარშავსკი და ღრაფ ერიეანსკი ივან ფეოდორიჩ **პასკევიჩი** იყო სპერსეთის კამპანიასა, მაშინ მე ვემსახურებოდი მილიციასა შინა, და დავესწარ ერდობათის საქმესა. **ჯავან ბულაღის** ომსა, აბაზაბათის ციხის აღებასა, სარდარაბათის ციხის აღებასა, და ერევნის ციხის აღებასა, და არსად არა ვარ დაჭრილი. შემდეგ ამისა, 1827 წელსა იყო ტფილისის უეზდის მარშლად კაპიტანი თავადი **მელიქოვი**, და ამის კანდიდატათ დანიშნული ვიყავი მე საზოგაოებიდგან, წელიწად ნახევარზე გარდაიცვალა ის თავად მელიქოვი, და მე მოვიღე, მისი თანამდებობა. და 1829-ს წელსა საზოგადოებამ ამომირჩია, სოვეტნიკად ისპოლიტელის ექსპედიციაში და აქამომდე მას ექსპედიციაში ვიმსახურებოდი.

7.

არც პეტერბურღს ვყოფილვარ და არც მოსკოვში.

8.

კვირას, და დღესასწაულს, ბევრჯელ დავკლებივარ საყდარში, მიზეზის გამო, და წინდა საიდუმლო ყოველწლივ მიმიღია.

9.

არაოდეს არა ვყოფილვარ, არც სლესტვიის ქვეშ, და არც, სუდის ქვეშ.

10.

ოდესცა **ოქროპირ ბატიშვილი** აქ იყო, მე ერთს დილაზე სანახავად მივედი მასთან. ოდესცა დამინახა მითხრა, შენ ჩემი მეორე ძმა უნდა იყო **ალექსანდრეო**. მე მიუგე მე გალხავარ შეთქი. მოვიდა გადამეხვია მაკოცა. დამსვა მდივანზე და მცირეს ხანს ვლაპარაკობდით. შემდეგ წამოველ, და წამოსვლის დროს მთხოვა, ხვალ ჩემთან საღამო ჟამზე მოდიო მერვე სათზედაო. რომელიც მივედი. კიდევ დავსხედით, და ლაპარაკი დავიწყევით აქაურის სასამართლოებისა მკითხა. მე უთხარ დიახ კარგია მაგრამ ცოტათ გვიან იციან საქმის გადაწყვეტა მეთქი. მასკვან მითხრა, ეს ცოტა გინახამო უფრო დაუსრულებელი არის მაგათი საქმეო, მოკლედ ვთქო რომ ბევრი რაღაებიც ილაპარაკა სასამართლოზე. შემდეგ მითხრა თქვენი მამულის სამსახური არ იცითო. მე უანბე ყოველი ჩემი ჯკარის სამსახური. მასკვან მითხრა ეგ არ არის სამსახურიო მე მოუგე მაშ რომელი არის მეთქი. მითხრა გაცინებით. აბა რუსებს შეუტიეო. მე მიუგე რომლის ძლიერებითა მეთქი, 1812 - სა წელსა მთელი ევროპია მოვიდა რუსეთზედა მეთქი. და დაამარცხეს რომელრც **ნაპალიონიც** დაიჭირეს მეთქი. ამაზედ დაჩუმდა. შემდეგ წამოველ. წამოსვლის დროს მთხოვა ხშირად სიარული. მე დავიწყე სიარული კვირაში ხან ორჯელ, და ხან ერთხელ. და როცა მივიდოდი მამულის ერთგულებისას მელაპარაკებოდა, საბერძნეთის ისტორიას მიამბობდა, და ბევრს მამულის სიყვარულისას ჩიამბობდა, აქანდისინ რომ ბევრჯელ იტირეზდა, და მეც მატირებდა ხოლმე. შემდეგ თავის ოჯახის ამბავს მოჰყვა როგორ მიიღო რუსეთის იმპერატორმა, ნაცვლად მფარველობისა სრულიად მიიღო თავიანთი მამული, და აქამდისინ რომ გამომიცხადა, რომ ვცდილიყავ, რუსებისაგან საქართველოს განთავისუფლებისას. მე მიუგე როგორ შეიძლება მეთქი. მასკვან მითხრა, მე გასწავლიო, **ალექსანდრე ჭავჭავაძე** ჭკვიანი კაციო, და განათლებულიო, და ჩვენი ოჯახისათვის თვდადებულიო, რომელიც ჩვენის გულისათვისაც ციხეში

მჯდარაო. იმას უთხარი ის ნოიპოვებს სქმესო, შემდეგ აქ თავადი **ელიზბარ ერისთოვი** არისო, აი ესენი დამინახვებია შენთვის, და შენც ეცადეო პირობა მივეცი. მაშინ გამომიცხადა ესე გარემოება რომ ოცდა რვის წლისა ვიყავ, მანამდისინ თვინიერ დიდის ხელმწიფის ინპერატორის სიყვარულის და ერთგულებისა მეტი სხვა ჩემს ფიქრში არა ყოფილარა, და **ოქროპირ ბატონიშვილმა** ესრეთ გადამრია, და შემშალა რომ არ ვიცოდი რა უნდა მექნა, და ამთენს მელაპარაკებოდა მამულის სიყვარულსა, და ბევრს რაღაებსაც, მპირდებოდა რომ არას დროს არ შამიძლიან რომ მეოთხედი მოვიგონო იმისი ლპარაკები, თუმცა მართალია პირობა მივეცი რომ ვისაქმებ მეთქი, მაგრამ ვერავის ვერ გაუბედე რომ მეთქო. ოდესცა იმასთან მივიდოდი მკითხამდა რა ქენიო. მე ვატყუილებდი ვსაქმობ მეთქი. დამაფიცა **ოქროპირ ბატონიშვილმა,** და პატიოსანი პირობა გამამართო რომ იმისი სახელი არსად არ მეთქო. და ასეც დამარიგა რომ ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკებიო. შემდეგ ერთს საღამოს ჟამზე ბაზრიდგან მოვდიოდი, და სიონის ქუჩის პირში დამხვდა **იასე ფალავანდოვი,** თავი დაუკარით ერთმანეთს, მთხოვა .თხოვთ ჩემთან ამობრძანდეთ ჩაიზედაო, რომელიც ავედი, და დავსხედით ჩაი დავლიეთ, და ლაპარაკი დავიწყეთ. შემდეგ გაყრისა მთხოვა სირცხვილი არ არის შენთვის რომ ერთად შეზრდილნა ვართო და ჩემთან არ დადიხარო, მთხოვა ხშირად სიარული. რომელიც დავიწყე სიარული. ჩენის სიარულის დროს მასთან - რუსებზე უკმაყოფილობას ლაპარაკობდა. თუმცა პირველს პოკაზანიეში ბევრი ჩემი გამართლებითი ლაპარაკი იყო, მაგრამ ოდესცა **იასე ფალავანდოვმა** მითხრა. ამ სიტყვით მე ერთი უკანასკნელი კაცის შვილი ვარო, და ღვდლის შვილი, ამ რუსებმა სულ ბრილიანტით რომ შემმოსონო, მე არას დროს არ მიყვარანო, და მამულისაც მე ერთგულება ვაჩვენეო რომ ორჯელ გავიქეო, და თქვენ კი ვერა ფიქრობთ თქვენის მამულისასაო. ნე უთხარ მაშ შენი ძმა რატომ არ ეცდება მეთქი. მითხრა, თუ თავადები სულ დაემზადებიანო, ესეც იმაოი პირველი მზრუნველი იქნებაო. ამაების გამგონე მეც უთხარ ბატონი ხარ მეც შენი ამხანაგი ვიქნები მეთქი, ხშირად დავდიოდი მასთან, ეგრეთვე ის ჩემთან, და ვლაპარაკობდით. რომელიც **ოქროპირ ბატიშვილსაც** განუცხადე ესე გარემოება, კიდევ მითხრა ხუმრობა არ არის ჩემი სახელი არ გაუცხადო, და არავის არ უთხრა ჩემი შენთან ლაპარაკიო. შემდეგ ამისა რაოდენსამე ხანს უკან **ოქროპირ ბატონიშვილი** წავიდა, და კუკიამდისინ გავაცილე, შემდეგ გამოსალმებისა, გამიყვანა ცალკე, და კიდევ მითხრა **ახლა**

შენ იცი როგორც ეცდებიო. მე კიდევ აღუთქვი ცდა. და გავიყარენით. ამის შემდეგ რაოდენსანმე დროს უკან **მელანია მელნიკოვის** ცოლთან მივედი სანახავად. **ელიზბარ** იქ კრესლოზე იჯდა, **მელანია** დივანზე. **ელიზბარმა** თავისთან დამსო ახლო, და პატარა ხანს უკან ყურში მიჩურჩულს **ალექსანდრე** შენთან საქმე მაქვსო. მე უთხარ რა მეთქი. მითხრა აქ წამოდიო. წამიყვანა ერევანის პლოშჩადზე, და მე და იმისი ლაპარაკი ადრიდგანვე რომ მამიხსენებია კომისიისთვის ყოველი წვრილად, როგორ მისტუმრებდა ყიზილბაშში. და ან **დოდაევი** როგორ გამაცნო. ამ დროებში **პოლშან** იბუნტა. და ეს **პირველად** **იასე ფალავანდოვმა** მითხრა ესრეც მითხრა ახლაც ნუ გაახელთ თვალებსაო. მე უთხარ აბა როგორ ვეცადო მეთქი. მითხრა აქ ჩემი სიძე **თეიმურაზ ამილახვაროვი** არის იმას უთხარო, და ის ჩენთან მოვაო, და რჩევას მკითხამსო. მე დავპირდი, აგრე იყოს მეთქი. რომელიც მოედანზე უთხარ **თეიმურაზ ამილახვაროვს** ყიზილბაშში წასვლა როგორც ამას წინათ კამისიას მოვახსენე ნამდვილად ისე, **ელიზბარ ერისთოვის** გარემოებაც მომიხსენებია ოდესცა **ლუარსაბ ორბელიანოვმა** თქო **ალექსანდრე ჭავჭავაძემა** თქოვო რომ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** კაცი გაგზავნეთო, რომ კახეთს გამოვიდესო. და ერთ საღამოჟამზე **ჭავჭავაძემ** მითხრა ლუარსაბისას ცალკე რომ დავიდოდი კარებს წინ, ამ დროს **ჭავჭავაძე** გამოვიდა შინადგან და მითხრა, **ალექსანდრეევ** რაც **ლუარსაბმა** ვითხრათ, ის აღასრულეთო. როდისაც **ლუარსაბმა** ის სიტყვა თქო, მაშინ მამაგონდა **ოქროპირ ბატონიშვილი** რომ **ჭავჭავაძე** ჭკვიანი, და გონიერი კაცი არისო. მაშინ მე ვიფიქრე აქ უთუოთ ერთი რაღაც განძრახვა არის, და დიდი საქმე მეთქი, ნაშინ ოდესცა რომ **ზავილეიცკისაგანაც** მქონდა ის სიტყვა გაგონილი. ამ **ლუარსაბის** თქმაზედ მეც შეუდეგ საქმესა, და ვთქვი მეც სამსახური რამ უნდა დავანახო ამათ მეთქი. და ყოველნი ვცდილობდით კაცის შოვნას რომ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** გაგვეგზავნა.

11.

არასა სხვა საქმეს არ განულვიძებივარ წინააღმდეგ მთავრობისა, თვინიერ ამ ზემორე აღწერილის გარემოების მეტს.

12.

როგორც მე უწყი და ვიცი, ჩვენ არაფრისთანა მოსაიზადებელი არა გვქონია რა, თვინიერ იმისა, რომ **იასე** აშბობდა ორასი კაცი მზადა მყავსო. მე ვამბობდი ორმოცს მე ვიშოვნი მეთქი. **ელიზბარ**

და **დიმიტრი ერისთოვნი** ამბობდნენ ორმოცს ჩვენ ვიშოვნითო. სხვა ამაზე მე არა ვიცირა, კიდევ იმ რასპარიაჟენიას მეტი რომელიც **იასესგან** იყო დაწერილი პირველი ღამისა, თუმცა **ლუარსაბ ორბელიანოვთან** ის რასპარიაჟენიე რომ წაიკითხა **იასემ** მაშინ ყველანი თანახმანი ვიყავით, მაგრამ მე ეს აღარ მახსომს, რიღასთვისღა მგზავნიდნენ **ალექსანდრე ბატოიშვილთან,** რომ ვერ წასვლის უარი უთხარი მე მათ.

13.

ოქროპირ ბატოიშვლისა ხომ ზემორე მოვახსენე კომისიას. და **ალექსანდრე ბატოიშვილთან** მიწერ - მოწერაც ხომ ადრე დგანვე ნომიხსენებია კამისიისათვის.

14.

ჭავჭავაძეს ჩემთან არაფრისთანა შეერთება არა რა ჰქონია რა თვინიერ ზემო აღწერილის მეტი და **ლუარსაბ ორბელიანოვისგან** გამიგონია რომ მონაწილე არის ჩვენი **ჭავჭავაძეო. ელიზბარ ერისთოვისაგანაც** გამოგონია მითომც მასთან ლაპარაკი ჰქონიყვეს და ამასთან იტყოდა ხოლმე, რომ **ჭავჭავაძე,** ჩვენი ნაჩალნიკი იქნებბოო. სხვა მე **ჭავჭავაძესთან** თავის დღეში სიარული არარა მქონია, და არც მახლობელი ცნობა.

15.

ამას წინადაც პირად განუცხადე კამისიას რომ დასამტკიცებელი საბუთი მე **ზავილეიციკიზე** არარა მაქვს მეთქი, და კიდეც მოგახსენებ, რომ მე არაფრისთანა დასამტკიცებელი საბუთი მე იმაზე არა მაქვს რა, და ამ გარემოებას კიდეც მოვახსენებ, ერთს ღამეს 11 საათზე დავებარებინე, სადაც მისვლისთანავე დავსხედით, და ლაპარაკი დავიწყეევით მასკვან მითხრა ლაპარკსა შორის, რომ საყვარელო **ალექსანდრეო** აქაც უნდა ეცადო აღრევასაო, რომელიც მეც აღუთქვი, და სურდა როგორც შევატყე რომ ჩემ მიერ მოქალაქეებს შენიანებს უთხარო, და ესეც მითხრა მინამ არ დაგიბაროვო ნულარ მოხვალო და შემდეგ აღარ დაუბარებივარ. იმ ექსპედიციაში რომ წარმოთქო, **მეფე ვახტანგის** სჯულზე თავისუფლება, ის გარემოება ხომ ადრე მოვახსენე კამისიას. **ზავილეიციკის** ძმისა, და **იასე ფალავანდოვის** გარემოება ხომ ადრე მოვახსენე კამისიას.

16.

როგორც მე მახსომს, არ ვიცი სად იყო, რომ ჩვენმა საზოგადოებამ პირველად დამდვეს ვალად, რომ შენ იყავ ჩვენი ნაჩალნი-

კიო. მე დიახ პატივის ცემით დავითხოვე იმათი წინადადება. შემდეგ **იასეს** სთხოვეს ვგონებ იმანაც დაითხოვა, და მასკვან, როგორც მახსომს, **ელიზბარ ერისთოვმა** იკისრა, მე ვიქნები თქვენი კამანდირიო. ამაზე მეტი არ მახსომს რომ სხვა ყოფილიყოს ვინმე. და ჩვენი ზაგოვორის თავი **ელიზბარ** იყო, ამისთვის რომ, დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი.

კამისიას უმორჩილესად ვთხოვ, უკეთუ რაიცა ჩემდამი საკითხელი ქონდეს, მკითხოს ჭეშმარიტად აღვიარებ რაიცა ვიცი ყოველს წვრილად მოვახსენებ. და მე ყოველი არა ძალმიძს დამეხსომებინა ჩემი ფიქრიანობისა გამო მრავალი დავიწყებული მაქვს, და არ მაგონდება, ყოველი წვლილად. პოდპორუჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ეფრემ ალექსიშვილის პასუხები (VI, 1125-1126).

1.

ვარ მე მღვდელი, მეწოდების **ეფრემ, იოსების ძე ალექსიევი.**

2.

რიცხვი არა მაქვს დაწერილი მშობელთაგან და როგორც ვიცი მე-40-ის წლისა ვარ შობიდან.

3.

ვარ ქვრივი და მყავს სამი შვილი ერთი ვაჟი და ორი ქალი.

4.

მაქვს შამული ბორჩალოს დისტანციაში სოფელთა კრწანისსა და დიდ დაღეთსა შუა, რომლიდგანაც არა რაიმე მაქვს შემოსავალი რადგან არის უშენი.

5.

მცირე ხანს ვჰყოფილვარ მოწაფედ ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა და სხვა თუ ვიცი რამე ჩემის მეცადინეობით.

6.

მე დავესწარ ერთხელ ყმაწვილ კაცობაში 1810-სა ანუ 1811-სა წელსა **ალექსანდრე მეფის ძისაგან** გამოგზავნილის კაცების

დაჭერაზედ, რომელნიც მიდიოდენ მეფის შვილის შვილს **ლევანთ**, რომ იყო იმ ჟამად დიდს ლიახვზედ ოსებში. რომლისა საბუთად მსახურებს ჩემდა მოწერილი წერილი მთავარმმართებელად ყოფილის ღენერალ ოტინფატერის **ტომსავისა**, რომლითაც მპირდება წარდგენას. გარდა ამისა მიმსახურნიეს ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებელში 1816 წლიდგან 1830 წლამდის მოძღვრად ქართულისა ენისა და სჯულისა ღვთისა ეგრეთვე სასულიერო მთავრობისაგან ვჰყოფილვარ სხვადასხვა საკუთარს პორუჩენიებში და დეპუტატად.

7.

არა ვყოფილვარ რუსეთს არცა პეტერბურღს და არც მოსკოვს.

8.

შართლმადიდებელი ბერძენთ როსიის სარწმუნოებისა და მღვდელობის მოვალეობისამებრ ყოველს დღესასწაულში და კვირას მიწირავს, თუ დიდი სნულება ანუ მთავრობისა დადებული საქმე არა შემხვედრია რა, და არა ვზიარებულვარ სხვისაგან თუ არქიერთან არა ვყოფილვარ თანამწირველად, და აღსარებაც მითქვამს ყოველთვის.

9.

არა ვყოფილვარ არც გამოძიებაში, არც პოდსუდში, და არც შტრაფში რომ ჩემზედ ყოფილიყოს რაზე.

10.

მე არავისგან რა გამიგონია რა არა რაიმე ამგვარი ჰაზარი უწინარეს ამა საქმის გამოცხადებისა და არცა რა ვიცი.

11.

მე კმაყოფილი ვარ ჩემს ცხოვრებაზედ რაც ღმერთსა, ყოვლად მოწყალე ხელმწიფესა და ჩემს შრომას მოუცია, ჩემს ღღეში არ მახსოვს რომ სასამართლოში მეჩივლოს სადმე და რა მიზეზი განმალვიძებდა წინააღმდეგ მმართებელობისა და საქმეში შესვლისათვის.

12.

არ ვიცი რაი ექნებოდათ სახეში ღონისძიება, რომლითაც წარმარტებულ იყო საქმე ლაპარაკისა ნათისა, (ოდესცა გარდა პირ-

ვანდელისა შემდგომად ღვთისადმი განსვენებულის დიდის პეტრეს დროიდგან როსსია როგორც განძლიერებაშია და ახლა კიდევ უმეტესად, რომელიც თვალწინ გვაქვს ახალს დროში; ერთმა როსსიის ღენერალმა, სპარსთა, ოსმალთა და სხვათა რა უყო და ვგონებ სრულიად ევროპამაც ვერა ავნოს რა რუსეთის ძლიერებასა) და არ ვიცი რითი რასმე შეიძლებდენ იგინი.

13.

ბატონიშვილებისა სიზმარივით მახსოვს ჩემს მცირე წლოვანებაში აქ ყოფნა და ახლა იმათგანი **ოქროპირი** რომ აქ იყო ამ ორის წლის წინათ ორჯელ **დოსითეოს** არქიერთან მოვიდა იქ ვნახე, ორჯელ მე გამგზავნა არქიერმან მასთან მოსაკითხავად, და ვჰგონებ ორჯელაც მე ვნახე, მაგრამ მე არაფერი გამიგონიარა იმისთანა რამ რომელიც შესახები ყოფილიყო საწინააღმდეგოდ როსსიის მთავრობისა ანუ მმართებლობისა. ვჰგონებ 1828 წელს **თეიმურაზს** წიგნი მოეწერა და წიგნი დოღმატიკა ღვთის მეტყველება ეთხოვნა.

14.

ღენერალ მაიორს **ჭევჭავაძეს** ვიცნობ არა მახლობლად და ჩემს ცხოვრებში არა თუ ამ გვარს საქმეზედ, არამედ სხვა ლაპარაკიც ფრიად ძვირად გამიგონია რამე იმისგან და ანუ მე გამოველაპარაკებოდე იმას, და არც სხვისგან გამოგონია რამე ამგვარს საქმეში მისი მონაწილეობა უწინარეს ამისა გამოცხადებისა.

15.

ღუბერნატორად ყოფილს **ზავილეისკის** დანახვით ვიცნობდი და სხვა არა რაიმე არა გამიგონიარა.

16.

აგრეთვე არც ის ვიცი ვის რაცხდენ ნაჩალნიკად ანუ პირველს პირად.

ყოველნი ზემოხსენებულნი პუნქტნი ვაჩვენე მე ცნობისამებრ ჩემისა სიმართლით რომელსაც ხელს ვაწერ მღვდელი **ეფრემ ალექსიევი**".

1833-სა წელსა
თებერვლის 6-სა დღესა.

კითხვით მუხლები (VII, 1173-1174).[1])

ა.

რა არს სახელი თქვენი, მამისა თქვენისა, და რა ჩინი გაქვსთ?

ბ.

რაოდენის წლისა ხართ თქვენ?

გ.

უცოლო ხართ, თუ ცოლიანი, ვისზედა ხართ ჯვარდაწერილი და რა ერთი გყავსთ სახლობა?

დ.

რა ერთი ყმა და მამული გყავსთ თქვენ და სადა? ყოველივე თქვენი წლის შემოსავალი რა ერთი და რა და რა იყო?

ე.

სადა და ვისის მეცადინეობითა, ესე იგი თქვენის შშოპლებისა, თუ სხვისა ვისიმე პატრონობითა აღიზარდენით თქვენ?

სახელდობრ რას სამსახურში იმყოფებოდით? პახოდებში ყოფილხართ და სახელდობრ რომელს პოხოდებში და დაჭრილი ხართ სადმე თუ არა?

ვ.

ყოფილხართ თქვენ პეტერბურღსა ანუ ბოსკოვსა, სახელდობ როდის, და რომელს დროს თქვენ აქ დაბრუნდით?

ვ.

ქრისტიანებრივის მოვალეობითა დაიარებითა თქვენ ჩვეულებრივ დღესასწაულებში ეკლესიასა შინა და მიგიღიესთა ყოველწლივ წმინდა საიდუმლო?

თ.

ხომ არ ყოფილხართ თქვენ აქნობამდე სამართალს ქვეშ და სლეტსტვიას ქვეშ და ან შტრაფ ქვეშ? სახელდობრ რასაოვის, და როდის, შემდგომში გამართლებულ ხართ, თუ დასჯილ ხართ ანუ გარდაგხდომიათ რამე?

---

[1]) თვითეულ ბრალდებულს წარუდგინა ასეთი კითხვარი.

ი.

პირველ ვისგან შეიტყევით თქვენ ეს განზრახულობა და შეთქმულობა? სახელდობრ ვინ შეგიყვანა თქვენ იმაში? როგორის სიტყვებით გამოგიცხადესა თქვენ? როდის იყო ესე, სადა და ვინ დაესწრენ იქ მოწმებად? გამოაცხადეთ ყოველივე ესე ყოვლის ჭეშმრიტებით გამოწვლილებით.

ია.

სახელდობრ როგორმა მიზეზმა განგაღვიძათ და შეგიყვანათ თქვენ შეთქმაში წინააღმდეგ მმართებლობისა? გამოაცხადეთ ეს სრულის გულწრფელობით.

იბ.

როგორი ღონისძიება და შემწეობა გედოთ თვალწინ, რომელთაც შესძლებოდათ დაგვირგინოსნება ამა თქვენის შეთქმულობისა? გამოაცხადეთ ეს ყოველმხრივ ნამდვილათ და გამოწვლილებით.

იგ.

გქონდათ თქვენ როგორიმე ცნობა ბატონიშვილებთან, რომელთან? სადა, როდის და რა მოქმედება შეეძლოთ ანუ ჰქონოდათ თქვენზედ და ან შეთქმულობაზედ?

იდ.

იცნობთ თქვენ ღენერალ მაიოროს თავადს ჭავჭავაძეს? დიდი ხანია რაც იცნობთ? რა იცით იმის მენაწილობისა ამ განზრახვაში? შეგხვედრიათა თქვენ მასთან ლაპარაკი შეთქმულების ბაროობაზედ, პირდაპირ გილაპარაკნიათ, თუ ხხოლოდ შეგიტყვიათ იმისი ნონაწილეობა სხვებისაგან და სახელდობრ ვისგან?

იე.

იცნობთა თქვენ გუბერნატორად ყოფილს ზავილეისკის. სად და როდის გაიცანით და რა იცით იმის მენაწილეობისა ამ განზრახვაში ანუ იმაზედ რა გაგიგონიათ და სახელდობრ ვისგან?

ივ.

ვის ჰრაცხევდით თქვენ ამ შეთქმულების მთავრად ანუ უფროს გვარად? თვითონ თქვენ გეგონათ რომ ის მთავარია, თუ სხვამ გამოგიცხადა, ვინ იყო ისი და ვისთან გამოგიცხადა?

კომმისია ჯერეთ ერთ გზისცა მოგაგონებს თქვენ, რომელ მხოლოდ ოდენ გულწრფელისა და განუსაზღვრებელის აღვიარებითა შეგიძლიანთ კიდევ მოპოება თქვენის დანაშაულის შემსუბუქების ღონისძიებისა და ეს ღონისძიება ძვირფასათ უნდა შიითვალოთ და რომელ თვითოეულსა ზედა ზემოაღნიშნულთა კითხვათაგანსა თანაგაქსთ თქვენ მისცეთ ნამდვილისა აზრისამებრ მისისა პასუხი სრული და კმასაყოფელი და აღარ უნდა შემოიტანოთ უწინდელნი თქვენი ჩვენებანი.

ფილადელფოს კიკნაძის პასუხები (VII, 1223-1225).

1.

„მე ვარ იმერეთისა სახასოთა აზნაურთაგანი სჯულიერიშვილი მამით **იოანე კიკნაძისა,** და დედით თავადის **თინათინ აბაშიძის ასულისა,** ნათლობის სახელი მერქვა **ნიკიფორე,** ბერობის სახის შემოსაში მიწოდეს **ნიკოლოს,** პატარა სქემის და იერომონახათ კურთხევაში მიწოდეს ნებითა მიტროპოლიტის **ბოდბელის იოანესითა ფილადელფოს,** ვარ იერომონახი თერთმეტი წელი არს.

2.

არ იყო ჩვეულება პირველად ქართველთა შორის შობის წელთ მწერლობა, გარნა ცნობისამებრ თავისა ჩემისა. სარწმუნოდ ვრაცხ ყოფად ორმოცის წლისა.

3.

არა მყოლიეს ცოლი არაოდეს, ეგრეთვე არა მყვანან არცა მშობელნი არცა მახლობელნი არცა მაქვს სახლი, შვიდის წლისა ძამამან მომიყვანა იოანე ნათლის მცემლის მონასტერში სასწავლებლად, რათგან მაშინ ჯერ არ იყო საზოგადო სკოლა, შემდგომ არა ბევრისა დროისა ამოსწყდენ მშობელნი ჩემნი გაძლიერებულისა დიდისა ჭირისაგან, დავშთი მე ობოლი საქართველოში და ვარ და აღარა ვიცირა მყავს ვინმე ნათესავი თუ არა აღარც ვყოფილვარ იმერეთში.

4.

საცხოვრებელისა მშობელთა ჩემთასა არა რაივიცი, ერთმა მხოლოდ ძამის ჩემის მსახურმა ყმამ რომელიც ახლა სცხოვრებს ქისიყს სოფელს მაღაროს სახელმწიფოს მამულზე, მან მითხრა მე რომელ დროსა ჭირისასა შემდგომ გარდაცვალებისა მშობელთა ჩუმთასა დასწვეს სახლი მეზობელთა თავადთ **აბაშიძეთა** აიკლეს ყოველივე, და თვით ის ბიჭიცა ყავდათ დაჭერილი, რომელიც იქიდამ

გამოქცეული დამდგარა მაღაროს, რათგან მე ბერი ვარ აღარა დავდივერა აღარც იმ ბიჭს, აღარც სხვას რასმე, და არა ვიცირა მა-შულის საცხოვრებლისა, ახლა ბერობის წესით ჯამაგირი მაქვს წელიწადში ექვსი თუმანი შემოსავალი საწირავით და ჯამაგირით შედგების ათი თუმანი, ოდესმე მცირე, ოდესმე მეტი.

5.

გავიზარდე საქართველოში პირველად მცირე წლოვანი იოანე ნათლის მცემლის მონასტერში საზოგადოს ძმათ ხარჯით, ვისწავლე იქ სამლთო წერილის წერა და სჯული ღვთისა. შემდგომ მოვიდა იქ ხირსის მონასტრის არხიმანდრიტი **ნიკიფორე**, მნახა რომ ობოლი, და უპატრონო ვიყავ წამიყვანა თავისთან და ვიმსახურებოდი ეკლესიაში, შემდგომ მიმაბარა ოსტატს და მასწავლა ქართულს ენაზე ფილოსოფია და ღვთის-მეტყველება.

6.

ვიმსახურებოდი ხირსის მონასტერში რავდენიმე წელიწადი დიაჩოქად, შემდგომ ხუთი წელიწადი იერო დიაკონობით, შემდგომ სამი წელიწადი იერო მონახობით, შემდგომ სწავლისათვის რუსულის წიგნისა, და ენისა გადმოველ ტფილისის ფერისცვალების მონასტერში, 1826-სა წელსა მოთხოვნისამებრ კათალიკოსის ანტონისა გაგზავნილ ვიქმენ რუსეთს, შემდგომ გარდაცვალებისა კათოლიკოსისა, მოვბრუნდი ისევ ტფილისს ფერისცვალების მონასტერში ხოლერის გამოჩენის დროს ვითხოე და გადაველ შუამთის მონასტერში, და ვიმსახურეე მუნ:

7.

არა შემთხვევია ყოფა პეტერბურღს, ვიყავ მოსკოვს, დროს დაგვირგვინებისა მათის დიდებულებისასა აქედამ მიმავალი კათოლიკოსთან, დავისვენე ერთს კვირას დონის მონასტერში, მამა არხიმანდრიტს **ათანასესთან.**

8.

ვალისაებრ ქრისტიანობითისა მცირე წლოვანებითვე არა დავკლებივარ აღსარებას მარხვას და წმინდის საიდუმლოს ზიარებას, ერის კაცობაში ოთხჯელ წელიწადში, უკეთუ არა დამაბრკოლებდა რაიმე, დავიდოდი ყოველ დღეს ცისკარზე წირვაზე და მწუხრზე, უკეთუ არ დამაბრკოლებდა ანუ შეუძლებლობა, ანუ საჭირო რაიმე დიდი საქმე, ხირსის მონასტერში დიაჩოქი და მლოცვე-

ლი მარტო მე ვიყავ ყოველთვის, იერო დიაკონი ხუთს წელს მარ-
ტო მე ვიყავ, იერომონახობაში ორნი ვიყავით, რაი კურთხებულვარ
იეროდიაკონად შემდგომ ყოველთვის ჭეშმარიტის მტკიცედ რწმუ-
ნებისა დიდებულისა ქრისტეს საიდუმლოსათა ყოველთვის ვცდი-
ლობდი არ გასულიყო ოცი დღე უზიარებლობისა, უკეთუ არ და-
მაყენებდა სნეულება ანუ შორი მგზავრობა, ყოველთვის ვყოფი-
ლვარ ჩარედაში, ხან ერთს მღვდელთან, ხანორთან, ხან სამთან,
ხან სულ მარტო ვყოფილვარ არ გამიშვია ჩემი ჩარედა უწირავი
ყოველდღე უკეთუ საკმაო რაიმე წინააღმდეგი შიზეზი არ შემმთ-
ხვევია, ყოველთვის მყოლია კეთილი მოძღვარი, და ახლაც მყავს
შუამთის მონასტრის ყმა და მამულის განმგებელი არხიმანდრიტი
ნიკიფორე.

9.

ყოფასა ჩემსა ნიჟეგოროდს კათალიკოსთან აღმძრა მე ნაზმან
გრძნობამან სულისა ჩემისამან, და თანამდებობითმან სიყვარულ-
მან ღვთისა, და ცხებულისა მისისაგან, არ ვიცოდი წესი სასაჯართ-
ლოისა, არცა სჯულები ნათი, ლიტონის და მართლის გულით გამო-
ვაცხადე უშესაბამო ლაპარაკი რაც იყო იქ, ამასზედა ვიყავ მე
ქვეშე გამოძიებისა, გარნა მოხსენებისამებრ ჩემისა მათს დიდებუ-
ლებასთან რომ მე არ ძალმედვა ფორმისამებრი დამტკიცება, ყოვ-
ლად უმოწყალესად ინება სამღთოითა ხელითა თვისითა განთავი-
სუფლება ჩემი სასამართლოდამ, და წამოსვლა საქართველოში აღ-
რჩევად ადგილისა სადაც მე მინდოდა, რომლისთვისაც ამიერიდგან
უმეტეს განმრჩოლებული სამღთო სიყვარული ესე ვითარისა სახიერ-
ისა ხელმწიფისა, და მამისა ყოველთა ქრისტიანებასა ენთების გუ-
ლსა ჩემსა, გავბედავ მოხსენებად, უმეტეს მრავალთაგან, ბრავალ-
გზის ამბორს უყოფდი მას ადგილსა, სადაცა წერილ იყო უქაზის
კოპიოსა შინა სკუთრითა ხელითა მათის დიდებულებისათა წერილ
არს ესრეთ[1]... მფიქრებელი ვინ ვარ მე რომელ ესოდენი ღვთის
მზგავსი ხემწიფე სწერს საკუთრითა ხელითა ჩემთვის, რაოდენჯერ
არს თაყვანის ცემად სახიერება, და სიკეთე ხელმწიფისა.

10.

ესე ყოვლად უუსჯულესი გარდახდომილება, წინააღმდეგი
ღვთისა, წინააღმდეგი მთავრობისა, წინააღმდეგი სინიდისისა ჭკუ-
ისა, და ბუნებისა თვისისა რომელიცა მესმის აწ რომ ყოფილა რო-
მელთამე ,,ეაცთა შორის, არაოდეს არ შემოსულარს ფიქრსა ჩემსა,
არცა მცოდნია ვიდრემდის არა მკითხა მე ამან კომისიამან, და არ

1. ერთი სიტყვა არ იკითხება.

გამომიცხადა რომელ, რომელთამე ქონიათო შეთქმულება წინააღ-
მდეგ მთავრობისა და გაყრისათვის რუსთასა საქართველოთგან, თუ-
მცაღა განეფინა ყოველგან ხმა რომელ რავდენნიმე თავადნი ლა-
ჭირესო, ყოველი სული სურვილით კითხულობდა მიზეზსა, მაკრამ
არსად არ გამეგონა ჯერეთ ეს მიზეზი და არც შემეძლო დაჯერე-
ბად უკეთუ ესე შესაძლებელ იქმნებოდა საქართველოში მოგონე-
ბად და გაბედვად, ჭეშმარიტად ძალსა ღვთისა საბაოთისასა ვფიცავ
რომ კიდეც რო ეთქვა ვისმე ცხადათაც ეს შეთქმულება გვაქვსო
არაოდეს არ შევრაცხდი ღირსად გაგონებისა ვერც დავიჯერებდი,
არც მცირედ შემომივიდოდა ჭკუაში მეგონებოდა მასხარაობა, და
ჩვულებითი გიჟური როტვა, არც არავის გამოუცხადებია, არც
არავის მიუწოდებივარ ამ შეუთქმულებაში არა რომლითამე სიტ-
ყვითა შესატყობინებლად ჩემდა რომ მე შეშეტყო არავის არ უთ-
ქვამს, არსად, არავისთან და არაფერი არ ვიცოდი ვიდრემდი აქ ან
შევიტყე, და არც ახლა ვიცი ვითარი ქონიათ მათ დაწყობილება.

11.

არა რომელსამე მიზეზსა არ შეეძლო მიდრეკად ნებისა ჩემი-
სა ესოდენისა უსჯულოებისადმი და ესოდენისა შეცდომილებისა
რომ მე მეფიქრებინა წინააღმდეგი რაიმე მთავრობისა, და არა
რაიმესა უკმაყოფილობასა არ შეეძლო ძლევად მადლობიანისა
მოთმინებისა ჩემისა.

12.

არა რაიმე სპოსობი არც მქონია არც დამინახავს შემძლებე-
ლი წინააღმდეგობისა მთავრობისასა, როგორც არ იხილვების პა-
ტარა ბუზისა შორის სპოსობი შთანთქმად შევარდენისა.

13.

მე არ მახსოვს საქართველოსა შინა, არც მეფე არც მეფის
შვილები და არც ცნობა მქონდა, გარდა ოდესცა მიველ მოსკოვს,
იქ ვნახე ოგინი, და მივიღე იმათი ცნობა, სახელდობრ **მიხეილისა,**
ილიასი ოქროპირისა და **ირაკლისა,** ესენი სცხოვრებდენ მაშინ მო-
სკოვს, იქ ვნახე ოგინი, **ოქროპირ** აქაც იყო ტფილისში აქაც
ვნახე რავდენჯელმე, წინააღმდეგი რაიმე მთავრობისადმი არარაი
შემინიშნავს, ხუმრობით და გასაცინათ თუმცა გამიგონია რამე
მცირედი, მაგრამ ყური არ მიგდია თანაწარხდომილვარ, არარაიმე
იჭვი ჩემს გულში იმათგან არა შემოსულარა, არც განლვიძება წი-
ნააღმდეგ მთავრობისა.

ღენერალ მაიორს **ალექსანდრე ჭავჭავაძეს** დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ ისევ არ ვიყავ ბევრი ვიცნობდი, არა შინაურულად, არაწედ ვიცოდი ვინ იყო, და იგი მე მიცნობდა ვინ ვიყავ შემდგომ ბერობაში, ცნობა ჩემგანი იმათი მხოლოდ იყო ამისთვის, სახლი ქონდა კეთილმსახური, და ღვთის მოყვარე, როცა მივიდოდი დამაჯილდოებდენ, ოდესმე ფულით, ოდესმე ღვინით, ოდესმე პურით, და ამისთვის ვითარცა სხვათა მონასტრის ბერებთა, მეც შემემთხვეოდა ხილვა მისი წელიწადში ორჯელ, ანუ ერთხელ, ანუ სამჯელ მეტი არა, ბევრი წელიწადებიც გასულა რომ არ მინახავს სრულებით, არა ძალიან შინაგანად ვიცნობდი მას, გარნა მწყალობდა უმეტეს სხვა ბერებზე. წინააღმდეგი რაიმე მთავრობისა, არც თვით იმისგან გამიგონია, არც სხვისაგან მსმენია იმაზე, და არცარა შემინიშნავს, და არც მიძიებია ესე ვითარნი რამენი.

15.

ზავილეისკის ვერ ვიცნობ, მხოლოდ ვნახე ერთხელ რომ წოვიდა სანახავად არხიეპისკოპოს **დოსითეოსთან,** იმჟამად იქ დავესწარ, მხოლოდ ვნახე პირი მისი, გალაპარაკება არა მქონია ოა, და არცარა გამიგონიარა იმისი.

16.

ამ ბოროტისა განზრახვისა, წინააღმდეგ მთავრობისა, არც ნაჩალნიკი მყავს, არც ვისიმე ნაჩალნიკი ვარ, და არცარავიცოდირა, ვმადლობ ყოვლად უმაღლესსა რომ დამიფარა მე, და არ მოწევნილ იყო ჯერეთ ჩემს ცნობადმდე.

ყოველი ესე ზემოხსენებული ჩემგან არს ნამდვილი წმინდის გულით წარმოდგინება შინაგანისა სულისა ჩემისა, და თვით მდგომარეობითი ჭეშმარიტება, რომლისაცა წინააღმდეგსა არა რაღა არ ძალუძს ადგილისა პოებად, ამას ზედა არ ვეძიებ რასამე იძულებითსა დამტკიცებასა, რომლისაცა წინააღმდეგსა არა რაღა არ ძალუცს ადგილისა პოებად, ამას ზედა არ ვეძიებ რასამე იძულებითსა დამტკიცებასა, ვითარცა ბრძანებულ არს გამოცხადებად ყოველი სიმართლით; გამომიცხადებია ვითარცა გამოცხადებულ იქნება მეორედ მოსვლისა ქრისტესისა, მტკიცედ დარწმუნებულ ვარ რომელ არცა ერთი თმა თავისა შესაძლო არს შთამოვარდნად ნებისა სამლმთოსა.

მე არ ვიყოფები ტანჯული შიშისაგან დასჯისა, არამედ მტანჯავს მე ორნი ესე წინაალმდეგნი შემთხვევანი.

პირველად, ვითარი მაქვნდა მე, თვით ბუნებითი მიდრეკი-

ლი სიყვარული აწინდელისა მთავრობისა, მრცხვენია თქმად, რას ნიშნავს ჩემი ან სიყვარული ან ერთგულება, რავარ მე ვითარცა ერთი უმცირესი სალა ქვეშე უკანის მაგრამ ტკივნეული გული ჩემი სდუღს, და მაბედვინებს მოხსენებად, როგორი მაქვნდა მე შეუცდომელი, და სიხარული აწინდელისათვის მდგომარეობისა, ვითარი ცხარი სულით ვიყავ მე მვედრებელი ღვთისადმი და ვმადლობელი, როგორ უმჯობეს მიმაჩნდა მე გატარება დროისა სიყვარულიანის საუბრით უკანასკნელს რუსთან, ვიდრე პატივცემულს ქართველთან, როგორ სურვილით ვეძიებდი ყოველთვის საშუალებას რომ მღირსებოდა სულ რუსებში ყოფა, როგორი მაქვნდა მე საკუთარი ერთგულება რომელ ყოველს ტაბელნის პრაზნიკში ოდეს არ იქმნებოდა საზოგადოდ ეკლესიაში მოლებნა, მე სენაკსა შინა ჩემსა არ დამიგდია არაოდეს ვითარცა სამლთოი ვალი თქმისაებრ მოციქულისა პავლესსა „ილოცევდით მეფეთათვის რამეთუ მსახურნი ღვთისანი არიან“ დასასრულ ყოვლისა ამის ახლა რას იჭვნეულებას ქვეშე ვარ, და რასა მკითხვენ:

მეორედ, მე ვრაცხდი თავსა ჩემსა თითქმის მრთელს საქართველოში არა უდარესად რომელთამე განათლებულთა გვაძთა, თუცა არა მაქვნდა გამოცდილება სასამართლოსა სჯულებისა, და სხვათა ესე ვითართა ახალთა დაწყობილებათა, გარნა არ ვიყავ მე დაკლებულ არცა სწავლითა, და არცა ბუნებითა სჯულისა სამლთოისა სჯულისა ბუნებითისა და სინიდისისაგან, შემძლებელ ვიყავ მე ისტორიებრ განსჯად დროისა არ ვიყავ მე დაბრმობილი რომელ არამსცოდნოდა ფასი აწინდელისა ხემწიფობისა, არა თუ მხოლოდ დიდებად საქართველოისა, არამედ სიმტკიცედ ყოველთა ბართლმადიდებელთა ეკლესიათა თითქმის რაოდენი არიან მრთელს ქვეყნიურსა შარასაზედა, ახლა მკითხავენ მე ყოვლად უკანასკნელისა უგუნურისა, და გიჟისა საქმესა, ნუ უკვე მე ძალ შედვაა? ფიქრვად წინააღმდეგი უმეტეს ნახევრის ევროპისა, აღვსებულისა ბევრის საუკუნითაგან სიმხნით და უძლეველობით ქებულთა ერთაგან, და მილიონ ნახევრისა განმზადებულის რკინის სალდათთასა ნუ უკვე არა ვხედავ მე თითქმის თვით მრთელსა აზიასა შეშინებულსა ესე ვითარისა ზეცით გამობრწყინვებულისა იმპერიისა მიერ. სპარსეთი დასაბამითგან ამპარტავანი ტახტსა ზედა თვისსა, წოდებული აღმოსავლეთსა შინა ბუდედ ლომთა, შეშინებულნი სხედან სოროთა თვისთა, არა ვიხილეა? მე თვით წარსულთა წელთა პორტი ოსმანთა რომელი აღანაღლებდა თავსა თავისსა ნახევარ სხეულამდე მთოვარისა დამდაბლებულად ღვთივ განმტკი-

ცებულსა საჭურველსა ქვეშე რუსთასა, და ესე ყოველთვის ჩვეულებისამებრ:

საქართველო მოწევნილი უკანასკნელისა აღსპობისადმი, იქმნა ახლად მოცოცხლებული სულითა რუსთათა, ძლივ ძლივ მოდიან არსებასა შინა, მიწა ესე არა უმეტეს ხსენებული ერთისა საკნიაზოისა მყოფი ესე ვითარისა ძლიერისა იმპერიისა მფარველობასა ქვეშე, ხალხი გლახაკი, არა მქონებელი არა რაიმესი შემწეობისა, მხოლოდ მცხოვრებნი დღეს მოწყალებითა რუსთათა, ვითარცა ახლად შობილი ყრმა მოწყალებითა დედისათა, შემძლებელ იყო? წინააღმდგომად როსიულისა მთავრობისა?

ამით ოდენ ტანჯული გლახაკი სული ჩემი, მარადის ენთების სიყვარულითა და მადლობითა, ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერ ყოფისათვის ჩემისა მას ოქროვანსა საუკუნესა შინა, სადა მტერნი კაცობრიობისა და ქრისტესნი ცოცხლით შთასხდენ საფლავსა შინა, და წმინდა ქრისტიანობა ბრწყინავს ყვავილოვნად ამას მამულსა შინა.

დიდება ღმერთსა, და დიდება დიდსა იმპერატორსა ქრისტიანეთასა, ამინ. იერომონახი **ფილადელფოს**".

1833-ს

თებერვლის 7.

ლევან ერისთავის პასუხები (VIII 1304-1305).

„მქვიან **ლევან** მამი ჩემისა. სახელი არის **ლუარსაბ** ჩინდ მაქვს პრაპორჩიკობა.

მე ვარ ოცდა ხუთის წლისა

ცოლიანი ვარ ჯვარდაწერილი **მუხრან** ბატონის ბაგრატის ქალზე სამი ვაჟი მყავს პატარები დედა მყავს და ორი უასაკო ძმები.

მე მყავს ყმა და მამული გორის უეზდში და დუშეთის უეზდში ას ოთხმოცი კომლი დამრჩა და ას სამოცი კომლი ჩამომართვეს, წლის შემოსავალი რაც დაჭირდებოდა და ფულათ არ ჰქონდა გადაჭრილი ჩემის ყმიდამ და მამულიდამ ვცხოვრობდი.

მე აღვიზარდე ჩემს მშობლებთან.

მე ვიყავ წინაპირველათ რომ ყიზილბაშში ომი იყო მაშინ ღერანალ მაირ **დავიდოვთან** და ვიმსახურე ოთხი თვე მასუკან ვიყავ გრაფ **პასკევიჩთან** ოსმალოს ომში ყარსისათვის მომეცა პრაპორჩიკობა და ახალციხისათვის ჩეთვერთი სტეპენი ანა ზახრაბროსტი მასუკან ოსებში ვიყავ პახოდში ღერანალ **რეინკაფთან** და ვიმსახურე და არ დავჭრილვარ.

არა ვყოფილვარ არც პეტერბურხს და არც ბოსკოვს.

ქრისტიანობრივის მოვალეობით დავიარები მე ეკლესიაში და ყოველწლივ მიმიღია წმინდა საიდუმლო.

მე და **ხმალაძეს** გვქონდა საჩივარი შორის სუდში და სუდმა მე გამამართლა და აქ სუდაი რასპრავაში ჩამოვიდა საქმე და აქ შევრიგდით მე არა გადამხდარა.

პირველად **ბიძინა ერისთოვმა** მითხრა მე არაფერი არა ვიცოდი რა დუშეთს ვიყავ ჩემს საქმეზე და იქიდამ რომ წამოვედიო ერთი გზა გვქონდა ერთათ მოვდიოდით და მე და **ბიძინა** და ცხენებიდამ ჩამოვხდით და ცხენები ბიჭებს ეჭირათ ბიჭები წინ მიდიოდნენ და ჩვენ ერთად მივდიოდით მაშინ მითხრა ერთს სიტყვას გეტყვიო მე უთხარ რა არის მითხარ იმან მითხრა საიდუმლო არისო ძალიანაო მე უთხარ თუ მაგისთანა არის ნუ მეტყვი მითხრა გეტყვიო ბუნტს აპირებენო მე უთხარ ეს გიჟური ჭკუა არის ვის შეუძლიან ეს საქმე და ან ხემწიფის მუხანათობა როგორ იქნება იმან მითხრა **ალექსანდრე ბატონიშვილთან** წიგნი არის წასულიო. ვინ მისწერა არც მე მიკითხავს არც იმან მითხრა მე უთხარ მე რა შემიძლიან მეთქი იმან მითხრა ჩვენ სხვა ნაირათ დავიჭერთ საქმესაო. გაათავა ლაპარაკი და მე ჩემ სახლში წავედ და ის თავის სახლში წავიდა ეს მითხრა ხოლერობის უკან ზამთარში იქ მოწამე არავინ იყო მასუკან გაზაფხულდა და მარიამობის თვეში მე და ჩემი სიძე **დვით ჯორჯაძე** მივდიოდით გერისთობას. **ბირძიმ ამილახვრისას** ნოვედით ჭალას და ბალკონზედ ჩაის ვსვამდით იქ **გიორგი დავითის ძე ერისთოვის შვილი** ამოვიდა და მითხრა ბუნტს ვაპირებთო მე უთხარ მე მაგისი არა ვიცირა იმან მითხრა პოლშაც ეჩხუბებათო მე უთხარ მე რა ვიცი მეთქი ცალკე მითხრა ჩუმათ მასუკან გერისთობას **ბიძინამ** მითხრა წიგნი მომივიდაო და **ელიზბარს** წავაკითხეო ჩუმათაო და არ ვიცი რა წიგნი იყო და არც მინახავს კიდევ ათას რვას ოცდა თორმეტში განმიახლა ბუნტს აპირებენო სასამართლოებს ზემოდამ შემოვეყარე **ბიძინას** და მითხრა წავიდეთ **ალექსანდრე ვახტანგის ძის** სახლშიო და **გიორგი** ჩემი ძმა ვნახოთო წავედით და ვნახეთ **ბიძინა** იმ სახლში დარჩა და **გიორგიმ ალექსანდრე ორბელიანთან** შემიყვანა **ალექსანდრემ** მითხრა ბუნტს ვაპირებთო მე უთხარ მე რა ვიცი მეთქი იმან მითხრა ომერეთში ნათესავები გყავსო მე უთხარ მყავს მეთქი მითხრა იქნება იქაც მოხდეს ბუნტიო მე უთხარ მე რა ვიცი მეთქი მოხდება თუ არა გაათავა და გამოველ **ელიზბარ ერისთვის შვილი** შემომეყარა სასამართლოებს წინ დამიძახე აქ მოდიო მიველ და

მითხრა ბუნტს ვაპირებთო მე უთხარ მე ჩემი საქმე მაქვს შინ მივ-
�ვარ და მაგისი არა ვიცი რა მეთქი გაბრუნდა და წავიდა
დედა ავად მყავს ბრიჩკა ვიქირავე და იმავ დღესვე წაველ დუ-
შეთის უეზდში და ავადმყოფი დედა ჩამოვიყვანე და მას უკან
ჩემთვის აღარავის არა უთქვამს რა.

მე წინააღმდეგი მთავრობისა არაოდეს არა ვყოფილვარ მხო-
ლოდ წინდაწინ მითხრა **ბიძინა ერისთოვმა** მასუკან **გიორგი დავი-
თის ძემ ერისთოვმა ალექსანდრე ვახტანგის ძემ ორბელიანოვმა**
და **ელიზბარ ერისთოვმა** მე მხოლოდ ამაში შევცდი რომ ჩემი ნა-
თესავნი იყვნენ და ვერ გამოუცხადე მთავრობას.

მე არც ძლიერება მინახავს და არც არა ვიცირა მხოლოდ
ლაპარაკში შევიტყე იმათგან.

მე არც ერთის ბატონიშვილის ცნობა არ მქონია და არც
ეიცნობ.

მე მხოლოდ ვიცი რომ საქართველოს ღრაჟდანცკის ღრუბე-
რნატორათ იყო. მე იმასთან არც ლაპარაკი მქონია და არც არა
შენიტყვია რა[1].

ჩემთვის არავის უთქვამს ვინ ყვანდათ დანიშნული ნაჩალნი-
კათ და არც არა ვიცირა.

ესთხოვ კომისიას რომელიც ვაჩვენე გულის წრფელობით მე
ამაზედ მეტი მე არცა რა შემეტყოსხრა და არცა რა მისაქმიარა
და არც მე ნითქვამს ვისთვინმე და თუ დამავიწყდა რამე ველ-
მოვიგონე ესთხოვ კომისიას მიბრძანოს და სწორეთ აღვიარო კომა-
სიის წინაშე რომ არა დავშალო რა.

პრაპორშჩიკი თავადი **ლევან ერისთოვი**".

ბიძინა ერისთავის პასუხები (VIII ,1313-1314).

სახელათ მქვიან **ბიძინა** მამა ჩემს ერქვა **რევაზ** ჩინი მაქვს
პრაპორშჩიკი.

წლისა ვარ ოცდათორმეტისა.

ცოლი მყავს, **მელიქოვის** ქალზე ვარ ჯვარდაწერილი შვილე-
ბი მყავს შვიდი წვრილები დედა მყავს ორი ძმა და ერთი და.

ბეყოლება ყმა ხუთას ორმოცდა ათი კომლი გორის უეზდში
და დუშეთის უეზდში წლის შემოსავალი არა მაქვს თეთრათ გა-
დაწყვეტილი და რაც მოგვინდებოდა წლის სარჩო ყოველი ფერი
წლისა თეთრათაც და ნივთათაც შემოგვდიოდა ამ ხუთას ორმოცდ
ათი კომლიდან მყავს ორას ორმოცდა ათი კომლი ჩამორთმეული
თავის მამულით.

---

[1]) იგულისხმება ზაველეისკი.

გავიზარდე ჩემს მშობლებთან.

ათას რვას ოცდა ექვსში ვიყავ პახოდში ღენარალ მაიორთან **დავიდოვთან** იმასთან ვემსახურებოდი ოთხი თვე. და ათას **რვაც** ოცდაშვიდში ვიმსახურებოდი პახოდში იმის ბრწყინვალებასთან გრაფ **პასკევიჩს** ერივანსკისთან ხუთი თვე რომელმაც მამცა ჩინი პრაპორშჩიკობისა.

არ ვყოფილვარ პეტრებუხს და არც მოსკოვს.

ქრისტიანობის მოვალეობით დავიარები ყოველთკაი ეკლესიაში და ყოველ წლივ მიმიღია წმინდა საიდუმლო.

არა ვყოფილვარ სამართალს ქვეშე არც სლესტაციის ქვეშ და არც შტრაფს ქვეშ.

ეს განზრახულება შევიტყე პირველათ **ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანოვისაგან** და არ მახსოვს როგორი სიტყვები მითხრა, ათას რვას ოცდა თერთმეტში მითხრა რო ვიყავით იმის სახლში და არ ვეთანხმე **ალექსანდრეს** შემდგომ რამდენსამე ღღეს ვიყავ **ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვთან** და **ელიზბარ** მოვიდა და აღარ მახსოვს როცა სახლში ვიყავით იქ მითხრა თუ სხვა სახლში შევედით **ელიზბარმა** მითხრა ასე შეწუხებულნი ვართ ყმები ჩამოგვართვეს და მამული ამ საქმეზე თანახმა შეიქენო მე უარი უთხარ კიდევ მითხრა ოღონდ ნუ გაგვცემო შენი სხვა არა გვინდარაო შევსცთი და უთხარ არ გაგცემთ მეთქი გავათავეთ ეს ლაპარაკი.

მე ამ მიზეზნა შემაცდუნა ორასი კომლი გრაფ **პასკევიჩმა** ჩამომართვა თავის მამულით. ორმოცდა ათი კომლიც ჩამომართვეს და ორმოცდა ათს კონლსაც მედავება სასამართლო.

ღონისძიებისა და შემწეობისა არა ვიცირა და ვერც არას ეხედავდი.

მეფის შვილებთან სულ არავისთან არა მაქვს რა ცნობა.

ვიცნობ **ჭავჭავაძეს** იქნება რვა წელიწადი მაგრამ ამ საქმეზე მე იმისთანა ლაპარაკი არა მქონია რა მე შენიტყვია **ელიზბარისაგან** რომ **ლუარსაბ ორბელიანოვმა** უთხრაო **ჭავჭავაძეს** ამ საქმისა და **ჭავჭავაძემ** უთხრაო დიდი ხანია მსურსო და ჩვენის ხალხისაგან იმედი არა მაქვსო სამი დღე დამაცადეო ვიფიქრებო სამი დღის შემდეგ მისულიყო **ზაქარია ჩოლაყაევი** და **ზაქარიამ** **გვითხრა** უარი ექვაო **ჭავჭავაძემ** და კიდეც ჩაიშალა ეს საქმე.

ზავილევსკისთან არა მქონია ცნობა და არც არა იმისი ამ საქმეში გარევისა გამიგონიარა.

არ ვიცი ვის რაცხამდენ ამ შეთქმულების მთავრად და არც არავის ჩემთვის უთქვამს.

პრაპორშჩიკი თ. **ბიძინა ერისთოვი**".

ჩყლბ წლისა

თებერვლის ი

ივანე ერისთავის პასუხები (VIII, 1321-1322).

„ა. სახელი ჩემი არს **იოანე, მამისა ჩემისა ელიზბარ**, ჩინი მაქვს მეთოთხმეტე კლასისა.

ბ. ორმოცდა თერთმეტის წლისა ვარ მეთორმეტეში ვდგევარ.

გ. ცოლიანი ვარ. პოდპოლკოვნიკის **თ. გიორგი ამილახვაროვის** ასულზე **კონიაზე** ვარ ჯვარდაწერილი. რვა შვილი მყავს ორი ვაჟი და ექვსი ქალი, პირველი ვაჟი არის თხუთმეტის წლისა და უკანასკნელი ქალი ცხრის თვისა. მრთელი სახლეულება ჩემი არის ჩემგან გამოზრდილი ოცდა თხუთმეტი სული.

დ. ყმა და ნამული მაქვს გორის, დუშეთის და იმერეთს შიერაპნის უეზდში ჩემს ძმებს **ზურაბ** და **დიმიტრისთან**. სხვა უმეტესი ნაწილი არის დაუყოფელად დარჩენილი. რომელშიაც ვიყვ მოკლებული ჩემის ძმებისაგან ჩემს შესახვედრს ნაწილზე და ვცხოვრებდი უმეტეს ვალითა. რიცხვი ყმისა ჩვენისა ერთობრივ ვგონებ იყოს ჩანორთმრეულით ცხრა ასი კომლი. წლის შემოსავალი იმათი ფულათ და ნივთათ არ არის ვადაკვეთილი და არ ვიცი რას შეადგენს.

ე. ჩემის მშობლების მეცადინეობით აღვიზარდე მე იმერეთს.

ვ. ვიყავ მე **ტორმოსოვთან** ახალციხეს მანამ ის დაბრუნდებოდა. ჩემის საკუთარის ასოცის კაცით. მებარა მე 1812-1825-დან, პატარა ლიახვი და ის ხეარე, რომლითაც იყო შეწუხებული ქართლი. ის ოსები დავამშვიდე მძევლები გამოვართვი და იმათგან აკრილნი სოფლები დავასახლე. აგრეთვე ბძანებითა მიტროპოლიტ **თეოფილაკტესითა** ვიყავ ოსეთში და დავნათლე ოსნი. კიდევ სპარსეთის და ოსმალის ომის დროებში მებარა პატარა ლიახვი და ვეშსახურე სამი წელი. როდესაც უარ ჰყოფდენ გლეხნი რომ ხუთ კომლზე ერთი კაცი უნდა გამოსულიყო მაზინ გორის მარშალი **თ. დავით თარხანოვმა** მაცნობა მე ბრძანება მთავარმართველისა და ჩემს დანიშნულს სოფლებში მოვკრიფე ხალხი და გამოვრეკე. ვეშსახურე კიდევ გენერალ **რენენკამფს** და ოტრიადს რომელიც გადმოვიდა პატარა ლიახვზე. იმ სამი წლის ლიახვზე სამსახურისათვის

გრაფ **პასკევიჩმა** მომიტანა მეთოთხმეტე კლასის ჩინი. დაჭრილი არა ვყოფილვარ.

ზ. არც პეტრებურღს და არც მოსკოვს არა ვყოფილვარ.

ქრისტიანობრივის ბოვალეობით დავიარები ყოველთვის ეკ-ლესიაში და ყოველ წლივ მიმღია წმინდა საიდუმლო.

თ. ორჯელ ვიყავ სამართალს ქვეშ, პირველად ახალგორე-ლებისაგან მოხდენილს ჩხუბზე რომელიც არ მახსოვს რომელს წელიწადში იყო 1807 წინ თუ უკან და მეორედ 1823-ში მეჯვრის ხევის რუებზედ ბითომ ერთის რუდან მეორეში მიმემატებინოს წყალი ჩემის წისქვილისათვის. ამ ორივეს საგანზე გავმართლდი ასე რომ არც შტრაფი გადამხდენია და არც დასჯილი ვყოფილ-ვარ. მე ასე მახსოვს და არ ვიცი რა ჩაიწერა სასამართლოში ჩემზე.

ი. მართალია ბევრჯელ მოსულა და წასულა ჩემთან **თ. ბიძინა ერისთოვი** მაგრამ მე ამ ძიებულს საგანზე არც იმისგან და არც სხვისგან არა შემიტყვია რა უწინარეს მისა ოდესცა **ბიძინა ერისთო-ვმა** კომისიაში ბითხრა, ვითომ ის მოსულიყვეს ჩემს სახლში ხო-ლერობის მეორეს წელიწადს პატარა ოთახში იქ ეთქვას. არც მახ-სოვს სრულიად რომ ის ჩემს პატარა ოთახში შემოსულიყვეს. მი-ზეზი იმის ჩემზედ ასე შესმენისა ეს არის რომ დიდი ხანია ის ჩემი მტერი არის ამისთვის რომ ჩემის საშუალებით ჩამოერთვა ოთხმოცი კომლი კაცი აღრჩეული და შემდგომ ოდესაც მნახვი-და მე ჩემის ძმებისაგან შეწუხებულს ნიშნს მიგებდა რომ: კარგია შეწუხებაში ყოფნა, შენც ნახეო და ჩემის ძმებისაგან ნარგები რამ-დენიმე კომლიც წამართვა გლეხი.

ია. მე სრულის გულწრფელობით ვაცხადებ რომ არც არა მცოდნიარა, არც რა მიზეზს განუღვიძებივარ და ვერც არა განმა-ღვიძებდა წინააღმდეგ მართებლობისა.

იბ. რომ არ ვყოფილვარ ამ საქმეში არც არა ღონისძიება ბდებია თვალწინ და არც არა ვიცი რა.

იგ. მე გადმომიყვანა მამა ჩემა იმერეთიდან პატარა და მიმა-რთვა ბატონიშვილს **ფარნავაზს** თელავს იმ წელს როცა **მეფე გიო-რგი** გამეფდა და ვიყავ მასთან იმის იმერეთს გადასვლამდინ. სხვას ბატონიშვილებთან არავისთან არა მქონია ცნობა. რადგან არ ვი-ცოდი ეს შეთქმულება არც ვიცი რა შეეძლოთ ამ შეთქმულებაზედ.

იდ. თ. ჭავჭავაძე მხოლოდ მინახავს და იმასთან არც ლაპარა-კი და არც ცნობა არა მქონია. რადგანაც არ ვიცოდი ეს საქმე არც არა გამიგონია რა **იმისი.**

ივ. გუბერანატორად ყოფილი ზავილეისკი სულ არ ზინახავს და არც არა გამიგონიარა.

ივ. მე არც ეს შეთქმულება ვიცი, არც მთავარი და არც უფროსი ვინ არის ამ შეთქმულებისა.

მე ვარწმუნებ კომისიას რომ რაც და როგორც მახსოვდა და რაც ვიცოდი აღვიარე ყოვლისავე ჩემის გულწრფელობით რომ-ლისა დამტკიცება ფიციოთაც შემიძლიან. — იდ კლასის თავადი

იოანე ელიზბარის ძე ერისთოვი".

თებერვლის 10-ს
1833-ს წელს.

ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის პასუხები (VIII, 1843-46).

„1833-го Года თებერვლის 8-დღესა.

ვამტკიცებ ფიცით,

გადამდგარი პორუტჩიკი თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბე-ლიანოვი.

ვარ ოცდა თოთხმეტის წლისა

ვარ უცოლო მყავს დედა და ორი ძმა უფროსი ცოლშვილი-ანი და უნცროსი ღრუძინცკის ღრანადრის პოლკში ემსახურება პოდპორუჩიკათ.

ჩემი ყმა და მამული მდებარეობს ქალაქის უეზდში და ბორ-ჩალოს უეზდში ჩემი ყმიდამ და მამულიდამ არა მქონდა ვადა-წყვეტილი რომ თეთრათ ვიცოდე რა ნქონდა შემოსავალი მხო-ლოდ რაც დამჭირდება წლის ხარჯი მემსახურებიან ხოლმე.

მე ვსწავლობდი წკოლაში ორ წელიწადი და მას უკან გა-მოვედი სწავლიდამ და ვიყავ ხოლმე ჩემს სახლში.

შევედი სამსახურში და ვემსახურებოდი ერევანცკის პოლკში ათას რვას თვრამეტში იუნკრათ და ვაკანცია არ იყო იმავე პოლ-კში წარდგენით მოვიდა მინღრელსკი პოლკში პრაპორჩიკობა ათას რვას ოცდა ერთში ათას რვას ოცდა ოთხში ვიყავ აფხაზეთის ომში და ნომივიდა მხნეობისათვის ანის ჯვარი ხმალზედ, ათას რვას ოცდა ხუთში მომივიდა ვაკანცით პოდპორუტჩიკობა და ათას რვას ოცდა ექვსში გამოვედი სამსახურიდამ იმის პატიჟნით რომ ჩემის ყმისა და მამულის პატრონი არავინ იყო მინდოდა მემუშაონა და დავრჩენილიყავ ჩემის ყმითა და მამულითა მოვედი იმერეთი-დამ ჩემს სახლში და სპარსეთი აიშალა და საქართველოდან ღერ-

ნალ ოტინფანტერმა **იერმალოვმა**) მაშინ ჩემ ნაჩალნიკათ იყო მაიორი **დავიდოვი** და იმას ვემსახურე ოთხი თვე; იქიდამ მოვედი და ამომირჩიეს ქალაქის უეზდის საზოგადომ ზასედატლათ და ვემსახურე სამი წელიწადი, ათას რვას ოცდა თორმეტში ვაბლდი პახოდში საქართველოს კორპუსის კომანდერს ღერენალ ოტინფანტერს ბარონ **როზინს** ქისტებში და მივედით სანგარზედ და ქვით მუხლში დავიკოდე ასე რომ სამ კვირა ვკოჭლობდი.

მე ვიყავ მოსკოვში ამის მიზეზით რომ შირვანის აბრეშუმი მოიტანეს ათას რვას ოცდა ხუთსა სახემწიფო ხაზინაში ორას ოცდა თვრამეტი პუდი და ის აბრეშუმი ვიყიდე ხაზინიდამ ოთხის წლის ვადით რომ ჩემი ყმა და მამული შევიტანე გირაოთ ხაზინაში ის აბრეშუმები უნდა წამელო მოსკოვს და გამეყიდნა და მესარგებლებინა და თავის დროზედ ხემწიფის ხაზინის ვალი მიმეცა, და მეც მესარგებლებინა რამე ის სახემწიფო აბრეშუმები შემიკრა უეზდნის სუდმა ცარიელის ლიტონის სიტყვით მოჩივრისთვის ამთენი მტანჯეს სასამართლოებმა რომ ათას რვას ოცდა ხუთიდამ მიცემული ხაზინიდამ აბრეშუმი ოთხი წელიწადი მტანჯა სასამართლომ ასე რომ ათას რვას ოცდა ცხრა წელიწადი რომ გავიდა მაშინ ძლივას მიიღო სასამართლომ სამართალი და მომცეს ის აბრეშუმი რამთონჯერ შინიდამ მომტაცა პოლიციამ გაიტანა ჩენს სახლიდამ ასე წახდა ის აბრეშუმი და ამთენი ხარჯი მომივიდა, რომ მე მქონდა ხაზინიდამ ნაყიდი პუდი თოთხმეტ თუმნად და მე რომ გამოვიცვალე ზასედატელობიდამ ათას რვას ოცდა ცხრაში წავიღე მოსკოვს ის აბრეშუმი ათას რვას ოცდა ათში მივედი მოსკოვს მე შემემთხვა უბედურება გაჩნდა ხოლერა და იმ ხოლერაში მოსკოვში ვიყავ და რომელიც მე მქონდა ხაზინიდამ ნაყიდი პუდი თოთხმეტ თუმნათ, რომ ხაზინაში უნდა მეოთხე წელიწადზედ შემეტანა სამი ათას ორასი თუმანი რომ ვაჭრობა არ იყო ვიფიქრე ისევ გაყიდვა სჯობია მეთქი და გავყიდე პუდი აბრეშუმი ექვს თუმნათ და სამ მანათათ მოსკოვიდამ იმავ წელიწადს წამოვედი ტფილისს ქალაქს რომ წასვლით და მოსვლით დავრჩი რვა თვე და მე მოსკოვში ამის მიზეზისათვის ვიყავ სხვა საქმე არა მქონია რა და არც არავისთან მეგობრობა და ცნობა.

მე სუყოველთვის ჩემს ქრისტეს ვადიდებ და სუყოველთვის წმინდად ვეზიარები ხოლმე.

მე არა ვყოფილვარ პოდსუდში მხოლოდ რაც რომ მომტაცა

---

[1]) ასე სწერია

პოლიციამ აბრეშუმი გაიტანეს ჩემის სახლიდამ ათას რვას ოცდა-
რვაში მაშინ პრისტავმა ცამეტი პუდი აბრეშუმი დამაკლო. როცა
კიდევ დამიბრუნა სასამართლომ და აღარ მომცა იმაზედ ვიჩივლე
და საქმე წარმოებდა ისპოლიტელი ექსპედიციაში და ის პრისტავი
ორი წელიწადი არის მოკვდა და ჩემი ცამეტი პუდი აბრეშუმი და-
იკარგა ამთენი თეთრი ხაზინისა დამეკარგა რომ პუდი მჭონდა-
ნაყიდი თოთხმეტ თუმნად თეთრ ფულათ ამის მეტს სამართალში
არა ვყოფილვარ მიცემული არასოდეს.

მე ვიყავ ათას რვას ოცდა თერთმეტში არ მახსოვს რომელს
თვეში ან რომელს რიცხვში ვიყავ აბანოში ვიბანე და მოვდიოდი
ჩინათკენ სადილობა იყო არ მახსომს ან **ზაქარია ციციშვილი** იყო
და ან **გიორგი დავითის ძე ერისთვისშვილი** დამხვდა შუა ბაზარში
მითხრა **ალექსანდრე ვახტანგის ძემ ორბელიანოვმა** დაგპატიჟათ
სადილათაო და მე უთხარი მე არ დაუპატიჟივარ მეთქი არ მომე-
შვა და წამიყვანა ვთქვი მაინც საქმე ნაქვს და წავალ პურსა ვჭამ
და ისევ ჩემ საქმეზედ გავალ და ვისაქმებ მეთქი დავსხედით სადი-
ლათ და სადილი რომ ავიღეთ დიდ კაკალ ქვეშ ვისხედით სალა-
მოზედ წავედით ზევით პატარა კაკალ ქვეშ.

ქ. ელიზბარ ერისთვისშვილი.

ქ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი.

ქ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანოვი.

ქ. გიორგი დავითის ძე ერისთოვი.

ქ. ზაქარია ციციშვილი.

ქ. ლუარსაბ თარხანოვი.

ქ. იოსებ მამაცოვი.

იმ პატარა კაკალს ქვეშ დავსხედით და მაშინ **ელიზბარ ერის-
თვისშვილმა** და **ალექსანდრე ვახტანგის ძემ ორბელიანოვმა** გამომ-
იცხადეს და არ ვიცი ამ ზემოთ სახელწოდებულთაც იცოდნენ თუ
არა იქნება რომ აღრეულობა მოვახდინოთ ხალხშიო შეძვლებთო
მაშინ სუყველამ დავიწყევით ლაპარაკი და არ მახსოვს ვინ რას
ამბობდა. მხოლოდ **ლუარსაბ თარხნიშვილმა** მიუგო პასუხად თქვენ
ყმაწვილები ხართო ეს საქმე ძნელი არისო არავინ არ შეგვიტყოსო თო-
რემ მაგისთანა ლაპარაკით დავისჯებითო თუ რომ ის ოთხი ოჯახი არ
ნოიმდომებსო არ შეიძლებაო **მუხრანის ბატონი გიორგი ერისთავი**
ღერანალი **ჭავჭავაძეო** და **ლუარსაბიო** არ შეიძლებაო მაშინ **ელი-
ზბარ ერისთვისშვილმა** და **ალექსანდრე ვახტანგის ძემ** გვითხრეს
იმ ადგომაში რომ ვინც კაცი იპოვნოთო ჩვენთან მოიყვანეთო
რომ **ბატონისშვილთან** გავგზავნიო **ალექსანდრე ვახტანგის ძემ**

წიგნს მივსწერო და წავედით ჩვენ ჩვენს სახლში და დაღამდა და გამოვიდა რამთენიმე კვირა აბრეშუმი მქონდა დამოჟნაში რომ მოსკოვს ვისტუმრებდი მოვდიოდი და **ისმეილა** დამხვდა გუშინ გიძებნივარო მე ვიფიქრე იქნება იმ **ალექსანდრე ვახტანგის ძემ** იკითხა მეთქი წამოვედით ლაპარაკით და უთხარი **ისმაილას** როცა დაგიბარო მაშინ მოდი მეთქი არა მქონდა ხოლმე მოცლა საქმეში ვიყავ ვაჭრობაში კიდევ გამოვიდა რამთენიმე კვირა და მე ვიდექი სასამართლოს კარზედ დამიძახა **ალექსანდრე ვახტანგის ძემ** იმ საქმისა რა ქენიო მე უთხარი შენი ბიჭი გაგზავნე იქნება **ისმეილა** წავიდეს მეთქი იმ წამსვე ბიჭი გაეგზავნა და მეეყვანინებინა, მეც დამიძახა და ავედი **ალექსანდრეს** სახლში და მაშინ **ისმეილს** მოელაპარაკენით შეგიძლიან ბატონიშვილთან წახვიდეო მე შემიძლიან თუ ცხენისთვის მომცემთო არ ვიცი სამი თუმანი გვთხოვა თუ ექვსი თუმანი ჩვენ რომ ფული არა გვქონდა უთხარით რომ შენ წადი როცა დაგიბაროთ მაშინ მოდიო ეს რომ გავიდა კარზედ მე მასხარად ავიგდე **ალექსანდრე** ამით ჩვენ მეფე უნდა დავსოთ მეთქი და დავიწყეთ სიცილი გამოვედით კარზედ მაშინ მითხრა პოდპორუტჩიკმა **პავლე თუმანისშვილ** თეთრი აქვსო იმას გამოვართმევო იმანაც იცისო ეს საქმეო და რამთენიმე კვირა გამოვიდა ველარა ვნახე **ალექსანდრე ვახტანგის ძე** მასკვან დამხვდა გზაზე და მითხრა მე თათარი გავგზავნეო წიგნი მივსწერეო **ბატონიშვილსაო** და ესეც მითხრა **ალექსანდრე ვახტანგის ძემ** რომ თავადებზედ თეთრი უნდა გავაწეროთო მე და **ელიზბარ ერისთვისშვილმაო** და როცა აბუნტდება ხალხიო ხაზინაზედ ოთხი თავადის წვილი უნდა დავაყენოთო მე გავიცინე და უთხარი **ვახტანგის ძეს** მითამ საქართველომ თქვენ დაგიჯერათ და ხაზინასაც უფრთხილდებით მეთქი და წავედი ჩემს საქმეზედ აბრეშუმებს ვყიდულობდი ხოლმე და ვგზავნიდი მოსკოვსა და აბრეშუმების ვაჭრობს გავათავე ათას რვას ოცდა თორმეტში აპრილის თვეში და უფრო ზიანში ჩავვარდი ასე რომ თითქმის ორი ათას ხუთას თუმანში შევედი ხემწიფის ვალში ამასობაში ათას რვას ოცდა თორმეტში მოითხოვა საქართველოდამ ჯარი საქართველოს მართებელმა ვიფიქრე წავალ ჯარში და ვიმსახურებ ხემწიფე მოწყალეა სუყოვლის შეწუხებულის კაცისა იქნება მოიღოს წყლაობა ხემწიფის მოწყალებით ერთი ლუკმა პური მომცეს და სიკვდილამდის ვემსახურები მეთქი წავედი ჯარში და ვემსახურე შვიდი თვე ჩაჩანში, ათას რვას თორმეტისა იქნობამდისინ აღარა ვიცირა მე ახლო აღარ მომიდგა აღარც **ელიზბარ ერისთვისშვილი** და აღარც **ალექსანდრე ვახტანგის ძე** რომ ვადიდებდი

და სუყოველთვის კარგახნის კომანდერს ღერანალ ოტინფანტერს ბარონ **როზინ** მთავრობის ქებაში ვიყავი გავს ხემწიფე ჩვენზედ მოწყალეა ამისთანა კეთილ მთავარ მართებელი არ ნოგვსლია მეთქი დიდი მოწყალეა საქართველოსთვის კეთილი სწადიან მეთქი ათას რვას ოცდა თორმეტიდამ აღარა ვიცირა.

მე არავისთანა არა მქონია რა მუხანათობა მხოლოდ **ელიზბარ ერისთვისშვილმა** და **ალექსანდრე ვახტანგის ძემ ორბელიანოვმა** ნითხრეს რომ საქართველოს აეყარა პატივიო და სულ მუხანათებს გვეძახიანო ასე რომა მთელმა ქალაქმა და საქართველომ იბუნტაო და იმათ ვერა გადაახდევინეს რაო ღრაფ ერევანცკი **პასკევიჩმაო** ამთენი საქართველოს თავადი და აზნაურიშვილი მისცა სისხლის სამართალშია რომ ისინი იტანჯებიანო **ალექსანდრე** და **ელიზბარ ერისთვისშვილი** მელაპარაკებოდნენ ხოლმე.

მე რაც მითხრეს ათას რვას ოცდა თერთმეტში მაშინ იმათ არც ჯარი ყვანდათ და არც ხაზინა ქონდათ მხოლოდ **ელიზბარ ერისთვისშვილი** და **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი** მელაპარაკებოდნენ ხოლმე ინათ მეტგან არავისგან არა შემიტყვიარა.

მე არც ერთს ბატონიშვილებთან არაოდეს არა მქონია რა ცნობა და არ ვიცნობ.

მე ვცნობ ღერანალ მაიორს **კნიაზ ჩავჩავაძეს** იმას ჩემთან ამისთანა ჩირქიან საქმეზედ არა ულაპარაკნიარა და არცა რა მე გამიბედნიარა მე მხოლოდ **ელიზბარ ერისთვისშვილმა** მითხრა **გიორგი ღერანალ ერისთოვმაც** იცისო და **ჩავჩავაძემაცაო** და **ლუარსაბ ორბელიანოვმაცაო** მე ამათგან არა შემიტყვიარა არც არა ულაპარაკნიათ რამე ჩემთან.

მე ნხოლოდ ვცნობდი ის **ზავილეიცკი** იყო საქართველოს ღრაჟდანცკის ღრუბერნატორი და არა შემიტყვიარა იმისგან, ლაპარაკი,

რაც რომ მითხრეს ათას რვას ოცდა თერთმეტში **ალექსანდრე ვხტანგის ძემ ორბელიანოვმა** და **ელიზბარ ერისთვისშვილმა** მხოლოდ მაშინ ლაპარაკი ჰქონდათ და ნაჩალნიკათ არაგინ ყოლიათ დანიშნული ჩენთვის არა უთქომთ რა.

ვსთხოვ უმდაბლესად კამისიას მე გასულის წელიწადებისა არა მახსომს რა ხოლმე იქნება მე დამავიწყდა და არ მახსომდეს, ანუ მელაპარაკნოს ვისთანნე ამათ გარდა არავისთვის არა მითქომს რა მე ან მესაქმოს რამე ამ ზემო რწმუნებულს პუნკტივებში და ვერ მოვიგონე ვსთხოვ კამისიას არა შეურაცმყოფს და ნიბძანოს

რაც ვიცოდე სიმართლით აღვიარო კომისიის წინაშე, პორუტჩიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვი“.

სიმონ მაჩაბელის პასუხები (VIII, 1863_1864).

„სახელად მეწოდების სვიმონ ფარსადანის ძე თავადი მაჩაბელოვი და ჩინი არა მაქვს.

ვიქნები წლისა ოცდა თვრამეტისა.

ცოლი მყავს პოდპოლკოვნიკის თავადის გიორგი ამილახვაროვის ქალი; და შვილები მყვანან სამნი;

ყმა და მამული მყავს მე გორის უეზდსა შინა. და ყოველივე შემოსავალი სარგებლობა ჩემი, ჩემის ანგარიშით აღწევს ვიდრე ორასთუმან თეთრ ფულამდე ხოლო ტფილისის უეზდის სოფელსა ტაბახმელასაცა მაქვს რაოდენიმე ნაწილი და აწ თავადნი ორბელიანოვნი მძლავრებითა თვისითა მართმევენ.

მე ნხოლოდ აღვზრდილვარ პატიოსნობითა მშობლისა ჩემისათა, სახლსა შინა ჩემსა.

სამხედროს სამსახურსა შინა არა ვყოფილვარ და პახოდშა კი რამდენჯერმე, ღენარალ ლეიტენანტის ველიამინოვის, მთავარმართებლობის, თანამდებობის ასრულების დროსა, მისის ბრძანებით გორის ოკრუჟნის ნაჩელნიკისაგან ოსეთში როტით შესვლის დროს, ვინსახურე და რამოდენიმე ავაზაკნი ოსნი შევიპყარ და მივეც, და რომელს წელს იყო სახელდობრ არ მახსოვს;

ჩემსგან მოხსენებითა, მთავარმართებელათ მყოფისა, ერმალოვისაგან სამგზის ვიყავ გაგაზვნილი და წავიყვანე ინჟინერნიცა ალმოსაჩენად ახალისა სახელმწიფოს გზისა; და მეოთხედ ამავე საქმესა ზედა ვემსახურე ღენარალს პოპოვს მთაში ბატალიონით შესვლის დროსა, რომლისაგანაც ვიქმენ საიდუმლოდ გაგზავნილი, დარჩომილის გზის ვასაშინჯავად, სადაცა ყოველი ბრძანება აღვასრულე; და იქიდანვე ჩაველ ლინიაზედ, და განვუცხადე ყოველივე გარემოება მის გზისა ერმოლოვს.

ათას რვას ოცდა ექვსში ვემსახურე გრანიცაზედ პოხოდში. რვასა და ცხრაში ვემსახურე ოსეთისა მილიციაში, ყოველის ჩემის შესრულებით, და რაიცა სამსახური ალმოვაჩინე მაქვს მე ამაზედ ატესტატნი; ათში ვინსახურე ღენერალ რეინკაფთან ოსეთის ეკსპედიციაში და რაოდენი ოსნი მე ავაზაკნი დავიჭირე და წარუდგინე მას; და დაჭრით კი არსად დავჭრილვარ.

მე არ ვყოფილვარ რუსეთს არც პეტერბურღს და არცა მოსკოვს.

ყოველს დღესას-წასულს დღეს წესისამებრ ქრისტიანობრივის მოვალეობისა დავიარებოდი ეკლესიაში, და ყოველწლივ მიმიღია-წმინდა ზიარება. სახელდობ არ მახსოვს რომელსა წელსა გორის ოკრუჟნის ნაჩალნიკად მყოფის **ტიტოვის ბრძანებით,** მიველ სოფ-ელსა ბეყმარს ჩემის კაცის ასაყოელად და ამაზედ თავადმა **დავით ფალავანდოვმა** ჩხუბი მიყო და ესე საქმე წარმოებდა სუდსა შინა და მისის გარდაწყვეტილებით, დაგვსხეს ორნივე ორ კვირას ნაო-ბახტში; გარდა ამისა მე და ბიძაშვილნან მთავარმართებლად მყოფს **ერმალოვთან** უჩივლეთ ჩვენს შეწუხებაზედ უფალს პოდპოლკოვ-ნიკს **პეტროვს** და არცა ესა საქმე წარმოებს სუდში, ხოლო მე არა-ვითარი შტრაფი არა გადამიხდიარა;

მე არავისაგან არ შემიტყვიარა, ესე განზრახვა და შეთქმუ-ლებაი და არც არა ვისგან მსენია მას ზედან ლაპარაკი.

არ არავისამე მიზეზსა არ გაულვიძებივარ და არც შევსულ-ვარ წინააღმდეგობასა შინა მთავრობისასა.

არცა ის ვიცი თუ როგორი ღონისძიება და შემწეობა ჰსდე-ბიათ თვალწინ და არცა თუ იგი რომელ, ვის შეეძლო საქმისა ამის შესრულება.

სიყმიდან აქამომდე არა რომელისამე ბატონიშვილებთაგანი-სა არა ვარ მნახველი და არც ცნობა მქონია მათი.

მე ვცნობ ღენარალ მაიორს თავადს **ჭავჭავაძეს** მხოლოდ თა-ვის დაკვრითა და სახით; და სხვა მახლობლობა და ლაპარაკი არა მქონია რა და არცა ვისგან მე მსმენია.

გუბერანატორად მყოფს **ზაველეისკისთან,** ეჩივლათ თერთმე-ტში ამათ ჩვენს ოსებს ჩვენთვის და მის პასუხის მისაცემად

ცალკე ოთახში შეეყვანა **ლუარსაბ** და ეთქო **ლუარსაბო** ახლა ჩვენ კიდევ ვემზადებით, და ზაგოვორი გვაქვს შეკრულია, რომელიც შენც ჩვენთან უნდა გაერიო,—მე ისე მახსომს რომ ჯერ **ლუარსაბს** ეთქო, და ასეც ეთქო, ადრინდელი ჩვენი პოლშის ზაგოვორი წავიდაო, და ახლა ალარ გავერევიო, — მასკვან **იასეს** ეთქო, რას ამბობ **ლუარსაბო** ღმერთს ვფიცავ თუ ჩვენში არ გაერევიო სულ დაიღუპებიო, რომ შენი სახსენებელი ალარ იყოსო, თუ ჭკვა გაქვსო ჩვენში ისევ გაერიეო. მაშინ **ლუარსაბს** ეთქო, მაშ თუ აგრე არისო, ჩემი თავი მოგიკვდეს თუ დიდათ არ შეგეწივო და როგორც გინდა ისე მომიხმარეო. ეს გარემოება მე **იასემ** მითხრა **ელიზბართან,** მაშინ როდესაც მე ავათ ვიყავი, და მზათაც არის **ლუარსაბიც,** რომელიც ჩვენი მონაწილე არისო, და ამის შემდეგ მეც შეერთება ვიქონიე, **ლუარსაბთან** და ხშირად ვლაპარაკობდით ხოლმე **ლუარსაბთან** და შევიყრებოდით იმასთან. მეორე, 1831-სა წელსა ზამთარს ერთ საღამოზე ჩემთან მოვიდა **ელიზბარ ერისთოვი,** და რამკა მოიტანა საიდუმლოს წიგნების მისაწერი **დიმიტრი ბატიშვილთან,** მითხრა **ალექსანდრეო** წიგნი მივსწეროთ **დიმიტრი ბატიშვილსაო,** მე თანახმა შევიქენ და მივსწერეთ, რომელსაცა შინა ეწერა ესრეთ. აქ მოსვლისა იმისი, რომელიც ხალხს დიდი ვლიანიე ექნებათ იმაზე, და მაშინ კარგათ დავაწყობთ საქმეს, და ღვთით ყველა მაშინ კარგათ წარიმართება, ოდესცა ის აქ მოვა,—რომელიც მეორე გვერდზე მეც მოვაწერე, და ვთხოვე მოსვლა. კიდევ იმ წელსა 1831-სა გაზაფხულზე, **ელიზბარს** და **გიორგი დავითის ძეს ერისთოვთ** წიგნი დაეწერათ, ჯერ შავი იმ რამკით, რომელსაცა შინა ეწერა ესრეთ, დიახ კარგი საზოგადოება გვყავსო, რომელიც **იმ დიმიტრი ბატიშვილს** ელიანო, რომ მოვიდესო, და მაშინ იმას რომ ნახავენო, კარგათ მიიღებს ჩვენი საზოგადოებაო, და კარგათ ისაქმებენო, და იმ წიგნში **გიორგი ამილახვაროვი** იყო ნახსენები, და **გიორგი ერისთოვი.** მე ის წიგნი ჩემ ბაღში წამიკითხეს, რომელიც მეც მოუწონე, და იმ ორი წიგნის პასუხი არც ერთი არ მოგვიდა, და **დიმიტრი ბატიშვილს** ვლანძღამდით ხოლმე. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

„12" თებერვალს 1831-სა წელსა.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (VIII, 1427-1428).

„**თამარ ბატონიშვილმა** იცოდა ჩვენი შეთქმულება, მაგრამ ის ამბობდა, რომ სულგრძელობის გარეშე, რასაც ქართველები მოკლებული არიან, საქართველოს განთავისუფლება შეუძლებელი

ალ; და როცა დაგვიცინოდა ხოლმე გვეტყოდა: თქვენ გინდათ პოლონელებს მიჰბაძოთო.

ელიზბარ ერისთოვის, ჩემის ძმის **ალექსანდრესი** და ჩემის **შეტს** არავის ულაპარაკნია მასთან ამ საგანზე.

შარშან შემოდგომაზე **ელიზბართან** ვიყავით სადილად. მან გვიამბო, რომ 1831 წ. თ. **დავითმა** და მისმა ძმამ **დიმიტრი თარხანოვებმა მართა მესხიევი** მიუგზავნეს **თამარ ბატონიშვილს,** რომ მათ სურთ ააჯანყონ მთელი საქართველო და სთხოვენ, რომ იგი იყოს პირველ პირი ამ აღრეულობისა, და რომ მან ამაზე უარი თქვაო; მე ვთხოვე **ელიზბარს** დაესახელებია ვინ უთხრა მას ეს. მან მიპასუხა რომ თვითონ **მართა მესხიევმა** მიამბოო.

მე უთხარი, რომ შეიძლება მართა მესხიევი მიგზავნილი იყო **თამარ ბატონიშვილთან** მთავრობისაგან მეთქი. **ელიზბარმა** მიპასუხა, რომ ადვილი შესაძლებელია ის მართლაც მიგზავნილი იყოსო, მიდი **თამარ ბატონიშვილთანაო,** — განაგრძო **ელიზბარმა,** — და გააფრთხილე, რომ გულახდილად ნუ იქნება **მართა მესხიევთანაო.** მე მაშინათვე წავედი **თამარ ბატონიშვილთან** და რადგან იქ დამხვდა **მართა მესხიევი,** ამიტომ დაწვრილებით ვეღარ უამბე ყველაფერი და მხოლოდ ისღა უთხარი, რომ ფრთხილად იყავი **მართა მესხიევთანა** მეთქი და მაშინათვე გამოვედი. რამოდენიმე დღის შემდეგ უთხარით **თ. იასე ფალავანდოვს,** რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ მეორე შეთქმულება **თ. თარხანოვებისა. თ. ფალავანდოვმა** გვიპასუხა, რომ მას ულაპარაკნია უწინ **თარხანოვებთან** ამ საგანზე და რომ მას იგი განაახლებს. 1832 წელს ნოემბერში მე წავედი **თამარ ბატონიშვილთან** და უთხარი მას, რომ ჩვენ გვსურს რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ მეთქი.

მან მიპასუხა: ან შენ გაგიჟებულხარ, ან შენს ამხანაგებს დაუკარგავთ ჭკუაო. მაგრამ ამ დროს შემოვიდა დრაგუნთა რაზმის პროპორშჩ. **მუხრანსკი** და ხელი შეგვიშალა, საუბარი ვეღარ განვაგრძეთ. როდესაც კი მოვაგონებდი ხოლმე **თამარ ბატონიშვილს,** რომ მალე ჯანყი იქნება მეთქი, მიპასუხებდა, რომ ეს სისულელეა **და** არასოდეს არც მოხდებაო.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

1833 წელს თებერვლის 15.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (VIII, 1441-44).

„1831-სა, განზრახვა გვქონდა, წინადადებითა **თამარ ბატონ-**

შვილიხათა,-მე ჩემი ცოლშვილით, **ელიზბარ**, და **გიორგი დავითის ძეთ ერისთოვთ**, და ჩემ ძმას **ვახტანგ**, რათა უნდა წავსულიყავით, იერუსალიმის სახელზე, ხულმწიფე იმპერატორის ნებითა, და ოსმალოს სამღვარში, რომ უნდა შევსულიყავით, — მაშინ ჩვენთაგან ერთ ერთი რომელიმე **ალექსანდრე ბატოიშვილთან** უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და შემდეგ სწორეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს თაყვანი უნდა გვეცა, და იქიდგან, ფრანციას პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვქონდა რომ ანგლიაში, გაგვეგზავნა ვინმე, და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა, — შემდეგ ჯერ აქ პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ რომ უსამართლოდ, არის წართმეული საქართველო, ბაგრატიონთაგან, — შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით, და იქაც ისე უნდა შეგვეჩივლა, და ყველგან შემწეობა, უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთ მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან, შემდეგ ამ აზრისა აღარ მოგვიხდა წასვლა და ვეღარ გაბედა **თამარ ბატოიშვილმა** წასვლა, ამისთვის რომ ეჭვს შემოიტანს მოავრობაო, და კაითუ ავათ მოგვიხდეს საქმეო. შემდეგ ამისა ზაგოვორი რომ დავიწყეევით პოლშის ბუნტის დროს, ბევრჯელ მე და **ელიზბარ** მივდიოდით ხოლმე **თამარ ბატოიშვილთან. ელიზბარ**, და **თამარ ბატოიშვილი** საიდუნლოდ რაღასაც ლაპარაკობდნენ ხოლმე. ერთხელ მე უთხარ ნათ რა იქნება მეც მითხრათ რას ლაპარაკობთ შეთქი.—შემდეგ გამიტყდნენ, და მითხრეს, რომ ჩვენა გვსურს საქართველო განვათავისუფლოთო, — შენც მონაწილე იყავ ჩვენიო, რომელიც მეც დიახ სიხარულით ვეთანხმე, და ამისა შენდეგ, ბევრჯელ გვილაპარაკნია მე, **ელიზბარს ერისთოვს** ჩემ ძმას **ვახტანგს, და გიორგი დავითის ძეს ერისთოვს**, **თამარ ბატოიშვილთან**. ჩვენ გვსურდა, ესრეთ როდესაც აქ აღრეულობა (მომხდარიყო, მაშინ **თამარ ბატოიშვილი უნდა** გამოგვეყვანა, და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, **თამარ**, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ, ამაში, უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე. სამი კაცი უნდა ასულიყვნენ, და იქიდგან ეყვირნათ თავისუფლება, და სიხარული, ყოველსა ერსა ზედა, ამ დროს, უნდა კაცნი გაგვეგზავნა, და მთელი საქართველოს ხალხი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ, თავადნი, აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი და როდისაც წამოსულიყვნენ მაშინ უნდა ვცდილიყავით, როგორც იყოს პოლკები გავაწყოთ რეგულისა, და ზიგი დავდოთ, და მაშინ

დაინიშნონ ნაჩალნიკები. და მხედველობის ქვეშ გეყვანდნენ ნაჩალ-ნიკნი. მხედართ მთავრად პირველად ღენერალ-მაიორი ივანე **აფხა-ზოვი,** ჯერ მკვდარი არ იყო, მასკვან **ალექსანდრე ჭავჭავაძე,** მესა-მედ **ვასილი ბებუთოვი,** მეოთხედ ღენერალ-ლეიტენანტი **გიორგი ერისთოვი,** და ღენერალ-მაიორი **სავარსიმიძე,** — სასამართლოთ პრეზიდენტათ, პირველი **მუხრან ბატონი** უნდა ყოფილიყო, და ამისი თანაშემწენი **გიორგი ჭილაევი,** და ღუბერნატორი თავადი **ფალავანდოვი,** უნდა ყოფილიყვნენ, და აქედგან ყოველი სამხე-დრო განკარგულება უნდა მომხდაროდა. — შემდეგ კაცნი უნდა გაგზავნა **ალექსანდრე ბატონიშვილი** უნდა მოგვეყვანა,—ბოლ-ბე-ლიც ჩამოგვეყვანა ამჟამათ და ქალაქს გარეთ ბოდბელი შემოსი-ლი, და ყოველი საქართველოს, ბერნი, და ღვდლები, შემოსილნი უნდა გაჰგებებოდნენ, კარახტინთან, და ამაში მთელი საქართვე-ლოს, ხალხი. იქიდგან უნდა წამოგვეყვანა, და წინ რამთენიმე კაც-ნი უნდა გამოსძღოლოდნენ, და ეძახათ თავისუფლება იქიდგან პირდაპირ სიონში, უნდა შეგვეყანა, პარაკლისი აქ გადაეხადათ. და ამის შემდეგ რაოდენისამე დღისა, მომხდარიყო, განკარგულე-ბა.

ოდესცა-საქართველოში აღრეულობა მომხდარიყო, და **ოქრო-პირ ბატონიშვილს** შეტყო, რითაც ღონით უნდა ყოფილიყო, ფრან-ციაში უნდა წასულიყო, და იმას იქიდგან ესაქმა, ეს გარემოება **დოდაევმა** მითხრა თუ აქ მოხდა რამეო, **ოქროპირ** პარიჟში წავალ. ამ ამბავში წიგნი მოვიდა რომ ვარშავა აიღესო, და ეს ჩვენი ყო-ველი პლანი სულ დაიშალა, და ის ზაგოვორი სულ დაგვავიწყდა, მასკვან, ყოველმა თავ თავის საქმეს, შეუდექით. — და ეხლა, რომ ზაგოვორი იწყებოდა, და **თამარ ბატონიშვილთან,** მივიდოდით ხო-ლმე,—კარნეტი **გიორგი ერისთოვი, ელიზბარ ერისთოვი,** — მე და ჩემი ძმა **ვახტანგ** და დავიწყებდით ლაპარაკსა ხოლმე, ბევრჯელ, მოს-წონდა, ჩვენი ლაპარაკი, და ბევრჯელ სულ დაიწუნებდა ხოლმე. —წარსულს 1832-სა წელსა ოდესაც აღრეულობა მომხდარიყო, სა-ქართველოში, ჩვენ განპრახვა გვქონდა, რომ პური, და მარილი მიერთმევინა, **თამარ ბატონიშვილისათვის, ელიზბარ ერისთოვს,** და ისე გამოგვეყვანა, და სასამართლოს, და საქართველოს პირველს გამგებლად დაგვედგინა, მინამ **ალექსანდრე ბატონიშვილი,** ან **ოქ-როპირ,** და ან **დიმიტრი ბატონიშვილი** მოვიდოდნენ აქ საქართველ-ლოში. — წარსულს 1831-სა წელსა მისულიყო, **თამარ ბატონიშვი-ლთან,** აზნაურის, **იოველ მესხიევის** ქვრივი, **მართა** და ლაპარაკსა შორის ეთქო, **ბატონიშვილო თამარო,** აქ ერთი საზოგადოება არისო,

რომელთაც სურსთ რომ ბუნტი მოახდინონო, და თქვენ, უსაქ-

ვებს მიუგზავნიათ **თამარ ბატონიშვილისთვის** **მართა მესხიევი**, რომ მათ აქვთ შეთქმულება და მას სთხოვენ იყოს იგი შეთქმულების მთავარი პირი. როდესაც მე ვკითხე **ელ. ერისთოვს**. თუ ვინ უთხრა მას ეს, მან მიპასუხა, რომ თვითონ **მართა მესხიევმა** უთხრა მას. მე იქვე დამებადა **მართა მესხიევი** მთავრობისგან ხომ არ არის **თამარ ბატონიშვილთან** მიგზავნილი მეთქი და დავიწყე **ელიზბართან** ბაზრობა, თუ როგორ გაგვეფრთხილებია იგი. **ელიზბარმა** მთხოვა დაუყოვნებლივ მივსულიყავ **თამარ ბატონიშვილთან** და მეთქვა, რომ იგი ფრთხილად ყოფილიყო **მართა მესხიევთან**. როდესაც მე მივედი **თამარ ბატონიშვილთან** და დაუწყე მას გაფრთხილება, მან მიპასუხა, ღმერთმა დამიფაროს, რომ მე **მართასთან** რამე ვთქვაო. რამოდენიმე დღის შემდეგ უამბეთ ეს ყველაფერი **თ. იასე ფალავანდოვს**; მან გვიპასუხა, რომ ის თვითონ ელაპარაკა **თარხანოვებს** რუსების წინააღმდეგ შეთქმულებაზე და რომ ის **კვლავ წავა** **მათთან** და განაახლებს წინანდელ საუბარს.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

1833 წლის, თებერვლის 17.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (IX, 1501-1502).

„მაქვს პატივი განუმარტო კომისიას კიდევ შემდეგი:

1. 1832 წ. მოვიდნენ ერთხელ ჩემთან **ალ. ვახტანგის ძე ორბელიანოვი** და **ელ. ერისთოვი**, და **ალ. ორბელიანოვმა** საუბრის დროს **ალექსანდრე ბატონიშვილის** გამოწვევის შესახებ თქვა, რომ მან შარშანვე აცნობა ამ ბატონიშვილს და რომ ამის შესახებ იციან ბატონიშვილებმა როგორც **თეკლამ**, ისე **თამარმა**, **ელიზბარიც** ადასტურებდა ამას; მე თვითონ კი არც **თამართან** და არც სხვა **ბატონიშვილებთან** ამ საქმის გამო არავითარი საუბარი არა მქონია და არც ვიცი ესენი მართალს ამბობდენ თუ არა.

2. 1831 წ. განკარგულების შესახებ რაც ვიცოდი, ჩემს წინა ჩვენებაში გამოვაცხადე, ნაგრამ მახსოვს კიდევ, რომ **ელიზბარი** და **ალ. ვახტანგის ძე** ამბობდნენ: კარგი იქნებოდა, რომ გვეშოვნა რუსული ჯარის ერთი პოლკიო. აგრეთვე **ელიზბარი** ამბობდა სახანოებში კაცები გავგზავნოთო და რომ ნე განრიგის თანახმად ასი (100) კაცი უნდა გამომეყვანა.

3. **მამუკა ორბელიანოვთან** და მის ძმა მაიორ **დიმიტრისთან**, ამ საქმის გამო ნე არავითარი ურთიერთობა არა მქონია, მხოლოდ ერთხელ, **ელიზბარმა** რომ გამომიცხადა მე ეს განზრახულება **ლეგენ-მაიორ ალექსანდრე ბავბავაძესთან** ვიყავ, და დაუწყე მას ლა-

პარაკი, რომ აქ აჯანყებას აპირებენ მეთქი, როგორც მახსოვს ამ დროს შემოვიდა **მამუკა ორბელიანოვი**. მაშინ **ჭავჭავაძე** არ იზიარებდა ამ განზრახულებას; ამაზე **მამუკა ორბელიანოვმა** უთხრა მას, მაშ რა ვქნათ ძლიერ შეწუხებული ვარ და მეტი რა გზა გვაქვსო. მე და **მამუკას** **შორის** კი უკმაყოფილება იყო და ეხლაც კი დავუ-გვაქვს. შემდეგ კი **ჭავჭავაძემ** ღიმილით თქვა: ამ ხმებზე რომ ეხლა **ალექსანდრე ბატონიშვილი** აქ გაჩენილიყო, ცუდი იქნებოდაო. მაშინ პოლონეთში აჯანყება იყო და მოდიოდა ხმები სამხედრო მოქმედებათა შესახებ. **ჭავჭავაძე** ამბობდა ხოლმე, რომ ქართველები ამაოდ ფიქრობენ შეუძლებელ საქმეზეო, რუსებმა რომ თვითონ მოისურვონ საქართველოს დატოვება, მაშინ ჩვენ ვალღებულნი ვართ ისინი გავაცილოთ და ჩვენი მფარველობისათვის მადლობა გადაუსადოთო. 1832 წელსა **ალ. ვახტანგის ძემ** და **ელიზბარმა** მითხრეს, რომ ამ განზრახულებას გამოუცხადებენ აგრეთვე დიმიტრი და **ბაბუკა ორბელიანოვებს**, მაგრამ მე არ ურჩიე და ისინიც დამეთანხმნენ. მერე არ ვიცი უთხრეს მათ რამე თუ არა.

4. **იასე ფალავანდოვთან** 1831 წ. არავითარი ურთიერთობა და ლაპარაკი არა მქონია, 1832 წ. კი დაიწყო ჩემთან სიარული როგორც ნათესავმა და მერე მელაპარაკებოდა ჩემს გადასახლებაზე, აგრეთვე **ელიზბარსა** და **ალ. ვახტანგის ძესთან** ერთად წამიკითხა განკარგულება.

5. იღებდნენ თუ არა განზრახულებაში მონაწილეობას **თარხანოვები** 1831 წ. არ ვიცი, 1832 წ. კი **ელიზბარმა** და **ალექსანდრემ** მითხრეს, რომ გამოუცხადეთ ეს განზრახულება **თარხანოვებსო**, მაგრამ ნე დაუშალე, მაშინ არ ვიცი რომელმა თქვა, რომ უკვე იცის პოდპოლკოვნიკ **დავით თარხანოვმაო**.

6. ქვრივ **მართა ალექსიშვილზე** არაფერი გამიგონია და არც არა ვიცი რა.

7. **ბატონიშვილის** კახეთში გამოწვევაზე 1831 წ. მე თვითონ ველაპარაკე **ელიზბარსა** და **ალექსანდრეს**, რადგან **ელიზბარ** ჩამცინებოდა და მაჩქარებდა, რათა მომეცილებინა იგი თავიდან, ტყუილად მოვიგონე **ჭავჭავაძემაც** ასე თქვა მეთქი, მე კი ნანდვილად ვიცოდი, რომ, როგორც ეს ჩემს ჩვენებაშიაც აღვნიშნე, **ბატონიშვილი** მაშინ აქ მოსვლას ვერ მოახერხებდა და ეს ხალხი თავის გაზრახვაზე ხელს აიღებდა.

მაიორი თავადი **ორბელიანოვი**".

ბიძინა ერისთავის ჩვენება (IX. 1507).

„კომისიასა შინა

ალექსანდრე ვახტანგის ძეს ათას რვას ოცდა თერთმეტში ოთეწერა ჩემთან წიგნი ქართლში **მამუკა ორბელიანოვიო ელიზბარ ერისთოვიო გიორგი დავითის ძე ერისთოვიო ზაქარა ციციანოვ** და **ლუარსაბ თარხანოვიო** ესენი ჩამოვიდნენო საჩქაროდ ქალაქს მე ეს წიგნი ვაჩვენე **ელიზბარს** და წაიკითხა და მერმე მე და **ელიზბარმა** ერთათ უთხარით **მამუკას**, რომ ქალაქში **ალექსანდრეს** დაუბარებიხარო სხვებისათვის კი ესე იგი **ზაქარია ციციანოვისათვის** და **გიორგი დავითის ძის ერისთოვისათვის ელიზბარს** ეთქვა უჩემოთ როგორც თითონ **ელიზბარმა** მითხრა და არ ვიცი რა ელაპარაკა იმათ ამ საგანზე.

წემდგომ მე რომ ქალაქს ჩამოველ ერთხელ ვიყავ **ალექსანდრე ვახტანგისძესთან** და იქ შემოვიდა **მამუკა** და იქ ილაპარაკეს **მამუკამ** და **ალექსანდრემ** ამ საგანზედ **ბატონიშვილიღამ** წიგნი იყო მოსული იმაზე ილაპარაკეს თუ იმასთან კაცს გზავნიდენ აღარ მახსოვს ლაპარაკი კი ამ შეთქმულებაზე იყო და მეც ვატყობდი, რომ **მამუკა** შეთქმულების თანხმა იყო მაგრამ სწორეთ დამტკიცება არ შემიძლიან, **დიმიტრი ორბელიანოვისა** მე არა გამიგონიარა და **ელიზბარ** ამბობდა ვითომც იმანაც ეს აზრი იცისო და არა მილაპარაკნია რა მე **დიმიტრისთან.**

თარხნისშვილებთან დავითთან და **დიმიტრისთან** არა მილაპარაკნია რა და **ელიზბარმა** მითხრა **იასე ფალავანდოვი** ელაპარაკება და თანახმაც არისო სხვა არა ვიცი რა იმათზედ.

ივანე მუხრან ბატონიშვილისა არცარა ვიცი და არც არვის უთქვამს ჩემთვის და არცარა მოლაპარაკნია რა.

პრაპურშჩიკი თავადი **ბიძინა ერისთოვი**".

ჩყლგ წელს
თებერვლის კა.

მართა მესხიშვილის ჩვენება (IX. 1529).

„ოცი წელიწადი ვიყავი ხოლმე დღე და ღამე **თარხნიანთხა დიმიტრი** იყო თავისი ცოლი და შვილები იყვნენ **დიმიტრიმ** თქო რა გვეშველებაო ხენმწიფემაო ხელი რომ (აიღოს) საქაროველოზედ ამ **თამარ ბატონიშვილის** მეტი არავინ არისო ერთი დღე იყო მე **თამართან** აველ იქ მე და **თამარ ბატონიშვილმა** ვილაპარაკეთ მე უთხარ ეხლა მეთქი **თარხნიშვილი** ლაპარაკობდა თუ **თამარის** მეტი

ბარავინ არის საქართველოში და ზღაპარსავით ხუმრობასავით და ციცინეთ იმანა თქო....[1]) **მართავ** ნუ გეშინიან მე უთხარ ღმერთმანუ ქნას ბატონიშვილო იმანაც ისე მითხრა მე რა ვიცოდი იმათი აზრი არც არა უთქომ ჩემთვინ მე ჭორი ვილაპარაკე მასხარაობასავით ერთხელ კიდევ აველ **ვახტანგ** დამხვდა იქ იმან მითხრა **მართავ** წაწწნები[2]) კარზედ რომ მოგიხდესო რას იქო მე მეუტიეე რას ამბობ ყმაწვილო მეთქი ღმერთმან დაგვიფაროს თუ შამიძლიან გავაგდებ ალარაფერი მითხრა **მელიკოვისას** ვიყავი **ელისბარმა** ზალაში გამიყვანა იქ მითხრა **მართავო თარხნიანთა** რო დადიხარო რა დაწყობილობას ლაპარაკობდნენო მე უთხარი რას ამბობ დიდი ერთგულნი არიან გაიცინა ალარა მითხრარა არც **ქეთევან** ბატონიშვილთან არც **თეკლესთან** არც ერთან მახლობლობა არც სიარული არა მქონია არცა რა **მანანას**[3]). გამიგონია რა არც **მელანიასაგან**[4]), არავის რა უთქომ რა ჩემთვინ **მარია** **მესხოვი ალექსოვი.** ჩყლგ თებერვლის ოცდა ორი".

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (IX, 1513-1515).

„ჩემ მიერ კითხვებზე გაცემული პასუხების დამატებად მაქვს პატივი სრული ჭშმარიტებით შემდეგი განვმარტო:

ნათესაური კავშირის გამო მე დავიარებოდი **მელნიკოვის** ცოლთან, რომელთანაც ცხოვრობდა მისი ძმა თ. **ელიზბარ ერისთოვი;** ამ უკანასკნელთან ხშირად იყვნენ **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი,** მისი ძმა **ვახტანგ,** მასწავლებელი **დოდაევი** და **გიორგი ერისთოვი** და რაღასაც საიდუნლოდ ლაპარაკობდნენ ხოლმე; მე მაშინ ვერაფერს ვამჩნევდი; ისინი იკრიბებოდნენ აგრეთვე **ალექსანდრე ორბელიანოვთან.** მაგრამ როდესაც **ელიზბარ ერისთოვმა** პირველმა ვამომიცხადა მე 1831 წ. ეს განზრახულება, მაშინ მე ისე წარმოვიდგინა, რომ ის საიდუმლო საუბრები ამ საგნის ირგვლივ ტრიალებდა. შემდეგში კი **ელ. ერისთოვი** დაიარებოდა ჩემთან და მოჰყვებოდა ხოლმე ხან პოლონელების აჯანყებაზე, ხან რუსეთის მთავრობისადმი უკმაყოფილებაზე და ზოგჯერ ამბობდა უნდა საფრანგეთში გავგზავნოთ ელჩები, რომ რუსეთისაგან განთავისუფლებაში დაგვეხმარონო. 1832 წელს კი მას მოჰყავდა ჩემთან **ხან** კაპიტანი **ჩოლაყაევი,** ხან **ალექსანდრე** ორბელიანოვი, ხან **იასე** ფა-

---

[1]) ერთი სიტყვა არ იკითხება, რადგან ძლიერ ცუდი ხელით არის დაწერილი და ამასთანავე ზოგ სიტყვებს სტოვებს, ზოგჯერ კი ერთიმეორესთან აბავს; შეიძლება აქ ეწეროს „ღმერთი დიდიაო".

[2]) რუსული თარგმანიდან როგორც ირკვევა აქ უნდა „ჩაჩნები" ეწეროს.

[3]) **მანანა ორბელიანი**

[4]) **მელანია** **მელნიკოვას** ცოლი.

ლავანდოვი და მგონია, თვითონ იგონებდა ხოლმე, რომ ამა და ამ კაცს უნდა შენი ნახვაო. აგრეთვე მითხრა მან, რომ რუსებს უნდათ რამოდენიმე კომლი საქართველოდან რუსეთში გადაასხლონო. **იასემაც** ჩემთან პირველად მოსვლისთანავე დაადასტურა ეს და თანაც დაუმატა, რომ ვინც მათს განზრახვაზე თანახმა არ შეიქნებოდა, ძალით აიძულებდნენ მას. **ალექსანდრე ვახტანგის ძეცა** ძალას მატანდა ამ განზრახულებაზე და ჯერ კიდევ 1831 წ. ამბობდა, რომ ის დაიარება ოსმალეთის ელჩთან და აქვს ამ საგანზე გამართული მოლაპარაკება მასთან. როცა კი ძალიან შემაწუხეს, თავიდგან რომ მომეშორებინა, ვიცოდი რა, რომ სპარსელები უკიდურეს გაჭირვებაში არიან - მე მათ უთხარი: **ალექსანდრე ჭავჭავაძემა** თქვა სპარსეთიდან **ალექსანდრე ბატონიშვილი** გამოიწვიეთ მეთქი; მე ვფიქრობდი, რომ ეს შეუძლებელია და ესენიც ამ თავის წამოწყებას თავს მიანებებენ მეთქი, მაგრამ შემდეგში გავიგე **ელიზბარისაგან, რომ ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვს** გაეგზავნა კაცი ბატონიშვილთან, მე კი არც ფული და არც წერილი არ მინახავს. **ალიზბარი** ამბობდა ხოლმე აგრეთვე, რომ როდესაც რუსები განიდევნებიან საქართველოდან, ხაზინა ჩვენს ხელში გადმოვაო და რომ ყაზარმაში ბევრი თოფებია. არსენალში თოფის წამალი. ჯელალოლში კი ზარბაზნებიო; ყველაფერი ეს ჩვენთვის ყასარგებლოა. მე მათს ნათქვამს არ ვეთანხმებოდი ხოლმე და თავს ვარიდებდი მათ, ზოგჯერ კი, შემეკითხებოდნენ რამეს და ჩამაცივდებოდნენ, მე შეუძლებელ მიზეზებს უსახელებდი ხოლმე. მართალია აქაურ სასამართლო დაწესებულებებზე უკმაყოფილება მაქვს რადგანაც: ბორჩალოს დისტანციის სოფ. ქვიშში მცხოვრებმა ჩემმა გლეხებმა ასმა (100) კომლმა დიდი ხანია შეიტანა ჩემზე საჩივარი და ეძიებენ რა თავისუფლებას აღარ ასრულებენ ჩემს წინაშე საგლეხო ვალდებულებას; გერმანელ მოახალშენეთა გადმოსახლების დროს ბორჩალოს დისტანციაში, მათი სოფლის ირგვლივ მე ჩამომერთვა მიწები, რის გამოც ჩემი გლეხები სივიწროვეს განიცდიან; აგრეთვე სხვა ჩემი გლეხები, მათ მიერ აღძრული საჩივრის გამო, ჩამომერთვა მე და ბოლოს, უსამართლო დაბეზღების გამო, ჩემი გლეხების ურჩობისათვის მილიციის გამოყვანაზე ოსმალეთში ლაშქრობის დროს, მე, სრულიად უსამართლოდ, დღემდის ჩამორთმეული მაქვს ღირსება და პატივი რუსთა და თვით ქართველთა შო-

რის. მაგრამ ახალგაზრდობიდან ვემსახურებოდი რუსეთის უზენაეს ტახტს და მაქვს გაუნელებელი სურვილი სიკვდილამდე მისი ერთგული ვიყო, არა ერთხელ გამომიჩენია რუსების ლაშქრობაში მონაწილეობის ხალისი და ვლირსებივარ დიდ მონარქის მოხედნას, რომლის სიუხვითაც განსვენებული მამა ჩემის გენერალ-მაიორ **ივანეს** თხოვნითა და საქართველოს მართებლის გენერალ-მაიორ **ტორმასოვის** წარდგენით ვიღებ წელიწადში ათას (1000) მანეთს პენსიონს. ვიყავი რა შეყვანილი შეცდომაში ჩემ მიერ განმარტებულ მიზეზთა წყალობით და მყავს რა დიდი ოჯახი, რომელიც იმის ვანო, რომ არ გამაჩნია არც მშობლები, არც ძმა და არც მამრობითი სქესის მაცლობელი ნათესავი - სრულიად უმწეოდ და უნუგეშოდ რჩება, გულწრფელი სიმშვიდით ვითხოვ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, მოხედოს თავისი წყალობის თვალით მამი ჩემისა და ჩემს დამსახურებას და მონცეს დრო კვლავ ერთგული სამსახურით გავიმართლო თავი და ჩამოვირეცხო დანაშაული.

მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი.**

21 თებერვალი, 1831 წ.

თამარ ბატონიშვილის პასუხები (1539-1558).

„ქართველ ბატონიშვილ **თამარ იულონის ასულისადმი**, რომლებზედაც საგამომძიებლო კომისია ითხოვს მისგან: შეკითხვის აზრის შესაბამი პასუხის გაცემასა, და გულწრფელ აღიარებას, ისე რომ მისი თვით ფიცით დადასტურებაც შეეძლოს.

22 თებერვალი, 1833 წ.

კითხვები:

1. თქვენი სახელი, მამის სახელი და წოდება.

2: რამდენი წლისა ხართ?

3 როდის გარდაიცვალენ მამა თქენი და დედა თქვენი?

4. რამდენს შეადგენს წელიწადში თქვენი ჯამაგირი და პენსია, რომელსაც ხაზინიდან ღებულობთ? ამას გარდა კიდევ რა საკუთარი შემოსავალი გაქვთ და სახელდობრ საიდგან?

5. სადა ხართ აღზრდილი და თქვენი მშობლების, თუ სხვა პირთა მზრუნველობით?

6. როდის დაინიშნეთ ფრეილინად მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის კარზე. ასრულებდით თუ არა სამსახურს, სამეფო კარის გარეშე მცხოვრებ ფრეილინების მგზავსად, დედოფლების წინაშე, თუ არა, რატომ?

7. ხომ არ იცით მთავრობის სიძულვილისათვის რამე განსაკუ-

თრებული მიზეზი და რა არის იგი?

8. ქვემო ჩამოთვლილ პირთაგან ვის იცნობთ და სახელდობრ რომელ მათგანთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გქონდათ?

კეთილ ინებეთ ჩამოსწეროთ თვითეულის პირდაპირ ცალცალკე.

ქ. ტფილისი

პასუხები[1])

მეფის ირაკლის შვილიშვილი და მეფის ძის ასული **თამარ** ორმოცდა ორის წლისა.

ჩვიდმეტი წელი არის მამის ჩემის გარდაცვალება და ხუთი წელიწადი არის რაც მშობელი ჩემი გარდაიცვალა ოთხი თუმანი ასაღნაცია ფრენილის[2]) ჯამაგირი და დედის ჩემის მიცვალების შემდეგ ხუთასი თუმანი ასაღნაცია კიდევ მომეცა, ამას გარდა არაფერი სხვა შემოსავალი არსაიდამ არა მაქვსრა.

ჩემს მშობლებთანა ვარ აღზრდილი იმის მეტს არავის ულვაწია ჩემთვის.

ოცის წლისამ მივიღე ფრეილინობა და როდესაც მებძანებოდა ყოველთვის აღმასრულებელი ვიყავ ჩემის თანამდებობისა თუ ავადმყოფობა არ დანაბრკოლებდა.

მიზეზი არა მქონია რა რათა ვემდურეოდე მთავრობას და ყოველთვის გარდამეტებული პატივი მქონია რომელიც ღირსი არა მგონებია თავი ჩემი.

1. გენერალ-მაიორი **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.**

კნიაზ ალექსანდრე **ჭავჭავაძის** ვიცნობ და მეუღლე მისი ჩემი მახლობელი ნათესავიც არის. პატივისცემის მეტი ერთმანეთთან სხვა მეგობრობა და საკუთრობა არა გვქონია რა.

2. გუბერნატორად ყოფილი **ზავილეისკი.**

ზავილიესკისაც ვიცნობდი ისე როგორც სხვათ გუბერნატორებს.

3. გენერალ - ლეიტენანტი **ერისთოვი.**

კნიაზ **ერისთოვსაც** აგრეთვე ვიცნობდი, განსაკუთრებით ერავიზედ მეტათა.

4. მღვდელ მონაზონი **ტარასი.**

მღვდელ მონაზონ **ტარასისაც** ვიცნობდი.

5. მღვდელ ნონაზონი **ფილადელფოს[1])**

---

[1]) პასუხები ქართულად არის დაწერალი.

[2]) უნდა იყოს ფრეილინის.

[3]) ამის შემდეგ: მ-6 მღვდელ მონაზონი—ორნა პასუხი არ არის გაცემული.

ბერ ფილადლფოს ვერ ვიცნობ თუმცა ერთხელ ვნახე შუამთის მონასტერში სალოცავად რომ ვიყავ, ხმის გამცემი კი არა ვარ.

6. მღვდელი ეფრემ ალექსევი.

მღვდელს ეფრემს სრულებით ვერ ვიცნობ.

8. ქვრივი მართა მესხიევა - ალექსევა.

მართას ვიცნობ როგორც სხვათა კეთილშობილთ დედათ.

9. მანანა ორბელიანოვისა.

მანანა კნეინა ორბელიანოვისას ვიცნობ საკუთრობა კი არა მქონიარა.

10. მელანია შანშეს ასული მელნიკოვისა.

ეგრეთვე მელანია შანშე ერისთოვის ასულს როგორც მანანას.

11. დავით და 12. დიმიტრი თარხანოვები.

12. დიმიტრი

თარხანოვები

დავითსა და დიმიტრის თარხანოვებს შორიდამ ვიცნობ ჩემს სახლში კი სრულებით არ ყოფილან.

13. ლუარსაბ თარხანოვი

ლუარსაბ თარხანოვს ვერ ვიცნობ

14. ლუარსაბ ორბელიანოვი.

ლუარსაბ ორბელიანოვს ვიცნობ და ნათესავიც არის ჩემი და ჩემს სახლში არც ერთხელ არაყოფილა.

15. მამუკა და 16. მისი ძმა დიმიტრი.

და 16 და მისი ძმა დიმიტრი.

დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვთ ვიცნობ და ნათესავნიც არიან ჩემნი. სხვა ამის მეტი მახლობლობა არა მაქვს რა მხოლოდ ალავერდის დღესასწაულზედ ჩემი ბიძაშვილები ბარბარე და ქეთევან ერთად ვიყავით.

17. ალექსანდრე

18. დიმიტრი

და 19 ვახტანგი

ორბელიანოვები, თეკლა ბატონიშვილის ძენი.

ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ჩემი მამიდაშვილები არიან, კიდეც მიყვარან, მეგობრობა კი არა მაქვს მათთან.

20. გრიგოლ ორბელიანოვი

გრიგოლ ორბელიანოვი ჩემი ნათესავი არის სხვა ამის მეტი არაფერი მახლობლობა არა მაქვს რა.

21. **ელიზბარ**

და 22. **დიმიტრი**

ერისთოვები

ელიზბარ და **დიმიტრი ერისთოვნი** ნათესავნი არიან ჩემნი და შეგობრობა ინათთან არა მაქვს რა.

23. **ზაქარია ერისთოვი.**

ზაქარია ერისთოვს ლენერლის შვილს ვიცნობ რომ ჩემი ნათესავი არის.

24. **გიორგი დავითის ძე ერისთოვი.**

გიორგი დავითის **ძე ერისთოვს** ვიცნობ არა მახლობლათ.

25. **გიორგი რევაზის ძე ერისთოვი.**

გიორგი რევაზის ძე ერისთოვს ვიცნობ ჩემი მამიდაშვილი არის. სიყვარულიც მაქვს როგორც მახლობელის ნათესავისა და არა მეგობრობა.

26. პოლკოვნიკი **ივანე ანდრონიკოვი.**

პოლკოვნიკს **ივანე ანდრონიკოვსაც** ვიცნობ ჩემი ნათესავი არის და განსაკუთრებით სხვა არაფერი.

27. კაპიტანი **ზაქარია** და 28. და მისი ძმა **ალექსანდრე ჩოლაყაევები.**

ზაქარია და **ალექსანდრე ჩოლაყაევებს** ვიცნობ ნათესავნი არიან ჩემნი და სხვა წინაურობა ჩემთან არა ჰქონიათ რა.

29. **დავით ჯორჯაძე.**

დავით ჯორჯაძეს ვიცნობ როგორც უცხოსა ვისმეს.

30. **სოლომონ დოდაევი.**

სოლომონ დოდაევს **ვიცნობ** დიაღ მცირე.

31. **სოლომონ რაზმაძე.**

ეგრეთვე სოლომონ რაზმაძეს როგორც **დოდაევსა.**

იცოდით თუ არა თქვენ ნაწილობრივ მაინც, ან რამდენად იცოდით, რომ: ყველას ან ზოგიერთს (სახელდობრ რომლებს) ჰქონდათ სურვილი ენახათ საქართველო რუსეთისაგან განყოფილი და დამოუკიდებელი ყოფილი ქართული სამეფო სახლის მართებლობის ქვეშ?

მე არაფერი არა ვიცი რა ვერც მოვიფიქრებ, რომ ამისთანა საშინელი განზრახვა ჰქონოდა ვისმე, რომელიც არის წინააღმდეგი ღვთისა და სრული გონების მიხდა კაცისა, რომელიც მოინდომებს საქართველოსთვის რომ რუსეთის მფარველობა აღარა ჰქონდეს.

იცოდით თუ არა და რამდენად იცოდით, რომ ზეობრე მუ-ხლში ბოხსენებული მჩგავსი სურვილები, საუბრები და მსჯელობანი ჰქონდათ თქვენს ძმას **დიმიტრი ბატონიშვილს** და აგრეთვე ბატონიშვილებს: **ოქროპირს, ფარნაოზს, თეიმურაზსა** და სხვებს, და რა საუბრები და მსჯელობები ჰქონდათ მათ ამ საგანზე?

მე წინაშე ღვთისა აღვიარებ და ვფიცავ, რომ ჩემის ძმის **ლუარსაბისაგან** არც ჩემის ძმის **დიმიტრისაგან** არა გამეგონოს რა წინააღმდეგი რუსეთისა მართებულობისა და არც ერთის სამეფო სახლის შვილისაგან.

იცით თუ არა, ან რამდენად იცით, რომ ყველანი, ან ზოგიერთნი (და სახელდობრ ვინა და ვინ) ზემოდასახელებულთაგანნი, ატარებდნენ აზრს, რომლის მიზანიც იყო: რუსების განდევნა საქართველოდამ და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა?

რომ მათ ეს განზრახვა გაუზიარეს ბევრ ქართველ თავადაზნაურს, რომლების ამ საქმეში ჩათრევას ცდილობდენ?

რომ სინი არჩევდნენ ამ საქმის წარმატებით შესასრულებლად საჭირო საშუალებებს?

მე ყოველთვის ამას ვარწმუნებ მთავრობას არაფერი არა ვიცირა და არც არა შემიძლიან რომ ვსთქვა.

თქვენ იცოდით ნაწილობრივ მაინც ან სახელდობრ რამდენად, რომ: ამ პირთ გაამრავლეს რა თანამოზიარეთა რიცხვი 1831 წელს პოლონეთის აჯანყების დროს, როდესაც გავრცელდა ცრუ ხმები სპარსელების ჩვენდამი მტრულად განწყობის შესახებ, ეს დრო იმდენად ხელსაყრელად ჩათვალეს, რომ თავის განზრახვათა უკვე სისრულეში მოყვანაზე ფიქრობდნენ და ვარშავის აღებამ და პოლონელთა დაშოშინებამ შეუშალა მათ ხელი?

რომ ამ ცნობის შემდეგ კეთილგონიერნი დარწმუნდნენ, რა რომ მათი განზრახვა ახლო მომავალში ველარ განხორციელდებოდა, ხელი აიღეს მაზე და ნიატოვეს თანაგანმზრახველნი?

ახლაც კიდევ ამასა ვწერ არც ათას რვას ოცდა თერთმეტში რა განზრახვა ჰქონდათ არაფერი არა ვიცირა.

იცით თუ არა და სახელდობრ რამდენად, რომ: ზოგიერთმა უფრო გაბედულმა თანაგანმზრახველებმა 1832 წ. აღადგინეს თავისი თათბირები და ემზადებოდნენ მოქმედების დასაწყებად და ამისათვის დროც დანიშნეს გასული შემოდგომის დამლევი, მაგრამ კვლავ შეჩერდნენ როგორც ზოგიერთი მთავარი ხელმღვანელის დაუთანხმებლობის ისევე იმის გამო, რომ **ყაზი მოლა** და სხვა აჯანყებული მთიელნი დაწყნარებულ იქმნენ და ბოლოს ჯარის **და-**

ბრუნების გამო[1]) და თვით შეთქმულების განოგზავნების გამო?

რაც აქ აღმოჩენილი არის იმათი მოქმედება მე არაფერი არა ვიცირა.

იცოდით თუ არა და რამდენად: რომ ზოგიერთს (და სახელდობრ ვის) ზემოაღნიშნულ პირთაგან საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა გამართული **ალექსანდრე ბატონიშვილთან**, რომელსაც აცნობებს განზრახული და იწვევდენ საქართველოში, რათა ხელი შეეწყო განზრახული აჯანყებისათვის.?

არაფერი არა ვიცი რა არც წერილისა და არც მეფის ძის **ალექსანდრეს** აქ მოყვანა.

იცოდით თუ არა, რომ ზოგიერთს (და სახელდობრ ვის) ზემოაღნიშნულ პირთაგან მიმოწერა ჰქონდა **დიმიტრი** და **ოქროპირ ბატონიშვილებთან** და რა ნაირი საშუალებით?

ღმერთს ვფიცავ რომ არა ვიცირა რას სწერდნენ ან როგორ სწერდნენ.

იცით თუ არა თქვენ: რომ ზოგიერთ შეთქმულების მონაწილეთ გადაწყვეტილი ჰქონდათ, თქვენ უნდა დაეყენებინეთ პირველად, ვიდრე **ალექსანდრე** ან რომელიმე სხვა ბატონიშვილი მოვიდოდა, თუ კი აჯანყება წარმატებით დასრულდებოდა?

ღმერთი არის მხედველი რომ არც მცოდნებია და არა თუ პრავიტელნიცობა როგორც საშინელი ღვთის წინააღმდეგი საქმე არა მდომებია ისე დედოფლობაც რომ მოეცათ იმასაც არ ვინდომებდი.

თუ იტყვით, რომ ზემოაღნიშნული გარემოება არ იცოდით, მაშინ გამოაცხადეთ: ხომ არ მოუცია თქვენთვის წინადადება ვისმე, და სახელდობრ ვინ იყო იგი, რომ თქვენ უნდა ჰყოფილიყავით მართველი ან მეთაური იმ საზოგადოებისა, რომელიც მთავრობას წინააღმდეგობას გაუნიზრახავდა?

ვფიცავ და გარწმუნებთ არა ვიცირა და არც არავისგან მსმენია.

იცოდით თუ არა და რამდენად: რომ ზემოხსენებულნი სასრულელნი მოსაყვან საშუალებათა შორის მხედველობაში ჰქონდათ: ხალხის აჯანყებისთანავე თავს დასხმოდნენ საკუთრივ ტფილისში ხაზინასა და არსენალს, ოლქებში კი ზარბაზნებსა და ჯარის ნაწილებს, რომ ამათ შეერთება ვერ მოესწროთ?

---

[1]) რუსის ჯარის დაღესტნის ლაშქრობიდან დაბრუნება იგულისხმება.

მოესყიდათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, წინასწარ ერთ-ერთი ტფილისის მახლობლად მდგომი რაზმი („პოლკი"), დაუყოვნებლივ უნდა ჩაეხერგათ არაგვის ხეობაზე მიმავალი ქართული სამხედრო გზა.

ხალხზე მოეხდინათ გავლენა სამღვდელოების საშუალებით, რისთვისაც უნდა ჩამოეყვანათ ბოდბელი მიტროპოლიტი.

ეთხოვათ დახმარება სპარსეთისა და ოსმალეთისათვის, რაშიც აღუთქვავდნენ ერევნისა და ახალციხის დაბრუნებას.

უნდა ეთხოვათ შემწეობა საფრანგეთისათვის, განსაკუთრებით ჯარისა და ქვეყნის მართველობის მომწყობი ხალხის გამოგზავნა.

თუ გაგიგონიათ აქ აღნიშნულ საშუალებებზე რამე, რომელიმე საუბრის ანუ მსჯელობის დროს, გამოაცხადეთ სად და ვისგან სმენოდეთ?

აქ დაწერილი რომელიც არის ვფიცავ არაფერი არ ვიცი რა ვერც ჩემი გონება მისწვდება იმას რომ ამგვარი განზრახვა ქონდეს ვისმე, თუ არა გონებიდამ შეშლილს.

იცნობ თუ არა და ვისი საშუალებით მღვდელ მონაზონი **ფილადელფოსის** მიერ შეთხზულ აკტ გონიურს?

წინაშე ღვთისა აღვიარებ რომ არ ვიცოდე და არც გამგონე ვიყო იმის მეტი რომ აკტი ყოფილა და ან ვის დაუწერია და ან ვის დაუწერინებია. რაც აქ ქართულათ არის დაწერილი ჩემი ხელი არის სწორეთ.

მეფის ასული **თამარი**.

გენერალ - მაიორი **ბაიკოვი 1-ლი**.

გენერალ - მაიორი **ვოლხოვსკი**

გენერალ - მაიორი **ჩევკინი**

პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი**.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (II, 1571-1572).

„კომისიასა შინა.

იერო მონახის ფილადელფოსისაგან.

უკანასკნელ მოცემულ კითხვის პუნკტთა შინა არ რა იყო მოხსენება აკტისათვის, ხოლო რაისათვისცა იყო კითხვა, ჭეშმარიტითა მოწმობით ღვთისათა, მოვახსენე ამას კომისიასა ახლა კვლავ მსურის უკანასკნელი ერთგზისცა დამტკიცებად, რომელ აკტი ჩემგან არ შეთხზულ არს რაისათვისმე ბოროტისა, არამედ ნამდვილ ჭეშმარიტისათვის კეთილ მოქმედებისა, და არც რაი მოიპოების ამას შინა ბოროტი:

1. სიყვარული ღვთისა, და რწმუნება მტკიცედ რელიგიისა,

თავით თვისით დამტკიცებული კეთილ არს და არ ითხოვს დამტკიცებას:

2. ერთგულება ხელმწიფისა, და სრული დამორჩილება, თავით თვისით კეთილ არს და არ ითხოვს დამტკიცებას.

3. სიყვარული ურთიერთისა არის პირველი მცნება თავით თვისით დამტკიცებული კეთილ არს და არ თხოვს დამტკიცებას:

4. ქონება ამათი საიდუმლოთ დადებულ იყო ნას შინა, ლექსი **საიდუმლო** არ არის თავით თვისით ბოროტი, ეს არის საზოგადო ლექსი, საიდუმლო იქმნების კეთილიცა, და ბოროტიცა ეს აკტი იყო საიდუმლო კეთილი, მაგალითებრ, კეთილ არს მოწყალება, გარნა ღმერთი ბრძანებს „ოდეს ყოფდე მოწყალებასა ნუ სცნობს მარცხენე შენი რასა იქმოდეს მარჯვენე შენი. ჯრამედ ქმენ იგი საიდუმლოდ“ (სახარება). ლოცვა არს **კეთილ, გარნა ღმერთი ბრძანებს „შევედ სახლსა შინა, დახშე კარი შენი და ილოცე საიდუმლოდ, რათა არა აჩვენო კაცთა (სახარება), მარხვა არს კეთილ, გარნა ღმერთი ბრძანებს „იცხე თავი შენი, და დაიბანე პირი შენი, და ნუ ეჩვენები კაცთა მმარხველად** (სახარება) აჰა რომელ, არა არს. წინააღმდეგ, რათა კეთილიცა საქმე იყოს დაფარვით და სამდუმლოდ.

5. მოკლედ თქმა ამისი რომელ დაემორჩილნენ ხელმწიფესა სრულის ერთგულებით რომლისაცა ხელსა ქვეშე იყვნენ, არა არს ამის შინა არარაიმე სიბნელე და არცა იჭვი ამისთვის რომ ოდესცა ითქმის ხელმწიფე, არავინ არ იფიქრების სხვა გარდა როსიის იმპერატორისა, ჩვენს ენაზე თქმა ხელმწიფის მყის მიეწერების იმპერატორსა როსიისასა, სპარსეთისასა ეწოდების შახ ქართულად ყეენი. თურქთა სულთანი, ქართულად ხვანთქარი, და საქართველოსასა ეწოდების მეფე, არავის არ შეშლიან საქართველოსი, ჩვეულებისამებრ იწოდებიან, მაგალითებრ, მეფე **ერეკლე მეფე გიორგი, მეფე თეიმურაზ, მეფე ვახტანგ,** და სხვანი, ხემწიფე ლექსი ნიშნავს როსიის იმპერატორს: ეს თქმა (რომლისა ხელსა ქვეშე ვიყვნეთ) მიეწერების გვამსა, მაგალითებრ. **ეკატერინა პეტლე. ალე ქსანდრე ნიკოლოს** და სხვანი: რომელიცა აღვალს როსიის ტახტსა ზედა.

6. სიტყვა ესე რომელ ხლმწიფე უნდა იცოდეთ რომ შორის ჩლენთა ამის გონიერისა აკტისა აქვს მას უპირველესი ადგილი, არა სწერია თუ თანასწორ ჩლენათ, არამედ სწერია აქვს უპირველესი ადგილი შორის ჩლენთა, შორის ჩლენთა კაცობრივისა სხეულისათა რასა აქვს უპირველესი ადგილი? თავსა. ხელმწიფე სახელის დებად

თავად ქვეშევრდომთა არა არს წინააღმდეგ, ძველნი ყოველნი ესრეთ გულისხმაყოფდენ, ვითარცა დიდ სული **ველისარიოს** სხვათა შორის კეთილთა დარიგებათა საუბართა მოახსენებს **იუსტინიანეს** „შენ მეფე ხარ და თავი, თავისა საქმე არს მხოლოდ. ხედვად, სმენად, გრძნობად, განსჯად, და ენითა ბრძანებად, ჩვენ ჩლენნი თანამდებვართ ნოქმედებად და აღსრულებად ვითარცა ხელი თქვენნი, თქვენ არ გაქვსთ საკუთარი ხელი გარდა ჩვენისა მოქმედებად საჭურველთა შინა („ისტორია ველისარისა), ამისთვის დაუწერე მათ ესე „რათა ქონოდათ შიში ვითარცა ხემწიფისა ეგრეთვე სიყვარული „ვითარცა შორის ჩლენთა თავისა, ნორჩილება ძეებრი რომელიცა „წარმოდგების სიყვარულისაგან უდიდეს არს, კიდრე მორჩილება მონებრივ წარმოდგენილი შიშისაგან (პრაკტიკა ფილოსოფია 1 ნაწილი ბუნებითი სჯული.): არ არის არცა ესე ბოროტი, და წინააღმდეგი:

„არ უნდა გაერიათ უგუნური, და ცუდი მქცევი კაცი, არცა ესე არს წინააღმდეგი, სწერს მოციქული ცხადად „**ძმანო ჩემნო უკეთუ ვინმე ყოს კაცი გინა მელვინე მოლალე, გინა ანგარი გინა მაგინებელ, ესე ვითარისა კაცისა თანა არცადა ჭამად პურისა ხელგეწიფებისთ". სწერს ისო ზირაქ" ნუ მიგებ კაცსა ბოროტსა მაბლობლად შენდა".** სწერს სოლომონ ბრძენი, ნუ **მტერ მოყვარე ექმნები კაცსა ამასა** და ესრეთ მორიდება უგუნურთა კაცთა არ არს ცუდი:

8. ნოგონება აკტისა არ არის ბოროტი ყოველი გამოცდილება თეორეტიკებრი და პრაქტიკებრი ქვეყანასა ზედა არის სულ მოგონილი კაცისაგან, მოგონება კეთილისა არ არის წინააღმდეგ, მხოლოდ მოგონება ბოროტისა არის წინააღმდეგ:

9. დადებულება ფიცისა არ არის წინააღმდეგი, ფიცი არ უნდა ბოროტისათვის, კეთილისათვის ყოველთვის შესაძლო ერს, მაგალითებრ ცოდვილი შევალს ეკლესიასა შინა, აღსთქვამს წინაშე სულიერისა მოძღვრისა კეთილსა რასამე, ნარხვასა ანუ ლიცვასა, ანუ მოწყალებასა, ანუ სხვასა რასამე, ამბორს უყოფს ჯვარსა და სახარებასა, ესე აღთქმა არის ნამდვილი მიღება ახლისა ფიცისა, იგი იხილავს რომელ სხვანი ქრისტიანენი სცხოვრობენ სხვებრ მაგრამ ახსოვს რა მას საიდუმლოდ გულსა შინა აღთქმა თვისი არა მიბაძავს სხვათა მათ ეგრეთვე იყო ესეცა აკტი, ფიცით შეკრა კეთილსა საქმესა ზედა არ არს ბოროტი:

უკეთუ ამათ კაცთა მოუხმარებიესთ კეთილი ესე საქმე, ბოროტად, მე მაგას შინა არა ნაქვს ბრალი, ოქროი თავით თვისით

კეთილ არს მაგრამ შეიძლება ბოხმარება მისი ბოროტად, სახარება თავით თვისით წმინდა არს და კეთილ, გარნა მამადმა, მრავალი მოიხმარა სიტყვა სახარებისა ბოროტად: მაგრამ მე ასე ვხედავ რომ ამ კაცთა არც კეთილად უხმარნიათ იგი, არც, ბოროტად. გადაუგდიათ ვითარცა არაფერი, სად არის გადაწერილი იმათგან, სად არის ხელმოწერილი იმათი, არავის არ მიულია იგი ისინი ნოქცეულან ისევ თავისებურად:

თუმცა კეთილი იყო მაგრამ მაინც არ უნდა დამეწერა რათგან უქაზით აკრძალული ყოფილა ამისთანა მოქმედება. რა ვქნა მე არ ვიცოდი უქაზი, არა თუ მე მარტო, საქართველოსა შინა ფრიად მცირე მოიპოებიან რომელთაც იცოდნენ რუსეთის სჯულები, მე თითონ განკვირვებულ ვარ, რომ აღმძრა მე ესრეთ უეცრად რომ შეველ ამისთანას მოქმედებაში, მე ასე ვხედავ ღმერთძან ნსილველმან იმათი ბოროტის ხულის ფიქრისამან აღძრა გული ჩემი ძალითა თვისითა, რათა ამით საშუალებითა განეგდოთ შათ თავიანთი შემცთარი აზრი, მაგრამ წერილ არს ბუნებითს ღვთის მეტყველებაში რომელ, მეტაფისიკური ბოროტი ოდესმე წინაღუდგების ნებასა ღვთისასა, და ამით ჩემი მოქმედება დაშთა უქმად, მთავრობამან პოვა მათ შორის ესე თხზულება, და შემოიღეს ჩემზედ იქვი, გარნა მე ჭეშმარიტითა სინდისითა ვერ მომიპოებიეს, ვერცა მცირედი რაიმე ბრალი გულსა შინა ჩემსა, მხოლოდ ყოველი მოქმედება ჩემი ეძიებდა კეთილსა დასასრულსა; და არ ვიცოდი მე არა რა იმათის ბოროტის შეთქმულებისა: სხვებრ დარწმუნებულ ვარ რომელ მთავრობა არა დაუტოვებს განუხილველად სიმართლესა ჩემსა, ამისთვისცა დადგინებულ არიან ღვთისა მიერ, რათა მართვიდენ ერთა ღვთისათა სიმართლით: კმარა ჩემდა განმართვა ესე, აღვსთქვამ რომელ ვიქმნები მე ამიერითგან კეთილ მოქმედებასა და სიფრთხილესა შინა უმეტეს გამოცდილი ყოველთა მონაზონთა შორის საქართველოსათა. ვთხოვ ყოვლად, უმდაბლესად რათა არა დაკარგოთ სიმართლე ჩემი და არ წარსწყმინდოთ სული ჩემი ღვთოთა თანა, გევედრებით რათა კაცთ მოყვარებისაებრ თქვენისა და დიდ სულობისა აღმისუბუქოთ მე იწროება ესე რადენი ხანი არს, არ მინახავს ეკლესია, არ მომისმენია წირვა არა მაქვს წიგნები სალოცავი ვარ დაკეტილსა და ფანჯარა გალესილს სახლში მარტოკა: ვთხოვ შეიწყალოთ კაცობრიობა, და სიმართლისამებრ ჩემისა აღმისუბუქოთ მე მწუხარება ესე: იერო-მონახი **ფილადელფოს.**
1833 თებერვლის 24.

რაიცა მას შინა ტექსტები სამლთო წერილისა და სხვათა წიგნთა შემოტანილ არიან იმათი თავები ზეპირ არ შეიძლებოდა ხსოვად, და უკეთუ მიბოძებთ მე მათ წიგნთა დავუწერ ყველას თავებსა და რიცხვებს უკეთუ საჭირო არს".

ლევან ერისთავის ჩვენება (IX, 1581).

„წინა პირველად ეს საქმე ასე იყო ხოლერობის უკან ზამთარში დუშეთიდამ მოვიდოდით მე და **ბიძინა ერისთოვი** და ცხენებიდამ ჩანოვხდით და ცხენები ბიჭებს ეჭირათ და იმან მითხრა ჩუმათ ერთ სიტყვას გეტყვიო. მე უთხარ რა არის შეთქი იმან მითხრა საიდუმლო არის მე უთხარ ნუ მეტყვი მეთქი იმან მითხრა გეტყვიო მითხარ მეთქი მითხრა ბუნტს ვაპირებთო. მე უთხარ ეგ გიჟური ჭკუა არის მეთქი იმან მითხრა **ალექსანდრე ბატონიშვილთან** წიგნი არის გაგზავნილიო არც მე მიკითხავს ვინ გაგზავნა და არც იმან მითხრა მე უთხარ მე მაგისი არა ვიცირა მეთქი იმან მითხრა ჩვენ სხვა ნაირათ დავიჭერთ საქმესაო მე რა ვიცი შეთქი გათავა ლაპარაკი და თავის სახლში წავიდა და ჩემ სახლში წაველ გაზაფხულდა მარიამობის თვეში გერისთობას მივდიოდით მე და ჩემი სიძე **ჯორჯაძე** და **ბარძიმ ამილახვარისას** მივედით ჭალას და ბალკონზე ჩაის ვსვამდით **დავითის** შვილი **გიორგი ერისთოვი** ამოვიდა ჩვენთან და მითხრა ბუნტს ვაპირებთო ჩუმათ მითხრა მე უთხარ მე მაგისი არა ვიცი რა მეთქი იმან მითხრა მარტო ჩვენ ხომ არ ვართო პოლშაც ეჩხუბებათო მე უთხარ არ ვიცი ჩემი საქმე არ არის მეთქი გათავა ლაპარაკი და მას უკან თავადისშვილებს ელაპარაკებოდა ერთი **ჯორჯაძე** იყო ერთი **გივი სიძე** ერთი **თეიმურაზ ამილახვაროვი** და თვითონ **გიორგი ერისთოვი** და სხვა ვინ იყო არ მახსოვს ის არ ვიცი მე აქეთ ვიდეგ რას ლაპარკობდნენ ვერ გავიგონე და მას უკან წავიდა მერმე გერისთობას წავედით და **ბიძინა** იქ იყო და მითხრა წიგნი მომივიდა იმ საქმეზედაო და **ელიზბარს** წაუკითხე არ ვიცი ვისი წიგნი იყო ან რა ეწერა არ მინახავს წელს რომ ჯარის ბრძანება მოვიდა დუშეთის უეზდში მე მაწინ გორის უეზდში ვიყავი ისპრავნიკის ბრძანება მომივიდა საჩქაროთ წამოველ ჯარი მოვაგროეთ დივანბეგმა **კობიაშვილმა** ზურაბმა და მე ჩამოვედით ფოსტაში. **ელიზბარ** და **ბიძინა** იქ იყვნენ ისპრავნიკმა უთხრა ჯარს უნდა გაყვენ თან ერთი და ან მეორეო იმათ უარი უთხრეს მერმე მე შითხრა მე უთხარ ხელმწიფის სანახურზე უარი არ შემიძლიან მეთქი რომ მივდიოდი და **ბიძინა** შინ მიდიოდა ერთმანეთს განოვესალმეთ მე უთხარ შშვიდობით მეთქი იმანაც მი-

თხრა მშვიდობითო გაიცინა და მითხრა შენ მიდიხარ მანამ მოხვალ იქნება აქ მოვახდინოთო მე უთხარ მე ხემწიფის სამსახურზე მივდივარ მეთქი მე სხვა არა ვიცირა მეთქი ჩამოვიყვანე ქალაქში ჯარი გუბერნატორთან გამოვცხადდი საით გვიბრძანებენ წავალ მეთქი იმან მადლობა მიბრძანა მალე ჩამოხველო მაგრამ საჭირო არ არის ამჟამათაო დაგვითხოვა და წავედი ჩემს სახლში ქრისტიშობის ნარხვაში ჩამოველ საქმეებზე ქალაქში **ბიძინა** შემომეყარა სასამართლოებს ზემოდამ და მითხრა **გიორგი** ჩემი ძმა ვნახოთო წავედით და ვნახეთ **ბიძინა გიორგის** ოთახში დარჩა და მე **გიორგიმ ალექსანდრესთან** შემიყვანა **ალექსანდრემ** მითხრა ბუნტს ვაპირებთო მე უთხარ მე რა ვიცი მეთქი იმან მითხრა იმერეთში ნათესავები გყავსო იქნება იმერეთმაც იბუნტოსო მე უთხარ მე არ ვიცი იბუნტებენ თუ არა მეთქი გათავა ლაპარაკი და გამოველ მეორე ეს მითხრეს ჩვენ რომ აქ მოვახდენთ შენ იმერეთს გაგზავნიან მე არაფერი პასუხი არ მივეც და გამოველ მეორეს ღღეს **ელიზბარ** შამომეყარა სასამართლოებს წინ და მითხრა ბუნტს ვაპირებთაო მე უთხარ მე ჩემი საქმე ბაქვს ჩემ სახლში მივდივარ მეთქი და მაგისი არა ვიცირა მეთქი იმან მითხრა ქვეყანამ იცის და შენ რა ხარო **მამუკა** რომ კარგათ იყოს ინასაც ვათქმევინებდი შენ ისაო მე უთხარ იმან იცის მეთქი მითხრა იმანაც იცის ამის მეტი რა უთქვამს რა წავიდა მე მეორე დღეს ბრიჩკა ვეჭირავე დედა ავად მყვანდა დუშეთის უეზდში და ჩამოვიყვანე ეჭიმთან მას უკან ჩემთვის აღარავის რა უთქვამს **ზაზა თარხნიშვილს** ჩემთვის არც არა უთქვამს და არც არა ვიცი რა როდესაც შინ მივდიოდი მაშინ **ჩემი სიძე გივი** ქალაქში იყო და მე უთხარ **ალექსანდრემა** და **ბიძინამ** მითხრეს ბუნტს ვაპირებთო და არ ვიცი მე რათ მეუბნებიან და ან მე რა შემიძლიან მეთქი იმან მითხრა მაგ საქმეში არ გაერევო მე უთხარ ღმერთმა დამიფაროს მეთქი ჭალას რომ **დავითის შვილმა გიორგიმ** მითხრა და ჩავიდა **თეიმურაზისას** მას უკან მარტო დავრჩით მე და **ჯორჯაძე** და მითხრა **გიორგიმ** ჩუმათ რა გითხრაო მე უთხარ გაგიჟებულა მეთქი ასე მითხრა ბუნტს ვაპირებთო არ ვიცი ხუმრობს თუ მართლა ამბობს მეთქი იმან მითხრა მე აქამდინაც არ გითხარ თორემ მართალი არისო მე უთხარ არ შეიძლება მეთქი იმან მითხრა კიდეც შეიძლება და კიდეც მოახდენთო მაშინ **ბარძიმ** გამოვიდა ჩვენთან და დავჩუმდით ამის მეტი არა ვიცირა **ჯორჯაძისა** ღმერთსა ვფიცავ ამაზე მეტი აღარა ვისი რა ვიცი და შემიბრალეთ პრაპორშჩიკი თავადი **ლეონ ერისთოვი.**[1])

---

[1]) მიღებულია კომისიაში 1833 წ. თებერვლის 25-ს

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (IX, 1585-1586).

„კომისიასა შინა!

„1831-სა წელსა, გაზაფხულზე, ერთს დილაზე, მოვიდა, ჩემთან, **ელიზბარ ერისთოვი,** და მითხრა-წუხელის ერთი კარგი რამ ვიფიქრეო,-მე უთხარ რა მეთქი,-ამ უჩებნი ბატალიონში **ოთხი** ქართველნი, აფიცრები არიანო, **ერთი დავით ჯორჯაძეო, მეორე დავით ნათალიშვილი, მესამე ჯიბრაილ წერეთელიო,** და **მეოთხე კი** აღარ მახსომს ვინა თქო,-აი ამ აფიცრების ძალით ჩვენ შეგვიძლიან რომ უჩებნი ბატალიონი მოვისყიდოთო.-ის **დავით ჯორჯაძე** ხომ ჩვენი არისო, და მასაც ვეტყვიო, ჩემს სიტყვას ვერ გადავაო, - **ნათალიშვილი** შენი მამიდაშვილი არისო, და **წერეთელი** კიდევ შენი სიძე არისო.—ესენი შენ იშოვნეო,—და ამ რიგათ ძოვახერხოთო, **სამოცი,** ქართველი კაცი ვიშოვნოთო, სალდათურათ ჩავაცოთო, და ინ აფიცრებს ავატანოთ, შუა ღამისასაო, კაზარმებშიაო და რაც ოროფები არის სალდათებისა სულ კარში გამოზიდონო და დილაზე, — შევიდეთ ჯარითაო, და იმ სალდათებს პრაკლამაციას ველაპარაკოთო, რომ მოვისყიდოთ ის ბატალიონიო, —და მასკვან იმ ბატალიონის ძალით ვიმოქმედოთო, მე დავფიქრდი ამაზე და მასკვან მითხრა, რაღას ფიქრობ, უთოთ ასე აღვასრულოთო,—მე უთხარ აგრე იყოს მეთქი, და ვეცდები რომ უთხრა. ამ ჩემ ნათესავ აფიცრებსა მეთქი.—და მასუკან მითხრა, ეხლა დავიბარებ **დავით ჯორჯაძესაო,** რომელიც წავიდა ჩემგნით, და ორს დღეს უკან, მოვიდა ჩემთან **ელიზბარ,** და მითხრა წუხელის ჩემთან იყო **დავით ჯორჯაძეო,** და უთხარო—რომელიც აღმითქვა უთოთ აგრე აღვასრულებო, მასკვან ნე მითხრა, შენ რაღა ქენო, უთხარ თუ, აოაო. მასკვან მე უთხარ—რავქნა ძმავ მეთქი ვერ გამიბედნია, და არვიცი როგორ უთხრა მეთქი.—მასკვან მითხრა გეფიცები უთოთ უთხარ თორემ სადაც შემხვდება უთოთ მე ვეტყვიო.—მასკვან მე უთხარ, თუ ღმერთი გიყვარს დაჩუმდი მეთქი, რა გინდა მე ვეტყვ მეთქი,—ამაში გავიდა, **ათი** თუ **ორი** კვირა, ყოველ დღე მინდოდა რომ. მეთქო, მაგრამ ვერ გამებედნა, ამაში **ელიზბარ** ძალას მატანდა, უთხარ, და უთხარ, რომ აღარ იქნა, ერთს, დღეს სადილს უკან, ცოტა მომატებული ღვინო დავლიე და დაუძახე **დავით,** შენთან ერთი საიდუმლო მაქვს. მეთქი, მაშინ ჩემ სახლში იდგა.—მითხრა რა გინდა მითხარიო, ჯერ დავაფიცე რომ არავისთვის არ ეთქო, შემდეგ, ყოველი ჩვენი განძრახვა უანბე და შემდეგ უჩებნი ბატალიონის მოსყიდა.—ამ სიტყვაზე დიდად შეკრთა, და მითხრა,—ოჰ, ეგ რა მითხარიო, თუ შენ ჩემი ძმა არ იყოვო, ღმერთსა ვფიცავ, რომ

ეხლავ გავიჭრებოდი, და პთავრობას ვაცნობებდიო,—მასკვან უთხარ, რას ამბობ, ძმაო მეთქი,—მთელი ქართლი, და კახეთი, ემზადებიან, და შენ მარტო რაგახდები მეთქი.—ამ სიტყვაზე დავიჭრდა და სწორე არა მითხრა,—შემდეგ გავიდა ამაში ერთი კვირა, და ყოველდღეს ველაპარაკებოდი, და კიდევ სწორე ვერა რა შევიტყე.—შემდეგ ერთ დღეს ჩემთან იყვნენ, **ელიზბარ**, და **გიორგი დავითის-ძე ერისთოვნი**, ჩემი ძმა **ვახტანგ**. იმ დროს ჩემი მამიდაშვილი, **დავით**, შემოვიდა ჩვენთან.—და ახლა აქ უთხარ ამათთან, და [illegible] ამათ დალწყეს ლაპარაკი.—ნაბა [illegible] ესეც მონაწილენი იყვნენ და მაშინ აღმითქვა, რომ უთოდ ეცდება, შემდეგ ამისა რაოდენიმე დღე გავიდა, და **დავით ნათალოვმა** მითხრა ეს საქმე ხომ კისრად ამაღებინეთო, მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, მოდი დაეხსენით, ამისთანა განძრახვასაო. — მასკვან მე უთხარ, მარტო ბე და შენ ხო არა ვართ მეთქი, დიახ ბევრი მონაწილე გვირევია მეთქი, — მასკვან მითხრა კაი, თქვენ იცითო,—**მეორე** ერთს წუადღის დროს. ნაუჩენიიდგან მოვიდა ეს ჩემი მამიდაშვილი **დავით ნათალოვი**, და მითხრა, ეხლა ერთს აფიცერთან ვიყავიო, და ლაპარაკსა შორის, მითხრა, რომ ამ ლუბენატორს **ზავილეიცკის** [illegible] **დაათი**. ჩინოვნიკი თურმე ჰყავს მოსყიდულიო, რომ აქ ბუნტი მოახდინოსო, მასკვან მედა **დავითმა** ვთქვით, რომ პოლიაკი არის ზავილეიცკიო და იმისთვის უნდა ბუნტიო.—ეს გარემოება ჩემა ძმამ **ვახტანგმაც** იცის.—**მესამე** ერთხელ ლაპარაკში მე უთხარ **ჯიბრაილ წერეთელს**, რომ რუსები შენ დიდათ გიყვარს მეთქი, —მასკვან იმან მითხრა შენ ნუ ნოუკვდები ჩემთავს რომ მე რუსები არ მიყვარდესო, და თუ მოხდება რამეო, რომ პირველი წინააღმდეგი მე ვიქნებიო—მასკვან მე უთხარ რა ვიყვეს რუსებმა რომ აგრე ემუქრი მეთქი, მასკვან იმ **ჯიბრაილ წერეთელმა** მითხრა, აბა რათ ვიქნები ერთგული შენ გაზდასაო, რომ ჩემი ძმა **ივანე გამისალდათესო**, და აგრე ცამეტი წელიწადი თუ თოთხმეტი წელიწადი სალდათათ არისო, რომელიც საწყალი დასნეულდა—პოხონდრიის მიზეზით, და სულ ავანტყოფობსო, და მგონია მოკვდეს კიდეცაო, კვალადა თქო ვაი თუ მოხდება რამეო მე ვიცი რასაცა ვიქო.—მე ესენი რომ გავიგონე აღარა გამოუცხადე, და დავჩუმდი. **მეოთხე**. — მედა თავად **ივანე ზალის-ძე ბარათოვს** რაოდენჯერმე ვვილაპარაკია, საქართველოს განთავისუფლებისათვის რუსებისაგან, და მე ლაპარაკსა შორის მითქომს, მისთვის რომ აქ იმისთანა საზოგადოება არის მეთქი, რომელთაც სურთ მეთქი, ესე იგი, **ლუარსაბ ორბელიანოვი**, თავად **ელიზბარ ერისთოვი**, და შემდეგნი ყოველი

მითქომს,—მასკვან თავად ივანე **ბარათოვს** უთქვამს რომ ვითომც, თავად **დავით**, და **ამის ძმას დიმიტრის თარხანოვთ** ჰყვანდეი საზოგადო, რომ ვითომც იმათაც სურდეთ, საქართველოს განთავისუფლება. და შემდეგნი სხვა საზოგადონიკი არ უთქომს, ჩემთვის ვინ არიან. —ესკი აღარ მაცსოვს რომ თავდაპირველად, მე და **თ. ივანე ბარათოვი** ვითარ შეეერთდით, და ხშირად გვილაპარაკნია, ესე ჩვენი განძრახვა—1831-სა წელსა, და 1832-სა წელსაც. ჰოდპორუჩიკი თ. **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (1589).

„1832 წ. „სოვეტნიკი" **ალ. ორბელიანოვი** მეუბნებოდა, რომ 1831 წ. გაცხარებით მუშაობდნენ. **გიორგი დავითის ძე, ელიზბარი** და **ბიძინა ერისთოვები**, პრაპ. **დავით ჯორჯაძე** თავისი მამით **ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი**, რომელიც მზად იყო თვითონ წასულიყო ლტოლვილ **ალექსანდრე ბატონიშვილთან**[1]), გუსართა რაზმის პორუჩიკი **ნათალოვი**, რომელიც სამოსწავლო „ბა.. თალიონის" მოსყიდვას აღუთქვამდა და რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა თავიანთივე რაზმის პოლონელ პორუჩიკთან, რომელიც **ნათალოვის** ჭეშმარიტი მეგობარია[2]). და **თ. ზაქარია ციციანოვი ალექსანდრემ** მითხრა, რომ **ლუარსაბს** დავალებული ჰქონდა თავის ძიურაკ **ავთანდილოვისათვის**, რათა აქ აჯანყების შემთხვევისათვის მას გლეხები მზადა ჰყოლოდა[3]). **ალექსანდრე** ამბობდა, რომ **დრაგუნთა** რაზმის ოფიცრებმა 1831 წელს იცოდნენ შეთქმულება, რადგან ელიზბარის ორივე ძმები იქა მსახურობენ, პრაპორ. **შერვაშიძეს** კი თვითონ ელაპარაკა თავის სახლში.

აფხაზოვისაგან გავიგონე, რომ ერთხელ მასთან იყო არტილერიის პრაპ. **დიმიტრი ერისთოვი**. ამ დროს მისულა **ვახტანგ ორბელიანოვი**, უტაცნია **ერისთოვისათვის** ეპოლეტებში ხელი და უთქვამს: „აი მონობის ნიშანი"-ო.

25 თებერვალი, 1833 წ.

თ. ი. ფალავანდოვი".

ვბეჭდავ მოვახსენო კომისიას, რომ არ არის არც ერთი თავადი, რომელიც კი „სოვეტნიკ" **ორბელიანოვის** სახლში დაიარებო-

---

[1]) აქ ნომრებით აღნიშნული ადგილი ტექსტში ვარსკვლავებით არის აღნიშნული და თვითონ **ი. ფალავანდიშვილის** მიეო შემდეგი შენიშვნები აქვს გაკეთებული: 1) ეკითხოს ამის შესახებ **გიორგი დავითიხძე ერისთოვს**

[2]) ხოლო რადგან **ნათალოვი ალ ორბელიანოვიც** ახლო ნათესავია, ემჯობინებოდა თვითონ **ნათალოვი** სასტიკად ყოფილიყო დაკითხული, ანდა **ვახ. ორბელიანთან** წაეყვანებიათ პირისპირ.

[3]) ამის შესახებ ეკითხოს **ელიზბარს**, რომელიც **ლუარსაბის** **დისწულია** და **იგი** მასთან არავითარ საიდუმლოს არ ჰმალავდა.

და, რომ არ სცოდნოდა მისი განზრახულება, განსაკუთრებით კი მის ჭეშმარიტ მეგობართ: **თ. დავით ბაგრატიონს, თ. პავლე თუმანოვს** და **თ. რევაზ ანდრონიკოვს. ვახტანგ ორბელიანისაგან** გავიგონე მის სახლში მისი ძმის **ალექსანდრესა** და **გიორგი ერისთოვის** თანადასწრებით, რომ ამ **ანდრონიკოვს** უთქვამს: თუნდა მე ვერ შევიძლო რუსებისთვის რამე ზიანის მიყენება, შვილებს მაინც დაუტოვებ ანდერძს, რომ მათ მაინც აზნიონ რამეო.

ზაზა თარხანოვის შესახებ, იცოდა თუ არა მან შეთქმულება, შეუძლიან თქვას მაიორმა **ლუარსაბ ორბელიანოვმა** და თუ **ზაზაც** იცის, მაშინ **დავით** და **დიმიტრი თარხანაოვებმაც** უხდა იცოდნენ, რადგან გაუყრელად და მეგობრულად ცხოვრობენ.

თ. იასე ფალავანდოვი".

ლევან ერისთავის ჩვენება (IX, 1591).

„**მამუკა** მოვიდა გერისთობას ქართლში ხოლერობას უკან ზაფხულში და მითხრა ჩვენ თავადიშვილებიო ბუნტს ვაპირებთო, და შენც უნდა ჩვენი თანახმა შეიქნე და ამასთან მკითხა რამდენს ვაჟკაცს იშოვნიო მე უთხარ თუ ვიშოვნი ხომ კარგი წეთქი და თუ არა მე შენი თანახმა ვარ იქიდამ რომ წამოვედით კიდევ გზაზედ მითხრა უნდა ან დავხოცოთო რუსებიო და ან დავიხოცნეთო ამიტომ რომ მე უბრალოდ პოდსუდში მიმცეს და თქვენც ყმასა და მამულს გართმევენო და სხვა თავადიშვილებიც ხელშეხებულნი არიანო მე უთხარ შენი ნება არის და ამის აზრის თანახმა შავიქენ. მამუკა საჩქაროდ წამოვიდა ქალაქს, ამბობენ რომ ეგები საქმე მალე მოვახდინოთო.

ჯორჯაძეს ბევრჯელ ულაპარაკნია ჩემთან ამ განზრახვაზედ და მეც იმასთან გვითქვამს რომ გვაწუხებენ რუსები ყმას და მამულს გვართმევენო მაშინ ჩვენ თავს უშველოთო და ან დავიხოცნეთო მე კი ვეუბნებოდი ხოლმე. რომ რუსებს ვერ ვაჯობებთ. შეთქი ამის პასუხათ ის მეუბნებოდა მე მაგათ ჯარში ნამყოფი ვარო მე უფრო ვიცი თუ მალე მოვახდინეთ ეს აღრეულობა ჩვენ ვაჯობებთო **ჯორჯაძეს** ამისთანები ბევრი ულაპარაკნია ჩემთვის და მეც იმის თანახმა ვყოფილვარ.

პრაპორჩიკი თავადი **ლეონ ერისთოვი".**

ჩყლგ წელსა თებერვლის კე.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (IX, 1599-1601).

„კომისიასა შინა თ. **იასე ფალავანდოვმა** პრისუსტვიე ღენერლებთან აღიარა ვითომც ის, ყოფილიყოს შპიონი, და ჩვენი ყოველი განზრახვა უნდა შაეტყო, მაშინ როდესაც რომ ჩვენი საზოგადოება ესს პირველს ჩლენად რაცხდნენ, და დიდათაც პატივსაც ვცემდით, იქამდისინ რომ თუ სადმე შევიყრებოდით, ჩვენ ხოლმე და **იასე ფალავანდოვი** იქ არ იქნებოდა ხოლმე, მაშინ ჩვენის საზოგადოების რომელიმე უნდა წასულიყო ერთ ერთი, რომ ბიჭს არა ვკადრებდით ხოლმე, რომ ისე უნდა მოგვეწვია, და ეს მიკვირს მე რომ **იასეს** რაი და ან ვითარი, დაფარული, რა უნდა გამოეჩინა, რომ შპიონი ყოფილა, — ვინც თავს ვიყავით ჩვენი საზოგადო, ბოლოსაც ისინი ვიყვენით, რასაც უწინარეს ვლაპარაკობდით, შემდეგი ლაპარაკი ერთი და იგივე იყო,—არა მოჰმატებია რა ჩვენს საზოგადოსა და თუ ნაკლებულებასა შინა არ იყო. ჩვენი ჩინებული საზოგადო ესენი იყვნენ, პირველი **ელიზბარ ერისთოვი,** მეორე, **სოლომონ დოდაევი,** მესამე **თ. იასე ფალავანდოვი.** მეოთხე, მე, მეხუთე, **ზალ ავთანდილოვი,** მეექვსე, **ყიფიანოვი,** მეშვიდე ჩემი ძმა **ვახტანგ,** და მერვე მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი,** ესე მე სულ არ მახსოვს რომ ოთხჯერ თუ ხუთჯერ მასთან შეესულიყავით, და ჩვენთან ხომ სულ არ მოვიდოდა, მეცხრე **თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვი,** და 1831 წელსა მოგვემატნენ, პეტერბურღელები—პირველი **ზაქარია ჩოლაყაევი** ჩემი დედიდაშვილი **გიორგი ერისთოვი** და მესამე **თ. დიმიტრი ერისთოვი.** აი ჩვენი ძლიერი საზოგადოობა, და ჩვენ გვსურდა, **რომ** საქართველო განგვეთავისუფლებინა და არ ვიცი კი რომ **იასე ფალავანდოვს** რა უნდოდა რომ შეეტყო ჩვენი, როცა შევიყრებოდით კიდევ იმას ვლაპარაკობდით, რაც გველაპარაკა, — ხაზინა ჩვენ არა გვქონდა თოფხანა ჩვენ არა გვქონდა, არაფრისთანა მომზადება, ჩვენ არა გვქონდა, ჯარები ჩვენ არა გვყვანდა, თვინიერ **იასეს ორასი** კაცი მეტი, და ეხლა ესეც არ ვიცი მართალს ამბობდა თუ არა, **მე** ვანბობდი **ორმოცს,** და **ელიზბარ** ამბობდა **ორმოცს,** აი ჩვენი პირველი ძლიერება, რომლებითაც რუსები უნდა დაგვეპარცხებინა ამითი,—თუ რომ უნდოდა **იასე ფალავანდოვს** რომ ესენი შეეტყო, მაშ ხომ თითონ დაწერა პირველი ღამის რასპრაჟენიე,—მაშასადამე თავის თავზე ყოფილა შპიონი, ამისთვის რომ ორასი კაცი იმას ჰყვანდა და რასპრაჟენიეც ხომ იმანვე დაწერა, რომ მე **თორმეტს** დღეს თუ **თოთხმეტს** დღეს უკან ის დაწერილი რასპრაჟენიე წამიკითხეს, მართალია ჩვენი საზოგადოობა ბევრს ცა-

რიელ ლითონის სიტყვით, დიახ კარგი ლაპარაკი გვქონდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ რომ დავხედავდით საქმეს, ბევრსაც ვიკინებდით ხოლმე. დაწყეველილები იყვნენ ბატონიშვილები რომ, ამისთანა მშვიდობიანს მხარეს, ცეცხლი ჩამოაგდეს, და საწყალი ხალხი გაგვაბრიყვეს თორემ, რა ჩვენი საქმე იყო, და ან რა საფიქრებელი იყო ესეთი აზრი ჩვენგანით.

მე სწორეთ მოვახსენო კომისიას, ოდესაც ვარშვა აიღეს, და პოლიაკები დაჰთრგუნეს, შემდეგ მე სულ განზრახვა არა მქონია რომ, ნელა წინააღმდეგობა რამე გამეევლო არამც საქმით, არამედ ფიქრშიაც აღარ მინდოდა მქონიყო,—მაგრამ რომ არ მეშვებოდენ, ჩემი ამხანაგები, ვერაოდეს ეროს სწორეს, და მართალს სიტყვას ვერ ვეტყოდი ხოლმე. მაშინვე ყელში ნამწვდებოდა **ელიზბარ ერისთოვი,** და ლანძღვას დამიწყებდა ხოლმე, რა ვქნა მე იმისთანა უბედურს ეტლზედა ვარ დაბადებული რომ, მე უარს ვერ ვეტყოდი ხოლმე, თორემ კამისია სცნობს, და ვგონებ ცნობილიც არის რომ, მე როცა ავად ვიყავი და **ზაქარია ჩოლაქაევი** ჩემთან იყო, იმ ღამეს, მე **ელიზბარ ერისთოვს,** ვითარ ვეჩხუბებოდი, და ან **ელიზბარ** ვითარ მეჩხუბებოდა თითქმის მაგინებდა. მე ვეუბნებოდი სულ ხელის აღებას, და ამაზე **ელიზბარს** ერთი ყოფა, და ერთი ამბავი ჰქონდა. და ან **იასე ფალავანდოვმა** ვითარ შემიპყრა,—პირველი, თუ **იასე ფალავანდოვი** შპიონი იყო და 1832-სა წელსა ზაფხულს ოდესცა მე ღუბერნატორთან საქმე მქონდა, და ბალკონზე დავდიოდი, მაშინ **იასე** ამოვიდა, და ცალკე გამიყვანა მითხრა, რისთვის მოსულხარო, მე ყოველი ჩემი საქმე უთხარი, და ესეც რომ ახლა შენი ძმა ქართველი ღუბერნატორი არის მეთქი, და ჩვენ **ორბელიანოვთ** საქმე და გარემოება დიახ კარგათ იყოს მეთქი, როგორ მჩაგვრენ, **ორბელიანოვები** მეთქი, და ჩემ მხვედრს წილს არ მაძლევენ მეთქი, და ახლა შენი ძმის შემწეობით უთოთ იმედი ნაქვს რომ მივიღო მეთქი. მასკვან მითხრა ისევ გერჩივნა რუსი ყოფილიყოვო, და არა ჩემი ძმაო, მასკვან მე უთხარ რას ამბობ თუ ღმერთი გწამს მეთქი, ასე გასინჯე, ხელმწიფე იმპერატორი ასე გვწყალობს ნეთქი რომ, ქართველი ღუბერნატრათ მოგვცა მეთქი,—შიყურა, და მითხრა, ასე ჩქარა როგორ შეგეცვალათ ფიქრი ქართველებსაო, ასე გგონიათ ქართველებსაო რომ ქართველი ღუბერნატორად გვიზის, ყოველის მწუხარებისაგან დაიხსნებიან ქართველებიო, ღმერთს ვფიცავ რომ ასე შეგაწუხოთ ამ ჩემნა ძმამაო რომ თავბედი გაწყეველინოთო,—მე ყოველი ფერი დიახ დაწვლილებით ვიცი მთავრობის საქმეო, ეს ქარ-

თველი ღუბერნატორის მოცემა სულ მოჩვენება არისო, და შენც ტყუილად ცდილობ, ჩემი ძმა არაფერს შემწეობას არას მოგცემსო. და ბევრს გაწვალებს, და გატყუილებსო, სხვა ანის მეტს არაფერს არას მიიღებ შენაო. მე ამაების გამგონს, უთხარ **იასე** რა დაგმართვია და ან რაზე გაგიჟებულხარ მეთქი, აბა მითხარ მაშ რავქნა მეთქი, ან ჩემს საქმეს რა უწამლო ბეთქი,—მასკვან მითხრა ახალი ზაგოვორი გავაკეთოთო. მასკვან, მე უთხარ—თუ ღმერთი გწამს მეთქი კარგი ხელი ავიღოთ, ახლა ხელმწიფე ვადიდოთ, და იმის დღეგრძელობისათვის ვილოცოთ მეთქი, - მაშინ პოლშას ბუნტის დროსაც შემცდარი ვიყავი მეთქი, თორემ აბა კარგათ იფიქრე ვის ვებრძვით მეთქი. მასკვან მითხრა—აბა ადრეეეც მაგას გეუბნებოდიო. რომ, ეკეშაგებში კარგნი ვაჟკაცნი ხარიო, და უამისოთ თქვენს მამულს ვერა გრძნობთო, მე კიდევ უარი უთხარი, და განვეშორე. ამ დროს ღებერნატორი გამოვიდა, და რაც საქმე იყო ვისაქმე, და წამოველ შინა. მე **იასეს** ესრეთ პეტიესა ვცემდი, თითქმის მეგბორად ესახავდი, და თუ ჩვენს საზოგადოობას ზაგოვორი დაგვეწყო, მაშინვე **იასეს** ვაცნობებდი უთოთ, და მაშასადამე რალა უნდა შეეტყო, რომ ამ ზემორე აღწერილს მელაპარაკებოდა, და ესრეთ უკმაყოფილოთ გამომისტუმრა **იასემ** რომ, ვთქვი, 30 წელიწადი არის რაც ჩემი სახლი კაცები მაწვალებენ მეთქი, და ეხლაც ეს გავიგონე **იასესაგან** მაშ როდის მეღირსება სამართალი მეთქი. **მეორე** რაისათვის გვეუბნებოდა მე და **ელიზბარ ერისთოვს, იასე ფალავანდოვი,** იმავე ზაფხულს თავის სახლში. რომ, რუსებს ფრანცუცებთან აშლა აქვთო, და მე და შენ წავიდეთ **ელიზბარ** და იქ ვისაქმოთ, რადგანაც ჩემ ძმას ჩემ ხვედრ წილს ფულს გამოართმევო და იმითი წავიდეთ, გვეყოფაო. **მესამე,** რაისთვის შეაგულიანა მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი,** ოდესცა **იასე ფალავანდოვი,** და **ელიზბარ ერისთოვი,** წასულიყვნენ, ლუარსაბთან, და ეთქო **იასეს** ცალკე ოთახში. ლუარსაბო, რატო ჩვენ ზაგოვორში არ გაეარევიო. მასკვან ლუარსაბ უარი ეყო, და ეთქო, ის პირველი პოლშის ბუნტის დროს ჩვენი ზაგოვორი წავიდაო, და ახლა აღარ ვიყაბულებო, და ხელიც ამიღიაო. მასკვან **იასეს** ეთქო, **ლუარსაბ** რას ამბობ, ღმერთს გეფიცები სულ ერთიანად დაიღუპები, რომ შენი სახსენებელი აღარ იყოსო, თუ ჭკვა გაქვს ჩვენი მონაწილე შეიქენო. მასკვან ლუარსაბს ეთქვა, მაშ რახან აგრე არისო, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ ვერ მოგეხმარო, და როგორც შენ გინდა, ისე მომიხმარეო, ეს გარეგნობა ოდესცა მე ავად ვიყავ, მაშინ **იასემ** და ელიზბარმა მითხრეს. **მეოთხე.** რაისთვის გზავნიდა, ის

გაკრეჭილს ღვდელს **ალექსანდრე ბატონიშვილთან** როდესაც **ელიზბარიც** აქ იყო, ამ ამბავში. **მეხუთე,** რაისთვის სწერდა იმ პირველი ღამის რასპარიაჟენიას და რაისთვის ამბობდა **ორას** კაცსა. **მეექვსე,** და რაისთვის ხმა დაჰყარა ხალხთა შორის, **რომ** ვითომც სალდათს სთხოვენ. ერთს საღამოზე, ჩემთან მოვიდა **დიმიტრი ერისთოვი,** და მითხრა **ალექსანდრე** აბა ახლაც ნუ იყაბულებ ბუნტსო. მე უთხარ რა ამბავი არის მეთქი. ნასკვან მითხრა, რაღა რა ამბავი არისო, **იასეს** დაუყრია ხმა ბაზარში, რომ სალდათს სთხოვენო, და ეხლა უეცრათ ბუნტი რომ მოხდეს რაღა უნდა ვქნათო. მასკვან მე უთხარ, თუ ღმერთი გწამს პატარა მოიცადე, შეც უკეთ შევიქნა, და მასკვან ღმერთმა ინებოს ისე მოხდეს მეთქი. ამ სიტყვებზე წავიდა. თუ რომ თავადი **იასე ფალავანდოვი,** ამ საქმეებს, ამისთვის ჩადიოდა რომ ჩვენ საზოგადოს ეჭვი არ მიეტანათ, **ოშისი** შპიონობისა,—ამისათვის არა ჩვენი საზოგადოს ვისმე ეჭვი არა ჰქონდათ, და დიდათაც პატივსა ვცემდით როდესაც სულ **რომ** დარწმუნებულიყო და ხმა არ ამოეღო **იასეს** და არაფერი განკარგულება არა მოეხდინა რა, მაშინ, არასდროს ჩვენი საზოგადო არ დაემდურებოდა მას არამც თუ ეჭვი რამე ეფიქრათ **იასეზე,** რომელიც ჩვენ საზოგადოში აგრეთნივე იყვნენ **რომ** დიახ ცოტას ლაპარაკობდნენ, თითქმის სულ არა, ესე **ზაალ ავთანდილოვი, იოსებ მამაცოვი. დიმიტრი ყიფიანოვი,** და ჩემი ძმა **ვახტანგ. მაშასადამე** ამათზედ უნდა გვეფიქრა, **რომ** შპიონები იყვნენ, მაგრამ არა, ჩვენი მონაწილე ამხანაგები იყვნენ. ამისთვის **იასე ფალავანდოვი,** არამც შპიონი ყოფილიყოს, არამედ ჩვენი პირველი ჩლენი იყო 1832 წელს, ზაგოვორისა. და ეს კი დამავიწყდა, **რომ** **იასე ფალავანდოვი** მგზავნიდა, **ალექსანდრე ბატონიშვილთან,** პირველად მირჩევდა ყავახანაში,—მეორედ თავადის **ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში,—რომელიც ყველამ იციან ეს გარემოება, და მე უარს ვყავ, და არც შამიძლიან ეგეთი წინადადება აღვასრულო მეთქი. მე კიდევ **იასე ფალავანდოვის** წინადადება ბევრი გამიგონია, და დავიწყებული მაქვს. — პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.**

22 თებერვალს 1833-ს წელს.

ამასთან დაუმატებ, **რომელიც** ეხლა მომაგონდა,—ოდეს მე ავად ვიყავ, და შემდეგ კარგად შევიქენ—ერთს დილაზე მეთერთმეტე საათზე მოვიდა ჩემს სანახავად ღვარდიის კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყაევი** და მე მსურდა **რადგანაც** ჩემი ახლო ნათესავი არის, სადილათ ვსთხოვე ჩემთან დადგომა, **როდესაც** თხოვა აღმისრულა, შემდეგ ნახევარ საათისა, ვნახოთ **რომ** **თ. ელიზბარ**

შემოიჭრა, და საჩქაროდ,—**ზაქარიას** მივარდა,—ამ სიტყვით, ეხლავ **ლუარსაბმა** დაგიბარა წავიდეთ, ამ ჩვენს საქმეს სალაპარაკოთო. — მასკვან მე უთხარ, **ელიზბარ** მეოქი, ეს კაცი ჩემთან არის სადილად მეთქი, და სადილს უკან სადაც გინდა წაიყვანე მეთქი, რომელსაც არც **ზაქარია ჩოლაყაევი** მისდევდა, მე **ალექსანდრემ** დამპატიჟა სადილათაო, და მას ვერ გაუშვეფო, და ახლა ვერ წამოვალო. — ამ სიტყვებზე დიდად გაგვიწყრა და ბგონია ლანძღვით შენოგვწყრა, და ისე გავიდა, ჩვენგნით.—კიდევ თხუთმეტი მინუტი რომ, გავიდა, ვნახოთ რომ **ლუარსაბ ორბელიანოვის**, კაცი მოვიდა ჩემთან, და ბარათი მოუტანა, **ზაქარია ჩოლაყოვსა, ელიზბარ ერისთოვის**, დაწერილი, **ლუარსაბ ორბელიანოვის** მაგიერათ სათხოვარი, დიდის ხვეწნით, რომ ჩემო საყვარელო **ზაქარია**, უთოთ გამოდი აქ ჩემთან სადილათო. — ზაქარია კიდევ არ მიდიოდა, და მასკვან მე უთხარ, **ზაქარიავ** წადი თორემ ჩემგნით ეგონება და სახლიკაცობის მტრობაში ჩამამართვეს მეთქი, და ის **ელიზბარიც** გინებას დამიწყებს მეთქი, შემდეგ წავიდა **ზაქარია ლუარსაბთან**. ამისთვის მოვახსენებ კომისიას რომ, **ელიზბარ ერისთოვისაგან** არც ერთს, ჩვენ არავის არა გვქონდა მოსვენება, არც დღე და არც ღამე, რომ უთოთ ბუნტი უნდა მოეხდინა.—პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IX, 1611).

„გენერალ-მაიორ **თ. ჭავჭავაძეზე** მაქვს პატივი დამატებით მოვახსენო, საგამომძიებლო კომისიას.

1831 წელს **ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში ვსაუბრობდით პოლონეთის აჯანყებაზე სამნი, **ჭავჭავაძე, ლუარსაბი** და მე და წინადადება მივეცით **ჭავჭავაძეს** მიეღო მონაწილეობა ჩვენს შეთქმულებაში, საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს, ამაზე უწინაც **ლუარსაბი** ელაპარაკა მას უჩემოდ და რჩევა სთხოვა. აქ კი, ჩვენი თანადასწრებით, თ. **ჭავჭავაძემ** თქვა: „მადროვეთ, ვიფიქრებო".

ამის შემდეგ უკვე **ლუარსაბმა გვითხრა შე და სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს**, რომ: „**ჭავჭავაძე** თანახმაა და ბრძანა ვაცნობოთ **ალექსანდრე ბატონიშვილს**, რომ ის კახეთში გამოვიდეს, დანარჩენი თვითონ იცის, რაც საჭიროა"-ო. იმ წელს ზემოხსენებული საუბრის შემდეგ მე **ჭავჭავაძესთან** მეტი საუბარი არა მქონია.— 1832 წ. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში მე და კორნეტი **გიორგი ერისთოვი** მივედით **ჭავჭავაძესთან**, დარბაზში მისი ქალები ცეკვავდნენ და ისიც იქ იყო თვითონ. ჩვენ აქ რამოდენიმე წუთს

გავჩერდით, მერე ის შევიდა სასტუმრო ოთახში და ბეც მას შევეგ-**ეიორგი** პირველ ოთახში დარჩა. როგორც კი დავსხედით და მხოლოდ ის მოვასწარით, რომ ვკითხე: „**ლუარსაბმა** გითხრა თუ არა" მეთქი და მან მიპასუხა: „დიახ მითხრაო" ამ დროს შემოვიდა მისი ბეუღლე და ჩვენ შევწყვიტეთ საუბარი. ამის შემდეგ მე მასთან განზრახულების თაობაზე აღარ მილაპარაკნია.

იმ საღამოს ვილაპარაკეთ ლაშქრობაზე[1]) და ბილიარის აღებაზე, **გიორგი ერისთოვი** ამბობდა რომ საქართველოში ორმოცი ათასზე მეტი ჯარი არ იქნებაო, **ბავბავაძემ** კი თქვა, რომ მისი აზრით ორმოცი ათასზეც მეტი უნდა იყოს და ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა.

ყოვ. პოდპორ. თ. **ელიზბარ ერისთოვი**".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1615).

„ჩვენი შეთქმულება ჩემი აზრით ბატონიშვილთა პოლიტიკიდან გამომდინარეობს, რადგან პეტერბურგში ჩასულ მოსწავლეებს ისინი მფარველობას უწევენ, ხელს ახმარებენ მრავალ ლარიბ თავად-აზნაურს და მათგან ერთგულებას იმსახურებენ.

მამუკა ორბელიანოვზე მახსოვს, რომ 1831 წელს მე და **ელიზბარი**[1]) მივედით მასთან, როცა მას ისევ ეძინა და დაუწყეთ ლაპარაკი პოლონეთზე. ბოლოს **ელიზბარმა** უთხრა, აქაც გვსურს აჯანყების მოწყობა, თქვენ რას იტყვით ამაზეო. **მამუკამ** უპასუხა მე დიდი ხანია მსურს და მაქვს ეს აზრიო, მაგრამ ვისმესთვის აზრი-არება ვერ გავბედე, ამის შემდეგ **ელიზბარმა** უამბო ყველაფერი ჩვენს შეთქმულებაზე, რომ ტფილისში ამ ნაირად გვსურს მოვახდინოთ აჯანყება: თავს დავესხმით ყველა სადარაჯოებს, ხელში ჩავიგდებთ არსენალს, ციხეს, თოფის წამლის საწყობებს, დავეცემით ნთავარ შტაბს, ისე რომ ყველაფერი ეს ერთდროულად მოხდეს და მგონია წარმატებით შევასრულოთო. **მამუკამ** უპასუხა საუკეთესო საშუალება ეს არისო, რომ გავმართოთ წვეულება, მოვიწვიოთ ყველა მთავარი მოხელეები, და მაშინ ყველგან ბზად ვიყოთ როგორც შენა სთქვიო და ერთსა და იმავე დროს თავს დავესხათ, ყველა უფროსები დავხოცოთ, ისე რომ ხელმძღვანელი აღარავინ დარჩესო, მართლაც, რომ ეს უკეთესიაო-უპასუხა **ელიზბარმა**,—მერე მე ვთქვი, იქ ჩვენ ქალებს ბიშის ხარი აიტანს მეთქი.

---

[1]) რუსი ჯარის ღალესტანში ლაშქრობა იგულისხმება.
[1]) ელ. **ერისთავი**

ელიზბარმა ჩაიცინა და თქვა, **მამუკა**, წარმოვიდგინოთ მაგალითად, რომ ნადიმია, ქალები არხეინად სხედან, ჩვენ უცბად ვიშიშვლეთ ხმლები და დაიწყო ჩეხვა,, მე მგონია შენ პირველი ისახელებ. თავსო, **მამუკა** წამოხტა, წაიწია სახელოები და დაიძახა: ოხ, ბოროტებო. — მოითმინეთ, გავაწყვეტინე მე, — **მამუკა**, მაგალითად თქვენ იშიშვლეთ ხმალი და დაიწყეთ ჩეხა, ამ დროს შოვიდა შენთან **ნინა ალექსანდრეს ასული გრიბოედოვის** მეუღლე, დაიჩოქა შენ წინ და გეუბნება: **მამუკა** რასა შვრებითო,—მაშინ რას იზამდი მეთქი,—მათ გაიცინეს. **მამუკამ** თქვა, მე ხმალი ხელიდამ გამივარდებოდაო, **ელიზბარმა** კი-მე მას შეფურთხებით გაუშასპინძლდებოდიო. ჩვენ ბევრი ვიცინეთ და მგონია ერთ თავის კაცს ჩონგურზე დააკვრევინა და ამღერა, შემდეგ კი წავედით სოვეტნიკ **ალ. ორბელიანოვთან** და ეს ყველაფერი უამბეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ გავიარეთ **მამუკას** ბაღისკენ, მაგრამ ის არ მოვიდა, ერიდებოდა ჩვენთან ყოფნას. ამ დროს გამოუცხადა ჩვენი შეთქმულება **ელიზბარმა** ჩემს ბიძაშვილს **ივანე მიხეილის ძე ერისთოვს**, ისიც და **მამუკაც** მოვიწვიეთ ბაღში, მაგრამ მათგან არც ერთი არ მოვიდა, **მამუკამ** თქვა **ივანემ** არ გამომიშვაო, რის გამოც **ელიზბარმა** აგინა **ივანე** თაღლითობისათვის. რამოდენიმე დღის შემდეგ შეხვდა **ივანე** და ეკითხე რატომ არ მოხვედი მეთქი, მან მითხრა, დაიკარგეთ თქვე ბიჭუნებოო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაცხადა თანხმობა. როდესაც მე გამომიცხადა **ელიზბარმა** და მიმიყვანა ალ. **ორბელიანოვთან**, მათ მე მითხრეს, რომ **პაუშენკომაც** იცის ჩვენი შეთქმულებაო, მე შემეშინდა და უთხარი ვაი თუ ამან გაგვცეს მეთქი, **ალექსანდრემ** მიპასუხა იმას კი შენი ეშინიაო, რომ ახალგაზრდა ხარო: თუმცა წინათ მერიდებოდა **პაუშენკო**, როცა **ალექს. ორბელიანოვთან** მოდიოდა ხოლმე, მაგრამ როცა დაინახა, რომ შეთქმულებას გატაცებით მოვეკიდე, მაშინ კი გულახდილად მელაპარაკებოდა, მაძლევდა რჩევას, გვაღგზნებდა, რომ არც დღე და არც ღამე არ უნდა დაიძინოთო, ის ყოველ საღამოს დაიარებოდა **ალექსანდრესთან** და მოჰქონდა ამბები პოლონეთში ესა და ეს ხდება, საფრანგეთში ესა და ესაო.

1831 წელს ერთ საღამოს ერთად დავსეირნობდით მე და **ელიზბარი** და შევხვდით **მამაცოვს**, **ელიზბარმა** გამაცნო იგი. რამოდენიმე დღის შემდეგ **მამაცოვმა** დაგვპატიჟა სადილად ავლაბარში; სადილზე ვიყავით: მე, **ელიზბარი**, **ვახტანგ ორბელიანოვი**, თარჯიმანი **მამაცოვი** და **დავით ჯორჯაძე**, ჩვენ დავლიეთ **დიმიტრი ბატონიშვილისა** და თავისუფლების სადღეგრძელოები, რის შე-

შდეგაც დავიშალენით, მე ღამე **ელიზბართან** დავრჩი და იმან მიამბო, რომ ეს **მამაცოვი** აღზრდილია პეტერბურგში და იცის ჩვენი შეთქმულება და დიდ მონაწილეობას იღებსო. იმასაც იცისო და საჭიროა აჯანყების ღამეს რომელიმე სადარაჯოზე იყოს დაყენებული, რომ ჯარის კაცებმა უზრუნველად დაიძინონო.

1831 წელსავე ჩემს ბიძაშვილს **მანანა ორბელიანოვს** ვაცილებდით მე, **ელიზბარი, ლუარსაბ ორბელიანოვი,** გენერალი **ჭავჭავაძე** და **ალექსანდრე ორბელიანოვი** მეორე.[1]) **ელიზბარმა** სიხარულით მითხრა, რომ დღეს **ლუარსაბმა** გაუმჟღავნა **ჭავჭავაძეს** ჩვენი შეთქმულებაო, თუმცა მასაც სურს აჯანყება, მაგრამ ამბობსო, რომ ძალიან ძნელიაო, მისი აზრით საჭიროა რომელიმე რაზმის (პოლკის) გადმობირებაო, უთქვამს აგრეთვე, რომ ამ საქმეზე **ლუარსაბის** მეტი მე ნურავინ მელაპარაკებაო და რის თქმაც საჭიროა, ძველოდ **ლუარსაბმა** მითხრასო.

რომან ჭავჭავაძეზე არაფერი ვიცი იმის მეტი, რომ მას ჯაშუშად ვთვლიდით; ერთხელ შემხვდა ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა, მე ვკითხე **რომან** ეს რა ქაღალდებია მეთქი, მან მითხრა ამაშია თქვენი ყველას სულიო, არ ვიცი რა აზრით მითხრა ეს.

თამარ ბატონიშვილზე ვერაფერს ვიტყვი იმის მეტს, რომ **ელიზბარმა** მითხრა მან ყველაფერი იცისო; თვითონ მას ჩემთვის შეთქმულებაზე არა უთქვამს რა და არც ჩემი თანადასწრებით ულაპარაკნია ვისმე მასთან ამ საქმეზე.

ჩემი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მივედი გიჭრაზიაში ჩემს უმცროს ძმასთან, იქ შემხვდნენ **ავთანდილოვი** და **ყიფიანოვი, ავთანდილოვმა** მითხრა, რომ ჩვენი განზრახვა გამოუცხადეთ **იასე ფალავანდოვსა** და **ანტონ აფხაზოვსაო.** მე უთხარი **აფხაზოვზე** ამბობენ, რომ ჭკუაზე შემლილია მეთქი, მათ მიპასუხეს, პირიქით, ის ძალიან ჭკვიანი კაციაო, მერე მითხრეს, რომ რამოდენიმე კრება გვქონდა **იასე ფალავანდოვის** ბინაზე და უკვე გვსურდა აჯანყება დაგვეწყოო, მაგრამ რაღაცაზე წავიჩხუბეთ და მივანებეთ თავიო; კიდევ მითხრეს მათ, რომ **ლუარსაბმა** და **ჩოლაყაევმა** ელაპარაკეს **ჭავჭავაძეს,** მაგრამ მან სთქვა, რომ ჯერ არ შეიძლება ხალგაზრდები და გაუნათლებელნი ხართო, აგრეთვე **აფხაზოვმა** ელაპარაკა **ჭილაევსა** და იმასაც უთქვამს, რომ შეუძლებელია, რადგან თავადებს შორის შუღლი არისო, ვიდრე ეს არ მოისპობა არაფერი იქნებაო, — ეტყობა **ჭავჭავაძისა** და **ჭილაევის** აზრი

---

[1]) **ალ. გიორგის ძე ორბელიანი**

ერთი ყოფილაო. — ამასთანავე მითხრა, რომ ეტყობა **დიმიტრი ორბელიანოვიც** ჩვენს მხარეზე ყოფილა, რადგან თავისი სახლის ზემო სართულს გვთავაზობს, რომ მოვაწყოთ წარმოდგენა, დეე რუსებმა დაინახონ, რომ ჩვენც ყველაფერი შეგვიძლიაო. ამ დროს მოვიდნენ ჩვენთან რუსი მასწავლებლები და საუბარი შევწყვიტეთ.

თებერვლის 26. **პრაპორშჩ. თ. გიორგი ერისთოვი.**

თუმცა მე წინათ ვაჩვენე, რომ **პრაპ. მამაცოვთან** სადილზე ჩვენთან იყო აგრეთვე **პრაპ. ჯორჯაძე** მეოქი, მაგრამ, რადგან ხანია გავლილი დანამდვილებით აღარ მახსოვს მართლა იქ იყო იგი თუ არა.

26 თებერვალი, 1833 წ. **პრაპ. თ. გიორგი ერისთოვი.**"

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (IX, 1613).

„მე დავალებული მქონდა მელაპარაკნა **თ. თ. დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვებთან** მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაზე, მაგრამ მე ეს არ შემისრულებია და მათგან ამ საქმეზე არაფერი გამიგონია, როდესაც თავადები **ალ. ორბელიანოვი** და **ი. ფალავანდოვი** მეკითხებოდნენ მათზე, მე ჩემით უპასუხებდი: **თ. დიმიტრი ორბელიანოვი** მზად არის, მაგრამ ეს საქმე შეუძლებელია, რადგან თავადებს შორის შუღლი და დავაა. არც გენ. **მაიორ ჭავჭავაძესთან** მქონია საუბარი, ხოლო **თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა** და **ელიზბარ ერისთოვისაგან** 1831 წ. გავიგონე, რომ მან იცის შეთქმულება და კიდევაც სურს, მაგრამ ჯერ აღსრულების დრო არ არისო; ამაზე მეტი არაფერი ვიცი.

ნათალოვზე არაფერი არ გამიგონია.

თ. დავით თარხანოვზე მღვდელ **ეფრემ ალექსიევისაგან** გავიგონე, რომ ის ჩიოდა მთავრობაზე მისი შევიწროვების გამო საბუთების საქმეებზე და რომ ამის წყალობით თავადებს ბევრი რამის მოთხენა და მამულების დაკარგვა მოუხდებათო; **თარხანოვებზე** მეტი არაფერი ვიცი.

თ. ალ. ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ **თამარ ბატონიშვილი** იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითაო და თვით დედაკაცები დაიწყებენ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენ; მე კი მასთან ამ საქმეზე არავითარი საუბარი არა მქონია.

ბერმონაზონ **იონა ხელაევსა** და წინამძღვარ **ტარასის** ჩემთან არას დროს არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო საუბარი არა ჰქონიათ, მე მათგან არაფერი გამიგონია.

ძალიან ვწუხვარ, რომ არ შეესულვარ იმ მიზეზთა გამოძიე-

ბაში, რომლებიც აიძულებდა ბატონიშვილებს ეფიქრათ საქართველოს დაბრუნებაზე, ამ საქმის აზრი და საშუალებები ჩემთვის მიუწვდომელი იყო და არც არავის უთქვამ ვისმე. მხოლოდ **ოქროპირ ბატონიშვილის** სიტყვებსა ჰქონდა ჩემზე გავლენა, რომელმაც შთამაგონა მთავრობის წინააღმდეგი ჩემი დამღუპველი აზრი. რუსებიო, მეუბნებოდა იგი, შენ თავადობას არ მოგცემენო, შენ ჩვენ არ უნდა დაგვივიწყოო, შეიძლება საქართველო განთავისუფლდეს, შენ სამშობლოზე მეტი უნდა იფიქროო. ყველაფერი, რაც ვიცოდი, გულწრფელად მოვახსენე კომისიას, არაფერი არ დამიტოვებია, გავბედავ კიდევ ვთხოვო ჩემი სიცოცხლის შესახებ, ნუ მომისპობთ მას უსარგებლოდ, მაპატიეთ სულგრძელებით ჩემი სისუსტე, ჩემი შეცდომა, რომელიც ჩემდა უნებლიეთ ჩავიდინე.

ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი**".

თებერვალი[1]) 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IX, 1635)

„საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე, თუ როგორ ვფიქრობ რა გავლენა უნდა ჰქონოდათ უცხოელებს ჩვენს განზრახულებაზე? მაქვს პატივი უპასუხო.

25 თებერვალი 1833 წ.

ს. პეტერბურგში 1828 წ. მე გავიგონე **ირაკლი ბატონიშვილის** ნაანბობი, ის აქებდა რუსულ საღამოებს, რომლებიც გამართული იყო ხემწიფის კურთხევის დროს და ამ საუბრის დროს მან თქვა, რომ **ოქროპირ ბატონიშვილმა** გაიცნო საფრანგეთის ელჩი და სახლშიც ინახულაო, მაგრამ მათ ურთიერთობის შესახებ მე არაფერი ამის მეტი არ ვიცი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (IX, 1645).

„კომისიასა შინა

კითხვასა ზედა კომისიისა მოხსენება — **პირველი** წარსრულს 1831-სა წელსა, ოდესცა თავადმა **გიორგი დავითის ძე ერისთოვმა**, გამაცნო თავის სახლსა შინა იმერელი აზნაური **თეიმურაზ ლორთქიფანიძე**, და მე წყალობა რომ მთხოვა, მან **ლორთქიფანიძემ** ცრემლით და ღარიბი ვარო, და გთხოვო წყალობა რამ ბაჩუქეო,

[1]) რიცხვი არ დაუწერია, ეტყობა საპყრობილეში არ იცოდა რა რიცხვი იყო.

რომელიც თავადმა **გიორგი დავითის ძემ** ერთი შინელი მაჩუქაო, და მე დიდათ შებრალებისა გამო, **ორი**, თუ **სამი** ოქრო ვაჩუქე. და ამ **ლორთქიფანიძეს ელიზბარ** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვნი**, და მე პირად ვეუბნებოდით ხოლმე, ეხლა ინერეთს რომ წახვალ, უთუოთ ეცდები შენ ხალხის მორბილებასა, ვისაც მისი გული ენდობა.—მან **ლორთქიფანიძემ** გვითხრა რომ, წერილით მომეცით დარიგება როგორ მოვიქცეო,—ამის მეორეს დღეს, სადილს უკან მოვიდა ჩემთან **ელიზბარ** და მითხრა, შენ რომ ის სხვა ხელის წერა იცი, იმ ხელით დაწერეო, მასკვან მე უთხარ, რომ აჩვენოს ვისმე მეთქი, არავის არ აჩვენებსო, მასკვან მითხრა ადეგ კარგი ნუ გეზარება, დაწერე, მე გეტყვიო, როდესაც ავდეგ და დამაწერინა, არ ვიცი **რვა** პუნქტი იყო თუ **ცხრა**, ესე იგი **პირველი** ღვინოში გაფთხილდეს უბრალოს ლაპარაკს, **მეორე** ვისაც ენდობოდეს იმას უთხრას ესე ჩვენი განძრახვა და შემდეგნი კი აღარ მახსომს რა იყო, და ან რა დარიგება იყო, რომელიც **გიორგი ერისთოვმაც** ნახა და მოიწონა ის დარიგება დიახ კარგიაო, და ჩვენ სამთავ როგორც მახსომს ერთათ მივეცით ის დარიგების წერილი **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს**.—ერთს სალამო ჟამზე მოვიდა ესე **თეიმურაზ ლორთქიფანიძე** ჩემთან, და ერთი ყმაწვილი კაცი იმერლის თავადიშვილი მოიყვანა ჩემთან, და მითხრა, ეს არის გურიის დიდი კაცის შვილი **ზურაბ ერისთოვიო** და თქვენ გასაცნობათ მოვიყვანეო, როშელიც **ზურაბ ერისთოვმაც** მთხოვა რომ მახლობლად გამეცნა—,მე დიახ პატივი ვეცი დიდი კაცის შვილობისა გამო, და ჩემთან ჩაი დალია, შემდეგ ჩაისა წავიდა ჩემგნით, და წასვლის დროს მთხოვა რომ დიახ ახლო მეგობარი ვყოფილიყავ იმისი, და წიგნი მიმეწერა. რომელსაც შემდეგ რაოდენისამე თვისა წიგნიც მივწერე, ეს კი არ მახსომს, იმისი წიგნი მომივიდა პირველად, თუ მე მივსწერე.—ორივ მოკითხვის წიგნი იყო იმ **ზურაბ ერისთოვისაც** ჩემთან და ჩემიც აგრეთვე მოკითხვისა იყო, იმ ჩემ მიწერილს წიგნში იყო მოკითხვა **თეიმურაზ ლორთქიფანიძისა**, და ესეც რომ რად დამივიწყა მეთქი. იმ **თეიმურაზ ლორთქიფანიძემ** კიდევ ერთი იმერლის, არ ვიცი თავადიშვილი იყო, თუ აზნაურიშვილი, ბრმა იყო ცალი თვალით ისიც გამაცნო. არც **გიორგი ჩიჩოვაძეს** ვიცნობ, არც **ნიკო ჩიჩოვაძეს** არც **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს**, და არც აზნაურს **ზალიკო ჩახუნაშვილსა**, მაგრამ ეს გვარი კი როგორლაც მახსომს. **გრიგოლ წერეთელს** ვიცნობ, მაგრამ თვინიერ ხელმწიფის ერთგულობის მეტი სხვა არა რა წემიტყვია, რა მისი. ჩვენი საზოგადო არას დროს შემწედ არა რაცხდენ იმერეთს ოდესცა **თეიმურაზ ლორთ-**

ქიფანიძე წავიდა იმერეთში, მას შემდეგ მე იმისი აღარა ვიცირა. იმ **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს** ნამდვილად ახლო ნცნობნი, **ელიზბარ** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვნი, ზაქარია** ციციანოვი და ჩემი ძმა **ვახტანგ** ესენი არიან და რომელთაც ვგონებ რომ იცნობდენ **სოლომონ დოდაევი, ზალ ავთანდილოვი** და **იოსებ მამაცოვი.**

მეორე დუშეთის ისპრავნიკის **პაუშენკოს** გარემოება ესენი არის, და იმ **პაუშენკოს** რჩევა ესენი უთქონს ჩემთვის რაც მახსომს, და მაგონდება ,ესე იგი უნდა საზოვადო გაამრავლოთ, და შემდეგ როდისაც ყოველმა იყაბულოსო, მასკვან ყველგან ისე დაწყობილი უნდა იყოს საქმე, რომ ერთს სათს უნდა მოხდეს აღსრულება, და ყოველს პოლკებს ერთს სათში უნდა დაესხათო, იმ პოლკებში ქართველი ოფიცრებიც უნდა მოზიდული გყვანდეთო, რომ ინ ოფიცრებმა უნდა დაუწყონ ლაპარაკი სალდათებსო რომ მოიზიდონო, სალდათი ადვილად მოიზიდება, და მოტყუვდებაო, შემდეგ პოლკებს რომ მოისყიდითო, მასკვან თქვენ იქნებით იმათი ბრძანებელიო, და როგორც გინდათ ისე ნოიხმარებთო, და სადაც შემოსასვლელი ადგილები აქვთ, რუსეთიდგან ჯარსაო, იქ დაყენებთო ამ მოსყიდულ ჯარსაო, და ველარაოდეს ვერც შემოგივლენ რუსეთიდგან ჯარებიო, ამისთვის რომ მაგარი ადგილები აქვს საქართველოს, ამაში ქართველებმაც ჯარები გაწყეთო, და მაშინ სულ აღარას დროს აღარ შეიძლება რუსების აქ შემოსვლაო,—კიდევ ესო რომ დიდრონს კაცებს შორის ხმა დაჰყარეთ რომ მითომც იმათ რუსეთში გადარეკას უპირებენო, და ამას რომ გაიგონებენ, მაშინვე თითონ ისინი შეუდგებიან, და ბუნტს მოახდენენო, რომელიც ხმაც დავყარეთ რომ ვითომც დიდრონის კაცების გადასახლებას აპირებდნენ რუსეთში, მე და ამ **პაუშენკოს** დიახ ხშირად გვილაპარაკნია ერთათ,—ბაგრამ ეს კი არ მახსოვს რომ ვითარ გავიცან ამ ჩვენ განზრახვასა ზედა, რომელიც თავად **ელიზბარ ერისთოვი** მე გავაცან, **პაუშენკოს** და იმასთანაც ბევრჯელ ულაპარაკნია,—სხვანი კიდევ იცნობდნენ **პაუშენკოს** ამ ჩვენს განზრახვასა ზედა, ჩემი ძმა **ვახტანგ** თავადი **გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ივანე მიხეილის ძე ერისთოვი,** და მგონია კარნეტი **გიორგი ერისთოვიც** იცნობდა, ამ ჩვენს აზრსა ზედა, შემდეგ მოსვლისა მის **გიორგისა.**

მესამე კოლეჟსკი სოვეტნიკის **ანდრეი აიკოვლიჩის მელნიკოვისა,** არა ვიცირა თვინიერ ამის მეტი, რომ მთავრობისა დიდი მომდურავი იყო, და უკმაყოფილო, და ესეც ბევრჯელ გამიგონია **მელნიკოვისაგან** რომ, ეს **ზავილეიცკი** ასე აწუხებს ხალხსაო რომ ბუნტს მოახდენს, თუ არ გამოსცვალესო, — **მეოთხე,** პრაპორშჩიკ

მამაცოვთან მე ამ ჩვენს განზრახვასა ზედა არა მილაპარაკნია რა, მაგრამ ვიცოდი რომ რუსეთში ბატონიშვილს **დიმიტრისაგან** ჰქონდა ჩაგონებული, ამისთვის რომ **ელიზბარ ერისთოვისაგან** გამიგონია, და აქ **ელიზბარ ერისთოვსაც** მგონია რომ ხშირად ჰქონიყოს ლაპარაკი, ამ **მამაცოვთან. მეხუთე** 1831-სა წელსა აღარ მახსომს ზაფხული იყო თუ გაზაფხული, ერთს დღეს წუადღისას ადრე შევხვდი, მღვდელს **ეგნატი იოსელიანოვს,** პოლიციის მეიდანზე, და ლაპარაკი დაუწყე, და ლაპარაკსა შორის უთხარ მაშაო **ეგნატი** მეთქი, ახლა მე ვაპირებ რომ ყიზილბაშში წავიდე მეთქი,—მითხრა რათაო,—ამისათვისა მეთქი, რომ ჯარები უნდა მოვიყვანო და აქედამ რუსები უნდა გავიყვანო ნეთქი,—მითხრა ეგ როგორ შეიძლებაო, — აღარ გახსომს **ბაზადა აბაზ მირზას** სამოცი ათასი კაცი ჰყვანდა გაწყობილიო,—და კნიაზ ვარშავსკი, ღრაფ ერევანსკი **პასკევიჩმა** სამი ათასი კაცით დამარცხაო, ეგ რა საფიქრებელი არის რაც შენ ფიქრობო, მასკვან გაიცინა, და მითხრა შენ უთუოდ მეხუმრებიო, და ნე ამის პასუხსა ზედა აღარა უთხარრა, და მცირეს ხანს უკან გავეყარე.—ამ დროებში კიდევ არ ვიცი სადღაც შემხვდა და კიდევ ლაპარაკსა შორის, უთხარ მამაო **ეგნატი** მეთქი არ შეიძლება რომ საქართველო განთავისუფლდეს რუსებიდგან მეთქი,—მასკვან მითხრა ეგ არასდროს საფიქრებელი არ არისო, და თუნდა მაგალითად ისიც ვთქვათ, რომ საქართველო თავისუფალი არისო,—ხედამ **ალექსანდრეო** იგრგვლივ რამთენი რიგი ხალხი ასხედსო,—მეორეს დღეს სულ ერთიანად აგვიკლებენ, და წაგვახდენენო, ღმერთმა ნურა ქართველს კაცს ნუ აფიქრებინოსო, შემდეგ ამისა მე აღარ მახსომს რომ ნე იმ **ეგნატი** ღვდელთან შერთება რაძ მქონიყოს. და ან ლაპარაკი. **მეექვსე**—ჩვენ საზოგადოს, სტაცკის სოვეტნიკს **ჩილაევზე** ფიქრი გვქონდა ესრეთ რომ ვითომც, იმას აზრი ექნებოდა ჩვენის საგნისა, ამისთვის რომ, რადგანაც ჭკვიანი და გონიერი კაცი არის უთუოდ, ეს აზრი ამასაც უნდა ჰქონდესო, არამც მარტო **ჩილაევზე,**- ვინც საქართველოში ჭკვიანი კაცნი გვეგულებოდნენ, ყველაზე იჭვი გვქონდა რომ იმათაც ფიქრი ექნებათო. და **მეშვიდე** თავადი **გიორგი დავითის ძე ერისთოვი,** ოდესცა კახეთიდგან ჩამოვიდა, და ერთს დღეს სასამართლოდგან მოვდიოდი ჩემს სახლში, ამ დროს **მელნიკოვის** სახლის ფანჯარა ღია იყო, და იმ ღია ფანჯრიდგან **ელიზბარ ერისთოვმა** დამინახა აქ ამოდი საქმე მაქვსო, ოდესცა ავედი, იქ იყო თვით **ელიზბარ, დიმიტრი** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვნი.** დავხედე სტოლზე რაღაც რვეული იდო ქაღალდისა,—ოდესცა დამინახეს

მითხრეს აქ მოდი რა წაგიკითხოთო, მივედი, და მითხრეს სამი **თითი** მაღლა აიღეო, და იმ სამთაც მაღლა აიღეს, და მეც ამაღებინეს და ის რვეული, არ ვიცი ვინ წაიკითხა **ელიზბარმა** თუ **გიორგიმ** ფიცისა და სიყვარულისა ზედა—იყო დაწერილი, რომელიც კომისიასა შინა მდებარეობს. — მასკვან მე უთხარ ვისი დაწერილი არის მეთქი.—მასკვან **გიორგი ერისთოვმა** მითხრა ესე **კიკნაძე** ბერის დაწერილი არისო, ეხლა რომ კახეთს ვიყავ იმან მამცაო. მასკვან მე უთხარ, ეგ ძალიან მაღლა არის დაწერილი მეთქი, და მიტანეთ შინ წავიღო, იქ გულდაპყრობით წავიკითხამ სწორედ გავიგონო მეთქი.—გამოვართვი ერთი ღამე მე მქონდა მეორეს დღეს არ ვიცი ჩემა ამხანაგთაგანმა ვინ გამამართვა, და წაიღო, შემდეგ ალარ მინახავს ის აკტი, და ან ვის დაუფიცნია იმაზე ისიც არ ვიცი, და არც მახსომს.

ჰოდპორუჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**".

24-ს თებერვალს 1833-სა წელსა.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (IX, 1653).

1831 წელს ჩემი ძმა **ალექსანდრე** და **ელიზბარ ერისთოვი** ამბობდნენ, რომ **პაუშენკომ** იცის ჩვენი შეთქმულებაო, მე ვიცი, რომ მათ ორჯერ ელაპარაკეს ჩემი თანადასწრებით ამ საგანზე, როგორც მე მახსოვს **პაუშენკო** ურჩევდა მიემხროთ გენერალი **ჭავჭავაძე** და სხვა უფროსი თავადები.

მე გავიგონე პორუჩ. **ნათალოვისაგან** ეს სიტყვები: წარმოგიდგენიათ რა გავიგე მე ერთმა მოხელემ მითხრა, ვითომც **ზავილეისკი** აქ შეთქმულებას აწყობდეს მთავრობის წინააღმდეგ და თითქოს უკვე მოუხერხებია 30 მოხელის მიმხრობა.

როდესაც მე ვცხოვრობდი ჩემ ძმა **ალექსანდრესა** და **თ. აფხაზოვთან** ერთად,[1]) გავიგონე მათი შემდეგი საუბარი: მე ვთქვი კომისიაში — უთხრა **თ. აფხაზოვმა** ჩემ ძმა **ალექსანდრეს, რომ ნათალოვმა** იცოდა თქვენი შეთქმულება. ვინ გითხრა შენ—ჰკითხა ჩემმა ძმამ,—რომ მან იცოდა ჩვენი შეთქმულება. შენ მითხარ მეო,—უპასუხა **აფხაზოვმა**. როდის გითხარ მე შენ ეს. ჰკითხა ჩემმა ძმამ. როგორ. შენ არ გითქვამს, რომ **ნათალოვმა** იცოდა ჩვენი შეთქმულება. მიუგო **აფხაზოვმა**. — არა მე არ მითქვამს, უპასუხა ჩემმა ძმამ. ამ საუბრის შემდეგ **აფხაზოვი** ოთახიდან გავიდა. მე ვკითხე ჩემ ძმას. **ნათალოვმა** განა იცოდა შეთქმულება.—დიახ, ძმაო — მიპასუხა ჩემმა ძმამ-მე უთხარი მას.

---

[1]) იგულისხმება საპყრობილე

ამის მეტი **ნათალოვზე** მე არაფერი ვიცი, და წინად არაფერი გამიგონია მასზე, იცოდა თუ არა მან ჩვენი შეთქმულება და არც ის გარემოება ვიცი, რომელსაც ჩემი ძმა მასზე აჩვენებს.

1831 წელს **გიორგი დავითის ძე ერისთოვმა** გააცნო ჩემს ძმას იმერელი **ლორთქიფანიძე,** რომელსაც ჩემი ძმა **ალექსანდრე, ელიზბარ ერისთოვი** და **გიორგი დავითის ძე ერისთოვი** ელაპარაკნენ შეთქმულებაზე და რომელმაც აღუთქვა ხელი შეეწყო. ბ[illegible]ათ განზრახულებისათვის იმერეთში. და მერე, რაც ის წავიდა, მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.

ერთ კვირა დღეს, დილით, 1832 წლის ოქტომბერში მოვიდა **ჩვენსა თ. იასე ფალავანდოვი,** ჩემი ძმა სახლში არ იყო და მას მხოლოდ მე დავხვდი. ჯერ სხვა რამეებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა: **ელიზბარი** ამბობს, რომ მას შეუძლიან ელაპარაკოს **მელნიკოვს** და ჩვენსკენ გადმოიბიროსო.

1831 წელს გაზაფხულის პირზე პრაპ. **მამაცოვთან** იყვნენ სადილად: **ელ. ერისთოვი, გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ჯორჯაძე, იოსებ მამაცოვი** და მე. ჩვენ იქ დავლიეთ თავისუფლებისა და **დიმიტრი ბატონიშვილის** სადღეგრძელოები და ვთქვით სხვადასხვა, მთავრობის შეურაცხსაყოფელი, სიტყვები. როდესაც კი პრაპ. **მამაცოვს** ეუბნებოდნენ, რომ დროა რუსები საქართველოდან გავიეკოთო, ის დიდი ხალისით აცხადებდა ამ საქმისთვის მზადყოფნას.

მე გავიგონე ჩემი ძმისაგან, რომ **თ. ივანე ბარათოვმა იცის** ჩვენი შეთქმულებაო. **მღვდელ იოსელიანზე** არაფერი არ ვიცი.

1832 წელს გაზაფხულის პირზე წავედი **თ. ელ. ერისთოვთან,** სადაც დამხვდნენ თვითონ იგი, მისი ძმა **დიმიტრი, გიორგი დავითის ძე ერისთოვი.** მაშინ **გ. ერისთოვმა** ჯიბიდან ამოიღო აქტი, რომ იმაში სწერია რომ საჭიროა ფიცი. მან ასწია მარჯვენა ხელი და დაიწყო აქტის კითხვა. ჩვენ ამაზე სიცილი აგვიტყდა, მანაც შეწყვიტა კითხვა და სიცილი დაიწყო.

დოდაევთან რომ ვიყავით ვახშამზე, გავიგონე **ი. აფხაზოვისაგან** ეს სიტყვები: კარგად მოიფიქრეთ, თუ თქვენ მართლა შეადგენთ შეთქმულებას მთავრობის წინააღმდეგ, მაშინ მე შემიძლიან მოვიმხრო **იაგორ ჭილაევი.**

1833 წ. თებერვლის 28 **თ. ვახტანგ ორბელიანოვი".**

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (IX, 1657).

„1832 წ., მგონია **ნოემბრის** პირველ რიცხვებში, მე და ჩემმა ძმამ **ელიზბარმა** გაუმჟღავნეთ ჩვენი განზრახულება **მანანა ორბე-**

ლიანს, ეს მოხდა შემდეგ ნაირად: ის, როგორც ახლო ნათესავი, ხშირად დაიარებოდა ჩემ დასთან, სადაც საერთოდ ვსაუბრობდით ხოლმე, ბოლოს, როგორც მე უკვე ზევით გამოვაცხადე, ნოემბრის პირველ რიცხვებში **მანანა ორბელიანი** იყო ჩემ და **მელანია მელნიკოვის ცოლთან,** სადაც მე და ჩემმა ძმამ დაუწყეთ სხვა და სხვა ამბების მოყოლა ისტორიიდან და პოლონეთის უკანასკნელი მოძრაობიდან, რომ დედაკაცები სასწაულებს ახდენენ, და რომ ესენი სულაც არა ჰგვანან იმ ქალებს;—შემდეგ შევეკითხეთ აქაც რომ რაზე მოხდეს თქვენ რას იზამთო". მან გვიპასუხა: „როგორც სხვა ქალები მეც ისე მოვიქცევიო". ამის შემდეგ გამოუცხადეთ მას ჩვენი განზრახულება. ის შეაკრთო ამ ჩვენმა წამოწყებამ: „რას ამბობთ, ჭკუაზე შეიშალეთ, თუ დამცინით როგორც გაუნათლებელ ქალს; განა ეს საქმე მოსახერხებელიაო. თქვენვე ლაპარაკობთ პოლონელების აჯანყებაზე, მაგრამ რა გააკეთეს იმათაო და მით უმეტეს ჩვენ ხომ თითქმის არა რა ვართ რუსეთის ძლიერებასთანაო". ჩვენ უპასუხეთ, რომ ისინი პოლონელები არიან და ჩვენ კი ჩვენა ვართო. თუმცა საწინააღმდეგოს ამბობდა, მაგრამ ისე იყო ალმოდებული ჩვენი სიტყვებით, რომ დაიჯერა თითქოს, ჩვენ მართლა რისამე გაკეთება შეგვძლებოდა; ამის შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ მას, შთააგონოს მაიორ **ლუარსაბ ორბელიანოვს,** რათა მან მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში. ის დაგვეთანხმა ამ საუბარს დაესწრო აგრეთვე **მელანია მელნიკოვის ცოლი,** რომელმაც **ელიზბარს** უთხრა: „აი თურმე რისთვის იკრიბებოდით ხოლმე 1831 წ. **ალექსანდრე ორბელიანოვის** ბაღშიო". **მანანამ** გვთხოვა შეგვეწყვიტა ამაზე ლაპარაკი, რადგან შეიძლება ვინმე ყურს გვიგდებსო და ჩვენც საერთო საუბარზე გადავედით.—რამოდენიმე დღის შემდეგ **ლუარსაბ ორბელიანოვთან** ვიყავ, სადაც **მანანა ორბელიანოვმა** მითხრა: „ღვთის გულისათვის განაგდე შენი თავიდან ეს სისულელე, ნომ ხედავ მაიორი **თ. ლ. ორბელიანოვი** როგორ უგულოდ ამბობს: ჰო, კარგი.—თვითონ დაფიქრდით, განა ამ გაუგებარი საქმის გაკეთება შეიძლება, ყოველ შემთხვევაში. ეს ჩემთვის გაუგებარია და რად გინდათ თქვენი მოუფიქრებლობით თქვენი თავიც დაჰღუპოთ და ჩვენც; ღმერთმანი ვინც ჩვენ სახლს არაკეთილ მოსურნე ჰყავს პირველნი გაგვცემენ. და მაშინ?" როგორც პირველ კითხვებზე პასუხის დროს მქონდა პატივი გამომეცხადებინა, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში მე და ჩემმა ძმამ ხელი ავიღეთ ამ საქმეზე, ამას ადასტურებს **თ. ბიძინა ერისთოვის** სიტყვები, რომელმაც მიუთითა ჩემზე **ალექს. ორბელიანოვთან** რომ ვიყავით,

სადაც კორნეტი **გიორგი ერისთოვიც** დაესწრო და თქვა: „აი ესა და მისი ძმა არიან მიზეზი, რომ ეს საქმე იშლება“-ო. მე **მანანა ორბელიანის** სიტყვებით უპასუხე: „მოიღე მოწყალება, ნულარ გაგ-მახსენებ ამ საქმეს“ მეთქი და გაკედი მეორე ოთახში, სადაც სტუ-მრები ისხდნენ. ჩემი და **მელანია მელნიკოვის ცოლიც** არა ერთ-ხელ გვიმეორებდა, რომ ხელი აგველო ამ უგუნურ საქმეზე. აი ყვე ლაფერი, რაც ვიცი **მანანა ორბელიანზე** და **მელანია მელნიკოვის ცოლზე.**

მე **ბატონ მელნიკოვთან** არა მქონდა საუბარი ამ საგანზე, მაგ-რამ ერთხელ ჩემმა ძმამ, როგორც მახსოვს ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, მითხრა: „გამიგონე ძმაო, მე მინდა ჩვენს სიძეს რჩევა ვთხოვო, შენ რას იტყვი, შენი ნება არის მეთქი“. უპასუხე მე.

მე არ ვიცი რა სიტყვებით ელაპარაკა ჩემი ძმა **ელიზბარი** მას, მე კი უბრალოდ მითხრა, რომ ის ელაპარაკა **ბ. მელნიკოვს,** რომელიც არ გვირჩევს ამ საქმეზე ფიქრს და მთხოვა, რომ მას ამაზე აღარ ველაპარაკოთ. ამის მეტი არაფერი ვიცი **ბატ. მელნი-კოვზე.**

თ. მამუკა ორბელიანოვთან ამ საქმეზე არავითარი ლაპარაკი არა მქონია. მაგრამ გამიგონია ჩემი ძმისაგან და **თ. ალ. ორბელიანო-ვისაგან,** რომ მან 1831 წ. გაიგო ჩვენი განზრახულება, ხოლო 1832 წელს იცოდა თუ არა, მე არ ვიცი.

იმერეთის შესახებ არაფერი არ ვიცი და არც არა გამიგონია რა იმის მეტი, რომ **თ. ალ. ორბელიანოვი,** სიცილით ამბობდა, რომ მათ 1831 წ. გაგზავნეს ვილაც იმერელი, რომ მოელაპარაკნა იქა-ურ თავადებთან და შეედგინა იქაც ბოროტგანმზრახველთა ჯგუ-ფი; მაგრამ მან საჩუქრები გაწოვტყუა და დაიკარგაო.

ბატ. **პაუშენკოს** მე არ ვიცნობდი; მხოლოდ გამიგონია **თ. ალ. ორბელიანოვისა** და ჩემი ძმა **ელიზბარისაგან,** რომ 1831 წელს მან იცოდა ჩვენი განზრახულება, 1832 წელს კი არ ვიცი მან იცოდა თუ არა იგი; ამის მეტი იმაზე არა გამიგონია რა.

პრაპ. **მამაცოვი** არ მახსოვს და არც არა გამიგონიარა იმაზე.

არტილერიის პრაპორჩ. **თ. დიმიტრი ერისთოვი“.**

1833 წლის 28 თებერვალი.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (IX, 1659).

„1833 წ. თებერვლის 28 რიცხვსა, მაქვს პატივი გამოვაც-ხადო საგამომძიებლო კომისიის წინაშე ის, რაც ეხლა გამახსენდა:

გასული 1832 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში **თ. ელ. ერისთოვმა** მითხრა: „გენ. მაიორ **თ. ალ. ჭავჭავაძეს** ჩვენი

განზრახვა განუხორციელებლად მიაჩნია, არ ეგვეთანხმება და გვარწმუნებს, რომ ქართველებს არა აქვთ რუსეთის მთავრობაზე საჩივრის მიზეზებიო და თვით თ. **აფხაზოვი**, რომელიც წინად ჩვენი თანახმა იყო, ეხლა თითქმის იმავე აზრისაა, როგორც **თ. ჭავჭავაძე** და **ამბობს**, რომ ამჟამად ხალხი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ნაკლებ განათლებულნი არიან, ამიტომ ამ საქმეზე ფიქრი ჯერ ნაადრევია"-ო. **ელიზბარ ერისთოვმა** თქვა აგრეთვე, რომ რადგან **თ. აფხაზოვისა** და **თ. ჭავჭავაძის** აზრები ერთნაირია, **ჭავჭავაძე** დიდხანს არაფერს ამბობდა გადაწყვეტით, როცა ამ განზრახულების გამო მას რჩევა ვთხოვეთო, და თვით გვარდიის კაპიტან **ზაქარია ჩოლაყაევთან** შეხვედრა, რომელთანაც **ჭავჭავაძეს** ამ საქმეზე უნდა ესაუბრნა, რამოდენიმეჯერ გადადვა,—მე ბგონიაო, რომ მათ ამის შესახებ ვილაცას ჰკითხეს, ხოლო რადგანაც **თ. ჭავჭავაძე** და **აფხაზოვი** დიდი მეგობრები არიან „სტატსკი სოვეტნიკ" **ჭილაევისა**, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იმან დაუშალა მათ ეს საქმეო.

პრაპ. გიორგი ერისთოვი, ლაშქრობიდან რომ დაბრუნდა იმავე დეკემბერში, მოვიდა ჩემთან და მასწ. **ყიფიანოვთან** გიმნაზიაში. სადაც ლაპარაკში შიგა და შიგ გვეკითხებოდა, თუ რაზედ შეჩერდა ჩვენი განხრახვა და რა ხდებოდა მის აქ არ ყოფნის დროს, რამდენადაც დრომ ნება მოგვცა, ჩვენ მოკლეთ უამბეთ მას ის, რაც მის იქ არ ყოფნის დროს ხდებოდა და გადავეცით აგრეთვე გენ. მაიორ **თ. ჭავჭავაძის** და **თ. აფხაზოვის აზრი**, შემდეგ მან **ერისთოვმა** გვითხრა, რომ ლაშქრობაში ახლოს გაიცნო **დავით დადიანი**, და რომ მან მასში შენიშნა პატრიოტობა. გარდა ამისა მაქვს პატივი დავსძინო აგრეთვე, რომ **ალ. ორბელიანოვი** მსჯელობდა თავის განზრახვებზე და ამბობდა, რომ **ორბელიანოვთა** საგვარეულოდან, თუ საჭირო იქნება, მას შეუძლიან გამოიყვანოს კარგი ბიჭები, აი მაგალ., მას იმედი აქვს **მამუკა** და **ალექსანდრე ორბელიანოვებისა**, მაგრამ **მამუკას ძმა დიმიტრიზე** ეჭკობს. არაო, უპასუხა **თ. ზაქარია ჩოლაყაევმა**, **თ. დიმიტრი ორბელიანოვი** არც თუ ისე ერთგულია რუსეთის მთავრობისა, რამდენადაც მე მასთან საუბრის დროს შევნიშნეო, მე და **სოლომონ ივანეს ძე**[1]) ამის წინად მასთან ვიყავით სადილად და უნდა გაგეგონათ რა ილაპარაკაო, **მან** პირველმა დაიწყო რუსი მთავრობის გინება და შერე **დოლაევმა** თქვა, **დიახ, დიმიტრი** ეხლა ცოტა გამოცვლილიაო; ის თხოულობს

[1]) ს. ი. დოდაშვილი

ახალგაზრდებმა მის სახლში რომელიმე ქართული კომედია ითამაშონ და განზრახვა აქვს იმ დღით გამართოს საღამო (ბალ), რათა დაამტკიცოს, რომ ქართველებიც რაღაცას წარმოადგენენ; **დოდავი შემდეგშიაც გვეუბნებოდა მე და ყიფიანოვს,** რომ, თუ ჩვენ თანახმა ვიქნებით კომედია წარმოვადგინოთ, **დიმიტრი ორბელიანი** თავის დარბაზს გვთავაზობსო.

მასწ. **ავთანდილოვი**".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1667).

„კომისიას!

როდესაც გამოუცხადეთ ჩვენი შეთქმულება იმერელ **ლორთქიფანიძეს** და ვავისტუმრეთ იგი იმერეთში, მაშინ მან მე მთხოვა ერთი ნაბადი, ბაგრამ მე ნაბდის მაგიერ ერთი ფარაჯა ვაჩუქე, **ალ. ორბელიანოვმა** კი ხუთი მანეთი, თუ არ მახსოვს მეტი, აჩუქა. მან აღგვითქვა, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ წარმატებით დაბრუნდებოდა, ის ძალიან გვაიმედებდა ჩვენ. მაგრამ გავიდა რამოდენიმე თვე და ჩვენ მისგან არა მიგვიღია რა, არც თვითონ ჩამოვიდა; მე და **ალექსანდრე** ვიცინოდით და ვამბობდით იმ ცბიერმა იმერულად მოგვატყუილაო; **ალ. ორბელიანოვს** არ შეუღია არავითარი ცნობა თორემ ის მე მეტყოდა.

თ. ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეს

ბესო ლორთქიფანიძეს,

ზურაბ წერეთელს

ზურაბ ერისთოვს

ზალიკო ჩახუნაშვილს

ამ ზემოხსენებულ პირთ სრულებით არ ვიცნობ (და მათზე არაფერი გამიგონია.

26 თებერვალი[1])

პრაპ. თ. გიორგი ერისთოვი".

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (IX, 1669).

„სამოსწავლო" ბათალიონი"-ს ოფიცრებ **ნათალოვისა** და **ჯორჯაძის** შესახებ მე უკვე მოვახსენე კომისიას.

სასწავლო „ბათალიონისავე" ოფიცერ **მამაცოვის, ახვერდოვის, ხერხეულიძესა** და **თ. ივანე ბარათოვზე** სრულებით არაფერი გამიგონია, აგრეთვე არც „კოლეჟსკი სოვეტნიკ" **მელნიკოვზე** გამიგონია რამე.

---

[1]) 1833 წელია

იმერეთის შესახებ კი **ალ. ორბელიანოვისაგან** ვიცოდი, როგორც ეს ჩემს ჩვენებაში მოგახსენეთ, რომ მან იმერელ აზნაურს **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს** აჩუქა, არ მახსოვს სწორედ რამდენი ჩერკონეცი, რათა მას გაევრცელებინა იმერეთში, ხმა რომ რუსები საქართველოში ჯარის კაცებს აგროვებენ და ამის გამო იქ ჯანყიაო, რაც მან აღუთქვა, რომ შეასრულებდა.

პაუშენკოს შესახებაც ხომ უკვე მოვახსენე კომისიას.

1833 წ. თებერვალი.[1])

„თ. იასე ფალავანდოვი"

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1675).

„მართალია მე დავიარებოდი **მელნიკოვთან**, მაგრამ არას დროს არ გამიბედნია მასთან ამ საგანზე ლაპარაკი. ვიცი მხოლოდ, რომ საუბრის დროს მას თავი მალოროსიელად მოჰქონდა, აგინებდა, უნიზეზოდ რუსეთის მთავრობასა და რუსებს. ამიტომ მე ეჭვი მაქვს ხომ არ იღებდა ის ამ საქმეში მონაწილეობას. ამის მეტს იმაზე ვერაფერს ვიტყვი და არც არა ვიცი რა, იყო თუ არა მართლა ის ამ საქმის მონაწილე. მის ცოლს **მელანიასთან** კი მილაპარაკნია ამ განზრახულებაზე და მან ეს ადრეეც იცოდა".

პორუჩიკი თ. ერისთოვი".

1 მარტი, 1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1681).

„**დავით დადიანზე** რომ უჩვენებიათ **ავთანდილოვსა** და **ყიფიანოვს**, ვითომც მე მათთვის მეთქვას, რომ ნე ლაპარაკი მქონდა ჩვენს შეთქმულებაზე **დავით დადიანთან** და მან მოიწონა იგი, თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო მეთქი,—სიმართლეს არ შეეფერება, მე მათ უთხარი მხოლოდ, რომ **დ. დადიანი** ახლოს გავიცანი და ვპოვე მასში დიდი პატრიოტი, იგი ჭკვიანი ახალგაზრდაა და შეიძლება ჩვენი გავხადოთ მეთქი.

პოლონელებზე რომ უჩვენებია **ავთანდილოვს**, ვითომც მე მეთქვას მისთვის, რომ მე ლაშქრობის დროს მრავალ პოლონელ ოფიცერს გამოუცხადე ჩემი შეთქმულება მეთქი-მართალი არ არის, მე მისთვის ეს სრულიადაც არ მითქვამს არასოდეს. მე ლაშქრობის დროს ვიცნობდი პოლონელ ოფიცერთაგან: **პოტოცკის,**

---

[1]) რიცხვი არ დაუწერია

პონინსკებს ორივე ძმებს, **პრიჩესლავსკისა** და **დოლგერტს.** მოხსენებულ პირთაგან არავისთვის არა მითქვამს რა, ხოლო გადმოსახლებულ პოლონელ ჯარისკაცთაგან არავის არც კი ვიცნობდი.

აკტი პირველად წაუკითხე **ყიფიანოვსა** და **ავთანდილოვს, ყიფიანოვის** სახლში, მათ გაიმეორეს ფიცი. ამის შემდეგ წაუკითხე იგი **ალექსანდრე ორბელიანის** სახლში. მას, **ვახტანგსა** და **ელ. ერისთოვს;** ამათაც გაიმეორეს ფიცი, ბაღში წაუკითხე ჯერ მე **რაზმაძეს** და მერე იმან მე წამიკითხა, მაგრამ არ მახსოვს გაიმეორა თუ არა იმან ფიცი; ჩემს ბინაზე წაუკითხე იგი თარჯიმან **მამაცოვს** და მგონია იმანაც გაიმეორა ფიცი, **ჯორჯაძეს** არ ძახსოვს სად წაუკითხე და ვინ წაუკითხა. ამის შემდეგ მე იგი **დოდაევმა** გამომართვა.

მანანა ორბელიანისა არ ვიცი 1831 წ. იცოდა თუ არა ჩვენი შეთქმულება; მე მასთან არ მილაპარაკნია და არც არავის უთქვამს მან იცისო.

როდესაც გავგზავნეთ **ლორთქიფანიძე**[1]) ჩვენ მას მივეცით წერილობითი დარიგება, რომელიც არ შემიძლიან მთლიანად გავიხსენო, რადგან ის მე კი არ დამიწერია, **ალ. ორბელიანოვმა** დაწერა. ის შეიცავდა პირველ ყოვლისა, რომ უცბად არავისთვის უნდა გამოეცხადებინა, მეორე, უნდა გაეგო ჯერ როგორი ხასიათისა იყო ადამიანი და შეიძლებოდა თუ არა მისი ნდობა და მერე თანდათანობით გამოეცხადებინა; მესამე—ვისაც გამოუცხადებდა, მისთვის უნდა მიეცა დარიგება, რომ იმასაც სხვებისთვის ამ ნაირადვე გამოეცხადებინა; ამის მეტი არა მახსოვს რა იყო ლა რამე თუ არა; **ლორთქიფანიძეს** ჩვენთვის არ უთქვამს, რომ მან წერაკითხვა არ იცის და ამიტომ მივეცით იგი. კოჭლ კაცს რომ იხსენიებს **ალექსანდრე,** რომ **ლთრთქიფანიძეს** გაუცნობებია მისთვის, მე ვერც ვიცნობ და არც მინახავს, არც **ალექსანდრეს** უთქვამს ჩემთვის იმაზე არაფერი.

პრაპორშჩ. თ. გიორგი ერისთოვი".

I მარტო[2])

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (X, 1687).

„მე მითხრა **ვახტანგ ორბელიანოვმა** 1832 წ. ნოემბერში, თამარ **ბატონიშვილმა** თქვაო, რომ **თ. თ. თარხანოვებიც** მთავრო-

---

[1]) შეთქმულების ჭასავრცელებლად მისი გაგზავნა იმერეთში იგულისხმება.

[2]) 1833 წ. უნდა იყოს.

ბის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენო. მე და **ვახტანგი** წავედით ბატონიშვილთან და ვკითხეთ ვისგან გაიგო **თარხანოვების** ამბავი. მან გვიპასუხა, რომ, **მართა მესხიევმა** უთხრა მას იგი, მაგრამ ვერ გაბედა დაწვრილებით გამოეკითხა მისთვის. მე თვითონ ვკითხე **მართას,** მაგრამ სრულებით არაფერიღა შითხრა. ნოემბერში ჩემთან იყო **დავით თარხანოვი** და ვლაპარაკობდით ჩვენს მამულზე, მე უთხარი ისე ვართ ერთი მეორეს დაშორებული, **რომ** ერთმანეთს არაფერს ვენდობით მეთქი. ალაყაფის კარებში რომ გადიოდა ნითხრა: „დღეის შემდეგ მე შენ გამოგცდიო". ძე უპასუხე ძალიან კარგი მეთქი. ეს საუბარი უამბე ყველას და **იასე ფალავანდოვსაც,** მან აღმითქვა, რომ შეიტყობდა **დიმიტრი თარხანოვის** აზრებს, მაგრამ მას არაფერი უთქვამს და არც არაფერი გაუგია. ამის შემდეგ მე მივედი **დავით თარხანოვთან** მოსალაპარაკებლად, მაგრამ მისვლისთანავე შემომყვნენ მისი კაცები, რომლებიც მის შვილთან ერთად ლაშქრობაში იყვნენ; შემოვიდა აგრეთვე მისი შვილი **ალექსანდრე** და ამიტომ ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე, ცოტა ხნის შემდეგ წავედი. ამის მერე აღარ მინახავს იგი, მას თან აღარ ვყოფილვარ და არცარა ვიცირა მის შესახებ.

ივანე ზაალის ძე ბარათოვზე ჯერ ისევ 1831 წ. სოვეტნ. **ალ. ორბელიანოვმა** მითხრა, რომ **ბარათოვს** ველაპარაკე და აღმითქვა, რომ ბიიღებს მონაწილეობას ჩვენს განზრახულებაშიო, მე კი პირადად არ ვიცნობ **ბარათოვს** და არც მილაპარაკნია მასთან. **ალ. ორბელიანოვმა** სხვების თან დასწრებით ილაპარაკა **ბარათოვის** მონაწილეობაზე.

დიმიტრი პაუშენკოვი[1]) 1831 წ. სოვეტნ. **ალ. ორბელიანოვმა** გამაცნო და შეთქმულებაც მანვე გამოუცხადა იმას პირველად. **პაუშენკოვი** ხშირად დაიარებოდა **ალექსანდრესთან** და ჩვენ ვსაუბრობდით ხოლმე პოლონელების მოქმედებაზე და ის გვიამბობდა ფრანგულ გაზეთებში წაკითხულ ამბებს. ჩვენთან იყო ხოლმე **ალექსანდრე ორბელიანოვის** ბაღში და გვეუბნებოდა, რომ საკმარისია ბოლოდ აჯანყება დაიწყოს და რაც კი აქ პოლონელები არიან, ყველანი მონაწილეობას მიიღებენო. ის ერთხელ გვისაყვედურებდა, რომ კარგად ვერ ვირჯებით, საჭიროა მეტი მეცადინეობაო. **ალექსანდრემ** უთხრა მას, რომ **ალექსანდრე ბატონიშვილს** წერილი მივწერეთო. 1832 წ. არაფერი ვიცი, იცოდა თუ არა მან ჩვენი განზრახულება.

---

[1]) პაუშენკოზეა ლაპარაკი.

მელნიკოვმა იცოდა 1831 წ. რომ ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებას ვაწყობდით, მაგრამ ის თვითონ არაფიცარ მონაწილეობას არ იღებდა, მან მხოლოდ იცოდა, რომ მე ვიღებდი მონაწილეობას და უთხარი აგრეთვე სოვეტნ. ალ. **ორბელიანოვზე**. სხვები კი არ მითქვავს და არც თვითონ უკითხავს. 1832 წელს ნოემბერში მე უთხარი **მელნიკოვს**, რომ შევადგინეთ შეთქმულება და უნდათ აჯანყება მოახდინონ მეთქი, მე მას დაუსახელე რამოდენიმე პირი და უთხარი, რომ მთელი თავად-აზნაურობა თანახმა იქნება მეთქი. მან მიპასუხა: „თქვენ, ძმაო, ვხედავ, საქართველოს დაღუპვა გინდათ-ო. მე თქვენ არ გირჩევთ და შენ ხელი აიღე მაგაზე"-ო. მე უთხარი, თუმცა მეც მონაწილე ვარ, მაგრამ დაგიჯერებ და თავს დავანებებ მეთქი. რამოდენიმე დღის შემდეგ მკითხა, რა ჰქენით, გადაიფიქრე თუ არაო. უთხარი, გადავიფიქრე, მაგრამ მაინც ნურავის ეტყვი მეთქი. მან მიპასუხა: „მე არავის ეტყვი, რაც გინდოდეთ ის გააკეთეთ, ეგ ჩემი საქმე არ არისო, მაგრამ თუ ხელი არ აგიღიათ, ძალიან ცუდიაო". ამ საუბრის შემდეგ მე მისთვის აღარა მითქვამს რა და აღარც იმას უკითხავს. დეკემბრის 9-ს ერთად ვიყავით ავლაბარში, მან თავის ბავშვებისთვის საწოლები შეუკვეთა. ქალაქში რომ ვბრუნდებოდით ავლაბრის „ტრაქტირის" გვერდით გამოვიარეთ და მე უთხარი: „აი რაძდენად ჭკუა გვქონდა დაკარგული, ამ „ტრაქტირ"-ში ვიყავით და ჩვენს საქმეზე ვმსჯელობდით მეთქი" მან მიპასუხა, კარგია ბოლოს მაინც მოხვედით ჭკუაზეო. ამის შემდეგ დეკემბრის 11-ს დამაპატიმრეს.

ყოფ. პოდპორუჩ. **თ. ელიზბარ ერისთოვი**".

1 მარტი 1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1691).

„მე მგონია, რომ **მელნიკოვმა** იცოდა ჩვენი განზრახვა, რადგან **პასკევიჩი** რომ პოლონეთში წავიდა, ნაშინ მან თქვა. აი ბედნიერი ადამიანი, როცა თითქმის მთელი ხალხი აიბუნტა,—მოსწონო და ხელიდან გასხლტაო. მე მასთან არ მილაპარაკია ჩვენს განზრახვაზე, მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მან ეს იცის. მახსოვს აგრეთვე მისმა ცოლმა **მელანიამ** მითხრა, **პასკევიჩი** როცა წავიდა, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ გვინდოდა აჯანყება მომზდარიყო, როცა ის აქ იყო, თორემ ეხლა ჩვენთვის სულ ერთი არისო.

ერთხელ მე და **ელიზბარი** ვმსჯელობდით ჩვენს განზრახვაზე და **მან** თქვა, **რომ** მაშინ **მელნიკოვს** პოლიცმეისტერად დავაყენებთო. მის სახლში დაიარებოდნენ **ლუარსაბ ორბელიანოვი, ალექსანდრე**

პირველი და ალექსანდრე მეორე ორბელიანოვები, ვახტანგი, ყველა ეს პირნი დაიარებოდნენ ელიზბართან, გარდა ლუარსაბ ორბელიანოვისა, რომელიც დაიარებოდა თავის დისწულ მელნიკოვის ცოლ მელანიასთან ძალიან ხშირად.

პრაპორ. თ. გიორგი ერისთოვი".

1 მარტი, 1832 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (X 1701_1702)

„კომისიასა შინა .

1) ბევრჯელ მახსომს რომ, ელიზბართან ვყოფილვართ, მე, თვით ელიზბარ, ამის ძმა დიმიტრი, და გიორგი დავითის ძე ერისთოვი,—ზალაში ვმსხდარვართ, და ჩვენს განძრახვასაზედა გვილაპარაკნია,—ამ დროს, მელნიკოვი შემოსულა ჩვენთან, და იმის შემოსვლაზე, ჩვენ გავჩუმებულვართ, და მოვრიდებივართ ლაპარაკს.— 2) მინამ ყარაბაღს წავიდოდა ანტონ აფხაზოვი იმ დროებში, გვითხრა, ანტონ აფხაზოვმა როგორც მახსომს, ელიზბარს, კარნეტს გიორგი, დიმიტრი ერისთავს, სოლომონ დოდაევს მე, და ჩემ ძმას ვახტანგს, რომ ვითომც მას აფხაზოვს, რჩევა ეთხოვოს, სტაცკი სოვეტნიკის ჩილაევისათვის, ამ ჩვენ საზოგადოს განძრახვასა ზედა მაშინ ჩილევს პასუხ ეგოს რომ, და გასჯავრებიყოს, დიახ ძნელი რამ საქმე მკითხე, და მითხარიო და ეს გარემოება არ ვიცი სად იყო და ან ეს ლაპარაკი აფხაზოვისაგან 3) როდისაც თ. ისე ფალავანდოვმა ის თავის დაწერილი რასპარაკენია, გვაჩვენა და წაგვიკითხა, ამასთან ესეცა თქო, რომ, იმ ღამეს, ციხეში, ახვერდოვს დავაყენებ ყარაულათო, და მას ღამესვე დეჟურნად ქალაქში, ანდრია ხერხეულიძესაო, და ჩვენ მაშინ ადვილად ავიღებთ ციხესა, და სხვა პოსტებსაო, ამისთვის რომ, ეს ორი აფიცრები ჩვენნი არიანო. ეს გარემოება, იციან თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა, ზაქარია ჩოლოყაევმა, კარნეტ გიორგი ერისთოვმა, ელიზბარ, და ამისმა ძმამ დიმიტრი ერისთოვთ, და ჩემა ძმამ ვახტანგმა. 4). თ. ელიზბარ, ერისთოვმა მისცა, რილეევის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართულად, ნეგავარი ატეც სვიატოისა რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე, და ერთ ღამეს გრიგოლთან ვიყავით, და გვითხრა, ის სტიხი ვთარგმნეო, რომელიც წაგვიკითხა, და წაკითხვის შემდეგ წამოხტა ელიზბარ, და აკოცა და კარგად გითარგმნიაო, შემდეგ ჩვენც ყველამ ვაკოცეთ, გიორგი დავითის-ძე ერისთავმა, მე, და მგონია ჩემი ძმა ვახტანგიც აქ იყო, და იმ დროს თ. ზურაბ ჭავჭავაძე იქ იყო და გვიყურებდა,—და ამაში გავი-

ყარენით, შემდეგ რაოდენსამე დღისა, მგონი **გრიგოლს ორბელიანოვს** გამოეცხადებინა **ზურაბ ჭავჭავაძისათვის**, ესე ჩვენი განძრახვა, რომელიც სიხარულით დამორჩილებიყო, — ისკი სწორეთ არ მახსომს **გრიგოლს** ეთქო, თუ **ალექსანდრე გიორგის ძეს ორბელიანოვს**, — ამასთან, მე **ზურაბ ჭავჭავაძე ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში მგონია **ელიზბარმა** გამაცნო, ამ ჩვენს აზრსა ზედა,-და **ზურაბ** გვემდურებოდა, ჩვენს საზოგადოს, რომ რატომ აქამდისინ არ მითხარით მეც თქვენი ამხანაგი ვარ, და ადრეეეც ვიქნებოდიო, —შემდეგ ამისა, ერთს საღამო ჟამზე, **ელიზბარ, გიორგი დავითისძე ერისთავნი**, მე, და **ზურაბ ჭავჭავაძე**, ესენი გავედით ჩვენს ბაღში, და იქაც ბევრი ვილაპარაკეთ,—და **ზურაბ ჭავჭავაძემ** ეს გვითხრა, ეხლა კახეთს რომ წავალ, ვინც ჩენნი ნათესავნი და მეგობრები იქნებიანო, ყველას გამოუცხადებ, და ვეტყვიო, და როცა საჭირო ვიყოვო დამიბარეთ, ჩამოვალ უთუოთ, შემდეგ ამისა წავიდა კახეთს, და ვეღარა შეგვატყობინარა, და მე მგონია წიგნიც მივსწერე, ერთი შენი ამბავი რატო არ შეგვატყობინე რა მეთქი.—შემდეგ ამისა აღარა ვიცირა იმ **ზურაბ ჭავჭავაძისა**, და ვერცარა მეტი გამიგონია, ეს გარემოება, 1831 წელსა იყო, ზაფხულს, თუ არ-ვიცი გაზაფხულზე.—5) 1831-წელსა კიდევ ზაფხულს ერთს საღამო ჟამზე, მე და **ელიზბარ ერისთავი**, გავედით, **ლუარსაბ ორბელიანოვთან**, და სოფლიდგან ჩამოსულიყო **ლუარსაბ ორბელიანოვის** დისწული თ. **მიხაილ ჯავახოვი**, და **ელიზბარმა** გაგაცნო **ის მიხაილ**, ის ჩვენი აზრის პატრონი არისო, რომელიც დაიწყო ლაპარაკი, **მიხაილ ჯავახოვმა**, მე თქვენი, ამხანაგი ვარო, და თქვენთან სისხლს დავღვრიო, რომელიც ჩემი **ბიძა ქაიხოსრო ჯავახოვიც**, მზად არისო, ამ საგანსა ზედა, და გვანდა რომ **მიხაილს ჯავახოვს** ადრეეე სცოდნიყო, — და ვგონებ რომ **ლუარსაბის** ნათქვამი უნდა ყოფილიყო, და სწორედკი არ ვიცი,—6) 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, თავადის **ლუარსაბ ორბელიანოვისაგან** გამიგონია, მე, და **ელიზბარსაც**, რომ მარშალ **შალვას ერისთავს** უთხარი, ისე ჩვენი აზრიო, რომელიც სიხარულით თანახმა შეიქნაო, და ამ დროებში, **შალვა** აქ ქალაში იყო და თავად **ლუარსაბ ორბელიანოვთან** იდგა, მეგობრობის, და ახლო ნათესაობისა გამო, და ერთს სადილს უკან გავედით, მე, და **ელიზბარ ლუარსაბთან** და, მარშალი **შალვა ერისთავიცა** იქ იყო,—ზალაში იჯდა, ახალი გამოღვიძებული იყო შუადღის ძილიდგან, და ჩვენ რომ მივედით, **ლუარსაბ ორბელიანოვი**, გამოვიდა თავის სპალნიდგან, დავსხედით სხვა და სხვა ლაპარაკი დავიწყეთ, — ამ ლაპარაკსა შორის, **ელიზბარ ერისთავი** წამოდგა, და

თქო, ეს ხომ ვიცი ყველას ერთი აზრი გვაქვსო, და რაღას უმალავთ ერთმანეთსაო,—მაშინ ყველამ დავიწყევით ლაპარაკი, ამაში **შალვამა** თქო რომ, ეხლა რომ ავალ ქართლშიო, ვინც მეგობრები და ახლო ნათესავები მყვანან, ყველას გამოუცხადებო და ვეტყვიო, მეც დიახ თქვენი ამხანაგი ვარო,—შემდეგ ამისა მე **შალვა ერისთავთან** შერთება აღარ მქონიარა, და **ელიზბარს** ვგონებ რომ ხშირად ჰქონიყოს ლაპარაკი მასთან, აგრეთვე მგონია თაკად ალექსანდრე გიორგის **ძესაც ჰქონიყოს** ლაპარაკი მას **შალვასთან**. „შემდეგ თავადმა—**ლუარსაბ ორბელიანოვმა**, გვითხრა, მე, და **ელიზბარს ერისთოვს**, რომ ძე ამ ხანებშიო, უთხარ ესე ჩვენი განძრახვა, თავად **ევგენი ქობულოვსაო**, ეხლა რომ ფშავ ხევსურეთის პრისტავი რომ არის, და ესრეთა თქოვო, რომ დიახ სასიხარულო ამბაივ გავიგონეო; და როცა გინდოდე, როგორც გინდა ისე მამიხმარეო,—მაგრამ, შენის მეტსაო არავის არ ვენდობიო.—და 7) **პავლე თუმანოვისას** რომ მკითხავს კამისია, ამისათვის მოვახსენებ, ჩვენ საზოგადოს ესრეთ სძულდათ **ეს თუმანოვი** რომ აგინებდენ და მაშენიკსაც იხსენიებდენ ხოლმე,—ამისა გამო რომ ხელმწიფე იმპერატორის ერგული არის დიდი, და მთავრობის მაქებარი,—ბევრჯელ გამიგონია ჩვენ საზოგადოთ შორის, რომ როდესაც აქ ბუნტი მოხდებაო, **პავლე თუმანოვსა** ავიკლებთო, ამისათვის რომ ბევრი ფული აქვსო, და იმის ფულს ჩვენ ხაზინათ გამოვიყენებთო, თვითონ მაიორს, თავად **ლუარსაბ ორბელიანოვს** რაოდენჯერმე ჩემთვის დარიგება მოუცია, რომ ხუმრობა არ არის, **პავლე ოუმანოვს** არ ენდოო, და ეს ჩვენი განძრახვა არ უთხრაო.—

პოდპორუჩიკი თ. **ალექსანდრე ორბელიანოვი 1-ს მარტს** 1833 წელსა“—

ლუარსაბ თარხან-მოურავის ჩვენება, (1759).

ა) ვისგან როდის და რა გაგიგონიათ ამ განზრახულობის ნაწილეობაზედ **თ. ივანე ზაალის-ძე ბარათაშვისა?**

ბ) სახელდობ რა და რა უთქვამს თქვენთვის ამაზე **ალექსანდრე ვახტანგისშვილს ორბელიანს?**[1])

ა) თავადი **ივანე ბარათოვისა ზაალის-ძისა** ამ განზრახულობაზედ იმაზედ არავისგან არა გამიგონია-რა მე ჩემ კერძო სრულიად არა ვიცირა იმისა. წინაშე ღვთისა სიმართლით აღვიარებ ამას.

---

[1]/ კითხვები ქართულად წარუდგენიათ.

ბ) იმა **ალექსანდრეს ვახტანგისშვილს ორბელიანსა** საკუთრად ჩემთვის არაუთქვამსრა იმის მეტი რომელიც ბაღში ილაპარაკა იმ თავის ამხანაგებთა შორის რომელიც მომიხსენებია წარსულს თებერვლის თვის მე ანა კამისიასა შინა წერილით რომელიც ხელიც აწერია ჩემგან—რადგან მე გრძლათ ყოფნა არა მქონია იმათ და მეტი თუ თქვეს რამე ჩემს შემდგომად ის მე არ ვიცი თითონ ეცოდინებათ — და ის **ალექსანდრე** რადგან ჩვენი სახლის ნტერი არის ძველათვე ტყუილად იქნება მამიგონოს რამე და თითონ იცის და მაღალმან ღმერთმან.

გ) სახელდობრ რა არის ცხადი **იმ ბარათოვისა** და თავადი **დავით** და **დიმიტრი თარხნიშვილების** ერთმანეთთან მოკიდებულობის ბარობაზედ?

გ) იგი **ბარათოვი** არა არისრა ჩემი არცა ნათესავობით არც ნათლიაობით და არც ნეგობრობით სრულიად არაფერი მოკიდებულება არა აქვსრა ჩემთან-და **დავით** და **დიმიტრი ზაზას შვილები თარხანოვნი** ძმანი არიან ჩემნი ისინი ცხოვრობენ ცალკე და მე ვცხოვრობ კერძო ჩემდა-ცალკე სოფელსა ახალ ქალაქსა-თავადი **ლუარსაბი თარხნიშვილი მოურაოვი**"

მარტის გ. დღესა.

ჩ'ულგ. წელსა.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (1781).

„კამისიასა შინა იერო მონახის **ფილადელფოსისაგან.**

წიგნი ესე ცარევიჩთან მიწერილი ჩენგან, ნამდვილად **არის** მიწერილი ნიკეგოროდიდამ იმ ჟამისა ოდესაც ვიყავ დაჭერილი, ეს სწორედ ასე არის უეჭველად, ვის მივეცი და ვის გავატანე აღარ მახსოვს ნამდვილად,, თუმცა ვაჩვენე რომ **ტულაევს** გავატანე მეთქი, ნაგრამ, იმ ჟამად როცა მე სენაკში ისევ დილაადრიან ვიწექ შეუძლოთ მოულოდნელად შემობძანდნენ არხიმანდრიტი ღენერალი პოლკოვნიკი და ყაზახები მოულოდნელისა ამის შემთხვეულობისა გამო შიშით და აღმღვრეულის ფიქრისაგან რომ შევიქმენ განცვიფრებული მოძებნეს ქაღალდები ყველგან აქოთებდენ მაშინ რაც ვაჩვენე სიტყვით შეიძლება შეცდომით მომივიდა რომელიმე ჩვენება, რათგან არ ვიყავ სრულს გონებაზე, მაგრამ იქნება მართლაც იყოს **ტულაევს** მივეც, იმ ჟამად **ტულაევი** წამოვიდა მოსკოვს წიგნი გამოვატანე მახსოვს მაგრამ ეგ იყო თუ სხვა ეს არ მახსოვს, კიდენ ერთი ჩინოვნიკი მიცნობდა როგორც მივსცემდი ხონე ფოჩტაში მისაცემად იქნება იმან ჩემის წინააღმდეგობით მიუტანა **ციციანოვს,** და იქიდამ აქ მოვიდა, მე კი ნიკეგორო-

დიდამ რომ წამოველ სხვა ქაღალდი არა მქონიარა, უქახის პირისა და ერთი არძის შავი ბილეთი და პადარეჩნას გარდა. არც ეგ წიგნი ჩემთან დარჩომილა, აქ საიდამ პოვნილ არს დიდად მიკვირს, უკანასკნელ კიდენ ასე ვფიქრობ, მე როცა დამიჭირეს მაშინ ქაღალდები არა წაურთმევიათრა ჩემთვის, თითქმის ერთს თვეს უკან მოვიდნენ და წამართვეს ქაღალდები, იქნება დავსწერე და ველარ მოვასწარ გაგზავნა, და იმათში დარჩა, როცა განმანთავისუფლეს და მოვდიოდი დამიბარეს სუდში, იქ ვნახე ჩემი ქაღალდები სულ ერთად შეკერილი გავშინჯე რომ იმაში ორი საჭირო ჩემი ქაღალდი აკლდა და მოპარულიყო, იქნება ეგეც იქიდამ შოპარულიყოს, ის ჩემი ქაღალდები პირველად გაგზავნილ იყო სათარგმნელად **გრუზინცკის კნიაზს გიორგი ალექსანდრეიჩთან,** იმას არ ეთარგმნა ერთს კვირის უკან დაებრუნებინა, ისევ შემდგომ პეტრებუხიდამ მოსული პერეოჩიკი იმის ხელში იყო. ან მოიპარავდა თითონ **კნიაზი იაგორ ალექსანდრეიჩი ციციანოვის** შემწეობით. ანუ იგი პეტრებუხიდამ მოსული პერეოჩიკი იმერელი თავადი იყო არ ნახსოვს სახელი. ამას გარდა მე ვერა მომიფიქრიარა მაგრამ დიდად მსურის შეტყობა რომ აქ საიდამ პოვნილ არს ეგ წიგნი, ჩემგან კი რუსეთიდამ ქაღალდი აქ არარაი არა წამოღებულარა, ესეც იქნება, **მიხეილ ცარევიჩი** პეტრებუხში არ ვიცოდი რომელს ქუჩაში და რომელს ნომერში იდგებოდა, მხოლოდ ვიცოდი იქ რომ **ბაგრატ ბატონიშვილი იდგა** ვასილევის ოსტროვში 12 ლინიაზე. ამის გამოისობით ზემოდამ წარწერით დავნიშნავდი **ბაგრატისა** სახლს, **ბაგრატთან** ცხოვრობდა მგონია მაშინ **დოდაევი.** იქნება თითონ **დოდაევის** სახელზედაც გავგზავნე, გაუხსნიათ და ალარ მიურთმევიათ **მიხეილისათვის ბატონიშვილისა,** ეს უფრო ყველაზე სარწმუნოა.

დასასრულ ამისა ყოვლად უმდაბლესად ვევედრები ამას. კომისიასა რათა მამითმინოთ და ერთგზის კიდენ რომ ჭეშმარიტი მოვახსენო ისტორიისათვის იმ წყეულის აკტისა, წყეულის დასაბამითგან წარმოებულისა, რომლისაც სახელი არც ახლა ვიცი რას ნიშნავს აკტი.

როცა ახლა დამიჭირეს და წამიყვანეს ფიქრი ჩემი იყო გზაზე ესრეთ, თუმცა აკტსა აქვს ისტორია გძელი და წარმოება შორითგან, მაგრამ მეხომ გამოვსცვალე იგი და შევსთხზე სრულებით სხვა გვარ, მე ვარ საშინელისა ფიცისა და წყევისა ქვეშე რომ არვის უთხრა, და არ განვაცხადო, უკეთუ აქედამ განცხადებით გაპოვდოდეს სარგებლობა რაიმე ანუ შესაძლო იყო ამითი ვაშოიენა სხვისი ვისიმე, ან მომცემი ცოცხალ იყოს ვიტყვი ჭეშმარიტსა, მაგ-

რაჰ ახლა ვაჩვენებ მკვდარსა, პირველი არ დამიჯერებენ, ნეორე ხომ ამაში საშიში არა მაქვსრა არაფერი არ იპოებარა იმაში ცუდი, ნახვენ რომ წინააღმდეგი იმაში არ არისრა იქნება კიდეც მონიწონონ რათ შევიდე ტყუილად წყევას ქვეშ შემიძლიან რომ კიდეც დავიფიცო რომ ჩემი შეთხზული არის, ამისთვის რომ ნე შევთხზე იგი სრულებით სხვა ცელი, დავამტკიცე ეს აზრი და ვიდექ ამაზე, რასაც კითხვას მომცემდით ხომე ნე თამამად ვიყავ რომ ბრალი არაფერში არა მაქვსრა მეთქი ვფიქრობდი, როცა გამომიცხადეთ რომ საიდუმლო საზოგადოება თუ უნდა კარგიც იყოს ნაინც უქაზით აკრძალული არისო და შემთხზველი კანონით დაისჯებაო მაშინ შეველ ცოტა ფიქრში, მაგრამ რათგან მე არ ვიცოდი თუ აკრძალული იყო ამისთვის კიდენ იმედი მქონდა ნამიტევებენ და მშვიდობით გამიშვებენ მეთქი, ამას ვცდილობდი მარტო რომ მეჩვენებინა სიმართლე, რომ ჩემგან შეთხზულში ბოროტი არა ურევიარა მეთქი, როდესაც რომ შევიტყვე, რომ ეს თავადები ყოფილან სრულებით სხვას ბოროტ განზრახვისათვის დაჭერილნი, რომელთა შორის მე მონაწილეობა არა მაქვსრა. ამითი უმეტესად იმედი ბომეცა, რომ მე მარტო იმისთვის ვარ დაჭერილი, რომ იმათში ხომ არ ურევივარ იმას ეძებენ მეთქი, თორემ აკტისათვის იქნება უფრო კეთილი აზრიცა ქონდესთ ჩემზედა მეთქი, ახლა უკანასკნელ როდესაც მათმა მაღალ ალმატებულობამ ღენერალმა ინება რომ შემობძანდა და მკითხა მაშინ მხოლოდ შევიტყვე მე რომ თხზულება იგი არა თუ აძლევს ვისმე ჩემზე კეთილს აზრს, არამედ არის ჩემი სრული წარწყმედელი, ამისთვის განვაგდებ მაზე წყევას და ყველას მართალს მოვახსენებ ამას კამისიასა.

მე და ეერო მონახის **პორფირის** გვქონდა ძალიან ერთობა ის მე არას მიმალავდა ნე იმას აგრეთვე, ერთხელ მითხრა, მე შენ გიჩვენებ ერთს საკვირველს წიგნსაო. ესთხოვე მეც დიდის ახოტით წავიდა ქალაქს მოიტანა ქალაქიდან უბით წიგნი პატარა, როგორც იაზონ ფოზნის კარანდაშის წიგნი ისე შეკრული, შიგ გაყრილი კარანდაში ვეცხლისა ვეცხლის გრგოლებით ძალიან მშვენივრად შეკრული, დაიჭირა ხელში, და მომცა ძალიან საშინელი წყევა რომ არვის არ უთხრაო მეც შევფიცე რაც შემეძლო. შემდგომ ძოცა და მითხრა აბა წაიკითხე და განმიმარტე მეცაო რას ნიშნავსო. გავხსენ იმაში ვერა ვიპოვერა მხოლოდ იყო სამი ფურცელი სქელი თეთრი ბერლამენტი ცარიელ სხვა არარა, იმან იწყო სიცილი და მითხრა წაიკითხე მაგაში არისო, დიდად ვეცადე მე ერთი ასოც ვერსად ვიპოე, კიდენ მითხრა წაიკითხე მანდ არის დაწერილი

იმთენი რომ ნახევარი დავითნის ოდენიცაო ვეცადე მე ვერაფერი ვერ ვიპოერა ზედ მივაგდე იმაზედვე, შემდგომ გადაშალა თითონ, და გამოჩნდა ორი ისე ყდისაკენ შიგ ყდაში დამალული ექვსი ფურცელი წმინდა თხელი ქაღალდი გავსილი ასე წვრილის ნაწერით რომ ძნელად შეიძლებოდა წაკითხვა, მას შინა იყო თავს ერთი ტრიქონი დაწერილი არც რუსული არც ქართული, შემდგომ ესრეთ აკტი გონიური ქვემო ამისა წერილი, მეორე ყდისაკენ აგრეთვედ ესრეთ წერილი. მე დაუწყე შინჯვა იმან მითხრა ახლა მე წავალ ქალაქში სადილად მანან მოვიდოდე წაიკითხე სრულებით და გაშინჯე როცა მოვიდე მითხარ რას ნიშნავსო, ფრთხილად გქონდეს არსად არ დასდვა არავინ არ ნახოს ხუმრობა არ არისო, წავიკითხე გამიკვირდა მაგრამ ცელი ერთისა სხვა იყო მეორისა სხვა პლანი და ზოგიერთი თხზულება მსგავსი იყო, ნე ვიცოდი რომ დიდხანს არ დაუტევებდა ჩემთან იმას მაშინვე მივეე წერას საჩქაროდ შავად გადავჩხაპე ცუდს ნახევს ქაღალდებზე ზოგი რომელიც სულ არ ვარგოდა დავაგდე ზოგი სიგრძისათვის აღარ დავსწერე ზოგი შესანიშვნელად დავნიშნე და ზოგიერთი მუხლი სრულებით დავსწერე, როცა მოვიდა დედანი მაშინვე მივართვი, დავიწყეთ საუბარი, და ვკითხე დიდის გულსმოდგინებით რა არის ვინ ბოგცა, ან რად გინდოდა შენა მეთქი, ამისთანა სჯულის წინაალმდეგი წერილი, რომელიც ორივე ნიშნავს ბზოლოდ ბოროტს და კაცის მკვლელობითს საქმეს მეთქი. ჯერ არ მითხრა შერმე იძლია და ამიოხრა და მითხრა **დავით ცარევიჩმა** აღსარებაში მითხრა და შომცაო შენის ხელით დაწვიო. დარჩა აქამდი ეგდო ყუთშიო, დიდ ხანს ვიყავით ჯერ განსჯაში, მასუკან ვკითხე **დავითს** რათ უნდოდა ყავდა ვინმე იმასაცა მეთქი, ან იმას ვინ მისცა მეთქი, იმან განმიმარტა გძლად ისტორია იმ აკტებისა თქმულად **დავითისაგან**. ეს ერთი პირველი როდესაც **კათალიკოსად მყოფი ანტონი** პირველი სწავლობდა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას პატრის **ფილიპესგან** მაშინ ხომ საიდუმლოდ გააფრანგა კათალიკოსი შემდეგ მისცა ეს აკტიო ამითი უნდა მოენადირებინა ჯერ ხალხიო როდესაც ბევრნი იქნებოდნენ, შემდგომ კათალიკოსი საცხადიოთ იქადაგებდა ეკლესიაში. და გააფრანგებდა ასე საქართველოსაო, მაგრამ მალე შეუტყეს იმისი შემდეგნი ძალიან დასაჯესო კათალიკოსი გააგდესო, და ეს პოვნილი, დარჩა მეფესთანაო მეორე, როდესაც მეფე გარდაიცვალა, ცოტა ხანს **დავითს** ქონდა აქ მემკვიდრეობა რუსები იყვნენ მაგრამ ღუბერნია არ გახსნილიყო ჯერ **დავითს** ვიხსენიებდით ეკლესიაში მემკვიდრეთო, მაშინ **დავითს** უნდოდა საჩქაროდ გამე-

ფება მაგრამ ქართველთ თაკადთ უარი ყველსო, ზოგნი თავადნი **დავითს** მდომობდენ მეფეთ ზოგნი სხვას ზოგნი რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნასაო, მაშინ ეფიქრებინა, და ამ **პატრის** მიხედვით დაეწერაო, რომ ეგები საიდუმლოდ შემოეფიცნა ვინმეო მაგრამ ველარ მოასწრო ქართველთ სრულებით დაიძახეს არ გვინდა **ბაგრატიონნიო,** და განაგრძელა ეს ისტორია, დაუტევეთ ამაზე საუბარი შემდგომ რამდენისამე ხანისა გამოვიდა ჩვენში მცირე ბაასი, იმან მითხრა, შენ კათალიკოსთან ვერ გაეწყვე და **ციციანოვთან** ჩემთან როგორ გამოდგებიო, მე ვუთხარ, თუ იმისთანა წინააღმდეგს გავიგონებ რასმე შენთან კი არა ანგელოსიც რომ იყოს არ გამოვდგები მეთქი, მაშინ ვუთხარ ხუმრობით ახლაც ვფიქრობ ეგ შენი აკტი თუ არ გამოვაცხადე არ იქნება მეთქი. მაგისთანა უსჯულო სიტყვები სწერია მაგითი დაგსჯი შენ მეთქი, შემდგომ ამ სიტყვისა მეორეს დღეს ითხოვა ნება იერო მონაზის **გერმანესაგან** წირა და მითხრა საკურთეხეველში დადექ მოხუცი ვარ არა შემცთესრაო, ვდექ ტრაპესთან, როგორც რომ თქვა შენი შენთაგან და შესცვალა და აკურთხა, მაშინვე აიღო წმინდა ბარძიმი და ფეშხუმი, მამიღო და მითხრა ამისგან იყავ წყეული თუ შენს სიცოცხლეში სადმე თქვაო, მე შემეშინდა ნაშინვე დავემხვე მიწაზე თაყვანიეცი, როცა წირვა გამოვიდა ვუთხარ რა ქენ ეგ მეთქი, მითხრა განგებ დღეს ამისთვის ვწირე რომ ასე მინდოდა ვიცი შენ საიდუმლოს არ შეინახავ ნართლა რომ უთხრა ვისმე მთავრობამდი მიაწიოს, მართლა მაგაში დავისჯებოდიო. აანთო ცეცხლი სენაკში დამიძახა და დასდვა ცეცხლზე. აი დაინახე წყეული თუ არის ჯოჯოხეთში გავგზავნეო, გათავდა ეს საქმე ასე, დარჩა ის ნაჩხაპები უფიქრებლად და ეგდო ქაღალდებში. (აქ ესეც სათქმელია) არ ვიცი წინ იყო თუ უკანა **ოქროპირ ცარევიჩმა** დამიწყო კითხვა ლექსი გონია რას ნიშნავსო დიდად ეძებდა გონიური რუსულად როგორც უნდა ითქვასო, მე მგონია გენიჩესკიო, ამისთანა ამ ლექსის გამოძიებაში იყო, მე არაფერი მამიხსენებია, არ ვიცი ხომ არ წაეკითხა იმასაც, თუმცა მცირედ გულში გამიარა რომ რათ კითხულობს იქნება ამანაც იცოდეს მეთქი მაგრამ არა დავდივერა მერმე სთქვა გონია არის გამასწორებელიო და დავუტევეთ: არ რაიმე მოგონება ღარც მოფიქრება ამაზე ღარა მქონიარა, როცა **გიორგი ერისთოვი** ვნახე და გავიცან როგორც კამისიაში ვაჩვენე ისე იმან განმიცხადა რამთენიმე ვართ გვიყვარს ერთმანეთი ვეძიებთ კვალად შემატებას გვსურის ყოველთვის კეთილი შევძინოთ, გვქონდეს რაიმე შეერთებულებაო არ მითხრა კი. თუ რისთვის მე მიუხვდი,

მაშინ მომაგონდა და დავპირდი, ნოველ შინ ავიღე და ვიწყე წერა თვინიერ შავისა პირდაპირ ის არის გადმოწერილი რომელიც იმას მივეც, მაგრამ ყოველითურთ წინააღმდეგად მაგალითებრ: იქ ეწერა პირველი პუნქტით რათა სრულის გულით რწმენეს იესო ქრისტე ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია აღმშენებელი თავად ყოველთა ეკლესიათა და ქადაგება მისი წმინდა. ამის მაგიერ დავსწერე როგორც ჩვენი რელიღიის წესია, იქ მეორე პუნქტი, მოსაყდრე მოციქულის პეტრესი და სრულით გულით ირწმუნონ ნისი ყოველივე არარის განმსჯელთა მას შინა არარისა, ეს გადავიღე ხემწიფეზე. იქ მესამე ეწერა სიყვარული ჩვენდა ვითარცა ქრისტეს მიერ ძმათა და სიძულვილი განდეგილთა, სიძულილი ლექსი დაუტევე და სიყვარული დავსწერე, აგრეთვე სხვები, ფიცი ნამდვილადვე არს, ეგრეთვე ზოგი მოვაკელ რომელიც საჭირო არ იყო ზოგი მიუმატე. მეორე **დავითისაგან**, სრულებით წინაალმდეგი იყო, და უსჯულო და იქიდამ უმფრო ძალიან მცირე შემიმატებია, მეათე ციფრი რომელიც აკლია ისიც იმისთვის შემცთა რომ სრულებით დავუტევე. როცა მივე **გიორგის** და წამოვიდა, ერთი კიდენ ჩემთვის ამოვსწერე, რომელიც გამოვაცხადე და **მოატანინეთ** ჩემის სენაკიდამ, ამისთვის არის განყოფილება **გიორგისთან** მიცემულს და მაგ მეორეში, ამისთვის რომ ცალკე ცალკე ამოვსწერე. ლოცვა **პატრისაგან** დადებული არ იყო **გიორგისადმი** მგონია, ლოცვაც ისევ ისე დავსწერე მხოლოდ გამოვსცვალე რომ იქ ეწერა: „შემოკრიბე გაბნეულება ჩვენი მოავლინე სამლთო სიყვარული შენი ერთ გულად შეერთებად და ერთ პირად დიდებად სამ გვამუნებისა შენისა შენ მამის და ძის შენისა და სულისა წმინდისა გამოსრულისა შენ მამისა და ძისა შენისაგან“- ეს გამოვცვალე მხოლოდ ლოცვაში. **პატრის** აკტი ითხოვდა მხოლოდ ვინც სწავლულნი იყვნენ. **დავითისა** ცარევიჩის ვინც მდიდარნი და დიდ გვაროვანნი იყვნენ. რათა პოვნილი მპოვნელს აუწყებდეს აკტისადმდე ეს პატრისაში ეწერა ცარევიჩისაში არ ეწერა, არვის უწყებას არ ითხოვდა, თითით ნიშნება პატრისაში არ იყო ცარევიჩისაში იყო, ამ დასასრულისათვის რომ შეკრებულებაში იცნანო ერთმანეთი. ვინცა შემკვიდრისაკენ არის და სხვა მრავალი ქადაგების გვარი აღწერილობა იყო ყველა დავუტევე, როდესაც ეს მეორეც დავსწერე ისინი სულ ცეცხლს მივეცი. აღარა დამიდევნია აღარც კი მახსოვდა თუ დამედევნა ან მამენდომებინა შეცბევრს ნოვიპოებდი, რომ მიმეცა მაგრამ სრულებით დავიწყებული მქონდა, თუმცა ესეც გამოვაცხადე მაგრამ მე ამითი არარა სიმარ-

თლე არა მაქვსრა, ვარ ყოვლად დამნაშავე, ყოვლად უგუნური და ყოვლად ცოდვილი ყოვლის დასჯის ღირსი რა იქნება დასჯა რომ მე ღირსი არ ვიყო ყოვლის ჩემის ცოდვის და ჩემის შეცთომილებისა გამო ვითხოვ დამსაჯოთ მაგრამ ისე ნუ როგორც ღირსი ვიყო, რაოდენიც ნე უღირსს მსხვერპლი შემიწირავს სადღეგრძელოდ მათის დიდებულების იგი ხორცი და სისხლი ქრისტესი იყოს შუამდგომელ ჩემთვის წინაშე მათის დიდებულებისა და თქვენდაცა რომ არ მომაგოთ მე სრული მოსაგებელი, და არ მივეცე წარწყნედაში სრულში, არამედ დამაცალოთ მე რათა შევიძლო დაფარვად შეცდომილებათა ჩემთა შემდგომითა სინანულითა წინაშე ღვთისა.

ყოვლად გლახაკი იერომონახი ფილადელფოს".

მარტის 7-სა დღესა 1833 წელსა.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (1827).

„კომისიასა შინა!

წარსულს 1831-სა წელსა, ზაფხულს ოდესაც ჩემთან იყვნენ ბაღში სადილად თავადები, ესე იგი, **ელიზბარ, გიორგი დავითის-ძე ერისთოვნი, ალექსანდრე გიორგის-ძე ორბელიანოვი. ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი,** და ჩემი ძმა **ვახტანგ,** იმ დილაზე **მამუკა ორბელიანოვს,** და **ივანე მიხაილის-ძეს ერისთოვს,** ვთხოვეთ მე და **ელიზბარმა** რომ დღეს, ჩვენთან იქნებიან. ჩვენი აზრის და განზრახვის პატრონნი ბაღში სადილად, და იმათაც ვთხოვეთ, რომ თქვენც გთხოვთ რომ სადილად გამოხვიდეთ ბაღში, და ჩვენი აზრის ლაპარაკი გვექნება, და რჩევა, როგორა, და ან ვითარ რომელიც აღმითქვეს უთოთ მოსვლა, და შემდგომად რაოდენიმე დრო გავიდა რომ, არც **მამუკა,** და **არც ივანე,** არ მოვიდნენ. კარგახანი ველოდით, რომ არ მოვიდნენ, მასუკან. ჩვენ დავსხედით სადილად, და იმ **ორთ** ლანძღვა დაუწყეთ, რომ გვიღალატესო.—იმ სალამოზე, მე და **ელიზბარმა, მამუკა** ვნახეთ, და სანდურავი უთხარით, მასუკან **მამუკამ** გვითხრა, რა ვქნა თქვენ კი დიდად გენდობითო, და მე იმათ ვერ ვენდობი რომელიც იქ იყვნენ სხვანი.—აგრეთვე **ივანე მიხაილის ძე ერისთავი,** ვნახეთ, მე და **ელიზბარმა,** და იმანაც ეს პასუხი მოგვცა, ვითარცა **მამუკამ.**—ესკი დამავიწყდა ზემორე ვერ დავწერე, **მამუკამ** გვითხრა. მე მოვდიოდიო უთოდ მაგრამ **ივანე მიხაილის ძემ ერისთოვმა** არ გამომიშოვო, და ვგონებ რომ, **მამუკას,** და **ივანეს** შერთება ჰქონიყოთ რამე, ჩვენს აზრსა ზედა.—ჰოდპორუჩიკი თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი".**

„3" მარტს 1833-სა წელსა.

ბიძინა ერისთავის ჩვენება. (1868).

„კომისიასა შინა!

1832-სა წელსა ნოემბერში თუ დეკემბრის თვეში სწორედ არ მახსოვს, შეველ მე **ბატონის შვილს თეკლასთან**, სადაც იყვნენ შვილი მისი **ალექსანდრ ვახტანგიჩ ორბელიანოვი** ჩემი ძმა კორნეტი **გიორგი**; ჩვენ სამთა დავიწყეთ ლაპარაკი და მაშინ **ალექსანდრემ** სთქვა, რომ ღენერალ **ჭავჭავაძეს** უნდა შევატყობინოთო ეს ჩვენი განზრახულება მაგრამ **ბატონის შვილმა თეკლემ** დაგვიშალა და გაგვიჯავრდა; შემდგომ ამისა ჩვენც გამოვედით და წავედით. სხვა ბატონის შვილებისა კი არა ვიცირა.

პავლე თუმანოვთან ამ განზრახულებაზედ ლაპარაკი არა მქონია და არც ვიცი, იცის იმან თუ არა.

პრაპურშიკი თავადი **ბიძინა ერისთოვი**".

მარტის 7-სა დღესა 1883 წელსა.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XI 1827)

„კომისიასა შინა!

1) იმერლის **თეიმურაზ ლორთქიფანიძესთვის**, მე **გრიგოლ წერეთლისა** სრულებით არა მითქომსრა, და არცარაფერი არა გამიხსენებიარა, და არც თვით იმ **თეიმურაზს** არა უთქომს რა ჩემთვის მის **გრიგოლ წერეთლისა**,—და თუ **ელიზბარ**, და **გიორგი დავითისძეს ერისთოვთ** ლაპარაკი ჰქონიათ რამე **გრიგოლ წერეთლისა**, მას **თეიმურაზ ლორთქიფანიძესთან** ეს კი მე არ ვიცი და არც გამიგონია. მე **გრიგოლ წერეთლისა** ამის მეტი არა ვიცირა თვინიერ მთავრობისა დიდი ერთგულია, და ამის მეტი სხვა იშისი არა გამიგონიარა.

2) თავად **ქაიხოსრო ჯავახოვისა**, მე ამის მეტი სხვა არა გამიგონიარა,—როდისაც მე თავად **მიხაილ ჯავახოვთან** შერთება მქონდა მაშინ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლის ეზოში ვიდეგით, თვით **თ. მიხაილ ჯავახოვი, თ. ელიზბარ ერისთოვი**, და მე, ეს სამნი ვლაპარაკობდით, ამ ჩვენს განზრახვასა ზედა და მაშინ ლაპარაკსა შორის გვითხრა **მიხეილ ჯავახოვმა**, რომ ბიძა ჩემი **ქაიხოსრო ჯავახოვიც** მზად არის, ამ ჩვენის საქმისათვისაო. —

3) თ. **იასე ფალავანდოვსა**, ამ დროს ჰქონდა ლაპარაკი ჩემთან წარსულს, 1832-სა წელსა ზაფხულს, მე საქმე მქონდა, მის ძმას

სამოქალაქო ღუბენატორთან **ნიკოლოზ ფალავანდოვთან,** ჩვენ ორ-**ბელიანოვთ** გაყრასა ზედა, რომელიც ჩვენ ერთობრივ **ორბელიანოვ-ნი** ვიყავით სამოქალაქო ღუბენატორთან, ჯერ ღუბენატორი თავის სპალნიდგან არ გამოსულიყო, ამ დროს **თ-ა იასე ფალავანდოვი** ამო-ვიდა იქ ჩვენთანა, და მე ცალკე გამიყვანა, მითხრა რისთვის მო-სულხარო, მე ყოველი ჩემი გარემოება უთხარ.---რომელიც ამის უწი-ნარესად მოვახსენე კომისიას, მე, და **თ-ა იასე ფალავანდოვის** ლა-პარაკი სხვათა შორის, ამასაც მეუბნებოდა **თ-ა იასე ფალავანდოვ** რომ თუ ჩემთან დაიწყებ სიარულსაო, მე მეორეს მხარეს კიბეს გაუკეთებინებ ჩემს ქვეით სახლსაო, და იქიდგან დაიწყე სიარუ-ლიო, და ამ პირდაპირს კარებს კლიტეს დავადებ, რომ ვინც დაი-ნახონ ჩემთან მოსიარულეთ, რომ ალარ იარონო, ჩემთან პირველად ლაპარაკი ამ ზემო ხსენებულს დროს ჰქონია **თა- იასე ფალავან-დოვს, და** შემდეგ არვიცი **ელიზბარ** ვინ გაცნო **იასეს** და მასკვან სა-ზოგადოდ შევიყრებოდით ხოლმე, რომელიც ნემეცების კალონია-ში ვიყავით დროშკებით, და სეიდაბათის ბაღებში,---მე, **ელიზბარ, იასე,** ჩემი ძმა **ვახტანგ, კარნეტი გიორგი ერისთოვი, ანტონ აფხაზო-ვი** და **დოდაევი,** ამისთვის წავედით რომ გვინდოდა რომ **ანტონ აფ-ხაზოვისათვის** გამოგვეცხადებინა ესე ჩვენი განძრახვა, იქ არ მოხდა, შემდეგ საღამო ჟამზე, **ელიზბართან** მივედით ჩაიზე ყველანი ერთ-ობრივ რომელიც ვერც, იქ გამოვაცხადეთ, **ბირთველ თუმანოვისა** გამო, მე მთხოვეს ბაღში დაპატიჟება რომელიც, მეორე დღის სა-ღამოზე ჩემთან იყვნენ ბაღში ვახშმად, და იქაც ვერ გამოვაცხა-დეთ, მხოლოდ იქ წიგნებზე ლაპარაკობდნენ, და **ელიზბარ ერის-თოვი** სამდურავს ლაპარაკობდა მთავრობისას რომ ყმა და მამული წაგვართვესო, და აქაური მთავრობა დიდს უსამართლობას გვიშვ-რებაო,—ამ სიტყვაზე მასკვან **ანტონ აფხაზოვმა** თქო, ყმაწვილე-ბო, მთავრობაზე ნურას ვილაპარაკებთ თორემ ამ კედლებსაც ყუ-რები ასხიათო.—ამის მეორე საღამოზე **თ. ანტონ აფხაზოვმა** დაგვპატიჟა ვახშმად, **დოდაევის** სახლში, **იასე ფალავანდოვი, ელი-ზბარ** და **კარნეტი გორგი ერისთოვნი,** მე, და ჩემი **ძმა ვახტანგ** თვით **დოდაევი.** ოდესცა დავსხედით ვახშმად, დავიწყევით სხვა და-სხვა ლაპარაკი ამაში ყველას ჩვენს ერთობას უნდოდათ რომ, **ან-ტონ აფხაზოვისათვის** გამოეცხადებინათ ესე ჩვენი აზრი მაგრამ ვერავის ვერ გაებედნა, ამაში შუალამიდგან, ორი სათი გავიდა, და **დოდაევი** ხშირად იწევდა ასადგომად, და **იასე ფალავანდოვმა** უთ-ხრა:

სოლომონ ივანიჩ, როგორი სახლის პატრონობა არის რომ, პირველად შენ ადგომას აპირებო. ეგ დათხოვნის ნიშანსა გავსო, ამაში კარგა ღვინოც დავლიეთ რომ შევქეიფიანდით, მაშინ მე დიდათ მეძინებოდა და წამოსვლა მინდოდა ჩემსა სახლსა შინა. და ავდექ შინ წამოსასვლელად, მაშინ **იასე** ჩემს გვერდით იჯდა, დამიჭირა კალთა და მითხრა სად მიხვალ, გათენებაშდისინ არ ავ-დგები ამ სტოლიდგანაო. მე უთხარ ერთი კარზე გავიდე საქმე მიჭირს, და მასკვან თუნდა **სამი** დღე და ღამე დასხედით მეთქი. არც კარზე გამიშვეს, მაშინ მე რომ საქმე გამიჭირდა, ავიღე ღვინო სტაქანზე დავასხი, და ვთქვი, და ზდრავსტვუეტ სვაბოდა მეთქი, ახლა მაინც გამიშვი კარზედა მეთქი, მასკვან გამიშვეს, კარგა ხანი დავყავ კარზე, რომელიც ანტონ **ახვაზოვიც** გამოვიდა კარზე, პირველად **ანტონ** ზევიდა იმათთან შემდეგ ორის თუ სამის მინუტისა—მეც შევედი მათთან, ოდესაც შევედი ვნახე, რომ ამ ჩვენს განზრახვასა ზედა ლაპარაკობდნენ, რომელიც მეც მონაწილე შეეიქენ მათთან ლაპარაკისა, და ყველანი საზოგადოდ ლაპარაკობდენ თვისსა აზრსა. შენდეგ ამისა **იასესთან** ვიყავით ჩაიზე, და ხმელ ხილზე დაპატიჟებული, რომელიც იქაც ვლაპარაკობდით ამ ჩვენს განზრახვასა ზედა. 1831-ს წელსა, ერთხელ თავადმა **ელიზბარ ერისთოვმა** გვითხრა, სახელდობრივ არ ვიცი სად იყო. **გიორგი დავითის ძეს ერისთოვს, სოლომონ დოდაევს, იოსებ მამაცოვს, ზალ ავთანდილოვს**, მე და ჩემს ძმას **ვახტანგს**, რომ **ალექსანდრე ჭავჭავაძე** იქნება ჩვენი ნაჩალნიკიო და ამასაც იტყოდა ხოლმე ჩვენ კარგნი ნაჩალნიკები გვეყოლებაო, ესე იგი, ბიძა ჩემი ღენერალ-ლეიტენანტი **გიორგი ერისთოვი**, ღენერალ მაიორი **თ. ივანე აფხაზოვი**, ღენერალ მაიორი **თ. სავარსიმაძე**, ღენერალ მაიორი **თ. ბებუთოვიო** ეს ლაპარაკი მე **ელიზბარ ერისთოვისაგან** არა ერთ გზის გაბიგონია. არამედ რამოდენჯერმე უთქომს, რომელიც მე თანახმა ვყოფილვარ, და დამიმტკიცებია ზემორე გარემოება, აგრეთვე ზემორე პირთ დაუმტკიცებიათ ეს აღწერილი გარემოება.

5) წარსრულს 1830-სა წელსა ერთ საღამო ჟამზე მიდიოდი სიონის ბაზარში ქვემოდგან, და სიონის ქუჩის შესავალში რომ დაუპირდაპირდი. იქ ქუჩაში, **თ. იასე ფალავანდოვი** დამხვდა, თავი დაუკარით ერთმანეთს, და ლაპარაკი დავიწყეთ, — მასკვან ჩაიზე ამიწვია თავის სახლში, **რომელიც** ავედი და დავსხედით, სხვა და სხვა ლაპარაკი დავიწყეთ, შემდეგ ჩაის დალევისა წამოველ, წამოსვლის დროს მთხოვა, ერთათ შევზრდილვართ ყმაწვილობისასო და

ითხოვა რომ ხშირად მეკლო მასთან, რომელიც დიდად მიამა ასეთი თხოვნა, და ამისა შემდეგ დავიწყე სიარული, და ამ ჩემს მასთან სიარულში უკმაყოფილებას ლაპარაკობდა რუსებზე და აგინებდა, მე ერთხელ უთხარ, **იასე** შენ კი ემართლები რუსებს რომ აგინებ მეთქი, — მასკვან მითხრა, ამ რუსებმა სულ ბრილიანტი გარს რომ შემამაყარონო, მაშინაც არ მიყვარან ესენიო, მე ეთი უკანასკნელი კაცის შვილივარო, და ღვდლის შვილიო მე ჩემი მშობელი მამული ესრეთ მიყვარსო, რომ ორჯერაც გავიქეც, და ერთგულება დავანახვე ჩემს მამულსაო, აბა თქვენ პირველი კაცის შვილები ხართო, და ვერა გრძნობთ თქვენს მშობელს მამულსაო, მასკვან მე უთხარ რატო შენი ძმა არ მოინდომებს მეთქი,—მასკვან მითხრა, თუ აქაურნი მოიწადინებენო, მაშინ ჩემი ძმა პირველი მზრუნველი იქნება თქვენიო,—მასკვან უთხარ კარგი მე შენი ამხანაგი ვიქნები მეთქი. აბა როგორ მოვახდინოთ მეთქი—მასკვან მითხრა **თეიმურაზ ამილახვაროვისა**, როგორც ამის უწინარესად, მოვახსენე, კამისიას.—რომელიც ეს გარემოება **ოქროპირ ბატოიშვილს** განუცხადე. ამ სიტყვით, ჯერ ერთი ვიშოვე მეთქი, რომელიც დიდად იამა და მითხრა ხუმრობა არ არის, ჩემი სახელი არ გაუხსენოვო. — ამის შემდეგ აღარა გავიდა რა მაგთენი ხანი ანუ ოცი დღე, ან ცოტა ნაკლები, და ან ცოტა მეტი, რომ **ოქროპირ**, წავიდა რუსეთს. — პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**". „7-ს მარტს. 1833-სა წელსა.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (X, 1881).

„მაიორ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში,—**იასე ფალავანდოვმა** წაიკითხა განკარგულება, რომლის კითხვასაც დაესწრენ თავადები: **ალექსანდრე ორბელიანოვი**, გვარდიის პრაპორშჩ. **ლ. დიმიტრი ორბელიანოვი, ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთოვები**; განსაკუთრებული რამ საუბარი კი მე არ გამიგონია, რადგან რამოდენიმეჯერ გავედი მეორე ოთახში, სადაც **თ. ლუარსაბის** ჯალაბობა იყო და არ მახსოვს, რომ მათ **თ. დავით თარხანოვზე** ელაპარაკნათ. ამაზე უწინ კი **თ. ი. ფალავანდოვი** ამბობდა **დავით თარხანოვზე**, რომ შეთქმულების ამბავი მან ყველაფერი იცისო, რის მოწმენიც არიან თავადები **ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთოვები** და **თავ. ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანოვები**.

კაპიტანი თ. ჩოლაყაევი"
1833 წ. 8 მარტი.

მართა მესხიშვილის ჩვენება (X, 1797).

„**თარხნიათსა** ხშირად დავდიოდი როდესაც თავარ მართებელი იყო პოხოდში მაშინ თავის სახში ილაპარაკა **დიმიტრიმ**, ეს რუსები ხელი რომ აიღონ საქართველოზედო ეს **თამარ** კი აქ დარჩაო არ ვიცი რაზრზედ თქო ან რაზედ თქო მეც აველ **ბატონიშვილთან**[1]) იმან მკითხა ამბავი მეც უამბე **დიმიტრიმ** ასე თქო მეთქი ამ რუსებმა ხელი რომ აიღონ საქართველოზედ **თამარ** კი აქ დარჩა იმან მითხრა ნუ გეშინიან ხენმწიფე დიდი არისო მეორეთ კიდევ ავედი **ვახტანგ**[2]) იქ დამხდა **ვახტანგს** უთხარი რატომ პოხოდში არ წახველ **ვახტანგმა** მითხრა აქაც მივიღეფო ჩინსაო მე უთხარი შტატში იმსახურები სულ ერთი არის. **მელნიკოვისას** მკითხა **ელიზბარმა** თავარ მართებელი პახოთში რომ იყო **თარხნიანი** რას ლაპარაკობდნენო მე უთხარი არაფერსა ერთგულნი არიან მეთქი რათ მკითხე მე უთხარი ამან მითხრა არაფერათო მე რა ვიცოდი რაზედ მკითხა თითონაც უარყო მეც არა დავდიერა ვინც იქ არიან დაჭერილები **მელიკოვისასა**[3]) მინახანან. ამის მეტი არა ვიცი რა ერთი უმეცარი დედაკაცი ვარ არ ვიცი რა აზრზედ ხყვნენ **მართა ალექსოვისა მეხხოვისა.** 1833 მარტის ოთხს“.

კაპიტანი **თ. ჩოლაყაევი**“.

1833 წ. 8 მარტი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XI, 1916).

„კომისიის მიერ დასმულ კითხვებზე მაქვს პატივი უპასუხო: 1. 1831 წლის ზაფხულში ველაპარაკე **თ. მიხეილ ჯავახოვს, თ. ლუარსაბ ორბელიანოვის** სახლში ჩვენს განზრახულობაზე, სადაც დაესწრო **თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი;** ამათ უკვე ადრე გამოეცხადებინათ მისთვის იგი. **მიხ. ჯავახოვი** თანახმა იყო ჩვენს შეთქმულებაში მონაწილეობაზე. მე შევეკითხე მას დანარჩენი **ჯავახოვებიც** იქნებიან თუ არა თანახმა მეთქი. მან თქვა, რომ **ქაიხოსრო ჯავახოვის** თანხმობის იმედი მაქვსო. 1831 წელს აგვისტოში **მამუკა**[4]) გორში იყო; მე, ის და **სიმონ მაჩაბელოვი** წავედით სანადიროდ, დაბრუნებისას **მიხ. ჯავახოვთან** შევიარეთ. მაშინ **მიხ. ჯავახოვმა** ცალკე მკითხა **მამუკამ** იცის თუ არაო. მე უპასუხე იცის მეთქი. და მე ვკითხე **ქაიხოსრო ჯავახოვზე,** რომელიც ჩვენთან

---

[1]) თამიოი იგულისხმება.

[2]) ვ. ორბელიანი.

[3]) მელნიკოვისას უნდა იყოს.

[4]) ორბელიანი.

ერთად სადილობდა. **მიხეილმა** დამარწმუნა **ქაიხოსრო** თანახმაა, თვითონ **ქაიხოსრო ჯავახოვთან** მე არ მილაპარაკნია შეთქმულებაზე. არც სადილზე მითქვამს რამე შეთქმულების თაობაზე. იმავე დღეს საღამოთი მე დავბრუნდი გორში, **მამუკა** და **მაჩაბელოვი** კი მასთან დარჩნენ. 1832 წ. **ჯავახოვთან** მე აღარ მილაპარაკნია ჩვენს განზრახვაზე.

2. სოვეტნიკ **ალ. ორბელიანოვმა** უსამართლოდ აჩვენა **ალექსანდრე ჭავჭავაძეზე**, თითქოს მან მიიღო ჩვენი უფროსობა. **ალექსანდრე** იმიტომ ამბობს ამას, **რომ ჭავჭავაძე** ხარისხით (ЧИН) და წლოვანებით ჩვენში ყველაზე უფროსია; **ჭავჭავაძეს** არასდროს არ უთქვამს, რომ ის კეთილშობილობა ჩვენს მეთაურობას ოდესმე ჩვენ ყველანი აღვიარებდით, რომ ის ჩვენზე უფროსი და გამოცდილი იყო, ყველანი მას პატივსა ვცემდით.

3. როდესაც **ფალავანდოვი ლუარსაბს**[1]) უკითხავდა პირველი ლამის განკარგულებას, მაშინ ლაპარაკი იყო თარხანოვებზედაც, მე უამბე ლურსაბს დაწვრილებით რაც ვიცოდი **თარხანოვებზე** დაუმატე, რომ ვეცდები ისინი შემოვიერთო. შეთქი და **თ. ი. ფალავანდოვმაც** თქვა, რომ ისიც ეცდება, რომ შემოიერთოს, მაგრამ **ლუარსაბმა** განაცხადა, რომ ის არ ენდობა **თარხანოვებს** და აღგვიკრძალა მათთვის გამოგვეცხადებინა. მეტი არაფერი მახსოვს, რომ **ი. ფალავანდოვს** ეთქვას რამე **თარხანოვებზე**. იმის და ზიუხედავად, რომ **ლუარსაბმა** აღგვიკრძალა, ამის შემდეგ მე და **ფალავანდოვი** მაინც ვცდილობდით შეგვეტყო რამე **თარხანოვებზე**, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ.

4. 1831 წლის დასაწყისში გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვა მე და სოვეტნიკ **ალექსანდრემ, გრიგოლ ორბელიანოვს**, ის დაგვთანხმდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ამ განზრახვაში. ერთხელ ჩვენ ვკითხეთ გრიგოლს როგორ გამოუცხადოთ ჩვენი განზრახვა **ჭავჭავაძეს. გრიგოლმა** იკისრა მე გამოუცხადებ **ჭავჭავაძესაო** და ჩვენც გავგზავნეთ იგი მასთან; მაგრამ ვიღაც სტუმარმა ხელი შეუშალა და ვერ შესძლო **გრიგოლმა** გამოეცხადებინა **ჭავჭავაძისათვის**. ამის შემდეგ ჩვენ მასთან **გრიგოლი** აღარ გაგვიგზავნია. რადგან **ლუარსაბმა** გამოუცხადა **ჭავჭავაძეს**.

1831 წელს ივნისში **გრიგოლ ორბელიანოვი** ჯარისკაცებთან ერთად გაემგზავრა ს. პეტერბურგში, მე მას სიტყვიერად დავავალე **დიმიტრი ბატონიშვილისათვის** ყველაფერი დაწვრილებით გადაეცა ჩვენი განზრახულის შესახებ. მინდოდა წერილი გამეტანებინა, მა-

[1]) **ლ.** ორბელიანი.

ბრამ უარი თქვა, რომ პეტერბურგში გვიან ჩავალ და შეიძლება დამეკარგოსო, სიტყვიერად კი ალმითქვა უამბობო.

ყოფ. პოდპორ. თ. ელიზბარ ერისთავი".

8 მარტი, 1838 წ.

მართა მესხიშვილის ჩვენება (XI, 1064).

„მე ხშირად ვიარებოდი თარხნიშვილის დიმიტრის სახლში, საცა ყოველთვის როგორც თვითონ დიმიტრი, აგრეთვე იმისი ძმა დავით და იმათი ძმისწული ზაზა ჩვეულნენ, რუსები ძალიან გვიწუხებენო, ყმას და მამულს გვართმევენო, და არ ვიცით რა ვქნაო. ეს ჩვენი იმათგან გაგონილია მე როგორც ჩყლა წელს აგრეთვე ჩყლბ-ს წელს. ამას გარდა ჩყლბ წელს ერთხელ ვიყავ მე თარხნიანთ სახლში, და მთავარმართებელი პოხოდში იყო მაშინ და ჯარის მხარესაც არეულობა იყო ლეკების მხარეს, დიმიტრიმ სოქვა, თუ ამისთანას არეულობაში რუსებმა ჩვენზე ხელი აიღონ, თამარ ბატონიშვილი ხომ აქ არის, იმის შეტი არავისზე იმედი არ არისო, ამიტომ ის უფრო ჭკვიანია ყველაზე. ამ ლაპარაკის შემდგომ მე აველ თამარ ბატონიშვილთან და უთხარ ბატონიშვილო მეთქი ქართველებს უყვარხართ და შენ სულ გაქებენ, და იქნება რომ რუსები არ იყვნენ აქ, შენ დედოფლად დაგსოხ ქართველებმა მეთქი. იმან მიპასუხა, მეორათ დამსმენ, აი განა ბატონიშვილს ალექსანდრეს ვერ დასმენ მეფეთო და ან მუხრანის ბატონსაო. მე ის ზემორე სიტყვები ამიტომ მოვახსენე თამარ ბატონიშვილს, რომ ის ჩვეულდა, რუსები ჩემს ძმებს ჰსჩაგვრიანო და დიდს სარჩოს არ აძლევენო. ამაზე მეტი ალარაფერი, მხოლოდ ამის მეტი, რომ თამარ ბატონიშვილი შარშან ზაფხულს თითქმის ყოველდღე იყო თეკლე ბატონიშვილის ბაღში, და ვიცი კიდევ, რომ იმასთან ხშირად იარებოდენ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, მისი ძმა ვახტანგ, ელიზბარ, ვახტანგ ერთხელ როცა მე ყაველ ბატონიშვილთან იქ დამხვდა, მე ვკითხე შენ რატომ პოხოდში არ წახვალ მეთქი და იმან მიპასუხა, რომ მე შტატის სამსახურში ვარო. მერე, მითხრა მართავ ახლა რომ ჩეჩნეთი კარზე მოგვადგნენ რასა იქმ მე უთხარ ღმერთმა ნუ ქნას მაგას, როგორც მეუბნები მეთქი. მასუკან სიცილი დაიწყო და ის და ბატონიშვილი თამარ ჩემთან ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. ზემოთ რომ დავწერე ჩემი და თამარ ბატონიშვილის ლაპარაკისა შემდგომ ვიყავ მე მელნიკოვის სახლში, საცა ელიზბარმა მკითხა, მთავარმმართებელი რომ პოხოდში იყო მაშინ თარხნიანთას რა ლაპარაკი იყოო. მე ეპვი ავიღე ამ სიტყვაზე ხომ არ შეუტყვია მეთქი ჩემი და თამარ ბატონიშვილთან ლაპარაკი,

და ამიტომ უპასუხე ელიზბარს ფარხნიანთის არაფერი ლაპარაკი არა იყოთ, ისინი ხელმწიფის ერთგულნი არიან მეთქი. ამაზე მეტი მე ელიზბართან და არც სხვასთან ლაპარაკი არა მქონია რა. ეს ზემოთ დაწერილი სულ ჩემი სიტყვებია. მიმარიტეთ და ხელ ვაწერ მართა ალექსოვისა მესხოვისა".

ჩყლგ წელსა.
მარტის 9-ს

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XI, 1864).

„კომისიასა შინა!

წარსულს 1832-სა წელსა, იმ წინა დღეებში ჯერ ჩვენ არ დაველპირეთ, ერთს დღეს შუადღეზე ცოტა ადრე მივედით სანახავად თავადს იასე ფალავანდოვთან, არ ეიცი ო. ელიზბარ ერისთოვი იყო ჩემთან, რომ მივედით, თუ ჩემი ძმა დიმიტრი, ამ ორთაგანი ერთ ერთი იყო—სწორეთ კი არ მახსოვს რომელი იყო.—ოდესაც შევედით, პატარა ხანს დავსხედით, მასკვან იასე ფალავანდოვი წამოდგა, და თავის ოთახის კარი დაკეტა, და გვითხრა ერთს რასმე წაგიკითხამთო, რომ არავინ არ შამოვიდეს მინამ წაგიკითხამთო. იმისთვის დაკეტე კარიო.—მასკვან თავის კრეტიდგან, თავის ბალიშიდგან ერთი თაბახი ლურჯი ქაღალდი გამოიღო. იმ ბალიშ ქვეშიდან, სულ სამსე იყო ეს თაბახი დაწერილი ლექსით.—მასკვან იასემ გვითხრა, აი იმერეთში ბუნტი რომ მოხდა 1820-სა წელსაო, ამ ლექსმა მოახდინაო,—ეს ლექსი ამ ჩვენს ხალხს წაუკითხოთო, ხომ სულ გადაირეეიან, და გაგიჟდებიანო. მასკვან იასემ ჩვენ წაგვიკითხა, აქ იყო ესრეთ დაწერილი, ოდესაცაო თეოფილაქტე შევიდა იმერეთში, და იმ დროის იმერეთი რომ აბუნტდა,—და ხალხის დიდი შეგონება, ბუნტი და აღრეულობა იყო დაწერილე, ესე იგი პრაკლამაცია,—მასკვან კიდევ გვითხრა იასემ როცა საჭირო იყოსო ეს წაუკითხოთ ხალხსაო, და მასკვან ნახანთ რაც მოხდებაო.—ამის შემდეგ მცირე ხანს კიდევ ვიყავით იასესთან და მასკვან წამოვედით.—პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი".

„10"-ს მარტს. 1833-სა წელსა.

სტეფანე ლორისმელიქოვის ჩვენება (XI 1868).

„თუმცა ევსეი ფალავანდოვს მოუხსენებია კომისიაში, რომ ვითომც იმას ეჩვენებინოს ჩემთვის, რაღაც ქაღალდი და ეთქოს რომ სწერს პეტერბურგსა ენერალ ბეკენდორფთან რათა დაიბა-

რონ იგი საკუთარის ფელდიე-გერითა იქა გამოსაცხადებლად მმართებლობისათვის რიღასიც მძინის და საიდუმლოს საქმისა; მე ეს სრულებით არ ვიცი არც გამიგონია და არც ნახსომს და არც ვიცი **ბეკენდორფი** ვინ არის, ეს კი მრავალჯერ შემიტყვია იმისგან, რომ თვით ხელმწიფესთან ვიჩიკლებო, და მე ვგონებდი, რომ საჩივარი იმისი იქნებოდა თავის ძმაზედ, რადგანაც იმათში იყო უკმაყოფილება—ამას გარდა მე არ ვიცი რომ ინას ჰქონოდეს გულში რამ საიდუმლო გამოსაცხედებელი რომელიც არც ინას უთქვამს არც მახსოვს.—**აზნაური სტეფანე ლორისმელიქოვი**".

ი. მარტისა

ჩყლგ-ს წელსა.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XI, 1980).

„კომისიის ბრძანების თანახმად მაქვს პატივი მოვახსენო **შემდეგი**: ცნობილია, რომ **ოქროპირ ბატონიშვილმა** დამავალა ველაპარაკო ახალგაზრდებს, რათა ისინი მათ ხცნობდნენ და მათი მეფობის მსურველნი იყვნენ; უნდა მეთხოვა მღვდლებისათვის, რომ მათ შეეგედრებინათ ისინი ღმერთისათვის და უნდა შთამეგონებინა მოწაფეებისათვის სამშობლოს სიყვარული. რადგანაც აქ ჩამოყალიბდა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება, ამიტომ მე მივწერე მას, რომ ის ამ წერილით მიხვედრილიყო შეთქმულებაზე და თავადების სურვილზე, რომ გაედევნათ რუსები საქართველოდან, რომ თავადები ფიქრობენ და ცდილობენ მისი სურვილის შესრულებას და მეც ვაცნობე, რომ მახსოვს მისი დავალება და იგი სისრულეშიაც მოდის მეთქი, რადგან ბატონიშვილმა ჩვენი თანამემამულეების განათლებაც დამავალა აგრეთვე. ეს პირველი წერილი გაუგზავნე **ტალიევის** ხელით, 1831 წელს მეორე წერილი ფოსტით გაუგზავნე, თან დაბეჭდილი განცხადება დაურთე 1831 წლის დამლევს ქართული გაზეთის გამოსვლის შესახებ. ამ წერილში არაფერი მისახვედრი არ იყო ჩვენს განზრახულობაზე, მე მხოლოდ ვთხოვდი, რომ თვითონ იმასაც და მოსკოვში მყოფ ყველა ქართველებსაც მოეწერათ ხელი და გამოეგზავნათ თავისი თხზულებები და თარგმანები გაზეთში დასაბეჭდად. მისგან არავითარი პასუხი არ მიმიღია და ამიტომაც მეტი აღარ მიმიწერია. **ტალიევი** ლტოლვილ **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მყოფი მღვდლის შვილია, 1822 და 1823 წლ., როდესაც მე სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად ვიყავი, ის იქა სწავლობდა. იგი საეკლესიო ყმათაგანია და იმყოფებოდა წმ. ნინოს მონასტერში **იოანე მიტროპოლიტთან**; 1831 წელს მან მონიტანა ამ მიტროპოლიტისა-

გან წერილი, რომელშიაც შუამდგომლობას მწერდა, რომ ხელი შემეწყო ტალიევის განათლების მისაღებად პეტერბურგში გაგზავნაზე, მეც უშუამდგომლე ოქროპირ ბატონიშვილის წინაშე, რომ მიეცა მისთვის რამე დახმარება. მე და ალექსანდრე ორბელიანოვმა დავავალეთ მას სიტყვიერად გადაეცა ოქროპირ ბატონიშვილისათვის, რომ ვცდილობთ მის დავალებათა შესრულებას და თავადებს სურთ საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლება; სხვისთვის კი არავისთვის არ უნდა ეთქვა. ვინ და როდის გაგზავნა იგი სპარსეთში, ან როდის დაბრუნდა იგი, მე არაფერი ვიცი. როცა ის ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ მას აქვს ორი წერილი, ერთი მათგანი ბატონიშვილთან, მე ვკითხე ალ. ორბელიანოვს რომელ ბატონიშვილთან მეთქი; მან მიპასუხა მუხრანსკის ცოლთანაო. მე ამ ბატონიშვილს არ ვიცნობ და არ ვიცი წერილი ვისი იყო. როდესაც მე ველაპარაკე თ. გრიგოლ მუხრანსკის ამ წერილის შესახებ იმათ ალაყაფის კარებთან, მან მთხოვა არავის არ უთხრაო, მე კი უთხარი ეხლავე დაწვი მეთქი. ნე ისე წამოვედი, რომ ბატონიშვილმა ვერ გაიგო, ტალიევი კი ამ ალაყაფის კარებთან დარჩა, მისცა ის წერილი ბატონიშვილს, დაწვა, თუ უკანვე წამოიღო, ან რა უყო იგი, ძე არ ვიცი. მეორე წერილი ფარნაოზ ბატონიშვილზე იყო და იგი ეხლა მასთან არის. წერილები მე არ წამიკითხავს და არ ვიცი რა იყო მათი შინაარსი.

წინდა ბერი, რომელიც ბაგრატიონთათვის ლოცულობს, ვინ არის სახელდობრ, რა ჰქვიან, ან სად არის მე არ ვიცი. ოქროპირ ბატონიშვილს არ უთქვამს ჩემთვის არც მისი სახელი და არც ადგილი, სადაც ის არის. ოქროპირ ბატონიშვილი აქ რომ იყო, დაიარებოდა ჩემთან სახლში, მიალერსებდა, მიცხადებდა მეგობრობას და შთამაგონებდა სამშობლოზე, რომ მეფიქრა მის შესახებ; იმან და თავადებმა დამღუპეს, ღვთის გულისათვის ნუ დამღუპავთ ცრემლით მათხოვარს, შეიბრალეთ ჩემი უბედური, ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახი.

მასწავლ. სოლომონ დოდაევი".

11 მარტი. 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XI, 1982).

„კომისიასა შინა!

1-ი) წარსულს 1831-სა წელსა, ჯერ ვარშავა არ იყო აღებული იმ ზაფხულს, დოდაევმა ერთი წიგნი მისწერა ოქროპირ

ბატოიშვილს, რომელიც მეორე გვერდზე მეც დავწერე იმასთან. -იბ წიგნში ტოჩკები უჯდა, ის წიგნი, და ის ტოჩკები ამ აზრსა ზედა იყო დაწერილი, როგორც მე ნახსომს რომ, ახლა ჩვენ კარგი საზოგადოობა გვყავს, რომელიც ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებასაო.—და **ოქროპირსაც** ვაცნობეთ იმ წიგნის ძალით, ესე იგი ჩვენი გარემოება.

2-) წარსრულ 1831-სა წელსა ზაფხულს ერთს საღამოს ჟამზე მოვიდა ჩემთან **დოდაევი,** და მითხრა **ალექსანდრე ბატოიშვილთან** ღვდელი რომ არის, იმ ღვდლის შვილი მოვიდა ჩემთანა დგასო, რომელიც რუსეთს აპირებს წასვლასაო, და **ორი** წიგნი მოიტანაო, ერთი **ფარნაოზ ბატოიშვილთანაო,** და **მეორე ქეთევან ბატოიშვილთანაო,** რომელიც დღეს მიეტანა ის წიგნი **ბატოიშვილს ქეთევანთანაო.** რომ თქვენმა ძმამ **ალექსანდრემ** მოგწერათო, და ამაზე დიდად გაჯავრებულიყო **ქეთევან ბატოიშვილიო,** და ეთქო თავის მოსამსახურებისათვის რომ გაგდევით ეგ ვიღაც არის მოსულაო, და წიგნი მოუტანიაო,—რომელიც ესრეთ აღესრულათ და გაეგდოთ, ის ღვდლის შვილიო, ან სიტყვის შემდეგ მცირეს ხანს იჯდა ჩემთან, და მასკვან წავიდა შინა,—ამის მეორე დღეს მე წავედი **დოდაშვილის** სანახავად, და დავსხედით დივანზე.—ამ დროს ადგა **დოდაევ,** და ის **ორივ** წიგნები მოიტანა გახსნილები, **ფარნაოზთან,** და **ქეთევან ბატოიშვილთან, ალექსანდრე ბატოიშვილის,** ჯერ **ფარნაოზის** წიგნი წაიკითხა **დოდაევმა,** რომელსაცა შინა იყო დაწერილი ესრეთ, როგორც მახსომს თხოვა რომ წყალობდეს და თავის საფარველს ქვეშ მიიღოს, ის ღვდლის შვილი, ახლა ის მეორე წიგნი წაიკითხა, **ქეთევან ბატოიშვილისა,** რომელსაცა აგრეთვე პირველის წიგნის მგზავსი იყო დაწერილი.—მასკვან მითხრა **დოდაევმა,** ხვალ იმ ღვდლის შვილს შენთან გამოვგზავნიო, და შენც დაბარე იმ ღვდლის შვილსაო, **ოქროპირ ბატოიშვილთანაო,** მასკვან მე უთხარ, შენ დაგიბარებია, და დაგირიგებია, როგორ მოიქცეს ის ღვდლის შვილი მეთქი, და ჩემი რაღა საჭიროა არის მეთქი.—მასკვან მითხრა—შენც რომ დაბარებ უფრო კარგი არის, და სწორედ შეიტყობს **ოქროპირ ბატოიშვილიო.** რომ აქ ჩვენ საზოგადოობა გვყავსო, და ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებისთვისაო. მასკვან მე უთხარ აგრე იყოს გამოგზავნე მეთქი,—მეორეს დღეს **მეათე** საათი იქნებოდა, ჩემი ბიჭი შემოვიდა, მითხრა ერთი ყმაწვილი კაცი მოსულა თქვენთანაო, და თქვენთან საქმე აქვსო.—მე გამოველ კარზე ვნახე რომ ერთი რიგიანად ჩაცმული ყმაწვილი კაცი იდგა კიბის თავზე.—მე თავადი შვილი მე-

გონა, და ეს ვიფიქრე უთოოთ, სანაპარეთლოს საქმე აქვს რომ ჩემთან მოსულა, მეთქი.—მასკვან ვთხოვე და ჩემი ძმის **ვახტანგის** დახატულს ოთახში შევიწვიე, და ვთხოვე, დაჯდომა, მასკვან ვკითხე, თუ უკაცრავად არ ვიყო ვინა ბძანდებით მეთქი. — მასკვან მითხრა, მე **დოდაევმა** გამომგზავნა, **ალექსანდრე ბატოიშვილის** ღვდლის შვილი ვარო.—მასკვან მამაგონდა, ვკითხე როდის მიხვალ რუსეთსა მეთქი.—ნასკვან იმან მითხრა, ხვალაო. შემდეგ მე უთხარ **დოდაევმა** რა დაგაბარა მეთქი,—მითხრა წიგნი მისწერა **ოჭროპირსაო**, და პირათაც, ყოველი აქაური გარემოება დამაბარაო, — რომელიც ის წიგნი კამისიასა შინა მდებარებს, და ჩემი მიწერილიც არის, ის წიგნი, იმ ღვდლის შვილს გატანა **დოდაევმა**.—მასკვან მე უთხარ იმ ღვდლის შვილსა, ჩემ ნაგიერადაც მოკითხვა განუცხადე, **ოჭროპირსა** მეთქი და ესეც უთხარი ჩემაგიერ რომ, აქ საქართველოში ახლა საზოგადოობა არის რომ ვცდილობთ, საქართველოს განთავისუფლებასა მეთქი.—ამ სიტყვის შემდეგ წავიდა ჩემგნით და მითხრა, დიახ ვეტყვი ნაგ. დაბარებასაო. მე ის ღვდლის შვილი ერთის მეტად არ მინახავს, არც სახელი ვიცი იმისი, და არც გვარი, უნდა ოცდა ოთხის წლისა ყოფილიყო, ხუთი ვერშოკი (?) სიმაღლე ექნებოდა, და პირმრგვალი იყო, იმაზე მეტი არ მახსომს.

3-ი) ეს მესამე გარემოება სწორეთ არ მახსომ, ამ ორთაგანმა რომელმა თქვეს—**სოლომან რაზმაძემა**, თუ **კორნეტ გიორგი ერისთოვმა**, ესე იგი, ის **ალექსანდრე ბატოიშვილის** ღვდლის შვილი რომ მისულა, პეტერბურღში, არც ერთს ბატოიშვილს არ მიუღიათ, და დაუთხოვნიათ.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი".
11-სა მარტსა, 1833-სა წელსა.

დათია ბაინდურასშვილის ჩვენება (XI, 1997)

„კომმისიასა შინა.

კომმისია რომ ფიცით მკითხავს, მეც ჭეშმარიტებით მოვახსენებ, რომ შარშან მანამ ჩემს ბატონს მაიორს **თავად ლუარსაბ ორბელიანს** დაიჭერდნენ, ერთის თუ ორის თვის წინათ, მოვიდა ჩვენს სახლში ერთი პოლიაკი, რომელსაც მე ვკითხე რა გინდა მეთქი და იმან მიპასუხა რომ შენი ბატონი მაიორი მინდა ვნახოო, იმასთან საქმე მაქვსო, მერე მე ვკითხე როგორ მოვახსენო მეთქი და იმან მიპასუხა პოლკის ოფიცერი ვარო და გუბერნატორის ძმამ **ფალავანდოვმა** განამგზავნა შენს ბატონთანაო, მე შაველ და მო-

ვახსენე ჩემს ბატონს და იმან მიბრძანა დაითხოვე და ნუ მიიღებო უთხარ არ შეუძლიანო, მეც ხავედი და ასე ვუპასუხე იმ პოლიაკს და გავისტუმრე; მეორეს დღეს ისევ მოვიდა და მითხრა შენის ბატონის ნახვა მინდა; **იასე ფალავანდოვისაგან** ვარ გაშოგზავნილიო და ერთი ქაღალდიც ნომცა შენს ბატონს უჩვენეო, ეს ფრანციცულად არის დაწერილიო, რომელიც მე შეუტანე და უჩვენე, ბატონი ჩემი გაჯავრდა და თქვა რას გადამეკიდა ეგ პოლიაკიო, წიგნი დამიბრუნა და მიბრძანა გამეცალე და დაითხოვე წავიდესო, მე მაგას ვერ მივიღებო, შეც გამოველ, დავითხოვე, და მას აქეთ აღარ მინახავს ის ჩვენს სახლში.—იმ პოლიაკის არც სახელი და არც გვარი არ ვიცი, და თუ პირდაპირ ვნახო, ვიცნობ. — იმას ეცო ნავთის ფერი სერთუკი და ეხურა ფურაჟკა თვითონ იყო მაღლის ტანისა და პირსავსე ყმარწვხლი კაცი.—მაიორის თავადის **ლუარსაბ ორბელიანის** მოსამსახურე **დათია** ბაინდურასშვილი.[1])

ია. ნარტსა. 1933-სა წელსა

მართა მესხიშვილის ჩვენება (XI, 2006).

„მთავარმმართებლის პოხოდში ყოფნის დროს შარშან, **დიმიტრი თარხანოვი** ერთხელ შემოვიდა თავის სახლში საღამო ხანს და დაიწყო იმან ლაპარაკი, რომ ერთის მხრიდამ ჩეჩნები, მეორეს მხრიდამ ლეკები ეომებიან რუსებს და შეუწუხებიათ, ამას გარდა რუსეთშიც არეულობა არის და აქეთკენაც, მაშინ **დიმიტრის** ცოლმა უთხრა ქმარსა, რათ იცი ნაგისთანა ლაპარაკებიო, ეხლა ნეტავი ეგენი რუსებმა შეგიტყონ და დაგიჭირონ შენცა და ის შამაძალი ზაალ **დივანბეგისშვილი ბარათოვი**, რომელიც როცა ქალაქს ჩამოვა. ჭორებს აჰკრეფს, მოგიტანს და შენც გალაპარაკებსო. ამას გარდა **ზაალ მდივანბეგის შვილი ივანე** და **დიმიტრი თარხანოვი** დიდი მეგობრები არიან, დიახ სრული სიარული აქვსთ და შეერთება ერთმანეთთან და თუმცა ბევრჯელ მეც მინახავს, რომ ერთმანერთს ეჩურჩულებიან ცალკე, მაგრამ არ ვიცი რაზედ იქმნებოდა იმათი ლაპარაკი. — ამ წელს იანვრის ით-სა დღესა როდესაც პრაპორშჩიკი **იაია კორჩიბაშოვი** იყო ჩემს ზემოთ სახლში, სადაც დგას **დავით თარხანოვი** და ეთამაშებოდა იმის ბიჭს **კიკოლას** ნარდსა, ნაშინ მითხრა იმან აი ყველას იჭერენ, შენც დაგიჭერენო, მეც ვუპასუხე; რომ თუ მე დამიჭერენ, პირველად უფრო შენი სიძე **დიმიტრი** არის დასაჭერი, მე ხელმწიფის მოწყალე-

[1]) ჩვენება სხვის დაწერილია, ამას მხოლოდ ხელი მოუწერია

ბით შვილები მეზრდებიან და მეც პენციას მოველი რომ მივიღო. ეს ჩემი სიტყვებია **მართა მესხოვი ალექსოვისა.**
მარტის იბ-სა ჩყლგ-სა წელსა".

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XI, 2014).

„საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე ბაქვს პატივი უპასუხო„

ჰეტერბურგში რომ ვიყავი 1831 წ. ერთხელ, მგონია მარტო იყო **დიმიტრი** ბატონიშვილმა მაჩვენა ჩემი ძმის **ელიზბარის** წერილი და მითხრა: „ხომ არ იცი ვინ არის ის სომეხი, რომელზეაც იწერება, რომ საჩქაროდ სახერხი ხელსაწყოები ძიშოვოსო". მე უპასუხე არ ვიცი მეთქი; მომცეს წერილი და მთხოვეს გამეგო. წერილი წავიღე და დავიწყე ძებნა, მაგრამ იმ გვარი კაცი ვერავინ ვიპოვნე. ჩემი წამოსვლის წინ **დიმიტრი** ბატონიშვილმა განმიცხადა საიდუმლო მიმოწერის ხერხი, რომელიც მე უკვე ქონდა პატივი ჩემს წინა ჩვენებებში განმემარტა; ამასთანავე მითხრა: „იქნება ის (ე. ი. ზევით მოხსენებული) წერილი ამ ხერხით არის დაწერილი, საქართველოში რომ ჩახვალთ უთხარით თქვენ ძმას, რომ ის ფორმატი დამეკარგა და იმ ფორმატით აღარ მომწეროსო და თუ უნდა ისეთი გააკეთოს როგორც თქვენია"-ო.

საქართველოში რომ ჩამოვედი, არ მახსოვს უთხარი ჩემ ძმას თუ არა ეს დაბარებული, ფორმატი კი არ მიჩვენებია და არც ვიცი იმ წერილის მეტი მიმოწერა კიდევ ჰქონდა თუ არა ჩემ ძმას **დიმიტრი** ბატონიშვილთან. ზემოხსენებული წერილის შესახებ ერთხელ მომიხდა მეკითხა ჩემი ძმა **ელიზბარისთვის** და იმან ორიოდე სიტყვით მიამბო, მაგრამ არ მახსოვს ეს სიტყვები სრულებით.

არტილერიის პრაპორ. **თ. დიმიტრი ერისთოვი".**
1833 წ. 14 მარტი.

საგამომძიებლო კომისიისაგან ქართველ თავადის ასულ თამარისადმი.

(XI, 2028).

„თითქმის გამოძიების დაწყებიდანვე რამოდენიმე ცნობა უჩვენებდა თქვენს მონაწილეობას იმ შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოდან რუსების გაძევებასა და ძველი საშეფო სახლის აღდგენას. კომისია პირველი ჩვენებებით, არ დაკმაყოფილდა, რომელთაც არა ჰქონდათ ჯერ საკმაო ძალა და დასაბუთება, ამიტომ ნაადრევად მიიჩნია თქვენი მოწვევა დასაკითხად, რომ უსფუძვლო იჭვით თქვენთვის შეურაცყოფა არ მოეყენებინა.

მან ამჯობინა ჯერ დარწმუნებულიყო თქვენი დანაშაულის ხარისხში სხვა მონაწილეთა ჩვენებების საშუალებით. ბევრნი პირველად თქვენს დაფარვას ცდილობდნენ, მაგრამ თანდათანობით გამოძიებამ მიგვიყვანა ჭეშმარიტებასთან და თან მოჰყვა უფრო გულწრფელი აღიარება. მაშინ სხვადასხვა პირთაგან, რომლებიც ერთი მეორისაგან განცალკევებული არიან, შემოვიდა ისეთი მნიშვნელოვანი ერთი და იმავე აზრის ცნობები, რომ კომისია იძულებული შეიქმნა, კანონიერ ვალდებულებათა გარდაუვალობის გამო, აუცილებლად ჩაეთვალა თქვენი დაპატიმრებაც.

პირველ ყოვლისა კომისიის მოვალეობა იყო წარმოედგინა თქვენთვის საერთო კითხვითი პუნქტები თქვენზე არსებულ საბრალმდებლო ჩვენებების მიხედვით. ეს აღსრულებულ იქნა თქვენი დაპატიმრებისთანავე თებერვლის 24. შემდეგ კომისია ფიქრობდა განემარტა თქვენთვის დაწვრილებით, თუ ვინ სახელდობრ რა სთქვა თქვენზე; როდესაც კომისიის წევრ გენ.—**ძაირო ჩევკინთან** პირადი საუბრის დროს თქვენ კეთილ ინებეთ და განაცხადეთ, რომ არავითარ წერილობით საბუთზე თქვენ სხვა პასუხს ვერ გასცემთ, იმის გარდა, რაც თქვენს პირველ ახსნა-განმარტებაშია მოთხრობილი, და ამიტომ თქვენზე ჩვენებების წარმოდგენის ნაცვლად თქვენ გნებავთ მათთან პირისპირ წაყენება, ვინც თქვენზე რაიმეს აჩვენებს, და ეს თქვენი ჩვენება თქვენ გსურდათ წერილობითაც დაგედასტურებინათ, — თქვენი თხოვნის შესრულების დასაჩქარებლად, კომისია შეუდგა დაუყოვნებლივ, რამდენადაც კი სხვა საქმეები მას ნებას აძლევდა, თქვენ შესახებ ყველა ჩვენებათა თავის მოყრას.

ამჟამად კომისიამ მიიღო ცნობა კომისიის მეორე წევრ პოლკოვნიკ **ტრიტილევიჩისაგან,** რომ თქვენ კეთილგინებებიათ თქვენ წინააღმდეგ ჩვენებათა გაცნობა, რის გამოც კომისია იჩქარის წარმოგიდგინოთ ქვემომოყვანილი ჩვენებები და გთხოვთ მისცეთ თქვენი სათანადო განმარტება.[1])

თამარ ბატონიშვილის პასუხები.

„უფალთ კომისიის ჩვენებთან ბოდიშს ვიხდი, რომ ამ წერილის მიღებაზედ ვერ აღვიარე რაც ვიცოდი, დიდათ ჩემი სვინდისის წინააღმდეგი მეგონა პირველათ მე როგორ უნდა მეთქვა

[1] მოყვანილია ყველა ცნობები, რაც კი დაპატიმრებულებმა თამარ ბატონიშვილზე აჩვენეს, რომელთა გასწვრივაც ზემოდ მოყვანილი პასუხები დაუწერია თვით თამარს.

რამე ჩემს მახლობელ ნათესავებზედ და ასეც ვიცოდი რადგანაც პირ-
დაპირ მალაპარაკებდნენ, მაშინ აღმიარებინა, ყოველივე რაც ვსთ-
ქვი თქვენს წინაშე და ახლაც ამას ვსწერ. მართალია მეუბნებოდ-
ნენ თავისუფლება გვინდაო ყოველთვის უშლიდი და ვამხილებდი
როგორ წინააღმდეგი იყო ღვთისა ამისთანა განზრახვა. ამას ვეუ-
ბნებოდი იმისმა დიდებულებამ, რუსეთის იმპერატორმა რომ ინე-
ბოს და ხელი აიღოს საქართველოზედ თუ იმის საფარველი არ ექ-
ნება მოვლა არავის არ შეუძლიან, გარეშე რაც მტერნი ახვევი-
ან მიწასთან გასწორებენ ჩვენს ქვეყანას და რა სიყვარული არის
თქვენის მშობლის ქვეყნისა რომ ასეთი საქმე მოახდინოთ, თქვენი
თავიც განსაცდელში მისცეთ და საქართველოც და ნრავალს ამის-
თანას დარიგებას ვეუბნებოდი, ხან ჯავრობით და ხან რჩევით.
ჩემი დანაშაული ეს არის, როდესაც პირველად მითხრეს მაშინვე
უნდა იმათთვის მეთქვა ჩემთან ნულარ იტყვით და აღარც მეთქმე-
ვინებინა შემდეგ, ნაგრამ რადგანაც ჩემნი დიდნი მახლობელნი ნა-
თესავნი იყვნენ მეგონა ჩემს რჩევას გაიგონებდნენ და ამისთანას
ცუდს განზრახვაზედ ხელს აიღებდნენ. ამას და გარდა ბევრჯელ
ორი თვე უფრო ბევრიც გადიოდა აღარასფერს აღარას იტყოდნენ
მე გარწმუნებთ არც იმათ ჩემთან ისე ხშირად უთქვამსთ თუ არა
ათაში ერთხელ ვერასდროს ვერ ნეტყოდნენ და არც ერთხელ მე
იმათთვის არა მეთქვას რა თუ თითონ არ დაიწყებდნენ ლაპარაკს,
როდესაც რომ იტყოდნენ განკვირვებული პასუხს მიუგებდი რა
დაგემართათ კიდევ თქვენის თავიდან ვერ განიშორეთ მაგისთანა
ღვთის საწყენი ფიქრი თქვენის თავის გაუბედურება გინდათ, იმის-
თვის ლაპარაკობთ. პასუხს ამას მომცენდნენ ჩვენ ამით რათ გავუ-
ბედურდებით ჩვენში წერილს ვერა პოებენ ცარიელს ლაპარაკის-
თვის რას გადაგვახდევინებენ მე ვარწმუნებდი ერთერთი თქვენი
ამხანაგი ვინმე გაგცემთ და საუკუნოთ თქვენ თავს დაიღუპამთ
თქვენ ძმობიხართ დიახ ერთმანერთს არ გასცემთ შაგრამ მესმის
რომ ვიღაც უბრალო ამხანაგები თურმე გყავთ რომელთანაც მეგო-
ბრობა გაქვთ ისინი არ დაგინდობენ. მე წინაშე ღვთისა რომ წარ-
ვდგები იქ დავისაჯო თუ ჩემგან ან ერთხელ თანხმობა გაეგონოთ
თავიანთი განზრახვისა, ყოველთვის დამშლელი ვიყავ ამის შეტი
მე დანაშაული არა მქონდეს რა რათ ვათქმევინე ჩემთან. არც ერთ-
ხელ და არც ერთ აზრში იმათი თანახმა არა ვყოფილვარ და
ყოველთვის დამიშლია როგორც თქვენს წინაშეც აღვიარე, მანამ-
დის არამცოდნებია იმათი დაწყობილება საქმისა სანამ **ალექსან-**

დრემ[1]) ჩემა მამიდაშვილმა არ მითხრა და შემომეხვეწა ეცადე დაა-შლევინოო. რომელიც მეორეს დღეს გიორგის,[2]) დიმიტრის[3]) და ვახტანგს[4] ჩემს მამიდაშვილებს უთხარ რჩევით და ხვეწნით თქვენს თავს განსაცდელში ნუ აძლევთ ვერასფერს ვერავის რას ავნებთ თქვენის თავის მეტს მეთქი. შემდგომად ამისა აღარა ვიცირა და ყოველთვის დიდათ ვერიდებოდი იმათ ლაპარაკს **ალექსანდრე** აღარც კი მინახავს.

მართა მესხიევისა პირველათ რომ მკითხეთ ასე თქვაო **თარ-ხანოვებმა** **დავითმა** და **დიმიტრიმ** რეჩი დაწერესო ვითომ ჩემზედ და რუსეთზედაო როგორ უნდა ამის პასუხი მომეცა რომელიც ღმერთსა ვფიცავ არ გამიგონია ეგრეთვე გუშინ პირში რომ წარ-ძმიდგა ბარონ გრიგორი ვლადიმერიჩი[5]) დაღისტანში რომ იყოო შემოქმედს ღმერთს ვფიცავ მე იმისგან არც არავის თავადის ხსენება გამეგონოს და არც ვიცოდი ვისგან იყო ნათქვამი რომ არ მიამა ის თქმა რათა ვკითხამდი არც თვითონ უთქვამს ხოლოდ ესე თქვა ისე ილაპარაკესო დიდის მწუხარებითა თქვა და არც არა წინააღმდეგი რუსეთისა არა უთქვამს რა მხოლოდ რაც არა ვსთქვი ამის მეტი კიდევაც ის გაიმეორა ღმერთმა დაგვიფაროსო რომ რუსეთის მფა-ველობა ჩვენ მოგვეხადოსო მე კიდევ დავარწმუნე მაგაზედ ნუ სწუხარ ბევრი მოგონებები იციან არასდროს ხემწიფე არ ინებებს თავის საფარველის განშორებას ჩვენს ქვეყანაზედ და ესეც უთხარ ეხლა მოდის მთავარმართებელი რომელსაც დიდათ აქებენ ის იზ-რუნებს ყველას საზოგადოობისათვის. ამ სიტყვაზედ ადგა და წავი-და და აღარც კარგა ხანს მინახავს რამთენმაშე თვემ განვლო, ეს წერილი იმას წაუკითხეთ თუ ყოველივე ჭეშმარიტებით არ დამე-წეროს სცნობთ, საბრალოშ რომ არა უთქვამს რა იმისთანა რის-თვის გამოცვალა თავის სიტყვა და ან დრო როდესაც მითხრა. როდესაც **მართამ** მე ეს მითხრა, აღარ მახსოვს რამთენი დღე იყო გავ-ლილი ჩემი მამიდაშვილი **ალექსანდრე** იყო ჩემთან და სხვანიც იყვნენ სწორედ არ მახსოვს ვინა თქვა, ეჭზარხნა იქადაგაო დიახ კარგათა და ესეც შემოიტანა თავის ქადაგებაშიო რომელნიმე თუ-რმეო საზოგადოობაში ხმაწ აგდებენო ვითომ იმისმა დიდებულებამ რუსეთის იმპერატორმა თავისი საფარველი ახადოსო საქართვე-ლოსაო. ამას ნურავინ იფიქრებსო როგორათაც აქამდის თავის მფარველობას და აკლებდაო და ზრუნვასაო არც შემდეგ განა-

---

[1]) ალ. ორბელიანი იგულისხმება.

[2]) [3]) [4]) **გიორგი, რევაზისძე ერეხთაი, დიმიტრი და ვახტანგი ორბელია-ნები.**

[5]) **როზენი.**

შორებსო, ჭეშმარიტებას ვფიცავ არ ვიცი ვინა თქვა—რა დასამალავია რომ დავმალო თუ კი მახსოვდეს. მე **ალექსანდრეს** უთხარ საწყალი ის ერთი დედათაგანი კიდეც იმიტომ იყო ასე შეწუხებული გავს ამგვარი ხმა დაუგდიათ არ მამეშვა ვინ იყოო არ მინდოდა რომ მეთქვა მაგრამ ცუდი არა მეგონა რა შემდგომად უთხარ ვინცა თქვა ღმერთს ვფიცავ ჩემი რაცა მითხრა **მართამ** მე **ალექსანდრესთვის** არც არავის სხვისთვის არ მითქვამს რაც ეხლა აქ არ დავწერე მაგას ჩემს თავს როგორ ვკადრებდი რომელიც რომ თითქმის სასაცილოთ აგდებათ მივიღე მე სხვასთან როგორ გამოვაცხადებდი, მაშინვე **ალექსანდრემ** მითხრა უთუოთ **თარხნიანთსა** ილაპარაკებოდნენო. მე შევფიცე არ უთქვამს არც მთქმელი და არც სახლი სად ითქვა და დავაფიცე თუმცა ესეთი არა არის რა მაგრამ არავისთან არა სთქვა, იმანაც შემომფიცა არ ვიტყვიო. მე სრულებით დამავიწყდა აღარც მამგონებია ის ლაპარაკი გარწმუნებთ როგორც წინაშე ღვთის ისე ჭეშმარიტებით აღვიარებ რაც არ დავსწერე ამის მეტი მე მართასაგან აღარა გამეგონოს რა. ჩემზედ რომ დაეწერა მე მისთვის უთხარო რადგანაც ჩივილი გამიგონიაო თავის ძმებისა ცოტა სარჩო აქვსთო, იმის მეტათ რომ ჯერ ჩემთან არა ყოფილიყო სად წევჩივლე, მე არ მიკვირს იმისგან თქმა განსაცდელში რომ კაცი შევარდება შიშით ვიცი არას გაიგებს ამას არა ვფარამ ყოველთვის მითქვამს მე კი შვიდასი თუმანი მაქვს ასიგნაცია და ჩემს ძმებს თითოს ექვსასი, დიაღ ყოველთვის ვფიქრობდი ეგების შემწეობა მეთხოვნა ვისთვისმე იმათზედ ყოველად მოწყალის ხელმწიფის წყალობა რამ მოვლენილიყო, რომელიც რომ ბარონ **გრიგორი ვლადიმერიჩის** მოსვლის ხანებში ღუბერნატორს კნიაზ **ფალავანდოვს** ვკითხე რჩევა, მე მინდოდა რომ ბარონისათვის მეთხოვნა და ღუბერნატორმა მირჩია ჯერ თქვენმა ძმებმა სთხოვონო და თუ კითხვა მოვა რამე მაშინ ბარონსა სთხოვეთო და თუ კი შეიძლება რამე დიდათ ეცდება იმათ შემწეობას რომელიც წერილი ჩემის ძმებისაგან მირთმეული ხელმწიფესთან ვგონებ თქვენც ნახეთ.

ეს არის ღმერთს გეფიცებით ყოველივე რაც ვიცოდი არაფერი მე ამის მეტი აღარა ვიცირა უბრალო ვარ არაფერი ჩემს გულში ბრალი არა არის რა. ახლა ყოველივე იცით თუ შენიბრალებთ ამ ტანჯვაში—არ მომკლავთ კარგია. როგორც ღმერთსა ნებავს ის არის ჩემი წემწე!

მეფის ქალ **იულონის ასული თამარი.**

მართა მესხიშვილის ჩვენება (XI, 2040).

„წელსა ჩყლა-სა თუმცა უბრალო ლაპარაკები შემიტყვია **თარხნიანთსა** ყმასა და მამულის წართმევაზე, მაგრამ რესუბზედ რომ **დიმიტრი თარხანოვმა** დაიწყო ლაპარაკი და მეც ის სიტყვები ლაპარაკში **თამარ ბატონიშვილს** უთხარი, ის იყო ზაფხულს, როდესაც ეხლანდელი მთავრმართებელი პახოდში წასულიყო და ეგონებ ჩყლბ-სა წელსა. ამას გარდა კენჭის ყრა რომ იყო ეხლა, იმაზედ უწინ სწორედ დრო არ მახსომს, მაგრამ წლის უკანასკნელს თვეებში იყო ერთხელ შემოვიდა **დიმიტრი** ჩემს ზევით სახლში თავის ძმასთან, რომელიც შინ დაუხდა, მაშინ იქ მე უთხარ **დიმიტრის:** შენი ცოლი რას მემართლება რათ მლანძღავს; ამაზედ მიპასუხა: შენ ასეთი ამბავი გაგიტანია ჩემის სახლიდამ, რომ შენს დღეში ჩემს სახლში ვერც ერით და ვერც ღვდლით ვეღარ გაივლიო, როდესაც ვკითხე თუ რა მითქომს ნეტავ, მაშინ მიპასუხა მე ვიცი რაც გითქომსო. და არ ვიცი მე თუ რა ჰაზრზე მითხრა.—**მართა მესხოვი ალექსოვი**“.

მარტის იდ-სა დღესა.

წელსა ჩყლგ.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (XI, 2088).

„**თ. იასე ფალავანდოვთან** ვახშმად იყვნენ: **თ. ვახტანგ ორბელიანოვი, თ. ელიზბარ** და **დიმ. ერისთოვები,** ნასწ. **დოდაევი** და გვარდიის ოფიცრები: **კორნეტი გიორგი ერისთოვი** და **პრაპორშჩ. დიმიტრი ორბელიანოვი;** ვახშამზე ვლაპარაკობდით ტფილისის ქალაქურ ჩვეულებებზე და ამ დროს **ელ. ერისთოვმა თქვა,** რომ მან ზოგიერთ ოჯახში ნახა **გრიგოლ ორბელიანოვის** მიერ შეთხზული მშვენიერი ლექსები. ამასთანავე სთხოვა **ვ. ორბელიანოვს** ეთხოვინა ისინი წასაკითხად, მაგრამ **ორბელიანოვმა** უპასუხა, რომ ისინი მას თან არა აქვს და აღუთქვა, რომ სახლში წაუკითხავდა. მე ამის შემდეგ ამ ლექსებზე აღარა გამიგონია რა და არც არა განსაკუთრებით მილაპარაკნია ლექსებზე“ Картула ходит босиком“; არც მოსკოვსა და არც პეტერბურგში არავისგან გამიგონია, რომ ქართველებს „шашлык“-ს უწოდებენო **თ. ი. ფალავანდოვს** რომ მოუხსენებია ეს არაფრის აღმნიშვნელი სიტყვები „шашлык“ და „Картула ходит босиком“. რასაკვირველია, ამით უნდოდა მიეჩქმალა თავისი საკუთარი ნაწარმოები ანუ განკარგულება: ის, **თ. ი. ფალავანდოვი,** მოვიდა ერთხელ ჩემთან ბინაზე **თ. თ. ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთოვებთან, ვახტანგ ორბელიანო-**

ვთან და მასწავ. **დოდაევთან ერთად**. საშინელ ბნელ ღამეში, მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი, რამაც ძალიან გამაკვირვა. ამას თანავე მან **ფალავანდოვმა** ამოიღო ჯიბიდან რვეული და უნდოდა წაეკითხა რაღაც განკარგულებების შესახებ, ბაგრამ მე დაუხიე იგი და ვთხოვე აღარ წაეკითხა არავისთვის ასეთი უმზგავსი რამე; **ფალავანდოვი** გაჯავრებული წავიდა, აყვედრიდა რა თავის თანამგზავრთ, რომლებიც მაშინათვე მას უკან გაჰყვნენ. მე კი მეორე დღეს გაუგზავნე მსახური და დავიბარე **დოდაევი**, რომელსაც მტკიცედ გამოუცხადე დაუყოვნებლივ წასულიყო **ალექსანდრე ორბელიანოვთან** და ჩემი სახელით ეთქვა, რომ მე ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს **როგორც ფალავანდოვთან** ისე **ერისთოვთან** და იგივე ურჩიე თვითონ მასაც; მან დამარწმუნა, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდა.

იმავე საღამოს ბე თვითონ ვინახულე **თ. ალ. ორბელიანოვი**, რომელიც ავადმყოფი ლოგინში იწვა და რომელმაც მითხრა, რომ ის ძლიერ ნანობს, რომ დაუკავშირდა **ერისთოვს**, ამასთანავე აძაგებდა **თ. ფალავანდოვს**, როგორც ისეთ პირთაგანს, რომლებიც ბას მოსვენებას არ აძლევენ და რომლებმაც იგი დაღუპეს. მე იგი დავარწმუნე საქმის შეუძლებლობაში და ისიც დამეთანხმა, რომ ჩემთან ერთად ხელს აიღებდა ამ საქმეში მონაწილეობაზე; ამ დროს უცბად შემოცვივდნენ **თ. თ. ელ. და დიმ. ერისთოვები**, **თ. ი. ფალავანდოვი** და დაუწყეს **თ. ალ. ორბელიანოვს**, რომ ის ბშიშარაა, ყოველმხრივ ცდილობდნენ აღეგზნოთ იგი, მაგრამ მან გადაჭრით განაცხადა, რომ ეს საქმე ბოუხერხებელიაო. ამასთანავე პრაპორშჩ. **დიმიტრი ერისთოვმა** მომმართა ამ სიტყვებით „რასაკვირველია, თუ **ალექსანდრემ** ყური უგდო თავად **ჩოლოყაევს**, ეგ ჩვენი ველარასოდეს იქნება. **თ. ჩოლოყაევი** გვარდიის კაპიტანია, დღეს თუ ხვალ პოლკოვნიკი გახდება, 1000 მანეთს პენსიას იღებს და რად დაგვეთანხმება, ის ჩვენ პეტერბურგშიაც გვერიდებოდა და ჩვენ ტყუილად ბოვიწვიეთ იგი ჩვენს მონაწილედაო". მას ჯერ არ დაესრულებინა, რომ ისინი ყველანი გავიდნენ ოთახიდან.

ამის შემდეგ მე განმეორებით ვთხოვე **ალექსანდრე ორბელიანოვს** ფრთხილად და ფხიზლად ყოფილიყო. მან თქვა, რომ **თ. ერისთოვებმა** დაღუპეს მთელი საქართველო, მთელი დღე და ღამე ქალაქში დაძრწიანო და გარწმუნებთ, რომ ისინი თქვენ ყოველმხრივ თვალს აგადევნებენ, რომ რიგორმე დაგღუპონო, ამასთანავე **თ. ვახტანგმა ალექსანდრეს** ძმამ თქვა, რომ სხვას ტყუილად ვაბრალებთ, თვითონ ჩემი ძმაა დამნაშავე, ყველაფერს ადვილად იჯერებსო.

კაპიტანი თ. ჩელოყაევი".

16 მარტი, 1833 წ.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XII, 2166);

1. მე ვიყავი პეტერბურგში 1828 წლის თებერვლიდან, 1829 წლის 26 სექტემბრამდე. **დიმიტრი ბატონიშვილი** ჩვენ ხშირად გვიმეორებდა, რომ რუსები გვავიწროებენ, რომ ისინი ჩვენ ბამულებს გვართმევენ, რომ ჩვენ ოხრები ვართ მათ ამდენ ნებას რომ ვაძლევთო და სხვა ამისთანა სიტყვებს. ამ საუბრებს ესწრებოდა აგრეთვე **თ. ესტატე ჯავახოვი,** მაგრამ რამე განსაკუთრებული მონაწილეობა მათში არ მიუღია.

მე გავიგონე **ზაქ. ჩოლაყაევისაგან** ეს სიტყვები: **ესტატე ჯავახოვი** ამბობსო, რომ საქართველო რომ განთავისუფლდეს და ხელმწიფემ კეთილინებოს მას ჩააბაროს ბატონიშვილები საქართველოში წასაყვანად,—ის მათ კავკავანდის მიიყვანს და იქ კი ყველას თერგში გადაჰყრისო.

2. **გრ. ორბელიანოვის** ლექსი სათაურით „იარალისადმი" წასაკითხად გადმომცა გენ. მაიორ **თ. ჭავჭავაძის** მეუღლემ. მე მახსოვს ზოგიერთი ლექსი, მაგრამ არა თანმიყოლებით.

3. **ფარნაოზ ბატონიშვილზე** არა გამიგიარა ჩემი ამხანაგებისაგან როცა პეტერბურგში ვიყავი და მასთან არასოდეს არც გვილაპარაკნია აღმაშფოთებელი სიტყვები.

4. ჩემი ძმის **ალექსანდრეს** ავადმყოფობის დროს **თამარ ბატონიშვილთან** ვისადილეთ **გიორგი რევაზის ძე ერისთოვმა,** ჩემმა ძმამ **დიმიტრიმ** და მე, არ მახსოვს, რომ ამ სადილის დროს ჩვენი შეთქმულების ირგვლივ რამე ეთქვას.

17 მარტი 1833 წ.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XII, 2170).

„კომისიასა შინა.

1) წარსულს 1832-სა წელსა, ოდესცა მე ავად ვიყავ, იმ ჩემს ავადმყოფობის დროს, ჩემს სანახავათ მოვიდა **თამარ ბატონიშვილი** და ჩემს გვერდით დაჯდა, ლაპარაკი დამიწყო, და ამ ლაპარაკს შორის, მე უთხარ **ბატონიშვილო თამარ,** ერთი საეედრებელი მაქვს გთხოვთ, დამიჯეროთ მეთქი.—მასკვან მითხრა რაო. მე მიუგე ესა მეთქი, რომ, **ელიზბარს** უნდა რომ ბუნტი მოახდინოს ამ 20-ს ნომბერსა მეთქი, და გევედრებით რომ დაუშალოთ საძაგელს საქმეს შვრება მეთქი არ შაიძლება ხელი აღებინეთ მეთქი, —მე იმისთვის ვერა გამიგონებია რა, როცა ვეტყვი ოასმე მეთქი,

ბლანძლავს მეთქი,—ეგება თქვენ დააჯერებინოთ, რომ ხელი აიღოს მეთქი,—მასკვან დამპირდა უთოთ ვეტყვიო, არ ვიცი უთხრა თუ არა.

2) **ბატოიშვილის თამარის** პოკაზანიის პასუხი, როგორც მე ეხლა მაგონდება, ზეც მითხრა, რომ **მართა მესხიევის ქვრივი,** მოვიდა ჩემთანაო, და მითხრაო, რომ აქ ერთი საზოგადო არის, რომელსაც თქვენ უნდიხართ თავათა და აქ ბუნტს აპირებენო, დიმე უარი უთხარო, მაგრამ მე კი ფიცით კი არ დაუფიცებივარ, რომ ნურავის ნუ ეტყვიო,—მანამ **ბატიშვილი თამარ** ამ გარემოებას მეტყოდა, რამდენის დღის წინად **ელიზბარმა** მითხრა ესე, გარემოება, როგორც კომისიას ვაჩვენე ამას წინათ, და 1831-სა წელსა ესე გარემოება ჩემთვის სულ არ უთქვამს, **თამარ ბატოიშვილს,** და მე 1832-სა წელსა როდისაც მე მითხრა, ესე გარემოება, მე კიდევ სამდურავი უთხარ, აქამდის რათ დამალეთ, და არ გვითხარით მეთქი. მასკვან თქო რაღაც მიზეზი, ისკი აღარ მახსოვს, და მე **თამარ ბატოიშვილისათვის** სულ არ მახსომს, რომ მეთქოს, რომ **დავით თარხნიშვილს** საზოგადო ჰყავს მეთქი.

3) **იონა ეგზარხის** რეჩი მე სულ არ გამიგონია, მხოლოდ პირველია, ოდესცა კამისიასა შინა გამომიცხადეს იგი.

4) **ფარნაოზ ბატოიშვილისა** სულ არა რა გამიგონიარა, ამ ჩვენის განზრახვის აზრი.

5) **თარხანოვს,** არ ვიცი სიარული რომ ჰქონია **თამარ ბატოიშვილთან,** არც გამიგონია, და არც არა მითქომს ვისთვისმე.

6) **სოლომონ დოდაევისაგან** გამიგონია, ოდესცა **ოქროპირ,** საქართველოს მოახლოვებია, მაშინ მშობელს მამულსა ზედა სტიხი დაუწერია, ესე იგი, სასიამოვნოდ რომ ჰჩვენებია, საქართველო, იმასა ზედა, და სხვა აზრი კი არ ვიცი რა ყოფილა.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

14-ს მარტსა 1833-სა წელსა.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (XII, 2174).

„როდესაც ანბობს კნიაზი **გიორგი ერისთოვი,** რომ ვითომც როდესაც მივეც მას რვეული აკტისა ვუთხარ რომ ნამდვილი ცელი გამოცხადდების ერთს ანუ ორის წლის შემდგომაო, ეს სრულებით ტყუილია, როგორც თითონაც უარყოფს შემდგომ რომ არ მიკითხავს ცელი არამედ ვკითხე მიზეზიო, და მიზეზეიც არ უკითხავს და რაღათ მკითხავდა მიზეზს რათგან ადრევე მქონდა მოლაპარაკებული, რომ მიზეზისათვის მათის განუწყვეტელის კეთილ მეგობრობისა აღუთქვი მას დაწერა მისი. და არც იყო დრო-

კითხვისა არც წაუკითხავს თითონ მე წაუკითხე მას მხოლოდ ბა-ზევრამდე, გარედამ კნიაზ **აბელ ჩოლაყაევის** კაცნი იძახოდნენ გა-მოდი ჩქარა წავიდეთო, იყო დრო სამხრობისა მიდიოდენ ეგენი ქალაქს, მხოლოდ სიჩქარით მივეც და უთხარ, ასე მოიქეცით, თუ კეთილად მოიქცევით როდესაც ბევრი იქნებით შემდგომ რავდენ-სამე ხანისა იგრძნობთ სარგებლობას, ვუთხარ ესეც კნიაზმაც **ალე-ქსანდრე ჭავჭავაძემაც** იცის და სხვათაც უკეთესთ შენზედა მეთჭი ტყუილად, იმისთვის მხოლოდ უმეტეს ხალისით მიეღო, რათგან სიჩქარით იყო ეს შემთხვეულებ არ დახსოვებია კარგათ, არა რა-იმე სხვა დაფარული ცელი არც მცოდნია არც მითქვამს, ჩემებრ ცელიც მიზეზიც განლვიძებაც ისინი არიან რაც გამომიცხადებია წინა კითხვებში სხვა არ ვუწყი რა ამისა; აღთქმული სარგებლობა ჩემს ჰაზრში სხვა არა ყოფილა რა, მხოლოდ შეწევნა ერთმანეთისა ყოველს საქმეში ვითარცა არს ჩვენება შეწევნად მეგობართა, მეც ეგრეთვე ვიმედეულობდი უკეთუ ბევრნი და პატივცემულნი გვამნი იქნებოდნენ მიმღებნი, მაშინ შევიწევდი პოებად ჩემდა რისამე სამსახურის ადგილისა, აი ეს არის გამოცხადება მრთელის მიზეზისა.:

ერთი მინდა მოხსენებად შესანიშვნელი რაიმე ესეცა, ყოფასა ჩემსა მოსკოვს ვიდექ ცარევიჩებთან ვიყავ მიღებული მათგან მე-გობრულად, და მახსოვსცა კეთილმოქმედება მათი ჩემზედა, თუ-მცალა მეგობრული ცალიერ სიტყვაობა მათი, არ იყო ჩემგან საჭირო არც დასწავლად და არც გამოცხადებად თვინიერ საჭიროებისა მაგრამ, რათგან ახლა იმათვე მოქ-მედებისაგან, რომელ იმათი ლაპარაკი არა ყოფილა ხუმრობა, და მართლა გულშიაც სდებიათ, დაეკრას ენა ჩემი სასასა ჩემსა, და ვიყო წყეული აქაცა და საუკუნესაცა, თუ დავფარო რაიმე, უკე-თუ ოდენ გამიგონია სადმე წინააღმდეგ შესანიშვნელი, მთავრობი-სადმი და ყოვლად უმოწყალესის უდიდესისა კეთილ-მოქმედებისა ჩემის რომელსა ზედა დამიფიცავს ერთგულად.

არ მახსოვს რაზე მოიტანა სიტყვამ, **ოქროპირ ცარევიჩმა** ბითხრა: ქართველმა კაცმა არ უნდა დაუტეოს ჩვენი სიყვარული, და თავიანთი მამულისა, ვინ იცის დრო ყოველთვის ერთი არ არის. ვინც ჭკიანი კაცი და ჩვენი ერთგულია, თვით ყმაწვილები რომ აზრდებიან იმათაც უნდა ჩააგონოს, რომ იმათაც ვახსოვდეთ, ეს შემთხვეულობა იყო მაშინ ოდესცა ჯერ არ ვიყავ დაჭერილი, არც შეგულვებოდა მე საქართველოში წანოსვლა, კვალად, ეს უმეტეს ცხადად მამაგონდა ახლა, რომ მეორეს დროს, ოთახში ვიდექით

ფეხზე მე და **ოქროპირ**, და შემოვიდა იქ **ილიაცა** ცარეევიჩი, სხვა არ მახსოვს იყო ვინმე თუ არა, გვქონდა სხვა და სხვა ხუთარ სიტყვაობითი საუბარი, და იგინიც არ მახსოვს ბევრი, მხოლოდ რომ მკითხეს ქართველნი არ მოგვიგონებენ ხოლმეო, შორის ეს ვითართა საუბართა, მე ვუთხარ მათ კარგი თუ ცალა თვით ხემწიფემ ინებოს რომ გაანთავისუფლოს საქართველო და მოგცესთ ჩეთქი, როგორ შეუძლიან საქართველოს დაპყრობად თავისათვისისა ეეთქი, მამიგო **ოქროპირ** ეს სიტყვები, რატომ არა ძალიან კარგათ შეიძლებაო, როგორ არის ფრანციაო, უნდა დააწყოს რეგული, ასწავლოს ყოველთა კაცთა ჯარის სამსახური, როცა საჭირო იქნება შემოკრიბოს, როცა არა და მიაქციოს ისევ მიწის მუშაობაზე თავის სახლებშიო, აი ნამდვილი სიტყვები მისი. აქამომდე არ ვრაცხდი საჭიროდ მოგონებად ესრეთ შორეულს აზრს, ახლა, მოქმედებისაშებრ მისისა მამაგონდა, და გამომიცხადებია ამას ჩედა ჩემგან ნუ ეძიებთ სხვასა ნურა რაიმესა დამტკიცებასა, ამისათვის, რომ რათგან არ ვიცოდი თუ შემეთხვევოდა საჭიროება ამის გამოცხადებისა, ამისათვის არც დასამტკიცებელი რამე საგნები მიძებნია, მხოლოდ მე როგორც ვარ ბერი და ქრისტიანი, და მოვალე, თქმად ყოვლისა სიმართლისა ესრეთ და გამოცხადებულად **ეროსმონახი ფილადელფოს.**

გიორგი ჩიჯავაძის პასუხი (XII, 2189).

ა. რაოდენი ხანი არის იცნობთ **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს** და რა გიამბოთ მან თქვენ მობრუნებულმან ტფილისიდამ ჩყლა წელში.

თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ვიცნობ მე თვით ჩემის ცირეწლოვანობიდამ ვითარცა მცხოვრებსა ერთისა ჩემთან სოფლისასა და არაფერი მას ჩემთვის არ უთხრობია კვალად მობრუნებისა თვისისა თბილისიდამ ჩყლა წელში და მას ქონდა ჩემგან აღკრძალული ჩემს სახლში სიარული რადგან ჩვენ შორის იყო მარადის უკმაყოფილება.

პოდპორუჩიკი თ. **გიორგი ჩიჯავაძე**".

ნიკოლ ჩიჯავაძის პასუხები (XII, 2197).

ა. რამდენი ხანი არის თქვენი ბრწყინვალება იცნობს **თეიმურაზ ლორთქიფანიძეს.**

ბ. იცნობთაა თქვენ ყოფილსა სოვეტნიკად ისპოლნიტელის ეკსპედიციასა შინა თავადს **ალექსანდრე ორბელიანს** და თავადს **დავით ერისთოვსა.**

გ. რათ მოიარა ტფილისი ჩყლა-ს. წელში აზნაურმან თქვენმან **ზალიკა ჩახუნაშვილმან,** რა გიამბო თქვენ მან შეთქმულებისათვის იქ არსებულისა და ვითარ უპასუხეთ თქვენ ამაზედ.

დ. რა საიდუმლო ლაპარაკი გქონდათ თქვენ სახლსა შინა თქვენსა თავადის **ბესო ლორთქიფანიძისა** და **ზალიკა ჩახუნაშვილისა** თანა, შემდგომ მობრუნებისა ამა უკანასკნელისა ტფილისიდამ.

ე. რას მოასწავებდა წინა დღე გაბრთხილება თქვენი ჟამსა **თეიმურაზ ლორთქიფანიძის** ტფილისს წარგზავნისასა, რათა მან თქვენ არ გაგცეს და ცუდი თქვენზე არ ილაპარაკოს.

თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ვიცნობ მე იქნება 22 წელი, როგორც მცხოვრებსა ერთსა ჩემთანა სოფლისასა.

მე ვერა ვცნობ ვერცა ერთსა იმათგანსა.

აზნაური ჩემი **ზალიკა ჩახუნაშვილი** რაოდენ მე უწყი იყო ტფილისსა 1831-სა წელსა მისაცემად არზისა უფალს ღენარალ ლატიუტანტის **პანკრატიევისადმი** იმას ზედ რომ იგი განაჯილდოვეს არა ღირსეულად თავისისა სამსახურისა აღმოჩენილისა ჩხუბსა შინა თათართა თანა და მობრუნებულსა იქიდამ ჩემთვის არა ვითარი შეთქმულება არ უამბვია.

შემდეგ დაბრუნებისა **ჩახუნაშვილისა** მე მასთან ეგრეთვე თ-ს **ბესო ლორთქიფანიძისათანა** არავითარი საიდუმლო ლაპარაკი არ მქონია სახლსა შინა ჩემსა.

თეიმურაზ ლორთქიფანიძე წინათ წარგზავნისა მისისა აქედამ ტფილისში მე არად გამიფრთხილებია რათა არა გამცეს და ცუდი არა ილაპარაკოს ჩემზედა ამისათვის რომელ მე არცა მესაჭიროებოდა ესე ვინაითგან არავითარსა ბრალსა წინაშე წლოვანობის დროითგან ორივე მთავრობისა არა ვგრძნობ, წინააღმდეგსა შემთხვევასა. შინა მე არა ვეცდებოდა დაჭერასა მისსა ჟამსა მისისა უკანასკნელად გაქცევისასა პრაპორჩიკი **ნიკოლოს ჩიჯავაძე**".

ა. რაოდენი ხანი არის იცნობთ თქვენ **თეიმურაზ ლორთქიფანიძესა** და რა გიამბოთ მან თქვენ მობრუნებულ-მან ტფილისიდამ ჩყლა-ს წელში.

თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ვიცნობ მე თვით ჩემის მცირე წლოვანობის ოათგან ორივე უცხოვრებთ ერთსა სოფელსა შინა და ჩყლა წელში ჩემთვის მას სრულებით არაფერი არ უამბვია შემდგომად მობრუნებისა ტფილისიდამ.

ბ. იცნობთაა? თქვენ ყოფილსა სოვეტნიკად ისპოლნიტელის ექსპედიციასა შინა თავადს **ალექსანდრე ორბელიანოვს** და თავადს **დავით ერისთოვს**.

ვერცა ერთსა ამა თავდათაგანსა მე ვერ ვიცნობ.

გ. ოდეს **თეიმურაზ ლორთქიფანიძემ** განგიცხადა თქვენ, რომელ საქართველოში არსებობს შეთქმულებაო ვითარ პასუხი აგეთ თქვენ ამაზედ.

თეიმურაზ ლორთქიფანიძეს საქართველოს შეთქმულება ჩემთვის არასოდეს არ გამოუცხადებია მაშასადამე პასუხიცა არავითარი არ გამიგია.

დ. რა საიდუმლო ლაპარაკი გქონდათ თქვენ თავადს **ნიკო ჩიჯავაძესა** და მისს აზნაურს **ზალიკა ჩახუნაშვილთან**, შემდეგ მოსვლისა ამა უკანასკნელისა ტფილისიდამ სახლსა შინა **ჩიჯავაძესასა**, რომელიც თქვენ მაშინვე აცნობეთ **თეიმურაზ ლორთქიფანიძესაც**, რომელიცა იმყოფებოდა ჟამსა ლაპარაკისასა მეორეს ოთახსა შინა თავადის **ნიკო ჩიჯავაძის ცოლისათანა?**

სახლსა ძინა თავადის **ნიკოლოზ ჩიჯავაძისასა** თუმცა ვარ ხოლმე გარნა საიდუმლო ლაპარაკი მას **ჩიჯავაძეს** და აზნაურს **ზალიკა ჩახუნაშვილთან** არასოდეს არა მქონიეს და იგი **თეიმურაზი ლორთქიფანიძისათვის** არ მიცნობებიეს.

ე. რას მოასწავებდა წინადგაფრთხილება თქვენი ჟამსა **თეიმურაზ ლორთქიფანიძის** ტფილისს წარგზავნისასა, რათა მან თქვენ არ გაგცეს და ცუდი თქვენზე არ ილაპარაკოს.

თეიმურაზ ლორთქიფანიძისათვის არასოდეს არ მითხოვნიეს რათა არ გამცეს და ცუდი ჩემზედ არ ილაპარაკოს რომლისა სიმართლე ძალუძსთ დამტკიცონ სახელმწიფო აზნაურთა **სესიკა ლასხიშვილს** და

ტარიელ ახლედიანს რომელიც იმყოფებოდნენ ჩემთანა განუშორებლად მაშინ ოდესცა იყო **თეიმურაზ დავითის ძე** გაქცეული და წარუდგინე პომოშნიკს თავადს **ჩხეიძეს.**
პრაპორჩიკი თავადი **ბესო ლორთქიფანიძე**".

ზაალ ჩახუნაშვილის პასუხები (XII, 2195).

ა. რათ იყავ შენ ჩყლა-სა წელსა ტფილისში და რა გაიგონე არსებულსა იქა შეთქმულებისათვის.

ჩყლა-სა წელსა ვიყავ მე ტფილისში მისაცემად აზისა, რომელიცა კიდეც მივართვი უფალს ღენერალ ადიუტანტს **პანკრატიევს,** ამაზედ როძელ მე მომცეს მცირე, ჯილდოა ალბასახურისა ჩემისათვის ჩხუბსა შინა თათართა აღმოჩენილისა, ხოლო შესახებელად შეთქმულობისა მე ესრედ არაფერი არ გამიგონია არავისაგან.

ბ. არა გქონიესაა ვითარიმე მიწერილობანი ანუ სიტყვიერი დარწმუნებები იმერეთეში, ვისთან და ვისგან.

წიგნები და სიტყვიერი დარწმუნებანი იმერეთში არავითარი არავისაგან და არცა ვისთანმე არა მქონიეს.

გ. რა საიდუმლო ლაპარაკი გაქვნდა შენ სახლსა შინა თავადის **ნიკო ჩიჯავაძისასა,** მასთან და თავადს **ბესო ლორთქიფანიძესთან** ტფილისიდამ რომ მობრუნდი.

შემდგომ ჩემისა ტფილისიდამ მობრუნებისა არავითარი საიდუმლო ლაპარაკი სახლსა შინა თავადის **ჩიჯავაძისასა** მასთან და თავადს **ბესო ლორთქიფანიძესთან** მე არა მქონიეს და რიდამ ესე შედგინებულარს მე არ ვიცი. რაიცა ვაჩვენე სიმართლით მას შინა ხელს ვაწერ საბატონო აზნაური **ზალიკა ჩახუნაშვილი** და რადგან მან წერა არ იცის მისის თხოვნით თანდასწრებითა ღენერალ მაიორის **ვაკულსკისათა** ხელს ვაწერ ღუბერნსკის სეკრეტარი **ლევან ქორქიევი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2296).

„1831 წელს როდესაც ყოფილმა გუბერნატორმა **ზავილეისკიმ** კრივის ნება დართო ქალაქსა და გარეთ უბანში, მაშინ ზოგიერთი თქვენი თანამზრახველნი ფიქრობდნენ და ეს თქვენც იცოდით,—ესარგებლათ ამ შემთხვევით და ხალხი აეჯანყებინათ.

განმარტეთ დაწვრილებით რაც კი იცით ზემოხსენებული გარემოების ირგვლივ, და რატომ ვერ განხორციელდა მაშინ თქვენი განზრახვა; და ხომ არა გქონიათ ან თქვენ ან და თქვენ ამხანაგებს ბატ. **ზაველეისკიზე ეჭვი**, რომ მან მთავრობისადმი ბოროტგანზრახულების მიზნით დართო ნება კრივისა, რაც ქალაქში მუდამ აკრძალული იყო?

რომელსაც მკითხავს კამისიათასა რვას ოცდა თერთმეტში კრივი რომ იყო მართალია ხალხი შეყრილი იყო საღამოხანზედ მივედი კრივი იყო მუშტისა ხალხი ლაპარაკობდა. რათ გვიშლიანო ღრაჟდანსკის ღრუბერნატორმან **ზაველეიცკიმ** დასტური დაგვცაო იკრიეთო და პოლიცია კი გვიშლისო მართალია ეს შემიტყვია ხალხიდამ და მეც თამაშს უყურებდი. მაგრამ იმ დღეს ჩემს გულში არა გავლილა რა და არც მომგონებია არც არავის უთქომს რამე ამ საქმეზედ იმ კრივში და ღრაჟდანცკის ღრუბერნატორიც იქ იყო და თამაშს უყურებდა მართალია.

ათას რვას ოცდა თერთმეტში. არზა მივართვი ისპოლიტელის ექსპედიციას. რომ ჩემა ძმამ თავის საკუთარს ვალში ჩემი წილი სახლები გაყიდა და ნუ ინებებს ისპოლიტელის ექსპედიცია ამისთანა უსამართლო სამართალს ჩემი ძმის წილი გაყიდოს და ჩემი წილი სახლი დამნებდეს ეს პასუხი მამცა ისპოლიტელის ექსპედიციამ როცა შენ და შენი ძმა გაიყრებითო მაშინ მორიგდითო. ჩამოველ და მივდიოდი დაღონებული მაშინ **ელიზბარ ერისთვისშვილი** დამხდა და მკითხა რას დაღონებულხარო მე უთხარი ახია ჩემი საქმე მეთქი მაშინ მითხრა გახსომს წასულს კვირაში რომ კრივის დასტური დაგვცაო **ზავილეიცკმაო** ის პოლაკი არისო იქნება ბუნტი უნდოდესო მე უთხარი მე მგონია მაგის მეტი საქმე არა გაქს და არც ფიქრი გაქს რისამე მეთქი

გავიარე დაღონებული და წა-
ვედი ჩემს საქმეზედ ეს შემიტ-
ყვია ელიზბარ **ერისთვისშვი-**
ლისაგან.
1833 წ. აპრილის დღეს
ასტავნოი პორუჩიკი თ. ალე-
ქსანდრე ორბელიანოვი".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2363).

1-ი

„კომისიასა შინა.

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოვახსენო,—მე არ ვიცი რა შერთება ჰქონია **ბატიშვილს ალექსანდრეს** ანგლიჩანებთან.

2-ი

მე ვერ ვიცნობ მღვდელს რომელიც **ალექსანდრე ბატიშ-ვილთან** არის იმის გარემოება **სოლომონ დოდაევმა** უნდა იცოდეს. როდისაც **ალექსანდრე ბატიშვილის** კაცი იყო მეორეთ ჩემთან, მაშინ იმას დავაბარე ჩვენი საზოგადოების დარიგებით რომ **ალე-ქსანდრე ბატიშვილს;** თავის მღვდელი გაეგზავნა თავრიზს, და იქ ეპოვნა რუსეთის პოსლანიკის კარზე **რაზმაძე,** და იმასთან ექონია შეერთება, მას მღვდელს, ეს გარემოება იყო, წარსულს 1832 სა წელსა, ზაფხულს და მე არ მახსომს წიგნი მივსწერე **ბატიშვილს** თუ არა.

3-ი

ბატიშვილის ალექსანდრეს კაცი იყო ჩემთან **მაჰმადა** ორ-ჯელ ერთხელ იყო, ზემომოხსენებულს დროს, და მეორედ იყო წარსრულს 1831-სა წელსა შემოდგომაზე, რომელიც მაშინ მივ-წერე **ალექსანდრე ბატიშვილს** რომ, ესლა დიახ მშვიდობიანობა არის მეთქი, და არავინ არასა ფიქრობს მეთქი.

4-ი

მე **ლუარსაბ ორბელიანოვისთვის** არ მითქომ რომ **მამუკა ორბელიანოვს** შეერთება აქვს **ოქროპირ ბატიშვილთანა** მეთქი,—რისთვის ვეტყოდი რომ არ ვიცი ჰქონია **მამუკას შერთება** ამ ჩვენს აზრსა ზედა **ოქროპირთან** თუ არა, ეს კი ვიცი რომ დიახ განუ-ყრელად იყვნენ **ოქროპირ,** და **მამუკა** ეგრეთვე **მამუკას** ძმა **დიმი-ტრი.** ეს კი შესაძლებელია რომ იქნება ისე ლაპარაკში უთხარ მე **ლუარსაბს,** რომ ვითომც **მამუკას** შერთება აქვს **ოქროპირთან** მე-თქი, და მე კი სრულებით არ მახსომს რომ მეთქოს.

5-ი

არაოდეს არა ვყოფილვართ მე და **ელიზბარ ერისთოვი** ამ ჩვენს განძრახვასა ზედა, **ოქროპირ ბატიშვილთან.**—აპრილის 11-სა

დღესა 1833-სა წელსა. პორპორუჩიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი".

გიორგი რევაზისძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2469).

„გამიგონია ის შემთხვევა, რომელიც თ. **ვალიცინს, ბუტურლინსა** და **რომანოვს** გადახდათ თავს, მაგრამ ხელმწიფის შესახებ შეუფერებელი რამე სიტყვები ჩემთან არავის უთქვამს. აგრეთვე არც ეს შემთხვევა ყოფილა მოთხრობილი რამე განზრახვით და აღნიშნულ პირებზე სიტყვა არ ვიცი საუბარში რაზე ჩამოვარდა.

პორუჩიკი **თ. ერისთოვი**".

18 აპრილი 1833 წ.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (XIII, 2473).

„**თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა**, არ მახსოვს რაღაზედაც, მკითხა **თ. ვალიცინზე** და საუბარში უთხარი, რომ, მგონია **ვალიცინი** საქართველოში მისი ცელქობისათვის არის გადმოყვანილი მეთქი, რომ ის თ. **ვალიცინი** პეტერბურგში მინებს ამტვრევდა და მანვე, თუ მისმა ამხანაგმა, ტრაქტირში გადააქცია ხელმწიფის ქანდაკება მეთქი და ყველა ამ ცელქობისათვის აქეთ გადმოიყვანეს მეთქი. ყველა ეს როდის და ვისთან ვთქვი აღარ მახსოვს.

კაპიტ. **თ. ჩოლაყაევი**".

1831 წლის 18 აპრილი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIII, 2479).

„პეტერბურგში მომხდარი ამბავი, რის გამოც **თ. ვალიცინი** აქ გადმოუყვანიათ, მე ქალაქში გავიგონე და აღმაშფოთებელი სახით ჩვენს საზოგადოებაში არც კაპ. **თ. ჩოლაყაევისა** და არც სხვისგან არ გამიგონია იგი.

მასწავლებ. **სოლომონ დოდაევი**".

აპრილი, 1833 წ.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2471).

„**თ. ზაქარია ჩოლაყაევმა** რამოდენიმეჯერ გვიამბო, ვითომც **თ. ვალიცინი** და ვინმე **ბუტურლინი** პეტერბურგში შესულიყვნენ რომელღაც რესტორანში და შამპანიურის სმა დაეწყოთ; ამასობაში ვითომც **ვალიცინს** შეუნიშნავს რა ფანჯარაზე იმპერატორის ბიუსტი, მისულა, რამოდენიმეჯერ წამოუკრავს თითი ცხვირზე, ხმა მაღლა გადაუხარხარნია და უთქვამს: ა. ნიკოლაშკა, ნიკოლაშკა. მაგრამ ვითომც ბუტურლინი არ დაკმაყოფილებულა რა **ვალიცინის** მოქმედებით, აუღია სუფრის დანა, დაურტყავს ბიუსტისათვის

თავში. ჩანოუგდია ფანჯრიდან იატაკზე, დაუმტვრეევია და უთ-ქვამს: აბა ნიკოლოზს, აბა მაჯ. ხომ ხედავთ ბატონებო, განაგრძო-ბდა ხოლმე კაპიტ. **თ. ჩოლაყაევი**, როცა თვით რუსი თავადაზნაუ-რობა გრძნობს მთავრობის უსამართლობას, ჩვენ უფრო მეტად უნდა ვგრძნობდეთ მას და უფრო მეტად უნდა ვეძულლეს მთავ-რობაო.

ეს ყველაფერი გაუგონიათ. ჩემ ძმა **ალექსანდრეს**, **ვიორგი რევაზის ძე ერისთოვს** და **დოდაევს**. მგონია გაუგონიათ აგრეთვე **ელიზბარ ერისთოვს**, მის ძმას **დიმიტრისა** და **თ. ი. ფალავანდოვს**.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

18 აპრილი, 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2487).

„კომისიასა შინა.

წარსრულს 1831-სა წელსა ოდესცა ჩვენი ზაგოვორი დაიწყო; წინაალმდეგ მთავრობისა, მაშინ მე განზრახვა მქონდა ესრეთ,—რომელნიც ჩვენში პირველნი კაცნი არიან, მათთვის გვეცნობებინა ჩვენი განზრახვა, უკეთუ იგინი თანხმანი შეიქნან; აღდგინებისათვის ჩვენის მეფობისა, მაშინ მე მათ განუცხადო ჩემი წინადადებითი აზრი ესრეთ. ჩვენ ყოველთ საქართველოს ერთა უნდა ვიცოდეთ რომელ რუსეთის ძლიერებამა განგვიახლა ჭეშმარიტი სარწმუნოება ბერძენთა, და ნოგვცა მშვიდობა საზოგადოდ, რომელიცა განაქარვა ყოველნი მოსისხლენი ჩვენი გარეგანნი მტერნი, და დათურგვნა იგინი. ვინათდგან გვსურს რათა ახლად აღვადგინოთ ჩვენი მეფობა, ამისათვის განგიცხადებთ ყოველთა; აზრსა ჩემსა, ორმელ ჩვენ ძალგვიძს ძლიერებითა პოკსა ჩვენის მეფობისა, და უკეთუმცა გვქონდეს ძალი; მოპოებად მეფობისა ჩვენისა, მაშინაცა ნუ ინებოს ღმერთმა რომელ, ქართველ კაცს მისცეს ესრეთი ფიქრი, რუსთა; და ქართველთა შინა სისხლ მთხეველობანი,—მაშინ ოდესცა რომელ გვაქვს, ერთი ბუნება ერთი სისხლი, და ერთის ღთაებრივის სარწმუნოებითა ვსულთქმითი"—და რადგანაც გვსურს მეფობა ჩვენი, და რუსეთისა ხელმწიფობისათვისაცა არა საკურვლად არს აღმოჩენილ სამეფო საქართველოსი. ამისთვისა ვთხოვოთ მოწყალესა ხელმწიფესა იმპერატორსა, ნამდვილად ჩვენი მეფობა ქართლისა, და კახეთისა ეგრეთვე მთელი მოწყალებითი მფარველობანი ჩვენსა ზედა, ესე იგი ორი პოლკი,—ხაზინა,

და კაცნი მძართველად — ოდესცა ჩვენსა საზოგადოსა მოწყალე ხელმწიფე მიიღებს კეთილს განსახილველად, მაშინ განიხილამს ესრეთ **პირველი,** რომელ ბაღრატიონი მეფეთ შთამომავლობა არს მეფისა დავითისგან, რომელიცა პირსა ყოვლისა ქვეყანისა ზედა, არა რომელთამე; არა ვგონებ რომელ იყვნენ ესრეთ ძველთა მეფეთ შთამომავალნი ვითარცა გვარი ბაგრატიონთა, და ამისთვის მაგალითისათვის ინებებს მოწყალე იმპერატორი რომელ გვარი ესე მოუშლელი იდგეს ძველსა; თვისსა ადგილსა ზედა. **მეორე** ვითარცა საქართველოს საზოგადოობამ მისცა ნფარველობისა ქვეშე რუსეთისა; საქართველო ეგრეთვე საზოგადო ითხოვს მასვე სამაგალითოსა მის იმპერატორებითსა მოწყალებასა.—**მესამე,** ჩვენ არ ძალგვიძს, თხოვნა იმერეთისა, და არცა სხვათა სახანაოებთა, ამისთვის რომელ ესენი დათრგუნვილან ძლიერებითა რუსეთისა და საქართველოს საზოგადოთ მხოლოდ მფარველობით მიურთმევიათ საქართველო. **მეოთხე.** ქართლი და კახეთი არს ერთი სათავადო, რომელიცა ღრაფ **შერემეტოვსაცა** ჰყავს ეგოდენი ყმა, და აქვს ეგოდენივე მამული. **მეხუთე.** სახელმწიფოს არა აქვს ქართლიდგან, და კახეთიდგან ეგეოდენი სარგებელი რომელ სახარბიელოდ უჩნდეს სახაზინოს. **მეექვსე.** უკეთუ აქ მეფობა იყოს ბაგრატიონთა მაშინ რუსეთის სახელმწიფოს ექნება დიადი შემატება. ამისთვის რომელ მას მეფეს ორსა წელიწადსა ზედა შეუძლიან, რათა შემწეობითა მის იმპერატორისა დიდებულებისათა განაწყოს მხედრობა. შემდეგ ამისა შეუძლიან, რუსეთის ძლიერებასა რომ, სამძღვარსა ზედა განიყვანოს სრულიად აქაურნი პოლკნი, და მაშინ ადვილად შესაძლებელი არს რათა დაიპყრას სპარსეთისა ნახევარი, და იგი მეფეც თავის ყოვლის ღონისძიებით იქნება შემწე რუსეთის ძლიერებისა, და ამით დიადსა სიმდიდრესა და სარგებელსა მოიპოვებს სახელმწიფო, და ხაზინა. მე ესე ზემორე აღწერილი განზრახვანი მქონდა უკეთუ ჩვენნი პირველნი კაცნი თანახმანი იქნებოდნენ ამა ჩემის აზრისა მაშინ,—სახითა ამითა გვეთხოვნა მის იმპერატორებითისა დიდებულებისადმი, უკეთუ ამა ზემორე აღწერილისა ძალით გვქონდეს სიმართლე თხოვნად, ვთხოვთ იმპერატორს, და ინებებს მაგალითისათვის ერთი მთავარი ხელმწიფე, დიდი იმპერატორი ჩვენს მეფის ბოძებისას ჩვენდა, მაშინ თვისსა მფარველობასაცა განავლენს ჩვენსა ზედა, და უკეთუ სიმართლე არა გვქონდეს, მაშინ ვიყოთ ვითარცა აქამომდე, ვიმყოფებოდით მფარველობასა ქვეშე მოწყალისა იმპერატორისა, და უკეთუ მე მოსურნე ვყოფილიყავ რათა სისხლი მომხდარიყო, მაშასადამე რაისათვის

ვთხოვე **ბატონიშვილს თამარს**, რომ დაეშალა ყმაწვილი კაცებისათვის, რომ დაეტოვებინათ ესრეთი განზრახვა, — გარნა მე სიმართლით მოვახსენებ კომისიას, რასაც ვქმედობდი, ანუ ვლაპარაკობდი, და ანუ ვიყავ, სულ ჩემის ამხანაგების კმაყოფილებისათვის. ამისათვის, რომ ვიცოდი არ შეიძლებოდა, და არც არა მოხდებოდა რა.

როდისაც მაიორმა **თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა**, თავის სახლში, ღვარდიის კაპიტანს **თ. ზაქარია ჩოლაყოვს** და **თ. ელიზბარ ერისთოვს**, ამათ უთხრა რომ **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან** წაგიყვანთ ამა საგანსა ზედა სალაპარაკოთაო,—მეც უთოთ იმედი მქონდა რომელ, მეტყოდა; შენც წაგიყვანო, მაგრამ არა ბითხრა რა; და კელარც მე გაუბედე რომ, მეც წამიყვანე მეთქი და უკეთუ მე მაშინ **ლუარსაბს** წავეყვანე **თ. ჭავჭავაძესთან**, მაშინ უთოთ ეს ზემორე აღწერილი განზრახვანი მქონდა რომელ **თ. ჭავჭავაძისათვის** გამამეცხადებინა!—განა ჩემს ამხანაგებსა შორის; არა გაწვაცხადებდი ამ ჩემსა აზრსა, მაგრამ ყმაწვილნი კაცნი იყვნენ რო ვიტყოდი იმისთანას მშვიდობიანსა რასმე ჯავრდებოდნენ, და მეორე რომ, ვამბობდი ჩემთვის ეს ხომ ვიცი არა მოხდებარა ამა ჩვენის ფუჭის განძრახვითა მეთქი ამისთვის ვითომ დიდ სულოვნობას ვხმაროობდი რომ დიდრონ კაცებს გამოუცხადებ ამა ჩემსა აზრსა, და არა ამათ მეთქი. გარნა ჩემი ესე განზრახვა და დიდსულავნობა, შეამცირა და მოსწყლაა, პირველად ელენერალ მაიორმა **თ. ალ. ჭავჭავაძემ.** და მეორეთ შპიონმა **იასე ფალავანდოვმა** რომელნიც დღეს პირველნი გვარნი საშინელს უბედურებასა შინა შთავცვივდით, ჩვენი ფუჭის უბედურობისა, და ფუჭის საქმისაგან, რომელიც ესე ჩვენი ფუჭი განძრახვა უკეთუ წელი ასი გაგრძელებულიყო, მაშინცა არა მოხდებოდა რა, არამც თუ **იასეს** ტყუილის გესლიანის, და მომხიბლელის რასპორიაჟენით მომხდარიყო აქ აღრეულობანი. ესრეთ სამჯობინარო და უფრო სასიამოვნო არ იქნებოდა ხელწიფე იმპერატორისათვის რომ, **იასე ფალავანდოვს** ჩვენთვის ერჩია ესრეთ რამე წავეყვანეთ ჩვენ თავის ძმას გუბერნატორთან, და შის წინაშე ყოველს თავისი დანაშაული აღგვიარებინა, და მას ღუბერნატორს მთავრობასთან წარვედგინეთ ჩვენის დანაშაულით, რომელსაც ვიმედევნებ რომ, მაშინ მთავრობა ჩვენს დანაშაულს წარუდგენდა ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს, რომლითაცა დავისჯებოდით გარნა არა ესრეთითა ვითარცა ეხლა უკანსკნელსა განწირულებასა შინა ვიმყოფებით, და საბრალო ჩვენი საწყალი ცოლშვილნი უნდა სტიროდნენ სიმწარისა ცრემლითა.—გარნა სასოებასა არა წარვიკვეთთ,—ნუგეშად გვაქვს ხელმწიფის იმპერატორის **აუარებელნი**,

და სამაგალითო მისი მოწყალებანი.—პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

პაუშენკოს განცხადება კომისიისადმი (XIV, 2527).

„საგამომძიებლო კომისიას.

ტიტულიარნი სოვეტნიკი **პაუშენკოს.**

ყოველად უმორჩილესი თხოვნა.

იმ კანონთა საფუძველზე, რომლებიც ჩაწერილია 1801 წლის 27 სექტემბრის ბრძანებაში და 1820 წლის 18 ივლისის უზენაესად დამტკიცებულ გენერალ - აუდიტორის **თ. სალიაგოვის** მოხსენებაში,—ყოველად უმდაბლესად ვთხოვ კომისიას მომეცეს ნება გამოვიდე ხოლმე დღეში თუნდა ერთ საათს სუფთა ჰაერზე საპატიმრო საკნის ახლო საჩდილობელში; აგრეთვე ნუ აღმიკრძალავთ მახლობელთა ნახვას, რომლებიც მოისურვებენ ხანდახან საპყრობილეში ჩემი ამბის გაგებას.

ტიტულიარნი სოვეტნიკი **პაუშენკო**".

აპრილის 15, 1833 წ.

„25 აპრილი 1833 წ.

„თქვენ ძიერ დასახელებულ დადგენილებებში არაფერია ნათქვამი ისეთი, რომ მაზედ თქვენი მოთხოვნილებების დაფუძნება შეიძლებოდეს. სუფთა ჰაერზე გამოსვლის უფლება მოგეცემათ, როგორც კი შესრულებული იქნება უკვე ნაბრძანები საჭირო გასაფრთხილებელი ღონისძიებები. თქვენი ნახვის უფლება კი არავის აქვს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, თქვენ დაპატიმრებული ხართ სახელმწიფო საქმეზე. გენერალ მაიორი **ბაიკოვი** 1-ლი, გენ. **მ. ვოლხოვსკი,** გენ. **მ. ჩევკინი,** პოლკოვნიკი **ტრიტელევიჩი**".

„კომისიის ეს რეზოლუცია გამომეცხადა ამა აპრილის 25, 1833 წ. ტიტულიარნი სოვეტნიკი **პაუშენკო**".

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2528).

„1831 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც მაიორ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა** გამოუცხადა შეთქმულება გენ. მაიორ. **თ. ჭავჭავაძეს,** მეც მომიხდა მასთან ამაზე ლაპარაკი **ლუარსაბის** თანადასწრებით (**ლუარსაბის** სახლში). ვილაპარაკეთ პოლონეთის აჯანყებაზე, ჩვენს განზრახულებაზე, გენ. „**ჭავჭავაძემ** გვითხრა მე **და ლუარსაბს:** „მომეცით დრო მოვიფიქრებო". ამ საუბრის რამოდენიმე დღის შემდეგ **ლუარსაბმა** გამოგვიცხადა მე და სოვეტნიკ **ალ. ორბელიანოვს,** რომ **ჭავჭავაძე** თანახმაა მიიღოს ძონაწილეობა განზრახულებაში და ბრძანა გამოვიწვიოთ **ალექსანდრე ბატონი-**

შვილი კახეთში, დანარჩენი თვითონ იცის რასაც გააკეთებსო. ეს პასუხი მე საკმარისად ვიმაჩნდა და აღარ დავეძებდი ჭავჭავაძესთან საუბრის შემთხვევას.

1832 წ. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში ჩამოვიდა ოჯახით გენ. მაიორი თ. ჭავჭავაძე. მე მათთან ხშირად დავდიდი, რადგან ჭავჭავაძის მეუღლე ჩემი ალალი დეიდაა.

ჭავჭავაძის ჩამოსვლისთანავე ლუარსაბმა მითხრა, რომ ჭავჭავაძეს განზრახულება გამოუცხადე და მას ამ თაობაზე კაპიტან ჩოლაყაევთან სურს ბაასი. მე თვითონ მსურდა ჭავჭავაძესთან ლაპარაკი და ვეძებდი შემთხვევას, ერთ საღამოს შევიარეთ მასთან მე და პორუჩიკ გიორგი ერისთოვმა; ზალაში მისი მოცეკვავე ქალიშვილები დაგვხდნენ, რამოდენიმე წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში გამოვიდა ჭავჭავაძე და მე მას შევყე, გიორგი კი ზალაში დარჩა. როგორც კი დავსხედით და მხოლოდ იმის კითხვა მოვასწარი, ლუარსაბმა გელაპარაკათ თუ არა მეთქი და მან მიპასუხა მელაპარაკაო, მაშინათვე შემოვიდა დეიდაჩემი და მე შევწყვიტე საუბარი, მას სხვებიც მოჰყვნენ და ამგვარად მოლაპარაკება ჩაიშალა.

დეკემბრის 4-ს მივედით ჭავჭავაძესთან: ლუარსაბ ორბელიანოვი, კაპიტანი ჩოლაყაევი და მე, რომ მოგველაპარაკნა მასთან განზრახულებაზე. ჭავჭავაძე, ლუარსაბი და ჩოლაყაევი შევიდნენ კაბინეტში, მე კი სასტუმროში დავრჩი, რომ გამერთო ქალები და არ შეეშალათ მოლაპარაკებისათვის ხელი. ამ მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ყველამ გადავიფიქრეთ და ხელი ავიღეთ ჩვენს განზრახულებაზე ჭავჭავაძის რჩევით. ჭავჭავაძის ჩამოსვლის დღიდანვე ვეძებდი მასთან საუბრის შემთხვევას, მაგრამ ხან ვინ გვიშლიდა ხელს და ხან ვინ, ზოგჯერ სახლში არა გვხდებოდა, ერთხელ მომეცა შემთხვევა დამეწყო მასთან საუბარი, როგორც ზევითა ვთქი, და მაშინაც ხელი შეგვიშალეს.

პირველი ღამის განკარგულება დაწერა იასე ფალავანდოვმა 1832 წლის ნოემბერში, რიცხვი არ მახსოვს, მახსოვს კი რომ თვის შუა რიცხვებშია დაწერილი.

ყოფ. პოდპორ. ელიზბარ ერისთოვი".

1833 წლის 23 აპრილი.

სვიმონ მაჩაბლის ჩვენება (XV, 2732).

„რომელსაც ღამეს ლუარსაბ ორბელიანოვისას შევედი, იქ იყვნენ თავადები ალექსანდრე ჯავახოვი, სვიმონ თარხანოვი, დიმი-

ტრი ერისთავი, ზაქარია ორბელიანოვი და სხვანი არ მახსოვს ვინ იყვნენ; და იქ ვიღამაც თქვა ბატონიშვილები იაფები იყვნენო და ის სახელდობრ არ მახსოვს ვინ იყო და მაშინ მე ვთქვი რაში ეტყობათ იაფობა ამ ყაფლანიანთ პაპა ივანაანთ ხევში შიმშილით მოკვდა მეთქი. ლუარსაბმა კიდეც მითხრა, შენ რას ანბობ მაგასაო, ამის მეტი ლაპარაკი იქ არა ყოფილა რა და არც არა გამიგონია და მაშინ გიორგი ღერანალი ერისთოვიც შემოვიდა და ვახშმათ იქ დავრჩით, და შემდგომად ვახშმისა ჩვენსავე ადგილს წავედით.

ბ) **მამუკა ორბელიანოვისა** რაც პირველად არ დავწერე იმის მეტი არა უთქვამს და არც იარაღიანი კაცები უხსენებია. თავადი **სვიმონ მაჩაბელი". ჩყლგ-სა წელსა**
მაისის ბ-სა ღღეს.

საგამოძიებლო კომისიის შეკითხვა ვახტანგ ორბლიანისადმი და მისი პასუხი(XV, 2800).

შეკითხვა: თქვენ და სხვა თქვენი თანაგანმზრახველნი. სახელდობრ ელიზბარ და **დიმიტრი ერისთოვები,** თქვენი ძმა **ალექსანდრე** და კაპიტ. **ჩოლაყაევი** აპირებდით, როგორც ამას **თ. იასე ფალავანდოვი** აჩვენებს, სალამო-წვეულების გამართვას, რომელზედაც უნდა ამოგეჟლიტათ კორპუსის უფროსი და ყველა რუსი მოხელენი. გამოაცხადეთ თქვენგან რომელმა უთხრა პირველმა **თ. იასე ფალავანდოვს** ასეთი სასტიკი განზრახვის დაწერა.

პასუხი: თ. ფალავანდოვის ჩვენება მტკნარი სიცრუეა. 1832 წლის ოქტომბრის დასაწყისში **ფალავანდოვმა** მიგვიწვია ჩაიზე: **ელ. ერისთოვი,** ჩემი ძმა **ალექსანდრე,** პორუჩ. **გ. ერისთოვი** და მე, სადაც **ფალავანდოვმა** დაიწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის საშუალებათა ძებნა და მერე თქვა მე ვიცი ერთი საშუალება: მე დავწერ ორ წერილს ჩვენი უფროსი თავადების სახელით ერთს **ალექსანდრე ბატონიშვილთან,** რომელსაც მოვიწვევ საქართველოში გასამეფებლად, მეორეს კი **ეგვიპტის ფაშასთან,** რათა დაგვეხმაროს ფულით და თუ შესძლებს ჯარითაცაო. ჩვენ უთხარით **ფალავანდოვს,** რომ თავადების ხელწერის მიხედვით მიხვდებიან ამ წერილების სიყალბეს. არა, სთქვა **ფალავანდოვმა,** მე ვიცნობ რუსებისაგან შეურაცყოფილ ორ მღვდელს, რომლებიც წაიღებენ ამ წერილებს და ფიცით დაარწმუნებენ, რომ ესენი უფროს თავადთაგან არის გაგზავნილი, გარდა მაგისა, განაგრძო **ფალავანდოვმა,** მე თუ დავინახე ვისიმე ხელწერა, მაშინათვე მივამზგავსებ და შეეძლებ

ყველა თავადის სახელით ხელის მოწერასაო. ამის დასამტკიცებლად **თ. ფალავანდოვმა** გვიამბო, რომ როდესაც ის საქართველოდან გაიქცა და რუსებმა დაიჭირეს, მაშინ მან დასწერა წერილი, რომელიც ვითომც მიწერილი იყო **თ. დადიანის** მიეო ოსმალეთში შყოფ რომელღაც იმერელ ბატონიშვილთან, რომლითაც **დადიანი** იწვევდა ბატონიშვილს იმერეთში და არწმუნებდა, რომ იგი მას დაეხმარება და ააჯანყებს მთელს იმერეთს, და რომ ეს წერილი **ფალავანდოვმა** მთავრობას წარუდგინა. აი ბატონებო, განაგრძო **ფალავანდოვმა**, მე **დადიანის** ხელწერილითაც კი დავწერე და მას საქმეები აურ-დაურიეო, კინაღამ რუსეთისკენ არ გაამგზავრესო. ამის ჩამღენ კაცს შეუძლიან აჩვენოს ჩვენზე, ის რაც თვითონ თქვა. რასაც კი ის ჩვენზე აჩვენებს ყველაფერი პირველად მისი მართა საღამო-წვეულება და იქ მთავრობის ხალხი ამოგვეწყვიტა, რომ თავს დავსხმოდით ციხეს, ყაზარმებსა და სხვა, რომ მან უკვე გამოუცხადა ტფილისის 200 მცხოვრებს, რომლებიც ჭოხარული არიან ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ, რომ ძმამ ძიაბარა მას 30.000 მან. ვერცხლით და რომ ეს ფული საკმარისი იქნება პირველი ღამის განკარგულების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაო. მან ეს გვიამბო ოქტომბერში 1832 წ., როდესაც მასთან ვახშამზე ვიყავით მოწვეული. ზოგიერთებმა თქვენს, რომ კორპუსის უფროსის მოკვლა ნამეტანი სისასტიკე იქნებოდა. **ფალავანდოვმა** თქვა რომ ყველაზე დიდი უფროსის ცოცხლად დატოვება როგორ შეიძლებაო, მაგრამ მას არავინ არ ეთანხმებოდა. და ბოლოს ყველა ჩემმა ამხანაგებმა იციან, რომ მე არასოდეს და არავითარ შემოხვევაში ამისთანა აზრები არ გამომითქვამს. ვის შეეძლო ძალა დაეტანებინა **ფალავანდოვისთვის**, რომ დაეწერა პიოველი ღამის ვანკარგულება, თუ კი ეს მისი სურვილი არ იყო. მისთვის არავის უთქვამს, რომ დაეწერა იგი, მან თვითონ დასწერა და წარმოადგინა.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

1833 წლ. 5 მაისი.

კომისიის კითხვა ვახტანგ ორბელიანისადმი და მისი პასუხი (XV, 2822).

კითხვა: სოვეტნიკი **ორბელიანოვი** და ელ. **ერისთოვი** აჩვენებენ, რომ, თქვენ, პრაპორშჩ. **გ. ერისთოვი** და **ზურაბ ჭავჭავაძე** ჰყოფილხართ ერთად, როდესაც პორუჩ. **გრიგოლ ორბელიანოვმა**

წაგიკითხათ მის მიერ თარგმნილი **რილეევის** „ნალივაიკას აღსარება“, რის შემდეგაც თქვენ ის გადაჰკოცნეთ. განმარტეთ როგორ მოხდა ეს.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

პასუხი: 1831 წლის გაზაფხულზე ელ. **ერისთოვი**, ჩემი **ძმა ალექსანდრე** და მე წავედით ერთად **გრიგოლ ორბელიანოვთან**, მასთან დაგვხვდა **ზურაბ ჭავჭავაძე**; მგონია პრაპ. **გიორგი ერისთოვიც** იყო ჩვენთან, მაგრამ დანამდვილებით არ მახსოვს. მაშინ **გრიგოლ ორბელიანოვმა** წაგვიკითხა **რილეევის** ლექსის თარგმანი სახელწოდებით „ნალივაიკას აღსარება“, რომელიც თვითონ ეთარგმნა „გივი ამილახვარის აღსარება“-დ, ამის შემდეგ **თ. ელ. ერისთოვი** გადაეხვია **გრიგოლ ორბელიანოვს** და ჩვენც ყველამ მის მაგალითს მივბაძეთ.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი“.

6 მაისი, 1833 წ.

ლევან ერისთავის ჩვენება (XVII, 3061).

„კომისიასა შინა.

კითხვაზედ ამა კომისიისა მოვახსენებ რომ როგორც მახსოვს ამ განზრახულებაზედ პირველათ ელაპარაკნოს ჩემთან **ბიძინა ერისთოვს** და ამას წინათ კიდეც გამოვაცხადე ჩემს ჩვენებაში. იქნება რომ ჯერ პრაპორშჩიკ **გიორგი დავითის ძე ერისთოვს** ამ საგანზედ ელეპარაკნოს ჩემთან მაგრამ სწორეთ არ მახსოვს რომელმა ამათგანმა პირველათ გამომიცხადა ეს განზრახულება ის კი ვიცი რომ მერე **დავით ჯორჯაძემ** ნახა **გიორგი ერისთოვის** ჩემთან ლაპარაკი მკითხა **გიორგი** რას გეუბნებოდაო როგორც მე ჩემს წინა განცხადებებში დამიწერია და თუ სწორეთ ვიცოდე მე თუ ვის უთქვამს პირველად და ვინ გამომიცხადა ეს განზრახულება მე არას დავმალავდი და ჭეშმარიტებით ვაჩვენებდი კომისიას ხთის წინაშე. მაისის კა დღესა წელსა ჩყლგ პრაპორშჩიკი თავადი **ლეონ ერისთოგი**“.

ლევან ერისთავის ჩვენება (XVII, 3065).

„მართალია ახლა მომაგონდა რომ პირველათ შევიტყე მე ეს განზრახულება თავადი **გიორგი ერისთოვ დავითის ძისაგან** ‘ასკვან თავადი **დავით ჯორჯაძისაგან** მაშინ როდესაც მივდიოდით 1831-ში გერისთობას სოფელს ჭალას **ბარძიმის** სახლში გერისთო-

ბას კი მართალია ვილაპარაკეთ მე და ბიძინამ ამ საქმეზედ რომელიც მე ვიცოდი ამ ზემოხსენებულს თავადთაგან. 1831-'ში ზამთარშივე დუშეთიდგან მოვდიოდით მე და **ბიძინა** და **ამ** საქმეზე ლაპარაკი გვქონდა, რომელიც ადრეკე გამომიცხადებია ეპიპორშჩიკი. თავადი **ლევან ერისთოვი**".

1831-სა წელსა

მაისის 26-სა დღესა.

ბიძინა ერისთავის ჩვენება (XVII, 3066).

„**ლევან ერისთოვი** აჩვენებს ვითომც პირველათ მე გამომეცხადებინოს იმისთვის ეს ჩვენი განზრახულება ხოლერობის უკან ზამთარში ქრისტესშობის თვეში ესე იგი ჩყლ წელსა იმ დროს როცა ჩვენ მივდიოდით ერთათ დუშეთიდამ ეს არ არის მართალი პირველათ ამიტომ რომ ჩყლ წელსა მე თითონაც არ ვიცოდი ესე განზრახულება და მეორეთ რომ იმ წელს ქრისტიშობის თვეშა მე **ლევანთან** დუშეთიდამ მომავალი არა ვყოფილვარ და ვიყავ თ. **თადია ჩოლაყაევის** სახლში სოფელს ყარაბულახს ჩემის სიძის სიკვდილისა გამო. წინა პირველათ ჩემი და **ლევანის** ლაპარაკი ამ საქმეზე იყო ათას რვას ოცდათერმეტს წელსა აგვისტოს თვეში გვრიგორობას საცა თვითონ **ლევანმა** მითხრა რომ გავიგონე პუნტს აპირებთო და მე რათ შიმალაძთო მასკვან ამავე წელსა ქრისტის შობის თვეში დუშეთიდამ მე და **ლევან** მივდიოდით და გზაზედ ვლაპარაკობდით ამ განზრახულებაზედ. და იქ ჭეშმარიტათ არ მახსოვს და იქნება რომ მე გამოუცხადე **ალექსანდრე ბატონიშვილთან** წიგნის გაგზავნაც. ათას რვას ოცდა ათში როგორ ვეტყოდი მე მას რაც არ იყო მაშინ წიგნი გაგზავნილი ბატონიშვილთან და თვით კამისიამ უწყის როდესაც გაგზავნილ იქმნა **ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანოვისაგან** მე და **ლევან** დუშეთიდამ რომ მოვდიოდით ქრისტიშობის თვეში ათას რვას ოცდა თერთმეტს წელსა მაშინ ჩვენთან ერთათ მოდიოდნენ **თ. დავით** და **ქაიხოსრო ბაგრატიოხები მუხრანცკები.** მაისის კგ. ჩყლგ. პრაპორშჩიკი **თ. ბიძინა ერისთოვი**".

როგორც ამას წინათ მოვახსენე კომისიას არბოში ვვქონდა ლაპარაკი ამ განზრახულებაზედ მე და **სვიმონ მაჩაბელოვს** სწორეთ არ მახსოვს რომელმა ჩვენგან პირველათ დაიწყო ლაპარაკი ეს კი ვიცი იმისის მხრიდამ არ იყო უარის თქმა ვგონებ მე მითხრა **ელიზბარმა** ერისთოვმა რომ **სვიმონ მაჩაბელმაც** იცის, ეს საქმეო და ამ მიზეზით დავიწყეთ ლაპარაკი მე არ მახსოვს **რომ** გეთქვას

ბატონიშვილს ალექსანდრესთან წიგნი არის გაგზავნილი და იქიდა-
�პასუხი მოსულა და როდესაც მე და სვიმონ მაჩაბელს გვქონდა
ლაპარაკი ამ განზრახულებაზედ მაშინ შევატყე რომ იმან ადრეკე
იცოდა და არ ვიცი ვისგან შეტყო არც მე იმისთვის შეკითხამს
შემდგომ როდესაც ეს მაჩაბელი ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში
ვნახე ძა'მინ უთხარ შარშანდელის საქმისას რას აპირებ მეთქი სვი-
მონ მაჩაბელმა მითხრა ის დრო წავიდა აღარა შეგვიძლიან რაო
როგორც ამას წინათაც კამისიისათვის მომიხსენებია რაც მახსოვდა
ჭეშმარიტებით ვაჩვენე და არც არას დავმალავ თუ რამ ვიცოდე.
პრაპორშჩიკი თ. ბიძინა ერისთავი".

ლევან ერისთავის ჩვენება (XVII, 3134).

„მე სრულებით არ მახსოვს, რომ ათას ოცდა თერთმეტს წე-
ლს გიორგობის თვეში ან შობის დღეს როცა ჩემს სახლში აბალ
ვორის სოფელში მოსულიყოს იქ ელიზბარ ერისთოვი და ელაპარა-
კნოს რამე ამ განზრახულებაზედ ან ჯორჯაძესთან და არც ელიზ-
ბარ ერისთოვს როდისმე სოფელში და ჩემს სახლში აძ საქმეზედ
ლაპარაკი რამ ქონია ან ჩემთან ან ჯორჯაძესთან. პრაპორშჩიკი
ლევან ერისთოვი".

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2469).

რამდენჯერ გინახიათ გენ.— მაიორი ჭავჭავაძე, ვიდრე თქვენ და ლუარსაბ ორბელიანოვს გექნებოდათ მასთან საუბარი.

ერთხელ მივედი და თავადი სახლში არ დამხვდა, მეორეჯერ კი ვნახე იგი, მაგრამ მის ბრწყინვალებისაგან არაფერი გამიგონია, ხოლო მესამედ მიწვეული ვიყავი მაიორ ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვის მეშვეობით.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (XIII,, 2473).

აღნიშნული საუბრის დროს მიეცა თუ არა წინადადება თ. ლუარსაბს ყოფილიყო შუამავლად თქვენსა და გენ.მაიორ ჭავჭავაძეს შორის არსებულ მთების გამო დავაზე.

რადგანაც მე რომ მივედი თ. ჭავჭავაძესთან მის ბრწყინვალებას მრავალი სტუმრები ჰყავდა, ამიტომ თავადმა მომმართა შემდეგი სიტყვებით: ზაქარია დიმიტრის ძევ, მე მინდა მოგელაპარაკოთ ჩვენი კახეთის მთების საქმეებზე, რომელიც ჩვენ შორის დიდი ხნის დავას წარმოადგენსო; ამასთანავე შეგვიწვია მე და ლუარსაბ ორბელიანოვი ცალკე ოთახში. მე აღვიარებ, რომ არასოდეს და არავისგან არ გამიგონია, ოომ თ. ჭავჭავაძეს ჩემთან რამე დავა ჰქონოდეს, რადგან მე არც იმისთვის მივსულვარ მასთან, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი ჩვენს შორის შუამავლად გამოსულიყო. ეს მხოლოდ ხერხი იყო მის ბრწყინვალება. თ. ჭავჭავაძესაგან.

ამ საუბრის დროს იყო თუ არა მსჯელობა: მაზრებში ბოროტმოქმედებებზე, გადასახადთა სიმძიმეზე და კახეთის მოდარაჯეებზე, რაც ისე ძნელი ასატანია ხალხისთვის, რომ შესაძლებელია ისინი აჯანყებამდე მიიყვანოს, და იმაზედ, რომ მაშინ იმისაც კი უნდა გვეშინოდეს, რომ რუსეთმა არ მიატოვოს საქართველო, რომელიც

არავითარი საუბარი არა ყოფილა იმის მეტი, რომ ჭავჭავაძემ გამომიცხადა, რათა მე აღუკრძალო თავადებს, რომ მათ შეთქმულებაზე ფიქრს თავი დაანებონ და რომ ის თვითონ სხვებთან ერთად თხოვს განსაკუთრებული წერილით ხელმწიფე იმპერატორს და განუმარტავს ყველაფერს, რაც სურთ და სწადიათ თავადებს.

ლსაც დღემდე მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო.

დაახლოვებით რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი საუბარი ცალკე ოთახში რამდენიმე წუთი, თუ ნახევარ საათამდე გასტანა

რამდენიმე წუთს, მაგრამ არა უმეტეს საათის მეოთხედისა.

გვარდიის კაპიტანი **თ. ჩელო ყაევი.** 23 აპრილი 1933 წ.

ვენერალ-მაიორი **ჩევკინი.**

ზაქარია ციციშვილის პასუხები (XV. 2870).

„ჩვენებათაგან პროპორშჩიკის **ბიძინა ერისთოვისა** ჩანს: **პირველად** რომ ჩყლა-სა წელსა თქვენ ყოფილხართ რიცხვთა შორის სხვათა თავადთა სალოცავად სოფელს არბოს წმინდა გიორგის დღეობას, მას დროსა **ბიძინა ერისთოვს** მიუღია წერილი სოვეტნიკად ყოფილის **ალექსანდრე ორბელიანოვისა გან** რომ შეგატყობინოს ერთსამ სხვებთანა თქვენცა მალე ჩამოსასვლელად ტფილისსა და რომელ ხსენებული წერილი რიცხვთა შორის სხვათა ამხანაგათა უჩვენებიეს თქვენთვის მას **ბიძინა ერისთოვს** და აქ ყველას გქონიათ ერთმანერთთან ლაპარაკი აღრეულობისათვის. - და **მეორედ** რომ ხსენებული წერილი აჩვენა მან **ელიზბარ ერისთოვს**, რომელმაც წაიკითხა იგი და შემდგომ მისა როდესაც გამოუცხადა მას **ბიძინა ერისთოვს,** გითხრათ სხვათა თავადთა შორის თქვენცა.

ყოფნა თქვენი დანიშნულ დროს წმინდა გიორგის დღეობას დაამტკიცა **თეიმურაზ ამილახვაროვმან.** ხოლო სოვეტნიკად ყოფილმან **ალექსანდრე ორბელიანოვმან** აჩვენა რომელ

მას სწორედ მიუწერიეს 1831-სა წელსა სოფელს არბოში **ბიძინა ერისთოვთან** მოიწვიოს თავადნი მათ შორის თქვენც ტფილისს, ამისთვის კამისია მოითხოვს გარემოებითსა თვინიერ უმცირესისა დაფარვისა პასუხსა:

ა) ყოფილხართ ჩყლა-სა წელსა სოფელს არბოში წმინდა გიორგის დღეობაზედ.

ბ) ვინ გაჩვენა თქვენ წერილი **ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვისა** დაბარებისათვის თავადთა ტფილისსა **ბიძინამ** თუ **ელიზბარ ერისთოვმა** და რა გითხრა ამ **ელიზბარმა** ამა საგანზედ და გ) ვითარ საზოგადოდ თქვენში მაშინ ლაპარაკი იყო შესახებელად აღრეულობისა.

სოვეტნიკად ყოფილმან პოდპორუჩიკ **ალექსანდრე ორბელიანოვმან** აჩვენა, რომელ როდესაც შეაწერეს რაოდენი კაცი უნდა გამოსულიყო აღრეულობის მოსახდენელად, მაშინ თქვენ უარი გიყვიათ მიცემაზე კაცებისა და გითქვამსთ: ჯერ თქვენ ქალაქელებმა მოახდინეთ ბუნტიო და მას უკან ჩვენ ჯარით მოვალთო ქართლითგან.

გამოაცხადეთ ეს გარემოება და სახელდობ რა გითქვამსთ თქვენ ამ საგანზედ.

ჩყლა წელსა სოფელს არბოს ჭეშმარიტად ვიყავ სალოცავად მაგრამ პრაპორშჩიკს **ბიძინა ერისთოვსა** ჩემთვის არარაი წერილი არა უჩვენებია და არც არაფერი ლაპარაკი ვისგანმე გამიგონია ამ საგანზედ წერილი **ალექსანდრე ვახტანგის ძისა** არავის არ უჩვენებია არც **ელიზბარ ერისთოვს** და არც **ბიძინა ერისთოვს** და არც საზოგადო ლაპარაკი ყოფილა რამე ჩემთან — მე იმათთან სალაპარაკოთ სულ არ მინახავნან და არც არა ვიცირა.

თ. პრაპორშჩიკი **ზაქარია ციციანოვი**".

ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჩემთვის არ უთქომს ეს არც შეწერა კაცებისა და არც რამ პასუხი ყოფილა ჩემგან. გამომიცხადებია ერთ გზის ბაღში დავეპატიჟნე იქ რაც გავიგონე მოვახსენე კომისიას იმის მეტი არას კაცისაგან არ გამიგონია რა ამ საგანზედ. თ. **ზაქარია ციციანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XV, 2888).

„**მოლა ზამანამ** აჩვენა, რომ როდესაც თქვენთან მოიყვანა მან **თათარი მაჰმადა**, რომელიც **ალექსანდრე ბატონიშვილის** მიერ გაგზავნილი **ყაზი მოლასთან** მიდიოდა, მანვე გითხრათ გეცნობებინათ ეს ამბავი საქარ-

თველოს ,ბუბერნატორისათვის, მაგრამ თქვენ ამისთვის მას სიკვდილით დაემუქრეთ. განმარტეთ მართალია თუ არა **მოლა - ზამანას** ეს ჩვენება და მართლა მოგცათ თუ არა წინადადება, რომ **მაჰმადას** მოსვლა ხელისუფლებისათვის გეცნობებინათ.

გენერალ - **მაიორი ვოლხოვა.** არა ესრეთ იყო **მოლა ზამანა** რომ აჩვენებს,—გარნა ესრეთ იყო როგორც მახსომს.— მე მითხრა **მოლა ზამანამ** როდისაც **მაჰმადა** მოიყვანა, ბატონოვო, მოდი ამ ბატოიშვილის კაცს მკლავებს შეუკრამ, და ღუბერნატორს მივგვრიო, ჩინს მომცემენ, და ჯამაგირსაო. —მასკვან მე უთხარ **მოლა ზამან** მეთქი თუ ეგ განძრახვა გქონია მაშ თავდაპირველად რად წახვედი **ბატოიშვილი ალექსანდრესთან** და ან ვინ გატანდა ძალასა მეთქი. მასკვან მითხრა, რავქნა ,ბავები ახლა მეცვნანობო, მაგრამ რაღა მეშველებაო. — მასკვან მე **უთხარ** მაშ ეს **მაჰმადა** ისევ თავის გზაზე გაისტუმრე წავიდეს მეთქი, —მასკვან მითხრაბატონი ხარო. — და ამის შემდეგ მე რაც იმ **მაჰმადას** დავაბარე ხომ კომისიისათვის მომიხსენებია.

მოლა ზამანა ამტკიცებს, **რომ** როდესაც თქვენ მას სთხოვეთ 200 კაცის შოვა აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, ის უარს ამბობდა, მაგრამ თქვენ მოკვლით დაემუქრეთ თუ ამ საიდუმლოს გასცემდა მერე, სამი დღის შემდეგ, **მოლა-ზამანა** ჩამოვიდა ტფილისში თათარ **ყურბან ოღლისთან** სახლის გამო დავის გადაწყვეტის სათხოვნელად და თქვენ კვლავ გაუმეორეთ მას მოეყვანა აჯანყებისათვის თქვენ მიერ დასახელებული ოთხი თათარი. განმარტეთ როგორ იყო ეს ყველაფერი, ვინ არიან ის თათარები, რომელთა აჯანყებისათვის მოყვანაც დაავალეთ **მოლა**

ზამანას და სახელდობრ ვინ მოიყვანა მან თქვენთან ტფილისში, ნახეთ თუ არა თქვენ თვითონ ის ხალხი, რა ელაპარაკეთ მათ, ან **მოლა ზამანას** რა დაავალეთ მათთვის სათქმელად.

გენერალ მაიორი **ვოლხოვსკი**.

არა ესრეთ იყო.—გარნა მე ესრეთ მახსომს, მართალია, რომ ის **ზამანა** საჩივლელად ჩამოვიდა ჩემთან ხსენებულს ყურბანაზე. — და მაშინ უთხარ მე **ზამან** არ შეგიძლიან რაოდენიმე კაცი იშოვნო მეთქი. მასკვან მითხრა რად გინდათო-შემდეგ მე უთხარ საჭირო არის მეთქი, და მგონია, ისე მახსომს, რომ ბუნტისათვის არ მითქომს მე **ზამანასთვის**, კაცნის მოყვანა, და არც 200-ის კაცისა მითქომს. მასკვან მითხრა რატო არაო დიახ შევიძლებო, შემდეგ ისე მახსომს რომ მგონია სიაც დამაწერინა კაცებისა არ ვიცი **ოცის** კაცის, სია დამაწერინა თუ **თხუთმეტისა**, შემდეგ ამისა წავიდა **ზამანა**, და რაოდენიმე ხანი გავიდა, და **სამი** თუ **ოთხი** კაცი ჩამოეყვანა ქარვასლაში, მოვიდა მითხრა **ზამანამ**, კაცები ჩამოასხიო, სად არიან მეთქი. — მითხრა ქარვასლაშიო, რამთენი არიან მეთქი,— **მითხრა ოთხიო**. - შემდეგ გამეცინა, და უთხარ კარგი წადით საჭირო აღარ არის მეთქი, და მგონია რომ არ ვიცი **სამი**, თუ **ორი** მინანთულიც ვაჩუქე. ის კაცები სულ თვალით არ მინახამ. — წელსა 1833-სა მაისის 9-სა დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.**

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XXII, 3138).

„გამოაცხადეთ, რომ არა გაქვთ საბუთი ეჭვი შეიტანოთ, რომ გენ. მაიორის **ჭავჭავაძის** ბრძანება **ალექსანდრე ბატონიშვილის** კახეთში გამოწვევაზე, რაც თქვენ თ. **ლუარსაბ ორბელიანოვმა** გამოგიცხადათ, არ **იყო** ნამდვილად ხსენებული

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად; უკეთუ მე ეჭვი მქონიყო, მაიორს თავადს **ლუარსაბ ორბელიანოვსა** ზედა ტყუილად მოგონებისა,—მაშინ მე არასოდეს კაცს არ გავგზავნიდი **ბატიშვილს ალექსანდრესთან**, და უკე-

ენერლის ნათქვამი, არამედ გამოგონილი იყო თვით **თ.ლ. ორბელიანოვისაგან.**

თუ ასეთი ეჭვი გაქვთ, დასწერეთ რაზედ ამყარებთ მას, თუ კი არავითარი ეჭვი არა გაქვთ, განმარტეთ აგრეთვე ამისი საფუძველიც.

თუ **ლუარსაბმა** გამოიგონა ესეთი, რის განძრახვისთვის, და ან რომლის მიზეზისთვის:—უკეთ თუ მე კაცის გაგზავნა მდომიყო **ბატოიშვილის ალექსანდრესთან, მაშინ, ოდესაც** მე **ქოსა მუსტაფა,** პირველად რომ მოვამზადე, მაშინ გავგზავნიდი **მას,** გარნა დავხედე საქმეს რომ შეუძლებელი იყო, და ამისთვის აღარ გავგზავნე იგი **ქოსა**

მუსტაფა: შემდეგ მაიორმა თავადმა **ლუარსაბ ორბელიანოვმა,** ოდესცა თქო, რომ **ალექსანდრე ჭავჭავაძემა** თქოვო **კაცი გაგზავნეთ ალექსანდრე ბატოიშვილთანაო,** მას დრომდისინ, მე არარაის საქმეს არ შევდგომიყავ, და ოდესცა, ესრეთი მესმა **ლუარსაბისაგან,** მაშინ გონება ჩემი შეიპყრა **ლუარსაბის** ამ ერთმა სიტყვამ, და ვიფიქრე აქ უთოთ დიდი ზაგოვორი არის, და უთოთ დიდრონი კაცებიც მონაწილენი არიან მეთქი — და მე მაშინვე ვთქვი, მეც ოაიმე სამსახური ტნდა დავანახო მათ მეთქი და მაშინ: მე შეუდეგ ყოველსა საქმეს — და კაციც მაშინ გავგზავნე **ალექსანდრე ბატოიშვილთან. მეორე** შემდეგ **ლუარსაბ ორბელიანოვის** თქმისა, ვგონებ რომ, დიდმა დრომ გაიარა მანამ ჩვენ დაგვიჭერდნენ, და რისთვის ერთხელ არ მესმა **ლუარსაბისაგან,** რომ ტყუილად ვთქვით, და ანუ ხუმრობითაო. **მესამე.** მას მაიორს **თ. ლუარსაბ ორბელიანოვს** არაოდეს ცრუთ არ ვცნობ, და ყოველთვის პატიოსნობის მნიშვნელობასა ქვეშე მყოლია. უკეთუ მე მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი** ცრუს კაცად მეცნა, მაშინ, მე ბასთან; არაოდეს შერთება არ მექმნებოდა, და არც კაცი გაგზავნილი მეყოლებოდა **ალექსანდრე ბატოიშვილთან,** და იქნება რომ. დღეს არც ამ სატირელს ადგილასა ვყოფილიყავ მე. უკეთუ მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი** ამბობს, რომ ტყუილად ვთქვით, და კანონი შეიწყნარებს ესრეთსა,—მაშინ მეც შემიძლიან ვთქო. რომ ტყუილად გავგზავნე კაცი ბატოიშვილთან" — „ყოველი ჩვენი საქმე და მოქმედება; სრულებით, არა მცირედი რამ იყო ძთავრობისა დასაკლისი, უკეთუ წელი 200-ს მაინც განგრძელებულიყო ჩვენი ზაგოვორი, მაშინცა არარაი, მოხდებოდა:—გარნა კანონს ხუმრობა და ტყუილი არ უყვარს.

კვალად მივმართამ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს იმპერატორს, და ნუგეშად მაქვს ესრეთი, რომელ იგი არს კანონთა კანონი,

და მის მიერ სუფევს კანონი,—რომელნიც მისნი სამაგალითო ხელმწიფურნი მოწყალებანი განთქმულნი არიან ქვეყანისა ზედა:—ამისთვის სული ჩემი მოელის მისსა იმპერატორობისა, სამაგალითოსა მოწყალებასა: წელსა 1833-სა. მაისის 26-ს დღესა პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი.**

თეიმურაზ ლორთქიფანიძის სიტყვიერი ჩვენება (XVII 3180)

„ვიპისკის[1]) წაკითხვაში **თეიმურაზ ლორთქიფანიძემ** აჩვენა, პირველად რომ პირველს ჩვენებაში შეცდომით მითქვამს, ვითომც მე იმერეთში გამომეცხადებინოს ესე ბოროტ განზრახულება **თ. ნიკო და გიორგი ჯიჯავაძებისათვის,** ამისთვის რომ მე **თ. ბესო ლორთქიფანიძის** მეტს არავისთვის არა გამომიცხადებია და მეორედ რომ მთავრობისგან როცა ამ უკანასკნელს დროს დაბარებული ვიყავი, მაშინ ვიმყოფებოდი გურიას ჩემს ცოლის ძმებთან და იქ რასაც წამს გამომიცხადა იქაურმა ნაჩალნიკმა მე მაშინვე წამოველ ქუთაისს და იქიდან ქალაქს გამომგზავნეს. **ბესო ლორთქიფანიძეც** მაშინ რადგანაც გურიას იყო და იმერეთს მოდიოდა, ამისათვის ერთად წამოვედით, და მე არც გაქცევა მდომებია და არც იმას დაუჭერივარ, და იმას თუ ეს უთქვამს, სრულებით ტყუილად უჩვენებია. კთ. მაისს 1833 წელს". [2])

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3184).

„კომისიასა შინა.

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. წარსრულს 1831-სა წელსა, — სახლსა **თ. ელიზბარ ერისთოვის** სიძის **შელნიკოვისას,** გამოუცხადა; თავადმა **ელიზბარ ერისთოვმა,** თავადს **ივანე მაჩაბელოვს,** განძრახვა ჩვენი, და მან **მაჩაბელოვმა** უარჰყო, და თანახმა არ შეიქნა;—ხოლო ესრეთი გარემოება იყო კოლლეჟსკის სოვეტნიკის **მელნიკოვის** სახლში, და არა სასამართლოსთან. წელსა 1833-სა. მაისის 27-სა. პოდპორუჩიკი **ალექსანდრე ორბელიანოვი".**

ბიძინა ერისთავის ჩვენება (XVII, 3210).

ჩყლბ-სა წელსა პირველად ვინ გამოგიცხადათ თქვენ რომ კენჭის ყროს დროს **მიახლოებით** უნდა მოხდეს ბუნტიო და ვისთან სახელდობრივ თქვენ

ჩყლბ. წელსა მე პირველათ გამომიცხადა არ მახსოვს სწო-

[1]) **გ ამოძიების პროცესში თვითეული ბრალდებულის შესახებ მოგროვილ ჩვენებებს კომისიამ თავი მოუყარა და ამონაწერების სახით ცალკ-ცალკე წარუდგინა ბრალდებულთ, მათ მიერ საბოლოო განმარტებისთვის.**

[2]) **ჩვენება ხელმოუწერავია.**

გქონიათ ამ ბუნტის ბარობაზე გასჯა?

რეთ **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა** თუ **ელიზბარ ერისთოვმა,** რომ კენჭის ყრის მოახლოებით ბუნტი უნდა მოხდესო. და ეს კი ალარ მითხრეს თუ როგორ აპირებდნენ ამ ბუნტს და ან რა განკარგულება ქონდათ როცა **ალექსანდრე ჭავჭავაძე** თანხმა არ შექმნილიყო და ეს ბუნტის წინადადებაც ჩაიშალა მაშინ მე თავადმა **ზაქარია ჩოლაყაევმა** მითხრა. რომ თუ არ ჩაშლილიყო ეს აზრი ბუნტის მოხდენას აპირებდნენ ოცს დეკემბერს ანუ ოცს ნოემბერს. პრაპორშჩიკი თ. **ბიძინა ერისთოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2363).

„თავადი **ბიძინა ერისთოვი** აჩვენებს, რომ როდესაც თქვენ პირველად ელეპარაკეთ მას განზრახულებაზე, ის არ დათანხმდა. მართალია ეს თუ არა?

„არამც თუ პირველად რომ, მე გამოუცხადე თ. **ბიძინა ერისთოვს** აზრი ესრეთი, და თანხმა არ იყო,—გარნა; ვიდრე ჩვენ დაჭერადმდე, ყოველთვის ჩემთან ლაპარაკი ჰქონია ესრეთ, —ღმერთმა ნუ ინებოს რომ, აქ აღრეულობა მოხდესო, ამისთვისაო რომ, შეუძლებელი საქმე არისო, და ერთი სარწმუნოების ადამიანნი ვართო, და არაოდეს ღვთის მოსაწონი საქმე არ არის, რომ, ჩვენ რუსებზე მახვილი ავიღოთო, „ამის გარდაო მახსომს ურდობათის, საქმეშია რუსნი **ოთხასნი** კაცნი იყვნენ, და ყიზილბაშნი **ცხრა** ათასნის და კიდევ რუსებმა დამარცხეს ყიზილბაშნის, ებრეთი სიმხნე მინახამ მე რუსებისაო, და ამისთვის, მე არაოდეს არ მინდა რომ აქ აღრეულობა მოხდესო. — თუმცა მე, უკმაყოფილო ვარ მთავრობისაო, მაგრამ მაინც არაოდეს არა მსურს

ალრეულობაო. — ხოლო ეე მოვახსენებ კომისიას, ესრეთ, — ეს არის რომ, ამა აზრსა შინა გვხედამდა **თ. ბიძინა ერისთოვი,** ზოგს ნათესავს, ზოგს მეგობარს, და ზოგს კეთილის მყოფელს, თორემ არაოდეს არა სურდა მას, რათა მომხდარიყო ალრეულობანი. — წელსა 1833-სა მაისის 29-ს დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3220).

„გამოაცხადეთ ბატ. **პაუშენკოზე** თქვენი მესამე ჩვენების დამატებად, თქვენ გამოუცხადეთ თუ არა მას პირველად განზრახულება და როგორ და როდის სახელდობრ?

მე ვგონებ როგორც ეხლა მაგონდება, რომ მე, გამოუცხადე განზრახვა ესე ჩვენი **პაუშენკოს** წარსრულს 1831-სა წელსა, და ის კი აღარ მახსომს, რომ როგორ გამოუცხადე.

წელსა 1833-სა მაისის 29-სა დღესა პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

მისივე ჩვენება (XVII 3222).

„გითხრათ თუ არა თქვენ ისპრავნიკმა **პაუშენკომ** თქვენი ძმა **ვახტანგის** ანადასწრებით 1832 წ. როცა თქვენ მას შეთქმულება გამოუცხადეთ: „თქვენ ფიქრობთ, რომ კაპიტან ისპრავნიკი ვარ, მაგრამ არ დამვიწყებია როგორ ვიტანჯე უდანაშაულოდ რამოდენიმე წელს"?

მე ესრეთ მახსომს **პაუშენკოსაგან** ჩემ ძმასთან, ასე უსამართლოთა ვარ დასჯილიო რომ, მეტი აღარ შეიძლებაო, და ასე გასინჯე რუსი ვარო და თქვენი განძრახვა ვიციო, აქამდინა ვარ შეწუხებულიო.

ესრეთ დაუმატებ და მოვახსენებ კომისიას, რომ წარსრულს 1831-სა წელსა, არაოდეს არა გამიგონია რა **პაუშენკოსაგან,** სრულებით, არაფრისთანა და აროც არა მე მითქომს განძრახვა ჩვენი, იქნება ჩემ ძმას **ვახტანგს,** 1831 წლისა ახსომდეს, და არა 1832-სა წლისა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

კომისიის კითხვა ვახტანგ ორბელიანისადმი და მისი პასუხი (XVII 3224).

კითხვა: გითხრათ თუ არა თქვენ ისპრავნიკ **პაუშენკომ** თქვენი ძმის **ალექსანდრეს** თანადასწრებით 1832 წ., როდესაც თქვენ გამოუცხადეთ მას განზრახულება და აკანყება, რომ: თქვენ ფიქრობთ, რომ მე კაპიტან ისპრავნიკი ვარ, მაგრამ არ დამვიწყებია როგორ ვიტანჯე უდანაშაულოდ რამდენიმე წელიწადიო". გენ. **მაიორი ბაიკოვი 1-ლი.**

პასუხი: მე გამიგონია ისპრავნიკ **პაუშენკოსაგან** 1831 წ., რომ ის შეურაცხყოფილია და რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში იტანჯებოდა უდანაშაულოდ, მაგრამ არ მახსოვს რომ მისგან აქ მოხსენებული გამონათქვამი გამეგონოს. მე თვითონ არ მილაპარაკნია **პაუშენკოსთან** ჩვენს განზრახულებაზე, მაგრამ მესმოდა ჩემი ძმა **ალექსანდრე** და **ელ. ერისთოვი** რასაც ელაპარაკებოდნენ მას ამ საქმეზე.

რაც შეეხება 1832 წ., მე არა თუ არ მილაპარაკნია მასთან, არამედ აღარც კი მინახავს იგი, აღარც არა გამიგონია **მასზე ჩვენს** განზრახულებასთან დაკავშირებით ჩემი ამხანაგებისგან.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

29 მაისი, 1833 წ.

თეიმურაზ ამილახვრის ჩვენება.

უფალს პრაპორშჩიკს თეიმურაზ ამილახვაროვს. (XVII, 3232).

„გამოაცხადეთ რომ არ შეგიტყვიათ თქვენ სად და როდის **ბიძინა ერისთოვისაგან,** რომ **ალექსანდრე ბატონიშვილი** მოსულაო გუმბრს ჯარითაო? და **ბიძინა** ხომ არ გახალისებდათ როდისმე და სახელდობრივ როგორ ამ ბუნტის განზრახულებისადმი?

ჩემთან არას დროს არ ქონია **ბიძინას ერისთოვსა** ლაპარაკი აქაურს აღრეულობაზედ და არც ეს **ალექსანდრეს** მოსვლა გამიგონია გუმბრს არას **დროს** არ უთქვამს ჩემთან და **არც** ვიცი თ. **პრაპორშჩიკი თეიმურაზ ამილახვაროვი".**

ზაქარია ციციშვილის განმარტება (XVII, 3248).

„ჩყლა წელსა სოვეტნიკს **ალექსანდრე ორბელიანს** დაეპატიჟნეთ წავედით სადილთ უკან **რომ** დასხდნენ კაკალს ქვეშ დაიწყეს **ელიზბარ ერისთოვმა** და **ალექსანდრე ორბელიანოვმა** დაიწყეს

რუსები ასე რომ გვაწუხებენ რატომ არას ვიფიქრებთო ერთი პირი უნდა გვქონდესო ვილაპარაკებდეთო შემდგომათ წამოვედით მე და **ლუარსაბ თარხანოვი ალექსანდრეს გიორგის ძეს** უთხრა **თარხანოვმა** ურჩიე **ელიზბარს ერისთოვსო** რომ შაგისთანას ნულარ ილაპარაკებსო სულ დასაბმელი გიჟი ყოფილაო მასუკან აღარა ვიცირა. პრაპორშჩიკი **ზაქარია ციციანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3250)

„რომელიც შეგვყარა პირისპირ კომისიამ მე და **ლუარსაბ თარხნიშვილი** გვკითხეს **ალექსანდრე ვახტანგის ძესთან** რომ ვიყავით ბახში სადილათ მართალია მამაგონა **ლუარსაბ თარხნიშვილმა**, იმის მეორე დღე იყო თუ მესამე ჩემს საქმეზედ მივდიოდი ქარავასლაში აბრეშუმები ვიყიდე ფული მიმქონდა პატრონებისათვის მიმეცა მაშინ დამხვდა **ლუარსაბ თარხნიშვილი** და მითხრა თუ შეგხვდეს სადმეო **ელიზბარ ერისთვისშვილი** და **ალექსანდრე ვახტანგის ძე** დაუშალეო ამისთანა ჩირქიან საქმეს ნუ ლაპარაკობენო მე უთხარი მე იმათ არ დავდევ მე ჩემი საქმე მაქს მეთქი და ჩემს საქმეს ვცდილობ მეთქი იმის შემდეგ ერთმა თვემაც გაიარა რომ ისინი აღარ მინახავს და აღარც მომგონებია ეს ასე მახსომს, **პორუტჩიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3285).

„კომისიასა შინა".

1-ი.

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად:—წარსულს 1831-სა წელსა, როგორც მე მახსომს, **თ. ლუარსაბ თარხანოვი** სრულებით თანხმა არ იყო აზრსა ესრეთსა.—კარგად მახსომს რომ მე ვგზავნიდი მას **ლუარსაბ თარხანოვს** მოციქულად თავადს **ელიზბარ ერისთოვთან** ესრეთ, რომ, შენ მოხუცებული კაცი ხარ მეთქი, და თუ ღმერთი გწამს შენ ელაპარაკე **ელიზბარსა**, რომ დაიშალოს ესრეთი განძრახვა მეთქი... ამისთვის უმდაბლესად ვთხოვ კომისიას რათა ჰკითხოს მას **ლუარსაბ თარხანოვს** იქნება ახსომდეს გარემოება ესრეთი, დასამატებლად ჩემის პოკაზანიისა.

2-ი

წარსულს 1831-სა წელსა, ოდესცა, მე **თ. ბიძინა ერისთოვს** წიგნი რომ მივწერე ქართლში, და ვთხოვე რათა ხსენებულნი პირნი ჩა-

მოეყვანა ქალაქს, რომელიც კომისიასა შინა არს ჩვენებული, და ამას წიგნსა შინა სრულებით არ იყო ხსენებული **თ. ლუარსაბ თარხანოვი.**

3-ს

ამას წინად კომისიასა შინა, რომ, კაჩვენე, თავადნი **ბიძინა ერისთოვი, თეიმურაზ ამილახვაროვი, ზაქარია ციციანოვი,** და **ლუარსაბ თარხანოვი,** რომ მათ პირთა თქვეს მეთქი, რომ, აქ ქალაქში მოახდინეთ აღრეულობა, და მასკვან, ჩვენ ჯარით ჩამოვალთო, და კომისიასა შინა გამამეცხადა; რომ მათ ხსენებულ პირთა შორის არ დამტკიცებულა ესრეთი-ამისთვის მოვახსენებ კომისიას რომ, ამგვარი ლაპარაკი რაღაც მახსომს წარსრულს 1831-სა წელსა და ის კი აღარ მახსომს, სადა, და ანუ ვისთან:—წელსა 1833-სა მაისის 30-ს დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3264).

„განმარტეთ ვისგან გაიგეთ სახელდობრ, რომ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა** მოიწონა თქვენი მოქმედების გეგმა, რომელიც დაგისახათ 1831 წ. **თამარ ბატონიშვილმა.** და რამდენად მოიწონა მან იგი?

მე ესრეთ მახსომს რომ, თავადმა **ელიზბარ ერისთოვმა** მითხრა რომ; ბიძა ჩემს **ლუარსაბ ორბელიანოვს** მოეწონაო, და ას კაცს ის გამოიყვანსო.— წელსა 1833-სა მაისის 31-სა დღესა პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.**

ბიძინა ერისთავის ჩვენება (XVII, 3266).

თქვენთა ჩვენებათაგან ერთსა შინა მოხსენებულ არს: ვითომც **ლუარსაბ ორბელიანოვის** მიერ გამოცხადებულმან თანხმობამ გაგაგულიანათ თქვენცა. გამოაცხადეთ სახელდობრივ რაგვარ შეიტყეთ თქვენ თანხმობა თავადს **ლუარსაბისა,** როდის და ვისთან?

მე თავადის **ლუარსაბ ორბელიანოვისაგან** ერთი საკუთარი რამ თანხმობა ამ განზრახულებაში პირდაპირ არა გამიგონია რა და არც იმასთან ლაპარაკი მქონია რა ამაზედ მხოლოდ **ელიზბარ ერისთოვმა** დამარწმუნა რომ **ლუარსაბიც** თანხმა არისო და მთელი საქართველოს თავადებიცაო **მუხრან ბატონს** გარდაო და ერთხელ ჩყლბ. წელსა წამიყვანა **ლუარსაბთან** სახლში მაშინ **ლუარსაბს** ეძინა **ელიზბარმა** გაღვიძა ისი და უთხრა აი **ბიძინა** აქ არისო და

ლუარსაბმაც მითხრა ერთი **მუხრან ბატონი** მაჩვენეთო. და მერე ჩვენ ვიცითო. მე ეს იმ სახით მივიღე მითომც **მუხრან ბატონის** ნახვა უნდათ ამ განზრახულების ბარობაზედ. და **ლუარსაბს** ამას გარდა ჩემთან სრულებით არა ულაპარაკნია რა რომ მე გავეგულიანე. პრაპურშჩიკი **თ. ბიძინა ერისთოვი**".

ზაალ ყოლოლანიშვილის ჩვენება ტფილისის მოქალაქეს ზაალ ყოლოლანოვს-მაისის კვ-სა წელსა ჩყლგ. (XVII, 3270).

კომისია მოგითხოვს, რათა თქვენ გამოაცხადოთ სწორედ და გარდამწყვეტათ. პასუხები შემდეგ პუნკტებზედ.

ა.

„როდის სახელდობრივ (ესე იგი რომელს წელიწადსა და თვეში) და ვინ პირველად გამოგიცხადათ თქვენ განზრახულება წინააღმდეგ მმართებლობისა: თავადმა **იასე ფალავანდოვმა**, თუ თავადებმა პოდპორუჩიკმა **ელიზბარმა** და პორუტჩიკმა **გიორგი ერისთოვებმა**?

ბ.

თქვენ აღიარეთ, რომ ერთხელ ჩყლა-სა წელსა **იასე ფალავანდოვის** სახლიდამ რომ გამოდიოდით, მაშინ **ელიზბარ** და **გიორგი რევაზის შვილმა ერისთოვებმა** გამოგიცხადესთ იმავე **ფალავანდოვისას**, რომ

ა.

ესე გაძრახულობა პირველად შევიტყე მე **ელიზბარ ერისთოვისაგან** მაშინ როცა მოსულიყო ის ერთხელ საღამოზედ **იასე ფალავანდოვთან** და აქ მკითხა შეგვიძლიანო რომ ერთ ღამეს 'ორას სამასამდინ ლოთი კაცები შევყაროთო ერთ ღამესო ჩირაღდანს მოვახდენთო, და სირაჩების და მიკიტნების დუქნებს გავაღებინებთო. მე უპასუხე მე რა მოგახსენოთ შენი ჭირიმე ორ სამ დღეს უკან მე უთხარ **იასე ელიზბარმა** რა თქო მეთქი, და იმან მითხრა როგორც დაწყობილება ქონდათ ბუნტისა როგორც **ამას** წინათ უფლის თავარმართებლისათვის მომიხსენებია.

ბ.

ეს ზემოხსენებული ლაპარაკი იყო შარშან ზამთარსა და არ მახსომს რომელ თვეში **და** არც უთქომს ჩემთვის თუ **საახელდობრივ** რომელს დროს აპირობდნენ.

ერთს ღამეს უნდა მოახდინონ აღრეულობაო და გკითხეს შეგიძლიანო მომატებულათ შევყაროთ ლოთი კაცებიო? გამოაცხადეთ როდის გითხრეს ესე და რომლის თვეში ჩყლბ-სა წელსა და ხომ არ გამოგიცხადეს დრო, როდესაც აპირებდნენ ისინი აღრეულობასა?

გ.

იასე ფალავანდოვს ჩემთვის არას დროს არ უთქომს **რომ** მეთქო ქალაქში ცხოვრებელთათვის რომ ბუნტისათვის მომზადებულიყვნენ და არც ისი რომ მე ხმა დამეყარა ქალაქში თუ სალდათებს აგროებენ.

გ.

დაგაბარათა თქვენ **იასე ფალავანდოვმა,** და სახელდობრივ რომელს დროს რომ თქვენ გამოუცხადოთ რომელთამე ქალაქში მცხოვრებელთა მოემზადნენ ბუნტისათვის და დაჰყაროთ ხმა ვითომც სალდათებს აგროვებენო, თქვენ აღასრულეთა ესე სრულებით, თუ ან რომელიმე ნაწილი და სახელდობრივ რა?

დ.

რაც პირველ პუნქტში დავწერე იმის მეტი ლაპარაკი მე **ელიზბარ ერისთოვთან** არას დროს არა მქონიარა და არც **გიორგი ერისთოვისათვის** მითქომს ვითომც **იასე ფალავანდოვს** კაცები შზათ ხყვანდეს და ან მე ასი კაცი მეშოვნოს ბუნტის მოსახდენათ ეს სრულებით ტყუილათ არის ჩემზედ ნაჩვენები.

დ.

თქვენ გითქვამსთ და სახელდობრივ როდის **იასე ფალავანდოვის** სიტყვის დასამტკიცებლად, **ელიზბარ** და **გიორგი რევაზიშვილის ერისთოვებისათვის** ესე შემდგომი რომ **იასეს** ბუნტისათვის კაცები მზათა ჰყავსო და ამაზედ თქვენ ნუ შესწუხდებითო და რომ თქვენ მოგიპოებიათ ასი კაცი ქალაქის მცხოვრებთაგანი ბუნტის მოსახდენელად.

ე.

მე სრულებით არ გამიგონია **იასე ფალავანდოვს** ეთქოს ეს სიტყვები **ელიზბარ ერისთოვთან** და **ალექსანდრე ორბელიანთან** და არც მე მითქომს **იასესთვის** რათ ატყუებ მეთქი **ამ** თავადიშვილებსა ეს სრულებით ტყვილია და ფიცით დავამტკი-

ე.

იასე ფალავანდოვს უჩვენებია რომ, **ელიზბარ ერისთოვთან** და სოვეტნიკად ყოფილს **ორბელიანოვთან** იმას უთქვამს თავისას, როცა თქვენ მოსულხართ: აი ესეც იშოვნის ას კაცამდინო. მაგრამ როცა ეს თავადები წასულან მაშინ თქვენ

გითქვამთ **იასე ფალავანდოვი სათვის** რად ატყვილებ იმათაო. გამოაცხადეთ სწორეთ ეს ასე იყო და სახელდობრივ როდის და თქვენ იცოდით რომ **იასე ფალავანდოვი** განგებ ატყვილებს თავადის შვილებს რომ თქვენის შუამავლობით კაცებს ამზადებსო.

ცებ.

ქალაქში ცხოვრებელი აზნაურ **ზალ ყორლანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2487).

მასწავლებელმა **დოდაევმა** აჩვენა, თითქოს თქვენი თანადასწრებით **იასე ფალავანდოვმა** სთხოვა **დოდაევს** დაეწერა ფიცის ფურცელი.

გამოაცხადეთ ნამდვილად სთხოვა თუ არა **ფალავანდოვმა დოდაევს** ფიცის ფურცლის დაწერა და რა მიზნით, და თქვენს გარდა ვინ იყო კიდევ მაშინ იქ?

ეს ხსენებული გარემოება ჩემთან არა ყოფილა,—და მე როგორც .მაგონდება ესრეთ იყო — **დოდაევმა** მითხრა მე, —**იასე ფალავანდოვმა** მითხრაო, **ფიცის** ქაღალდი დაწერეო, რომ უნდა დავიფიცოთო, და ჩვენი **ფიცი** უნდა მოხდეს **ალექსანდრეს** ბაღშიო. წელსა 1833-სა მაისის 31-სა დღესა. პოდპორუჩიკი თ. **ალექსანდრე ორბელიანოვი**.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII,—3290).

„ეჰქვენ აჩვენეთ, რომ ერთხელ თქვენთან მოვიდა **თ. იასე ფალავანდოვი**, და იქ იყვნენ თქვენი თანაგანმზრახველნი, **ფალავანდოვმა** გკითხათ თქვენ წაკითხული გაქვთ, თუ არა პირველი ღამის განკარგულება და როდესაც თქვენ უარყოფითად უპასუხეთ, მან გისაყვედურათ და მერე წაგიკითხათ იგი განკარგულება.

განმარტეთ სახელდობრ ვინ იყო იმ შეკრებულობაში თქვენ თანაგანმზრახველთაგან.

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**.

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს, პატივი მოხსენებად. — ესრეთ იყო, ჩემთან მოვიდნენ ერთს ღამეს, კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყოვი, ელიზბარ** და მისი ძმა **დიმიტრი, ერისთოვნი,** იასე **ფალავანდოვი** ჩემი მეორე **ძმა გიორგი ერისთოვი** და ჩემი ძმა **ვახტანგიც** მგონია იქ იყო. **ზაქარია ჩოლაყაევი** დივანზე იჯდა, **იასე ფალავანდოვი,** და **ელიზბარ** ჩემთან ახლო ისხდნენ **იასემ** მითხრა რასპარაჟენია წაიკითხე თუ არაო, მე უთხარ არა მეთქი, მაშინ დიდის ჩხუბით მითხრა, **იასე ფალავანდოვმა** ესრეთ, ერთი კვირა იქნება რაც ჩვენ რასპარე-

ქენია გვაქვს დაწერილიო, და შენ რატო არ იკიო,—მაშინ მე, უთხარ პირველი გაგონება არის ჩემთვის მეთქი, რა რასპარაქენია გაქვთ მეთქი,—და ამის შემდეგ რამთენიმე დღე გავიდა, რომ **ელიზბარმა**, და **იასემ** წამაკითხეს, ის რასპარაქენია, რომელიც **იასეს**, ჩვენს სასიკეთილოთ დაეწერა, — და **ამა** ხსენებულს გარემოებისა დროს იყვნენ ესე ზემო ხსენებულნი პირნი, და მაშინ სრულებით **იასეს** არ წაუკითხამ ის რასპარაქენია, წელსა 1833-სა. მაისის 31-სა დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**"

ლუარსაბ თარხნიშვილის ჩვენება (XVII, 3300).

„მაღალსა კომისიასა შინა მოხსენება.

ჩყლა-წელსა ივნისის თვეში როდესაც ჰქონდათ ლაპარაკი ბაღში სოვეტნიკად მყოფს **ალექსანდრე ორბელიანს** თავისის მუნ მყოფი ამხანაგებით, მაშინ იმ ლაპარაკის შემდგომ მეორეს დღეს დავებარებინე, ხსენებულს **ალექსანდრეს** თავის სახლში და მთხოვა მე, რომ უთხრა **ელიზბარ ერისთოვს**. რათა აიღოს ხელი იმ **ელიზბარმა** იმ ცუდს ლაპარაკზედ. და რადგან მე **ელიზბართან** ცნობა არა მქონდა რა ამისთვის არ მიველ იმასთან და მე უთხარი ის სიტყვა **გიორგის შვილს ალექსანდრე ორბელიანოვსა** რომ იმან დაუშალოს **ელიზბარს** ის ცუდი ბოროტი ლაპარაკი და აიღოს ხელი,—და ამ **ალექსანდრემ** უთხრა თუ არ უთხრა იმისი არა ვიცი რა. და თუ იმ სოვეტნიკს. **ალექსანდრეს** ისე ელაპარაკნა კიდევ, როგორც ბაღში მაშინვე გამოვაცხადებდი. მაგრამ ისრე აღარა სთქვა. და ასე მითხრა როგორც ზემოთ მომიხსენებია. და თუ მე მომატყუეა და მერმე ისაქმა ბოროტი კიდევ ის ღმერთმა უწყის თავისმა გულმა და თავისმა სინიდისმა—და მე მას აქეთ აღარა ვიცირა და არცავინ თვალით მინახამს. წინაშე ღვთისა აღვიარებ ამას სიმართლით. ასე იყო მეორე დღესა და უწყის ღმერთი რომ მე იმათთან არავითარი თანხმობა არა მაქვს რა და ტყუილადაც მტანჯვენ. ჩემი დამასმენ-

ელნი—და ნება მართლისა უფლებისა თქვენის აღმატებულებისა აღსრულდეს. მაისის ლ-სა დღესა. ჩყლგ-სა წელსა. თავადი **ლუარსაბ თარხანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XVII, 3414)

„კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად:—მაშინ ოდესცა **იასე ფალავანდოვმა** რასპარეკენია რომ წაიკითხა **მაიორ თ. ლუარსაბ ორბელიანოვთან**, იმ ჟამად იქ იყვნენ, როგორც **მე** მახსომს თავადნი: თვით **ლუარსაბ, ელიზბარ**, და მისი ძმა **დიმიტრი ერისთოვნი**, ჩემი მეორე ძმა **დიმიტრი ერისთოვი**, ჩემი ძმა **ვახტანგი** კი სწორედ არ მახსომს იქ იყო თუ არა, და მე-იმ რასპარაკენიის წაკითხვის დროს; მეორე ოთახში იყო კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყოვი**, და ქალებს ელაპარაკებოდა;—შემდეგ ის რასპარაკენია რომ, წაიკითხა **იასე ფალავანდოვმა**, მაშინ **ლუარსაბმა** თქო მოდით თუ დამიჯერებთ, 1801 წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვოთ იმპერატორს, და მაგ განძრახვას დავეხსნათო,—მაშინ **იასე ფალავანდოვი** დიახ წინ აღუდგა, და თქო, არაოდეს არ შეიძლება რასაც შენ ამბობო, — მაშინ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი** თანახმა ექმნა **იასეს**, იმ რასპარაკენიისას, მაშინ ყოველთ ერთ სულად ღაღად ჰყვეს **იასე ფალავანდოვის რასპარაკენიისას, თუმცა** მეც თანხმა ვიქმენ, და **იასე ფალავანდოვი** ძალა დატანებით შეუბნებოდა შენ **ალექსანდრე ბატოიშვილთან** უნდა წახვიდეო, — და მე დიახ უარვჰყოფდი არ შეძლებისას:—გარნა შემდეგ მე მათ ურჩივე ყველას თუ დამიჯერებთ ჩვენ ჩვენ თავათ ნუ დავიჭერთ საქმესა, და **ალექსანდრე ჭავჭავაძეს** დავეკითხნეთ, რაც იმან გვირჩიოს, ისე მოვიქცეთ მეთქი, რომელიც ჩემი ამ რჩევის თანხმანი შეიქმნენ ყველანი, შემდეგ ამისა, **თ. ზაქარია ჩოლაყოვი** შემოვიდა ჩვენთან, **ლუარსაბმა** უთხრა თავად **ჩ**ოლაყაევს, **ზაქარიავ, ჭავჭავაძესთან** უნდა წაგიყვანო, ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა სალაპარაკოთაო, რომელსაც **თ. ჩოლაყაევი** ეთანხმა, შემდეგ **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი**, მიუბრუნდა; თავის დისწულს **თ. ელიზბარ ერისთოვს**, და უთხრა, **ელიზბარ**, შენც ნაბდის ქვეშიდან გამოგიყვან, და **ჭავჭავაძეს** გაჩვენებ ამა განზრახვასა ზედაო, რომელიც ეთანხმა **თ. ელიზბარ**, თავის ბიძას **თ. ლუარსაბ ორბელიანოვს**, და ამ ჩემის რჩევით გადაყარა ჩვენი შეყრილობა, და შემდეგ ამისა წავიდნენ, და შერთება

იქონიეს **ალექსანდრე ჭავჭავაძესთან**—ამისთვის უმდაბლესად ვთხოვთ კომისიას, რათა ჰკითხოს კანონიერის ფიცით ზემოხსენებულ პირთ, თუ მე მათ არ ურჩევე **ჭავჭავაძესთან** რჩევა,—მხოლოდ **იასე ფალავანდოვს** ნუ ჰკითხამს კომისია, ამისათვის რომ, დიახ ჩემი **დაუ**ძინებელი მტერი არის, რომელიც საქმით დამიმტკიცებია, და კომისია უწყებულ არს,—ივნისის 9-სა დღესა, 1833-სა წელსა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIX, 3570).

„კომისიასა შინა.

კომისიის კითხვასაზედა მაქვს პატივი მოხსენებად. იმ დღესაც მოვახსენე კომისიას, მე **იასე ფალავანდოვმა** მითხრა, **თ. ზაქარია ჩოლაყოვი** მოვიდა ჩემთანაო, და მითხრა, ეხლა კარგი დრო გვაქვსო, **პირველი** რომ ზმთარი არის, და **მეორე** საზოგადო ჩამოვა კეთილშობილთ აღრჩევისთვისაო, და ამისთვის ეხლა რომ მოვახდენთ აღრეულობასაო, ჩვენ შეგვიძლიან რომ ამ ზამთარს მოვასწროთ მოსამზადისიო, ესე ხსენებული გარემოება, **თ. ანტონ აფხაზოვმაც** იცის რომ **იასე ფალავანდოვს, თ. აფხაზოვისათვისაც** უთქომს ზემორე ხსენებული გარემოება: წელსა 1833-სა ივნისის. 19-სა დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIX, 3592).

„კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, წარსრულს 1832-სა წელსა, ერთს საღამოზე ჩემთან იყო სანახავად კაპიტანი **თ. ზაქარია ჩოლაყოვი**, და ლაპარაკსა შინა მითხრა **ჩოლაყაევმა** ვითარცა მე მახსომს, შემდეგნი, წუხელის ჩემს სიძეს მაიორს **თ. დიმიტრი ორბელიანთან** ვიყავიო, და სასამართლოსაგან შეწუხებას ლაპარაკობდაო, და მასკვან მე უთხარო, **დიმიტრი** აგრე შეწუხებული რომ ხარ სასამართლოებისაგანაო, მაშ თუ აქ აღრეულობა მოხდეს არ გინდაო. მასკვან **დიმიტრიმ** ამოიოხრა და თქვაო, ახ, ნეტავი არ იქნება, რომ; მოხდეს რამ, და მასკვან ნახამო"–ესეც **დატანა ჩოლაყაევმა,** აბა თუ აქ მოხდება რამაო, ჩემი სიძე მაიორი **ორბელიანოვიც** მზათ არის, და ის უფრო დიდს შემწეობას იშოვნის ყველაზედაო" გარნა ამ ლაპარაკის დროს კი აღარ მახსომს, რომელნი პირნი იყვნენ, ჩვენნი ამხანაგთაგანი იქა: 19-სა ივნისს. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (4028).

„საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო:

ივნისის 30, 1833 წ.

თ. გრიგოლ ორბელიანოვს გამოუცხადე ჩვენი განზრახვა 1831 წ. ყოფ. სოვეტნიკ **ალექსანდრე ორბელიანოვის** თანადასწრებით, ხოლო რაც შეეხება **გიორგი დავითის ძე ერისთოვს**, მის თანადასწრებითაც მქონია **გრიგოლ ორბელინოვთან** ჩვენს განზრახვაზე საუბარი.

ყოფილი პოდპორ. **თ. ელიზბარ ერისთოვი.**

გიორგი დავითის ძე ერისთოვთან პირის პირ წაყენების დროს მომაგონდა, რომ მისი თანადასწრებით **გრიგოლ ორბელიანოვთან** ერთად ვმსჯელობდით იმაზე, თუ რა ძალა მოეპოვება საქართველოს და შეუძლიან თუ არა მას ასი ათასი ჯარის **გამოყვანა**; მაგრამ არ გვილაპარაკნია განზრახვაზე.

ე. ერისთოვი.

ფილადელფოს კიკნაძის სიტყვიერი ჩვენება (XXII, 4152).

ივლისის 7, 1833 წ.

„იერომონახ **ფილადელფოს კიკნაძემ**, რომელსაც წარედგინა **პორუჩიკ ნათალოვისა** და **მღვდელ ეფრემის** ჩვენებები (3690-3701 ფურცელი) მისი მოთხრობის შესახებ[1]), განაცხადა:

რომ მოთხრობილის აზრი შეეფერება მის მიერ ნათქვამის სინამდვილეს, მაგრამ **ეფრემისა** და **ნათალოვის** მხილებაში მოთხრობილი წარმოდგენილია როგორც დიდი მნიშვნელოვანი რამე, მაშინ, როდესაც მან ის უამბო მათ ხუმრობის სახით და ისიც მხოლოდ მათი დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ.

ფილადელფოსს ის კი ახსოვს, რომ მის მიერ **მოთხრობილში** მას სრულიად არ მოუხსენებია გენერალ-მაიორ **ჭავჭავძის** არავითარი პასუხი, არც იმის შესახებ უთქვამს რამე, რომ მან დაუწერა **პოდპოლკოვნიკ ერისთოვს** პასუხები. (3693 ფურც.).

გენერალ მაიორი **ბაიკოვი 1-ლი**
გენერალ მაიორი **ვოლხოვსკი**
გენერალ მაიორი **ჩევკინი**
პოდპოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

---

[1] ის ამბავი იგულისხმება, რომელიც ფილადელფოსმა უამბა ხსენებულ პირთ **საპატიმროში**, **კახეთში** შეთქმულების გავრცელების შესახებ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XXI, 4154).

„კომისიასა შინა.

კომისიასა შინა გამომეცხადა პრისუტსტვიე ღენერალებთან ჩემ მიერ ჩვენება; ფურცლისა 1918-სასა, პორუჩიკის თ. **გრიგოლ ორბელიანოვსა** ზედა, რომელიც აღარც კი მახსომდა როდის მეჩვენებინა ჩემი გულმავიწყობის გამო და არც საკვირველი არის რათა ზოგიერთს ჩვენებასა ზედა შევცდე. **პირველი.** მწარე მწუხარება, **მეორე,** მრავალი გარემოება, და უკეთუ დღიურნი ზაპისკები მქონიყო, მაშინ სწორე ჩვენება იქნებოდა და. არ ვიცოდი ოომ ჩვენი ესე ჭკვა არეული საქმეები გამოცხადდებოდა, თორეშ უთოთ დღიურს ზაპისკებს ვიქონიებდი, და ჩემთვისაც კი ეს კარგი იქნებოდა, და **მესამე.** ჩემი გულმავიწყობა და ამისთვის უმდაბლესად ვთხოვ კომისიას რომელნიც ჩემნი შეცდომითი ჩვენებები იყოს, იგინი მამეტეოს. ამა ზემოხსენებულის სამის გარემოებისა გამო. ამისათვის პორუჩიკის თ. **გრიგოლ ორბელინოვის** გარემოებას, ეხლა მოვახსენებ კომისიას და მახსომს, წარსრულს 1831-სა წელსა, ერთს დროს; **თ. ელიზბარ ერისთოვთან** ყოფილიყო პორუჩიკი **თ. გრიგოლ ორბელიანოვი,** რომელსაც, **თ. ელიზბარ ერისთოვს** დაეწყო ლაპარაკი მის **გრიგოლისათვის** საქართველოს განთავისუფლებისათვის შესაძლებელი არის თუ არა, ამაზე **გრიგოლს** დიახ ბაასი დაეწყო შეუძლებელობისა. ამის შემდეგ ერთ საღამო ჟამზე ჩემთან იყვნენ, **ელიზბარ** და **გრიგოლ** და იქაც ბევრს ელაპარაკა **ელიზბარსა** საქართველოს გახთავისუფლებასა ზედა კვალად **გრიგოლ** უარჰყოფდა შეუძლებლობას. და მასკვან ამათის ლაპარაკის ვანწყვეტისათვის მე ვთქვი, ძალიან კარგი იქნება რომ **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს** უთხრას ვინმე, ესე თქვენი ლაპარაკი მეთქი, ვნახოთ ის რას იტყვის მეთქი. მასკვან **გრიგოლმა** იკისრა, მე ვეტყვიო, ამით კიდეც წავიდნენ ჩვენგნით. შემდეგ ამისა ერთს საღამოს ჟამზე, **გრიგოლთან** მივედი სანახავად. იქ **თ. ელიზბარ ერისთოვი** დამხვდა, და ერთ დროს **რილევის** სტიხი, გადათარგმნილი ქართულად, **თ. გრიგოლ ორბელიანოვისაგან, გრიგოლმავე** წაგვიკითხა, ოდესცა დაასრულა, მისი კითხვა, შემდეგ **ელიზბარ** წამოდგა, მივიდა აკოცა, და მეც ამაყენა, მოდი აკოცეო. რომელიცა მეც მაკოცნინა. მასკვან აღარ ვიცი ის სტიხი რა უყვეს. — ამაზე მეტი პორუჩიკის **თ. გრიგოლ ორბელიანოვისა,** მე სხვა არა რა ვიცარა. წელსა 1833-სა ივლისის 7-სა დღესა. ოსტავნოი ბოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**"

გრიგოლ ორბელიანის ჩვენება (XXI, 4156).

„პრაპორშჩიკ თ. **გიორგი ერისთოვის** ჩვენება, თითქოს მე მას ვაჩვენე ჩემი **ნალივაიკიდან** თარგმანი ჯერ ისევ ფანქრით დაწერილი, შეიძლება სართალიც იყოს, თუმცა მე სრულებით არ მახსოვს, რადგან ეს გარემოება. რომელიც მე მაშინ სრულიად უმნიშვნელოდ მიმაჩნდა, ორი წლის განმავლობაში სავსებით აღმოიფხვრა ჩემი მეხსიერებიდან.

ქართული გრენადერთა რაზმის პორუჩიკი

თ. **გრიგოლ ორბელიანოვი**".

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XXI, 4158).

„როდესაც **ალექსანდრე ორბელიანოვმა** თავის ძმები და **გიორგი ერისთოვი** გამომიგზავნა ჩემს სახლში დაწერეთ რამაო როგორც მიჩვენებია ჩემს პაკაზანიეში; საღამოზედ ჩემთან იმის ბიჭი მოვიდა და შემოეთვალა ამოიტანე და მაჩვენეო; მე მიუტანე და მთხოვა **ალექსანდრემ** რომ უჩვენეო **კაპიტან ჩოლაყაევსაო** თითონ ფეხი სტკიოდა და მე უთხარ კარგად ვერ ვიცნობ და ამის გამო არ შემიძლიან უჩვენო ამისთანა ქალალდები, მაშინ მითხრა **ალექსანდრემ**, როდესაც მე უთხარო **ჩოლაყაევს** ჩვენი საზოგადოებისაო თითონ მთხოვაო რომ ზამთარი არის ახლავ მოახდინეთო, და როდესაც **კაპიტან ჩოლაყაევის** ძმა აქ იყო იმან მითხრაო რატომ არას აწყობთ საზოგადოებასაო და იქიდამ მე ვცდილობ საზოგადოებაშ ხმის გაფენასაო. სახელდობრ მითხრა როდესაც ვიყავ მე კახეთში, ამ საგანზედ დაუწყე ლაპარაკი **აბელ ანრდონიკოვსაო** თავის შვილებთანაო რომელიც ჩემის ბიძის ერთგულებისათვის იყო გაგზავნილი ციმბირშიაო, და ხმან პასუხად ეს მომცაო „ჩვენ ჩვენი ვეცადნეთ, და რადგანაც საქართველო წილად არის ნაოგები ღვთის მშობლისა[1]) ისიც შეგვეწევაო. მე მიჩვენებია ჩემ პაკაზანიეში. როდესაც დანიშნა სხვათა თანა შესაკრებელს ადგილს **ასლან ორბელიანოვი** მე უთხარ როგორ იცი რომ გეთანხმება ეგ მოხუცი კაცი, მითხრა, მაგას რუსები არ უყვარსო და **ყარაბახის ხანთან** აქვს მიწერ მოწერაო, და **მაგ**ისთვის დიდი ხანია გამიტარებია ამ საგანზედაო.

როდესაც **ალექსანდრე ორბელიანოვმა** მითხრა რომ ჩემა ძმამ **ვახტანგმა** ამ საგანზედ უთხრა **ყიფიანოვსა** და **ავთანდილოვსაო**, მაშინ მე უთხარ **ალექსანდრეს** მაგათ რა შეუძლიანთ რომ ეგენი ვაგიბამს მეთქი, მაშინ მითხრა მაგათ შეუძლიანთ მოზდილნი

[1]) ი. ფალავანდიშვილს ამაზე შემდეგი შენიშვნა მიუწერია: „ქართველნი იტყვიან ანდაზათ ვითომც საქართველო ღვთის მშობელს ღვთისთვის ეთხოვნოს."

შაგირდნი მოიპოონო. მე გავბედამ ამ კამისიას მოვახსენო, რაც სია წარმომიდგენია თავადთა და აზნაურთა რომელიც ჩემ სახლში მა-ყენ **ორბელიანოვმა** დააწერინა **დიმიტრი ერისთოვს** ყოვლისათვის მაგას უთქვამს და მაგის თხოვნით **ბიძინა ერისთოვს** ან განძრახვი-სა და **დოდაევს. იასე ფალავნდოვი**".

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XXI, 4190).

ივლისის 4, 1833 წ.

„როდესაც მე წაუკითხე **თ. ვახტანგ ორბელიანოვს** აკტი და იმ ადგილას მივედი, სადაც ფიცი ეწერა, მე უთხარი მას: **ვახტანგ** ასწიეთ თითები, მან გაიცინა და ასწია, მაგრამ მას არ წარმოუთ-ქვამს სიტყვები, მხოლოდ თითები ჰქონდა ზევით აწეული.

როდესაც კითხვა დავასრულე, მან მითხრა ძლიერ ხუცური სტილით აროის დაწერილიო, და მგონია, ჩვენთვის ეს საჭირო არც არის, ჩვენ უმაგისოდაც განუყრელი მეგობრები ვართო. **ვახტანგი-სათვის** საჭირო არ იყო აკტის შინაარსი განმემარტა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ მისი შინაარსი მეგობრობაში შდგომარეობდა.

პრაპორჩ. **თ. გიორგი ერისთოვი**".

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (XXI, 4194).

4 ივლისი, 1833 წ.

„**თ. ვახტანგ ორბელიანოვს** ჩემთვის შეთქმულების თავდა-პირველი გამოცხადების დროს, თუმცა არ უთქვამს არაფერი ისე-თი, რომ ის უხალისოდ იღებდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ როდესაც მე და მასწ. **ყიფიანოვმა** დაწვრილებით გავიგეთ შეთქმულება, დაუწყეთ მას მტკიცება, რომ ამ განზრახულობის შეს-რულება შეუძლებელი იყო და მას ჩვენ უწოდეთ არა კეთილ-გო-ნიერი საქმე, ვეუბნებოდით რა, რომ თუნდაც აღსრულდეს შეთქ-მულთა განზრახვა, იმ შემთხვევაში საქართველო ველარ დატკბება იმ მშვიდობიანობითა და ბედნიერებით, როგორც ახლანდელი მთავ-რობის დროს არის.—მაშინ ის, **ვახტანგ ორბელიანოვი**, დაგვეთან-ხმა ჩვენ და თქვა: მართლაც თუნდა კიდეც მოხდეს აქ რამე, საქა-ართველო მალე იქნება განადგურებული მეზობელი ხალხებისაგანო, მაგრამ სახელდობრ სად ვსაუბრობდით ვერ მოგონია.

მასწავლ. **ზ. ავთანდილოვი**".

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (XXI, 4196).

ივლისის 4, 1833 წ.

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ თ. ვახტანგ ორბელიანოვ მართლაც ამბობდა, რომ შეთქმულების მონაწილეებს უგუნური საქმე დაუწყვეთო, რომ საქართველო დიდი ბედნიერია რუსეთის მთავრობის ხელში და ის სამუდამოდ მადლერი უნდა იყოს იმ მფარველობისა და განათლებისათვის, რომელსაც მთავრობა არ იშურებს საქართველოსათვის.

ეს ამბავი მოხდა მის სახლში, მაგრამ როდის ალარ მახსოვს,— მასწ. ივთანლილოვის თანდასწრებით—გარდა ამისა, როდესაც ჩვენ სამთ მოგვხდენია მსჯელობა ჩვენი სულიერი დანაშაულის შესახებ, ისიც ცოცხლად ნაღვლობდა და ნანობდა ხოლმე.

მასწ. ყიფიანოვი“.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XXII, 4396).

ტკომისიასა შინა

ჩვენ ვგრძნობ, რომელ სულ პირველს პოკაზანიასა შინა, ძი- ჩვენებიან ტკომისიასა შინა, ოდან რომელიცა მოვახსენებ კომისიასა, ჩემის უფრო მკვიდრის დახსოვებისათვის, შემდეგთა-წარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა მე ფეხის ტკივილით, ავად ვიყავ, მას დროს; ერთ საღამო ჟამზე ... ჩემი ძმა ვახტანგ ის კი არ ვიცი სადა, და ოდესცა შინა მოვიდა.—მოვიდა და ჩემს სიახლოვეს დაჯდა, და ბითხრა ბარონესა თავის შვილებით წასულა მისაგებებლათ, ბარონთანაო[1]) მასკვნ ... მე, და უთხარ, ძმაო, ერთი რამ გაგიზიარებ. მაქვს მეთქი. მითხრა, რაო. ესა მეთქი, რომ მინდა ჩენს ამხანაგებს ურჩიო მეთქი, რომ ბარონი, ოდესცა მოვიდეს, მივიდეთ ყველანი და ბოდიში მოვიხადოთ, რომ დიდათ შეცდარი ვართ, და მინდა დაუმტკიცო ლაპარაკით, რომ ჩვენ ცუდს საქმეს ვმოქმედებთ. ... ბარონი ... ... მეთქი. იტ- ... ...

ურევიან, ხომ სულ უნდა დაიღუპნენ, და საუკუნოთ, ჩემი სული, უნდა იტანჯებოდეს მეთქი. მასკვან მითხრა შენი ნება არისო, შემდეგ, მე უთხარ რა ვქნა ძმაო, დიდ ფიქრებში ვარ, და არ ვიცი, რა უნდა ვქნა მეთქი, ამაზე აღარა მითხრარა, და დავჩუმდით. ამისთვის მაქვს პატივი, რათა კომისიასა შინა, მოვახსენო, ზემოხსენებული გარემობა, უკეთუ მოხსენებული არა მქონდა ამის წინათ. წელსა 1833-სა. ივლისის 19-სა დღესა.

პოდპ. **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XXII, 4512).

„კომისიასა შინა.

მახსომს ესრეთ იყო ერთ საღამო ჟამზე **იასესთან** ვიყავ, [illegible] მაშინ **იასე ფალავანდოვმა** თქო, რომ, ორასი კაცი ზზათა მყავსო, როგორც მახსოვს, ამ დროს იქ იყვნენ, თავადნი, **ელიზბარ,** და ამისი ძმა **დიმიტრი ერისთოვი,** და მაშინ, მე წამოველ შინა, **მოლა ზამანა** ჩამოსულიყო თვისსა საკუთარს საქმესა ზედა, რომელთანაც ახლის სადაო საქმე ჰქონდა, **ყურბანასთან,** და მაშინ მე უთხარ. ლაპარაკსა შორის, **მოლა ზამან** არ შეგიძლიან მეთქი, რომ რამოდენიმე კაცი

შოვნო ნეთქი. — მითხრა რატომაო, რომელიც სიაც [illegible] ვიცი, 15-ს კაცის სია იყო თუ 20-ს კაცისა, მაგრამ კი არ უთხარ რომლის საჭიროებისათვის, და არც მან **მოლა ზამანამ, მითხრა** რაისათვის, და იქნება, რადგანაც მან **ზამანამ** იცოდა განზრახვანი ჩვენნი, რომელ არს აქ, საზოგადო, რათა მათ სურთ საქართველოს განთავისუფლება, და ნაშინ იფიქრა მან, რომ უთოთ აღრეულობისათვის სურთ ეს კაცნი, და შემდეგ მის სიის, დაწერისა, რამთენსამე დღეს უკან ჩამოვიდა, და მითხრა სამი კაცი მოვიყვანეო, მასკვან უთხარ, კარგი, საჭირო აღარ არის მეთქი,—და ახლა მას **ზამანას** უჩვენებია ვითომც, მე მეთქოს, რომ ბუნტისათვის მითხრაო, ბავის თვისის სიმართლისათვის, თორემ არასოდეს არ მითქომ, მე იმისთვის ესრეთი.—წელსა 1833-სა ივლისის 24-სა დღესა. პოდპორუჩიკი **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**".

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XXIII, 4676).

„**თ. ი. ფალავანდოვის** მიწვევით, 1832 წლის ოქტომბერში მასთან ვახშამზე ვიყავით: მასწავლებლები **დოდაევი, ყიფიანოვი** და **ავთანდილოვი; თ. ელ. ერისთოვი,** მისი ძმა **დიმიტრი, გიორგი დავითის ძე ერისთოვი, იოსებ მამაცოვი** და მე, სადაც (ჯერ კიდევ

ვახშმის წინ) **თ. ი. ფალავანდოვმა** წინადადება მოგვცა თვითეულს ჩვენთაგანს გამოეცხადებინა თავისი აზრი, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა საქართველოს განთავისუფლება და თვითონვე განაცხადა, რომ უნდა გავმართოთ წვეულება, სადაც ძთავრობის ხალხს დავხოცავთ; შემდეგ უნდა თავს დავესხათ ციხეს, პრსენალს, ყაზარმებს, ხაზინას, პურის მაღაზიას და კომისიას ნავთლულში[1]), თანაც დაუმატა, რომ ის ამ საქმისთვის სწირავს ფულს და რომ უკვე გამოუცხადა იგი 200 თუ 300 ხელოსანს.

რამოდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ქუჩაზე **თ. ი. ფალავანდოვი** და მითხრა, რომ მე მივიდე მასთან ხვალ სადილად. მისი სურვილის აღსასრულებლად, დანიშნულ დღესვე 12 საათზე წავედი მასთან, სადაც დამხვდნენ **თ. გიორგი რევაზის ძე ერისთოვი** და ჩემი ძმა **დიმიტრი.** მაშინ **თ. ი. ფალავანდოვმა** ამოიღო ჯიბიდან რაღაც ქაღალდი და მითხრა, რომ ეს ქაღალდი შეიცავს აჯანყების პირველ ღამის განკარგულებას, რომელიც მის მიერ არის დაწერილი. ნე შევეკითხე რა განკარგულება მეთქი. **ი. ფალავანდოვმა** მიპასუხა:" თუ როგორ უნდა მოვაწყოთ წვეულება და ამოვხოცოთ მმართველები; როგორ უნდა დავესხათ თავს: ციხეს, არსენალს, ყაზარმებს, ხაზინას, პურის მაღაზიას და კომისიას ნავთლულში; ვინ სად და როგორ უნდა დაესხას თავსა"-ო. მას უნდოდა წაეკითხა იგი, მაგრამ რადგანაც ამ დროს შემოვიდა სამოქალაქო გუბერნატორის მდივანი **ლნოვსკი,** ამიტომ **თ. ი. ფალავანდოვმა** განკარგულება ჯიბეში ჩაიდვა. ამის შემდეგ ყველამ ერთად ვივახშმეთ და მერე ჩვენ ჩვენ სახლებში წავედით. ამის მეტი მე არაფერი ვიცი ამ განკარგულების თაობაზე და **ფალავანდოვის** გარდა ამაზე არავისგან არა გამიგია რა.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი".

ივლისის 28, 1833 წ.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XXIII, 4716).

„შემდგომად მისის იმპერატორებითის სახელწოდებისასა, მოიყვანა ჩემთან ჩემდა უცნობი, კაცი კაპიტან **ჩოლაყაევმა ბიძინა ერისთოვი,** ცოტა ხანს უკან მოვიდენ სოვეტნიკი **ორბელიანოვი** და **გიორგი ერისთოვი.** სხვას ლაპარაკთან **ბიძინამ** თქვა ჩვენ ძვირფასი დრო დავკარგეთო. **ალექსანდრეს** უთხრა, გახსოვს **ალექსანდრეო[2]),** შენ რომ მარშლათ (მე ეს კარგად არ მახსოვს წიგნი

[1]) ნავთლულში საპროვიანტო მაღაზია (საწყობი) იყო.

[2]) ბიძინამ სთქვა იქმნება რუსთ ეგონათ რომ თავადნი უშლიდნენ გლეხთაო, არა ჩვენ გაძრახ ვაგულიანებდითო ასე რომ დედაკაცნიც კი შეგულიანდნენ და თავიანთ ქმრებს ეუბნებოდნენ რაღას უყურებთო.

მომწერეო თუ სიტყვით მითხარეო)" ჩვენ მარშლებს ბრძანება მოგვივიდა რაღაზედაც გლეხ კაცთ ითხოვენო და შენ მითხარეო **რომ** ეგების ეცადო შეაპარო ვინმე ხეობაში და მთის ხალხში რომ რუსნი სალდათს ითხოვენო და ასე მომზადნენო რომ თითქმის ქალაქამდისინ მოვიდნენო; ვილაც აზნაურიშვილს დაუწყო **ბიძინამ** საძაგელი ლანძღვა, თუ ის არ შესწრებოდა და იმას არ ეოჩია იქნება რამ მომხდარიყოვო". **ალექსანდრემ** ჰსთქვა". ქართლშიაც ვაცნობე ეს ხმა ვილაც თავადიშვილი სთქვა და **ციციშვილსაცაო,** და აქ მე მყვანდნენ ჯაშუშნი ჩემი **ლეკი, ივანე დალაქი,** ვილაც აზნაურისა სთქვა ვგონებ **ქარუმიძე** და სხვანიცაო, რომ მდაბიოთ ხალხში ხმა დაეგდოთ სალდათის მოკრეფისა. დავარიგე ესენიც რომ თუნდა ლანძღვა დამიწყონო მე მაგათაო: მაინც ნუ დასცხრებიან ამ ხმის დაყრასაო. ჩემზე ხელი მოიღო **ალექსანდრემ.** როდესაც შენი ძმა ღრაფმა გამოგზავნა და ვილასაც სხვა ჩინოვნიკისა თქვა ხალხის დასამშვიდებლადო" მე გაძრახ იმათის დასანახვებლად, ორს კაცს მათრახი გადავკარო და იმათ ჯოხი მომიღერესო; გაშინჯე როგორი შეგულიანებული იყვნენო". **ჩოლაყაევმა** უთხრა **ალექსანდრეს,** არა ჰგვანებიხარ გამბედველობაში ჩემს ძმას (მე არ მახსოვს რაზოვოდი (?) იყო თუ სმოტრი) პოლკოვიო კომანდირმა რაღაზედაც საყვედური უთხრაო, და მთელს პოლკს პოდლეცი დაუძახა და სამსახურიც დააგდო. **ალექსანდრემ** ოჰ ის მალადეცი, ის დიდი თავისუფლების აზრის მექონიაო. **გიორგი ერისთოვმა** უთხრა **ალექსანდრეს** შენგან საქართველოში ამ ხმის გაფენა, მე პეტერბურლს **სალომეს**[1]) უთხარეო, რადგანაც აქვთ მათ ერთმანეთთან მახლობელი ნათესაობა და არიან ერთმანეთისაგან ნაცნობნი რომ მე გავეც ეგენი არა თუ ერთი ერთმანეთს უმოწმებენ არამედ დღეს მზათ არიან აღმკუწონ მე, ამისთვის ვთხოვ თვითეულს პირს დაუდგეთ. **იასე ფალავანდოვი**".

„**ალექსანდრე ორბელიანი** თავის თავს **პესტელად** იწოდებდა და **ელიზბარს რელეევად.** როდესაც ჩხუბი მოსდიოდათ **ალექსანდრეს** და **ელიზბარს,** ვგონებ ამაზედ. **ალექსანდრეს** ეთქვა **ელიზბარისათვის,** როდესაც ჩვენს ჰაზრს აღსრულებაში მოვიყვანთ მაშინ შენ ძეგლს აღგიმართავთ თავს ქვევით უზამ და ფეხებს მაღლაო, ეს წარმოაყენებს რომ შენ ბევრს ცდილხარ შენის ფეხებითაო ამაზედ შემოსწყრომოდა **ელიზბარ:** და ჩემთან უთხრა **ალექსანდრემ ელიზბარს,** რათ შემომწყერი **პესტელსა** და **რელევს** აქამდისინ მოსვიდოდაო ლაპარაკიო რომ ერთიერთმანეთს პადლეცს დაუძახე-

[1]) ფარნაოზ ბატონიშვილის ასული.

ბდნენო, გარნა შაინც თავიანთ ცდაში იყვნენო თავზედ ხელი დაიდვა. „აი ამ ფიქრისათვის თმაც ჩამომცვივდაო; დღეს აქ შეპყრობილი სოვეტნიკი არა თუ სწუხდეს ამ შეცოდებისათვის, არამედ როდესაც **აბხაზოვი** იჯდა მასთან ამხნევებდა მას **აბხაზოვს** ჩქარ-ჩქარის 14 დეკემბრის პლანის ლაპარაკითა, და ეუბნებოდა რაზედ სწუხარ ზოგნი მამულისათვის დაიხვრჩნენ და ჩვენ ხომ ამას არ გვიზმენო.

იასე ფალავანდოვი.

ალექსანდრე ორბელიანოვი თავის თავს აჩვენებს საწყლად კომისიასა შინა არ არის ყმაწვილი კაცი დაშთენილი მაგის მცნობნი რომ მაგას არ გაეტარებიოს ამ საგანზედ, გარდა ძათსა რაც სია წარმომიდგენია კამისიასა შინა. **იასე ფალავანდოვ**".

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XXIV, 4746).

არც ერთს სობშჩნიკს არ დაეჯერება. ნე სახელდობრ არ მახსოვს როდის დაიწერა[1]). გარნა როდისაც დაიწერა დილით იყვნენ ჩემთან **ალექსანდრეს** ორი ძმა[2]) და **გიორგი ერისთოვი** მის გამოგზავნილნი და საღამოზედ **ალექსანდრეს** ბიძა მოვიდა ჩემთან და ეთხოვა ამომიტანე მაჩვენეო, აუტანე. ნიშნობლივ ამით, ბატონიშვილს[3]) ციხკარს ულოცავდნენ ღამის თევით შაბათი იყო, და **ალექსანდრე** მარტოდ იქ იყო. ცოტა ხანს უკან შემოვიდა **ვახტანგ.** შემდგომად წაკითხვისა მთხოვა რათა უჩვენო **ჩოლაყაევსა** მე ფეხი მტკივა და ტალახიც არის ნწყენსო, მე უთხარ რადგანაც არ მაქვს მე ცნობა იმასთან რომ ეს ქალალდი უჩვენო მე არ შემიძლიან. მეშინიან მეთქი, მაშინ მითხრა როდესაც თითონ მოვიდა რუსეთიდამ მირჩივაო, თუ საზოგადოება გაქვს დაწყობილი ახლა კი მოახდინეთ ზამთარი არისო და მე მითხრა თითონვე დანიშნა 20 ნოემბერიო. და იქვე **ალექსანდრემ** დაუმატა შესაკრებ ადგილას ვინ უნდა დაესწრენ, მუ თვითეულად მიჩვენებია იმ რასპორიაჟენიაში. და თავის ძმის **ვახტანგისა** მითხრა ეს წაიკვანე და **ელიზბარიცაო** ნე და **ვახტანგმა** გამოუძახეთ **ელიზბარს** და ერთად წავედით **ჩოლაყაევთან. ჩოლაყაევთან** წავიკითხე და შემდგომად წაკითხვისა **ჩოლაყაევმა** ეს თქვა, რა არის არა ოცს არამედ ოცდა ხუთს სიტ მართლის მიხედვით და ფიცით ვიტყვი ანუ იქ ჩემთან მყოფთ დაიფიცონ, რომ **ჩოლაყაევი** იყო იმ დროს ნასვამი ვილაც ნათესა-

---

[1]) პირველი ღამის განკარგულებაზეა ლაპარაკი

[2]) ალ. ორბელიანის ძმები ვახტანგ და დიმიტრი

[3]) იგულისხმება თეკლა.

ვი ჰყოლოდა სადილათ და საღამომდისინ ესვათ, ეს მე არ მიამა ასე დახვედრა ჩემთან იმისაგან, იმასთანვე დავხიე გარნა შევინახე დახეული რომ წარმედგინა მმართებლობასთან როგორც წარმოვადგინე. 23 ნოემბერსა მთხოვა **ელიზბარმა** გადავსწერო რომ უჩვენოთ **ლუარსაბს.** მე გადავწერე. **ელიზბარის** და **ალექსანდრეს** ბარათი მომივიდა აქ ამოიტანე და აქედამ **ლუარსაბთან** წავიდეთ უჩვენოთო. 26-ს არ გადაწერილა, კვალად გადაიწერა 23 ნოემბერს. არაფრისთანა გამოცვლა არა ყოფილა რა გარდა ამისა **ალექსანდრემ** მეორე წაკითხვაზე მოუმატა **თეიმურაზ ამილახვაროვი** და იმის ძმა **ბეჟან** და **გიორგი ერისთოვთან** თავისნი, **ელიზბარმა** ეგრეთვე თავის ძმა **იესე.** რასპორიაჟენიის თავის დაწყობა იქნა სოვეტნიკიდამ.

იესე ფალავანდოვი.

მე მოწმად არავინ მყავს წარმოვადგინო ამიტომ, რომ არავისთან მქონია ამ სექტემბერში მიწერმოწერა როგორადაც სხვანი სწერდნენ, ნე სიმართლის მიხედვით რაც მინახავს და გამიგონია, იმას ვწერ. სხვებრ თვით კომისიამ მომხედოს ამაზედ და არც საჭიროდ ვრაცხდი ამიტომ მიწერ მოწერას რომ ნე ვაცხადებ მაგათ ბოროტგანზრახულებას.

იესე ფალავანდოვი.

განკარგულება [1]) პირველად არ მახსოვს როდის დაიწერა, მაგრამ ვგონებ ან ცოტა ადრე ან ნოემბრის 15-ს მახლობლად. რომელიც წაუკითხე **ვახტანგ ორბელიანოვს.**

იასე ფალავანდოვი".

ალექსანდრე ჭავჭავაძის განმარტება (XXIV, 4764).

„1833 ივლისის 3-ს კამისიაში პირწაყენების დროს ღენერალ შაიორმა თავადმა **ჭავჭავაძემ,** თავისის ყურით გაიგონა თავადის **ლუარსაბ ორბელიანოვისაგან** თქმული, რომ (возмущение) არ ვიცი რა არისო, მე ყოველთვის არეულობა მითქვამსო რადგან ეს ხსენებული რუსული ლექსი, რამდენჯერმე უნახავს **ჭავჭავაძეს ლუარსაბის** ხელით დაწერილი და ხმარებული ამ გამოძიების საქმეში იმის წინააღმდეგად; ამის გამო **ჭავჭავაძე** ჰგონებს

---

[1]) ამის შემდეგ კომისიის კითხვა, თუ ვინ დაესწრო ალექსანდრესთან განკარგულების წაკითხვას, ი. ფალავანდიშვილი „უპასუხებს: ვახტანგ რომელმაც ზედმიწევნით იცის რომ მე გავეც დიდი ხანია".

რომ აბისგან რუსულად დაწერილს თავის მართლებას სრულიად და რიგიანად ვერ გაიგონებდა და იქნება თვით ამისგან წარმოებდეს, მათ შორის უთანხმოება ჩვენებაში. ამისათვის საჭიროდ შერაცხა **ჭავჭავაძემ,** თავისაგან ჩვენებულის ჰაზრის მოკლედ წარმოდგენა ქართულად შემდგომის სახით:

თავადი **ჭავჭავაძე** ამას არ უარჰყოფს რომ ბუნტსა და არეულობაზედ **ლუარსაბთან** არ ელაპარაკნოს ან 1833-ში ან 1832 ში; მაგრამ არა იმ ბუნტზე რომელზედაც შეთქმულება (заговор) ყოფილა, და რომელზედაც **ჭავჭავაძე** ღმერთს ჰფიცავს და თავის პატიოსნებას, რომ არასდროს ჰაზრიც არა ჰქონია აღებული.

ჭავჭავაძეს სხვებთანაც ბევრთან ულაპარაკნია და **ლუარსაბთანაც** ამაზედვე ჰქონია რამდენჯერმე განსჯა რომ სხვადასხვა მიზეზით ხალხი ძალიან შეწუხებულია და თუ ასე გასწია იქნება ბუნტიც მოხდესო. **ლუარსაბისაგანაც ჭავჭავაძეს** ამის მეტი არა გაუგიარა, რომ ხალხს ავათა ვხედავ მოხდება რამე არეულობაო. **ბუნტს აპირებენო**[1]) იმისთვის **ლუარსაბს** არას დროს არ უთქვამს. თუ ეს ეთქვა **ჭავჭავაძე** როგორ არა ჰკითხავდა ვინ აპირებსო? მაგრამ **ლუარსაბს** თავისი თქმული ჰსწორეთ არ ახსოვს და ჩვენებაში ერთს ლექსს მეორის მაგივრად ხმარობს, როგორც პირწაყენების დღესაც შეამცნია **ჭავჭავაძემ. ბუნტს აპირებენ** და **ბუნტი მოხდება** დიახ შორის შორს არიან.—**ჭავჭავაძე** გაკვირვებით ჰხედავს რომ ამ მძინეს საგანზედ ასე აჩქარებულად ლაპარაკობენ და არ ჰსჯიან რომ ერთს ლექსს, მეორის მაგივრად უადგილოდ ხმარებულს, შეუძლიან სრულიად აზრის შეცვლა, მაშასადაშე მართალის და ტყუილის შერევა. **ჭავჭავაძე** ყოველთვის მასვე აბტკიცებს ბეშმარიტებით, რომ იმ შეთქმულებაზედ და ბუნტზედ, რომელზედაც გამოძიება არის თავის დღეში არა ჰსცოდნია რა. ეს შესაძლებელია **რომ** იმასთან კიდეც ელაპარაკნოს ვისმე ამ საქმეზედ, მაგრამ **ჭავჭავაძე** ვერ მიმხვდარიყოს, რადგან ამას ვერას დროს თავის ფიქრში ვერ გაიყვანდა, რომ ბუნტის მოხდენის განზრახვა ექნებოდა ვისმე საქართველოში.

ლუარსაბ ამბობს თავადი **ჩოლაყოვი** იმისთვის მივიყვანე **ჭავჭავაძესთან,** რომ იმ ბუნტზე ელაპარაკნაო.—**ჭავჭავაძე** კიდევაც ღმერთს ფიცამს, რომ იმ ბუნტის ჰაზრი სულ არა ჰქონია. იმისი ფიქრი მხოლოდ ეს ყოფილა ყოველთვის, რომ ხალხის შეწუხებას წამალი დაედვას რამე, რომ კიდევ 1811-ივით არ მოხდეს. თორემ

[1]) შავად აწყობილი სიტყვები თვით ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მიერ არის ხაზგასმული.

ამ ორს წელიწადში ერთხელ როგორ არ ჰყითხავდა ან **ლუარსაბს** და ან **ალექსანდრეს**: შეთქმულობაში ვინ არიან და რას აპირებენ.—თავადს **ჩოლაყოვთანაც ჭავჭავაძისაგან ბუნტის ხსენება, მხოლოდ** იმავე ხალხის მწუხარების ლაპარაკზე მოვიდა, მაგრამ რადგან **ჩოლაყოვს** ადრევე ისე ჰქონდა ჩაგონებული, რომ **ჭავჭავაძემ** შეთქმულება იცოდა; ამ მიზეზით **ჩოლაყოვს ჭავჭავაძის** ლაპარაკი თავისგან გაგონილის ჰაზრის კვალად მიუღია, და ჩვენებაში არა თუ გადაბრუნებულად უჩვენებია, ზოგი ასეთი ჰაზრიც ჩაუდვია, რომელიც იმათ ლაპარაკში სულ არა რეულა. შეცდომით მოსვლია თუ განზრახვით ღმერთმა განსაჯოს.

უკანასკნელ **ჭავჭავაძის** განზრახვა ამაში მდგომარეობს, რომ **ლუარსაბმა** ეს წერილი დამშვიდებით და სიფრთხილით გაშინჯოს, თავის ჩვენებაებიც მოიტანოს და ქრისტიანულის სიხიდისით, რაც დაჭეშმარიტებით არ ახსოვდეს არც თავისი დაამტკიცოს და არც ჩემი და რაც დაწეროს ყველაში ყოველი ლექსი აწოხით იხმაროს, ურომლისოდაც როგორც ზევითაც ითქვა,—სიმართლე ბევრჯელ დაბნელდება და უმანკო პატიოსნება იჭვნეულებით შეისვრება. **ჭავჭავაძის** თქმა ეს არის მოკლედ რომ **ლუარსაბს** იშისათვის შეთქმულობისა, და განზრახულის ბუნტისა არა უთქვამს რაო.

იქნება **ლუარსაბ** ამ საქმეზედ შემცდარი იყოს და ეგონოს რომ **ჭავჭავაძე** თავის დაფარვას ცდილობდეს. — ამისთვის ფიცით არწმუნებს, თუ ამ ბუნტისა ჰსცოდნოდა რამე **ჭავჭავაძეს**: ეს უეჭველია რომ პირველად არ გამოაცხადებდა, მაგრამ როცა სხვანი გატყდნენ და აღიარეს; მაშინვე თავის დანაშაულს თავისის ხელით პირდაპირ ხელმწიფეს მისწერდა, და რაც უნდა სასჯელი მისდგომოდა ნუგეშად თავის სინიდისს დასჯერდებოდა.

ღენერალ მაიორი თავადი **ჭავჭავაძე**".

2 აგვისტოს 1833 წელსა.

„წამკითხველი ამ წიგნისა, რომელიც ღენერალ მაიორს **ჭავჭავაძეს** მოუწერია ღმერთსა ვფიცავ და ჩემს სარწმუნოებას რომელიც ჩემგან ნაჩვენებია კამისიაში ღენერალ **ჭავჭავაძეზედ** არც ერთი სიტყვა ტყუილი არ არის და სწორეთაც მიჩვენებია კამმისიისათვის და არც ჩემს სიძეს ტყუილს მოუგონებ და არც ვარ ტყუილის თქმას ჩვეული მაიორი თავადი **ლუარსაბ ორბელიანოვი**".

აგვისტოს 2-სა 1833-სა წელსა.

რაზენის მიმართვა გენერალ-მაიორ ახლესტიშევისადმი (27,1[1]).

„ხელმწიფე იმპერატორმა ინება უზენაესად ებრძანებინა: ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილი შეთქმულების მონაწილეთაგან ყველაზე უფრო დამნაშავენი: ყოფილი არტილერიის პოდპორუჩიკი **თ. ელიზბარ ერისთოვი**, პოდპ. **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**; ტფილ. გიმნაზიის მასწავლ. **სოლომონ დოდაევი**, კავკასიის გრენად. არტილ. ბრიგ. პრაპორ. **დიმიტრი ერისთოვი**, კავალერიის გენერალ-მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი**, **თ. ვახტანგ ორბელიანოვი**, ბორჩალოს დისტანციის თათრის მოლა **ზამანი**, ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკი **მამუკა ორბელიანოვი**, ტიტულიარნი სოვეტნიკი **დიმიტრი პაუშენკო**, ყოფ. პორუჩიკი **თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი**; აზნაურობის მაძიებელი **სოლომონ რაზმაძე** და ყოფ. პორუჩიკი **თ. ივანე ერისთოვი**—გადაეცეს ჩვეულებრივ სამხედრო სასამართლოს, რომელიც უნდა შედგენილ იქნას კეთილსაიმედო სამხედრო მოხელეთაგან და აგრეთვე იქნეს გასანართლებული ლეიბგვარდიის სემიონოვის რაზმის კაპიტანი **თ. ზაქარია ჩელოყაევი**.

შესასრულებლად მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ამ უზენაესი ნებისა, რომელიც მეცნობა ბ-ნ სამხედრო მინისტრის ამა თვის 1-ლ რიცხვის № 1213 მომართვით;—დავნიშნე აქ ტფილისში სამხედრო სასამართლოს კომისია თქვენი აღმატებულების თავმჯდომარეობით, რომელშიაც ასესორებად იქნებიან: კავალერიის პოდპოლკოვნიკი **ბერენსი**, არმიის პოდპოლკოვნიკები **იუფეროვი** და №—12 ქართული სანაპირო ბათალიონის უფროსი **გურსკი**, ჟანდარმთა კორპუსის მაიორი **კაზასსი**, ეგერთა 41-რაზმის მაიორი **რეზანუილოვი** და კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსი ადიუტანტი გვარდიის კაპიტანი **ვსევოლოჟსკი**, ხოლო საქმეთა საწარმოებლად—ჩემდამი რწმუნებული კორპუსის მე-10-ე კლასის ობერ-აუდიტორი **კუზმინი**,—წინადადებას ვაძლევ თქვენს აღმატე-

---

[1]) მიმართვის სათაურია: Состоящему при Отдельном Кавказском Корпусе Господину генерал—маиору и кавалеру Ахлестышеву.

ბულებას, როგორც კი სამხედრო პროცესებში აღნიშნული სასამართლო წესი შესრულებული იქნება და აღნიშნული პირები თქვენი და ასესორების დანიშვნით კმაყოფილი იქნებიან,—ჩამოართვით მათ ამის შესახებ ხელწერილი და გაასამართლეთ საბჭედრო სამართლით და პროცესის წარმატებით დასრულებისათვის გამოიჩინეთ, თქვენო აღმატებულებავ, დიდი გულმოდგინება, ხოლო დასრულების შემდეგ საქმე და დასკვნითი სენტენცია წარმოიდგინეთ მე განსახილველად, ამ საქმის სხვა მონაწილეთა შესახებ კი თქვენ ნურავითარ საქმის გარჩევაში ნუ შეხვალთ და ნურავითარ დასკვნას ნუ გამოიტანთ, რადგან მათი ბედი უზენაესად უკვე გადაწყვეტილია.

ამ საქმეზე წარმოებული გამოძიება ხუთიათას სამას ოთხმოცდა ერთ ფურცელზე და ცამეტი ამონაწერი თავისი აღწერითურთ ამასთანავე გეგზავნებათ, რათა დაურთოთ სამხედრო საქმეს და ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას, რომ გასასამართლებელი პირები დაპატიმრებული არიან ტფილისში კორპუსის ობერ-ვაგენმეისტერის კაპიტან **იაკუბოვიჩის** უწყებაში. თარჯიმანად კი, თუ საჭიროება მოიტანს, ნაბრძანები აქვს გამოცხადდეს თქვენთან მაიორი **ენაკოლოპოვი**.

გენერალ-ადიუტანტი ბარონი **როზენი**".

სამხედრო მინისტრის როზენისადმი მიმართვა (XXIX, 40).

სამხედრო სამინისტრო.
სამინისტროს კანცელარია.
განყოფილება 6
ს. პეტერბურგში.
1 ნოემბერს 1833 წ.
№ 1213.

საიდუმლოდ.

კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსს გენერალ ადიუტანტს და კავალერს ბატონ ბარონ როზენს.

„თქვენი მაღალმატებულების მიერ, გასულ ოქტომბრის 2-ის № 235 მომართვასთან, გამოგზავნილი ზოგიერთ ჭორთველთა შორის არსებულ შეთქმულების თაობაზე შექმნილ ტფილისის საგამომძიებლო კომისიის საანგარიშო და საბოლოო მოხსენება დანართებითურთ, — მე წარვადგინე ხელმწიფე იმპერატორის უზენაეს კეთილგანსახილველად, თვითოეული პირის შესახებ თქვენი მოსაზ-

რებათა თანდართვით.

ხელმწიფე იმპერატორმა, წაიკითხა რა აღნიშნული ქაღალდები და მიაქცია რა ყურადღება პირველ რვა ჯგუფში დასახელებულ თვითოეული ბრალდებულის დანაშაულის სხვადასხვა ხარისხს, კეთილინება ეღიარებინა, რომ თანახმად საგამომძიებლო კომისიისა და თქვენი მაღალმატებულების დასკვნისა, პირველ დამნაშავეებად და ბოროტგანზრახულების დასაბამის მიმცემად, ეჭვს გარეშეა, უნდა მიჩნეულ იქნან: **ბატონიშვილი ოქროპირ** და **თავადი დიმიტრი**[1]), რომელთაც თუმცა არ უღიარებიათ მათზე ნაჩვენები ბრალდებანი, მაგრამ მათი ახალგაზრდა ქართველებისთვის არაკეთილგანზრახვითი რჩევებისა და შთაგონებებით, რათა მათ შეედგინათ საიდუმლო საზოგადოებანი იმ მიზნით, რომ მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, აშკარად არიან მხილებული შეთქმულთა მრავალი ჩვენებებით.

აგრეთვე გაიზიარა რა კომისიისა და თქვენი მაღალმატებულების მოსაზრება ინ პირთა შესახებ, რომლებიც ონაწილეობის მიხედვით აღიარებულ არიან შეთქმულების მფარველწამქეზებლებად, ან მოქმედ მონაწილეებად და აჯანყებაზე თანხმობის მიმცემად, ან იმისთანებად, რომელთაც იცოდნენ, მაგრამ, არ ეთანხმებოდნენ,—მისმა აღმატებულებამ კეთილ ინება ეღიარებინა, თქვენი, მოწყალეო ხელმწიფევ, თვითოეულის დანაშაულის მიხედვით სასჯელის ხარისხის შესახებ მოსაზრება, სწორად და უზენაესად ინება ბრძანება:

1) **ოქროპირ ბატონიშვილი** და **თავადი დიმიტრი**, რომლებიც ღირსნი არიან სასტიკი სასჯელისა კანონების მიხედვით—მხოლოდ და მხოლოდ მონარქის მიერ მათი შეწყალებისა ვაძრ,—გაიგზავნონ: პირველი კოსტრომაში, უკანასკნელი კი სმოლენსკში.

2) მონაწილეთა ყველაზე უფრო დამნაშავეთაგან: არტილერიის ყოფილი პოდპორუჩიკი **თ. ელიზბარ ერისთოვი**, ყოფ. პოდპორუჩ. **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**, ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი **სოლომონ დოდაევი**, კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის პრაპორშჩიკი **თ. დიმიტრი ერისთოვი**, კავალერიის პაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი**, **თ. ვახტანგ ორბელიანოვი**, ბორჩალოს დისტანციის თათრის **მოლა ზამანი**, ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკი **თ. მამუკა ორბელიანოვი**, ტიტულიარნი სოვეტნიკი **პაუშენკო**, ყოფ. პორუჩიკი **თ. ალექსანდრე ვორგის** ძე

[1]) შეთქმულნი და საქართველოში მყოფი რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი **დ ი მ ი ტ რ ი ს** ბატონიშვილად იხსენიებენ, ცენტრში კი იგი ასეთად არ მიუჩნევიათ და უბრალოდ თავადს უწოდებენ.

ორბელიანოვი, აზნაურობის მაძიებელი **სოლომონ რაზმაძე**, და ეოფ. პოდპორ. **თ. ივანე ერისთოვი**—თანახმად თქვენი მოსახრებისა, მიცემულ იქნან ჩვეულებრივ სანხედრო სასამართლოში, შედგენილ იქნეს რა სასამართლო კეთილსაიმედო სამხედრო მოხელეთაგან და ძიეცეს აგრეთვე ამავე სასამართლოში ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის კაპიტანი **თ. ზაქარია ჩელოყაევი**, სასამართლოს დასრულების შემდეგ კი განაჩენი მათ შესახებ წარდგენილ იქმნას შემდგომი განხილვისათვის მზგავს საქმეებზე დადგენილი წესის თანახმად.

3) სანსახურიდან გადაყენებული კოლეგიის ასესორი **თ. იასე ფალავანდოვი** მის მიერ შეთქმულების გაცემის საპატივსაცემოდ (во уважение), არ იქნეს მიცემული სამართალში, აზნაურობაც ნუ ჩამოერთმევა, და დანიშნოს უნტეროფიცროდ ფინეთში მდგომ ჯარის ერთერთ რაზმში. **თ. თამარი იულონის ასული**[1], გადასახლებულ იქნას ქ. სიმბირსკში. კავალერიის პოდპორუჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი**—მისი ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო, — განთავისუფლებულ იქმნას სამართლიდან და დანიშნოს სამსახურში ქალ. არხანგელსკის ერთერთი გარნიზონის ბატალიონში, საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით. კავალერიის პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი** ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო დანიშნულ იქმნას სამსახურში პირველი ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ რაზმში; სამსახურის გარეშე მყოფი **პრაპორშ. ბიძინა ერისთოვი**—იმის გამო, რომ მოიწანია დანაშაული, დაჭერილი იქნას ციხეში რვა თვის განმავლობაში და მერე განთავისუფლებულ იქმნას ციხიდან პოლიციის უხილველი მეთვალყურეობის ქვეშ; ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლები **ავთანდილოვი** და **ყიფიანოვი** — მათი ახალგაზრდობისა და დანაშაულის აღიარების გამო—დანიშნულ იქმნან სამოქალაქო თანამდებობაზე: პირველი პერმში, უკანასკნელი კი ვოლოგდაში ადგილობრივი საგუბერნიო მართველობის განკარგულებით; გვარდიის ეოფილი პოდპორუჩიკი **თ. დიმიტრი ორბელიანოვი**—იის მიერ დანაშაულის თავისი ნებით დაკითხვამდე აღიარების გამო—გადასახლებულ იქნას პენზაში; კანცელარიის მოხელე **იოსეფ შამაცოვი**—ახალგაზრდობისა და გულახდილად აღიარებისა გამო—დანიშნულ იქნას სამოქალაქო სამსახურში ქ. ვიატკაში იქაური საგუბერნიო მართველობის განკარგულებისაებრ; სამსახურის გარეშე მყოფი **თ. ლევან ერისთოვი**—დაჭერილ იქნას ციხეში ექვსი თვის განმავ-

[1]) თამარ ბატონიშვილი.

ლობაში და მერე დარჩეს საქართველოში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ; ბორჩალოს დისტანციელი თათარი **ყადიმ ნაღდაი ოღლი**-გაიგზავნოს ჯარის კაცად (Отдать в солдаты). ჩალდირის ოლქელი თათარი **ქოსა მუსტაფა** გამოყენებულ იქმნას ციხის სამუშაოზე იმდენ ხანს, რამდენსაც თქვენი მაღალმატებულება საკმარისად დაინახავს და მერე გაგზავნილ იქმნას თავის სამშობლოში. იმერელი **თეიმურაზ ლორთქიფანიძე** გადასახლებულ იქნას ციმბირში, ყოფ. პოდპორუჩიკი **თ. ანტონ აფხაზოვი** დაინიშნოს სამსახურში კავკასიის ხაზზე მდგომ რაზმში. სემინარიის მოწაფე **გრიგოლ ტალიევი** დაინიშნოს სამოქალაქო სამსახურში რუსეთის რომელიმე გუბერნიაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით; პრაპორშჩიკები: ტფილისის ფეხოსანი რაზმისა **თ. დავით ჯორჯაძე** და **გაბრიელ მამაცოვი** გადაყვანილ იქნენ პირველი მე-5-ე, უკანასკნელი კი მე-6-ე ფეხოსანთა კორპუსებში; ტფილისის მცხოვრები **ზაალ ყორლანოვი** გაიგზავნოს უბრალო ჯარის კაცად 19-ე ფეხოსანთა დივიზიის ერთერთ რაზმში; ბორჩალოელი **თათარი ვალი-ალი-ემინ-ოღლი** გადასახლებულ იქნას სარატოვის გუბერნიაში; **თეკლე ბატონიშვილი** გაძევებულ იქნას საქართველოდან სამუდამოდ ქ. კალუგაში (удалить на всегда из Грузии), გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკი **თ: გრიგოლ ორბელიანოვი** გადაყვანილ იქნას პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ რაზმში რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით; კავალერიის გენერალ-მაიორი **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე** გადასახლებულ იქმნას ქ. ტამბოვში, ხოლო ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის პრაპორშჩიკი **თ. კონსტანტინე შერვაშიძე** გადაყვანილ იქმნას მისი დიდებულების ვიურტემბერგის, მეფის გუსართა რაზმში, იმ პირობით, რომ მას არ მიეცეს კავკასიაში დაბრუნების უფლება საქართველოს უზენაეს მართებლობასთან წინასწარ შეუთანხმებლად, ხოლო მისი დედის **თამარ შერვაშიძის** კეთილგანწყალებულობის (благонамеренность) საპატივსაცემოდ დაეჯილდოოს მას ჯამაგირის გარდა წელიწადში 1500 მანეთი ასიგნაციებით.

4. გენერალ-ფელდმარშალის თავად ვარშავსკის გრაფ **პასკევიჩ ერივანსკის** ფეხოსან რაზმის პორუჩიკი **დავით წათალოვი**; მემამულენი: **სვიმონ მაჩაბელოვი, ბარძიმ** და **ივანე ამილახვარები**, ყოფ. პრაპორშჩიკი **თ. თეიმურაზ ამილახვაროვი**, ტფილისის ფერისცვალების მონასტრის იერომონახი **ტარასი**, ქართველი თავადის ქალი **სალომე ფარნაოზის ასული**; ქვრივი **თ. მანანა ორბელიანოვი**, მე-14-ე კლასის **თ. თადია ჩალაყაევი**, ტიტულიარნი სოვეტნიკი

თ. ბირთველი ოუმანოვი, ნემამულე გივი ამილახვაროვი; სამსახურის გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი თ. ლუარსაბ თარხანოვი და კოლეჟსკი სოვეტნიკი ანდრია მელნიკოვი, დარჩნენ სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

5. სამსახურის გარეშე მყოფი პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე ჩოლაყაევი; მემამულე თ. ივანე ბარათოვი, ტფილისის იერუსალიმის ეკლესიის ნღვდელი ეფრემ ალექსეევი; ქვრივი ძართა მესხიალექსიევი; გუბერნიის მდივანი თ. დიმიტრი მალალოვი, მემამულე-თ. ივანე მაჩაბელოვი; კანცელარიის მოხელე სტეფანე დოდაევი[1]; მე-14 კლასის თ. ივანე ერისთოვი და ყოფილი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პეტრე ზავილეისკი, დარჩნენ საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.

დანარჩენი 78 პირი, მე-9 და 10 თანრიგში მოხსენებულნი, რომელთაგან ზოგნი თქვენი მაღალიმატებულების აზრით შეთქმულების უშუალო მონაწილენი არ არიან და მხოლოდ ბრალი ედებათ შეიძლება არაკეთილგანზრახვითი საუბრების მოსმენაში, სხვებზე კი არავითარი იჭვის მოტანა არ შეიძლება, განთავისუფლებულ იქნენ ამ საქმისაგან.

ვაუწყებ რა თქვენს მაღალიმატებულებას ამგვარ უზენაეს ბრძანებას, რათა მოახდინოთ სათანადო განკარგულება მის შესასრულებლად, და გიბრუნებთ რა თქვენ მიერ ჩემთან გაძოგზავნილ ამონაწერებს იმ პირთა შესახებ, რომელნიც სამხედრო საქართველოში უნდა მიეცნენ, და აგრეთვე გამოძიების წარმოების დედნებს იმავ რიგზე, როგორც თქვენგან იყო მოტანილი, მაქვს პატივი დაურთო, რომ მონარქის ეს განკარგულება ეცნობა ჩემგან აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმთა შეფს გენ. ადიუტ. გოაფ ბენკენდორფს, პირველს განკარგულების მოსახდენად სხვადასხვა პირთა რუსეთის შინა გუბერნიებში გადასახლებისა და მათზე ადგილობრივი მეთვალყურეობის დაწესების შესახებ, უკანასკნელს კი-მათზე მეთვალყურეობისთვის მისდამი რწმუნებული სამართველოს ხაზით, საინსპექტორო დეპარტამენტს კი მისი მხრივ საჭირო განკარგულებისათვის ყველა იმ სამხედრო უწყების პირთა შესახებ, რომლებიც ან უნდა გადაირიცხნენ სხვა რაზმებში, ან და სამხედრო სამსახურში უნდა შევიდნენ.

ხელს აწერს: სამხედრო მინისტრი გენ. ად. გრაფი ჩერნიშოვი
დირექტორი ბრისკორნ.

---

[1]) სოლომონის ძმა, პეტერბურგში მსახურობდა.

განყოფილება 2.
მაგიდა 1.
ს. პეტერბურგი
2 მაისი 1834 წ.
№ 1568.

საიდუმლოდ [1]).

ბატონს კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსს.

„თქვენო მაღალამატებულებავ, წარსული თვის 28 რიცხვის № 66 მომართვასთან ერთად თქვენ კეთილ ინებეთ გამოგეგზავნათ ჩემთვის სამხედრო სასამართლოს საქმე და თქვენი პირადი აზრი იმ 13 პირზე, რომლებიც გასამართლებული არიან საქართველოში მომხდარ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

ამ საქმის გამო ხელმწიფე იმპერატორისადმი ჩემს მოხსენებაზე, მისმა იმპერატორობითი უდიდესობამ გასულ თვის აპრილის 20-ს კეთილინება დაემტკიცებინა თქვენი მაღალამატებულების მოსაზრება აღნიშნული კომეტი პატიმრის შესახებ, გარდა ერთი თათარი **მოლა ზამანასი,** რომელიც თქვენ მიერ დანიშნული სასჯელის ნაცვლად, უნდა გაიგზავნოს არხანგელსკში შინაური საგუშაგო ბათალიონის უბრალო ჯარისკაცად.

გეგზავნებათ რა ამასთანავე ამ 13 პატიმრის პირადი სია, სადაც აღნიშნულია უზენაესად დამტკიცებული თათარ **მოლა ზამანის სასჯელი, უმორჩილესად გთხოვთ მოახდინოთ თქვენგან** დამოკიდებული განკარგულება ამ უზენაესი ნების სისრულეში მოსაყვანად, რის შესახებაც შემდეგ ეცნობოს საუდიტორიო დეპარტამენტს.

რადგან ზოგიერთი პატიმარი ეხლავე უნდა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ სხვადასხვა ადგილზე და სამსახურში, ხოლო ზოგიერთნი კი ამ საქმის გამო უზენაესი ბრძანების გამოსვლის შემდეგ, რის შესახებაც ნაბრძანები მაქვს საინსპექტორო დეპარტამენტისთვის, მისგან დამოკიდებული განკარგულების მოსახდენად,— ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს მაღალამატებულებას, მათ გაგზავნასთან ერთად აცნობოთ უზენაესად დამტკიცებული თქვენი მოსაზრება მათ შესახებ იმ უფროსებს, რომელთა უწყებაშიაც იგზავნებიან ისინი და მაცნობეთ ნე სად გაიგზავნებიან მათ-

[1]) XXIX, 111.

გან: ტიტულიაარნი სოვეტნიკი **პაუშენკო**, მასწავლებელი **ხოლომონ** დოდაევი და **სოლომონ რაზმაძე** (აზნაურობაზე რომ საბუთები არ წარმოუდგენია), რათა ვაცნობო ეს ბატონს შინაგან საქმეთა მინისტრს.

რაც შეეხება კავალერიის მაიორ თავად **ლუარსაბ ორბელიანოვს**, აგრეთვე კანცელარიის დაბალ მოსამსახურედ დანიშნულს მე-10 კლასის მასწავლებელს **დოდაევს**, ამათ შესახებ მე ვაცნობე სენატს, აგრეთვე მაიორ **თ. ორბელიანოვისთვის** პენსიის მოსპობის შესახებ ეცნობა ბ-ს ფინანსთა მინისტრს. ხელს აწერს: სამხედრო მინისტრი გრაფი **ჩერნიშოვი**

სწორია: მაგიდის უფროსი **ჩერნიავსკი**".

როზენის მიმართვა ჩერნიშოვისადმი.

კავკასიის ცალკე
კორპუსის უფროსი
ტფილისი
ივნისი 1834 წ.
№ 115.

საიდუმლოდ. (XXIX, 199).

სამხედრო მინისტრს ბ-ნს გენერალ-ადიუტანტსა და კავალერს გრაფ ჩერნიშოვს.

„ამა ივნისის 1-ს მქონდა ბედნიერება მიმელო უუპატივცემულესი მომართვა თქვენი ბრწყინვალებისა, 2 მაისის 1568 ნომრით და თანახმად უზანაესი ნებისა საქართველოში მომხდარ შეთქმულებაში მონაწილე 13 ბრალდებულთა შესახებ: მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი** და პოდპორუჩიკი **ივანე ერისთოვი**, რომელნიც ადგილობრივ რჩებიან საცხოვრებლად — განთავისუფლებული არიან პატიმრობისაგან, რუსეთში გასაგზავნთაგან კოლეგიის ასესორი **პაუშენკო** უახლოეს ხანში გაიგზავნება ქ. ასტრახანში, აგრეთვე მასწ. **სოლომონ** დოდაევი ვიატკაში, **სოლომონ რაზმაძე**, რომელსაც არ წარმოუდგენია საბუთი მის აზნაურობაზე, ქ. პენზაში. **ბატონიშვილი თეკლე ირაკლის ასულს** ვაცნობე, რომ კალუგაში უნდა გაემგზავროს.

დანარჩენები, უზენაესი ბრძანების მიღებისთანავე გაიგზავნებ-ან საქართველოდან თანდათანობით, ისე როგორც სხვები გაიგზავნენ. ფინეთში მდგომ ჯარში ჯარის კაცად დანიშნული პოდპორუჩიკი **თ. ელიზბარ ერისთოვი** კი ამ ჟამად იგზავნება დანიშნულებისა-

ძებრ, ფელდიეგერ **შუმკოვის** თანხლებით. თათარ **მოლა ზამანს** ნოვოჩერკასკამდის მიიყვანს ჟანდარმი, სადაც ის გადაეცემა არხანგელსკში გასაგზავნად საშინაო საგუშაგო (სამმართველოს) ხარჯზე.

გენერალ-ადიუტანტი **როზენი**".

როზენის ჩერნიშოვისადმი მიმართვიდან[1]).

„...საგამომძიებლო კომისიის მიერ დღემდე გამომჟღავნებული ცნობების ერთ მთლიანად განხილვიდან შეიძლება დარწმუნებით დავასკვნათ, რომ ბრალდებულნი განიყოფებიან საერთოდ ორ მთავარ ჯგუფად მათი დანაშაულის ხარისხის მიხედვით. ამ პირთა ჯგუფებად განაწილება ჯერ ნაადრევია. გამოძიების დაუსრულებლობის გამო, მაგრამ გამიჯვნა ან განმარტება თვით ჯგუფებისა გამოსჭვივის თვით საქმის არსებიდან, რაც საამისოდ უკვე საკმაოდ გამოაშკარავებულია. პირველ ამ ჯგუფთაგანს უნდა მიეკუთვნონ შეთქმულების მთავარი დამწყებნი, ისინი ვინც იღვწოდნენ შეთქმულების წარმატებისათვის საშუალებათა განმრავლებისათვის, ისინიც ვინც ცდილობდნენ შეთქმულების გაფართოებას მათ მიერ ბოროტგანზრახვით შეცდარ გზაზე დაყენებულთა ახალი მონაწილების შეძენით, ისინი ვინც, თავისი გავლენით, ჭკუით, ან უზნეობით იყვნენ უაღრესად საშიში და მავნე, და საერთოდ ყველა ისინი, ვისაც ბრალი ედებათ ხანგრძლივად მოფიქრებულ დაბეჯითებითსა და მუდმივ ერთი დანაშაულობრივი მიზნისაკენ მსწრაფ ბოროტგანზრახულებაში.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ნაკლებ მნიშვნელოვანი ბრალდებულნი, რომლებიც არ არიან საშიში მათი უარარაობისა ან თავქარიანობის გამო, რომელთაც ვერ შეეგნოთ მთელი ცოდვა, რომელშიაც მათ აგდებდნენ, ჰქონდათ მუდმივი მიზნის უქონელი მერყევი ზრახვები და რომელთა მოქმედებაც, თუმცა დანაშაულებრივი, მაგრამ წარმოშობილი სულმოკლეობასა, გამოუცდელობასა და ჟინიანობის ხანმოკლე აღტყინებაზე, რასაც თანვე მონანიება სდევდა—გამასწორებელ ღონისძიებათა ღირსი უფრო არის; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დანაშაული შემსუბუქებულია გამოძიებაზე გულწრფელი აღიარებით, ახალგაზრდობით და ბოლოს წარსულში კარგი ყოფა-ქცევითა და საგანგებოდ საქები საქციელით.

ამ ორი ჯგუფის გარედ დარჩება მხოლოდ რამოდენიმე პირი,

---

[1] საგამომძიებლო კომისიის გასული ქალალდების დავთრის 24 ფურცლიდან 1833 წ. თებერვლის 9, № 40.

რომელთაც ზერელედ გაუგონიათ, ან შეიძლება ეჭვი მივიტანოთ, რომ მათ ნაწილობრივ იცოდნენ შეთქმულების არსებობა, მაგრამ რომელთაც სრულიად წინააღმდეგი აზრის მატარებელთ, შეეძლოთ ჩაეთვალათ იგი უაზრო და თავხედ ოცნებად, რაც ყურადღების ღირსი არც კი იყო. ასეთი პირნი მხოლოდ შეიძლება შენიშნულ იყვნენ და დაწესდეს მათზე თვალყურის დევნება, ისე რომ არ იქნენ დასჯილი.

პირველი ჯგუფი, პირიქით, როგორც სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულნი, მე მგონია, უნდა მიეცნენ საგანგებო სისხლის სასამართლოში, რომელსაც უნდა შეადგენდნენ ერთი გენერალი თავმჯდომარე და სამხედრო და სამოქალაქო წოდების წევრნი; რომელთა რიცხვშიაც უნდა შედიოდნენ მკვიდრი ქართველი მოსამსახურენი. სასულიერო პირნი კი იმ შემთხვევაში დაინიშნებიან, თუ ბრალდებულნი სასულიერო პირები იქნებიან.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის დამნაშავეებს, ადგილობრივ გარემოებათა გამო, და მათი ნამდვილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ მიცემული სამართალში და აი რატომ. ეს მეორე ხარისხოვანი დამნაშავენიც რომ სამართალში მიეცნენ, მაშინ ესენიც იმავე სასამართლოს ბიერ უნდა იქნენ გასამართლებულნი, რომელიც დაწესდება პირველი ჯგუფისათვის. მოსამართლენი, რომლებიც შეიოჭილი იქნებიან კანონის სიზუსტით, ვერ შესძლებენ ორივე ჯგუფთა შორის რამე გარჩევას, რადგან ჩვენი კანონების სისასტიკე აო უშვებს ამგვარ დანაშაულში რამე თანდათანობითობით განსხვავებას, და ყველანი, როგორც მეთაურნი, ისე ისინი, ვინც მათ ეთანხმებოდნენ და თვით ისინიც კი, რომლებმაც ნხოლოდ იცოდნენ და აო აცნობეს მთავრობას აჯანყების განზრახვა, ერთნაირად სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

ამგვარად, უმნიშვნელო, არა საშიში და ნაწილობრივ ჭეშმარიტად შებრალების ღირსი ადამიანები, უნდა ღაისაჯონ მთავარ დამნაშავეებთან ერთად, მათ თანაბრად, ერთი განაჩენით. მართალია ეს განაჩენი შემსუბუქებული იქნება მონარქის შეწყალებით, თვითეულის სასჯელი შეწონილი იქნება მათი ნამდვილი დანაშაულის ხარისხთან, ამის და მიუხედავად,—ეს ამ გაუნათლებელ მხარეში, ცუდ გავლენას მოახდენს. ერთნი, დაინახავენ რა, რომ იმ ხალხს, რომლებიც მათი აზიური შეხედულებით მხოლოდ ოდნავ იყვნენ დამნაშავენი-მიესაჯათ სიკვდილი, ამას ჩათვლიან უსამართლო სასასტიკედ; ზოგს კი, პირიქით, დაინახავენ რა სასამართლოს განაჩენსა და საბოლოო სასჯელის შორის მთელ განსხვავებას, საბაბი მი-

ეცემათ იფიქრონ, რომ თითქოს შეთქმულების დამალვა, მისი აზრი-ში ტარებაც კი, ყოველთვის არ ითვლება სახელმწიფო დანაშაულად და არც ისჯება.

ამ გარემოებათა გამო, მე მგონია, რომ: ამ ქვეყანაში, სადაც კნონების ვარეშე სასჯელის მიცემა განსაკუთრებულ სისხლის სამართლის საქმეებში არა თუ არ იკიცხება, პირიქით, მას უპირატესობა ეძლევა იქ, სადაც მას შეუძლიან საქმის გაჭიანურების თავიდგან აცილება - მიზანშეწონილი იქნებოდა მეორე ჯგუფის ბრალდებულნი არ იქნენ მიცემული სამართალში, არამედ დაენიშნოს მათ სასჯელი დანაშაულის მიხედვით რამოდენიმე თვით ციხეში დამწყვდევით და მერე საქართველოში თავისუფლების მინიჭებით, ან საქართველოდან გადასახლებით დროებით ანუ სამუდამოდ, დამნაშავის პიროვნების მიხედვით. ასეთი შემსუბუქება განაჩენისა იმ სასჯელთან შედარებით, რაც მათ სამართლის წესით მოელოდათ, მათ განემარტებათ როგორც მეფის შეწყალება.

სასამართლოს განაჩენი, პირველი ჯგუფის შესახებ ჩემი განსაკუთრებული მოსაზრების დართვით, აგრეთვე ჩემი მოსაზრება მეორე ჯგუფის დამნაშავეთა სასჯელის შესახებ, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საქმის არსებისა და ვითარების განსაკუთრებულობის გამო, წარდგენოდა უზენაესი კონფირმაციისათვის მის იმპერატორებითი უდიდებულსობას.

ზემოდგამოთქმული ჩემი განზრახვა დადასტურებულია საგამომძიებლო კომისიის ერთხმივი თანხმობით და დამყარებულია ადგილობრივ გარემოებებზე, მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას და გთხოვთ წარუდგინოთ იგი გადასაწყვეტად ხელმწიფე იმპერატორისა და ამის შესახებ უზენაესი ბრძანება. შეძლებისადაგვარად სასწრაფოდ მაცნობოთ.

დასასრულ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, ცალკე გამოითხოვოთ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან გადაწყვეტილება კოლეგიის რეგისტრატორის **იასე ფალავანდოვის** ხვედრის შესახებ, რომელმაც პირველმა შემატყობინა მთელი შეთქმულების ამბავი და როგორც თავისი დაბეზღებით, ისე შემდგომი თავისი ჩვენებით, დიდად შეუწყო ხელი სინამდვილის გამოკვლევას. **თ. იასე ფალავანდოვი** ძმაა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისა, მაგრამ მასთან ცუდ განწყობილებაშია; მისი წარსული ყოფა-ქცევა დასაძრახისია, რადგან ორჯერ ოსმალეთსა და მთებშიაც კი გაიქცა; მისი ზნეობა ძლიერ არა საიმედოა; შეთქმულებაში ძლიერ ცოცხალ და დიდ მონაწილეობას ღებულობდა; გაცემა უნდა ეიძულებინა ბორჩალოს თათართა შორის

გავრცელებულ ხმებს **ალექსანდრე ბატონიშვილთან** მიმოწერის თაობაზე, რამაც შეაშინა იგი ამ შემთხვევით მთავრობას შეთქმულება არ აღმოეჩინა; საერთოდ თავისი ჭკუით, ეშმაკობით, თაღლითობითა და უზნეობით იგი ამ ქვეყნისათვის გადაჭრით მავნე და საშიში ადამიანია, და თუ კეთილ ინებებდა ხელმწიფე იმპერატორი, მის მიერ შეთქმულების გაცემის გამო საპატივსაცემოდ, განთავისუფლებული ყოფილიყო იგი სამართლისა და სასჯელისაგან, მაშინ, ჩემი აზრით, საჭირო იქნებოდა მისი რუსეთში გადასახლება საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით.

აგრეთვე ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას მაცნობოთ: ეგების კეთილინებებდა ხელმწიფე იმპარეტორი მოეცა რამე განსაკუთრებული ბრძანება შეთქმულებაში გარეულ გვარდიის სამი ოფიცრის: **კაპიტან ჩოლაყაევის, პროპორშჩიკ დიმიტრი ორბელიანოვისა** და **კორნეტი ერისთოვის** შესახებ, თუ მე მომეცემა უფლება მათ შესახებაც ზემოხსენებული წესებით ვიხელმძღვანელო"...

რიზენის ჩერნიშოვისადმი მიმარვიდან.[1]

„....ვინაიდან პეტერბურგში მყოფი შეთქმულების მონაწილენი, რომელთა დაკითხვაც საქმის საერთო გამოძიებისათვის საჭიროა, ძლიერ ცოტანი არიან, ამიტომ იმის ნაცვლად, რომ ისინი ჯერ სტავროპოლსა ან მოზდოკში იყვნენ ჩამოყვანილი (სადაც აგრეთვე მოგვიხდებოდა ბევრი აქაური მონაწილის გადაყვანა და ეს კი დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, თანაც დიდი სიძნელეებთან არის დაკავშირებული), ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ისინი პირდაპირ ტფილისში ჩანოგვეყვანა, სადაც დაკითხვისა და გამოძიების შემდეგ სამართალშიაც მიეცემოდნენ.

ამ საშუალებით თავიდან აცილებული იქნება მესამე კომისიის დაარსების საჭიროება და მასთან დაკავშირებული სირთულე და უხერხულობა; თავიდან ავიცდენთ იმ ხარჯებს, რომელიც საჭიროა აქაური ბრალდებულების იქ წასაყვანად და იქიდან უკანვე დასაბრუნებლად სასამართლოში გადასაცემად; და ბოლოს მოვიპოვებთ საშუალებას განზრახულების მონაწილეთა ერთ ადგილზე თავის მოყრით, მივცეთ საქმეს ჩქარი და დამაკმაყოფილებელი დასასრული. ასეთი დასასრული უნდა მდგომარეობდეს კანონიერ სასამართლოში, რომელიც სხვა ადგილებთან უპირატესობით, აქ, ტფილისში, უნდა მოხდეს, როგორც ბოროტგანზრახულების მთავარ ასპარეზზე.

---

[1]) საგამომძიებლო კომისიის გასული ქაღალდების დავთარი. გვ. 40, 1833 წლის 16 მარტი № 64.

საზეიმო გასამართლება და მტკიცე განაჩენი თვით საქართველოში უმთავრეს დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი, თვით ბატონიშვილთა გამოუკლებლივ, დაანახვებს ხალხს მთავრობის ძალას და ნისცემს ქვეყანას ჭკუის სასწავლ მაგალითს, ხოლო ეროვნულში ქართველთა ფუქსავატობისათვის გამაფრთხილებელი მაგალითი იქნება, ამასთანავე საჭირო და სასარგებლოც.

ყოფილი სამეფო სახლის წევრთა თვით ტფილისში გასამართლებასთან არა თუ არ არის დაკავშირებული რაიმე არსებითი უხერხულობანი, არამედ პირიქით, ეს სასარგებლოა, რადგან ეს გააღრმავებს ჭკუის სასწავლ მაგალითის ძალას, რაც საჭიროა საქართველოს მოსახალი კეთილდღეობისათვის, ამას შეუძლია ეთანაგონოს თვითონ ყოფ. სამეფო სახლის წევრთ, რომ გამოეხატოთ ფუქსავატსა და დამღუპველ ინდედებს, რომელსაც ისინი დღემდის აშკარად ატარებენ, მათი საქართველოში სამფლობელოდ დაბრუნების შესახებ და დაედება საბოლოოდ საზღვარი ესეოდენ უტიფარ, მაგრამ ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად უკვე მავნე ოცნებას— ბატონიშვილთა მეტოქეობაზე იმპერატორის ხელისუფლებასთან.

ყოფ. სამეფო სახლის ასეთი პირები, მათი დანაშაულის ხარისხის მიხედვით, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, შეიძლება სამართალში მიეცეს მხოლოდ სამი, სახელდობრ: **ბატონიშვილი** (თავადის ქალი) **თამარ**, რომელსაც როგორც ქალს იმპერატორის კეთილ შეწყალება ალბად გაათავისუფლებს სასჯელისაგან; ბატონიშვილები: **ოქროპირ** და **დიმიტრი** (თავადი), რომლებიც სამართლიანად ღირსი არიან ყოველგვარი სისასტიკისა, რადგან ისინი არიან არა მხოლოდ მთავარი დამნაშავენი ამ განზრახვაში, არამედ აგრეთვე მათი ცბიერი შთაგონებათა წყალობით შემცდარია და ცუდ გზაზე დაყენებული მრავალი ახალგაზრდა, მთავრობის მიერ ქვეყნის საკეთილდღეოდ აღზრდილნი, რომლებიც უკვე თავისი ბეჯითობითა და სამსახურით ხძლეოდნენ კეთილ იმედებს. ამ სამი პირის გარდა **ფარნაოზ ბატონიშვილზე** და ზოგიერთ სხვებზე შეიძლება იქნეს მიტანილი იქვი, და ისიც იმაში, რომ ისინი ან თანაუგრძნობდნენ, ან ნაწილობრივ იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ვიდრე მონაწილეობაში, ამიტომ რომელიმე მათგანის აქ გამოგზავნა სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რასაკვირველია თუ კი ნაოწინააღმდეგ რამე ახალი და მნიშვნელოვანი რამ არ გამოირკვევა.

პეტერბურგში მყოფ სხვა მონაწილეთაგან, რომელთა სიაც, კომისიის განსაკუთრებული აღნიშვნებით, ამასთანავე ერთვის, აქ მხოლოდ სამი იქნება საჭირო, იმ ცნობების მიხედვით, რაც

დღემდე მოგვეპოვება,—ესენი არიან: 1) პორუჩიკი **გრიგოლ ორ-ბელიანოვი**, რომელმაც ტფილისშივე იცოდა განზრახულება და მის შესაფერ ლექსებსაც წერდა; 2) **ალექსანდრე ჩოლაყაევი**, რომელიც აქაური ჩვენებების მიხედვით უნდა ყოფილიყო ეოთი მხურვალე მონაწილეთაგანი **დიმიტრი ბატონიშვილის** აღმაშფოთებელი საუბრებისა და რომელსაც უნდა სცოდნოდა განზრახულების ჩასახვა მის უმაღლეს წყაროშივე და 3) **გრიგოლ ტალიევი** (სემინარიის მოწაფე, ლტოლვილ **ბატონიშვილ ალექსანდრეს** თანამხლები მღვდლის შვილი), რომლის შესახებაც ვრცლად არის მოთხრობილი კომისიის მუშაობის შესახებ ჩემს ცნობაში და რომელიც იმდენად თავისი განზრახულებაში მონაწილეობით არა, რამდენადაც ბატონიშვილებთან, განსაკუთრებით კი **ოჭროპირთან**, ურთიერთობის გამო, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს აქ დაკითხვების დროს.

აღნაირადვე, თუ კანცელარიის მოხელე **სტეფანე** დოდაევი ან სხვა რომელიმე პირი ს. პეტერბურგის კომისიის გამოძიებით აღმოჩნდებიან მონაწილე, ან როგორც მოწმე რომელიმე ნნიშვნელოვანი გარემოებისა,—მაშინ მათიც აქ გამოგზავნა იქნებოდა საჭირო. ყველა ანის გამო პეტერბურგიდან აქ გამოსაგზავნ პირთა რიცხვი ექვსზე მეტი არ იქნება და მათი პირდაპირ აქ გამოგზავნა დაუბრკოლებლივ შეიძლება. სიფრთხილის გულისთვის სასურველი იქნებოდა, რომ ბატონიშვილები გამოიგზავნონ რაც შეიძლება სწიდუმლოდ ან გამოცვლილი სახელებით, ამასთანავე მე უნდა მომეცეს უფლება შევაჩერო ისინი ვლადიკავკაზში, თუ ანისათვის შეიქნება რაიმე საჭიროება, თუმცა ეს ძნელი მოსალოდნელია.

რამდენადაც ორი ბატონიშვილისა და მთავარ დამნაშავე ქართველთა აქ ჩამოყვანაც სასარგებლო იქნებოდა, იმდენად პირიქით არ იქნებოდა ხელსაყრელი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **ზავილეისკის** ჩამოყვანა, რადგან მისი მდგომარეობა და გარემოება სრულიად სხვანაირია, სახელდობრ: 1) ბატონ **ზავილეისკიზე** ჩვენებები მისთვის შეთქმულებაში მონაწილეობაზე ბრალდების წასაყენებლად ჯერჯერობით საკმარისი არ არის. მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთ პირდაპირი ჩვენებაა სოვეტნიკ **ორბელიანოვისა** და ისიც არაფრით არ არის შემაგრებული. დანარჩენი ჩვენებები მიუთითებენ ნხოლოდ მის განკარგულების არაკეთილ განზრახვებზე, და თუმცა მართლაც იმისდამიხედვით რაც ვიცით 1831 წელში აქ არსებული ბოროტგანზრახულობის შესახებ, **ბ. ზავილეისკის** მოქმედებათა განხილვა იძლევა საბაბს იმისათვის,

რომ იქვე მივიტანოთ ბის არაკეთილგანწყობილებაზე, მაგრამ მაინც მისი ბოქმედების კანონიერი გამოკვლევა აქაური კომისიის წრის გარეშეა და ეს არც შეიძლება უხერხულობის გარეშე საქართველოში რომელიმე სამსჯავროს დაევალოს, რადგან ეს იქნებოდა უგულებელყოფა უბარათებულესი სენატის ამა წლის 3 იანვრის ბრძანებისა, რომლითაც **ბ. ზავილეისკი** მის ზემოხსენებულ მრავალ მოქმედებათაგან საზეიმოდ იქნა გამართლებული.

2) **ბ. ზავილეისკის** როგორც არა ქართველის აქ სასამართლოში მიცემა და განაჩენის გამოტანაც კი ვერ მისცემს ამ ქვეყანას ჭკუის სასწავლ მაგალითს, მით უმეტეს, რომ სამსჯავროს საგანი ლალატი უფრო იქნება ვიდრე ადგილობრივი შევიწროება (ხალხისა). პირიქით ამ მოხელეს თავისი თვისებებითა და ცოდნით შეუძლიან სასამართლო პროცესის დროს გამოიჩინოს წინააღმდეგობა, რაც აქაური განწყობილებისათვის დამღუპველი იქნებოდა, რადგანაც სამსჯავრო, რომელსაც დაევალება აქ განზრახულების გარჩევა, ვალდებული იქნება წმიდად დაიცვას ჩვენი კანონების ყველა კეთილმოქმედი წესები, მაგრამ ნაინც არ შეიძლება არ ვისურვოთ, ამ ქვეყნისათვის, რათა იგი (სამსჯავრო) აღჭურვილი იყოს გარეგნულად მაინც გარდაუვალი უფლებით, რაც მხოლოდ და მხოლოდ გასაგებია გაუნათლებელ ქართველთა და აზიელთა შემეცნებისათვის.

3) დაბოლოს ამ უკანასკნელი გარემოების თანაბრად ტფილისში საზეიმოდ გასამართლება **ბ. ზავილეისკისა,** რომელიც წინეთ აქ გუბერნატორად იყო,—უაღრესად საზიანო იქნება იმით, რომ იგი შეასუსტებს ხალხის შეგნებაში ადგილობრივი მართველობის ერთი უმაღლესი წევრის ძალა-უფლებას, და ამით მისცემს საბაბს ნახინჯი და საზიანო აზრებისათვის.

ამ გარემოებათა გამო, მგონია, უფრო შესაფერისი და მოხერხებული იქნებოდა **ბ. ზავილეისკის** მოქმედება გამოძიებული ყოფილიყო თვით რუსეთში, სადაც სულ ადვილად შეიძლებოდა გაგზავნა **ალექსანდრე ორბელიანოვისა,** რომელიც ეოთად ერთი პირდაპირ ხდებს მას ბრალს.

ამგვარად ის განკარგულებები, რომლებიც ჩემს წინადადებებშია მოცემული, შემდეგში მდგომარეობს:

1) სტავროპოლში ან მოზდოკში ცალკე კომისიის დაარსების ნაცვლად, გამოძიებასა და შემდგომ შეთქმულთა გასამართლებას თავი მოეყაროს ტფილისში.

2) ამ მიზნით გამოიგზავნოს აქ. ფარულად. **ოქროპირ ბატო-**

ნიშვილი, ქართველი თავადი **დიმიტრი**, თავადი **გრიგოლ ორბელიანოვი**, **თ. ალექსანდრე ჩოლაყაევი**, სემინარიის მოწაფე **ტალიევი** და ისინიც, ვისაც პეტერბურგის კომისია საჭიროდ ჩათვლის.

3) აქვე გამოიგზავნოს პეტერბურგის კომისიიდან ყველა საჭირო ქაღალდები და კომისიის წევრი **ოზერეცკოვსკი**.

4) ნაკლებ დამნაშავე პირთა შესახებ გამოძიება წარმოებულ იქნას ს. პეტერბურგში და იქვე მიესაჯოთ გამასწორებელი ზომები.

5) დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ზავილეისკის** მოქმედებათა გამოძიება მოხდეს ცალკე და არა საქართველოში, არამედ რუსეთში. ამისათვის საჭირო ცნობები ორივე კომისიიდან წარედგინოს თქვენს ბრწყინვალებას და თავის დროზე გამოიგზავნოს აქედან **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**.

6) გამოძიების დასრულებისთანავე, ჩემს თქვენ ბრწყინვალებისადმი № 40 მომართვის საფუძველზე უმთავრესი დანაშაულნი მიცემულ იქმნან სამართალში აქ ტფილისში; ნაკლებ დამნაშავეებს კი დაენიშნოს სასამართლოს გარეშე გამასწორებელი სასჯელი, და განაჩენი როგორც პირველ, ისე მეორეთა შესახებ, წარედგინოს დასამტკიცებლად ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებას.

რაც შეეხება ზემოხსენებულ სასამართლოს მოწყობას, მე თავს ვიკავებ ნის შესახებ დაწვრილებით მოსაზრებათაგან, ვიდრე არ მივიღებ თქვენი ბრწყინვალების პასუხს ზემოხსენებულ ჩემს 9 თებერვლის №40 მომართვაზე, რისი მიღების იმედიც ამ დღეებში მაქვს დროის ვარაუდის მიხედვით.

ანჟამად შემიძლიან მხოლოდ დაუმატო, რომ ბატონიშვილთა სასამართლოში მიცემის გამო, რაც მაშინ მხედველობაში არა-გვქონდა, როცა ზემოხსენებულს თებერვლის 19-ს მომართვას ვწერდი, სასამართლოს შედგენილობისა და მისი უფლება მოსილობის შესახებ ზოგიერთი ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო ჩემს პირველ წინადადებაში. რათა სასამართლომ აქ სასარგებლო და საზეიმო გავლენა მოახდინოს, ამისათვის საჭირო იქნება, რომ სასამართლო შესდგებოდეს მხოლოდ აქაურ უნაღლეს მოხელეთაგან ხელმწიფის პირადი რწმუნებულის თავმჯდომარეობით, რომელიც უნდა იყოს გენერალი ან გენერალ-ლეიტენანტი (რაც აუცილებელია, თუ გენერალ-მაიორი **ალექსანდრე ჭავჭავაძეც** იქნება გასამართლებული), და ამ საბსჯავროს უნდა მიეცეს უფლება 1826

წლის მაგალითის[1]) მიხედვით. განსაზღვროს თვითეული დამნაშავის სასჯელი არა ჩვენი კანონების მთელი სისასტიკით, არამედ იმპერატორის ჩვეულებრივი კეთილშეწყალების თანახმად დანაშაულის ხარისხთან შეფარდებით. ამისთანა განაჩენს წე, როგორც ზევით მოვიხსენიე, წარმოუდგენ კონფირმაციისათვის ბრს იმპერატორობითი უდიდებულესობას"...

რუზენის მიმართვა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი[2]).

„ხელმწიფე იმპერატორმა, წაიკითხა რა მისი დიდებულებისადმი წარდგენილი საბოლოო ანგარიში აქ წარმოებული გამოძიებისა ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილ შეთქმულების თაობაზე, სხვათა შორის, ინება უზენაესად ებრძანებინა: უმთავრესი მონაწილეთაგანი: არტილერიის ყოფ. პოდპორუჩიკი **თ. ელიზბარ ერისთოვი**, ყოფ. პოდპ. **თ. ალექსანდრე ორბელიანოვი**, ტფილგიმნ. მასწ. **სოლომონ დოდაევი**, კავკ. გრენადერთა არტილ. ბრიგადის პრაპ. **თ. დიმიტრი ერისთოვი**, კავალერიის გენერალ-მაიორი **თ. ლუარსაბ ორბელიანოვი**, **თ. ვახტანგ ორბელიანოვი**, ბორჩალოს ცისტანციის თათართა **მოლა ზამანი**, ლეიბგვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩ. **თ. მამუკა ორბელიანოვი**, ტიტულიარნი სოვეტნიკი **დიმიტრი პაუშენკო** აზნაურობის მაძიებელი **სოლომონ რაზმაძე**, ყოფ. პოდპორ. **თ. ივანე ერისთოვი** და **კაპიტანი თ. ზაქარია ჩელოყაევი**—ბიცემულ იქმნან სამხედრო სამართალში.

სამსახურიდან გადაყენებული კოლეგსკი რეგისტრატორი **თ. იასე ფალავანდოვი** განთავისუფლდეს სამართლში მიცემიდან, ნურც აზნაურობა ჩამოერთმევა და დაინიშნოს უსტერ-ოფიცრად ფინეთში მდგომ ერთერთ რაზმში. კავალერიის პორუჩ. **გიორგი ერისთოვი**, მისი ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო, განთავისუფლებულ იქმნას სამართლიდან და დაინიშნოს არხანგელსკის ერთერთ საგარნიზონო ბატალიონში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით; კავალ. პრაპორშჩიკი **თ. გიორგი ერისთოვი**—მისი ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო, დაინიშნოს სამსახურში 1-ლი ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ რაზმში, ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლები **ავთანდილოვი**

---

[1]) იგულისხმება დეკაბრისტების გასამართლება.

[2]) საგამომძიებლო კომისიის გასული ქაღალდების დავთარი, ვ. 129, 1833 წ. დეკემბრის 5 № 361.

და **ყიფიანოვი** — ახალგაზრდობისა და დანაშაულის აღიარების გამო, დაინიშნონ სამსახურში სამოქალაქო უწყებაში პირველი პერნში, უკანასკნელი კი ვოლოგდაში; გვარდიის ყოფ. პოდპორ. **დიმიტრი ორბელიანოვი** დანაშაულის ნებაყოფლობით აღიარების გამო, ვიდრე იგი დაკითხული იქნებოდა,—გაიგზავნოს პენზაში, კანცელარიის მოხელე **იოსებ მამაცოვი, მისი** ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო, დაინიშნოს სამოქალაქო უწყების სამსახურში ქ. ვიატკაში, ყოფ. პოდპორ. **თ. ანტონ აფუაზოვი** დაინიშნოს კავკასიის ხაზზე მდგომ რაზმში, სემინარიის მოწაფე **გრიგოლ ტალიევი** დაინიშნოს სამოქალაქო სამსახურში რუსეთის რომელიმე გუბერნიაში, საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით, ტფილ. ფეხოსანთა რაზმის პრაპორშჩიკები: **თ. დავით ჯორჯაძე** და **გაბრიელ მამაცოვი** დაინიშნონ: პირველი 5, უკანასკნელი კი მე-6-ე კორპუსში; ქართული გრენადერთა რაზმის პორუჩ. **გრიგოლ ორბელიანოვი** გადაყვანილ იქმნას პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ რაზმში, რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით და კავალერიის გენერალ-მაიორი **თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე**—გადასახლებულ იქმნას—ტამბოვში. გენერალ-ფელდნარშალ თავად ვარშავსკის გრაფ **პასკევიჩ** ერივანსკის ფეხოსანთა რაზმის პორუჩიკი **დავით ნათალოვი**—დარჩეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო ყოფ. პოდპ. **თ. ალექსანდრე ჩელოყაევი** და კანცელარიის მოხელე **სტეფანე დიდაევი**—დატოვებულ იქნან საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.

ამ გვარი უზენაესი განგების შესახებ, რაც ბ.ნ სამხედრო მინისტრმა გასული ნოემბრის 1-ის მომართვით შემატყობინა,—ვაცნობებ თქვენს ბრწყინვალებას ჩემი № 312, 313 და 319 საიდუმლო მოწერილობათა დამატებად".

როზენის მიმართვა პოდპორ. აქსენოვისადმი[1]).

„მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ბრძანების თანახმად ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულნი: კავალერიის პორ. **თ. გიორგი ერისთოვი** და ტფილისის გიმნაზიის ყოფილი მასწ. **ყიფიანოვი** იგზავნებიან აქედან რუსეთში პირველი ქ. არხანგელსკში, გადაყვანილია

---

[1]) საგამ. კომისიის გასული ქაღალდ. დავთ. გვ. 136, 1833 წ. 16 დეკემბერი № 395.

რა ერთერთ იქაურ საგარნიზონო ბატალიონში, მეორე—ვოლოგდაში სამოქალაქო უწყებაში სამსახურში დანიშვნით.

ვნიშნავ რა თქვენს კეთილშობილებას ამ პირების დანიშნულ ადგილებამდის გამყოლად, მოგიწერთ გაეგზავროთ აქ დართულ მარშრუტის თანახმად ჯერ ვოლოგდაში, სადაც იქაურ სამოქალაქო გუბერნატორის უწყებას ჩააბარებთ მასწ. **ყიფიანოვს**, შემდგომ კი მიიყვანეთ პორ. **ერისთოვი**, ჩააბარეთ ეს ოფიცერი არხანგელსკის სამხედრო გუბერნატორს და გამობრუნდით ტფილისში. მგზავრობის დროს თქვენს უეჭველ მოვალეობას შეადგენს ფხიზელი თვალყური ადევნოთ თქვენდამი ჩაბარებულ პირებს და მაინ მხრით თავდაუჭერელი საუბრის დროს—სულერთია ვისთანაც უნდა იყოს—შეაკაოთ ისინი, აგრეთვე განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ნუ გაჩერდებით ქალაქებში, და მით უმეტეს მოსკოვში.

სამგზავროდ თქვენ მიიღებთ ჩემი მე-8 კლასის ხაზინადარ **ორლოვსკისგან** ვოლოგდამდის 6, იქიდან არხანგელსკამდის და უკან ტფილისიმდის 3 ცხენისათვის სულ 6.202½ ვერსტი, ვერცხლით 66 მანეთსა და 64½ კაპ. ხოლო ასიგნაციებით ათას ორას ოცდა თორმეტ მანეთსა და ორმოცდა თოთხმეტსა და ერთ მეოთხედს კაპეიკს. ექვსი საფოსტო ცხენის მისაღებად ამასთანავე ურთავ სამგზავრო ფურცელს ვოლოგდამდის, სადაც შემდგომი მგზავრობისათვის და ტფილისში დასაბრუნებლად ფურცელს მოგცემთ ვოლოგდის სამოქალაქო გუბერნატორი, გზის ხარჯებად კი მოგეცემათ ექვსასი მანეთი ასიგნაციებით, თქვენა და აღნიშნულ პირთათვის დაახლოვებით ორი თვის ვარაუდით დღე-ღამეში ორი მანეთი ასიგნაციებით, ხოლო **ერისთოვისა** და **ყიფიანოვის** თანამხლებელსა და მეჯინიბე ყაზახს თვითოეულს 50 კაპ. ასიგნაც., რის ანგარიშიც ტფილისში დაბრუნებისთანავე უნდა წარმოადგინოთ".

როზენის მიმართვა შტაბს — კაპიტან ანღრეევისადმი[1]).

„ხელმწიფე იმპერატორის უზენაესი ბრძანებით ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილი შეთქმულების ბონაწილეობისათვის დაპატიმრებულნი: ტფილისის გიმნაზიის ყოფ. მასწავლებ. **ზაალ ავთანდილოვი** და ექსპედიცია სუდაი რასპრავის ყოფ. თარჯიმანი **მამაცოვი** იგზავნებიან რუსეთში სამოქალაქო ნაწილში

[1]) საგამ. კომისიის გასულ ქაღ. დავთ. გვ. 142, 1833 წლ. დეკემბრის 19, № 408.

სამსახურში დასანიშნად 1-ლი ქ. პერმში, უკანასკნელი ქალაქ ვიატკაში.

ამის გამო, ვნიშნავ რა თქვენს კეთილშობილებას ამ პირთა გამყოლად, მოგიწერთ გაემგზავროთ აქ დართულ მარშრუტის შიხედვით ჯერ ქ. მალმიშში, საიდანაც უნდა გაისტუმროთ კანცელარისტი **მამაცოვი** ქალაქ ვიატკაში იქაურ გუბერნატორთან თქვენთან მოვლინებული ურიადნიკის თანხლებით, რომელსაც უბრძანეთ **მამაცოვის** ჩაბარების შემდეგ მალმიშში დაგელოდოთ; თქვენ თითონ კი ჩაიყვანეთ მასწ. **ავთანდილოვი** პერმში და ჩააბარებთ რა მას საგუბერნიო სამმართველოს, დაბრუნდით ტფილისში, წამოიყვანთ რა მალმიშშიდან ურიადნიკს. ამასთანავე გევალებათ მგზავრობის დროს ადევნეთ შეუსუსტებელი თვალყური თქვენთვის ჩაბარებულ პირებს და შეაკავეთ ისინი თავდაუმერელი საუბრისაგან, ქალაქებში კი განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე თქვენ არ უნდა გაჩერდეთ. სამგზავროდ მიიღებთ ჩემი მე-8 კლასის ხაზინადარ **ორლოვსკისაგან** ტფილისიდან მალმიშამდის და იქიდან ვიატკასა და პერმამდის მალმიშში დაბრუნებით 6 ცხენზე, იქიდან კი ტფილისამდის სამ ცხენზედ, სულ რიცხვით 6.208½ ვერსტი, ვერცხლით სამოცდა ექვს მანეთსა და 64½ კაპ. და ასიგნაციებით ათას ას სამოცდა ორ მანეთსა და 46 კაპ. და ერთ მეოთხედს, ექვსი საფოსტო ცხენის მისაღებად ამასთანავე ურთავ სამგზავროდ ორ ფურცელს, ერთს თქვენს სახელზე პერმამდის და შემდეგ ტფილისამდის, მეორეს კი ვიატკამდისა და მერე მალმიშამდის ურიადნიკის სახელზე. საგზაო ხარჯებად კი მოგეცემათ ექვსასი მანეთი ასიგნაციებით, ვარაუდით თქვენა, **ავთანდილოვსა**, და **მამაცოვს** ოთხ თვეში 2 მანეთობაზე დღე ღამეში, ხოლო მათ მხლებელ მოსამსახურეებს და ურიადნიკს 50 კაპეიკი ასიგნაციებით, რის სათანადო ანგარიშიც დაბრუნებისთანავე უნდა წარმოადგინოთ".

როზენის მიმართვა პრაპ. ოლშევსკისადმი[1]).

„ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული პრაპ. თ. **გიორგი ერისთოვი** უზენაესი გადაწყვეტილებით გადაყვანილია სამსახურში ნოვოინგერმანლანდიის ფეხოსანთა რაზმში, სადაც ის ამ დღეებში უნდა გაიგზავნოს.

მის დანიშნულ ადგილამდე გამყოლად დავნიშნე თქვენი

---

[1]) საგამომ. კომისიის გასული ქაღ. დავთარი გვ. 155. 1833 წლ. 30 დეკემბერი № 444.

კეთილშობილება, რის გამოც მოგიწერ გაემგზავროთ პრაპ. თ. ვ. ერისთოვთან ერთად ქ. ვილნოში და იქ მისვლისთანავე ჩააბარეთ იგი მესამე ფეხოსანთა დივიზიის უფროსს, მასვე გადაეცით ამასთან დართული კონვერტი № 27. თქვენ ვალდებული ხართ გზაზე თვალყური ადევნოთ თ. ერისთოვის ყოფაქცევას და შეაკავოთ იგი შეუსაბამო საუბრისაგან, თუ ესეთს შენიშნავთ, ქალაქებში კი განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ნუ გაჩერდებით.

ჩემს მერვე კლასის ხაზინადარ ირლოვსკის მიუწერე მოქცეთ თქვენ სამგზავროდ ხელწერილის ქვეშ აქედან ხუთი და იქიდან სამი ცხენის ვარაუდით სულ 4867 ვერსტის—ორმოცდა ცხრამეტი მანეთი და 24 კაპ. ვერცხლით და ცხრაას ოთხმოცდა ოთხი მანეთი და 62 კაპ. ასიგნაციებით. ამის გარდა საგზაო ხარჯები ვარაუდით: თქვენ სმი თვისა და თ. ერისთოვს ორი თვისა—ოთი მანეთი დღე-ღამეში, სამასი მანეთი ასიგნაციებით, რის ანგარიშიც უნდა წარმოადგინოთ დაბრუნებისთანავე, საფოსტო ცხენების მისაღებად კი ამასთანავე ურთავ სამგზავრო ფურცელს".

შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრისადმი (XXIX, 217).

შინაგანი საქმეთა სამინისტრო. საიდუმლო განყოფილება. 10 ივლისი 1835 წ. № 3365.

ბატონ სამხედრო მინისტრს.

„1834 წლის 4 მაისსა და 7 ივლისს თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილინება და მაცნობეთ რომ ხელმწიფე იმპერატორმა, განიხილა რა საქართველოში მონხდარი შეთქმულების გამო ტფილისში წარმოებული სამხედრო სასამართლოს საქმე, უზენაესად ინება ებრძანებინა: აღნიშნული საქმის სხვებთან ერთად მონაწილე ყოფილი ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელ მე-10-ე კლასის სოლომონ დოდაევს ჩამოერთვას საკლასო წოდება (лишить классного звания) და დაინიშნოს კანცელარიის დაბალ მოსამსახურედ ერთერთ ჩრდილოეთ გუბერნიაში საუკეთესო დამსახურებამდე (до отличной выслуги), და რომ აღსასრულებლად ამ უზენაესი ნებისა სოლომონ დოდაევი კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსის განკარგულებით გადასახლებულია ქ. ვიატკაში.

ამის გამო მე მაშინათვე მივწერე ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორს მოეხდინა სათანადო განკარგულება სოლომონ დოდაევის

სამსახურში დანიშვნის შესახებ კანცელარიის დაბალ მოსამსახურედ და დაეწესებინა საიდუმლო მეთვალყურეობა მის მოქმედებაზე. ამის საფუძველზე **დოდაევი,** როგორც დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა **ტიუფლევმა** მაცნობა, დანიშნული იყო გადამწერად (Копинстом) ვიატკის საგუბერნიო სამართველოს. შტატში, შემდეგ, მისი ყურადღებისა, სიბეჯითისა და კარგი ყოფაქცევისათვის გადაყვანილ იქნა სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში და დანიშნული იყო მაგიდის უფროსად სათემო გადასახადთა ვიატკის საგუბერნიო კომიტეტში.

ეხლა ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორი მაცნობებს, რომ **დოდაევმა** მიჰმართა მას თხოვნით, რომელშიაც განმარტავს რა თავის შერყეულ ჯანმრთელობას, რომელიც უმეტესად სუსტდება იქაური მკაცრი ჰავის გავლენით, ითხოვს სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში გადაყვანას და იმ ხარისხების დაბრუნებას, რომლებიც მას ბოძებული აქვს ტფილისის გიმნაზიაში ექვსი წლის განმავლობაში სამსახურისთვის.

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ტიუფლევი,** არა ხედავს რა თავის მხრით რამე დაბრკოლებას, რათა **დოდაევი** გადაყვანილ იქმნას სამხრეთის ერთერთ გუბერნიაში და იღებს რა მხედველობაში მის დაავადებულ მძიმე მდგომარეობასა და მუდმივ ბეჯით სამსახურს საუკეთესო ზნეობასთან შეერთებულს,—მთხოვს შუამდგომლობას **დოდაევის** აღნიშნულ სათხოვრის დაკმაყოფილებაზე, თუ კი ეს შესაძლებელია.

ჩემს მოვალეობად ვრაცხ წარმოუდგინო თქვენს ბრწყინვალებას კეთილგანსახილველად დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ **ტიუფლევის** აღნიშნული მოწერილობა; ამასთანავე მოგართმევთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემ მიერ მისგან მიღებულ **სოლომონ დოდაევის** თხოვნას.

შინაგან საქმეთა მინისტრი. სტატს — სეკრეტარი".

სოლომონ დოდაშვილის თხოვნა (XXX, 219).

„პირი.

თქვენო აღმატებულებავ

მოწყალეო ხელმწიფევ!

ძლიერ, ძლიერ ავად ვარ. პოლონელმა ექიმმა, რომელიც მე მწამლობს, გამომიცხადა, რომ თუნდაც ამჟამად გაშომიკეთდეს ჯანმრთელობა, მომავალ ზამთარს,—თუ მე ისევ აქ დავრჩი,—ველარ გაუძლებ; ჩრდილეთის ჰავის გავლენა, რაც ყოველთვის სა-

ზიანოდ მოქმედებდა ჩემს ჯანმრთელობაზე, დააძაბუნებს მას სრულიად, და მეც და ჩემი ოჯახიც განვიცდით უდიდეს უსიამოვნებას: ეს მე მან დაბეჯითებით შითხრა.

თქვენო აღმატებულებავ! თქვენი ქველმოქმედიანობისა და კეთმოყვარეობისა გამო, დარწმუნდებით რა ბ. ექიმის ნათქვამის სინამდვილეში, ვიმედოვნებ არ დააყოვნებთ შუამდგომლობას, სადაც ჯერ არას, რათა გადაყვანილ ვიქმნე სამხრეთის ერთერთ თბილ გუბერნიაში; მაგრამ თქვენო აღმატებულებავ, საშწუხაროა ჩემთვის დასახელებული მიზეზისა გამო აქ დარჩენა, უფრო მეტად საშწუხაროა და გულის მომწყვლელი, მოვშორდე უფროსს თქვენისთანას და წავიდე უცნობ ადგილს, უცნობ უფროსთან; ვარ რა მოკლებული ხარისხებს დარწმუნებული ვარ, რომ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა კეთილინებებს დაჯილდოებული ვიქნე ხარისხით ტფილისის გიმნაზიაში ექვსი წლის სამსახურისთვის. — ასეთი წყალობით უკვე ისარგებლეს ორმა ყოფილმა ჩემმა მოწაფემ, ერთმა პერმში მიიღო მე-12-ე კლასის ხარისხი და მეორემ ვოლოგდაში მე-10-ე კლასისა [1])

თქვენო აღმატებულებავ! ყოველთვის მიმსახურნია ბეჯითად და ერთგულად და ჩემი ჯანმრთელობა თითქმის სამსახურს შევწირე; რის გამოც ვბედავ ყოვლად უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და თქვენი შუამდგომლობით გამოითხოვოთ მოწყალე ხელმწიფისაგან ხარისხი ჩემთვის და გადაყვანა ჩემი აქედან სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში ჩემი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად თხილ ჰავაზე. ეს დიდი კეთილმოქმედება საუკუნოდ მეხსომება მეც და ჩემს შვილებსაც და აღვავლენთ მუდამ ჟამს ლოცვას უზენაესისადმი ხელმწიფისა და თქვენი აღმატებულების კეთილდღეობისათვის.

ულრმესი პატივისცემის გრძნობითა და ერთგულებით მაქვს პატივი დავრჩე მარად,

მოწყალეო ხელმწიფეკ,
თქვენი აღმატებულების
უუმორჩილეს მონად
სოლომონ დოდაევი[1]).

ნამდვილთან შეამოწმა
მაგიდის უფროსის თანაშემწემ
მე-12-ე კლასის (ხელისმოწერა)".

---

1) იგულისხმებიან ავთანდილ შვილი და ყიფიანი.

სამხედრო მინისტრის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი (XXX, 223).

ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს.

„თქვენმა აღმატებულებამ ამა 10 ივლისს (№3365) ინება გამოეგზავნა ჩემთვის ვიატკაში მყოფ საკლასო წოდება ჩამორთმეულის **სოლომონ დოდაევის** თხოვნა, რომელიც ითხოვს მის სამხრეთის თბილ გუბერნიაში გადაყვანასა და მისთვის იმ ხარისხების დაბრუნებას, რომლებიც ბოძებული აქვს მას ტფილისის გიმნაზიაში ექვსი წლის სამსახურისათვის. მე მქონდა ბედნიერება შევსულიყავი საქმის გამო მოხსენებით ხელმწიფე იმპერატორთან, მაგრამ **დოდაევის** ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მისმა უზენაესობამ ხელმწიფე იმპერატორმა არ ინება.

ვაცნობებ რა ამას თქვენს აღმატებულებას, მაქვს პატივი ამას თანავე დაგიბრუნოთ თქვენ მიერ გამოგზავნილი თხოვნა **დოდაევისა.**

ხელს აწერს: სამხედრო მინისტრი გრაფი **ჩერნიშევი**
გენერალ-აუდიტორი **ნოინსკი**
სწორეა: მე-12-ე კლასის (ხელისმოწერა)“

შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრისადმი (XXX, 225).

„საიდუმლოდ.

ბატონ სამხედრო მინისტრს.

თქვენი ბრწყინვალების 1835 წლის 27 ივლისის № 2522 ჩემდამი მომართვის გამო, ვაცნობე ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორს, რომ უზენაესი ნების თანახმად ვიატკაში მყოფ საკლასო წოდება ჩამორთმეულ **სოლომონ დოდაევის** თხოვნა მისი ერთერთ სამხრეთის თბილ გუბერნიაში გადაყვანაზე—უზენაესად არ იქნა დაკმაყოფილებული;

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ტიუფლევი** კვლავ მაცნობებს თავის მომარივაში, რომ **სოლომონ დოდაევმა** კვლავ მიჰმართა მას აღნიშნული თხოვნით რაზედაც ის იძულებულია საფუძვლიანად შერყეული ჯანმრთელობის გამო, რამაც მოუსპო მას შესაძლებლობა სამსახურით მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა, და რომ ამის გამო იგი შემოწმებულ იქმნა ვიატკის საექიმო სამართველოს სრული შემადგენლობის მიერ და აღმოჩნდა შეპყრობილი მძაფრი ხანდაზმული ჭლექით, ისე რომ მისი განკურნებისთვის იქაურ მედიცინას არ მოეპოვება საშუალება. ამიტომ დე-

ისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ტიუფლევი** შუამდგომლობს მოხსენებული **დოდაევის** რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში გადაყვანას, (რომელსაც მთავრობა დაუნიშნავს) მისი ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად.

ვრაცხ რა ჩემს თავს მოვალედ მოგახსენოთ ზემოაღნიშნული, უმორჩილესად ვთხოვთ მაცნობოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მისი შედეგი. მაქვს პატივი ამასთანავე წარმოგიგზავნოთ პირი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ **ტიუფლევის** ხსენებული მომართვისა და მისი დანართისა.

შინაგან საქმეთა **მ**ინისტრი.
სტატს—სეკრეტარი (ხელის მოწერა).
დირექტორი (ხელის **მ**ოწერა)".

სოლომონ დოდაშვილის **საექიმო** შემოწმების **აქმი** (XXX, 227).

„საექიმო მოწმობა.

მიეცა ესე ვიატკის საექიმო სამართველოდან მასზედა, რომ თანახმად ბატონ ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის მიმდინარე თვის 5 რიცხვ. № 9643 წინადადებისა, სათემო გადასახადთა ვიატკის საგუბერნიო კომიტეტის მაგიდის უფროსი **სოლომონ** დოდაევი **შემოწმებულ** იქმნა მის ბინაზე 8 რიცხვში შუადღის 1-ლ საათზე ადგილობრივი სამართველოს წევრთა მიერ კერძო ბოქაულის კოლლეჟსკი სეკრეტარ **ბოროდინის** დასწრებით, და მას აღმოაჩნდა: თვალები ამღვრეული და ღრმად ჩაცვივნილი, სახე გაყვითლებული, ტყვიის ფერი, ცხვირი წაწვეტილი; ხორციანი ადგილები იმდენად გაწვრილებული, რომ ზოგიერთ ადგილას ძვლებზე მარტო კანილაა გადაკრული: მოკლე სუნთქვა ყელში ხიხინით, რომელსაც (სუნთქვას) ხშირად აჩერებს ხველა, რის შედეგადაც ბლომად ამოინთხევა სქელი, ჩირქოვანი და მყრალი ნახველი; ხმა მილეული; სიტყვის გამოთქმა უჭირს; ხველას, საუბარსა და მოძრაობას თან სდევს გულის წასვლა; ამგვარი ნიშნები აშკარად მოწმობენ ფილტვების დაჩირქებზე ან და მათჩირქოვან ჭლექზე (Pltyis pulmonalis purulenta) და აგრეთვე იმაზე, რომ მედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაკურნავად, განსაკუთრებით აქაურ ჩრდილოეთის ჰავის პირობებში. აგვისტოს 10, 1836 წ.

ინსპეტორი კოლეჟსკი სოვეტნიკ და კავალერი **ივან ვოსკობოინიკოვ**

ოპერატორი მედიკ ქირურგი ნადვორნი სოვეტნიკი და კავალერი
(ხელის მოწერა.)
აკუშორი შტაბ-მკურნალი (ხელის მოწერა).
საქმის მწარმოებელი (ხელის მოწერა).
ამა მოწმობას აქვს ვიატკის საექიმო სამართველოს ბეჭედი".

ცნობა სოლომონ დოდაშვილის გარდაცვალებაზე (XXX, 232).

„პირი ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის ბ. შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 26 აგვისტოს 1836 წლ. №417 წარდგენისა.

ამა წლის 10 აგვისტოს № 406 წ. უზენაესი განკარგულებით ქ. ვიატკაში მყოფ საკლასო წოდება ჩამორთმეულ **სოლომონ დოდაევის** თხოვნის გამო, მე ვითხოვდი თქვენი უეღმატებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა მისცემოდა მას სამხრეთ გუბერნიებში გადანაცვლების ნება.

აღნიშნული მოხსენების გამოგზავნის მეორე დღესვე, სახელდობრ ამა აგვისტოს 20-ს, **სოლომონ დოდაევი** გარდაიცვალა, დარჩა რა ცოლი და ორი მცირე წლოვანი შვილი, რომლებიც ვიატკაში იმყოფებიან.

დოდაევის ქვრივი მწუხარებისაგან მიმკვდარებული, ამ უცხო მხარეს მიტოვებული, განიცდის საშინელ სიღარიბეს ორი მცირეწლოვანი. შვილითურთ და არც გააჩნია არავითარი საშუალება, არავითარი შესაძლებლობა საქართველოში თავის ნათესავებთან დასაბრუნებლად.

აღძრული მებრალების გრძნობით, უბედურებაში მყოფ **დოდაევის ქვრივის** მიმართ, ვბედავ უუმორჩილესად ვითხოვო თქვენი უეღმატებულესობის განკარგულება, ხომ არ შეიძლება მიეცეს **დოდაევის ქვრივს,** რაიმე დახმარება, რათა მან შესძლოს ორი ობლით თავისიანებთან დაბრუნება.

სწორეა: მაგიდის უფროსი **ა. ზენკოვიჩი.**

ფინანსთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრისადმი (XXX, 238).

„ფინანსთა მინისტრი მის ბრწყინვალება გრაფ **ალექსანდრე ივანეს ძისადმი** ღრმა პატივისცემით აცნობებს მას, რომ თანახმად მისი გასულ სექტემბრის 30-ის (სააუდიტორიო დეპარტამენტის

№ 3668) მომართვისა. გადამწერ **სოლომონ დოდაევის** ოჯახის საქართველოში ნათესავებთან წასასვლელად, ყოვლად მოწყალეობით ბოძებული 800 მანეთის შესახებ.—მიცემული მაქვს განკარგულება მთავარ ხაზინის მიმართ, მისცეს იგი საუდიტორიო დეპარტამენტის მე-10-ე კლასის მოხელეს **უდანოვს** ხელწერილის ქვეშ.

დირექტორი (ხელის მოწერა)".

კერძო წერილი სოლომონ დოდაშვილისადმი (XXX, 107).

„მოწყალეო ხელმწიფევ ჩემო **სოლომონ ივანესძევ!**

თხზულება თქვენი სათაურით: **ფილოსოფიის კურსი, ნაწილი 1-ლი ლოღიკა**—საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა მივიღე, და გადავათვალიერე რა იგი, ვპოვე, რომ როგორც თავისი შინაარსით, ისე მოთხრობის ხერხით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.—თქვენი, ამ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენში ნაკლებად დამუშავებულ საქმეზე, მეცადინეობის ასეთი ბედნიერი დასაწყისი თავდებია უფრო ბედნიერი შედეგებისა; ამიტომ ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა ვამოგიცხადოთ თქვენ ამ საქმეში და სასარგებლო ნაშრომისთვის ულრმესი მადლობა და დაგარწმუნოთ, რომ ამ შრომის გაგრძელება და საერთოდ თქვენი მუშაობა სასწავლო დარგში, აო დარჩება თავის დროზე მის შესაფერი ჯილდოს გარეშე.

სათანადო პატივისცემით მაქვს პატივი დავრჩე თქვენს, მოწყალეო ხელმწიფევ, მორჩილ მონად.

მიროვ.....[1])

---

[1])ბგვარი ვერ იკითხება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

შესავალი 3

შეთქმულებისათვის მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია 15

შეთქმულთა ორგანიზაციის შემადგენლობა, წარჩინებულ ქართველთა და უცხოელთა მონაწილეობა 27

როგორ და რა საშუალებით განიზრახავდენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას 77

როდის და როგორ ფიქრობდენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას 85

დამატება №1.

შეთქმულთა თხზულებები, მოგონებანი და მიმოწერა. სოლომონ დოდაშვილის ლექსი: 95

ფილადელფოს კიკნაძის ქაღალდებში ნაპოვნი ლექსი 95

ს. დოდაშვილის ქაღალდებში ნაპოვნი პროკლამაცია 95

გრ. ორბელიანის მიერ თარგმნილი „აღსარება“. 96

სოლომონ რაზმაძის ლექსი „დათვი და ცხვარი“ 98

გიორგი ერისთავის წერილი ფილადელფოსისადმი 101

მისივე საიდუმლო ანბანით მიწერილი წერილი 102

„ „ „ დაწერილი 103

ფილადელფოსის გიორგი ერისთავისადმი წერილი 103

დავით ერისთავის წერილი ფილადელფოსისადმი 104

დიმიტრი ბატონიშვილის თამარ ბატონიშვილისადმი პეტერბურგიდან ტფილისში მიწერილი წერილები 104-109

ს. დოდაშვილის რაპორტი და ხელწერილი 110

აკტი გონიური 111

1801 წლის მანიფესტის შენიშვნები, დაწერილი დიმიტრი ერისთავის მიერ. 117

სამხედრო სასამართლოს სენტენციიდან ამონაწერი 120
ალექსანდრე ორბელიანის მოგონებიდან 121
ალექსანდრე ორბელიანისვე მეორე მოგონებიდან 128

დამატება № 2

საგამომძიებლო კომისიის საქმეები: შეთქმულთა დაკითხვა-ჩვენებები და საგამომძიებლო კომისიის მიმოწერა მართებლობასა და სახელმწიფო დაწესებულებებთან.

ბარონ როზენის მიმართვა გენერალ ბაიკოვისადმი 130
იასე ფალავანდიშვილის დასმენა 130
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 138
ანტონ აფხაზის პასუხები კომისიის კითხვებზე 139
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 140
ლუარსაბ ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე 143
ზაქარია ჩოლაყაშვილის პირველი ჩვენება 144
ზაალ ავთანდილაშვილის პირველი ჩვენება 152
ს. დოდაშვილის განცხადება 164
გიორგი რევაზისძე ერისთავის პირველი ჩვენება 164
მისივე მეორე ჩვენება 169
მოლა ზამანას ჩვენება 171
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 173
ბიძინა ერისთავის ჩვენება 174
ს. დოდაშვილის ჩვენება 177
ელიზბარ ერისთავის პირველი ჩვენება 182
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 187
დიმიტრი ერისთავის პირველი ჩვენება 189
თეიმურაზ ამილახვრის ჩვენება 192
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 193
ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანის ჩვენება 196
მისივე ჩვენება 215
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 217
ს. დოდაშვილის ჩვენება 218
ანტონ აფხაზის ჩვენება 221
მოლაზამანას და შიხილ-ალიას ჩვენებები 227
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 229
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 230
მისივე ჩვენება 231

ქოსა მუსტაფას ჩვენება 232
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 235
მისივე ჩვენება 236
ალექსანდრე გიორგისძე ორბელიანის ჩვენება 237
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 239
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 241
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 246
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 247
მისივე ჩვენება 250
ბირთველ თუმანიშვილის ჩვენება 252
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 255
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 257
ბარძიმ აბალახვარის ჩვენება 260
ბიძინა ერისთავის ჩვენება 260
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 261
ალ. ორბელიანის ჩვენება 267
ისივე ჩვენება 268
თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება 268
ლევან ერისთავის ჩვენება 269
ზაქარია ციციშვილის ჩვენება 271
ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი განმარტება 272
თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება 275
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 276
ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება 278
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 281
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 281
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 285
მისივე ჩვენება 288
ალ. ორბელიანის ჩვენება 288
მღვდელ ეფრემ ალექსიშვილის ჩვენება 290
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 301
ბიძინა ერისთავის ჩვენება 305
ივანე მაჩაბლის ჩვენება 305
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 305
ალ. ორბელიანის ჩვენება 307
ბიძინა ერისთავის ჩვენება 308
ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება 308
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 313

ფილად. კიკნაძის ჩვენება 317
მისივე ჩვენება 317
ბიძინა ერისთავის ჩვენება 321
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 321
ლუარსაბ თარხნიშვილის ჩვენება 326
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 327
ლუარსაბ თარხან-მოურავის ჩვენება 330
ალ. ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე 333
ეფრემ ალექსიშვილის პასუხები 339
კითხვით მუხლები 342
ფილადელფოს კიკნაძის პასუხები 344
ლევან ერისთავის პასუხები 350
ბიძინა ერისთავის პასუხები 352
ივანე ერისთავის პასუხები 354
ალ. გიორგისძე ორბელიანის პასუხები 356
სიმონ მაჩაბელის პასუხები 361
ალ. ორბელიანის ჩვენება 362
ვახტანგ ორბელიანის პასუხები 363
ალ. ორბელიანის პასუხები 364
ვახტანგ ორბელიანის პასუხები 367
ლუარსაბ ორბელიანის პასუხები 368
ბიძინა ერისთავის ჩვენება 370
მართა მესხიშვილის ჩვენება 370
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 371
თამარ ბატონიშვილის პასუხები 373
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 379
ლევან ერისთავის ჩვენება 383
ალ. ორბელიანის ჩვენება 385
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 387
ლევან ერისთავის ჩვენება 388
ალ. ორბელიანის ჩვენება 389
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 393
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 394
ს. დოდაშვილის ჩვენება 397
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 398
ალ. ორბელიანის ჩვენება 398
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 402
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 403

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 405
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 407
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 407
გიორგი რევაზისძე ერისთავის ჩვენება 408
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 408
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 409
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 411
ალ. ორბელიანის ჩვენება 412
ლუარსაბ თარხან-მოურავის ჩვენება 414
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 415
ალ. ორბელიანის ჩვენება 421
ბიძინა ერისთავის ჩვენება 422
ალ. ორბელიანის ჩვენება 422
ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება 425
მართა მესხიშვილის ჩვენება 426
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 426
მართა მესხიშვილის ჩვენება 428
ალ. ორბელიანის ჩვენება 429
სტეფანე ლორისმელიქოვის ჩვენება 429
ს. დოდაშვილის ჩვენება 430
ალ. ორბელიანის ჩვენება 431
დათია ბაინდურასშვილის ჩვენება 433
მართა მესხიშვილის ჩვენება 434
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 435
საგამომძიებლო კომისიისაგან ქართველ თავადის ასულ თამარისადმი 435
თამარ ბატონიშვილის პასუხები 436
მართა მესხიშვილის ჩვენება 440
ზაქ. ჩოლაყაშვილის ჩვენება 440
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 442
ალ. ორბელიანის ჩვენება 442
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 443
გიორგი ჩიჯავაძის პასუხები 445
ნიკო ჩიჯავაძის პასუხები 446
ბესო ლორთქიფანიძის ჩვენება 447
ზაალ ჩახუნაშვილის ჩვენება 448
ალ. ორბელიანის ჩვენება 449
მისივე ჩვენება 450

გიორგი რევაზისძე ერისთავის ჩვენება 451
ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება . . . . . »
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება . . . . . »
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება . . . . . »
ალ. ორბელიანის ჩვენება 452
პაუშენკოს განცხადება კომისიისადმი 455
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 455
სიმონ მაჩაბელის ჩვენება 456
საგამომძიებლო კომისიის შეკითხვა ვახტანგ ორბელიანისადმი და მისი პასუხი 457
კომისიის კითხვა ვახტანგ ორბელიანისადმი და მისი პასუხი . . 458
ლევან ერისთავის ჩვენება 459
მისივე ჩვენება 459
ბიძინა ერისთავის ჩვენება 460
ლევან ერისთავის ჩვენება 461
ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება 462
ზაქარია ციციშვილის პასუხები 463
ალ. ორბელიანის ჩვენება 464
მისივე ჩვენება 466
თეიმურაზ ლორთქიფანიძის სიტყვიერი ჩვენება 468
ალ. ორბელიანის ჩვენება 468
ბიძინა ერისთავის ჩვენება 468
ალ. ორბელიანის ჩვენება 469
მისივე ჩვენება 470
მისივე ჩვენება 470
კომისიის კითხვა ვახტანგ ორბელიანისადმი და მისი პასუხი . . 471
თეიმურაზ ამილახვარის ჩვენება 471
ზაქარია ციციშვილის განმარტება 471
ალ. ორბელიანის ჩვენება 472
მისივე ჩვენება 473
მისივე ჩვენება 473
ბიძინა ერისთავის ჩვენება 474
ზაალ ყორლანაშვილის ჩვენება 475
ალ. ორბელიანის ჩვენება 476
მისივე ჩვენება 476
ლუარსაბ თარხნიშვილის ჩვენება 477
ალ. ორბელიანის ჩვენება 478
მისივე ჩვენება 479

მისივე ჩვენება 479
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 480
ფილ. კიკნაძის სიტყვიერი ჩვენება 480
ალ. ორბელიანის ჩვენება 481
გრიგოლ ორბელიანის ჩვენება 482
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 482
გიორგი დავითისძე ერისთავის ჩვენება 483
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 483
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება 484
ალ. ორბელიანის ჩვენება . . . . . „
მისივე ჩვენება 485
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 485
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 486
მისივე ჩვენება 488
ალ. ჭავჭავაძის განმარტება 489
როზენის მიმართვა გენერალ-მაიორ ახლესტიშევისადმი . . . 492
სამხედრო მინისტრის როზენისადმი მიმართვა 493
იგივე 498
როზენის მიმართვა ჩერნიშოვისადმი 499
როზენის ჩერნიშოვისადმი მიმართვიდან 500
იგივე 503
როზენის მიმართვა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი-
სადმი 508
როზენის მიმართვა შტაბს-კაპიტან ანდრეევისადმი 510
მისივე მიმართვა პრაპ. ოლშევსკისადმი 511
შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრისდამი 512
სოლომონ დოდაშვილის თხოვნა 513
სამხედრო მინისტრის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრი-
სადმი 515
შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრი-
სადმი 515
ს. დოდაშვილის საექიმო შემოწმების ოქმი 516
ცნობა ს. დოდაშვილის გარდაცვალებაზე 517
ფინანსთა მინისტრის მიმართვა სამხედრო მინისტრისადმი . 517
კერძო წერილი ს. დოდაშვილისადმი 518

კორექტურულ შეცდომათა გასწორება.

გვ.				დაბეჭდილია	უნდა იყოს:
12	ზევიდგან	სტრიქ.	1	ბაკინბარღებით	ბაკინბარდებით
23	„	„	20	1833-სა	1831-სა
25	„	„	7	ურაითუბანს[1])	ურიათუბანს[1])
42	ქვევ.	„	2	დანარჩენები	დანარჩენი
45	„	„	9	დასნული	დისწული
59	ზევიდგან	„	16	მეოთხე	მეორე
61	„	„	15	სტრიქონს უნდა მე-19 სტრ. მისდევდეს	
92	„	„	17	**გ. ერისთავის** ჩვენებე,	**გ. ერისთავის** ჩვენება
96	„	„	15	ესეთსა	ესრეთსა
97	„	„	16	არის	არს
99	„	„	18	მკლევი	მკლავი
101	„			მეოთხე სტრიქონი ზედმეტია	
101	ქვევიდგან	„	7	რომელცია	რომელიცა
104	„	„	15	საბლი	საბელი
107	„			მეშვიდე სტრიქონი მერვეს უნდა უსწრებდეს	
111	ზევიდგან	„	15	განბნეულებ	განბნეულება
115	„	„	7	ვფიცავ	ვფუცავ
115	„	„	22	რომელი	რომელ
123	„	„	19	გამაყოლოთ	მამყოფოთ
128	ქვევიდგან	„	9	გვარმა	გვამმა
129	„	„	3	გვარი	გვამი
129	„	„	6	გვარი	გვამი
134	„	„	14	**спокоить всех**	**успокоить их тем,**
„	„	„	15	**на дру-**	**на другой**
171	ზევიდგან	„	15	სანჯაკში	სანჯაყში
„	„	„	18	ჩილდოხში	ჩილდირში
„	ქვევიდგან	„	9	ქვეხა	ქევხა
172	„	„	7	ლავრდე	ალავერდი
173	ზევიდგან	„	11	შთაგონების	შთაგონების შემდეგ
177	„	„	7	გარდა	გარდა უთხარ
184	„	„	7	ატრელერიის	არტილერიის
„	ქვევიდგან	„	7	გაგაჩინათო	გაგაჩნიათო
189				თავში აკლია წარწერა: დიმიტრი ერისთავის პირველი ჩვენება (I, 121—124)	
192	ზევიდგან	სტრიქ.	1	გოგო	გაიგო

„	„	26	სტრიქონი ზედმეტია.	
196	„		მეორე სტრიქონში ზედმეტია პირველი ოთხი სიტყვა.	
200	ზევიდგან		მეთოთხმეტე სტრიქონი ზედმეტია.	
204	„	„ 14	მოვლას	მოსვლას
206	ქვევიდგან	„ 7	იშვონიო	იშოვნიო
211	ზევიდგან	12 და 13	სტრიქონებში სიტყვები ზედმეტად არის განმეორებული	
214	ქვევიდგან	„ 9	ეგ აფი—	ეგ არ აფი—
219	ზევიდგან	„ 6	თავდების	თავადების
„	„	„ 16	არამე	რამე
„	ქვევიდგან	„ 3	სიტყვა თეთრად ზედმეტია.	
224	ზევიდგან	„ 5	მიხსენით	გვიხსენით
256	ქვევიდგან	„ 9	აძებნინოს	სწერდა მოაძებნინოს
260	ზევიდგან	მე-17	სტრ. უნდა იკითხებოდეს ბიძინა ერისთავის ჩვენება.	
261	„	„ 20	„კომისისა იგინა:	კომისიასა შინა:
262	ქვევიდგან	„ 3	ბაძნებისანი	ბრძანებისანი
„	„	„ 12	რათცა	რაიცა
264	ზევიდგან	„ 11	გარდა	გარნა
265	„	„ 21	კათარი	ვითარი
291	„	„ 26	ქალი	ქილა
293	„	„ 12	ჰზარისათვის	ჰაზრისათვის
294	ქვევიდგან	„ 14	თქვით	თვით
300	„	„ 12	„აკტიგონიური“	„აკტი გონიური“-ს
„	„	„ 11	გიიოს	**გაიოს**
„	„	„ 13	ბევრად	ბერად
301	ზევიდგან	„ 16	სქელის	**სჯულის**
302	ქვევიდგან	„ 1	შეყრებებოდა	შეიკრიბებოდა
303	„	„ 4	დვთისა	ღვთისა
306	ზევიდგან	„ 18	ბრჩხილებში მოქცეული სიტყვები ზედმეტია	
318	„	„ 19—20	წმი-ველსა	წმი-დასა
„	„	„ 22	ძმისა	ძისა
325	„	„ 1—2	ბალ-ში	ბალ-ში
340	„	„ 4	**ტომსავისა**	ტორმასოვისა
375	„	„ 14, 15	და 24	სტრიქონები ზედმეტია
382	„	„ 14	ხულის	სულის
426	„	მე-19-ე	სტრიქონი სრულიად ზედმეტია.	
428	„	„ 13	ჯარის	ჰარის
438	„	„ 5	და აკლებდაო	არ აკლებდაო
458	ზევიდგან	12—13	სტრიქონებ შუა უნდა ჩაემატოს: ნათქვამია და მან პირ-ველმა შემოიტანა წინადადება, რომ გაგვე-	
460	ქვევიდგან	„ 1	გეთქვას	მეთქვას
461	„	„ 7	ათას ოცდა	ათას ცხრაას ოცდა
462	პირველი	სათაური	უადგილოა, მის მაგიერ მეორე სათაური უნდა იყოს.	
469	„	„ 7	ყიზილბაშნის ებრეთი	ყიზილბაშნიო, ეგრეთი
„	„	„ 8	ათასნის	ათასნიო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ

Доц. Г. Гозалишвили

ЗАГОВОР 1832 ГОДА

т. I

Издательство Государственного Университета

Тифлис 1935